Iv. Javakhishvili Institute of History and Ethnology

David Chitanava

CHURCHES AND SAFETY BUILDINGS IN SAMEGRELO

(From ancient time till now)

Publishing House ‘‘ Mtsignobari‘‘

თბილისი 2010

სსიპ ივ. ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი

დავით ჭითანავა

ეკლესიები და თავდაცვითი ნაგებობები სამეგრელოში

(უძველესი დროიდან დღემდე)

გამომცემლობა „მწიგნობარი“

თბილისი 2010

შესავალი.....1

თავი I

ძველი კოლხური თავდაცვითი სისტემის სოციალურ-ტოპოგრაფიული ინტერპრეტაციისათვის..... 4

1. დასახლების ტოპოგრაფია.....4

2. დასახლების მორფოლოგია (დასახლების და სოციალურ ორგანიზაციათა აღმნიშვნელი უძველესი ტერმინები და დასახლების სოციალური სტრუქტურა)..... 16

თავი II

სამეგრელოს ტერიტორიაზე არსებული ძველი კოლხეთის და ეგრისის სამეფოს ქალაქების და ციხე-სიმაგრეთა ლოკალიზაციისათვის..... 28

1. „ეგროსის“ ქალაქი „ეგრისი“ 28

2. აია-კჳიტაია..... 30

3. ეგრისის სამეფოს ქალაქთა და ციხე-სიმაგრეთა ლოკალიზაციისათვის (მოხირისი, ონოგურისი, როდოპოლისი, ნესოსი)..... 37

თავი III

XIX საუკუნის საარქივო და სტატისტიკური აღწერილობის მასალები სამეგრელოს ეკლესიებზე..... 58

1. თბილისის სახელმწიფო ისტორიული არქივის მასალები..... 58

2. 1873 წლის სტატისტიკური აღწერილობის მასალები: 74

თავი IV

ზუგდიდის რაიონი..... 81

სოფელი ცაიში 81

1. ცაიშის ეკლესია და საეპისკოპოსო 81

2. წმ. გიორგის სახელობის ეკლესია 101

3. მთავარანგელოზთა სახელობის ეკლესია 101

4. ცაიშის ციხე-სიმაგრე 101

სოფელი ყულიშ-კარი 102
1. ყულიშკარის წმ. გიორგის ეკლესია და ხატი
2. წმ. გიორგის სახელობის ნაეკლესიარი (სათირქიო) 112

3. ოხვამე-გოჭვილის ნაეკლესიარი 112

4. სათირქიოს ციხე 113

5. სოფლის არქეოლოგიური სურათი 113

სოფელი ალერტი 114

1. ალერტის ხატ-სალოცავი (ეტიმოლოგია, სემანტიკა) 114

სოფელი უჩაშონა 125

1. წმ. იორგის სახელობის ნაეკლესიარი 125

2. უჩაშორის ჯიხა ანუ ნოჯიხი (ციხე-სიმაგრე) 126

სოფელი კორცხელი 128

1. კორცხელის მაცხოვრის მიძინების სახელობის ეკლესია 128

2. ნაოხვამუ, ნოჯიხევი 133

სოფელი ჭკადუაში 133

1. საჯინჯოლავოს – წმ. ნინოს სახელობის ეკლესია 133

2. ღვთისმშობლის სახელობის ეკლესია 133

3. მთავარანგელოზთა სახელობის ეკლესია და სამრეკლო 133

4. საგაბისონიოს ჯგიმარიონის (წმ. მარიამის) ნაეკლესიარი 136

5. კათოლიკური ეკლესია და აშილ მიურატის სასახლე 136

6. ახალი ეკლესია..... 138

7. ჭკადუაშის ციხე..... 138

8. ნაეკლესიანი ადგილები..... 139

სოფელი ჯიხაშკარი..... 139

1. ჭაქვინჯის ციხე და ეკლესია..... 139

2. საბენდელიანოს – წმ. გიორგის სახელობის ნაეკლესიარი..... 142

3. მარიამ ღვთისმშობლის სახელობის ახალი ეკლესია. 142

4 საზარანდიოს – წმ. ნიკოლოზის სახელობის ნაეკლესიარი..... 142

5. საზარანდიო –საშენგელიოს ჯეგე – მისარიონი..... 142

6. სობოგა-საგაბეჩავოს მიხეილ და გაბრიელ მთავარანგელოზთა

სახელობის ნაეკლესიარი..... 143

7. ნაეკლესიარი ადგილები (ტოპონიმიკა)..... 143

სოფელი ჭაქვინჯი..... 143

1. წმ. გიორგის სახელობის ნაეკლესიარი..... 143

2. ნაეკლესიარი..... 143

3. სამაროვანი..... 143

4. ტოპონიმიკა..... 144

სოფელი ნარაზენი..... 144

1. ხარების სახელობის ახალი ეკლესია..... 144

2. წმ. გიორგის სახელობის ნაეკლესიარი..... 144

3. ტოპონიმიკა 144

სოფელი აბასთუმანი..... 145

1. შამადელას წმ. ნიკოლოზის სახელობის ნაეკლესიარი..... 145

2. საკუტალიოს ნაეკლესიარი..... 145

სოფელი ოდიში 145

1. საჭურღულიოს „უგურყელის“ სალოცავი 145

2. ლედგებიეს მთავარანგელოზთა სახელობის ნაეკლესიარი 146

3. ტოპონმიკა 146

სოფელი ახალსოფელი 146

1. საჯაბუოს ნაეკლესიარი 146

2. ლეცაგურეს კათოლიკური ნაეკლესიარი 146

3. ოფაჩხაფუს ნაეკლესიარი 146

4. ოფაჩხაფუს წმ. გიორგის სახელობის ნაეკლესიარი 146

5. ბაღმარანი – საშეროზიოს ნაეკლესიარი და ციხის ნაშთები 147

6. ტოპონიმიკა 147

სოფელი ჯუმი

მთავარანგელოზთა სახელობის ნაეკლესიარი 147

სოფელი ნაცატუ 147

1. საბეშიო – ნაეკლესიარი 147

2. დობერას ნაეკლესიარი 148

3. ტოპონიმიკა 148

სოფელი ჩხორი 148

1. მახარიას დედათა მონასტერი 148

2. სათორდიოს წმ. გიორგის სახელობის ნაეკლესიარი 148

3. საბერულოს ნაეკლესიარი 149

სოფელი ტყაია 149

წმ. გიორგის სახელობის ეკლესია 149

სოფელი რიყე 150

1. საჯიქიოს ნაოხვამუ (ნაეკლესიარი)..... 150

2. საჯალაღონიოს წმინდა გიორგის სახელობის ახალი ეკლესია

და ნაეკლესიარი..... 150

3. ნაოხვამუ ადგილები..... 150

სოფელი ზედა ეწერი..... 151

1. წმ. გიორგის ახალი ეკლესია..... 151

2. საივარდავოს ნაეკლესიარი..... 151

3. მაცხოვრის სახელობის ნაეკლესიარი..... 151

4. სვანების უბანი – წმ. გიორგის სახელობის სამლოცველო..... 151

სოფელი ზემო ბაში..... 151

1. ჩიჟიშკარის ციხე-სიმაგრე..... 151

2. ტოპონიმიკა..... 152

სოფელი რუხი..... 152

1. რუხის ციხე-სიმაგრე..... 152

2. წმ. ნიკოლოზის სახელობის მშენებარე ეკლესია..... 154

3. წმ. ნიკოლოზის სახელობის ნაეკლესიარი..... 154

სოფელი ნავწულუკუ..... 154

ნაეკლესიარი – „ჯვარამი ჭყონი“..... 154

სოფელი ხეცერა..... 154

1. წმ. გიორგის სახელობის ეკლესია..... 154

2. ნაგებობის ნაშთები – „ქორთუაში ნოხორი“..... 155

3. საკუტალიოს მიქამგარიოს (მიქელ გაბრიელის) სახელობის ნაეკლესიარი.....155

სოფელი შამგონა 155

1. ჩე ოხვამე (თეთრი სალოცავი) – წმ. კონსტანტინეს სახელობის ნაეკლესიარი 155

2. ნოჯიხუ – ნაციხარი 156

სოფელი ნაფატუ 156

წმ. გიორგის სახელობის ეკლესია 156

სოფელი ახალაბასთუმანი 157

1. მთავარანგელოზ მიქაელისა და წმ. გიორგის სახელობის ნაეკლესიარი 157

სოფელი პირველი კახათი 157

1. ნაკარდამუ (ნააკლდამუ) და დიხა-გუძუბები 157

2. წმ. გიორგის სახელობის ახალი ეკლესია 157

სოფელი კახათი 157

1. ღვთისმშობლის სახელობის ნაეკლესიარი 157

2. ციხე-სიმაგრე 158

სოფელი კოკი 159

წმ. გიორგის სახელობის ეკლესია 159

სოფელი პატარა კოკი 160

სახუბუტიო – კადარეს ღვთისმშობლის შობის სახელობის ეკლესია 160

სოფელი ორსანტია 161

1. ნაეკლესიარი 161

2. სახაზალიოს მაცხოვრის სახელობის ნაეკლესიარი 161

3. შარაშიების სალოცავი 161

სოფელი დარჩელი 161

1. წმ. გიორგის სახელობის ნაეკლესიარი 161

2. წმ. გიორგის სახელობის ახალი მშენებარე ეკლესია 162

3. ტოპონიმიკა 162

სოფელი ჭითა-წყარი 162

ჭითა-წყარის ღვთისმშობლის სახელობის ნაეკლესიარი 162

სოფელი ანაკლია 163

1. წმ. გიორგის სახელობის ნაეკლესიარი 163

2. წმ. ნიკოლოზის სახელობის ნაეკლესიარი 163

3. ციხე-სიმაგრე 164

4. დიხა-გუძუბები 166

სოფელი ცაცხვი 166

დიხა-გუძუბები და ნაციხარი ადგილები (ტოპონიმიკა) 166

სოფელი დიდინეძი 167

1. წმ. გიორგის სახელობის ნაეკლესიარი 167

2. ჭვედირის წმ. გიორგის სახელობის ეკლესია 167

3. ტოპონიმიკა 167

სოფელი განმუხური 167

1. ნაეკლესიარი 167

2. წიფურთა – კათოლიკე მისიონერთა რეზიდენცია 167

3. დიხა-გუძუბები და ნაოხვამუ ადგილები (ტოპონიმიკა) 168

სოფელი ორულუ-ერგეტა 168

დიხა-გუძუბები და ნაეკლესიარი ადგილები (ტოპონიმიკა)..... 168

სოფელი ჭითაწყარი..... 169

მთავარანგელოზის სახელობის ნაეკლესიარი..... 169

ქალაქი ზუგდიდი..... 169

1. მაცხოვრის სახელობის ეკლესია..... 169

2. ვლაქერნის ღვთის მშობლის სახელობის დადიანთა სასახლის კარის ეკლესია და ვლაქერნის ხატი..... 171

3. დადიანთა სასახლეები..... 174

4. საჯვაროს უბნის – წმ. გიორგის სახელობის ახალი ეკლესია..... 177

5. წითაწყარის სასაფლაოს წმ. გიორგის სახელობის ხის ეკლესია..... 177

6. სოფელ ჭითაწყარის ახალი ეკლესია..... 177

თავი V

მარტვილის რაიონი..... 178

ჭყონდიდი-მარტვილის ღვთისმშობლის მიძინების სახელობის მონასტრი და საეპისკოპოსო..... 178

სოფელი მუხურჩა..... 208

წმ. მარიამ ღვთისმშობლის სახელობის ნაეკლესიარი.....208

სოფელი ვედიდკარი..... 208

1. ნოჯიხევის ციხე-სიმაგრე..... 208

2. მთავარანგელოზთა სახელობის ეკლესია..... 208

სოფელი ონოღია..... 209

იოანე ნათლისმცემლის სახელობის ნაეკლესიარი..... 209

სოფელი ნაგებერუ 210

წმ. გიორგის სახელობის ეკლესია 210

სოფელი ბანძა 210

1. შაური კარის წმ. გიორგის სახელობის ნაეკლესიარი 210

2. მარიამ ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ახალი ეკლესია 213

3. ბანძის ციხე-სიმაგრე 213

სოფელი ნაჯახაო 214

1. მთავარანგელოზთა სახელობის ეკლესია 214

2. ბარბაე კარის წმ. ბარბარეს სახელობის ნაეკლესიარი და ახალი ეკლესია 215

3. ლეგოგუეს უბნის ნაოხვამუ (ნაეკლესიარი) 215

4. არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილი ნაჯახაოს ციხე და ეკლესია 216

სოფელი ნაგვაზავო 217

1. ქვედა ნაგვაზავოს მაცხოვრის სახელობის ნაეკლესიარი 217

2. ზედა ნაგვაზავოს წმ. გიორგის სახელობის ნაეკლესიარი 217

3. კუდავების უბნის წმ. გიორგის სახელობის ნაეკლესიარი 218

4. ნაგვაზავოს სასახლე 218

სოფელი ნახარებავო 219

1. წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია 219

2. ნაგებობის ნაშთი 220

სოფელი ნოჯიხენი 220

1. ციხე და ეკლესია 220

2. ნოჯიხევის რვააბსიდიანი ეკლესია 222

სოფელი ჯოლევი..... 223

1. წმ. გიორგის სახელობის ნაეკლესიარი..... 223

2. ლეცეკვე-ლემესხე – ჯვრის ნაეკლესიარი..... 223

სოფელი აბედათი..... 223

1. ლემიქავეს იოაკიმეს და ანას სახელობის ნაეკლესიარი.

2. ლუხურცილეს იზდორეთის ოხვამე (ეკლესია) – ღვთისმშობლის

სახელობის ეკლესია..... 223

3. წმ. გიორგის სახელობის ნაეკლესიარი სოფელ აბედათში იდგა

წმ. გიორგის სახელობის ხის ეკლესია..... 224

4. აბედათის სიხე-სიმაგრე..... 224

5. აბედათის ციხის ღვთისმშობლის სახელობის ეკლესია..... 228

6. ლეგაგუეს მთავარანგელოზთა სახელობის ნაეკლესიარი..... 229

7. ნაგებობის ნაშთები (ლეჯღარკე)..... 229

სოფელი სერგიეთი..... 230

მთავარანგელოზთა სახელობის ეკლესია..... 230

სოფელი ბომბოთი..... 230

1. ღვთისმშობლის შობის სახელობის ეკლესია..... 230

2. ციხე-კოშკი..... 231

სოფელი ნახუნაო..... 231

1. წმ. კვირიკეს და ივლიტას სახელობის ნაეკლესიარი..... 231

2. ესიგუეს წმ. იორგის სახელობის ეკლესია და თავდაცვითი ზღუდე.....231

3. სოფელ ნახუნაოში და მის მიმდებარე ტერიტორიაზე მდებარე თავდაცვითი ნაგებობი და ნაოხვამუ ადგილები ტოპონიმების მიხედვით..... 232

4. „ნამანცხვარუ“ – მაცხოვრის სახელობის ნაეკლესიარი.....232

5. ჭაბურთას უბანი – ნაეკლესიარი..... 233

სოფელი ხუნწი 233

1. დობერა – ციხე-სიმაგრის ნაშთები 233

2. ქვემო ხუნწის მაცხოვრის სახელობის ეკლესია 233

3. ზემო ხუნწის ღვთისმშობლის შობის სახელობის ეკლესია 234

4. ნატებერუს (ლეციცხვაიე) წმ. გიორგის სახელობის ნაეკლესიარი 235

სოფელი ინჩხური 235

1. მშენებარე წმ. გიორგის სახელობის ეკლესია 235

2. ლეფირცხელავეს წმ. გიორგის სახელობის ეკლესია 235

3. დიდი ინჩხურის წმ. გიორგის სახელობის ნაეკლესიარი 236

4. გეგეჭკორების უბნის ამაღლების სახელობის ნაეკლესიარი 236

5. აბგესის უბნის – მაცხოვრის სახელობის ნაეკლესიარი 236

სოფელი ბალდა (გაჭედილის თემი) 236

ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ეკლესია 236

სოფელი სქურდი (გაჭედილის თემი) 237

1. ებაღუსკუეს ნაეკლესიარი 237

2. ნაეკლესიარი 237

3. მარიამობისა და ტიიფობის დღესასწაული 237

სოფელი პატარა თამაკონი 237

1. ჟინაანთკარის მაცხოვრის სახელობის ეკლესია 237

2. ციხე-სიმაგრე 238

3. ციხე-სიმაგრის ეკლესია 239

სოფელი სალხინო 239

1. ლექვარცხე-ჟინოთას თეთროსნის (წმ. გიორგის) სახელობის ნაეკლესიარი 239

2. ლეხულორდავეს მისარიონის წმ. გიორგის სახელობის ნაეკლესიარი..... 239

3. დადიანთა სასახლე და ღვთისმშობლის სახელობის კარის ეკლესია..... 239

4. წაჩხურის მთავარანგელოზთა სახელობის ეკლესია..... 242

5. ვახას მშენებარე წმ. გიორგის სახელობის ეკლესია..... 246

6. ვახას ჯვარიშის ნაეკლესიარი..... 246

7. ვახას ნაეკლესიარი..... 246

8. ხირზენის ციხე და გამოქვაბული..... 246

9. ციხე-სიმაგრის ნაშთები..... 247

10. ლეგულორდავის ციხე..... 247

11. ლესხულუხიე – გამოქვაბული..... 250

12. ციხე-სიმაგრე მდ. წაჩხურისა და მდ. ტეხურის შესართავთან..... 250

სოფელი თამაკონი..... 250

1. ღვთისმშობლის სახელობის ახალი სამლოცველო..... 250

2. ნამიკოლაუს მაცხოვრის სახელობის ამაღლების ეკლესია..... 251

3. თარგამულის წმ. გიორგის სახელობის ეკლესია.....251

4. ლექაჯაიეს ადამიების ნაეკლესიარი..... 252

5. მეორე ნამიკოლაუს მარიამ ღვთისმშობლის სახელობის ნაეკლესიარი..... 252

6. მეორე ნამიკოლაუს ახალი წმ. გიორგის სახელობის მშენებარე ეკლესია..... 252

7. ლეფაციეს მარიამ ღვთისმშობლის სახელობის ხის ეკლესია.....252

8. ლეფარცვანიეს ნაეკლესიარი..... 252

9. ნამიკოლაუს ციხე-კოშკი..... 253

10. თარგამულის ციხე-სიმაგრე..... 253

11. თამაკონ-ნახუნაოს საზღვარი – ციხე-სიმაგრე „მოცაციხე“..... 253

სოფელი (პირველი გურძემი) გურძემი

1. ნაქიაჩუ სკურდის (ქიაჩის სახელობის) ეკლესია

2. ლემილორავეს მთავარანგელოზთა სახელობის ეკლესია

3. ნახურცილავუს – მარიამ ღვთისმშობლის სახელობის ეკლესია

4. ადგილი ჯვარ-მამამთავარი

5. სქურდი-ლეკოხიეს მაცხოვრის სახელობის ეკლესია

6. წმ. ნიკოლოზის სახელობის ეკლესია

სოფელი მეორე გურძემი

წმ. გიორგის სახელობის ნაეკლესიარი

სოფელი პირველი კიწია

მთავარანგელოზთა სახელობის ნაეკლესიარი

სოფელი მეორე კიწია

ლეჭიეს სასაფლაოსთან ნაეკლესიარი ადგილები და ჭილაიების ანუ ჭილაძეთა გვარის შესახებ

სოფელი ნოღა

1. ციხე-სიმაგრე (ლებარამე)

2. სული წმინდის მოფენის ღღესასწაული

სოფელი ალერტი (ნოღის თემი)

ალერტის წმ. გიორგის სახელობის ეკლესია

სოფელი ჭყონი

1. ლედგებიეს წმ. გიორგის სახელობის ნაეკლესიარი

2. ოციმეს წმ. ნიკოლოზის სახელობის ნაეკლესიარი

სოფელი დოშაყე

იოანე ნათლისმცემლის სახელობის ნაეკლესიარი

სოფელი ტალერი

ეწერის მთავარანგელოზთა სახელობის ეკლესია

სოფელი ნობულევი

ნაეკლესიარი

სოფელი კურზუ

1. ქეჯვარის ნაეკლესიარი და წმ. ელია წინასწარმეტყველის სახელობის ახალი ეკლესია
2. ციხე-სიმაგრის ნაშთები
3. ლებერულე ციხე სიმაგრე და ნაეკლესიარი
4. ნოჯიხუ
5. ნაეკლესიარი
6. კურზუს დადიანთა სასახლის ისტორიიიდან

სოფელი გოდოგანი

1. გოდოგნის მისარიონის (წმ. გიორგის) სახელობის ნაეკლესიარი
2. ციხე-სიმაგრე

თავი VI

ხობის რაიონი

1. **ხობის მონასტერი და საეპისკოპოსო**
2. ხობის სასახლე

ხეთის თემი

ხეთა, ხამისქური პირველი მაისი

1. ქორთოძეთა ციხე-სიმაგრე

2. სოფელ ხეთის ეკლესიები XIX საუკუნეში და სამღვდელოება

3. ხეთა ჩე ოხვამე – წმ. კვირიკეს და ორმოც მოწამეთა სახელობის ეკლესია

4. ხამისკური

5. ნალანგერის წმ. გიორგის სახელობის ნაეკლესიარი

6. მთავარანგელოზთა სახელობის ეკლესია.

7. კორცხოს წმ. თევდორე ტირონის სახელობის ეკლესია

8. ადგილი „ნაბერა “ (სადროშო) – ნაგებობის ნაშთები.....89

9. მისარონფერდი (მისარონის ანუ წმ. გიორგის სალოცავი).....90

10. ჯეგეთას წმ. გიორგის სახელობის სალოცავი.....98

11. ადგილი „პაპანწყვილი“ – ნაეკლესიარი

12. ნაეკლესიარი ადგილები და სამრევლო სკოლა

სოფელი ბულიწყუ

1. ნაგებობის ნაშთი

2. ჯახუთის უბანის ციხე-სიმაგრე

3. ჩხაიას უბნის ციხე-სიმაგრე – „ყურყუმელიას ჯიხა“

4. მაჩხომერის უბნის ციხე-სიმაგრე და კოშკი

5. ადგილი ნასკალუ – ჯახუთის უბანი – თავდაცვითი ნაგებობა

6. ჯახუთის ნაეკლესიარი

7. წმ. აია სოფიას ეკლესია და ციხე-სიმაგრე

სოფელი თორსა-დღვაბა

მთავარანგელოზთა სახელობის ნაეკლესიარი

საჯიჯავოს თემი (ჯაპშაქარი, ზენი, შუბი, გაშფერდი).

1. საჯიჯავოს თემის ეკლესიების რაოდენობა და სასულიერო წოდება XIX საუკუნეებში

2. ჯაპშაქარის წმ. გიორგის სახელობის ეკლესია

3. ადგილი „ნაოხვამუ“ – ნაეკლესიარი

4. ზენის ანუ რზენის ციხე-სიმაგრე

5. ზენის იოანე ნათლისმცემლის სახელობის ნაკლესიარი

6. სოფელ ზუბის „ნაოხვამუ“ – ნაეკლესიარი

7. ზუბის წმ. გიორგის სახელობის ნაეკლესიარი

8. გაშფერდის (მაცხოვრის კარი) მაცხოვრის სახელობის ნაეკლესიარი

9. გაშფერდი – ნაეკლესიარი

10. გაღმა საჯიჯაოს ციხე-სიმაგრე

სოფელი ხიბულა

1. სამების სახელობის ნაეკლესიარი

2. ძველი ხიბულას მთავარანგელოზთა სახელობის ნაეკლესიარი

3. დადიანთა ნამოსახლარი

4. ხიბულას ციხე-სიმაგრე

სოფელი ბია

1. მთავარანგელოზთა სახელობის ეკლესია

2. მაცხოვრის სახელობის ნაეკლესიარი

სოფელი ქვალონი

1. ქვალონის ეკლესიები და სამღვდელოება XIX საუკუნეში

2. ჩე ოხვამე – წმ. გიორგის სახელობის ეკლესია

3. დიხა-გუძუბები და „ნაოხვამუ“ ადგილები ქვემო ქვალონში – ტოპონიმიკა

სოფელი ნოჯიხევი

1. ეკლესიები და სამღვდელოება XIX საუკუნეში

2. მთავარანგელოზთა სახელობის ნაეკლესიარი

3. ციხე-სიმაგრე

სოფელი გამოღმა შუა (ანუ პირველი) ხოგა

1. ეკლესიები და სამღვდელოება XIX საუკუნეში
2. წმ. გიორგის სახელობის ნაეკლესიარი
3. ციხე-სიმაგრე
4. პირველი ხორგის მეორე წმინდა გიორგის ნაეკლესიარი.
5. მისარონის (წმ. გიორგის) სალოცავი
6. ჯვარცმის ვნების სახელობის ნაეკლესიარი
7. დადიანთა სასახლე და აფხაზეთის საკათალიკოსო
8. დიხა გუძუბები და „ნაოხვამუ“ ადგილები

სოფელი გაღმა ხორგა (ახალსოფელი)

1. წმ. გიორგის სახელობის ნაეკლესიარი
2. სააბრამოხვამე – ნაეკლესიარი

სოფელი ყულევი

1. ეკლესიები და თავდაცვითი ნაგებობები და მოკლე ისტორიული წარსული
2. წმ. ნიკოლოზის და წმ. ელენეს სახელობის ნაეკლესიარები

სოფელი ქარიატა

1. გამოღმა ქარიატის წმ. გიორგის სახელობის ნაეკლესიარი
2. გაღმა ქარიატის ღვთისმშობლის სახელობის ნაეკლესიარი

სოფელი პირველი გურიფული

1. წმ. კვირიკესა და ივლიტას სახელობის ნაეკლესიარი
2. დიხა-გუძუბები

სოფელი საგვიჩიო

ღვთისმშობლის ტაძრად მიყვანების სახელობის ეკლესია

სოფელი საღვამიჩაო

წმ. გიორგის სახელობის ნაეკლესიარი

სოფელი საჭოჭუო

მთავარანგელოზთა სახელობის ნაეკლესიარი

სოფელი პატარა ფოთი

წმ. გიორგის სახელობის ნაეკლესიარი

სოფელი საქორქიო

1. წმ. გიორგის სახელობის ნაეკლესიარი
2. ციხე-სიმაგრე (ტოპონიმიკა)

სოფელი ჭალადიდი

წმ. ნინოს სახელობის ეკლესია

ქალაქი ხობი

წმ. სამების სახელობის ეკლესია.

თავი VII

წალენჯიხის რაიონი

წალენჯიხის მონასტერი და საეპისკოპოსო

სოფელი ობუჯი

1. სამესხიოს „მისარიონის“ ნაეკლესიარი
2. წმ. გიორგის სახელობის ნაეკლესიარი და სამონასტრო კომპლექსი
3. მიხეილ და გაბრიელ მთავარანგელოზთა სახელობის მშენებარე ეკლესია
4. ობუჯის ციხე-სიმაგრე
5. ქიაჩის მთავარანგელოზთა ხატი და ნაეკლესიარი

სოფელი ჯაღირა

1. ჯაღირას ციხე-სიმაგრე
2. ჯიღირას ჯვარცმის სახელობის ციხის ეკლესია
3. ბარბარობა

ქალაქი წალენჯიხა

1. ლიუღერას ციხე-სიმაგრე
2. სოფელი ლიუღერას ნაეკლესიარი

სოფელი მიქავა-ფუქი

1. ნაზმაკოჩის უბნის ნაოხვამუ
2. წმ. ბარბარეს სახელობის ნაეკლესიარი
3. ციხე-სიმაგრე და ნაეკლესიარი

სოფელი კანთი

1. ნაეკლესიარი
2. თარზენის „ნაოხვამუ“ ადგილები

სოფელი სქური

1. ეკლესიები და ციხე-სიმაგრეები (ზოგადი მიმოხილვა)
2. მაცხოვრის შობის სახელობის მონასტერი

სოფელი ჯგალი

1. ჯგალის ძელი ჭეშმარიტისა და ჯგალის წმ. გიორგის სახელობის ეკლესია
2. ლეხარჩილეს წმ. ნინოს სახელობის მშენებარე ეკლესია და სამრეკლო
3. ლეხარჩილეს ალერტ-ხარჩილის სალოცავი
4. ლესალეს ციხე-სიმაგრე და მიმდებარე ტერიტორია

სოფელი ულურია

ნაოხვამუ – ნაეკლესიარი

სოფელი ნაკიფუ

„ნაოხვამუ“ – ნაეკლესიარი

სოფელი მაზანდარა

1. წმ. ნიკოლოზის სახელობის მშენებარე ეკლესია

2. „ნაოხვამუ“ – მაცხოვრის სახელობის ნაეკლესიარი

3. ციხე-სიმაგრე – „ნოჯიხი“

სოფელი მედანი

1. ციხე-სიმაგრე

2. ჩიქოვანების კარის ნაეკლესიარი

სოფელი საჩინო

1. გაშფერდის წმ. გიორგის სახელობის ნაეკლესიარი და ახალი ეკლესია

2. კუხეშის მიქამგარიოს (მიხეილ და გაბრიელ მთავარანგელოზთა) სახელობის ნაეკლესიარი

3. „მამუკიას ჯიხა“ – ციხე-სიმაგრე

4. კუხეში ნაგებობის ნაშთი

სოფელი ნაგურუ

მიხაილ და გაბრიელ მთავარანგელოზთა (მიქამგარიოს) სახელობის ეკლესიის ნაშთი

სოფელი ჩქვალერი

1. საშეროზიოს მოცინარეს ხატი და ნაეკლესიარი

2. ლეძობეს ანუ ქართლიშის ჯიხა – ციხე-სიმაგრე

3. ნაოხვამუ ნაეკლესიარი

4. ლეშამგეს მაცხოვრის სახელობის („ქირსე მანცხვარი“) ეკლესია

სოფელი ჯვარზენი

1. საგეთიოს ჯვარზენის ტრიქონქი (ჯგერგე)
2. ციხე-სიმაგრე და კოშკი (საგეთიო)

დაბა ჯვარი და მისი მიდამოები

1. ყოველთა წმინდანთა სახელობის ახალი ეკლესია
2. „გუბანის“ ეკლესია
3. ხუდონის კოშკი
4. ხუდონის ქარდავების უბნის ნაეკლესიარი
5. წყავაშის ნაეკლესიარი
6. ლეფიეს ნაეკლესიარი
7. ენგურჰესის წყალსაცავის ტერიტორიაზე არსებული ნასახლარები და ნაეკლსიარები
8. ლექარდეს ნაეკლესიარი
9. ომუნეს კოშკი
10. ლემატუეს ანდრია პირველწოდებულის სახელობის ახალი ეკლესია
11. ზემო ლემატუეს (ლეჭანე) ნაეკლესიარი (ნაოხვამუ)
12. ციხე-სიმაგრის ნაშთები (გაგაჩის ჯიხა)
13. ნაკას კოშკი
14. ლაბერაშის (ჯვარი) ციხე-სიმაგრე

სოფელი ლია

1. მახარიას ეკლესიის და ციხის ნაშთები
2. მახარიას წმ. გიორგის სახელობის ნაეკლესიარი და ახალი ეკლესია
3. ლიის წმ. გიორგის სახელობის ნაეკლესიარი
4. დიდი ქირსას ციხე-სიმაგრის კომპლექსი
5. დიდა ქირსას ნაეკლესიარი
6. ნაეკლესიარები

სააფაციო

სოფელი ჭალე

ენწერფერდის „ჩე ოხვამე“ – წმ. გიორგის სახელობის ეკლესია

სოფელი მუჟავა

1. საარქანიოს წმ. გიორგის სახელობის ეკლესია
2. საგეთიოს ციხე-კოშკი
3. საანთიოს ნაეკლესიარი
4. ჩხაპილკის მთა – ციხე-კოშკი
5. კომპლექსის ეკლესია
6. მრგვალი კოშკის ბუდე
7. ნაეკლესიარი

სოფელ წყოუში

1. ნაეკლესიარი და კოშკის ნაშთები
2. ნაეკლესიარი
3. ციხე-სიმაგრე
4. მთავარანგელოზის სახელობის ნაეკლესიარი

სოფელი ფახულანი

1. ტებენას ციხე-სიმაგრე და ნაეკლესიარი
2. ციხე-სიმაგრე და ნაეკლესიარი

სოფელი ეწერი

ლეციმიტიეს წმ. გიორგის სახელობის („ბუჭიეს) ნაეკლესიარი

წმ. მარიამის სახელობის ეკლესია ქ. წალენჯიხასთან

თავი VIII

სენაკის რაიონი

სოფელი თეკლათი

1. ეკლესიები და სამრევლო სკოლა
2. ქვემო თეკლათის წმ. ბარბარეს სახელობის ნაეკლესიარი
3. წმ. ბარბარეს სახელობის ახალი ეკლესია
4. „ნაოხვამუ“ ადგილები

სოფელი ჭალადიდი (ჭალადიდის მუხური)

წმ. გიორგის სახელობის ნაეკლესიარი

სოფელი ახალსოფელი

1. ისულას წმ. ბარბარეს სახელობის ნაეკლესიარი და ახალი ეკლესია
2. „ნანეფიშ ჭალეს“ ნამოსახლარი

სოფელი ნოსირი

1. საოდიშარიოს წმ. სტეფანეს სახელობის ნაეკლესიარი
2. კარიეთის წმ. გიორგის სახელობის ეკლესია
3. აბანოს ნაშთები

სოფელი მენჯი

მთავარანგელოზთა სახელობის ნაეკლესიარი

სოფელი სახარბედიო

1. ალექსი შუშანიას სავანე
2. წმ. გიორგის სახელობის ნაეკლესიარი

მენჯის თემი

1. ნაეკლესიარი და წმ. გიორგის სახელობის ეკლესია

2. საგაბესკირიო – პაპანწყვილი

3. საგაბესკირიო ნაეკლესიარი

4. ციხე-სიმაგრის ნაშთები

სოფელი ხორში

1. ეკლესიები და სამღვდელოება

2. მაცხოვრის სახელობის ეკლესია

3. ციზეთის წმ. გიორგის სახელობის ნაეკლესიარი და დადიანთა ნასახლარი

4. ჯვარ-კარის სასაფლაო – წმ. გიორგის სახელობის ნაეკლესიარი

5. პატარა ზანის წმ. გიორგის სახელობის ნაეკლესიარი

6. საფაჩულიოს წმ. გიორგის სახელობის ნაეკლესიარი

7. საადანიაოს მთავარანგელოზთა სახელობის ეკლესია

8. საგუგუნაოს ციხე-კოშკი

სოფელი დიდი ზანა

1. სამღვდელოება

2. ზანის მაცხოვრის სახელობის ფერიცვალების ეკლესია და ნაეკლესიარი

3. საშურღაიოს ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ახალი ხის ეკლესია და ძველი სამლოცველო

სოფელი ენწერი

წმ. ივლიტას და კვირიკეს სახელობის ნაეკლესიარი

ეკის თემი

1. საადამიოს იოანე ნათლისმცემლის სახელობის მონასტერი და თავდაცვითი გალავანი

2. საადამიოს კოშკის ნაშთები

3. საწულეისკიროს წმ. გიორგის სახელობის ნაეკლესიარი

4. საფარცვანიოს (შრომის კარი) მაცხოვრის (ჯვრის) სახელობის ეკლესია

5. საელიავოს (უფალ-კარი) წმ. გიორგის სახელობის ნაეკლესიარი

6. საგაგუო – ჩიჩუების კარის ნაეკლესიარი

7. საგუნიოს ღვთისმშობლის სახელობის ნაეკლესიარი

8. საარჩაიოს ნაეკლესიარი

სოფელი უშაფათი

1. მაცხოვრის კარი – ლეკორშიეს მაცხოვრის სახელობის ნაეკლესიარი

2. ლეკოკაიეს წმ. გიორგის სახელობის ნაკლესიარი

3. ლეგოგინეს წმ. გიორგის სახელობის ნაეკლესიარი

4. ლემალანიეს წმ. მარიამის სახელობის ნაეკლესიარი

5. ლეხაბურზანიეს წმ. გიორგის სახელობის ეკლესია

სოფელი ფოცხო

1. მოხაში (ზემო ფოცხო) წმ. გიორგის სახელობის ნაეკლესიარი

სოფელი ქვემო ფოცხო

2. ლემამულიეს (ქვემო ფოცხო) მთავარანგელოზთა სახელობის ნაეკლესიარი

3. ლეყურუეს მისარიონის სალოცავი

4. ლეშამათეს მიხაილ და გაბრიელ მთავარანგელოზთა სახელობის ეკლესია

5. ჯგიმარიონის – მარიამ ღვთისმშობლის სახელობის ეკლესია

სოფელი ბეთლემი

1. ციხე-კოშკი

2. ჯგიმარიონის ანუ წმ. მარიამის სახელობის ეკლესია

3. მისარიონის ნაეკლესიარი

4. ქრისტეშობის სახელობის მაცხოვრის შობის ნაეკლესიარი

5. აბანოს ნაშთები

ლეძეძამეს თემი

1. სოფელ კვაუთის მთავარანგელოზთა სახელობის ეკლესია

2. პატარა ჯოლევის ნაეკლესიარი

3. ჯოლევის წმ. გიორგის სახელობის ნაეკლესიარი

4. ლეარზინეს მაცხოვრის სახელობის ნაეკლესიარი

5. ლეგოგიეს წმ. ბარბარეს სახელობის ნაეკლესიარი

6. ჩიქოვანების კარის ეკლესია (კვაუთი)

სოფელი გეჯეთი

1. საკოხიოს გიორგის სახელობის ნაეკლესიარი

2. საოჩიგაოს მთავარანგელოზთა სახელობის ნაეკლესიარი

3. ფიჩხაიების და ღვამბერიების სალოცავი (ნაოხვამუ)

5. ჯიხირის ნაეკლესიარი

სოფელი შხეფი

1. ისტორიული ცნობები და შხეფის ციხე

2. მთავარანგელოზთა სახელობის მშენებარე ეკლესია და ნაეკლესიარი

3. წმ. ნინოს სახელობის ნაეკლესიარი

4. სამრევლო სკოლა

სოფელი ძველი სენაკი

1. საჩიქობაოს I ციხე-სიმაგრე

2. საჩიქობაოს II ციხე-სიმაგრე

3. მაცხოვრის შობის სახელობის ეკლესია

4. საქანთარიოს ციხის ნანგრევები

5. წმ. გიორგის სახელობის ეკლესია

სოფელი სორტა

1. მარიამ ღვთისმშობლის სახელობის ეკლესია და სოფიის ტაძარი

2. ქვემო სორტის იოანე ნათლისმცემლის სახელობის ნაეკლესიარი და სამრეკლო

3. ზემო სორტა – დადიანის ნატახტუ

სოფელი კოტიანეთი

1. წმ. გიორგის სახელობის ეკლესია

2. ციხე-სიმაგრე და ციხის ეკლესია

სოფელი ნოქალაქევი

1. გოხომელას უბნის წმ. ელენეს და კონსტანტინეს სახელობის ეკლესია

2. არქეოპოლისი – ნოქალაქევი.

3. ნოქალაქევის ორმოც მოწამეთა სახელობის ეკლესია

4. ნოქალაქევის სამნავიანი ბაზილიკა

5. ნოქალაქევის დარბაზული ეკლესიები

სოფელი ლებადათურე

ნაეკლესიარი

ქალაქი სენაკი

1. საკალანდარიშვილოს ეკლესია

2. საკალანდარიშვილოს კოშკი

3. ქუთაისის ქუჩა – ღვთისმშობლის შობის სახელობის ეკლესია (დედათა მონასტერი)

4. სენაკის მოკლე ისტორიული მიმოხილვა

თავი IX

ჩხოროწყუს რაიონი

სოფელი ნაფიჩხოვო

1. ლედარსალეს წმ. გიორგის სახელობის ნაეკლესიარი

2. ლედარსალეს ნაეკლესიარი და ნაციხარი

3. ლებერიეს ნაციხარი

4. ლებერიეს ნაეკლესიარი

სოფელი თაია

1. ლემორგოშიეს – ნაეკლესიარი
2. ლექარეს წმ. გიორგის სახელობის ნაეკლესიარი
3. ოცინდაძეს წმ. გიორგის სახელობის ეკლესია
4. ოცინდალეს ციხე-კოშკი
5. აგუნას სალოცავი

სოფელი მუხური

1. საჩიქვანოს წმ. გიორგის სახელობის ეკლესია
2. ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის სახელობის ნაეკლესიარი
3. წმ. ნიკოლოზის და წმ. გიორგის სახელობის ეკლესია

სოფელი ლეგახარე

წმ. ნინოს სახელობის ეკლესია და ბარბალობის დღესასწაული

სოფელი ზუმი

1. მთავარანგელოზთა სახელობის ნაეკლესიარი
2. ნაეკლესიარი ადგილები

სოფელი ჯუმითი

1. საგუნიოს წმ. გიორგის სახელობის ნაეკლესიარი
2. ქვედა ჯუმითის წმ. გიორგის სახელობის ნაეკლესიარი

სოფელი ლეწურწუმე

წმ. გიორგის სახელობის ნაეკლესიარი

სოფელი კირცხი

1. თავად გოშუების კარის ნაეკლესიარი და ციხე - სიმაგრე
2. წმ. გიორგის სახელობის ეკლესია

სოფელი სარაქონი

1. საჯალადონიოს ნაეკლესიარი და ციხე-სიმაგრე
2. სალოგუოს ნაეკლესიარი
3. საჯალადონიოს წმ. გიორგის სახელობის ნაეკლესიარი

სოფელი ქვედა ჩწოროწყუ

1. წმ. გიორგის სახელობის ეკლესია
2. პაპასკირების სასაფლაო წმ. იორგის სახელობის ნაეკლესიარი
3. საჟვანიოს მთავარანგელოზთა სახელობის ეკლესია
4. ჭვილიში, ნაეკლესიარი და ნაციხარი

სოფელი ლეჯიქე

1. მიხეილ და გაბრიელ მთავარანგელოზთა სახელობის ნაეკლესიარი
2. ხომა კირდეს კომპლექსი

სოფელი ოჩხომური

1. სახორას წმ. ბარბარეს ეკლესია
2. ოჩხომურის მაცხოვრის აღდგომის სახელობის ეკლესია

სოფელი ლესიჭინე

1. ხელთუქმნელი მაცხოვრის სახელობის ნაეკლესიარი
2. წმ. გიორგის სახელობის ნაეკლესიარი

სოფელი ახუთი

1. წმ. გიორგის სახელობის ნაეკლესიარი
2. ლეგერსამეს მაცხოვრის სახელობის ეკლესია
3. საკაციო-საკარტოზიო-„გოგოლეთის“ მთავარანგელოზთა სახელობის ეკლესია
4. ადგილი „ნაბერაყ,“ – ნაეკლესიარი და ნაციხარი

5. საკაჭარავოს მარიამ ღვისმშობლის სახელობის კარის ეკლესია და დადიანთა ნასახლარი

6. სანაროუშვილოს მაცხოვრის სახელობის ეკლესია

7. სანაროუშვილოს გვარის სალოცავი

8. სავეკუოს მისარიონის - წმ. გიორგის სახელობის ნაეკლესიარი და ციხე

9. ლეჯიქეს სასაფლაოსთან კედლის ნაშთები

10. ლაკტურიას ნაოხვამუ

11. სამრევლო სკოლებზე

სოფელი ნაკიანი

1. ლექარჩეს მიხეილ და გაბრიელ მთავარანგელოზთა სახელობის ნაეკლესიარი – ქიაჩი

2. ლეყალიჩეს წმ. მაცხოვრის სახელობის ეკლესია

3. ლეახალეს წმ. გიორგის სახელობის ეკლესია

4. სამრევლო სკოლაზე

სოფელი გარახა

1. წმ. გიორგის სახელობის ნაეკლესიარი

2. ნაჯაგურ გორაკი – ციხე-კოშკები (ლექვარცხეს უბანი)

3. ნაჯაგურ გორაკის ნაეკლესიარი

4. სორდიების გვარის სალოცავები

სოფელი მოიდანახე

მარიამ ღვისმშობლის სახელობის ეკლესია

სოფელი ხანწი

მაცხოვრის ფერიცვალების სახელობის ნაეკლესიარი

სოფელი ჭოღა

1. წმ. გიორგის სახელობის ნაეკლესიარი

2. მეორე ჭოღის მთავარანგელოზთა სახელობის ეკლესია

3. ნამალაზონუ – ნაეკლესიარი

თავი X

აბაშის რაიონი

სოფელი სუჯუნა

1. სუჯუნის და საჭილოს ოლქის ეკლესიები

2. სუჯუნის წმ. გიორგის სახელობის ეკლესია

3. სახოშტარიოს მაცხოვრის სახელობის ნაეკლესიარი

სოფელი ეწერი

ეწერის წმ. გიორგის სახელობის ნაეკლესიარი

სოფელი წალიკარი

1. წალიკარის წმ. გიორგის ეკლესია

2. სამიმინოშვილოს წმ. გიორგის სახელობის ნაეკლესიარი

სოფელი წყემი

წმ. ბარბარეს სახელობის ნაეკლესიარი

ქალაქი აბაშა

1. მაცხოვრის სახელობის ახალი ეკლესია

2. მთავარანგელოზთა სახელობის ნაეკლესიარი

3. განკარის სასაფლაოს წმინდა გიორგის სახელობის ნაეკლესიარი

4. მშენებარე ეკლესია

5. კვათანას ძველი მთავარანგელოზთა სახელობის ნაეკლესიარი

6. კვათანას წმინდა მიხეილისა და გაბრიელ მთავარანგელოზთა სახელობის ეკლესია

სოფელი კადარი

კადარის მაცხოვრის სახელობის ეკლესია

სოფელი პატარა კვათანა

მისარონის (წმ. გიორგის) სახელობის ნაეკლესიარი

სოფელი სეფიეთი

1. წმ. მთავარანგელოზთა სახელობის ეკლესია

სოფელი ონტოფო

1. წმ. ბარბარეს სახელობის ნაეკლესიარი
2. დოხორე კარის ღვთისმშობლის სახელობის ნაეკლესიარი
3. კუპრეიშვილების სალოცავი
4. ნადარეიშვილების უბნის ნაოხვამუ – ნაეკლესიარი

სოფელი მაიდანი

1. წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია
2. წმ. ელია წინასწარმეტყველის თეზმიტელის სახელობის ახალი ეკლესია
3. ნაგებობის ნაშთი

სოფელი სამიქავო

წმ. გიორგის სახელობის ნაეკლესიარი და სამრეკლო

სოფელი გულუხეთი

წმ. გიორგის სახელობის ახალი ეკლესია და ნაეკლესიარი

სოფელი კაპანა

წმ. ბარბარეს სახელობის ნაეკლესიარი

სოფელი მარანი

1. წმ. გიორგის სახელობის ნაეკლესიარი და ახალი ეკლესია

2. მთავარანგელოზთა სახელობის ნაეკლესიარი და ახალი ჯვართამაღლების სახელობის ეკლესია

სოფელი გუგუნაყათი

წმ. გიორგის სახელობის ნაეკლესიარი

სოფელი პატარა გეზათი

მარიამ ღვთისმშობლის სახელობის ნაეკლესიარი

სოფელი დიდი გეზათი

1. თევდორე ტირონის სახელობის ნაეკლესიარი

2. საქაჯაიოს მაცხოვრის სახელობის ნაეკლესიარი

სოფელი ნაოხაში

საცომაიოს მაცხოვრის სახელობის ნაეკლესიარი

სოფელი საჭილავო (პირველი მაისი)

1. ნამწარეულის წმ. გიორგის სახელობის ნაელესიარი

2. წმ. გიორგის სახელობის ახალი ეკლესია და ნაეკლესიარი

სოფელი გაუწყინარი

წმ. გიორგის სახელობის ნაეკლესიარი

სოფელი ქვიშანჭალა

წმ. გიორგის სახელობის ნაეკლესიარი და ახალი ეკლესია

სოფელი თხმელარი

ნაეკლესიარი

სოფელი ნაფაცხევი

ნაეკლესიარი

სოფელი ტყვირი

მაცხოვრის სახელობის მონასტერი

სოფელი ნაგვაზაო

მთავარანგელოზთა სახელობის ნაეკლესიარი

სოფელი ეწერი

1. საჩიჩუოს (ნაეკლესიარი) ნაოხვამუ
2. წმ. გიორგის სახელობის ნაეკლესიარი
3. ამაღლების სახელობის ნაეკლესიარი

სოფელი წალიკარი

წმ. გიორგის სახელობის ნაეკლესიარი

სოფელი ესაკეთი

იოანე ნათლისმცემლის სახელობის ნაეკლესიარი (სუჯუნის თემი)

სოფელი კოდორი

1. მთავარანგელოზთა სახელობის ნაეკლესიარი
2. თევდორე ტირონის სახელობის ნაეკლესიარი

სოფელი კეთილარის კოდორი

1. წმ. გიორგის სახელობის ნაეკლესიარი
2. კეთილარის თემის ეკლესიები

სოფელი გულეიკარი

1. გულეიკარის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია

2. ნაოხვამუ

სოფელი ნესაკავო (შუა ქალაქი)

1. ღვთისმშობლის სახელობის ნაეკლესიარი

2. წმ. გიორგის სახელობის ნაეკლესიარი

სოფელი კეთილარი

1. წმ. გიორგის სახელობის ნაეკლესიარი

2. ნამარნუს ნამოსახლარი

სოფელი ზანათი

იოანე ნათლისმცემლის სახელობის ნაეკლესიარი

სოფელი ცილორი

წმ. გიორგის სახელობის ნაეკლესიარი

სოფელი ეკალი

წმ. გიორგის სახელობის ნაეკლესიარი

სოფელი სამიქელაო

ღვთისმშობლის სახელობის ნაეკლესიარი

თავი XI

ქალაქი ფოთი

1. ფოთის საკათედრო ტაძარი – აია სოფია

2. პალიასტომის ღვთისმშობელის სახელობის ეკლესია და ხატი

3. წმ. ოლღას სახელობის ეკლესია

4. წმ. ალექსანდრე ნეველის სახელობის ფოთის საკრებულო ტაძარი

5. ნახუტურუს წმ. ნიკოლოზის სახელობის ნაეკლესიარი

6. წმ. ილია მართლის სახელობის ეკლესია

7. ივერიის ღვთისმშობლის სახელობის ეკლესია

8. წმ. ნიკოლოზის სახელობის ეკლესია

9. წმ. ნიკოლოზის სახელობის ეკლესია

10. ანდრია პირველწოდებულის სახელობის ეკლესია

11. სტაროვერების (ძველმოწამეები) მარიამ ღვთისმშობლის საბურველის სახელობის ეკლესია

12. კუნძულის უბნის ნაეკლესიარი

13. ფოთის ციხე

14. ზღვისპირას და ფოთის შემოგარენში მდებარე ციხეები და ეკლესიები წერილობითი წყაროების მიხედვით

15. დიხა გუძუბას მსგავსი ციხე-სიმაგრე მდ. ცივთან.

16. რიონსკაიას ციხე-სიმაგრე და ძველი ტაძარი

17. ციხე რიონის შესართავთან ფოთში

Summary

დავით ჭითანავა

ეკლესიები და თავდაცვითი ნაგებობები სამეგრელოში (უძველესი დროიდან დღემდე), თბ., 2010, გვ. .....

მონოგრაფიაში წარმოდგენილია დღევანდელი სამეგრელოს ტერიტორიაზე შემორჩენილი, თუ სხვადასხვა ეპოქის ისტორიული ქარტეხილებისგან განადგურებული ეკლესიების და თავდაცვითი ნაგებობების მიმოხილვა უძველესი დროიდან დღემდე. ნაშრომში წარმოდგენილი თითოეული ისტორიული ძეგლი შესწავლილია წერილობითი წყაროების, საარქივო მასალების, სამეცნიერო ლიტერატურაში არსებული მონაცემების და ავტორის მიერ ადგილზე მოპოვებული მასალის საფუძველზე. თითოეული ძეგლი ავტორის მიერ ფიქსირებულია ფოტო და ვიდეო ფირზე. შესწავლილია საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ უძველეს საეპისკოპოსოთა (ცაიშის, ჭყონდიდი-მარტვილის, ხობის და წალენჯიხის) ისტორია და ეპისკოპოსთა ქრონოლოგიური რიგი.

ნაშრომი განკუთვნილია როგორც ისტორიკოსების, ისე მკითხველთა ფართო წრისათვის.

აღნიშნული პროექტი განხორციელდა საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური ხელშეწყობით (ახალგაზრდა მეცნიერთა სამეცნიერო გრანტი Ш / ღ Ш08/1 - №305). წინამდებარე პუბლიკაციაში გამოთქმული ახალი მოსაზრებები ეკუთვნის ავტორის და შესაძლოა

არ ასახავდეს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ინტერესებს.

David Chitanava

Churches and safety buildings in Samegrelo (From ancient time till now), Tbilisi, 2010, p. .....

The review of churches and safety buildings destroyed at different times because of historical storms or survived on the modern territory of Samegrelo since the ancient time till now is presented in monograph.

Each historical monument presented in the work are studied on the basis of written sources, archives materials, data of scientific literature and the materials gained by the author in site. Each monument is took on photo and shot on videotape by the author. The history (Tsaishi, Chkondidi-Martvili, Khobi, Tsalenjikha) of the oldest episcopacy existed on Georgian territory and chronologic row of bishops are studied.

The work is designed for historians as well as for wide society of readers.

The mentioned project was implemented by financial support of Georgian National Scientific Fund (scientific grant of young sciences GNSF/PRES08/1 - №305). The new arguments stated in the presented publication belong to the author and may not express the interests of National Scientific Fund.

რედაქტორი: ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,

პროფესორი თამაზ ბერაძე

რეცენზენტები: ისტორიის დოქტორი ხათუნა იოსელიანი

ისტორიის დოქტორი ბეჟან ხორავა

Edited by: Doctor of historical science, professor Tamaz Beradze

Reviewers: Doctor of history Khatuna Ioseliani

Doctor of history Bejan Khorava

© დ. ჭითანავა

შესავალი

წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს პირველ ცდას მთლიანობაში წარმოგვედგინა დღევანდელი სამეგრელოს ტერიტორიაზე (მდ. ცხენისწყლიდან მდ. ენგურამდე რაიონები – ზუგდიდის, ხობის, წალენჯიხის, მარტვილის, სენაკის, აბაშის, ჩხოროწყუს და ქ. ფოთი) შემორჩენილი თუ ისტორიული ქარტეხილებისგან სხვადასხვა დროს განადგურებული ეკლესიები და თავდაცვითი ნაგებობების მიმოხილვა უძველესი დროიდან დღემდე.

სამეგრელო ჯერ კოლხური ცივილიზაციის, ხოლო შემდგომ ერთიანი ქართული სახელმწიფოს ფარგლებში მრავალსაუკუნოვან ისტორიულ წარსულს ინახავს და გამომდინარე აქედან ძალზედ მდიდარია ისტორიული ძეგლებით, როგორც ეკლესიებით, ისე თავდაცვითი ნაგებობებით. უძველეს დროს, ანუ კოლხური კულტურის არსებობის მთელს მანძილზე აქ გამორჩეული და თავისებური თავდაცვის სისტემა არსებობდა, რომელიც აბსოლიტურად შესაბამისობაში იყო, როგორც სამეგრელოს, ისე მთლიანად კოლხეთის დაბლობის გეოგრაფიულ გარემოსთან; მხედველობაში გვაქვს ხელოვნური „დიხა-გუძუბების“ მოწყობის ფაქტი შუა ჭაობში და მდინარეთა სანაპიროებზე; ადრეფეოდალურ ეპოქაში ეს სისტემა უკვე მოშლის ტენდენციისკენ წავიდა, თუმცა არა თუ შესუსტდა, არამედ ახალი ფორმა მიიღო, ისეთი, როგორიც ეს განსხვავებულ პოლიტიკურ ვითარებას შეესაბამებოდა და ერთ-ერთი უძლიერესი თავდაცვის ხაზი შეიქმნა, რაც ეგრისის სამეფოს დროინდელ მატერიალური კულტურის დღესაც შემორჩენილ ძეგლებშიც ჩანს. ქვეყნის დამცავ ზღუდეთა მშენებლობა შემდგომ პერიოდშიც გრძელდებოდა და მთელი ფეოდალიზმის მანძილზე როგორც ერთიანი ქართული სახელმწიფოს სამსახურში, ისე ვიწროდ სამეგრელოს ანუ ოდიშის სამთავროს უსაფრთხოებას იცავდა.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გარემოება სამეგრელოს ისტორიული წარსულისა, გახლავთ ის, რომ სწორედ პირველი ქრისტიანული კერები ამ კუთხეში ჩნდება რასაც შემდგომ დიდი სამონასტრო ცენტრების – სამიტროპოლიტოს და საქართველოს მასშტაბით ერთ-ერთი უძველესი საეპისკოპოსოს გაჩენა მოჰყვა. ყოველივე ამან განსაზღვრა ის, რომ ამ კუთხეში (და საერთოდ ეგრისში) უკვე ადრექრისტიანული დროიდან უამრავი ეკლესია-მონასტერი იგება, ბოლო დრომდე კი შემორჩენილია ისეთი სიწმინდეები, რომლის თავისთან ყოფნას უამრავი ქრისტიანი ერი ინატრებდა.

წინამდებარე ნაშრომში თითოეული ისტორიული ძეგლი (რომელთა რაოდენობა ხუთას ერთეულამდეა) შესწავლილია წერილობითი წყაროების, საარქივო მასალების, სამეცნიერო ლიტერატურაში არსებული მონაცემებისა და ჩვენს მიერ სამეგრელოს რეგიონში ადგილზე მოპოვებული მასალების საფუძველზე. ნაშრომში თავმოყრილი ყველა ძეგლი ჩვენს მიერ ფიქსირებულია ფოტო და ვიდეოფირზე.

ნაშრომის პირველ თავში სამეცნიერო ლიტერატურაში არსებული მონაცემების საფუძველზე დახასიათებულია უძველესი კოლხური დასახლების სისტემა ე. წ. „დიხა-გუძუბების“ სახით, რომელიც საცხოვრებელთან ერთად თავდაცვით ფუნქციასაც ითავსებდა და ძვ. წ. II ათასწლეულის დასაწყისიდან, ახ. წ. აღ. III-IV საუკუნემდე იყო შენარჩუნებული.

ნაშრომის მეორე თავში წარმოდგენილია საარქივო და სტატისტიკური აღწერილობის მასალები, XIX ს-ის 30-იანი წლებიდან 70-იან წლებამდე, სამეგრელოში არსებულ ეკლესიებზე და სამღვდელოებაზე.

ნაშრომის მესამე თავში ბერძნულ-რომაული და ბიზანტიური თუ სხვა წყაროების, და ასევე სამეცნიერო ლიტერატურაში არსებული მონაცემების საფუძველზე განხილულია ძველი კოლხეთის ქალაქები (აია-კჳტია, ეგროსის ქალაქი ეგრისი და სხვა.); ასევე ეგრისის სამეფოს დროინდელი ქალაქების და ციხე-სიმაგრეების (მოხირისი, ონოგურისი და სხვ.) ლოკალიზაციასთან დაკავშირებული პრობლემები.

ნაშრომის დანარჩენი შვიდი თავი დაყოფილია დღევანდელი სამეგრელოს თითოეული რაიონების (ზუგდიდის, მარტვილის, ხობის, წალენჯიხის, სენაკის, აბაშის, ჩხოროწყუს და ქ. ფოთი) და მათში შემავალი სოფლების მიხედვით; თითოეული ძეგლი დახასიათებულია, როგორც ჩვენს მიერ ადგილზე მოპოვებული მასალების, ისე წერილობით წყაროებსა და სამეცნიერო ლიტერატურაში არსებული მონაცემების საფუძველზე. თითოეული ისტორიული ძეგლთა განხილვისას სქოლიოში სრულად არის მოყვანილი მასზე არსებული ჩვენთვის დღესდღეობით ცნობილი თითქმის ყველა წერილობითი წყარო, რამაც შესაძლოა გადატვირთა კიდეც ნაშრომი, თუმცა ჩვენს უმთავრეს მიზანს ამჯერად წარმოადგენდა ის, რომ მეტ-ნაკლებად ერთ მთლიანობაში წარმოგვეჩინა ამ კუთხეში ფიქსირებულ ისტორიულ ძეგლებზე არსებული საინტერესო დოკუმენტური მასალა. უფრო ვრცლად არის ყურადღება გამახვილებული სამეგრელოს ტერიტორიაზე არსებულ ძველ საეპისკოპოსო ცენტრებზე (ცაიშის, ჭყონდიდ-მარტვილის, ხობის და წალენჯიხის), სადაც წარმოდგენილია ტაძრის ისტორია, ეპისკოპოსთა ქრონოლოგიური რიგი და საეპისკოპოსოთა საზღვრები.

ჩვენს მიერ ადგილზე მოპოვებული მასალის საფუძველზე, დადგენილ იქნა თითქმის ყველა იმ ისტორიული ძეგლების მდებარეობა და სახელწოდება, ასევე იქ მომსახურე ბოლო მღვდელთმსახურთა ვინაობა, რომლებიც ბოლშევიკურმა რეჟიმმა მოსვლის დღიდანვე შეიწირა, განსაკუთრებით 1924 წელს.

საკითხთან მიმართებაში ასევე საყურადღებოა იყო XIX საუკუნის ქართულ პერიოდულ პრესაში თავმოყრილი მასალა, რომელთა უმრავლესობა თითქმის მთლიანადაა ციტირებული. მასში ჩვენ მნიშვნელოვან ცნობებს ვპოულობთ ამა თუ იმ ტაძრის თუ ციხე-სიმაგრის მდგომარეობაზე, ეკლესიის სახელწოდებაზე, იქ მოღვაწე მღვდელთმსახურებზე, იმ პერიოდში მიმდინარე აღდგენით სამუშაოებზე, ახალი ეკლესიების მშენებლობაზე, სამრევლო სკოლებზე და სხვა.

სამეგრელოს საეპისკოპოსო ტაძრების და ცალკეული ეკლესია-მონასტრების შესწავლის კუთხით, ფასდაუდებელია ექვთ. თაყაიშვილის ღვაწლი; ის მნიშვნელოვანია როგორც საეპისკოპოსოთა ისტორიის კვლევის, ეპისკოპოსთა ქრონოლოგიური რიგის დადგენის, ასევე ამ ტაძრებში დაცული სიძველეების შესწავლის მხრივ.

ჩვენთვის განსახილველ საკითხთან მიმართებაში საყურადღებო მასალებია თავმოყრილი როგორც ბერძნულ-რომაულ, ისე ბიზანტიურ, ევროპულ, ქართულ, თურქულ, რუსულ და სხვა წერილობით წყაროებში, ხოლო სამეგრელოს და საერთოდ ქართული საეკლესიო საბუთების, სიგელ– გუჯრების თუ სხვა სიძველეების შესწავლის

საკითხში უდიდესი ღვაწლი მიუძღვით, ს. კაკაბაძეს, თ. ჟორდანიას, ი. დოლიძეს, ნ. კონდაკოვს, დ. ფურცელაძეს, ა. ცაგარელს, დ. ბაქრაძეს, ა. ხახანაშვილს.

საკვლევ პრობლემასთან მიმართებაში მნიშვნელოვანი საკითხები და ცალკეული ისტორიული ძეგლები განხილულია გ. ჩიტაიას[1], ა. სიჭინავას, დეკანოზ კონსტანტინე კაჭარავას[2], პ. ზაქარაიას, ს. ყაუხჩიშვილის, თ. ბერაძის, ს. მაკალათიას, შ. მესხიას, რ. მეტრეველს, ვ. სილოგავას, ა. ურუშაძის, პ. ინგოროყვას, ვ. გოილაძის, მთავარეპისკოპოს ანანია ჯაფარიძის, პ. გაბისონიას, გ. კალანდიას[2], ბ. კუდავას, თ. ჯოჯუას ნაშრომებში.

სამეგრელოს ისტორიულ ძეგლთა დაცვის მხრივ დღევანდელი ვითარება ძალზედ სავალალოა. ის ძეგლები, რომლებიც საბჭოთა რეჟიმს შეეწირა სულ მცირე ნაწილია აღდგენილი, მათ შორის უძველესი ქრისტიანული ძეგლები დანგრევის პირასაა მისული; ადგილობრივი მოსახლეობა თავისი ძალებით მათ აღდგენას (პირველ რიგში გადახურვასაც კი) ვერ ახერხებს, ხოლო ზოგიერთი ძირძველი ისტორიული ძეგლის ირგვლივ მოსახლეობა დაცლილია. ზოგიერთ ძეგლს კი ჩემი აზრით, ადგილობრივი მოსახლეობა ვერც აღადგენს და არც არის მიზანშეწონილი, რადგან მათი აღდგენა ხდება უსისტემოდ, ყოველგვარი არქიტექტურული ნორმების დაცვის გარეშე, რაც მას ადრინდელ იერსახეს სრულიად უკარგავს, ამის მაგალითები კი დღესაც ბევრია.

ნაშრომებზე მუშაობის დროს პირველ რიგში დიდ მადლობას მოვახსენებთ საქართველოს ძეგლთა დაცვის დეპანტამენტის თანამშრომლებს, რომელთაც მოგვაწოდეს სამეგრელოს ეკლესიებისა და თავდაცვით ნაგებობებზე მათ არქივში დაცულ ძეგლთა არქიტექტურული აღწერილობები.

ნაშრომზე მუშაობის დროს გაწეული დახმარებისთვის დიდ მადლობას მოვახსენებთ მარიამ ბუტიკაშვილს, ბადრი ხურცილავას, ლეილა ხურციას, პაპუნა გაბისონიას, გ. ჩიტაიას.

ასევე სამეგრელოს რეგიონში ჩვენი მოგზაურობის დროს ამა თუ იმ ძეგლის აღნუსხვის მიზნით თანამგზავრობის გაწევისთვის დიდ მადლობას მოვახსენებთ: კობა შეროზიას, გიორგი სოსელიას, კობა ხასაიას, გურამ ბერიშვილს, ქეთევან ქორთუას, ვანო ხურცილავას, გიორგი ასათიანს, სერიოჟა ჯამბურიას, ვიტალი ადამიას.

---

[1] გ. ჩიტაიას მიმოხილული აქვს მთლიანად ხობის რაიონის და ქ. ფოთის ისტორიული ძეგლები. იხ. გ. ჩიტაია, ფოთისა და ხობის ეპარქია, ისტორიული ძეგლები, თბ., 2007; მისივე, ფოთს ღვთისმშობელი იცავს, ისტორიული ძეგლები, თბ., 2007; გ. ჩიტაია, ა. ჩიჭინავა, ხობის მონასტერი, თბ., 2000.

[2] ავტორს მიმოხილული აქვს საუჯუნის წმ. გიორგის ეკლესიის ისტორია და მის ოლქში შემავალი სოფლების ეკლესიები. იხ. დეკანოზი კონსტანტირე კაჭარავა, სუჯუნის წმ. გიორგის ეკლესიის ისტორია, თბ., 2009.

[2] გ. კალანდიას შესწავლილი აქვს დღევანდელი სამეგრელოს ტერიტორიაზე მდებარე ორი საეპისკოპოსო – ხობი და ცაიში. იხ. გ. კალანდია, ოდიშის საეპისკოპოსოები, თბ., 2004.

თავი I

ძველი კოლხური თავდაცვითი სისტემის სოციალურ-ტოპოგრაფიული ინტერპრეტაციისათვის

წინამდებარე თავში ჩვენ შევეცდებით მოკლედ წარმოვაჩინოთ ძველი კოლხეთის (ძვ. წ. III–II ათასწლეულიდან ახ. წ. III-IV საუკუნემდე) დასახლების და თავდაცვის სისტემის თავისებურებები, რომლებიც როგორც ახალი მასალების გამოვლენას, ისე უფრო ფართო მეცნიერულ კვლევას მოითხოვს.

1. დასახლების ტოპოგრაფია

ცნობილია, რომ კოლხეთის დაბლობის რელიეფი ძველად დაჭაობებული იყო (ნაწილობრივ ეხლაც ასეა) და მისი ზედაპირი ამა თუ იმ ეპოქაში განსაკუთრებულ ცვლილებებს განიცდიდა. ასეთ პირობებში თავისებური ფორმის დასახლების სისტემის შექმნა იყო საჭირო და ეს მოახერხეს კიდეც იქ მცხოვრებმა ადამიანებმა უდიდესი შრომის შედეგად; იმდროინდელი დასახლების სისტემა სრულიად განსხვავდებოდა არა მარტო დღეს ამ რეგიონში არსებული დასახლებისაგან, რომელიც გაშლილ-გაფანტული ფორმით და კარ-მიდამოს სისტემით არის წარმოდგენილი, არამედ მსგავსი რამ დღესდღეობით ჩვენს ხელთ არსებული მასალების საფუძველზე მსოფლიოს არც ერთი ხალხისათვის არ არის დამახასიათებელი და ის შეიძლება საკუთრივ კოლხურად ჩაითვალოს. ეს გახლავთ ე. წ. ხელოვნური „დიხა-გუძუბების“ შუა ჭაობში მოწყობა, რომელიც უდიდესი ადამიანური შრომის მობილიზაციას მოითხოვდა და შეუძლებელია შეექმნა განვითარების დაბალ საფეხურზე მყოფ საზოგადოებას.

გეოგრაფიულად, სამეგრელოს ვაკეს უჭირავს სივრცე სამეგრელოს მაღალმთიან ნაწილსა და კოლხეთის დაბლობს შორის. დასავლეთიდან იგი გრძელდება მდ. ენგურის აუზში და უკავშირდება აფხაზეთის ბორცვიან მხარეს, ხოლო აღმოსავლეთის მიმართულებით ვრცელდება მდ. ცხენისწყლის აუზისკენ. სამეგრელოს ვაკე ხასიათდება გორაკ-ბორცვიანი რელიეფით, სადაც მდინარეული ხეობების გაყოლებით მდებარე დაბლობში მორიგეობენ, ხეობათა შორის მდებარე გასწვრივ წყალგამყოფებთან, რომელთა შედარებითი სიმაღლე 70-100 მ-ს არ აღემატება. ვაკეს სამხრეთიდან ეკვრის ურთა-ეკი მთების ზოლი, რომელიც წარმოადგენს საზღვარს სამეგრელოს ვაკესა და კოლხეთის დაბლობს შორის. ურთა-ეკის მთები მათ ჩრდილოეთით მდებარე ვაკეს აღემატებიან თავისი სიმაღლით. სამეგრელოს ვაკე წარმოადგენს ბოცვიანი, ტალღობრივი რელიეფის მქონე სივრცეს, რომელიც ოდნავადაა დახრილი; დასავლეთისა და სამხრეთი მიმართულებით, მას სამ მხარეზე ჩრდილოეთიდან, სამხრეთიდან და აღმოსავლეთიდან აკრავს უფრო მაღალი რელიეფის მქონე ზონები, ხოლო დასავლეთიდან კი გაშლილია და დაბალია, ამიტომ საერთო გეოგრაფიული მდებარეობით ერთი შეხედვით სტოვებს შთაბეჭდილებას, თითქოს აქ ოდესღაც ყოფილა უბე[1]. კოლხეთის დაბლობის ცენტრალური ნაწილი მეოთხეულში იფარებოდა თუ არა ზღვით, ამ დარგის სპეციალისტებს ამაზე პასუხი არა აქვთ, მაგრამ სამეგრელოს ზოლოვანი რაიონის რელიეფის განვითარება დაწყებულა მეოთხეულის დასასრულს[2]. კოლხეთის დაბლობის წარმოშობას გეოლოგები უკავშირებენ ტექტონიკურ პროცესებს, რამაც მესამეულის დასასრულში და მეოთხეულის დასაწყისში გამოიწვია ამ ტერიტორიის ძალზედ დაწევა და მასზე ზღვის უზის გაჩენა; მეოთხე გამყინვარების შემდეგ, როდესაც შავი ზღვის დონე დიდ მერყეობას არ განიცდიდა, „კოლხეთის“ უბეში თავი მოიყარა ამავე უბეში შემავალი მთის მდინარეების მიერ მოტანილმა დიდძალმა მასალამ. ამავე დროს ზღვის კონტინენტურმა ტერასამაც იწყო გაკეთება და მოსწყვიტა

---

[1] გრ. დევდარიანი, სამეგრელოს ვაკის მდინარეული ტერასების დათარიღებისათვის, ქუთაისის ა. წულუკიძის სახელობის სახელმწიფრო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, ქუთ. 1941, ტ. III, გვ. 117.

[2] გრ. დევდარიანი, მასალები სამეგრელოს ბორცვიანი ზოლის გეომორფოლოგიისათვის, ალ. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, ქუთ., 1950-1951, ტ. X, გვ. 133, 136.

„კოლხიდის“ უბე ზღვას. მოხდა დაჭაობება, ცალკეული გუბე-ტბების გაჩენა, წარმოიქმნა მცენარეულობა გარკვეული ეკოლოგიური თავისებურებებით და მოხდა მთელი რიგი ფიზიკურ-გეოგრაფიული ცვლილება, რაც დიდ გავლენას ახდენს კოლხეთის დაბლობის რელიეფზე. ყოფილა დრო როდესაც კოლხეთის დაბლობის ზედაპირი იმდენად გამშრალა და გამაგრებულა, რომ შესაძლო გამხდარა იქ ადამიანი დასახლებულიყო, რაზეც მოგვითხრობს ძველი დროის ნამოსახლარი ადგილები ხელოვნურად წარმოშობილი ბორცვების სახით.[1]

თ. მიქელაძის აღნიშვნით, ფანაგორიულ რეგრესიას, წინ უსწრებდა ე. წ. შავიზღვისპირული ტრანსგრესია, როცა შავი ზღვის დონე თანამედროვესთან შედარებით 1,5-2 მ. მაღალი იყო. ახალშავზღვური ტრანსგრესიის დროს (ძვ. წ. II ათასწლეულის I ნახევარი) ზღვით დაფარული შეიძლება ყოფილიყო რიონის დაბლობი დაახლოებით 7 კმ-ის მანძილზე ჩრდილოეთიდან სამხრეთით ნაბადსა და პალიასტომს შორის; ახალშავიზღვური ტრანსგრესიის დროს ძვ. წ. II ათასწლეულის პირველ ნახევარში სოფ. ქვემო ჭალადიდის მიდამოებში არ უნდა არსებულიყო დასახლების პირობები. ამ 3500 წლის წინ კი როდესაც იწყება ფანაგორული რეგრესია და ზღვა უკან იხევს, იწყება აგრეთვე ქვემო ჭალადიდის მიდამოების ათვისებაც. ჩნდება პირველი დასახლებანი – ზურგა და ჭალადიდის I ათასწლეულის სამოსახლოები და საფუძველი ეყრება მომავალი ქ. ფაზისის სასოფლო-სამეურნეო ქვეყანას, რომელიც ძვ. წ. VI საუკუნიდან ფაზის-რიონის მარცხენა სანაპიროზეც განივრცობა (სიმაგრის და რიონის მარცხენა ტერასის ძვ. წ. VI-V სს. და ელინისტური ხანის სამოსახლოები); ფანაგორიული რეგრესიის განვითარებასთან ერთად რიონის შესართავთან, როგორც ჩანს იწყება ფაზის-რიონის ვაკის თანდათანობითი ათვისება დასავლეთის მიმართულებით [2] .თუმცა ავტორის ზემოთ წარმოდგენილი მოსაზრების გაზიარება არ იქნებოდა სწორი, რადგან ჩვენ უკვე გვაქვს ძვ. წ. აღ. III-II ათასწლეულების მიჯნის ძეგლები კოლხეთში (ანაკლია, ურეკი) და როგორც ნ. ხოშტარია აღნიშნავს, მოსახლეობა აქ უფრო ადრე უნდა ყოფილიყო, რადგან იქ გვხვდება ნეოლითური ხანის დასახლებათა ნაშთები, რომელიც ვრცელდება ზღვისპირეთის გაყოლებაზე ჩრდილოეთით მდ. ხობის მიდამოებში და მის შესართავზე მდ. ცივთან, ასევე აფხაზეთში[3].

როგორც ცნობილია, ადამიანი წარმოიშვა მეოთხეულ პერიოდში და მასზე მოდის მთელი ქვის ხანა ანუ პალეოლითი [4] .ზღვისპირა აშელური სადგომებიდან უნდა აღინიშნოს ნაბინარები სოფ. კოლხიდაში, გუდაუთაში, სოხუმში, იაშთხვაზე, ბირცხში, გალში, ჭუბურხინჯში, ლესელიძეში, ხეივანსა და სხვ. ამ პერიოდის სამოსახლოები, არის ტერასებზე ღია სადგომების სახით [5]. მუსტიეში უკვე კარგად ჩანს ათვისებული ცენტრალური კოლხეთის მთისწინა ზოლი, ამ პერიოდის ღია სადგომები დამოწმებულია მდ. აბაშასა და ენგურს შორის – ურთაში, მენჯში, სენაკში, ძველ სენაკსა და სხვ.[6]. როგორც აღნიშნულია, ამ პერიოდში დაბლობი არის დაუსახლებელი და ძირითადად

---

[1] გ. ნიორაძე, არქეოლოგიური გათხრები კოლხიდაში, ენიმკის მოამბე, თბ., 1941, ტ. X, გვ. 324-326.
[2] თ. მიქელაძე, არქეოლოგიური კვლევა-ძიება რიონის ქვემო წელზე, თბ., 1978, გვ. 90-92.
[3] Н. В. Хоштария, Археологическое исследование Уреки, მასალები საქართველოს და კავკასიის არქეოლოგიისათვის, თბ., 1955, ტ. I, გვ. 29.
[4] ალ. კალანდაძე, ქვის ხანა საქართველოში, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, თბ., 1970, ტ. I, გვ. 78-79.
[5] ალ. კალანდაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 88.
[6] ოთ. ჯაფარიძე, საქართველოს არქეოლოგია, თბ., 1991, გვ. 21

მოსახლეობა ჯერ კიდევ ცხოვრობს ბორცვ-გორაკებზე და მთის წინა ზოლში. გვიანპალეოლითურ ეპოქაში კი ადამიანის მიერ ფართოდაა ათვისებული დასავლეთ საქართველო, მაგრამ უპირატესად რიონ-ყვირილის აუზები და მდვიმეები, რაც აციებას უნდა გამოეწვია [1]. გვიანპალეოლითში კოლხეთის დაბლობი და შავიზღვიპირეთის სამხრეთ-დასავლეთი ოლქები ჯერ კიდევ დაუსახლებელი რჩება.[2] ნეოლითის პერიოდში, რომელიც ძვ. წ. VIII-V ათასწლეულებში ექცევა [3], მოსახლეობა ბორცვ-გორაკებზეა დასახლებული ღია სადგომებში (ადრენეოლითში), სადაც საცხოვრებელ ნაგებობათა მშენებლობის პირველი მინიშნებაც გვაქვს. ამ დროის ძეგლებიდან სამეგრელოში აღსანიშნავია ოდიში[4], პალური[5], ურთა და სხვა[6], რომლებიც ბუნებრივ ბორცვებზე იყო იყო განლაგებული. გ. გრიგოლიას თქმით, როგორც უტყუარი ფაქტიური მონაცემებით დასტურდება, ჩანს, რომ ძველი ქვის ხანის ადამიანს, სამოსახლოების შერჩევისას, უპირატესობა მიუცია საშუალო სიმაღლის მთიანი ზოლის მდინარეთა ხეობებისთვის; არსებული მაღალი სიმაღლის მთიანი ზოლის მდინარეთა ხეობებში არსებული მაღალი ტერასებისა და მდვიმე-ფარდულებისათვის. მომდევნო ხანაში კი ფართოდ აუთვისებიათ გორაკ-ბორცვიანი ზოლი და ჰიფსომეტრიულად ყველაზე დაბალი დონის აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის დავაკება, რომელიც კოლხეთის დაბლობის სახელით არის ცნობილი[7]. ავტორისავე აღნიშვნით, დასახლება აქ ყველგან წარმოდგენილია ბუნებრივი თუ ხელოვნური ბორცვების სახით იმ განსხვავებით, რომ ბუნებრივ ბორცვებზე წარმოდგენილი შედარებით ადრეული ასაკის გორასამოსახლოები უპირატესად ქვეყნის შიდა რაიონებში გვხვდება; კოლხეთის დაბლობზე კი მხოლოდ და მხოლოდ ხელოვნურად შექმნილი გორაკ-ბორცვებზე წარმოქმნილი ნამოსახლარებია მოჭარბებული[8].

„დიხა-გუძება“ წარმოადგენდა ხელოვნურად მოზვინულ ბორცვს, რომელიც პირველად ვრცლად ნ. ხოშტარიას და გ. ნიორაძის მიერ იქნა არქეოლოგიურად შესწავლილი. „დიხა-გუძუბა,“ ამ ხელოვნური გორა-სამარხების ადგილობრივი ყველაზე გავრცელებული მეგრული სახელწოდებაა, თუმცა მსგავსი სამოსახლოების აღმნიშვნელად სხვა სიტყვებიც გვხვდება – დიხაზურგა, ნაოხვამუ, დიხა, ნადიხუ, ნამდევუ, ნასაყდრევი, ნასაჯვარევი, ზურგანი, დიდი დიხა, გამოსგვენჯილი, კურკუცია, გორსიოლაფირი; დიხა-გუძუბა,[9] ანუ ამობურცული მიწა მათი ზოგადი სახელწოდებაა და ყველგან სადაც კი მსგავსი ტოპონიმია ფიქსირებული გვაქვს ძველი მოსახლეობის ნაშთები[10]. ნ. ხოშტარიას აღნიშვნით, დიხა-გუძუბა წარმოადგენს ხელოვნურად აგებულ

---

[1] ოთ. ჯაფარიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 33.
[2] ოთ. ჯაფარიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 37-38.
[3] ალ. კალანდაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 118.
[4] ალ. კალანდაძე, მეზოლითურ და ნეოლითურ კულტურათა ნაშთები საქართველოში, ენიმკის მოამბე, ტ. IV; თბ., 1939, გვ. 363-371.
[5] გ. გრიგოლია, ცენტრალური კოლხეთის ნეოლითი, პალური, თბ., 1977.
[6] ალ. კალანდაძე, ქვის ხანა საქართველოში, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, 1970, ტ. I, გვ. 123.
[7] გ. გრიგოლია, ეგრის-ლაზიკის სამეფოს ისტორიიული გეოგრაფიის პრობლემები, თბ., 1994, გვ. 4.
[8] გ. გრიგოლია, დასახ. ნაშრომი, გვ. 4.
[9] ზოგიერთი ავტორის აზრით, გუძუბა (გუძუბი) უკავშირდება სიტყვას „კუწუბი“ და დიხა-გუძუბა ნიშნავს არა ნაყარ გორას, ამობურცულ მიწას ან კიდევ მიწა-ძუძუს, არამედ იგი არის მიწა კუწუბი (ამოწეული, წვერი) იხ. ბ. კილინავა, „დიხა-გუძუბას“ გაგებისათვის, ტოპონიმიკა, თბ., ტ. I, 1976, გვ. 403-405.
[10] ნ. ხოშტარია, დიხა-გუძუბა, კოლხეთის დაბლობის ძველი მოსახლეობა, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, თბ., 1944, ტ. V, №2, გვ. 207-208.

ბორცვს, რომლის სიმაღლე ხშირად რამდენიმე მეტრამდე, ხოლო დიამეტრი კი ას მეტრამდე აღწევს; დიხა-გუძუბები ჩვეულებრივ ჯგუფებად არიან განლაგებულნი. ამას გარდა ცენტრალური, უფრო მაღალი დიხა-გუძუბის ირგვლივ არის რამდენიმე ამაღლებული მოედანი (ეგიძელი); ყოველი მათგანი გარშემორტყმულია არხით ან არხებით (და ჯებირებითაც); ყველა ეს არხი შეერთებულია მდინარეებთან და წარმოადგენს ერთ სისტემას[1]. ავტორისავე აღნიშვნით, აქ ასეთი გორაკები (ხელოვნური თუ ბუნებრივი) ასობით არის და ზოგიერთ ასეთ ბუნებრივ და ხელოვნურ ბორცვებზე (სოფ. ჭოგნარი, სოფ. პატარა ეწერი, ნაოხვამუ, ნაჯიხურუ, მდ. ცივზე, საღორია, დაბლაგომი) დაახლოებით ერთი და იმავე პერიოდის კულტურული ნაშთებია, დაწყებული ძვ. წ. IV-III ათასწლეულიდან და გათავებული ახ. წ. პირველ საუკუნეებით. ავტორს მიაჩნია, რომ ამ პერიოდის განმავლობაში მოსახლეობა არსებობდა თითქმის უწყვეტად [2]. ასევე, გ. გობეჯიშვილის დაკვირვებით, სამოსახლოს აღნიშნული ტიპი (დიხა-გუძუბები) წარმოქმნილია არაუგვიანეს ძვ. წ. III ათასწლეულისა და როგორც ჩანს არსებობდა მთელი ანტიკური პერიოდის გასულამდე [3]. ო. ჯაფარიძის თქმით კი, შუაბრინჯაოს ხანაში ინტენსიურადაა დასახლებული კოლხეთის დაბლობის რიონ-ენგურის ორმდინარეთი, მისივე დაკვირვებით, მისი ათვისება ჩანს საკმაოდ ხანგრძლივი პროცესი იყო, რომელიც ჯერ კიდევ III ათასწლეულის ბოლოდან იწყება და თითქმის მთელი II ათასწლეულის მანძილზე გრძელდება [4], აქვე აღნიშნულია ისიც, რომ უძველესი ისტორიის არც ერთ ეპოქაში არ ჩანს ისეთი შესუსტებული ურთიერთობა საქართველოს დასავლეთის და აღმოსავლეთ მხარეებს შორის, როგორც შუაბრინჯაოს ხანაში. მისივე აზრით, შესაძლოა ამის მიზეზი ისიც ყოფილიყო, რომ ამ დროს კოლხეთის ბარის ნაწილის უფრო ინტენსიური დასახლება მიმდინარეობს. ცხოვრების ახალმა თავისებურმა პირობებმა ეგებ ერთგვარად შეანელა ურთიერთობა გარე სამყაროსთან. კოლხეთის დაბლობის ფართო ათვისება, მისი მდიდარი ბუნებრივი შესაძლებლობის შედეგი იყო, რამაც მნიშვნელოვნად გაზარდა ცხოვრების საერთო დონე და ერთგვარად შეანელა ურთიერთობა გარე სამყაროსთან[5]. ვფიქრობთ, ავტორის მიერ დასახელებული მიზეზებთან ერთად სხვა რამის გათვალისწინებაც შეიძლება. კერძოდ აქ საქმე უნდა გვქონდეს ერთი მხრივ, რა თქმა უნდა იმ მოვლენასთან, რომ კოლხური კულტურა თავისი გზით ვითარდებოდა და ამისათვის ხელი უნდა შეეწყო თავისებურ ბუნებრივ პირობებს, მაგრამ კოლხეთის ბარის ათვისების პროცესი უნდა დაეწყო მთისწინეთში მოსახლე ჩრდილოეთი ზოლიდან დაბლობისაკენ მიგრირებულ ნეოლითურ ტომებს, რომელთაც საშუალება მიეცათ ზღვის უკან დახევისა და ჭაობიანი ადგილების მეტ-ნაკლებად ამოშრობის შედეგად იქ დასახლებულიყვნენ. ამავე დროს დასახლებისათვის ჭაობზე უფრო ხელსაყრელი რა თქმა უნდა სამეგრელოს პლატო უნდა ყოფილიყო, სავარაუდოდ ისიც საკმაოდ მჭიდროდ იქნებოდა დასახლებული, რასაც იქ მდებარე ბუნებრივი თუ ხელოვნური ბორცვ-გორაკებიც ადასტურებენ, მაგრამ სწორედ ამ ეპოქაში უნდა დაწყებულიყო ტომობრივი „თვითგამორკვევის“ პროცესი, რასაც მოსდევს ურთიერთდაპირისპირებები და ომები ტერიტორიების დასაუფლებლად; ამავე დროს უკვე ძვ. წ. V-III ათასწლეულის მიჯნაზე სამეგრელოს პლატოზე და

---

[1] ნ. ხოშტარია, დასახ. ნაშრომი, გვ. 209.

[2] ნ. ხოშტარია, კოლხეთის დაბლობის ძველი მოსახლეობანი და მათი შესწავლის პრობლემა, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. VI, №6, თბ., 1945, გვ. 466-468.

[3] გ. გობეჯიშვილი, გვიანი ბრინჯაოსა და ადრეული რკინის ხანა საქართველოში, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. I, თბ., 1970, გვ. 264.

[4] ო. ჯაფარიძე, საქართველოს არქეოლოგია, თბ., 1991, გვ. 197.

[5] ო. ჯაფარიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 197.

მთისწინა ზოლში ჭარბი მოსახლეობა უნდა ყოფილიყო და ამ პერიოდში უნდა წარმოქმნილიყო თავდაცვითი ფაქტორის წინა პლანზე წამოწევის აუცილებლობა, რისი გამართვაც პლატოზე ნაკლებ შედეგს იძლეოდა, ვინაიდან იმ პერიოდში ქვის ციხე-სიმაგრეების მშენებლობა ჯერ კიდევ უცნობი იყო და ვერც დაიტევდა იმდროინდელი სისხლითნათესაურ ერთობას, ხოლო შუა ჭაობში ხელოვნურად აგებული არხებით გარშემორტყმული დიხა-გუძუბა კი ამ მხრივ უფრო საიმედო იყო.

გ. გრიგოლიას აზრით, კოლხეთის ბარის ფარგლებში ამ ტიპის სამოსახლოები (ხელოვნური დიხა-გუძუბები) პირველად ჩნდებიან ადრე და შუა ბრინჯაოს ხანაში, რაც დასტურდება ოჩამჩირის ბორცვების, ანაკლიის დიხა-გუძუბისა და ქობულეთის ისპიანის ნამოსახლართა სახით. ასევე, განაგრძობს ავტორი, ერთეულების სახით გვხვდება შუა და გვიანბრინჯაოს ხანის ფენების შემცველი გორანამოსახლარები (ანაკლიის დიხა-გუძუბა II, თეკლათის ნაოხვამუ, გალის ფიჩორის ნამოსახლარი, ჭალადიდის ზურგა, საგვიჩიოს კონძა, ნოსირის ბორცვების ჯგუფი და სხვ.); ავტორი, კოლხეთის ბარს, ყოველ შემთხვევაში გვიანბრინჯაოს ხანისათვის, ჯერ კიდევ აუთვისებლად მიიჩნევს[1]. ჩვენ უფრო მართებულად გვეჩვენება ნ. ხოშტარიას ზემოთ წარმოდგენილი მოსაზრება, რომ IV-III ათასწლეულიდან უკვე იწყება კოლხეთის ბარის ფართოდ ათვისება და რომ თვისობრივად კოლხეთის დაბლობის დასახლების ქვედა ფენების მასალა ნეოლითის დასასრული დროისა ჩანს, ხოლო ზედა ფენების გვიან ბრინჯაოს ხანის და ჩვენს ერამდე I ათასწლეულის[2].

როგორც აღნიშნულია, კოლხეთის ჭაობში აღმოჩენილი მიწის ყრილები მოწმობს იმაზე, რომ უძველეს წარსულში ეს მხარე წარმოადგენდა მშრალ ნიადაგს. შემდგომ შესაძლოა მიწის დაწევამ და ზღვის აწევამ გამოიწვია დაჭაობება და ამ რეგიონის გაჩანაგება[3]. როგორც ნ. ხოშტარია აღნიშნავს, ადვილად წარმოსადგენია თუ რა უზარმაზარი შრომა და რა ორგანიზაცია იქნებოდა საჭირო ამ დიხა-გუძუბის ამოსაყვანად და არხების მოსაწყობად; ეს განსაკუთრებით იმ დროს, როდესაც ლითონის (სპილენძის) იარაღები ჯერ კიდევ იშვიათი უნდა ყოფილიყო და მთელი ეს სამუშაოები ქვის (და ხის) იარაღებით უნდა შესრულებულიყო. ხელოვნური ბორცვების აგება საცხოვრებლად და მის ირგვლივ მდინარეთა შეერთებული არხების სისტემის მოწყობა ადამიანის უკვე დიდ გამოცდილებაზე მეტყველებს და წარმოადგენს ჭაობთან ბრძოლის საუკეთესოდ მოფიქრებულ სამეურნეო ღონიძიებას: მელიორაციის, დრენაჟის უძველეს ხერხს. უამისოდ ადამიანს არ შეეძლო კოლხეთის დაბლობში ცხოვრება“[4].

კოლხეთის დაბლობის ძველი სამოსახლოები ანუ დიხა-გუძუბები, როგორც ამას არქეოლოგიური მასალა ადასტურებს, გარკვეული წესრიგის მიხედვით უნდა ყოფილიყვნენ ერთმანეთის მიმართ განლაგულნი (ეს უფრო ადრეანტიკურ და ანტიკურ ხანაშია შესამჩნევი); მსგავსი დასახლების სისტემის შექმნა ადამიანთა დიდი ჯგუფის მობილიზაციას მოითხოვდა და კოლხეთის დაბლობის ასეთი მასიური დასახლება და

---

[1] გ. გრიგოლია, დასახ. ნაშრომი, გვ. 4.

[2] А. А. Иессен, Проблема изучения археологических паматников Колхидской низменности в целях характеристики современных (послеледниковых) геологических процессов, Бюлетен комиссии по изучению четвертичного периода, М-Л. 1940, №6-7, გვ. 108.

[3] В. М. Гоголишвили, Проблема изучения древних памятников колхидской неизменности, Бюлетен коммисий по иучению четвертичного периода, М-Л. 1940, №6-7, გვ. 109

[4] ნ. ხოშტარია, დიხა-გუძუბა, კოლხეთის დაბლობის ძველი მოსახლეობა, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. V, №2, 1944, გვ. 209.

ასეთი უზარმაზარი შრომის გამოყენება გვაფიქრებინებს გარკვეული სოციალური ერთობის ანუ ჩანასახობრივი კლასობრივი საზოგადოების ჩამოყალიბების ნიშნებს; ეს ზღვასთან ახლოს დასახლების გამართვაშიც ჩანს, რაც თავისთავად ვაჭრობის განვითარებას უწყობდა ხელს, ხოლო სავაჭრო არეალი ძვ. წ. III-II ათასწლეულის მსოფლიოში უკვე საკმაოდ ფართო იყო.

კოლხური დიხა-გუძუბის ფორმის დასახლების ერთ-ერთ ყველაზე თვალსაჩინო მაგალითს წარმოადგენენ ზუგდიდის რ-ნის ზღვისპირა, დაბალი ზონის სოფლებში აღმოჩენილი ათეულობით დიხა-გუძუბები (ანაკლია, ერგეტა, ჭითაწყარი და სხვ.); მოვიყვანთ ზოგიერთი მათგანის აღწერილობას. პირველ რიგში აღსანიშნავია ანაკლიის დიხა-გუძუბა, რომელიც ჯერ კიდევ 1935 წელს ა. ჭანტურიას თაოსნობით გაითხარა[1]. ზოგიერთი ავტორი აღნიშნავს, რომ ანაკლიის დიხა-გუძუბაში II ათასწლეულის დასაწყისიდანვე, თუ უფრო ადრე არა, ცხოვრობდა ბინადარი მოსახლეობა, რომელიც მისდევდა ინტენსიურ მიწათმოქმედებას და მესაქონლეობას[2]. ბ. კუფტინის აზრით, ანაკლიის დიხა-გუძუბას ქვედა ფენა იწყება ენეოლითის ხანით, მეორე ფენა გადადის შუაბრინჯაოს ხანაში და მთავრდება გვიან ბრინჯაოში (ძვ. წ. I ათასწლეულის დასაწყისი)[3]. ანაკლიის დიხა-გუძუბა წარმოადგენდა თხრილებითა და ძელის ზღუდით შემოღობილ „ჯარგვალი“-ს ტიპის ნამოსახლარს. მეორე გუძუბა ძვ. წ. აღ. VI-V საუკუნეებისაა, მესამე კი ელინისტური ხანის (ძვ. წ. III-II სს.) და ეს ტერიტორია ძვ. წ. II ათასწლეულიდან უწყვეტად ყოფილა დასახლებული[4].

საინტერესო აღმოჩენა იყო სენაკის რაიონში „ნაოხვამუ“-დ (სიტყვასიტყვით, „სალოცავი“ ანუ ადგილი სადაც ოდესღაც სალოცავი იყო) წოდებული ადგილზე გამოკვლეული დიხა-გუძუბა, რომლის გარშემო შემოვლებული ყოფილა წყლის დასაყენებელი ფართო თხრილი, საიდანაც ამოუღიათ მიწა და გაუმაღლებიათ როგორც თვითონ ადგილი ნაოხვამუ, აგრეთვე თხრილის გარშემო ნაპირები. თხრილის განი 20 მ. აღწევს. როგორც გ. ნიორაძე აღნიშნავს, თუ მას ჩვენ შევადარებთ ნაოხვამუს მაგვარ ადგილებს, სადაც შორეულ წარსულში ძველი კოლხები ყოფილან დასახლებული, თვალს გადავავლებთ მაგალითად „ნანდევუს“, „გორსიოლაფირს“, „სონჯას“ და ბევრ სხვა კიდევ ამგვარს, დავინახავთ, რომ ხელოვნურად ამობურცული ადგილების კედლებს, გარშემო უვლის 15-20 მეტრის სიგანის თხრილი[5]. ავტორისავე დაკვირვებით, სანამ ადამიანი კოლხეთის დაბლობში სახლდებოდა ის თვითონ იღებდა წინასწარ ზომებს, დასასახლებელ ადგილს ირჩევდა ისეთს, რომელიც ბუნებრივად მის გარშემო მდებარე ადგილებზე უფრო მაღალი იქნებოდა; მას კიდევ უფრო გაამაღლებდა მიწის დაყრით, რომ დიდი წვიმის დროს მოსულ წყალს, ასევე, წყალიდიდობის დროს მდინარეებიდან მოსულ წყალს არ შეეწუხებინა. თანაც საცხოვრებლად არჩეულ ადგილს ფათო და ღრმა თხრილს შემოავლებდა, რათა უფრო გამშრალიყო სამოსახლო ადგილი ნიადაგისა და ქვანიადაგის წყლების დაგროვებით თხრილში. თხრილი ასევე იცავდა მტაცებელი მხეცებისაგან და ჰქონდა სათევზაო დანიშნულება. სამოსახლოს გარშემო გაკეთებული არხი დაკავშირებული იყო რომელიმე მდინარის სისტემასთან, რომ

---

[1] გ. კალანდია, გაძარცული საგანძური, თბ. 2006, გვ. 151-152.

[2] Б. А. Куфтин, Материалы к археологии Колхиды, Тб., т. II, 1950, გვ. 193.

[3] თ. მიქელაძე, დ. მუსხელიშვილი, არქეოლოგიური გათხრები ანაკლიაში, გაზ. მებრძოლი (ზუგდიდი), 12 დეკემბერი, 1974.

[4] რ. ქორთუა, ინტერვიუ დავით მუსხელიშვილთან... „და ნასახლაზე ისევ სახლი დგას“, „მებრძოლი“ (ზუგდიდი), 1975, 28 აგვისტო.

[5] გ. ნიორაძე, არქეოლოგიური გათხრები კოლხიდაში, ენიმკის მოამბე, ტ. X, თბ., 1941, გვ. 324-325.

შესაძლო ყოფილიყო ნავების საშუალებით მიმოსვლა და საერთოდ ამ თხრილის სატრანსპორტოდ გამოყენება[1]. ეს ძეგლი გ. ნიორაძის მიერ ქვედა კულტურული ფენის მიხედვით, დათარიღებულია II ათასწლეულის დასაწყისით და მისივე აღნიშვნით, ეს ხალხი კარგად იცნობდა მეჯოგეობას, ასევე პრიმიტიულ მიწათმოქმედებას და იდგა ბარბაროსობის საშუალო საფეხურზე[2]. თუმცა ბ. კუფტინმა აქ გამოყო რამდენიმე ფენა და მოგვცა მისი დათარიღება – ქვემო ფენა – რკინის ხანა, ადრეული ბერძნული კოლონიზაცია, შუა ფენა – ბრინჯაოს ფენა და გვიანი ბრინჯაოს ფენა[3]. ამგვარ დათარიღებას არ იზიარებს გ. ფხაკაძე და აღნიშნავს, რომ ნაოხვამუს ქვედა ფენა და შუა ჰორიზონტი ფორმითა და ორნამენტით სრულიად ერთგაროვან კერამიკას შეიცავს და ერთსა და იმავე პერიოდს უნდა განეკუთვნებოდეს, კერძოდ გვიან ბრინჯაოს ხანას[4]. ასევე თ. მიქელაძემ, ნაოხვამუს სამივე ფენა ისტორიის ერთ პერიოდს დაუკავშირა და შუაბრინჯაოს ადრეულ საფეხურად მიიჩნია, რომელიც ავტორის სიტყვებით, ასახავს ამ ბორცვზე ცხოვრების ცალკეულ ეტაპებს[5].

ამ მიმართულებით, როგორც ზემოთ აღინიშნა, საინტერესო აღმოჩენები იყო ზუგდიდის რ-ნის სოფ. ერგეტაში. მათგან გამოირჩევა ადრინდელი, თითქმის „ნაოხვამუს“ და „ანაკლიის“ დიხა-გუძუბის თანადროული ძეგლი, რომელიც „მამულიების გუძუბას“ სახელწოდებითაა ცნობილი. ის იქ აღმოჩენილ კერამიკის მიხედვით მიეკუთვნება ძვ. წ. II ათასწლეულის მეორე ნახევარს. ბორცვის ამ ეტაპზე გათხრილ ფარფობს 750 კვ. მ. ეკავა. აქ აღმოჩენილი იყო ბათქაშით შელესილი ჯარგვალური ნაგებობები, რომლებიც, როგორც პირველ, ისე მეორე კულტურულ ფენაში ბორცვის პერიმეტრზეა განლაგებული. ადრე აქ გამოვლენილ მეორე კულტურულ ფენაში ფიქსირებული იყო მუხის ძელებისაგან შედგენილი ნაგებობის ნაშთები, რომლებიც ოთხკუთხა ფორმის მცირე სათავსოებისაგან შედგებოდა და გრძელდებოდა გაუთხრელ ფართობზე ჩრდილოეთით და სამხრეთით; ბორცვის ჩრდილოეთი და სამხრეთ-აღმოსავლეთი ფართობის გათხრის შედეგად აღმოჩნდა, რომ ორივე მხრივ ნაგებობა წრიულად გრძელდება და იქმნება ისეთი შთაბეჭდილება თითქოს, ბორცვის პერიმეტრს უნდა შემოსდევდეს სარტყელად[6].

საინტერესო ძეგლია აბედათის დიხა-გუძუბაც, რომელიც მოპოვებული მასალის თანახმად, დათარიღებულია გვიანი ბრინჯაოს ადრეული ეტაპით, დაახლოებით ძვ. წ. XV-XIV საუკუნეებით. აქ ბორცვის სიმაღლე წარმოადგენს 5მ-ს, დიამეტრი 60 მ-ს. ბორცვს შემოუყვება 7-10 მ-ის სიგანის თხრილი[7].

აბაშისა, სენაკისა და ხობის რაიონებში აღმოჩენილი ადრეანტიკური და ელინისტური ხანის დიხა-გუძუბები, როგორც წესი ერთი-მეორეს გვერდიგვერდ მდებარე

---

[1] გ. ნიორაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 326.
[2] გ. ნიორაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 335-336.
[3] Б. А. Куфтин, Материалы к археологии Колхиды, Тб, 1950, Т. II, გვ. 193.
[4] გ. ფხაკაძე, მასალები აბედათის დიხა-გუძუბიდან, მასალები საქართველოს და კავკასიის არქეოლოგიისათვის, ტ. VI, თბ., 1974, გვ. 142-143.
[5] თ. მიქელაძე, ძიებანი კოლხეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთი შავიზღვისპირეთის უძველესი მოსახლეობის ისტორიიდან, თბ., 1974, გვ. 51.
[6] თ. მიქელაძე, რ. პაპუაშვილი, ნ. ჩუბინაშვილი, ნ. პაპუაშვილი, ე. სახვაძე, კოლხეთის ექსპედიცია, საველე-არქეოლოგიური კვლევა-ძიება 1989-1992 წლებში (მოკლე ანგარიშები), თბ., 2004, გვ. 36-37.
[7] გ. ფხაკაძე, მასალები აბედათის დიხა-გუძუბიდან, მასალები საქართველოს და კავკასიის არქეოლოგიისათვის, თბ., 1974, ტ. VI, გვ. 138, 143.

ორი, სამი და მეტი ბორცვისაგან შემდგარი ჯგუფისაგან არის წარმოდგენილი და გარკვეული შუალედებით ერთი რომელიმე პატარა მდინარის გასწვრივ არიან განლაგებულნი. ამ რიგის ძეგლების ერთ-ერთ თავისებურებად მიჩნეულია ის, რომ სამოსახლო ბორცვების ჯგუფს გარს აკრავს ერთ ჰექტრამდე ფართობის მქონე ოდნავ შემაღლებული თხრილშემოვლებული სამეურნეო მოედნები, რომლებიც არხებით არიან დაკავშირებულნი სამოსახლოებთან. რაც უფრო დიდია სამოსახლო, მით უფრო ვრცელია სამეურნეო ფართობი და მით უფრო რთულია მისი საარხო სისტემა (დღვაბა, წინაგოლა, ბუდუხუ, ოტორონჯე, ო უნე, ქვემო ქვალონი, ნამარნუ, საგვიჩიო, ნანდეუ და სხვ.) ასევე აღნიშნულია, რომ ბორცვების ჯგუფიდან ერთი ბორცვი ყოველთვის გამოირჩევა სიმაღლით, მზღუდავი თხრილის მასშტაბებითა და რაოდენობით (ზოგჯერ ორი არხი ზღუდავს), მას სამოსახლოში ცენტრალური ადგილი ეკავა. გორანამოსახლართა მესამე თავისებურებაა – გარკვეული შუალედებით გავრცელება ერთი რომელიმე პატარა მდინარის ან მასთან დაკავშირებული არხების გასწვრივ. აბაშის, სენაკის და ხობის რაიონებში სამი ძირითადი სამოსახლო, მდინარეული არტერიითაა გამოვლენილი: ფიჩორი, ყორათის წყალი და მუნჩია და როგორც აღნიშნულია, ადგილობრივი მოსახლეობის მიდრეკილება შედარებით მცირე მდინარეებისაკენ უნდა აიხსნას ამ მდინარეთა ძირითადი პრაქტიკული დანიშნულებით, რომლებიც ახლობელ და შორეულ მეზობლებთან დამაკავშირებელ საგზაო საშუალებას წარმოადგენდა[1]. მაგრამ აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს პატარა მდინარეები (მუნჩია, ყორათის წყალი), მიმოსვლის სანაოსნო საშუალებასთან ერთად, უმეტესად სახმარი სუფთა წყლის (საყოფაცხოვრებო) გამოსაყენებლად უნდა ჰქონოდა და ამავე დროს მდინარესთან დასახლება საშუალებას იძლეოდა არხების მასთან შეერთებისა და ამ არხებში დაგროვილი ბინძური წყლის გაწმენდისათვის. სავარაუდოდ ეს პატარა მდინარეები ყველა სანაოსნოდ ვერ გამოდგებოდა და უმეტესად არა ამ მდინარეებს, არამედ არხებს უნდა გაეყვანა აქ მცხოვრებნი უფრო დიდი სანაოსნო მდინარეებისაკენ (ხობი, რიონი) და ზღვისპირა, ქალაქის ტიპის დასახლებებთან აკავშირებდა.

მ. ინაძის აღნიშვნით, ძვ. წ. VI-V სს. მჭიდროდ დასახლებული ჩანს მდ. ფაზისის (რიონის) ქვემო წელიც, სადაც არქეოლოგიური დაზვერვებით ბუნებრივ ან ხელოვნურად აღმართულ ბორცვზე მიკვლეული იქნა რამდენიმე ქალაქური ტიპის დასახლება განსაკუთრებით ყურადღებას იმსახურებს სამოსახლო ბორცვები საგვიჩიოს, სარიაჭყონის, კონძას და ნანდეუს მიდამოები (რიონსა და მდ. ფიჩორას შორის) მართალია დღეს, საგვიჩიოს ბორცვები მდ. რიონის ნაპირიდან 500-იოდე მეტრითაცაა დაშორებული, მაგრამ ძველად როგორც ვარაუდობენ (გ. გრიგოლია) მდინარის კალაპოტი უფრო სამხრეთით მიემართებოდა, ისე რომ დასახლებული ბორცვები განლაგებული უნდა ყოფილიყო სწორედ მდ. რიონის ნაპირას, ზედ სამდინარო ხაზზე. ანტიკური ხანის სამოსახლოთა მთელი სისტემა იქნა გამოვლენილი აგრეთვე ზემოხსენებული ბორცვების დასავლეთით, ზღვიდან 15-18 კმ-ის დაშორებით, მდ. რიონის ორივე ნაპირას (საქორქიო, ქვემო ჭალადიდი და სხვ.) ადრეანტიკური ხანის ქალაქური ტიპის დასახლება სავარაუდოა აქვე მდ. ხობის მარჯვენა ნაპირას, მისი შესართავიდან 2 კმ-ის დაშორებით, სოფ. ქარიატაში. აქ აღმოჩენილი იმპორტული ამფორები და შავლაკიანი კერამიკა მოწმობს სანაოსნო მდინარე ხობის მეშვეობით ამ სამოსახლოს

[1] გ. გრიგოლია, დასავლეთ საქართველოს საძიებო არქეოლოგიური ექსპედიციის 1969 წლის მუშაობის შედეგები, არქეოლოგიური კვლევა-ძიება საქართველოში 1969 წელს, თბ., 1971, გვ. 19-20.

მჭიდრო ურთიერთობას საზღვაო-სავაჭრო ცენტრებთან. ენგურის ქვემო წელის მარცხენა ნაპირის დაზვერვებისა და შემთხვევითი აღმოჩენების შედეგად გამოვლენილი არქეოლოგიური და ნუმიზმატიკური მონაპოვარი მოწმობს ადრეანტიკური ხანის კოლხეთის ამ რეგიონის განვითარების მაღალ დონეს. უპირველეს ყოვლისა ყურადღებას იქცევენ ზუგდიდის გარშემო თავმოყრილი კოლხური მონეტების განძები სოფ. ჯუმიდან, სოფ. ერგეტიდან, სოფ. რუხიდან და სხვ.[1]

წერილოითი წყაროები ძალზედ ცოტა რამეს გვეუბნება კოლხეთის დაბლობის და საკუთრივ სამეგრელოს დასახლების ფორმის შესახებ, თუმცა ზოგიერთ წყაროზე დაყრდნობა მაინც არის შესაძლებელი. პირველ რიგში, ვფიქრობთ, ამ მიმართულებით საინტერესოა ურარტული წერილობითი წყაროები, კერძოდ, ურარტუს მეფე მენუა დიაუხის წინააღმდეგ ლაშქრობის დროს ამბობს, რომ „ქვეყანა გადავწვი, ციხე-სიმაგრეები (დავანგრიე) ... ორი მეფე იქაურობას მოვაცილე... გამაგრებული ადგილები, რომლებიც კი იყო ამ ქვეყანაში მე (მას) მოვწყვიტე...“ მენუას მემკვიდრის არგიშთ I (786-764) ლაშქრობა: „გავემართე სალაშქროდ დიაუხის ქვეყნის წინააღმდეგ... დავიპყარი შერიაზის ქვეყანა, ქალაქები დავწვი, ციხე-სიმაგრეები დავანგრიე, მივედი ქალაქ ფუთემდე...“, „მივედი ბიას ქვეყნამდე... ხუშანის ქვეყნამდე, გავემართე მე სალაშქროდ დიდი ქვეყნის წინააღმდეგ, ქალაქი ზუა, დიაუხის სამეფო დედაქალაქი მე დავწვი“; „... წავედი მე ქვეყნის ჯარით აშკალაშის ქვეყნის წინააღმდეგ, 105 ციხე-სიმაგრე დავანგრიე, 459 ქალაქი კი დავწვი“[2].

ი. ი. მეშანინოვი, ზემოთ აღწერილ გამაგრებულ დასახლებებს ე. წ. „ამიერკავკასიის ციკლოპურ ნაგებობებს“ უკავშირებს[3].

გ. მელიქიშვილი, ზემოთ წარმოდგენილი ცნობების მიხედვით აღნიშნავს, რომ იქ აღწერილი 5-6 „ქალაქი“ ე. ი. გამაგრებული მცირე დასახლებული პუნქტები, რომლებიც ალბათ საცხოვრებლად და სამეურნეო დანიშნულების იყო, შესაძლოა აგრეთვე საკულტო ნაგებობებს შეიცავდნენ. ეტყობა ერთი გამაგრებული პუნქტის გარშემო მიმოფანტული იყო 5-6 ასეთი პატარა, ალბათ მის მახლობლად მყოფი სოფელი. ისინი ერთმანეთისაგან საკმაოდ ახლო-ახლოს უნდა ყოფილიყნენ. ავტორისავე აღნიშვნით, სხვაგვარად წარმოუდგენელია, სარდურ II მიერ ერთი დღის განმავლობაში 200 ასეთი სოფლის გდება ხელთ. ციხე-სიმაგრეებიც ეტყობა მაინცდამაინც ძლიერ თავდაცვით ნაგებობებს არ წარმოადგენდნენ – ამაზე მეტყველებს თუნდაც მისი სიმრავლე და სისწრაფე, რომლითაც ურარტუს ლაშქარი ეუფლება მათ. რა თქმა უნდა, განაგრძობს ავტორი, დიაუხის ან კულხას მნიშვნელოვანი ცენტრები ალბათ არ წარმოადგენდნენ ამგვარი რიგით გამაგრებულ პუნქტებს; სარდურ II კულხას „სამეფო ქალაქ“ ილდამუშას მიმართ სპეციაურად აღნიშნავს, რომ იგი გამაგრებული იყო და მისი აღება მას ბრძოლით მოუხდა, ხოლო რიგით გამაგრებულ პუნქტებში ჩვენ შეიძლება დავინახოთ ციკლოპური გალავანშემოვლებული, ზოგჯერ კედლის შიგნით აგრეთვე ციტადელის მქონე დასახლებული პუნქტები, რომელთა ნაშთები ბლომადაა ჩვენამდე მოღწეული სამხრეთ ამიერკავკასიის, კერძოდ სამხრეთ საქართველოს ტერიტორიიდან. ამგვარი ციკლოპური ციხე-ქალაქები წარმოადგენდნენ მასში და მის გარშემო მცხოვრები მოსახლეობისა და მისი ავლადიდების – ძირითადად პირუტყვის თავშესაფარს მტრის

---

[1] მ. ინაძე, ძველი კოლხეთის საზოგადოება, თბ., 1994.
[2] გ. მელიქიშვილი, როგორ ამეტყველდნენ ლურსმული წარწერები, თბ., 1961, გვ. 99.
[3] И. И. Мещанинов, Циклопические сооружения, ИГАИМК, т. XIII, вып. 4-7, Л. 1932, გვ. 58.

თავდასხმის შემთხვევაში[1]. ამ დასახლებებს ციკლოპურ ნაგებობებს უკავშირებს მ. ი. მაქსიმოვაც[2]. თუმცა ა. მიქელაძე ამ შედარებას ფორმალური ხასიათისას უწოდებს და აღნიშნავს, რომ ამ დასახლებების გაერთიანება უფრო დამაჯერებელი ჩანს საადმშენებლო კულტურისა და ტრადიციების კოლხურ წრეში, არა მარტო ეთნიკური ნათესაობისა და მატერიალური კულტურის ერთიანობის მიხედვით, არამედ იმ ბუნებრივი და კლიმატური პირობების გამო, რომელთა საფუძველზე უნდა შექმნილიყო განსხვავებული ხუროთმოძღვრობა და სამშენებლო ტექნიკაზე დამყარებული დასახლებები[3].

სამეგრელოს ანტიკური და ელინისტური დასახლებებზე დაკვირვების შედეგად, რომელიც ხელოვნურ და ბუნებრივ ბორცვებს გულისხმობს, გ. გრიგოლიას აღნიშნული აქვს, რომ „გამორიცხული არ არის სწორედ დასახლების ანალოგიური ტიპი იგულისხმებოდეს ურარტული წყაროების იმ ნაწილში, სადაც საუბარია დიაუხის და იგანიეხის დიდ გაერთიანებათა „ციხე-სიმაგრეებზე“ და მათ გარშემო მიმოფანტულ ქალაქებზე“[4]. ჩვენი აზრით, იმის დაშვება, რომ აქ კოლხეთის შიდა რეგიონებზეა საუბარი ძნელი დასაჯერებელია, ანუ იმ პერიოდში ურარტუს მეფეები ალბათ ვერ მიაღწევდნენ კოლხეთის დაბლობის შიდა რაიონებში, სამეგრელოს ზღვისპირეთამდე ან თუნდაც დაბლობის სხვა ადგილებში (დღევანდელი ფოთი, ხობი, სენაკი, მარტვილი); რომც მიეღწიათ ზემოთ აღწერილი დიხაგუძუბების მსგავს დასახლებებამდე იმდროინდელი ურარტული სამხედრო ტექნიკისთვის ალბათ შეუძლებელი იქნებოდა მათი ასე ადვილად დაპყრობა. ამავე დროს ერთი რამ ნათელია, რომ დასახლების ეს ფორმა ბუნებრივი თუ ხელოვნური გორანამოსახლარების სახით მთელს კოლხურ და მასთან მონათესავე ტომთა სამყაროში ერთნაირი ფორმით იყო წარმოდგენილი, ხოლო დიხა-გუძუბების უნიკალურობა ბუნებრივ გორა-სამოსახლოებთან შედარებით მდგომარეობს იმაში, რომ ის ძალზედ დიდ მუშახელს და რაც მთავარია დიდ ორგანიზაციას მოითხოვდა, რაც ვფიქრობთ, სახელმწიფოს არარსებობის პირობებში შეუძლებელი იქნებოდა. წყაროებში მოხსენიებული კულხა (ძვ. წ. VIII ს-ის მეორე ნახევარში) უკვე დიდი ე. წ. „ადრეკლასობრივი“ სახელმწიფოებრივი გაერთიანება ჩანს. ვფიქრობთ, აქ სახელმწიფო უფრო ადრე არსებობს და თარიღის გადაწევა ალბათ შეიძლება ძვ. წ. II ათასწლეულის პირველი ნახევრისთვის მაინც; მით უმეტეს ჩვენ ამაზე არგონავტების მითიც გვამცნობს; სამეგრელოს ზღვისპირეთში ფიქსირებული დიხა-გუძუბები, რომელთა ათი პროცენტიც კი არ არის დღესდღეობით შესწავლილი, უნდა ყოფილიყო სწორედ ის ადგილი, სადაც ყალიბდება ძველი კოლხური სახელმწიფო და მისი ნაშთი, ჩვენი აზრით, სწორედ აქ კოლხეთის დაბლობში, ამ დიხა-გუძუბებში უნდა ვეძებოთ.

ჩვენს მიერ საინტერესო პრობლემასთან მიმართებაში ყველაზე უფრო ფართო და საინტერესო მასალას იძლევა ძვ. წ. V-IV საუკუნეების წყარო – ქსენოფონტი „ანაბასისი“, რომელშიც საკმაოდ კარგადაა დახასიათებული სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვიპირეთში მოსახლე ქართველური ტომების დასახლებათა, როგორც ფორმა,

---

[1] გ. მელიქიშვილი, საქართველოში კლასობრივი საზოგადოებისა და სახელმწიფოს წარმოქმნის საკითხისათვის, თბ., 1955, გვ. 88-89.

[2] М. И. Максимова, Местное население Юго-восточного причерноморья, Вестник ревней истории, М. 1951, №1, გვ. 255-257.

[3] თ. მიქელაძე, ქსენოფონტის „ანაბასისი“, თბ., 1976, გვ. 56.

[4] გ. გრიგოლია, დასავლეთ საქართველოს საძიებო არქეოლოგიური ექსპედიციის 1969 წლის მუშაობის შედეგები, არქეოლოგიური კვლევა-ძიება საქართველოში, 1969 წელს, თბ., 1971, გვ. 19.

ასევე ტიპი და თვით მათი ადგილობრივი სახელწოდებებიც კი არის მოცემული. კერძოდ ქსენოფონტმა გაიარა სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზვისპირეთში მოსახლე ქართველური ტომებით დასახლებული ტერიტორიები და ჩააღწია ქალაქ ფაზისამდე. მისი აღწერილობით: „...[კარდუხები] ისე გაიქცნენ და მიატოვეს *ცწრიონ* (სიმაგრე – თ. მ.), რომ [ელინებმა] ახლოს არ მიუშვეს... ტაოხები ცხოვრობდნენ მიუვალ სიმაგრეებში (*ცწრია*) და მთელი თავისი სურსათი იქ ჰქონდათ ატანილი. როდესაც ელინები მივიდნენ ერთ გამაგრებულ (*ცწრიონ*) ადგილთან რომელიც ქალაქი არ იყო და შენობები არ მოიპოვებოდა, თუმცა იქ თავი მოეყარა მამაკაცებს და ქალებს მრავალ პირუტყვთან ერთად“, „როდესაც ელინები [ამ მთიან] ქვეყანაში მოვიდნენ, ... გადაწვეს და მიატოვეს ეს სიმაგრეები (*ცწრიონ*), რომელიც მათი ფიქრით ადვილი ასაღები იყო; ასე რომ აქედან არაფრის წაღება არ შეიძლება გარდა ღორისა, ხარისა და სხვა შინაური პირუტყვისა, რომელიც ცეცხლს გადარჩენოდა; ერთი სიმაგრე (*ცწრიონ*) მათი დედაქალაქი იყო. აქ თავი მოეყარა სუყველას. მას გარშემო ღრმა ხრამი ჰქონდა და სიმაგრე მისადგომად სახიფათო იყო. როცა [ელინებმა] ბრძოლით ვერ შეძლეს სიმაგრის (*ცწრიონ*) აღება რადგან მას განიერი ორმო და მიწის ყრილი ჰქონდა შემოვლებული, ხოლო ამ ყრილზე აღმართული იყო მესერი და მრგვალი ხის კოშკი. განიზრახეს გასცლოდნენ მას... შიკრიკმა ქსენოფონტეს უთხრა, რომ სიმაგრე (*ცწრიონ*) სავსეა მრავალი სიმდიდრით, მაგრამ მისი აღებაც შეუძლებელია, რადგან იგი მიუვალია და არც მისგან დახევაა ადვილი...“, „... მაშინვე გაეშურნენ მტრისკენ იმ სიმაგრის (*ცწრიონ*) წინააღმდეგ, რომელიც ყველაზე უფრო სუსტი ეგონათ. ის მდებარეობდა იმ ქალაქის წინ, რომელსაც მეტროპოლისი ეწოდებოდა [და რომელსაც] მოსინიკების [ქვეყანაში] ყველაზე მაღალი ადგილი ეკავა...“ „ბარბაროსები (მოსინიკები) გაიქცნენ, ცეცხლი წაუკიდეს და მიატოვეს ეს სიმაგრეც (*ცწრიონ*)...“ „სიმაგრეთაგან (*ცწრიონ*) უმეტესი ასეთი იყო: ქალაქები ერმანეთისაგან 80 სტადიონით იყო დაშორებული, ზოგი მეტით და ზოგი ნაკლებით როცა [მცხოვრებნი] გადასძახებდნენ ხოლმე ერთმანეთს ძახილი ერთი ქალაქიდან მეორეში ისმოდა, იმდენად მთაგორიანი და ღარტაფიანი იყო ეს ქვეყანა“. „... (ტიბარენებს) ზღვის სანაპიროზე მცირედ გამაგრებულ დასახლებები (*ცწრიოა*) ჰქონდათ“[1].

გ. მელიქიშვილის აღნიშვნით, ქსენოფონტეს აღწერილობის მსგავსი სურათია ჩვენს წინ ისტორიული საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ რაიონებში, ძვ. წ. აღ. VIII ს. ურარტული წარწერების მიხედვით, სადაც ყურადღებას იქცევს მცირედ გამაგრებული პუნქტების სიმრავლე, რომელთა გარშემო მიმოფანტული არიან (თითოეულის გარშემო 5-6) გამაგრებული, დასახლებული პუნქტები[2].

ქსენოფონტეს „ანაბასისში“ წარმოდგენილი ქართველური ტომების დასახლების სტრუქტურა, საკმაოდ დამაჯერებლად აღადგინა არქიტექტორმა გ. ლეჟავამ და მას სპეციალური წერილი მიუძღვნა. ავტორის დახასიათებით, ამ ეპოქაში ქართველურ ტომებს საკმაოდ გამაგრებული თავდაცვითი სისტემის დასახლებები ჰქონდათ ირგვლივ თხრილით და ხის ღობით შემოვლებული ხელოვნური თუ ბუნებრივი ბორც-გორაკების სახით; ავტორისავე აღნიშვნით, დასახლების ერთ-ერთი დამახასიათებელი თვისება იყო ხის მრავალსართულიანი კოშკების ჩაშენება, დასახლების მთელ წრეზე; მისივე თქმით, ამგვარი დასახლების ფორმა ქსენოფონტესათვის იყო საკმაოდ უცხო და ყველა მათგანს

---

[1] თ. მიქელაძე, ქსენოფონტის „ანაბასისი“, თბ., 1967, გვ. 70, 80, 91-92, 100-101, 103, 105, 106.

[2] გ. მელიქიშვილი, საქართველოში კლასობრივი საზოგადოებისა და სახელმწიფოს წარმოქმნის საკითხისათვის, თბ., 1955, გვ. 124.

ის უყურებდა როგორც ქალაქს, რომლის აღება ელინებმა დიდი მსხვერპლის შედეგად შესძლეს, რიგ შემთხვევაში კი მათი აღება მათთვის წარმოუდგენელიც კი იყო[1].

მრგვალი, კოშკის ფორმის თავდაცვითი ნაგებობები ჯერ კიდევ ძვ. წ-აღ VIII-VII ათასწლეულიდან არის ცნობილი იერიქონსა და პალესტინაში. VII-V ათასწლეულებში ჩათალ-ჰიუიკში, სარილაშში, მერსინაში, გეოკსურში (სამხრეთ თურქმენეთი – IV ათასწლეული). ასევე ამავე პერიოდის ირანში, ავღანეთში, ინდოეთში. აღსანიშნავია, რომ ტეპლო-არპაჩიში (ხალაფის კულტურა) აღმოჩენილი იყო მინიატურული ამულეტი ძველებური კოშკის მსგავსი ორქანობიანი სახურავის გამოსახულებით, რომელიც მსგავსებას ამჟღავნებს ხაიშში აღმოჩენილ I ათასწლეულის მიჯნით დათარიღებულ ამულეტთან; როგორც აღნიშნულია, ეს ფაქტი ნათლად მიუთითებს საქართველოში უძველესი დროიდან ძელური საცხოვრებლის გავრცელებაზე და რომ კოშკური საცხოვრებელი ჯერ კიდევ ნეოლითიდან ვითარდება რომელიც კლასობრივი საზოგადოების წარმოქმნას უძღოდა წინ და თავდაცვითი მნიშვნელობა ენიჭებოდა შიდაკომუნიკაციებსა თუ სხვა დროს[2].

ჩვენთვის საინტერესო საკითხთან მიმართებაში მეტად მნიშვნელოვანია ჰიპოკრატეს ცნობები (ძვ. წ. IV საუკუნე) კოლხთა დასახლებაზე „...ხოლო ვინც ფაზისში ცხოვრობს, მათ შესახებ [შემდეგი მაქვს სათქმელი]: ეს ქვეყანა ჭაობიანია, თბილი, წყლიანი და ტყიანი. წლის ყოველ დროს იქ ხშირი და ძლიერი წვიმები მოდის. ადამიანებს საცხოვრებელი ჭაობებში აქვთ, და [მათი] ხისა და ლერწმის სახლები წყალზეა გამართული. ისინი ცოტას დადიან ფეხით ქალაქებსა და ნავთსადგურებში, არამედ დაცურავენ აღმა-დაღმა ერთ ხეში ამოღებული ნავებით, რადგან არხები ბევრია“[3].

ნ. კიღურაძის აზრით, ჰიპოკრატეს ხელოვნურ ბორცვებზე გაშენებული საცხოვრებლები რომ ენახა იგი აუცილებლად აღნიშნავდა კიდეც ამ გარემოებას, ავტორი აქ ანტიკურ ხანაშიც დასახლების გაფანტულ ფორმას ვარაუდობს, ისეთს რომელიც დღეს არის შემორჩენილი[4]. ვფიქრობთ, ნ. კიღურაძის დაკვირვება არ არის მართებული; ჰიპოკრატე გარკვევით ამბობს, რომ კოლხეთში ამ პერიოდში არსებობს ქალაქები და ნავით სავალი არხები და ის სხვა არაფერია თუ არა, სწორედ ჰიპოკრატეს მიერ „ქალაქებად“ წარმოდგენილ დასახლებებს შორის, ანუ ზემოთ ნაჩვენებ „დიხა-გუძუბებს“ შორის არსებული სანაოსნო გზები.

სავსებით მართებული გვეჩვენება მ. ინაძის აღნიშვნა ჰეროდოტეს ცნობებზე დაყრდნობით იმაზე, რომ არქეოლოგიური მასალის შეპირისპირება გვაძლევს რეალურ სურათს ქალაქური ცხოვრების და ფაჭრობის განვითარებაზე კოლხეთის დაბლობში[5]. ამ მიმართულებით მეტად მნიშვნელოვანია ძველი და ახალი წ. აღ. მიჯნის I საუკუნის ბერძენი გეოგრაფის, სტრაბონის ცნობა, რომ „... დანარჩენი კოლხიდა მეტწილად

---

[1] Г. Лежава, Древнейшая деревянная архитектура по «Анабасису» Ксенофонта, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, ისტორიის სერია, თბ., 1971, №3, გვ. 90-103.

[2] М. И. Джандиери, Древнее башенное общинное жилище, Вестник древней истории, 1981, №2, გვ. 118-120.

[3] თ. ყაუხჩიშვილი, ჰიპოკრატე და მისი ცნობები საქართველოს შესახებ, თბ., 1965, გვ. 45.

[4] ნ. კიღურაძე, კოლხური სოფელი ანტიკურ ხანაში, საქართველოს არქეოლოგიური საკითხები, I, თბ., 1978, გვ. 54, 57.

[5] М. П. Инадзе, Причерноморские города древней Колхиды, Тб. 1968, გვ. 47-48.

ზღვასთან მდებარეობდა“, „ფაზისზე მდებარეობს მისი მოსახელე ქალაქი, კოლხთა სავაჭრო ადგილი, გარშემორტყმული მდინარით, ტბითა და ზღვით“[1].

ასევე მნიშვნელოვანია ახ. წ. აღ. II საუკუნის დასაწყისის მოგზაურის ფლავიუს არიანეს მიერ ფაზისის რომაული, მაგრამ ადგილობრივ ყაიდაზე ნაშენი ციხე-სიმაგრის აღწერილობა: „ფაზისში ... თვით ციხე-სიმაგრე, რომელშიც თავსდება ოთხასი რჩეული მეომარი, მე მეჩვენა მეტად მიუდგომლად ადგილის ბუნების მიხედვით, უშიშროების თვალსაზრისით მეტად მოხერხებულ ადგილზე მოთავსებულად აქ მომსვლელთათვის. ორმაგი თხრილი ერტყმის კედელს. ორივე ფართოა. წინათ კედელი თიხისა იყო და ხის კოშკები იდგა მასზე, მაგრამ ეხლა კედელი და კოშკები გამომწვარი აგურისგანაა გაკეთებული. საძირკველი მისი მყარია, ზედ სამხედრო მანქანებია დადგმული, ერთი სიტყვით ყოველმხრივ იმდაგვარადაა მოწყობილი, რომ ვერავინ მიუახლოვდეს ბარბაროსთაგან და რომ ალყის საფრთხე არ მოელოდეს ციხის დამცველთ. ხოლო რახან ნავსაყუდელი უშიშარი თავშესაფარი უნდა ყოფილიყო ხომალდთათვის [საიმედო უნდა გამხდარიყო], აგრეთვე ციხის გარშემო მდებარე სხვა ადგილები, რომელიც დასახლებულია სამსახურიდან გადამდგარი სამხედრო პირებით და ვაჭრებით. გადავწყვიტე, რომ ციხის კედლის გარშემო არსებული ორმაგი თხრილიდან გამეყვანა მდინარემდე სხვა თხრილი, რომელიც გარს შემოუვლიდა ნავსადგურს და ციხის კედლის გარეთ მდგომ სახლებს“[2].

თ. მიქელაძე, არქეოლოგიურ მონაცემებზე დაყრდნობით ვარაუდობს, რომ ძვ. წ. II ათასწლეულის დასასრულიდან მაინც ჭალადიდის სიმაგრის მიდამოებში არსებობას იწყებენ სამოსახლოები, რომელთა წარმოქმნასა და ხასიათში მოცემულია წინაპირობები საქალაქო ცხოვრების აღმოცენებისა და მათ საფუძველზეც შემდგომ წარმოიშობა ქ. ფაზისი [3] . არიანეს მიერ აღწერილი ქალაქი ფაზისი რომაულ ციხე-სიმაგრეს წარმოადგენს. ის არაფრით განსხვავდება ზემოთ აღწერილი ტიპიური კოლხური დასახლებებისაგან – ხელოვნური დიხა-გუძუბებისაგან და კიდევ უფრო მნიშვნელოვანია იმის ნათელსაყოფად, რომ ახ წ. აღ. II საუკუნეში, ანუ არიანეს დროს, დასახლების მსგავსი სისტემა – ხელოვნური დიხა-გუძუბების სახით ჯერ კიდევ წამყვანია კოლხეთის დაბლობში. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ სარწმუნო წყაროები არ მოგვეპოვება არიანეს შემდგომი დროის ამ ტიპის დასახლებებზე, ვფიქრობთ, ისინი დაბლობში ამავე ფორმით ახ. წ. აღ. V-VI საუკუნემდე მაინც უნდა შენარჩუნებულიყო, რაზეც მსჯელობა ამ პერიოდის ეგრისის სამეფოში დიდი და პატარა ქალაქების შესახებ პროკოფი კესარიელსა და აგათია სქოლასტიკოსის აღწერილობებში მოცემული ცნობებით შეიძლება და ვფიქრობთ, აგათია სქოლასტიკოსის ქალაქი ინოგურისიც, რომელზედაც ჩვენ უფრო ვრცლად ქვემოთ ვისაუბრებთ, ამ სახის დასახლება უნდა ყოფილიყო.

როგორც ჩანს, ახ. წ. აღ. II-VI საუკუნეების პერიოდში ეს ადგილები, (ზოგიერთი სტრატეგიულად მნიშვნელოვანი და დიდი დასახლების გარდა) თანდათან ქრება, ისპობა მელიორაციის სიტემა, წყალი ბინძურდება, ხოლო მის აღდგენაზე კი უკვე არ ხდება, რადგან ის არ შეესაბამებოდა თავდაცვის ახალ გარემოებებს. ამდენად ახ. წ. აღ. V საუკუნიდან მაინც კოლხეთის დაბლობის დასახლების ფორმა – დიხა-გუძუბების სახით

---

[1] თ. ყაუხჩიშვილი, სტრაბონის გეოგრაფია, თბ., 1957, გვ. 123.

[2] ფლავიუს არიანე, მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო, თარგმანი, გამოკვლევები და კომენტარები და რუკა ნ. კეჭაღმაძისა, თბ., 1961, გვ. 39-40.

[3] თ. მიქელაძე, არქეოლოგიური კვლევა-ძიება რიონის ქვემო წელზე, თბ., 1978, გვ. 92.

საბოლოოდ იცვლება, მოსახლეობა ნაწილობრივ დაცარიელდა და ჩრდილოეთით ბორცვ-გორაკიან ზონაში ინაცვლებს, რომელიც უფრო მშრალი და ნაყოფიერი ზოლი იყო. ციხე-სიმაგრის ტიპის თავდაცვის სისტემას, რომლის ფუნქციასაც საცხოვრებელთან ერთად დიხა-გუძუბა ითავსებს დაბლობში, სამეგრელოს მთიანეთში უკვე ქვის ციხე-სიმაგრეები ცვლის. როგორც ჩანს, ამ პერიოდიდან უკვე მასიურად ჩნდება დასახლების ინდივიდუალური სისტემა – ანუ დღევანდელი კარ-მიდამოს გაგებით. უკვე მოსახლეობის თავდაცვითი სისტემა მარტო დიხა-გუძუბების დასახლებაზე არ არის დამოკიდებული, არამედ ფეოდალური ურთიერთობების ჩასახვასთან ერთად ქვეყანაში ჩნდება სხვა სახის თავდაცვითი ზღუდეები – სათემო, თუ ცალკეულ ფეოდალთა კუთვნილი ქვის ნაგებობები.

2. დასახლების მორფოლოგია

(დასახლების და სოციალურ ორგანიზაციათა აღმნიშვნელი უძველესი ტერმინები და დასახლების სოციალური სტრუქტურა)

ასურული და ურარტული წყაროების მიხედვით, ისტორიული საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ ტერიტორიის მოსახლეობა (რომლის უდიდესი ნაწილი დღეს საქართველოს ფარგლების გარეთ მდებარეობს) ძირითადად (ძვ. წ. XIII-VII საუკუნეებში და შემდგომ – დ. ჭ.) ორი სახის დასახლებულ პუნქტებში – გამაგრებულ და მათ გარშემო მიმოფანტულ მცირე გამაგრებულ დასახლებებში ცხოვრობდა. ურარტული ძეგლები პირველად „ციხე-სიმაგრეს“ . –ს უწოდებდნენ, მეორე კატეგორიის პუნქტებს კი „ქალაქებს“ – ღ . ციხე-სიმაგრეებს ურარტული წყაროები ასახელებენ დიაუხთან, კულხასთან და ჩილდირის ტბის რაიონში მყოფი დიდი გაერთიანების – იგანიეხთან კავშირშიც[1].

აქ მდებარე დასახლებების სტრუქტურის და ტომობრივი კუთვნილების თვალსაზრისით საყურადღებოა მათ აღმნიშვნელად ქსენოფონტეს „ანაბასის“-ში მოხსენიებული ტერმინები: *პოვლივჴ, პოვლივსმა, ცწრივონ, ცწმჴ.*

თ. მიქელაძის აღნიშვნით, *წმჴ* და *პოვლივჴ* გარკვეული სახის დასახლებას უნდა გულისხმობდეს. მისივე აზრით, *კწმგ* აღნიშნავს სოფლის ტიპის დასახლებას, სადაც მოსახლეობა მიწათმოქმედებასა და მესაქონლეობას ეწეოდა. ეს სიტყვა, განაგრძობს ავტორი, ყველა ბერძენ მწერალთან სოფელს აღნიშნავს და ქსენოფონტეც ასეთივე მნიშვნელობით ხმარობს მას. *კწმჴ* იყო დასახლების ძირითადი სახეობა, რაზეც მეტყველებს მისი სიმრავლე სხვა სახის დასახლებათა მიმართ[2]. მსგავსი ტერმინით აღნიშნული დასახლება ფართოდ იყო გავრცელებული მცირე აზიის ტერიტორიაზე, რომელიც იქაც სოფლის ტიპის დასახლებას აღნიშნავდა, ის იყო ფისკალური (სახელმწიფოს ერთობლივად გადამხდელი ორგანო) ორგანიზაცია. მათ გაერთიანებას

[1] გ. მელიქიშვილი, საქართველოში კლასობრივი საზოგადოებისა და სახელმწიფოს წარმოქმნის საკითხისათვის, თბ., 1955, გვ. 88.
[2] თ. მიქელაძე, ქსენოფონტის „ანაბასისი“, თბ., 1967, გვ. 53.

შეეძლო შეექმნა ქალაქი (მაგ. ქ. გიერაპოლი) [1]. აქვე შევნიშნავთ იმასაც, რომ სახელწოდება *კ̄ᲨᲒ* შესაძლებელია სემანტიკურ-მორფოლოგიურად დაუკავშირდეს ქართულ „კომლს“ – დიდი სახლობა – გაუყოფელი ოჯახი, დიდი კომი-ჯალაბი ოჯახი – საოჯახო თემის ფორმით ან სისხლითმონათესავე ერთეულის გვარის ფორმით, რომელიც ერთ საგვარეულო (და არა გვაროვნული) დასახლებას ნიშნავს და ამ პერიოდში სოფლის მონოგენურად განსახლებაზე მიუთითებს, რაც დღესაც შემორჩა ქართულ ეთნოგრაფიულ ყოფას.

ტერმინი პოვლივ§, თ. მიქელაძის აღნიშვნით, განურჩევლად იმისა ბერძნულ დასახლებას აღნიშნავს ის თუ ადგილობრივს, გულისხმობს ქალაქს ისეთი გაგებით, როგორიც ეს ბერძნებს ესმოდათ, ე. ი. ისეთ დასახლებას, რომელიც წარმოადგენდა ქვეყნის პოლიტიკურ და საკულტო ცენტრს და შედგებოდა ორი ძირითადი ნაწილისგან: შიდა ქალაქი, რომელიც ამ უკანასკნელის გარშემო იყო გაშენებული. ასეთი იყო ქსენოფონტის აღწერის თანახმად დრილების ქალაქი, რომელსაც იგი პოვლივ§-ს უწოდებს და მოსინიკების ქალაქი, რომელიც მოიცავდა აკროპოლისსა და სიმაგრეთა მთელს სისტემას[2]. შენიშნულია, რომ ქსენოფონტი იძლევა ქალაქის რამდენიმე სახეობას. ერთი იწოდება უბრალოდ დასახლებული ქალაქი, და პოლივ§ ოივკოუმევგჰკაივ მეგალჰკაივ ეუვდაივმ გ – მჭიდროდ დასახლებული (ან ხალხმრავალ) დიდი და მდიდარი ქალაქი[3]. ქართველურ ტომებთან სოფლისა და ქალაქის გარდა ქსენოფონტე სხვა სახის დასახლებულ პუნქტებსაც აღწერს, ესაა: პოლივსმა და ცწრივონ. აღნიშნულია, რომ პოლისმა თავისი ხასიათით ქალაქს უნდა უკავშირდებოდეს, ის არ უნდა იყოს მხოლოდ სიმაგრე ან სხვა სახის გამაგრებული ადგილი, რადგან ასეთი პუნქტებისათვის „ანაბასისში“ გამოყენებულია სხვა სპეციალური ტერმინები: ცწრივონ, ერ მ ა, ოვც როვ§[4].

განსაკუთრებით საყურადღებოდ მიგვაჩნია ქსენოფონტეს „ანაბასისში“ მოხსენიებული ტერმინი „ხორიონი“ (*ცწრივონ*), რომელიც თ. მიქელაძეს, სავსებით სამართლიანად ქალაქური ტიპის გამაგრებულ დასახლებად მიაჩნია, რაც მისივე აზრით, ჩანს იქიდან, რომ ერთგან ქსენოფონტი ტერმინებს *პოვლივ§* და *ცწრივონ,* როგორც სინონიმებს ხმარობს. მისივე აღნიშვნით, ხორიონები ერთი გამაგრებული ადგილი კი არ არის რომელსაც მარტო ხიფათის დროს მიმართვდნენ ხოლმე, არამედ ისეთი, სადაც მუდმივი მოსახლეობა უნდა ყოფილიყო. ხორიონები როგორც ჩანს, დამოუკიდებლად არსებობენ და სიმაგრეთა რთული სისტემის ნაწილსაც შეადგენენ [5]. ავტორის მიერ ზემოთ წარმოდგენილი მოსაზრება, ვფიქრობთ, სწორია იმაში, რომ ხორიონები მუდმივი დასახლების ადგილები იყო, ანუ ისეთები, როგორც ჩვენ არქეოლოგიური მასალით ზემოთ განვიხილეთ ხელოვნური თუ ბუნებრივი დიხა-გუძუბების სახით; თუმცა ძნელია რომელიმე მათგანი დამოუკიდებლად არსებულად მივიჩნიოთ და და ამ მხრივ თ. მიქელაძის მოსაზრებას ვერ გავიზიარებთ, რადგან ეს თითოეული ხორიონები ანუ დიხა-გუძუბები ერთიანი სისტემის ნაწილი უნდა ყოფილიყო, რადგან მისი აგება ერთ ასეთ სამოსახლოში მოსახლე ადამიანებისათვის რაოდენობრივი კუთხით, შეუძლებელი იქნებოდა და ის უდიდესი შრომის და ადამიანთა დიდი მასის ერთად მობილიზაციის

---

[1] Е. С. Голубцова, Сельская община в Малой Азии, М. 1972, გვ. 14-15.
[2] თ. მიქელაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 53-54.
[3] თ. მიქელაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 54.
[4] თ. მიქელაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 55.
[5] თ. მიქელაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 56.

შედეგია რაც საკმაოდ მყარი სახელმწიფო ორგანიზაციის არარსებობის პირობებში ალბათ ვერ მოხერხდებოდა.

ტერმინი „ხორა“, როგორც გარკვეული დასახლების აღმნიშვნელი ფართოდ იყო გავრცელებული არა მარტო ქართველურ ტომებით დასახლებულ ტერიტორიაზე, არამედ ელინისტური ეპოქის მთელს მცირე აზიაში[1].

რას გულისხმობდნენ ძველად ტერმინ „ხორას“ (χora) ქვეშ?

ამ შინაარსის კითხვა ჯერ კიდევ ე. ს. გოლუბცოვამ 1972 წელს გამოცემულ თავის მონოგრაფიაში[2] დასვა, რომელზეც ის ქართული და კავკასიურ-ძველაღმოსავლური მასალების გვერდით ავლით, თუმცა ინდოევროპული ენობრივი და სხვა მონაცემთა მოშველიებით ამგვარ პასუხს გვთავაზობს: „მიღებულია, რომ ხორა (χora) ჩაითვალოს სოფლის ტერიტორიად, რომელიც ჩვეულებისამებრ პოლისის საპირისპიროდ იხმარება. თუმცა, განაგრძობს ავტორი, ტერმინი „ხორა“ გამოიყენებოდა სრულიად განსხვავებულ სიტუაციებშიც. მისივე აღნიშვნით, ლიდდელ სკოტის ლექსიკონის თანახმად, ერთ-ერთი მისი მნიშვნელობა იდენტურია ლათინური ლოოუს (ადგილი); არის მისი სხვა მნიშვნელობებიც – „ქვეყანა“, „მიწა“ (ლათ. ღეგიო); „მიწის საკუთრება“ (აგერ), „ქალაქის კუთვნილი მიწა“ (რუს); ტერმინ „ხორას“ (χora) განაგრძობს ავტორი, თავისი მნიშვნელობებით უძველეს წარსულში მივყავართ; ის მრავალჯერ გვხვდება ჰომეროსთან „ილიადასა“ და „ოდისეაში“ ზოგჯერ „ადგილის“, ზოგჯერ „მიწის“, ზოგჯერ კი „ქვეყნის“ მნიშვნელობით; უფრო გვიანდელ ავტორებთან კი, განსაკუთრებით ქსენოფონტესთან, ყველაზე მეტად „სამიწო მფლობელობის“ და „მიწის ნაკვეთის“, „ქალაქის საკუთრებაში (კუთვნილი) მიწის“ „ადგილის“, „ადგილმდებარეობის“, „ველის“, „სოფლის“, „სოფლის ადგილის“, “უბნის“ მნიშვნელობით“.

დასახლების და სოციალურ ორგანიზაციათა აღმნიშვნელ უძველეს ქართველურ ტერმინებს ჩვენ ადრინდელ ნაშრომებში განვიხილეთ[3], სადაც ქართველური ენებისა და დიალექტების, ასევე კავკასიური და ძველაღმოსავლური ენობრივი მასალის საფუძველზე ტერმინების „ხორა-ხორიონის“ სემანტიკურ-ფონეტიკური მნიშვნელობის აღდგენის ცდაა მოცემული და ის ქართველურ, იბერიულ-კავკასიურ და მასთან მონათესავე ძველაღმოსავლური ხალხების კუთვნილებად მიგვაჩნია. კერძოდ, უძველესი ქართულ ლექსიკაში, როგორც ჩანს „გვარის“ და „საგვარეულოს“ აღმნიშვნელი ტერმინი იყო „სახლი“ და როგორც ივ. ჯავახიშვილი მიუთითებდა, გვხვდება „V-VI საუკუნეებში და ის გულისხმობდა როგორც თვით ნაგებობას, ესე ნაგებობაში მცხოვრებ ოჯახს და საგვარეულოსაც კი; ავტორისავე აზრით, „სახლში“ „სა“ თავსართი უნდა იყოს; ამას მეგრული და ჭანური შესატყვისი „ოხორე“ ცხადყოფს, სადაც ო- თავსართია და „ხორე“ ძირი[4]. მისივე აღნიშვნით, „სახლი მიწა-წყალსა და ადმინისტრაციული ერთეულის აღმნიშვნელ ტერმინადაც იხმარებოდა და რაკი გვარსაც ძველად სახლი რქმევია,

---

[1] Е. С. Голубцова, Сельская община в Малой Азии, М. 1972.

[2] Е. С. Голубцова, დასახ. ნაშრომი, გვ. 26-27.

[3] დ. ჭითანავა, დასახლების აღმნიშვნელ ზოგიერთ უძველესი ქართული ტერმინთა თავდაპირველი მნიშვნელობისათვის, კრ. ისტორიულ-ეთნოგრაფიული შტუდიები, თბ., 2003, ტ. VII, გვ. 178-209; მისივე, სოციალურ ორგანიზაციათა უღმნიშვნელ უძველეს ქართულ ტერმინთა ინტერპრეტაციისათვის, კრ. ისტორიულ-ეთნოგრაფიული ძიებანი. თბ. 2005, ტ. VII, გვ. 287-332.

[4] ივ. ჯავახიშვილი, მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიიდან, I, მშენებლობის ხელოვნება ძველ საქართველოში, თბ., 1946, გვ. 6-7.

ამიტომ ადმინისტრაციულ ერთეულთა ტერმინოლოგიაში ეს სიტყვა უეჭველია გვაროვნული წეს-წყობილების დროს უნდა იყოს შესული“[1].

ტერმინი „ოხორუ“ – „ოხორე“, რომელიც სამეგრელოში დასახლების ერთ-ერთი ძირითადი ერთეულის – კარ-მიდამოს“ აღმნიშვნელი სახელწოდებაა, უძველესი ლექსიკური ერთეული ჩანს და სწორედ ის მიგვაჩნია ჩვენ ქსენოფონტის „ანაბასისში“ მოხსენიებული *ცწრივონ ცწრივა* ფორმების იდენტურად, რომელიც იქ დასახლების გარკვეული სახეობა იყო.

მაშასადამე სამეგრელოს მაგალითზეც „ოხორე-მახორობა“ ნიშნავს არა მარტო საცხოვრებელ ნაგებობას და კარ-მიდამოს, არამედ მის შიგნით მცხოვრებ ნათესაურ გაერთიანებას მთლიანად, ანუ ოჯახს.

ტერმინი ხორა//ოხორუ//ხორი იდენტურია ქართული „სახლი“-სა, რომელიც როგორც ივ. ჯავახიშვილის ზემოთ წარმოდგენილი მითითებიდან გამოჩნდა, აღნიშნავდა არა მარტო საცხოვრებელ ნაგებობას, არამედ იქ მცხოვრებ მოსახლეობასაც, ე. ი. ოჯახს, ხალხს, გვარს და ის იმ დროის ტერმინი ჩანს, როდესაც პირველყოფილი გვარის დაშლის პროცესი უკვე სახეზეა და იქმნება მტკიცე ნათესაური ერთობა „ხორა“-ს ანუ „სახლი“-ს (გვარის) სახით.

ქართულ-ზანური ოხორე//სახლის იდენტური უნდა იყოს სვანური „ქორი“, რომელიც იქ სახლის ზედა სართულის აღმნიშვნელ ტერმინად შემოგვრჩა. განსხვავება ისაა, რომ ქართულ-ზანურმა ეს სიტყვა ძირეული ხ- მორფემით ალბათ უცვლელი ფორმით შეინარჩუნა[2].

ქართველური ოხორე//ხორ//სახლი//ქორ-იდან გავითარდა დასახლების და ფეოდალურ საქართველოში ადმინისტრაციულ-საგამგეო ერთეულთა ისეთი სახელწოდებები, როგორიც არის მუხური//სამოხიო//სახევისკაცო//სახეისკაცო//მეხევე//ხევი//ხეუ, რომლებიც ფონეტიკური და სემანტიკური მნიშვნელობით იდენტური ტერმინებია და აღნიშნავენ „კარ-მიდამოს“, „საცხოვრებელ ნაგებობას“, „ხალხს“ „სოფლის კუთხეს“, „დასახლების გარკვეულ მტკიცედ განსაზღვრულ ტერიტორიულ ერთეულს“; მათი მსგავსი ფონეტიკური შესატყვისობები მოგვეპოვება იბერიულ-კავკასიურ ენათა ლექსიკაში (ჩაჩნურ-ინგუშურში, აფხაზურ-ადიღეურში, დაღესტნურ-ნახურში) „ველის“, „მინდვრის“, „სახლის უფროსის“, „ტერიტორიის“, „ვაკის“, „დასახლების“, „სოფლის“ მნიშვნელობით. ლექსემებში – სამოხიო//სახევისკავო//სახეისკაცო//მეხევე//ხევი და მის მსგავს იბერიულ-კავკასიურ სიტყვებში (რომელთა აქ ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა. იხ. მითითებული ნაშრომი) ყველგან ძირეულია ხ-ელემენტი, რომელიც ასევე უნდა გვქოდეს ქართველურ, იბერიულ-კავკასიურ და მათთან მონათესავე (ხური-ურარტული) ეთნოტოპონიმიკურ დაბოლოებებში -ხი და –ხა სუფიქსების სახით, არა მარტო როგორც კუთვნილებისა და მრავლობითობის აღმნიშვნელად, არამედ როგორც ცალკე მდგომი გვაროვნული ეპოქის დროინდელი ლექსიკური ერთეული, და რომელიც, როგორც ენობრივი მასალის შედარებითი ანალიზის საფუძველზე გამოჩნდა, თავდაპირველად ნიშნავდა „ქვეყანას“, „მხარეს“, „მიწა-წყალს“, „გვარს“, „ტომს“, „ხალხს“, მაგალითად ეთნონიმ კოლხში რესპ.

---

[1] ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, თბ, 1928, ტ. II, გვ. 142.

[2] დ. ჭითანავა, დასახლების აღმნიშვნელი ზოგიერთ უძველეს ქართულ ტერმინთა თავდაპირველი მნიშვნელობისათვის, კრ., ისტორიულ-ეთნოგრაფიული შტუდიები, თბ., 2003, ტ. VII, გვ. 178-185.

„კოლხი“ -ხი ნიშნავს „ხალხს“, „გვარს“ – „კოლას გვარი“ რესპ. არკვეულ “ ერთ ტომობრივ-ნათესაურ კავშირს“, „ერთ მოდგმას“[1].

ასევე საინტერესოა სიტყვები ოხორე//სახლი გვარის გაგებით, რომელსაც მისი ეტიმოლოგიის საწყისთან მივყავართ და ვფიქრობთ, ის მატრიარქატის დროინდელი ტერმინია, თუმცა ამ უკანასკნელ გარემოებაზე აქ მსჯელობას არ გავაგრძელებთ.

ცნობილია, რომ საქართველოში (და მსოფლიოს მრავალ ხალხში) არსებობდა ოჯახის ისტორიული ფორმა, რომელსაც სამეცნიერო ლიტერატურაში „დიდი ოჯახი“ ანუ „საოჯახო თემი“ ეწოდება საქართველოში XIX საუკუნეში შემორჩენილი ოჯახის ამ ფორმას რომელიც ეთნოგრაფიული მასალით დასტურდება ჩვენ რა თქმა უნდა „გვაროვნულს“ ვერ ვუწოდებთ, მაგრამ ცხადია, რომ მრავალი თაობის ერთი გვარის სისხლით ნათესავები ერთ ჭერქვეშ ერთად ცხოვრობენ.

სწორედ ამ სახის სოციალური ერთობის, ანუ ერთ სისხლნათესაური ერთეულის, უფრო გვიანდელი „სახლი“-ს აღმნიშვნელი ტერმინი უნდა ყოფილიყო ქართველურ, იბერიულ-კავკასიურ და ძველაღმოსავლურ ეთნოტოპონიმიკურ მაწარმოებლად შემორჩენილი –ხი ლექსიკური ერთეული, რომლისგანაც ქართველური ენებისათვის დამახასიათებელი სუფიქსური წარმოებებით ჩვენ მივიღეთ თანამედროვე ლექსიკური ერთეულები სახლი//ოხორე//ქორ და მისგან ნაწარმოები დასახლების აღმნიშვნელი ტერმინები – მუხური//სამოხიო//სახევისკაცო//მეხევე//ხევი//ხე [2].

ხი-ს ადრინდელი დანიშნულება ასევე ნათლად ჩანს დღევანდელ ქართულ გვარსახელებში, ისეთებში, როგორიცაა კობა-ხია, კობა-ხი-ძე, კვინი-ხი-ძე, კომა-ხი-ძე, სხულუ-ხია, სხულუ-ხი-ძე, ბობო-ხი-ძე, ჩომა-ხია და სხვ. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ გვარსახელებს ადრინდელი ქართული სახელმწიფოს დროინდელად ვერ მივიჩნევთ, მაგრამ იმ პერიოდისათვის როდესაც ისინი ჩნდება და მათ ეძლევათ ოფიციალური სამართლებრივი სტატუსი, აქ –ხი სუფიქსის მნიშვნელობა მხოლოდ და მხოლოდ სუფიქსური მაწარმოებელი კი არ არის, არამედ ის მეტყველებაში შენარჩუნებული ცოცხალი სიტყვა ჩანს „გვარის“ ანუ ერთი სისხლითნათესაური ერთობის აღსანიშნავად. შემდგომში კი, როდესაც –ხი-ს მნიშვნელობა ვიწროვდება, როგორც ჩანს ის უბრალოდ მაწარმოებლად იქცა და მეტყველებამ ეს სიტყვა მიივიწყა, მას დაემატა ახალი, მაწარმოებელი – ძე. ხი- იმდენად ძლიერად შეუსისხლხორცდა ფუძეს, რომ „ძე“ წარმოებამ ის მაინც ვერ ამოაგდო და მივიღეთ ორმაგი წარმოება (ხი-ძე). თუმცა ხი-თავის დროზე უფრო ფართე სოციალური ერთეულის – გვარის აღმნიშვნელი იყო, ხოლო „ძე“ ამა თუ იმ პიროვნების უბრალოდ „აღწერილობით ძეობაზე“ მიუთითებს. ასევე აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ხი-ხა წარმოების მქონე ქართველურ ტომების სახელწოდებები პირდაპირ გვარსახელადაც იხმარება, მაგალითად მეს-ხია, მეს-ხი, მეს-ხი-შვილი, ჯავა-ხია, ჯავა-ხი-შვილი, ჯავა-ხა-ძე, ჯავა-ხი-ძე, მუს-ხ(ი)-ელ-ი-შვილი (მესხ-მესხი) და როგორც ენათმეცნირი გ. როგავა მიუთითებდა, „ხი“ ძველისძველი სუფიქსი ჩანს რომელიც მოქმედი ყოფილა მაშინაც, როცა დაიწყო ბერძენი და ქართველი ტომების შეხვედრა“[3]. ჩვენი აზრით, ეს სავსებით მართებული მოსაზრება კიდევ ერთხელ

---

[1] დ. ჭითანავა, დასახ. ნაშრომი, გვ. 197-200.

[2] დ. ჭითანავა, სოციალურ ორგანიზაციათა აღმნიშვნელ უძველეს ქართულ ტერმინთა ინტერპრეტაციისათვის, კრ. ისტორიულ-ეთნოგრაფიული ძიებანი, თბ., 2005, ტ. VII; გვ. 292.

[3] გ. როგავა, ზოგიერთი ქართული გვარის სუფიქსაციისათვის, კრ., ქუთაისის პედაგოგიური ინ-ის შრომები, ქუთ. 1955, ტ. XIII, გვ. 6-8.

მიუთითებს მის კავკასიურ და მათთან მონათესავე ძველაღმოსავლურ ენობრივ კუთვნილებაზე[1].

მაშასადამე, უნდა ვიფიქროთ, რომ ბუნებრივი და ხელოვნური დიხა-გუძუბები და გორა-სამოსახლოების სახელწოდება უნდა ყოფილიყო ხი//ოხორე//ხორი//ქორი, რომელი ტერმინიც ქართველურ-იბერიულ-კავკასიურ ერთობას და მათთან მონათესავე ძველაღმოსავლური არაინდოევროპული ეთნოსების კუთვნილებაა. მცირე აზიაში მისი გავრცელება კი მიუთითებს ძველაღმოსავლური და ქართველური ტომების უძველესი დროიდან ვრცელ ტერიტორიაზე ერთად მოსახლეობაზე. ოხორი-ხორ, რომლის ფუძეა –ხ უძველესი, მატრიარქატის დროინდელი ტერმინი ჩანს და ამ დასახლებების აღმნიშვნელად არა ხი-ს, არამედ ოხორი//ხორი-ს სახით უკვე ძვ. წ. V-IV საუკუნეებში არსებობა მიუთითებს (კოლხ ეთნონიმში უკვე ხი-ს არსებობა), რომ ქართველურ ტომებს უკვე I ათასწლეულზე უფრო დიდი ხნით ადრე გაუვლიათ გვაროვნული წყობა, კერძოდ, ვფიქრობთ, II ასაწლეულის დასაწყისში ეს პროცესი უკვე დასრულებული ჩანს. ამ პერიოდში უკვე არსებული დასახლებები არა პირველყოფილ-გვაროვნული, არამედ საგვარეულო და სახელმწიფოს არსებობის პერიოდშიც მოქმედი სათემო ფორმის უნდა ყოფილიყო. ამაზე დიხა-გუძუბების დასახლებათა განლაგებაც კი აშკარად მიუთითებს. აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ კოლხეთში ქალაქური ცხოვრება ბერძნების გამოჩენამდეც უნდა არსებულიყო, ამის საილუსტრაციოდ საკმარისია ქ. ფაზისის არქეოლოგიური ისტორია და სხვა დიხა-გუძუბების აღწერილობა, მაგრამ არანაკლებ საინტერესოა ძვ. წ. VI-V საუკუნეების ბერძენი ავტორის, ჰეკატეს მიერ ნახსენები ქალაქის სახელწოდება „ხოირადესი“, რომელიც მოსინიკების ქალაქი იყო და რომელსაც შემდგომ ქსენოფონტეც იხსენიებს კერასუნტის სახელწოდებით[2].

უფრო კონკრეტულად თუ რა ხასიათის დასახლებებს წარმოადგენდნენ სოციალური თვალსაზრისით კოლხური დასახლებები ძვ. წ. II ათასწლეულიდან მოყოლებული, ახალი ერის პირველ საუკუნემდე ამჯერად ვრცლად და ამომწურავად პასუხის გაცემა ძალზედ რთულია (მით უმეტეს პერიოდი მეტად ვრცელია), მაგრამ ამჯერად ჩვენი მიზანია დავსვათ საკითხი ამ მიმართულებით.

აღნიშნულია, რომ სოციალური თვალსაზრისით, აღნიშნული ძეგლები (საუბარია ძვ. წ. VI-V სს. დიხა-გუძუბებზე) უნდა წარმოადგენდნენ ე. წ. სასოფლო თემის სამოსახლოებს, რომლებიც წარმოიშვნენ გარკვეული ტომის გვაროვნულ დასახლებათა განვითარების საფუძველზე [3].

ბ. კუფტინი ფიქრობდა, რომ ამგვარ ბორცვ-გორაკებზე აღმოჩენილი ბათქაშით შელესილი ხის თიხატკეპნილიატაკიანი სახლები ცალკეულ გვაროვნულ-საოჯახო დასახლებებს წარმოადგენდნენ[4].

---

[1] დ. ჭითანავა დასახლების აღმნიშვნელ ზოგიერთ უძველეს ქართულ ტერმინთა თავდაპირველი მნიშვნელობისათვის, კრ. ისტორიულ-ეთნოგრაფიული ძიებანი, თბ. 2003, ტ. VII, გვ. 196-201; მისივე, სოციალურ ორგანიზაციათა აღმნიშვნელ უძველეს ქართულ ტერმინთა ინტერპრეტაციისათვის, კრ., ისტორიულ-ეთნოგრაფიული ძიებანი, თბ., 2005, ტ. VII, გვ. 292-293.

[2] М. П. Инадзе, Причерноморские города древней колхиды, Тб. 1968, გვ. 42, 52.

[3] გ. გრიგოლია, დასავლეთ საქართველოს საძიებო არქეოლოგიური ექსპედიციის 1969 წლის მუშაობის შედეგები, არქეოლოგიური კვლევა-ძიება საქართველოში, 1969 წელს, თბ., 1971, გვ. 20.

[4] Б. А. Куфтин, Материалы к археологии Колхиди, т. I, Тб. 1950, გვ. 172-174.

ა. ჯავახიშვილის აზრით, ეს სამოსახლოები ამგვარ დასახლებებს კი არა, არამედ დიდ, თუ შედარებით მომცრო ოჯახების ცალკეულ საცხოვრებლებს წარმოადგენდნენ. ამ განცალკევებულ საცხოვრებლებს (მათ ჯგუფს) სოფლური დასახლებები უნდა შეედგინათ. აქედან გამომდინარე, განაგრძობს ავტორი, კოლხეთში უნდა ვიგულისხმოთ სასოფლო თემები, რომლებიც ცალკეულ ოჯახთა ნათესაურ კავშირზე იყო დაფუძნებული [1].

გ. გამყრელიძე კი ფიქრობდა, რომ ძველი კოლხური (ბრინჯაოს და ადრერკინის სამოსახლოები) სოფელი ნათესაურ-კოლექტიურ დასახლებას წარმოადგენდა [2].

ე. გოგაძის დაკვირვებით, სხვადასხვა კულტურული ფენის მონაცემთა მიხედვით შეიძლება გარკვევით ვთქვათ, რომ საკუთრივ ბორცვული დასახლება თავისი შინასამეურნეო საქმიანობით კომპაქტურია და ძირითადად მცირე ტორიტორიითაა შემოფარგლული, ალბათ შეესატყვისება დიდი ოჯახის ან გვარის ერთი ნაწილის საზოგადოებრივ-ეკონომიკურ გაერთიანებას[3].

მ. ინაძის მასალებით, ნოსირ-მუხურის გათხრებმა დაადასტურა, გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანაში კოლხეთის დაბლობის მოსახლეობის მიერ შინამრეწველობისა და ხელოსნობის დარგების განვითარებაში მიღეწეული მაღალი დონე. განსაკუთრებით მაღალი ხარისხით გამოირჩეოდა იმდროინდელი კერამიკა[4]. ავტორისავე აზრით, გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ კოლხეთის დაბლობის სამოსახლო ბორცვზე მიწათმოქმედება და წარმოება რთულად წარსამართი იყო, ხოლო სამიწათმოქმედო ტექნიკა კი შედარებით დაბალი. ასეთ პირობებში სამეურნეო საქმიანობა აღემატებოდა ინდივიდუალური ოჯახის ძალას. ამიტომ საფიქრებელია, რომ ნამოსახლარი ბორცვების უმრავლესობა დიდი ოჯახებით იყო დასახლებული, კოლხეთის ეს სამოსახლოები, ჩანს, დიდ ოჯახებად უნდა წარმოვიდგინოთ. აქედან გამომდინარე ამ სამოსახლოებს „სახლი“ შეიძლება ვუწოდოთ (მეგრულად „ოხორი“, სხვანურად „ლახორ“ ანუ „ლალხორ“). ასეთი „სახლების“ კომპლექსური სახით ცალკე დასახლებები, მათი სამოსახლოების შემოზღუდვა არხებით, იმის ნიშანია, რომ ისინი დამოუკიდებელ სოციალურ ერთეულებს წარმოადგენენ[5].

უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ სახის მოსაზრებები არქეოლოგიურ ლიტერატურაში უამრავია, თუმცა არც ერთ მათგანში არ ჩანს ამ დასახლებების სოციალური წყობის ნათელი სურათი. არ არის განმარტებული თუ რას გულისხმობენ „საგვარეულო ოჯახის“, „გვარის“, „თემის“ ქვეშ.

აღნიშნულია, რომ „კლასობრივი საზოგადოება წარმოადგენს საზოგადოებრივი განვითარების ერთ-ერთ ძირითად ეტაპს. ეს განვითარება სამ ძირითად ეტაპს ითვლის;

---

[1] А. И. Джавахишвили, Строительное дело и архитектура поселений южного кавказа, V-III тис. до н. э. Тб. 1973, გვ. 359-360.

[2] გ. გამყრელიძე, ცენტრალური კოლხეთის ძველი ნამოსახლარები, თბ., 1982, გვ. 55.

[3] ე. გოგაძე, კოლხეთის ბრინჯაოსა და რკინის ხანის ნამოსახლარების კულტურა, თბ., 1982, გვ. 84.

[4] მ. ინაძე, ძველი კოლხეთის საზოგადოება, თბ., 1994, გვ. 20-21.

[5] მ. ინაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 22-23.

პირველყოფილი უკლასო საზოგადოება და განვითარებული უკლასო საზოგადოება წარმოადგენენ საზოგადოების განვითარების ძირითად ეტაპებს [1].

პირველ რიგში უნდა აღვნიშნოთ, რომ აქ გაუგებარია თუ რას ნიშნავს უკლასო საზოგადოება, როცა საუბარია კლასობრივზე, ან კიდევ რას გულისხმობს ავტორი „განვითარებულ უკლასო საზოგადოებაში“. ვფიქრობთ, მსგავსი ფორმულა და განვითარების ხაზი არ არსებობს და ის არ დასტურდება არც ერთ ხალხში. ასევე აღნიშნავენ იმასაც, რომ ნეოლითურმა რევოლუციამ, რომლის დროსაც ხდება გადასვლა მიწათმოქმედებასა და მესაქონლეობაზე, ლითონის დამუშავებაზე, შექმნა ადამიანი მიერ ადამიანის ექსპლუატაციის შესაძლებლობა და განსაზღვრა კლასობრივი განვითარების შემდგომ ეტაპზე – კლასობრივი საზოგადოების ეტაპზე გადასვლა[2]. მაგრამ განა მარტო მეურნეობის ფორმებმა განსაზღვრა კლასობრივ საზოგადოებაზე გადასვლა ანუ ე. წ. „ნახტომი“; კლასობრივი საზოგადოების წარმოქმნა ყოველთვის შინაგანი, ანუ ეკონომიკური განვითარების შედეგად არ ხდებოდა; ამის საილუსტრაციოდ შეიძლება მოვიყვანოთ სხვადასხვა ხალხთა განვითარების მაგალითები – გერმანელების, სლოვაკების, რუსეთის, რომლებიც უკლასო პირველყოფილი წყობიდან უცბად გადავიდნენ ფეოდალურ ფორმაციაში. აქვე შენიშვნის სახით აღვნიშნავთ, რომ ეს მიდგომაც ზოგადია, რადგან კლასები გვაროვნული საზოგადოების პირობებშიც კი არსებობს თავისებური ფორმით, რომელიც ზედა პალეოლითის დასასრულსაც, ხოლო ნეოლითში თავის პიკს აღწევს და ამ ყოველივეს განაპირობებს იმდროინდელი საზოგადოების შინაგანი ცხოვრების წესის სხვადასხვა ასპექტები.

აღნიშნულია, რომ პირველყოფილ თემური წყობილების უმთავრეს წინამღვარს წარმოადგენდა რეგულარულად დამატებითი პროდუქციის წარმოქმნა. დამატებითი პროდუქტის მიღების რეგულარულობამ, თუგინდ ყველაზე მინიმალურის, შექმნა რეალური შესაძლებლობა შრომის საზოგადოებრივი განაწილების, წარმოების პარცელიზაციის, ადამიანი მიერ ადამიანის ექსპლუატაციის, ერთი სიტყვით ეს ის მოვლენებია, რომელმაც საბოლოოდ მიგვიყვანა კლასობრივი საზოგადოების წარმოქმნამდე [3]. ამავე დროს გამახვილებულია ყურადღება იმაზე, რომ დამატებითი რეგულარული პროდუქტის წარმოქმნა ჩვეულებრივ უკავშირდება კარდინალურ ცვლილებებს პირველყოფილი მწარმოებლური კოლექტივების ეკონომიკაში. მათ შორის მნიშვნელოვანი იყო ნეოლითური რევოლუცია ანუ გადასვლა მიწათმოქმედებასა და მესაქონლეობაზე, რომელიც დასრულდა იოკუმენის ყველაზე მოწინავე რაიონებში [4]. პირველყოფილი საზოგადოების რღვევის ყველაზე უფრო მნიშვნელოვან ცენტრად მიჩნეულია წინა აზია, რომელმაც VII-V ათასწლეულებში შესძლო პირველყოფილ თემურ წყობილების რღვევა მესაქონლეობასა და მიწათმოქმედებაზე გასვლით[5]. თუმცა

---

[1] გ. მელიქიშვილი, კლასობრივ საზოგადოებათა ტიპოლოგიური და სტადიალური კლასიფიკაცია და უძველესი კლასობრივი საზოგადოების ხასიათის საკითხი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, ისტორიის სერია, თბ., 1971, №3, გვ. 105.

[2] გ. მელიქიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 105.

[3] А. М. Хазанов, Разложение первобытнообщинного строя и возникновение классового общества, Первобытное общество, М. 1975, გვ. 88.

[4] В. М. Массон, Средняя Азия и Древний Восток, М.-Л. 1964.

[5] А. М. Хазанов, დასახ. ნაშრომი, გვ. 88

აღნიშნულია ისიც, რომ მეურნეობის ახალი ფორმების გაჩენამ პირველ პერიოდში მიგვიყვანა მხოლოდ პირველყოფილი საზოგადოების გაფურჩქვნასა და გამტკიცებამდე[1].

პირველყოფილი საზოგადოების რღვევის და კლასობრივი წარმოქმნის ფაქტების შესახებ საინტერესოა ი. სემიონოვის მოსაზრება, რომელიც საკმაოდ კრიტიკულია საბჭოთა მეცნიერების მიმართ; კერძოდ ავტორის თქმით, „დღესდღეობით შესაძლოა საკმაოდ მყარად დამტკიცებულად ჩაითვალოს, რომ პირველყოფილი საზოგადოებიდან კლასობრივზე გადასვლა წარმოადგენს არა ერთდროულ აქტს, არამედ პროცესს, რომელიც მიმდინარეობს ასეულობით და ათასეულობით წლების განმავლობაში. მისივე აღნიშვნით, ეს ხანგრძლივი ისტორიული ეპოქა თავის დროზე გამოყოფილ იქნა ე. ფერგიუსონის მიერ ბარბაროსობის სახელწოდებით. ბარბაროსობა წარმოადგენს გარდამავალ პერიოდს ველურობიდან ცივილიზაციისაკენ. ამ ეპოქაში ისახება კერძო საკუთრება, ქონებრივი და სოციალური უთანასწორობა, საკუთრების სხვადასხვა ფორმები, ადამიანების რანგებად დაყოფა, ერთის ხელისუფლება მეორის მიმართ – თანამედროვე დროს ასეთი ურთიერთობები და პერიოდი წინაკლასობრივის სახელწოდებით არის ცნობილი. საბჭოთა მეცნიერებაში ენგელსსა და მორგანზე დაყრდნობით გვარის ფუნქცია წინ იყო წამოწეული და გვაროვნული კავშირები განიხილებოდნენ როგორც პირველყოფილი საზოგადოების საფუძველი. თანამედროვე ეთნოგრაფიული მონაცემებით ნათელი გახდა, რომ მცნებები „გვაროვნული ურთიერთობები“ და „პირველყოფილი ურთიერთობები“ ერთმანეთის თანმხლები არ არის. არსებობენ ხალხებში, რომლებშიც გვაროვნული ურთიერთობები მთლიანად გაჰქრა, მაგრამ ერთეულნი დარჩნენ განვითარების ადრეულ პირველყოფილ საფეხურზე (ბუშმენები, ხაზდა, კუბუ, ესკიმოსები და სხვ.); მეორე მხრივ ცნობილია ხალხები, რომლებმაც უკვე მიაღწიეს კლასობრივ საზოგადოებას, მაგრამ შეინარჩუნეს გვაროვნული წყობა, მათ შორის დედამთავრულიც კი. საბჭოთა მეცნიერებაში საოჯახო თემის და ნაწილობრივ საგლეხო თემის ბედი კაპიტალიზმის პირობებში განიხილებოდა, როგორც თემობრივი საკუთრებიდან კერძო საკუთრებაზე, პირველყოფილი საზოგადოებიდან კლასობრივზე გადასვლის მოდელი. ი. სემიონოვი ყოველივე ამას უარყოფს და აღნიშნავს, რომ პირველყოფილი საზოგადოებიდან კლასობრივზე გადასვლას ძალიან ცოტა საერთო ჰქონდა საოჯახო თემის დაშლასთან და საგლეხო თემთან კაპიტალიზმის პირობებში; ჯერ ერთი ის გრძელდებოდა უზარმაზარ ისტორიულ ეპოქაში, მეორე მხრივ ეს გადასვლა წარმოადგენდა არა დაშლის და ძველი სტრუქტურების დანაწევრების პროცესს, არამედ მათ მუდმივად ახლით გარდაქმნის პროცესს. პირველყოფილი თემი არ იშლებოდა, არამედ ნაბიჯ-ნაბიჯ ტრანსფორმირდებოდა სულ სხვა ტიპის თემად, პირველყოფილი საზოგადოებიდან კლასობრივზე გადასვლა წარმოადგენდა პირველ რიგში ახლის წარმოქმნის პროცესს – უფრო ზუსტად კლასების და სახელმწიფოსი. კლასების წარმოქმნას საფუძვლად ედო ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლუატაციის წარმოქმნა; რომ გავიგოთ თუ როგორ მიდიოდა პირველყოფილი საზოგადოებიდან კლასობრივზე გადასვლის პროცესი უნდა აღვადგინოთ თუ როგორ ხდებოდა ექსლუატაციის პროცესი“[2]. ავტორისავე აზრით, პირველყოფილი და წინაკლასობრივი საზოგადოების ეკონომიკის შესწავლამ

[1] Возникновение и развитие земледелия, М. 1967, გვ. 5.

[2] Ю. Н. Семенов, Переход от первобытного общества к классовому: пути и варианты развития (часть I), Этнографическое обозрение, М. 1993, №1, გვ. 52-54.

(ეკონომიკური ანთროპოლოგია) შეიძლება ნათელი მოჰფინოს კლასობრივი საზოგადოების წარმოქმნის პროცესს“[1].

ზემოთ წარმოდგენილ ავტორთა მოსაზრებებთან დაკავშირებით (რომლის მსგავსი და განსხვავებულიც უამრავია, თუმცა ამჯერად ამით შემოვიფარგლებით) უნდა აღვნიშნოთ, რომ აქ მხოლოდ საზოგადოების წარმოქმნის მატერიალისტური საწყისებზეა საუბარი – პროდუქტის განაწილება, ვიღაცის გამდიდრება, ვიღაცის გაღარიბება და ჩაგვრა ე. წ. ნეოლითური რევოლუცია, მესაქონლეობა, მიწათმოქმედება და ა. შ. რა თქმა უნდა ყოველივე ამან უდიდესი როლი შეასრულა ერთი საფეხურიდან მეორეში გადასვლის საქმეში, მაგრამ არა გადამწყვეტი, რადგან არსებობენ ხალხები, რომელთაც ყველა ზემოთ ჩამოთვლილი მატერია მშვენივრად აითვისეს და დაეუფლნენ, მაგრამ არ გააჩნიათ სახელმწიფო, არა აქვს საზღვრები, თუმცა ჰყავთ გვარის და თემის წინამძღოლები, რომელთაც პატივს სცემენ და ეთაყვანებიან. ამდენად სახელმწიფოს და ამა თუ იმ საზოგადოების თუ სოციალური ერთობის საკითხთა კვლევისას ჩვენ პირველ რიგში (სხვა ზემოთ ჩამოთვლილ ფაქტორებთან ერთად), უნდა გავითვალისწინოთ რელიგიის (რწმენა-წარმოდგენების) როლი. ვფიქრობთ, ქონების დაგროვების შედეგად ვერავინ ვერ მოიხვეჭდა ტომის ბელადის სახელს თუ ის პირველ რიგში არ იქნებოდა „ქურუმი“, რელიგიური გაგებით ამა თუ იმ საზოგადოებისათვის, ანუ ადამიანი, რომელმაც იცოდა წინაპრისაგან გადმოცემული ყველა სიბრძნე. ის უნდა ყოფილიყო ქურუმი არა მარტო თავისი სოციალური სტატუსით, არამედ ადამიანი, რომელიც „სასწაულებს“ ახდენდა; სწორედ ეს ძალა ანუ ბასილევსის მაგიური ძალა უბიძგებდა საზოგადოებას გამხდარიყო ერთიანი ერთი გარკვეული იდეის ირგვლივ გაერთიანებული. ესა თუ ის ქონება, რომელიც გააჩნდა ამ ადამიანს (კულტის მსახურს) იქნებოდა შემდომ საფუძველი სამხედრო ძალის შექმნისა, რომლითაც ის ძლიერდებოდა და გარშემო მყოფთ იმორჩილებდა. ვერ გავიზიარებთ ზემოთ წარმოთქმულ იმ მოსაზრებას (ი. სემიონოვი), რომ თითქოს გვარს და თემს არავითარი როლი არ უნდა შეესრულებინა საზოგადოების და კლასების წარმოქმნის საქმეში. სწორედ გვარი უნდა ყოფილიყო ის სოციალური ერთეული, რომლის თანდათანობით დაშლის შემდეგ იქმნება თემი. თავის მხრივ უკვე დაშლილი მონოგენური თემი-კი პოლიგენურად; ისიც თავის მხრივ იშლება და იქმნება სახელმწიფოს საფუძვლები. იქ სადაც თემი არ არის დაშლილი სახელმწიფოთ არ არსებობს. ამავე დროს ისმის საკითხი კონკრეტულად საქართველოს და კავკასიის მაგალითზე გვარისა და თემის სტრუქტურასთან დაკავშირებით. ცნობილია, რომ საქართველოს მაგალითზე ქართული სოფლები მონოგენურად იყო განსახლებული რომელიც თითქმის ბოლო დრომდე ცოცხლობს ყოფაში; ზოგიერთი ავტორი, ამ მოვლენას მიიჩნევდა (მ. კოვალევსკი) გვაროვნულ და პირველყოფილ თემურ წყობილებად, მსგავსი მიდგომები სავსებით სამართლიანად არის გაკრიტიკებული სამეცნიერო ლიტერატურაში, თუმცა ამ კრიტიკაშიც, ცალკეული მიდგომების თვალსაზრისით ბევრია სადაო[2], რაც ამჯერად ჩვენი კვლევის ფარგლებს სცილდება.

ივ. ჯავახიშვილის თქმით, I საუკუნემდე, წყაროების უქონლობის გამო, საქართველოს საზოგადოებრივი წყობილების შესახებ ვერაფერს ვიტყვით; I საუკუნიდან კი საქართველოს საზოგადოება გვაროვნულ საზოგადოებაზეა აშენებული. გვაროვნული წყობილება არის ის საფუძველი, რომელიც წარმოშობს ყველა ინსტიტუტს I-VII

[1] Ю. Н. Семенов, Экономическая антропология, Этнология в США и Канадэ, М. 1989.

[2] Г. А. Меликишвили, К характеристике социально-экономического строя раннеклассового общества грузинских горцев, Вестник древней истории, М. 1984, №1 (167), გვ. 27-50.

საუკუნეებში, დაწყებული მეფე-მამასახლისით და გათავებული სოფლის მამასახლისით ყველანი გვაროვნული წყობილების საფუძველზე არიან წარმოშობილნი. ამ საზოგადოების უმრავლესობა თავისუფალია, მაგრამ სოლიდარული ურთიერთობა მონობის სახით უკვე არსებობს. ასეთი მდგომარეობა გრძელდება VII საუკუნეებამდე. VII-VIII საუკუნეებში „მონობის“ ხსენება ქრება“, ხოლო IV საუკუნიდან ფეოდალური ურთიერთობა მტკიცდება და ამ საფუძველზე წარმოიშობა მეფის ხელისუფლება, რომელიც არსებითად განსხვავდება I-VII საუკუნეებში არსებული საგვარეულო წყობილების მეფე-მამასახლისის ხელისუფლებისაგან [1]. ივ. ჯავახიშვილის ამ მოსაზრებას სხვა ახსნა დაუპირისპირეს, კერძოდ აღნიშნულია, რომ „ივ. ჯავახიშვილი თავისი მსოფლმხედველობით მარქსიზმის წინა ხნის ისტორიკოსებს ეკუთვნის და რასაკვირველია, სახელმწიფოს წარმოშობის მარქსისტულ ახსნას ჩვენ მისგან არ მოველით“-ო[2]. გაუგებარია თუ რამ გააღიზიანა ამ სიტყვების ავტორი ივ. ჯავახიშვილის ზემოთ წარმოთქმულ მოსაზრებასთან მიმართებაში; როგორც ჩანს მის მიერ ნახმარმა სიტყვა „გვაროვნულმა წყობილებამ“, თუმცა ივ. ჯავახიშვილის სიტყვებში ჩვენ ვერ ვხედავთ ვერავითარ შეცდომას, რადგან ავტორი სხვა ადგილას ძალზედ მკაფიოდ აღნიშნავს, რომ „ქართული სოფლები უძველეს დროში „გვაროვნებათა მიხედვით“ უნდა ყოფილიყო დასახლებული“ [3]. ივ. ჯავახიშვილი აქ გულისხმობს არა პირველყოფილ გვარს, არამედ საგვარეულო ანუ მონოგენურ სოფელს, რომელი ტრადიციაც დღესაც ნარჩუნდება ქართულ სოფელში (რა თქმა უნდა მეტ-ნაკლებად); ის არ არის გვაროვნულობის გამომხატველი და მისი პირველყოფილ-გვაროვნული წყობისგან გარჩევა არც თუ ისე ძნელია. ასეთივე მიდგომითაა განსახილველი ტერიტორიული თემის სტრუქტურაც, რომელიც საქართველოს ბარსა და მთაში თითქმის ბოლო დრომდე ცოცხლობს. კერძოდ სამეზობლო თემის განვითარების ეტაპები თანაეტაპებად უნდა დაიყოს. უფრო მართებულია გავიზიაროთ ის მიდგომა, რომ სემეზობლო თემის განვითარების ეტაპები ორი მიმართულებით იქნას წარმოდგენილი: ერთი „პირველყოფილი მეზობლური (ე. ი. ისეთი, რომელიც არსებობს განვითარების დაბალ საფეხურზე მყოფ ხალხებში – დ. ჭ.) და მეორე „კლასობრივი საზოგადოების სამეზობლო თემი“[4]. დაუშვებლად მიგვაჩნია ისეთი მიდგომა, როგორც მაგალითად ჩანს რ. ხარაძის შემდეგ სიტყვებში – „სოფლის განსახლებაში გვაროვნული ხასიათის გადმონაშთები თანდათანობით ისპობოდა და ამის ნაცვლად იქმნებოდა მეზობლური ურთიერთობებისაგან შემდგარი გაერთიანებებით განმტკიცებული უცხო გვარებისაგან შემდგარი გაერთიანებები“ [5]. ეს შეცდომაა და ვფიქრობთ, რომ გვაროვნული ურთიერთობით განმტკიცებული უცხო გვარებისაგან შემდგარი გაერთიანებების წარმოქმნა კლასობრივი საზოგადოების პირობებში გვაროვნული ხასიათის გადმონაშთების თანდათანობით მოსპობა კი არ იყო, რამდენადაც სოფლის „გვაროვნებათა მიხედვით განსახლება“ (და არა გვაროვნული) სრულდებით არ ნიშნავს გვაროვნული ხასიათის დასახლებას და გვაროვნული სახის გადმონაშთების აღმოჩენის

---

[1] მითითებულია ივ. სურგულაძის ნაშრომიდან, სახელმწიფოს წარმოშობა საქართველოში, თბ., 1951, გვ. 19.

[2] ივ. სურგულაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 19-20.

[3] ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, თბ. 1928, წ. II, ნაკვ. I, გვ. 115.

[4] იხ. Л. Б. Алаев, Сельская Обшина в северной индии, М, 1981, გვ. 11; იხ. დ. ჭითანავა, სამეზობლო თემის ერთი სახეობის შესახებ სამეგრელოში, კრ. ისტორიულ-ეთნოგრაფიული ძიებანი, თბ., 2003, ტ. V, გვ. 406; მისივე ტერიტორიული თემი სამეგრელოში, კრ. ისტორიულ-ეთნოგრაფიული შტუდიები, თბ., 2004, ტ. VII.

[5] რ. ხარაძე, თემური მმართველობის გადმონაშთები ხევში, ისტორიის ინ-ტის შრომები, თბ. 1959, ტ. IV, ნაკვ. 2, გვ. 178.

შანსი უმრავლეს შემთხვევაში მინიმალურია. მეორე მხრივ პოლიგენური დასახლების წარმოქმნის მიზეზები გვაროვნული საზოგდოების უკვე კარგა ხნის დაშლის შემდგომ არსებულ ფორმაციებში უნდა ვეძებოთ.

ქართული სოფლის დასახლებასთან მიმართებაში საყურადღებოა ტერმინ „პატრონიმიის“ ქვეშ ნაგულისხმევი სოციალური ერთეული, რომლის განმარტება პირველად ვრცლად მ. კოსვენმა შემოგვთავაზა და ის შემდეგი სახის არის – „პატრონიმია (ლათინურიდან – პატერ - მამა და ნომენ - სახელი, ე. ი. სახელწოდება მამის მხრიდან) ისტორიული, საზოგადოებრივი ფორმაა, დამახასიათებელი პატრიარქალურ-გვაროვნული წყობისათვის, ის წარმოადგენს დიდ ან მცირე ოჯახთა ჯგუფს, რომელიც წარმოქმნილია ერთი პატრიარქალური საოჯახო თემის გაზრდის შედეგად და მას ამა თუ იმ ფორმით შენარჩუნებული აქვს მეურნეობრივი, საზოგადოებრივი და იდეოლოგიური ერთიანობა, რომლებიც ატარებენ ერთი პატრონიმიული ანუ ოჯახის უფროსის საკუთარ სახელს“[1].

„პატრონიმიის“ და „პატრონიმიული ორგანიზაციის“ ამოსავალი ფაზებისა და სტრუქტურის შესახებ მეტად ფართო ლიტერატურა არსებობს. ავტორთა უმრავლესობა კოსვენისეულ სქემას უჭერდა მხარს, ზოგიერთმა მეცნიერმა კი ეს კონცეფცია მკაცრი კრიტიკის და პოლემიკის საგანი გახადა. ზოგი კი მას მეორეხარისხოვან ინსტიტუტად მიიჩნევდა[2], ზოგი კი განვითარების ამ ხაზს საერთოდ არ იხსენიებს სოციალურ ორგანიზაციათა სტრუქტურის კვლევისას[3], მ. კრიუკოვმა, ტერმინი „პატრონიმია“ ნათესაობის მატერიალური ხაზის მქონე ხალხების მიმართ შეუსაბამოდ მიიჩნია და მის აღსანიშნავად შემოგვთავაზა მიორდოკის მიერ ნახმარი ტერმინი „კლანი“-ს გამოყენება[4]. მ. კრიუკოვის სტატიას გამოეხმაურა ნ. ა. კისლაკოვი[5] და პატრონიმიის კოსვენისეული სქემის ძირითად მომენტებს დაუჭირა მხარი, თუმცა პატრონიმია მან გვიანდელი მოვლენად მიჩნია და თვით ტერმინის გამოყენება უმართებულოდ ჩათვალა ზოგიერთმა მკვლევარმა კოსვენის სქემის თითქმის ყველა ასპექტს დაუჭირა მხარი[6]. ალ. რობაქიძემ კი პატრონიმია, მხოლოდ და მხოლოდ საოჯახო თემის ან მისი გადმონაშთური ფორმის ოჯახის დაშლის შედეგად წარმოქმნილად მიიჩნია[7], ხოლო ი. გოგინაშვილმა, პატრონიმიის დამოუკიდებელი სოციალური ფუნქციის მქონე ერთეულად გაგება არამართებულად ჩათვალა და მას უბრალოდ „გენეალოგია“ უწოდა[8], ნ. მგელაძემ და ნ. მასანოვმა, პატრონიმიის გენეზისის საკითხებზე სრულიად ახალი თეორიული

---

[1] М. О. Косвен, Семейная община и патронимия, М. 1963, გვ. 97.

[2] Н. А. Кисляков, Рецензия на книгу М. О. Косвена, «Семейная община и патронимия», Советская Этнография, М. 1965, №6.

[3] Д. А. Олдерогге, Иерархия родовых структур и типы большесемейных домашних общин, Социальная организация народов Азии и Африки, М. 1975.

[4] М. В. Крюков, О соотношении родовой и патронимической (клановой) организации, Советская Этнография, М. 1967, №6.

[5] Н. А. Кисляков, По поводу статьий М. В. Крюкова, «О соотношении родовой и патронимической (клановой) организации, Советская этнография, М. 1968, №1.

[6] Н. А. Бутинов, Община, семья, род, Советская этнография, М., 1968, №1.

[7] А. И. Робакидзе, Особенности патронимический организации народов горного Кавказа (в связи с вопросами о соотношении рода и семьи), Советская этнография, М. 1968, №5.

[8] ი. გოგინაშვილი, ნათესაობის სისტემა აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, თბ., 1991.

მიდგომები შემოგვთავაზეს და მას „ლინიჯთა“ ერთობლიობა უწოდეს, ასევე მისი ლოკალურობის საკითხიც ეჭვქვეშ დააყენეს[1].

ამდენად პატრონიმიის და პატრონიმიული ორგანიზაციის სტრუქტურისა და გენეზისის საკითხთან დაკავშირებით უამრავი ახალი მოსაზრება გაჩნდა, მაგრამ თითოეული მათგანი, ვფიქრობთ, მოკლებულია მყარ არგუმენტაციას, რაც ფაქტობრივი მასალის ვრცლად განზოგადების გარეშე იყო გაკეთებული. ამჯერად ჩვენს მიზანს არ წარმოადგენს ზემოთ წარმოდგენილი შეხედულებების დეტალური განხილვა და ის ცალკე კვლევის საკითხია (ეთნოგრაფიულ მონაცემებზე დაყრდნობით სამეგრელოს მაგალითზე, ჩვენ გვაქვს ამ საკითხზე გამოქვეყნებული ნაშრომი[2]). ამჯერად კი მოკლედ აღვნიშნავთ, რომ განვითარებული გვაროვნული ურთიერთობების პირობებში და ნაწილობრივ კლასობრივი საზოგადოების დასახლებებში, „გვარი“ ძირითადი სოციალურ-ეკონომიკური ერთეული იყო. რაც შეეხება თვითონ ტერმინ „პატრონიმიას“, ის ჩვენ შეუსაბამოდ მიგვაჩნია ნათესაობის „პატრილინეური“ და „მატრილინური“ ხაზის არსებობის გამო; ამ სოციალური ერთეულის აღსანიშნავად, შესაძლებლად მიგვაჩნია, ტერმინ „კლანი“-ს ან „ლინიჯი“-ს გამოყენება, თუმცა არა იმ გაგებით როგორც ამას ზოგიერთი ავტორი ხმარობს (მიორდოკი, მგელაძე, მასანოვი); მიგვაჩნია, რომ ერთი სისხლითნათესაური ერთობა არა თუ გვიანდელი მოვლენაა, არამედ ის გვარის შიგნით არსებული უძველესი სოციალური ერთეულია, როგორც გვაროვნულ, ისე კლასობრივი საზოგადოების „საგვარეულო“ დასახლებებში. ის პირველ რიგში ნათესაურ ერთობაა და არა მეურნეობრივი (თუმცა გარკვეულწილად ეს ფუნქციაც აკისრია მონოგენულ დასახლებაში); ის გვარის შიგნით მოქმედი ლოკალური ერთეულია, რომლის ძირითადი განმსაზღვრელი ფაქტორი ჩვენი აზრით(როგორც გვაროვნულ ეპოქაში, ისე დღევანდელი ტიპიურ მონოგენური სოფლის შიგნით, სადაც უამრავი ასეთი ლოკალური ერთეული გამოიყოფა), არის იდეოლოგიური ერთიანობა, რაც საერთო წინაპრიდან წარმომავლობის გაცნობიერებაში და ერთიანი სალოცავის არსებობაშია გამოხატული.

ვფიქრობთ, ძვ. წ. აღ. II ათასწლეულიდან მოყოლებული კოლხური დიხა-გუძუბების თუ ბუნებრივი ბორცვ-გორაკების დასახლებები დიდ საგვარეულო დასახლებებს წარმოადგენდნენ, რომელშიც გვარის დაშლის პროცესი შორს ჩანს წასული, რამდენადაც ერთი გენეალოგი ერთობის ფარგლებში ამგვარი დასახლების გამართვა უბრალოდ შეუძლებელია. თითოეულ დიხა-გუძუბაში უნდა ეცხოვრა რამდენიმე მონათესავე საოჯახო თემს ანუ რელიქტის სახით სამეგრელოში ოჯახის აღმნიშვნელად შემორჩენილ „თი“-ს და მისგან ნაწარმოები, თურის“ მსგავს სოციალურ ერთობას. ეს რამოდენიმე მონათესავე „თი“ ანუ დიდი ოჯახი ქმნიან დიხა-გუძუბების დასახლების სოციალურ სურათს. მსგავსი განსახლება სრულიად არ ნიშნავს იმას, რომ იმ დროის დასახლებები ჩვენ პირველყოფილ გვაროვნულ დასახლებებად მივიჩნიოთ, არამედ, როგორც ჩანს იქ არსებობს უკვე საკმაოდ მყარი სოციალური ერთეული. თითოეული დიხა-გუბუძა, რომელიც მონათესავე გვართა დასახლებას წარმოადგენდა, ემეზობლებოდა ერთ ან რამოდენიმე მსგავსადვე განსახლებულ დიხა-გუძუბას, რომელთა ერთიანობას აქ უნდა შეექმნა თემი, როგორც ტერიტორიულ მეზობლური ანუ პოლიგენური ერთეული და რომელიც ქმნიდა ერთიან თავდაცვით სისტემას. თავის მხრივ ეს თემიც უნდა დაშლილიყო, რასაც შემდგომი განვითარების შედეგად სახელმწიფოს წარმოქმნისკენ მივყავართ. როგორც თითოეულ დიხა-გუძუბას, ისე საერთოდ თემს უნდა ჰქონოდა, როგორც ცალ-ცალკე, ისე საერთო მმართველობის სისტემა, რომლის მეშვეობით მყარდებოდა კავშირი სახელმწიფოს უმაღლეს

---

[1] ნ. მგელაძე, ნ. მასანოვი, სოციალურ ორგანიზაციათა ტიპოლოგიისა და მოდელირების თეორიული და მეთოდოლოგიური პრობლემები, კრ., კულტუროლოგიური და ისტორიულ-ეთნოგრაფიული ძიებანი საქართველოში, თბ. 1986, ტ. I.

[2] დ. ჭითანავა, პატრონიმია და გვარი სამეგრელოში, კრ. ისტორიულ-ეთნოგრაფიული შტუდიები, თბ., 2002; ტ. V.

ხელისუფალთან. მათ უნდა ჰქონოდათ როგორც ცალ-ცალკე, ისე საერთო სალოცავი და სხვა.

სწორედ ეს დიხა-გუძუბები გახლავთ ის უძველესი და საკმაოდ მძლავრი ძველი კოლხური თავდაცვითი სისტემა, რომლის დასახლების ფორმა (ტოპოგრაფიისა და სხვა გარეგნული ნიშნების თავისებურებანი) და ტიპი (დასახლების სოციალურ-ეკონომიკური სხვაობანი) ჩვენ შევეცადეთ მოკლედ გვეჩვენებინა; მასთან დაკავშირებით ზემოთ წამოჭრილი უამრავი ისტორიულ-ეთნოლოგიური ხასიათის პრობლემები უფრო ღრმა კვლევას მოითხოვს, რაც ზოგადთეორიული მიდგომების გარდა ახალ არქეოლოგიური აღმოჩენების გარეშე შეუძლებელია.

თავი II

სამეგრელოს ტერიტორიაზე არსებული ძველი კოლხეთის და ეგრისის სამეფოს ქალაქების და ციხე-სიმაგრეთა ლოკალიზაციისათვის

1. „ეგროსის“ ქალაქი „ეგრისი“[1]
2.

ლეონტი მროველი, ქართველთა მითიური წინაპრების წილხვდომილი ქვეყნების დახასიათებისას აღნიშნავს, რომ „ხოლო ეგროსს მისცა ქუეყანა ზღჳს ყურისა, და უჩინა საზღვარი: აღმოსავლით მთა მცირე, რომელსაცა აწ ჰქჳან ლიხი; დასავლით ზღუა; [ჩრდილოთ] მდინარე მცირისა ხაზარეთისა, სადა წარსწუთების წუერი კავკასისა. ხოლო ამან ეგროს აღაშენა ქალაქი და უწოდა სახელი თჳისი ეგრისი, აწ მას ადგილსა ჰქჳან ბედია“[2].

ლეონტი მროველის ზემოთ წარმოდგენილ აღწერილობაში ჩვენთვის ამჯერად საინტერესოა ქალაქ ეგრისის ადგილმდებარეობა, რომელსაც ის ბედიასთან ათავსებს. წყაროს ამ ცნობაზე სათანადო ყურადღება გაამახვილა თ. ბერაძემ და ჩვენი აზრით, სავსებით დამაჯერებელი არგუმენტაციით მიუთითა, როგორც ლეონტი მროველთან, ასევე სხვა წყაროებში (არქ. ლამბერტი, ვახუშტი ბატონიშვილი), ბედიასთან ქალაქ ეგრისის იგივეობის უმართებულობა. უპირველეს ყოვლისა აქ დადგა საკითხი ეგრისწყლის ლოკალიზაციასთან დაკავშირებით, რის შესახებაც ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში სამი ურთიერთსაწინააღმდეგო მოსაზრება დაფიქსირდა. ერთნი მას მდ.

---

[1] გამოქვეყნებულია ცალკე სტატიად, იხ. დ. ჭითანავა, „ეგროსის“ ქალაქ „ეგრისის“ ლოკალიზაციისათვის, კრ. ისტორიულ-ეთნოგრაფიული ძიებანი, ტ. XI, თბ., 2009.

[2] ქართლის ცხოვრება, ტ. I, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1955, გვ. 5.

ენგურად მიიჩნევდნენ (მ. ბროსე, თ. ჟორდანია, ს. კაკაბაძე, გ. გუნბა), მეორენი მდ. ოხოჯედ (ივ. ჯავახიშვილი), მესამენი მდ. ღალიძგად (პ. ინგოროყვა)[1].

თ. ბერაძის აზრით, ეგრის წყალი ხელოვნურ-ლიტერატურული ხასიათის წარმოებაა, მისივე აღნიშვნით, ის უცხოა მეგრულისათვის; ავტორი, ეგრისის წყალს მდ. ენგურთან აიგივებს და ამ პუნქტის (ეგერა) არსებობასაც მის სანაპიროებთან ვარაუდობს[2], ასევე ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ლეონტი მროველის აზრით, ეგრისი (ქალაქი) წარმოადგენს ტომის ცენტრს ადრეანტიკურ ხანაში, რომელიც დღევანდელ სამეგრელოში მდებარედ მიაჩნია. მისივე აღნიშვნით, შემთხვევითი არქეოლოგიური აღმოჩენები მოწმობენ, რომ ენგურისპირეთი მართლაც დაწინაურებული ყოფილა ადრეანტიკურ ხანაში[3].

ჩვენ სავსებით ვიზიარებთ ზემოთ წარმოდგენილ მოსაზრებას მდ. ენგურის ეგრის წყალთან იგივეობის შესახებ და იმასაც, რომ ქალაქი ეგრისი სწორედ ეგრის წყალთან (ენგურთან) არის საძებნი, თუმცა თ. ბერაძე დასაშვებად მიიჩნევს ეგრისის ციხის ზუგდიდთან იგივეობას[4]; ავტორს, ეს მოსაზრების დონეზე აქვს წარმოთქმული, რაც, ვფიქრობთ, დღეს არსებული მასალების მიხედვით არ დასტურდება, რადგან თვითონ ზუგდიდში არანაირი ციხე-სიმაგრის ნაშთი არ არსებობს და არც ხალხურ გადმოცემებშია რაიმე ინფორმაცია მის შესახებ.

საკითხთან დაკავშირებით ჩვენი ყურადღება მიიქცია ი. რაინეგსის მეტად საყურადღებო ცნობამ (რაინეგსი საქართველოში იმყოფებოდა XVIII ს-ის 80-იან წლებში), კერძოდ, მისი თქმით, „რუხიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით შვიდ ვერსზე, ენგურის მარცხენა ნაპირზე არის ქალაქი ეგრისი ანუ ეგერია, სამეგრელოს ყველაზე მძლავრი და დიდი ციხე. ის კარგადაა ნაშენი და დასახლებული. მისგან მიიღო მთელმა ქვეყანამ თავისი სახელი[5].

მნიშვნელოვანია ის გარემოებაც, რომ რაინეგსის მიერ აღწერილი ქალაქი ეგრისი, მის დროს დასახლებულია, ანუ XVIII საუკუნის ბოლოს, ხოლო სულ ცოტა ხანში ის გავერანებული ჩანს, რადგან ვფიქრობთ იგივე ქალაქი უნდა იყოს მოხსენიებული უკვე XIX ს-ის პირველ ნახევარში მორის ვაგნერის მიერ, კერძოდ, წყაროში აღნიშნულია, რომ „ზუგდიდის ჩრდილოეთით, მისგან ახლოს არის ძველი ქალაქის ნანგრევები, რომლის წარმოშობა და ისტორია სრულებით უცნობია“[6]. ამავე დროს მნიშვნელოვნად მიგვაჩნია კასტელის მიერ მოხსენიებული ქალაქი „აგერ ლუდიტი“, რომელსაც ის „სამეგრელოს მეფის სოფელში მდებარე სახლად“ მოიხსენიებს; აგერში აღნიშნული აქვს მრავალი დიდი ზომის სახლი და ეკლესია. „აქ ხდება ორთაბრძოლა და წყდება სამართალ-საჩივარი ამ ეკლესიაში... ამ სამეფოში“[7].

---

[1] თ. ბერაძე, ოდიშის ისტორიული გეოგრაფიიდან, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული, ტ. III, თბ., 1967, გვ. 132-139

[2] თ. ბერაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 140-141

[3] თ. ბერაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 141.

[4] თ. ბერაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 135

[5] ი. რაინეგსი, მოგზაურობა საქართველოში, გერმანულიდან თარგმნა, შესავალი და საძიებლები დაურთო გ. გელაშვილმა, თბ., 2008, გვ. 121.

[6] მორის ვაგნერი საქართველოს შესახებ, გერმანული ტექსტი თარგმნა, შესავალი, კომენტარები და საძიებლები დაურთო გ. გელაშვილმა, თბ., 2002, გვ. 143.

[7] დონ ქრისტეფორე დე კასტელი, ცნობები და ალბომი საქართველოს შესახებ, თბ., 1977, გვ. 172.

ჩვენს მიერ ადგილზე იქნა დათვალიერებული თითქმის მთელი ენგურის ხეობის მარცხენა და მარჯვენა სანაპირო (აფხაზეთის სოფლების გამოკლებით მარჯვენა მხარეს). რაინეგსის ცნობიდან გამომდინარე, ჩვენი ყურადღება მიიქცია ზუგდიდის ჩრდილოეთით და რუხის ციხიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით დაახლოებით 7-8 კილომეტრში, ზუგდიდ-წალენჯიხის სამანქანო გზის მარცხნივ, მდ. ენგურის მარცხენა მხარეს დაახლოებით 5-6 კილომეტრში, სოფ. კორცხელში (ზემო ბაში) მდებარე უზარმაზარ ტერიტორიაზე, დაახლოებით 4-5 ჰექტარზე გაშლილმა ციხე-სიმაგრის გალავნის ნაშთებმა. მას ადგილობრივები „ჩიჟიშ-კარის“ სახელით იცნობენ. აქ დაახლოებით სამი ჰექტრის გაყოლებაზე არის გალავნის და სხვადასხვა მშენებლობის ნაშთები. მას ჩვენი დათვალიერებით სავარაუდოდ აქვს 4 კოშკი; ზოგან ნაგებია რიყის ქვით (უმთავრესად) კირის დუღაბზე, საძირკველში შეინიშნება უფრო ძველი სამშენებლო ფენა, რომელიც რიყის ქვის არ არის. დღეს კედლების ძირითადი ნაწილი ჩამონგრეულია, განსაკუთრებით ჩრდილოეთის მხარეს. ეს ციხე-სიმაგრე თავისი მდებარეობით დასავლეთით და სამხრეთ-დასავლეთით აკონტროლებს მთელი ენგურის ხეობას, საიდანაც მისვლა შეუძლებელია. აღმოსავლეთის გარკვეულ ნაწილზე და ჩრდილო-აღმოსავლეთითაც ციხე მიუდგომელია, მისვლა შეიძლება აღმოსავლეთის და სამხრეთის მცირე მონაკვეთზე. დღეს ციხის ტერიტორიაზე მოსახლეობს სამი ოჯახი. ეს ციხე-სიმაგრე XVIII საუკუნეში შეიძლება მოქმედი ყოფილიყო როგორც ქალაქი და არა უბრალოდ ციხე; ის დიდ სივრცეზეა გაშლილი და ჩვეულებრივი თავდაცვითი ნაგებობის შთაბეჭდილებას არ ტოვებს.

ვფიქრობთ, ეს უნდა იყოს ეგრისის ქალაქი ანუ რაინეგსის მიერ მოხსენიებული „ეგერია“, რომელიც მის დროს, ანუ XVIII საუკუნის დასასრულამდე მაინც და სავარაუდოდ XIX საუკუნის დასაწყისში ჯერ კიდევ მჭიდროდ დასახლებული ქალაქი ყოფილა. რაინეგსის მიერ მისი „ეგერია“-დ მოხსენიება არ უნდა იყოს შემთხვევითი, რადგან მის დროს ალბათ ჯერ კიდევ არსებობდა ზეპირი გადმოცემა ამ ქალაქის სახელის შესახებ ან კიდევ შესაძლოა მისი იმ დროსაც ცოცხალი სახელწოდება ყოფილიყო. რაინეგსის მიერ მითითებული ადგილიც, ანუ რუხის ციხიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით 7 კილომეტრი, თითქმის ზუსტად ემთხვევა დღევანდელი ჩიჟიშკარის ციხის მდებარეობას; ამ ვერსიის უფრო დამაჯერებელი არგუმენტებით დადასტურება ალბათ მომავალში არქეოლოგიური გათხრების შედეგად გახდება შესაძლებელი.

2. აია-კუიტაია

კუიტაია, როგორც კოლხეთის ქალაქი, პირველად იხსენიება ელინისტური ხანის, ძვ. წ. III საუკუნის პოეტებთან – ლიკოფრონ ქალკიდელთან, კალიმაქესთან და აპოლონიოს როდოსელთან[1].

[1] ა. ურუშაძე, ძველი კოლხეთი არგონავტების თქმულებაში, თბ., 1964 გვ. 494

ლიკოფრონის (დაბ. ძვ. წ. 330/325) ცნობით, „მოგვითხრობენ, რომ სიკვდილის შემდეგ აქილევსმა ნეტართა კუნძულებზე შეირთო მედეა, აიეტესის ასული. მედეას [ეწოდება] კუტაიელი, ხოლო კუტე კოლხიდის ქალაქია“[1].

აპოლონიოს როდოსელის (ძვ. წ. აღ. III საუკუნე) პოეტურ ქმნილება „არგონავტიკაში“ მოხსენიებულია „კუტაია“, რომელსაც ის ამ სახით აღწერს:

„იქ, კუტაიის მიწაზე მოჩქეფს, ამარანტების თეთრი მთებიდან

და კირკეონის ველზე მდინარი შორით მოსული, შორეულ ზღვაში

ზვირთთა შრიალით ჩადის ფაზისი, ტრიალებს მისთა მორევთა წყება.

გემს ამ მდინარის დიდ შესართავში რომ შეაცურებთ, თქვენ იქ იხილავთ

არესის ჭალაკს, კოშკსა და ქალაქს კუიტაიელი აიეტისას“[2].

აპოლონიოს როდოსელთან აია ქვეყნის სახელწოდებითაც გვხვდება:

„კოლხეთი – აია ხომ კიდეშია, სადაც თავდება ზღვა და ხმელეთი![3]“

მისი პოემის სხვა ადგილას კი აია უკვე ქალაქი ჩანს:

„არგონავტების მფარველმა ჰერამ ნისლით დაფარა მთელი მიდამო.

ჯანღით დაბურა ქალაქი ეაც, რომ სასახლემდე ევლოთ ფარულად,

კოლხთა მრავალი ათასიანი ხალხის თვალისთვის შეუმჩნეველთა.

მაგრამ როგორც კი ველი გალიეს, აიეტ მეფის ჭიშკრებს მიადგნენ,

ანაზდეულად გაფანტა ჰერამ ჯანღი, ქალაქზე ჩამოწოლილი,

და შესცქეროდნენ გაოცებულნი კოლხთა მბრძანებლის მზიურ სასახლეს,

ციხეს, გალავანს, ფართო კარიბჭეს და მშვენიერი სეტების სარტყელს,

კედლებს გარშემო რომ ევლებოდა მოჩუქურთმებულ, მჭიდრო რკალადა.

სასახლის ზემოთ, ლავგარდის თაზე, მყარი სპილენძის მძიმე ფილებზე

აღმართულიყო ქვის კოხტა კოშკი, დიდოსტატური ზრუნვით ნაგები.

იაზონმა და მისთა მხლებელთა ზღურბლზე უსიტყვოდ გადააბიჯეს.

ვაზის ლერწები მწვანე გვირგვინად დახვეულიყვნენ, შეფოთლილები;

დრო იყო ვაზის ყვავილობისა, აღმა ასული ამკობდა სვეტებს,

დაბლა კი ოთხი მარად უშრობი წყარო შადრევნად მოჩუხჩუხებდა“[1].

---

[1] თ. ყაუხჩიშვილი, ბერძენი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტ. IV, თბ., 1980, გვ. 56.
[2] აპოლონიოს როდოსელი, არგონავტიკა, თარგმანი და შესავალი წერილი აკაკი გელოვანისა. რედაქცია, ნარკვევი, შენიშვნები და საძიებელი აკაკი შანიძისა, თბ., 1975, გვ. 91.
[3] აპოლონიოს როდოსელი, დასახ. ნაშრომი, გვ. 91.

საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ დიოდორე სიცილიელთან (ძვ. წ. II ს.) კოლხეთის დედაქალაქად და აიეტის სამფლობელოდ მოხსენიებულია ქალაქი – „სიბარისი“, რომელიც არესის ჭალიდან 70 სტადიონითაა დაშორებული, სადაც თითქოს (რაც ავტორის გადმოცემაში ჩანს) ინახება ოქროს საწმისი. სიბარისი სხვა წყაროებში არ გვხვდება; კერძოდ, დიოდორე სიცილიელის ცნობით „მოგვითხრობენ, რომ მედეამ არგონავტები ჩაიყვანა არესის ჭალაში, რომელიც ქალაქს სამოცდაათი სტადიონით იყო დაშორებული; ამ ქალაქს ერქვა სიბარისი და კოლხთა დედაქალაქი იყო. მედეა ღამით მიადგა დახშულ ჭიშკარს და ტავრულ ენაზე მცველებს დაუძახა“[2].

აკ. ურუშაძის აღნიშვნით, კოლხთა ქალაქად სიბარისი მხოლოდ აქ მოიხსენიება. სიბარისის სახელით ანტიკურ წყაროებში ცნობილია სამხრეთ იტალიის სიმდიდრითა და ფუფუნებით განთქმული ქალაქი. შესაძლოა დიოდორემ ეს სახელი, როგორც სიმდიდრის აღმნიშვნელი, განაზოგადა და სიმდიდრითვე ცნობილ კჯიტაიისზე გადაიტანა[3].

საკითხთან მიმართებაში საყურადღებოა ძვ. წ. VI-V საუკუნეების (ძვ. წ. 521-485) ავტორის ფსევდო სქილაქს კორიანდელის შემდეგი ცნობა: «За этими же народъ Колхи (*ოვლცი*), и городъ Диоскурия (*იოსკოურივ*"), и греческій город Тиенос (*თუჰნოვ*"), и реки Тиенос и Херобий (*ჩეროვბიო*"), Хорсос (*ჩოვრსო*") и Ариос (№ რიო"), затем река Фазись и греческій городъ Фазис; отсюда река Фазис-судоходная на 180 статий до большаго варварского города, откуда была Медея. Там и реки Рис (*Розв*"), Изис (№Iѕо"), Лестонъ (*ѕѣѣ ѣ поѣамов"* т. е. «Река разбойниковъ») и Апсар (№ *ѳарт*")»[4].

ბარბაროსთა დიდი ქალაქის ლოკალიზაციის საკითხი განიხილა გ. გრიგოლიამ. ავტორმა ის მიიჩნია აბაშის რაიონის სოფელ გაღმა კოდორში, „ნამარნუ“-დ წოდებულ ტერიტორიაზე, რიონ-ფიჩორის ორმდინარეთში აღმოჩენილ ნასახლარად, რომლის ძველი ფენები ძვ. წ. V-IV საუკუნეებით დათარიღდა. ავტორის აღნიშვნით, 180 სტადიონი 34 კილომეტრს უდრის, რომელსაც ის გულისხმობს ზღვის ძველი სანაპიროდან და როგორც თვითონ აღნიშნავს, არქეოლოგიური და გეოლოგიური მონაცემების საფუძველზე თანამედროვე სანაპიროდან რამდენადმე აღმოსავლეთით, პატარა ფოთსა და სოფელ საქორქიოს შორის ივარაუდება. ავტორი, მდ. რისს, მდ. ფიჩორად მიიჩნევს, ხოლო თვით ტოპონიმ ნამარნუს, სადაც ეს ნამოსახლარია აღმოჩენილი ტირიფის ხის სახელწოდებას უკავშირებს[5].

ვფიქრობთ, „ნამარნუს“ ტირიფის ხესთან კავშირი უმართებულოა, „ნამარნუ“ პირდაპირ მიუთითებს ჯერ ერთი ამ ადგილას ოდესღაც მარნის არსებობაზე, მეორე მხრივ შესაძლოა აქ კონკრეტულად მარანი, „ღვინის სახლის“ მნიშვნელობით არ არსებობდა, მაგრამ ხალხი მას ამ სახელს უწოდებდა ალბათ იმ ნიშნით, რომ აქ პოულობდა ქვევრის ან საერთოდ კერამიკულ ნამტვრევებს; მეორე მხრივ დიხა-გუძუბებს ან საერთოდ ხელოვნურ თუ ბუნებრივ ბორცვებს (უფრო ხელოვნურს) ადგილობრივი

---

[1] აპოლონიოს როდოსელი, დასახ. ნაშრომი, გვ. 122-123.

[2] თ. ყაუხჩიშვილი, ბერძენი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტ. III, თბ., 1977, თბ., გვ. 91.

[3] აკ. ურუშაძე, ძველი კოლხეთი, ძველი კოლხეთი არგონავტების თქმულებაში, თბ., 1964, გვ. 501.

[4] В. В. Латишев, Известия древних писателей греческих и латинских о Скифии и Кавказе, Т. I, Греческие писатели, вып. I, Спб. 1893, Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа, 1884, №4, отд. 1.стр. 11.

[5] გ. გრიგოლია, „ბარბაროსთა დიდი ქალაქის“ ლოკალიზაციისათვის, კრ., ძეგლის მეგობარი, თბ., 1973, გვ. №33.

მოსახლეობა და ხალხი ზოგადად იცნობს „ნამარნუს“, „ნაოხვამუს“, „ნანდევუს“ და სხვა სახელწოდებებით, რაც მათ მეხსიერებაში ძველ სალოცავთან არის ასოცირებული. სინამდვილეში ესენი არის ტიპიური კოლხური დასახლებები, რომელზეც ჩვენ ზემოთ გავამახვილეთ ყურადღება. შესაძლოა ეს ძალზედ მნიშვნელოვანი ცენტრი იყო (კონკრეტულად ნამარნუს ტერიტორიაზე აღმოჩენილი ნაქალაქარი) და ერთ-ერთ დიდი ქალაქი (როგორც მაგალითად ვანი და სხვა), მაგრამ ნაკლებად სარწმუნოა ყოფილიყო „მედეას ქალაქი“, რომელიც არგონავტების მითში და თვით ზემოთ წარმოდგენილ წყაროშია წარმოდგენილი, რამდენადაც არგონავტების მითში უფრო ძველი დროის მოვლენათა ანარეკლია გადმოცემული.

ვფიქრობთ, ფსევდო ქსილაქსის ცნობა საყურადღებოა და თუ ჩვენ დღევანდელი ზღვის სანაპიროდან ავიღებთ 180 სტადიონს ანუ დაახლოებით 34 კილომეტრს, ეს მანძილი თითქმის ზუსტად ემთხვევა დღევანდელ ტეხურ-რიონის შესართავს, სადაც, როგორც ქვემოთ პლინიუს უმცროსის ცნობიდან გამოჩნდება, ეას ადგილას მდებარეობდა ქალაქი სურიუმი ანუ შემდეგდროინდელი ნესოსი (აგათია სქოლასტიკოსი). სურიუმი პლინიუს უმცროსის მიხედვით (იხ. ქვემოთ) ამ ადგილს დარქმევია მდინარის მიხედვით, რომელიც ფაზისს იქ უერთდება, რაც შესაძლოა იგივე რისი ანუ რიონი იყოს, რომელზეც ქვემოთ ვისაუბრებთ.

მაგალითად, ჰეკატე მიტილენელის (ძვ. წ. 480-395 წწ.) თქმით, „არესის ჩრდილოვანი ჭალაკი, სადაც მუხის კენწეროზე ჩამოფენილია საწმისი: ჰელანიკე კი ამბობს, რომ საწმისი იდო ზევსის ტაძარში. ეგრეთ წოდებულ არესის ველზე კოლხებში და არესის აქაურ ჭალას მხრავალი იხსენიებს“[1].

პინდარეს (ძვ. წ. 522/518-442/433) სქოლიოებში ნათქვამია, რომ „... აქ (კოლხეთში) [საწმისი], როგორც ამბობენ შესწირეს ლტოლვილთა მფარველ ზევსს და ჩამოჰკიდეს არესის ჭალაში, სადაც მას იცავდა დრაკონი...“[2].

საინტერესო ცნობებს გვაწვდის გაიუს პლინიუს სეკუნდი ანუ პლინიუს უფროსის სახელით ცნობილი რომაელი სახელმწიფო მოღვაწე (23-89 წწ.), კერძოდ, „ნათქვამია, რომ ფაზისი გამოდის მოსხებში, სანაოსნოა მოზრდილი ხომალდებისათვის 38.500 ნაბიჯზე, მერე პატარებისათვის კი უფრო დიდ მანძილზე; გადასასვლელებად 120 ხიდი აქვს. მის ნაპირებზე იყო მრავალი ქალაქი, მათგან ყველაზე სახელგანთქმულები – კინდარიდა, კირკეუმი, კიგნოსი და შესართავთან – ფაზისი. მაგრამ ყველაზე სახელგანთქმული იყო ეა, ზღვიდან 15.000 ნაბიჯზე მდებარე, სადაც ფაზისს სხვადასხვა მხრიდან ერთვის დიდი მდინარეები ჰიპოსი და კიანეოსი. ახლა მხოლოდ სურიუმი-ღა არის, რომელსაც ეს სახელი იმ მდინარისაგან ჰქვია ფაზისს რომ ერთვის იქ, სადამდეც დიდ ხომალდებს ნაოსნობა შეუძლია. ფაზისს უერთდება სხვა მრავალი სიდიდის შესანიშნავი მდინარე, მათ შორის გლავკოსი. მის შესართავში უსახელო კუნძულებია. აბსაროსიდან 70.000 ნაბიჯზეა. მერე სხვა მდინარეა – ხარიენტი, სალტიების ტომი, ძველები რომ ფთიროფაგებს ეძახდნენ და სხვა სანები. მდინარე ხობისი კავკასიონიდან სვანებზე ჩამოდის. შემდეგ როანია, კეგრიტიკის მხარეს, მდინარეები სიგანია, თერხოსი, ასტელფოსი, ქრისოროსი. აბსილების ტომი, ციხესიმაგრე სებასტოპოლისი 100.000

[1] ა. ურუშაძე, ძველი კოლხეთი არგონავტების თქმულებაში, თბ., 1964, გვ. 275.
[2] ა. ურუშაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 218.

ნაბიჯზე ფაზისიდან, სანიკების ტომი, ქალაქი პიგნოსი, მდინარე და ქალაქი პენიუსი; მერე ჰენიოხების ხალხმრავალი ტომები“[1].

ფაზისის ნაპირებზე ძველი სახელგანთქმული ქალაქების ჩამოთვლა (ტინდარიდა, კირკეუმი, კიგნოსი), სხვა წყაროებით არ დასტურდება, გარდა უკანასკნელისა, რომელსაც თვითონვე პლინიუს მეორე სხვ ადგილას (დაახლოებით იქ, სადაც პომპონიუს მელასა აქვს აღნიშნული) მდებარედ იხსენიებს“[2].

დიოდორე სიცილიელის (70 სტადიონი) და გაიუს პლინიუს სეკუნდის 15.000 ნაბიჯი კოლხთა დედაქალაქის სიბარისის (დიოდორე სიცილიელთან) და ეას (გაიუს პლინიუს სეკუნდთან) მდებარეობა ემთხვევა ერთმანეთს და ის ჩვენ დაახლოებით სადღაც დღევანდელ სოფელ ჭალადიდის მუხურთან უნდა ვიგულისხმოთ ან შესაძლოა ცოტა უფრო ზემოთ. რაც შეეხება ფაზისზე 120 ხიდის არსებობას ძალზედ არარეალურად უნდა ჩაითვალოს. ვფიქრობთ, ამ ქალაქების (ტინდარიდა, კირკეუმი, კიგნოსი) არსებობაში ეჭვი არ უნდა შევიტანოთ და საძებნად მიგვაჩნია. ამასთან დაკავშირებით საყურადღებოა კლავდიოს პტოლემაიოსის მიერ კოლხეთის შიგნით დასახელებული ქალაქები, კერძოდ: «Приморскую часть Колхиды населяют Лазы, выше лежащие местности – Манралы и народы, живущие въ стране Евриктике.

Внутри указываются города и деревни:

Мехлесс------74 30 – 46 45

Мадия---------74 15 -46 15

Сарака-------73 -45

Сурий-------73 20 -44 40

Задрида-----74 -44 40 »[3].

ამ ტექსტის სხვა თარგმანი ასეთია: «Ближаишие соседи колхов на морском берегу – Лазы, а над колхами живут Манралы (ა;ნრალოი) и обитатели Экректической страны *(! კრჰნტიკჰ; ცწვრა)*. Внутри страны упоминаются следующие города и местечки: Мехлесс, Мадиа, Сараке, Сурион, Задрис»[4].

საყურადღებოა V საუკუნის ავტორის, სტეფანე ბიზანტიელის შემდეგი ცნობა: „აია: კოლხთა ქალაქი, აიეტის დაფუძნებული, ზღვისგან მოშორებული სამასი სტადიონით; მას ჩამოუდის ორი მდინარე: ჰიპპოსი და კუანეოსი, რომლებიც [ქალაქს] ნახევარკუნძულად ჰქმნიან“[5].

ვფიქრობთ ეს ძალზედ საყურადღებო ცნობაა. სამასი სტადიონი უდრის დაახლოებით 50-55 კილომეტრს, ეს კი არის მანძილი სწორედ მდ. აბაშა-ტეხურის

---

[1] ტაციტუსის ცნობები საქართველოს შესახებ, ლათინური ტექსტი ქართული თარგმანით, შესავალი ნარკვევითა და კომენტარებით გამოსცა ალ. გამყრელიძემ, თბ., 1973, გვ. 32.

[2] ტაციტუსის ცნობები საქართველოს შესახებ, დასახ. ნაშრომი, თბ., 1973, გვ. 33.

[3] В. В. Латишев, известия древних писателей греческих и латинских о скифии и кавказе, т. I, Греческие писатели, вып. 1, СПб. 1893, გვ. 241.

[4] Сборник материалов ло описаниы месмиосмей и племен Кавказа, 1884, №4, отд. 1.стр. 168-169.

[5] აკ. ურუშაძე, ძველი კოლხეთის არგონავტების თქმულებაში, 1964, გვ. 230.

ხეობამდე და მის შესართავამდე მდ. რიონთან, ანუ იქ სადაც მდებარეობს ე. წ. კუნძული, რომელსაც ქმნიან მდ. რიონი და ტეხური ასევე ნახევარკუნძული რომელსაც ქმნის აბაშა და ტეხური ანუ სხვა წყაროების „ნესოსი“, იგივე ანუ დღევანდელი „ისულა“, რომელიც მდებარეობს სოფელ თეკლათთან და ნოქალაქევის მიდამოებში. წყაროებმა არ შემოგვინახეს ნოქალაქევის ძველი სახელწოდება გარდა იმისა, რომ ის „ნოქალაქევია“ (ანუ ძველი ნაქალაქარი) ანუ „არქეოპოლისი“ – პროკოპი კესარიელის ძველი ქალაქი. თუ მას პროკოპი „ძველს“ ანუ „ძველ ქალაქს“ უწოდებს ე. ი. იქ ადრეც უნდა არსებულიყო ქალაქი და შესაძლოა ეს ძველი ქალაქი იყოს სწორედ კჳიტაია, რომელიც კოლხთა დედაქალაქია. შესაძლოა ამავე დროს ამასვე ეხმაურება ნოქალაქევის სამხრეთით და შხეფის ციხის ჩრდილოეთით ნოქალაქევისკენ მიმავალ გზაზე, მდ. ტეხურის მარჯვენა სანაპიროს გასწვრივ, მდებარე სოფელის სახელწოდება კოტიანეთი, სადაც ასევე უამრავი ციხე-სიმაგრის ნაშთებია შემორჩენილი და ცნობილია თვით ციხეც კოტიანეთის ციხის სახელწოდებით. ამავე დროს მდ. კჳანეოსი შესაძლოა იყოს მდ. აბაშა, რომელიც შემდეგდროინდელ წყროებში (აგათია სქოლასტიკოსი) „კათარის“ წყლად უნდა იწოდებოდეს, ხოლო ჰიპპოსი მდ. ტეხური ან შესაძლოა სტეფანე ბიზანტიელს არეული აქვს მდ. ცხენისწყალში. ყოველ შემთხვევაში თუ კოლხთა ქალაქი კჳიტაიას დღევანდელ ნოქალაქევად ანუ არქეოპოლისად არ მივიჩნევთ, ვფიქრობთ იმის საფუძველი მაინც გვაქვს, რომ ის იმავე ხაზზე საძებნად მივიჩნიოთ, კერძოდ ისულასა და კოტიანეთის ხაზზე. ამავე დროს საყურადღებოა რომაელთა ჯარის განლაგების ადგილის აღწერილობა აგათია სქოლასტიკოსთან (იხ. ქვემოთ), რომელიც ემთხვევა ისულას და ძველი ავტორების კჳიტაიის მდებარეობას.

როგორც წყაროდან ჩანს, კოლხთა ძველ დედაქალაქ ეას (ზოგიერთ ავტორებთან იბარისს, კჳიტიას) ასახელებენ უმეტესად მდინარის შესართავთან, ანუ აქ იგულისხმება მდინარე ფაზისთან რომელიღაც მდინარის შესართავი. ამავე დროს საყურადღებოა თვითონ ოქროს საწმისის მდებარეობის ადგილის სახელწოდება „არესის“ ჭალა. არესში შესაძლოა იგულისხმებოდეს მდ. ფაზისი ანუ დღევანდელი რიონი ანუ მდინარე რისი და აქ რიონის ჭალაზე იყოს საუბარი. სახელწოდება „რიონს“ გამოკვეთილად პროკოფი კესარიელთან ვხვდებით, ხოლო მანამდე ძვ. წ. აღ. IV საუკუნეში სქილაქს კორიანდელის რის-ი სავარაუდოდ რიონია, იგივეა საგულვებელი პლინიუსის „რიონის“ სახით [1], როგორც ამას ს. ჯანაშიამ მიაქცია ყურადღება, ბერძნები მას (რიონს) უმრავლეს შემთხვევაში, „ფაზისის“ სახელწოდებით იცნობენ, რომელზეც საყურაღებო მინიშნებას, ავტორისავე აზრით, გვაძლევს ქართული მწერლობა, სადაც აღნიშნულია, რომ „მდინარესა მას ფისონსა, რომელი არს ენითა ქართულითა რიონი“-ო. უძველეს რუსულ წყაროებში ის Реянь-ის (ელჩინი), იევლევთან კი Реонь-ის სახით არის მოხსენიებული[2]. ვფიქრობთ, არესის იდენტურია, „სურიუმიც“ (კლავდიოს პტოლემაიოსთან, გაიუს პლინიუს სეკუნდთან და სხვ.).

აკ. ურუშაძე, აპ. პოდოსელის ცნობაზე დაყრდნობით აღნიშნავს, რომ აია მხარეს გულისხმობს და არა ქალაქს. იგი კოლხეთის უძველესი სახელი ჩანს[3]. ავტორის აზრით (იყო მაღალი კავკასიონი, აიას ქალაქ კუტაიის) [4] მის მიერ მოწოდებული ცნობები საკმაოდ ნათელ წარმოდგენას გვაძლევს არა თუ საქართველოს, არამედ მსოფლიოს

---

[1] ს. ჯანაშია, ფასიდი, ენიმკის მოამბე, 1941, ტ. X, გვ. 348.
[2] ს. ჯანაშია, დასახ. ნაშრომი, გვ. 348.
[3] აჯ. ურუშაძე, ძველი კოლხეთის არგონავლების თქმულებაში, თბ., 1964, გვ. 6.
[4] აპოლონიოს როდოსელი, დასახ. ნაშრომი, გვ. 114.

მასშტაბით უძველესი ქალაქის – ქუთაისის შესახებ[1]. თუმცა, ვფიქრობთ, ცალმხრივად მისი მარტო ქვეყნის სახელად წარმოჩენა არ არის გამართლებული, რადგან ის ქალაქის სახელწოდებად ჩანს.

საყურადღებოა, რომ პროკოპი კესარიელამდე არსად არ იხსენიება ნოქალაქევი ანუ არქეოპოლისი და ქართულ წყაროებში მასთან გაიგივებული ქუჯის ქალაქი. მეორე მხრივ, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ ნოქალაქევის ძველი სახელი ჩვენ არ ვიცით, მაგრამ ფაქტია, რომ ის „ძველი ქალაქია“ და შესაძლოა ის ძველი კუტაიაც იყოს, რაზეც, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, მასთან ახლოს შემორჩენილი ტოპონიმი კოტიანეთიც მიუთითებს, ხოლო რიონ-ტეხურის შესართავთან სურიუმი ანუ ისულა, რომლის მდებარეობაც სწორედ აქ სახელდება.

ზოგიერთი ავტორი, კუტაიას ვანის მიდამოებში მდებარედ მიიჩნევს, კერძოდ მის მახლობლად ადგილ საყანჩოში[2].

მ. ინაძის აზრით, „აია“ ქალაქია არა მხოლოდ ლიკოფორნის მიხედვით, არამედ ელინისტური პოეზიის სხვა წარმომადგენელთა – კალიმაქეს და აპოლონიოს როდოსელის ნაწარმოებთა ზოგიერთი ადგილის თანახმად. მისი (აიას) შინაარსის ქალაქად გააზრება, ე. ი. ამ ფართო მნიშვნელობის გეოგრაფიული ცნების (ქვეყნის) უფრო ვიწრო ცნებამდე (ქალაქი) დაყვანა პირველად სწორედ ალექსანდრიელ პოეტთა წრეში ხდება. მისივე აზრით, აპოლონიოს როდოსელის, კალიმაქესა და ლიკიფორნეს ცნობებს ჩვენ იმ დასკვნამდე მივყავართ, რომ არგონავტთა თქმულებასთან დაკავშირებით ეს მეორე გეოგრაფიული სახელი – „კუტაია“, ისევე როგორც მითიური „აია“, თავის შინაარსს ქალაქის მნიშვნელობით საბოლოოდ ჩამოყალიბებული სახით აპოლონიოს როდოსელის „არგონავტიკაში“ იღებს. თვით სახელწოდება „კუტაია“ კი არსებობდა გაცილებით ადრე, ალექსანდრიელ პოეტთა მოღვაწეობის ხანამდე. კუტაიას ნამდვილ ქალაქად გააზრებისათვის აპოლონიოს როდოსელს საფუძველი მისცა იმ გარემოებამ, რომ ძველ ბერძნულ წერილობით წყაროებთან ერთად, რომლებშიც კუტაია იხსენიებოდა როგორც ქვეყანა იგი სარგებლობდა ელინისტური ხანის ვითარების ამსახველი ცნობებითაც, რომელთა მიხედვით კუტაია კოლხეთის მნიშვნელოვან საქალაქო ცენტრს წარმოადგენდა[3]

საკითხთან მიმართებაში ძალზედ საყურადღებოა მდ. ჭანისწყლის მარჯვენა ნაპირთან ახლოს ქვეყნის შუაგულში მდებარე ჭაქვინჯის ციხე, რომელზეც საინტერესო მოსაზრება აქვს გამოთქმული შ. მესხიას. კერძოდ, როგორც თ. ბერაძე გვამცნობს, 1949 წელს ისტორიის ინსტიტუტის ფეოდალური ისტორიის განყოფილების სხდომაზე შ. მესხიამ წაიკითხა მოხსენება „ჭაქვინჯის ისტორიული მნიშვნელობის საკითხისათვის“. ამ მოხსენებაში გამოთქმული იყო ვარაუდი, რომ ჭაქვინჯი დამახინჯებული „ჯიხა-ქუჯია“ და ეს სახელწოდება დაკავშირებულია ეგრისის ერისთავის ქუჯის სახელთან. ამის დასამტკიცებლად, შ. მესხიას მოყავს ერთი ადგილი „დავით და კონსტანტინეს წამებიდან“: „ესე განაჩინა მძლავრმან (მურმან ყრუმ) მათთვის და თჳთ აღიძრა და დაბანაკდა ქალაქსა ჯიხანქვიჯისა ქუგ ყანასა სამეგრელოსა სანახებსა ჭყონდიდისასა“

[1] აპოლონიოს როდოსელი, არგონავტიკა, თარგმანი და შესავალი ა. გელოვანისა, რედაქცია, ნარკვევი, შენიშვნები და საძიებელი ა. ურუშაძისა, გვ. 22.

[2] მოსაზრება ეკუთვნის მ. მაქსიმოვას, რომელსაც იზიარებს მ. ინაძე, იხ. მ. ინაძე, ძველი კოლხეთის საზოგადოება, თბ, 1944, გვ. 208-210.

[3] მ. ინაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 60-61.

(შედგენილია XII ს-ის პირველ ნახევარში). თავის მოხსენებაში შ. მესხიას განხილული აქვს ამ ნაწარმოების დღემდე შემონახული ყველა ხელნაწერი. XIII-XIV საუკუნეების ერთ ხელნაწერში „ჯიხა-ქვინჯის“ ნაცვლად ნახმარია „ჯიხან-ქუჯი“ ანუ ქუჯის ციხე. შ. მესხიას აზრით, ქართულ წყაროებში ცნობილი ციხე-გოჯი დღევანდელი ნოქალაქევთან კი არ უნდა იყოს გაიგივებული, არამედ ჭაქვინჯთან. სწორედ ეს ციხე-სიმაგრე წარმოადგენდა ეგრისის სამეფოს ცენტრს ელინისტურ ხანაში[1].

თ. ბერაძის აზრით, შ. მესხია სავსებით სწორია, როდესაც „დავითისა და კონსტანტინეს წამებაში“ მოხსენიებული „ჯიხან-ქუჯი“ ანუ „ჯიხან-ქვინჯი“ გაიგივებული აქვს ჭაქვინჯის ციხე-სიმაგრესთან. ამ სახელწოდებაში მართლაც დაცული უნდა იყოს ეგრისის ერისთავის ქუჯის სახელი, მეორე მხრივ კი აღნიშნავს, რომ ჭაქვინჯის პირველობის შესახებ შ. მესხიას მოსაზრება ელინისტურ ხანაში აქ ქალაქის არსებობაზე, ჯერჯერობით არქეოლოგიურად დადასტურებული არ არის[2].

დავითისა და კონსტანტინეს ცხოვრებაში ასახულია VIII საუკუნის ამბები და მის მიხედვით ჭაქვინჯის ციხე უკვე არსებობს[3].

თ. ბერიძის აზრით, ჭაქვინჯის ციხის კოშკების წყობაში რამდენიმე ფენა შეიმჩნევა, ხოლო ციხის დასავლეთი კოშკი, თავისი კვადრატული წყობითა და ფართო სამზარეულოებით აშკარად ადრეფეოდალურია. მეორე კოშკი კი გვიანფეოდალური. ეკლესიას კი ავტორი შუაფეოდალურ ხანას აკუთვნებს[4].

საინტერესოა ჭაქვინჯის ტოპონიმიკა. თ. ბერაძის მიერ ჩაწერილი მასალებით, შემორჩენილია რამდენიმე საინტერესო სახელი „მაფაშ წყუ“ – „მეფის წყარო“, ქვატახტი“; უკანასკნელ სახელს გადმოცემა თამარ მეფეს უკავშირებს თითქოს აქ თავის დროზე ამ მეფის მარმარილოს ტახტი იყო, რომელიც შემოსეული მტრის შიშის მიწაში ჩაფლეს. ერთ-ერთი გადმოცემა ამ ციხე-სიმაგრის თვით აგებასაც თამარს მიაწერს. გადმოცემით, ეს სოფელი დადიანების თავდაპირველ სადგომს წარმოადგენდა ოდიშში. ტოპონიმი „ქვატახტი“ შეიძლება მათ რეზიდენციასთან იყოს დაკავშირებული. ავტორისავე აღნიშვნით, შუაფეოდალურ ხანაში განსაკუთრებით დაწინაურებული ჩანს ოდიშის საერისთავოს ერთი ნაწილი, რომელზეც მოედინება მდინარეები ხობი, ჭანისწყალი და ენგური. ამ დროისათვის ორი საეპისკოპოსო კათედრალი უნდა იყოს – ცაიშისა და წალენჯიხისა. აქვეა ხობის მონასტერი, რომელიც XIV ს-ის მეორე ნახევრამდე წარმოადგენდა დადიანთა საგვარეულო საძვალეს. ამიტომ შუაფეოდალური ოდიშის საერისთავოს ცენტრი სწორედ ქვეყნის ამ კუთხეში არის მოსალოდნელი[5]. მ. ბროსეს მოჰყავს ლევან II დადიანის დროს მოჭედილი წმ. ნიკოლოზის ხატის წარწერა,

---

[1] თ. ბერაძე, ოდიშის ისტორიული გეოგრაფიიდან (XII-XVII სს.), სადისერტაციო ნაშრომი ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბ., 1967, გვ. 209. გარკვეული ამონარიდები ამ ნაშრომიდან შენიშვნებში წარმოდგენილია შ. მესხიას შრომების მეორე ტომში, სადაც ავტორი აღნიშნავს, რომ ციხე-გოჯი ნოქალაქევი სხვაგანაა საძებნი, იქვე არის ამ წიგნის რედაქტორის შენიშვნა, რომ უკანასკნელი პერიოდის არქეოლოგიური აღმოჩენებისა და მეცნიერული კვლევა-ძიების შედეგებს ეს მოსაზრება არ შეესაბამება (იხ. შ. მესხია, საისტორიო ძიებანი, ტ. II, თბ., 1983, გვ. 66). თუმცა ჩვენთვის გაუგებარია თუ რა აღმოჩენებს გულისხმობს ავტორი, რადგანაც ის მას არ უთითებს და ეს მოსაზრება არ მიგვაჩნია დასაბუთებულად.

[2] თ. ბერაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 210.

[3] თ. ბერაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 214.

[4] თ. ბერაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 211.

[5] თ. ბერაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 206.

სადაც მოხსენიებულია საყდარი „ჭაქჯშას ციხესა შიგან“. თ. ჟორდანია ამ ხატის წარწერის შესაბამის ადგილს განსხვავებულად იძლევა: „დავასვენეთ საყდარსა ჭაქვინჯს ციხესა შიგა“[1]. თ. ჟორდანიას წაკითხვას ემხრობა თ. ბერიძე[2].

შუაფეოდალურ ხანაში ჭაქვინჯის ციხე ოდიშის ყველაზე ძლიერ ციხეს წარმოადგენდა. აქვე იყო დადიანთა სასახლე და ეკლესია, რომელიც თავის დროზე ალბათ ერისთავთა კარის ეკლესიას წარმოადგენდა. ეს სოფელი წინაქრისტიანული ხანიდან მნიშვნელოვანი რელიგიური ცენტრია. ჭაქვინჯის ციხე მდებარეობს შუაფეოდალური ხანის ოდიშის საერისთავოს ყველაზე დაწინაურებულ კუთხეში. აქ თავს იყრიდა სვანეთიდან და აფხაზეთიდან მომავალი უმნიშვნელოვანესი გზები. ყველა ეს მონაცემი ავტორს აფიქრებინებს, რომ შუაფეოდალურ ხანაში ოდიშის საერისთავოს ცენტრს ჭაქვინჯი წარმოადგენდა[3].

ვფიქრობთ, შ. მესხიას მოსაზრება საკითხთან დაკავშირებით ანგარიშგასაწევია და ამ მხრივ საბოლოო სიტყვა მართლაც რომ არქეოლოგიას ეკუთვნის, მაგრამ ძველი კოლხეთის დედაქალაქი აია, და კჯიტაია სწორედ რომ ნოქალაქევ-კოავტინეთ-სურიუმ-ისულას მიდამოებშია საძებნი; ხოლო ციხე-გოჯი ქვეყნის შიდა რაიონებში, რომლის ერთ-ერთი სავარაუდო ადგილი შესაძლოა ჭაქვინჯის ციხე იყოს.

როგორც ზემოთ გამოჩნდა ძალზედ რთულია ძველი კოლხური ქალაქების ლოკალიზაცია, რამდენადაც წყაროები ხშირად არაზუსტია და დაკონკრეტების საშუალებას ნაკლებად გვაძლევს; ამავე დროს საკითხზე დუმს არქეოლოგიაც. ვფიქრობთ, ზოგიერთი ჩვენს მიერ ზემოთ გამოთქმული მოსაზრება საკითხზე გარკვეულ წარმოდგენას ქმნის, რაც მომავალში არქეოლოგიურმა მასალამ უნდა დაადასტუროს.

3. ეგრისის სამეფოს ქალაქთა და ციხე-სიმაგრეთა ლოკალიზაციისათვის (მოხირისი, ონოგურისი, როდოპოლისი, ნესოსი)

ახ. წ. აღ. V-VI საუკუნეებამდე წერილობით წყაროებში ძალზედ ცოტა ცნობები გაგვაჩნია კოლხეთის სამეფოს ქალაქების თუ ციხე-სიმაგრეების შესახებ. ხოლო V-VI საუკუნეებში, როდესაც დასავლეთ საქართველო გადაიქცა ბერძენ-სპარსელთა საომარი ოპერაციების ძირითად პლაცდარმად, ამ უკანასკნელ მოვლენებთან დაკავშირებით უკვე საკმაოდ ვრცელი ცნობები მოგვეპოვება ბიზანტიურ წყაროებში, რომლებიც მეტ-

[1] თ. ჟორდანია, ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა, II, ტფილისი, 1897, გვ. 455.
[2] თ. ბერაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 207.
[3] თ. ბერაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 240-241.

ნაკლებად სრულ წარმოდგენას გვიქმნიან დასავლეთ საქართველოს, როგორც პოლიტიკურ ვითარებაზე, ისე აქ მდებარე ქალაქებსა და ციხე-სიმაგრეებზე. ამ მხრივ მნიშვნელოვან რეგიონს წარმოადგენდა დღევანდელი სამეგრელოს ტერიტორია.

პროკოპი კესარიელის (დაახლოებით 490/507-562) თქმით, „ხოლო შემდეგ წელს მიდთა ჯარის დიდი სიმრავლე შეიჭრა კოლხეთის ქვეყანაში (550 წელს), მათ სათავეში ედგა ერთი სპარსელი, სახელად ხორიანე, ომებში ძალიან გამოცდილი: მას მოკავშირეებად მისდევდა მრავალი ბარბაროსი ალანთა ტომიდან. როდესაც ეს ჯარი ლაზიკის იმ ადგილში მივიდა, რომელსაც მოხირისი ეწოდება, დასაბანაკებლად დადგა მოხერხებულ ადგილას. იქ ჩამოდის მდინარე იპპისი, არც დიდი და არც ნავთსავალი, რომლის გადასვლა შეუძლიათ ცხენოსანთ და ფეხდაფეხ მავალთაც; ამის მარჯვენა ნაპირას გაიკეთეს თხრილ-სიმაგრე, მაგრამ ნაპირას კი არა, არამედ კარგა მოშორებით იქიდან“[1].

როგორც წყაროს ამ მონაკვეთიდან ჩანს, ხორიანე შედის მოხირისის მხარეში და არა ერთ რომელიმე კონკრეტულ ქალაქში. ის ბანაკდება მდ. იპპისთან, მისგან კარგა მოშორებით, მარჯვენა ნაპირას; პირველ რიგში საინტერესოა მდ. იპპისის და მოხირისის მდებარეობის განსაზღვრა; „მოხირისის“, როგორც ვრცელი მხარის და კონკრეტულად ქალაქის ლოკალიზაციის საკითხი სამეცნიერო ლიტერატურაში ჯერ კიდევ დავის საგნად რჩება. იგი პირველად სწორედ პროკოპი კესარიელთან იხსენიება. როგორც ჩანს, მას სახელი იმავე სახელწოდების, ლაზთა ქვეყანაში მდებარე რომელიღაც ციხე-სიმაგრის მიხედვით უნდა შერქმეოდა.

ივ. ჯავახიშვილმა, მოხირისის შესახებ ზოგადად აღნიშნა, რომ „ამ ქალაქიდან (იგულისხმება არქეოპოლისი) ერთი დღის სავალზე შორავდა მოხირისის (მუხურის) სანახები, რომელიც რიონის ხეობაში იყო. ამ სანახებს ეკუთვნოდა ციხე „ქოთაის“-ი, რომლის მახლობლად მაგარი უქიმერიონის ციხე დგას“[2].

ს. ყაუხჩიშვილის სიტყვებით, პროკოპის აღწერილობის მიხედვით ამ მხარეს დასავლეთით ცხენისწყალი უნდა საზღვრავდეს, როდესაც 550 წელს სპარსელთა ჯარი ხორიანეს სარდლობით კოლხეთში შეიჭრა და „ლაზიკის იმ ადგილებში მივიდა, რომელსაც მუხირისი ეწოდებოდა, დასაბანაკებლად დადგა მოხერხებულ ადგილას, მათ მიერ ბანაკად არჩეულ ადგილს და პროკოპი კესარიელის ადვილად გადასასვლელ მდინარეს ანუ იპპის-ს, ს. ყაუხჩიშვილი, მდ. ცხენისწყლად მიიჩნევს. ავტორი, მოხირისის მხარეს ათავსებს ცხენისწყალსა და რიონს შორის და მის სამხრეთის და სამხრეთ-აღმოსავლეთის საზღვრად ამ უკანასკნელს თვლის. ავტორი ცდილობს კიდევ უფრო დააკონკრეტოს მოხირისის ადგილმდებარეობა და აღნიშნავს, რომ „მოხირისის აღწერის დროს პროკოპის აუცილებლად აგონდება ქუთაისი, მსგავსად პროკოპისა აგათიაც მოხირისთან ერთად ყოველთვის იხსენებს ქუთაისს: „მოვიდა მუხირისსა და ქოთაისის ციხეში“, „კვლავ ქოთაისსა და მუხირისში გაბრუნდა“, „მუხირისსა და ქოთაისში დარაზმული სპარსელებია“, „დაიძრნენ ქოთაისიდან და მუხირისიდან“; მაშასადამე, ავტორისავე დასკვნით, ქუთაისი და მოხირისი ერთ სტრატეგიულ ხაზზე მდებარეობენ: უკეთ რომ ვთქვათ, რიონზე (ქუთაისში) დაბანაკებული ჯარისათვის მოხირისი

---

[1] გეორგიკა, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტ. II, თბ., 1965, ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და კომენტარები დაურთო ს. ყაუხჩიშვილმა, გვ. 118-119.

[2] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წ. I, თბ., 1951, გვ. 418

მატერიალურ, სასურსათო ბაზას წარმოადგენს. ამ რაიონში დღეს ეს სახელწოდება „მოხირისი“ (მუხირისი) თითქოს აღარ ჩანს (შესაძლებელია ამის გადანაშთს წარმოადგენდეს სოფელ „მუხიანის“ სახელწოდება), მაგრამ როგორც ს. ყაუხჩიშვილი მიუთითებს, 1930 წელს ნ. ბერძენიშვილის მიერ ადგილობრივ ჩატარებულმა წინასწარმა კვლევამ ამ მხრივ საგულისხმო შედეგები მოიტანა, სახელდობრ, სწორედ ზემოაღწერილი მხარის მიდამოებში ხოლო რიონის მარცხენა ნაპირას, კულაშ-ეწერის პირდაპირ მდებარე ადგილებს, რომლებიც ზედ მთის ფერდობებს ებჯინება სოფ. დაბალგომთან, დღესაც მუხურს ეძახიან და მისი აღმოსავლეთით 4-5 კმ. მანძილზე მუხურის ციხეც მდებარეობს. ნ. ბერძენიშვილმა ამ წარმოებული სასინჯი გათხრის დროს აღმოაჩინა ისეთი ნივთები, რომლებიც მისი აზრით, რომაულ-ბიზანტიურ ხანას ეკუთვნის. როგორც თვითონ ავტორი გვამცნობს, ს. ყაუხჩიშვილის და ნ. ბერძენიშვილის ამ მოსაზრებას გამოეხმაურა პ. ჰეეტერსი, და აღნიშნა, რომ „მუხირისი იყო ნამდვილად ლაზთა მიწა-წყალზე და მოიცავდა ქუთაისის მხარის ერთ ნაწილს. აქ იყო აგრეთვე იმავე სახელწოდების ციხე, რომელიც მდებარეობდა ერთი დღის სავალ გზაზე ქუთაისსა და არქეოპოლისს შუა. მეტად საგულისხმო მითითებას შეიცავს ცნობა, რომ ამ ციხე-სიმაგრის ადგილმდებარეობა კარგად არის მიკვლეული ბატ. ნ. ბერძენიშვილის მიერ; იგი უნდა მდებარეობდეს პროკოპის მიერ აღნიშნულ მანძილზე, რიონის მარცხენა ნაპირას, იმ ადგილას, რომელმაც შემოინახა სახელი მუხური და რომლის მახლობლად აღმოჩნდა ბიზანტიურ ნაგებობათა კვალი“[1].

ზემოთ წარმოდგენილ მოსაზრებასთან დაკავშირებით პირველ რიგში უნდა აღვნიშნოთ, რომ პროკოპი კესარიელთან მოხირისის მხარის დასავლეთი საზღვარი არ ჩანს მდ. ცხენისწყალთან, არამედ როგორც ზემოთ ვნახეთ, წყაროში წერია, რომ ხორიანე თავისი ჯარით მიდის ლაზიკის იმ ადგილას, რომელსაც მოხირისი ეწოდება. ხოლო რაც შეეხება მდ. იპპისის მდ. ცხენისწყალთან გაიგივებას, დასაშვებად მიგვაჩნია; რა თქმა უნდა ცხენისწყალი არც ისე პატარა მდინარეა, რომ იქ წელიწადის ყოველ დროს შეიძლებოდეს ფეხით და ცხენით გადასვლა, მაგრამ ამისთვის გარკვეული ადგილებში ფონის მოძებნაც არის შესაძლებელი. ამავე დროს აღსანიშნავია ისიც, რომ, როგორც ზემოთ მივუთითეთ, ივ. ჯავახიშვილიც ხორიანეს მიერ ბანაკად არჩეულ ადგილს მდ. ცხენიწყალთან მიიჩნევდა და მისივე თქმით, ეს ადგილი არის ლაზიკაში და „მუხურისის ხეობაში“ [2] . მეორე მხრივ, როგორც ზემოთ გამოჩნდა მოხირისს ს. ყაუხჩიშვილი ათავსებს სოფ. „მუხიანთან“ (ავტორი არ აკონკრეტებს, მაგრამ ალბათ გულისხმობს წყალტუბოს რაიონის სოფელ მუხიანს), იმავე ადგილას კი იზიარებს ნ. ბერძენიშვილის მოსაზრებას, მოხირისის დაბლაგომთან (სამტრედიის რ-ნი) მდ. რიონის მარცხენა ნაპირისკენ, აღმოსავლეთით 4-5 კილომეტრში მდებარეობის შესახებ; ს. ყაუხჩიშვილის ეს მსჯელობა წინააღმდეგობაშია თვით მის მიერ მოხირისის საზღვარზე გამოთქმულ მოსაზრებასთან, რომ სამხრეთით და სამხრეთ-აღმოსავლეთით მას მდ. რიონი საზღვრავს, რადგან დაბლაგომი მდებარეობს რიონის სამხრეთით, მის მარცხენა მხარეს, ხოლო მუხიანი მისგან საკმაოდ შორს მდ. რიონის ზემო წელზე, მარჯვენა მხარეს და არაფერი აქვს საერთო ავტორის მიერ შემოთავაზებულ, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ „„ზემოაღწერილი მხარის მიდამოებთან“.

---

[1] გეორგიკა, ტ. II, გვ. 208-210.
[2] ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 254.

აკად. ს. ჯანაშიას აზრით, „...ბიზანტიელ მწერალთა „მუხირეზისი“ გულისხმობს საკმაოდ დიდ რაიონს, რომელიც, მთლიანად ან ნაწილობრივ, შეიცავდა თანამედროვე ქუთაისის, ბაღდადის, ვანის, სამტრედიის, აბაშისა და მარტვილის რაიონებს, უფრო ზუსტად, მათს ვაკე ნაწილს, რომელიც, სამეურნეო თვალსაზრისით, გარკვეულ მთლიანობას შეადგენს. რომ ეს ყველაზე დაწინაურებული სექტორია, ამას მოწმობს აქ აღმოცენება ლაზიკის უმდიდესი ქალაქებისა, კერძოდ, როდოპოლისის (ვარდციხის) და ქუთაისისა. ეს უკანასკნელი გარემოება დაედო საფუძვლად ამ მხარის ძველქართულ სახელწოდებას – „სამოქალაქო“-ს. სოციალურ ეკონომიკური თვალსაზრისით, ამავე რაიონს მიეკუთვნება ეგრისის პოლიტიკური ცენტრი და მისი მეფეების საჯდომი – არქეოპოლის – ნოქალაქევი, თუმცა ფორმალურად იგი მუხირეზისის ფარგლებს გარეთ ითვლებოდა. პოლიტიკური ცენტრის მცირეოდენად განზე გაწევა ძირითადი რაიონებიდან ღრმა ისტორიული მიზეზებით აიხსნება [1]. შემდგომ ს. ჯანაშიას, სამოქალაქო მუხერისის სანახებში შეჰყავს ზესტაფონ-ჩხარის რაიონებიც[2].

გ. მელიქიშვილი იზიარებს ს. ყაუხჩიშვილის მოსაზრებას მოხირისის ლოკალიზაციის თაობაზე და აქ მესხების კვალსაც კი ეძებს, თუმცა ავტორის მსჯელობაში ბევრი რამ ნათელი არ არის[3].

ს. ყაუხჩიშვილის და გ. მელიქიშვილის მოსაზრებას მოხირისის მდებარეობის თაობაზე იზიარებს ნ. ლომოური.[4]

დ. მუსხელიშვილის ვარაუდით, „მოხირისის ძირითადი ტერიტორია პროკოფი კესარიელის მიხედვით, შემოფარგლულია მდ. რიონითა და ცხენისწყლით და ამ უკანასკნელის მარჯვენა მხარეზე გადადის“ [5]. ავტორისავე აზრით, მუხირისის მხარე უკვე VIII საუკუნისათვის ეგრისისგან გამოცალკევებულად ჩაითვლება, ხოლო მოსახლეობა ეთნიკურად ქართულად, მისივე აღნიშვნით, „თუმცა ქართიზაციის პროცესი უძველესი დროიდან იწყება, მაგრამ ძლიერი გარდატეხა ეგრისის მოსახლეობის ეთნიკურ შემადგენლობაში VII-VIII საუკუნეების შედეგი უნდა იყოს“[6].

ო. ლანჩავას აზრით, მოხირისად VI საუკუნეში იწოდება დასავლეთ საქართველოს ის ნაწილი, რომელიც მდ. ცხენისწყალსა და სკანდა-შორაპნის სასაზღვრო ხაზს შორის იყო მოქცეული [7]. ავტორი იზიარებს გ. მელიქიშვილის და დ. მუსხელიშვილის ზემოთ წარმოდგენილ მოსაზრებებს მოხირისის ეთნიკურ სურათთან დაკავშირებით და აღნიშნავს, რომ VI საუკუნისათვის მოხირისის ქვეყნის ეთნიკურ შემადგენლობაში ქართულენოვან მოსახლეობას მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა, მისივე თქმით, ამ მომენტსაც გარკვეული როლი უნდა შეესრულებინა მუხირისის დამოუკიდებელ ისტორიულ-გეოგრაფიულ ერთეულად ჩამოყალიბებაში, აქვე აღნიშნავს, რომ როგორც პროკოპი კესარიელის აღწერილობიდან ჩანს, იგი ერთ მთლიან, ლაზიკისაგან განსხვებულ ეკონომიკურ რაიონს წარმოადგენდა, ხოლო VI საუკუნის პოლიტიკურმა

---

[1] ს. ჯანაშია, შრომები, ტ. II, თბ., 1952, გვ. 320-321.
[2] ს. ჯანაშია, ფეოდალური რეფოლუცია საქართველოში, თბ., 1935, გვ. 91, 114.
[3] იხ. Г. А. Меликишвили, К истории древней Грузии, Тб., 1959, გვ. 68-69.
[4] ნ. ლომოური, ეგრისის სამეფოს ისტორია, თბ., 1968, გვ. 76-77.
[5] დ. მუსხელიშვილი, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, თბ., 1982გვ. 60.
[6] დ. მუსხელიშვილი, დასახ. ნაშრომი.
[7] ო. ლანჩავა, დასავლეთ საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან („მუხირისი“), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, ისტორიის სერია, თბ., 1979, №4, გვ. 131.

ვითარებამ დააჩქარა მისი ლაზიკისაგან განცალკავების პროცესი. შემდგომ ამ ტერიტორიის ბაზაზე შექმნილად მიიჩნევს ავტორი, ქუთაისის საერისთავოს, ცენტრით ქუთაისი, ასევე ეგრის - აფხაზეთის სამეფოში ცნობილ ადმინისტრაციულ ერთეულს სამოქალაქოს [1]. ავტორი, კიდევ უფრო შორს მიდის და აღნიშნავს, რომ „მუხირისის დამოუკიდებელ ისტორიულ-გეოგრაფიულ ერთეულად ჩამოყალიბება დაიწყო გაცილებით ადრე და რომ ძველად (მაგ. ანტიკურ ხანაში) იგი ქუთაისის „ქვეყნის“ სახელით მოიხსენიებოდა. ამ თვალსაზრისითაა საინტერესო აპოლონიოს როდოსელის „არგონავტიკაში“ მოხსენიებული სახელწოდება „ აივა უტაივდო"“, ასე რომ „ქუთაისის ქვეყანა“, „მუხირისი“, „ქუთაისის საერისთავო“, „ქუთაისის სამოქალაქო“ და ა. შ. ერთი და იმავე ისტორიულ-გეოგრაფიული ერთეულის სახელწოდებანია, მაგრამ სხვადასხვა ეპოქებისა და სხვადასხვა სოციალ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ საფუძვლებზე აღმოცენებული“[2].

თ. ბერაძის აზრით, მოხირისის აღმოსავლეთი საზღვარი, მდ. რიონზე გადიოდა, მდ. იპპოსი (პროკოპი) იგივე ცხენისწყალია. როგორც დავინახეთ ეს მდინარე მოხირისზეც მიედინება და მის მარჯვენა ნაპირზეც ვრცელდება. ამას ადასტურებს ისიც, რომ ხორიანემ მოხირისში ბანაკი მოაწყო. ცხენისწყლის მარჯვენა ნაპირას, მისგან მოშორებით. მოხირისი ცხენისწყლის მარჯვენა ნაპირზედაც გადიოდა, ამას მოწყმობს ისიც, რომ მისი დაკავების შემდეგ სპარსელებმა რომაელებს და ლაზებს არ მისცეს საშუალება დაკავშირებოდნენ ლეჩხუმს და სვანეთს (ამ შემთხვევაში დღევანდელი ქვემო სვანეთი უნდა იგულისხმებოდეს, რადგან წემო სვანეთი ლაზეთს ენგურის ხეობით უკავშირდება). ლეჩხუმისაკენ და ზვემო სვანეთისაკენ გზა მდ. ცხენისწყლის ხეობაზე გადის, მის ორივე მხარეს. სპარსელებს ამ მდინარის ორივე ნაპირი უნდა ჰქონოდათ ხელთ, რომ ამ კუთხისკენ მიმავალი გზები გადაეჭრათ; ესეც იმის დადასტურებაა, რომ მოხირისი მდ. ცხენისწყლის დასავლეთით ვრცელდებოდა [3]. ავტორი მოხირისის დასავლეთის საზღვარს მდ. ტეხურს მიიჩნევს[4].

მოხირისის მდებარეობასთან მიმართებაში ჩვენ უფრო მართებულად მიგვაჩნია ს. ჯანაშიას და თ. ბერიძის მოსაზრება და ვფიქრობთ, რომ „მოხირისის“ ტერიტორია მოიცავდა მდ. რიონის ზემო წელს მარჯვენა სანაპიროდან ტერიტორიას დღევანდელი სენაკისა და მარტვილის, ასევე აბაშის რაიონებს და ცხენისწყლის ხეობას ჩრდილოეთით კარგა მანძილზე, დაახლოებით სოფელ ხუნწის უკიდურეს ჩრდილოეთის გორაკებამდე. მეორე მხრივ ძალზედ ზოგადი გვეჩვენება შემდეგდროინდელი „სამოქალაქოს“ და ე. წ. „ქუთაისის საერისთავოს“ ტერიტორიის თანხვედრა პროკოფი კესარიელის „მოხირისის“ რაიონთან, მით უმეტეს თუ საუბარი შეეხება ამ კუთხის ეთნიკურ სურათს, რომელიც ტოპონიმიკური მასალის მიხედვით ზანურია. მეორე მხრივ, პროკოპი კესარიელი აქ რამე ეთნიკურობის მიხედვით კი არ გამოყოფს მოხირისის მხარეს, არამედ ის ხაზს უსვამს მის ეკონომიკურ გამორჩეულობას ლაზიკის სხვა მხარეებს შორის; მას ის ლაზების მიწა-წყალზე მდებარე მხარედ ასახელებს, მიუხედავად იმისა, რომ პოლიტიკურად ის ხშირად ხან სპარსელების ხელშია, ხან კი ლაზების (ბიზანტიელებთან ერთად). რაც შეეხება არა მარტო აღმოსავლურ ქართული, არამედ სხვა ნებისმიერი უცხო ელემენტის შეჭრას ამ მხარეში (ანუ არაზანურის) ეს

---

[1] ო. ლანჩავა, დასახ. ნაშრომი, გვ. 133.
[2] ო. ლანჩავა, დასახ. ნაშრომი, გვ. 134.
[3] თ. ბერაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 150-151.
[4] თ. ბერაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 153.

უფრო შესაძლო იმ პოლიტიკური ვითარებით ყოფილიყო გამოწვეული, რაც სპარსეთის შეტევებს უნდა მოჰყოლოდა და პირველი დიდი მიგრაცია აღმოსავლურ ქართული ეთნიკური მასისა V-VI საუკუნეებში ძალზედ საეჭვოა, რადგან ლაზები ჯერ კიდეთ აკონტროლებდნენ სკანდი-შორაპნის სასაზღვრო ხაზს და ეს პროკოპი კესარიელთან გარკვევით არის აღნიშნული.

საკითხთან მიმართებაში საინტერესოა კიდევ ერთი ადგილი პროკოპი კესარიელის მონათხრობიდან, კერძოდ: „ლაზთა სოფლები ხომ აქ ყველა მდებარეობს მდინარის აქეთა ნაპირას და ქალაქებიც მათ ძველთაგანვე აქ აუშენებიათ, მათ შორის არის არქეოპოლისი, ძალიან გამაგრებული, სევასტოპოლიც არის აქ და პიტიუნტის სიმაგრეც, ხოლო სკანდა და სარაპანი – იბერიის საზღვრებისაკენ. ყველაზე შესანიშნავი ქალაქები კი მაინც არის აქ როდოპოლისი და მოხირისი. მდინარის მარცხნივ, ისეთ მანძილზე, რომელსაც ერთ დღეში გაივლის მსუბუქად დატვირთული კაცი, ლაზიკის საზღვრებია, ხოლო ეს მხარე მოსახლეობას მოკლებული ჩანს. ამ მხარის მეზობლად რომაელები ცხოვრობენ, რომელთაც პონტოელები ეწოდებათ. ლაზიკის მიწაწყალზე, იმ ადგილას, სადაც ადამიანებს არასოდეს არ უცხოვრიათ, იუსტინიანე მეფემ ჩემს დროს ქალაქი პეტრა გააშენა. აქ იოანე, ეგრეთწოდებული ციბე, მონოპოლიონის დამაწესებელი – როგორც ეს ჩემ მიერ ზემოთ იყო მოხსენიებული – ლაზთა განდგომის მიზეზი შეიქმნა. ქალაქ პეტრადან პირდაპირ რომ მიდიხარ სამხრეთისაკენ, გვხვდება რომაელთა საზღვრები, აქა-იქ ადგილები მჭიდროდ არის დასახლებული: რიზედ წოდებული და ათინა და ზოგი სხვა ვიდრე ტრაპეზუნტამდე[1]. როდესაც ლაზები წინ მიუძღვოდნენ ხოსროს, მათ გადავლეს მდინარე ბოასი და ისე მივიდნენ პეტრაში, რომ ფაზისი მარჯვნით ჰქონდათ, თითქოს იმიტომ, რომ მათ წინასწარ განჭვრიტეს, რათა მდინარე ფაზისის გადასასვლელად არც დრო და არც შრომა დასჭირდებოდათ მეტი, ხოლო ნამდვილად იმიტომ, რომ არ სურდათ სპარსელებისათვის ეჩვენებინათ თავიანთი საბინადროები, თუმცა ლაზიკე ყველგან, მდინარე ფაზისის როგორც აქეთა ისე იქითა მხარეზე, გაუვალია. ქვეყნის ორსავე მხარეს უზარმაზარი კლდეებია, რომლებიც იქ დიდს მანძილზე ვიწრობებს ქმნიან, ასეთ გზებს რომაელები „კლისურებს“ უწოდებენ – ელინური გამოთქმით. მაგრამ რადგან მაშინ ლაზიკე დაუცველი აღმოჩნდა, სპარსელები მათ წინამძღოლ ლაზებთან ერთად სწრაფად გაჩნდნენ პეტრაში“[2].

ს. ყაუხჩიშვილის აღნიშვნით, მდინარის, „აქეთა ნაპირი“ პროკოპის ცნობაში დაწერილია იმ ადამიანის მიერ რომელიც მდინარის ჩრდილო მხარეს არის დაბინავებული[3], რაც სავსებით მართებულად მიგვაჩნია, ე. ი. პროკოპი იმ ქალაქებს და სიმაგრეებს რომლსაც ჩამოთვლის (სევასტოპოლისი, პიტიუნტი, სკანდა და სარაპანი) და მათ შორის მისივე თქმით, აქაური „ყველაზე შესანიშნავი ქალაქები“ – როდოპოლისი და მოხირისიც, ჩვენი აზრით, უნდა მდებარეობდნენ დღევანდელი მდ. რიონის ანუ ფაზისის ჩრდილოეთ მხარეს. ალბათ სწორია ის მოსაზრება, რომ პროკოპის მიერ აქ ნახსენები მდინარე ბოასი, უნდა იყოს მდ. ყვირილა[4]. მასზე პროკოპის სხვა ადგილას

---

[1] გეორგიკა, ტ. II, გვ. 101-102.
[2] გეორგიკა, II, თბ., 1965, გვ. 102
[3] გეორგიკა, ტ. II, გვ. 101.
[4] ს. ყაუხჩიშვილის აზრით, „ ოვა"-ი არის ყვირილა, რომელიც გადმოლახეს სპარსელებმა იბერიიდან გადმოსვლისას; ხოლო ამ ოვა"-ყვირილას იმ ადგილიდან, სადაც მდინარე ნაოსნობისათვის გამოსადეგი ხდება თვით შავ ზღვამდე, ეწოდება ა სი"-რიონი, რომლის მარჯვნივ მდებარეობს ყველა ზემოჩამოთვლილი პუნქტი, გარდა როდოპოლისისა, რომელიც – თუ ის ახლანდელ ვარდციხეს უდრის – რიონის მარჯვნივ კი არ მდებარეობს, არამედ თვით

აღნიშნული აქვს, რომ „მდინარე ბოასი გამოდის სადღაც ჭანეთის საზღვრების მახლობლად არმენიელთა ადგილებში, რომლებიც ფარანგიონის გარშემო ცხოვრობენ. თავში ის კარგა მანძილზე მარჯვნით მიმდინარეობს. თხელია და არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენს არავისთვის ფონში გადასასვლელად, ვიდრე იმ ადგილამდე, სადაც მარჯვნივ იბერთა საღზვრები არის, ხოლო პირისპირ კავკასიის მთა თავდება. აქ ბევრი სხვადასხვა ტომი ცხოვრობს. მათ შორის ალანებიც და აბაზგებიც, რომლებიც ქრისტიანენი არიან და ძველითგანვე რომაელთა მეგობრები; აგრეთვე ზიქნიც და მათ შემდეგ ჰუნნებიც, რომელთაც საბირები ეწოდება. მის შემდეგ რაც ეს მდინარე მიაღწევს იმ ადგილს სადაც კავკასიისა და იბერიის საზღვრებია, აქ, რადგან მას ბევრი სხვა წყალიც ემატება, ის იზრდება ძალიან და, ნაცვლად ბოასისა ამიერიდან ფაზისად წოდებული, განაგრძობს მდინარეობას, ნაოსნობისათვის გამოსადეგი ვიდრე ევქსინად წოდებულ ზღვამდე, სადაც მისი შესართავია, და მის ორივე მხრით ლაზიკე არის. მაგრამ მარჯვნივ მთელი ის ქვეყანა დიდ მანძილზე ვიდრე აზიის საზღვრამდე დასახლებულია ადგილობრივი მცხოვრებლებით“[1].

წყაროს ამ მონაკვეთიდან ჩანს, რომ პროკოპის გარკვეულწილად არც თუ ისე ზუსტადაა აქვს აღწერილი მდ. ყვირილის ანუ ბოასის მდებარეობა. თუმცა მარჯვნივ აღნიშნავს იბერიის საზღვარს, ე. ი. ეს არის სკანდა-შორაპანის ხაზი ანუ ქვემოდან მარჯვნივ, შემდგომ კი მას ეწოდება ფაზისი (როდესაც სანაოსნო ხდება); საყურადღებოა ის ცნობაც, რომ მის ორივე მხრივ ლაზიკაა და კიდევ უფრო საყურადღებოა პროკოფის მიერ იმის ხაზგასმა, რომ „მაგრამ მარჯვნით მთელი ის ქვეყანა დიდ მანძილზე ვიდრე აზიის საზღვრამდე დასახლებულია ადგილობრივი მცხოვრებლებით“.

ერთი მხრივ პროკოპი აქ აღნიშნავს, რომ მდ. ფაზისის ორივე მხარე ლაზიკაა, თუმცა შემდგომ სვამს წერტილს და ამბობს, რომ „მაგრამ მარჯვნივ მთელი ის ქვეყანა დიდ მანძილზე აზიის საზღვრამდე დასახლებულია ადგილობრივი მცხოვრებლებით. ლაზიკაში აქ პროკოპი, როგორც ჩანს გულისხმობს ქვეყნის პოლიტიკურ საზღვარს, ხოლო ადგილობრივ მცხოვრებლებში არ უნდა იგულისხმებოდეს რაიმე სხვა ეთნიკური ჯგუფი, არამედ ის ტერიტორიები, რომლებიც რომაელთა უშუალო ქვეშევრდომობაში იმყოფებოდა ანუ ალბათ დღევანდელი გურიის და აჭარის მთიანეთის მოსახლეობაზე უნდა იყოს საუბარი, რომელიც თითქოს პროკოპის ცნობით იმ დროს დაუსახლებელი ჩანს (რიონის მარცხენა სანაპირო), მაგრამ მათ ქვემოთ, რომაელთა საზღვრები რიზე-ტრაპეზუნტისა და ათინაზე გადის, რომელ ადგილებსაც მჭიდროდ დასახლებულად მოიხსენიებს.

ჩვენ არ მიგვაჩნია სარწმუნოდ როდოპოლისისა და ვარდციხის იგივეობა (ს. ყაუხჩიშვილი. იხ. ხემოთ) და ვფიქრობთ, რომ როდოპოლისი და მოხირისი, რომლებიც პროკოპი კესარიელს არ შეჰყავს „ძველ ქალაქთა“ რიცხვში (როგორც არქეოპოლისი და სხვა) არამედ ეკონომიკურად ყველაზე ძლიერ ქალაქების სახითაა მოხსენიებული, უნდა მდებარეობნენ მდ. ფაზისის გაყოლებაზე მის ჩრდილოეთ მხარეს, დაბლობ ადგილებში

რიონზე, რიონის მარცხნივ, მართლაც, არც ერთი იმ პუნქტთაგანი არ მდებარეობს, გარდა პეტრასი, (ბათომისა), რასაც პროკოპიც აღნიშნავს. აქ ჩვენ გვაქვს კიდევ ერთი მაგალითი ადგილობრივი სახელის გადათარგმნისა. როგორც ცხენისწყალი, ნოქალაქევი, ვარდციხე და სხვა გადათარგმნეს ბერძნებმა, ისე ყვირილა გადაუთარგმნიათ ოვა"-ად (ზმნისაგან ბოვაწ – ვყვირი). (გეორგიკა, ტ. II, გვ. 108-109).

[1] გეორგიკა, ტ. II, გვ. 100-101.

ქუთაისის დასავლეთით და ვფიქრობთ საკითხი მათი ზუსტი ლოკალიზაციის შესახებ ჯერჯერობით ღიად რჩება.

ანგარიშგასაწევია და ძალზედ საყურადღებოდ მიგვაჩნია იუსტინიანე კეისრის (527-565) სახელთან დაკავშირებულ ნოველებში არსებული ცნობები ლაზეთის ქალაქებზე: „მათ შემდეგ მდებარეობს ჩვენი ლაზიკე, სადაც არის ქალაქი პეტრა, რომელსაც ჩვენგნით ხვდა წილად ქალაქი გამხდარიყო და დარქმეოდა და რომელსაც მიენიჭა ჩვენი უზენაესობის სახელიც და ეწოდება იუსტინიანე; შემდეგ არქეოპოლისი და როდოპოლისი, უდიდესი და ძველი სიმაგრეები. აქვე შედის აგრეთვე ჩვენ მიერ სპარსელებისაგან უკან ჩამორთმეული სიმაგრეები სკანდისი, სარაპანისი, მუ(ხი)რისი და ლასირი და სხვა რამეც, რაც კი ლაზეთში შევიძინეთ, შემდეგ მოდის ჭანთა ქვეყანა, მხოლოდ ახლა ჩვენი მეფობის დროს რომაელთა მიერ დაპყრობილი; მასაც აქვს უკვე ქალაქად ქცეული ადგილები, მომავალშიც ექნება სხვები. ამ ქვეყნის შემდეგ დამკვიდრებული არიან სხვა ტომებიც: სუანები, სკვიმნები, აფსილები, აბაზგები და სხვა, ღვთის შეწევნით, ჩვენი მეგობარი ტომები“[1].

აღსანიშნავია, რომ იუსტინიანეს ნოველებში არქეოპოლისი და როდოპოლისი ტერიტორიულად თითქოს ერთ პერიმეტრზეა დასახლებული. ვფიქრობთ აქ ავტორი აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენაც ცდილობს თანმიმდევრობით ჩამოთვალოს ქალაქები და ციხეები. კერძოდ, სკანდა-შორაპანი (თითქმის ერთ ხაზზე), შემდგომ მუ(ხი)რისი და ლასირი და სხვა რამეც. ლასირის მდებარეობაც (ისევე როგორც მუხირისის) დაუდგენელია თუმცა, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ისინი დაბლობში მდებარე ქალაქები ან გამაგრებული პუნქტები უნდა იყოს; ლასირი აქ დასახელებულია მოხირისის შემდეგ და თუ ტოპონიმიკას გადავხედავთ ლასირის შესაძლოა სადღაც დღევანდელი სოფ. ნოსირისთან ვიგულისხმოთ. შემდგომ იუსტინიანე ასახელებს ჭანთა ქვეყანას; შესაძლოა ჭანთა ქვეყანაში იგულისხმება სამეგრელოს ჩრდილო-დასავლეთის მხარე, რომელსაც გვაფიქრებინებს თვითონ მდ. ჭანისწყლის (ჭანთა – მდინარე) სახელწოდება და ამავე დროს ისიც, რომ მათ ჩრდილოეთით მდებარე ქვეყნებია – სვანეთი, სკვიმნები, აფსილეთი, აბაზგეთი და სხვა, რომლებიც რომაელთა მეგობრები არიან.

საინტერესოა იუსტინიანეს ნოველებში მოხსენიებული ლასირის ციხისა (იხ. ზემოთ) და პროკოფი კესარიელის ლოსორიონის ურთიერმიმართება. კერძოდ, პროკოპი კესარიელის მიხედვით ლოსორიონის ციხე აუგია იუსტინიანეს, მისი ცნობით, „ლაზიკის მიწაწყალზეც არის ერთი ციხე, სახელად ლოსორიონი, და ამ ქვეყანაში ვიწრობებიც გაამაგრა, რომელთაც ჩვეულებრივ, კლისურებს ეძახიან, რათა მოწინააღმდეგენი ლაზიკის შესავალში[ვე] ჩაეკეტათ. გარდა ამისა, ქრისტიანეთა ეკლესია განაახლა ლაზიკეში – ძველი იყო და ნაგებობაც დაზიანებულიყო“.

ს. ყაუხჩიშვილი უარყოფს ფ. უსპენსკის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ აქ ხელნაწერი უნდა იყოს დამახინჯებული და *ოოოვრიონ*–ის ნაცვლად უნდა წავიკითხოთ *ვ ყავრიონ*, რაც შემდეგდროინდელი გონიოს ციხეს უდრისო. აქ ხელნაწერის შეცდომას ს. ყაუხჩიშვილი ვერ ხედავს და ამ პუნქტს ვარაუდობს ან სკანდე-სარაპანისის სასაზღვრო ხაზზე ან შიგნით ლაზიკეში, იქ, სადაც სპარსელ-ბიზანტიელთა საომარი ოპერაციები ხდებოდა. მისივე აღნიშვნით, ამ რეგიონში არის, მაგალითად, ნოსირი,

[1] გეორგიკა, ტ. II, თბ., 1965, გვ. 33-37.

აბაშასა და ტეხურს შუა, რომლის მახლობლად მდებარეობენ საომარი ოპერაციებით საკმაოდ ცნობილი პუნქტები: სამხრეთით *ჰ სო*"-ისულეთი, ხოლო ჩრდილოეთით *რცაიოვპოლ*§- ნოქალაქევი; აქვე სახარიას, გვიან საუკუნეებში იყო ციხე და სასახლე დადიანისა, რომელსაც ვახუშტი იხსენიებს[1].

მართლაც შესაძლოა ლასირისა და ლოსორიონის ციხე ერთი და იგივე იყოს, მაგრამ აქ უნდა მივაქციოთ ყურადღება რამოდენიმე გარემოებას; იუსტინიანეს ნოველებში არ არის ნათქვამი რომ ლასირის ციხე მისი აშენებულია, არამედ უკან ჩამოურთმევია, ხოლო პროკოპი ლოსორიონს იუსტინიანეს აშენებულად მიიჩნევს. შეიძლება გვეფიქრა, რომ თუ აქ ერთი და იმავე ციხე-სიმაგრეზეა საუბარი და სიტყვა „აშენება“, აღდგენის მნიშვნელობითაც იყოს ნახმარი, მაგრამ ესეც საეჭვოა, რადგან პროკოპი სხვა პუნქტების დასახელებისას გარკვევით ამბობს სიტყვა „აღდგენილს“ (მაგ. ლაზიკეში იუსტინისრეს მიერ ეკლესიის აღდგენა, იხ. ზემოთ, ასევე, რომაელების მიერ სებასტოპოლისის და პიტიუნტის დანგრევა, ხოლო იუსტინიანეს მიერ ამ ციხეების „განახლებაა“ ნახმარი[2].

ამდენად დასაშვებად მიგვაჩნია, რომ ლასირისა და ლოსორიონის სახით სხვადასხვა ციხეები იყოს ნაგულისხმევი.

საომარ ოპერაციებთან დაკავშირებით, პროკოფი კესარიელი მდ. იპპისთან სპარსელთა დაბანაკების შემდეგ მოგვითხრობს: „კოლხთა მეფემ და დაგისთემ, რომელიც რომაელთა ჯარს წინამძღოლობდა, მათ ერთად გადაწყვიტეს წაეყვანათ მტრების წინააღმდეგ რომაელთა და ლაზთა ჯარი. მდინარე იპპისის მეორე მხარეს რომ მოაღწიეს და იქ დაიბანაკეს, ითათბირეს...“[3]. ხოლო, როგორც ზემოთ იმავე ავტორის ცნობიდან გამოჩნდა, სპარსელები მდინარის მარჯვენა მხარეს ბანაკდებიან. თუ ისინი გადადიან მდ. ცხენისწყალს ეს არის მარჯვენა მხარე, მაგრამ აქ წინააღმდეგობაშია გუბაზის და დაგისთეს ჯარის მოძრაობის მარშრუტი, რადგან ისინი დასავლეთიდან უნდა დაძრულიყვნენ, რომ მდინარის მეორე მხარეს აღმოჩენილიყვნენ (აღმოსავლეთით ანუ ცხენისწყლის მარცხენა მხარეს), ან რა საჭირო იყო აღმოსავლეთით მდ. ცხენიწყალზე გადასვლა, როცა სპარსელებს უკვე გადაკვეთილი აქვთ იპპსი ანუ ცხენისწყალი. შესაძლოა დაგისთეს ჯარი იმყოფებოდა მდ. ცხენისწყლის ჩრდილო-აღმოსავლეთით რომელიმე გამაგრებულ პუნქტში და ამიტომაც დასჭირდა მათ „იქითა“ მხარეს გადმოსვლა, თუ ეს ასე არ არის, მაშინ წყაროში აშკარად არეულია ეს მონაკვეთი.

ამის შემდგომ საბრძოლო მოქმედება ჩვენთვის საინტერესო პუნქტებთან მიმართებაში ამ სახით აქვს აღწერილი პროკოფი კესარიელს: „ხოლო მერმეროე, რომელსაც ეშინოდა პეტრასა და იქ დარჩენილ სპარსელებს დროთა ვითარებაში ცუდი არაფერი შეემთხვასო, მთელი თავისი ჯარით იქით გაემართა, როგორც კი დრომ, ზამთრის გასვლის შემდეგ, ამაში ხელი შეუწყო, მაგრამ გზაში მან გაიგო ყველაფერი, რაც მოხდა, და სრულიად შეცვალა ეს გზა. რადგან კარგად იცოდა, რომ მდინარე ფაზისის იქითა მხარეს ლაზებს პეტრას გარდა სხვა არც ერთი დასახლებული ადგილი არ მოეპოვებოდათ, ის გაბრუნდა და დაიჭირა იბერიიდან კოლხიდის ქვეყანაში

---

[1] [1] გეორგიკა, ტ. II, გვ. 220.
[2] გეორგიკა, ტ. II, გვ. 220, 222.
[3] გეორგიკა, ტ. II, გვ. 146-147.

გადასასვლელი ადგილები, სადაც ფაზისის გადასვლა შეიძლება ფონში, გადალახა ეს მდინარე ფეხით, გადალახა აგრეთვე მეორე მდინარეც, სახელად რეონი – არც ეს არის იქ სანაოსნო – და ფაზისის მარჯვენა მხარეს რომ აღმოჩნდა, წაიყვანა ჯარი ერთი ქალაქის, არქეოპოლისის, წინააღმდეგ, რომელიც არის მთავარი და უდიდესი ქალაქი ლაზების ქვეყანაში. ზოგიერთების გამოკლებით ყველანი ცხენოსნები იყვნენ და მათ რვა სპილო მიჰყვებოდა თან: მათ ზურგზე იდგენ ხოლმე სპარსელები და იქიდან, როგორც კოშკიდან, უშენდნენ მტერს თავში ასე რომ მართლაც გაუჭირდებოდა კაცს ომების დროს და გამოაშკარავებული ამტანობა და მოხერხებულობა სპარსელებისა, რომლებსაც იბერიიდან კოლხიდაში მიმავალი გზა, რომელიც ყველგან დაქანებული ნაპრალებითა და დაბუჩქებული ძნელსავალი ადგილებით იყო დასერილი და ისე დაფარული უღრანი ტყეებით, რომ მსუბუქად დატვირთულ კაცსაც კი გაუჭირდებოდა წინათ აქ გავლა“[1].

„...რომაელთა ჯარი თორმეტი ათასი კაცისაგან შედგებოდა და ყველანი ერთ ადგილას კი არ იყვნენ თავმოყრილნი, არამედ არქეოპოლისის მცველ რაზმში სამი ათასი კაცი იყო, რომელთაც ოდონაქე და ბაბა მეთაურობდნენ, – საომარ საქმეებში ორივე დახელოვნებული იყო; ხოლო დანარჩენები მდინარე ფაზისის შესართავთა აქეთ დაბანაკებულიყვნენ იმ ანგარიშით, რომ, თუ სადმე მტრის ჯარი იერიშს მოიტანდა, ისინი იქიდან წარმომართულიყვნენ საშველად მთელი თავისი ჯარით“[2].

ზემოთ წარმოდგენილ მდ. ფაზისში, რომლის მარცხენა მხარესაც ბანაკდება მერმეროე, უნდა ვიგულისხმოთ მდ. ყვირილა, ხოლო მდ. რეონში დღევანდელი რიონის ზემო წელი ყვირილა-რიონის შესართავამდე, მერმეროე ამ თანმიმდევრობით სწორედ რომ აღმოჩნდებოდა (როგორც ეს წყაროშია) მდ. ფაზისის (რიონი) მარჯვენა მხარეს. რადგან აქ ნახსენებია ძნელსავალი ადგილები არქეოპოლისის მიმართულებით, სავარაუდოდ სპარსელები არქეოპოლისის შესატევად მიემართებიან მდ. ფაზისიდან საკმაო მოშორებით, ჩრდილოეთით მდებარე ადგილებიდან, სავარაუდოდ დღევანდელი ხონის და შემდგომ მარტვილის რაიონის სოფლების – ხუნწის და ა. შ. მიმართულებით, ხოლო რომაელთა ლაშქრის უმრავლესობა, როგორც ჩანს დაბანაკებულია დაბლობში, ან იქ მდებარე რომელიმე ციხეშია გამაგრებული.

რომაელთა ბანაკი ნახსენებია მდ. ფაზისის აქეთა შესართავში, რომელშიც, ვფიქრობთ, იგულისხმება მდ. რიონის შესართავი მდ. ტეხურთან და ძნელად სავარაუდოა, რომ აქ ზღვის შესართავზე იყოს საუბარი. რომელთა „ტრადიციული“ ბანაკის მდებარეობა კი უკეთ ჩანს აგათია სქოლასტიკოსთან, რომელსაც ქვემოთ შევეხებით.

საკითხთან მიმართებაში საინტერესოა პროკოფი კესარიელის კიდევ ერთი ცნობა. კერძოდ: „დაბლობში ერთი ქალაქი იყო, სახელად როდოპოლისი, რომელიც ყველაზე უწინარეს ხვდებოდა გზაზე იბერიიდან კოლხიდაში შემოსულთ; ადვილმისადგომი იყო და იერიშის მიტანაც სრულიად არ იყო ძნელი. ამიტომ ლაზებმა ის ამას წინათ მიწასთან გაასწორეს, რადგან ეშინოდათ სპარსელთა შემოსევისა. სპარსელებმა რომ ეს გაიგეს, მაშინვე არქეოპოლისისაკენ გაემართნენ. მერმეროემ რომ შეიტყო, მოწინააღმდენი მდინარე ფაზისის შესართავთან დაბანაკებულანო, გაემართა მათ

[1] გეორგიკა, ტ. II, თბ., 1965, გვ. 181-183.
[2] გეორგიკა, ტ. II, თბ., 1965, გვ. 183-184.

წინააღმდეგ. ის უმჯობესად თვლიდა ჯერ ესენი გაენადგურებინა და ისე შემოერტყა ალყა არქეოპოლისისათვის, რათა ისინი ზურგში არ მოქცეულიყვნენ და სპარსელთა ჯარისათვის ზიანი არ მიეყენებინათ. არქეოპოლისის ზღუდეს რომ მიუახლოვდა, გამადიზიანებელი დაცინვით მიესალმა იქ მყოფ რომაელებს და რაღაც ყმაწვილური თავხედობით გადაჰკრა, მალე მოგიბრუნდებით თქვენო, მინდა ჯერ დანარჩენ რომაელებს მივესალმო, რომელნიც მდინარე ფაზისის მახლობლად დაბანაკებულანო, უთხრა მათ. მათაც უპასუხეს, წადი სადაც გინდაო, მაგრამ დაბეჯითებით უმტკიცებდნენ: თუკი იქაურ რომაელებს შეეყრები, ვერასოდეს ჩვენთან ვეღარ დაბრუნდებიო. როდესაც რომაელთა ჯარის მთავრებმა ეს გაიგეს, ძალიან შეეშინდათ და, რადგან მათი აზრით ისინი იმდენად ჩამორჩებოდნენ მტერს, რომ შემომტეველთა ძალას ვერ გაუმკლავდებოდნენ, ჩასხდნენ გამზადებულ ნავებში და ყველანი მდინარე ფაზისის მეორე მხარეს გადავიდნენ: იმ სურსათიდან, რომელიც თან ჰქონდათ, ნავებში ჩაალაგეს იმდენი, რამდენის გადატანასაც შესძლებდნენ, ხოლო დანარჩენი მდინარეში გადაყარეს, რათა მტერს იმით არ მოელხინა. ცოტა ხნის შემდეგ მერმეროეც მივიდა იქ მთელი თავისი ჯარით და სრულიად დაცარიელებული რომ დაინახა მტრის ბანაკი, ეწყინა და მძიმე მდგომარეობაშიც ჩავარდა. მან გადასწვა რომაელთა სადგომები და ბრაზისგან გულგასივებული მაშინვე გაბრუნდა და არქეოლპოლისის წინააღმდეგ წაიყვანა ჯარი“[1].

როგორც ვხედავთ როდოპოლისი, წყაროს თანახმად, არის პირველი ქალაქი, რომელიც იბერიიდან კოლხეთისკენ მიმავალ გზაზე მდებარეობს დაბლობში. ვფიქრობთ, ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ აქ გადის საზღვარი იბერიასა და ლაზეთს შორის არამედ აქ უნდა იგულისხმებოდეს „პირველი ქალაქი“, რომელიც აქ გვხვდება გზაზე, ხოლო სკანდა და შორაპანი „ციხეებია“ და არა ქალაქები, რომლებიც იბერიის საზღვარზეა და ამ პერიოდში უკვე სპარსელებს უჭირავთ. როგორც აღვნიშნეთ, სპარსელთა ჯარი უნდა წასულიყო ჩრდილოეთის მთიანი ადგილების (ხონი, ხუნწი) გზით არქეოპოლისისაკენ. რომაელები დაბანაკებულნი არიან მდ. ფაზისის შესართავთან. პროკოპი მდ. ფაზისის შესართავში შესაძლოა გულისხმობს მდ. ცხენისწყლის ან ტეხურის შესართავს რიონთან, რადგან მათ (სპარსელებს) ეშინიათ, რომ რომაელები ზურგში არ მოექცნენ. ამავე დროს არქეოპოლისისკენ მიმავალ გზაზე მათ ხელს უშლის ქალაქი როდოპოლისი, რომელიც დაბლობშია და რომელიც რომაელებმა მიატოვეს და გადაწვეს. სწორედ ამის შემდგომაა შესაძლებელი არქეოპოლისისკენ გალაშქრება. ვფიქრობთ, შესაძლოა როდოპოლისი მდებარეობდა სადღაც ცხენისწყლის სანაპიროსთან, დაბლობში მისი დინების ჩრდილოეთის ხაზზე, რასაც იუსტინიანეს ნოველებშიც, როგორც ზემოთ აღინიშნა, არქეოპოლისთან ერთად მოხსენიებაც გვაფიქრებინებს.

ს. ყაუხჩიშვილი მიიჩნევდა, რომ როდოპოლისი დღევანდელი ვარდციხის ადგილას მდებარეობდა [2]. იმავე აზრს იზიარებდა ნ. ბერძენიშვილი[3]. ავტორის აღნიშვნით ის მდინარის (ყვირილის) მარცხნივ არის ისევე, როგორც ტელეფისი;აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ნ. ბერძენიშვილი როგორც ჩანს დიდი ნდობით არ უყურებს პროკოფი კესარიელის მონათხრობს[4] რაც ჩვენი აზრით, ცალკეული ადგილების გამოკლებით, არ უნდა იყოს მართებული მიდგომა ამ წყაროს მიმართ. რაც შეეხება როდოპოლისის

---

[1] გეორგიკა, ტ. II, თბ., 1965, გვ. 186-188.
[2] გეორგიკა, II, თბ., 1965, გვ. 104-105.
[3]ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. VIII, თბ., 1975, გვ. 445.
[4] ნ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 476-477.

ადგილმდებარეობას, ის მხოლოდდამხოლოდ თარგმანის მიხედვით არ შეიძლება გავაიგივოთ ვარდციხესთან. თვითონ ვარდიც ქართული სიტყვა არ ჩანს და ისიც უნდა დადგინდეს თუ როდის შემოდის ის ქართულ მეტყველებაში, რაც ამ ეპოქისათვის მეტად საეჭვოა, მითუმეტეს ზანურ სამყაროში. მეორეს მხრივ მსგავსი ტოპონიმი ჩვენ იქვე გვაქვს დაბლობში – სანავარდოს ფორმით ქ. სამტრედიასთან, სადაც სა გვიანდელი პრეფიქსია, ხოლო „ნავარდო“ ნიშნავს „სავარდოს“ ანუ იმ ადგილს, სადაც ადრე ვარდი ხარობდა. ვფიქრობთ, როდოპოლისი საძებნია დაბლობში სადღაც მდ. ცხენისწყლის სანაპიროებთან რიონის შესართავამდე, დღეს კი დაბლობში იმ დროინდელი ციხის ნაშთის ზედაპირზე ნახვა შეუძლებელია და მასზე არქეოლოგიას შეუძლია მეტ-ნაკლებად მართებული პასუხის გაცემა.

შემდგომ პროკოფი კესარიელი მოგვითხრობს მერმეროოს მიერ ერქეოპოლისის ალყის ამბებს; მან ვერ შეძლო ქალაქის აღება და ბრუნდება მოხირისის და კუტაიონისკენ რეონის სანაპიროებთან (ამაზე ჩვენ ზემოთ გვქონდა საუბარი), კერძოდ, წყაროს ცნობით, „იმ ცდამ რომ ფუჭად ჩაუარა მერმეროემ მთელი თავისი ჯარით მოხირისისკენ დაიხია: სპარსელები, მართალია, არქეოპოლისთან დამარცხდნენ, მაგრამ თითქმის მთელი დანარჩენი ლაზიკე მათ ეპყრათ. მოხირისი ერთი დღის სავალ გზაზეა არქეოპოლისს დაშორებული და შეიცავს მრავალს მჭიდროდ დასახლებულ სოფელს. ამ მხარეს ჩამოუდის ერთი მდინარე, სახელად რეონი; მის სანაპიროებთან ძველადვე კოლხებს აუგიათ ციხე, რომელიც შემდეგ ხანებში მათ მეტწილად მიწასთან გაუსწორებიათ, რადგან ის მეტად დაბალ ვაკეზე მდებარეობდა და, მათი აზრით, ადვილი მისასვლელი იყო. მაშინ ამ ციხეს კოტაიონს უწოდებდნენ ელინური ენით, ამჟამად კი მას ლაზები ქუთაისს ეძახიან: ბერძნული ენის უცოდინარობით მოსდით, რომ ამ სახელწოდების ნამდვილი სახე შერყვნეს. ასე აქვს ეს მოთხრობილი არიანეს. სხვები კი ამბობენ, ძველს დროში ამ ადგილას ქალაქი იყო კვიტაიაონი ეწოდებოდაო; აქაური იყო აიეტი, რის გამოც პოეტები მას კვიტაიელს ეძახიან, კოლხიდის ქვეყანას კი – კვიტატიდსო. მერმეროემ განიზრახა ეს ციხე აღედგინა, მაგრამ ვინაიდან ამისათვის არაფერი ჰქონდა მომზადებული და ამასთანავე ზამთარიც ჩამოწვა, სასწრაფოდ შეაკეთა ხის მასალით ციხის ის ნაწილები, რომლებიც დანგრეული იყო, და იქ დაისადგურა. ქუთათისის მახლობლად კი არის ერთი მეტად მაგარი ციხე, სახელად უქიმერიონი; აქ ჰყავდათ ლაზებს კარგი მცველი რაზმი. ამ ციხის დაცვაში მონაწილეობას ღებულობდა რამდენიმე რომაელი ჯარისკაცით – აი, აქ დაბანაკდა მერმეროე მთელი თავისი ჯარით. კოლხეთის საუკეთესო ნაწილი მას ეპყრა და მოწინააღმდეგეებს დაბრკოლებასაც უქმნიდა, რომ უქიმერიონის ციხეში სურსათი მიეწოდებინათ, ან სვანიასა და ეგრეთწოდებულ სკვიმნიაში ევლოთ, თუმცა ეს ქვეყანა მათი ქვეშევრდომი იყო. ვინაიდან, მოწინააღმდეგე რომ მოხირისში იჯდა, ლაზებსა და რომაელებს ამ ქვეყნისაკენ გზა მოჭრილი აღმოაჩნდათ. ასეთი იყო ლაზიკეში დაბანაკებული ჯარების მდგომარეობა“[1].

როგორც ჩანს ფრონტის ხაზი ძალზედ არათანაბრად და დიდ მანძილზეა გაშლილი ან ზოგიერთი პუნქტის ლოკალიზაცია მეტ დაზუსტებას მოითხოვს. რეონში ალბათ უნდა ვიგულისხმოთ ქუთაისზე გამავალი მდ. რიონი და მისი ზემო წელიც, რომელიც მისი ადგილობრივი სახელწოდება ჩანს. ვფიქრობთ, პროკოპის არც თუ ისე

[1] გეორგიკა, ტ. II, 194-197.

ნათელი წარმოდგენა აქვს ამ ადგილზე, რადგან მეტად ბუნდოვან მსჯელობას გვთავაზობს თვით კოტაიონის და ქუთაისის იგივეობაზე და ოქროს საწმისზე.

ამის შემდგომ, როგორც პროკოპი აღნიშნავს, „...რომაელებსა და ლაზებს შორის არავითარი მისვლა-მოსვლა არ იყო. სპარსელები ყველგან სრულიად თავისუფლად მიდი-მოდიოდნენ ამ ადგილებში, და ამიტომ რომაელთა და ლაზთაგან ერთნი მდინარე ფაზისის სანაპიროებზე დამამულიყვნენ, ხოლო სხვებს არქეოპოლისი ან სხვა რომელიმე იქაური სიმაგრე დაეჭირათ და იქ შეეფარებინათ თავი; თვით გუბაზიც, ლაზთა მეფე, მშვიდად ჩამჯდარიყო მთის წვერებზე. ამით აიხსნება, რომ თეოფობიმ სრულიად ადვილად შესძლო მერმეროესათვის მიცემული დაპირება შეესრულებინა. ციხეში რომ იყო, უთხრა ლაზებსა და რომაელებს, რომლებიც იქაურ მცველ რაზმს შეადგენდნენ, რომ რომაელთა მთელი ჯარი დაიღუპა, ხოლო გუბაზ მეფესა და მასთან მყოფ ყველა ლაზებს საქმეები ცუდად წაუვიდათ, მთელი კოლხიდა კი სპარსელების ხელშია და არც რამე იმედია, რომ რომაელები ან გუბაზი აქ ამ ქვეყანაში ძალაუფლებას დაიბრუნებენ ოდესმე“[1]. კიდევ უფრო მეტიც მათ ხელში ჩაუგდიათ უქიმერიონის ციხე და როგორც პროკოპი აღნიშნავს: „ჩაიგდეს ხელში სპარსელებმა უქიმერიონის ციხე და მტკიცედ დაეპატრონენ ლაზიკეს. მაგრამ მარტო ეს ლაზიკე კი არ ჩაიგდეს ხელთ სპარსელებმა, არამედ სკვიმნიაცა და სვანიაც, და ამრიგად, მოხირისიდან იბერიამდე მთელი მიწაწყალი გამოეცალათ ხელიდან რომაელებსა და ლაზთა მეფეს. მტრის მოგერიება არ შეეძლოთ არც რომაელებსა და არც ლაზებს, რადგან ისინი ვერ ბედავდნენ ვერც მთებიდან ან სიმაგრეებიდან ჩამოსვლას და ვერც რამენაირად მტერთან შებმას[2].

ს. ყაუხჩიშვილის აზრით, „უქიმერიონი პროკოპის აღწერილობით რიონის მარჯვენა ნაპირას უნდა მდებარეობდეს, ლეჩხუმისა და სვანეთისაკენ მიმავალ გზაზე. ავტორი მას ქუთაისის მახლობლად, „სკვიმნიისა და სვანიისაკენ“ მიმავალ გზაზე მდებარედ ვარაუდობს, თუმცა მდებარეობის ზუსტი განსაზღვრა ვერ ხერხდება[3]. ავტორის მიერ შემოთავაზებული ზოგადი ორიენტირი მართებულად მიგვაჩნია. შესაძლოა უქიმერიონის ციხე მდ. ცხენიწყლის ზემო ხეობაში მდებარე რომელიმე ციხე ყოფილიყო.

გამოზამთრების შემდგომ, როგორც პროკოპი კესარიელი მოგვითხრობს, „მერმეროეც სპარსელთა და ჰუნნთა მთელი ჯარით დაიძრა მოხირისიდან და ლაზთა სიმაგრეების წინააღმდეგ გაემართა, თან სპილოებიც მიჰყავდა. რომაელები მას არსად შეხვედრიან, იმათ, მარტინეს მეთაურობით, მდინარე ფაზისის შესართავის მახლობლად რაც შეიძლებოდა მტკიცე პირობები შეექმნათ თავისთვის ადგილობრივი მდებარეობის წყალობით და იქ იდგნენ მშვიდად. მათთან იყო ლაზთა მეფე გუბაზიც. ამ მიდიელთა ჯარს – რაღაც შემთხვევით უნდა აიხსნებოდეს ეს – არავითარი ზიანი არ მიუყენებია არავისთვის, არც რომაელთა და არც ლაზიკისათვის. პირველ ყოვლისა მერმეროემ ჯარი წაასხა ერთი ციხის წინააღმდეგ, სადაც გაიგო მან – გუბაზის და არისო, რომ იგი რამენაირად აეღო, მაგრამ, ვინაიდან მტკიცედ იცავდნენ მას და ადგილის ბუნებრივი მდებარეობაც შველოდა მათ ამაში, ბარბაროსებმა მიზანს ვერ მიაღწიეს და, იქიდან უკუქცეულებმა, დაიხიეს. შემდეგ ისინი სასწრაფოდ გაემართნენ აბაზგების წინააღმდეგ. რომაელები, რომელნიც წიბილს იცავდნენ, ჩამჯდარიყვნენ ძალიან ვიწრო და – როგორც წინათ ვთქვი – ციცაბოკლდეებიან გასავალში და სპარსელებისათვის გზა შეეკრათ.

[1] გეორგიკა, ტ. II, გვ. 201.
[2] გეორგიკა, ტ. II, გვ. 202.
[3] გეორგიკა, ტ. II, გვ. 208-209.

ამიტომ მერმეროემ, რადგან საშუალება არა ჰქონდა დაეძლია მოპირდაპირე, უკან წაიყვანა ჯარი და მაშინვე გაემართა არქეოპოლისის წინააღმდეგ იმ განზრახვით, რომ ალყა შემოერტყა მისთვის. ზღუდე რომ მოსინჯა და ვერეფერს გახდა, კვლავ გამობრუნდა, რომაელები კი გაბრუნებულ მტერს დაედევნენ და ერთ ძნელსავალ ადგილას მრავალი ამოჟლიტეს: მათ შორის საბირთა მთავარიც აღმოჩნდა მოკლული. და გვამის გარშემო რომ ცხარე ბრძოლა გაიმართა, ბოლოს სპარსელებმა, შებინდებისას, სძლიეს მოწინააღმდეგეებს და გააქციეს, თვითონ კი ქოთაისისა და მოხირისისკენ დაიხიეს. აი, ეს დაემართათ რომაელებსა და სპარსელებს“[1].

როგორც გამოჩნდა სპარსელები ამ პერიოდში თითქმის მთელს ლაზეთს აკონტროლებდნენ, ზოგიერთი ციხეების და არქეოპოლისის გარდა. ისინი მთლიანად აკონტროლებდნენ მდ. რიონის ზემოთ მდებარე ჩრდილო-აღმოსავლეთის ხაზს; ორჯერ როგორც გამოჩნდა ვერ იღებენ არქეოპოლისს და უკან ბრუნდებიან მოხირისისა და ქუთაისის ციხისკენ. ამის შემგომი ვითარების შესახებ თხრობას განაგრძობს აგათია სქოლასტიკოსი (536-582), რომელიც არანაკლებ საყურადღებოა და შეიძლება ითქვას უფრო მეტ ინფორმაციას შეიცავს კოლხეთის ქალაქების, ციხეების თუ საერთოდ ისტორიული გეოგრაფიის შესახებ.

აგათია სქოლასტიკოსის (VI ს.) ცნობით, „მერმეროე, სპარსელთა სარდალი, მას შემდეგ რაც მან ორჯერ მიიტანა იერიში არქეოპოლისზე და უკუგდებულ იქმნა და სხვა რამეც მოიმოქმედა... კვლავ მოვიდა მაშინ (და აქედან დავინახე მიზანშეწონილად ჩემი თხრობა დამეწყო) მუხირისში და კოტაისის ციხეში, მოინდომა გაევლო ტელეფისის ძნელსავალი ადგილები და მდინარე ფაზისამდე მიეღწია, მოულოდნელად დაეწიოკებინა რომაელები და ესინჯა, შესძლებდა თუ არა ზოგიერთი იქ მდებარე პატარა ქალაქების დამორჩილებას. ამის მიღწევა კი[2] მისთვის შეუძლებელი იქნებოდა თუ ის აშკარა გზით წავიდოდა. სარდალი მარტინე მისი ხელქვეითი ჯარითურთ ტელეფისში დაბინავებულიყო – ეს ციხე მტკიცე და ძალიან მაგარია და დიდი გულმოდგინებით იცავდა შესავლებს. ეს ადგილი სხვათა შორის ძნელასავალია და მიუდგომელი. ერთი მხრით ნაპრალები, ხოლო მეორე მხრით ციცაბო და ერთი-მეორეზე მიწოლილი კლდეები ქმნიან ერთ მეტად ვიწრო ბუნებრივად დაგებულ ბილიკს: არც ერთი სხვა მხრიდან არ არსებობს სხვა მისასვლელი გზა, რადგან ირგვლით მდებარე დაბლობები მეტის-მეტად ჭაობიანია და შლამიანია და მათ გარს აკრავს იმდენად ხშირი ბუჩქნარები და ტყეები, რომ არათუ შეიარაღებულ რაზმებს, არამედ ერთ კაცსაც კი – ისიც მსუბუქად ჩაცმულს – გაუჭირდება იქ გავლა... ბარბაროსების სამხედრო ოინით მოტყუებულებმა (რომაელებმა) სამარცხვინოდ დაიხიეს და იძულებულნი იყვნენ დანარჩენ ჯარს შეერთებოდნენ[3]. ბერსას და იუსტინეს რაზმები ერთ დაბლობში იყვნენ დაბინავებულნი, **ტელეფისის** მახლობლად, სულ შვიდი სტადიონის მოშორებით. იქ სხვა არაფერი არ არის გარდა ქოთნების სავაჭროებისა;[4] ამითვე აიხსნება ამ ადგილის სახელწოდება; მას ხომ ლათინურად **ოლლარია** ეწოდება, ელანთა ენაზე ეს **„ქიტროპოლია“** იქნება. როდესაც მარტინესთან ერთად ბევრნი დაწინაურდნენ და სამშვიდობოს გამოვიდნენ სტრაგეგოსებმა გადაწყვიტეს იქ დაეცდიათ მოწინააღმდეგეებისათვის, დარაზმულნი დამდგარიყვნენ და შეეფერხებინათ მათი

[1] გეორგიკა, ტ. II, გვ. 208-211.
[2] გეორგიკა, ტ. III, გვ. 30
[3] გეორგიკა, ტ. III, გვ. 31.
[4] გეორგიკა, ტ. III, გვ. 34.

წინსვლა... თეოდორე (რომაელებთან მყოფი სარდალი წარმოშობით ლაზი) ჩამდგარიყო უკვე **ტელეფისის** მახლობლად[1]. როდესაც დაინახა (თეოდორემ) ციხის შიგნით მყოფი რაზმები სპარსელებისა მიხვდა, რომ ისინი აქ არ შეჩერდებოდნენ და, ცხადი იყო ბრძოლის გაგრძელებას მოისურვებდნენ, და მაშინვე წამოვიდა იქიდან. გზაზე მას ბევრი რომაელი შეხვდა, რომლებიც ქიტროპოლიაში კი არ მიდიოდნენ პირდაპირ, როგორც ეს მათ ნაბრძანები ჰქონდათ, არამედ ლაზთა სახლებში იჭრებოდნენ და ართმევდნენ ქვრიმას, ასლასა და სხვა რაღაც საჭმელებს. მან სცადა ისინი დაებრუნებინა და მიუთითებდა მათ უგუნურობაზე[2]. „... ისინი (რომაელები) მაშინვე აიყარნენ დაბლობიდან, თან წარასხეს მთელი ჯარი და ლაჩრულად და უმწყობროდ გაემართნენ და მანამ არ შეუწყვეტიათ სირბილი, სანამ ნერსოს არ მოაღწიეს, ნესოსი სულ დიდი ხუთი ფასარანგით არის დაშორებული ტელეფისს. ისინი ძალიან მარდად მირბოდნენ და ეს გზა ლაღად გაიარეს იმავე დღეს. ფასარანგი, როგორც ჰეროდოტე და ქსენოფონტი ფიქრობდნენ ოცდაათ სტადიონს უდრის, ხოლო ამჟამად იბერები და სპარსელები მხოლოდ ოცდაერთ სტადიონს თვლიან. ასე ფიქრობენ თვითონ ლაზებიც, ხოლო ამ სახელს კი არ უწოდებდნენ, არამედ „ანაპავლას“ (შესასვენებელს) ეძახდნენ და ვფიქრობთ სრულიად სამართლიანადაც. ვინაიდან მათში თითოეული ფარსანგის გათვლისას ტვირთმზიდველები ტვირთსაც ჩამოიღებდნენ ხოლმე და ცოტათი შეისვენებენ კიდეც, მათ სხვები შეენაცვლებიან, და რამდენადაც ასე მოიქცევიან იმდენით ზომავენ და ანაწილებენ გზის მანძილს. ამას ვუწოდებთ ფასარანს, თუ იმას, ნესოსი ასორმოცდაათი სტადიონითაა დაშორებული ტელეფისის ციხეს. ეს სოფელი საკმაოდ მაგარია და არც ადვილი მისადგომი, გარშემორტყმულია მდინარეთა მორევებით, ფასისი და დოკონოსი[3]. ცალ-ცალკე ჩამომიდინარეობენ კავკასიის მთიდან და თავში ძალიან არიან ერთმანეთთან დაშორებული, აქ კი ადგილის მდებარეობით იძულებულნი ცოტცოტა უახლოვდებიან ერთმანეთს და უკვე აღარ მოედინებიან დაშორებით; რომალებსაც ერთი თხრილი გაუკეთებიათ და ფაზისის ნაკადი დოკონისში გადაუშვიათ, ასე რომ ეს ორი მდინარე ერთდება ნეროსის იმ ნაწილში, რომელიც აღმოსავლეთისაკენ არის მიქცეული, და ისინი გარს ერტყმიან ამ ადგილს, აქედან ისინი კვლავ და დაბლობის მცირეოდენ ნაწილს იმწყვდევენ შუაში. შემდეგ დასავლეთისაკენ რომ მიდიან წინ თავისთავად ერთვიან, და ბოლოს ერთმანეთს შეერევიან, ასე რომ მათ შუა მართლაც რომ კუნძული იქმნება. აი აქ მოიყარეს თავის რომაელებმა[4].

როგორც აგათია სქოლასტიკოსის მიხედვით გამოჩნდა, სპარსელები ცდილობდნენ გაიარონ ტელეფისის ძნელსავალი ადგილები. ვფიქრობთ, ტელეფისში ამ შემთხვევაში იგულისხმება რომელიღაც მდინარის ხეობა, რაც შესაძლოა იყოს მდ. ცხენისწყალი, კერძოდ სპარსელები ცდილობენ მოულოდნელად დაესხან თავს რომაელებს, რომლებიც მდ. ფაზისთან არიან დაბანაკებულნი ტელეფისის ციხეში. სპარსელები ამას აკეთებენ იმიტომ, რომ ამ თავდასხმას ჰქონდეს მოულოდნელობის ეფექტი და არ მიდიან „აშკარა გზით“ ანუ მდ. რიონის გაყოლებით. ხოლო რაც შეეხება ტელეფაისის ციხის ადგილმდებარეობას, მისი ლოკალიზაცია არ ხერხდება.

---

[1] გეორგიკა, ტ. III, გვ. 35.
[2] გეორგიკა, ტ. III, გვ. 35.
[3] ს. ყაუხჩიშვილის აზრით, დიკონოსი უდრის მდინარე ტეხურას. *ოცწგო«* უნდა წარმოადგენდეს ამ მდინარის მაშინდელს (VI საუკ.) ადგილობრივ სახელწოდებას. მეგრული ენის მასალები საშუალებას იძლევა გავიგოთ აქ ადგილმდებარეობის აღმნიშვნელი დო პრეფიქსის შემცველი სიტყვაც, რომლის ფუძე იქნება კონ //კუს წარმოადგენდეს (ანალოგიურადაა წარმოებული დოშაყე).
[4] გეორგიკა, III, გვ. 36-37.

ს. ყაუხჩიშვილს მიაჩნია, რომ აგათიას ტელეფისისი ის ციხეა, რომელსაც პროკოპი უსახელწოდებოთ იხსენიებს. ავტორის აზრით, ქუთაის-მოხირისსა და შორაპანს შუა ის ვერ დაბანაკდებოდა, რადგან ლაზეთის ეს ნაწილი სპარსელების ხელში იყო. ბიზანტიელები უთუოდ ეცდებოდნენ[1] გამაგრებულიყვნენ სპარსელებისა და თავიანთი სამფლობელოს მაშინდელ საზღვარზე. ეს საზღვარი კი უნდა ყოფილიყო ცხენისწყალთან, სადაც თავდებოდა სპარსელების მიერ დაკავებული მოხირისის რაიონი[2]. ავტორისავე თქმით, როდესაც პროკოპი და აგათია ფაზისის შესართავზე ლაპარაკობენ, სადაც ბიზანტიელების ჯარი იყო დაბინავებული, უნდა ვიგულისხმოთ ცხენისწლისა და რიონის შესართავი, და ის ციხეც, რომლის გარშემო 553 წელს სწარმოებს ბრძოლა, აქ უნდა ვივარაუდოთ. რომ თჰლეფივ§-ი ცხენისწყლისა და რიონის შესართავთან არის საგულვებელი, განაგრძობს ავტორი, შემდეგიდანაც ჩანს: როდესაც ბიზანტიელებმა ტელეფისი დასტოვეს და ლაჩრულად და უმწყობროდ გაიქცნენ, იმათ მიაშურეს ნესოსს და მანამ არ შეუწყვეტიათ სირბილი, სანამ ნესოსს არ მიაღწიეს. ნესოსი სულ დიდი ხუთი ფასარანგით არის დაშორებული ტელეფისს. ფასარანგი როგორც ცნობილია და როგორც აქვე განმარტავს თვითონ აგათიაც, 30 სტადიონს შეადგენს, ე. ი. უდრის დაახლოებით 5,25 კილომეტრს, მაშასადამე ტელეფისი დაშორებული ყოფილა ნესოსს 25-27 კილომეტრით. ასეთი მანძილი სწორედ ნესოსიდან (ეხლანდელი „ისულა“ ვახუშტის „ისულეთი“) ვიდრე იმ ადგილამდე, სადაც ჩვენ ვგულისხმობთ, მორისისის რაიონს საზღვარს, ცხენისწყალს და ფაზისს შესართავამდე. ამგვარად, აგათიას *თჰლეფივ§*-ი მდებარეობდა ცხენისწყალსა და რიონის შესართავის მიდამოებში და არა ეხლანდელ ჩხარის რაიონში. სახელდობრ თუ რომელი დღევანდელი ადგილი უდრის ტელეფისს, ამის გამორჩევა ჯერჯერობით არ ხერხდება“[3].

ნ. ბერძენიშვილი, ტელეფისის ციხეს ყვირილა-რიონის მარცხენა ნაწილზე მდებარედ მიიჩნევდა[4].

ზემოთქმულიდან გამომდინარე პირველ რიგში, როგორც ზემოთაც ავღნისნეთ, ჩვენ არ ვიზიარებთ იმ მოსაზრებას, რომ მუხურისის საზღვარი არის მდ. ცხენისწყალი, არამედ ის ბევრად უფრო დასავლეთით ვრცელდება. მეორე მხრივ, ცხენისწყალ-რიონის შესართავთან მთები არ არის და არც ციცაბო ადგილებია და მითუმეტეს ერთი-მეორეზე მიწოლილი კლდეები და ვიწრო ბილიკები, როგორც ამას აგათია აღწერს; ნიშანდობლივია ისიც, რომ ტელეფისს რატომღაც არ იხსენიებს პროკოპი კესარიელი. ტელეფისთან (მახლობლად) შვიდი სტადიონის მოშორებით მდებარეობს ოლლარიად წოდებული ადგილი, რომელიც როგორც ჩანს ქოთნების სავაჭრო ადგილი იყო და მას დათინურად ქიტროპოლია რქმევია. აქ მიმართულებები არ არის ნაჩვენები, მაგრამ შვიდი სტადიონი დაახლოებით 1 კილომეტრი და სამასი მეტრიც არ არის. ამავე დროს აღნიშნულია, რომ ტელეფისიდან ლაშორებულია ხუთი ფასარანგით (ფასარანგი როგორც აგათია აღნიშნავს ოცდაათ სტადიონს უდრის); თუ ამ მანძილს განვსაზღვრავთ, მაშინ მათ შორის 26-28 კილომეტრი უნდა ვიგულისხმოთ. უწინარეს აქ ყურადღება უნდა გავამახვილოთ ნესოსის მდებარეობაზე, რომელიც ორ მდინარეს შორის, ფასისსა და დოკონოსს შორის არის მოქცეული.

---

[1] გეორგიკა, III, გვ. 40.
[2] იხ. გეორგიკა, II, 177-178
[3] გეორგიკა, III, გვ. 41.
[4] ნ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 477.

ს. ყაუხჩიშვილი, დოკონოსს მდ. ტეხურად მიიჩნევს, რაც ალბათ მართებულია[1]. ვფიქრობთ, საინტერესოა აბაშის რაიონში მდ. რიონის ორივე სანაპიროზე გაშლილი სოფელი კოდორი, რომელიც შესაძლოა სახელწოდება „დოკონოსს“ ეხმაურებოდეს. ამავე დროს მართებულად მიგვაჩნია ს. ყაუხჩიშვილის ვარაუდი ნესოსის მდებარეობის შესახებ. კერძოდ, ავტორის აზრით, სახელწოდება *ჰ სო",* ბიზანტიელთა ჩვეულებისამებრ ადგილობრივი სახელწოდების ბერძნულ თარგმანს წარმოადგენს. ადგილობრივ კი მას როგორც ჩანს ლათინური სახელი რქმევია. ბიზანტიის სარდლობას მის მიერვე შექმნილი, სტრატეგიულად მნიშვნელოვანი პუნქტისათვის უწოდებია „კუნძული“, Iნსულა, ისევე როგორც ტელეფისის მახლობლად მდებარე ერთ უბანს მან ლლარია (ბერძნულად *Χοτροπῶλια*) უწოდა. ბიზანტიელების მიერ დარქმეული სახელი Iნსულა შერჩა ამ ადგილს დღესაც. მას დღესაც ისულა ეწოდება. სოფელი ისულა მდებარეობს თეკლათის თემში დღევანდელი სოფელი, როგორც ავტორი ადგილობრივთა გადმოცემით არკვევს, შედარებით ახალი გაშენებულია და ის უფრო ჩრდილოეთით მდებარეობს, ვიდრე აგათიას დროინდელი ნესოსი. ძველი სოფელი ყოფილა აბაშა-ტეხურის შესართავის სამხრეთით, რიონისაკენ. ამ ადგილს ეხლა ადგილობრივი მცხოვრებლები (ისულელები) ეძახიან „ნაოჩუ“-ს; აქ ნაოჩუში ადგილობრივი მცხოვრებლები ნახულობენ ხოლმე მიწაში ჭურჭლებს. ნაოჩუს მიდამოებში მებატონის (ხეციის) სასახლე ყოფილა (ამას ჰქვია ნადოხორი). ნადოხორის სამხრეთ-დასავლეთი რაიონისკენ, ორი კილომეტრის მოშორებით არის ადგილი, რომელსაც ჰქვია „ნაოხვამუ“. ყველაფერი ეს მიგვითითებს იმაზე, რომ ეს ადგილი აბაშა ტეხურის შესართავის სამხრეთით რიონამდე – ძველად დასახლებული ყოფილა. ავტორისავე თქმით, ამ მიდამოებში ციხე-სიმაგრის არსებობის არავითარი ნიშანი არ ჩანს. ისტორიკოსის აგათიას აღწერილობით აქ ციხე არ ყოფილა. ნესოსის სამხედრო მნიშვნელობა და ძალა მდგომარეობდა მის კუნძულისებურ ხასიათში, იმაში, რომ ის როგორც მდინარეთა მორევებით გარშემორტყმული ადვილი მისადგომი არ იყო[2].

ჩვენ სრულიად ვიზიარებთ ნესოსის მდებარეობის შესახებ ს. ყაუხჩიშვილის ზემოთ მოყვანილ მსჯელობას. მაშასადამე, ჩვენ ტელეფისის ციხის მდებარეობის ორიენტირად უნდა ავიღოთ დღევანდელი სოფელ ისულას რაიონიდან 27-იოდე კილომეტრის რადიუსში, თუმცა რომელ პერიმეტრზე (დასავლეთის და სამხრეთის ასევე ჩრდილო-დასავლეთის გამოკლებით) წყაროში მითითებული არ არის. ვფიქრობთ, ის უნდა ყოფილიყო ნესოსიდან ან ჩრდილო-აღმოსავლეთით ან აღმოსავლეთით. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ რომაელები ფაზისის ნაკადს უშვებენ დოკონოსში და ამით ქმნიან ხელოვნურ კუნძულს ამ ტერიტორიაზე. ამასთან მიმართებაში საინტერესოა ტოპონიმი „ნორიო“ ქ. აბაშასთან ახლოს, რომელიც შესაძლოა „ნარიონალს“ ნიშნავს, რადგან ფაზისის ადგილობრივი სახელწოდება რიონი უნდა იყოს; შესაძლოა რიონის ნაწილიც სწორედ ამ ადგილას მიედინებოდა კიდეც.

საყურადღებოა კიდევ ერთი ადგილი აგათიას მონათხრობიდან, რომელიც ვფიქრობთ საკმაოდ ბუნდოვანია, კერძოდ: **„ქიტროპოლიაში,** რომ მივიდა მერმეროე, სასაცილოდ აიგდო იმათი სილაჩრე, ვინც ურჩობა გამოიჩინა და ძალიან გაკიცხა ისინი; მან გადაწყვიტა არ განეგრძო წინსვლა და არც ნესოსზე მიეტანა იერიში, ვინაიდან არც სურსათის შოვნა იყო შესაძლებელი მტრის შუაგულ ქვეყანაში ასეთი

[1] გეორგიკა, III, გვ. 35.
[2] გეორგიკა, ტ. III, გვ. 317.

მრავალრიცხოვანი ჯარისათვის და არც სხვა მხრივ ალყის შემორტყმისათვის. ამიტომ მან კვლავ ტელეფისის და იქაური ძნელსავალი ადგილისაკენ გაბრუნება კი არ მიიჩნია მიზანშეწონილად, არამედ ფიცრებისა და საგანგებოდ ამისთვის დამზადებული ცულების საშუალებით შეაერთა ფაზისის ნაპირები, ასე ვთქვათ ხიდი გასდო, და თავისუფლად გადაიყვანა მთელი ჯარი, ასე რომ არავის აღმოუჩენია დაბრკოლება[1]. ონოგურისის ციხეში, რომელიც მას წინათ გაეხადა არქეოპოლისის მიდამოებში რომაელთა წინააღმდეგ საჭირო სასიმაგრო საფარად, ჩაყენებულ იყვნენ სპარსელები და, აი, ეს სპარსელები მან გაამხნევა, სხვა რაზმიც დაუტოვა, იქაურებმა, რამდენადაც შესაძლებელი იყო, გაამაგრა და კვლავ კოტაისისა და მუხურისისაკენ გაბრუნდა“[2].

როგორც ზემოთ გამოჩნდა ქიტროპოლია (ანუ ოლლარია) მდებარეობდა ტელეფისიდან სულ 7 სტადიონის დაშორებით და ამ გზის გავლა მას არ უნდა გასჭირვებოდა ტელეფისამდე ანუ ამ გზის „ძნელსავალი ადგილებისაკენ“. მეორე მხრივ ის საგანგებო ხიდს ამზადებს და კვეთს მდ. ფაზისს (რიონს) და გადაჰყავს მთელი თავისი ჯარი და მიდის ონოგურისის ციხისკენ, რომელიც მდებარეობს არქეოპოლისის მიდამოებში. მაშასადამე ამ ადგილის მიხედვით ტელეფისი თითქოს მდერეობს მდ. რიონის მარცხენა მხარეს. თითქოს იმავე მხარეს უნდა იყოს ქიტროპოლიაც, რომელიც სულ 7 სტადიონითაა დაშორებული ტელეფისს, თავის მხრივ კი ქიტროპოლიაში მისვლისას ის გადაწყვეტს არ განაგრძოს წინსვლა ნესოსზე (ანუ ისულაზე, რომელიც რიონის მარჯვენა მხარესაა); თუ სპარსელები სამხრეთით არიან მათ მაინც უნდა გადაელახათ მდ. ფაზისისი რომ ნესოსზე შეეტიათ. თუმცა ეს წყაროდან არ ჩანს და ნესოსის შესატევად რიონის მარცხენა მხარეს მყოფ რომაელებს რიონის გადალახვაც არ ჭირდებათ, არამედ ეს საჭიროა ონოგურისის ციხესთან მოსახვედრად. ვფიქრობთ, აქ აგათია საკმაოდ ბუნდოვნად გადმოგვცემს მოვლენათა მსვლელობას.

ონოგურისის ციხის მდებარეობასთან და მასთან გამართული ბრძოლის პერიპეტიები კი ასეა აღწერილი: „მარტინეს წაქეზებით, რომაელებმა მთელი თავისი ჯარით მიიტანეს იერიში ონოგურისში ჩამჯდარი სპარსელების წინააღმდეგ. ეს სახელი ძველთაგანვე შეერქვა ამ ადგილს, შესაძლებელია იმის გამო რომ ჰუნები, რომელთაც ონოგურები ეწოდებოდათ, ამ ადგილს შებმიან კოლხებს წარსულ წლებში და დამარცხებულან და ამ გამარჯვების ნიშნად და ძეგლად ადგილობრივ მცხოვრებლებს ეს სახელი შეურქმევიათ ამ ადგილისათვის. ამჟამად ბევრი ასე კი არ უწოდებს, რადგან აქ დაფუძნებულია წმინდა სტეფანეს ტაძარი, რომელიც როგორც ამბობენ საკუთარი ნებით შეება მტერს საუკეთესო ქრისტიანთა გულისათვის და ჩაქოლილი იქნა მოწინააღმდეგეთა მიერ, მისი სახელი ეწოდა ამ ადგილს, ჩვენ კი ვფიქრობთ, არაფერი გვიშლის ხელს ძველი სახელწოდება ვიხმაროთ, მით უმეტეს, რომ მწერლობა ამას მხარს უჭერს...[3] აი სტრატეგოსებიცა და მთელი ჯარიც, რომელნიც არქეოპოლისის დაბლობში იყვნენ დაბანაკებულნი, ამზადებდნენ ე. წ. სპალიონებს, დიდი ქვების სატყორცნელებს და სხვა ამგვარ იარაღებს, რადგან თუ საჭირო იქნებოდა ზღუდისათვის დაეშინათ[4]. „... იმათ აამოძრავეს მანქანები და სცადეს ციხის კარების აღება, გარს შემოერტყნენ ზღუდეს და ყოველი მხრიდან დაუშინეს. სპარსელებიც გაიფინნენ ციხის კბილანებზე, და რამდენადაც შესაძლებელი იყო იცავდნენ თავს

[1] გეორგიკა, ტ. III, გვ. 38-39.
[2] გეორგიკა, ტ. III, გვ. 40.
[3] გეორგიკა, ტ. III, გვ. 52.
[4] გეორგიკა, ტ. III, გვ. 55.

შექმნილ პირობებში; ხშირ-ხშირად უშენდნენ მტერს ისრებს და გარედანაც იცავდნენ ციხეს. ზევიდან რადაც ტილოები და წამოსასხამები გადმოჰკიდეს და ამით ისრების ძალას ასუსტებდენ, რომლებიც მათ წინააღმდეგ მოდიოდა. ორივე მხრით მეტად გულმოდგინედ და მწვავედ იბრძოდნენ. და ეს უფრო ბრძოლას ჰგავდა, ვიდრე ალყას... დანარჩენი სპარსელები კი – დაახლოებით სამი ათასი კაცი, მამაცი ცხენოსანი – დაირაზმნენ და კოტაისისა და მუხირისიდან გამოსწიეს ონოგურისისაკენ... ეს რომ გაიგეს ონოგურისის ალყის შემომრტყმელებმა რომაელებმა, მაშინვე ეძგერნენ ციხეს უფრო გაბედულად, ჩამოგლიჯეს კედელზე საფარად გადმოკიდებული ტილოები და არეულ-დარეული გაიფანტნენ ზღუდეის სხვადასხვა ადგილას იმ ანგარიშიც, რომ რადგან ციხის გარეთ მყოფი მტერი ოტებული იყო, და მაშასადამე ხელისშემშლელი აღარავინ ჩანდა, ისინი სულ მალე მოარბევდნენ იქაურობას. მაგრამ ციხეში მყოფი სპარსელები მალე მიხვდნენ, რომ რომაელთა მთელი ჯარი კი არ წამოსულიყო მათ წინააღმდეგ, როგორც მათ თავში ეგონათ, არამედ მხოლოდ მცირე ნაწილი, ისინი მზვერავები უფრო ეგონა ადამიანს, ვიდრე მეომრები. ამიტომ ისინი ერთბაშად მოტრიალდნენ და ყვირილითა და აურზაურით შეუტიეს რომაელებს. ამათაც საქმის ასეთ შეტრიალებას ვერ გაუძლეს, ზურგი უჩვენეს და დიდის სისწრაფით გამოიქცნენ. სპარსელები დაედევნენ მათ, ძალიან ახლოსაც მისდევდნენ და თითქმის ისე მოხდა, რომ – ერთნი რომ ისწრაფოდნენ დაჭერას, ხოლო მეორენი გაქცევას – ორივენი, როგორც ოტებულნი, ისე დამდევნებელნი ერთმანეთში არეულნი[1], რომაელთა დანარჩენი ჯარების ადგილას აღმოჩნდნენ, ცხადია ატყდა საშინელი ხმაური; ჯარს ალყაც გადაუვარდა ფიქრიდან, და ისიც რომ იმედი ჰქონდა – საცაა ციხეს ავიღებთო – და სტრატეგოსებთან ერთად უკუიქცა; არც იმისთვის შეჩერდა ის რომ გაერკვია, თუ რა მოხდა, ან რამდენნი არიან თვითონ, რამდენი არის მოწინააღმდეგე. ისეთი სირბილით გარბოდნენ ისინი და ისე აფორიაქებულნი როგორც საზარელი შიშით შეპყრობილნი. სპარსელებსაც მეტი სითამამე მიეცათ და უფრო მეტი სითამამით გამოუდგნენ, ისინიც ხომ ხედავდნენ რაც ხდებოდა და უცბად შეუერთდნენ დანარჩენებს, ისინიც დაედევნენ რასაკვირველია რომაელებს და მათი ოტება კიდევ უფრო გააცხოველეს. რომაელთა ცხენოსნები ყველანი უკუქცეულ იქნენ ისე, რომ სპარსელებს ისრების გასროლაც არ დასჭირვებიათ: იმათ მოჰკურცხლეს რაც ძალა ჰქონდათ; რაც შეეხება ქვეითთა ჯარს, მრავალნი მომწყვდეულნი იქმნენ ეგრეთ წოდებული კათარის წყლის ხიდზე და მოკლულ იქმნენ (ამ ხიდზე გადასვლა საერთოდ აუცილებელი იყო). რადგან ეს ხიდი ვიწრო იყო, ერთბაშად ბევრს გადასვლა არ შეეძლო და ერთიმეორეს ეჯახებოდნენ. ამის გამო ზოგიერთი მათგანი [2] . მდინარის ტალღებში ჩავარდა, ზოგი კიდევ ხიდიდან გამოდევნეს და უკან რომ გაბრუნდნენ, მტერს ჩაუვარდნენ ხელში...[3]

ონოგურისის სახელწოდების ციხის ლოკალიზაციის საკითხი მეცნიერთა შორის ჯერ კიდევ დავის საგნად რჩება. ბოლო დროს ამ საკითხს შეეხო ვ. გოილაძე, რომელმაც საკმაოდ ვრცლად მიმოიხილა საკითხზე სამეცნიერო ლიტერატურაში არსებული თითქმის ყველა მოსაზრება და უშუალოდ წყაროზე დაყრდნობით სრულიად ახალი მიდგომა შემოგვთავაზა[4].

---

[1] გეორგიკა, ტ. III, გვ. 57.
[2] გეორგიკა, ტ. III, გვ. 58.
[3] გეორგიკა, ტ. III, გვ. 59.
[4] ვ. გოილაძე, ჰუნ-თურქეთი კავკასიაში, თბ., 2008

ს. ყაუხჩიშვილმა, ონოგურის ციხე, მ. ბროსეს მოსაზრებაზე დაყრდნობით, დასავლეთ და აღმოსავლეთ ლაზეთის საზღვარზე, ამავე სახელწოდების (ონოგურის) მთაზე, არქეოპოლისთან ახლოს მდებარედ მიიჩნია. თუმცა იქვე სხვა თვალსაზრისი შემოგვთავაზა და ის უქიმერიონთან გააიგივა. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ სახელწოდება ონოგურისისა და უნაგირას მსგავსების მიუხედავად, მათი ერთმანეთთან გიგივება არ მიგვაჩნია მართებულად, რადგან უნაგირას მთაზე სპარსელები ვერ იქნებოდნენ იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ქვემოთ ნესოსი ანუ ისულას ტერიტორიას და არქეოპოლისისკენ მიმავალ გზას აკონტროლებდნენ რომაელები, ხოლო ჩრდილოეთით არქეოპოლისის გზაზე მათ უნაგირას მიდამოებში მდგარი ციხე ვერანაირ დაბრკოლებას ვერ შეუქმნიდა. გარდა ამისა უქიმერიონი მდებარეობს არა არქეოპოლისთან, არამედ ქუთაისთან ახლოს, როგორც ამას აგათია სკოლასტიკოსი გვამცნობს, ხოლო პროკოპი კესარიელი საერთოდ არ იცნობს ამ სახელწოდების ციხეს.

ნ. ბერძენიშვილმა მსგავსი ციხე-სიმაგრე ვერ ნახა. თუმცა მისი მდებარეობა აბაშის ხეობაში ივარაუდა და ონოღიასთან ონოგურისის კავშირი შესაძლოდ მიიჩნიან[1].

ადრინდელ ნაშრომებში დ. მუსხელიშვილი იზიარებდა იმ აზრს, რომ ონოგურისი შხეფის ციხეა, სხვაგან ონოგურისის ციხის ადგილზე ავტორმა არც მიუთითა, მისი ადგილმდებარეობა დაუდგენლად მიიჩნია, შემდგომ კი ის აბედათის ციხესთან გააიგივა, პ. ზაქარაიას და ო. კაპანაძის ნაშრომის საფუძველზე[2]. თ. ბერაძეც ონოგურისის ციხეს შხეფის ციხესთან აიგივებს[3].

უფრო ვრცლად უნდა შევეხოთ პ. ზაქარაიას და თ. კაპანაძის მოსაზრებას, რომლებიც ონოგურისის ციხეს აბედათის ციხესთან აიგივებენ. ავტორები მათ იგივეობას ამტკიცებენ იმით, რომ პირველი, ონოგურისი არქეოპოლისის მიდამოებში და მეორე იგი არქეოპოლისის საფარია[4]. მათივე აღნიშვნით, „სხვა ციხე თუ ნაციხარი ამ მიდამოებში არსად ჩანს. ამიტომ ჩვენ მტკიცედ ვარც დარწმუნებული იმაში, რომ დღევანდელი აბედათის ციხე ძველი ონოგურისის ციხეა[5].

ვფიქრობთ, პ. ზაქარაიას და თ. კაპანაძეს ამის გასამტკიცებლად არანაირი მყარი არგუმენტაცია არ მოყავთ; მარტო ის, რომ აგათიას ონოგურისი არქეოპოლისის მიდამოებშია, მხოლოდდამხოლოდ ზოგადი სურათის წარმოსადგენლად თუ არის საკმარისი, რადგან არქეოპოლისის მიდამოებში სხვა უამრავი ციხეა, მეორეს მხრივ ის ფაქტი რომ აქ სხვა ნაციხარი დღეს არ ჩანს (არადა ბევრ ადგილს ჩანს კიდეც და ტოპონიმებიც უხვად არის დ.ჭ.) არ არის საკმარისი ამ ციხის იდენტიფიკაციისათვის ონოგურისთან. მეორე მხრივ აგათიას მიერ აღნიშნული მომენტი, რომ ის არქეოპოლისის საფარია, პირიქით, აქარწყლებს პ. ზაქარაიას მოსაზრების სისწორეს, რადგანაც არქეოპოლისის საფარი ის ვერ იქნებოდა რამდენადაც აბედათის ციხე მდებარეობს არქეოპოლისის ჩრდილო-აღმოსავლეთით, იქიდან კი სპარსელთა შეტევის მიმართულება

---

[1] ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. VIII, გვ. 462

[2] ვ. გოილაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 32

[3] თ. ბერაძის თქმით, შხეფის ციხე-სიმაგრე უნაგირას ქედზე მდებარეობს. ვახუშტი ბატონიშვილი თავის რუკაზე უნაგირას სწორედ ამ მიდამოებში აღნიშნავს, და სწორედ გამომდინარე აქედან, ავტორი, ბიზანტიელების ონოგურისს შხეფის ციხე-სიმაგრედ მიიჩნევს (თ. ბერაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 153).

[4] პ. ზაქარაია, თ. კაპანაძე, ციხე-გოჯი – არქეოპოლისი – ნოქალაქევი. ხუროთმოძღვრება, თბ., 1991, გვ. 128.

[5] პ. ზაქარაია, თ. კაპანაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 129.

წყაროს ამ მონაკვეთში არ ჩანს. რომც შეეტიათ მათ აბედათის ციხისთვის, მისი აღება დიდ შეღავათებს არ მიცემდა არქეოპოლისის დასაპყრობად. ჩვენ თვითონ დავათვალიერეთ აბედათის ციხე რომელიც საკმაოდ დიდი თავდაცვითი ნაგებობაა და მართლაც რომ არქეოპოლისის თანადროული ჩანს თუ უფრო ადრინდელი არა და თუ სპარსელები რამოდენიმეჯერ ვერ იღებენ არქეოპოლისს, ისინი მითუმეტეს ვერ აიღებდნენ აბედათის ციხეს, რომელიც მე უფრო მიუდგომლად მეჩვენება ვიდრე არქეოპოლისი. აგათიას მიერ ონოგურისის ციხის აღწერილობა სულ სხვა სურათს გვაძლევს – აგათიას ონოგურისი უნდა მდებარეობდეს დაბლობში და არა მთაზე, ხოლო აბედათის ციხე მდებარეობს მაღალ მთაზე; ის როგორც აღვნიშნეთ, საკმაოდ მიუვალია და ვფიქრობთ, დღესაც კარგად არის შემორჩენილი ციხის თავდაპირველი ფორმა; მასთან მიახლოება და იერიშის მიტანა კი შეიძლება მხოლოდ აღმოსავლეთის მხრიდან, ისიც ვიწრო გზებით, ხოლო ჩრდილოეთით, დასავლეთით და სამხრეთით ის მაღალი მთებით არის გარშემორტყმული. ამ ციხე-სიმაგრეზე იერიშის მიტანა ძალზედ რთულია არა თუ სამი მხრიდან, არამედ ერთი მონკვეთიდანაც კი. მეორე მხრივ, მასზე იერიშის მიტარა ისრებით, როგორც ეს წყაროშია, შეუძლებელია. ამავე დროს აბედათის ციხის გარეთ ანუ ირგვლივ, ბრძოლა წარმოუდგენელია. აქ არ არის იმ სიდიდის ფართო ველი ადგილი, როგორც ეს აგათიას მიერ აღწერილი ონოგურის შემთხვევაში გვაქვს. ამდენად, პ. ზაქარაიას და თ. კაპანაძის ესე გადაწყვეტით აბედათის ციხის ონოგურისად აღიარება სავსებით გაუმართლებლად მიგვაჩნია.

ონოგურისის ციხის მდებარეობას უცხოელი ავტორებიც შეეხნენ (ავტორთა ეს მოსაზრებები განხილულია ვ. გოილაძესთან) და გამოითქვა განსხვავებული მოსახრებები; მ. ლეედჩენკოს სამტრედიის რაიონში ის ტელეფისთან ახლოს მდებარედ მიაჩნდა; კ. ჰაუზიგიზს ჩრდილო კავკასიიდან აღმოსავლეთ საქართველოში გადმოტანილი დარიალის ზეკარის ჩამკეტ ციხესიმაგრედ; მ. არტამონოვის თანახმად, ონოგურისის ციხე ლაზიკაში, მდ. რიონის ჩრდილოეთით იყო. ვ. ვ. ღუკასიანმა[1] და ა. Iუნუროვმა, ამ ციხის სახელწოდების მიხედვით (ჰუნ ონოგურები), ჰუნ ონოგურების ადგილსამყოფელადაც კი მონათლა კავკასიის შევიზღვისპირეთი და ქვეყანა „ონოგორიაც“ კი მოიგონა, რაც არგუმენტირებულად უარყო ვ. გოილაძემ[2].

ვ. გოილაძის აღნიშვნით, აგათიას ცნობების გათვალისწინებით, ონოგურისის ციხის მდებარეობის განსაზღვრა, თითქოს არ უნდა გაძნელებულიყო. ავტორი ყურადღებას აქცევს აგათიას ცნობაში იმ ადგილს, სადაც წმ. სტეფანეს ტაძარია მოხსენიებული. მისივე აღნიშვნით, აგათიას ცნობიდან გამომდინარე მისი მოღვაწეობის დროისათვის ციხის სახელი „ონოგურისი“ უკვე დავიწყებული იყო და ბრძოლის ადგილს იმ ხანად წმ. სტეფანეს სახელზე აგებული ტაძრის სახელით იცნობდნენ[3]. ავტორი მ. ლევშენკოს გამოკვლევებზე დაყრდნობით აღნიშნავს, რომ ონოგურისის ციხესთან (საერთოდ ეგრისში მიმდინარე ომი) მომხდარი ამბების აღწერა აგათიას სულ ცოტა 10-15 წლის შემდეგ აქვს დაწერილი, იგი ემყარება საიმპერატორო სასახლეში არსებულ დოკუმენტურ მასალას და ომში მონაწილე პირთა მონათხრობს. ავტორის აზრით, აგათიას მიერ ონოგურისად წოდებული ციხე ხელოვნურად გამაგრებული ადგილი უნდა ყოფილიყო ჰუნ-საბირების მიერ, რომლებიც, როგორც დაქირავებულნი ბიზანტიელთა მხარეს იბრძოდნენ და შესაძლოა მთხრობელმა აგათიას სწორედ ჰუნი საბირების

[1] ვ. გოილაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 33.
[2] ვ. გოილაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 375
[3] ვ. გოილაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 36.

(ირანელებთან ერთად) მიერ აგებული გამაგრებული ადგილის (ციხის) შესახებ მოუთხრო? [1] ონოგურისის ციხე ჰუნ-საბირთა და ირანელთა მიერ მერმეროეს ხელმძღვანელობით აგებული, ხის დიდი მარგილებისაგან გარშემორტყმული, საკმაოდ კარგად გამაგრებული ციხე უნდა ყოფილიყო. იმ ხანად ციხის ტერიტორიაზე უკვე პირველმოწამე სტეფანეს სახელზე აგებული ტაძარი იდგა. ავტორისავე გამოკვლევით, დასავლეთ საქართველოში, რადგან ჰუნი ონოგურიების ლაშქრობა საისტორიო წყაროებით არ დასტურდება გამორიცხული არაა მთხრობელებისაგან გამოგონილი უნაგირის (მეგრ. ონოგური) მთის სახელი აგათიამ თვითონ დაუკავშირა ჰუნ ონოგურებს. ავტორს ციხის ადგილის მდებარეობის განსაზღვრის ორიენტირად მიაჩნია სოფელ სეფიეთთან აღმოჩენილი, კერძოდ სეფიეთის ეკლესიაში მიკვლეული ბერძნული წარწერა: „წმინდაო სტეფანე ყველა წმინდანებთან ერთად იშუამდგომლე მონისა ფილოეტისათვის და ყოველთა მის ცოდვათათვის“ [2]. წმ. სტეფანეს ეკლესია ასევე ყოფილა ნოსირში [3]. როგორც თ. ყაუხჩიშვილი აღნიშნავს ეს წარწერა XI-XII ს. უნდა დათარიღდეს, მისივე ვარაუდით, შესაძლოა აქ წმინდა სტეფანეს ტაძარი იყო – თუ თვით ეს არა, მის მახლობლად რომელიმე, რომელსაც ეკუთვნოდა ეს ქვაც თავისი წარწერით [4]. პ. ზაქარაიას და თ. კაპანაძის აღნიშვნით, სეფიეთის ეკლესიისთვის, ბაზილიკის გვიანდელი გადაკეთების დროს წყობაში გამოყენებულია სუფთად გათლილი დიდი ქვები. ასეთი ქვები გამოყენებულია დასავლეთის მინაშენის წყობაში, მათივე აღნიშვნით, მათი წარმოშობა წარწერებიან ქვებთან ერთად, დაუდგენელი რჩება. როგორც ვარაუდობენ, სეფიეთის სარემონტო სამუშაოებისათვის არავინ გათლიდა ამოდენა ქვებს და უსისტემოდ არ გაფანტავდა, იგი სავარაუდოდ იქვე მდარი სხვა შენობის ნანგრევებიდანაა წამოღებული[5]. ისინი ამ ტაძარს V-VI საუკუნეებით ათარიღებენ[6].

გ. ელიავას აღნიშვნით, ონოღია ვრცელ ვაკეზეა გაშლილი, მდ. ნოლელას ნაპირზე. მისი ტერიტორიის დიდ ნაწილზე გადის ნარონა ზოლი. ონოღია პირდაპირი გზით უკავშირდება ხონს. ავტორის თქმით, ტოპონიმი ონოღია გვარწმუნებს, რომ მას შესაძლოა რამე კავშირი ჰქონდეს ძველ ბერძნულ წყაროებში მოხსენიებულ ონოგურისთან[7].

ს. ყაუხჩიშვილის აღნიშვნით, საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, აქ მოხსენიებული კათარის წყალი არის მდ. აბაშა. ამ მდინარის ხეობაში, დღევანდელი აბაშის რაიონში, დღესაც არსებობს ერთი სოფელი, რომელსაც „კადარი“ ეწოდება. გარდა ამისა [8], არ შეიძლება ყურადღება არ მივაქციოთ ვახუშტის სიტყვებს, „დასავლეთით დის მდინარე აბაში, პირველ სხვის სახელით წოდებული“[9].

ონოგურისის ლოკალიზაციასთან დაკავშირებით ყველაზე უფრო მართებული დაახლოებითი ტერიტორიის განსაზღვრასთან მიმართებაში, ვფიქრობთ ვ. გოილაძის მოსაზრებაა, თუმცა ასე გადაჭრით მაინც არ შეიძლება ის მაინცდამაინც სოფელ სეფიეთთან ვივარაუდოთ. ვფიქრობთ, რომ ონოგურისი მდებარეობდა, მდ. აბაშის

---

[1] ვ. გოილაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 39.
[2] ვ. გოილაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 41.
[3] ვ. გოილაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 41.
[4] თ. ყაუხჩიშვილი, ბერძნული წარწერები საქართველოში, თბ., 1951, გვ. 89-91.
[5] პ. ზაქარაია, თ. კაპანაძე, გვ. 205.
[6] იქვე, გვ. 214.
[7] გ. ელიავა, აბაშისა და ტეხურის ხეობის ისტორიული ღირსშესანიშნაობანი, გვ. 37.
[8] გეორგიკა, ტ. III, გვ. 60.
[9] გეორგიკა, ტ. III, გვ. 61.

მარცხენა მხარეს, მასთან ახლოს და ის ცხენისწყალსა და მდ. აბაშას შორის ვრცელი ტერიტორიის ფარგლებშიც შეიძლება იყოს საძებნი. ონოგურისი ვაკეზე მდებარე ციხე უნდა ყოფილიყო, მარტვილის მონასტრის ქვემოთ დაახლოებით 5-6 კილომეტრის ქვედა გაყოლებაზე არის უამრავი კულტურული ფენა. ამავე დროს წმ. სტეფანეს ტაძარი, რომლის ნაშთები სეფიეთშია ნაპოვნი და რომელიც V საუკუნისად არის ნავარაუდევი, ჩვენ, ადგილობრივთა გადმოცემებით, დავაფიქსირეთ ისულაშიც, კერძოდ, საოდიშარიოს უბანში (თეკლათის თემი) მდ. ტეხურის მარჯვენა სანაპიროსთან, დაახლოებით მისგან ჩრდილოეთით, იქ სადაც აგათიას აღწერილობით უნდა ყოფილიყო რომაელთა ჯარის ბანაკი. ასევე წმ. სტეფანეს ტაძარი სამეგრელოში და კერძოდ სენაკის რაიონში სხვა ადგილასაცაა ფიქსირებული, რაც ჩანს ქვემოთ ჩვენს მიერ წარმოდგენილ საარქივო მასალებში. თუმცა ესეც გადაჭრით არაფრის თქმის საშუალებას არ გვაძლევს, რადგან მდ. ტეხურ-აბაშის და ცხენისწყლის მარჯვენა სანაპიროს ვაკის ტერიტორიაზე უამრავი ძველი ნაქალაქარის თუ დიხა-გუძუბების და ნაოხვამუს (ნასალოცავი) სახელწოდების ტოპონიმებია ფიქსირებული და მდიდარია ჯერ კიდევ არქეოლოგიურად შეუსწავლელი კულტურული ფენებით[1].

გ. ელიავას აღნიშვნით, სოფელ **ნაჯახაოს** აღმოსავლეთ მხარეს ცხენისწყლის ჭალაზე, მდინარე ნოღელის მთელს სიგრძეზე გადის საინტერესო კულტურული ფენის შემცველი ხაზი, დაახლოებით 200-300 მეტრის სიგრძის, რომელსაც მახათიდან მოყოლებული ნარონას (ნადგომს) ეძახიან. ამ ხაზს ადგილობრივები ძველ გზას უწოდებენ. მდ. ნოღელასპირა უბანს, ნარონას ხაზის ამ სოფლის მონაკვეთის ცენტრს კოტორი ეწოდება. კოტორის ანუ კოტიორის მიდამოებში დგას სამი ხელოვნური ბორცვი, რომელთაც ნაოხვამეებს ეძახის ხალხი. ერთს კი ყველაზე დიდს მათ შორის გოგიას ნაოხვამუ ეწოდება[2].

ასევე სეფიეთშიც ყოფილა ადგილი ნაჯიხუ, სადაც „ოდესღაც დიდი ციხე მდგარა“[3]. ნოჯიხევში, სოფ. სამიქაოში მდგარა ციხე[4]. ნაესაკაოში – შუა ქალაქი – დიდი დიდი ქალაქი რქმევია ადგილობრივთა გადმოცემით[5]. ნოჯიხუ – ლეხაინდრავოში – ბორცვი აბაშის ჭალაში. ზედაპირზე აქა იქ შეინიშნება ქვითკირის ნანგრევების ნაშთი. ბორცვი 100 კვ. მეტრზე მეტი ფართობისაა. გადმოცემით აქ თამარის დროს დიდი ციხე და ქალაქი ყოფილა[6]. კოტორი – დიდი ფართობია ნარონას ტერიტორიაზე. სწორედ ამ ადგილს მიუთითებენ გადმოცემები უძველეს ქალაქსა და ნასახლარს. კოტორის ტერიტორიაზე აღმოჩნდა მდიდარი არქეოლოგიური მასალა. მათ შორის ანტიკური ეპოქის მდიდარი ხელცულები[7]. სოფ. ნაჯახაოში – ჯიხა, ვრცელ მინდორზე ნოჯიხევის გასწვრივ დგას ციხის პირველი სართულის ნანგრევი. გადმოცემით, იგი ძველი სამხედრო გზის პირს იყო და ამ გზის მცველთა სადგომ, სადარაჯოს წარმოადგენდა. ასეთი ციხეები ერთმანეთის გასწვრივ გამწკრივებულია ცხენისწლის პირამდე, აქედან

[1] გ. ელიავა, დასახ. ნაშრომი, გვ. 27.
[2] გ. ელიავა, დასახ. ნაშრომი, გვ. 34-35.
[3] გ. ელიავა, დასახ. ნაშრომი, გვ. 12.
[4] გ. ელიავა, დასახ. ნაშრომი, გვ. 24.
[5] გ. ელიავა, დასახ. ნაშრომი, გვ. 52.
[6] გ. ელიავა, დასახ. ნაშრომი, გვ. 75.
[7] გ. ელიავა, დასახ. ნაშრომი, გვ. 77-78.

ჯოლევ-აბედათამდე. გადმოცემის თანახმად, თითქოს ამ გზით მოდიოდნენ თათრებით და უცხოელი ვაჭრებიც[1].

ჩვენ დავათვალიერეთ მდ. ტეხურისა და აბაშის ხეობის მიდამოები. საკითხთან დაკავშირებით საყურადღებო ძეგლად მიგვაჩნია სოფელ ვედიდკარში მდებარე ადგილი ნოჯიხევი, სადაც ამ 30-40 წლის უკან ადგილობრივთა გადმოცემით, მდ. აბაშის მარცხენა სანაპიროდან დაახლოებით ერთ კილომეტრში ყოფილა ორ წრეზე გალავანშემორტყმული (ზოგან რიყის ქვის) ციხე. ადგილობრივთა გადმოცემით, აქ ადრე მდგარი ციხის სიდიდის ნაგებობა დღეს არ დგას, ის კომუნისტებს დაუნგრევიათ და ირგვლივ სახნავ-სათესია გამართული; თუმცა გაშლილ ველზე დღესაც შეინიშნება ზოგან დაახლოებით ერთი მეტრის სიმაღლის, საკმაოდ მძლავრი კედლის ნაშთები.

მეორე მხრივ ასევე მნიშვნელოვნად მიგვაჩნია მარტვილის მონასტრის სამხრეთით დაახლოებით აბაშა-მარტვილის სამანქანო გზისპირას მდ. აბაშის მარცხენა სანაპიროსთან მდგარი ციხის ნაშთები, შემორჩენილია დაალოებით ერთი მეტრის სიმაღლის კედლები (ის დასავლეთით უყურებს აბედათის ციხეს და ნოქალაქევის თავდაცვით ხაზზეა), სადაც ასევე ნათლად ჩანს დაახლოებით ერთი მეტრის სიმაღლის ტრიქონქის ტიპის ეკლესიის ნაშთები.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე არქეოლოგიური მასალების უქონლობის გამო ძალზედ რთულია ძველი კოლხეთის და შემდგომ ეგრისის სამეფოს წყაროებში ფიქსირებული ქალაქების და ციხე-სიმაგრეების ზუსტი ლოკალიზაცია, თუმცა ჩვენს მიერ ზემოთ წარმოდგენილი მასალები ამ რეგიონზე ზოგადი სურათის წარმოდგენის საშუალებას გვაძლევს უძველესი დროიდან ახალი წელთაღრიცხვის VI საუკუნემდე.

თავი III

[1] გ. ელიავა, დასახ. ნაშრომი, გვ. 80.

XIX საუკუნის საარქივო და სტატისტიკური აღწერილობის მასალები სამეგრელოს ეკლესიებზე

1. თბილისის სახელმწიფო ისტორიული არქივის მასალები

ფ. 489. აღწ. 1, საქ. 65409

1838 წ.

სამეგრელოს ეპარქია

1. ჭყონდიდის ღვთისმშობელი, სასაფლაოს ხარების.
2. სოფ. სუჯუნი, წმ. გიორგის.
3. სოფ. სეფიეთი. მთავარანგელოზის.
4. სოფ. კადარი. აღდგომის.
5. სოფ. ონტოფო. წმ. ბარბარეს.
6. სოფ. აბაშა. წმ. გიორგის.
7. სოფ. მაცხოვრისკარი. მაცხოვრის.
8. სოფ. საკაჭარიო. მთავარანგელოზის.
9. სოფ. საგვაზავო. მთავარანგელოზის
10. სოფ. ზანათი. იოანე ნათლისმცემელის.
11. სოფ. ესაკეთი. იოანე ნათლიმცემელის.
12. სოფ. ეწერი. ღვთისმშობლის, ამაღლების.
13. სოფ. წალიკარი წმ. გიორგის.
14. სოფ. ნაესაკაო, წმ. გიორგის.
15. სოფ. კოდორი. წმ. თეოდორე ტირონის, წმ. გიორგის, მთავარაგნელოზის.
16. სოფ. კათარი. მთავარანგელოზის.
17. სოფ. წილორი. წმ. გიორგის.
18. სოფ. ტყვირი. მაცხოვრის.
19. სოფ. გულეკარი. წმ. გიორგის.
20. სოფ. ეკი. წმ. გიორგის.
21. სოფ. საჭილაო წმ. გიორგის, მთავარანგელოზის, ღვთისმშობლის.
22. სოფ. კულაში. მაცხოვრის. ღვთისმშობლის.
23. სოფ. ცხენიში. ღვთისმშობლის.
24. სოფ. ნამწარეული, წმ. გიორგის.
25. სოფ. მაიდანი, წმ. გიორგის.
26. სოფ. სამიქაო, წმ. გიორგის.
27. სოფ. გულუხეთი, წმ. გიორგის.
28. სოფ. გეზათი. წმ. თეოდორე ტირონის.

29. სოფ. გუგუნაყათი, წმ. გიორგის.
30. სოფ. ქოლობანი. მაცხოვრის.
25. სოფ. ბანძა. მთავარანგელოზის.
31. სოფ. ნაჯახაო. მთავარანგელოზის.
32. სოფ. კარი. წმ. გიორგის.
33. სოფ. ნაგვაზავა. ღვთისმშობლის.
34. სოფ. ნალებსაო. მაცხოვრის, წმ. გიორგის.
35. სოფ. ნახუნავოს
36. სოფ. სერგიეთი. მთავარანგელოზის.
37. სოფ. აბედათი. ღვთისმშობლის, წმ. გიორგის.
38. სოფ. კინჩხი. წმ. გიორგის.
39. სოფ. მეორე კინჩხი. მაცხოვრის.
40. სოფ. რონდიში. მთავარანგელოზის.
41. სოფ. საწისქვილო. მაცხოვრის.
42. სოფ. გორდი. მთავარანგელოზის.
43. სოფ. ნოღა. მაცხოვრის.
44. სოფ. ორულუ? წმ. გიორგის.
45. სოფ. სუხჩა, წმ. გიორგის.
46. სოფ. ზემო ხუნწი. ღვთისმშობლის.
47. სოფ. ქვემო ხუნწი. მაცხოვრის.
48. სოფ. მარტვილი-ჭყონდიდი. წმ. გიორგის.
49. სოფ. საელაიო. წმ. გიორგის.
50. სოფ. ინჩხური. წმ. გიორგის.
51. სოფ. ბალდი. ღვთისმშობლის.
52. სოფ. სალხინო. ღმრთისმშობლის.
53. სოფ. ცაჭაურა. მთავარანგელოზის.
54. სოფ. დოშაყე. იოანე ნათლიმცემელის.
55. სოფ. კიწია. მთავარანგელოზის.
56. სოფ. კურზუ. მთავარანგელოზის.
57. სოფ. თამაკონი. მაცხოვრის, წმ. გიორგის.
58. სოფ. თარგამეული. წმ. გიორგის.
59. სოფ. ნამიკოლავო. მაცხოვრის.
60. სოფ. ნახურცილავო. მთავარანგელოზის.
61. სოფ. კვაუთი. მთავარანგელოზის.
62. სოფ. ალერტი. წმ. გიორგის.
63. სოფ. ფოცხო. მთავარანგელოზის.
64. სოფ. მოხაში. ღვთისმშობლის, წმ. გიგორგის.
65. სოფ. ლესიჭინი მაცხოვრის.
66. სოფ. ახუთი, მთავარანგელოზის.
67. სოფ. თაია, წმ. გიორგის.
68. ხობი, მონასტერი ღვთისმშობლის.
69. სოფ. ხორგა, წმ. გიორგის.
70. სოფ. ნოჯიხევი. მთავარანგელოზის.
71. სოფ. ბია. მთავარანგელოზის.
72. სოფ. ქვალონი, წმ. გიორგის.

73. სოფ. ხორში. წმ. გიორგის.
74. სოფ. საჭოჭუო. მაცხოვრის, წმ. გიორგის.
75. სოფ. საგვასალიო. მაცხოვრის.
76. სოფ. ზანა. მაცხოვრის.
77. სოფ. ბეთლემი. მაცხოვრის.
78. სოფ. უშაფათი, წმ. გიორგი, მაცხოვრის.
79. სოფ. უფალი-კარი. წმ. გიორგის.
80. სოფ. ეკი. იოანე ნათლიმცემელის.
81. სოფ. [იმანიერი] მაცხოვრის (სოფელი ეკი – დ. ჭ.).
82. სოფ. სენაკის სოჩხადი. წმ. გიორგის.
83. სოფ. სენაკი. მაცხოვრის.
84. სოფ. ნაქალაქევი. ორმოცი მოწამეთა.
85. სოფ. გეჯეთი. მთავარანგელოზის.
86. სოფ. წყემი. წმ. გიორგი. ბარბარეს.
87. სოფ. საოდიშარიო, წმ. გიორგის.
88. სოფ. შხეფი. მთავარანგელოზის.
89. სოფ. ზურევი. წმ. გიორგის.
90. სოფ. სახარბედიო. წმ. გიორგის.
91. სოფ. თეკლათი. მთავარანგელოზის.
92. სოფ. სირიაჩქონი. იოანე ნათლისმცემელის.
93. სოფ. წყალიგზა. მთავარანგელოზის.
94. სოფ. მუხური. წმ. გიორგის.
95. სოფ. საღვამიჩაო. წმ. გიორგის.
96. სოფ. ჭალადიდი. მთავარანგელოზის.
97. სოფ. ცაიში. მიძინების.
98. სოფ. ხეთი. წმ. გიორგის, წმ. თეოდორე ტარონის.
99. სოფ. ლარჩვა, მთავარანგელოზის.
100. სოფ. ხეთი. საღვინო? მთავარანგელოზის.
101. სოფ. ხორგა. მთავარანგელოზის, წმ. გიორგის.
102. სოფ. ზუბი. წმ. გიორგის.
103. სოფ. ხიბულა. მთავარანგელოზის.
104. სოფ. კირცხი, წმ. გიორგის.
105. სოფ. ჭაქვინჯი. წმ. გიორგის.
106. სოფ. ობუჯი. წმ. გიორგის.
107. სოფ. წალენჯიხა. მაცხოვრის.
108. სოფ. ზუმი. ღვთისმშობლის.
109. სოფ. საჩინო. მთავარანგელოზის.
110. სოფ. ჯვარი. მაცხოვრის, წმ. გიორგის.
111. სოფ. ჯგალი, წმ. გიორგის.
112. სოფ. ნაგურუ. მთავარანგელოზის.
113. სოფ. კოცარი. ღვთისმშობლის.
114. სოფ. ყულიშკარი, წმ. გიორგის, წმ. გიორგის.
115. სოფ. ზუგდიდი. მაცხოვრის.
116. სოფ. ლია. ღვთისმშობლის.
117. სოფ. დარჩელი, წმ. გიორგის.

1846 წ. საქმე №629

1. ზანათის მაცხოვრის ეკლესია – მღვდელი თევდორე მაკალათია.
2. კვათანის წმ. გიორგის – მღვდელი დავით კაჭარავა, დიაკვანი ვასილი.
3. ნაესაკოვის წმ. გიორგის მღვდელი პორფირ ესაკიძე.
4. ესაკეთის ნათლის მცემელის ეკლესია – მღვდელი თევდორე მაკალათია დიაკვანი დიმიტრი მაკალათია.
5. მაცხოვრის მაცხოვრის სახელობის ეკლესია – მღვდელი სიმონ ცომაია და პეტრე ჭანტურია, დიაკვანი სიმონ ცომაია.
6. წალიკარის წმ. გიორგის ეკლესია – მღვდელი იოანე ნოდია, დიაკვანი ეგნატე ნოდია.
7. საკაჭარაოს მთავარანგელოზის ეკლესია – მღვდელი ნიკოლოზ კაჭარავა.
8. კადარის მაცხოვრის ეკლესია – მღვდელი იოანე ქოიავა დიაკვანი გიორგი ქოიავა.
9. კოდორის მთავარანგელოზის ეკლესია – მღვდელი მარკოზ მიმინოშვილი.
10. ეწერის ამაღლების ეკლესია – მღვდელი გაბრიელ ჭითანავა და ივანე ჭითანავა, დიაკვანი ლაზარე ხოშტარია.
11. კოდორის თეოდორ ტირონის ეკლესია – მღვდელი ზაქარია მიმინოშვილი.
12. კადარის წმ. გიორგის ეკლესია – მღვდელი იოანე ქოიავა, დიაკვანი გიორგი ქოიავა.
13. კვათანის მთავარანგელოზის მღვდელი საბა ქორჩილავა.

საქმე №634

1. ცხენიშის ღვთისმშობლის მღვდელ-მონაზონი ანტონ მათეს ძე მიქელაძე. დიაკვანი იესე იოანეს ძე ჯამბურია.
2. საჭილაოს, გაუწყინარის წმ. გიორგის ეკლესია – მღვდელი გაბრიელ თურქია, დიაკვანი გიორგი ლაზარეს ძე გაბუნია.
3. მაიდანის წმ. გიორგის ეკლესია – მღვდელ-მონაზონი ტიმოთე მიქაძე, მღვდელი პეტრე ნიკოლოზის ძე ცინცაძე, დიაკვანი ანდრო იესეს ძე ჯიბლაძე და დიმიტრი ბოკერია.

4. საჭილაო, ნაფადაურის ღვთისმშობლის ეკლესია – მღვდელი მოსე ჭკადუა, დიაკვანი სიმონა ტაბიძე.
5. საჭილაო, ტყვირის ეკლესია – მღვდელი იესე ბეჟანის ძე ჩაგანავა და იოანე მინას ძე თევდორაძე დიაკვანი მიქაელ იოანეს ძე გეგენეიშვილი.
6. საჭილაო, ნამწარეული წმ. გიორგის ეკლესია – მღვდელი სიმონ იოანეს ძე ხონელიძე და პეტრე ანდრიას ძე ქარჩილაძე, დიაჩოქი ონიფანტე სიმონიძე, ნონელიძე და გლანუა მიქელის ძე ქარჩილაძე.

1846 წ. ფონდი №489, აღწერა 6, საქმე №631

ჭაქვინჯის წმ. გიორგის, მარტვილის სობორის დეკანოზი.

1. ჯვარის წმ. გიორგის.
2. ჯვარის მაცხოვრის.
3. ზუგდიდის მაცხოვრის.
4. ხეთის წმ. თეოდორე ტირონია.
5. ხეთის წმ. გიორგის.
6. ხეთის წმ. გიორგის ეკლესია, მღვდელი გიორგი კიმხაძე და გიორგი კუკავა.
7. ყულისკარის წმ. გიორგის ეკლესია, მღვდელი გაბრიელ როგავა.
8. კოცხერის ღვთისმშობლის ეკლესია, მღვდელი სვიმონ თოლორაია.
9. წალენჯიხის მაცხოვრის ეკლესია, მღვდელი იესე თათვაია.
10. საკიკიანოს წმ. სოფიის ეკლესია, მღვდელი ვასილ შუშანია და იოაკიმ შუშანია.
11. ჭაქვინჯის? წმ. ნიკოლოზის ეკლესია, მღვდელი რომანოზ შეგელია .
12. ლეწურწუმეს წმ. გიორგის ეკლესია, მღვდელი რომანოზ კვირკველია.
13. ხეთის ლაჩვას? მთავარანგელოზის ეკლესია, მღვდელი ვასილ ვართაგავა და იოანე კაშიბაძე..
14. კირცხის წმ. გიორგის მღვდელი გიორგი ადონია.
15. ხიბულას მთავარანგელოზის ეკლესია, მღვდელი ნიკოლოზ კიტია.
16. ყულიშკარის წმ. გიორგის ეკლესია, მღვდელი ნიკოლოზ ანთელავა და მათე ჭურღულია.
17. ლედგებიეს მთავარანგელოზის ეკლესია, მღვდელი სვიმეონ სართანია და სვიმონ თოლორაია.
18. ცაიშის ღვთისმშობლის მღვდელი ანდრია ქირია.
19. ლიის ღვთისმშობლის ეკლესია.
20. ჯუმათის წმ. გიორგის ეკლესია.
21. ზუმის მთავარანგელოზის ეკლესია.
22. ჯვარის ლექარდეს მაცხოვრის ეკლესია.
23. ობუჯის მთავარანგელოზის ეკლესია.
24. ლეშამუგეს მაცხოვრის ეკლესია.
25. აბასთუმანის წმ. ნიკოლოზის ეკლესია.

1846 წ. საქმე №629

1. სუჯუნის წმ. გიორგის ეკლესია, მღვდელი იოანე ჭითანავა და იოანე ნოდია. დიაკვანი თევდორე ხოშტარია და ლაზარე.
2. ონტოფოს წმ. კვირიკეს ეკლესია, მღვდელი გიორგი კოჩას ძე ნადარეიშვილი, დიაკვანი იოანე და მაქსიმე.
3. ონტოფოს მთავარანგელოზის ეკლესია, მღვდელი შიო ნადარეიშვილი.
4. სეფიეთის მთავარანგელოზის ეკლესია, მღვდელი სოფრომ თოფურია და ათანასე თოფურია.
5. სოფ. აბაშის წმ. გიორგის ეკლესია, მღვდელი ბესარიონ თოფურია.
6. ეწერის წმ. გიორგის ეკლესია, მღვდელი ვასილ გუგუშვილი.

1846 წ. საქმე №634

1. სამიქაოს წმ. გიორგის ეკლესია, მღვდელი ურიდია და ლაზარე კარანაძე დიაკვანი ალექსი ბოკერია და ივანე კარანაძე.
2. სამიქაო-გეზათის წმ. თეოდორე ტირონის ეკლესია, მღვდელი ტიმოთე ჯიბლაძე.
3. ქოლობანის მაცხოვრის ეკლესია, მღვდელი ეგნატე იოანეს ძე მიქაძე, დიაკვანი სიმონ სიმონის ძე აბულაძე.
4. გულუხეთის წმ. გიორგის ეკლესია, მღვდელ-მონაზონი ლუკა გეგენეიშვილი, დიაკვანი თადეოზ გეგენეიშვილი.
5. საჭილავოს ილორის წმ. გიორგის ეკლესია, დეკანოზი და ბლაღოჩინი იოანე გრიგოლია, მღვდელი მაქსიმე ანანიას ძე გრიგოლია, დიაკვანი იესე ივანეს ძე ჯამბურია, ლუკა სიმონის ძე აბაშიძე და ანტონ ანანიას ძე გრიგოლია.
6. საჭილაოს მთავარანგელოზის ეკლესია, მღვდელი გიორგი მიქელის ძე მგალობლიშვილი და პეტრე იოანეს ძე ჯანელიძე, დიაკვანი ოქროპირ გიორგის ძე მგალობლიშვილი და იესე დავითის ძე თელია.
7. ცილორის წმ. გიორგის ეკლესია, მღვდელი იესე ნიკოლოზის ძე ნასარეიშვილი.
8. კულაშის ჯვარცმის ეკლესია, მღვდელი თევდორე იესეს ძე ნიკურაძე, დიაკვანი დიმიტრი იესეს ძე ნიკურაძე, მღვდელი სპირიდონ მაქსიმეს ძე ნიკურაძე, დიაკვანი იოსებ სპირიდონის ძე ნიკურაძე.

საქმე №633

1. ნატურეს? წმ. გიორგის ეკლესია, მღვდელი მარკოზ კალანდარიშვილი, დიაკვანი ეგნატე კალანდარიშვილი.
2. სირიაჩქონის წმ. ? მღვდელი ეგნატე ლუხავა, დიაკონი გიორგი ღომიჩავა.
3. ჭალადიდის წმ. გიორგის ეკლესია, მღვდელი თადეოზ ბაბილუა, დიაკონი ზოსიმე ბაბილუა.
4. ყულევის წმ. ნიკოლოზის ეკლესია, მღვდელი მარკოზ კიზირია, დიაკონი პეტრე კიზირია.
5. ქვალონის წმ. გიორგის ეკლესია, მღვდელი ოქროპირ ხოჭოლავა.
6. ხობის ღვთისმშობლის ეკლესია, მღვდელი ნიკოლოზ სასანოვი, დიაკვანი ანტონ სასანოვი, მღვდელი მაქსიმე სიჭინავა.
7. ჭალადიდის მთავარანგელოზის ეკლესია, მღვდელი გაბრიელ ხოჭოლავა დიაკონი ეგნატე სვანიძე.
8. ხორგის ჯვარცმის ეკლესია, მღვდელი იესე ბერაია, დიაკონი ბესარიონ ბერაია.
9. თეკლათის მთავარანგელოზის ეკლესია, მღვდელი მიქელ სალაყაია, დიაკონი მაქსიმე გრიგოლია.

1846 წ. საქმე №633

1. გეჯეთის მთავარანგელოზის ეკლესია, მღვდელი დავით გეგენავა.
2. ხორგის წმ. გიორგის ეკლესია, მღვდელი ნიკოლოზ ჭითანავა.
3. წყემის წმ. ვარვარას ეკკლესია, მღვდელი ანდრია კუპრეიშვილი, დიაკონი სვიმონ კუპრეიშვილი.
4. ხორგის წმ. გიორგის ეკლესია, მღვდელი იოანე ჟოანია, დიაკონი გიორგი ჟუელია.
5. შხეფის მთავარანგელოზის ეკკლესია, მღვდელი დიმიტრი ხოფერია.
6. შხეფის მთავარანგელოზის ეკკლესია, მღვდელი იოანე სახოკია, პრიჩეტნიკი თეოდორე ხუნწარია.
7. ნოსირის წმ. გიორგის ეკლესია, მღვდელი გიორგი სისორდია, დიაკონი დავით სისორდია.
8. სახარბედოს წმ. გიორგის ეკლესია, მღვდელი ვასილ ხარბედია.
9. ჭალადიდის წმ. გიორგის ეკლესია, მღვდელი ეგნატე ღომიჩავა, დიაჩოქი გიორგი ღომიჩავა.

10. თეკლათის მთავარანგელოზის ეკლესია, მღვდელი ზაქარია სალაყაია, დიაკონი ანდრია სალაყაია.

სამეგრელოს ეპარქია 1855 წ. ფ. 489 აღწ. 6.

სუჯუნის მაზრა

1. ზედა თეკლათის მთავარანგელოზის.
2. ქვედა თეკლათის მთავარანგელოზის.
3. სახარბედიოს წმ. გიორგის.
4. საჭილაოს მაზრის სოფლის – სირიაჩქონის წმ. იოანე ნათლისმცემლის
5. სოფ. ჭალადიდის მუხურის წმ. გიორგის.
6. საჭილაოს მაზრის სოფ. საღვამიჩაოს წმ. გიორგის.
7. საჭილაოს მაზრის სოფ. ჭალადიდის წმ. მთავარანგელოზის.
8. ზუბის (ზუგდიდის მაზრის) ბიის მთავარანგელოზის.
9. ზუგდიდის მაზრის ნოჯიხევის მთავარანგელოზის.
10. სუჯუნის მაზრის სენაკის მაცხოვრის.
11. სუჯუნის მაზრის სენაკის წმ. მთავარმოწამის გიორგის.
12. ზუბის მაზრის სოფ. ეკის მაცხოვრის.
13. ეკის იოანე ნათლისმცემლის.
14. სუჯუნის მაზრის კოტიანეთის წმ. მთავარმოწამის გიორგის.
15. სუჯუნის მაზრის სოფელ სორტის იოანე ნათლისმცემლის.
16. სუჯუნის მაზრის წყემის წმ. ვარვარას.
17. სუჯუნის მაზრის სოფ. გეჯეთის მთავარანგელოზის.
18. სუჯუნის მაზრის სოფ. ნორიოს მთავარმოწამის გიორგის.
19. ნორიოს სოფლის წმ. მთავარმოწამის გიორგის.
20. სუჯუნის მაზრის შხეფის მთავარანგელოზის.
21. შხეფის წმ. მთავარანგელოზის მიხაილ და გაბრიელის.
22. ნატოჩავოს წმ. გიორგის.
23. ზუბის მაზრის ახალდოხორეს სოფლის ჯვარცმის.
24. სამეგრელოს ეპარქიის მარტვილის საკათედრო სობორის.
25. ნაგვაზუს წმ. გიორგის.
26. მარტვილის წმ. გიორგის.
27. სამეგრელოს ეპარქიის სოფ. ქვათანის ჯვარცმის.
28. საელიაოს წმ. ხარალამპის.
29. ბალდის ღვთისმშობლის.
30. ნაგვაზუს მაცხოვრის.
31. ინჩხირის წმ. გიორგის.
32. ინჩხურის წმ. გიორგის.
33. ზუბის მაზრის ლესიჭინის მაცხოვრის.

34. ზუბის მაზრის ხორშის სოფლის წმ. გიორგის.
35. ზუბის მაზრის ხორშის სოფლის ხელთ უქმნელის მაცხოვრის.
36. ზუბის მაზრის პატარა ზანის სოფლის წმ. გიორგის.
37. ზუბის მაზრის საჩიჯაოს წმ. მთავარმოწამის გიორგის.
38. ზუბის მაზრის საგვათუოს მაცხოვრის.
39. ზუბის მაზრის დიდი ზანის მაცხოვრის.
40. ზუბის მაზრის ზენის იოანე ნათლისმცემლის.
41. ზუბის მაზრის უფლის კარის წმ. მთავარმოწამე გიორგის.
42. ზუბის მაზრის ეკის წმ. პირველმოწამე სტეფანეს.
43. ზუგდიდის მაზრის ხიბულის მთავარანგელოზის.
44. ზუბის მაზრის ზუბის სოფლის წმ. გიორგის.
45. ზუბის მაზრის საგაბესქირიოს წმ. გიორგის.
46. ხორშის წმ. გიორგის.
47. ახუთის სოფლის მთავარანგელოზის.
48. ფოცხოს მთავარ ანგელოზის.
49. ფოცხოს მთავარ ანგელოზის.
50. მოხაშის წმ. მლეკად? შემოსილი წმ. გიორგის.
51. მოხაშის ღვთისმშობლის.
52. მოხაშის წმ. გიორგის.
53. ლეძაძამის წმ. გიორგის.
54. ჯვარის მაზრის ალერტის წმ. გიორგის.
55. ჯვარის მაზრის გურძემის მთავარანგელოზის.
56. გურძემის მთავარანგელოზის
57. სამეგრელოს ეპარქიის ლეგერცამის მაცხოვრის
58. ნაზოდელაუს წმ. გიორგის.
59. ნაკიკიანის მაცხოვრის.
60. ნაჯახაუს წმ. გიორგის.
61. ლესაჯეს მთავარანგელოზის.
62. ოჩხომურის მაცხოვრის.
63. ზუგდიდის მაზრის ხოფის მონასტრის მღვთისმშობლის.
64. ზუგდიდის მაზრის ხორგის წმ. გიორგის.
65. ზუგდიდის მაზრის ხორგის წმ. ჯვარცმის.
66. ზუგდიდის მაზრის ხორგის წმ. გიორგის.
67. მოხაშის წმ. კვირიკეს და ივლიტასი.
68. ნაყურალეშის წმ. გიორგის და ზედ მიწერილი მთავარანგელოზ იოანესი.
69. საჭილაოს ილორის წმ. გიორგის.
70. საჭილაოს სოფლის ნამწარეულის წმ. ?
71. საჭილაოს სოფლის გაუწყინარის წმ. გიორგის.
72. საჭილაოს სოფლის გულეიკარის წმ. გიორგის.
73. საჭილაოს სოფლის მაცხოვრის და ზედმიწერილი კეთილარის სოფლის წმ. გიორგის.
74. საჭილაოს ცილორის წმ. გიორგის.
75. გულუხეთის სოფლის წმ. გიორგის.
76. სამიქაოს სოფლის წმ. გიორგის.
77. ზუგდიდის მაზრის ხოფის მონასტრის ღვთისმშობლის.

78. ზუგდიდის მაზრის ხორგის წმ. გიორგის.
79. ზუგდიდის მაზრის ხორგის წმ. ჯვარცმის.
80. ზუგდიდის მაზრის ხორგის წმ. გიორგის.
81. გორდის მთავარანგელოზის.
82. ხუნწის წმ. თეოდორ ტირონის.
83. ხუნწის წმ. ღვთისმშობლის.
84. სუხჩის ყოვლად წმ. ღვთისმშობლის
85. საწისქვილოს მაცხოვრის.
86. რონდიშის მთავარანგელოზის.
87. კინჩხის წმ. გიორგის.
88. ქუტირი ? წმ. მაცხოვრის.
89. ჟუშქის წმ. გიორგის.
90. დიდღვაბუნის წმ. გიორგის.
91. ხუნწის წმ. გიორგის.

1864 წ. ფონდი №489, აღწ. 6, საქმე №1721

1. ჭალადიდის მთავარანგელოზის მღვდელი ეგნატე სვანიძე არქ. ალექსანდრე მიხეილის ძე მაკალათია.
2. ჭალადიდის საჭოჭუოს მთავარანგელოზის მღვდელი ბესარიონ ჭანტურია არქ. იაკობ ჭოჭუა.

სამეგრელოს ეპარქია 1864 წ.

ფონდი 489, აღწ. 6, საქმე №1715

ბლაღოჩინი იოანე ასათიანი

1. ბომბოთის ღვთისმშობლის ეკლესია, ბლაღოჩინი და კავალერი იოანე ასათიანი. მღვდელი ისიდორე ასათიანი და პავლე ასათიანი, პრიჩეტნიკი სოფრომ ქობალავა.
2. უშაფათის მაცხოვრის, მღვდელი იოანე ბოკუჩავა პრიჩეტნიკი იაკობ ბარკალაია.
3. აბეთადის ღვთისმშობლის, მოძღვართ მოძღვარი, მღვდელი გიორგი ქაჯაია, მღვდელი დავით გაგუა, პრიჩეტნიკი ეფვთიმე ქაჯაია.

1. ნოქალაქევის ორმოცმოწამეთა ეკლესია, მღვდელი სპირიდონ შალამბერიძე და ლაზარე შალამბერიძე პრიჩეტნიკი მარკოზ შალამბერიძე.
2. ნახუნაუს წმ. კვირიკეს და ივლიტას ეკლესია, მღვდელი ტიმოთე ჟორდანია, პრიჩეტნიკი ლაზარე ზარქუა.
3. ნარიუსი? წმ. გიორგის ეკლესია, მღვდელი იორდანე გაბისონია, პრიჩეტნიკი სტეფანე ლომია.
4. ნალეფსაოს მაცხოვრის ეკლესია, მღვდელი ლაზარე სილაგავა ზაქარია სილაგავა და ანატოლი შარია, პრიჩეტნიკები თედოსილა სილაგავა, ივანე ნაჭყებია.
5. აბედათის წმ. გიორგის ეკლესია, მღვდელი გიორგი ცხაკაია, პრიჩეტნიკი მაქსიმე ანჯაფარიძე.
6. ბეთლემის ქრისტეშობის ეკლესია, მღვდელი იოანე კირცხალია, პრიჩეტნიკი ანდრია კირცხალია.
7. უშაბათის წმ. მირიანის ეკლესია, მღვდელი ბესარიონ გოგინავა, პრიჩეტნიკი გიორგი გაბუნია.
8. ლებაღათურიეს მთავარანგელოზის ეკლესია, მღვდელი ლაზარე ბედია, პრიჩეტნიკი თეოფანე ბედია.
9. მთავარანგელოზის ეკლესია, მღვდელი ნიკოლოზ კინწურაშვილი, პრიჩეტნიკი ივანე კინწურაშვილი.
10. ღვთისმშობლის ეკლესია, მღვდელი ნიკოლოზ კინწურაშვილი, პრიჩეტნიკი დავით ჩიქოვანი.

1864 წ. 489 ფონდი აღწ. 6 საქმე № 1717

გაბუნიას საბლაღოჩინო

1. ბანძა ურიასკარის წმ. გიორგის ეკლესია, მღვდელი მარკოზ გაბუნია და საბა გაბუნია, პრიჩეტნიკები სიმეონ კეკელია და დიმიტრი გაბუნია.
2. ბანძა ვედიდკარი (წმ. გიორგის), მთავარ ანგელოზის სახელობის ეკლესია, მღვდელი იოანე ფოჩხუა და მოსე ურიდია, პრიჩეტნიკი იოანე ფაცულაია და ნიკოლოზ ურიდია.
3. ინჩხის წმ. თეოდორ ტირონის ეკლესია, მღვდელი ოქროპირ რურუა, პრიჩეტნიკი ზაქარია რურუა.
4. სეფიეთის მთავარანგელოზის ეკლესია, მღვდელი ნიკოლოზ მაკალათია და სოფრომ თოფურია, პრიჩეტნიკი ნიკო თოფურია.
5. კადარის მაცხოვრის ეკლესია, მღვდელი იესე დავითაია, პრიჩეტნიკი ფილიპე ჭედია.
6. აბაშის წმ. გიორგის ეკლესია, მღვდელი ქოიავა გიორგი იოანეს ძე და იოანე ქოიავა, პრიჩეტნიკი ეგნატე ქოიავა.

7. ონტოფოს წმ. ბარბარეს ეკლესია, მღვდელი ათანასე ნიკოლოზის ძე ნადარეიშვილი და შიო ნადარეიშვილი, პრიჩეტნიკები ოქროპირ ნადარეიშვილი და ბესარიონ ნადარეიშვილი.
8. ონტოფოს მთავარანგელოზის ეკლესია, მღვდელი მამანტი ჟვანია, პრიჩეტნიკის მოვალეობის აღმსრულებელი მაქსიმე გადელია.
9. მაცხოვრის კარის, მაცხოვრის სახელობის ეკლესია, მღვდელი პეტრე ჭანტურია და დავით თოფურია, პრიჩეტნიკები პეტრე ჭანტურია და ვასილ ცომაია.
10. საგვაზაოს მთავარანგელოზის ეკლესია, მღვდელი პეტრე ჩოჩია და სიმონ კაჭარავა, პრიჩეტნიკები ნიკო გვაზავა და პაულე კაჭარავა.
11. საკაჭარაოს მთავარანგელოზის ეკლესია, მღვდელი თევდორე კაჭარავა და ნიკოლოზ კაჭარავა, პრიჩეტნიკი თევდორე კაჭარავა.
12. ქვათანას წმ. გიორგის ეკლესია, მღვდელი ნიკოლოზ კაჭარავა, პრიჩეტნიკი თევდორე კაჭარავა.
13. ქვათანას მთავარანგელოზის ეკლესია, მღვდელი სიმონ კაჭარავა და თევდორე შომანია, პრიჩეტნიკი ნიკო ჩოჩია.
14. გულუხეთის წმ. გიორგის ეკლესია, მღვდელი გიორგი ნიკოლოზის ძე მასხარაშვილი და მამანტი ჟვანია, პრიჩეტნიკი ბესარიონ გიგინეიშვილი.

1864 წ. ფონდი №489, აღწერა 6, საქმე №1721

1. ჭალადიდის საჩოჩუოს წმ. გიორგის ეკლესია, მღვდელი ისიდორე გაბრიელის ძე ბაბილუა, პრიჩეტნიკი პეტრე ჯიქია.
2. მუხურის წმ. გიორგის ეკლესია, მღვდელი თადეოზ ბაბილუა, პრიჩეტნიკი ათანასე ბაბილუა.
3. საგვიჩიოს მთავარანგელოზის ეკლესია, მღვდელი გიორგი გარუჩავა, პრიჩეტნიკი ეგნატე კაჭარავა.

საქმე №1719

ბლაღოჩინი მიხაილ გუასალიევი

1. ლესიჭინეს მაცხოვრის ეკლესია, მღვდელი ანტონ ჭიჭინაძე, პრიჩეტნიკი საბა ცხაკაია.

2. ხიბულის წმ. მთავარანგელოზის ეკლესია, მღვდელი დავით ხორავა და ბართლომე იოსავა, პრიჩეტნიკი მარკოზ პარკაია.
3. ზანის წმ. გიორგის ეკლესია, მღვდელი მარკოზ არჩაია, პრიჩეტნიკი გიორგი ჭითანავა.
4. ხორშის მაცხოვრის ეკლესია, მღვდელი მიხაილ გუასალიევი და საბა გვასალია, პრიჩეტნიკები ვასილ ჭანტურია და ლუკა ძიგუა.
5. ხორშის მაცხოვრის კარის მაცხოვრის სახელობის ეკლესია, მღვდელი საბა გვასალია და დიმიტრი ძიგუა, პრიჩეტნიკი იოანე ჯიქია.
6. ზუბის წმ. გიორგის ეკლესია, მღვდელი გიორგი კემულაროვი, პრიჩეტნიკი მარკოზ კემულაროვი.
7. ზანის ნათლისმცემლის ეკლესია, მღვდელი ანტონ სასანია და იოვანე შელაია, პრიჩეტნიკები ზაქარია გობეჩია და გიორგი ცისკაძე.
8. საჯიჯაოს მთავარანგელოზის ეკლესია, მღვდელი გიორგი ნანეიშვილი, პრიჩეტნიკი ოქროპირ ნანეიშვილი.
9. ზანის მაცხოვრის ეკლესია, მღვდელი გიორგი იოანეს ძე გვაძაბია და იოანე ცაავა, პრიჩეტნიკები მიხა გიორგის ძე გვაძაბია და გიორგი ესებუა.
10. ხორშის მთავარანგელოზის და წმ. გიორგის სახელობის ეკლესია, მღვდელი მარკოზ გრიგოლავა, პრიჩეტნიკი ლაზარე სახეიშვილი.
11. ხორშის წმ. გიორგის ეკლესია, მღვდელი ოქროპირ ძიძავა, პრიჩეტნიკი პავლე ძიძავა.
12. ხორშის წმ. გიორგის ეკლესია, მღვდელი ვასილ გვასალია, პრიჩეტნიკი თადეოზ გვასალია.
13. უფლისკარის წმ. გიორგის ეკლესია, მღვდელი იოანე ოდიშარია, დიაკონი ბესარიონ ელიავა.
14. ხორშის ეწერის ეკლესია, მღვდელი საბა გუასალოვი, დიაკონი ლაზარე კავკავაძე.

1864 წ. 489 ფონდი აწერა 6 საქმე №1721

1. ჭალადიდის საჩოჩუოს წმ. გიორგის ეკლესია, მღვდელი ისიდორე გაბრიელის ძე ბაბილუა, პრიჩეტნიკი პეტრე ჯიქია.
2. მუხურის წმ. გიორგის ეკლესია, მღვდელი თადეოზ ბაბილუა, პრიჩეტნიკი ათანასე ბაბილუა.
3. საგვიჩიოს მთავარანგელოზის ეკლესია, მღვდელი გიორგი გარუჩავა, პრიჩეტნიკი ეგნატე კაჭარავა.

1864 წ. საქმე №1721

გაწერელიას საბლოდოჩინო

1. მარტვილის კათედრალური ღვთისმშობლის ეკლესია, მღვდელი ეპიფანე გაწერელია, გიორგი გაბისონია, თევდორე გაბისონია, პრიჩეტნიკები ნიკოლოზ გაბისონია და ბესარიონ გაბისონია.
2. მარტვილის წმ. გიორგის ეკლესია, მღვდელი ზოსიმე ჟორდანია, პრიჩეტნიკი თადეოზ ჟორდანია.
3. საელიაოს ხარალამპის სახელობის ეკლესია, მღვდელი ლუკა ჟორდანია, პრიჩეტნიკი სიმონ ხაჟომია.
4. ნაგვაზაოს წმ. გიორგის ეკლესია, მღვდელი დავით ჩიქვანაია, პრიჩეტნიკი რომანოზ ჩიქვანაია.
5. ნაგვაზუს მაცხოვრის ეკლესია, მღვდელი გრიგოლ ახალაია, პრიჩეტნიკი ივანე ახალაია.
6. კვაუთის ვნების სახელობის ეკლესია, მღვდელი ბასილ ცხაკაია და ნიკოლოზ ცხაკაია, პრიჩეტნიკი ზაკარია ცხაკაია.
7. ინჩხურის წმ. გიორგის ეკლესია, მღვდელი გიორგი გეგეჭკორი და თევდორე ფირცხალავა, პრიჩეტნიკი დიმიტრი გეგეჭკორი.
8. ინჩხურის წმ. გიორგის ეკლესია, მღვდელი გიორგი ხელაია, პრიჩეტნიკი სტეფანე ხელაია

1864 წ. საქმე 1718

ბლაღოჩინი სვიმონ კუხალაშვილი

1. წარჩხურის მთავარანგელოზის ეკლესია, მღვდელი ვასილ გეგელია, მღვდელი ბესარიონ გაგუა, პრიჩეტნიკი ალექსანდრე გეგელია.
2. კურზუს მთავარანგელოზის ეკლესია, მღვდელი, გიორგი ბერულავა, პრიჩეტნიკი ვატა ბერულავა.
3. თაის წმ. გიორგის ეკლესია, მღვდელი ზოსიმე თოდუა და დავით თოდუა, პრიჩეტნიკი სოფრომ თოდუა.
4. მუხურის წმ. გიორგის ეკლესია, მღვდელი დავით გახარია, პრიჩეტნიკი ანტონ ჩიქოვანი.
5. ზუგდიდის მაცხოვრის ღვთისმშობლის ეკლესია, მღვდელი დავით გახარია, პრიჩეტნიკი ანტონ ჩიქოვანი.
6. ჭოღოს მთავარანგელოზის ეკლესია, მღვდელი ნიკოლოზ ხომერიკი, პრიჩეტნიკი დავით ფაცაცია.

7. მაიდანის წმ. ნიკოლოზის სახელობის ეკლესია, მღვდელი მარკოზ კვირკველია, პრიჩეტნიკი სვიმონ კვირკველია.

1864 წ. 489 ფონდი აღწერა 6 საქმე №1718

1. ზანათის? მაცხოვრის ეკლესია, მღვდელი სიმონ ჯაფარიძე, პრიჩეტნიკი პავლე ჯაფარიძე.
2. ლექარჩეს მთავარანგელოზის ეკლესია, მღვდელი ვასილ კვარაცხელია, პრიჩეტნიკი ფილიპე კვარაცხელია.
3. დოშაყეს ნათლისმცემლის ეკლესია, მღვდელი იესე კეკუა, პრიჩეტნიკი მოსე კეკუა.
4. კიწიის მთავარანგელოზის და მაცხოვრის ეკლესია, მღვდელი სამსაონ ანჯაფარიძე, პრიჩეტნიკის თანამდებობების აღმსრულებელი იოანე ცხაკაია.
5. კონოს? წმ. გიორგის ეკლესია, მღვდელი დავით ადამია, პრიჩეტნიკი პავლე დგებუაძე.
6. ნამაყულევის მაცხოვრის ეკლესია. მღვდელი ვასილ ჯანაშია, პრიჩეტნიკის თანამდებობების აღმსრულებელი ბესარიონ ჯანჯღავა.
7. თამაკონი წმ. გიორგის ეკლესია, მღვდელი ოქროპირ ფარცვანია, პრიჩეტნიკი სვიმონ ჯანჯღავა.
8. თამაკონი მაცხოვრის ეკლესია, მღვდელი მიქელ ჯანაშია, პრიჩეტნიკი იოანე ჯანაშია.
9. თამაკონი მაცხოვრის ეკლესია, მღვდელი ზოსიმე ფულარია, პრიჩეტნიკი ალექსი ფულარია.
10. სალხინოს წმ. გიორგის ეკლესია, მღვდელი მარკოზ ცაავა, პრიჩეტნიკი ლუკა ცაავა.
11. ჯინოთის წმ. გიორგის ეკლესია, მღვდელი ბესარიონ გაგუა, პრიჩეტნიკი დგებუაძე.

სამეგრელო 1864 წ. 489 ფონდი 6 აღწერა საქმე №1724

1. ალავერდის წმ. გიორგის ეკლესია, მღვდლები ნიკოლოზ საჯაია და იოანე ჭანტურია, პრიჩეტნიკები ნიკოლოზ ჩაჩიბაია და ნიკოლოზ ძიმისტარაშვილი.

2. კარტახის? წმ. გიორგის ეკლესია, მღვდელი გიორგი ჭილაძე, თომა გოშუა და გიორგი ადანაია, პრიჩეტნიკი დავით ადანაია.
3. ლეწურწუმეს წმ. გიორგის ეკლესია, მღვდელი დავით ფარულავა, პრიჩეტნიკი დიმიტრი ფარულავა.
4. სარაკონის? წმ. გიორგის ეკლესია, ხაბურძანია სტეფანე, პრიჩეტნიკები მაქსიმე ხაბურძანია და მარკოზ მიქავა.
5. ჯაგირის ჯვარცმის სახელობის ეკლესია, მღვდელი სტეფანე ხაბურძანია, პრიჩეტნიკი დავით მებონია.
6. ჯუმითის წმ. გიორგის ეკლესია, მღვდელი იოვანე ცირდავა, პრიჩეტნიკი კოსტა მებონია.
7. ჯუმათის წმ. გიორგის ეკლესია, მღვდელი იოანე ჟვანია, პრიჩეტნიკი კირილე გობეჩია.
8. ზუმის მთავარანგელოზის ეკლესია, მღვდელი მარკოზ ურუტაძე, პრიჩეტნიკი ანდრია ურატაძე.
9. წალეჯიხის მაცხოვრის ეკლესია, მღვდელი ნიკოლოზ თვალთვაძე, პრიჩეტნიკი პილპპე თვალთვაძე.
10. ნაგიგივის მაცხოვრის ეკლესია, მღვდელი იოვანე ბელქანია, პრიჩეტნიკი მიხეილ ბელქანია.

1864 წ. ფონდი 489, აღწერა 6, საქმე №1724

1. ფუქის მაცხოვრის ეკლესია, მღვდელი იაკობ თვალთვაძე, პრიჩეტნიკი გიორგი ღვინჯილია.
2. მაზანდრის მაცხოვრის ეკლესია, მღვდელი იესე თვალთვაძე, პრიჩეტნიკი გიორგი ღვინჯილია.
3. ობეჯის მთავარანგელოზის ეკლესია, მღვდელი იოანე ბელქანია და გიორგი შენგელია, პრიჩეტნიკი ანტონ შენგელია.
4. ახალდაბის მთავარანგელოზის ეკლესია, მღვდელი დავით ხვინგია, პრიჩეტნიკი თევდორე გვაზავა.
5. ყულისკარის წმ. გიორგის ეკლესია, მღვდელი ეგნატე როგავა, პრიჩეტნიკი დიანოზ როგავა
6. ქვათახევის მაცხოვრის ეკლესია, მღვდელი ნიკოლოზ ხუბულავა, პრიჩეტნიკი ვასილ ხუბულავა.
7. სობოგას მთავარანგელოზის ეკლესია, მღვდელი დავით მგალობლიშვილი, პრიჩეტნიკი დავით სიჭინავა.
8. ჭაქვინჯის წმ. გიორგის ეკლესია, მღვდელი დიანოზ შელია, პრიჩეტნიკი გიორგი შელია.
9. ჭაქვინჯის ნიკოლოზის ეკლესია, მღვდელი დიანოზ შელია და რომანოზ შენგელია, პრიჩეტნიკი ათანასე ანთელავა.

1864 წ. ფონდი 489, აღწერა 6, საქმე №1721

1. ნოსირის წმ. გიორგის ეკლესია, დეკანოზი იესე სისორდიას საბლაღოჩინო, მღვდელი გიორგი სისორდია და გიორგი დუდუჩავა, პრიჩეტნიკი ბასა გეგენავა.
2. ნოსირის წმ. გიორგის ეკლესია, მღვდელი ტიმოთე ოდიშარია, პრიჩეტნიკი დიმიტრი ოდიშარია და ბასა გეგენავა.
3. ნოსირის წმ. კვირიკეს და ივლიტას სახელობის ეკლესია, მღვდელი გიორგი სისორდია, პრიჩეტნიკი ზაქარია სისორდია.
4. გეჯეთის მთავარანგელოზის ეკლესია, მღვდელი მარკოზ გილაჭეიშვილი და ვასილ თურქია, პრიჩეტნიკი თევდორე მახარაძე.
5. წყემის წმ. ბარბარეს ეკლესია, მღვდელი ანდრია კუპრეიშვილი, პრიჩეტნიკი პავლე კუპრეიშვილი.
6. ესაკეთის ნათლისმცემლის ეკლესია, მღვდელი სვიმონ იოანეს ძე ნოდია, პრიჩეტნიკი ბესარიონ საბას ძე ნოდია.
7. ზანათის მაცხოვრის ეკლესია, მღვდელი ლაზარე ოდიშარია, პრიჩეტნიკი კოსტა უჩანეიშვილი.
8. ფოთის ალექსანდრე ნეველის ეკლესია, მღვდელი იოანე ხოშტარია, პრიჩეტნიკი ეფრემ ხოშტარია.

1864 წ. ფონდი 489. აღწერა 6. საქმე №1715

1. ჯოლევის წმ. გიორგის ეკლესია, მღვდელი ბესარიონ ყურუა, პრიჩეტნიკი თომა გაბუნია.
2. უშაფათის წმ. გიორგის ეკლესია, მღვდელი თევდორე ხორავა, პრიჩეტნიკი მაქსიმე ხორავა.
3. ჯოლევის ვნების ანუ ჯვარცმის ეკლესია, მღვდელი გიორგი განგია, პრიჩეტნიკი ნიკო ხვითარია.
4. ბეთლემის უშაფათის წმ. გიორგის ეკლესია, მღვდელი საბა როგავა, პრიჩეტნიკი ნიკო ჩახავა.
5. თარგამულის წმ. გიორგის ეკლესია, იოანე მიშველაძე, პრიჩეტნიკი იესე მიშველაძე.
6. სერგეთის მთავარანგელოზის ეკლესია, მღვდელი პავლე ასათიანი, პრიჩეტნიკი სოფრომ ქობალავა.
7. ნახუნაოს წმ. გიორგის ეკლესია, მღვდელი ანტონ ოდიშარია, პრიჩეტნიკი ნიკოლოზ ოდიშარია.
8. კვაუთის წმ. გიორგის ეკლესია, მღვდელი შიო ძიმისტარაშვილი, პრიჩეტნიკი ნიკოლოზ ძიმისტარაშვილი.
9. ნახუნაოს წმ. გიორგის ეკლესია, მღვდელი თევდორე ცანავა, პრიჩეტნიკი ივანე ცანავა.

1870 წ. ფონდი 489, აღწერა 6, საქმე №2168

სენაკის უეზდი

1. წაჩხურის მთავარანგელოზის (თამაკონის მაცხოვრის) ეკლესია, მღვდელი ვასილ გეგელია, პრიჩეტნიკი ალექსანდრე გეგელია.
2. გოდოგანის წმინდის გიორგის ეკლესია, მღვდელი მატათე გეგელია, პრიჩეტნიკი გრიგოლ გეგელია.

ბლაღოჩინი კირცხალია, ზუგდიდის მაზრა

1. კეზანის? მთავარანგელოზის ეკლესია, ზუგდიდი მღვდელი მარკოზ ფირცხალავა, პრიჩეტნიკი ფილიპე ფირცხალავა.
2. კუძუნის? მთავარანგელოზის? ლიის წმინდის გიორგის ეკლესია, მღვდელი სოფრომ თოდუა, პრიჩეტნიკი მაქსიმე თოდუა.
3. მუხურის წმ. გიორგის ეკლესია, მღვდელი ნიკოლოზ ბენდელიანი, პრიჩეტნიკი ფილიპე ბენდელიანი.
4. მუხურის ღვთისმშობლის ეკლესია, მღვდელი დავით გახარია, პრიჩეტნიკი იოანე გოუავა.
5. ხანწკის? მაცხოვრის ეკლესია, მღვდელი პავლე ჯაფარიძე, პრიჩეტნიკი დავით ჯაფარიძე

ბლაღოჩინი სვიმონ კუხალეიშვილი.

1. ჭოღის მთავარანგელოზის (მაცხოვრის) ეკლესია, მღვდელი ეგნატე შეგელია, პრიჩეტნიკი სიმონ შეგელია.
2. მოიდენახეს ღვთისმშობლის ეკლესია, მღვდელი გიორგი ბერულავა, პრიჩეტნიკი ივანე ბერულავა.
3. ნოღის მაცხოვრის (ეწერის მთავარანგელოზის) ეკლესია, მღვდელი იესე კეშილავა, პრიჩეტნიკი პავლე კეშილავა, მღვდელი სვიმონ კუხალაშვილი.
4. ჟინოთის წმ. გიორგის ეკლესია, მღვდელი ბესარიონ გაგუა, პრიჩეტნიკი ზოსიმე გაგუა.
5. თამაკონის მაცხოვრის ეკლესია, მღვდელი ზოსიმე ფულარია, პრიჩეტნიკი ალექსი ფულარია.
6. ზანის ან ზინოს წმ. გიორგის ეკლესია, მღვდელი სვიმონ კუხალეიშვილი, პრიჩეტნიკი ივანე თოდუა.

1870 წ. ფონდი 489, აღწერა 6, საქმე №2173

1. მარანის წმ. გიორგის ეკლესია, მღვდელი მაქსიმე გრიგოლია, პრიჩეტნიკი ლეონტი გრიგოლია.
2. საჭილაოს წმ. გიორგის ეკლესია, მღვდელი ონოფანტე ხონელიძე და პეტრე ხონელიძე, პრიჩეტნიკი ლავრენტი ონოფანტეს ძე ხონელიძე.
3. გოუწყინარის წმ. გიორგის ეკლესია, მღვდელი სვიმონ ჩარგეიშვილი, პრიჩეტნიკი სვიმონ ვასაძე და გაბრიელ თურქია.
4. ონაღის ნათლისმცემლის ეკლესია, მღვდელი იესე ქაჯაია დიაკონი ივანე დარჯანია, პრიჩეტნიკი ბასილ ქაჯაია.
5. ორპირის მთავარანგელოზის ეკლესია, მღვდელი სიმონ ელიავა, პრიჩეტნიკის მოვალეობის აღმსრულებელი ვასილ ცაგურია.
6. ნაჯახოვოს მთავარანგელოზის ეკლესია, მღვდელი მატთე დანელია, პრიჩეტნიკი გიორგი დანელია მღვდელი სტეფანე გაბუნია.
7. სამიქაოს წმ. გიორგის ეკლესია, მღვდელი იოანე ბოკერია, პრიჩეტნიკი ვასილ მიქაძე. მღვდელი იოანე კარანაძე პრიჩეტნიკი თომა კარანაძე.
8. სამიქაოს წმ. გიორგის ეკლესია, მღვდელი პეტრე ჯანელიძე, პრიჩეტნიკი ათანასე ჯანელიძე, მღვდელი გიორგი ჯანელიძე.
9. საჭილაოს ილორის წმინდა გიორგის ეკლესია, მღვდელი გერმანე გრიგოლია და ლუკა გრიგოლია, პრიჩეტნიკი თომა გრიგოლია.

1870 წ. ფონდი 489, აღწ. 6, საქმე №21-72

ხიბულის წმინდის გიორგის მღვდელი ბართლომე იოსავა ბლაღოჩინი მღვდელი ბესარიონ ქავთარაძე. პრიჩეტნიკი მარკოზ თირქია. პრიჩეტნიკის თანამდებობის აღმსრულებელი დავით კიტია.

საჯიჯაოს მთავარანგელოზის მღვდელი გიორგი ნანეიშვილი პრიჩეტნიკი გიორგი ბაკურაძე.

ზანას მაცხოვრის მღვდელი გიორგი ბულია, პრიჩეტნიკი გიორგი ჭითავა და გიორგი შურღაია.

შენო? ნათლისმცემლის: მღვდელი იოანე შელაია. პრიჩეტნიკი ოქროპირ პერტია მღვდელი გაბრიელ შულაია.

ხორშის წმ. გიორგის მღვდელი ოქროპირ ძიძავა პრიჩეტნიკი პეტრე ძიძავა.

1873 წლის სტატისტიკური აღწერილობის მასალები:

(Свод населенных мест и сведения 1873 года. ред. Н. Зеидлица, «Сборник сведений о Кавказе», Тиф., 1879 г.)

სენაკის მაზრა

მდ. ცივის და მისი შენაკადების გასწვრივ

1. ს. ნოღა – ეკლესია 2.
2. ს. ფოცხო – 2 ეკლესია, სოფლის სკოლა.
3. ს. უშაფათი – 4 ეკლესია.
4. ს. უფლის კარი – 2 ეკლესია.
5. ს. ეკი – 3 ეკლესია, სასოფლო მმართველობა და სკოლა.
6. ს. საწულეისკირო – 1 ეკლესია.
7. ს. სახარბედიო – 1 ეკლესია.
8. ს. თეკლათი – 4 ეკლესია, ასევე სკოლა.
9. ს. რეკა – ეკლესია არ არის ნახსენები.
10. ჭალადიდის მუხაური – 2 ეკლესია.

მდ. ხობის გასწვრივ

1) ს. ნაფიჩხოვო – 3 ეკლესია.
2) ს. ჭოლა – 1 ეკლესია.

ტეხურისა და მისი შენაკადების გასწვრივ

1) ს. კურზუ – 2 ეკლესია.
2) ს. გოდოგანი – 1 ეკლესია.
3) ს. გალი – 1 ეკლესია.
4) ს. დღვანა (ტკვანა) – 1 ეკლესია.
5) ს. ნაბულევი – 1 ეკლესია.
6) ს. წაჩხური – 1 ეკლესია.
7) ს. ვახა – 1 ეკლესია.
8) ს. ლეცავა – 1 ეკლესია.
9) ს. სალხინო – 2 ეკლესია, ციხის ნანგრევები, მთავარ დადიანთა სახლი.
10) ს. ჟინოთა – 1 ეკლესია.
11) ს. ტალავერი – 1 ეკლესია.
12) ს. ნამიკოლავო – 2 ეკლესია.
13) ს. დოშაყე (დოშაყი) – 1 ეკლესია.
14) ს. კიწია – 2 ეკლესია.
15) ს. გურძემი – 3 ეკლესია.
16) ს. ლეძაძამე – 1 ეკლესია.
17) ს. საჯე – 1 ეკლესია.
18) ს. ალავერდი – 2 ეკლესია.
19) ს. ნასავოუ – 1 ეკლესია.
20) ს. მოხაში – 2 ეკლესია.
21) ს. ბეთლემი – 1 ეკლესია.
22) ს. თამაკონი – 2 ეკლესია, ციხის ნანგრევები.
23) ს. თარგამეული – მოცაციხის სახელწოდების ციხის ნანგრევი.
24) ს. კვაუთი – 1 ეკლესია.
25) ს. ჯოლევი – 2 ეკლესია.
26) ს. ნოქალაქევი – 2 ეკლესია, ნოქალაქევის ანუ არქეოპოლისის სიმაგრის ნანგრევები, იუსტინიანეს დროინდელი ეკლესიის ნანგრევები, იმ პერიოდის როდესაც მან ქრისტიანობა მიიღო პროკოფი კესარიელის მიხედვით.
27) ს. კოტიანეთი – 1 ეკლესია.
28) ს. სორედა (სორტა) – 1 ეკლესია.

29) სენაკი – კარგი არქიტექტურის ეკლესია; აფხაზეთის კათოლიკოსის ყოფილი კათედრა, სკოლა.
30) ს. საჩიქობავო – ეკლესია არ არის.
31) ს. შხეფი – 1 ეკლესია.
32) ს. ძონძირი – ეკლესია არ არის.
33) ს. ისულა – 1 ეკლესია.
34) ს. გეჯეთი – 2 ეკლესია.
35) ს. ნოსირი – 2 ეკლესია.
36) ს. ბალდა (ბარდა) – 1 ეკლესია.
37) ს. სკურდი – 2 ეკლესია.
38) ს. ინჩახური (ინჩხური) – 2 ეკლესია.
39) ს. საელიავო (საელიე) – 1 ეკლესია.
40) ს. ნალეფსოუ – 2 ეკლესია.
41) ს. ლებეჩე – ეკლესია არ არის.
42) ს. ნახუნავო – 2 ეკლესია.
43) ს. აბედათი – 3 ეკლესია. ერთი სკოლა.
44) ს. სერგიეთი – 1 ეკლესია.
45) ს. ბუმბოთი – 1 ეკლესია.
46) მარტვილი (ჭყონდიდი – გიორგი II (921-955) მიერ აშენებული ტაძარი, ჭყონდიდის ეპისკოპოსთა კათედრა. არის 3 ეკლესია და სკოლა.
47) ს. ნაგვაზავო (ნაგვაზეური) – 2 ეკლესია.
48) ს. ნოჯიხევი – 1 ეკლესია.
49) ს. ნაჯახოუ – 2 ეკლესია.
50) ს. ლეხაინდრავო – 3 ეკლესია.
51) ს. ნაგიბეროვუ – 1 ეკლესია.
52) ს. ონოდია – 1 ეკლესია.
53) ს. ლეგოგიე (ლეკარტალუ) – 1 ეკლესია.
54) ს. ბანძა (ბონზო, ბანზო) – 1 ეკლესია.
55) ს. ვედიდკარი (ვერდ-) – 1 ეკლესია.
56) ს. მუხურჩა – 1 ეკლესია.
57) ს. ორქა – ეკლესია არ არის.
58) ს. სეფიეთი – 2 ეკლესია.
59) ს. წყემი – 1 ეკლესია.
60) ს. აბაშა – 2 ეკლესია.
61) ს. საბოკუჩავო – 1 ეკლესია.
62) ს. საგვაზავო – 1 ეკლესია.
63) ს. ზანათი – 1 ეკლესია.
64) ს. ესაკეთი, ს. ზანათის ნაწილი – ეკლესია არ არის.

მდ. სუდგარის გასწვრივ მ. რიონის მარჯვენა შენაკადი

1) ს. ონტოფო – 2 ეკლესია.
2) ს. მაცხოვრის კარი – 1 ეკლესია.

3) ს. საჩოჩიო – 1 ეკლესია.
4) ს. სუჯუნა – 2 ეკლესია და სკოლა.
5) ს. ეწერი – 1 ეკლესია.
6) ს. წალიკარი – 1 ეკლესია.
7) ს. საკაჭარავო – 1 ეკლესია.
8) ს. კვათანა – 1 ეკლესია, სკოლა.
9) ს. ნაესაკავუ – 2 ეკლესია.
10) ს. კოდორი – 1 ეკლესია.

მდ. ნოღელას გასწვრივ, რიონის მარჯვენა შენაკადი

1) ს. ხუნწი – 2 ეკლესია.
2) ს. მახათი – ეკლესია არ არის.
3) ს. სამიქაო – 2 ეკლესია.
4) ს. ეწერი – 1 ეკლესია.
5) ს. ნოგო-საში – 1 ეკლესია.
6) ს. ქობა – 1 ეკლესია.
7) ს. კაპანა – 1 ეკლესია.
8) ს. წილოსი – 1 ეკლესია.
9) ს. შუა ქალაქი – 1 ეკლესია.
10) ს. ტყვირი – 1 ეკლესია.

მდ. ცხენისწყლის გასწვრივ

1) ს. ღვედი – 1 ეკლესია.
2) ს. ნოგო – 1 ეკლესია.
3) ს. გორდი – 2 ეკლესია, ციხის ნანგრევები, სამეგრელოს მთავარ დადიანის სახლი.
4) ს. კინჩხა – 1 ეკლესია და სკოლა.
5) ს. დღვადღაბუნა – ციხის ნანგრევი.
6) ს. ჟუშაკო – 1 ეკლესია.
7) ს. სუმაჩახო – 1 ეკლესია.
8) ს. სუხჩე – 1 ეკლესია.

9) ს. გულუხეთი – 2 ეკლესია.
10) ს. ბუღუცანი – ეკლესია არ არის.
11) ს. პირველი ილორი – 2 ეკლესია და სკოლა.
12) ს. მეორე ილორი – 1 ეკლესია.
1) ს. გოუწყინარი – 1 ეკლესია.
2) ს. მესამე ილორი – 2 ეკლესია.
3) ს. საპაგიური – 1 ეკლესია.

მდ. რიონის გასწვრივ

1) ს. სანავარდო – 1 ეკლესია.
2) ს. ჭელიშანჭალა – 1 ეკლესია.
3) ს. ქორეისუბანი – 1 ეკლესია.
4) ს. ტოლები – 1 ეკლესია.
5) ს. ეკალი – 1 ეკლესია.
6) ს. ნაფაცხევი – 1 ეკლესია და სკოლა.
7) ს. გულეკარი – 2 ეკლესია.
8) ს. ენიდორი – 1 ეკლესია.
9) ს. კეთილის (კეთილარის) – 1 ეკლესია.
10) ს. საპრიაჩკონი – 1 ეკლესია.
11) ს. საგელამიჩავო (საღვამიჩაოს) – 1 ეკლესია.
12) ს. საჩოჩიო – 1 ეკლესია.
13) ს. საჩაჩავო – ეკლესი არ არის.
14) ს. საქორქიო – 1 ეკლესია.
15) ს. პატარა ფოთი – 1 ეკლესია და სკოლა.

ზუგდიდის მაზრა

მდ. ენგურის და მისი შენაკადების გასწვრივ

1) ზედა ეწერი – 1 ეკლესია.
2) ს. ჯვარი – 7 ეკლესია. ციხის და ჯვარის ეკლესიის ნანგრევები ბიზანტიური სტილისა აკლდამის მკვრივი ქვისაგან.
3) ს. ფახულანი – 1 ეკლესია.

4)ს. ლია – 2 ეკლესია.
5)ს. ტყაია – 1 ეკლესია.
6)ს. ნიქოზია (ენიქოზი, რუხა) – 1 ეკლესია, რუხის ციხის ნანგრევები რუსული დასახლების სტილში. აშენებულია 1859 წ. სალიპარტიანოდან (სენაკის მაზრა) გადმოსახლებულთა მიერ და სამეგრელოს თავად ნიკოლოზის სახელი დაერქვა.
7) ს. ჭკადუაში – 2 ეკლესია.
8) ს. მანუჩარის კახათი (კახათი) – 1 ეკლესია.
9) ს. კოკი, დიდი – 1 ეკლესია.
10) ს. კოკი, პატარა – ეკლესია არ არის.
11) ს. ორსანტია – 1 ეკლესია.
1) ს. შამგონა – 1 ეკლესია.
2) ს. დარჩელი – 1 ეკლესია.
3) ს. ოტობაია, ეკლესია არ არის.
4) ს. სუტ-ინგურსკი, კაზაკების პოსტი – ეკლესია არ არის.
5) ს. ჭითა წყარი – 1 ეკლესია.
6) ს. განარჯიაშ მუხური – (გან-). ეკლესია არ არის.
7) ანაკლიის კაზაკების პოსტი – ეკლესია არ არის.
8) ს. კორცხელი – 1 ქვის ეკლესია და სკოლა.
9) ზუგდიდი – 3 ეკლესია (1 ქვის) და 1 სკოლა.
10) ს. ლედგებიე – სკოლა 1 ეკლესია.
11) ს. ყულის კარი – 3 ეკლესია (მათ შორის ერთი ქვის).
12) ს. ხეცერა – 1 ქვის ეკლესია.
13) ს. ცაიში – 1 მონასტერი. 1 ეკლესია, ეხლანდელი ცაიშის საეპისკოპოსო კათედრა. ეკლესიაში არის ბაგრატ III ჯვარი – X საუკუნე.

მდ. ჭურიასა და მისი შენაკადების გასწვრივ

1)ს. პატარა ზანა – 1 ეკლესია.
2)ს. აბასთუმანი – 4 ეკლესია (მათ შორის ერთი ქვის)
3)ს. ნარაზენი – 1 ეკლესია.
4)ჭურიის კაზაკთა პორტი – ეკლესია არ არის.
5)ს. ხეთა – 5 ეკლესია, 1 სკოლა.

მდ. ხობის სისტემა, ჭანისწყლის გასწვრივ

1) ს. ნაგურუ – 1 ეკლესია.
2) ს. საჩინო – 2 ეკლესია.
3) ს. ჯგალი (ჯაგალ) – 1 ეკლესია, სქურის მონასტერი. მის ირგვლივ ციხის ნანგრევები.
4) ს. წალენჯიხა – 2 ეკლესია (მათ შორის ერთი ქვის), სოფლის სკოლა.
5) ს. ობუჯი – 1 ეკლესია, ციხის ნანგრევები.
6) ს. ლეწურწუმე – 1 ეკლესია.
7) ს. ჭაქელინჯი (ჭაქვინჯი) – 3 ხის ეკლესია, ციხის ნანგრევები.
8) ს. ჯაღირა – 1 ეკლესია.
9) ს. კირცხი – 1 ეკლესია.
10) ს. გაშფერდი – 1 ეკლესია.
11) ს. ხიბულა – 2 ეკლესია.

მდ. ხობის გასწვრივ

1) ს. მუხაური (მუხური) – 2 ქვის ეკლესია.
2) ს. თაია – 2 ეკლესია (მათ შორის ერთი ქვის).
3) ს. ზუმი – ხის ეკლესია.
4) ს. მოდინახე (მოდი-დანახე) – 1 ხის ეკლესია.
5) ს. ჯუმითი – 1 ხის ეკლესია.
6) ს. ჩხოროწყუ – 1 ხის ეკლესია.
7) ს. ლეჯიქე – 1 ეკლესია.
8) ს. ნაკიკიანო (ნაკიანი) – 1 ეკლესია.
9) ს. ხანწკი – (ხანჩუ) – 1 ხის ეკლესია.
10) ს. ჭოდა – 1 ხის ეკლესია.
11) ს. ლექარჩე – 1 ხის ეკლესია.
12) ს. ნაჯაგოუ – 1 ეკლესია. ციხის ნანგრევები.
13) ს. ოჩხამური- 1 ეკლესია.
14) ს. ზუბი – 1 ეკლესია.
15) ს. ლესიჭინე – 1 ეკლესია, 1 სკოლა.
16) ს. სავეკუა (საეკუა) – 1 ხის ეკლესია.
17) ს. ლეგერსამე – 1 ქვის ეკლესია.
18) ს. ახუთი – 2 ეკლესია (1 ხის მათ შორის).
19) ს. ზანა დიდი – 1 ეკლესია, 1 სკოლა.
20) ს. ზენი – 1 ეკლესია, 1 სკოლა.
21) ს. საჯიჯავო (საჯიჯაო) – 1 ეკლესია, 1 სკოლა.
22) ს. მაცხოვრის კარი (მ-წყალი, მაცხუარ კარი) – 1 ეკლესია.
23) ს. ხობი (ხობი) – 1 მონასტერი, 1 სკოლა.
24) ს. ბია – 1 ეკლესია.
25) ს. ნოჯიხევი – 1 ეკლესია.
26) ს. ხორში – 4 ეკლესია, 1 სკოლა.
27) ს. ციზეთი – 2 ეკლესია.

28) ს. ქვალონი – 2 ეკლესია, 1 სკოლა.
29) ს. ხორგა – 6 ეკლესია, 1 სკოლა.
30) ს. სარაქონი – 1 ეკლესია.

ზემოთ წარმოდგენილ როგორც საარქივო, ისე სტატისტიკურ მონაცემებთან დაკავშირებით უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს მასალა მეტნაკლებად სრულია მხოლოდ XIX საუკუნის 30-იანი-დან 70-იან წლებამდე; 70-იანი წლების შემდგომაც, 1921 და ნაწილობრივ 1924 წლამდეც კი სამეგრელოში უამრავი ეკლესია აშენდა, რაც ჩვენს მიერ ადგილზე იქნა ფიქსირებული, მათი უმრავლესობა გასაბჭოების დროს დაანგრიეს.

თავი IV

ზუგდიდის რაიონი

სოფელი ცაიში

1. ცაიშის ეკლესია და საეპისკოპოსო

ცაიშის მონასტერი ქართული კულტურის ერთ-ერთი უძველესი კერაა. ის ერთად ერთი და უძვე-

ლესია სამეგრელოში არსებულ საეპისკოპოსოებს შორის, რომელიც ჯერ კიდევ VI-VII საუკუნეებიდან იხსენიება როგორც საეპისკოპოსო.

ცაიშის ეკლესიის პირველი ვრცელი აღწე-რილობა, როგორც არქიტექტურულად, ისე იქ დაცული სიწმინდეების და წარწერების გაშიფვრის თვალსაზრისით დაგვიტოვა ექვთ. თაყაიშვილმა; მისი თქმით, „ცაიშის ეკლესია მდებარეობს ზუგდიდის მაზრაში, სოცელ ცაიშში, რვა ვერსის მანძილზე ქალაქ ზუგდიდიდან. ეკლესია შუა ზომის არის, გუმბათიანი, თლილის ქვით აგებული; კედლებს და გუმბათს ეტყობა მრავალჯერ გადაკეთება და ჩუქურთმიანი ქვების ერთმანეთში არევა. ეს არც გასაკვირალია, ვინაითგან ვიცით, რომ ცაიშის ეკლესია რამოდენიმეჯერ იყო დანგრეული მიწის ძვრისაგან და კვლავ აღდგენილი. მარტო მეჩვიდმეტე და მეთვრამეტე საუკუნეში ორჯერ განახლდა ეკლესია, მაგრამ მიუხედავად ამისა აღმოსავლეთის მხარის ქვემო ნაწილი, განსაკუთრებით საკურთხეველი, შეურყევლად არის დაცული უძველეს დროიდან. ამ ნაწილში გადაკეთება არ ემჩნევა. საკურთხეველი მომრგვალებით გამოდის გარეთ, შემკობილია ჩუქურთმიანი კამარებით და ასეთივე მშვენიერის ხელობის ჩუ-ქურთმიანის ფანჯრებით და ძლიერ წააგავს ხობის საკურთხეველს. ფანჯარა ხუთია აღმოსავლეთის მხარეს, სამი საკურთხევლის ნაწილში და თითო სამკვეთლოებში, სხვა მხარეებს თითო ფანჯარა აქვთ ფრონტონებში. გუმბათი მრგვალია, განახლება და გადაკეთება ძლიერ ემჩნევა კედლებს ფანჯრების ზემოთ. ქვემო ნაწილებს ეკლესიისა საამისო გადაკეთება არ ეტყობა. ამიტომ მრავალ წარწერებში მოხსენიებული ცნობები, რომ ეკლესია ძირითადად აღმოიფხვრაო, ჩვენ გადაჭარბებულად მიგვაჩნია. ამასვე მოწმობს საკურთხეველში და ეკლესიის კედლების ქვემო ნაწილში აქა-იქ დაცული ძველი მხატვრობა. კარგათ არის დაცული და კარგი ნახელავია ღვთისმშობლის ფრესკა საკურთხევლის ცაში. ღვთისმშობელი ჩჩვილედი ფეხზე მდგომარეა წერწერით და აქეთ-იქით ღვთისმშობლისა მთავარანგელოზებია ფეხზედ მდგომარენი და თაყვანის მცემელნი. თაღზედ წინასწარმეტყველებია ეტრატებით. დასავლეთის კარის ზემოთ შერჩენილია ჯვარცმა და ამას ზევით ღვთისმშობელი ჩჩვილედი წელს-ზევითი ბერძნულის წარწერებით. როგორც მარტვილში და ხობში, ისე აქაც უძველესი ფრესკები ბერძნულის წარწერებით არიან წარმოდგენილნი. ისტორიულ პირთა სურათები ემჩნევა სამხრეთის კედელზე. აქ დაზიანებულად დაცულია ქალის და კაცის ფრესკები დიდებულის ტანისამოსებით. წარწერები აღარ ემჩნევა. ეკლესიას ვრცელი ლამაზი ეზო აქვს, ჩვეულებრივათ დიდრონის ხეებით შემკობილი, გალავანი უბრალო როხო ქვის არის. სამხრეთისკენ შესავლის მარჯვნივ ამართულია ორ-სართულიანი ძველი სამრეკლო ქვისა, ქვემო ნაწილი სამლოცველოა, ზემო ნაწილი სამრეკლო. უძველესი ნაშთები ცაიშის ეკლესიის კედლებისა, საკურთხეველი, თაღები და ჩუქურთმები ფანჯრებისა საუკეთესო ხანას მოგვაგონებენ ქართულის ხუროთ-მოძღვრებისა და თავდაპირველი ეკლესია უნდა

ყოფილიყოს აქ აშენებული არა უგვიანეს მე-XI-XII საუკუნისა“[1].

მაშასადამე, ცაიშის ეკლესიას ექვთ. თაყაიშვილი XI-XII საუკუნის ძეგლად მიიჩნევდა, თუმცა შემდეგდროინდელი გამოკვლევებით გამოჩნდა, რომ ის ცოტა უფრო ადრე უნდა იყოს აშენებული. როგორც აღნიშნულია, სამრეკლოს რელიეფი საერთო სტილისტური გადაწყვეტით X საუკუნის ტიპიურ, თუმცა, არა პროგრესულ, ძეგლებს უკავშირდება, მაგრამ ფილაზე აღნიშნული არქიტექტურულ დეტალებს – თაღედი შეწყვილებული, გრეხილი ლილვებით და ეკლესიის გამოსახულების სარკმლის მორთულობის ფორმა ცაიშის რელიეფის თაღს X ს-ის II ნახევრისა და XI ს-ის დასაწყისისაკენ წევს[2]. ცაიშის რელიეფი უნდა ჰქონოდა ცაიშის ღვთისმშობლის ტაძრის ადგილას მდგარ შვერილაფსიდიანი ეკლესიის ფასადზე, რომლის ნაშთების ნაწილი მთავარი ტაძრის აღმოსავლეთ ნაწილშია მოქცეული[3].

გამოთქმული მოსაზრებით, ეს ძველი ეკლესია XIII საუკუნემდე დანგრეულა, ხოლო ამ ადგილას, ძველი ფრაგმენტების გამოყენებით XII-XIV საუკუნეთა მიჯნაზე აუგიათ ცენტრალურ გუმბათოვანი ეკლესია დამხმარე შენობებით[4].

1612 წელს ცაიშის ეკლესიის ფრესკებით მოხატვა დაუმთავრებია მალაქია გურიელს, რომელიც იწოდებოდა ცაიშელ-ჯუმათელ-ხონელ მთავარეპისკოპოსად, მაგრამ 1614 წლის ძლიერ მიწისძვრას ეკლესია ძლიერ დაუზიანებია, რომელიც ისევ 1619 წელს აღუდგენია მალაქია ეპისკოპოსს. მალაქიას ზრუნვით აუგიათ ასევე სამრეკლო, გალავანი და ეკლესია შეუმკიათ ხატებით[5].

უნდა აღვნიშნოთ, რომ ცაიშში X-XI საუკუნეებამდე სულ სხვა ფორმის ტაძარი უნდა მდგარიყო, რამდენადაც აქ ჯერ კიდევ VI საუკუნიდანაა სავარაუდო საეპისკოპოსო კათედრის არსებობა.

გ. კალანდიას აღნიშვნით, ცაიში, როგორც საეპისკოპოსო, ბერძნულ წყაროებში მოხსენიებულია უკვე VI-VIII საუკუნეებიდან, მაგრამ X საუკუნემდე ცაიშელ ეპისკოპოსთა შესახებ არაფერია ცნობილი[6].

VII საუკუნის კონსტანტინეპოლის პატრიარქისადმი დაქვემდებარებულ კათედრათა შორის დასახელებულია ეპარქია ლაზიკისა; ფასიდის სამიტროპოლიტოს ექვემდებარება ოთხი ქალაქი, ე. ი. ოთხი საეპისკოპოსო: როდოპოლისის, საისინთა, პეტრის, ზიგანევთა[7]. აღსანიშნავია, რომ IX საუკუნის ბიზანტიელი ავტორ ბასილი სოფონელთან, ნახსენებია ლაზიკის ეპარქია – ფასიდის მიტროპოლიტი და იქვე აბისსენთა ეპისკოპოსი (როდოპოლისის, პეტრას და ზიგანევის ეპისკოპოსთა შორის)[8]. ეს ბასილი სოფონელის

---

[1] ე. თაყაიშვილი, არხეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნანი, წიგნი მეორე, ტფილისი, 1914, გვ. 163-164.
[2] თ. ხუნდაძე, კტიტორული რელიეფი ცაიშიდან, ძეგლის მეგობარი, 1988, №4, გვ. 29.
[3] თ. ხუნდაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 29.
[4] ცაიშის საკათედრო ტაძარი, ზუგდიდი-ცაიში, 2002, რედ. დეკანოზი ამირანი (შენგელია), გვ. 5.
[5] ცაიშის საკათედრო ტაძარი, დასახ. ნაშრომი, გვ. 13-14.
[6] გ. კალანდია, ოდიშის საეპისკოპოსოები, თბ., 2004, გვ. 34.
[7] გეორგიკა, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტ. IV და ნაკვ. II, ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო სიმონ დაუხჩიშვილმა, თბ., 1952, ტ. IV, ნაკ. II, გვ. 186-187.
[8] გეორგიკა დასახ. ნაშრომი, ტ. VI, გვ. 130.

ნოტაცია შედგენილია მეცხრე საუკუნის პირველ მესამედში[1]. აქ აბისსენთა შესაძლოა ნახსენები იყოს ტომის სახით.

მაშასადამე აქ მსგავს სახელწოდებათა სამი ფორმა გამოიკვეთა – საისინი, საისი და აბისენი, რომელზეც ყურადღება გამახვილა ს. ყაუხჩიშვილმა და აღნიშნა, რომ საისინი, საისი, შესაძლოა ნიშნავდეს ცაიშს ანუ ცაიშის ეპისკოპოსზეა საუბარი. სიტყვა ცაიში თავის ფონეტიკური მნიშვნელობით ძალზედ უცხოა ბერძნულისათვის „აბისინელთა (*Ἀβι ηνῶν*) უნდა იყოს საისინის (*ϊηνῶν*) დამახინჯებული გადმოცემა[2].

ექვთიმე თაყაიშვილს აღწერილი აქვს ცაიშის დიდი საწინამძღვრო ჯვარი[3], სადაც მოხსენიებულია (ხუცურად) ბაგრატ აფხაზთა მეფე და კურაპალატი და ეფრემ ცაიშელი, რომელიც ისტორიულ წყაროებში მოხსენიებულ ცაიშელ ეპისკოპოსთა შორის პირველია. ექვთ. თაყაიშვილის აღნიშვნით, „წარწერაში მოხსენიებული „ბაგრატ აფხაზთა მეფე და კურაპალატი“, უნდა იყოს ან ბაგრატ III (978-1014), ან ბაგრატ IV (1027-1072), მისივე თქმით, ყოვლად შეუძლებლად მიგვაჩნია თვით ჯვარი და წარწერა იმ სახით, რა სახითაც ჩვენამდის მოუღწევია, მე-XI საუკუნეს მივაწეროთ. ძველი ჯვარი ბაგრატ მეფის დროისა გაძარცული ან გაფუჭებული ყოფილა და ქართული ხელობის დაქვეითების ხანის დროს ეს ძველი ჯვარი ახლად შეუჭედიათ და ის ორი ძველი წარწერა, რომელიც კიდევ შერჩენილი ყოფილა ნამტვრევებზე ახლად გადაუწერიათ. ამას ცხად ყოფს თვით პალეოგრაფიული ხასიათი წარწერისა წინწკლებით შემდგარი და ტლანქი ხელობა ჯვარცმულის და წმინდანების ქანდაკებათა[4]. ვფიქრობთ, ეს უნდა იყოს ბაგრატ III-ის (978-1014) დროინდელი ცაიშელი ეპისკოპოსი, რომელიც X-XI საუკუნის მიჯნით უნდა დათარიღდეს.

ცაიშის მონასტრის სამხრეთ კედელში ჩასხმულ წარწერაში მოხსენიებულია ცაიშელი ეპისკოპოსი, რომელიც პირველად თ. ბარნაველის მიერ ამ სახით იქნა ამოკითხული: ბ: [------] [აღ]ვ[ა]შენე წმიდაი ესე საყდარი გიორგი წმიდისა ბრძანებითა ვდა მხრ [...] [...] ბ[-]ლ ცაიშ[ლისა] [5].

ვ. სილოგავას წაკითხვით:

„შენე ესე საყდარი გ[ი] დადია[ნისა] ბრძანებითა და მახარ[ებლისა] [...]თა ცაიშელ[...]“[6]

---

[1] გეორგიკა, დასახ. ნაშრომი, ტ. IV, ნაკ. II, გვ. 124.

[2] გეორგიკა, დასახ. ნაშრომი, ტ. IV, ნაკ. II, გვ. 188-189..

[3] ჯვარი დიდი საწინამძღვრო, მოოქროვილი ვერცხლისა, ქვებით შემკობილი, ხეტარი ახალი აქვს, თვით ჯვარი 40X33 სანტ. მდიდარი ხელობის არის, თუმცა სახე კი ძველი ჯვარისა აქვს მე-XI საუკუნისა, წინა პირზე გამოქანდაკებულია ჯვარცმული ძლიერ ულამაზესად. ფრთების ბოლოში მედალიონებია, რომლებშიაც წარმოდგენილი არიან მაცხოვარი ზემოთ, დედა ღვთისა ჩჩვილედი ქვემოთ და მთავარანგელოზები მარჯვნივ და მარცხნივ. მეორე მხარე ჯვარისა სადა და ჯვარის სახედ შემკობილი ქვებით. შუაში აყიყების ქვებიდან შემდგარი სიმრგვალეა. პირველ გვერდზე ჯვარს ხუცურად აწერია: „წმიდაო ძელო ცხოვრებისაო, ადიდე ბაგრატ აფხაზთა მეფე და კურაპალატი“.

მეორე გვერდზე: „წმიდაო ძელო ცხოვრებისაო, შეიწყალე ეფრემ ცაიშელი“. (ექვთ. თაყაიშვილი, არხეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნანი, თბ., 1914, გვ. 178.

[4] ექვთ. თაყაიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 179.

[5] ქართული ლაპიდარული წარწერების კორპუსი, დასავლეთ საქართველოს წარწერები, I, (IX-XIII სს.), შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ვალერი სილოგავამ, თბ., 1980, გვ. 175.

[6] ქართული ლაპიდარული წარწერების კორპუსი, დასახ. ნაშრომი, გვ. 175.

პ. ზაქარაიას წაკითხვით, [ქ. სახელითა ღმრთისაჲთა აღვა]შენე ესე საყდარი გ(იორგ)[ი] დადია[ნისა] ბრძანებითა და მახარ[ებლისა] [იოვანეს შეწევნი]თა ცაიშელ[მან][1] [...].

ვ. სილოგავას აზრით, პალეოგრაფიული ნიშნების მიხედვით ის თარიღდება XIII ს-ით, უფრო XIII ს-ის II ნახევრით. ავტორისევე აზრით, მასში დასახელებული გიორგი დადიანი უნდა იყოს XIII ს-ის II ნახევრის ცნობილი მოღვაწე ერისავთ-ერისთავი გიორგი დადიანი[2].

თუ პ. ზაქარაიასეული სახელის ამოკითხვა სანდოა, მაშინ XIII ს-ის მეორე ნახევარში ცაიშის ეპისკოპოსი ყოფილა ბასილი.

გ. კალანდია წარწერაში მოხსენიებულ გიორგი დადიანს გიორგი I დადიანად მიიჩნევს, რომელიც 1323 წელს გარდაიცვალა და ამ ეპისკოპოსის მოღვაწეობის თარიღს XIII საუკუნის ბოლოდან 1323 წლამდე საზღვრავს[3].

ერთ-ერთი ცაიშელი ეპისკოპოსი მოიხსენიება თოფურიძეთა სიგელში, რომელიც თ. ჟორდანიას აზრით, იმერეთის მეფე ალექსანდრე II-ის (1484-1510) დროს არის გაცემული[4]. გაცემული[4]. იქ მოხსენიებულია ბართლომე ცაიშელი.

გ. კალანდიას აზრით, თოფურიძეთა სიგელი არა იმერთა მეფის ალექსანდრე II-ის დროს, არამედ ერთიანი საქართველოს მეფის ალექსანდრე I-ის დროს გაცემულად უნდა ჩაითვალოს და ბართლომე ცაიშელის მოღვაწეობის ხანას 1412-1442 წლებით საზღვრავს[5].

დეკანოზი ამირან (შენგელია) ბართლომეს 1428-1430 წლების მოღვაწედ მიიჩნევს[6].

ერთ-ერთი საწინამძღვრო ჯვრის წარწერაში მოხსენიებულია დანიელ ცაიშელი – „სისხლითა შენითა მოგებულსა ნუ უგულებელს მყოფ დღე[სა] მას განკითხვისასა მე [პატრონსა] მეფეთა მეფესა, ძესა ალე[ქსანდრ]ესა, [ბაგრატს], რომელმან წარუძღვანე ჯვარი ესე დანიელ ჩაისელსა [ამინ]“.

ექვთ. თაყაიშვილი, ბაგრატ III-ეს იმერეთის მეფედ მიიჩნევს, რომელიც გარდაიცვალა 1548 წელს. ჯვრის ფორმის მიხედვით კი მას არაუგვიანეს XVI საუკუნისად თვლის[7].

გ.კალანდია საკითხთან დაკავშირებით იშველიებს სიგელს დანიელ მთავარეპისკოპოსისა ლაბსყელდაშისადმი [8], სადაც მოხსენიებულნი არიან მეფეთ მეფე დემეტრე,

---

[1] ა. ზაქარაია, თბ., 1956, გვ. 193.
[2] ქართული ლაპიდარული წარწერების კორპუსი, დასახ. ნაშრომი, გვ. 175.
[3] იხ. გ. კალანდია, ოდიშის საეპისკოპოსოები, თბ., 2004, გვ. 36.
[4] თ. ჟორდანია, ქრონიკები და სხვა მასალანი საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა, წ. II, (1213 წლიდან 1700 წლამდე), თბ., 1897, გვ. 223.
[5] გ. კალანდია, დასახ. ნაშრომი, გვ. 36.
[6] ექვთ. თაყაიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 180.
[7] ექვთ. თაყაიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 180.
[8] „სახელითა ღმრთისაითა ცაიშის ღმრთისმშობელისათა თვესა სეკდ(ემ)ბ(ე)რსა ათუთხმეტსა, მე, ცაიშელი მთ(ა)ვ(ა)რებ(ი)სკოპოსი დან(ი)ელი, ლაბსყელდასა მივ(ე)დი. ვაკურთხე მთავარანგელოზი ლაბსყელდაშისა, დემეტრე მეფისა მეფობასა შიგა. ერისთ(ა)ვთ-ერისთავისა დად(ია)ნისა ოზბ(ე)გისა ბრძანებითა და მოწმებითა და ცხმ(ა)რისა ხეუმ(ა)ნ დაუწერეთ მთა(ა)ვ(ა)რანგელო(ზ)სა ლაბსყელდაშისა საპ(ა)ტიჟოი: ზღუდესა შიგნით სამოცდ(ათი)ათ(ასისა)

ერისთავთ-ერისთავი დადიანი ოზბეგ და დანიელ ცაიშელი. ავტორი არ იზიარებს ი. დოლიძის მოსაზრებას, რომ აქ დასახელებული დემეტრე ალექსანდრე I-ის ძე დემეტრე II თავდადებულია.ი.

დოლიძემ დოკუმენტი დათარიღდა 1271-1289 წლებით[1], ხოლო პ. ინგოროყვამ 1441-1452 წლებით[2]. გ. კალანდია იზიარებს პ. ინგოროყვას მოსაზრებას და აღნიშნავს, რომ „ფრჩხილებში კი სწორედ ზემოთ ხსენებული დიმიტრი მეფის სახელი უნდა ჩაისვას, ამიტომ, დანიელის სიგელი ალექსანდრე I დიდის ძის დემეტრეს მოღვაწეობის წლებით (1445-1452) უნდა დათარიღდეს და ავტორი დანიელის მოღვაწეობასაც ამ პერიოდს მიაწერს[3].

აქ პირველ რიგში საინტერესოა გაირკვეს თუ ვინ არის ოზბეგ დადიანი ერისთავთ-ერისთავი, რომელიც ვარდანისძეთა საგვარეულო შტოს ანუ ჩიქვანთა გადადინებამდე არსად არ იხსენიება. ამიტომ საკითხი გადაწყვეტილად ვერ ჩაითვლება, თუმცა უფრო სარწმუნო ჩანს ამ ძეგლზე ექვთ. თაყაიშვილის მიერ ნავარაუდევი თარიღი – XIII საუკუნე და ი. დოლიძის დემეტრე II თავდადებულის ზეობის წლების (1271-1289) პერიოდთან კავშირი.

შემდგომ ცაიშელად წყაროებში მოხსენიებულია ბედიელ-ცაიშელ მთავარეპისკოპოსი იოაკიმე, რომელიც დასავლეთ საქართველოში სტუმრად მყოფ ანტიოქიისა და იერუსალიმის პატრიარქ მიხეილს უკურთხებია[4]. ის, გ. კალანდიას, უშუალოდ დანიელის შემდგომ ცაიშელ ეპისკოპოსად მიაჩნია და ცაიშში მის მოღვაწეობას XVI ს-ის 50-70-იანი წლების ფარგლებში ათავსებს[5]. ეს უკანასკნელი მოსაზრება, რომ იაკიმე 1470 წლამდეა ცაიშელ-ბედიელი ალბათ მართებულია, რადგან შემდგომ ის აფხაზეთის კათალიკოსად ჩანს[6], თუმცა უშუალოდ დანიელის შემდგომ ეპისკოპოსად მისი მოაზრება ალბათ საეჭვოა.

ექვთ. თაყაიშვილის მიერ აღწერილ სუჯუნის მონასტერში დაცული წმ. გიორგის ხატზე დაცული წარწერის მიხედვით[7]: „ქრისტე შეიწყალე იოანე ცაიშელი ფოლაგის ძე

თეთ(რი) საპატ(ი)ჟოი მას გარე სა(ა)ტ(ი)ჟოი, – სადა სარეკლ(ი)სა ხმაი ისმის, რვაი ათასის თეთრისა მისი საპატიჟოი დაგვიცს ... მე, ცაიშელ მთავარეპისკოპოსმან დანიელ ვამტკიცე, და ჩუენ ერთობილთა ხევთა ცხმარისათა, მეფეთ, დადიანისა ბრძანებითა ვ(ინ)ც გა(ა)მ(ა)გროს კურთხ(ე)ულიმც არს, ვინც შესცვ(ა)ლოს, კრ(უ)ლ(ი)მც არს ღ(მრ)თ(ი)სა მ(ა)დლ(ი)თა: მე, კაკასატსა დავ(ი)თს დამიწერ(ი)ა, მოწამეცა ვარ ამას სიგელისა (ქართული სამართლის ძეგლები, ტექსტი გამოსცა და შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფესორმა ი. დოლიძემ, ტ. III, თბ., 1970, გვ. 172).

[1] ქართული სამართლის ძეგლები, დასახ. ნაშრომი, ტ. III, გვ. 172.

[2] პ. ინგოროყვა, სვანეთის ისტორიო ძეგლები, II, თბ., 1964, გვ. 12.

[3] გ. კალანდია, დასახ. ნაშრომი, გვ. 37.

[4] თ. ჟორდანია, ქრონიკები, II, გვ. 294.

[5] გ. კალანდია, დასახ. ნაშრომი, გვ. 38.

[6] თ. ჟორდანია, დასახ. ნაშრომი, გვ. 294.

[7] „ქრისტე შეიწყალე იოანე ცაიშელი ფოლაგისტე (?)“.

1) ქ: ეჰა: მოწამეთა: შორის: მჴნეო: შვიდ წილ: უძლეველო: ღვაწლისა: მძეო: დიდო: მჴედარო: დიდისა: მეფისაო:

2) წმიდაო: გიორგი: ჴმ;რმლოსანო: ბოროტმან: ვინმე: კაცმან: ჴელეო: ხატისა: შენისა: გატეხა: ხოლო: ჩუენ: ძალითა: შენითა: უკადრისად: შ

3) ესმკადრებელი შენი: გამოვაჩინეთ: და: ვითარცა: ავთსა: კაცსა: ფერობდა: ისრე: უყავით: აწე: ჩუენ: მიერ: განმძლიერებულმან: დადიანმან: პა

4) ტრონმან: ლევან: განვახლეთ: ახლად: ოქროსა: წყლისა: დაფერვითა: გარეშემო: ოთხის: ფენგისა: მოჭედითა: და: თუალ: მარგალიტითა: და დაგასვენ

(?)“.მეცნიერი ფოლაგისძესთან კითხვის ნიშანს სვამს და აღნიშნავს, რომ შემოკლებულად დაწერილი ამ ცაიშელის გვარის ამოცნობას არ ვკისრულობთო. ხატს ის ძველი ხელობისად მიიჩნევს, როგორც წარწერიდან ჩანს, ეს ხატი ლევან დადიანისგან ყოფილა აღდენილ-გადაკეთებული და ის 1646 წლით თარიღდება [1]. გ. კალანდია იზიარებს იოანეს ფოლაგისძეობას და მას XV-XVI საუკუნის მოღვაწედ მიიჩნევს.

XVI საუკუნის უკანასკნელი პერიოდის ცაიშელი ეპისკოპოსი ყოფილა დავითი, რომელზეც ჩვენ მეტ-ნაკლებად უტყუარი წყარო გაგვაჩნია[2].

ექვთ. თაყაიშვილის მიერ აღწერილ ცაიშის საწინამძღვრო ჯვრის, წარწერიდან ვიგებთ, რომ კირილე ჟუანისძეს უმოღვაწია ლეონ (1572) და მისი ძე გიორგი III (1582) დადიანის დროს [3]. ამავე დროს, გ. კალანდია, ვახუშტი ბატონიშვილის ცნობაზე დაყრდნობით[4] აღნიშნავს, რომ კირილე ცაიშელი დასწრებია იმერთა მეფის ბაგრატ III-ის მიერ XVI საუკუნის 50-იან წლებში მოწვეულ საეკლესიო კრებას [5]. ავტორის დასკვნით, კირილე დაახლოებით XVI ს-ის 50-80-იან წლებში მოღვაწეობდა[6], თუმცა ჩვენ ქვედა თარიღი (50-იანი წლები) საეჭვოდ მიგვაჩნია, რისი დამადასტურებელი საბუთიც არ არსებობს გარდა ლევან I-ის (1532-1572) ზეობის წლებსა; ამით კი ამის განსაზღვრა რთულია.

შემდეგ ცაიშელად მიჩნეულია ერკეთის გულანში მოხსენიებული მაქსიმე [7]. გ. კალანდია არ იზიარებს დ. ბაქრაძის მოსაზრებას, რომ აქ მოხსენიებული ელენე ქართლის მეფის სოლომონ I-ის ასული, ათაბაგ მანუჩარ II-ის მეუღლეა, მცირეწლოვანი მანუჩარი კი, ათაბაგი მანუჩარ III-ეა (1614-1656). ავტორი მას სამეგრელოს მთავრის მამია II-ის (+1590) მეუღლედ (როსტომ გურიელის ასული) მიიჩნევს, ხოლო მანუჩარს

---

5) ეთ: სუჯუნის ეკლესიასა: მის: კურთხეულისა: ჭილაძის: ასულისა: და თანა: მეცხედრისა: ჩუენისა: დედოფლისა: პატრონისა: ნესტან დარეჯანისა სუ

6) ლისა: სახსრად: და: საოხად: ჩუენდა: სადღეგრძელოდ: და ძეთა: ჩუენთა: აღსაზრდელად: განახლდა: ქკ სა: სამას: ოცდა: ათოთხმეტსა:

ქორონიკონი უდრის 1646 წელს.“(ექვთ. თაყაიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 23-24).

[1] ექვთ. თაყაიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 23-24.

[2] იხ. გ. კალანდია, დასახ. ნაშრომი, გვ. 39; იხ. ს. კაკაბაძე, საისტორიო კრებული, წ. II, თბ., 1928, გვ. 48.

[3] „წ. ჯვარო ქრისტესო, შეიწყალე და დაიცევ მშვიდობით ლეონ დადიანი ორთავე შინა ცხოვრებათა“.

„ჯვარო ქრისტესო, შეიწყალე ცაიშელი მამათ მთავარი კირილე ჟუანიძე, რომელმაც შევამვევ ჯვარი ესე პატიოსანი, რათა შემწე მექნეს დღესა მას განკითხვისასა“.

აქ მოხსენიებული კირილე ჟუანიძე გვხვდება კიდევ ზუგდიდის წმიდა გიორგის ხატის წარწერაში, რომელიც წინათ ბედიის ტაძარს ჰკუთნებია, და იქ მოხსენიებულია ცაიშელ-ბედიელ მიტროპოლიტად. ამას გარდა იმ ხატის წარწერა იხსენიებს გიორგი დადიანს და მის თანამეცხედრეს თამარს. ჩვენს წარწერაში კი დადიანად ნახსენებია ლეონ. ცხადია კირილე ჟუანიძეს უცხოვრია ორი დადიანის მმართველობის დროს, ლევანისა და გიორგისა. ამიტომ ხსენებული დადიანები უნდა იყვნენ, როგორც სამართლიანად შენიშნავს დ. ბაქრაძე, ლევან I (+1572) და მისი ძე გიორგი III (+1582). ამ უკანასკნელს სამი ცოლი ჰყავდა, მაგრამ სახელი არც ერთისა არ ვიცით. უნდა ვიფიქროთ, რომ ერთი მათგანი ყოფილა თამარი. ამრიგად ჯვარის წარწერა ეკუთვნის მე-XVI საუკუნეს. კონდაკოვის აზრით ზემო ნაჩვენები ჯვარი საუკეთესო ჯვარია ქართულის ხელობისა და ჯვარცმულის ტიპს ის მიაწერს მე-XIII საუკუნეს.“ (ექვთ. თაყაიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 177-178).

[4] იხ. ქართლის ცხოვრება, ტ. IV, გვ. 823-824.

[5] გ. კალანდია, დასახ. ნაშრომი, გვ. 39.

[6] გ. კალანდია, დასახ. ნაშრომი, გვ. 39.

[7] გ. კალანდია, დასახ. ნაშრომი, გვ. 39; იხ. ბაქრაძე, არქეოლოგიური მოგზაურობიდან გურია-აჭარაში, თბ., 1987, გვ. 187.

სამეგრელოს მთავარ – მანუჩარ I დადიანად (1590-1611), მაქსიმე I-ის ცაიშელობას კი 1590-1605 წლებით საზღვრავს[1]. თუმცა აქაც ზუსტი თარიღის განსაზღვრა შეუძლებელია და ის ზოგადად XVI საუკუნის დასასრულის და XVII საუკუნის დასაწყისის მოღვაწედ უნდა მივიჩნიოთ.

შემდგომ ცაიშელ მწყემსმთავრად გვევლინება მალაქია კათალიკოსი, რომელსაც ექვთ. თაყაიშვილი 1605 წელს კურთხეულად მიიჩნევს[2]. მალაქია იყო მთელი დასავლეთ საქართველოს კათალიკოსი, რომელმაც სიმონ გურულის შემდეგ გურიის სამთავროს ტახტი დაისაკუთრა და სამეგრელოს ჰეგემონიის ქვეშ მოექცა ლევან II დადიანის დროს [3]. როგორც სამართლიანადაა შენიშნული, მალაქია გურიელი როგორც კათალიკოსი, ადრეც ოდიშის შეჰყურებდა, რადგან დასავლეთ საქართველოს კათალიკოსის 24 მამულიდან 18 ოდიშის ტერიტორიაზე იყო და კათალიკოსი მალაქია მთავრობდა ნომინალურად, გურიის პოლიტიკურ გეზს თავისი ინტერესების შესაბამისად ლევან II დადიანი წარმართავდა. გურიის მამულებიდან შემოსავალსაც მალაქია კათალიკოსი ლევანს უგზავნიდა[4].

მალაქია კათალიკოზის ტიტულებზე და მის მოღვაწეობაზე ექვთ. თაყაიშვილის მიერ ამიკითხული ცაიშის ღვთისმშობლის და ჯვარცმის ხატების წარწერები გვატყობინებენ[5]. კერძოდ, ამ წარწერებიდან ვიგებთ, რომ 1614 წლის მიწისძვრისაგან

---

[1] გ. კალანდია, დასახ. ნაშრომი, გვ. 40.
[2] ექვთ. თაყაიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 190.
[3] ი. ანთელავა, ლევან II დადიანი, თბ., 1990, გვ. 69.
[4] ი. ანთელავა, დასახ. ნაშრ., გვ. 69-70.
[5] „წ: მოიჭედა და შეიმკო ხატი ესე ბატონობასა დადიანის ლევანისსა. ღმერთმან ადიდოს ორთავე შინა ცხორებათა“.

„ქ: აჰა ესე რა ზედამხედველმან და განმგებელმან ყოველთამან მოავლინა ძრვა საშინელი, წელსა ერთსა სრულიად ქვეყანა იძროდა და ცათა მობაძავი საყდარი ცაიშისა ღმრთის მშობლისა სრულიად დაიქცა გალავნითა და შიგან გარ-შენობითა და სამრეკლოთა, სრულიად აღმოიფხრა, და აწ ჩვენ ქრისტეს ღმრთისა-მიერ კურთხევით კურთხეულმან, ყოვლისა ჩრდილოეთისა და აფხაზეთისა კათალიკოზმან, ცაიშელ-ჯუმათელ-ხონელ მთავარებისკოპოზმან, გურიელის გიორგის ძემან, ბატონმან მალაქია, ახლად ჭელ ვყავ აღშენებად საყდრისა და აღვაშენე ცაიშისა ღმრთის მშობლისა საყდარი და შევამკევით ხატითა და ჯვარითა და იარაღითა, ვითა შვენის სახლსა ღმრთისასა და წმიდათა მისთა. მოვაჭედინეთ ძელი ცხოველი და მეორე ესე ცაიშისა ღმრთის მშობელი და შევამკევით ოქროთა, თვალითა და მარგალიტითა ამ სოფელს ჩვენდა სადღეგრძელოდ და დღესა მას დიდსა განკითხვისსა საოხად და სახსრად სულისა ჩვენისათვის და შესანდობელად ჭელმწიფეთა, მამა-მშობელთა და ძმათა ჩვენთა ამინ. მამკობი ხატისა ამის ელბეგიძე ფარემუზ დამიცევ ორთავე შინა ცხორებათა, ამინ“ (ექვთიმე თაყაიშვილი, არხეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნანი, წიგნი მეორე, ტფილისი 1914, გვ. 169-171).

„ქ. ჩვენ ქრისტეს ღმრთისა მიერ კურთხევით კურთხეულმან, ყოვლისა ჩრდილოეთისა და [აფხაზეთისა] კათალიკოზმან, ცაიშელ-ჯუმათელმან, გურიელის გიორგის ძემან, პატრონმან მალაქია [მოვაჭედ]ინეთ და შევამკევით ხატი ესე უხილავი ამა სოფელსა ჩემ[თა დღეთა ს]იგრძისათვის და მას საუკუნოსა საოხად და სახსრად სულისა [ჩემისა, ამინ]“.

ზურგზე მხედრულად აწერია:

1) ჩვენთ ს: ჯვარცმულო იესო: სახისა: შენისა: განმაახლებელი:.

2) და სხუათა: ხატებთა: განმაახლებელი: ცაიშელ: მიტრო

(რომელიც ერთი წლის განმავლობაში გაგრძელებულა) დანგრეული ცაიშის ეკლესია და სამრეკლო 1619 წლამდე აღუდგენია, ასევე ახალი ხატი მოუჭედვინებია ცაიშელ-ჯუმათელ-ხონელს და აფხაზეთის კათალიკოსს მალაქია გურიელს; ასევე განუახლებიათ ცაიშის საეპისკოპოსოს საზღვრები ჯგალის საკათალიკოსოს ჩათვლით[1].

---

3) პოლიტი: გრიგოლ: ჩიქოანი: ცოდვისა მიერ: და

4) ძველებული: განმაახლე: ჟამსა: მას: განკითხვისასა:

5) და აღრაცხე: მარჯვენით: ცხოვართა თანა: შ ნთა:

6) ძველი: წერილობა: ამ: ხატისა: შიგნით: კარზედ: სცანით:

7) როგორც: ეწერა: ისე: დავსწერეთ: ოთხს: ადგილს:

8) უეჭველი: წმინდათ: ნაწილებით: ჩვენ: დავა

9) მყარეთ: წელს ᲩᲧᲯ̃

ქვემო აშიაზე ხუცურად ვერცხლის ზოლზედ ერთ სტრიქონად აწერია:

„მოიჭედა და შეიმკო ხატი ესე ბატონობასა მანუჩარის ძისა ბატონისა ლევანისსა და ლიპარტიანობასა ბატონისა ბიძისა მისისა ბატონის გიორგისა. ღმერთმან ადიდნეს ორთავე შინა ცხორებათა“.

შემდეგ შვიდ სტრიქონიანი წარწერაც: „წ. მას ჟამსა ოდეს საჭედ ვიპყრობდი ცაიშის, ჯუმათის საყდარსა ზედა, ჩვენ, ძემან გურიელისამ პატრონისამ გიორგისამან, პატრონმან მალაქია, ჭელვყავ ცაიშისა ტაძრისა შემკობად და დავახატვინეთ, აღვასრულეთ გუბადი ვიდრე საფუძველადმდე და ესრეთ შევამკევით, ვითარცა ჩვენის სახლსა ღმრთისასა და წმიდათა მისთა და განვისვენე წელ ერთ. ეჰა სახიერებასა და მიუწვდომელობასა ღმრისასა შეაძრწოვა და შეარყია ქვეყანა. ესერეთ იქნა ძრვა დიდი და საკვირველი ქვეყანასა ამას ჩვენსა, რომელი არა ოდეს ყოფილა. იძროდა ვითარ წელ ერთ და შეიმუსრნეს ეკლესიანნი მრავალნი და დაიღვივნეს დაბანი, ხოლო საყდარიცა ესე ცაიშისა დაეცა, შეიმუსრა თავითგან ვიდრე საფუძველადმდე გალავნით, ყოვლით ნაშენებით მითურთ, და დაილეწნეს ყოველნი ხატნი და იარაღნი ეკლესიისანი და არა რა დაშთა რა. ხოლო ოდეს მოხედვა ყო ღმერთმან წყალობითა თვისითა და დაეყენა ძრვა იგი, ამისად შემდგომად წელსა მეორესა ჯერჩინებითა ღმრთისათა და მოწმობითა ყოვლისა საქართველოსა ერისათა მყუვეს კათალიკოზ აფხაზეთისა. და ჩვენ დიდმან მამათ მთავარმან ყოვლისა ჩრდილოეთისა კედართა კათალიკოზ-პატრიაქმან, ცაიშენ-ჯუმათელმან, ძემან გურიელისამ პატრონისა გიორგისამან, პატრონმან მალაქია, მეორედ ჭელვყავ აღშენებად ტაძრისა ამის და მკობად ხატთა. და მოვაჭედინეთ ძელით ცხოველი და ხატი უხილავი თვით ესე ცაიშთა ღმრთის მშობელი ოქროთა და შევამკევით ქვათა მიერ სამარგდოთა და მარგალიტითა, ქორონიკონსა ტზ, წუთისად მსწრაფლ ქცევადისა ამის სოფლისა დღეთა ჩვენთა სიგრძეობითისა, მას ზარისა სახდელსა ცოდვათა ჩვენთა მოსატევებელად, სახსრად სულთა პატიოსანთა ჭელმწიფეთა მამა-მშობელთა ჩემთთავის, რომელმან ისმინოს ხმა იგი კურთხევისა, ვითარმედ „მოვედით კურთხეულნო მამისა ჩემისანო და დაიმკვიდრეთ თქვენთვის განმზადებული სასუფეველი ცათა“, რამეთუ მისი არს დიდება უკუნისამდე, ამინ“.

ქორონიოკონი უდრის 1619 წელს“ (ექვთიმე თაყაიშვილი, არხეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნანი, წიგნი მეორე, ტფილისი 1914, გვ. 164-169).

[1] **წყალობითა და შეწევნითა ღ ისა საშინელისა და უხილავისა ცაიშისა ღ ისმშობლისათა ძვლთაგნ შეწირული ადგილები და მამული მისის საზღურებითა:**

ექვთ. თაყაიშვილის თარიღს მალაქიას ცაიშის ეპისკოპოსად კურთხევის შესახებ (1605 წ.) იზიარებს გ. კალანდია, რომელიც აფხაზეთის კათალიკოზად კურთხევის შემდეგ (სავარაუდოდ 1516-1616 წელს – დ. ჭ.) ცაიშის საეპისკოპოსო კათედრასაც განაგებს[1]; მას როგორც ჩანს ლევან II დადიანის დროს ყველაზე დიდი ძალა და გავლენა უნდა ჰქონოდა მთელს დასავლეთ საქართველოში.

მალაქია გურიელი აფხაზეთის კათალიკოსი ყოფილა 1639 წლამდე ანუ გარდაცვალებამდე.

შემდგომი ეპისკოპოსი უნდა ყოფილიყო ანდრია ცაიშელი, რომელიც რუს ელჩებს ფედოტ ელჩინს და პავლე ზახარიევს ყავთ მოხსენიებული (1639-1640)[2]. ვფიქრობთ ამ წყაროში ეჭვი არ უნდა შევიტანოთ; ზაქარიას ეპისკოპოსობას გ. კალანდია XVII საუკუნის ორმოციან წლებს უკავშირებს[3], თუმცა ზუტი თარიღის განსაზღვრა სხვა წყაროს უქონლობის გამო ვერ ხერხდება.

ექვთ. თაყაიშვილის ცნობით, ცაიშის კიდევ ერთი ეპისკოპოსის ვინაობა ირკვევა 1652 წელს განახლებული ონფორის წარწერიდან, სადაც დასახელებულია დავით ჯოლია[4]. როგორც წარწერიდან ჩანს დავით ჯოლიას ეს ომფორი განუახლებია 1652

როდესაც საშინელისა ძურისაგან ც თა მობაძავი ცაიშის ეკლესია დაიქცა, მაშინ ყ ოვე ეკლესიის სამკაული და დიდება, ხატები თუ ჯ ი, დავთრები და მრავალი რამ ეკლესიის სამსახურებელი ძირს მოემწყუდა და წარწყდა არათუ მარტო ეკლესია დაიქცა საშინელის ძურისაგან, ა დ გარე შენობაც, სამრეკლოცა და გალავანიც, მახლობელდ მცირე ეკლესიებიც ცაიშის სოფლისა. ბრძანებითა და შეწევნითა დიდისა ჭელმწიფისა დადიანის ლეონისათა მე ჩრდილოეთისა და აფხაზეთისა კათოლიკოზ ცაიშელ ჯუმათელ ხონელმან გურიელის გიორგის ძემან მალაქიამ აღვაშენე ცაიშის ეკლესია რაოდენ შესაძლო იყო, შევამკე ხატითა, ჯვარითა, სხვითა სამკაულითა მ ს ჟ ა დავაწერინე გუჯარი ესე მისივე ჭელმწიფის დადიანისა ლეონისა ბრძანებითა ცაიშის ეკლესიისა და გარემო სოფლებისა საზღურები, ვინადგ ნ დავთრები გრყუნილ იყო. ზუგდიდისაკენ ანარიას ღელეს აქეთ, მდინარის ჩასართავამდის დარჩელისა და ჩოხათის სოფლისა ჭალას სოფელს სათუმოს გზას დაბლა ხეთისაკენ, ბარცხილას ღელეს აქეთ ცაიშის ეკლესიისაა და იქითთ საერთო საცაიშლო კაცისა და ქოთძის საყმოსი მთიან ბარიანათ ურთის სოფლისა სათემოს გზას აქეთ ეწრიან სა საყანიანათ საცაიშლო სოფლების გარდასახადი ამ საერთო გუჯარშიდ სცანით, აგრევე საკათალიკოზო ჯგალისა და მისი ადგილ მამულის საზღურისა და გარდასახადისა“ (ს. კაკაბაძე, საცაიშლო გამოსავლის დავთარი, ტფილისი, 1913, გვ. 41).

[1] გ. კალანდია, დასახ. ნაშრომი, გვ. 42-43.

[2] იხ. ი. ანთელავა, დასახ. ნაშრომი, გვ. 70; გ. კალანდია, დასახ. ნაშრომი, გვ. 43.

[3] გ. კალანდია, დასახ. ნაშრომი, გვ. 44.

[4] ექვთ. თაყაიშვილის ცნობით, „ყველაზე ბოლოდროინდელი ასომთავრული წარწერა ეკუთვნის 1652 წელს, როდესაც განახლებულია ომფორი. ეს წარწერა იწყება პირველი ნახევრის ბოლო ნაწილზე და გაგრძელებულია მეორე ნახევარზე წმინდანებს შუა ხუთს ადგილს... „წ. ჭ უმაღლესო ცათაო და უწმიდესო ქერობინათაო, მეოხო და მხსნელო ცოდვილთაო, სასო და საქადულო ქრისტიანეთაო, ზღუდეო და მფარველო მართლმადიდებელთაო, ცაიშისა ღმრთისმშობელო, ჩვენ ცვა ფარვათა თქვენთა მონდობილმან დავით ჯოლიამ ბრძანებითა თქვენითა ამ ტაძარსა თქვენსა ცაიშს ეპისკოპოსად დავჯედით. და ომფორი და შესამოსელი ჩვენათ მისლამდის ერთის წლით უმალ დამწვარ იყო, და არს შესამოსლისა იარაღისაგან არა დამჭდომია რა. მერე აგარიანთაგან ჭელითა გაძარცული ომფორი მოიტანეს გასასყიდლად და ვიყიდეთ. ვიგულეთ და ვიგულისმოდგინეთ და შევაკერვინეთ დასა ჩემსა თამარს ჭელაჭლად და შევამკევით თვლითა და მარგალიტითა ომფორი ეს, და ერთი ჭელი შესამოსლის იარაღი გავაწყვეთ. შეიწირე მცირე ესე და კნინი შესაწირავი, რამეთუ მეოხ და მფარველ გვექმენთ დღესა მას დიდსა განკითხვისასა, ქორონიკონსა: ტმ: ამინ“ (ექვთ. თაყაიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 184-185).

წელს ანუ მისი ეპისკოპოსობამდე ერთი წლით ადრე დამწვარა. მისი ზეობის თარიღად დაახლოებით 1648-49 წლები უნდა დავასახელოთ ვიდრე 1672/3 წლამდე.

შედარებით მეტი ცნობები გვაქვს კიდევ ერთ ცაიშელ ეპისკოპოსზე მაქსიმე ციხისთავზე, რომლის ვინაობას ვიგებთ ცაიშის სახარებიდან და გულანიდან[1], რომელიც

[1] „სახარება ქაღალდზე, ნუსხა ხუცურით, ორ სვეტათ,ოქროთი დაფერილი ნაჭედი ყდით, 23,5X19,5 სანტ. უნდა ეკუთვნოდეს ხელის, სურათების და ყდის მიხედვით მე-XVII საუკ. (ექვთ. თაყაიშვილი). წითელი მელნით სწერია: „ღ ო ადღეგრძელე ანიკა ბატონი ქორთოძის ასული“. შემდეგ უბრალო მელნით: „ჰეჰე შენ ყოვლად სანატრელო და ყოვლად სასურველო ქრისტიანეთა ზღუდეო და შესავედრებელო, ცათა უმაღლესო და ქერობინთა უწმინდესო და უზეშთაესო, ედემისა იადგარო და სამოთხისა შემამაკობელო, შენ შჯდ ცათა უმაღლეს დიდო პატიოსანო ცაიშისა ღ ის მშობელო, შემოგხეწივართ ჩუენ ცვა. ფარვათა შენთა (შ ა) დიდისა ქორთოძისა ბატონის როსტომის ასულმან:. მერმეთ აფხაზის ლაშქარი მოვიდა და თქუენი ტაძარს მოუხთა და ჩუენ დიდსა დაჭირებასა და შიშსა ქვეშე შევარდით და გავაგზავნე ჩემი მეთოფენი და მოვატაცებიე ორი დიდი აუყრელი ხატი და ორი კიდევ დიდი ხატი, ერთი მომცრო ხატი ჩემს ხეთს ციხეს საჯვარეშიდ დავისვენეთ და თქვენი ტაძარი აფხაზმა გატეხა და აოხრა და ჩუენ, თუ დაგცალებოდა, ჩუენის მამის ალაგზედ და თქვენის საფარველს ქვეშე, თქვენი მონასტრის სამსახურსა ვცდილობდით, მაგრამ ჩვენის ცოდვისათჳს საქმე ასრე მოგვიხდა და, დედოფალო ყ დ წ ო და ოთხნო მახარობელნო: მათე, მარკოზ, ლუკა და იოვანე, რამეთუ (რ) მეოხ მეყავ, რაჟამს განკითხვად დაჯდეს საყდართა განშჯად ადამიანთა ღ ი ყ თა დაბადებულთა. ორსავე ცხორებასა ღირს მყავ, ა ნ, ა ნ, ა ნ, ო “.

მერმე სხვა ხელით: „დიდებაჲ ღმერთსა სრულ მყოფელსა ყოვლისა კეთილისასა. ბატონი ანიკასათჳს საუკუნომცა არს კურთხევა და საჴსენებელი მისი! ღმერთო და ცაიშის ღ ის მშობელო, აცოცხლე და ადიდე ორთავე ცხორებათა შინა აქა დაუმეტეს საუკუნეთა ა ნ, ა ნ, ა ნ“.

წიგნის ბოლოს მინაწერია: ...„ესე წმიდაჲ და სულთა განმანათლებელი ოთხთავნი ცაიშისა ღ ის მშობლისა არის და მოვარჩინე მე დიდისა ქორთოძის ასულმან ბატონმან ანიკომან“.

ბოლოს სწერია ტექსტის ხელით: „დიდებაჲ ღმერთსა, სრულ მყოფელსა ყოვლისა კეთილისასა. დაიწერა წმიდა ესე ოთხთავი ბრძანებითა ჩაისელ მთავარეფისკოპოზისა მაქსიმესითა. საუკუნომცა არს კურთხევა და საჴსენებელი მისი. ღმერთო და ჩაისისა ღმრთის მშობელო, აცოცხლე და ადიდე ორთავე. შინა ცხორებათა აქა და უმეტეს საუკუნეთა და განუსვენე წიაღთა შინა აბრაჰამისათა მონისა და მადიდებელსა თქვენსა ჩაისელსა მაქსიმეს. ა ნ, ა ნ, ა ნ“.

ამას შემდეგ მერმენდელი მინაწერები ხუცურით: „აფაქიძესა ქაიხოსროს შეუნდოს ღმერთმან. მისსა მეუღლესა როდამს შეუნდეს ღმერთმან“. მხედრულათ: „ღმერთო ადღეგრძელე შარვაშიძის ქალი ასტანდარ, ამინ“

აშიაზე მიწებებულია ნახევები ფურცლისა სხვა ხელნაწერისა ხუცურით დაწერილი და ერთზედ იკითხება: „ღმერთმა და ცაიშისა ღ თის მშობელმან ჴელთ მიგვაყოფინა დიდისა ცაიშისა ღირსმან და უმანკომან მღდელთ მონაზონმან მაქსიმე, ჩვენო მცველო და მფარველო ცაიშისა ღ თის მშობელო შეიწყალე ორთავე შინა ცხოვრებათა კანდელაკი მაქსიმე ამინ... ღმერთო, მეოხ და მფარველ ექმენ მწერალს ზებედს“... და სხვ. (ექვთ. თაყაიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 187-188).

გულანი, დაშლილი და გაფუჭებული, ნუსხა ხუცურით, ორ სვეტად. ინ ფოლიო, დიდი ფორმატისა, დაზიანებული, 40X26 სანტ. მე-XVI-XVII საუკუნის ხელით. მოგვყავს ზოგიერთი მინაწერები, რომელთ გადმოწერა მოვასწარით (ექვთ. თაყაიშვილი):

„ღ ო, მოიხსენე სასუფეველსა შენსა ლიპარტიანის ქალი მანაჲ, ოდეს მოხვიდე სუფევითა შენითა, ა ნ“.

„ღ ო, მოიხსენე ახლად მიცვალებული ლიპარტიანის ქალი მანა სასუფეველსა შინა“ (მრავალ ადგილს არის გამეორებული ასეთი მინაწერი).

„ამისა უცებად მჩხრეკელსა გაბრიელ ნინიძესა შეუნდეს ღმერთმან“.

„ღ თო, შ ე სული მათეოზ (მ თეოზ) წინამძღურისა, უცებად ამის მჩხრეკელისაჲ ა ნ“.

„აქა ჯარი შემოიყარა მეგრელებისა და შემაცილეს წყეულთა ჩემი ბრალი არ არის.

„ღ ო შ ე ფ დ ცოდვილი ი ე მონაზონი ოქროჲს მჭედელი ა ნ“.

„ღ ო და აღდგომაო ქრისტესო შ ე ფ დ ცოდვილი საწყალობელი ამისი მწერალი ი ე სჯმონისძე დიდსა მას დღ სა განკითხვისასა ა ნ“.

„ღ ო მოიჴსენე ლიპარტიანის ქალი მანაჲ“.

„აღიწერა წ ჲ ესე გულანი სახლსა (ს ხლსა) სისკირია პაატისასა ბრძანებითა ღ ისთა, გულსმოდგინებითა და ჴელის წყობითა ლიპარტიანის ქალის მანიასითაჲ და ამას წელსა მიიცვალა და ვინც მისთჳს შენდობა ჰყოთ, თქვენცა შეგინდოს ღ ნ. საუკუნომცა სახსენებელი და სუფევა მისი, ა ნ“.

„ამისსა უცბად გამკეთებელსა და მხრეკელსა... მეათცამეტესი კარის მწერალს გაბრიელ ნინიძესა, გურიელის მამიას კარის მწირველსაჲ, გამიკეთებია ეს გულანი დიდ გაჭივრებაში, ხიზნობასა და შლასა... და ყინელთა ზამთრისათა შეჭირვებულებითა და სიცხეთაჲ და ყოვლითა შეიწრებულობითაჲ ბრევლჯერ სიტკბოითა და [პატრონის] მრავალჯერ გულსმოწყალებით“ (აქ მოხსენებული გურიელი მამია უნდა იყოს ან მამია († 1534) ან მამია II († 1625). ძნელია გადაჭრით თქმა, რომელი მამია იგულისხმება აქ). .... (შენდობას ითხოვს).

„დაესრულა თებერვალი ს დ მისითა განგებითა. მადლო ამით ყ თა წმიდაჲთანო, ადიდე აქა და საუკუნოსა ბატონი ცაიშელ მიტროპოლიტი მაქსიმე ციხის. თავი და ეს გულანი დღე სიგრძე და სიამესა მისგან აკმარეთ და ჩვენთვისცა ს დ წყალობა აბოძებინეთ (აქ მოხსენებული მაქსიმე უნდა იყოს ის ცაიშის მიტროპოლიტი მაქსიმე, რომელიც იყო წინამოადგილე ცაიშის კათედრაზედ მალაქია გურიელისა. მალაქია ცაიშელად ეკურთხა 1605 წლს. მაქსიმე მოხსენებულია გურიის ერკეთის გულანის წარწერაში.

შემდეგ სხვა და სხვა ხელით:

„აღიწერა და შიმკო წ ჲ ესე გულანი გ ი ლიპარტიანის ძისა სარდლის ბატონის კაციასათა და ამას წელსა აკურთხეს დადიანათ და დაულოცეს რჴმალი ღ ნ დაუმტკიცო(ს) ლიპარტიანობაჲ სიგრძესა შინა დღეთასა, განამტკიცნეს და განაძლიეროს, ა ნ და კ სნ (აქ მოხსენებული კაცია არის გიორგი ლიპარტიანის ძე ჩიქოანის გვარისა. ის ეკურთხა დადიანად 1704 წელს. გადაიცვალა 1710 წ. მრავალმცა არიან ჟამნი და წელნი ცხოვრებისა მათისანი“ (ეს აქამდი წაუშლიათ) – (ექვთ. თაყაიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 189-190).

მერმენდელის მხედრულის ხელით:

1) ქ. იესო ქრისტე მეუფეო დიდებისაო, ადიდე

2) დიდისა ჴელმწიფისა მანუჩარის ძე, ჴელმწიფეთა ჴელმწიფე,

3) დადიანი ლეონ ყოვლისა საქართველოთა პატ[რონი]

4) და დედოფალთ დედოფალი პატრონი ნესტან დარეჯან

5) და მამკობნი ხატისა და ჯვარისა თქვენისა.. [ეკლესიისა]

6) მაშენებელნი, რომელმან მოინდომა გულანისა...

7) .. დაღმან აღმოღება და მოტანა. ძველთ ამისვე ყო[ფილიყო],

8) ზებედე ცრუმან გარდაიხვეწა ეს. გაიპარა. გულანი აქაურით

9) და ჯვარი ყველა მან ქართლით წასვენა და ჭელახლა... [ძლი]

10) ერმან ჭელმწიფემან ხატიც წამოასვენებინა და ეს [გულანიც მოატა]

11) ნინა და მორეზედ ახლავედ კიდევ შემოგწირეს და...

12) რს:. თქვენსავე: წმიდა: გიორგის სკურდისასა...

13) და სახსრად სულისა მათისა (ამ მინაწერში მოხსენებული ლევან დადიანი, მანუჩარის ძე, არის ლევან II დიდი († 1657), მეუღლე მისი ჭილაძის ასული ნესტან-დარეჯან († 1639)... (აქ განგებ გამოუშვით უმნიშვნელო სიტყვები).

1) ღმერთო და ამ გულანის მა

2) დლო, აცოცხლე და ადღეგრძელე ლიპარტიანი ბატონი ვა

3) მეყ: და ძმა მათი გიორგი სიგრძესა შინა ჟამთასა (გიორგი უნდა იყოს დადიანის ვამეყ მე-III ძმა) მე...

4) დღეთასა ამინ:. მე ცოდვილმან და უღირსმან მონასტრის

5) ა ამის წინამძღვარმან სვიმონ ჭილაძემან ჩ...

6) შიდ ჩვენ ვიშოვედ ეს გულანი და ჩვენვე და ...

7) ბატონის დადიანის ლეონის სადღეგრძელოდ და ლია...

8) ნებისთვის სადღეგრძელოდ მათვე საფლავსა [შევსწირეთ]

9) აწე რამანცა კაცმან... (წყევლა).

მერმენდელის ხელით:

„ადიდოს ღ ნ ორთავე ცხორებათა შინა დადიანი კაცია და მეუღლე მათი დედოფალი ანნა ძით და ასულით მათით, ა ნ“.

„მე ცაიშელ მიტროპოლიტმან გრიგოლ განვაახლებინე და შევაკრევინე წიგნი ესე გულანი ჩემისა საოხად“ (თ. ჟორდანიას აქ მინაწერი დაუმატებია: „..ვიძიე... გულანი დამპალი დიდისა ლევან დადიანისა უკნით უჭმარ და გაუკეთებელი; ჭელვყავ მე ცაიშელ მიტროპოლიტმან მაქსიმე ციხის თავმან... მრავალთა წიგნთაგან გავაკეთებინე... დედოფლის მარიამის ბრძანებითა... და დადიანის კაციასითა... გაკეთდა წ ა ესე გულანი“ (ქრონ. II, გვ. 356).

„ქრისტეს აქეთ ჩღპ:. ამა წელსა კეთილ მსახური და მართლმადიდებელი და ყ ისა მართლმადიდებელისა ეკლესიისა და ყ ისა სამღდელოსა დასისა უცხოდ მოწყალე და დიდად სახელოვანი დადიანი კაცია ამიერ სოფლით მიიცვალა დეკემბერს ვ“ (აქ მოხსენებული კაცია არის დადიანი კაცია მე-II, რომლის მეორე მეუღლე იყო ანნა, პაატა წულუკიძის ასული. დადიანი კაცია 6დეკემბერს 1788 წელს მიიცვალა).

„კვალად ამა წელსა ივლისის ათს დიდად საჭელოვანისა დადიანის კაციას ძემან დადიანმა გრიგოლ იმერეთის მეფეს დავითს შეება და დიდად სახელოვანად გაემარჯვა“ (ექვთიმე თაყაიშვილი, არხეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნანი, წიგნი მეორე, ტფილისი 1914, გვ. 187-193).

ყოფილა მიტროპოლიტი მაქსიმე ციხისთავი[1]. საყურადღებოა ის მომენტი, რომ 1700 წლის აფხაზეთის კათალიკოს გრიგოლ ლორთქიფანიძის, ხოლო შემდგომ „1712 წ. გარიგების წიგნში გრიგოლ კათოლიკოზისა ბიჭვინტის საბუთთაგან“ ვიგებთ, რომ „... კიდევ ჭითავა მღუდელი გ ი ციხისთავისშვილის ცაიშელს მაქსიმეს ყავდა, სამკვიდრო იყო მისი და მისგან ჩვენ ვიშოვნეთ მისის მამულითა, შვილიან ყმიანათ, მისის ყ ისფერიანად“[2].

მაქსიმე ციხისთავი ასევე მოხსენიებულია 1696-1742 წწ. გრიგოლ კათალიკოზის მიერ დადებულ წიგნში[3].

---

[1] თ. ჟორდანია, ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობაში წ. II (1213 წლიდამ 1700 წლამდე), თბ., 1897, გვ. 356).

[2] სარგის კაკაბაძე, დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, წ. I, ტფილისი, 1921, გვ. 90-104.

[3] „1696-1742 წ. გრიგოლ კათალიკოზის მიერ დადებული წიგნი: ქ. ოდიშს თავს მეჯეთს მუმუკა გეგენავა მისის ცოლშვილით, სახლკარით და ყოვლის ფერით მეხადილეა, სამი ლოდარიკი სანთელი. ქ მეორე მოსახლე უგლავა დათუნა მისის ცოლშვილითა და სახლკარითა, ხუთი ლოდარიკეი სანთელი, მერმე ბიჭია ჭითანავა და ორი მისი გერი მათის ცოლშვილითა და სახლკარითა და ხუთი ლოდარიკი სანთელი. მეოთხე კუპრაისშვილი ინალი და ბიბა (სიც) ხუთი ლოდარიკი. ქ. მეხუთე კიდევ კუპრაისშვილი მამაგული და კოჩია ხუთი ლოდარიკი სანთელი. ქ მეექვსე ჯღაბაია ნანია, ხუთი ლოდარიკი სანთელი. ეს ექვსი მოსახლე კაცი მათის ცოლშვილითა, სახლკარითა, სასაფლაოთა, ტყითა და წყლითა და ქუნიერი სასახლე თსის ტყითა და წყლითა და საყანითა ბატონის დადიანის ბეჟანისაგან გვიქრთამებია და ბიჭვინტისა ღთისმშობლისდა შეგვიწირავს. ქ. სენაკს გიორგი გურული ცოლშვილითა და ხუთი ლოდარიკი სანთელი. ქ. წძგას ლეხავა ჩოხოლეი და წიწაკოჩი მათის ცოლშვილით და სახლკარითა, ხუთი ლოდარიკი სანთელი. ქ. მეორე მოსახლე მამაგული მონია და ბარკლია განიშა, ხუთი ლოდარიკი სანთელი. ქ. მესამე თოსვებია (?) გელოზა მისის ცოლშვილით და ხუთი ლოდარიკი სანთელი. მეოთხე გაჭირვებული ხვარავა და ახალიკოჩი ჯაჯავა მათის ცოლშვილითა და ხუთი ლოდარიკი სანთელი. ქ. მეხუთე კიდევ ლეხავა ჭუჭუ და გიორგი მათის ცოლშვილითა და ხუთი ლოდარიკი სანთელი, ქ. მეექვსე მაშანუ სხვიტარია და მამაგული მათის ცოლშვილითა და ხუთი ლოდარიკი სანთელი. მეშვიდე ლიხურია მამაგული მისის ცოლშვილითა და ხუთი ლოდარიკი სანთელი. ქ. მერვე ქვაჩლაია გეგეშია (?) და თოლიკავა, ხუთი ლოდარიკი სანთელი. მეცხრე ფაცილი მელია გაბრიელ და მამაგული და ხუთი ლოდარიკი სანთელი. ქ. მეათე გარეუჩავა იესე მისის ცოლშვილითა და ხუთი ლოდარიკი სანთელი. ეს წყალიძგა უმალ კურთხეულს ნებსაძე კზს ცისთვის შვილის ცაიშლის მაქსიმესათვის მიეცა. მერმე ის ძირი კაცები ამოწყვეტილიყვნენ, ცაიშელს თავისი სამკვიდრო ყმები დაესახლებინა. მერმეთ ჩემს კზობაში თავათ ცაიშელი მოვიდა, მისი სიძე პეპუნა ფადა (სიც) და თავისი და ციხისთვის ქალი გუდია იერუსალიმს მივიდოდა, ისე მოვიდენ და ისიც სხვაც რომელიც თავისი სამკვიდრო ყმა ყვანდა, დავთრით ყველა ბიჭვინტისა ღთისმშობელს შესწირეს. ჩვენ უფროსი საკლავის მაგიერ სანთელი დავადევით. ბიჭვინტისა ღთისმშობელს შევსწირეთ.

ქ. ამას გარეთ თეკლათს ერთი მოსახლე კაცი ღვაკალაი გრიგოლა ზაალ მხეიძეს ნიშანში ამოვიღეთ და ბიჭვინტისა ღთისმშობელს შესწირე (სიც) მისის ცოლშვილითა, სახლკარითა (აქ სამი სიტყვა წაშლილია, ტყითა, წყლითა, სასაფლაოთა) და მისის ყოვლისფერითა და ხუთი ლოდარიკი სანთელი დავადევი. ქ. მეორე მოსახლე კაცი გოქაცირია კოშანისძისსეული კაცი იყო, ბიჭვინტისა ღფისმშობელს შევსწირე მისის ცოლშვილით და ხუთი ლოდარიკი სანთელი დავადევი სახარბედოს კაჯიბია ივვანელა მისი ცოლშვილით, სახლკარითა, ხუთი (უწინ ყოფილა, სამი) ლოდარიკი სანთელი, ქ. მეორე მოსახლე ეჯიბია ჭკოლოფუა და ბაძალია, ხუთი (უწინ ყოფილა: სამი) ლოდარიკი სანთელი. ქ. ხუცესი ხარიბედია მისის ცოლშვილითა, ხუთი (უწინ ყოფილა: სამი) ლოდარიკი სანთელი. ქ. კიდევ ნასხიდა შუღლაია მისის ცოლშვილითა, ხუთი (უწინ ყოფილა სამი) ლოდარიკი სანთელი. ქ. ბიას კოჩიორი სიჭინავა და მისი გლეხი

სავსებით მართებული მიგვაჩნია ის მოსაზრება, რომ მაქსიმე II (ციხისთავი) XVII საუკუნის დასასრულსა და XVIII საუკუნის დასაწყისის პიროვნებაა და მას უმოღვაწია არა მალაქია გურიელამდე, არამედ მოგვიანებით და ის დაახლოებით 1673-1700 წლებით უნდა დათარიღდეს[1].

შემდეგი ცაიშელი ეპისკოპოსი ჩანს არის სვიმონ ღოღობერიძე, რომელიც 1701 წლის დოკუმენტშია მოხსენიებული[2]. მის შესახებ სხვა ცნობები არ გვაქვს, თუმცა როგორც აღნიშნულია, ღოღობერიძეთა გვარის წარმომადგენლები, ხშირად გვევლინებიან საეკლესიო მოღვაწეებად (1714 წლიდან ევდემონ ღოღობერიძე, – ჭყონდიდელ მიტროპოლიტად, ხოლო 1750 წ. სილიბისტრო ღოღობერიძე „ხელმწიფის კარის მღვდლად და წმინდა მოწამეთის წინამძღვრად)[3].

გ. კალანდიას გამოკვლევით, შემდეგი ეპისკოპოსი იყო ქრისტეფორე, რომელიც მოიხსენიება ბაილეთის ეკლესიის გუჯრის მამტკიცებელთა შორის[4], ავტორი მის მოღვაწეობას 1765 წლით ათარიღებს[5].

შემდეგი ეპისკოპოსი სავარაუდოდ გახლავთ სოფრონ ცაიშელი, რომელიც 1766 წლის კაცია დადიანისადმი შეწირულობის წიგნშია მოხსენიებული[6]. გ. კალანდიასავე აზრით, ხსენებული ცაიშელი (სოფრონი) მოხსენიებულია ასევე 1771 წლის ანტონ ცაგარელის საირმის უდაბნოსადმი შეწირულობის წიგნში. მისივე აზრით, სოფრონი 1777 წლისათვის ცაგარელი ეპისკოპოსია[7], ხოლო ცაიშელად ის 1766-1771 წლები იყო[8].

როგორც 1777 წლის, კაცია II დადიანის (1745-1788) სიგელი მოგვითხრობს, რამოდენიმე წელიწადი ცაიშში ეპისკოპოსი არ მჯდარა და ეს ყოფილა მაშინ, როდესაც ჯერ კიდევ ცოცხალია და ცაგერის ეპისკოპოსად ხელდასმულია (შესაძლოა არა თავისი ნებით, არამედ პოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე) სოფრონ ღოღობერიძე; შემდგომში ცაიშში ეპისკოპოსად დაუსვამთ და ძველი საზღვრებიც აღუდგენიათ გრიგოლ ჩიქოვანისათვის[9]. ექვთ. თაყაიშვილის მიხედვით, ის ცაიშელად 1776 წელს

ამაცალა ცხადაია, ხუთი (უწინ ყოფილა: სამი) ლოღარიკი სანთელი. კიდევ ბიას ჯვებე ბიგავა და მისი ძმისწული მათის ცოლშვილითა, ხუთი ლოღარიკი სანთელი, ხობს ხუტუ კოდუა და გელა მათის ცოლშვილითა, ხუთი ლოღარიკი სანთელი. ქ. კიდევ ხობსა მამაგული ბაბადიში და ბიძა მისი, ხუთი [ლოღარიკი სანთელი]. ქ. კიდევ [გეგი]ბერია ჭუჭუ, ახალიკოჩი და ... (მეტი არაა) (ს. კაკაბაძე, დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, წ. I, ტფილისი, 1921, გვ. 154-156).

[1] გ. კალანდია, დასახ. ნაშრომი, გვ. 45-46.
[2] ექვთ. თაყაიშვილი, საქართველოს სიძველენი. ტ. I, ტფ., 1920, გვ. 45-46.
[3] გ. კალანდია, დასახ. ნაშრომი, გვ. 46-47.
[4] იხ. დ. ბაქრაძე, არქეოლოგიური მოგზაურობიდან გურია-აჭარაში, თბ., 1987, გვ. 258.
[5] გ. კალანდია, დასახ. ნაშრომი, გვ. 47.
[6] ს. კაკაბაძე, დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, ტ. I, თბ., 1921, გვ. 32.
[7] გ. კალანდია, დასახ. ნაშრომი, გვ. 47.
[8] გ. კალანდია, დასახ. ნაშრომი, გვ. 48.
[9] „...მპყრობელმან ოდიშ აფხაზთა, სვანთა, თაკვერთა და პონტოს ზღვისამან, ძემან დიდად სახელოვანისა ხელმწიფისა დადიანისა ოტიასამან, თვით დადიანმან მონამან შენმან კაციამ და თანამეცხედრემან ჩემმან დედუფალმან პატრონმან ანნამ და ძემან ჩვენმან პირმშომან გრიგოლ და სხვათა ძეთა ჩვენთა – მანუჩარ, გიორგიმ, ლევან და ოტიამ მცირედ ძღვნად მიგიპყრათ შენ შერხილად და ასულად მიმდებელსა შენდამი შემწირველთასა ესრეთ, რომელ ეკლესია შენი (ცაიშის ღმრთისმშობელო) და მამულიცა ყოველივე ჟამშია რომელდთამ საეროდ ქმნილ იყო და ეკლესია შენი ქვრივად ეგდო და განსაკუთრებული შენი ადგილიცა და შვილნი შენისა ეკლესიისანი მიმოდაბნეული იყვნენ. არცა იყო ეკლესიისა შინი შენსა გამგე ეპისკოპოსი უფროსად სამკვიდროდ, საერთოდ ქმნილიყო. ამისთვის მრავლის ჟამთაგან მწუხარება არა

დამჯდარა, რაზეც თურმე საფლავის ქვის ეს წარწერა მიუთითებდა: „ცაიშელ მიტროპოლიტი გრიგოლ ჩიქოვანი დამარხულია ცაისში და საფლავის წარწერა უჩვენებს, რომ ის გარდაიცვალა 15 ნოემბერს 1823 წელს. ცაიშელად ყოფილა 47 წელი. მაშასადამე დამჯდარა ცაიშლად 1777 წელს. მისივე თქმით, „გრიგოლის (გრიგოლ დადიანი 1788-1804 – დ. ჭ.) დროს, შეუკეთებიათ და შეუმკიათ სამი დიდი ხატი ცაიშის ეკლესიისა, და ის გრძელი წარწერებიც, რომელნიც იხსენიებენ მალაქია გურიელის მუშაობას და ღვაწლს ცაიშის მონასტრის შესახებ, გადაწერილნი უნდა იყვნენ 1811 წელს გრიგოლ ჩიქოანის თაოსნობით, ხოლო შემსრულებელი ამ წარწერებისა უნდა იყოს პეპუ მეუნარგია. შეიძლება ამ დროს იყოს განახლებული ის ჯვარი და წარწერები, რომელნიც იხსენიებენ ბაგრატ მეფეს და ეფრემ ცაიშელს“[1].

გრიგოლ ჩიქოვანი მოხსენებულია 1777 წლის ცაიშის ღვთისმშობლის ხატის წარწერაში[2], საიდანაც ჩანს, რომ მას ლევან V დადიანის დახმარებით აღუდგენია

მცირედი მიპყრობდა. გარნა ოდესცა მოწყალებითა ძისა შენისათა, უმატეს წარმატება ცხოვრება ჩემი, მაშინ შეწევნითა გამოვიხსენ ეკლესია შენი და ყმანიცა ეკლესიისა შენისანი მრავლის ჭირითა და ღვაწლის დადებითი დე შენადვე შევსწირე მინდობილმან არა განუნახველად და არცა მძლავრობით, არამედ ჭეშმარიტისა მჯავრის დადებითა და სამართლითა გემოვიძიე და რაცა ვპოვე საზღვარ დებულება მისი, თვისის საზღვრითა ყმანიცა ეკლესიისა, შენისანი განგისაკუთრეთ და ადგილიცა საზღურითი საზღუარამდე თვისიო მიწით, წყლით საყანით, სავენახით, სათევზით, სანადიროთი რომელიცა გამოვიძიეთ, მაშინ განგისაკუთრეთ და რომელიცა მაშინ ვერ ვპოვეთ ჟამდრო ცვლილებისაგან შემდგომად ძეთა ტახტისა ჩვენისა მპყრობელთა ვარწმუნეთ ზრუნვად და გამოძიებადა ვინაითგან იგინიცა მფარველობასა შენსა შეევევედრე, დედა სიტყვისა ღმრთისაო. და ესენი რა ესრეთ გამოვიძიე, მაშინ ძიება ვყავ გონებისა ხედვითა და თანა შეთქმულებითა ყოვლად სამღუდელოთა მიტროპოლიტთათა გამოვაჩინე კაცი სათნო, და სატრფო გონებისა, ტომით ჩიქოვანი, ყოვლად სამღვდელო მიტროპოლიტი, ხედვითა და საქმითთა სათნოებათა შორის წარჩინებული, ღირსი ქებისა მიტროპოლიტი გრიგოლ და დავადგინეთ განმგედ. ეკლესსიანი საკუთარნი ყმანიცა და ადგილნი შენნი ყოველინვე და სამწყსოცა შენისა ეკლესიისა, ხობის წყალის გაღმართი და ესრეთ განვათავისუფლეთ შენი ეკლესიისა. ხობის წყალის გაღმართი და ესრეთ განვათავისუფლეთ შენი ეკლესია, რომელ ლაშქრობისა მეტი სხვა ჩვენი სამსახური, არც საური, არც სხვა გადასახადი რამე. არც მუშაობა, არც ცხენის ჩაბმა არაფერი ეთხოვებოდეს რა. და ამ საქმეების დავთარიცა შენს ეკლესიაში დავსდევით და მხოლოდ ეკლესიის სამსახური ვარწმუნეთ. და ესეოდენი თავისუფლება ამისათვის დაუწერეთ შენის ეკლესიის ყმას ყოველსავე, რომლისა ჯერმჩინებული და მოწამე არს უსანატრელესი კათალიკოსი მაქსიმე და ფრიად საწყური გონებისა ჩემისა და ტრფიალი სიბრძისა მოყვარებისა ფრიად ბრძენი ერთ სახელითა თვისისა, ფრიად სასო გონებისა ჩემისა ყოვლად სამღუდელო ცაგერელი მიტროპოლიტი სოფრონ; ძენი სახლისა ჩემისანი, საყვარელნი და საწყურნი. ძმანი ჩემნი ნიკოლაოს და გიორგი, სულიერი მამა და მოღძვარი ჩემი ამხიმანდრიტი გერმანე, მოურავი გელოვანი ქაიხოსრო, სახლთუხუცესი ჩიქოანი გიორგი და ყოველნი დიდებულნი სამფლობელისა შინა ჩემსა მკვიდრობისა მომგებელნი. აღიწერა ხელითა ჭყონდიდის არხიდიაკონისა იოსელიანისითა. ქრისტეს აქეთ ჩღოზ“.

აქ დასმული ყოფილა ბეჭედი კაცია დადიანისა და ანნა დედოფლისა (ს. კაკაბაძე, დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, ტ. II, თბ., 1922, გვ. 176-177).

[1] ექვთ. თაყაიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 181.

[2] „1) ყოველივე საიდუმლო შენი, ქალწულო, ზესთა გონებისა არს და ზესთა სიტყვისა, რომლისათვის ყოველთა მა(ა)რსი იტყვის: „ცანი საყდარნი ჩემნი, და ქვეყანა კვარცხლბეკი ფერხთა ჩემთა. ვითარი სახლი ვიშენო? სთქვა უფალმან“. ეჰა, ქალწულო,

2) ზესთა სიტყვისა და გონებისა ესევითარმან მეუფემან აღგაშენა სახლი წმინდა და უბიწო და განგიკუთნა შენ დედად თვისად, და გყო შუამდგომელ შორის ღთისა(სიც) და კაცთა, რომელიცა იღწვი მარადის პატივისმცემელთა შენთა წინა-

3) შე ძისა შენისა. შენ უხორცოთა საქებელო და მორწმუნეთა სამკაულო, ცოდვილთადმი უხვებით წყაროო, ცაიშის ღმრთისმშობელო, დედოფალო მარიამ, დედაო ევმანუილისაო, ჩემებრ ცოდვილთა სასოებაო, მე უღი(რ)სმან მნემან საყდარი-

4) სა შენისამან, ცაიშელ მიტროპოლიტმან გრიგოლ ჩიქოანმან, მცირესა ღვაწლდებულებასა გიძღ-

5) ვნი წინაშე შენსა, და წარვსწერ: არა-თუ რაჲმე კეთილი და დაფარულ იქმნას წინაშე შენსა და წარწყმდეს, არამედ

6) ადგილსა ჩემისა მიმღებელნი ჩემდამო ლოცვასა წარსთქმიდენ და აღმომკითხველნი წინაშე ძისა შენისადმი

7) ვედრებასა ჰყოფ(დ)ენ, ჩემ უღირსთათვის. პირველიდამ გვაცნებებს ძველნი წერილობანი, რომელ სა-

8) ყდარი ესე დაქცეულა ქმნილა საშინელისა ძვრისაგან, და კვალად აღეშენათ მართ-მორწმუნეთა კაცთა. გა-

9) რნა ქვეყანასა მიმორყეულების გამო მისცემია ხელთა ერის კაცთასა, რომელიცა მრავლისა ჟამიდგა-

10) ნ იყო საერისკაცოთ ესე შენი. გარნა ოდეს მპყრობელ იქმნა შენმიერითა მოვლენათა და-

11) ხსნად ტაძრისა ამისა შენისათვის ღვთის მოყვარე დიდი მთავარი კაცია დადიანი, კაცმან ამან,

12) მოყვარემან მსახურებასა შენისამან. დასდვა მრავალი ღვაწლი და აღმოიგო საყდარი ესე ხელთაგან

13) ერის კაცთასა და კვალად განაახლა საეპარხიოდ, რომელსა ზედა დაადგინა უღირსება ჩემი, წელს ჩღოზ (ეს თარიღი დედანში ფრჩხილებშია ჩასმული).

14) გარნა ოდეს დავიდგინე მე, ყოვლითურთ დამხთა ეკლესია ესე გაოხრებულ, რომელ კნინდა დარღ-

15) ვეულ იყო ეკლესია ესე, და დამრტვეულ(სიც) და განრყვნილ იყო ხატნი წმინდანი სახისა შენისანი და ძისა

16) შენისა იესოსანი. მაშინ ძალმან უსაღმრთოესმან განამხნო უღი(რ)სება ჩემი, და შემწეობითა შენ

17) მიერ შე(ყ)ვარებულისა პირველ ხსენებულისა კაცია დადიანისათა, რომლისაცა ვსასოებ ესევითა-

18) რისა კეთილობისათვის, თვალმან უშრომელმან და მარჯვენამ ძისა შენისამან განუსვენოს სა-

19) ვანესა მართალთასა. ხოლო საყდარი ესე შენი შეძლებისაებრ განვათავისუფლე დარღვევისაგან, და

20) შემოვა(ვ)ლე ირგვლივ გალავანი, და განვაახლე ყოველ(ნ)ი დაძველებულნი შენებულებანი. შევა-

21) მკევ ყოვლითა სახმარებელითა ეკლესიურითა, მოყვითლულის სირმის ბარძიმ-ფეშხუმითა,

22) კამარითა და კოვზითა, დაფარნებითა, ყოვლის საეკლესიოს წიგნებითა: ხოლო ხატები სიძველი-

ცაიშის ეკლესია, შემოუვლია მისთვის გალავანი და ყველა „დაძველებულნი“ შენობები აღუდგენია, ასევე ეკლესიისათვის განუახლებია უამრავი ბარძიმ-ფეშრუმი, ხატები და სხვა საეკლესიო ნივთები წიგნების ჩათვლით.

გრიგოლ კათალიკოსი კიდევ რამოდენიმე დოკუმენტშია მოხსენიებული. ის როგორც ჩანს ერთ-ერთი ღირსეული და უდიდესი მოღვაწე გახლდათ, მას იხსენიებენ როგორც „კაც ღირს სახსოვარს“[1].

გრიგოლ ჩიქოვანის ცაიშელად ზეობის პერიოდის დოკუმენტში ჩანს ის საზღვრები და ყმა-მამულები, რომლებიც ცაიშელს უბოძა კაცია II დადიანმა[2].

---

23) საგან განრყვნილი განვაახლე, მოვაყვითლინე თვა(ლ)-მარგალიტითა და ოქროს გვირგვინები-

24) თა, შევამკევ ხატი წმინდისა სახისა შენისა და ძისა შენისა ქრისტეს მაცხოვარისა. ეჰა მცირე

25) ღვაწლი ჩემი, ქალწულო წმიდაო მარიამ, რომელიცა შენ მიერ შვაკედელი მტერობისა დაიხსნა,

26) შენ მიერ ევას ცრემლი აღიხოცა, და შენ მიერ ადამ დაცემული აღემართა, და ეშმაკი დაითგუნა.

27) ქალწულო წმინდაო, ღმერთ-კაცისა დედაო მარიამ, მიიღე მცირე წვლილი ძღვენი ესე, და მი-

28) ართ ძესა შენსა, რათა მეოხებითა შენითა მიითვალოს ესე, ვითარცა მიითვალა მწვლილი ქვრი-

29) ვისა, და მრქვას მე ძემან შენმან დღესა მას განკითხვისასა სანატრელ იგი ხმა: „მოვედ, კურთხეულო

30) მამისა ჩემისავო, და დაიმკვიდრე სასუფეველი“, და აღმრაცხოს ცხოვართა მარჯვენეთასა. განახლ-

31) ებულ იქმნა ხატნი ესენი მპყრობელობასა მისი მაღალუგანათლებულესის დიდისა

32) მთავარისა და რუსეთის საიმპერატოროს ტახტისა ღენერალ-მაიორი, და სხვათა და სხვათა კავალერთა

33) და ორდენთა მქონისა ლევონ გრიგოლისძისა დადიანობასა, შვილის შვილისა სახელოვანისა დად-

34) იანისა კაციასასა, წელსა ჩყჟ̃, ოკტონბრის ჟ̃

35) იუწყეთ: მრავალთ წმიდაო ნაწილები ვნახეთ ზურგით კერძო დამყარებული, და როგორც იყო ი-“ (ექვთიმე თაყაიშვილი, არხეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნანი, წიგნი მეორე, ტფილისი 1914, გვ. 171-174).

[1] ს. კაკაბაძე, წერილები და მასალები საქართველოს ისტორიისათვის, წ. I, თბ., 1914, გვ. 83.
[2] „განჩინება ცაიშის ეკლესიის ყმა-მამულის საქმეზე

1777-1788 წწ.

თ. ჟორდანიას ცნობით, ბროსეს მოჰყავს ძველი ზუგდიდის ეკლესიაში დაცული ბარძიმის წარწერა: „წმინდაო გიორგი ზუგდიდისაო, წარსარგებელითა შენითა გავაჭედინე ბარძიმი ესე, ცაიშელ მიტროპოლიტი გრიგოლ-მა, წელსა ჩყკუ“. (1821)“[1].

როგორც ექვთიმე თაყაიშვილი აღნიშნავს, ბროსეს უნახავს აქ ორი ვერცხლის კანდელი, რომელზედაც მხედრული წარწერა ყოფილა: „ცაიშისა ღვთის-მშობელო, მცირესა ამას ძღვენსა გიძღვნი სულისა ჩემისა საოხად და განსაძლიერებელად ყოვლად მოწყალისა ჭელმწიფისა იმპერატორისა ალექსანდრესთვის, ვინაითგან მისგან ჩემზედ

---

[9] ქ. ჩემი ბრძანება ეს არის: ყოვლად სამღუდელო **ცაიშელ** მიტროპოლიტი **გრიგოლ** მისის ეკლესიის ალაგ-მამულის კაცის გამოკვლევას რომ შეგვეხვეწა, დავთარი არ ქონდა და რომელიც იქა-აქ გამოვიკვლიეთ, ასე განვაწესეთ.

ჭვიდირი საყანე იდავეს **ჯუმს** გაღმა და გამოღმა. ჯუმს გაღმართი ცაიშის ეკლესიას ჩვენ ჩვენის გამოძიებით დავანებეთ. და რომელიც მისის ეკლესიის სიახლოვეს ჭვედირის თავი იყო გამოღმა, ისიც საზღვარი დავსდევით და ისე დავანებეთ. ამაების ყველასი მოაშორე იყვნენ **კაბახიძენი,** მაგრამ ჩვენ ასე ვინებეთ და ასე გავარიგეთ.

ქ. სხვა გამოღმა, ჭვედირი რომელიც დარჩა, წამოდგეს ექვსმა კაცმა თავმა კობაძიძემ და ასე დაიფიცოს: „ეს ჭვედირი არასდროს არას მებატონისგან ცაიშის ეკლესიას არ შესწიროდესა. თუ ასე იფიცოს კობახიძენმა კარგი, თორემ ჭვედირი ეკლესიას დარჩეს.

ქ. სხვა **გაბულაიების** ნამოსახლი რომ ბრძანა ცაიშელმან, ის მოურავის კაცი ყოფილა და მოურავი არ ემოწმა და ვერ იდავეს. და რომელიც მამული დედოფალმან უბოძა ცაიშელს, ის ცაიშელს ქონდეს, სხვაში არ ქონებია.

ქ. ნასაჯოგუ რომ იდ[ე]ვა ცაიშელმან, რომელიც **ჯოღორია კობახიძემ** იტეხე, სახატო ყოფილა და მისია, და რომელიც არ იტეხა ნასაჯოგუში, წამოდგეს თვითან ჯოღორია და ორი მისი ტოლი კაცი თან [ვ] ჩაიტანოს და სამმა ასე დაიფიცოს: „ნასაჯოგუ რაც სადადიანო არ არის, საეკლესიო არ ყოფილიყოს და არც ცაიშის ეკლესიის შეწირულობის ყოფილიყოს“. თუ ასე უფიცოს. ცაიშელი რა ემართლება? თუ ვერ უფიცოს, ცაიშის ეკლესიის ყოფილა და ეკლესიას ქონდეს ნასაჯოგუ.

ქ. აფაქიძე რომ სახლობს, ის ალაგ-მამული რომ იდევა ცაიშელმა – „კაცი ჩემია და ალაგ-მამული ეკლესიის არის“. და აფაქიძის ალაგ-მამული ეკლესიას ქონდეს. მიწისა ად ალაგ-მამულის საქმე ასე გაგვირიგებია.

ქ. ჩემი მეკამბეჩე რომ იდევა ცაიშელმან, განაყოფები სჩანს და სამართლით ეკლესიას დავარჩინეთ. და ის ძველთაგან მეკამბეჩე ბოფ[ილ]ა, ვერ მივსცემთ. და [რაც] ერთი კაცის სული არის, იმდენი კაცი სული ამ მეკამბეჩის მაგიერი ჩვენგან მიერთვას ცაიშის ეკლესიას.

ქ. არზაყანის შვილის **გიორგი კობახიძის** ფიცი რომ იდევა ცაიშელმა თავის ეკლესიისათვის, მართალია, მისი ყოფილა, მაგრამ მამა-პაპა მისს უსჯულოსაგან დახსნილი ყოლია კობაძიხეს. მისი მოურავი **მაციციაც** ემოწმა. და ჩვენ ასე გაგვირიგებია: ეკლესიას როგორც მსახურებოდეს, ისე ემსახუროს და კაცი კობა[10]ხიძეს ყავდეს, ამისთვის რომ უსჯულოსაგან დახსნილი ყოფილა ძველთაგან.

ქ. ქორთაძის კაცი რომ იდევა ცაიშელმა, აფხაზეთს დაკარგულია ის კაცი; დადიანმან და ცაიშელმა ამოიბვანოს და, რომელსაც სიმართლით დარჩეს. მა ყავდეს.

დადიანი კაცია“ (ქართული სამართლის ძეგლები, ტ. V, ტექსტი გამოსცა და შენიშვნები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, თბ., 1974, გვ. 444-445).

[1] ქრონიკები, III, თბ., 1967 წ., გვ. 512.

მოწყალება მოვლინდა. სხვათა მსახურებათა თანა ამასაც გიძღვნი. წელსა ჩყივ. ცაიშელ მიტროპოლიტი გრიგოლ“[1].

როგორც ზემოთაც აღინიშნა, გრიგოლ ჩიქოვანი გარდაიცვალა 1823 წელს, თუმცა საეპისკოპოსოს გაუქმების თარიღად 1813 წელია მიჩნეული. ამის შესახებ საინტერესო ცნობას გვაწვდის 1886 წლის გაზეთი „ივერია“, სადაც ცაიშის საეპისკოპოსოს გაუქმების თარიღად 1823 წელია დასახელებული[2]. ცაისში სკოლის გახსნის ფაქტს ეხმაურება ასევე გაზეთი „მწყემსი“, ხოლო გაზეთი „ცნობის ფურცელი“ გვამცნობს ღვთისმშობლის დღეობა-ზე, რომელიც იმართებოდა ცაიშის ეკლესიასთან, 8 სექტემბერს[4].

ცაიშელ ეპისკოპოსთა ქრონოლოგიური რიგი (დ. ჭითანავა)

1. ეფრემი – X-XI საუკუნეთა მიჯნა.
2. ბასილი – XIII ს-ის მეორე ნახევარი 50-იანი 60-იანი წლები,
3. დანიელი – დემეტრე II-ის ზეობის წლები (1271-1289).
4. ბართლომე ცაიშელი – XV საუკუნის პირველი ნახევარი.
5. იოაკიმე – ? – 1470/74 წლებამდე.
6. იოანე ფოლაგისძე – XVI ს-ის 40-იანი წლები.
7. კირილე ჟუანიძე – XVI ს-ის მეორე ნახევარი 1572-1580/2.
8. დავითი – 1580?-1590.

---

[1] ექვთიმე თაყაიშვილი, არხეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნანი, წიგნი მეორე, ტფილისი 1914, გვ. 181.

[2] გაზ. ივერია, 1886, №66, დაბა და სოფელი (მიწერილი ამბავი) სოფელი ცაისი. (სამეგრელო) 15 მარტს, სოფელი ცაისში ძველის ძველად ოდიშის მეორე თვალი იყო თურმე. აქედგან ვრცელდებოდა სამურზაყანოსა და ნახევარ ოდიშში ქრისტეს სარწმუნოება. აქ არსებობდა ძველ დროიდამ კათედრა მიტროპოლიტისა. მღვდელმთავარს უწოდებდნენ ცაიშვილს, რომელიც გავლენით არ ჩამოუვარდებოდა თურმე ჭყონდიდელს. 1823-ს წელს, გაუქმებულ იქმნა აქ კათედრა და მხოლოდ დიდი გუმბათიანი საკრებულო ტაძარი-დაა დარჩენილი. გაუქმდა კათედრასთან ერთად სასულიერო სწავლა-მოძღვრებაც. როცა სხვა-და-სხვა სოფლებში აარსებდნენ სკოლებს და ავრცელებდნენ სწავლა განათლებას, ცაიშლები ოხვრით იგონებდნენ ძველ დროებას.

წელს ცაისშიაც გვეღირსა სკოლა. ცაიშში შეუერთდა თავად-აზნაურობა გლეხობას და ერთად იყიდეს 1,500 მანეთად ქვის ყაზარმა, რომელიც იყო აშენებული 20,000 მანეთად, რუსის ჯარისთვის. იქირავეს მასწავლებლად საოსტატო სემინარიაში კურს დასრულებული ყმაწვილი კაცი და ამ სკოლაში სწავლობს ეხლა 170-მდე ყმაწვილი. ამ ყმაწვილების სიმრავლიდამ ჩანს, რა წყურვილი ჰქონიათ ციაშლებს სწავლა-განათლებისა. ამ კეთილ საქმის მეთაური დეკანოზი. მ. ძ-ია ღირსია გულითადის მადლობისა. სკოლის დაარსების დღეს დიდად გაიხარა ამ კეთილმა კაცმა და დიდ-ძალ სტუმრებთან ერთად იდღესასწაულა სკოლის დაარსება. მოწვეულთ შორის იყვნენ პრინცი მიურატი და მისი მეუღლე პრინცესსა სამლომე დავითის ასული (ერჩქინდია).

9. მაქსიმე I – XVI საუკუნის დასასრული, XVII დასაწყისი.
10. მალაქია გურიელი – 1605/12-1639 (ცაიშელ-ჯუმათელ-ხონელი).
11. ანდრია – 1639 და 40-იანი წლები.
12. დავით ჯოლია – 1648/49-1672.
13. მაქსიმე II, ციხისთავი – 1673-1700 (მიტროპოლიტი).
14. სვიმონ ღოღობერიძე – 1700/1 – ?
15. ქრისტეფორე – 1756/58-1765.
16. სოფრონ ღოღაბერიძე – 1766-1771 (მიტროპოლიტი).
    უეპისკოპოსობის ხანა – 1771-1776.
17. გრიგოლ ჩიქოვანი – 1777-1723.

ცაიშელ ეპისკოპოსთა ქრონოლოგიური რიგი გ. კალანდიას მიხედვით:

1. ეფრემი – XI ს.
2. ბასილი – XIII-XIV სს.
3. ბართლომე – 1412-1442 წწ.
4. დანიელი – XV ს-ის 40-50-იანი წწ. (მთავარეპისკოპოსი)
5. იოაკიმე – XV ს-ის 50-70-იანი წწ. (მთავარეპისკოპოსი, აფხაზეთის კათალიკოსი)
6. იოაკიმე ფოლაგისძე – XV-XVI სს.
7. დავითი – 1580-.....1590 წწ.
8. კირილე ჟუანიძე – XVI ს-ის 1590-იანი წწ.
9. მაქსიმე I – 1590-იანი 1605 წ.
10 მალაქია გურიელი – 1605-1639 წწ. (ცაიშელ-ჯუმათელ-ხონელი, აფხაზეთის კათალიკოსი).
11. ანდრია – XVII ს-ის 40-იანი წწ.
12. დავით ჯოლია – 1652-?
13. მაქსიმე II ციხისთავიშვილი (ციხისთავი) – 1673-1700 წწ. (მიტროპოლიტი)
14. სვიმონ ღოღაბერიძე – 1701-?
15. ქრისტეფორე – 1756-1665 წწ.
16. სოფრონ ღოღობერიძე – 1766-1771 წწ. (მიტროპოლიტი)

უეპისკოპოსობის ხანა

17. გრიგოლ ჩიქოვანი – 1777-1813 (მიტროპოლიტი)[1].

ცაიშელ ეპისკოპოსთა და წინამძღვარ ქრონოლოგიური რიგი დეკანოზ ამირან შენგელიას მიხედვით:

ეფრემი – XI ს.

ბასილი XIII ს-ის II ნახევარი.

უცნობი ეპისკოპოსო XIV ს.

ბართლომე – 1428-1430 წწ.

უცნობი მთავარეპისკოპოსი XV ს.

დანიელი ... 1445-1452 წწ.

იოაკიმე ... 1470-1474 წწ.

უცნობი ეპისკოპოსი 1503 წ...

იოანე ფოლაგის ძე XVI ს.

უცნობი ეპისკოპოსი XVI ს-ის შუა ხანები.

კირილე ჟუანიძე XVI ს-ის II ნახევარი.

დავითი... 1590 წ...

მაქსიმე XVI ს-ის ბოლო XVII ს-ის დასაწყისი.

მალაქია გურიელი 1605-1629 წწ...

ანდრია ... 1638-1640 წწ.

დავითი ჯოლია ... 1652 წ. ...

მაქსიმე ციხისთავი XVII-XVIII სს-ის მიჯნა.

სვიმონ ღოღაბერიძე ... 1701 წ...

სოფრონი (სოფრომი) ღოღაბერიძე ... 1766-1771 წწ...

გრიგოლ ჩიქოვანი – 1777-1823 წწ

[1] გ. კალანდია, დასახ. ნაშრომი, გვ. 51-52.

ჭყონდიდელი მთავარეპისკოპოსი გიორგი (შალამბერიძე) 1989-1995 წწ.

ცხუმ-აფხაზეთისა და ზუგდიდისა და ცაიშის მთავარეპისკოპოსი დანიელი (დათუაშვილი) 1995-1998 წწ.

ზუგდიდისა და ცაიშის ეპისკოპოსო გერასიმე (შარაშენიძე) 1998 წ.

ცაიშის მონასტრის წინამძღვარნი და ცაიშის ოლქის (ბლაღოჩინები) მთავარხუცესები:

არქიმანდრიტი იოანე (ჩიქოვანი) ... 1823-1824 წწ...

არქიმანდრიტი ზაქარია (დგებუაძე) ... 1853 წ.

მღვდელ-მონაზონი მაქსიმე 1854-1855 წწ.

იღუმენი ამვროსი 1855-1860 წწ.

იღუმენი მაქსიმე 1861-1868 წწ.

იღუმენი სვიმონი 1871-1881 წწ.

არქიმანდრიტი სვიმონი (აფაქიძე)...1895 წ.

იოანე (ჩიქოვანი) 1823-1824 წწ.

მთავარხუცესი (ბლაღოჩინი) დეკანოზი მიხეილი (მეუნარგია) 1855-1903 წწ.

(მთავარხუცესის თანაშემწე 1851-1855 წწ.)

მთავარხუცესი (ბლაღოჩინი) ბესარიონი (თოდუა) 1908-1917 წწ.

ცაიშის ოლქის საძმო საბჭოს თავმჯდომარე მღვდელი ტერენტი (ქარჩავა) 1918 წ...

მთავარხუცესი მღვდელი მიტროფანე (კვარაცხელია) ... 1921-1922 წწ.

მთავარხუცესი დეკანოზი ბესარიონი (მაქაცარია) 1925-1930 წწ.

მთავარხუცესი დეკანოზი ამირანი (შენგელია) 1989 წ.[1]

საეკლესიო უწყებას 1899 წლის მონაცემების მიხედვით ცაიშის ოლქის მთავარხუცესის ზედამხედველობაში მყოფ ტაძრებში მსახურ სასულიერო პირთა შესახებ:

[1] ცაიშის საკათედრო ტაძარი, ზუგდიდი-ცაიში, 2001, რედ. დეკანოზი ამირანი (შენგელია), გვ. 42-43.

1. ცაიშის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის მიძინების ტაძარი.

I. მთავარხუცესი დეკანოზი მიხეილ პეპუს ძე მეუნარგია.

II. მღვდელი ზოსიმე გაბრიელის ძე მაქაცარია.

I. მედავითნე სოლომონ გვასალია.

II მედავითნე ბესარიონ ზოსიმეს ძე მაქაცარია.

მამასახლისი სოფრომ ჯონდოს ძე შამუგია.

ამ ეკლესიაზედ მიწერილია ეწერის მთავარანგელოზის ეკლესია და დავით აღმაშენებლის ეკლესია დავითიანი (35 ვერსზე)[1].

1908 წლის მონაცემებით:

1. ცაიშის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების ტაძარი.

მთავარხუცესი მღვდელი ბესარიონ თოდუა.

მღვდელი ზოსიმე მაქაცარია.

დიაკონი ბესარიონ მაქაცარია.

მედავითნე ბიქტორ ფუტკარაძე.

მამასახლისი აფხაზავა[2].

მნიშვნელოვანი დოკუმენტია განჩინება ცაიშელისა კობახიძეთა სასისხლო საქმეზე[3].

---

[1] ცაიშის საკათედრო ტაძარი, დასახ. ნაშრომი, გვ. 55.
[2] ცაიშის საკათედრო ტაძარი, დასახ. ნაშრომი, გვ. 58.
[3] „განჩინება ცაიშელისა კობახიძეთა სასიცოცხლო საქმეზე (XVIII საუკუნის II ნახევარი)

„ქ. დავსხედით ბრჭენი და მოსამართლენი და ყოვლად სამღვდელო ცაიშელი და კობახიძეთა გავაბჭვეთ.

ცაიშელმა უჩივლა: რადგან ამ ქვეყნის მწემსი ვარ, ჩემგან რიგია, რაც რომ უსჯულოება და უმართებულო საქმე იქნება, უნდა მოვიკითხო. ერთი ღმერთის მტერი მემრავლე სოფელში და დაიარებოდა და ეშმაკს ლაპარაკობდა და ყოველს კაცს ეშმაკისაკენ მიაქცევდა. დიდი ხნით ვცლილობდი რომ დამეჭირა, მაგრამ ერთი დღემდის ვერ მოვახელე, შევიტყვე, რომ ჩემის

საინტერესოა ცაიშის ეკლესიაში შენახული სიწმინდეების და ნივთების აღწერილობა ექვთ. თაყაიშვილის მიერ, რომელშიც მოხსენიებულნი არიან სხვადასხვა ისტორიული პირები[1].

კაცისას მოსულიყო. გავგზავნე კაცი და დავაჭირვინე. დახვდი შენ და შენი სახლიკაცი. ის კაციც წაართვი და ჩემი კაციც გალახე და იარაღი აყარე.

მოდგა კობახიძეს და ასე უპასუხა: მე შენს ლაპარაკს ვერ მივბედე და არცა რიგია. ჩემ[მ]ა ამხანაგმა ჩემი თავი დაგასმინა და მან მიყო. შესახვეწნათ გიახელი; მე მკითხავის რას დავეძებ, ჩემს სტუმარს ვე[ძე]ბდი, თორემ სხვა საქმე არ მქონდა. ერთი კაცი – რავარი კერძი კაცი არის ჩემი. ქვეყანამ იცის – ჩემი მეძღვნე უბრალოთ დამიჭირეს, გამიცარცვეს და მეორეს დღეს ამის შემხვეწეთ გივახელით, მაგრამ არაფერი სამართალი მიბოძე, ჩემი კაკის ნა[ცა]რცვი თოფი და ლეკური. სატევარი და ნაბადი დღესაც ხელში გვაქსო: და ჩემგან შენს კაცს ან რა აკლია და ან რა ვკადრე?

მოდგა ცაიშლის კაცი იმ დღის გალახული და ასე უჩივლა: ბატონმა ჩემმა გამჩენმა გამაგზავნა ერთს ღმრთის მტერს კაცზეე. კაცი დავიჭირე და მომყავდა და მისი თაბუნი კაცი მად დამესწია, თოფით მკვლიდა და მართალია, სასიკვდილოდ თავი არ დავანებე და თოფი წავართვი. ამაზე დამხვდი შენ და შენი სახლიკაცი. ის დაჭირული კაციც გამაშვებინე და მეც თოფი წამართვი და ბევრი მირტყი და ჩემი თოფი იმ კაცს გაატანე და დღესაც მას აქვს.

მოდგა კობახიძე და ამისი აშორო ასე უთხრა: რაც რომ მე ჩემი სტუმარი ტყუილა არ გამლახე, იმ დღეს ჩვენის ხელით არაფერი გკადრებოდეს დ[ა] არც დაჭირული კაცი გაგვეშვებინა.

აწ იმისი საქმე ასე გავსინჯეთ და გავაჩინეთ: წამოდგეს ჯოდორია და ლევანიკა და ან იმათი ტოლი კაცი თან ჩაიტანოს თორმეტმა კაცმა ასე უფიცოს ცაიშელს: „რაც რომ ტყუილს გვეწამები, იმ დღეს ჩვენ არც დაჭირული კაცი გაგვეშვებინოს, იარაღი წაგვერთმიოს და არც ჩვენის ხელით რამე კადრებოდეს თუ ასე უფიცოს, ცაიშელი რას ემართლება.

და კობახიძე, რომ თავი[ს] [სტუ]მრის გალახვას ჩივა, თუ კობახიძე, ის მისი სტუმარი იშოვნოს, სამართალი შეიძლოს, რომ მის სტუმარს იმ დღეს არ ეშუღლებინოს ცაიშლის კაცისათვინ, თოფი იმ კაცს შერჩეს და საუპატიო კობახიძეს მიეცეს.

თუ კობახიძის სტუმარმა სამართალი ვერ შეიძლოს, თოფიც მოიტანოს და მიართვას ცაიშელს და მისმა გალახვამაც გაიაროს. დასტურ თუ სამართალი შეიძლო, თოფიც შერჩება კობახიძის სტუმარს; და რაც ნაცარცვია კობახიძის სტუმრის, ისიც მიეცეს. და საუპატიო როგორც რიგია, ისე კობახიძეს მიეცეს.

თუ სამართალი ესე თო[რ]მეტმა ვერ შეიძლოს, როგორც მართლის წიგნმა გააჩინოს, ისე მიერთვას ცაიშელს.

ბეჭედი: დადიანი მანუჩარ“ (ქართული სამართლის ძეგლები, ტ. XI, გვ. 247-249).

[1] „1. სამღვდელმთავრო ოლარი, ოქროს ძაფებით ნაკერი, მაგრამმრავალჯერ შეკეთებული და ამიტომ სხვა და სხვა დროს ნაჭრებიდან შემდგარი, რასაც ცხად ყოფენ თვით ხელობა ნაკერისა, ფერი ძაფებისა, სურათები წმიდანებისა და წარწერები. აქ წარმოდგენილნი არიან სახეები წმიდანებისა ასომთავრულის წარწერებით სახელებისა: წმიდაი იოვანე ოქროპირი; წმიდაი ბასილი კესარიელი; წმიდაი ეგნატი; წმიდაი ამბროსი; წმიდაი იოვანე ალექსანდრიელი; წმიდაი გრიგოლი ღვთის მეტყველი; წმიდაი ნიკოლავოზ; წმიდაი პეტრე მოციქული; წმიდაი პავლე მოციქული; წმიდაი იოვანე მახარობელი; წმიდაი მათე მახარობელი და ჩვეულებრივი სამება – იესო ქრისტე, ტახტზედ მჯდომარე, მარიამით და იოანე ნათლის მცემელით. ამათ წარწერა არ ემჩნევა. ისტორიული წარწერები ამ ოლარზე შემდეგია: „ანჩის ხატსა და საყდარსა მისსა მოვაჴსენე და შევსწირე წმიდაჲ ესე ოლარი. დაუდე ანჩელსა ებისკოპოსსა მე თამარ

ჭერჭემლისძისა ასულმან სალოცავად სულისა ჩემისათჳს და რაოდენიცა ებისკოპოსნი იკმარებდეთ, ლოცვასა მომიჴსენებდეთ“.

„ღმერთო, აკმარე ესე ოლარი ანჩელს იოვანეს და შემდგომად ძმათა მისთა მღვდელთ-მოძღვართა სათნოდ შენდა მწემსობასა შინა, ქორონიკონსა ფლბ-სა“.

ქორონიკონი უდრის 1312 წელს. იოვანე ანჩელი ამ დროს სხვა წყაროებიდან ცნობილი არ არის. აგრეთვე არც შემწირველი და გამკეთებელი ოლარისა თამარ ჭერჭემლისძის ასული.

ამის შემდეგი დროის წარწერა ამოქარგულია უფრო დიდრონის ასომთავრულით ექვს-ექვს სტრიქონათ თითო ნაწილზე: „ქ. საშინელო ხატო ანჩისაო, შეიწირე მცირე ესე ომფორი დედოფალთ დედოფლისა ნათელისი, ძისა დიდისა სულ-კურთხეულისა ამირსპასარალისა და სამცხის სპასარალისა ყუარყუარესი, აქა და საუკუნესა, ამინ, ანჩელისა თეოფანესთჳს შეკერული“.

ექვთ. თაყაიშვილის აზრით, აქ მოხსენებული დედოფალთ დედოფალი ნათელა უნდა იყოს ქალი ათაბაგის ყვარყვარე I (1334-1361), რომელიც მიათხოვეს ბაგრატ I-ს იმერეთის მეფეს 1358 წელს და რომლის სახელს ქართლის ცხოვრება არ იხსენიებს.

2. მეორე სამღვდელმთავრო ომფორი, აბრეშუმის ძაფით ნაკერი, რომელზედაც წარმოდგენილია წმიდა გიორგი და წმიდა დიმიტრი და ათი ეკლესიის მამათ-მთავარნი.

3. გარდამოხსნა, დიდი სირმით ნაკერი, ლევან დადიანის მიერ შეწირული 1653 წელს. აშიებზე მხედრულად აწერია:

1) ქ. ჰი საიდუმლო საკუირველი, რამეთუ ცისა ღრებელით... იხილვები...

ჰი უღთოთა, რ თა შენზედა შეკრება, რომელმან ზღუასა მეწამულსა განავლინე მოსე და ერსა ისრაელისასა

2) უძღოდი უდაბნოსა მას სიცხისასა, ღრუბლითა ნათლისათა აგრილობდი. ჰი სიცოფე უსჯულოთა და უგულისჴმოთა მათ ურიათა, ვითარ არა გულის ჴმა

3) ყუეს ღ თაება შენი, არამედ იოსებ და ნიკოდიმოს არმენაკსა წმიდასა წარგრაგნეს უხრწნელი გუამი შენი, ქრის

4) ტე, სურნელებითა შემურვილი ახალსა საფლავსა დაგდვეს და დაგფალეს დაფლვით ცანი და ქუეყანა მგლოვარე იქმნეს. ხოლო

5) მე მონა შენი და ძე მჭევლისა შენისა ჭელმწიფე დადიანი პატრონი ლევან ვადიდებ

6) ჯვარცმასა შენსა, ქრისტე, თაყვანის ვსცემ გარდამოჴსნისა შენს და სურვილით ამბორს უყოფ პატიოსანსა ხატსა შენსა, რომელი ესე

7) ვაკერვინე ხალასად საჴსრად სულისა ჩემისა და სადღეგრძელოდ ძეთა და ასულისა წარსამართებელად,

8) კუალად თანა მ(ე)ცხედრისა ჩუენისა დედოფლისა პატრონისა ნესტან-დარეჯანისა სულისა საჴსრად და საოხად. შენ შეიწირე ცაიშისა ღ თის მშობელო, მსახურება ესე ჩემი, ამინ. შეიკერა ეკსა ტჩა

4. ენქერი, სირმით ნაკერი, რომლის აშიებზე ხუცურად აწერია:

„ქ. უმაღლესო ცათაო და უწმინდესო ქერაბინთაო, ცაიშისა ღმრთის მშობელო, მარადის ქალწულო. მაგრამ, შემოგწირე ენქერი ესე მე მიქელაძის ასულმან ბატონმან სევდიამ ძისა ჩემისა დადიანი კაციას სულის სახსრად და საოჴად. დაამკვიდრე მართალთა თანა!“

არანაკლებ მნიშვნელოვანია ცაიშის საეპისკოპოსოს საზღვრების დადგენა, რომელიც წყაროების ნაკლებობის გამო ზუსტად ვერ ხერხდება. ამავე დროს სხვადასხვა ეპოქაში საზღვარი ცვალებადი უნდა ყოფილიყო ან საერთოდ მოშლილი იყო და საეპისკოპოსოებს (მეზობელ საეპისკოპოსოებს) შორის დავის საგანიც ხდებოდა ხოლმე. საზღვრის მოშლილობა ამა თუ იმ ეპოქაში ხშირად რთული პოლიტიკური პოლიტიკური ვითარების შედეგად იყო გამოწვეული (უმთავრესად აფხაზეთის მხრიდან).

ვახუშტი ბატონიშვილის აღნიშვნით, „ამ წყალზედ (იგულისხმება მდ. ხობის წყალი), ჩრდილოს კიდესა ზედა და ხოფს ზეით, არს ეკლესია ჩაისს, დიდი გუმბათიანი,

---

ექვთ. თაყაიშვილის თქმით: აქ მოხსენებული მიქელაძის ასული სევდია უნდა იყოს გიორგი I-ის ლიპარტიანის პირველი მეუღლე, გიორგი მიქელაძის და, რომლის სახელი სხვა წყაროებით ცნობილი არ არის. ამათი შვილი კაცია I-ი გადაიცვალა 1710 წელს.

5. ენქერი, სირმით ნაკერი, რომელზედაც ირგვლივ მხედრულად აწერია კონდაკის ტექსტი შემოსვისა:

1) შეიბ: მახვილი: შენი: წელთა: შენთა: ძლიერო:

2) შვენიერებითა:. შენითა:. და სიკეთითა:. შენითა:. და გარდააცე:

3) და წარემართე: და სუფევდი: ჭეშმარიტებისათვის: და ს

4) იმშვიდისა: და სიმართლისა: და გიძღოდეს: შენ: საკუირველად: მარჯვენა: შენი:

6. საბუხრე, წყვილი სირმით ნაკერი, რომლებზედაც წარმოდგენილია ხარება მარიამისა. მახარობელსა გაბრიელ მთავარანგელოზს ყვავილი უჭირავს ხელში.

7. საბუხრე წყვილი, რომლებზედაც წარმოდგენილია ხარება ელისაბედისა. წარწერა გაფუჭებულია და აღარ იკითხება“ (ექვთ. თაყაიშვილი, არხეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნანი, წიგნი მეორე, ტფილისი 1914, გვ. 181-187).

„7. ბროსეს უნახავს ცაიშის საყდარში სხვა ჯვარის ნამტვრევი, რომელზედაც წერებულა: „ძელო ცხოვრებისაო, შეიწყალე მეუნარგია (ბროსეს უწერია: „უნარგია“, ალბათ შეცდომით) პეპუ.

პეპუ მეუნარგია ცნობილი ოქრომჭედელია სამეგრელოში მე-XIX საუკუნის პირველ ნახევარში. მის მიერ გაჭედილია მაცხოვრის დიდი ხატი მარტვილისა. პეპუ არის პაპა ჩვენისა ცნობილის მოღვაწის იონა მეუნარგიასი.

8. სამწერლობელნი ვერცხლისა, მხედრულის წარწერით მე-XIX საუკუნისა:

„ცაიშის ღ თის მშობელო, შემოგწირე სერაფიმ ესე მონამან შენმან აზნაურმან მეუნარგიამ იესემ და მეცხედრემან ჩემმან ლოლუას ასულმან რუსუდანმან სულის ჩვენისა სახსრად და საოხად“.

ეს მეუნარგია ყოფილა პეპე მჭედელის ძმა.

მეორე სამწერობელზე ესეთივე წარწერა მოიპოვება, ხოლო სერაფიმის მაგიერ „ქერაბინი“ სწერია.

9. ჯვარი საწინამძღვრო ვერცხლისა, დამტვრეული და გაფუჭებული, ძველი ფორმისა, ბოლო და მარცხენა ფრთა მოტეხილი აქვს (ექვთ. თაყაიშვილი, არხეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნანი, წიგნი მეორე, ტფილისი 1914, გვ. 179).

„ხატი ღვთის-მშობლისა ჩჩვილედი, ვერცხლისა, ნაჭედი, 40×25 სანტ., შემკობილი ძვირფასი ქვებით და რგოლების მსგავსი ჩუქურთმებით აშიებზე, მდარე ხელობისა, მე-XVIII საუკუნისა. ღვთის-მშობელი ფეხზედ მდგომარეა. მარცხენა ხელში უჭირავს ძე. მარჯვენა გულზე მიუდვია. წარწერა მხედრულად: „ყ დ წ და. ი სო ქ ე“ (ექვთ. თაყაიშვილი, არხეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნანი, წიგნი მეორე, ტფილისი 1914, გვ. 176).

კეთილნაშენი და შემკული. ზის ეპისკოპოზი, მწემსი ამ წყალს სამჭრეთის, კერძოსა უნაგირამდე და რიონ-ზღუამდე“[1].

გ. კალანდიას აღნიშვნით, აფხაზთა შემოსევების გამო ცაიშის საეპისკოპოსოს ჩრდილოეთი საზღვარი ხშირად ირღვეოდა და ავტორი დანამდვილებით ვერაფერს ამბობს ამის შესახებ. მისივე აზრით, აღმოსავლეთ საზღვარი ალბათ მდ. აბაშაზე გადიოდა ან შესაძლებელია ცოტა უფრო დასავლეთით, მდ. ტეხურზე. სამხრეთით მას ესაზღვრებოდა ჯუმათის საეპისკოპოსო და მისივე თქმით, ის ალბათ მოიცავდა მდ. რიონის მხოლოდ ქვედა წელს, დაახლოებით სუჯუნიდან (იქ სადაც მდ. აბაშა უერთდება მდ. რიონს) შავ ზღვამდე. დასავლეთით ცაიშს ესაზღვრებოდა შავი ზღვა[2]. მისივე აღნიშვნით, ჩრდილო-აღმოსავლეთი საზღვარი ალბათ ემთხვეოდა ოდიშის სამთავროს პოლიტიკურ საზღვარს და იგი სვანეთ-ლეჩხუმ-ოდიშის საზღვარზე გადიოდა, იქ სადაც ცაგერის საეპისკოპოსო იწყებოდა. ავტორი აქ იშველიებს, უცხოურ წყაროებს (თუმცა არ უთითებს რომელს). მისივე აზრით, იმის გამო, რომ ვახუშტი ბატონიშვილს სვანეთის ეპისკოპოსი არა აქვს დასახელებული და ლაფსყერდაშის მთავარანგელოზის სიგელში, დანიელ ეპისკოპოსი ლაბსყერდაშის მთავარანგელოზის მაკურთხებლად გვევლინება, მას სადადეშქელიანო სვანეთიც უნდა კუთვნებოდა[3].

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ცაიშის საეპისკოპოსოს საზღვრები ხშირად იცვლებოდა და ის ცალ-ცალკე ეპოქალურად უნდა იქნეს განხილული, თუმცა ამ მხრივ წყარო ჩვენ არ ნაკლები გვაქვს. ამავე დროს იმასაც აღვნიშნავთ, რომ არ უნდა იყოს მართებული ცაიშის საეპისკოპოსოს საზღვრის მდ. ტეხურამდე ან მითუმეტეს მდ. აბაშამდე გადაწევაც, რამდენადაც იქ ხობის საეპისკოპოსოს დაარსების შემდგომ ცაიშს გავლენა ვერ ექნებოდა. ამავე დროს მოვგიანებით, საეპისკოპოსო არსდება წალენჯიხაშიც. ხოლო დასავლეთით ცაიშის საზღვარი, სავარაუდოდ XVII საუკუნის შემდგომ ალბათ საბოლოოდ მდ. ენგური იქნებოდა. სამხრეთ-აღმოსავლეთი საზღვარი კი მდ. ხობი-ჭურიის ხაზზე უნდა გასულიყო. ჩრდილოეთით ალბათ ფლობდა ჯვარის და ჯგალის მიმდებარე სოფლებს და უფრო ადრინდელ ეპოქაში XII-XIV საუკუნეებში სვანეთსაც კი.

2. წმ. გიორგის სახელობის ეკლესია

სოფელ ცაიშში ყოფილა წმ. გიორგის ეკლესიაც, რომელზეც XIX საუკუნეში ამ სახის ცნობები გვაქვს: „ზუგდიდის მაზრის სოფელ ცაიშაში გორაკზე დგას წმ. გიორგის სახელობის ეკლესია. 23 აპრილს არის ამ ეკლესიის საეკლესიო დღესასწაული როდესაც ს. ცაისში მიდის უამრავი მლოცველი აქ უმრავლესობა ღამეს ათენებს და მხიარულ საუბრებში ატარებენ დროს ცეცხლის ირგვლივ მჯდომარენი და ყურადღებით

[1] ქართლის ცხოვრება, ტ. IV, გვ. 778.
[2] გ. კალანდია, დასახ. ნაშრ., გვ. 58.
[3] გ. კალანდია, დასახ. ნაშრომი, გვ. 59.

აკვირდებიან ცეცხლის ბოლის მიმართულებას და თუ ცეცხლის ბოლი ქარის მიერ ზღუდის პირას იქნება გადატანილი ეს უამინდობას ნიშნავს, თუ მოპირდაპირე მხარეს, ეს კარგ ამინდს მოასწავლებს“[1].

3. მთავარანგელოზთა სახელობის ეკლესია

ტოპონიმიკური მონაცემების მიხედვით, ცაიშში საჯიქიოს უბანში არის ადგილი „თარანგელოზიშ ოხვამე“, ანუ მთავარანგელოზის სალოცავი[2].

4. ცაიშის ციხე-სიმაგრე

ა. ჭანტურიას თქმით ცაიშში ყოფილა ციხე-სიმაგრე ნასაყუდერე ანუ ნასაყვლურე, კერძოდ ღელესთან (ღალ), ცაცხვის რკინიგზის გადასარბენთან ახლოს არის ცაიშის ნაციხარი, დაახლოებით ასი საჟენის მანძილზე[3].

სოფელი ყულიშ-კარი
ყულიშკარის წმ. იორგის სახელობის ეკლესია და ხატი

სოფელ ყულიშკარში, სოფლის ცენტრის ჩრდილო-ეთით, მაღალ გორაკზე დგას ყულიშ-კარის წმ. იორგის სახელობის ქვის ეკლესია, რომელიც მთელ ყულის-წყლის ხეობას გადაჰყურებს.

მთხრობელთა გადმოცემით, ყულის ხატი სვანეთიდან ჩამოუტანია როგავების გვარს, დაუსვენებიათ ყულიშკარში იმ ადგილას, რომელსაც

кого городского училища, Народния грамоты, разные способы гадания и некоторія поверья мингрельцев, Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа, вып. 32, отд. III, გვ. 125-126.

[2] პ. ცხადაია, სამეგრელოს გეოგრაფიული სახელწოდებანი, II (ზუგდიდის რაიონი), თბ., 2007, გვ. 340.

[3] ა. ჭანტურია, ისტორიულ-არქეოლოგიური ძიებანი სამეგრელოში, თბილისის უნივერსიტეტის შრომები, ისტორია, არქეოლოგია, ხელოვნებათმცოდნეობა, ეთნოგრაფია, თბ., 1989, 283.

დღესაც ჰქვია „ჯეგე-ფერდი“ (სიტყვა-სიტყვით წმ. გიორგის ფერდობი); აქ მათ აუშენებიათ პატარა ხის ეკლესია და ეს ხატიც იქ დაუსვენებიათ. აქ მდვდლად შემდგომში ყოფილა ვინმე უშლება როგავა, რომელსაც ჩვენი მთხრობელი თავისი მეხუთე თაობის წინაპრის ძმად ასახელებს. იმავე მთხრობელის გადმოცემით, ამ უშლება როგავას თავად ხეციების (მხეიძე) დახმარებით მოუყვანია ბერძენი ოსტატები და იქ, სადაც დღეს ყულიშკარის წმ. გიორგის ეკლესია დგას (ლაპარაკია იმ ეკლესიაზე, რომელიც დღესაც დგას), აუშენებია ქვის ეკლესია და ყულის ხატიც იქ გადაუტანია; უშლება როგავაც, მთხრობლის გადმოცემით, ყულის ეკლესიის ეზოშია დასაფლავებული.

ზემოთ წარმოდგენილი მასალიდან გამომდინარე, თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ ყულიშკარის წმ. გიორგის ეკლესია ჩვენი მთხრობლის მეხუთე წინაპრის დროს აუგიათ, მაშინ ის არაუადრეს XIX ს-ის 20-30-იან წლებისად უნდა მივიჩნიოთ.

სხვა მთხრობლის გადმოცემით, ყულიშკარში თავდაპირველი ხის ეკლესია ყულის ხატის ჩამოტანისთანავე აუშენებიათ იმ ადგილას, სადაც დგას ქვის ეკლესია დღეს. ამ გარემოებას თავის მოგონებებში ადასტურებს ამავე სოფლის მკვიდრი – იპოლიტე ნანავა.[1]

ყულიშკარში მცხოვრებ, გენო მაქაცარიას ოჯახში ჩვენ გვანახეს მათთვის უცნობი პიროვნების მიერ გაკეთებული ხელნაწერი ტექსტი (ის სულ 30-იოდე წლის უკანდელია), რომელიც ყულიშკარის ეკლესიის შესახებ ამ სახის ცნობებს გვაწვდის: „ყულიშკარის ქვის ეკლესია XVII ს-ის ძეგლია. შენობა აშენებულია ბერძენი ხელოსნების მიერ. საკურთხეველი მოხატულია მღვდელ ეგნატე გაბრიელის ძე როგავას და მისი მეუღლე მარიამ შელიას ასულის მიერ (საკუთარი სახსრებით). ეგნატე როგავა ცხოვრობდა XIX ს-ის მეორე ნახევარში. ეკლესიის საერთო დარბაზის კედლის ფრესკები მოხატულია პეტრე ნიკოლოზის ძე მხეიძის და მისი მეუღლის – სინდუხტი დადიანის მიერ (პეტრე იყო რუსეთ-თურქეთის ომის მონაწილე 1876-78 წლებში). პეტრე მხეიძე გარდაიცვალა 1896 წელს ღრმად მოხუცი; დასაფლავებულია ეკლესიის ეზოში“.

ალ. მიქავას ცნობით, „ყულიშკარის ეკლესია XVII საუკუნის ნაგებობაა. ზეპირი გადმოცემით მისი აღმშენებელი ყოფილა ეგნატე როგავა, მას მოუჭედინებია სასწაულმოქმედი ხატი (ჯვარი), რომელიც თავისი სიძლიერით განთქმული ყოფილა სამეგრელოში; XVIII საუკუნის 80-იან წლებში მთავარ კაცია დადიანის მითითებით მოუხატავთ ეკლესია. მის კედლებზე მრავალი ხუცური წარწერაა“.[2]

მ. პაჭკორიას თქმით კი, „ყულიშკარის ჯვარი XVIII საუკუნის 70-იან წლებში სვანეთიდან ჩამოუტანია ვინმე როგავას. აღნიშნული ხატისათვის შემდგომ – XIX საუკუნეში წმ. გიორგის სახელობის შესანიშნავი ეკლესია აუშენებია“.[3]

მაშასადამე, ზემოთ წარმოდგენილი მასალიდან (როგორც მთხრობელთა გადმოცემიდან ასევე ავტორებთან), ნათელია, რომ ყულიშკარის ეკლესიის აშენების შესახებ ორი თარიღი გვაქვს – ერთი XVII საუკუნე, მეორე კი XIX საუკუნე.

XIX საუკუნის 40-იან წლებში ყულიშკარის წმ. გიორგის სახელობის ქვის ეკლესია, ნამდვილად აშენებული ჩანს, რაზეც შესასვლელ კართან დადებული ამ სახის წარწერის

---

[1] იპოლიტე ნანავა, მოგონებანი (ნახული და გაგონილი), დაბ. 1907 წ. ხელნაწერი ინახება ყულიშკარში მცხოვრებ – ნოდარ როგავას ოჯახში.
[2] ალ. მიქავა, ზუგდიდი – გზამკვლევი, თბ., 1966, გვ. 21-22.
[3] მ. პაჭკორია, ვიცნობდეთ კულტურის ძეგლებს, თბ., 1975, გვ. 34.

მქონე საფლავის ქვა მიანიშნებს: „კნიაზ ბეგო მეხმედბეგის ძე შარვაშიძე გ“დ(ა)ცვ(ა)ლა 1843-სა წელსა და მეუღლე მისი კნეინა მარიამ ტარიელ დადიანის ასული 12-ს დეკემბერს 1861-სა წელსა“.

ყულიშკარის წმ. გიორგის ეკლესია.

ჟ. მურიე, XIX საუკუნე.

XIX ს-ის შუა წლებში ყულიშკარის წმ. გიორგის ქვის ეკლესია მოუნახულებია და ჩაუხატავს ფრანგ მოგზაურს ჟან მურიეს, რომლის ცნობაც, ვფიქრობთ, ყველაზე უფრო სარწმუნო უნდა იყოს ამ ეკლესიის აშენების თარიღთან დაკავშირებით. კერძოდ ყულიშკარის წმ. გიორგის ქვის ეკლესია „ხელმეორედ აშენებულია ნათალი ქვით, მღვდელ ეგნატე როგავას მიერ, უკვე 50 წლის წინ, ძალიან ძველი საყდრის ადგილზე...“[1] აქვე დავსძენთ, რომ საქართველოს სსრ კულტურის ძეგლების აღწერილობის მიხედვით, ყულიშკარის ეკლესია XIX საუკუნის ძეგლად არის მიჩნეული.[2]

ჟ. მურიე, ყულიშკარის ეკლესიის მხატვრობის შესახებ ასეთ ცნობებს გვაწვდის: „მისი კედლები უცნაური მხატვრობითაა შესრულებული, ეს ჯოჯოხეთში საშინელი წამების სცენებია, წამების ყველა იარაღის აღნიშვნით. თუმცა თაღზე, საკურთხევლის იკონოსტასის უკან მამა ღმერთის უზარმაზარი თავია დახატული, რომლის თვალებიც პერსპექტივის ეფექტის გამო და მარჯვე ფუნჯის წყალობით, ოპტიკურ ილუზიას ქმნიან; მაყურებელი, სადაც არ უნდა იდგეს, ფრესკის მზერა არ იცვლება და პირდაპირ გიყურებთ...“[3]

ს. მაკალათიას ცნობით, ყულიშკარის ეკლესია „მაღლობზეა აშენებული და აქვს მაღალი გუმბათი, იგი ნაგებია თლილი ქვით და შიგ მოხატულია. ფრესკები ახალია და შესრულებულია XIX ს-ის მეორე ნახევარში. ფრესკები საყურადღებოა თავისი პრიმიტიულობით, ფერების შეხამებით და ტიპაჟებით. აშკარად ეტყობა, რომ მხატვრობა შესრულებულია ორი მხატვრის მიერ და ფერწერის მანერა ძლიერ წააგავს ფიროსმანიშვილის სტილს. ყულიშკარის ეს ეკლესია მოუხატავს მაჭავარიანს და მის მოსწავლეს ანთელას. სუსტი მხატვრობა შესრულებულია ანთელას მიერ. ფრესკებზე

---

[1] ჟ. ოურიერ, ა მინგრელიე, ოდესსა, 1883, გვ. 397.
[2] საქართველოს სსრ კულტურის ძეგლები, თბ., 1959, გვ. 58.
[3] ჟ. ოურიერ, დას. ნაშრომი, გვ. 397.

მხედრული წარწერებით მოხსენიებულია დადიანები და სხვა პირებიც, რომელთაც საფასური გაუღიათ ეკლესიის მოხატვაში. მხატვრობა დათარიღებულია „ჩყით“ (1869 წლით)“.[1]

თავის დროზე გუმბათის დაზიანების გამო, დღესდღეობით ფრესკული მხატვრობა ყულიშკარის ეკლესიისა ძლიერ დაზიანებულია (თუმცა აღდგენა ადვილად შესაძლებელია), მაგრამ შემორჩენილიც ცხადყოფს, რომ ის ძალზედ საყურადღებო სცენებს და სხვადასხვა შინაარსის წარწერებს შეიცავდა, რაც სპეციალურად საკვლევი საკითხია.

1905 წლის საარქივო მონაცემების მიხედვით, ყულიშკარში (ალბათ, ეკლესიასთან – დ.ჭ), არსებულა ვაუთა ერთკლასიანი სკოლა, სადაც სასულიერო სწავლებას ადგილობრივი, საოჯახო განათლების მქონე მღვდლები ასწავლიდნენ – „1. Заведывшой школою, священникь Гаврил Игнатоевь Рогава, сь домашним образованиемь. 2. Законоучитель, священникь, Михайль Маркозовь Макацаря, сь училишнымь образованоем. Учитель, псаломшикь Баграть бичиноевь“.[2]

1886 წლის აღწერილობის მიხედვით, ყულიშკარში ცხოვრობს 48 სული სამღვდელო, აქედან მამაკაცი 24, ხოლო ქალი – 24 სული.[3]

ჩვენ გვაქვს 1898 წლის ყულიშკარის წმ. გიორგის ეკლესიის სამღვდელო ოჯახების სრული სია როგავების და მაქაცარიების გვარიდან:

1. მღვდელი გაბრიელ, მღვდლის ეგნატეს ძე როგავა;

ცოლი ამისა ელენე ლევანის ასული;

შვილნი მათნი: 1. იონა; 2. სვიმონ; 3. ვატია.

2. მღვდელი მიხაილ მღვდლის მარკოზის ძე მაქაცარია;

ასული ამისა პელანგია.

3. სამღვდელო დიაკონი იოვანე მღვდლის ნაომას ძე წულაია;

ცოლი ამისა ეკატერინე პრიჩეტნიკის იოაკიმის ასული;

შვილნი მათნი 1. აკაკი; 2. ანასტასია; 3. ქიონია.

4. პრიჩეტნიკი სპირიდონ მღვდლის დავითის ძე ხორავა;

ცოლი ამისა ბარბარე მღვდლის იესეს ასული;

ძეი ამათი პოლიევქტო.

5. ქვრივი მღვდლის იესე როგავასა, ელისაბედ უტეს ასული

ქვრივი სამღვდელო დიაკვნის ნიკოლოზ როგავასა ფატმან კონსტანტინესი;

შვილნი ამისა: 1. გიორგი; 2. გრიგორ; 3. ბაბილინე.

---

[1] ს. მაკალათია, სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, თბ., 1941, გვ. 363-364.
[2] ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული არქივის მასალები, ფონდი №196, საქმე №34.
[3] Свод статистических данных о населении закавказского края извлеченных изь посемейныхь списков, 1886 г. тиф., 1793.

6. ქვრივი მღვდლის ძიის იიაკიმ როგავასა გულქენ სიმონის ასული;

შვილნი ამისა: 1. პორფირე; 2. კონტარა; 3. ეგვენი; 4. დესპინე;

5. ფოტინე.

7. როგავა ბაგრატ სპირიდონის ძე

დანი ამისა 1. კესა; 2. კეკელია.

დედა ამათი ელისო სვიმონის ასული, ქვრივი.

8. როგავა სიმონ პრიჩეტნიკის დიანოზის ძე;

ცოლი ამისა ნინო მერაბის ასული;

ძმა სვიმონისა: სოლომონ;

დაი ამათი ეშა;

დედა ამათი ნინო ზურაბის ასული, ქვრივი.

9. მაქაცარია პავლე დიაკონის დავითის ძე;

ცოლი ამისა დესპინე ტოტის ასული;

შვილნი მათნი 1. ანტონ; 2. ელპიტი;

ძმანი პავლესა 1. სტეფანე; 2. იოვანე;

ცოლი სტეფანესი ოლღა სვიმონის ასული"[1].

„ყულიშ-კარის ხატი", სამეგრელოში ერთ-ერთი ყველაზე ძლიერ წინაქრისტიანულ ხატ-სალოცავს წარმოადგენდა „ილორი"-ს, „ქიაჩი"-ს, „ალერტი"-ს, „უგურყელი"-ს და სხვა ამ სახის ხატთა გვერდით.

როგორც ზემოთ აღინიშნა, სამეცნიერო ლიტერატურაში არსებული ცნობებისა[2] და ჩვენ მიერ მოპოვებული ეთნოგრაფიული მასალის საფუძველზე, ყულიშკარის ხატი, აქ დღესაც მოსახლე და ყულიშკარის თემში დღესდღეობით ყველაზე მრავალრიცხოვან როგავების გვარის ხალხს სვანეთიდან ჩამოუტანია, რომელი გვარის „ჯინჯ" (ძირ) ხატადაც ის ითვლებოდა და „მეხატულებსაც" (ხატის მნათეები) ამ გვარიდან ირჩევდნენ[3].

კ. ბოროზდინის ცნობით, სამეგრელოში „ყოველ სოფელში ჰყავთ თითო ძლიერი ხატი, რომელიც ადამიანთ მოქმედებაში მონაწილეობას იღებს. ამ ხატებში ყველაზე მეტად სახელგანთქმულნი არიან წმ. გიორგის ხატები ქიაჩისა და ყულისა. მეგრელთ იმდენი რიდი და შიში აქვთ ამ ხატებისა, რომ როცა კი დააფიცებენ ამ ხატებზე, იშვიათად თუ არ იტყვიან სიმართლეს. დაფიცების დროს თუ სთქვეს ტყუილი, კარგა ხნის შემდეგ მაინც

---

[1] აღსარების მთქმელთა სია გურია-სამეგრელოს ეპარქიის ყულიშკარის წმ. გიორგის ეკლესიის ჩვენებითა ჩინთა, სახლობათა მათთა და წელთა შობითგან. ეს საბუთი ინახება სოფ. ყულიშკარში მცხოვრებ გენო მაქაცარიას ოჯახში.

[2] იხ. ე. თაყაიშვილი, არხეოლოგიური მოგზაურობიდან სამეგრელოში, ძველი საქართველო ტ. III, ე. თაყაიშვილის რედაქტორობით, თბ., 1913-1914, გვ. 199-200; თ. სახოკია, ეთნოგრაფიული ნაწერები, თბ., 1956, გვ. 63; ს. მაკალათია, სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, თბ., 1941, გვ. 364.

[3] დ. ჭითანავა, საველე-ეთნოგრაფიული მასალები „ყულიშკარის თემი", 1998, რვ. №1, რვ. №2.

იტყვიან მართალს. ამასთანავე მეგრელი დარწმუნებულია, რომ თუ ერთ-ერთ ამ ხატზე თავისი მტერი „გადასცა“ (დასწყევლა), არც სააქაოს დაეყრება სიკეთე გადაცემულს და არც საიქიოსაო; ამიტომ, თუ გაიგო მეგრელმა, მავანმა ამა და ამ ხატზე გადამცაო, მაშინათვე მიდის, ზარალს ზედმეტად მიუზღავს და „ალობასა“ (შენდობას) სთხოვს, ესე იგი, თავის თავს დაახსნევინებს გადაცემისაგან“[1].

ჟ. მურიეს თქმით, „ყულისკარის წმინდა გიორგის მთელს სამეგრელოში უდიდეს პატივს სცემდნენ. სამართლის დამყარებისას ან სერიზული პროცესების ჩატარებისას ზუსტად მის განთქმულ გამოსახულებაზე დებდნენ ფიცს მსჯავრდებულები. ერთმა გლეხმა მოუტანა ფული, სანთლები, ბატკანი, ის შეევედრა წმ. გიორგის, რომ მის დაკარგულ ქონებას დაუბრუნებდა...“ [2] „აქ მდებარეობს ის ვერცხლის ჯვარი, წმ. გიორგის გამოსახულებით, ცხენზე ამხედრებულ გველეშაპს რომ სძლევს... ძოწის ქვებით მოოჭვილი და ოქროში ჩასმული, ვერცხლის საჩხაკუნებლით და ძვირფასი ქვებით და ყველა სახის ნაკლებად ძვირფასი სამკაულით. თუმცა ამ ჯვარზე არანაირი წარწერა არაა, მაგრამ უეჭველია, რომ ძალიან ძველია და როგორც ამბობენ ყოველთვის ყულისკარს ეკუთვნოდა“[3].

ექვთ. თაყაიშვილის ცნობით, „ზუგდიდიდგან ცხრა ვერსზედ მდებარეობს სოფელი ყულის-კარი, რომელშიაც ინახება სასწაულთ-მოქმედი ჯვარი, ანუ როგორც მეგრელები უწოდებენ, ყულის-კარის ხატი. ეს ჯვარი განთქმულია მთელს სამეგრელოში თავის სიძლიერით. ამას მოსდის აუარებელი თაყვანისმცემელი და შესაწირავი. მეგრელთ არც ერთი ხატი და ჯვარი ისე არა სწამს და სასწაულთ-მოქმედათ არ მიაჩნია, როგორც ყულისკარის ხატი. ამ ხატზე დაფიცებული სიმართლეს ვერ გადაუვლის, რადგანაც დარწმუნებულია, რომ ოჯახიანათ ამოვარდება... ჯვარი სულ უბრალო ხელობის არის ვერცხლით შეჭედილი, 29X19 სანტ. ვერცხლის ფირფიტებზე გამოსახულია ძლიერ ულაზათოდ ოთხი სურათი წმინდა გიორგისა ქვემოთ წმინდა გიორგი ფეხზე მდგომარეა, დანარჩენ სამ ფრთაზე ცხენით არის წარმოდგენილი, ვეშაპს გმირავს, ხოლო შუაში წელს ზევითი სურათია მთავარ-ანგელოზისა მედალიონში. ზემო ფრთას ექვსი ძვირფასი თვალი უზის. მეორე მხარეს სადა ვერცხლზე უშნო მხედრულით XIX საუკუნისა აწერია: „მღ(დელ)მა გაბრიელ როგავა გავაჭედიე ხატი სულის ყულისა“. ასეთი ხელობის ჯვარი თითქმის ყველა სვანეთის ეკლესიაში არის და საზოგადოთ მთებში. ჯვარი ჩასვენებულია შეკერილ ბუდეში წითელის მაუდისა, რომელიც შემკობილია ეჟვნებით, ჩანჩხურებით, თვლებით და სხვა მიკერებულის ვერცხლის სამკაულებით და აგრეთვე ძეწკვებით. ჯვარი ჩაკერებულია ბუდეში და ჩვეულებრივ მნახველს მხოლოდ ზემო ნაწილი შეუძლია გასინჯოს“.[4]

ჟ. მურიესა და ექვთ. თაყაიშვილის მიერ ზემოთ აღწერილი ხატი დღესდღეობით შემორჩენილი არ არის, თუმცა ექვთ. თაყაიშვილმა და ჟ. მურიემ შემოგვინახეს მისი ფოტო.



---

[1] კ. ბ[illegible]ეე, ბატონყმობა [illegible] კაობა თ. სახ[illegible]

[2] ჟ. [illegible] 383, გვ. 352.

[3] ჟ. [illegible]

[4] ექვ[illegible] 199-200.

ყულიშკარის წმ. გიორგის ხატი. *ჟ. მურიე.* *ექვთ. თაყაიშვილი.*

თ. სახოკიას დაკვირვებით, „ილორის ხატს მისდევს სიძლიერით ყულის წმ. გიორგის ხატი, მერე ხეთისა, შემდეგ სუჯუნისა და სხვა“.[1]

ს. მაკალათიას ცნობით, ყულისკარის ხატს „სთვლიან ილორის წმ. გიორგის ყურად, ილორის გიორგი კი გულიაო... ხატობა აქ იმართებოდა 10 ნოემბერს და დიდძალი მლოცავი თურმე მიდიოდა, განსაკუთრებით ისინი, ვისი წინაპარიც ამ ხატზე ყოფილა გადაცემული და ყულის ხატის მიზეზიც გამოუვიდოდა. ამიტომ ვისაც მისი მიზეზი გამოაჩნდებოდა, ის ხატში მიდიოდა და ყულისკარში მიჰყავდა ზვარაკად ხარი, ცხვარი ან ცხენი „კაცის სულის სამაგიეროდ“ და იქ შესთხოვდა ყულის-კარის ხატს პატიებას. ხატის გადაცემის სახე მეხატულეებს ეკითხებოდათ და მათ იცოდნენ დაწყევლისა თუ გამოლოცვის წესები. ამიტომ ჯერ მიმართავდნენ მეხატულს, რომელიც ორივე მხარეს – მაწყევარსა და გადაცემულს ხატის წინ დააჩქოებდა და შეევედრებოდა ხატს წყევლის გაბათილებას. შემდეგ მათ ორივეს დალოცავდა და შეარიგებდა. ზვარაკს, ხარი იქნებოდა თუ ცხვარი, იქვე ეკლესიის ეზოში მიაბამდნენ. მეხატული გადაცემულს აგრეთვე მშვილდში გაატარებდა. შემოსული

[1] თ. სახოკია, ეთნოგრაფიული ნაწერები, თბ., 1956, გვ. 60.

შესაწირავიდან ხატს ნახევარი რჩებოდა, მეორე ნახევარს კი მღვდელი და მეხატული იყოფდნენ. მეხატული იღებდა აგრეთვე „ხეშ გინალუაფარს“[1] ფულად.

ვისაც ხარი დაეკარგებოდა, იგი ყულის-კარის ხატში მიიტანდა ხარის უღელს და აქ ცაცხვის ხეზე ჩამოჰკიდებდა, ხარის ქურდს გადასცემდა და ასე დაიწყევლებოდა: „ყულის კარის წმ. გიორგი, სანამ ქურდი შენ კარზე არ მოვიდეს, ეს უღელი არ ჩამოხსნას და ჩემი ხარი არ შეაბას და ჩემს ოჯახში არ მოიყვანოს, მანამ ჭირში და უბედურებაში ამყოფინე ქურდის ოჯახიო“. რომ ყულის წმ. გიორგის გამოეჩინა თავისი ძალა და ევნო გადაცემულისათვის, მაწყევარს ყოველ მესამე, თუ მეოთხე წელიწადს უნდა შეესრულებინა „განალინი“ ან „ზისხირიში ოწუმავ“. ამ მიზნით გადამცემი ყულის-კარში წაიღებდა საკლავის თავსა და მის გულ-ღვიძლს, აგრეთვე საზედაშე ღვინოსა და პურს. აქ მეხატულის დახმარებით მაწყევარი ხატის წინაშე შერისხავდა გადაცემულს და სთხოვდა ყულის წმ. გიორგის მისი წყევლა ჩქარა მოეყვანა სისრულეში. როდესაც გადაცემულის ოჯახს წყევლა ავნებდა, მაშინ მაწყევარი, რათა წყევლა მას არ დაბრუნებოდა, ასრულებდა „ალობა“-ს და ამისათვის ის საკლავით მიდიოდა ყულის-კარში, სადაც მეხატული შესთხოვდა ყულის ხატს მაწყევრის შებრალებას და წყევლის გაბათილებას. ზოგჯერ სიშორის გამო მაწყევარს არ შეეძლო ყულის-კარში მისვლა. მაშინ ბლაღოჩინის ნებართვით შეიძლებოდა ხატის გადატანა. ნებართვის შემდეგ მეხატული ყულის ჯვარს გადაიკიდებდა, შეჯდებოდა ჯორზე და მიდიოდა იქ, სადაც ის დაბარებული იყო. გზა და გზა მას ეგებებოდნენ ისინი, ვისაც რაიმე უჭირდა და ასრულებდნენ „ოწოხვამა“-ს. ზოგი დაიწყევლებოდა და დამნაშავეს ხატზე გადასცემდა, ზოგი კი გამოილოცებოდა და სხვა. მეხატულსა და ხატს ისინი ასაჩუქრებდნენ. მაგრამ ენგურის გაღმა ყულის-ხატს არ გაიყვანდნენ, რადგან იქით ილორის საბატონო იყო“.[2]

ყულის ხატის ფუნქციას ყველაზე უფრო მკაფიოდ და ხატოვნად გადმოგვცემს 1880 წლის გაზეთ „დროების“ ფურცლებზე გამოქვეყნებული სტატიის ავტორი: „ერთი სამას-სამოც-და-სამთა ქართველთა წმ. გიორგთაგანი, ყულის-კარის წმ. გიორგი მთელს დასავლეთ სამეგრელოში და აღმოსავლეთ აფხაზეთში არის განთქმული, როგორც სასწაულთმოქმედი. იმისი მნიშვნელობა არა მარტო რელიგიური, არამედ სამსჯავრო და სამოქალაქო, ყველასათვის ცხადია, ვისაც კი თვალი უდევნებია მეგრელი საზოგადოებისათვის; იქაურ ცხოვრებაში იმ ხატმა უნდა აცხოვნოს მეგრელი. იქაურ ცხოვრებაში შემწეობა უნდა მისცეს და სამართალი გაუჩინოს. ქურდი, რომელიც გარდაიცა ამ ხატით, ავადმყოფი რომელმაც განკურნება სთხოვა იმას, კაცი, რომელმაც ამ ხატზე ტყუილად დაიფიცა სულ ყველანი მიიღებენ ამ ხატისგან იმას, რასაც დაიმსახურებენ. ასეთია ხალხის რწმუნება, ასე მაღლად დგას ძლევამოსილი წმინდა ხალხის თვალის წინ ...“

მიუხედავად იმისა, რომ ყულიშკარის ხატი მეგრელთათვის მეტად მწიდათაწმინდა და ყველაზე დიდი თაყვანისცემის და რიდის საგანი ყოფილა, იმავე სტატიის ავტორი გვატყობინებს, რომ ერთ დროს ამ ხატის „ღვთაებრივი მადლით“ ვაჭრობასაც ჰქონია ადგილი[3].

---

[1] „ხეშ გინალუაფარი“ – სიტყვა-სიტყვით „ხელის გადასავლები“.

[2] ს. მაკალათია, სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, თბ., 1941, გვ. 364-365.

[3] „„, მაგრამ სამწუხაროდ და საკვირველად, ეს პატივი და აკრძალვა მარტო ერთის მხრიდან აკლია ამ ხატს. ეს მხარე არის სასულიერო მხარე, სასულიერო მთავრობა.

სასულიერო მთავრობა, რომლის უმთავრესი დანიშნულება ის არის, რომ შეინახოს ჯეროვან სიმაღლეზე წმინდა და სამღვთო სახელი ხალხისაგან პატივცემულ წმინდანებთა და ეცადოს არ

დაკარგოს ხალხში მათი კრძალვა და პატივი. სასულიერო მთავრობა, ვამბობთ, ვერ ინახავს რიგიანად ამ წმინდა ხატს.

ნაცვლად იმისა, რომ ეს ხატი ესვენოს წმინდა ტაძარში შესაფერ ადგილზე ხელ-უხლებლათ, მიუკარებლათ, როგორც შეშვენის ხატს, ეს ხატი ეხლანდელ მის მცველთ ხელში სათამაშო კუკლად გახდა. როგორც კუკლას დაატარებენ ამ ხატს იღლიის ქვეშ წითელ მაუდში გამოხვეულად, უღირსნი მღვდელნი ამა ხატისა დადიან სოფლით სოფლით, გვარიით გვარად, ხალხის სარწმუნოების ექსპლუატაციისათვის.

ამ ხატის ექსპლოატაციისათვის ტაქსაა დაწესებული: ერთი გადაცემა ამდენი მანეთი, ერთი დალოცვა ამდენი მანეთი, ერთი დაფიცება ამდენი, ეუთი ამისა სხვა სოფელში წასვენება ამდენი თუმანი უკანასკნელ დროში ვაჭრული მოსაზრებებისა გამო – საქმე იქამდის მივიდა, რომ ხატი იჯარით მისცეს – შარშან ჯერ ვიღაცას მხეიძეს ჰქონდა თურმე აღებული 400 მანეთად, წლეულს იმასვე აუღია 500 მანეთად. ეტყობა ცუდად არ მიდის ვაჭრობა.

მერე როგორ ეპყრობიან თვითონ ხატს მოიჯარადრეები. ლებოვს აქვს მოყვანილი თავის ისტორიაში ერთი ველური ხალხი, რომელიც სცემს თავის კერპს, თუ იმან არ შეუსრულა თხოვნა. სწორედ იმას გვაგონებს ჩვენი ამ მეხატეთა ქცევა, რომელთაც ხელში აქვთ ყულის წმ. გიორგი. „რაზე მიჰყავი ასე წმ. გიორგო – ემუსაიფება ხატს მეხატე – რაზე მიყავი მე, შენ ჯორს რატომ წამირთმევიე ჩემი ბუძგაისთვის მისი ცხენი. სირცხვილი არ არის? მე ამას მოველოდი შენგან? და სხვა.

ამგვარ კაცთ ხელში ჩავარდნილ ხატს ადვილი გასაგებია თუ რა ბევრ ხანს შეუძლია თავისი ორეულის შენახვა? ეს პატივი და ეს კრძალვა განქრება იმ ჩიბუხის კვამლთან, რომელთ მწეველებთ დააქვთ ქუჩა-ქუჩა ეს ხატი.

ამ შემთხვევაში ბრალი თუ უბრალოება ადგილობრივი ყოვლად-სამღვდელოსი არ არის. ადგილობრივი ეპისკოპოსი აქ არის იმერეთის ეპისკოპოსი გაბრიელი. ჩვენ სრულებით დარწმუნებულნი ვართ გაბრიელ ეპისკოპოსის მაღალ და ძვირფას ღირსებებზე, მის განათლებულ გონებაზე და შეუდარებელ პატიოსნებაზე, მაგრამ ამ შემთხვევაში არ შეგვიძლია არ უთხრათ იმას – თქვენს სამწყოში წმინდა ხატს ჰყიდიან, ღვთაებრივი მადლით ვაჭრობენ და თქვენ კი არ უშლით მას“ (ლელო, ხატი იჯარით გაცემული, გაზ., „დროება“, 1880, IX, №198).

უგრყელის ხატ-სალოცავის ნიში.

სოფ. საჭურღულიო (ოდიშის საკრებულო)

ჩვენს მიერ მოპოვებული ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით, ყულის, ილორის და ყულიშკარის სალოცავიდან 2-3 კილომეტრზე მდებარე „ალერტი“-სა და „უგურყელი“-ს ხატ-სალოცავები ძმებად ითვლებოდნენ. ამათგან უფრო ძლიერად ჯერ ილორის, ხოლო შემდეგ კი ყულის ხატი მიიჩნეოდა. თუმცა, როგორც მთხრობლები გადმოგვცემენ, ყულის ხატი, ილორის ხატზე უფრო ძლიერი იყო იმ მხრივ, რომ მასზე „გადაცემულ“ („გინოჩამილ“) ადამიანს იქიდან თავის „ამოხსნა“ („ეშარსხება“ – გადაცემის მოხსნა) არ შეეძლო. ის „ხატზე გადასაცემ“ ხატად ითვლებოდა. ამ მხრივ ის ერთგვარი მსაჯულის როლს ასრულებდა, რომელიც ბრალმდებელსა და ბრალდებულს შორის წამოჭრილი დავის დროს „შემრიგებლის“, უმრავლეს შემთხვევაში კი „დამსჯელის“ როლში გამოდიოდა.

ყულის ხატზე „გადაცემა“ („გინოჩამა“) ეკლესიაში კი არ ხდებოდა (დღესაც ხდება), არამედ ყულის ეკლესიის ეზოში (ეკლესიისგან ხუთიოდ მეტრის დაშორებით, სამხრეთით) მდგარ „ურთხელის“ ხეზე (დღესაც დგას), რომლის პირდაპირ, სამიოდე მეტრის დაშორებით, მიწაში ჯვარია ჩასმული, იქვე დევს ჩაქუჩი და ლურსმანი.

ხატზე გადასაცემი წმინდა ურთხელის ხე

ყულიშკარის ეკლესიის ეზო

ხატზე გადაცემა ცალკეულ ადამიანებს შორის სხვადასხვა მიზეზების გამო სრულდებოდა: ქურდობა იქნებოდა ეს, მიწის თაობაზე დავა, ცილისწამება თუ სხვა შემთხვევა, უფრო განაწყენებული მხარე ანუ მომჩივანი, მეორეს შეუთვლიდა, რომ ყულის ხატზე წამოსულიყო თავის ცოლ-შვილიანად (ოჯახიანად) და იქ ფიცით დაემტკიცებინა მისთვის სიმართლე. ეს უკანასკნელი ხატთან მასთან წასვლაზე და თავისი „უდანაშაულობის“ იქ მტკიცებაზე უარს ვერ ეტყოდა იმის გამო, რომ ამ შემთხვევაში, ყველა მიხვდებოდა მის დამნაშავეობას და ხატის შიშით იქ მიუსვლელობის მიზეზადაც ეს ჩაითვლებოდა; და თუ წავიდოდნენ, „მეხატული“ („ხატის მნათე“) ორივე მხარეს ყულის ხატთან და იქ მდგარ წმინდა ხესთან დააჩოქებდა. „მეხატული“ პირველ სიტყვას მომჩივან მხარეს მისცემდა; ისიც თავის გასაჭირს „მოახსენებდა“ ხატს (თავის სიმართლეს ეტყოდა) და მას შესთხოვდა სიმართლის გარკვევას; თუ დამნაშავე იყო თავისი მოწინააღმდეგე, მისთვის სამაგიეროს გადახდას, ყულის ხატის გაწყრომას და მისი ოჯახის ამოწყვეტას, თუ თვითონ იყო მტყუანი, ე.ი. ტყუილს ამბობდა – ხატს თავისი თავის დასჯას შესთხოვდა. შემდეგ მეხატული ასპარეზს მეორე მხარეს უთმობდა, რომელიც მომჩივან მხარის ცილისწამებისთვის იგივეთი დასჯას შესთხოვდა ხატს. ამ დროს ლურსმნის ხეზე ჩაჭედება არ ხდებოდა. ხოლო სხვა შემთხვევაში, მეტწილად თუ დამნაშავე ანუ მისთვის ზიანის მომტანი ესა თუ ის პიროვნება ცნობილი არ იყო, დაზარალებული მივიდოდა ყულის ეკლესიის გვერდით მდგარ ხესთან; თან მიჰქონდა ერთი დიდი ლურსმანი, შესაწირად ფული და სანთელი; ამ ხის მოპირდაპირე მხარეს ჩარჭობილ ჯვართან დაიჩოქებდა, სანთელს აანთებდა, ხეს თავის გასაჭირს უამბოდა, ყულის წმ. გიორგის იმ ადამიანის სახელს და გვარს ეტყოდა, რომელიც ხატზე უნდა გადაეცა (თუ არ იცოდა ვინ იყო, მაშინ ის ხატს შესთხოვდა მოეძებნა და დაესაჯა) და „ურთხელის“ ხეზე (ხატზე გადასაცემი ხე) ლურსმანს ღრმად შემდეგი სიტყვების თქმით ჩაარჭობდა: „სოიშა ათე ლისმარი კიბირით ვენწყენი თეიშა, რსხება ვემერჩამუდასია“ (სანამ ამ ლურსმანს კბილით არ ამოხსნი, მანამ ხსნა არ მოგცემოდესო); თუ გადამცემს ხატი თავის სურვილს აუსრულებდა, მაშინ ის მას რამე შესაწირს ჰპირდებოდა, რომელიც იქვე უნდა დაეკლა ან გაეშვა ეკლესიის ეზოში.

მთხრობელთა გადმოცემით, ყულის ხატზე „გადაცემული“ ადამიანის თუ ოჯახის „ამოხსნაც“ („ეშარასხება“) შეიძლებოდა, ეს იმ შემთხვევაში თუ „გადაცემული“ ადამიანი თხოვნით მიმართავდა „გადამცემს“ „ამოხსნის“ მიზნით; ეს უკანასკნელი ამაზე ზოგჯერ თანხმობასაც აძლევდა. მაგრამ უმრავლეს შემთხვევაში გადამცემი მხარე ამაზე არ

xatze gadacema. ilori.

s. makalaTia.

თანხმდებოდა, მიუხედავად იმისა, რომ ეს ძველი წყენა მათ მიმართ შეიძლება დავიწყებულიც ყოფილიყო და შესაძლებელია ხატიდან ამოხსნა გადაცემულის მესამე (და უფრო მეტი) თაობის წარმომადგენელსაც ეთხოვა გადამცემის ოჯახის იმავე თაობის წარმომადგენლებისათვის; ხატიდან ამოხსნის საქმეში შეუთანმხებლობის (უარის თქმის) მიზეზი კი ის გახლდათ, რომ თუ გადამცემი მხარე, გადაცემულს „ამოიხსნიდა ყულის ხატის რისხვისგან“, მაშინ ძველი „გადაცემა“, „გადამცემს“ იგივე ფორმით უკან უბრუნდებოდა, რითაც მან ის თავის დროზე „გადასცა“. მაგრამ თუ გამონაკლის შემთხვევებში მაინც ხდებოდა გადამცემის მიერ გადაცემულის ამოხსნა, მაშინ ისინი ორივე ერთად (ორივე მხარე) უნდა მისულიყვნენ ხატთან ან წმინდა ხესთან, გადაცემულ მხარეს ხატისთვის შესაწირავი უნდა მიერთმია – ცხვრის, ქათმების, ფულის, სანთლების და სხვა სურსათ-სანოვაგის სახით და ეთხოვა როგორც ერთ, ისე მეორე მხარეს, რომ ყულის ხატის რისხვისგან ეხსნა, რამდენადაც ისინი ინანიებდნენ თავიანთი წინაპრის (თუ თავის) ცოდვებს. ამგვარ ქმედებას, ე.ი. ხატიდან გადაცემულის „ამოახსნას“ („ეშარსხება“), „ალობა“ ერქვა.

ყულიშ-კარის წმ. ხე – სამეგრელოსა და საერთოდ საქართველოში ფართოდ გავრცელებული ხის კულტის არსებობის ერთ-ერთი ნათელი გამოვლინებაა.

წმინდა ხეზე გადაცემის ფაქტები სამეგრელოს მაგალითზე ცნობილია და სათანადოდ არის აღწერილი ს. მაკალათიას მიერ ილორის და ალერტის ხატების მაგალითზე[1].



სამეგრელოში წმინდა ხის სალოცავები (კერპები) ცნობილი იყო „ჭყონ-დიდში“ (მარტვილი): იქ, სადაც დღეს მარტვილის წმ. გიორგის ეკლესია დგას, იდგა დიდი მუხა, რომელსაც ხალხი თაყვანს სცემდა და მსხვერპლად სწირავდა თავის შვილებს. [2] ასეთივე იყო სოფელ კორცხელში (ზუგდიდის რაიონი) გზისპირას მდგარი დიდი მუხა – „ჭყონ-მიოხვამუს“ სახელწოდებით [3] და სოფელ კულაშში მდგარი წმინდა მუხის ხე.[4] ასეთივეა სამეგრელოში ჟ. მურიეს მიერ აღწერილი წმინდა ხე[5].

[1] [illegible], [illegible], გვ. 351-353, 359-360.

[2] სამ. ყიფიანი, რამოდენიმე სიტყვა კერპთ და მცენარეთა თაყვანის მცემლობის შესახებ. გაზ. „მწყემსი“, 1887, 13 აპრილი №10; იხ. გ. ელიავა, ჭყონდიდი – მარტვილი, თბ., 1962, გვ. 14-15.

[3] ს. მაკალათია, დას. ნაშრომი, გვ. 363.

[4] ლ. ჯაში, სოფლის მასწავლებელი, გაზ. „მწყემსი“, 1884, №4.

[5] ჟ. ოურიერ, დას. ნაშრომი, გვ. 318.

ხატზე გადაცემა. ალერტი (მარტვილის რაიონი). ს. მაკალათია

წმინდა ხე, ჟ. მურიე

ხატზე გადაცემის წეს-ჩვეულება და წმინდა ხეებისადმი თაყვანისცემა გავრცელებული იყო გურიაში,[1] აფხაზეთში,[2] სადაც ხის სალოცავი საოჯახო სალოცავის სახითაც იყო ცნობილი.[3]

წმინდა ხეებისა და წმინდა ტყეების თაყვანისცემა ფართოდ იყო გავრცელებული აღმოსავლეთ საქართველოშიც – ქართლში,[4] კახეთში,[5] ფშავში[6] და როგორც ვ. ბარდაველიძე მიუთითებს, „მცხეთის სვეტიცხოვლის ეკლესიის ადგილზე ძველად მდგარა უზარმაზარი წმინდა მუხა, რომელსაც ხალხი თაყვანს სცემდა; მირიან მეფეს

---

[1] თ. სახოკია, მოგზაურობანი, ბათუმი, 1985, გვ. 75.

[2] О положении Абхазии в религиозном отношений, газ,. "Кавказ", 1968, №5. იხ. თ. სახოკია, დას. ნაშრომი, გვ. 402-403.

[3] პ. გიორგაძე, აფხაზეთი და აფხაზნი, გაზ., „ივერია“, 1888, №184.

[4] ვ. ბარდაველიძე-ლომია, ხის კულტი საქართველოში, საქართველოს მუზეუმის მოამბე, თბ., 1926, ტ. III, გვ. 164-166.

[5] Грузинские народные праздники, газ., "Кавказ", 1978, №229.

[6] ურბნელი, ეთნოგრაფიული წერილები, გაზ., ივერია, 1886.

გაქრისტიანების შემდეგ წმინდა მუხა მოუჭრია და მის ადგილზე ჯერ ხის ეკლესია აუშენებია, რომელიც შემდეგ ქვის ეკლესიით შეცვლილა“.[1]

წმინდა ტყეების არსებობა სვანეთის მაგალითზეც დასტურდება, საიდანაც ნაფოტის გამოტანაც კი ხალხის რწმენით ღვთის რისხვას გამოიწვევდა.[2] ხოლო ეგნ. გაბლიანის ცნობით, „მულახის საზოგადოებაში, სოფელ ზარდლაშის დასავლეთით მდებარეობს საეკლესიო ტყე, რომელსაც უწოდებენ სახელად „ხვამლი“-ს. ამ ტყის მოჭრის უფლება არავის არა აქვს. მის განაპირა გზის ახლოს ამოსულ ნაძვს სვანები თაყვანს სცემენ, მასზე პირჯვარს იწერენ და რაიმე საჩუქარს უტოვებენ. ასეთი სალოცავი ხეები სხვაგანაც მოიპოვება სვანეთში“.[3]

აქ ჩვენს მიზანს არ წარმოადგენს ამ ხატ-სალოცავის (და სხვა მისი მსგავსი) და რწმენა-წარმოდგენების ფართო წარმოჩენა; წარმართულ რწმენასთან დაკავშირებული საკითხები ამჯერად ჩვენი კვლევის ფარგლებს სცილდება, თუმცა აღვნიშნავთ, რომ ყულიშ-კარის ხატ-სალოცავის სახით ჩვენ საქმე გვაქვს, ზოგადად ხის მსახურების, ხის კულტის უნივერსალურ რწმენასთან, რომელმაც სხვადასხვა დროს, სხვადასხვა ეპოქაში შეიფარა ორი ღვთაება – „ჟინი ანთარი“ და „წმინდა გიორგი“, რომლებიც ასე „მშვიდობიანად თანაარსებობდნენ“ ამ ბოლო დრომდე.

ვ. ბარდაველიძის მასალებით, სვანეთში, „ყოველი ფარელი მოსახლე „იერენენსგას“ განმავლობაში ყოველდღიურად აცხობდა ლემზირებს დილა-საღამოს და სვანეთისა და საქართველოს სხვა კუთხეების სალოცავებს ადიდებდა. სვანეთის სალოცავების მოხსენიების შემდეგ ის ადიდებდა მეზობელი კუთხეების სალოცავებს, სადაც ილორის (ილორიშ საყდ რ), წალენჯიხის (წანდიხ შ საყდ რ) და სხვა სალოცავებს შორის, ყულიშკარის სალოცავსაც იხსენიებდა – „ყულიშგ რიშ საყდ რ“.[4]

ბროსე იხსენებს ყულ-ალავერდის წმ. გიორგის ხატს, რომელზედაც მას ამოუკითხავს: „ბრძანებითა გრიგოლის ძე დადიანი ლევანისათა, მომიბარებია თქვენ ჭურღულიებისა-თჳს, თუ ეს ხატი დაიკარგა ან მისი მოსავალი ქრისტეს საფლავს დააკლდა, ჩემდა ღალატით მოგკითხავთ. ამისი მოცალე არა კაცი გყავსთო: წმიდაო გიორგი, ესე ხატი შენი და მღვდელი დეკანოზი ამისი ჭურღულია ნიკოლა შეეწირა პირველს ლევანს დადიანს ქრისტეს საფლავისათჳს, და მას აქეთ დაძველებულ იყო, და კვალადვე გავაკეთებინეთ, ბრძანებითა (სიც) და შეწევნითა ჯვარის მამის იოაკიმისათა. ჩვენ ჭურღულიებ-მან გულაია, გერია-მ და კუჭუ-მ. წელსა უფლისასა ჩყიე!“[5].

2. წმ. გიორგის ნაეკლესიარი (სათირქიო)

[1] ვ. ბარდაველიძე, ტას. ნაშრომი, გვ. 171.
[2] Бартоломей. Поездка в вольную сванетию. Записки кавказского отдела императорского русского географического общества, к. III, тиф. 1855, под ред. Е.А. Вердеревского, გვ. 161-162.
[3] ეგნ. გაბლიანი. ძველი და ახალი სვანეთი, თბ., 1925, გვ. 134.
[4] ვ. ბარდაველიძე. სვანურ სალოცავ-დღეობანი. „ალმანდარი, ახალი წლის ციკლი, თბ., 1939, I, გვ. 60-61.
[5] ქრონიკები, ტ. III, თბ., 1967, წ. 3, გვ. 495-496.

სოფელ ყულიშკარში, სათირქიოს უბანში, ფანტი (მამუკა) თირქიას საცხოვრებელ ეზოში დგას ქვის ეკლესიის ნანგრევები. ნაშენია რიყის ქვისგან კირის დუღაბზე. შეინიშნება სხვა შენობათა საძირკვლის ნაშთებიც. შემორჩენილია აღმოსავლეთის, სამხრეთის და ჩრდილოეთის კედლის მაღალი ფრაგმენტები. Iრგვლივ მიმოფანტულია ჩუქურთმიანი ქვებიც. ეკლესია ჩანს საკმაოდ მაღალ ნაგებობას წარმოადგენდა და ადგილობრივთა გადმოცემით, წმ. გიორგის სახელობის იყო.

ყულიშკარის თემი თავად მხეიძეთა (ხუცთა) სათავადოს წარმოადგენდა [1] და ვფიქრობთ, ყულიშკარის ახალი წმ. გიორგის ეკლესიის აგებამდე ან შესაძლოა მასთან ერთადაც ის მათი კარის ეკლესია ყოფილიყო.

საყურადღებოა, რომ ს. მაკალათიას, სოფელ ყულიშკარგი ყულიშკარის წმ. გიორგის ეკლესიის გარდა მოხსენიებული აქვს „სარკის წმ. გიორგის“ ეკლესია, რომელშიც ეს ეკლესია უნდა იყოს ნაგულისხმევი[2].

3. ოხვამე-გოჭვილის ნაეკლესიარი

მთხრობელთა გადმოცემით, ყულიშკარის თემში ხის ეკლესია იდგა „ოხვამე გოჭვილად“ წოდებულ ადგილას, სადაც დღესაც შემორჩენილია ძველი სასაფლაო. გადმოცემით, „ეს ეკლესია, სადაც წმ. გიორგის სახელზე ილოცებოდნენ, ძველ დროში თურქებს დაუწვავთ და ამიტომ დაერქვა ამ ადგილს „ოხვამე გოჭვილი“ ანუ გადამწვარი სალოცავი. „ოხვამე გოჭვილის“ ძველ სასაფლაოში დიდი რაოდენობით ოქრო უპოვია ყულიშკარში მცხოვრებ ვინმე ფარნა გულუას, რომელსაც ის ბაზარში ჩალის ფასად გაუყიდია“.[3] სხვა ცნობებს ამ ეკლესიის შესახებ ჩვენ ვერ ვპოულობთ.

4. სათირქიოს ციხე

ყულიშკარში – სათირქიოში (თირქიების დასახლება)

[1] იხ. დ. ჭითანავა, სოფელ ყულიშ[illegible] ძიებანი, ტ. II, თბ., 2002.
[2] ს. მაკალათია, სამეგრელოს ისტო[illegible]
[3] მთხრ. ხარებავა ვალიკო კოწიას ძ[illegible] წ. ყულიშკარი.

ზემოთ ნახსენები წმ. გიორგის ეკლესიის სამხრეთით შემაღლებულ ბორცვზე არის რიყის ქვისაგან, კირის დუღაბზე აშენებული ციხის ნანგრევები, რომელიც მთლიანად აკონ-ტროლებს სამხრეთ-დასავლეთით მდ. ყულისწყლის ხეობას და იმავე ხაზზე ურთის მთისკენ თვალთვალის საშუალებას იძლევა. ის თავისი ფართობის სიმცირის გამო უფრო სათვალ-თვალო კოშკის შთაბეჭდილებას ტოვებს. ჩვენი აზრით, „სათირქიოს ჯიხა“ და „უჩაშონის ჯიხა“ ანუ „ნოჯიხი“ ერთმანეთთან კავშირში უნდა ყოფილიყვნენ. კერძოდ კი ზღვიდან და ურთის მთიდან წამოსული მტერი პირველად უჩაშონის ჯიხის სათვალავში უნდა მოხვედრილიყო, საიდანაც მტრის მოახლოებისთანავე სათირქიოს ჯიხისთვის ან კოშკისთვის ამის შეტყობინება ცხენოსნების საშუალებით ნახევარი საათის განმავლობაში შეიძლებოდა, აქედან კი, ჩვენი აზრით, ეს ორი ნაგებობა ემსახურებოდა ჭაქვინჯის ციხის თავდაცვას (რომელიც სათირქიოს ჯიხიდან 5-6 კილომეტრზე მდებარეობდა), რომელიც მთიან სამეგრელოში მტრის შეჭრის ერთ-ერთ უმთავრეს ხაზს კეტავდა. ამავე დროს ცნობილია, რომ ესა თუ ის სათავადო ციხის გარეშე წარმოუდგენელია და ვფიქრობთ ის უნდა ყოფილიყო თავად მხეიძეთა ციხე-სიმაგრე; როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ ,მათ აქ უნდა ჰქონოდათ კარის ეკლესია, რომელიც მისგან ორასიოდე მეტრში მდებარეობდა.

5. სოფლის არქეოლოგიური სურათი

ყულიშკარის თემში შემავალი სოფლები არქეოლოგიური თვალსაზრისით შეუსწავლელია და ამ მიკრორეგიონში სავსებით შესაძლებელია ამა თუ იმ ეპოქის საინტერესო არქეოლოგიური ძეგლი აღმოჩნდეს, რამდენადაც ჩვენი მთხრობლები ჩვენთან საუბარში ხშირად გვითითებდნენ ადგილებზე (საგვილიოში, ოხვამე გოჭვილში, სათირქიოში და სხვა), სადაც მიწის ხვნის დროს უნახავთ უამრავი ქვევრის ნამტვრევები (კერამიკული მასალა) და როგორც მთხრობელი გადმოგვცემს, საგვილიოს უბანში (გვილიების დასახლება) მათ მიწის ხვნის დროს მშვილდისრის პირიც კი უპოვიათ.[1]

საერთოდ კი უნდა აღინიშნოს, რომ ამ რეგიონის მოსაზღვრე სოფლებში სხვადასხვა ეპოქის მნიშვნელოვანი არქეოლოგიური ფენებია აღმოჩენილი. კერძოდ კი ყულიშკარიდან 5-6 კმ-ის დაშორებით სოფ. ოდიშში, მდ. ჯუმის მარჯვენა ნაპირზე მდებარეობს ოდიშის ნამოსახლარი; ის კავკასიაში აღმოჩენილი პირველ ნეოლითური ძეგლია, რომელიც 1936 წელს არქეოლოგმა ალ. კალანდაძემ გამოავლინა.[2] ხოლო ყულიშკარის ისეთ მოსაზღვრე სოფელში, როგორიც არის ახალსოფელი (რომლის დიდი ნაწილი უჩაშონის სახით ყულიშკარის თემის შემადგენლობაში შედიოდა); 1913 წელს, მდ. ჯუმის ნაპირას, გზის გასაყვანი სამუშაოების შესრულების დროს აქ მომუშავე ვინმე გვაჩი ჯაბუამ იპოვა კოლხური მონეტების განძი, რომელიც მოთავსებული ყოფილა თიხის ქილაში. აღმოჩნდა 5 ცალი მსხვილი მონეტა (დიდრაქმა) და წვრილი ნახევარდრაქმიანი 50 მონეტა. ამ განძის ნაწილი დაცულია (სამი ცალი) ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში, დანარჩენი კი საქართველოს

[1] მთხრ. გვილია ჟორჟი ვასილის ძე, დაბ. 1926, ყულიშკარი.
[2] ალ. კალანდაძე, მეზოლითურ და ნეოლითურ კულტურათა ნაშთები საქართველოში ენიმკის მოამბე, 1939, თბ., ტ. V, №3; იხ. საქართველოს არქეოლოგია, ქვის ხანა, თბ., 1991, ტ. I, გვ. 247.

სახელმწიფო მუზეუმში, ის წარმოადგენდა ძვ.წ.აღ. VI-V საუკუნეების სტატერებს (568-554 წ), რაც მეტად მნიშვნელოვან შენაძენად ითვლება ქართული ნუმიზმატიკის კვლევის საქმეში.[1]

სოფელი ალერტი

1. ალერტის წმ. იორგის სახელობის ხატ-სალოცავი (ეტიმოლოგია, სემანტიკა)[2]

„ალერტ-კარი“, ყულიშკარის თემში ადრე შემავალი ერთ-ერთი სოფლის სახელწოდებაა, რომელსაც საბჭოთა პერიოდში გრიგოლიში ერქვა (ამავე სოფლის მკვიდრ, რევოლუციონერ – გრიგოლ როგავას პატივსაცემად).

სახელწოდება „ალერტ-კარი“ სოფელმა მიიღო ამავე სახელწოდების („ალერტი“) წინაქრისტიანული ხატ-სალოცავისაგან, რომლის სახელზეც გასაბჭოებამდე სოფლის ცენტრში იდგა „ალერტ“-ის წმინდა გიორგის სახელობის ხის ეკლესია.

თვითონ სახელწოდება „ალერტი“, სამეგრელოში ცნობილი „ყულის“ და „ილორის“ ხატ-სალოცავებისაგან განსხვავებით, ვფიქრობთ, წმინდა თეონიმური წარმოშობისაა.

„ალერტის“ ანუ ამჟამად „ალერტის წმ. გიორგის“ სახელობის ხატ-სალოცავები სამეგრელოში კიდევ ორ ადგილას არის ცნობილი: მარტვილის რაიონის სოფელ ალერტში, სადაც ახლაც დგას ალერტის წმ. გიორგის სახელობის XIX საუკუნის ქვის ეკლესია და მეორე ალერტის ნიში – „ალერტ-ხარჩილ“-ის სახელწოდებით მდებარეობს წალენჯიხის რაიონის სოფელ ლეხარჩილეში[3] (ჯგალის თემი), რომელიც ჩვენ მიერ მოპოვებული ეთნოგრაფიული მასალის საფუძველზე ხარჩილავების გვარის სალოცავ ხატს წარმოადგენდა.[4]

ჩვენ მიერ ზუგდიდის რაიონის სოფელ ალერტ-კარსა და სოფელ ყულიშკარში მოპოვებული ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით, „ალერტის წმ. გიორგი“-ს ხატი აქ აფხაზეთიდან ჩამოუტანია ანთელავების გვარს და ამის გამო ამ ხატის „მეხატულეებად“ („მნათეებად“) მხოლოდ ამ გვარის კაცს ირჩევდნენ. აქვე ამ ხატის სახელზე აუგიათ ალერტის წმ. გიორგის სახელობის ხის ეკლესია, რომელიც საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ დაუნგრევიათ.[5]

---

[1] ს. მაკალათია, ახალი ტიპის კოლხური მონეტების აღმოჩენა, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, თბ., 1947, ტ. XIV , გვ. 425-428.

[2] იხ დ. ჭითანავა, თეონიმ „ალერტი“-ს ეტიმოლოგიისათვის, კრ. საქართველოს და ქრისტიანობა, თბ., 2001,

[3] ს. მაკალათია, სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, თბ., 1941, გვ. 364.

[4] დ. ჭითანავა, საველე-ეთნოგრაფიული მასალები, ჯგალი, 1998, რვ. №2, გვ. 40.

[5] დ. ჭითანავა, საველე-ეთნოგრაფიული მასალები, ყულიშკარი, 1998, რვ. №2, გვ. 20.



ალერტ-ხარჩილის ნიში.

წალენჯიხის რ-ნის სოფ. ლეხარჩოლე (ჯგალის თემი)

(ს. მაკალათია)

მთხრობელთა გადმოცემით, ალერტის წმ. გიორგის ხატობა, 10 ნოემბერს იმართებოდა. ამ დღეს მლოცველები სალოცავად, ჯერ „ყულის“ ხატზე უნდა მისულიყვნენ, სადაც ამ დღეს იკვლებოდა თემის წევრთა მიერ საერთო ხარჯით ნაყიდი ხარი, რომელსაც „ენთარ“ ხარს უწოდებდნენ, ხოლო ლოცვას კი – „ჟინი ანთარს“. ამ ლოცვის შესრულების შემდეგ კი მლოცველები ვალდებულნი იყვნენ შესაწირავების ნაწილი იქვე, ყულის სალოცავიდან ორ კილომეტრზე მდებარე ალერტის სალოცავისთვისაც მიერთმიათ და იქაც ელოცათ.

მთხრობელთა გადმოცემით, ყულის წმ. გიორგის ხატი უფრო ძლიერ ხატად ითვლებოდა, ვიდრე ალერტის წმ. გიორგი -სა.

ზოგჯერ ხდებოდა ისეც, რომ ამ ხატობა დღეს (10 ნოემბერი), რომელიც ილორში, ყულსა და ალერტში ერთდროულად ტარდებოდა, მლოცველები ჯერ ილორში წავიდოდნენ შესაწირავებით, ხოლო ბოლოს კი ალერტის წმ. გიორგის სალოცავში ილოცებოდნენ“.

„ყულის“ „ილორის“, „ალერტი“-სა და „უგურყელი“-ს ხატ-სალოცავები (ეს უკანასკნელი მდებარეობს ზუგდიდის რაიონის სოფ. საჭურღულიოში, დღევანდელი ოდიშის საკრებულო, რომელიც ჭურღულიების გვარის სალოცავ ხატს წარმოადგენდა) ძმებად ითვლებოდნენ; ზოგადად მათ სახელწოდებებში ლინგვისტური თვალსაზრისით საერთო არაფერია და სახელწოდებებს „ყულ“-სა და ილორს“, თეონიმური წარმოშობა არ უდევს საფუძვლად[1].

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ „ალერტ“-ს მთხრობელები არა ცალკე, არამედ „ყულის ალერ-ტი“-ს და „ილორის ალერტი“-ს ფორმით იხსენიებენ.

[1] იხ. დ. ჭითანავა, ყულიშ-კარის ეტიმოლოგიისათვის, კრ. ისტორიულ-ეთნოგრაფიული ძიებანი, ტ. IV, თბ., 2002, გვ. 431-445.

ს. მაკალათია, ალერტის სალოცავს, რომელიც მარტვილის რაიონის ამავე სახელწოდების სოფელში მდებარეობს, შემდეგნაირად გვიხასიათებს: ალერტის წმ. გიორგი ითვლებოდა ძლიერ ხატად მთელს სამეგრელოში; ნოემბრის პირველ ხუთშაბათს ოჯახებში იხდიდნენ „საალერტო“-ს, რომელიც დაწესებული იყო სურდო-ხველისა და სხვა მოარულის წინააღმდეგ. სალოცავ საალერტოსათვის წლის დასაწყისშივე ერთ ვარიას დააყენებდნენ იმ პირობით, რომ მისი ნამრავლი უკლებლივ ალერტის წმ. გიორგისათვის შეეწირათ. ალერტობას ამ ვარიის ნამრავლ ქათმებს დახოცავდნენ, გამოაცხობდნენ კვერებს და ოჯახის უფროსი დიასახლისი ყველა ამას ხონჩაზე დაალაგებდა და კერის ნაპირას მისდგამდა. დიასახლისი კერასთან დაიჩოქებდა, ალერტის წმ. გიორგის შეევედრებოდა, რომ მან მისი ოჯახის წევრები დაიფაროს სურდო-ხველისა და ყოველგვარ მოარულისაგან. ვისაც დათქმული ჰქონდა, იგი საწირ-საკლავით მიდიოდა ალერტში და იქ ალერტობას ღამეს უთევდა და ევედრებოდა ალერტის წმ. გიორგის.

ხალხური გადმოცემით, ალერტისა და ილორის წმ. გიორგი ძმებიაო. ალერტი ითვლებოდა ჩაჩიბაიების საგვარეულო ხატად. მათი წინაპარი წამოსულა ბიჭვინთიდან და თან წამოუღია ილორის წმ. გიორგის ნაწილი, რომელიც ჩაჩიბაიას ყელზე შეუბამს. ჩაჩიბაიას იქიდან გამოჰყოლია პერტაიაც და მათ სოფელ ალერტში აუშენებიათ პატარა საჯვარე და ეს ნაწილიც აქ დაუსვენებიათ... ხატობა აქ იცოდნენ 23 აპრილს და 10 გიორგობისთვეს. სალოცავად ხალხი მიდიოდა სამეგრელოს ყველა კუთხიდან და აგრეთვე აფხაზეთიდანაც. ხატის მნათეებს ჩვეულებრივ კენჭისყრით ირჩევდნენ. პირველად ირჩევდნენ ჩაჩიბაიასა და გოგიას გვარიდან, შემდეგ კი სხვა გვარებიდან, რომლებიც მოსახლეობდნენ სოფ. ალერტში. ალერტობას აქ მოდიოდნენ უმთავრესად ისინი, ვისაც ჰქონდა რაიმე საწყევარი და უნდოდა ვინმეს დაწყევლა და ხატზე გადაცემა – „გინოჩამა“...[1]

ნ. თოფურიას მასალებით, „ალერტობა“ მარტვილის რაიონის სოფელ ალერტში 23 აპრილს და 10 ნოემბერს იმართებოდა. სალოცავად ბევრი ხალხი მიდიოდა, თითქმის მთელი სამეგრელო ლოცულობდა. შესაწირავად ბევრი საქონელი მიჰყავდათ: ხარი, მოზვერი, ბატკანი, მამალი ქათმები. შეწირულ საქონელს გარშემო სალოცავს შემოავლებდნენ და მის სახელზე გაუშვებდნენ. მისი დაკვლა არ შეიძლებოდა. შესაწირავად აგრეთვე ფული და სანთელიც მიჰქონდათ. საალერტო ღვინოს შემოდგომით ჩაასხამდნენ, რომელსაც უვლიდნენ და თაყვანს სცემდნენ. მის დღეობას 10 ნოემბერს ერთ ბოთლს ხატს გაუგზავნიდნენ, დანარჩენს ოჯახში მოიხმარდნენ, მისი გაყიდვაც არ შეიძლებოდა“.[2]

გ. ელიავას დაკვირვებით, „ალერტობა“ ანუ „ადერტობა“ მთელს სამეგრელოში, ძირითადად კი სოფელ კიწიასა და ნოდაში საოჯახო სალოცავიც ყოფილა გაზაფხულსა და შემოდგომაზე, რომლის შესრულების დროსაც ალერტის წმ. გიორგის ოჯახის სიკეთესა და სიუხვეს შესთხოვდნენ“.[3]

გ. ელიავას მიერ მარტვილის რაიონის სოფელ ალერტში ჩაწერილი მასალის მიხედვით, თეონიმ ალერტის ხალხური ახსნა ასეთია: „იქ სადაც ეკლესიაა აშენებული, იმ ადგილებში სპარსთა ლაშქარი მდგარა, შეშინებული ხალხი მთებში გახიზნულა. მხოლოდ რამდენიმე კაცი დარჩენილა – გამოქვაბულიდან ამათ უყვირეს თურმე „ათაშ ალერტი“ – ასე გამოიქეცი, ასე ძალულად გამოუსხლტდი მტერს ხელიდანო. ამის შემდეგ შემორჩა ამ

---

[1] ს. მაკალათია, დას. ნაშრომი, გვ. 358-359.

[2] ნ. თოფურია, ღვინის ზედაშეები, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, თბ., 1963, ტ. XII-XIII, გვ. 164-165.

[3] გ. ელიავა, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, თბ., 1997, გვ. 17-18.

ადგილს ეს სახელწოდება. აქ სალოცავად ყოფილა დიდი მუხა, რომელსაც ხალხი მსხვერპლს სწირავდა“.[1]

გ. ელიავას მიერ ზემოთ მოყვანილი ამ სიტყვის ხალხური განმარტება „ათაშ ალერტი“-ს სახით, რომელიც „დაღმართით გაქცევას“ ნიშნავს, ჩვენთვის მიუღებელია, რამდენადაც ალერტის ეტიმოლოგია ქართველი ხალხის უძველეს, წარმართობისდროინდელ რწმენა-წარმოდგენებში უნდა ვეძებოთ და მისი ადრინდელი მნიშვნელობა ხალხში მივიწყებული ჩანს.

ო. ხუხუა, თავის საგაზეთო წერილში – „წარმართული ღვთაება ალერტი“-ს შესახებ, ცდილობს ამ თეონიმის ახსნას. ავტორის სიტყვებით რომ ვთქვათ, „შეგვიძლია ვირწმუნოთ, რომ იმ ძველ წარმართულ ღვთაებას ერქვა „ალერტი“ და, ბუნებრივია, აქედან სახელწოდება სოფელზეც გადასულიყო (ლაპარაკია მარტვილის რაიონის სოფელ ალერტზე – დ.ჭ.), იგი (ალერტი) უძველესი კოლხური (მეგრული) სიტყვაა, აღნიშნავს ავტორი, სადაც „ალერტ“-ში – „ტი“ მაწარმოებელი სუფიქსია გეოგრაფიული სახელებისა, რომ „ალერტში“ „ტი“ აფიქსი დართვია მიმღეობას „ალერი“, რაც ნიშნავს „შეწყალებულს“ და, მისივე აზრით, მეგრული საეკლესიო გამოთქმა „ალობა მეჩ“ ქართულად ნიშნავს „შეიწყალა“ (ალობა=შეწყალება // ალებური – შეწყალებული – ო.ხ.). ავტორის აზრით, დღეისათვის „ალერი“ უხერხულად ჟღერს, მაგრამ იმ უძველესი დროისათვის, განაგრძობს ავტორი, ეს სრულიად არ იქნებოდა უჩვეულო, რომელ „ალებურ“ სიტყვაში ორმაგი მიმღეობა გვაქვს და იგი მიღებულია „ურ“ სუფიქსის დართვით, რაც საბოლოოდ გვაძლევს მიმღეობას; „ალერში“ კი მიმღეობის მაწარმოებელი „ურ“ სუფიქსი უშუალოდ ერთვის სიტყვის ძირს „ალ“ და გვაძლევს მიმღეობას „ალერი“. როგორც ვხედავთ, აღნიშნავს ავტორი, ღვთაების სახელში „ალ-ერტი“, გვაქვს ორმაგი წარმოება და იქვე დასძენს, რომ ზუგდიდურ-სამურზაყანოულ კილოში მეგრული სიტყვა „ტალერი“ ნიშნავს „ტალებურს“ – ახსნილს, გაშვებულს...[2]

ო. ხუხუას ზემოთ წარმოდგენილი მოსაზრებების საწინააღმდეგოდ საკმარისია აღინიშნოს ისიც, რომ „ალერტ“-ში „-ტი“ სუფიქსის გამოყოფა, როგორც გეოგრაფიული სახელწოდებების მაწარმოებელი სუფიქსისა მართებული არ არის, რადგანაც „ტი“ დაბოლოების მქონე გეოგრაფიული სახელები საქართველოს მაგალითზე გვხვდება გვართა და პირთა სახელების დაბოლოებებში, რომელიც პ. ინგოროყვას აზრით (რომელსაც ზემოთ მოყვანილი ავტორიც იმოწმებს), „ტი“, „თი“-ს სახენაცვალი ფორმა უნდა იყოს და იგი, ე.ი. „ტი“ ქართული ენის სხვადასხვა დიალექტებშია წარმოქმნილი.[3] ხოლო გამომდინარე აქედან, ო. ხუხუას მიერ „ალებურად“ („შეწყალებულად“) ამ თეონიმის გაგება დაზუსტებას მოითხოვს, რადგან „ალობი“-ს მსგავსი სალოცავი სამეგრელოში არ არსებობს და მისი სახით („ალობა“) ჩვენ სულ სხვა სახის წეს-ქმედებასთან გვაქვს საქმე.

ნ. წულეისკირის მიხედვით, „ალერტობა“, ისეთი დიდი საეკლესიო დღესასწაული იყო საჭყონდიდლოში, რომ შეუძლებელია მას დიდი ისტორია არ ჰქონდეს. „ალერტობა“, აღნიშნავს ავტორი, თითქმის იგივეა, რაც „ალავერდობა“. მისი აზრით, „ალავერტიცა“ და „ალავერდიც“ ორივე წმ. გიორგის სალოცავია და ნამდვილი ძველი საეკლესიო დღესასწაული ალერტობაა და არა ალავერდობა. ავტორი უარყოფს თურქულ სიტყვა „ალაჰ-ვერდთან“ მის იგივეობას და ამ თეონიმების (ალერტი//ალავერდი), ძირეულ სიტყვად

---

[1] გ. ელიავა, აბაშისა და გეგეჭკორის რაიონების ტოპონიმიკა, თბ., 1977, გვ. 152.

[2] ო. ხუხუა, წარმართული ღვთაება ალერტი, გაზ., „შრომის დროშა“, გეგეჭკორი, 6 ოქტომბერი, 1966.

[3] პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, თბ., 1954, გვ. 95-98, ასევე იხ. ს. ჯანაშია, მრავლობითი რიცხვის – თა/-თ სუფიქსის ეტიმოლოგიისათვის, შრომები, თბ., 1959, ტ. III, გვ. 153-154.

„ალერდ“-ს მიიჩნევს, რომელიც სულხან-საბას განმარტებით „ნედლ თივას“ ნიშნავს და მას ქართული წარმართული პანთეონის მცენარეულ კულტს უკავშირებს.[1]

ჩვენი აზრით, თვით სახელწოდებების „ალერტი“-სა და „ალავერდი“-ს ერთმანეთთან გაიგივება მარტო იმ ფაქტით, რომ ისინი ორივე წმინდა გიორგის სალოცავებია, საკმარისი არ არის. თუმცა ავტორს სავსებით ვეთანხმებით იმაში, რომ ალერტისა და ალავერდის თურქულ სიტყვა „ალაჰ-ვერდთან“ გაიგივება დაუშვებელია, მაგრამ ასევე დაუშვებლად მიგვაჩნია სამეგრელოს მაგალითზე ალერტის სალოცავის „ნედლი თივის“ სახელწოდება „ალერდ“-თან გაიგივების შესაძლებლობა, რადგანაც თვითონ „ალერდი“-ს სახელწოდების არც მცენარისა და არც სხვა რაიმე მგსავსი სალოცავის არსებობა არ დასტურდება.

თავის დროზე ი. ყიფშიძემ, „ალერტი“, „ალავერდის“ შემოკლებულ ფორმად მიიჩნია.[2]

თეონიმ „ალერტი“-ს ეტიმოლოგიისათვის, როგორც ზემოთ ითქვა, პირველ რიგში, ჩვენთვის საყურადღებოა ის ფაქტი, რომ „ილორის“, „ყულისა“ და „ალერტის“ წმ. გიორგის სალოცავები ძმებად ითვლებოდნენ. ეს მომენტი კი გვაფიქრებინებს, რომ ისინი სამივე ერთი და იმავე ფუნქციის მქონე სალოცავებს წარმოადგენენ. თუმცა, ამათგან ილორისა და ყულის ხატი უფრო ძლიერ ხატებად, ანუ ხატ-სალოცავებად ითვლებოდნენ, ვიდრე ალერტისა.

გამომდინარე იქიდან, რომ სახელწოდებები „ყული“ და „ილორი“ თეონიმური წარმოშობისა არ გახლავთ, რელიგიური თვალსაზრისით არაფერს არ იძლევა ამ ხატ-სალოცავების ფუნქციისა და მნიშვნელობის დასადგენად. თუმცა იმის ნათელსაყოფად, თუ რა სახის სალოცავებთან უნდა გვქონდეს საქმე „ყული“-ს, „ილორი“-სა და „ალერტი“-ს სახით, პირველ რიგში ყურადღება უნდა გავამახვილოთ აქ წმ. გიორგის დღესასწაულის დღეს (10 ნოემბერს) შესრულებული რიტუალის სახელწოდებაზე, რომელიც „ჟინი ანთარი“-ს სახით არის ცნობილი და რომლის სალოცავებსაც ჩვენს მიერ მოპოვებული მასალის მიხედვით, „ყული“-ს და „ილორის“ სალოცავები წარმოადგენდნენ.

მეგრული „ჟინი ანთარი“ და აფხაზური „აჲთარი“ (რომელთა იგივეობაც ეჭვს არ იწვევს) სამეგრელოსა და აფხაზეთში მესაქონლეობის მფარველ ღვთაებად იყო ცნობილი და მის სახელზე ლოცვას ოჯახშიც ასრულებდნენ.[3]

ი. ყიფშიძემ „ანთარი“, არაბულ სიტყვად მიიჩნია, რომელიც „რჩეულს“, „საუკეთესოს“ ნიშნავს და, ავტორის სიტყვებით რომ ვთქვათ, „ანთარის ასე გადმოცემაში არავითარ ფონეტიკურ სიძნელეებს არ ვაწყდებით“.[4]

ნ. მარს, „ანთარი“-ს ეტიმოლოგიისას ი. ყიფშიძისგან სრულიად განსხვავებული მოსაზრება აქვს გამოთქმული. მისი თქმით, „აქადურ-ლურსმულ წარწერებში „ან“ იდეოგრამა აღნიშნავს ღმერთს, ხოლო თვითონ „ან“-ი ღმერთის მნიშვნელობით გაიგება აფხაზური მრავლობითი რიცხვის სიტყვაში ანთა (ღმერთი), რომელშიც თა დაბოლოება მრავლობითი

---

[1] ნ. წულეისკირი, ბრძოლა სატანასთან, თბ., 1990, გვ. 189-190.

[2] ი. ყიფშიძე, რჩეული თხზულებანი, თბ., 1994, გვ. 397.

[3] И. Кобалия, Из мифической колхиди, Сборник материялов по описанию местностей и племен кавказа, 1903, т. 32, отд. 2, გვ. 99-100. ასევე იხ. Н. Джанашия, Религиозния верования Абхазов, Христианский восток, 1915, т. 4, вип. 1, გვ. 80-81. იხ. ს. მაკალათია, ჯეგე-მისარონის კულტი ძველ საქართველოში, თბ., 1938, გვ. 10, მისივე, სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, თბ., 1941, გვ. 329.

[4] ი. ყიფშიძე, დას. ნაშრომი, გვ. 399.

რიცხვის ნიშანია, ხოლო „ა“ აფხაზური მსაზღვრელი ნიშანი და ის შედარებით ახალი წარმონაქმნია“.[1]

ივ. ჯავახიშვილის შეხედულებით, მეგრული „ანთარი“ და აფხაზური „აჲთარი“ ერთი და იგივე ღვთაება უნდა იყოს. ავტორი, ამ ღვთაების უძველეს და სრულ სახედ ხევსურულ „ანატორს“ მიიჩნევს, რომელსაც „ანა“ და „ტორ“-ისაგან წარმოქმნილად თვლის. ისევე აზრით, პირველი „ანა“ უდრის აფხაზურ „ან“-ს ღმერთს და შუმერულ „ან“ „ანნა“, ბაბილონურ „ანუ“ „ანოს“, ზეციურ ღვთაებას. მეორე ნაწილი კი უდრის არამეულში გავრცელებულ საკუთარ სახელს ტური, რომელიც ავტორისავე აზრით, რთულ ორნაწილედ სიტყვებში იხმარება, როგორც მაგალითად, „სირ-ტური“, „ადუნი ტური“ და თვით აფხაზურს მთლად მიმსგავსებული „აჲ-ტური“.[2]

მეგრული „ჟინი ანთარი“-სა, აფხაზური „აჲთარი“-სა და ხევსურულ „ანატორის ჯვარს“ შორის არსებულ ნათესაობაზე, ივ. ჯავახიშვილის მიერ წამოყენებული მოსაზრება შემდგომში თ. ოჩიაურმაც გაიზიარა.[3]

ს. მაკალათიას აზრით, აფხაზური „აჲთარი“ და მეგრული „ჟინი ანთარი“ არის „ავესტაში“ მოხსენიებული იაზატა (კეთილი სული – ს.მ.) ადარ-ატარ-თარი, რომელიც ცეცხლის ღვთაება იყო, და ის „ავესტაში“ წოდებულია აჰურა-მაზდას შვილად. ათარი, როგორც ცეცხლის ღვთაება, ოჯახთან მეტად ახლოს იდგა, შეიძლება ითქვას, რომ ის ოჯახის კერაზე იჯდა და მის მფარველ ღვთაებად ითვლებოდა.[4] ავტორისავე აზრით, „ათარის“ კულტის არსებობა კი თავისთავად ჰგულისხმობს მითრას კულტის ჩვენში არსებობას,[5] რომლისთვისაც, ე.ი. მითრასათვის, ხაზს უსვამს ავტორი, ჩვენში ხუთშაბათი დღე ყოფილა მიკუთვნებული, რომელიც ბრწყინვალე ზეცის მეფედ ითვლებოდა და მზის, მთვარისა და ვარსკვლავების დახმარებით ბნელ ძალებს გამუდმებით ებრძოდა“.[6]

ა. ტუღუში, არ იზიარებს ივ. ჯავახიშვილისა და ს. მაკალათიას მიერ „ანთარ“-თან დაკავშირებით გამოთქმულ მოსაზრებებს. ავტორის აზრით, ივ. ჯავახიშვილის მიერ „ან“ სიტყვის ახსნა სწორია, მაგრამ, მისივე თქმით, ამას ვერ ვიტყვით მეორე სიტყვაზე – „თარი“ და იქვე დასძენს, რომ მას სავსებით გაუგებრად მიაჩნია ღვთის სახელთან ჩვეულებრივი მოკვდავის არამეული სახელის შეზრდის მიზეზი, ხოლო ს. მაკალათიას მოსაზრების მიხედვით „ანთარი“-ს, „ანთარ“-ად გადაქცევა მეგრულისთვის ფონეტიკურად სავსებით დასაშვებია, მაგრამ ამავე დროს „ავესტის“ ანთართან მის კავშირს შეუძლებლად მიიჩნევს, რომელ „ან“-საც, ა. ტუღუში, უდარებს სვანურ „ᲓᲐᲜ“-ს, რომელიც ვ. ბარდაველიძის გამოკვლევით მთვარის ღვთაების სვანური სახელი უნდა ყოფილიყო.[7]

ა. ტუღუშს „თარი“ ამ ღვთაების ეპითეტად მიაჩნია, რომელიც, ავტორის სიტყვებით რომ ვთქვათ, მეგრულში დღესაც ცოცხალი სიტყვაა და „გამოჩენილ“, „ძლიერ კაცს“ ნიშნავს („თარ კოჩი“ – ა.ტ.) და მისივე აზრით – „თარი“ მეგრულში ქართული სიტყვა მთვარის

---

[1] Н.Я. Марр, Кавказоведение и абхазский язык, петр. 1916, გვ. 25.
[2] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, თბ., 1951, გვ. 84.
[3] თ. ოჩიაური, მითოლოგიური გადმოცემები აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, თბ., 1967, გვ. 72.
[4] ს. მაკალათია, ჯეგე-მისარონის კულტი ძველ საქართველოში, თბ., 1938, გვ. 11.
[5] ს. მაკალათია, ღვთაება მითრას კულტი საქართველოში, თბ., 1927, ცალკე ამონაბეჭდი კრებულიდან, საქართველოს მუზეუმის მოამბე, III, თბ., 1927, გვ. 186.
[6] ს. მაკალათია, სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, თბ., 1941, გვ. 306.
[7] ა. ტუღუში, ერთი ქართული წარმართული ღვთაების გამო, „ცისკარი“, თბ., 1988, №2, გვ. 157; იხ. ვ. ბარდაველიძე, ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან IV, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, თბ., 1951, V, გვ. 55-56.

შესატყვისია და საბოლოოდ ასკვნის, რომ „ანთარი“ უნდა ნიშნავდეს „დიდს“ ან „უპირველესს“, რომელიც ადრე ცის ღვთაება უნდა ყოფილიყო.[1]

ბ. კუფტინის აზრით, ანთარ//ანატორ//ადთარი შეიძლება უკავშირდებოდეს შუმერული თქმულების თამუზის იდეოგრამა -თჭღ-ძI-ს.[2]

შ. ინალ-იფამ, აფხაზური „ადთარი“, ხეთების ჭექა-ქუხილის ღვთაება – „თარუ“-სთან გააიგივა.[3]

ნ. აბაკელიამ, „ჟინი ანთარ“-თან დაკავშირებით ყურადღება მიაქცია მის პირველ კომპონენტს „ჟინი“-ს, რომელიც, როგორც თვითონ მიუთითებს, გვხვდება ღვთაებების სახელებთან „ჟინი ანთარი“, „ჟინიში ორთა“ და „ჟინიში“; ავტორისავე აზრით, აქ შესაძლებელია საქმე გვქონდეს სამი სახელით შემორჩენილ ერთი და იმავე ცის პოლიფუნქციურ უზენაეს ღვთაებებთან, რომელიც განვითარების გარკვეულ საფეხურზე განაგებს როგორც ფიზიკურ სფეროს, ასევე მორალურსაც. მისივე თქმით; „ჟინი ანთარი“-ს სახით შესაძლოა საქმე გვქონდეს ცის ისეთ ღმერთთან, როგორიც გვხვდება ბაბილონურ, ვედურ, ბერძნულ, რომაულ და სხვა რელიგიებში, ე.ი. ზოგადად უნივერსალურ მოვლენასთან, რომელიც, სამეგრელოს კონკრეტულ ვითარებაში „ჟინი ანთარი“-ს სახითაა წარმოდგენილი და ის, შესაძლოა, კოლხური ღვთაება იყოს, რომელი რელიგიაც, როგორც ყოველი რელიგია, თავის ადრინდელ ფაზებში ემყარება ბუნების უშუალო პერსონიფიკაციას“.[4]

მეგრულ „ჟინი ანთარ“-თან და აფხაზურ „ადთარ“-თან დაკავშირებით, ზემოთ წარმოდგენილ ავტორთა მოსაზრებებიდან ჩვენ ვიზიარებთ იმ აზრს, რომ მეგრულ-აფხაზური ანთარ//ადთარი-ს სახით ჩვენ ზოგადად ცის თაყვანისცემის უნივერსალურ მოვლენასთან გვაქვს საქმე, რომელზეც, როგორც ნ. აბაკელიას კვლევით გამოჩნდა ამ ღვთაების სახელის წინ მოთავსებული მეგრული სიტყვა „ჟინი“-ც მიუთითებს, რაც „ზედა სამყაროს“, „ზევითურს“ ნიშნავს, მაგრამ ასევე არ გამოვრიცხავთ ს. მაკალათიას მოსაზრების სისწორეს „ანთარი“-ს ანუ „ადთარი“-ს მითრას კულტთან დაკავშირების თაობაზე, რომელიც „სინათლის ღვთაებაა და ავესტაში მზედ და აჰურა-მაზდას თვალად იწოდება, რომლის სამფლობელო ნათელი ცაა და ყველა ციური მნათობებიც მას ემორჩილებიან“.[5]

ჩვენს მიერ მოპოვებული ეთნოგრაფიული მასალიდან გამომდინარე, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ილორის, ყულის და ალერტის სალოცავები ძმებად ითვლებოდნენ და, თუ მივიღებთ ეთნოგრაფიულ მასალაზე დაყრდნობით იმ მოსაზრებას, რომ ისინი ჟინი ანთარ//ადთარი-ს ანუ „ცის ღმერთის“ სალოცავებს წარმოადგენდნენ, მაშინ ჩვენთვის საინტერესო თეონიმის ეტიმოლოგიისას ყურადღებას იქცევს ერთი აფხაზური საგალობელი, სადაც „ადთარ“-თან ერთად მოხსენიებულია სიტყვის „ტლარ“ და „ეტლარ“ ფორმა, რომელიც ჩვენთვის საინტერესო „ალერტ“ ფორმის იდენტურად მიგვაჩნია. კერძოდ კი, როდესაც აფხაზეთში მეხნაკრავი პირუტყვი კვდება (რასაც აქ დიდ ცოდვად თვლიან) აფხაზები მაშინვე შეუდგებიან ამ წმინდა პირუტყვის „გასვენებას“ შემდეგი გალობით:

„ვაᲐ ტლარ!

---

[1] ა. ტუღუში, დას. ნაშრომი, გვ. 158.

[2] Б.А. Куфтин, Материалы к археологии колхиды, 1949, т. I, გვ. 253.

[3] Ш.Д. Инал-ипа, Вопросы этно-культурной истории абхазов, сух. 1976, გვ. 141.

[4] ნ. აბაკელია, ცის თაყვანისცემა დასავლეთ საქართველოში (ღვთაება „ჟინი ანთარი“), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის „მოამბე“, 1983, №2, გვ. 145, 147, 150.

[5] ს. მაკალათია, სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, თბ., 1941, გვ. 306.

ადთარ ეტლარ!

ეტლარ ჩოფჰარ!

ჩოფჰარ ეტლარ!“[1]

თავის დროზე ივ. ჯავახიშვილმა ყურადღება მიაქცია ამ საგალობლის არსს და აღნიშნა, რომ „ეტლარ“ შეიძლება აფხაზური მრავლობითი რიცხვი იყოს სიტყვისაგან „ეტლი“, რომელიც ნიშნავს მნათობს, ხოლო „ადთარი“ ღვთაების სახელია და ამასთანავე, აღნიშნავს ავტორი, რაკი საგალობელში ნათქვამია „ადთარ ეტლარ“, შეიძლება ვიფიქროთ, რომ ამავე დროს „ადთარი“ – მნათობი ღვთაება ყოფილიყოს.[2]

უნდა აღინიშნოს, რომ ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში „ეტლი“ განმარტებულია, როგორც „ცთომილი“, „ვარსკვლავი“,[3] ხოლო იმავე ლექსიკონის მიხედვით „ცთომილი – იგივეა, რაც „პლანეტა“.[4]

მაშასადამე, ზემოთქმულიდან გამომდინარე, ჩვენ მიერ საინტერესო თეონიმის – „ალერ-

ტი“-ს კავშირს ეტლთან ანუ მნათობთან, რომელიც, როგორც ზემოთ ვნახეთ, აფხაზური „ტლარ“, „ეტლარ“ ფორმით არის გადმოცემული – სავსებით დასაშვებად მივიჩნევთ. კერძოდ კი „ეტლის“, „ერტი“-ს ანუ „ალ-ერტი“-ს სახით ჩვენ საქმე გვაქვს მნათობ ღვთაებასთან, რომელიც მჭიდრო კავშირშია „ჟინი ანთართან“ ანუ „ადთართან“ – „ცის ღმერთთან“, „ცის მფლობელთან“, ხოლო „ერტი“ ანუ ეტლი, ჩვენი აზრით, ამ ცის შიგნით მოქცეულ რომელიღაც პლანეტას ანუ ვარსკვლავს, მნათობს წარმოადგენდა, რომელსაც ჩვენი წინაპრები თაყვანს სცემდნენ განვითარების გარკვეულ საფეხურზე. აქედან გამომდინარე, ვფიქრობთ, მთლიანობაში „ალ-ერტი“, კაშკაშა, მანათობელ ვარსკვლავს ნიშნავს, რომელი სიტყვის შემადგენელი „ალ“ თავსართი, ვფიქრობთ, დამოუკიდებელი სიტყვა უნდა ყოფილიყო და მეგრული „ალ “ და ქართული „ალი“-ს იდენტურად გვეჩვენება და ის ცეცხლის მნათ ნაწილს, ცეცხლიდან „ანადენს“ – „სიკაშკაშეს“ ნიშნავს.

„ალ-ერტში“, „ალ“ თავსართის, „ალი“-ს მნიშვნელობით გამოყოფის სასარგებლოდ მეტყველებს „ალერტი“-ს იმერულ კილო-თქმაში შემორჩენილი ფორმა „ალიორტობა“, რომელიც აქ „საღვთო სალოცველი“ ყოფილა.[5]

„ალ-ერტ“-ში „ალ“ თავსართის ქართული „ალი“-ს მნიშვნელობით ცალკე გამოყოფა და „ერტ“-თან კავშირი, რომელსაც მნათობთა თაყვანისცემის ფაქტთან მივყავართ, სავსებით დასაშვებად მიგვაჩნია იმ მხრივაც, თუ გავიხსენებთ, რომ მეგრულ-აფხაზურ ღვთაებას (ანთარ//ადთარი) მეგრული ფორმა „ჟინი“ ერთვის წინ, რომელიც პირდაპირ მიგვანიშნებს იმაზე, რომ „ჟინი ანთარი“-ს სახით ცის თაყვანისცემის ფაქტთან გვაქვს საქმე, ხოლო „ალ-ერტ“-ში, ეტლის ანუ პლანეტის – ვარსკვლავის სიკაშკაშის ასოციაციასთან, რომელსაც „ალ“ სიტყვა განსაზღვრავს.

---

[1] იხ. ს. მაკალათია, ჯეგე-მისარონის კულტი ძველ საქართველოში, თბ., 1938, გვ. 10. იქვე მითითებულია ლიტერატურა ამ საკითხზე.
[2] ივ. ჯავახიშვილი, დას. ნაშრომი, გვ. 84.
[3] ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, რედ. არნ. ჩიქობავა, თბ., 1986, გვ. 222.
[4] იქვე, გვ. 538.
[5] ალ. ღლონტი, ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, თბ., 1984, გვ. 30.

„ალ-ერტი“-ს კავშირს კოსმოლოგიურ სიმბოლოებთან, რომლებიც ერთი გამონაკლისის – მზის გარდა, მხოლოდდამხოლოდ ღამე გვევლინებიან მანათობლების როლში და ამ თეონიმის ზემოთ წარმოდგენილ ჩვენეულ ინტერპრეტაციას მხარს უმაგრებს ერთი მითოლოგიური გადმოცემა „ალარტი“-ს ანუ „ალერტი“-ს ხატზე, რომელიც სამეგრელოშია ჩაწერილი: „დღევანდელი ზუგდიდის რაიონის სოფლების – ოდიშის, კორცხელისა და ნაცატუს მიჯნაზე – მთაგორიან ადგილზე არის ერთი გამოქვაბული. არავინ იცის ამ გამოქვაბულის სათავე. აქ ცხოვრობდნენ თურმე, ჩვენი ძველი წინაპრები. ამ გამოქვაბულს ორკინეს (საჭიდაოს, სარკენალს) უწოდებენ. ამაზე არსებობს ასეთი ლეგენდა: ოდესღაც გამოქვაბულს ურწმუნო, კაცის მჭამელი დევი დაეცა, ამოწყვიტა შიგ მცხოვრებნი და თვითონ დაეპატრონა. დევი გამოქვაბულიდან ღამ-ღამობით გამოდიოდა და ქოხმახებში დაბინავებულ ადამიანებს მუსრს ავლებდა. დევისაგან შეძრწუნებულმა ადამიანებმა თხოვნით მიმართეს მზე ღმერთს, მოეკლა ან განედევნა გამოქვაბულიდან ეს ურწმუნო დევი, მზე ღმერთმა ასე უპასუხა მთხოვნელებს: – მე დღისა და სინათლის ღმერთი ვარ, ბნელ გამოქვაბულის უფსკრულში მე ძალა არა მაქვს, – იქ ვერ შევალო! სამაგიეროდ, მზე ღმერთმა ასწავლა: წასულიყვნენ შორეულ ქვეყანაში, სადაც ცხოვრობდა უფსკრულ-ბნელეთის ღმერთი – ალარტი. ჩემი სახელით მიდით და იგი გამოგაყოლებთ ალარტის ხატს, რომელიც დაამარცხებს თქვენს ამწიოკებელ დევსო, – დაარიგა მზემ. ალარტის ღვთაებას მოციქულები გაუგზავნეს. ალარტმა მათ მისცა თავისი ხატი. მეგრელებმა ამ ხატს „ალერტის ხატი“ უწოდეს. დევის გამოქვაბულის პირდაპირ, მეორე გორაკის ფერდობზე, ააშენეს საღმრთო სახლი და იქ ალერტის ხატი დაასვენეს, უჩვენეს გამოქვაბულის კარი, საიდანაც ღამ-ღამობით დევი გამოდიოდა. ხატი, დევის გამოსვლას დაელოდა. იგი ღამეში ყველაფერს კარგად ხედავდა. გამოვიდოდა თუ არა გამოქვაბულიდან დევი, ალერტის ხატი კისერზე დაახტებოდა და მათ შორის საშინელი შერკინება იწყებოდა. დროთა განმავლობაში ხატმა მოქანცა დევი, ავად გახადა და მოკლა. ამის შემდეგ ხალხმა ისევ დაიწყო ორკინეში ცხოვრება“.[1]

ამ სახის მითოლოგიური გადმოცემები, რომელშიც ასახულია დევთა და ღვთისშვილთა ბრძოლის ფაქტები, მრავლად არის ცნობილი აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში – ფშავ-ხევსურეთსა და გუდამაყარში, სადაც ღვთისშვილები – იახსარი და კოპალა დევ-კერპებს ანადგურებენ.[2]

ზ. კიკნაძის სიტყვებით, „ჯვარის და დევ-კერპთა დაპირისპირება, რომელიც საგმირო ეპოსის თემას შეადგენს, არ არის შემთხვევითი ჩვენს ანდრეზებში. ის მნიშვნელოვან ტრადიციას ეფუძნება: ჯვარი და დევ-კერპნი, ვიდრე ჩვენს ანდრეზებში დაპირისპირდებოდნენ, ერთმანეთს ადრექრისტიანულ ხანაში შეეტაკნენ და ამ შეტაკების ექო დიდხანს გაჰყვა ჩვენს სასულიერო მწერლობას... „დევი“, „დაევა“ ირანული სიტყვაა, რომლითაც აღინიშნება აჰურამაზდას (ორმუზდის – ზ.კ.) ანუ ნათელი ღმერთის მოწინააღმდეგე არსებათა დასი, რომელიც მხარში უდგას მის საუკუნო ანტაგონისტს – ანგრი-მაინუს ანუ არიმანს. მთელი კაცობრიობის ისტორია, ზოროასტრული რელიგიური მოძღვრების თანახმად, არის ბრძოლა აჰურამაზდას ანგელოზებსა („ამეშა-სპენტებს“) და „ანგრი-მაინუს“ დაევებს შორის; ბრძოლა, რომელიც ზოროასტრული ესქატოლოგიით ნათლის ღმერთის გამარჯვებით უნდა დამთავრდეს. ამ საუკუნო ომში ადამიანი არ არის, ვერც იქნება ნეიტრალური: ადამიანი არის, უნდა იყოს,

---

[1] ქართული ხალხური სიტყვიერება (მეგრული ტექსტები), თბ., 1991, ტ. II, გვ. 412-413. ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, შესავალი, შენიშვნები და გამოკვლევები დაურთეს კ. დანელიამ და აპ. ცანავამ; ასევე იხ. აპ. ცანავა, ძველი კოლხური ღვთაებანი, ქართული ფოლკლორი XI, თბ., 1981, გვ. 103-104.

[2] იხ. თ. ოჩიაური, მითოლოგიური გადმოცემები აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, თბ., 1967.

ნათლის ღმერთის მხარეზე დედამიწის, მთელი ქვეყნიერების მოპოვებისათვის ბრძოლაში, ებრძოდეს, ეწინააღმდეგებოდეს ყოველგარ დაევურ გამოვლენას გარე სამყაროში და საკუთარ თავში ის გაჩენის დღიდან თავის ბუნებით დაევას მოწინააღმდეგეა“.[1]

ზემოთ წარმოდგენილი „ალარტი“-ს ანუ „ალერტი“-ს ხატის შესახებ გადმოცემა და აღმოსავლეთ საქართველოში გავრცელებული ამ სახის გადმოცემების საფუძველზე, ზ. კიკნაძის მიერ დევ-კერპთა და ჯვრის დაპირისპირებაზე ზემოთ შემოთავაზებულ მსჯელობას კიდევ უფრო ახლოს მივყავართ მეგრულ-აფხაზური ჟინი ანთარ//ადთარისა და ალერტის მითრას კულტთან დაკავშირების შესაძლებლობასთან, რომელი მითრაც ს. მაკალათიას ინტერპრეტაციით, „მზის, მთვარისა და ვარსკვლავების დახმარებით ბოროტ ძალებს ებრძვის, რომელიც ბრწყინვალე ზეცის მეფედ და აჰურა-მაზდას შვილად ითვლება“.[2]

„ალარტი“-ს ანუ „ალერტი“-ს ხატის შესახებ ზემოთ წარმოდგენილი გადმოცემიდან, ჩვენთვის პირველ რიგში საყურადღებოა ის მომენტი, სადაც ის („ალარტი“) უფსკრულ-ბნელეთის ღმერთად ითვლება, ხოლო მზე-დღისა და სინათლის ღმერთად. ეს ფაქტი მხარს უმაგრებს ჩვენ მიერ ზემოთ წარმოდგენილ „ალ-ერტი“-ს ჩვენეულ ინტერპრეტაციას, როგორც კაშკაშა, მანათობელი ვარსკვლავისა, იქიდან გამომდინარე, რომ სწორედ მზე, როგორც „დღისა და სინათლის ღმერთი“ უძლურია ღამე დაამარცხოს დევი და ის ამ შემთხვევაში უხმობს თავის მოძმე ალარტის ანუ ალერტის ხატს, რომელიც ღამის სიბნელეს განაგებს და კაშკაშა ვარსკვლავების დახმარებით ყველაფერს კარგად ხედავს და ბოროტ ძალებს ადვილად ამარცხებს.

მაგრამ ისმის კითხვა: „ალერტი“-ს სახით, კონკრეტულად თუ რომელი მნათობის ანუ მნათობთა თაყვანისცემის ფაქტთან უნდა გვქონდეს საქმე და რომელ კოსმოლოგიურ სიმბოლოს უნდა უკავშირდებოდეს ის?

სამეგრელოში გავრცელებულია ასეთი სარიტუალო ლექსი:

„ბჟა[რე] დია ჩქიმი
თუთა – მუაჩქიმი
ხვიჩა – ხვიჩა მურიცხეფი
– დადო ჯიმა ჩქიმი“

„მზე დედაა ჩემი
მთვარე – მამაჩემი
მოჩახჩახე („ფართო-ფართო“) ვარსკვლავები
და და ძმაა ჩემი“.[3]

---

[1] ზ. კიკნაძე, ჯვარი და საყმო, ქართული მითოლოგია I, ქუთ. 1996, გვ. 4.

[2] ს. მაკალათია, ჯეგე-მისარონის კულტი ძველ საქართველოში, თბ., 1938, გვ. 11; მისივე, ღვთაება მითრას კულტი საქართველოში, თბ., 1987, გვ. 186, ცალკე ამონაბეჭდი კრებულიდან „საქართველოს მუზეუმის მოამბე“, თბ., 1927, III; მისივე, სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, თბ., 1941, გვ. 306.

[3] ქართული ხალხური სიტყვიერება (მეგრული ტექსტები) I, თბ., 1975, გვ. 10; ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, წინასიტყვაობა და გამოკვლევა დაურთო ტ. გუდავამ.

ამ ხალხური სარიტუალო ლექსის მიხედვით აშკარად ჩანს ადამიანის ადრინდელი კოსმოგონიური შეხედულებები.

სამეგრელოში გავრცელებული მითოლოგიური შეხედულების მიხედვით, ადამიანი როგორც კი დაიბადება, მისი სახელობის ვარსკვლავი გაჩნდება ცაზე.[1] ამას ახლოს მივყავართ ერტის ანუ ეტლის კიდევ უფრო სწორ გაგებასთან, ადამიანის ადრინდელი მსოფლმხედველობის კიდევ უფრო ღრმად გააზრებასთან და მისი წარმოშობის გზებთან. კერძოდ კი ძველი პოეტური ენით, ეტლი ანუ ერტი ბედის, ბედისწერის მნიშვნელობითაც გაიგებოდა,[2] ხოლო ბედი, ხალხური რწმენით, რაღაც ზებუნებრივ ძალას წარმოადგენდა, რომელიც წინასწარ განსაზღვრავდა ადამიანის ცხოვრებას – განგებას, სვეს, წერას. ამასთან დაკავშირებით გვახსენდება ი. ქობალიას მიერ XX საუკუნის დასაწყისში, ზუგდიდის რაიონის სოფელ ყულიშკარში ჩაწერილი გადმოცემა იქაური მოხუცის გვაჩია ჭურღულიასაგან იმასთან დაკავშირებით, რომ არსებობდა ვინმე დიაკვან მირცხულავას მიერ შედგენილი ბედ-იღბლის წიგნი, რომელსაც „ერტი“ ერქვა,[3] და რომლის მიხედვითაც ივ. ჯავახიშვილმა აღნიშნა, რომ თვითონ საგვარეულო სახელი მირცხულავა, „ვარსკვლავას“ შვილს უნდა ჰნიშნავდეს და უდრიდესო“.[4] ასევე XII საუკუნის, თამარის ეპოქის საქართველოში უკვე არსებობს ნათარგმნი ასტროლოგიური თხზულება, რომელიც სამი ნაწილისაგან შესდგება: „მოძღვრება ციურ ეტლთა შესახებ“ (საეტლო), „მოძღვრება მთვარის ამოსვლა-ჩასვლის შესახებ“ (სამთვარო) და „მოძღვრება შვიდ მნათობთა შესახებ“. ამ თხზულებაში შვიდ უმთავრეს მზის სისტემის მნათობთა ანუ პლანეტათა განლაგების მეტად მწყობრ სისტემას ვხვდებით, რომელიც არაბული ტერმინოლოგიითაა მოცემული: ზოჰალი (არაბ.) ანუ სატურნი, რომელიც განაგებს მეშვიდე ცას, მუშთარი (არაბ.) ანუ იუპიტერი, რომელიც განაგებს მეექვსე ცას, მარიხი (არაბ.) ანუ მარსი, რომელიც განაგებს მეხუთე ცას, მზე – განაგებს მეოთხე ცას, მთიები (ქართ.) – ცისკრის ვარსკვლავი ანუ ვენერა, რომელიც განაგებს მესამე ცას, ოტერიდი ანუ მერკური, რომელიც განაგებს მეორე ცას და მთვარე, რომელიც განაგებს პირველ ცას.[5]

ამ სახის „ეტლთა“ მწყობრი სისტემა, გ. თევზაძის გამოკვლევით მოცემულია რუსთაველის ვეფხისტყაოსანშიც, სადაც მნათობთა თანმიმდევრობა იწყება დედამიწიდან ყველაზე უშორესი ეტლით ანუ პლანეტით – სატურნით და მთავრდება უახლოესი მნათობით – მთვარით,[6] ეს ფაქტი სხვა ყველაფერთან ერთად, იმ დროის საქართველოში ასტრონომიული ცოდნის მაღალ დონეზე მიუთითებს.

აქვე მოვიყვანთ სულხან-საბას განმარტებას ეტლზე (ერტზე): „გარეშეთა წიგ(ნ)თა ეტლად აღუწერიათ 12 ზოდიანი და შვიდნი ცთომილნი ვარსკვლავ(ნ)იცა“.[7] „შვიდნი ცთომილნი ვარსკვლავნი“ – ზემოთ ჩამოთვლილი მზის სისტემის პლანეტებია, ხოლო „ზოდი“ ცის სფეროს წარმოსახვითი სარტყელი ანუ მზის წრიული მოძრაობის გზაა, რომელიც თორმეტ თანავარსკლავედს შორის გადის; ამ ზოდიაქოებზე ანუ ასტროლოგიურ ნიშნებზე ხალხის რწმენით, რომელიც ემპირიული დაკვირვების და ცოდნა-გამოცდილების

---

[1] თ. სახოკია, ეთნოგრაფიული ნაწერები, თბ., 1956, გვ. 142.
[2] ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, თბ., 1986, გვ. 222.
[3] И. Кобалия, დას. ნაშრომი, გვ. 122-124.
[4] ივ. ჯახიშვილი, დას. ნაშრომი, გვ. 147.
[5] ეტლთა და შუდთა მნათობთათუის, გამოსცა, წინასიტყვაობა და ენობრივი მიმოხილვა დაურთო აკ. შანიძემ, თბ., 1975, გვ. 38-39.
[6] გ. თევზაძე, რუსთაველის კოსმოლოგია, თბ., 1984, გვ. 100.
[7] სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, თბ., 1991, ტ. I, გვ. 244.

დაგროვების შედეგად საუკუნეების განმავლობაში ყალიბდებოდა, ბევრად არის დამოკიდებული თითოეული ადამიანის ბედი იმ მომენტების გამოანგარიშებით, თუ რა ეტლში იჯდა მაშინ მზე, როდესაც იგი დაიბადა.

სწორედ ამ სახის „ერტი“-ს ანუ „ეტლი“-ს წიგნთან უნდა გვქონდეს საქმე ზემოთ ნახსენები დიაკვან მირცხულავას მიერ შედგენილი „ერტი“-ს წიგნის სახით, რომელი გვარის ეტიმოლოგია, როგორც ივ. ჯავახიშვილის ზემოთ მოყვანილი მითითებაც მოწმობს – „ვარსკვლავას“ შვილს ნიშნავს.

მნათობთა თაყვანისცემის ფაქტი, როგორც ეს ივ. ჯავახიშვილმა გაარკვია, პირველ რიგში ნათლად ჩანს მეგრული კვირის დღეების სახელწოდებებში; მეგრ. „თუთაშხა“ ანუ ორშაბათი – მთვარის დღედ იყო მიჩნეული, მეგრ. „თახაშხა“ ანუ სამშაბათი, იგივე ტარხონი – მარსის ანუ არიას შესატყვისი იყო, მეგრ. „ჯუმაშხა“ ანუ ოთხშაბათი – ჰერმეს-მერკურისა, მეგრ. „ცაშხა“ ანუ ხუთშაბათი – ცისკრის ვარსკვლავი ანუ აფროდიტე, იგივე ვენერა. მეგრ. „ობიშხა“ ანუ პარასკევი – დიოსისა (იგივე იუპიტერი – დ.ჭ), მეგრ. „საბატონი“ ანუ შაბათი, რომელი დღის სახელწოდებაც დავიწყებული აქვს მეგრულსა და ჭანურს – კრონოსისათვის იყო განკუთვნილი,[1] რომელიც სულხან-საბას განმარტებით განაგებდა მეშვიდე ცას[2] და ჩვენი ეტლის ანუ ერტის წიგნის მიხედვით სატურნისა იყო, რადგან ის ყველაზე შორს მდებარეობდა დედამიწიდან.[3]

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, შესაძლებლად მიგვაჩნია შემდეგი დასკვნების გაკეთება:

1. ყულის და ილორის სალოცავები „ცის ღმერთის“, „სამყაროს გამგებლის“ ანუ „ჟინი ანთარის“ სალოცავებს წარმოადგენენ.

2. „ილორი“-სა და „ყული“-ს სალოცავები ძლიერ ხატ-სალოცავებად ითვლებოდნენ, ვიდრე ალერტისა, რომელნიც „ყულის ალერტად“ და „ილორის ალერტად“ იწოდებოდნენ და მნათობთა თაყვანისცემას ასახავენ.

3. თუ „ალერტ“-ში, „ალ“ კომპოზიტს, ცალკე გამოვყოფთ ქართული „ალი“-ს მნიშვნელობით, რომელსაც განათების ანუ სიკაშკაშის ასოციაციასთან მივყავართ, ხოლო „ერტ“-ს, ეტლის – ვარსკვლავის ანუ პლანეტის მნიშვნელობით, მაშინ მივიღებთ კაშკაშა, მანათობელ ვარსკვლავს, რომელი ფაქტიც ამ თეონიმის სახით მნათობთა თაყვანისცემაზე მიგვანიშნებს.

4. ყულისა და ილორის სახით საქმე გვაქვს „ცის ღმერთის“ ანუ „ჟინი ანთარი“-ს სალოცავებთან; ალერტი ამ ცის, ანუ სამყაროს შიგნით მოქცეულ თითოეულ „მნათობს“, „ვარსკვლავს“ ნიშნავს, რომელსაც ჟინი ანთარი ანუ „ცის ღმერთი“ განაგებს.

5. ამ მხრივ მის გაიგივებას მითრას, როგორც სინათლის ღვთაებასთან დასაშვებად მივიჩნევთ, რომელიც ამ ციურ ეტლთა ანუ მზის, მთვარისა და ვარსკვლავების დახმარებით ბოროტ ძალებს ებრძვის.

---

[1] ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 81, 125, 138, 140, 147.
[2] სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, თბ., 1991, ტ. I, გვ. 389.
[3] ეტლთა და შუდთა მნათობთათვის, დას. ნაშრომი, გვ. 38-39.

6. „ანთარისა“ და „ალერტის“ ნათესაობაზე მიუთითებს ის ფაქტიც, რომ ყულიშკარში მდებარე ალერტის სალოცავში, ხატის მნათეებად ანთელავების ანუ „ანთალავების“ გვარის ხალხს ირჩევდნენ და ის ამ გვარის „ჯინჯ“ (ძირ) ხატს წარმოადგენდა, რომლის ძირეული „ანთა“-ც ქართველთა წარმართული ღვთაების – „ანთარი“- ს ბოლომოკვეცილ ფორმად არის მიჩნეული.[1]

მაშასადამე, მიგვაჩნია, რომ „ალ-ერტ“- ს ქართველთა უძველეს სარწმუნოებრივ მსოფმხედველობაში მნათობთა თაყვანისცემის ფაქტთან მივყავართ.

სოფელი უჩაშონა

1. წმ. იორგის სახელობის ნაეკლესიარი

ხის ეკლესია იდგა ყულიშკარის თემში ადრე შემავალ სოფ. უჩაშონაში, „გაჯარიად“ წოდებულ ადგილას, რომელიც უჩაშონის წმ. გიორგის სახელწოდებით იყო ცნობილი. ეს ეკლესია აუშენებია ყულიშკარის წმ. გიორგის ეკლესიის მღვდელს, ივანე როგავას ძველი სასაფლაოს და რომელიღაც ძველი საყდრის ადგილას; ეკლესიის ამ ადგილას განახლების ძირითადი მიზეზი იყო ის, რომ როგავების გვარი და საერთოდ უჩაშონაში მცხოვრები ხალხი შორს ყოფილან ყულიშკარის ეკლესიასთან (სადაც ასევე თემის სასაფლაო იყო და მიცვალებულიც აქედან (უჩაშონიდან) იქ უტარებიათ – დაახლოებით 7-8 კილომეტრზე); მოსახლეობის გადმოცემით, უჩაშონის წმ. გიორგის ხის ეკლესია აუშენებიათ დაახლოებით XIX ს-ის 70-იანი წლების დასასრულსა და 80-იანი წლების დასაწყისში. უჩაშონის წმ. გიორგის ეკლესიის მღვდელთმსახურება ივანე როგავას სიკვდილის შემდეგ გაუგრძელებია მის შვილს – ბესარიონ როგავას,[2] რომლის მღვდელთმსახურების დროსაც ვინმე მოვაჭრე კონსტანტინე ქუჩულის ძე მაქაცარიას შეუწირავს ერთი წყვილი გვირგვინი, თორმეტ მანეთად ღირებული, რისთვისაც მას ბესარიონ როგავა გაზეთ ცნობის ფურცელში 1898 წელს გამოქვეყნებულ თავის ქრონიკაში მადლობას უხდის: „ს. უჩაშონი მადლობის გამოცხადება. ბ. რედაქტორო! ნება გვიბოძეთ თქვენი პატივცემული გაზეთის საშუალებით უგულითადესი მადლობა გამოვუცხადო ზუგდიდის ქალაქში მოვაჭრეს კონსტანტინე ქუჩულის ძე მაქაცარიას, რომელმაც ჩემდამი რწმუნებულ ეკლესიას შემოსწირა ერთი წყვილი გვირგვინი, ღირებული თორმეტ მანეთად, ვისურვებთ, რომ სხვებსაც მიებაძოს ხსენებული შემომწირველის კეთილ მაგალითისათვის“.[3]

საარქივო მასალებით, 1890 წელს უჩაშონის წმ. გიორგის ეკლესია უკვე არსებობს შტატის მღვდლის – იოანე როგავას და „პრიჩეტნიკ“ მიხაილ როგავას თაოსნობით: „ესე მიეცა პირისპირ თხოვნითა გურია-მენგრელიის ეპარქიის ზუგდიდის მაზრის უჩაშონის სოფლის მცხოვრებს და წმინდის გიორგის ეკლესიის სამრევლოთაგანს აწ უკვე გარდაცვალებულის

---

[1] ი. მაისურაძე, ქართული გვარ-სახელები, თბ., 1990, გვ. 40.

[2] ბესარიონ როგავას შვილი გახლდათ ცნობილი ენათმეცნიერი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, გიორგი როგავა.

[3] გაზ. ცნობის ფურცელი, 1898, №649.

სქურიე როგავას ასულს დარიკოს მას შარლ, იგი არის მართლმადიდებლის აღსარებისა, იტყვის აღსარებასა და ეზიარება წმინად საიდუმლოებას = არის მართალი = შობითგან როგორც ჩანს, ზემოთხსენებულს = ეკლესიის საბუთებითგან დედათა სქესის აზრთა შანს ანეტა ქაყშაკარის 32 წლისა არის პირ ქორწინებისა და გვირგვინის კურთხევის მამარჩეული მისგან სასიმასაცა და სახელდობრ ზუგდიდის მაზრის და – ზუგდიდის მცხოვრებს გლეხს კოჩო მირდიას ძეს და კოზუას შეუდგება ცავასის და მისი მშობლების ნებართვით სამზითის გამო ცხადებაზე მოთხოვნის ხსენებულ ეკლესიაზედ 14 და გასა აპრილის თვის რიცხვებსა ვითარ მე დაბრკოლება არა ვისგან არ გამოცხადებულა რასა ზედა მიეცა მოწმობა ესე არ იყოს ჯერაიას ხელის მოწერითა და საეკლესიო გერბის უნექოარეაბისა გამო ხელს ვაწერ და ერწმუნეთ 1890 სა წელსა აპრილის ეკრა დღესა.

უჩაშონის წმ. გიორგის ეკლესიის შტატის მღვდელი იოანე როგავა.

პრიჩეტნიკი მიხაილ როგავა“.

უჩაშონის წმ. გიორგის ეკლესიის შტატის მღვდელი ბესარიონ როგავა“.[1]

2. უჩაშონის ჯიხა ანუ ნოჯიხი (ციხე-სიმაგრე)

სოფელი უჩაშონაში (ამჟამად სოფ. ახალსოფლის საკრებულოში შედის), სოფელ ახალსოფლის ცენტრიდან სამ-ხრეთ-აღმოსავლეთით დაახლო-ებით ხუთას მეტრში შემორჩენი-ლია ციხე-სიმაგრის ნაშთები; მას ადგილობრივები უჩაშონის ჯიხას ანუ „ნოჯიხს“ უწოდებენ.

უჩაშონის ჯიხის ანუ „ნო-ჯიხის“ შესახებ წერილობით წყაროებში და სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობები არ გვაქვს და ფაქტიურად ეს ნაგებობა შეუსწავლელია, ის მხოლოდ გაკვრით მოხსენიებულია ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის მეათე ტომში, როგორც შუა საუკუნეების ციხე და ნ.

[1] ზუგდიდის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის მასალები, №9005.

თოფურიასთან რომელსაც ის „ნოჯიხიშ ჯიხას“ [1] უწოდებს და მიუთითებს, რომ მას ირგვლივ მდინარე „გოზოგინაშ ღალუ“ უვლის.[2]

ჯიხა მდებარეობს შემაღლებულ ბორცვ-გორაკზე. მას ირგვლივ ორი პატარა ღელე ჩამოუდის, რომლებიც ჯიხასთან ახლოს ერთმანეთს უერთდება და ჩაედინება მდ. ყულის-წყალში. „ნოჯიხი“ გადაჰყურებს მდ. ულისწყლის ხეობას, რომელიც უერთდება მდ. ჯუმს. უჩაშონის ჯიხა გაშლილია დაახლოებით 1,5 ჰექტარზე. შემორჩენილია მისი დასავლეთი კედლის მცირე მონაკვეთი – დაახლოებით 7-8 მეტრის სიგრძეზე, რომლის სიმაღლე ზოგან 2,5-3 მეტრამდე აღწევს, ხოლო კედლის სისქე 80 სმ-დან 1 მეტრამდე. ნაშენია რიყის ქვით (რომელიც უხვად არის მდ. ყულისწყლის და მდ. ჯუმის ხეობაში) კირის დუღაბზე. როგორც ჩანს, ჯიხა ამგვარი კედლებით მთლიანად მთელ ფართობზე იყო შემოზღუდული, რადგან მთლიან გაყოლებაზე ჩანს საძირკვლის ნაშთები და საკმაოდ კარგად გამაგრებული „ციხის“ შტაბეჭდილებას ტოვებს. მთავარი შემოსასვლელი კარი მას სამხრეთ-დასავლეთიდან უნდა ჰქონოდა, რისი კვალიც აშკარად შეიმჩნევა სწორედ იმ ადგილიდან, საიდანაც ის მდ. ულისწყლის ხეობას გადაჰყურებს.

როგორც აღინიშნა, სამხრეთ-დასავლეთიდან ის გადაჰყურებს მდ. ყულისწყლის და ნაწილობრივ მდ. ჯუმის ხეობას, საიდანაც ნათლად ჩანს ურთას მთიანი სისტემა და ზღვის სანაპირო, ხოლო რაც შეეხება აღმოსავლეთ, ჩრდილოეთ და სამხრეთ ნაწილებს – ამ ჯიხის სათვალთვალო ობიექტი ამ მხრიდან მეტად შეზღუდულია და შეიძლება ითქვას არავითარ ფუნქციურ დატვირთვას ის აქედან არ იძენს; სხვა ამ სახის რაიმე ჯიხასთან პირდაპირ სათვალთვალო კავშირი არა აქვს და ტერიტორიისადმი თვალყურის დევნების შესაძლებლობას არ იძლევა. ეს ფაქტი კი ვფიქრობთ მიუთითებს იმაზე, რომ ამ ციხის ძირითადი დანიშნულება

[1] ნ. თოფურიას მიერ მოხსენიებული ამ ციხის სახელწოდება – „ნოჯიხიშ ჯიხა“ არ არის მისი სახელწოდების სწორი ფორმა, რადგანაც „ნოჯიხის ჯიხა“, ნო – პრეფიქსით, თარგმანში „ნაციხარის ციხეს“ ნიშნავს. მეორე მხრივ კი ამგვარი ფორმით მისი სახელწოდება ჩვენს მიერ ადგილზე მოპოვებული მასალით არ დასტურდება, მას უბრალოდ „ნოჯიხს“ უწოდებენ, რაც „ნაციხარს“ ძველ ციხეს, ნიშნავს, ე.ი. იმ ადგილს, სადაც ძველად ციხე იყო; იხ. ნ. თოფურია, ახალი, საცხოვრებელი ნაგებობები სამეგრელოში, საქართველოს ეთნოგრაფიის საკითხები, თბ., 1968, გვ. 130.

[2] ნ. თოფურია, დას. ნაშრომი, გვ. 130.

დასავლეთიდან ანუ სამხრეთ-დასავლეთიდან, ე.ი. ზღვიდან წამოსული მტრისგან თავდაცვა უნდა ყოფილიყო, ვინაიდან მთიდან ანუ სამხრეთიდან და ჩრდილოეთიდან ამის საშიშროება ამ რეგიონში ნაკლებად იყო.

უჩაშონის ჯიხის ანუ ნოჯიხის ზუსტი დათარიღება, დღესდღეობით ჩვენს ხელთ არსებული მასალების მიხედვით შეუძლებელია, თუმცა ის, ჩვენი აზრით, XIII საუკუნეზე გვიანდელი ნაგებობა არ უნდა იყოს.

უჩაშონის ჯიხა არქიტექტურულად ამ სახით არის აღწერილი: ციხე; წყობის მიხედვით შუასაუკუნეებს უნდა ეკუთვნოდეს, კერძოდ რომელ საუკუნეს – ძნელია დაზუსტება; დასაცავი ზონის დაწესებული ფართობი 2000 m^2 უდრის; ნაგებია რიყის ქვითა და კირით; ქვა საგანგებოდაა დამუშავებული; შემორჩენილია გალავანი (ზღუდე) და გალავანის შიგნით ოთხკუთხა მოყვანილობის კოშკის (?) ნანგრევები (დღეს კოშკის ნანგრევი არ ჩანს – დ. ჭ.). გალავნის ზომა 75X50 მ. უდრის; კედლის სისტემ 0,85 მ. ადგილობრივი მცხოვრებნი „ჯიხა“-ს უწოდებენ; ძეგლი არც ერთ ორგანიზაციას არ უჭირავს; არც დაცვის ხელშეკრულება არსებობს; სხვა მიზნით არ არის გამოყენებული; ძეგლი საკმაოდ დაზიანებულია, ადგილობრივმა მცხოვრებმა კ. მირცხულავამ გვაცნობა, რომ ციხის გვერდით მოსახლე შოთა და ბესა მებონიებმა საამშენებლო მიზნისათვის ციხის კედლები დაანგრიეს და ქვა წაიღესო; მისივე განცხადებით წაღებული მასალის ღირებულება 40 ათას მანეთს უდრისო. რამდენად მართალია მირცხულავას განცხადება, ჩვენ ვერ დავადგინეთ, ვერც ერთი მებონია ვერ ვნახეთ; ძეგლის შესახებ სპეციალური ლიტერატურა არ არსებობს.

ო. ტყეშელაშვილი

სოფელი კორცხელი

1. კორცხელის მაცხოვრის მიძინების სახელობის ეკლესია

ექვთ. თაყაიშვილი, კორცხელის გუმბათიან ეკლესიას, ძველი ზუგდიდის ეკლესიის გეგმაზედ აშენებულს უწოდებს, აგებულს ლევან მე-II დადიანის მიერ მე-XVII საუკუნის პირველ ნახევარში და იერუსალიმის ჯვარის მონასტერის კუთვნილს, რომელიც წინათ ქართველების იყო. რგვალი გუმბათი ეკლესიისა, განაგრძობს ავტორი, დამყარებულია ოთხს ოთხკუთხედ ქვისაგან აშენებულ სვეტზე. გუმბათში შვიდი პატარა ფანჯარაა და ყველას შერჩენია ძველი ხის ჩარჩოები.

წინათ ეკლესია სულ მოხატული ყოფილა კარგი ნახელავი ფრესკებით, მაგრამ ეხლა სულ შეთეთრებულია და მოჩანს მხოლოდ ცოტა მხატვრობა საკურთხეველში და აგრეთვე დასავლეთის კედლებზედ, სადაც ხატია წმიდა გიორგი, წმიდა დიმიტრი და წმიდა თეოდორე. პირველ ორს ბერძნული წარწერები აქვს. ჩრდილოეთის კედელზე დახატულია ცოტა დაზიანებული სურათი ლევან მე-II დადიანისა, დასავლეთის მხრით ეკლესიას მიშენებული აქვს შტოი გაშლილის თაღებით. ამავე კედლის ეკლესიის მოშორებით ქვის კოშკია სულ სუროთი დაბურვილი და ძრიელ ლამაზ სანახაობას წარმოადგენს“.

წერილობით წყაროებში აღნიშნულია, რომ: „...რუხს ზეით არს ეკლესია გუმბათიანი კოცხერს ღ თის მშობლისა, კ დ ლეონ დედიანის მანუჩარის ძესაგან აღშენებული“[1].

1641 წ. სამეგრელოს მთავარმა ლევანმა მოხატა კაცხერის (კორცხელი) ეკლესიის შიდა კედლები და აღჭურვა ის ღვთისმსახურებისათვის საჭირო ყველა ნივთით, დადგა სატაძრო ჯვარი და შესწირა მას 30 გლეხის სახლი სხვადასხვა ადგილებში, დასახლება კეცხერსა და ბაშში 20 გლეხის სახლი. მან დაავალა ეკლესიისათვის მიეცათ ერთი ხარი, ერთი ცხვარი, ღორი, ქათამი, გოჭი, კვერცხები, ყველი, თევზები და პური – იმდენი რამდენიც სამონასტრო საძმოს დასჭირდებოდა წელიწადში[2].

ბროსეს კოცხერის ეკლესიის ორ ხატზე ამოუკითხავს: „კვალად ადიდე განმაახლებელი ხატისა ამის დადიანი კაცია. რისტეს აქეთ ჩღო:“, „კვალად ადიდე განაახლებელი ხატისა ამის დადიანი კაცია, ქრისტეს აქეთ, ათ-ას შჯდ ას სამ-ოც და ათსა”[3].

ე. აიხვალდის ცნობით, კორცხელის ეკლესია ქრისტეს საფლავის მეტოქე-მონაცვლედ ითვლებოდა[4]. ლევან II დადიანს კორცხელში მცხოვრები 100 კომლი ყმა გლეხი იერუსალიმის ქართველთა ჯვრის მონასტერისთვის შეუწირავს[5].

კორცხელის ეკლესიაში დაცულ ხატებსა და სხვა საეკლესიო ნივთებს სრულად აღწერს ექვთ. თაყაიშვილი[6].

---

[1] ს. კაკაბაძე, წერილები და მასალები საქართველოს ის

[2] Д. П. Пурцеладзе, Грузинские церковные гуджари (грамо

[3] ქრონიკები, III, თბ. 1967 წ., გვ. 321.

[4] ედუარდ აიხვალდი საქართველოს შესახებ (XIX საუ ნ
თარგმნა, შესავალი და საძიებლები დაურთო გ. გელაშ

[5] შ. ბურჯანაძე, ლიხთ-იმერეთის 1737 წლის რუკა ს
ისტორიის პირველწყარო, ხელნაწერთა ინსტიტუტის მ

[6] ხატი მაცხოვრისა „ვედრებისი“, ვერცხლისა, ნაჭედ ს
ლევან II-ის ბრძანებით. მაცხოვარი წელს-ზევითია, ,
მარჯვენით ჯვარსა სწერს. წამლით დახატული სახე მ ე
გამოქანდაკებულნი ძრიელ დაბალი ხელობისა არიან. ზემოთ ორი სერაფიმია. მარჯვნივ და მარცხნივ აშიებზე ზემორე მთელის ტანით „დედა: ღ თისა:“ და „ნათლის: მცემელი:“ მათ ქვემოთ წელს-ზევითნი სურათები: „წმიდა:. გიორგი:“, „წმიდა:. დიმიტრი:“ ქვემოთ წელს-ზევითნი სურათები წარწერით: „კურთხეული დედოფალი ნესტან დარეჯან:“, „ქ:. დადიანი ბატონი ლევან:.“

წინეთ შარავანდედი ქრისტესი შემკობილი ყოფილა ძვირფასი ქვებით, მაგრამ შემდეგ გაუძარცვავთ და უბრალო ქვები ჩაუსხამთ. ზემოთ სერაფიმეს შორის შენახულია ერთი წრე ძველი ძვირფასი ქვებით, მაგრამ ხუთი აქცია აკლია. ქვემოთ მხედრული წარწერა აქვს:

1) ქ:. სამებით:. ერთობით:. ღმერთო:. მამაო:. ძეო:. და:. სულო:. ყოვლად:. წმიდანო:. ძელო:. კაც

2) თათვის:. ქვეყნად:. წყალობით:. მოსრულო:. რომელი:. ჴორცით:. ვსხებულ:. იქმენ:. ქალწულის

3) აგან: უბიწოდ:. დედად:. ინებე:. მის მიერ:. კაცთა:. გამოეცხადე:. ჩვენ:. თიხა:. შეზელ

4) ილმა:. ტვირთ:. მძიმემან:. ცოდვათა:. შებღალულმან:. ცვა:. ფარვათა:. შენთა:.

5) მონდობილმან:. მოსავი:. ღმრთაებისა:. შენისა:. დადიანი:. ლევან:. რომელმან:. მოვაჭედინეთ:.

6) ხატი:. ესე:. მაცხოვრისა:. და:. შევამკეთ:. გვირგვინი:. ოქროთა:. მის:. კურთხეულის:. საჯიღის:. თ

7) ვალებით:. მარგალიტითა:. და:. სხვა:. მისის:. სახმარის:. იარაღის:. თვლითა:. და:. მარგალიტითა:. შევამკევით:.

მეორე გვერდზე ვერცხლის ფიცარზე წარწერა არის:

1) ქ. პირველთაგან:. მყოფო:. სიტყვაო:. და:. სიბრძნეო:. და:. ღ თისა:. თანა:. მყოფო:. და:. დაუსაბამოვო:. და:. თანა

2) არსო:. და:. თანა:. სამარადისოვო:. და:. თანა:. სწორო:. ღ თისა:. და:. მამისაო:. და:. ყოვლად:. სრულისა: ღ თისა:. წმ

3) იდისა:. სულისაო:. იესო:. ქრისტე:. ჭეშმარიტო:. ღ თო:. მაცხოვარო:. რომელმან:. დაჰბადენ:. ხილულნი:. და:. უხილავნი:.

4) და:. არ:. არ:. არსნი:. არს:. ჰყვენ:. მიიღე:. მიწა:. და:. ჰქმენ:. კაცი:. ხატად:. და:. მსგავსად:. შენდა:. და:. ურჩებისა:. და:. ცოდვისა:. მისისა:. თვის:. ექსო

5) რია:. სიკუდილი:. ეუფლა:. და:. წარწყმდა:. რამეთუ:. არა:. სრულიად:. უგულებელს:. ყავ:. არცა:. დაივიწყე:. ქმნული:.

6) ჭელთა:. შენთა:. არამედ:. მიხედევდ:. მრავლით:. საქმით:. მოწყალებისათვის:. შენისა:. წინასწარმეტყველნი:. მოავლინენ

7) ანგელოზნი:. დადგინენ:. მცველად:. და:. ქმნენ:. საკუირველებანი:. და:. სასწაულნი:. ურიცხუნი:. ყოველთა:. შორის:. ტომთა:. და:. ნა

8) თესავთა:. ხოლო:. რაჟამს:. მოიწია:. სრულება:. ჟამთ:. ნებითა:. მამისათა:. და:. მოსლვითა:. ყოვლად:. წმიდისა:. სული

9) სათა:. ჴორცნი:. შეისხენ:. წმიდისაგან:. სულისა:. და:. მარადის:. ქალწულისა:. ყოვლად:. წმიდისა:. მარიამისაგან:. ჴ

10) ორცნი:. შეიმოსენ:. სულიერნი:. და:. სული:. მიიღე:. სიტყვიერი:. და:. გონიერი:. და:. სრული:. ღ თი:. სრულ:. კა

11) ც:. იქმენ:. და:. გამოსჩნდი:. ხატითა:. კაცებრითა:. განგებულება:. ყოველი:. სრულ ჰყავ:. ჩვენ:. გაგვაცხოველენ:. ა

12) დამ:. აღადგინე:. და:. დაცემული:. ხატი:. აღმართე:. და:. სარწმუნოება:. დაგვიმტკიცე:. შენ:. მიერ:. ჭელწიფობით:. ამაღ

13) ლებული:. და:. ქრისტიანობით:. აღმატებულმან:. ჭელწიფემან:. დადიანმან:. პატრონმა:. ლევან:. და:. თანა:. მემცხე

14) დრემან:. ჩვენმან:. კურთხეულმან:. სანატრელმან:. დედოფალთ:. დედოფალმან:. ნესტანდარეჯან:. ჭილაძის:. ას

15) ულმან:. და:. პირმშომან:. ძემან:. ჩვენმა:. ალექსანდრე:. და:. მასთან:. მდგომარემან:. მანუჩარ:. რაოდენი:. ქე

16) ბა:. დიდება:. და:. მადლობა:. და:. შესხმა:. ჭელ:. ვყოთ:. შენდა:. დედაო:. საუკუნეთა:. ღ თისა:. სიტყვისაო:. კოცხ

17) ერისა:. ღ თის:. მშობელო:. რომელთა:. სასოებითა:. და სურვილითა:. აღგიშენეთ:. ჩვენ:. ორთავ

18) ე:. ტაძარი:. ესე:. ყოვლად:. პატიოსანი:. სახელისა:. თქვენისა:. დავახატვინეთ:. და:. შევამკევით:. ხოლო:. სო

19) ფლისა:. ჟამთა:. ვითარებისაგან:. ჯერეთ:. სრულად:. ვერ:. ჭელვყავით:. საყდრისა:. ამის:. აშენებისა:. და:. დახ

20) ატვისა:. მეტი:. ამა:. ვითარებასა:. შინა:. მოივლინა:. განგება:. და:. უხანოსა:. ამის:. საწუთროსა:. მცბიერო

21) ბა:. და:. მიიცვალა:. ამიერ:. სოფლით:. სულთა:. წამღები:. და:. ცხოვრებისა:. ჩვენისა:. სიცოცხლე:. განმა

22) ქართებლად:. მიახლებული:. კურთხეული:. და:. ჩვენის:. სოფლისა:. მნათი:. თანა:. მეცხედრე:. ჩვენი:. დე

23) თოფალთ:. დედოფალი:. ნესტანდარეჯან:. ჩვენ:. მასუკან:. რაცა:. წმიდასა:. ეკლესიასა:. მოუნდების:. გ

24) ავაწყევით:. გავარიგეთ:. რომელიცა:. სწორად:. შეგვეწირა:. ოცდათი:. კვამლი:. კაცი:. იყო:. სხვა

25) ჩვენ:. შევსწირეთ:. შევამკვეთ:. სახსრად:. სულისა:. მისატევებლად:. ცოდვათა:. მის:. კურთხეულისა

26) საუკუნოსა:. განსასვენებლად:. შევსწირეთ:. ჯვარსა:. წმიდასა:. გოლგოთას:. ამისთვის:. ესრეთ:. სასოებითა

27) რამეთუ:. მხსნელმან:. ჩვენმან:. ჯვარითა:. წარმოსტყვევნა:. ჯოჯოხეთი:. და:. შეაძრწუნა:. ეშმაკი:. და:. სი

28) სხლი:. მისი:. პატიოსანი:. დაითხია:. გოლგოთას:. და:. სისხლითა:. მით გაწმ[ი]და:. მამა:. ჩვენი:. ადამ:. ცოომილი:.

29) გამოვიხსენით:. ყოველნი:. ცოომილნი:. და:. ცოდვილნი:. ნათესავნი:. მისნი:. ესე:. ვითარი:. სასოებისათვის:. შეგივე

30) რდით:. დედაო:. ღ თისაო:. ყოვლად:. წმიდაო:. მისგან:. შობილო:. ძეო:. ჩვენთვის:. ჯვარცმულო:. იერუსალიმს

31) ჯვარ ცხოვლის:. მყოფელო:. წმიდანო:. გოლგოთა:. ჩვენ:. ძემან:. ჭელმწიფისა:. მანუჩარისაგან:. დადიანმა

32) პატრონმან:. ლევან:. მოვაჭედინეთ:. და:. დავახატვინეთ:. შევამკევით:. ხატი:. ესე:. მაცხოვრისა:. ოქროთა:. პატ

33) იოსნის:. თვალმარგალიტითა:. ვერცხლის:. ოქროს:. წყლოსანითა:. და:. მის:. კურთხეულის:. ოქროს

34) საჯიღითა:. მის:. კურთხეულის:. დედოფლის:. ნესტან დარეჯანის:. სულის:. სახსრად:. და:. საო

35) ხად:. და:. ძეთა:. ჩვენთა:. ალექსანდრისა:. მანუჩარისა:. და:. ასულისა:. ჩვენისა:. ზილიხანის:. აღსაზრდელა

36) დ:. დავასვენეთ:. ტაძარსა:. თქვენსა:. კოცხერისა:. ღ თის:. მშობლისასა:. მოიჭედა:. ხატი:. ესე:. ქრონიკონ

37) სა:. სამას:. ოცდა:. რვასა:.

ქორონიკონი უდრის 1640 წელს.

2. ღვთის-მშობლის ხატი, წელს-ზევითი, 44×32 სანტ., ჩჩვილედი, წამლით ნახატი, მაგრამ შეკეთებული 1770 წელს, ვერცხლით შეჭედილი. ნაჭედი შესამოსელი ღვთის-მშობლისა და მისი ძისა (დაცულია მხოლოდ ქვემო ნაწილი) მშვენიერის ძველი ქართულის ხელობის არის მე-XI-XII საუკუნისა და აგრეთვე სახელების წარწერანი. შარავანდედები ახალია, შემკობილი 23 ძვირფასი ქვით, აყიყებით, ამეთვისტონებით და ფირუზებით. სამს აყიყზედ მოჩანს არაბული წარწერა. ზურგის ვერცხლი ამ ხატისა ახალია და შემკობილი ჯვრით და გრეხილებით. აქვე მხედრულად აწერია:

1) ქ. კვალად ადიდე განმახლებელი ხატისა ამის დადიანი

2) კაცია ქ ტეს აქეთ ათას შვიდას სამოცდაათსა.

3. შესანიშნავი მილანქრიანი ოქროს ჩარჩო ღვთის-მშობლის ხატისა, 19×16 სანტ., რომელიც ლევან მე-II დადიანს 1652 წ. დაუკრავს ფიცარზედ და ამ ფიცარზედ დაუხატვინებია მაცხოვარი, ასე რომ ეს საუცხოო ბიზანტიური ხელობის შესამოსელი ხატისა ეხლა ამკობს მაცხოვრის ხატს, თუმცა მასზედ ბერძნულად აწერია „დედა ღვთისა“. ამის განახლების ამბავს ლევან დადიანი მოგვითხრობს წარწერაში ზურგის ვერცხლზედ ხატისა:

1) ქ: ეჰა: შენ: საშინელო: ყოვლისა: დაბადებულისა: დამბადებ

2) ელო: ანგელოზთაგან: ზრწოლით: საგალობელო: და კაცთაგან: შიში

3) თ: თაყუანის საცემელო: იესო: ღმერთო: რომელსა: მართალნი: გიყუარს

4) და ცოდვილთა: სწყალობ გევედრები: მე: ჭელმწიფე: დადიანი: პ

5) ატრონი: ლევან: შენ: მაცხოვარო: ხატო: სკურისაო: მოწ

6) ყალე: მექმენ: და: მომიტევენ ყოველნი: შეცოდებანი ჩემნი:

7) ნებსითნი: და: უნებლიეთნი: და: შეიწირი: მოშიშრეული: მ

8) სახურება: ჩემი: ხატი: ესე: პატიოსანი: სახისა: შენისა და

9) ძველებული: განვაახლე: ახ(ა)ლს: ფიცარზედ: გარდამოვაღები

10) ნე: ზურგი: ვერცხლით: მოვაჭედინე: და: სახე: თქუენი: ახლად: და-

11) ვახატვინე: ჩუენდა: სადღეგრძელოდ: და: გასამარჯვებლად ძ

12) ეთა: და: ასულთა: ჩემთა: წარსამართებლად: ამინ: უფალო

13) განვაახლებინეთ: ხატი: მინაქრისა:

14) ქორონიკონსა: სამას: და ორმოცსა: ლევან (ჩართულად).

ქორონიკონი უდრის 1652 წელს.

შესანიშნავი ხელობის არის ფერადებიანი მილანქრით შესრულებულნი შემკულებანი ხატისა, თავის წრე, ხლართულები მარჯვნივ და მარცხნივ, ზემოთ და ქვემოთ, მაგრამ კიდევ უფრო შესანიშნავია თავის ტეხნიკით აშიები, რომლებზედაც წარმოდგენილნი არიან მილანქრით გაკეთებულნი სურათები: მიძინება ღვთის-მშობლისა, რომლის მარჯვნივ და მარცხნივ თითო ანგელოზს თითო მოციქული მიჰყავს იერუსალიმში მიძინებად გამზადებულის მღვთის-მშობლის სარეცელისაკენ. მარცხენა აშიაზე ხარებაა გამოხატული შუაში და ზემოთ და ქვემოთ ქერუბიმ-სერაფიმია. მარჯვენა აშიაზე იოაკიმ და ანას შეხვედრაა, აქ დაცულია მხოლოდ იოაკიმის სურათი, ანასი აღარ არის. ამ აშიაზე ზემოთ და ქვემოთ სერაფიმ-ქერუბიმია გამოხატული.ქვემო აშიაზე ქრისტეს შობა არის წარმოდგენილი, მის მარჯვნივ თეოდორე ტირონია, თუმცა ბერძნული წარწერით უნდა ყოფილიყო წმ. ეკატერინა და წმიდა ბარბარა, მაგრამ უკანასკნელის ადგილზე სრულიად არაფერი არ არის. მარჯვენა კუთხის მილანქრიანი სურათები დაკარგულია. ხელობა ამ საუცხოვო ნაშთისა ეკუთვნის, კონდაკოვის აზრით, მე-XI საუკუნის მეორე ნახევარს. ჩვენში ხშირია ხატი, რომელზედაც მიკერებულია განცალკევებულად დამუშავებული მილანქრიანი მედალიონები სურათებით. მაგრამ მთელი ამ ჩარჩოს სურათები ერთათ არის გამომუშავებული სამილანქრო ქურაში და გვამცნევს, თუ რა გულოვანი და იმედიანი ყოფილა მემილანქრე მოხელე ამ ხატისა.

იმავე ლეონ მე-II-ეს დადიანს, რომელსაც განუახლებია ეს ხატი, ამავე ხატის უკეთ დასაცავათ გაუკეთებინებია დიდი კუბო, 65×47 სანტ., რომელზედაც ქვემოთ კუთხეებში დაუხატვინებია თავის თავი და მისი მეუღლე დარეჯანი, ხოლო ზემოთ ათორმეტნი წინასწარმეტყველნი მხედრულის წარწერებით და თავიანთ სიმვოლიური ნიშნებით. აქ წამოდგენილნი არიან წინასწარმეტყველები: გედეონ, იაკობ, მოსე, ესაია, ეზეკიელ, იერემია, იონა, დანიელ, დავით, ბარლამ, ზაქარია და აბაკუმ. ქანდაკებანი წინასწარმეტყველთა ძრიელ მდაბალი ღირსების არის. ბევრათ უკეთესია ქანდაკებანი ლევან და დარეჯანისა წარწერებით:

„ქ:. ჭელმწიფე დადიანი:. პატრონი:. ლევან“

„და:. თანა:. მეცხედრე: მისი: კურთხეული:. დედოფალი:. პატრონი:. ნესტან დარეჯან“.

ამათ შუა დიდი მხედრული წარწერაა:

1) ქ: ეჰა:. უმამოდ:. შენგან:. და:. უდედოდ:. მამისაგან:. ცათა:.

2) სიტყუითა:. დამყარებული:. საშოთა:. დაიტიე:. და:. უნებელად:. გ

3) ანკაცნა:. შენგან:. ქალწულო:. ჴორცნი:. შეისხნა:. ღმერთი:. შე

4) მოქმედი:. და:. მაცხოვარი:. ყოველთა:. არსი:. კურთხეულ

5) არს:. სახელი:. შენი:. რომელსა:. ქვეყანა:. და:. ჰაერი:. შეიმზა

6) დებიან:. სიტკბოებისა:. შენისა:. განშვენებულისათა

7) იკურთხევიან:. მეფენი:. შენ მიერითა:. მიზეზითა:. შენ

8) მხოლოსა:. დედისა:. ქალწულისა:. შესავედრებელსა:. კოცხ

9) ერისა:. ღ თის:. მშობელსა:. ჩვენ:. თიხა:. შეზელილმან

ეკლესიაში დამარხულია ისტორიკოსი ნიკოლოზ ანუ ნიკოლაი დადიანი. რომელსაც საფლავის ქვის წარწერა გვამცნობს: „სამთავროსაგან სახლისა გიორგი დადიანის ოტიას ძის ასული ნინა შემოვიდა საფლავსა შინა (შ ა) ჩფჲე წელსა თთვესა ნოემბერსა. იცხოვრა მეუღლესა თანა 17 წელი და ყ დ სა“...

როგორც წარწერიდან ჩანს, საფლავის ქვა დაუდვია ნიკოლაჲ დადიანს პირველს ჩყიე წელსა. ამავე ნიკოლაჲ დადიანს განუახლებია ეკლესია 1815 წელს და ამის შესახებ მხედრული წარწერა მოიპოვება ეკლესიის სვეტზე:

1) ყ დ შემკობილისა და დარღვეულისა ეკლესიისა ამის

2) განმაახლებელი აღმაშენებელი და შემამკობელი ნიკოლაჲ

3) დადიანი გ ცდრებ აღმომკითხველთა შეწყალება ჩემი ღთისა მიერ ით

4) ხოვოთ რათა თქ ცნცა შეგიწყალოსთ ქრისტემან

5) 1815: ჩყიე წელსა ივნისის 12 იბ:

ერთს დაბეჭდილს მარხვანზედ წარწერა უჩვენებს, რომ ის შეუწირავს ნიკოლაჲ დადიანს 1817 წელს თავის მეუღლის ერისთვის ასულის მარიამის სულის მოსახსენიებლად.

---

10) ტვირთ მძიმემან:. ცოდვათა:. შებდალულმან:. ცვა ფარვა

11) თა:. შენთა:. მონდობილმან:. მოსავმან:. სამსახურისა:.

12) თქვენისამან:. დადიანმან:. ლევან:. და:. თანა:. მეცხედრემ

13) ანმან(სიც):. ჩუენმან:. დედოფალმან:. ნესტანდარეჯან:. მოგი

14) ჭედეთ:. ხატი:. ყ დ:. პატიოსანი:. სახისა:. თქვენისა:.ო

15) ქრო მინაქრითა:. ორთავე:. სწორობით:. მას უკან

16) ჩვენ:. დადიანმან:. ლევან:. მოვაჭედინეთ:. კუბო:.

17) ესე:. ამა:. ოქროს:. მინაქრის:. ხატისა:. და შევამკევით:.

18) წინასწარმეტყუელების:. გამოყვანითა:. და:. ოქროს:. წ

19) ყლის:. დაფერვითა:. მის კურთხეულისა:. ჩვენისა:. სო

20) ფლისა:. მნათისა:. და სულთა:. წამძღებისა:. დედოფლისა:.

21) ნესტანდარეჯანის:. სულის:. სახსრად:. და საოხად:. და ცოდვათა:.

22) მისთა:. მისატევებლად:. და შესანდობლად

23) მოიჭედა:. კუბო:. ესე:. ქკ:სა:. სამას:. ოცდა:. რვასა

ქორონიკონი უდრის 1640 წელს“ (ექვთ. თაყაიშვილი, არხეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნანი, ტფილისი, 1919, გვ. 200-208).

ეკლესია უკანასკნელად განუახლებიათ 1858 წელს, რომელსაც გვამცნობს კანკელზე ამოკვეთილი მხედრული წარწერა[1].

კანკელზე ბროსეს დროს სხვა წარწერა ყოფილა, რომელშიც მოთხრობილი ყოფილა, რომ ეკლესია განუახლებია 1-ს ოქტომბერს 1811 წ. ნიკოლაᲲ დადიანს, გიორგის შვილს, ლევან დადიანის საოხად და სადღეგრძელოდ მეუღლისა მისისა მარიამისა, ერისთვის ასულისა, და საოხად მამისა მისისა გიორგისა და დედისა მისისა მარიამისა, აბაშიძის ასულისა. ნიკოლოზის შვილები იყვნენ: გიორგი, ბესარიონ, პეტრე და პავლე[2].

არქიტექტურულად კორცხელის ეკლესია და კოშკი 1953 წელს ამ სახით არის აღწერილი: „ქუთაისის ოლქი, ზუგდიდის რ-ნი; სოფ. კორცხელი. გუმბათოვანი ეკლესიის გვერდით გალავანშია ჩადგმული. ეკლესია მაცხოვრის სახელობისაა; კოშკი; თარიღის გარკვევა ძნელია; ალბათ შუასაუკუნეებისაა; დასაცავი ზონის ფართობი 100 $მ^2$ უდრის კოშკი ოთხკუთხა მოყვანილობისაა; ორსართულიანია, გარედან მწვანითაა დაფარული. ქვედა სართულში ნალისებური მოყვანილობის კარი აქვს აღმოსავლეთის მხრიდან; ნაგებია თლილი ქვით და კირით. ზედა სართულის დიდი ნაწილი დაზიანებულია და დაბზარული; სახურავი ქვისა აქვს, რომლის დიდი ნაწილიც აგრეთვე დაზიანებულია. სართულების გამყოფი ტიხარი ჩამონრეულია; კოშკის სიგრძე 10 მ უდრის, სიგანე – 10 მ. სიმაღლე დაახლ. 19 მ-ია, ხოლო კედლების სისქე საშუალოდ 1,0 მ.; არც ერთ დაწესებულებას არ უჭირავს; სხვა მიზნით გამოყენებული არაა; ძეგლის დანგრევის თავიდან ასაცილებლად, საჭიროა უპირველესყოვლისა სახურავის შეკეთება, აგრეთვე საჭიროა ზედა სართულის დაზიანებული კედლების შეკეთება, მცენარეუცლის მოცილება და კარის აბმა, რათა დაცული იქნას არასასურველი, კედლებზე მჯღაბნავი მნახველებისაგან;

ო. ტყეშელაშვილი“.

2. ნაოხვამუ, ნოჯიხევი

[1] 1) სასოო და შესავედრებელო ჩემო ღვთის-მშობელო მარიამ, განგიახლე ტაძარი შენი სიძუᲭლისა და დარღუᲭლებისაგან შემწეობითა ქრისტეს საფლავის არხიმანდრიტის პროკოფიოსისა და მრევლთა შენთათა ჩყნᲭ. ეგრეთ Ჭ შეგიმკევ კანკელი წმიდისა ამის საყდრისა

2) შენისა შენაწევრებითა არხიმანდრიტის ნიკოᲜორესა და მრევლთა შენთათა ჩყᲫ-სა წელსა: შეიწიე წვლილი ესე შესაწირავი ჩვენგან ვითარცა დედაკაცისა მის და მეზვერისა მხმობელისა: ღ ო მილხინე მე ცოდვილსა ამის მსახური წმიდისა ტრაპეზისა შენისა ბლაღოჩინი მღვდელი დიმიტრი (თოლორაია).

[2] თ. ჟორდანია, ქრონიკები, ტ. III.

ტოპონიმიკური მასალის საფუძველზე, სოფელ კორცხელში ყოფილა ნაოხვამუ (ნასალოცავი) – ბორცვი საქობალიოში, დგას ცაცხვი. იქაა ჯიჭონაიების ჯინხატი.

ნოჯიხევი – ნაციხარი, იგივე ნოჯიხი[1].

სოფელი ჭკადუაში

1. საჯინჯოლავოს – წმ. ნინოს სახელობის ეკლესია

საჯინჯოლავოს უბანში სოფლის სასაფლაოზე, დგას წმ. ნინოს სახელობის გუმბათიანი ახლად აშენებული ეკლესია (2005 წელს). ძველად აქ მდგარა ხის ეკლესია, მღვდელი ყოფილა ჭანტურია.

2. ღვთისმშობლის სახელობის ეკლესია

სოფლის ცენტრთან დგას ახლად აშენებული ღვთისმშობლის სახელობის ეკლესია და სამრეკლო.

3. მთავარანგელოზთა სახელობის ეკლესია და სამრეკლო

ღვთისმშობლის ეკლესიის ჩრდილო-და-სავლეთით, დაახლო-ებით 100 მატრში, სასაფლაოსთან დგას სამრეკლო და სავარაუდოდ XIX საუკუნის მთავარანგელოზთა სახელობის ეკლესია. ამ ეკლესიას ადგილობრივები უწოდებენ „უგურყელს“. ეკლესიის კედლები დანგრევის პირას არის მისული, ჭერი მთლიანად ჩამონგრეულია. ეზოს ირგვლივ შემოუყვება რიყის ქვის გალავანი. აქ ბოლო მღვდელი ყოფილა ივანე ხვინგია.

1990 წელს არქიტექტორების მიერ ეს ძეგლი ამ სახით არის აღწერილი: ქუთაისის ოლქი, ზუგდიდის რ-ნი; სოფ. ჭკადუაში; ეკლესია; აშენების დრო და არქიტექტორის გვარი ცნობილი არ არის; დასაცავი ზონის ფართობი 100 $მ^2$ უდრის; ეკლესია ერთგვაროვანია, ბაზილიკის ტიპისა; ნაგებია ქვითკირით და გარედან თლილი ქვის პერანგი აქვს, ამჟამად მონგრეული და მოცლილი, აქვს ორი კარი და სამი სარკმელი, სახურავი მთლიანად დანგრეული აქვს. საკურთხევლის დიდი ნაწილიც დანგრეულია; ეტყობა რომ იატაკი ქვისა ჰქონდა, ამჟამად მხოლოდ ნაწილიღაა შერჩენილი. ეკლესიის ზომა 12X25 მ. უდრის, კედლის სისქე – 1,05 მ.; შენობა არც ერთ დაწესებულებას არ უჭირავს;

[1] პ. ცხადაია, სამეგრელოს გაოგრაფიული სახელწოდებანი, II (ზუგდიდის რაიონი), თბ., 2007, გვ. 181.



დაცვის ხელშეკრულება არ არის; არავითარი მიზნით არ არის გამოყენებული; კედლები დაბზარულია; სახურავი მთლიანად დანგრეულია. საჭიროა კედლების შეკეთება და გადახურვა; ძეგლის შესახებ სპეციალური ნაშრომი არ არის.

ო. ტყეშელაშვილი

ქუთაისის ოლქი, ზუგდიდის რ-ნი; სოფ. ჭკადუაში; სამრეკლო; აშენების დრო და არქიტექტორის გვარი ცნობილი არ არის; დასაცავი ზონის ფართობი 60მ^2 უდრის; სამრეკლო თლილი ქვით და კირითაა ნაგები; მოყვანილობით ორთკუთხედისებურია, ორსართულიანია; ქვედა სართულს ორი ნალისებური მოყვანილობის კარი აქვს ერთმანეთის მოპირდაპირე მხარეს; თაღი გუმ-ბათისებური აქვს. მეორე სართული სანახევროდ დანგრეულია, ეტყობა ამ სართულს რამდენიმე კარ-სარკმელი ქონდა; სახურავი დანგრეული აქვს და მისი მოყვანილობის შესახებ არაფრის თქმა არ შეიძლება. სამრეკლოს ზომა 8X5 მ. უდრის, კედლის სისქე – 1,00 მ.; სხვა დაწესებულებას არ უჭირავს; არავითარი ხელშეკრულება არ არის; არავითარი მიზნით არაა გამოყენებული; კედლები ზოგიერთ ადგილას დაბზარულია; ქვისპერანგი შემოცლილი აქვს; სახურავი არა აქვს და მეორე სართულის დიდი ნაწილი დანგრეულია; საჭიროა სახურავი და დაბზარული კედლების შეკეთება;

ო. ტყეშელაშვილი

სოფ. ჭკადუაშის ეკლესიას და მის სიძველეებს აღწერს პ. გაბისონია: „ჭკადუაშის სასოფლო ცენტრიდან 100 მეტრის დაშორებით, გორაკზე დგას დარბაზული ტიპის ეკლესია და სამრეკლო. ეს ეკლესია მდინარე ჩხოუშის მარცხენა მხარესაა და მისგან 300-ოდე მეტრით არის დაშორებული. საყდრის ძირითად საშენ მასალად მდინარის ქვები და კირის დუღაბია გამოყენებული. კედლებში იშვიათად ჩატანებულია უხეშად დამუშავებული ქვები და ადგილზე დამზადებული აგური. ეკლესია გარედან საკმაოდ კარგად დამუშავებული ქვის კვადრებით არის შემოსილი, რომელთა დიდი ნაწილი კედლებიდან ჩამოცვენილია. მისი საძირკველი მასიურ-თლილ ქვებზეა ამოყვანილი. სამშენებლო წარწერები ან ჩუქურთმები არ აქვს. მხოლოდ აღმოსავლეთ ფასადზეა ერთადერთი ორნამენტი შემორჩენილი. ეკლესია შიგნით მობათქაშებული და ფრესკებით შემკული იყო, რომლის მცირე ფრაგმენტი დასავლეთით კართან არის შემორჩენილი. საკურთხეველი ჩრდილოეთის მხარესაა გაკეთებელი, რომლის კუთხეებში ორი სანაწილე და ორი სახატე ნიშია დატანებული. საყდარს სამი მხრიდან (სამხრეთიდან, დასავლეთიდან და აღმოსავლეთიდან) აქვს შესასვლელი კარები, ხოლო სარკმლებიდან 4 – ჩრდილოეთის მხარეს, საკურთხევლის ზემოთ, ერთი დასავლეთის კედელზე და ერთი სამხრეთის კედელზე, კარს ზემოთ არის დატანებული. ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში და სამხრეთის კარის ზემოთ მცირე სამალავებია გაკეთებული. ეკლესიების ზომები შეადგენს: სიგრძე – 11,8 მეტრი, სიგანე – 7 მეტრი [1], სიმაღლე 9 მატრი,

[1] ზემოთ წარმოდგენილ არქიტექტორთა მონაცემებში სხვა ზომებია ფიქსირებული.

დღეისათვის საყდრის სახურავი ჩამონგრეულია და კედლები მხვიარა მცენარეებითაა დაფარული. ეკლესიის გვერდით დგას თაღოვანი გასასვლელიანი ორ სართულიანი სამრეკლო, რომელიც საყდრის თანადროულად არის აშენებული. გამოყენებულია იგივე სამშენებლო მასალა. სამრეკლოს პირველ სართულს თაღებიანი გასასვლელის გარდა, ქვით ლამაზად გაკეთებული ჭერი ამშვენებს. ზედა სართულზე 6 დიდი სარკმელია დატანებული, მაგრამ ჭერი ჩამონგრეულია და კედლებით ნაწილობრივ დაზიანებულია. ამ სამრეკლოს ზომებია: სიგრძე – 6.50 მეტრი, სიგანე – 6.40 მეტრი, სიმაღლე დაახლოებით 9 მეტრი. ეკლესია და სამრეკლო შემოზღუდული იყო რიყის ქვისგან გაკეთებული გალავნით, რომელიც სიგრძეში 150 მეტრს შეადგენდა. დღეისათვის ამ გალავნის საძირკველია შემორჩენილი.

ავტორისავე აღნიშვნით, აკაკი ჭანტურიას არქივში დაცულია მის მიერ გადაწერილი ახალდაბის მთავარანგელოზის ეკლესიის ხატის წარწერა. მთავარანგელოზ მიქაელის ხატის მხედრული წარწერიდან ვგებულობთ, რომ ხატის მომგებელი (ანუ დამკვეთი) და შემამკობელი ამავე ეკლესიის მღვდელი ზოსიმე ალშიბაია ყოფილა. წარწერის თარიღია 1838 წლის 1 სექტემბერი: „ქ. მიხაილ მთავარი ანგელოსთაო, მინდობილმან და მსასოებელმან სახისა შენისამან ამ ტაძრისავე შენისა ახალდაბის დეკანოსმან ზოსიმე მღვდელმან ალშიბოვმან, საკუთრითა საფასითა, ჩემითა მოვაჭედინე და შევამკე ხატი ესე შენი შინაგან ძელითა ჭეშმარიტითა და გარეთ ოქროითა და პატიოსნითა თვალმარგალიტითა, საოხად აღმზრდელისა ჩემისა ნიკოლაოზ პირველის დადიანოვისა. სამებაო ღმერთო მთავარ შეიწირე ხატი ესე ვითა მწვლილი დედაკაცისა მას სულთქმა მეზვრისა და ცრემლი მხურვალენი მართას და მარიამისნი და ჩვენ ორთა ერთად ერთ ხორცთა ზოსიმეს და მეუღლეს ჩემსა მარტვირის დეკანოზის ასულსა აღათის მოგვანიჭე ბრალთა შენდობა ფ-ა პეტრეს და მ-ხე სინანულსა მასსა ჩვენდაცა მოხედვა ყავ ოდეს მოხვიდე სუფევითა შენითა გასჯად ცხოველთა და მკვდართა ჩყლპ სა წელსა სეკნდებრის ა“.

პ. გაბისონიასავე მასალებით, 1923 წელს, ახალდაბის მიქაელ მთავარანგელოზის ხატი აკაკი ჭანტურიას ჭკადუაშიდან ზუგდიდის მუზეუმში გადაუსვენებია და ამით კომუნისტების მიერ შესაძლო ხელყოფას გადაარჩინა. 1930 წლის 6 მარტის საგანგებო ბრძანებით ხატი თბილისში, საქართველოს მუზეუმში გადაიტანეს, რადგან განზრახული იყო სხვა ხატებთან და საეკლესიო ნივთებთან ერთად 3 თვით გერმანიაში გამოფენაზე წაღება. გაფორმდა შესაბამისი ოქმი, სადაც მიღება-ჩაბარების გარდა აღწერილია თვითონ ხატიც: „მთავარანგელოზ მიქაელის ხატი. 1838 წლის თარიღით. სახ. მუზ. საინვენტ. სიით №189. ზომით 28X23 სმ. ვერცხლით ნაჭედი, შემკობილი 30 თვლით და ... ფეხებთან მავთულზე აცმული 23 ცალი წვრილი მარგალიტი“. ავტორის აზრით, ხატი სავარაუდოდ ცნობილი ოქრომჭედლის და ხატმწერის პეპუ მეუნარგიას მიერ უნდა იყოს შექმნილი. მისი საქართველოს ხელოსნების მუზეუმში პეპუ მეუნარგიას ხატებს შორის ჭკადუაშის ახალდაბის მთავარანგელოზის ხატიც არის გამოფენილი“[1].

პ. გაბისონიას აზრით, ჭკადუაშის ეს ეკლესია წყაროებში მოხსენიებული ახალდაბის ეკლესიაა. მისივე აღნიშვნით, ზუგდიდის ისტორიულ-გეოგრაფიულ მუზეუმში დაცულია ნიკო დადიანის დღიური, რომლის ბოლოს არისი მინაწერი: „ახალდაბის ეკლესიის შენება დავიწყე 1824-ს ივნისის 4“. ამავე დღიურში ტოპონიმი ახალდაბა მრავალჯერ არის მოხსენიებული. ის ასევე დამოწმებულია 1842 წლის 8 იანვარს

[1] პ. გაბისონია, ჭკადუაში (ისტორიული ნარკვევი), ხელნაწერი, გვ. 49-51.

გაცემულ დოკუმენტში: „მიწერილი მთავრისაგან თავად ნიკო დადიანოვის ძეთადმი ახალდაბის მიცემულობის შესახებ... პ. გაბისონიას მიერ მოპოვებული მასალებით, „1911 წლის 9 ოქტომბერს (გაზ. კოლხიდა, 1911 წ. 21 ოქტომბერი) სოფელ ჭკადუაში უნდა მომხდარიყო კენჭისყრა ახალდაბის მთავარანგელოზის ეკლესიის პირველი შტატის სამღვდელო კანდიდატის ასარჩევად". ასევე, 1923 წელს საქართველოს სიძველეთა და ხელოვნების ძეგლთა დაცვის კომიტეტის მიერ შექმნილმა საგანგებო კომისიამ პროფესორ გ. ჩუბინაშვილის, აკაკი ჭანტურიას და ზუგდიდის აღმასკომის წევრ ი. შონიას შემადგენლობით, იმავე წლის 24 მაისიდან 5 ივნისამდე ზუგდიდის მაზრაში არსებული ეკლესიები მოინახულა და საგანგებო აქტით მათი ხელშეუხებლობა დაადგინა. ამ ეკლესიებს შორის აღმოჩნდა: ჭკადუაშის ახალდაბის და პრინცესა მიურატის ეკლესიები. აქ იდგა დიდი ნიკოს მამისეული სასახლე. ბოლოს 1890-1910-იან წლებში ამ სახლში მისი შთამომავალი ნიკოლოზ (ჯვებე) დადიანი ცხოვრობდა. ადგილობრივ მაცხოვრებელს, 1914 წელს დაბადებულ ბესარიონ (ბოჩო) პაპავას ეს სასახლე კარგად ახსოვს. ის ხის ორსართულიანი შენობა ყოფილა, რომელსაც გალავანი და თხრილი ჰქონდა გარს შემოვლებული"[1].

4. საგაბისონიოს ჯგიმარიონის (წმ. მარიამის) ნაეკლესიარი

საგაბისონიოს უბანში, მორგოშიების სასაფლაოსთან იდგა ჯგიმარიონის (წმ. მარიამის სახელობის) ქვის ეკლესია. ეკლესიის ძველი ქვები ამ ტერიტორიის შემოსაზღუდავად გამოუყენებიათ. ეს ადგილი მდებარეობს მდ. ჩხოუშიას მარჯვენა მხარეს.

ძეგლი 2003 წელს აღწერილი აქვს პ. გაბისონიას. მისი თქმით, „მდინარე ჩხოუშის მარჯვენა მხარეს, საგაბისონიოს უბანში, მდინარიდან 300-ოდე მეტრის დაშორებით მაღალ გორაკზე მცირე ზომის ეკლესიის ნანგრევები იყო შემორჩენილი, რომელსაც ადგილობრივი მცხოვრებლები მეგრულად „ჯგიმარიას ნაოხვამუს" ან „ჯგიმარიონს" უწოდებენ. „ჯგიმარია" იგივე წმინდა მარიამია და ეს ეკლესია მისი სახელობის იყო. მისივე თქმით, „ამ ეკლესიის კედლის ნანგრევები და ცალკეული ქვები მინდორში იყო მიმოფანტური, რომელიც საყდარს გარს ეკვრის. შემორჩენილი იყო გალავნის საფუძველი. დღეს ამ ადგილას განზრახულია ახალი ეკლესიის აშენება, ხოლო ძველი სამლოცველოს ქვების ნანგრევების დათვალიერების დროს (როგორც აღვნიშნეთ, ეკლესის თლილი ქვებით დღეს კედელია შემოზღუდული და საძირკვლის ნაშთიც არ ჩანს – დ. ჭ.) აღმოვაჩინეთ კედლის საკმაოდ დიდი ფრაგმენტი, რომელსაც გვიმრა და ეკალ-ბარდი ფარავდა. კედლის ეს ნაწილი გარედან მოპირკეთებული იყო თეთრი ქვის დამუშავებული ფილებით. როგორც ჩანს საყდარი გარედან სწორედ ასეთი ქვის ფილებით იყო მოპირკეთებული. ძირითადად სამშენებლო მასალად მდინარის ქვები, კირის დუღაბი და საკმაო რაოდენობით ადგილობრივი ქვიშა-ქვის ქვები გამოუყენებიათ. ეკლესია მცირე ზომის დარბაზული ტიპის სამლოცველოს წარმოადგენდა, რომელსაც საკურთხეველი აღმოსავლეთის მხარეს ჰქონდა. დასავლეთის მხარეს საყდარს მინაშენი ეკვროდა, საიდანაც იყო შესასვლელი კარები. ნანგრევების გაწმენდის დროს წარწერები არ აღმოჩენილა, მხოლოდ ერთადერთ დამუშავებულ თეთრ ქვაზე ლამაზად შესრულებული ჩუქურთმა აღმოჩნდა. გადმოცემით, ეს სამლოცველო დიდი ხნის

[1] პ. გაბისონია, დასახ. ნაშრომი, გვ. 10-12.

დანგრეული ყოფილა (გასაბჭოებამდეც - დ. ჭ.), თუმცა კედლები შემორჩენილი იყო. საბოლოოდ იგი საბჭოთა წყობილების დროს ბოლომდე დაუნგრევიათ. ეკლესიის ზომები შეადგენდა: სიგრძე – 8 მეტრი, სიგანე – 6 მეტრი, მინაშენის სიგრძე – 3,30 მეტრი, სიგანე – 4 მეტრი. კედლების სისტე 1 მეტრს აღწევდა. სამლოცველოსთვის გარეთ შემოვლებული გალავნის სიგრძე 110 მეტრია“[1].

5. კათოლიკური ეკლესია და აშილ მიურატის სასახლე

სოფელ ჭკადუაშში დღესაც დევს დიდი საფლავის ქვა, რომელიც პრინც აშილ მიურატს ეკუთვნის (1847-1895). ჭკადუაში მიურატების კუთვნილი სოფელი იყო.

ა. ჭანტურიას ცნობით, ს. ჭკადუაშის ქონება ეკუთვნოდა პრინც სალომე მიურატს და დადიანის ასულს, დაახლოებით XX საუკუნის 20-იანი წლებისათვის ის ეკუთვნის ძმებს ლუსიანე და ნაპოლეონ მიურატებს, რომლებიც საფრანგეთში არიან წასულნი. სასახლე არის კარგი, ერთ სართულიანი ახლანდელი ევროპული სტილის, ხოლო სხვა შენობები ცოტათი დაზიანებულია. სასახლესთან არის აშენებული ეკლესია, აქვე დასაფლავებულია პრინცი აშილ მიურატი. ეკლესიაში ეხლაც წირვა წარმოებს. იმყოფება საეკლესიო წიგნები და სხვა ქონება[2].

პ. გაბისონიას გამოკვლევით „ჭკადუაშში დადიანთა სამთავრო სახლი უმცროსი შტოს კუთვნილი სოფელი იყო. სამეგრელოს მთავარმა კაცია II-მ (1745-1788წწ.) თავის უმცროს ძმას გიორგის საუფლისწულოდ შემდეგი სოფლები უბოძა: ნოჯიხევი, ნოდა („სასახლით“ და ციხე სიმაგრით) კურზუ (საზაფხულო რეზიდენცია „დოხორუ“), ნაფიჩხუ, ოჩხამური, რიყე და ჭკადუაში. რიყეში გიორგი დადიანს (დადიანისძე) საზამთრო სამყოფელი, ხოლო ჭკადუაში სასახლე ჰქონდა. 1764 წელს ჭკადუაშის სასახლეში დაიბადა გიორგი დადიანის ვაჟი, ცნობილი ისტორიკოსი სამეგრელოს მსაჯულთუხუცესი და მდივანბეგი, გენერალ მაიორი ნიკოლოზ („დიდი ნიკო“) დადიანი. საისტორიო დოკუმენტებში ეს სასახლე 1855 წლის 18 მაისსაც იხსენიება, როცა აფხაზეთის მთავარმა მიხეილ შარვაშიძემ თავის მეუღლეს, ნიკოს შვილიშვილს ალექსანდრა (ცუცა) გიორგის ასულს აფხაზეთიდან წერილი გაუგზავნა ჭკადუაშში, სადაც იმ დროს ალექსანდრა ბავშვებთან ერთად იყოფებოდა. დადიანთა ეს სასახლე თანამედროვე ჭკადუაშის სასოფლო ცენტრის ტერიტორიაზე იდგა, იქ სადაც შემდგომ (საბჭოთა პერიოდში) ჩაის გადამამუშავებელი ფაბრიკა ააშენეს. 1890-1910-იან წლებში ამ სახლში დიდი ნიკოს შთამომავალი, ნიკოლოზ (ჯვებე) დადიანი ცხოვრობდა. ადგილობრივი მკვიდრის, 1914 წელს დაბადებული ბესარიონ (ბოჩო) პაპავას თქმით, სასახლე მას კარგად ახსოვდა და ის ხის ორსართულიანი დიდი შენობა იყო, რომელსაც გალავანი და თხრილი ჰქონდა გარს შემოვლებული“[3].

---

[1] პ. გაბისონია, დასახ. ნაშრომი, გვ. 52.
[2] გ. კალანდია, გაძარცული საგანძური, თბ., 2006, გვ. 160.
[3] პ. გაბისონია. ჭკადუაში, გვ. 56.

“ მიურატების ერთსართულიანი ვილა დღესაც დგას ჭკადუაშში მდინარე ჩხოუშის მარცხენა მხარეს, საკმაოდ მაღალ გორაკზე და მისი უკანა მხარე მდინარის ტყით დაფარულ ხეობას გადაჰყურებს. მთავარი შესასვლელიდან მისაღებ ოთახში შევდივართ, რომელიც ორი კარით ვრცელ დარბაზს უკავშირდება, რომელსაც სამი, ტპარეციის ფორმის დიდი ფანჯარა ამშვენებს. მისაღები ოთახის მარჯვნივ ოთხი ოთახია განლაგებული, რომლებსაც აივნიდან ცალ-ცალკე შესასვლელი კარები აქვთ, მხოლოდ ერთი ოთახი ცალკე კარით უკავშირდება მისაღებს (გადმოცემით ამ ოთახს ეტყობოდა იმდროინდელი ნატყვიარი, როცა პრინცმა აშილმა თავი მოიკლა). მარცხენა მხარეს სამი ოთახია განლაგებული. სამხრეთ-დასავლეთით ვილისთვის ცალკე ოთახია მიდგმული, ხოლო სამხრეთით მას ორ ოთახიანი ფლიგელი ეკვრის. დიდი დარბაზის ქვეშ ვრცელი სარდაფია მოწყობილი, რომელიც ნახევრად მიწაშია და ქვით არის ამოყვანილი. შორიახლოს, სახლიდან 10-12 მეტრის დაშორებით მარნის ნანგრევებია შემორჩენილი. ვილის სიგრძე 28 მეტრს, ხოლო სიგანე 13 მეტრს შეადგენს. შენობის ძირითადი ნაწილისათვის მიდგმული დარბაზის სიგრძე 13 მეტრია, სიგანე – 8,5 მეტრი, ფლიგელის სიგრძე 10 მეტრია, სიგანე 10 მეტრი. მიურატების ამ საცხოვრებლის დღევანდელი მდგომარეობა ძალიან მძიმეა. კედლები დაბზარულია, ბათქაში ჩამოცვენილი, იატაკი ზოგან დამპალია“[1].

„XIX საუკუნის მიწურულს პრინცმა აშილ მიურატმა ჭკადუაშის მამულში, სახლთან ახლოს საფუძველი ჩაუყარა მცირე კაცოლიკური ეკლესიის მშენებლობას, რადგან თვითონ კათოლიკური სარწმუნოების აღმსარებელი იყო. ეს ეკლესია ინგ-ლისელი ტექნიკოს-მშენებელ აშორსტის ნახაზების მიხედვით ააშენეს. მიურატი ვერ მო-ესწრო მის დამთავრებას, რადგან 1895 წლის 25 თებერვალს პრინცმა საკუთარ სახლში თავი მოიკლა. მიცვალებულის გასვენების პროცესს წინ კათოლიკეთა პატრი მიუძღოდა, რომელმაც წესი აუგო განსხვენებულ პრინცს. აშილ მიურატი ამ დაუმთავრებელი ეკლესიის ეზოში, საგანგებოდ გაკეთებულ „აკლდამაში“ დაკრძალეს. 1896 წლისათვის ეკლესიის მშენებლობა საბოლოოდ დასრულდა და 23 ნოემბერს პრინცესა სალომე დადიან-მიურატმა გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსს გრიგოლს მართლმადიდებლურად აკურთხებინა. კურთხევას ახლო-მახლო სოფლებიდან უამრავი ხალხი დასწრებია. ახალ ტაძარს ალექსანდრე ნეველის ეკლესიას უწოდებდნენ. მცირე ზომის და მიუხედავად ეკლესია ლამაზად და მდიდრულად მორთული ყოფილა და მისი მსგავსი ახლო-მახლო ადგილებში არ მდგარა. სამწუხაროდ მიურატების ეს ეკლესია საბჭოთა ხანაში დაუნგრევიათ და ქვები სხვადასხვა დანიშნულებით გამოუყენებია. 50-60 წლის უკან ჯერ კიდევ შემორჩენილი ყოფილა ამ ეკლესიის ნაშთები. გარდაცვლილ მეუღლეს პრინცესა სალომემ ეკლესიის გვერდით სამლოცველოც აუგო, რომელიც ამ სახით ახსოვთ: ეს იყო სვეტებიანი გადახურული ნაგებობა, ხოლო სვეტებს შორის მსხვილი ჯაჭვი იყო გავლებული. დღეს არც ამ ნაგებობის ნაშთებია შემორჩენილი. მხოლოდ პრინც მიურატის საფლავზე დევს ლოდი სამენოვანი (ქართული, რუსული, ფრანგული) წარწერებით, რომელიც მაშინ დადეს, როცა გასული საუკუნის 80-იან წლებში პიონერთა ბანაკის მშენებლობა დაიწყეს“[2].

---

[1] პ. გაბისონია. ჭკადუაში, გვ. 19-20.
[2] პ. გაბისონია. ჭკადუაში, გვ. 54-55.

1908 წლის მონაცემებით პრინცისა მიურატის სასახლის კეთილმორწმუნე მთავარი ალექსანდრე ნეველის ეკლესიის მღვდელი ყოფილა სვიმონ ჭანტურია, ხოლო მედავითნე დიმიტრი ჩხაპელა[1]

6. ახალი ეკლესია

მიურატების სასახლიდან დაახლოებით 500 მეტრში მდ. ჩხოუშის მარჯვენა სანაპიროსთან დგას ახლად აშენებული ეკლესია.

7. ჭკადუაშის ციხე

სოფელ ჭკადუაშში, რომელიღაც მაღლობზე ყოფილა ციხე-სიმაგრე. დღეს მის ნაშთებს ჩვენ ვერ მივაკვლიეთ. ის 50-იან წლებში არქიტექტურულად ამ სახით არის აღწერილი: „ქუთაისის ოლქი, ზუგდიდის რ-ნი; სოფ. ჭკადუაში; ციხე; წყობის მიხედვით შუასაუკუნეების უნდა იყოს; დასაცავი ზონის ფართობი 200 $მ^2$ უდრის; ციხე მაღლობზეა აგებული; ამჟამად დანგრეულია, შემორჩენილია საძირკველი და კედლების ნაწილი, რომელიც წვრილი ხეებითა და ეკალ-ბარდებითაა დაფარული. კედლები რიყის ქვითა და კირითაა ნაგები; გალავნის მოყვანილობა მრგვალია, დასავლეთის მხარეს ოთხკუთხი მოყვანილობის კოშკის ნანგრევებია. წინათ ამ ციხეს დიდი მნიშვნელობა ქონდაო, რადგანაც სვანეთში მიმავალ გზას უწევდა კონტროლსო (ადგილობრივი მცხოვრების ვასილ პაპასკირის გამოცემით). გალავნის დიამეტრი 65 მ უდრის; კედლის საშუალო სისქემ 0,95 მ. კოშკის ზომა: 7X6.5 მ. უდრის; არც ერთ დაწესებულებას არ უჭირავს; სხვა მიზნით გამოყენებული არაა; ძეგლის შესახებ სპეციალური ნაშომი არ არის.

ო. ტყეშელაშვილი

8. ნაეკლესიანი ადგილები

ტოპონიმიკური მასალებით, ლეხვიტიეში არის ადგილი ოხვამე – ნაეკლესიარი[1]

[1] ცაიშის საკათედრო ტაძარი, ზუგდიდი-ცაიში, 2001, გვ. 62. რედ. დეკანოზი ამირან (შენგელია).

ნაოხვამუ – ნასაყდრალი – ორგან ეწოდება ბორცვს: ა) ლეჭითანეში, საანთიოში ჩხოუშის მარჯვენა ნაპირას სერზე; ბ) საადამიოში, სოფ. ჩხორიის საზღვართან.

ნაოხვამუ//ბუჭიეშ ოხვამე – ნაეკლესიარი. აქ ეკლესია აუშენებია თავად ბუჭუე ალანიას[2].

ოხვამე – სალოცავი, ეკლესია – ბორცვი სასაფლაო სოფლის ცენტრის დასავლეთით, მდ. ჩხოუეშის ხეობის გადასახედზე[3].

სოფელი ჯიხაშკარი

1. ჭაქვინჯის ციხე და ეკლესია

დღევანდელ სოფელ ჯიხაშკარში მდ. ჭანისწყლის მარჯვენა მხარეს, მისგან დაახლოებით ხუთას მეტრში, მაღლა ბორცვზე მდებარეობს ჭაქვინჯის ციხე, რომელიც სტრატეგიულად სამეგრელოს თავდაცვის სისტემის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პუნქტი იყო. ის მდებარეობს თითქმის შუაგულ სამეგრელოში - სვანეთის, აფხაზეთის, ასევე, ჩრდილოეთ, სამხრეთ და აღმოსავლეთ სამეგრელოში მიმავალი გზების გასაყარზე. სამხრეთით, სამხრეთ-აღმოსავლეთით და ჩრდილოეთით, ასევე ჩრდილო-აღმოსავლეთით ის მთლიანად აკონტროლებს მდ. ჭანისწყლის ხეობას. სამხრეთ-აღმოსავლეთით, უყურებს ჩვენს მიერ სოფელ სარაქონში და სოფელ კირცხში მდგარ ციხე-სიმაგრეებს. ჩრდილო-აღმოსავლეთით და ჩრდილოეთით ჯაღირის და ობუჯის ციხეებს, რომელიც თავის მხრივ წალენჯიხის ციხეს უკავშირდებოდა და კეტავდა მიმავალ გზებს ზემო სამეგრელოსა და სვანეთისკენ. ჭაქვინჯის ციხე, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დადიანების სასახლე და რეზიდენცია უნდა ყოფილიყო შუა და გვიანფეოდალურ ხანაში; აქ მანამდეც უნდა ყოფილიყო მნიშვნელოვანი ციხე-სიმაგრე, რომელიც როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, შ. მესხიამ ქუჯის ციხესთან გააიგივა; რა თქმა უნდა არქეოლოგიური მონაცემებით ეს ჯერჯერობით დადასტურებული არ არის და მისი მიმდებარე ადგილები ამ მხრივ საფუძვლიანად არ არის შესწავლილი; ვფიქრობთ, სახელწოდების მიხედვით (ქუჯის ციხე – ჯიხაქვინჯი) ციხე-გოჯთან მისი გაიგივება ანგარიშგასაწევი მოსაზრება უნდა იყოს.

---

[1] პ. ცხადაია, სამეგრელოს გეოგრაფიული სახელწოდებანი, II, ზუგდიდის რაიონი, თბ., 2007, გვ. 379.

[2] პ. ცხადაია, დასახ. ნაშრომი, გვ. 381.

[3] პ. ცხადაია, დასახ. ნაშრომი, გვ. 383.

ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით, „ამავე წყალზედ (იგულისხმება მდ. ჭანისწყალი – დ. ჭ.), მთის ძირში, უნაგირას ჩრდილოთ, არც ციხე ჭაქვითი და სასახლე დადიანისა“.[1]

დადიანისა“.[1]

ე. აიხვალდის ცნობით, „ციხე **ცაკვიში** (როგორც მას უწოდებს) კირქვიანი მთის წვერზეა ამართული. ის არც განსაკუთრებით დიდია და არც ძალიან ძველი. გალავანზე შეინიშნება რამდენიმე პატარა კოშკი, ალბათ ჯარისკაცებისათვის სათოფურებად (ამბრაზურებად). ციხეში არის ეკლესია, რომელიც ვერ ვნახე, რადგან შიგნით არ შემიშვეს დადიანის საგანგებო ნებართვის უქონლობის გამო, რაც საამისოდ აუცილებელი ყოფილა. მცველებს უმკაცრესად ჰქონდათ ნაბრძანები, მისი ნებართვის გარეშე არავინ გაეტარებინათ. თუმცა სამხედრო მეციხოვნე რაზმი არ დგას, მაგრამ რამდენიმე ზარბაზანი კი არის ციხეში. ციხისაგან 60 ნაბიჯის მოშორებით შიშველ მოედანზე იდგა ერთად-ერთი კოშკი, რომლის შესახებაც მითხრეს, რომ მას ციხესთან ჰქონდა მიწისქვეშა დამაკავშირებელი გვირაბი. ერთ-ერთმა აწინდელმა მბრძანებელმა ეს ციხე ააშენა თურქების წინააღმდეგ“[2].

ჭაქვინჯის ციხე ს. მაკალათიამ ამ სახით აღწერა: „ჭაქვინჯის ჯიხა (ციხე) წენ-წყლიდან ორი კილომეტრით არის დაშორებული. წენ-წყალი მას აღმოსავლეთის მხარეზე ჩამოუდის. ეს ციხე ლამაზია და შედარებით კარგად არის დაცული. ციხეს საკმაოდ დიდი ფართობი უჭირავს და იგი აგებულია მაღალ გორაკზე. ციხის ეზო შემოზღუდულია მაღალი გალავნით, რომლის სიმაღლე უდრის 5 მეტრს, კედლის სისქე – 1 მეტრს. ჩრდილოეთის მხარეზე გალავანს აქვს ერთი შესასვლელი კარი, ზომა 2 მ.X1.50 მ. ციხის კარი თაღიანია და შესასვლელი წარმოადგენს პატარა ოთახს ორი კარით: ერთი კარი შიგ შესასვლელია, მეორე კი გადის ციხის ეზოში. შესასვლელ კარის მარცხენა დახურული გვირაბია, რომელიც ჩადის ციხიდან მოშორებით ვაკეზე მდგარ კოშკში. ეს კოშკი უნდა ყოფილიყო ციხის საყარაულო. კოშკი უკვე დაშლილია. ციხის შუა ეზოში ერთი დიდი ორმოა, რომელიც ჭა ყოფილა და ამიტომ ციხესაც ჭაქვინჯი (ჭის ფსკერი) ეწოდაო. ჭის ორმო დღეს უკვე ამოვსებულია. ციხის გალავნის კედლებში დატანებულია სათოფურები და გარშემო კი მიშენებული აქვს მეთოფურეთა მოსათავსებელი კვარცხლბეკი. გალავნის კედელში ჩაშენებულია ოთხი მოზრდილი კოშკი და ორიც პატარა. მათ შორის ორი კოშკი დარაჯობს ციხის შესასვლელ კარს, დასავლეთისა და აღმოსავლეთის მხარეს კი თითო კოშკი, სამხრეთის მხარეზე მოთავსებულია ორი პატარა კოშკი. ჭაქვინჯის ციხის კოშკები სვანური ტიპისაა, ზემო სართულში აქვს თაღიანი სათოფურები. კოშკი სამსართულიანია და ქვითკირით არის ნაგები. კოშკს აქვს ერთი შესასვლელი კარი, სართულებში გამოჭრილია სათოფურები და სარკმელები“. ავტორისავე თქმით, “ ჭაქვინჯის ციხე არ არის სათანადოდ შესწავლილი და გამოკვლეული, მაგრამ მაინც შესაძლებელია მისი დღევანდელი სახით იგი მიეკუთვნება XVI-XVII საუკუნეებს“[3].

ჭაქვინჯის ციხის საყურადღებო აღწერილობაა XIX საუკუნის ბოლოს ქართულ პერიოდულ პრესაში, სადაც აღნიშნულია იქ ეკლესიის არსებობა, რომელიც ამ დროსაც მოქმედი არ ყოფილა, მაგრამ ჯერ კიდევ დანგრეული არ ჩანს; ამავე დროს დადიანთა

---

[1] ქართლის ცხოვრება, ტ. IV, თბ. 1973, გვ. 778.

[2] ედუარდ აიხვალდი საქართველოს შესახებ (XIX საუკუნის პირველი მესამედი), გერმანულიდან თარგმნა, შესავალი და საძიებლები დაურთო გ. გელაშვილმა, თბ., 2005, გვ. 184.

[3] ს. მაკალათია, სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, თბ., 1941, გვ. 345.

სასახლე იმ დროსაც არსებობს: „ამ სოფელში არის ერთი დიდი ძველი ციხე, რომელსაც უწოდებენ სახელათ „ჭაქვინჯის ციხეს“. ეს ციხე, ძველ დროში შესანიშნავი უნდა ყოფილიყო. ციხე დგას შუა გულ სოფელში, მომაღლო ადგილზე, სიგრძით ციხე იქნება 67 საჟენი, სიგანით 45 და სიმაღლით 35 საჟენი. სამ-სამ სართულიანი „ყორშები“ აქვს სულ ოთხი, რომელთაგან ორი აქა-იქ ჩამომტვრებულია. ციხეს შიგნით ერთ მხარეზე იმყოფება „აკლდამა“. აკლდამა გავს პატარა ბეღელს. როგორც ამბობენ ადგილობრივი მოხუცნი, ეს აკლდამა ძველ დროში ყოფილა სასაფლაო მიცვალებულთათვის ომიანობის დროს, როდესაც კაცის გვამის გატანა გარეთ არ შეიძლებოდა. შიგ ციხეში ახლაც არის ჩანგრეული ძველი ქვის ეკლესია. ციხის შუა ადგილას არის ჭა, რომელიც სიღრმით იქმნება 40 საჟ. ჭაში გადებულია რკინის კარი და „ხაჯალურები“ (როგორც ამბობენ ადგილობრივი მოხუცნი). დიდი ციხიდან ჩრდილოეთისკენ, საკმაოთ დაშორებულ მანძილზე, არის კიდევ მეორე პატარა ციხე, ამ ორ ციხეს შუა თურმე დაფარული სავალი ყოფილა (და ახლაც არის). როცა დიდ ციხეში მყოფთ, ომიანობის დროს მტრების მიერ გარშემორტყმულთ, ჭის წყალი შემოაკლდებოდათ, ამ დაფარული სავალით მოდიოდნენ პატარა ციხეში და იქიდან მოჰქონდათ თურმე წყალი. ეს უკანასკნელი ციხე ზედ წყაროს წყალზე ყოფილა აშენებული; დიდი ციხიდან ჩრდილოეთ-დასავლეთისკენ დაახლოებით 80 საჟენზე დგას ახლაც ერთი დამტვრეული ბუხარი, სადაც ყოფილა ძველათ სასახლე სამეგრელოს მფლობელის ლევან დადიანისისა. ამ ნაბუხრევსა და დიდ ციხეს შუა არის კიდევ ქვით გაკეთებული ფარული სავალი. ეს დიდი ციხე, სხვათა შორის, ძველებურ დროში (როგორც ამბობენ ადგილობრივი ღრმაც მოხუცებულნი), ყოფილა, დამნაშავეთა საბყრობილეც“[1].

ჭაქვინჯის ციხე შეისწავლა პ. ზაქარაიამ, რომელმაც განსაზღვრა მის კოშთა და ეკლესიის მშენებლობის ქრონოლოგია. ავტორის თქმით, „ციხის კედლებში მოჩანს ადრეული, განვითარებული და გვიანფეოდალური პერიოდის ფენები. ეტყობა, იგი პირველად წარმოადგენდა ეგრისის (ლაზიკის) სამეფოს სახელმწიფო მნიშვნელობის ციხეს, მოგვიანებით კი გადაქცეულა ფეოდალის რეზიდენციად, ციხესიმაგრის მნიშვნელობა განპირობებული იყო მისი მდებარეობით ორი გზის შესაყარზე. ერთი მათგანი ქვეყნის შიდა რაიონებს უკავშირებდა შავი ზღვის სანაპიროებს, მეორე კი რომელიც მდ. ჭანისწყლის ხეობას მოყვებოდა, ადრეულ ხანებში სამეგრელოდან სვანეთისაკენ მიმავალ ერთადერთ გზას წარმოადგენდა. ავტორის აზრით, საერთო ნიშნებით აქ პირველად ციხე უნდა წარმოშობილიყო, გვიანანტიკური ხანის ბოლოს, დაახლოებით III-IV საუკუნეებში. ამ ხანის კოშკებისა და გალავნის ნაშთი შემორჩენილია ციხის ჩრდილო მხარეს. ზედა ნაწილი ხუთიოდე საუკუნის შემდეგ უნდა იყოს წარმოშობილი. ხოლო მესამე ქრონოლოგიური ფენა მიეკუთვნება XVI-XVIII საუკუნეებს. პალატი მდებარეობს ეზოს სამხრეთ მონაკვეთის ცენტრში, იგი ორსართულიანი ყოფილა. დარჩენილია პირველი სართული, რომლის კედლები კარგადაა ნაგები. იგი აგებული უნდა იყოს დაახლოების X საუკუნის ფარგლებში.

ეკლესია აღმოსავლეთის მონაკვეთში მდებარეობს. იგი მცირე ზომისაა. მისი ფასადები მორთული ყოფილა თაღედით. იგი სავარაუდოა აგებულიყო XIII საუკუნეში.

[1] ჭაქვინჯი (სამეგრელო), მათე ხუბულავა, გაზ. კვალი, №17, 1896.

ციხის ეზოში მრავალი საინტერესო არქეოლოგიური მონაპოვარია მიკვლეული“ [1] . ეს ეკლესია წმ. გიორგის სახელობის უნდა ყოფილიყო.

პ. ზაქარაია XVIII საუკუნეში შარდენის მიერ ნახსენებ „საბათარის ციხეს“ ჭაქვინჯის ციხედ მიიჩნევს [2] , რაც ვფიქრობთ, არ უნდა იყოს მართებული, რამდენადაც ეს ტერიტორია საკმაოდ დაშორებული იყო იმ ადგილს სადაც მისონერები იმყოფებოდნენ და ის ზარბაზნების ხმა, რომელიც მათ საბათარის ციხიდან შემოესმათ დაბლობში მდებარე რომელიღაც სხვა ციხე-სიმაგრიდან უნდა ყოფილიყო.

ციხე არქიტექტურულად ამ სახით არის აღწერილი: „ქუთაისის ოლქი, ზუგდიდის რ-ნი; სოფ. ჭაქვინჯი, ადგილი „ჯიხასკარი“; ციხე; დასაცავი ზონის ფართობი 1000 მ2 უდრის; ნაგებია მაღლობ ადგილზე. გადაყურებს სოფელს და მდ. ჭანის წყალს; აშენებულია კირქვით; მასალად გამოყენებულია რიყის ქვა და მოგრძო ოთხკუთხედისებურად დამუშავებული ქვაქვა. ციხე მოგრძო-ოვალური მოყვანილობისაა; კედელში ექვსი კოშკია დატანებული; იმ ადგილას, სადაც კედლების ჩამონგრევა იყო სავარაუდებელი გამაგრებულია ბურჯებით; კედელში სათოფურები აქვს დატანებული; ორი შესასვლელი აქვს: ერთი დასავლეთის მხრიდან, მეორე – ჩრდილოეთის მხრიდან. ციხის შიგნით ღრმა ორმოა ამოჭრილი; ალბათ თავის დროზე ჭა იყო. ციხის შინაგანი ზომა 122X51 მ უდრის; კედლების საშუალო სისქე – 1,15 მ.; ძეგლს არც ერთ დაწესებულებას არ უჭირავს; არც სადაცვო-საიჯარო ხელშეკრულება არსებობს; არც სხვა რაიმე მიზნით არ არის გამოყენებული; კედლები რამდენიმე ადგილას გაბზარულია და საჭიროებს შეკეთებას.

ო. ტყეშელაშვილი

2. საბენდელიანოს წმ. გიორგის სახელობის ნაეკლესიარი

საბენდელიანოს უბანში სოფლის სასაფლაოსთან იდგა წმ. გიორგის სახელობის ქვის ეკლესია. ბოლო მღვდელი იყო მიხეილ შენგელია, დიაკონი ერასტო ხუბულავა.

3. მარიამ ღვთისმშობლის სახელობის ახალი ეკლესია.

სოფლის სასაფლაოსთან დგას მარიამ ღვთისმშობლის სახელობის ახალი ეკლესია, აქ ძველად ეკლესია არ მდგარა.

4 საზარანდიოს წმ. ნიკოლოზის სახელობის ნაეკლესიარი

[1] პ. ზაქარაია, საქართველოს ძველი ციხე-სიმაგრეები, თბ., 1988, გვ. 52-54.
[2] პ. ზაქარაია, ქართული ციხე-სიმაგრეების ისტორია, გვ. 259.

საზანდარიოს უბანში სასაფლაოსთან იდგა წმ. ნიკოლოზის სახელობის ხის ეკლესია. ბოლო მღვდელი იყო სამსონ ანთელავა, შემდეგ ის ილორში წასულა მღვდლად. ეს ეკლესია დაუნგრევიათ აქვსენტი, ბათი და სხვა ზარანდიებს.

5. საზარანდიო –საშენგელიოს ჯეგე – მისარიონი

საზარანდიო-საშენგელიოს უბანში არის შენგელიების და ზარანდიების სალოცავი ჯეგე-მისარიონის სახელ-წოდებით; აქ დგას პატარა სამლოცველო. ჯეგე-მისარიონის კულტი სამეგრელოში შესწავლილი აქვს ს. მაკალათიას, რომელიც ავტორმა მითრას კულტს დაუკავშირა. გარკვეულ ცნობები თავმოყრილია ჯიხაშკარის ჯეგე-მისარიონის შესახებაც [1]. ამ ადგილას მდებარე მინდორზე ასევე ცხოვრობდა მღვდელი მიხეილ შენგელია.

6. სობოგა-საგაბეჩავოს მიხეილ და გაბრიელ მთავარანგელოზთა სახელობის ნაეკლესიარი

საბოგას უბანში, საგაბეჩავოს სასაფლაოსთან იდგა მიხეილ და გაბრიელ მთავარ-ანგელოზთა სახელობის ხის ეკლესია. დიაკონი ყოფილა ალექსი მგალობლიშვილი, სტაროსტა გიორგი გაბეჩია. ამ ადგილს ასევე გაბეჩიები (რომელთა გვარის სალოცავიც იყო) ფირცხალავები და სიჭინავები ლოცულობდნენ „ქეჯვარობას“ (იგივე ჯეგე-მისარონი). ეს ადგილი მდებარეობს მდ. ჭანისწყლის მარჯვენა სანაპიროდან დაახლოებით 2 კილომეტრში მაღალ ბორცვზე.

7. ნაეკლესიარი ადგილები (ტოპონიმიკა)

ა. ჭანტურიას ცნობით, ჩაგუ ჯიქიას კარმიდამოსთან ახლოს ნაპარწყუუს გორაკზე არის ნაეკლესიარი „მუნჩქვიშ

[1] სოფ. ჯიხაშკარში დღესაც დაცულია სამლოცველო ადგილი მისარონ-კარი. მას უჭირავს საკმაოდ მოზრდილი და გაშლილი ფართობი, რომელიც დაფარულია ცაცხვისა და მუხის ხეებით, შუა მოედანზე დგას ხის პატარა სამლოცველო და მას აქ ჯეგე-მისარონს უწოდებენ (გადმოცემით წინათ აქ მდგარა ქვითკირის შენობა, რომელიც თათრებს დაუნგრევიათ, მისარონის ხატი თათრებს მიწაში ჩაუფლავთ და დაკარგულა. მისარონის კარის ხის სამლოცველო ცარიელია, მხოლოდ მის კედლებზე შერჩენილია წმ. გიორგის ქადალდის ხატები). ნაადგომევს, ახალკვირის სამშაბათს მისარონ-კარში იმართებოდა ხატობა, სადაც სალოცავად მიდიოდნენ: ზარანდიები, შენგელიები და ჩარგაზიები, რომელთა საგვარეულო ხატად „ჯინჯი ხატად“ იგი ითვლებოდა. ხატობა დღეს რიგის მიხედვით ამ საგვარეულოდან ერთ-ერთი ოჯახის უფროსი მისარონ კარზე მიიყვანდა კერატს, დაილოცებდა გვარის კეთილდღეობაზე, შემდეგ ღორს იქვე დაჰკლავდა და ხორცს მლოცავებს გაუნაწილებდა. ღორის თავს კი იგი გადაულოცავდა იმ მეკომურის უფროსს, რომელსაც რიგით მეორე წელიწადს ჯეგე-მისარონისათვის კერატი უნდა დაეკლა. ამ საგვარეულოდან გამოთხოვილ ქალებს ხატობა დღეს ჯეგე-მისარონში მოჰქონდათ საწირ-სანთელი, ღორის თავ-ფეხი, კვერცხები და სხვა (ს. მაკალათია, ჯეგე-მისარონის კულტი ძველ საქართველოში, თბ., 1938, გვ. 13-14).

ოხვამე“. ასევე აკლდამა, რომელიც სიზმრის მეოხებით გაუტეხიათ, იქ უპოვნიათ ძვლები და სხვადასხვა ნივთები, ჭურჭლეულობა. ეს ადგილი პავლე ხაცავას სახლთან ახლოსაა[1].

პ. ცხადაიას ცნობით, სოფ. სობოგაში (ჯიხაშკარი) არის ტოპონიმი ცხონდიეფიშ ნაოხვამუ (ცხონდიების სალოცავი)[2].

სოფელი ჭაქვინჯი

1. წმ. გიორგის სახელობის ნაეკლესიარი

ადგილობრივთა გადმოცემით, სოფლის ცენტრთან იდგა წმ. გიორგის სახელობის ხის ეკლესია. ჩვენ გვაქვს ამ ეკლესიის სამრევლო პირთა სიის ნაწილი, რომელიც ადგილზე მოვიპოვეთ. ამ ნაეკლესიარ ადგილს ეწოდება ქვატახტი. სადაც ძველად სასახლე მდგარა.

2. ნაეკლესიარი

ადგილობრივთა გადმოცემით, რიყის ქვის ეკლესია იდგა მურმან შენგელიას ეზოში (დღეს აქ არაფერია შემორჩენილი), ჭაქვინჯის ხის ეკლესიის გახსნამდეც ის მოქმედი ყოფილა და 1960 წლამდე კედლებიც ყოფილა შეორჩენილი. აუშენებიათ ნარსიებს, რომლებიც მარტვილის რაიონის სოფ. ჯოლიდან ჩამოსულან, მღვდლებიც ნარსიები იყვნენ.

3. სამაროვანი

არქიტექტორების მიერ 1953 წელს სოფელ ჭაქვინჯში აღწერილია სამაროვანი: ქუთაისის ოლქი, ზუგდიდის რ-ნი; სოფ. ჭაქვინჯის ჩრდილოეთით; სამაროვანი; დასაცავი ზონის ფართობი 500 $მ^2$ უდრის; ადგილობრივი მოსახლეობა სხვადასხვა დროს პოულობდა ნივთებს. სპეციალურად არაა შესწავლილი; სამაროვანი ვრცელ მინდორს წარმოადგენს. იგი უკანასკნელ ხანებამდე სასაფლაოდაც ყოფილა გამოყენებული. ამჟამად მინდორზე რამდენიმე საფლავის ქვაა დარჩენილი. საფლავის ქვები მოჩუქურთმებულია მცენარეული ორნამენტებით, ყველა კარგადაა დამუშავებული და მოგრძო ოთხკუთხა მოყვანილობისაა. ადგილობრივი მოსახლეობა ამ ადგილას შემთხვევით პოულობდა ნივთებს. ამ ნივთების (ნაწილი) ინახება ზუგდიდის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში. ისინი დაახლოებით ძვ. და ახ. წელთაღრიცხვის პირველ

---

[1] ა. ჭანტურია, ისტორიულ-არქეოლოგიური ძიებანი სამეგრელოში, თბილისის უნივერსიტეტის შრომები, თბ., 1989, №283, გვ. 183.

[2] პ. ცხადაია, სამეგრელოს გეოგრაფიული სახელწოდებანი, II, ზუგდიდის რაიონი, თბ., 2007, გვ. 397.

საუკუნეებს შეიძლება მიეკუთვნოს და საფლავის ქვებთან არა აქვთ კავშირი. ნივთები უფრო ძველია, ხოლო საფლავის ქვები დაახლოებით XIX ს. ეკუთვნის. ასე, რომ ძველი სამაროვანი შემდეგშიაც გამოყენებული ყოფილა (გადმოცემით ძველ ნივთებთან ერთად ადამიანის ძვლებიც იყო); დაცვა ეკისრება რაიონის კულტსაგანმანათლებლო განყოფილებას; სპეციალური კვლევა-ძიება არ ჩატარებულა; ძეგლის შესახებ ლიტერატურა არ არის;

ტყეშელაშვილი ო. ბ. 1953 წ. აპრილი.

4. ტოპონიმიკა

პ. ცხადაიას ცნობით, ჭაქვინჯში არის ნაოხვამუ-ნაეკლესიარი – მინდორი სანარსიოში[1].

ოხვამეშკარი – ბორცვი სოფლის ცენტრში[2].

ქუატახტი – მაღლობი სოფლის ცენტრში. ღელეებს ერასა და ჩეკას შუა. ყველაზე მაღალი ადგილია სოფელში. გადმოცემით ფართო ლოდი იდო ეკლესიის ეზოში. დადიანის მოსამართლე აქ ჯდებოდა და გამოჰქონდა განაჩენი დამნაშავეთათვის. 1924 წლის გამოსვლებისას ქუატახტი დაამტვრიეს[3].

ჯეგეშენწერი – მაღლობი ჩეკის მარცხენა მხარეს, სოფლის ყველაზე მაღალ ადგილას[4].

სოფელი ნარაზენი

1. ხარების სახელობის ახალი ეკლესია

სოფელი ნარაზენი ძველად შედიოდა აბასთუმნის თემში. შოფლის ცენტრთან შენდება ახალი ხარების სახელობის ეკლესია. აქ ძველად ეკლესია არ მდგარა.

2. წმ. გიორგის

[1] პ. ცხადაია, დასახ. ნაშრომი, გვ. 356.
[2] პ. ცხადაია, დასახ. ნაშრომი, გვ. 357.
[3] პ. ცხადაია, დასახ. ნაშრომი, გვ. 360.
[4] პ. ცხადაია, დასახ. ნაშრომი, გვ. 362.

სახელობის ნაეკლესიარი

გრიგოლიების სასაფლაოსთან იდგა წმ. გიორგის სახელობის ხის ეკლესია. მღვდელი აქ იყო ნიკოლოზ ხურციძე, ხოლო ბოლო მღვდელი ბასილ თვალთვაძე.

3. ტოპონიმიკა

დიხაგუძუბა – ეწოდება ორ ბორცვს ჭანისწყლის ჭალაში სალომაიოში, ერთმანეთისგან 1 კილომეტრზე. განარჩევენ: ფერდიში დიხაგუძუბას და ჭალების დიხაგუძუბას[1].

ნაოხვამუ – ბორცვი, სახნავი. იგივე ნაშხურუ[2]

ოხვამეშსუკი, ეკლესიის სერი გორა სქაია ჭანისწყლის გამყოფ სერზე[3].

ნაჯიხუ – ბორცვი სანარსიოში. ჯიხური ხის კოშკი (კონკრეტულად: მრგვალი ხის ნაგებობა ტყეში, მთაში).[4]

საკუტალიოში ნაოხვამუ – იგივე ქუატახტი[5].

აქ იყო ნაოხვამუ – ბორცვი, კუტალიების, ჩუხუების, ფარცვანიების, სალოცავი; წმ. გიორგის ხატის დღეობას იხდიდნენ 23 აპრილს ან აქ, ან ჯეგეთაზე. „აქ ესვენა ხატი წმინდა თევდორე ტირონი ჯეგემისარიონი“.[6]

ჯვარისობა – ბორცვი კოკოიათის სერზე, სოფლის ცენტრს გადაჰყურებს სამხრეთიდან. აქ ესვენა კოდუების „ჯინჯხატი“, რომელსაც ეწოდება ჯვარისიმაშ ხატი“ – ჯვარის მამა (ან ჯვარცმა)[7].

სოფელი აბასთუმანი



1. შამადელას წმ. ნიკოლოზის სახელობის ნაეკლესიარი

შამადელას სახელწოდების სასაფლაოსთან (აქ თურმე უცხოვრია შამადავლე დადიანს) მდგარა ეკლესია. ბოლო მღვდელი ყოფილა სოლომონ ჩიხრაძე. პ. ცხადაიას აღნიშვნითაც, ეს სახელწოდება (შამადელა) დაკავშირებული

[1] პ. ცხადაია, დასახ. ნაშრომი, გვ. 197.
[2] პ. ცხადაია, დასახ. ნაშრომი, გვ. 199.
[3] პ. ცხადაია, დასახ. ნაშრომი, გვ. 200.
[4] პ. ცხადაია, დასახ. ნაშრომი, გვ. 29.
[5] პ. ცხადაია, დასახ. ნაშრომი, გვ. 32.
[6] პ. ცხადაია, დასახ. ნაშრომი, გვ. 34.
[7] პ. ცხადაია, დასახ. ნაშრომი, გვ. 36.

უნდა იყოს ოდიშის ერისთავ შამადავლე დადიანის (1470-1474) სახელთან[1].

2. საკუტალიოს ნაეკლესიარი

საკუტალიოს სასაფლაოსთან იდგა ხის ეკლესია. აქ იყო დეკანოზი თადეოს თათარაშვილი. მღვდელი იყო კვარაცხელია. აქ ცხოვრობდნენ სასულიერო პირები კუტალიები - მალაქია კუტალია და დიანოზ კუტალია. დიანოზ კუტალიას რაღაც დიდი თანამდებობა სჭერია ქუთაისში. აქ სტაროსტა ყოფილა არსენ კუტალია.

მღვდელი სოლომონ ჩიხრაძე

სოფელი ოდიში

1. საჭურღულიოს „უგურყელის“ (წმ.გიორგის) სალოცავი

საჭურღულიოს უბანში მდინარე ჯუმის მარცხენა სანაპიროსთან ახლოს დგას ახლად აშენებული უგურყელის წმ. გიორგის სახელობის ხის ეკლესია. ეს იყო ჭურღულიების გვარის სალოცავი. პ. ცხადაიას მასალებით, „მარადიულ, უცვალებელი“ (ალბათ უფრო „მოუთვინიერებელი“ – დ. ჭ.). ნასაყდრალი და სასაფლაოა ჯუმ-მენჯღალის წყალგამყოფ სერზე. უგურყელი ერქვა ხატს, რომელზეც ქალი იყო გამოხატული და ხელში ბავში ეკავა. ინახებოდა ურთხელის ხისაგან აგებულ ეკლესიაში. ყველაზე ძლიერ ხატად მიაჩნდათ. მთელი აფხაზეთი და სამეგრელო აქ მოდიოდა მოსალოცავად. მოლოცვა შეიძლებოდა მხოლოდ „გეკულა“ (ხსნილ) დღეებში, ე. ი. სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს და კვირას. აქვე ხდებოდა ხატზე გადაცემაც. თუ არ ავნებდა მაშინ ყულში მიდიოდნენ. ის ჭურღულიების სალოცავ ხატად ითვლებოდა.

2. ლედგებიეს მთავარანგელოზთა სახელობის ნაეკლესიარი

სოფელ ლედგებიეში, სართანიების და ბულიების სასაფლაოსთან, მდ. ჯუმის მარჯვენა მხარეს, იდგა მთავარანგელოზთა სახელობის ხის ეკლესია. ცალკე მდგარა ქვის სამრეკლო. ძველი ზარი დღესაც შემორჩენილია. მას ლედგებიეს სალოცავსაც უწოდებენ. აქ ცხოვრობდნენ თავადი დგებიები ანუ დგებუაძეები და სოფელსაც ლედგებიე ერქვა. აქ ძველად მღვდელი ყოფილა დებედე თოდუა, შემდეგ დიკა სართანია, ისინი ოთხი ძმები იყვნენ – აბრამი, ათანასე, ივანე და ლუკა.

[1] პ. ცხადაია, დასახ. ნაშრომი, გვ. 205.

პ. ცხადაიას ცნობით, აქ ესვენა ბულიების ჯინჯხატი მთავარანგელოზი, რომელიც ფახულანიდან იყო მოტაცებული. ამჟამად ასვენია ილორში წმ. გიორგის გვერდით[1].

3. ტოპონიმიკა

ხვალიაში – ნატყევარა, საკულტო ადგილი ჯუმ-მენჯღალის წყალგამყოფ სერზე, უგურყელის გვერდით. „უწინ თურმე ტყე იყო და ტყეში სალოცავი. ერთგან იდო დიდი ქვა, სადაც ხურდა ფულს ყრიდნენ. ვისაც ხველება ჰქონდა აქ მოილოცავდნენ და შველობა“[2].

სოფელი ახალსოფელი

1. საჯაბუოს ნაეკლესიარი

საჯაბუოს უბანში შემაღლებულ ბორცვზე ქალაქ ზუგდიდიდან სამ კილომეტრში აღმოსავლეთით იდგა ხის ეკლესია.

2. ლეცაგურეს კათოლიკური ნაეკლესიარი

ლეცაგურეს უბანში, ქალაქ ზუგდიდიდან 1,5 კილომეტრში მდ. ჯუმის მარჯვენა მხარეს იდგა ხის ეკლესია, ადგილობრივთა გადმოცემით ის იყო კათოლიკური, მათივე თქმით, ნაშენი იყო რიყის ქვისგან. 50-60 წლის უკან შემორჩენილი ყოფილა დაახლოებით ერთ მეტრამდე სიმაღლის კედელი, ასევე აქ ეყარა კარგად ნათალი ქვები. დღეს საძირკველი არ ჩანს, შეინიშნება ქვის ხროვა, აქ ძველად ცაგურიების გვარი ცხოვრობდა.

3. ოფაჩაფუს ნაეკლესიარი

სოფელი ახალსოფლის ცენტრთან მდებარე სასაფლაოსთან ზუგდიდიდან აღმოსავლეთით 4 კილომეტრში, მაღალ ბორცვზე იდგა ხის ეკლესია. ეს ადგილი მდებარეობს უჩაშონის ჯიხადან ჩრდილო-დასავლეთით დაახლოებით ერთ კილომეტრში.

4. ოფაჩხაფუს წმ. გიორგის სახელობის ნაეკლესიარი

ლეცაგურეს (ცაგურიები) უბნის სამხრეთით, სოფელ ოფაჩხაფუს ტერიტორიაზე, ქალაქ ზუგდიდის სამხრეთით, იდგა წმ. გიორგის სახელობის ძველი ეკლესია. ეს ადგილი არის ომი ქუთელიას ეზოში. შემორჩენილია ეკლესიის კარგად ნათალი

[1] პ. ცხადაია, დასახ. ნაშრომი, გვ. 214.
[2] პ. ცხადაია, დასახ. ნაშრომი, გვ. 221.

რამდენიმე ქვა, მათ შორის ჩუქურთმიანი, რომლის ფორმები მის ძველ ხასიათს გავარაუდებინებს. ქ. ზუგდიდის ძველი ისტორიაც ვფიქრობთ ამ ადგილებშია საძებნი.

1953 წელს არქიტექტურულად ასეა აღწერილი: „ქუთაისის ოლქი, ზუგდიდის რ-ნი; ზუგდიდის განაპირას; ოფაჩაფუ; სასაფლაო; დასაცავი ზონის ფართობი 500 $м^2$ უდრის; მოსახლეობაში ადრიდანვეა ცნობილი; სასაფლაო სწორ მინდორს წარმოადგენს. მინდორზე საფლავის ქვებია მოგრძო-ოთხკუთხედი მოყვანილობისა, კარგად დამუშავებული და მოჩუქურთმებული. წარწერების მიხედვით საფლავის ქვების უმეტესობა XIX ს. ეკუთვნის. ამ სამაროვანზე დგას საფლავის ქვა, მოგრძოოთხკუთხედის მოყვანილობის, კარგად დამუშავებული, რუხი ფერის ქვიშაქვისა, რომლის ცალ-გვერდზე ქართული მხედრული არსოებით ამოკვეთილია წარწერა: „(1)მომიხსენე მე უფალო (2) ოდეს მოხვიდე სუფევი(3)თა შენითა (4) ლოდსა ამას ქვეშე განისვენებს აზნაური (5) კოტატო კუჭუს ძე (6) ხვიტია შობიდან 72 წლისა ვარ (7) დაიცვალა 19 დეკემბერს 1905 წ. (8) აღმომკითხველთა შენდობასა ვთხოვ“. მეორე გვერდზე ამოკვეთილი წარწერა იკითხება ასე: „ნიშნად ერთგულე-(2)ბისა ძეგლისა ამას (3) ვუძღვენი პრინცესსა (4) სალომე მიურატისა (5) მთავრის დავითის ასული“. ამ წერწერის თავზე რელიეფურადაა გამოხატული სამეფო გვირგვინი; დაცვა ეკისრება რაიონის სათანადო დაწესებულებას; სპეციალური კვლევა-ძიება არაა ჩატარებული; არაფერია აღმოჩენილი; ლიტერატურა არ არის.

ტყეშელაშვილი ო. ბ., 1953 წ. აპრილი“.

როგორც წარწერიდან ჩანს ეს ეკლესია თითქოს XIX საუკუნის მეორე ნახევარშია აშენებული, ანუ სალომე დადიანის დროს, მაგრამ იქ შემორჩენილი ქვის ნაშთები გვაფიქრებინებს მის ძველ ხასიათს და შესაძლოა ამ დროს ეკლესიის აღდგენასთან გვქონდეს საქმე.

5. ბაღმარანი – საშეროზიოს ნაეკლესიარი და ციხის ნაშთები.

სოფელ ახალსოფელში საშეროზიოში არის ეკლესიის ნანგრევები. ასევე არის ციხე-სიმაგრის ნანგრევების ნაშთები.

6. ტოპონიმიკა

ნაოხვამუ – ბორცვი ჯუმისა და სინწის წყალგამყოფზე[1].

სოფელი ჯუმი

მთავარანგელოზთა სახელობის ნაეკლესიარი

[1] პ. ცხადაია, დასახ. ნაშრომი, გვ. 85.

სოფელ ჯუმში (შედის ახალსოფელში) იდგა მიხეილ და გაბრიელ მთავარანგელოზთა სახელობის ეკლესია, რაც “მიქამგარიოს ოხვამეს“ ფორმით ტოპონიმიკური მასალით დასტურდება[1].

სოფელი ნაცატუ

1. საბეშიო – ნაეკლესიარი

საბეშიოში სოფლის სასაფლაოსთან იდგა ხის ეკლესია.

2. დობერას ნაეკლესიარი

დობერად წოდებულ ადგილს ადგილობრივები უწოდებენ ნაოხვამუს (ნასალოცავი), სადაც მდგარა ხის ეკლესია. იქ ასევე მდგარა ძველად დიდი ცაცხვის ხე რომელზედაც ილოცებოდნენ. ეს ადგილი არის კორცხელის ეკლესიიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით დაახლოებით 3 კილომეტრში. მდ. ჩხოუშიის მარჯვენა მხარეს. ამ ადგილს ოყორანესაც უწოდებენ.

3. ტოპონიმიკა

ნაოხვამუ – ბორცვი ჯუმისა და ნაბანღალის შესართავს შიგნით. 1935 წელს სავენახედ დააბარინეს სვანებს და მიწიდან ბრინჯაოს ნივთები ამოყარეს[2].

სოფელი ჩხორია

1. მახარიას დედათა მონასტერი

მახარიას უბანში, წმ. გიორგის ეკლესიასთან ახლოს, არის ახლად გახსნილი თამარ მეფის სახელობის

[2] პ. ცხადაია, დასახ. ნაშრომი, გვ. 191.

დედათა მონასტერი. აქ კიდია მახარიას წმ. გიორგის ეკლესიის ძველი ზარი.

2. სათორდიოს წმ. გიორგის სახელობის ნაეკლესიარი

სათორდიოში, შემაღლებულ ბორცვზე, მდ. ჩხოუშის მარჯვენა მხარეს დაახლოებით 200 მეტრში, მარდონ ფიფიას სახლის უკან იდგა ქვის, წმ. გიორგის სახელობის ეკლესია. ამ ადგილს ეძახიან ნაოხვამუს. აქ ძველად სასაფლაოებიც ყოფილა.

პ. გაბისონიას აღწერილობით, „ეს სალოცავი დღეს მთლიანად დანგრეულია. ზომების მიხედვით იგი ძალიან პატარაა, სიგრძე – 3.5 მეტრი, სიგანე – 3 მეტრი, რაც გვაფიქრებინებს, რომ აქ ეკლესია კი არა, უფრო სალოცავი ნიში იდგა. შემორჩენილია ჩრდილოეთის მხარის საძირკველისა და კედლის მცირე ნაშთი, საიდანაც ჩანს, რომ სამშენებლო მასალად რიყის ქვები და კირის დუღაბი გამოუყენებიათ, ხოლო გარედან უხეშად დამუშავებული ქვებით შეუმოსავთ. თვითონ მშენებლობაც უწესრიგოდ არის შესრულებული. სალოცავს წარწერები ან ჩუქურთმები არ გააჩნია და არც გალავნის ნაშთები ჩანს.ავტორისავე აზრით, ეს სალოცავი გვიან შუა საუკუნეებში, ან სულაც XIX საუკუნის I ნახევარშია აშენებული, რასაც კირის ფენა გვაფიქრებინებს. იგი ალბათ საგვარეულოს ან უბნის სამლოცველოს წარმოადგენდა. სალოცავიდან ერთი კილომეტრის დაშორებით აღმოსავლეთ მხარეს მდინარის გაღმა პრინც მიურატის ვილა დგას. მისივე აღნიშვნით, ეტყობა ამ სალოცავმა ფუნქცია მაშინ დაკარგა, როცა სალომე დადიან-მიურატმა 1896 წელს თავის მამულში, სახლთან ახლოს აკურთხებინა ახლად აშენებული ალექსანდრე ნეველის სახელობის ეკლესია“[1].

3. საბერულოს ნაეკლესიარი

საბერულაოს უბანში, ნიკო ძიმშეიშვილის სახლთან, სადაც დღეს სახნავ-სათესია გამართული, მდ. ჩხოუშის მარჯვენა მხარეს დაახლოებით 2 კმ-ში, ჭკადუაშის ეკლესიიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით, მისგან დაახლოებით 3 კილომეტრში იდგა ეკლესია – ტიპი გაურკვეველია. დღეს საძირკველი არ შეინიშნება, არის მიწით დაფარული შემაღლება, სადაც სავარაუდოდ საძირკველი უნდა ყოფილიყო.

[1] პ. გაბისონია, დასახ. ნაშრომი, გვ. 53-54.

სოფელი ტყაია

2. წმ. გიორგის სახელობის ეკლესია

სოფელ ტყაიაში, სოფლის სასაფლაოსთან, მდ. ენგურის მარცხენა ნაპირიდან დაახლოებით ორი კილომეტრის დაშორებით დგას წმ. გიორგის სახელობის აგურის ეკლესია. ხელახლა აღუდგენიათ 5 წლის უკან. აგებობა საკმაოდ დიდია. ეკლესია გუმბათიანია, ოთხკუთხედი ფორმის, ერთნავიანი. წინ მისავე კომპლექსში მიშენებულია სამრეკლო. ბოლო მღვდელი იყო ნიკოლოზ ქუხილავა. ეს ეკლესია გაუხსნიათ 1905 წელს; ის აუშენებია კადირბი ჩიქოვანს. მას გაუღია 1500 მანეთი ოქროს ფული დანარჩენი კი მრევლს შეუწირავს. ის ეკლესიის შიგნითაა დაკრძალული. აგური ეკლესიის ასაშენებლად აქ გამოუწვავთ, სახურავი თურქეთიდან ჩამოუტანიათ. ასევე მღვდელი ყოფილა ზოსიმე ქუქუჩის ძე ივარდავა, რომელიც კორცხელის ეკლესიის ეზოშია დასაფლავებული.

პ. ცხადაიას მასალებით, „ოხვამეში ფერდი//სათავადო ოხვამე“, ერქვა ეკლესიას. იქ მღვდელი იყო კონდრა თოლორაია[1].

სოფელი რიყე

1. საჯიქიოს ნაოხვამუ (ნაეკლესიარი)

მდ. ენგურიდან დაახლოებით 2,5 კილომეტრში (ადრე მანძილი ერთი კილომეტრი იყო, რადგან კალაპოტი შეუცვლია) მარცხენა მხარეს არის ადგილი ნაოხვამუ; იქ მიმობნეულია უამრავი რიყის ქვები და შეინიშნება კედლის ნაშთები, ასევე რიყის ქვისაგან აშენებული ღობის ნაშთები. აქედან ჩრდილო-დასავლეთით ჩანს სათანჯოს მთა

[1] პ. ცხადაია, დასახ. ნაშრომი, გვ. 323.

და კოშკი. აღსანიშნავია, რომ ს. მაკალათიას ცნობით, სალხინოს სასახლიდან ზამთარში დადიანები საცხოვრებლად რიყეში მიდიოდნენ. სავარაუდოდ მათ აქ სასახლე უნდა ჰქონოდათ [1]. ო. სოსელიას მასალებით, რიყე (სხვა სოფლებთან ერთად) იყო გიორგი დადიანის საუფლისწულო და საზამთრო ადგილსამყოფელი. გიორგი იყო ბეჟან დადიანის შვილიშვილი, ოტია დადიანის შვილი, კაცია II-ის უმცროსი ძმა და გრიგოლ დადიანის ბიძა [2]. გიორგი დადიანი გარდაიცვალა 1799 წელს. გიორგის სიკვდილის შემდეგ მისი სამფლობელო მისი მემკვიდრის ნიკო „ნიკოლოზ ბატონიშვილის“ ხელში გადავიდა [3]. ვფიქრობთ, ჩვენს მიერ ზემოთ ნახსენები ადგილი უნდა ყოფილიყო მათი საზამთრო ადგილსამყოფელი სასახლე, სადაც უნდა მდგარიყო კარის ეკლესია და ციხესიმაგრეც კი.

2. საჯალაღონიოს წმინდა გიორგის სახელობის ახალი ეკლესია და ნაეკლესიარი

სოფლის ცენტრთან მდებარე სასაფლაოზე იდგა წმ. გიორგის სახელობის ხის ეკლესია. აქ მღვდელი ყოფილა არსენა ხვინგია. მის მოპირდაპირე მხარეს აშენებულია ახალი გუმბათოვანი ეკლესია. ძველი ტაძრის ადგილას იკითხება საკმაოდ დიდი ეკლესიის საძირკვლი. ნაშთები და საკურთხევლის მოხაზულობაც.

3. ნაოხვამუ ადგილები

სოფელ რიყეში უამრავი ნაოხვამუ (ნაეკლესიარი, ნასალოცავი) ადგილია: ერთია შორდან საჯაიას სახლთან; მეორე ლაშხია ზაურის სახლთან; ადგილის სახელია კურკუცია, იქ ადამიანის ძვლები უნახავთ.

ა. ჭანტურიას ცნობით, რიყეში კუცია ვეკუას სახლთან ორ კილომეტრში ყოფილა ეკლესია[4].

ბ. ცხადაიას მასალებით, 1. ნაოხვამუ – მინდორი გოჟოს მარჯვენა ნაპირს, ენგურის ჭალაში, გრიშაშ კურკუციას ქვემოთ. 1928 წელს გზის გაყვანისას ამოაგდეს ქვები კაცის ძვლებით.

2. ნასაყდრალი საჯალაღონიოში[1].

---

[1] ს. მაკალათია, სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, თბ., 1941, გვ. 314.

[2] ო. სოსელია, ნარკვევები ფეოდალური ხანის დასალეთ საქართველოს სოციალურ- პოლიტიკური ისტორიიდან (სათავადოები), III, თბ., 1990, გვ. 97-99.

[3] ო. სოსელია, დასახ. ნაშრომი, გვ. 100.

[4] ა. ჭანტურია, ისტორიულ-არქეოლოგიური ძიებანი სამეგრელოში, თბილისის უნივერსიტეტის შრომები, ისტორია, არქეოლოგია, ხელოვნებათმცოდნეობა, თბ., 1989, №283, გვ. 178.

სოფელი ზედა ეწერი

1. წმ. გიორგის ახალი ეკლესია

სოფლის ცენტრთან დგას ახლად აშენებული წმ. გიორგის სახელობის ეკლესია და სამრეკლო – ადრე ამ ადგილას ადრე ეკლესია არ იდგა.

2. საივარდავოს ნაეკლესიარი

საივარდავოს სასაფლაოსთან იდგა ხის ეკლესია და საამრეკლო.

3. მაცხოვრის სახელობის ნაეკლესიარი

სოფელ კორცხელის დასავლეთით, მდ. ჩხოუშის მარჯვენა სანაპიროსთან მდებარე ადგილ „მანცხვარ ტომბასთან“ („მაცხოვრის მორევი“) არის რიყის ქვის ნაშთები; აქ სავარაუდოდ უნდა მდგარიყო მაცხოვრის სახელობის ეკლესია, რომელსაც ტოპონიმი (მანცხვარი ტომბა) მიუთითებს. სხვა გადმოცემა არ არსებობს. ზომით ის პატარა სამლოცველო უნდა ყოფილიყო.

4. სვანების უბანი – წმ. გიორგის სახელობის სამლოცველო

სვანების უბანში დგას წმ. გიორგის სახელობის პატარა სამლოცველო, რომელიც აქ ჩამოსახლებულ სვანებს დახლოებით 20 წლის უკან აუშენებიათ.

სოფელი ზემო ბაში

1. ჩიჟიშკარის ციხე-სიმაგრე

სოფელ ბაშში, შემაღლებულ გორაზე მდებარეობს ე. წ. „ჩიჟიშკარის“ უზარმაზარი ციხე-სიმაგრის კომპლექსი. ის საერთოდ კორცხელის ციხის სახელით არის ცნობილი. ჩიჟი საკუთარი სახელია, რომელსაც

[1] პ. ცხადაია, დასახ. ნაშრომი, გვ. 256-257.

თითქოს აქ უცხოვრია. ეს ციხე-სიმაგრე დაახლოებით 4-5 ჰექრატზეა გაშლილი. ყველგან არის სხვადასხვა მშენებლობათა ნაშთები. მას სავარაუდოდ აქვს 4 კოშკი, სამხრეთით-აღმოსავლეთით, სამხრეთ-დასავლეთით და დასავლეთით; ნაშენია რიყის ქვით კირის დუღაბზე. ზოგგან აგურის ფენებიც შეინიშნება და სხვა კარგად ნათალი ქვებიც – კვადრები. ეს ადგილი არის მდ. ენგურის მარცხენა სანაპიროდან 5-6 კილომეტრში. ის გადაჰყურებს მდ. ენგურის ხეობას და სათანჯოს მთას. ჩრდილოეთის კედელი ჩამონგრეულია და ხრამშია ჩავარდნილი. მისასვლელი ციხეს აქვს აღმოსავლეთით და მცირე მონაკვეთზე სამხრეთით. ჩრდილოეთით და ჩრდილო-აღმოსავლეთით არის ღრმა ხრამი. ჩვენ ეს ციხე-სიმაგრეები გავაიგივეთ „ეგროსის“ ქალაქ „ეგრისთან“ (იხ. ზემოთ).

სოფელი რუხი

2. ტოპონიმიკა

არის ადგილი ნაოხვამუ – ბუჩქნარი ბირქთან[1].

1. რუხის ციხე-სიმაგრე

რუხის ციხე მდებარეობს მდ. ენგურის მარცხენა მხარეს. მას ზედ გალავანთან მარცხნივ ჩამოუდის მდ. რუხი. ის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ციხე-სიმაგრე და ქალაქი იყო, რომელიც ლევან დადიანმა ააშენა[2].

ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით, „ანაკრიის აღმოსავლით ამ მდინარეზედ არს რუხს ციხე დიდშენი, შიგ წყარო გამომდინგარე. აღაშენა ლევან დადიანმან ქრისტესსა ჩ ქმზ, ქართულსა ტ ლე, შემდგომად შემუსრეს ოსმალთა წელსა ჩ ღკე ქართულსა უ იგ, და ამის ქვით აღაშენეს ანაკრია უმტკიცესად[3].

გიულდენშტედტის ცნობით, „...რუხი, ... ციხე ენგურის მარცხენა ნაპირზე, იყო თურქთა ხელში, ახლა მიტოვებულია“[4].

რუხის ციხე მთავრის საცხოვრებელი ადგილად არის მოხსენიებული უნგრულ წერილობით წყაროებში[5].

---

[1] პ. ცხადაია, დასახ. ნაშრომი, გვ. 187.
[2] ა. ტუღუში, უნგრული წერილობითი წყაროები საქართველოს შესახებ, ზუგდიდი, 2001, გვ. 26.
[3] ქართლის ცხოვრება, ტ. IV, თბ. 1973, გვ. 779.
[4] გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, ტ. I, თბ., 1962, გვ. 325.
[5] პ. ცხადაია, დასახ. ნაშრომი, გვ. 187.

მორის ვაგნერის ცნობით, „...ამჟამად ის სამეგრელოს ეკუთვნის, ისევე როგორც რუსთა რამზმების მიერ დანგრეული აფხაზური პატარა ციხე **რუხი**; ის ძევს ენგურის მარჯვენა ნაპირზე და კეტავს ლაზებში მიმავალ გზას. იქვე ახლოს მდებარე სოფელსაც ასევე რუხი ჰქვია“[1].

ი. ანთელავას გამოკვლევით, „ლევან II დადიანმა აწინდელი სოფელ რუხის ტერიტორიაზე პატარა ქალაქი „მოაწყო“ და დუქნები ააშენეს. აქვე დაასახლა მან იმერეთის მეფე გიორგის გამოსასყიდში მიღებული ჩხარელი და ჩიხორელი ვაჭრები, ეროვნებით სომხები და ებრაელები. არქანჯელო ლამბერტის ცნობით, დადიანმა სრულებით განაახლა ქვეყანა იმით, რომ ეს ვაჭრები მოიწვია. სწორედ ამ ვაჭრებს უნდა გადმოეზიდათ აბრეშუმი ირანიდან, როგორც ამას დადიანის პროექტი ითვალისწინებდა. ი. ანთელავას აზრით, რუხის „ქალაქიც“ ამ პროექტის მიზანდასახულებათა სარეალიზაციოდ იქნა აგებული. ამავე მიზანს უნდა ემსახურებოდეს ლევანის მიერ ზარაფხანის გახსნა. სადაც ირანული ყაიდის ფული იჭრებოდა. ამ ფულს დადიანის ვაჭრები ხმარობდნენ, როცა ირანში მიდიოდნენ სავაჭროდ. ამრიგად, ლევან დადიანის კარგად ცნობილი ღონისძიებები – რუხის „ქალაქის“ გამართვა და ზარაფხანის გახსნა მჭიდრო კავშირშია ევროპასთან ვაჭრობის მისსავე პროექტთან. რუხის „ქალაქის“ გამართვა და სომეხ-ებრაელ ვაჭართა აქ გადმოსახლება 1635-1636 წლებს ეკუთვნის. ამავე ხანებში უნდა იყოს დაწყებული რუხის ციხის მშენებლობა. ავტორისავე აღნიშვნით, ვახუშტი არ უნდა გულისხმობდეს ციხის მშენებლობის დამთავრებას 1647 წელს, თორემ ყოვლად შეუძლებელია ასეთი დიდი ნაგებობის ერთ წელიწადში დასრულება. ციხის მშენებლობა რუხის „გაქალაქებისთანავე“ უნდა დაწყებულიყო რუხის ციხე კარგად გამაგრებული იყო და სათანადო სამხედრო ტექნიკაც გააჩნდა ზარბაზნებისა, თოფებისა და სხვა სახით, ეს ციხე რუხთან ერთად, მთავრის რეზიდენცია ზუგდიდსაც იცავდა“[2].

ს. მაკალათიას აღწერილობით, „ციხეს არტყია მაღალი კედელი, რომლის სიმაღლე აღწევს ექვს მეტრამდის. შესავალი კარი ციხეს აქვს აღმოსავლეთის მხარეზე. კედლების სისქე უდრის 3 მეტრს. ციხე და მისი კედლები ნაგებია ენგურიდან ამოზიდული რიყის ქვით, მჭიდროდ და ლამაზად. ციხის კედლებში ჩაშენებულია ოთხი კოშკი, ყველა თავმორღვეულია და ჩაქცეული პირველ კოშკში. დარაჯობს შესავალ კარებს და ეს კარებიც კოშკის ქვემო სართულშია გამოჭრილი მეორე კოშკი დარაჯობს ჩრდილოეთის მხარეს, მესამე – დასავლეთის მხარეს, მეოთხე კი – აღმოსავლეთი მხარეს. კოშკის ფართობი უდრის 5X5 კვ. მეტრს. გალავნის ჩრდილოეთის მხარეზე რამდენიმე ოთახია მიშენებული. კოშკებსა და ციხის კედლებში დატანებულია სათოფურები და სამზირები. ციხის მოედანი საკმაოდ დიდია, დაახლოებით იქნება ერთი ჰექტარი. იგი იყოფა ორ ნაწილად: იწყება შესავალი კარებიდან და ის უფრო დიდია. აქედან ასასვლელია. მეორე ნაწილში, სადაც სადარაჯო კოშკია აღმართული და ეს კოშკი გასცქერის ენგურის ხეობას და მაღალ მთის წვერზე მდებარე ციხეს „სათანჯოს“. ციხის ნიადაგიდან დასავლეთის მხარეზე გამოდის დიდი წყალი „ოძილე“. რუხის ციხეს ისაკუთრებენ ხვიტები. ეს ციხე მათ მამულში ყოფილა აშენებული და ციხესაც ხვიტები ეპატრონებოდნენ თურმე. რუხის ციხეს დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა ეძლეოდა სამეგრელოს სამთავროს თავდაცვის საქმეში. ამ მიზნით, რუხი ციხე-ქალაქად აქცია

---

[1] მორიც ვაგნერი საქართველოს შესახებ, გერმანული ტექსტი თარგმნა, შესავალი, კომენტარები და საძიებლები დაურთო გ. გელაშვილმა, თბ., 2002, გვ. 121.
[2] ი. ანთელავა, ლევან II დადიანი, თბ., 1990, გვ. 113-114.

ლევან II დადიანმა (1611-1657 წწ.), რომელმაც აქ დაასახლა მოვაჭრე ურია და სომხები. რუხის ციხე დარაჯობდა ოდიშის სამთავროს დასავლეთის საზღვარს, საიდანაც მას საფრთხე მოელოდა ჯერ ოსმალებისა და შემდეგ აფხაზების მხრით. ოსმალებმა რუხის ციხე 1725 წელს საგრძნობლად დააზიანეს. 1780 წელს, როდესაც სამურზაყანოს დაპყრობის მიზნით გამწვავდა ურთიერთობა ოდიშსა და აფხაზეთს შორის, რუხის ციხესთან მოხდა სასტიკი ბრძოლა. ამ ომში დამარცხდა აფხაზეთის მთავარი ზურაბ შერვაშიძე და გაიმარჯვა ოდიშის მთავარმა კაცია დადიანმა, რომელსაც დარჩა დიდი ნადავლი“[1].

არქიტექტურულად რუხის ციხე ამ სახით არის აღწერილი 1953 წელს: „ზუგდიდის რ-ნი, ქუთაისის ოლქი; სოფ. რუხი; ციხე; შუა საუკუნეებისაა, ეტყობა შემდგომ რესტავრაციაც; დასაცავი ზონის ფართობი თითქმის 1000 $м^2$ უდრის; ციხე შემაღლებულ ადგილზეა ნაგები, გადაჰყურებს მდ. ენგურს, ნაგებია რიყის ქვით და კირით. ციხის ზღუდეში ხუთი ოთხკუთხი მოყვანილობის კოშკია დატანებული. ციხე შიგნით ორ ნაწილადაა გაყოფილი. ერთ-ერთ ნაწილში მცირე ზომის სამყოფია გაკეთებული; კოშკები და ზღუდის კედლები რამდენიმე ადგილას დანგრეული და გაბზარულია. ციხეს საიდუმლო გვირაბი ჰქონია, რომელიც ამჟამად ქვითაა ამოვსებული; გვირაბის გვერდით, ციხის ქვეშ, წყარო გამოდის; ციხის შინაგანი ზომა 94X57 მ. უდრის; კოშკების საშუალო ზომა 8,45X9.65 მ-ია. ზღუდის კედლის საშუალო სისქე – 2,80 მ. ციხეში შესასვლელი კარი სამხრეთ-აღმოსავლეთის კოშკშია დატანებული; ამჟამად არც ერთ დაწესებულებას არ უჭირავს. 1941-1945 წწ. სამამულო ომის დროს პატიმართა კოლონია ყოფილა და ამ დროს დაუზიანებიათ ციხის კედლები; სხვა მიზნით გამოყენებული არაა; საჭიროა დაზიანებული კედლების შეკეთება.

ო. ტყეშელაშვილი. 1953 წ. აპრილი.

რუხის ციხის არქიტექტურული კომპლექსი და მოკლე ისტორია დახასიათებული აქვს პ. ზაქარაიას[2].

2. წმ. ნიკოლოზის სახელობის მშენებარე ეკლესია

სოფლის ცენტრთან შენდება ახალი წმ. ნიკოლოზის სახელობის ეკლესია. დასრულებულია სამრეკლოს მშენებლობა ძველად აქ ეკლესია არ მდგარა.

3. წმ. ნიკოლოზის სახელობის ნაეკლესიარი

სოფელ რუხში, თოდუების და ღურწკაიების სასაფლაოსთან იდგა წმ. ნიკოლოზის სახელობის ქვის ეკლესია. ბოლო მღვდელი აქ ყოფილა პროფი თოდუა, ის აფხაზეთში გადაუსახლებიათ, ეკლესიის შენობისგან კი სკოლა აუშენებიათ.

---

[1] ს. მაკალათია, სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, თბ., 1941, გვ. 308-309.
[2] პ. ზაქარაია, საქართველოს საერო ხუროთმოძღვრების ძეგლები, თბ., 1960, გვ. 27-28.

სოფელი ნავწულუკუ

ნაეკლესიარი – „ჯვარამი ჭყონი“

სოფელ ნავწულუკუში (შედის სოფ. რუხში), წულუკიძეების სასაფლაოსთან იდგა ხის ეკლესია, რომელსაც ეძახიან ჯვარამი ჭყონს („ჯვრიანი მუხა“). აქ მღვდელი ყოფილა სართანია ოდიშიდან, დეკანოზი ელიზბარ გულორდავა. აქ დღესაც დგას ხის სამლოცველო.

სოფელი ხეცერა

1. წმ. გიორგის სახელობის ეკლესია

მდ. უმპიის მარჯვენა და ჯუ-მის მარცხენა მხარეს სოფლის სასაფლაოსთან ბერიების და აფშილავების უბანში დგას წმ. გიორგის სახელობის ეკლესია. მას „გვათუაშ ოხვამესაც“ ეძახიან. ნაშენია კარგად ნათალი ქვით, ჭერი ჩამოქცეულია, ეკლესია ერთ-ნავიანია, კედლები საკმაოდ კარგად არის შენარჩუნებული. სამხრეთით და დასავლეთით კედლები გაბზარულია. როგორც ჩანს ეს ეკლესია აღუდგენიათ საკმაოდ უსისტემოდ. ის თავის დროზე კარგად უნდა ყოფილიყო მოჩუქურთმებული, რადგან ჩანს ძველი ჩუქურთმიანი ქვები ჩაუშენებიათ უადგილო ადგილას.

2. ნაგებობის ნაშთები – „ქორთუაში ნოხორი“

სოფელ ხეცერაში არის ადგილი „ქოთუაში ნოხორუ“, სადაც შეინიშნება საძირკვლის ნაშთები. შესაძლოა ამ ტოპონიმს (ქორთუა) კავშირი ჰქონდეს თავად ქორთოძეთა ცნობილ გვართან.

3. საკუტალიოს მიქამგარიოს (მიხეილ და გაბრიელმთავარანგელოზთა) სახელობის ნაეკლესიარი

საკუტალიოს უბანში, კუტალიების სასაფლაოსთან იდგა მიქამგარიოს ანუ მთავარანგელოზთა (მიხეილის და გაბრიელის) სახელობის ხის ეკლესია.

სოფელი შამგონა

1. ჩე ოხვამე (თეთრი სალოცავი) – წმ. კონსტანტინეს სახელობის ნაეკლესიარი

სოფელი შამგონას სასაფლაოსთან იდგა ხის ეკლესია და სამრეკლო, რომელსაც ადგილობრივები ჩე ოხვამეს (თეთრი სალოცავი), ასევე კოსტაშ ოხვამესაც (კოსტას სალოცავი) უწოდებენ, ანუ ის უნდა ყოფილიყო კონსტანტინეს სახელობის, რაც სხვა წყაროებითაც დასტურდება. 1908 წლის მონაცემებით, „შამაგონას მოციქულთა სწორ მეფე კონსტანტინეს და დედოფალ ელენეს ეკლესიაში“ მღვდელი ყოფილა პლატონ ხვინგია, მედავითნე კირილე ჯიქია, მამასახლისი პავლე წყაროზია“ [1]. ადრე ეკლესია სხვა ადგილას მდგარა, რომლის აშენების ისტორია ადგილობრივი მკვიდრის ჩანაწერების საფუძველზე, ამ სახის არის: „იმ დროს, როცა ზუგდიდის რაიონის სოფელი შამგონა კუნძულს ჯერაც არ წარმოადგენდა, იქ იდგა სათანჯოს მთიდან ჩამოტანილი თეთრი ქვით ნაგები მშვენიერი ეკლესია, რომელსაც „თეთრ ეკლესიას“ – „ჩე ოხვამეს“ – უწოდებენ. მე-19 საუკუნის დამდეგს, როცა წყალდიდობის ჟამს ნაპირებიდან გადმოსულმა მდინარე ენგურმა სადინარი გაიფართოვა და შეიცვალა, სოფელ შამგონის ტერიტორია კუნძულად იქცა, ხოლო „თეთრი ეკლესია“ („ჩე ოხვამე“) ამ ტერიტორიიდან განცალკავებული აღმოჩნდა წყლით და სოფელი უეკლესიოდ დარჩა. ამის გამო შამგონის მცხოვრებლებმა გადაწყვიტეს, ახალი ეკლესია აეშენებინათ სოფლის ცენტრში. მისი აშენების მოთავეები და მშენებლები იყვნენ შამგონის მკვიდრნი ნოჩო, ჯვაბაია და ბართლომე ხუბუები. ეკლესია ხის მასალისგან ყოფილა აშენებული. მღვდლად კი დაუდგენიათ სოფ. კორცხელის მკვიდრი პლატონ ხვინგია, რომელიც მღვდელ ოთარ ლაღიძეს შეცვლია. შამგონის ეკლესიის მომდევნო, ბოლო მღვდელი კი გახლდათ ლავრენტი (ლაუ) ნარმანია, რომლის მამაც სოფელ კოკიდან გადმოსახლებულა შამგონაში. მამა ლავრენტის წირვისას ეხმარებოდნენ. კერძო დიაკონი ვარლამ წყაროზია, მედავითნე ძარგვა ბულია, სტიქაროსანი ყარა ღურწკაია, მგალობელი ქსენია ფიფია და სხვა მორწმუნენი... 1927 წელს შამგონის ხის ეკლესია დახურეს, დაარღვიეს და მისგან დაწყებითი სკოლა ააგეს. მამა ლავრენტის ძალით გაკრიჭეს წვერი და აუკრძალეს ღვთისმსახურება, მაგრამ შემდგომაც ის მალულად დადიოდა ოჯახებში და ნათლავდა ბავშვებს, წესს უგებდა მიცვალებულებს. ისიც კი სცადა, რომ დანგრეული ეკლესიის ადგილას ტრაპეზი მოენიშნა ქვებით, რათა თანასოფლელებიც შეეგულიანებინა და რამდენადაც შესაძლებელი იქნებოდა, წირვა-

[1] ცაიშის საკათედრო ტაძარი, ზუგდიდი-ცაიში 2001, რედ. დეკანოზი ამირან (შენგელია), გვ. 59.

ლოცვა აღედგინა, მაგრამ უღმრთო ხელისუფლებისგან დაშინებულმა მოსახლეობამ ამაში ვერ აუბა მხარი მღვდელ ლავრენტის. ერთხელ ძალათი გაუხდიათ სამღვდელო კაბა მამა ლავრენტისათვის, დაუცინიათ და ფიზიკურად შეურაცხყვიათ იგი, მაგრამ სულიერად ვერც ამით გაუტეხავთ. უღმრთო ხელისუფლებამ მამა ლავრენტი საკუთარი სახლიდანაც გამოაძევა, რის შემდეგაც იგი დაბინავდა მეზობლის ქოხში, მაგრამ არც აქ მოასვენეს – მას აუტანელ საყოფაცხოვრებო პირობებს უქმნიდნენ: პარავდნენ სარჩოს და აშინებდნენ. მამა ლავრენტი იძულებული შეიქნა, მთელი ოჯახით გადასახლებულიყო ზუგდიდში (როგორც ამბობენ, ამჟამინდელი რუსთაველის ქუჩის ბოლოში, ქაფათის განაპირას); მას თავის ეზოში უბრალო სალოცავი მოუწყვია. ხელისუფლებამ მამა ლავრენტი აქაც არ დააყენა მშვიდად – კვლავაც გრძელდებოდა მისი შევიწროვება. ერთხელ მის ოჯახს თავის დაესხნენ „ბანდიტები“ და მოკლეს მისი მეუღლე, შემდეგ კი გაავრცელეს ჭორი, რომ თითქოს მამა ლავრენტის მოეკლა საკუთარი მეუღლე. 1924 წლის აჯანყების დროს, როცა სასტიკად უსწორდებოდნენ მის მონაწილეებს, სოფელ შამგონაში დამსჯელი რაზმი გაუგზავნიათ ზუგდიდიდან. აჯანყების შამგონელ მონაწილეებს გადაუწყვეტია მათთან შეიარაღებული შებრძოლება, რაც რა თქმა უნდა ძმათამკვლელობით დამთავრდებოდა. მამა ლავრენტის აუღია ჯვარი, წინ წარსდგომია შამგონელ აჯანყებულებს და გადაუფიქრებინებია მათთვის სასტიკ სისხლისღვრაში მონაწილეობა. მამა ლავრენტის შვილებისათვის დაუბარებია, როცა გარდავიცვლები, შამგონის ეკლესიის ეზოში დამრძალეთო. შთამომავლებმა მას ეს სურვილი შეუსრულეს – მისი საფლავი დღესაც იქაა“[1].

2. ნოჯიხუ – ნაციხარი

სოფელ შამგონაში არის უბანი „ნოჯიხუ“ ანუ ნაციხარი. იქ დღეს ციხის ნაშთები არ შეინიშნება. მდ. ენგური დღეს ორ ნაწილად იყოფა და ქმნის კუნძულს, ხოლო ძველად ამ ადგილას ჰქონია კალაპოტი (მდ. ენგური ხშირად იცვლიდა კალაპოტს). აქ ადგილობრივებს ახსოვთ ნაგებობის ნაშთები, შესაძლოა აქ ყოფილიყო შარდენის მიერ მოხსენიებული საბახტარის ციხე.

სოფელი ნაფატუ

წმ. გიორგის სახელობის ეკლესია

სოფლის სასაფლაოსთან დგას ახლად აშენებული წმ. გიორგის სახელობის ეკლესია

[1] ჟურნ. საფარველი, ნაია ეხვაია, ნეტარ იყვნენ, 2009, №2. ეს ისტორია შეუდგენია შამგონის მკვიდრ ვასილ ღურწკაიას.

სოფელი ახალაბასთუმანი

1. მთავარანგელოზ მიხაელისა და წმ. გიორგის სახელობის ნაეკლესიარი

ახალაბასთუმანის სასაფლაოსთან იდგა აგურის ეკლესია, რომელიც 1898-1899 წლებში აუშენებიათ. ადგილობრივთა გადმოცემით მღვდელი აქ იყო ესტატე კვარაცხელია. დღეს აქ დგას პატარა სამლოცველო. შეინიშნება საძირკვლის ნაშთები და ქვის და აგურის გროვაც, რომელზეც სასაფლაოებია მოწყობილი.

ახალი აბასთუმნის მთავარანგელოზის მიქაელისა და დიდმოწამე და ძლევამოსილ წმინდა გიორგის ეკლესიაში 1908 წელს მსახურობდნენ მღვდელი ევსტაფი კვირკველია, მედავითნე ტიმოთე შენგელია, მამასახლისი ჩიტი ქარჩავა[1].

სოფელი პირველი კახათი

1. ნაკარდამუ (ნააკლდამუ) და დიხა-გუძუბები

სოფელი პირველ კახათში არის ადგილი „ნაკარდამუ. ვფიქრობთ“, ის დიხა გუძუბა უნდა ყოფილიყო რომელიც გაშლილია დაახლოებით 2-3 ჰექტარზე. შემაღლება დღესაც ზოგან დაახლოებით ორ მეტს აღწევს. ირგვლივ აშკარად ეტყობა თხრილი; აქ ასევე მდგარა ხის ეკლესია. ამ ადგილს ეძახიან ნაოხვამუს და ნაკარდამუს. ეკლესია 1945 წელს დაუნგრევიათ.

3. წმ. გიორგის სახელობის ახალი ეკლესია

[1] ცაიშის საკათედრო ტაძარი, დასახ. ნაშრომი, გვ. 59.

ზუგდიდ-ანაკლიის გზის მარცხენა მხარეს დგას ახლად აშენებული წმ. გიორგის სახელობის ეკლესია და სამრეკლო.

სოფელი კახათი

1. ღვთისმშობლის სახელობის ნაეკლესიარი

სოფელ კახათში ძველი ეკლესია იდგა სოფლის სასაფლაოსთან, რომლის შესახებაც XIX საუკუნის ქართულ პერიოდულ პრესაში აღნიშნულია, რომ ეს ტაძარი ძალზედ ძველი ყოფილ; XX საუკუნის დასაწყისში განუახლებიათ ხელახლა და კურთხევა მიუციათ[1], ადგილობრივი მღვდლის ვასილ ჯგუშიას მეთაურობით.

---

[1] ეკლესიის განახლება. ეს რამდენი ხანია, ადგილობრივი მღვდელი მ. ვასილი ჯგუშია მუდამ მისი მთქმელი და შთამგონებელი იყო თავის მრევლისა, რამენაირად დაძველებული ეკლესია განეახლებინა, მაგრამ საუბედუროდ მისი ცდა რჩებოდა „ხმა მღაღადებელთა უდაბნოსა შინა“. მერეო, მკითხავთ „მიძინიას კვერი“ ხო არ გამოუცხვიათ? არამც თუ მიაძინა თავის კეთილი გაზრახვა, არამედ სამი წლის დაუღალავი მოძღვრული რჩევით, (მიაღ) საქმედ აქცია და დღეს იმავე ადგილზე გამოჭიმულია კეკლუცი და შნოიანი ეკლესია. ამას დაუმატოთ ისიც, რომ მან სხვა-და-სხვა წყაროებიდან მოუპოვა მისდამი რწმუნებულ ეკკლესიას ღირებული ასი მანეთის საეკკლესიო ნივთები, რომელითაც იგი აქამდის არა სანუგეშო მდგომარეობაში იმყოფებოდა, რაც უფრო ცხადად გვიმტკიცებს მის ერთგულ სამსახურს თავის დანიშნულებისადმი. ორი სიტყვა მეიჯარადრებზე: დიდი დავიდარაბა გაიარეს პოდრიაჩიკებმა უფულობისა გამო, საზოგადოებაზე გაწერილი ვერ შეიკრიბა თავის დროზე და თქვენი მტერი ისინი ჩაიჭრებოდნენ თუ საკუთარი ფული არ გამოეღოთ. მაგრამ კულტუროსანმა მიჰმართა თავის ჯიბეს და მით დააკმაყოფილა ოსტატი, რომ მუშაობა არ შეჩერებულიყო და ასე ამნაირად შეასრულა თავისი მოვალეობა, ხოლო მეორე მოვალეობა კი ყინულზე დაიწერა. ე. ი. მოგება, მაგრამ სააგამოს უზენასესი უძღვის მათ.

კურთხევა. ტაძრის კურთხევა უმაღლესი მთავრობისაგან მინდობილი ჰქონდა პატივცემულ დეკანოზს მ. მეუნარგიას და მისი კურთხევის დღე იყო დანიშნული 17 აპრილს აღნიშნულ დროში, ხსენებულ ეკკლესიის მრევლთა, დიდი მოძრაობა ეტყობოდა. ყოველგან ყოველი მხრივ იკრიბებოდა ხალხი ამ დიდად სასურველ დღეს. ხალხი თითქმის მოგროვილიყო ეკკლესიაში და დაკანოზი კი არ ჩამობრძანებულიყო. ზოგიერთი იმ აზრისა იყო: შეიძლება დღეს სრულიად არ იკურთხოს ეკკლესიაო და ხალხი დიდი დუმილის სივრცეში იყო გატაცებული. მათ ზედ ეტყობოდა მწარე ნაღველი და უსიამოვნო გამომეტყველება ხომ ამტკიცებდა მათ ძარღვში შემჯდარ საიდუმლოს. რა იყო მაგის მიზეზი რისი ეშინოდათ აგრე? აი მიზეზიც: ზოგიერთი ვაუბატონებისაგან (აღნიშნულ ეკკლესიაში არა შემოვალთა მრევლთაგან) იყო ნათხოვარი ეკკლესიის კურთხევის შეჩერება. მანამ ცარიელ-ტარიელი მეთაური არ ინებებდა, სრულიად უმნიშვნელო მიზეზისა გამო. უცბად ხალხი შეინძრა, ნახეს რა მომავალი დეკანოზი, მიუგებდნენ მას და განუსაზღვრელ სიხარულის მორევამა მოიცვა ისინი. ეკკლესიის კურთხევის შემდეგ პატივცემულმა დეკანოზმა წარმოსთქვა ორიოდე, მაგრამ გრძნობით აღსავსე სიტყვა, რომლითაც მიულოცა ხალხს ახალი ბედნიერება. ხალხი დიდად ნასიამოვნები და მადრიელნი

კახათის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ტაძარში 1908 წელს მსახურობდნენ მღვდელი ლუკა ხუნწარია, მედავითნე სტეფანე შელია, მამასახლისი მიხეილ ლოგუა[1].

2. ციხე-სიმაგრე

მ. პაჭკორიას ცნობით, „ენგურის მარცხენა მხარეს, სოფლების კოკისა და კახათის საზღვართან ციხე-სიმაგრის ფართო გალავნის ნაშთები ზუგდიდ-ანაკლიის გზიდან მოჩანს; მისივე თქმი იგი დღემდე შეუსწავლელია და უპატრონოდაა მიტოვებული. ამ ციხის გალავნის დარღვევა და სამშენებლო მასალაც მისი გამოყენება სასტიკად უნდა აიკრძალოს“ [2].

ეს ციხე-სიმაგრე არქიტექტურულად 50-იან წლებში ამ სახით არის აღწერილი: ქუთაისის ოლქი, ზუგდიდის რაიონი; სოფ. კახათი, ზუგდიდ-ანაკლიის გზაზე; გზის მარჯვნივ მცხოვრებ არსენ შედანიას სახლის უკან, ციხე; სამხრეთიდან მდ. ენგურის გადაჰყურებს; აგებული უნდა იყოს შუა საუკუნეებში (ზუსტად თქმა ძნელია), არქიტექტორის გვარი არ არის ცნობილი; დაახლ. 200 $მ^2$ უდრის დასაცავი ზონის ფართობი; აგებულია ქვითკირით; რიყის ქვა საგანგებოდ არის დამუშავებული. სახურავი

თავიანთი ბედისა, დაიშალნენ წირვის შემდეგ. (ს. კახათი (სამეგრელო), გაზ. ცნობის ფურცელი, 1899, №810.)

ს. კახათი (ზუგდიდის მაზრა). ჩვენი სოფელი სწავლა-განათლების მხრივ ძლიერ ჩამორჩენილი იყო თავის მახლობელ სოფლებს. ასე წარმოიდგინეთ, აქ ერთ-კლასიანი სკოლის შენობა ვერ მოეხერხებიათ, თუმცა იგი ქონებრივ სხვა სოფლებზე ძლიერ მაღლა სდგას. მიზეზი ამისი გახლდათ შეუგნებლობა და ჯიუტობა.

როცა იმედი სრულიად დაჰკარგეს ამ სოფლის კეთილის მყოფელმა, მაშინ აქ ყოფილის მღვდლის მ. ჯგუშიას თხოვნით უწმინდეს სინოდთან არსებულ სამოსწავლო საბჭოს დადგენილებით მიეცა ათასი მანეთი შემწეობა კახათლებს ორ-კლასიანი სამრევლო სკოლის ასაგებად იმ პირობით, რომ მეორე ათასი მანეთი თავის მხრით გამოეღოთ მკვიდრთ. ეს გადასწყდა შარშან-წინ, მაგრამ სხვა-და-სხვა მიზეზებისა გამო შეჩერებული იყო ამ საქმის დაწყება. ჩვენმა სამაზრო მეთვალყურემ ბ. ჯოხტაბერიძემ გამოუცხადა ხალხს საქმის ვითარება და ურჩია საქმის დროით დაწყება. მაგრამ ზოგმა ჰო სთქვა, ზოგმა არა, ზოგმა აქ მოისურვა სკოლის გახსნა, ზოგმა იქ. მეორეთა და მესამეჯერაც უქადაგეს ხალხს სკოლის საჭიროება, მაგრამ, ვიდრე სხვაც არ მიეშველა ამ საქმეს, არა გამოვიდა-რა.

17 თებერვალს აქ ჩამოვიდა ზუგდიდის ნაწილის ბოქაული და მაშინ კი დაგვირგვინდა საშვილიშვილო განძი კახათელებისა. ამავე დღეს შესდგა განაჩენი, რომელითაც ისინი ვალდებულად ხდიან თავის-თავს ათასი მანეთის ზევით რაც დაჭირდება ორ-კლასიან საეკლესიო-სამრევლო სკოლის აშენებას, თვითონ გადაიხადონ. მართალი უნდა მოგახსენოთ, ზუგდიდის ნაწილის ბოქაული ბ. ს. შენგელია რომ არ ყოფილიყო უკანასკნელ ყრილობაზე, შესაძლებელია, არც კი მოხერხებულიყო ამ საქმის დამთავრება. ბ-ნმა შენგელიამ, როგორც გულ-შემატკივარმა წევრმა ამ საზოგადოებისამ, გულ-მხურვალედ იღვაწა ამ სოფლის საბედნიეროდ და დიდი მადლობის ღირსია ბ. შენგელია ხალხის შეგნებისათვის.

კალამდარა, გაზ. ცნობის ფურცელი, 1902, №1746.

[1] ცაიშის საკათედრო ტაძარი, დასახ. ნაშრომი, გვ. 59.
[2] მ. პაჭკორია, ვიცნობდეთ კულტურის ძეგლებს, თბ., 1985, გვ. 7.

და კედლების დიდი ნაწილი ამჟამად დანგრეულია და შერჩენილი აღარ არის. სამხრეთი კედელი მდ. ენგურს წაუღია წყალდიდობის დროს. ციხის მოყვანილობა (კედლების ნაშთისა და საძირკველის მიხედვით) ოვალური ყოფილა, თითქმის წრიული. ციხის სიგრძე – 67 მ უდრის, სიგანე – 52 მ. კედლის საშ. სისქე – 2 მ. უდრის; არც ერთ დაწესებულებას არ უჭირავს; არც დაცვის ვალდებულება არის; სხვა მიზნით გამოყენებული არ არის; კედლების უმეტესი ნაწილი მთლიანად დანგრეულია; ძეგლის შესახებ სპეციალური ნაშრომი არ არის;

ო. ტყეშელაშვილი.

ჩვენ ამ ციხე-სიმაგრის ნაშთები დღესდღეობით ვერ მივაკვლიეთ, როგორც ჩანს ის ადგილობრივებმა მთლიანად დაშალეს.

სოფელი კოკი

წმ. გიორგის სახელობის ეკლესია

სოფელ კოკში სოფლის სასაფლაოსთან, მდ. ენგურის მარცხენა სანაპიროდან დაახლოებით 2 კილომეტრში, დგას წმ. გიორგის სახელობის ახლად აღდგენილი ეკლესია. დგილობრივთა გადმოცემით, ეს ეკლესია ყოფილა XI საუკუნის. აქ შემორჩენილი იყო ძველი კედლის ნაშთი. რომელიც დღესაც ეკლესიის ერთ-ერთ კედელშია ჩაშენებული. ჩანს მოჩუქურთმებული ქვა, რომელიც მართლაც ძალზედ ძველი ჩანს.

ამ ეკლესიაში ინახებოდა ძველი წმინდა გიორგის ხატი, რომელზეც ცნობას გვაწვდის გაზეთი „კვალი“, სადაც აღნიშნულია: „კოკის სოფლის წმინდა გიორგის ეკლესიაში ვნახე ამ ჟამათ ერთი ძველი ღვთის-მშობლის ხატი. დაწერილია ხატის გვერდზე ხუცური ასო მთავრულით მხედრული ასოებით. როგორც მიამბეს იქაურმა მოხუცებულებმა, ეს ღვთის-მშობლის ხატი უნახავთ „წახმარის“ („წახმარი“, როგორც მიამბეს, აფხაზეთის ერთი სოფელთაგანია) ეკლესიის უბანში, მაგრამ სად, რომელ ადგილზე არის, არ ვიცით; სასაფლაო არ ჩანსო. ხატზე წარწერა ამოვიკითხეთ, ძლივს როგორც იქნა, სრულიად და გიგზავნით რედაქციაში. ხატი ძველია, ისიც უპატიურათ არის ეკლესიაში და შეიძლება მომავალში სულ დაიკარგოს თავისი წარწერით. ამისთვის საჭიროთ დავინახე ამ ზეწარწერის ამოკითხვა და გამოგზავნა დასასტამბავათ. „ქ. დედაო. ღ თისა ჩვენისა მაცხოვრისაო, ქალწულ მარიამ, შანდავე აღვმსთობ მსახურებად, რო აღმიღე მონა ესე შენი და მყავ მრავლისა განსაცდელისაგან ხსნილი

და კეთილ დღეობასა და ბედნიერებასა შემთხვეული, რომლისთვის კვალადვე მოწყალებითმან მოხედვამან შენმამ მომცა სული მე მონასა შენსა შავაშიძეს მანუჩარს, რათამცა ეკლესია ესე წამხარისა მრავლის წლითაგან და მრავლის დღითგან დაცემული და დატოვებული დარღვეული აღმშენებინა და განმეახლებინა და ვითარ განვიზრახე, მყის ვიწყე განახლებად და მრავლითა ღთაწლითა და ხარჯითა გარდავხურე და განვაწყობინე შინაგან და გარეგან, ვითარცა ტაძარი ღ თისა და მივიყვანე მწყემსმთავარი ჩვენი და სულიერი მამჩემი – ცაიშელი მიტროპოლიტი გრიგოლ და ვაკურთხებინე საყდარი ესე სახელსა ზედა ღვაწლით შემოსილისა წმინდის გიორგისათა და დავაყენე ხუცესნი მწირველი მლოცველად და მსახურად ეკლესიისა ამის და შევწირე მოჯალაბე კოჩაია ცხადაია თავის ცოლ-შილით მსახურათ ამა ეკლესიასა ზედა მღ დელთათვის; ხოლო წმინდა ესე ხატი შენი მოვაჭედინე და დავსდევ ამავ ეკლესიაში შინა სიმრთელედ და მშვიდობად ჩვენდა და მეუღლისა ჩემისა დადიანის ასულისა ქეთევანისა და ძეთა ჩვენთა მრავალ-ჟამიერობად ამავე ქვეყანასა შინა და შემდგომ სიცოცხისა ჩვენისა მოცემად ჩვენდა რომელს განუმზადე მოყვარეთა თვისთა ამინ წელსა ჩყიბ. ყ-დ წმიდაო დედა ღვთისა შეიწყალე ამ ხატის მამკობი მეუნარგია პეპუ...

კოკის ეკლესიაშივე იმყოფება ბარძიმფერხუმი, რომელზედაც აწერია შემდეგი: „ქრისტე შეიწინა შენსა წამხარისა ამის საკურთხეველისა შინა სირმისა ბარძიმფერხუმი ჩვენდა ცოდვათა მოსატევებელად და მეუღლისა ჩემისა დადიანის ასულის ქეთევანისა და ძეთა და ასულთა ჩვენთა სიმრთელად. ამინ. შარვაშიძე მანუჩარ. წელსა ჩყიბ“[1]. აქ მოხსენიებული გრიგოლი არის ცაიშელი ეპისკოპოსი გრიგოლ ჩიქოვანი, ხოლო ქორონიკონი უდრის 1812 წელს. ხატის მამკობი კი ყოფილა პეპუ მეუნარგია.

კოკის წმინდა გიორგის ეკლესიაში 1908 წელს მსახურობდა მღვდელი ნესტორ ცხაკაია, მედავითნე ავქსენტი შონია, მამასახლისი წულეისკირი[2].

თ. ბერაძის აზრით, ლამბერტის რუკაზე მოხსენიებული ძამცჰაზ – უნდა იყოს წამხარი, რომელიც არა ერთხელ მოხსენიებულია დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთებში, თუ ხატის წარწერებში. ამჟამად ამგვარი სახელწოდების სოფელი არ არსებობს. სოფელ თაგილონის ერთ უბანს დღეს ეწოდება წამხარი და იქ შემორჩენილია გვიანფეოდალური ეკლესიის ნანგრევები. ლამბერტისეული წამხარი სწორედ აქ უნდა ყოფილიყო[3].

სოფელი პატარა კოკი

სახუბუტიო–კადარეს ღვთისმშობლის შობის სახელობის ეკლესია

კოკში სახუბუტიოს უბანში, მდ. ენგურის მარცხენა ნაპირიდან 1,5 კილომეტრში შემორჩენილია ძველი მცირე ზომის ქვის ეკლესია. ის მოპირკეთებულია თეთრი ქვით, შიგნით კედლები ნაშენია რიყის ქვით კირის დუღაბზე. ამ ადგილს კადარესაც უწოდებენ.

პატარა კოკის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ეკლესიაში 1908 წელს მსახურობდნენ: მღვდელი თეოდორე (ფეოდორი) ჯგუშია; მეთავითნე იაკობ გეგეჭკორი; მამასახლისი ალფენიძე[1].

სოფელი ორსანტია

1. ნაეკლესიარი

სოფლის სასაფლაოსთან დგას ორი სვეტი, რომელიც ადგილობრივთა გადმოცემით ყოფილა ფრანგების აშენებული ეკლესია. ის ეკუთვნოდა ოთარ დადეშქელიანს. მის ძმას ერქვა კოწია, მამას კონსტანტინე. ისინი სვანეთიდან გადმოსახლებულან. მათ სვანეთში ვიღაც გაგარინი მოუკლავთ.

2. სახაზალიოს მაცხოვრის სახელობის ნაეკლესიარი

სოფლის სასაფლაოსთან სახაზალოს უბანში, მდ. ენგურის მარცხენა სანაპიროდან დაახლოებით 2 კილომეტრში იდგა მაცხოვრის სახელობის ხის ეკლესია. ბოლო მღვდლები იყვნენ მაქსიმე კვარაცხელია და პოლო ნაჭყებია, ხოლო 1908 წლის მონაცემებით, მღვდელი აქ იყო მაქსიმე კვარაცხელია, დიაკონი გიორგი ბერაძე[2].

ამ ეკლესიაზე საყურადღებო მასალა აქვს ჩაწერილი პ. ცხადაიას: „მარდიანი//დუდმარდიან//მარდიანიშ ოხვამე – ნასაყდრალი სახაზალიოში, სოფლის ცენტრის სამხრეთ-დასავლეთით 0,5 კილომეტრზე იდგა ხის ეკლესია. „მარდიანი ხატის სახელია, ჩიკვატიებს და ხაზალიებს ჩამოუსვენებიათ კორცხელიდან. შემდეგ აქედან „ნაწილი“ წაუღიათ სოფ. ნაბაკევში. მარდიანიშ ოხვამე ეწოდება სასაფლაოსა და ნასაყდრალს სოფ. ნაბაკევში (გალის რაიონი). იქ ჩაწერილია ასეთი გადმოცემა: „მარდიანი ნაბაკევის და კოკის სალოცავია (მაშინ კოკი ენგურის გამოღმა მდებარეობდა). მარდიანი ითვლებოდა სამურზაყანოს ყველაზე ძლიერ სალოცავად ილორის შემდეგ“[3].

---

[1] ცაიშის საკათედრო ტაძარი, დასახ. ნაშრომი, გვ. 59.
[2] ცაიშის საკათედრო ტაძარი, დასახ. ნაშრომი, გვ. 59.
[3] პ. ცხადაია, დასახ. ნაშრომი გვ. 228.

3. შარაშიების სალოცავი

პ. ცხადაიას მასალებით აქ არის ასევე ადგილი შარაშიეფიშ ნაოხვამუ//ჭიჭე კოკიშ ოხვამე – ნასადრალი ჭიჭე კოკში[1].

სოფელი დარჩელი

1. წმ. გიორგის სახელობის ნაეკლესიარი

სოფლის სასაფლაოსთან იდგა წმ. გიორგის სახელობის ხის ეკლესია. ეხლა ის სკოლის შენობად დგას იმავე სოფელში. ის თავის დროზე ყავრით ყოფილა დახურული. აქ მონაზვნებიც ყოფილან. ბოლო მღვდლები იყვნენ ძმები იასონ (გერასიმე) და ლადი ქირიები. იასონს სასულიერო სასწავლებელი ჰქონია დამთავრებული; ის გასაბჭოების შემდეგ სკოლის მასწავლებლად მუშაობდა დარჩელში. ეს ეკლესია გაუხსნიათ თავად ანჩაბაძეებს, რომლებიც აქ XIX ს-ის დასაწყისში, ლევან V დადიანის (1804-1840) დროს დასახლებულან. ეს ეკლესია დაუშლია პარი მამფორიას 1933 წელს, რომელიც აქ სოფლის თავმჯდომარე ყოფილა.

1908 წლის მონაცემებით, დარჩელის წმინდა გიორგის ეკლესიაში მსახურობდნენ მღვდელი გერასიმე ქირია; მღვდელი ისიდორე ჩიკვაშვილი (ჩიკოშვილი); მედავითნე მელიტონ ქირია; მედავითნე ლავრენტი ნარმანია; მამასახლისი ანდრი კვარაცხელია[2].

სოფელ დარჩელში, ქართული პერიოდული პრესის მასალების, მიხედვით 1894 წელს დაუარსებიათ სამრევლო სკოლა[3].

2. წმ. გიორგის სახელობის ახალი მშენებარე ეკლესია

---

[1] პ. ცხადაია, დასახ. ნაშრომი, გვ. 231.

[2] ცაიშის საკათედრო ტაძარი, დასახ. ნაშრომი, გვ. 59.

[3] წლეულს-კი დაარსებული იქმნა სამრევლო სასწავლებელი. დამაარსებელს ამ სასწავლებლისას ბ-ნს მთიულიშვილს იმედი ჰქონდა, რომ საზოგადოება შემწეობას აღმოუჩენსო (გაზ. ივერია, №256, 1894, სოფ. დარჩენი (ზუგდიდის მაზრა).

ამავე დროს (1894 წ.). მათი წრიდგან გამოვიდა განათლების გულ-შემატკივარი ბ-ნი მაცი სორდია, რომელმან იკისრა წყვდიადიდგან გამოხსნა თვისთა თანამოძმეთა.

მეორე წერს ე. ი. 1895 წ. რა შეიგნო ხალხმა სწავლის საჭიროება, ჩაუდგნენ გვერდში კეთილ-მყოფელს და მისი თაოსნობით ააშენეს ორ ოთახიანი სკოლა იქმნა დამტკიცებული ერთ კლასიან სამრევლო სკოლად და მის მზრუნველად დაინიშნა დამაარსებელივე (ლუკა ხუნწარია, გაზ. ცნობის ფურცელი, №775, 1899, ს. დარჩელი (სამეგრელო).

სოფ. დარჩელში სოფლის ცენტრთან შენდება ახალი წმ. გიორგის სახელობის ეკლესია.

3. ტოპონიმიკა

ა.კ. ჭანტურიას ცნობით, „დარჩელში არის „ნაციხარი – ნაქვა ნარსიას ეზოში. ნაეკლესიარი – ელიზბარ მარშანიას ეზოში. ნაეკლესიარი – ბაგი ბიგვავას ეზოში. დიხა-გუძუბა მერეში“[1].

პ. ცხადაიას მასალებით, „ნაოხვამუ – ნასაყდრალი – ძველი დასახლება ნახუამღალის ნაპირას[2]. ნაჯიხუ – ბორცვი სანორაკიოს შემოგარენში 7-8 მეტრის სიმაღლისაა[3] წიფურონა – ტყე ფართო მერეში[4]. კიროვის უბანში, გუძუბა – ბორცვი საგულორდავოში გზისპირას[5].

სოფელი ჭითა-წყარი

ჭითა-წყარის ღვთისმშობლის სახელობის ნაეკლესიარი

ანაკლიის ჭითა-წყარში, საყორშიოს სასაფლაოსთან იდგა ღვთისმშობლის სახელობის ხის ეკლესია, სადაც 1908 წელს მსახურობდნენ მღვდელი ერასტო (ერასტი) მეუნარგია, მედავითნე სიმონ გვასალია, მამასახლისი კ. ყორშია[6].

პ. ცხადაიას ცნობით, ჭითა-წყარის ოხვამე ერქვა სასაფლაოს ენგურის ნაპირას. აქ იდგა ხის ეკლესია. წაიღო წყალმა. მერე შეთანხმდნენ უჩა ჯიკარეფი (უბან უჩა ჯიკის მცხოვრებნი) და ჭითადიხარეფი (უბან ჭითა დიხას მცხოვრებნი) და ახალი სასაფლაო გახსნეს საყორშიოში. სწორედ ამას ეწოდა ჭითა წყარის ნახუტურუ“[7].

---

[1] ა. ჭანტურია, ისტორიულ-არქეოლოგიური ძიებანი სამეგრელოში, თბილისის უნივერსიტეტის შრომები, ისტორია, არქეოლოგია, ხელოვნებათმცოდნეობა, ეთნოგრაფია, №283, თბ., 1989, გვ. 176.
[2] პ. ცხადაია, დასახ. ნაშრომი, გვ. 113.
[3] პ. ცხადაია, დასახ. ნაშრომი, გვ. 114.
[4] პ. ცხადაია, დასახ. ნაშრომი, გვ. 117.
[5] პ. ცხადაია, დასახ. ნაშრომი, გვ. 120.
[6] ცაიშის საკათედრო ტაძარი, დასახ. ნაშრომი, გვ. 62.
[7] პ. ცხადაია, სამეგრელოს გეოგრაფიული სახელწოდებანი, II, ზუგდიდის რაიონი, თბ., 2007, გვ. 65.

სოფელი ანაკლია

1. წმ. გიორგის სახელობის ნაეკ-ლესიარი

სოფელ ანაკლიაში იდგა წმ. გიორგის სახელობის ხის ეკლესია. მღვდელი ყოფილა ს. თათარაშვილი.

ნაკლიაიის ეკლესიაზე ცნობები XVII საუკუნიდან გვაქვს, კერძოდ, ჟ. შარდენის ცნობით, „...ანაკლიაში მე წირვასაც დავესწარი, რომელიც ისეთივე უპატივცემულოდ და დაუდევრად სრულდება, როგორც ეს აღნიშნული იყო სამეგრელოს რელიგიის შესახებ ტრაქტატში. ერთხელ მოწმე გავხდი წირვის სასეირო შეწყვეტისა; თეათინელთან ერთად მივდიოდით ჩვენ თავშესაფარ კოშკში; გავიარეთ ეკლესიასთან, სადაც წირვა მიმდინარეობდა. მღვდელმა, რომელიც წირვას ასრულებდა...“[1].

არქ. ლამბერტი კი გაუქმებულ ექვს საეპისკოპოსოს შორის ანაკლიასაც ასახელებს, რომელიც მის დროს მონასტრად ყოფილა გადაკეთებული. ანაკლიას ის ძველ ჰერაკლიას უწოდებს[2].

ლამბერტის ცნობა ალბათ არ შეესაბამება სიმართლეს, რადგან სხვა წყაროებში აქ საეპისკოპოსოს არსებობა არ დასტურდება, თუმცა ძნელია ადრექრისტიანულ ეპოქაზე ასე გადაჭრითაც რამის თქმა, რამდენადაც ცნობები ძალზედ მწირია.

2. წმ. ნიკოლოზის სახელობის ნა-ეკლესიარი

სოფლის ცენტრთან, გზისპირას მდებარე სასაფლაოზე იდგა წმ. ნიკოლოზის სახელობის ქვის ეკლესია. 1908 წლისათვის აქ მსახურობდნენ მღვდელი ტრიფონ ცხაკაია, მედავითნე ავქსენტი კვირ-კველია, მამასახლისი გიორგი გვა-სალია. წმ. ნიკოლოზის სახელობის ახალი ეკლესია და სამრეკლო აშე-ნებულია ანაკლიის ცენტრთან, ზღვასთან ახლოს.

---

[1] ჟ. შარდენის მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში (ცნობები საქართველოს შესახებ), ფრანგულიდან ფარგმნა, გამოკვლევები და კომენტარები დაურთო მზია მგალობლიშვილმა, თბ., 1975, გვ. 255.

[2] არქ. ლამბერტი, სამეგრელოს აღწერა, თბ., 1990, გვ. 107.

3. ციხე-სიმაგრე

მდინარე ენგურის მარცხენა ნაპირას ზღვის შესართავთან დგას ანაკლიის ციხე-სიმაგრე. შემორჩენილია კედელი სამი მხარე, დასავლეთის კედლის გარდა. აქვს სამი კოშკი, დასავლეთით, ჩრდილო-აღმოსავლეთით და სამხრეთ აღმოსავლეთით.

ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით, „...ანაკრიას აღაშენეს ოსმალთა ციხე, ქრისტესსა ჩ ღგ ქართულსა ტ ჟა, აწცა უპყრავთ მათვე“[1]. მისივე ცნობით, ოსმალების მიერ რუხის ციხის ნანგრევებისგან, ანუ „ამის (რუხის ციხის) ქვით აღაშენეს ანაკრია უმტკიცესად“[2].

ჟან შარდენის ცნობით, „...ჩვენს გემთან იყო ანაკლიიდან მოსული ნავი; ეს არის შავი ზღვის სანაპიროზე მდებარე სოფელი, რომელიც ოცი მილით არის დაშორებული წიფურიადან, სადაც ეს წმინდა მამები ცხოვრობენ“ [3] . მისივე აღწერილობით, „შუადამისას ჩავედით მდინარე ასტოლფის შესართავთან. მეგრელები ამ მდინარეს ენგურს ეძახიან; იგი სამეგრელოს ერთი დიდ მდინარეთაგანია. ჩვენ აქ შევჩერდით და ორი მენავე გადავაგზავნეთ ანაკლიაში, რათა ცნობები შეეკრიბათ მტრის შესახებ, თან შეეტყოთ, რას აკეთებდნენ მცხოვრებლები, ხომ არ გაქცეულან. ანაკლია სოფელია, რომელიც ზღვის დონიდან ორი მილით არის დაცილებული. ეს ყველაზე მნიშვნელოვანი ადგილია სამეგრელოში. აქ ასამდე სახლია, რომლებიც იმდენად შირიშორსაა ერთმანეთისაგან, რომ პირველი სახლიდან ბოლო სახლამდე მანძილი ორ მილს შეადგენს. ამ სოფელში ყოველთვის არიან ტყვეების შემსყიდველი თურქები და ნავები, რომლითაც მიყავთ ისინი. ამბობენ, რომ ეს სოფელი გაშენებულია იმ ადგილას, სადაც ოდესღაც დიდი ქალაქი იყო, რომელსაც ჰერაკლეა ერქვა“[4].

გიულდენშტედტის ცნობით, „... ანაკლია, სასაზღვრო ციხე ენგურის შესართავთან, ოდიშის მხარეს პირისპირ“[5].

რეინეგსის ცნობით, „სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ სამოც ვერსზე ენგურის მარჯვენა ნაპირზე, მის შესართავთან, მდებარეობს ქალაქი და იქვე ციხე **ანაკლია**. ეს არის აფხაზეთის მთავრის **ლევან შერვაშიძის** რეზიდენცია. ციხის შიდა ფართობი სიგრძით თოთხმეტი საჟენია, სიგანით – ცამეტი; მას შემოვლებული აქვს სამი საჟენი სიმაღლისა და ხუთი ფუტი სისქის გალავანი. კარი ორნახევარი წყრთის სიმაღლის და ერთნახევარი წყრთის სიგანისაა“[6].

ჟან ფრანსუა გამბას ცნობით, „მეორე დღეს, დილაადრიან უკვე ანაკლიაში აღმოვჩნდით. იგი პონტოს სამეფოს, ძველი ჰერაკლეას ერთ-ერთი კოლონია გახლდათ. ეს ნავსადგური გაშენებულია აჯისა (გის) და ენგურის შესართავთან; ძველად იგი ტრაპიზონსა და კონსტანტინოპოლთან ძალზე მნიშვნელოვან ვაჭრობას აწარმოებდა, რაც ძირითადად ტყვეთა სყიდვას ემყარებოდა“[7]. მისივე თქმით, „საკმაოდ ვინანე, რომ ანაკლიაში შესვლა ვერ შევძელი. ირწმუნებიან, რომ აქ ორი მდინარის შესართავი

---

[1] ქართლის ცხოვრება, ტ. IV, თბ. 1973, გვ. 779.
[2] ქართლის ცხოვრება, ტ. IV, გვ. 779.
[3] ჟ. შარდენის მოგზაურობა, დასახ. ნაშრომი, გვ. 209.
[4] ჟ. შარდენის მოგზაურობა, დასახ. ნაშრომი, გვ. 214-215.
[5] გიულდენშტედტი, მოგზაურობა საქართველოში, ტ. I, თბ., 1962, გვ. 325 (გერმანული ტექსტი თარგმანითურთ გამოსცა და გამოკვლევა დაურთო გ. გელაშვილმა.
[6] ი. რაინეგსი, მოგზაურობა საქართველოში, გერმანულიდან თარგმნა, შესავალი და საძიებლები დაურთო გ. გელაშვილმა, თბ., 2002, გვ. 108.
[7] ჟაკ ფრანსუა გამბა, მოგზაურობა ამიერკავკასიაში, ტ. I, თბ., 1987, გვ. 94.

თავშესაფრად მოხერხებულ ნავსადგურს ქმნის ხუთი ან ექვსი მცირე წყალწყვის სავაჭრო გემებისათვის. ანაკლია ამ ორი წლის წინათ მიატოვეს რუსებმა, რადგანაც იგი უსარგებლო პოსტად მიიჩნიეს, თუმცა ამ ადგილას განლაგებულ ჯარებს სარგებლობა მოჰქონდა იმით, რომ სავსებით უშიშარყოფდა ვაჭრობას ხობის მარჯვენა მხრიდან აფხაზთა თავდასხმებისაგან. ანაკლიასთან ერთი საათით შევჩერდით; შემდეგ ფრეგატმა ღუზა ჩაუშვა რედუტ-კალედან სამ ვერსზე. ამ რეიდის ფსკერი ღუზის დასამაგრებლად ვარგისია და წყალიც ღრმაა, მაგრამ რადგანაც იგი ღიაა და დამცველი კონცხები მისგან საკმაოდ დაშორებულია, ზამთარში მოთარეშე ქარიშხლები ამ ადგილს მაინც უქმნის გარკვეულ საფრთხეს. კაპიტანმა ციხესიმაგრეს ქვემეხების ბათქით ნიშანი მისცა, შემდეგ კი ზღვაში ჩაუშვა თავისი დიდი კარჭაპი, რომელშიაც მასთან ერთად მეც ჩავჯექი“[1].

პ. ზაქარაიას აზრით, „ანაკლიაში დასახლებული პუნქტის წარმოშობა ადრევეა სავარაუდო და გამორიცხული არ არის, რომ ძველად აქ სიმაგრეც ყოფილიყო, მაგრამ ის რაც ამჟამადაა, არ შეიძლება XVIII საუკუნემდე ადრე წარმოშობილიყო. მისივე თქმით, ამასვე გვიდასტურებს ვახუშტი ბაგრატიონიც, და აქ იგულისხმება XVIII ს. პირველი ნახევარი. ავტორისავე აღნიშვნით, ვახუშტი ბატონიშვილს არა აქვს ზუსტი ცნობა, რადგან რუხი არ დაუნგრევიათ, შეიძლება დააზიანეს, მაგრამ ძნელია ცნობის იმ ნაწილის დაჯერება, სადაც ნათქვამია, რომ თითქოს რუხიდან ანაკლიაში ქვები ზიდეს. რუხი რომ დაენგრიათ კიდევაც, იქიდან ანაკლიამდე ათეულ კილომეტრზე რიყის ქვის გადატანა გაუმართლებელი იქნებოდა. ანაკლიის ციხე იმავე საუკუნის 70-იან წლებში კიდევ ერთხელ იხსენიება კაცია დადიანის წერილში, რომელიც მას დისთვის მიუწერია. წერილიდან გვიგებთ, რომ მისი ბრძანებით სამეგრელოს ჯარს ანაკლია და რუხი წაურთმევია ოსმალთათვის, რომელთაც ის დროებით ჩავარდნიათ ხელში. იქ ნაშოვნი ტყვეები და იარაღი ტოტლებენისათვის ჩაუბარებიათ.

ანაკლიის ციხეს კვადრატული გეგმა აქვს და კუთხეებში თითო კოშკი მდგარა. ამასთანავე აღმოსავლეთით მდგარი კოშკები ცილინდრული ფორმისაა, ხოლო დასავლეთით, ე. ი. მდინარის მხარეს სამხრეთ-დასავლეთ კოშკი – სწორკუთხა, ჩრდილო-დასავლეთისა კი აღარ არსებობს. მდინარეს წაუღია არა მარტო ეს კუთხე, არამედ ციხის გალავანიც. აქ ნიადაგი კლდოვანია და მდინარის ტალღებს ისე მოუწმენდია იქაურობა, რომ კედლების კვალი აქა-იქ ძლივსღა ჩანს. ამ კვალით ირკვევა, რომ მდინარის მხარეს ყოფილა სამ მეტრზე განიერი ჭიშკარი. ციხის გალავანი ორიარუსიანია, ქვედა იარუსი თითქმის ყრუა. მხოლოდ აღმოსავლეთ კედლის მარცხენა ბოლოშია გვერდიგვერდ ორი სათოფე. ზედა იარუსზე საბრძოლო ბილიკის დონეზე სათოფეებია ჩამწკრივებული. ცილინდრულ კოშკთაგან ყველაზე დიდია ჩრდილო-აღმოსავლეთისა. მასში შესასვლელი ეზოდან პირველ სართულზეა. მეორე სართული დაზიანებულია, მაგრამ სათოფეები შემორჩენილია, ასევე საბრძოლოდ იქნებოდა გამზადებული ზედა ჩართულებიც. სამხრეთ-აღმოსავლეთი კოშკი დანარჩენებისაგან მხოლოდ მოცულობით განსხვავდება. ამ კოშკებისგან განსხვავებით სამხრეთ-დასავლეთი კოშკი სწორკუთხაა. იგი მეტად დაზიანებულია და ამიტომ მის მიხედვით ბევრი რამის გარკვევა არ ხერხდება. თანაც ქვედა ნაწილის გარკვევას ამ უკანასკნელი პერიოდის

[1] ჟაკ ფრანსუა გამბა, დასახ. ნაშრომი, გვ. 95.

მინაშენები უშლის. ზედა სართულის კედლებში განლაგებულია სათოფურები და საზარბაზნეები“[1].

ანაკლიის ციხე-სიმაგრე 1953 წელს არქიტექტურულად ამ სახით არის აღწერილი: „ქუთაისის ოლქი, ზუგდიდის რაიონი; ანაკლია, მდ. ენგურის შესართავთან, მდინარის მარცხენა ნაპირზე; ციხე; აგებულია ?. არქიტექტორის გვარი ცნობილი არაა; დაწესებული დასაცავი ზონის ფართობი 500 მ^2 უდრის; აგებულია ქვითკირით: რიყის ქვა საგანგებოდაა დამუშავებული, სახურავი არა აქვს. მოყვანილობით მოგრძო-ოთხკუთხედისებურია. ორსართულიანი ყოფილა; აქვს სათოფურები და საზარბაზნეები. კედლების დიდი ნაწილი დანგრეული აქვს. ერთი კედელი, მდ. ენგურის პირისაკენ მიქცეული, მთლიანად დანგრეულია. ციხის ზომა: 40X30 მ. უდრის. კედლის საწ. სისქე – 0,85 მ.; ციხეში სამხედრო ნაწილია მოთავსებული; სადაცვო-საიჯარო ხელშეკრულება ცნობილი არ არის; არ არის ცნობილი რა მიზნითაა ძეგლი გამოყენებული (ნაწილის უფროსმა სხვადასხვა მიზეზების გამო ცნობის მოცემისაგან თავი შეიკავა, რაც სრულიად გასაგებია); ნაწილი კედლებისა შეკეთებას საჭიროებს;

ო. ტყეშელაშვილი

გაზ. ცნობის ფურცელი გვატყობინებს, რომ: „ანაკლია, ანუ ძველად ბერძენთა კოლონია „ჰერაკლია“ მდებარეობს მდინარე ენგურის მარჯვენა ნაპირზე, დასავლეთ საქართველოში. ძველად, როცა ბერძნებს შავი ზღვის ნაპირები სჭერიათ, ამ ნაპირზე, სადაც კი აღებ-მიცემობა შეიძლებოდა, უშენებიათ ციხეები, ქალაქები და სხვა შენობები, ასეთი ადგილები იყო: „სუჯუკ-კალეს“, ახლანდელი ნოვოროსიისკი; „დიოსკურია“, აწინდელი სოხუმის მახლობლად; „ჰანტიკაპეიდა“, ახლანდელი ქერჩი; „ჰერაკლეა“ ანუ ახლანდელი ანაკლია და სხვ. მეთექვსმეტე საუკუნის ნახევარში სრულიად კოლხიდა ეკუთვნოდა ბერძნებს და რომაელებს. ანაკლიაში მაშინ ყოფილა საეპარქიო კათედრა, რომელიც არსებობდა მეთვრამეტე საუკუნის ნახევრამდე[2].

პ. ცხადაიას მასალებით, დიხაგუძუბა – ბორცვი ჭვედირში, მდ. ჯუმის ნაპირზე, სიმაღლე 6 მ. საერთოდ ჯუმის ნაპირას ერთ სწორ ხაზზე სამი დიხაგუძუბაა განლაგებული, დანარჩენი ორი სოფ. დიდნეძში შედის [3] . ნაჯიხუ – მინდორი ელაღობილის თავზე. ნაჯიხუ//ალეშ ნაჯიხუ – ბორცვი სავართაგასა და საკუკას შუა[4].

სოფელი ცაცხვი

დიხა-გუძუბები და ნაციხარი ადგილები (ტოპონიმიკა)

---

[1] პ. ზაქარაია, დასახ. ნაშრომი, გვ. 117-118.
[2] ანაკლია (სამეგრელო), გაზ. ცნობის ფურცელი, №2336.

[3] პ. ცხადაია, დასახ. ნაშრომი, გვ. 345.
[4] პ. ცხადაია, დასახ. ნაშრომი, გვ. 347.

სოფელი თიქორი ანაკლიასთან – ჯორიელი (ცაიშის საზღვარზე)

ცაიშის კათალიკოსი მალაქია, ლევან II დადიანის ბრძანებით ხელახლა აღწერს ამ ეკლესიის გარშემო მდებარე სოფლის საზღვრებს (1616-1621 წლებში შედგენილ დავთარში), სადაც მოხსენიებულია ჯორიელში მცხოვრები ხუთი ყმა (დოხვადი წარბია, ძიმათია ნერსენია, ქომათიას შვილი, სერგია, ვართაგავა). თ. ბერაძე, ჯორიელს გულისხმობს ზღვის პირას, მდ. ჭურიის შესართავთან. პ. ცხადაიას აზრით, თუ ეს სინამდვილეს შეეფერება, ჯორიელი სოფელ თიქორის ერთ-ერთი ნაწილის ადრინდელი სახელწოდებაა (ანაკლიასა და ჭურის შუა ზღვიდან 3 კილომეტრზე)[1].

სოფელი დიდინეძი

1. წმ. გიორგის სახელობის ნაეკლესიარი

სოფლის სასაფლაოსთან იდგა წმ. გიორგის სახელობის ხის ეკლესია, მღვდელი იყო როგავა ცაიშიდან. დაუნგრევია მაქაცარიებს.

2. ჭვედირის წმ. გიორგის სახელობის ეკლესია

ჭვედირის უბანში დგას წმ. გიორგის სახელობის 2002 წელს აშენებული მონასტერი.

3. ტოპონიმიკა

პ. ცხაკაიას მასალებით, დიდნეძში არის დიხაგუძუბა – ბორცვი, სახნავ-სათესი სოფელ ცაცხვის საზღვართან[2]. სკურჩაშ დიხაგუძუბა – ბორცვი სკურჩის მარჯვენა ნაპირას[1]. ჭვედირი – მუნჩის შენაკადი ფართო ტერიტორია ჯუმის მარჯვენა მხარეს.

---

[1] პ. ცხადაია, დასახ. ნაშრომი, გვ. 68.
[2] პ. ცხადაია, დასახ. ნაშრომი, გვ. 124.

საბერო დიხა – უბანი ოქტომბრის საზღვართან, ცეიშარს ეკუთვნოდა ამიტომაა საბერო[2].

დიხა გუძუბა – სოფელი დიდინეძის საკრებულოში ოდიშის დაბლობზე, მდ. ჯუმის მარცხენა ნაპირას, სოფელ ორმულუსა და დიდნეძს შუა. ზედაპირის სიმაღლე 8 მეტრი. ზუგდიდიდან 20 კმ. ცაცხვის რკინიგზის სადგურთან 3 კმ. უწინდელი სახელი ნაკალევი. გადმოცემით, დიხაგუძუბა თავდაპირველად ერქვა ფართო ვაკე-ბორცვს მდ. ჯუმის მარჯვენა ნაპირზე, სადაც არის სასაფლაო „დიდნეძიშ ოხვამე“[3].

სოფელი განმუხური

1. ნაეკლესიარი

სოფელ განმუხურში სოფლის სასაფლაოსთან იდგა ხის ეკლესია. 1908 წლის მონაცემებით აქ მსახურობდნენ მღვდელი ონისიმე ცხაკაია, მედავითნე ვლადიმერ ქირია, მამასახლისი მაცი ბელქანია[4]

2. წიფურია – კათოლიკე მისიონერთა რეზიდენცია

თ. ბერაძე, სოფელ განმუხურში ვარაუდობს XVIII საუკუნის იტალიელ მისიონერთა რეზიდენცია წიფურიას. მისი თქმით, „თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ განარჯია მუხურის ერთი უბნის სახელწოდებაა წიფურონი და ისიც, რომ აქ შემონახული იყო ბარი იტალიური წარწერებით. ასევე გადმოცემაც ამ ადგილს იტალიელი მისიონერების სამყოფელს უკავშირებს; ასევე ემთხვევა მანძილიც. ავტორის დასკვნით, მისიონერთა ცენტრი იყო სოფელი წიფურონი, დღეს განარჯია მუხურის ერთი უბანი“[5].

მ. პაჭკორიას აზრით, წიფურია მდებარეობს ახლანდელი გალის რაიონში, სოფელ თაგილონის ტერიტორიაზე. ავტორი ყურადღებას აქცევს იმ გარემოებას, რომ მას ლამბერტი ჩიპურიას უწოდებს, ხოლო შარდენი კი შიპიას, ხოლო კასტელი ორივე სახელწოდებას იყენებს; მისივე თქმით, ეს მოწმობს, რომ „სიპიასი“ წიფურიას (სიპურიას) შემოკლებულ სახელწოდებას წარმოადგენს. სახელწოდება წიფურიას ავტორი წიფლის (წიფური) ტყის არსებობას უკავშირებს. ავტორი ეხება საბახტაროს ციხის ლოკალიზაციას. ერთგან აღნიშნავს, რომ ის არის თაგილონ-ნაბაკევის საზღვარზე მდებარე ციხის ნანგრევები, თუმცა უფრო დაკონკრეტებას ცდილობს და დასძენს, რომ „შარდენის მონაცემების მიხედვით ციხე რეზიდენციას დაშორებული ყოფილა 22,5 კილომეტრით (5 ლიეთი), ხოლო ანაკლიიდან 27 კილომეტრით (6 ლიეთი). მისიონერთა რეზიდენცია არსებულა სოფ. თაგილონის ტერიტორიაზე. აქედან 22,5

---

[1] პ. ცხადაია, დასახ. ნაშრომი, გვ. 126.
[2] პ. ცხადაია, დასახ. ნაშრომი, გვ. 130.
[3] პ. ცხადაია, დასახ. ნაშრომი, გვ. 131.
[4] ცაიშის საკათედრო ტაძარი, დასახ. ნაშრომი, გვ. 62.
[5] თ. ბერაძე, გვ. 79.

კილომეტრი უნდა გადაიზომოს მდინარე ენგურის ორივე სავარაუდო მხარეზე და გუდავა-ეწერის (გალის რაიონი) მიმართულებით უნდა მოიძებნოს საბახტარის ციხის ნანგრევები“[1].

ჩვენ დღევანდელი ვითარებიდან გამომდინარე, ვერ დავათვალიერეტ სრულიად ეს მხარე, თუმცა წიფურიას მდებარეობასთან დაკავშირებით თ.ბერაძის მოსაზრება უფრო მართებულად მიგვაჩნია.

3. დიხა-გუძუბები და ნაოხვამუ ადგილები (ტოპონიმიკა)

განმუხურში დიხა-გუძუბების სიმრავლე აღწერილი აქვს ა. ჭანტურიას. ამ ტერიტორიაზე უამრავი დიხა-გუძუბა ყოფილა, ტყეში მოსახლეობა კი დამტვრეულ დოქებს პოულობდა. ამავე სოფელში ყოფილა მატკავას გუძუბა. მისგან ას საჟენზე ჯალადონიას დიხა-გუძუბა, გამოღმა – „მერეს“ ნოქალაქევი“ [2] .სოფელ განმუხურის დიხაგუძუბების შესახებ გვამცნობს პ. ცხადაიაც:დიხაგუძუბები – ტყე ზორდათის მარცხენა მხარეს, ჭითა უმურონაში; აქ სამი დიხაგუძუბაა: ჭიჭე დიხაგუძუბა, დიდი დიხაგუძუბა//დარსანიაშ დიხაგუძუბა, ნოჩოშ ნამაღაზ[3].

ადგილი ნადარაიაშ დიხაგუძუბა – ბორცვი თაყის მარცხენა მხარეს, სოფელი ნაკარღალის საზღვართან (გალის რ-ნი). აქედან 1 კმ-ზე არის ლაშხიას დიხაგუძუბა.

ნაოხვამუ – მდგარა ხის ეკლესია[4].

სოფელი ორულუ-ერგეტა

დიხა-გუძუბები და ნაეკლესიარი ადგილები (ტოპონიმიკა)

პ. ცხადაიას მიხედვით, ორულუ-ერგეტაში არის გაბლაიეფიშ გუძუბა – ბორცვი სოფელ მოგირის საზღვართან. ახლომახლო რამდენიმე დიხაგუძუბაა, 3-5 მ. სიმაღლისა, ირგვლივ არხშემოვლებული, ზოგი მათგანი გამოყენებულია სასაფლაოდ.

კოლაშ გუძუბა – ბორცვი ბეჰეუშქურის მარჯვენა ნაპირას. აქედან 150 მეტრზე პოკროს გუძუბა.

კორცხელიშ გუძუბა – ბორცვი კახეწყარის ნაპირას.

---

[1] მ. პაჭკორია, შორეული გამოძახილი, თბ., 1979, გვ. 10-11.
[2] აკ. ჭანტურია, დასახ. ნაშრომი, გვ. .
[3] პ. ცხადაია, დასახ. ნაშრომი, გვ. 103.
[4] პ. ცხადაია, დასახ. ნაშრომი, გვ. 104.

ჭყონკაკუტიშ გუძუბები – სამი ბორცვი ერთ მწკრივზე მოგორდალის მარჯვენა ნაპირზე[1].

ა. ჭანტურიას ცნობით, ორულუ-ერგეტაში მახა პერტაიას ეზოში ყოფილა აკლდამა. დორო გუგუჩიას ეზოში – ეკლესია, აქვსენტი მამულიას ეზოში გუძუბა, ილარიონ კუციას ეზოში კოლხური მონეტები[2].

სოფელი ჭითაწყარი

პ. ცხადაიას მასალებით, თავარანგელოზიშ ოხვამე – საყდარი და სასაფლაო ყოფილა სოფელ ცაიშის საზღვართან[3].

ქალაქი ზუგდიდი

1. მაცხოვრის სახელობის ეკლესია

ქალაქ ზუგდიდის აღმოსავლეთით, შემაღლებულ ბორცვზე მანცხვარ კარის უბანში დგას მაცხოვრის სახელობის გუმბათიანი ეკლესია. წინ მიშენებული აქვს სამრეკლო.

დ. ბაქრაძის აზრით, მანცხვარ კარის ეკლესია აშენებულია XV საუკუნეში[4]. იგივე მოსაზრება აქვს თ. ბერაძესაც[5].

ექვთ. თაყაიშვილის აღწერილობით, „ძველი ზუგდიდი მომაღლო ადგილზე, გორაკზედ იყო გაშენებული, ახალი კი დაბლობზეა. ძველ ნაწილში ვერს ნახევარზე ახალი ზუგდიდიდან ეხლა დარჩენილია მარტო ლამაზი ძველი პატარა მაცხოვრის ეკლესია გუმბათიანი, შიგნით სამ ნაწილედი, თლილის ქვით ნაშენი ჯვარის სახედ. საკურთხეველი მომრგვალებით ხუთ-ფრთიანად გამოდის გარეთ და აქვს სამი ფანჯარა, გუმბათი მაღალი არ არის, რვა-ფრთიანია, რვა ფანჯრით. დასავლეთის მხრით ეკვტერი

---

[1] პ. ცხადაია, დასახ. ნაშრომი, გვ. 242-243.

[2] ა. ჭანტურია, ისტორიულ-არქეოლოგიური ძიებანი სამეგრელოში, თბილისის უნივერსიტეტის შრომები, ისტორია, არქეოლოგია, ხელოვნებათმცოდნეობა, ეთნოგრაფია, თბ., 1989, №283, გვ. 178.

[3] პ. ცხადაია, დასახ. ნაშრომი, გვ. 367.

[4] Дм. Бахтадзе, Кавказ в древных памятниках христианства, Записки общества любителей кавказской археологии, кн. I, под. ред. Ад. Берже и Дм. Бакрадзе, Тиф. 1875, გვ. 73.

[5] თ. ბერაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 33.

აქვს, რომელზედაც ბოლო დროს სამრეკლო გაუკეთებიათ. შესასვლელი აქვს დასავლეთის, ჩრდილოეთის და სამხრეთის კედლით. აშიები ოთხივე ფრონტონს, ფანჯრები და კარები ჩუქურთმიანია ქართულის გრეხილებით და ხლართულებით შემკობილი. ძველი ქანდაკებანი კედელში ჩატანებული ეხლა ზოგი დაკარგულია და ზოგი კირით შელესილი და შეთეთრებული. ბროსეს აზრით, ეს ეკლესია ძვირფასი ნიმუშია პატარა ბიზანტიურის გეგმის ეკლესიისა და უნდა ეკუთვნოდეს მე-XV საუკუნის დასასრულს. ექვთ. თაყაიშვილის აზრით, ეკლესიის სტილი, ჩუქურთმები, მომრგვალებული საკურთხეველი უფრო მე-XIII-XIV საუკუნეს მოგვაგონებს [1]. ამ ეკლესიის სიწმინდეებს ავტორი სრულად აღწერს[2].

---

[1] ექვთ. თაყაიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 193.

[2] ხატი ილორის წმიდა გიორგისა, 24×18,5 სანტ., ვერცხლისა, ნაჭედი, დასაკეცი, სამ ფრთიანი, ქართული ხელობისა, ლამაზი, ვერცხლის ძეწკვით გულზე სატარებლად ჯვარის მტვირთველისათვის. წინა პირზე თაღს ქვეშ გამოქანდაკებულნი არიან წმიდა დიმიტრი მარცხნივ და წმიდა თეოდორე მარჯვნივ, ფეხზე მდგომარენი, წარწერებით. წმიდა თეოდორეს შუბი აქვს ხელში, ხოლო წმიდა დიმიტრი მახვილით არის წარმოდგენილი. როდესაც ხატს გახსნით, თქვენ თვალს წინ წარმოგიდგებათ წმიდა გიორგი თაღის ქვეშ, ფეხზე მდგომარე რომაულის საომარი ტანისამოსით. წმიდა გიორგის ხმალი თითქმის მთლათ ამოუზიდავს ქარქაშიდან და ესეც არის თავი უნდა მოჰკვეთოს რქოსან ხარს, რომელიც მარცხნივ მის ქვემოთ არის გამოქანდაკებული. მარჯვნივ დაჩოქილი ევედრება წმ. გიორგის გამკეთებელი ანუ მომგებელი ხატისა ბედიელ მიტროპოლიტი კვირილე ჟვანიძე წარწერით: „ბედიელ მიტროპოლიტი კვირილე“. ზემოთ ზურგისკენ ფარი აქვს მოგდებული წმიდა გიორგის, რომელზედაც გამოქანდაკებულია ფრთა გაშლილი მტრედი. თაღს ზემოთ კუთხეებში წარწერაა: ირგვლივ ქანდაკება წმიდა გიორგისა შემკობილია ძვირფასი ქვებით. ფრთებზე სრულის ტანით წარმოდგენილნი არიან: მთავარანგელოზნი მარცხნივ და ყოვლად წმინდა მარჯვნივ, შემკობილნი ძვირფასი ქვებით. ზურგზე აწერია: „წმიდაო გიორგი ილორისაო, შეიწყალე სული ცაიშელ-ბედიელ მიტროპოლიტი კუირილე ჟვანიძისა, რომელმან ინება შემკობა ხატისა ამის, ამინ“. ხატი ჩასვენებულია ვერცხლის კუბოში, 29,2×21,5 სანტ., რომლის ზურგზე ხუცურად აწერია: „წ. ღმრთისა საყდართა წინაშე მდგომარე ხარ განათლებული მოწამეო გიორგი, ვითარცა გაქუს კადნიერება დიდი წინაშე ღმრთისა, მეოხ მეყავ მე მარადის, ყოვლად სანატრელო, რათა მიჴსნა და მეოხ მექმენ დღესა მას განკითხვისასა შემამკობელი ხატისა შენისა მე, ბედიელ მიტროპოლიტი, კვირილე ჟვანეძესა, ამინ“. „წ. ადიდნეს ღმერთმან დადიანი გიორგი და თანა მეცხედრე მათი დედოფალი თამარ და ძე მათი აღზარდნეს ღმერთმან, ამინ“.

აქ მოხსენებულნი დადიანები უნდა იყვნენ ლევან I († 1572) და მისი ძე გიორგი III († 1582).

2. ხატი წმიდა გიორგისა, ნაჭედი ვერცხლისა, 37×33 სანტ., ქართულის გვიანი ხელობისა. აშია მოჩუქურთმებულია. წმიდა გიორგი გამოქანდაკებულია ცხენით, ვეშაპს გმირავს შუბით; წარწერა აქვს ზემოთ, კუთხეში მაცხოვარია გამოხატული, რომლიდანაც სხივები მისდის წმ. გიორგის. ქვემოთ მხედრულად აწერია:

1) წ დო მთავარ მწამეო გ ი: შემწე მეყავ და დამფარე ორთავე შ ა: ც

2) ხო თა: დადიანი დავით: და დე ფალი ეკატირინა ძით და ასულით ჩვ ნო.

ზურგზედ:

1) ხატისა ამის შემკობა ეწყო მამასა ჩე

2) მსა ლეონს. გარნა ვინამათგან ხვ

3) ედრმან ადამისაგან ნაშობთასა სიკვ

4) დილმან წარიტაცა, ხატი ესე დარ

5) ჩენოდა უსრული და ჩვენ ძემან მი

6) სმან დადიანმა დავით სრულ

7) ვყავით და დავასვენეთ ზუგ

8) დიდის ჩვენსა ეკლესიასა შინა სახ

9) სენებელად და საოხად სული

10) სა მამისა ჩემისა ლეონ დადიანისა

11) და დედისა ჩემისა დედოფლისა მ

12) ართასა წელს ჩემთ-სა

13) ღ თო შეუნდენ ამ ხატისა გამომხატველსა და ა

14) ღმომყვანს აზნაურს მეუნარგიას პეპუს.

3. ხატი ღვთის-მშობლისა ჩჩვილედი, წელს-ზევითი, ვერცხლით მოჭედილი, 28×23,5 სანტ., შემკობილი

ხუთი ქვით. აშია მოჩუქურთმებული აქვს. ხელობა მდაბალია მე-XIX საუკუნისა. ზურგის ვერცხლზე ზემოთ მხედრული წარწერა აქვს:

1) ქ. ჭი: დედავო:. ღ თისაო ყ დ წმიდავო ღმ

2) რთის მშობელო მოვაჭედინე ხატი ესე სახისა შე

3) ნისა მე თოლიკამ კოიდია: ბრძანებითა დადიანისა პატ

4) რონისა ლევანისათა ჩუენად და ჩემის ცოლშვილის

5) [საოხად].

ამ ხატს გძელი ვერცხლის ძეწკვი აქვს მიბმული მოსხო. ძეწკვის თავებში ვერცხლის კლიტეებია მოზდილები და შუაში სამი ვერცხლის ჯვარი აქვს მიბმული. ერთს ჯვარზედ მხედრულად აწერია: ქ: ესე კლიტე:. მთავარანგელოზის: წაჩისა: არის სულა: თვალები: ლერე. მალინიშვილისა არის: ღ ს.

მეორეზედ: ქ: ესე: კლიტეს მჭედელს ლეუთერე: მალინიშვილისა: შეუნდოს: ღმერთმან ამი(ნ).

მესამეზედ:

ესე კლიტე გავაკეთე. გაკეთა ასთე. მჭედელმა ვაჩიამ. შეუნდოს ღ ნ ა ნ.

4. ხატი იოანე ოქროპირისა, ვერცხლით ნაჭედი, მოჩუქურთმებული აშიით და ქვემოთ შემკობილი, 18,5×13,5 სანტ., მდაბალი ხელობისა, მე-XIX საუკუნისა, წარწერით. იოანე სამღვდელმთავრო შესამოსლით არის წარმოდგენილი. ერთ ხელში ჯვარი აქვს, მეორეში სახარება.

5. ჯვარი ათონური ხელობისა, ვერცხლით შეჭედილი.

6. ბარძიმი ვერცხლისა მხედრულის წარწერით: „წმიდაო გიორგი ზუგდიდისაო, წარსაგებელითა შენითა გავაჭედინე ბარძიმი ესე ცაიშელ მიტროპოლიტი გრიგოლმა წელსა ჩყკ“ (ეს წარწერა ჩვენ არ გვინახავს, ბროსედან მოგვყავს) (ექვთ. თაყაიშვილი, არხეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნანი, წიგნი მეორე, ტფილისი, 1914, გვ. 194-197).

2. ვლაქერნის ღვთის მშობლის სახელობის დადიანთა სასახლის კარის ეკლესია და ვლაქერნის ხატი

ქ. ზუგდიდში დადიანთა სასახლის გვერდით დგას ვლაქერნის ღვთისმშობ-ლის სახელობის დადიანთა სასახლის კარის ეკლესია.

ამ ეკლესიის აშენების დრო და გარემოებები საკმაოდ კარგად არის ცნობილი. როგორც აღნიშნულია, „ეკლესიის აგება დაკავშირებული არის ვლაქერნის ღვთისმშობლის ხატთან, სამეგრელოს დედოფალმა ნინომ სამეგრელოდან 1805 წელს პეტერბურგში გაგზავნილ დეპუტატებს ერთგულების ნიშნად რუსეთის იმპერატორისადმი გადასაცემად გააყოლა ვლაქერნის ღვთისმშობლის ხატი. იმპერატორ ალექსანდრე პირველის ბრძანებით ეს ხატი შემკულ იქნა ძვირფასი ქვებით და უკან გამოაგზავნეს სამეგრელოში. ამ ხატთან ერთად დედოფალმა მიიღო უმაღლესი მიმართვა, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ ამ ხატის დასასვენებლად აეშენებინათ ეკლესია დადიანების სასახლის ახლოს. 1806 წლის 3 ნოემბერს გუდოვიჩი სწერს ნინო დადიანს, „რომ ამ ეკლესიის ასაშენებლად უკვე მიიღო ორი ათასი ჩერვონეცი, რათა დაჩქარდეს ეს წმინდა საქმე, სამეგრელოში გავაგზავნე პოლკოვნიკი ტეზეო, რომელიც დაათვალიერებს ეკლესიის ასაშენებლად თქვენს მიერ არჩეულ ადგილს“. მაგრამ ამის შემდეგ მთავრობამ ეს საქმე დიდი ხნით მიივიწყა. 1816 წელს ლევან დადიანი სთხოვს, მთავარმართებელ რატიშევს ეკლესიის ასაშენებლად შეპირებულ ორიათას ჩერვონეცს. მთავარმართებელი მას პირდება ამ თანხის და ეკლესიის გეგმის გაგზავნას. ეკლესიის გეგმა დადიანმა, როგორც ეტყობა მიიღო, ხოლო შეპირებული თანხა მას მხოლოდ ეკლესიის მშენებლობის დამთავრების შემდეგ მისცეს, ყოველგვარი წარმატების გარეშე, მიუხედავად იმისა, რომ მშენებლობა გაცილებით მეტი დაჯდა, ეკლესიის მშენებლობა 1830 წელს დამთავრდა. იმ ადგილას სადაც აშენდებოდა ზემოთხსენებული ეკლესია იმპერატორის მიმართვის თანახმად უნდა გაშენებულიყო ქალაქი, და მისთვის გრიგოლ დადიანის სახელის უკვდავსაყოფად უნდა ეწოდებინათ ქალაქი გრიგორიოპოლი. საბოლოოდ ქალაქის გაშენების საკითხი უარყოფილი იქნა[1].

---

[1] თ. ქადარია, სამეგრელოს სამთავრო XIX ს-ის პირველ ნახევარში, თბ., 2003, გვ. 225-226; ექვთ. თაყაიშვილის აღნიშვნით, „ახალ ზუგდიდში სასახლის სობორო არის ქვისა ქართულ გეგმაზედ აშენებული ლევან დადიანის დროს. ამის ასაშენებელი ფული იმპერატორმა ალექსანდრე პირველმა გამოუგზავნა მეგრელიის მთავარს და თან დაუბრუნა ვლაქერნის ღვთის-მშობლის ხატი თავის წმიდა სარტყლით. ეს სარტყელი, როგორც გადმოცემით ვიცით, ბაგრატ მე-IV-ის ცოლმა ელენემ მოიტანა საბერძნეთიდან მე-XI საუკუნეში, და წინეთ ინახებოდა ბედიის ტაძარში, შემდეგ მარტვილში, ბოლოს, როდესაც სამეგრელო შევიდა რუსეთის მფარველობას ქვეშ, სამეგრელოს მმართველობა დედოფალმა ნინომ, მეფის გიორგი მე-XII-ის ასულმა, გაუგზავნა იმპერატორ ალექსანდრე პირველს, მაგრამ მან უკან დაუბრუნა დედოფალს რესკრიპტით მაისის 31-ს 1806 წელს. და ბრძანა, რომ ამ ხატის სახელობაზედ ოდიშში, სადაც დედოფალი უჩვენებდა, აღეშენებინათ მისი ხარჯით ეკლესია. ეკლესიის შენება დაუწყიათ, როგორც შიგნით კედლის წარწერა უჩვენებს, 1825 წელს და დაუმთავრებიათ 1830 წელს: „დაწყება: ჩყკე-სა, შესრულება: ჩყლ-სა წელსა:“ კანკელზე ამ ეკლესიისა სწერია მხედრულად ტაქსტი დაბადებისა: „მესამე მეფეთა, თავი: ⓗ: მუხლი კთ“.

ვლაქერნის ღვთისმშობლის სახელობის ეკლესიის აშენებისა და თვით ხატის შესახებ საკმაოდ ვრცელი მასალები არსებობს[1].

ეკლესიაში არის ღვთის-მშობლის დიდი ხატი ჩჩვილედი, მხატვრობა გადასულია. და ასეთივე დიდი ხატი მაცხოვრისა. ეს ორი ხატი ეკუთვნოდა წინეთ უკანასკნელ იმერეთის დედოფალს ანას, მეფის სოლომონ მეორის მეუღლეს და დადიანი კაციას ასულს. მისი გადაცვალების შემდეგ პეტერბურგში 1841 წელს, ეს ხატები გამოგზავნეს ზუგდიდში.

ხატი და სარტყელი ღვთის-მშობლისა წინეთ ინახებოდა ამ ეკლესიაში, განსაკუთრებულს სახატეში, კანკელის წინ, მაგრამ ეხლა თავად მენგრელსკის გაუტანია ეკლესიიდან და ჩვენ ვეღარ ვნახეთ, ვინაითგან თავადი მენგრელსკი იმ დროს ზუგდიდში არ ბძანდებოდა. ჩვენ გვგონია, წარწერა, რომელიც ბროსესთვის მოუციათ და რომელიც თვით ბროსეს არ გადმოუღია, ამ ხატს უნდა ეკუთვნოდეს. წარწერა, როგორც თვით ბროსეც შენიშნავს, ვერ უნდა იყოს რიგიანათ გადმოღებული. მოგვყავს ეს წარწერა იმ რიგად, როგორც ბროსეს მოგზაურობაშია: „მოგვთა მოართთვეს ძღვენი საღმრთო ქალწულსა სამ ნაწილთა ნივთთაგან გრქვნილსა, ოქრო, კბილნი და თმანი ჯორად შემზადნა ღმერთმან, გარდმოსცნა ტყვეთა გამოხსნა, თჳთ სახელ იდვა: მე ვარ ძე ღვთისა. შენ ცათა უვრცელესო და ქერაბინთა უზესთაესო, მოქვისა ღვთის-მშობელო, ჩვენ ცვა-ფარვათა შენთა მინდობილმან და მსასოებელმან სიტყვისა შენისამან, აფხაზეთისა კათალიკოზმან ევთჳმი საყვარელიძემან, მოვაჭედინე ხატი ესე და დავასვენე წმიდასა ტაძარსა შენსა, მოქვს, სახსრად სულისა ჩემისად, რათა არა დამსაჯო დღესა მას დიდსა განკითხვისასა. ამინ“.

ევთჳმი საყვარელიძე აფხაზეთის კათალიკოზად იყო მე-XVII საუკუნის დასაწყისში, მალაქია კათალიკოზის წინ. კარებზე იმავე ხატისა წერებულა: „განმაახლებელი ხატისა ამის, მთავარი და მპყრობელი ოდიშ-აფხაზთა, სვანთ-ლეხუმთა, დიდისა რუსეთისა ღენერალ-მაიორი, განსხვავებული ორდენ-კავალერია, დადიანი მეორე ლეონ, და თანამეცხედრე ჩემი დედოფალი მართა, ძისა ჩვენისა დავითის აღსაზრდელად და სულისა ჩვენისა საოხად, წელსა ქრისტესით ჩყიდ, მაისის ა:“

ღვთის-მშობლის სარტყელზედ, მურავიოვის თქმით, ზემოთ გამოხატულია ძველი სურათი ღვთის-მშობლისა, სარტყელი დიაკონის ოლარს წააგავს. ქვემო ნაწილი ძლიერ დაძველებულია შემკობილი ძვირფასი ქვებით ოქროს აშიაზე, მარგალიტებით, ზურმუხტებით ქარვებით.

აქვე ვნახეთ ბარძიმი ვერცხლისა მხედრულის წარწერით: „დადიანი ლეონ“. ეს ლეონ დადიანი უკანასკნელი ლეონია ანუ ლეონ V, გრიგოლის ძე, რომელიც გადაიცვალა 1846 წელს“ (ექვთიმე თაყაიშვილი, არხეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნანი, წიგნი მეორე, ტფილისი 1914, გვ. 194-199).

[1] „1816 წ. 31 დეკემბერი: წერილი ლევან დადიანისა გიორგი არქიმანდრიტს.

...კრძალულითა და ნანდჳლითა წრფელითა შენ მიერ ცნობილითა, ესე იგი რომელ იყავ ყოველსავე მსახურებისა შ[ინ]ა ჩემთანა და მოახსენე, ვითარ ვიმსახურე უგრძესად ფოთის ციხის შემოზღუდვაზედ, მომთმენმან საფარსა მ[ის]ა ფიცხელისა ადგილისა მისგან გამოცდითა უძლურებისამან, რომელ ვიყავ მე, ვიდრე აღებადმდე და ვიდრე დამარცხებადმდე ჩვენზედა საბრძოლველად მოსრულისა სარასკირისა; და თუ რაოდენი თავადნი და აზნაურნი დამეხოცნენ მუნ გლეხითურთ...

...წარუდგინე და მიართვ (!) სახიერებისა და კაცთმოყვარებისა გამო ყ[ოვლა]დ უმოწყალესად გარდამოცემულნი წერილნი, ბოძებულნი, განსაბედნიერებლად ჩვენდა და სახლისა ჩვენისა და შენებისათვის ქალაქისა სახელსა ზ[ედ]ა გარდაცვალებულისა მამისა ჩვენისა და აღშენებულისათჳს ეკლესიისა ზ[ედ]ა ვლაქერან ღ[ვთ]ის მშობელისასა, და მოახსენე თუ აქამომდე რასთჳს დაყენებულ იქმნა; და დაყენება მისი იქმნა პირველ მეფისა შფოთებისათჳს და შემდგომად დაყენებულ იქმნა მომსვრელისა სენისა და სიყმილისაგან საშინელისა. და აწ. შესთხოვე უმორჩილესად, რათამცა აღშენებისათჳს ეკლესიისა უმოწყალესად გარდამოცემული და ორი ათასი ოქრო გვებოძოს; რომელვიწყოთ ამიერიდგან

მუშაკობა და შენება საყდრისა სამადლობელად და საქედელად ყ[ოვლა]დ უმაღლებულესისა ჭელმწიფისა ჩვენისა...

... ოდეს წარვლინებულ იქმნენ დეპუტატად ძმა ჩემი ნიკოლაჲ დადიანოვი და ბეჟან დადიანოვი და ჩვენი სარწმუნო საყვარელი დეკანოზი კეთილშობილი (!) იოანე იოსელი[ა]ნოვი უმაღლესისა და უდიდებულებისა ჭელმწიფისა ჩვენისა კარისა წინაშე საკტპეტერბურღის...

... და დღესცა არს ჩემს სამფლობელოშიდ სახელმწიფო სასამსახუროდ, ვ[ითარც]ა ზღვისა პირსა რედუტ-ყულე, ციხედ (!) ნაბადას (!), რიონის პირზედ პურის მაღაზეინა და ჭალადიდის ლაგირი ჯარისა... თქვენის მაღალღირსების მსასოებელი მთავარი Леван Дадиани ლევან დადიანი. წელს ჩყივ დეკენბრის ლა ზუფისაგანი“ (საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ისტორიული დოკუმენტები და არქივები. ისტორიული დოკუმენტები, ტ. II, თბ., 1953. ტექსტი შენიშვნებითა და საძიებლებითურთ გამოსაცემად მოამზადა შ. ბურჯანაძემ, გვ. 143-147).

„1806 წ. 31 მაისი, რუსეთის იმპერატორის ალექსანდრეს მიმართვა სამეგრელოს დროებით მმართველ ნინო გიორგის ასულ ბაგრატიონისადმი ვლაქერნის ღვთისმშობლის ხატის შესახებ.

„სასახლის კარზე მიმოწერა“, №41.

უგანათლებულესო თავადინა ნინა გიორგის ასულო!

მორთმეული ჩემდა სახელითა თქვენითა წარმოგზავნილთა თქვენ მიერ დეპუტატთაგან პოლკოვნიკის კნიაზ ნიკოლოზისა და პოდპოლკოვნიკის კნიაზ ბეჟან დადიანოვებისა წმიდათ ხატი ვლახერნის ღვთისმშობლისა უპატიოსნესითა სარტყლითა მისითა მივიღე მე კმაყოფილებითა, ვითარცა ნიშანი ჭეშმარიტისა ქვეშევრდომილებისა სახლისაგან თქვენისა და ყოველთა ერთა მეგრეთიისათა. ხატი ესე პატივითა მისვენებულ იქნა საიმპერატოროსა სახლსა შინა ჩემსა და დასვენებულ სასახლისა ეკლესიასა შინა და მომასვენებელსა მისსა დეკანოზ იოანე იოსელიენისა უბოძეთ ჩვენ ოქროს ჯვარი და კამილამერა, გარნა ვინათგან უწყოდით ჩვენ, რომელ ერთი მეგრეთიისა ძველთაგანვე სცხოვრობდა წმიდისა ამის ხატისადმი ფ დ აღმატებულითა კეთილის წამის ყოფითა. მოვაქციე ესე თვისგან ნიჭად თქვენგან ყოველთა მეგრელთიისა ერისადმი, მითამცა იქნეს ორთავე შორის წინდად და მოწამედ სამარდისოჩემდა თქვენის ერთგულებისა და ჩემისა დაუტევებლობისა საფარველისა. ხ ო ყოფად დაუვიწყებლობისა ესოდენ საამოისა წარმოებისა ჩემისათვის ვბრძანე მე აღშენებად ოდიშსა შინა ეკლესიაი მდთისა სახელისა ყ დ წმიდისა ამის ლახერანისა ღთისმშობელისა ადგილსა მას ზედა, რომელიცა თქვენ მიერ იქმნეს დანიშნულ და პირველ გზის უბრძანე ამისათვის ორიათასის ოქროს წარმოგზავნა და ამასთანავე მსურის მე, რათა სადაცა აღეშენოს საყდარი ესე, გარემოს მისსა აქუნდესთ ყოველთა დადიანებთა სასახლენი საცხოვრებლათ მათდა, რომელთაცა დროსამებრ განმრავლდნენ მას შინა მცხოვრებელნი და ძალ ედვას მას ყოფად ქალაქად, რომელსა ეწოდოს გრიგოლის ქალაქი, სახსენებლად სარწმუნო და საყვარლისა მეუღლისა შენისა თავადის გრიგოლ დადიანისათა ვგიებ სხვებრ თქვენდამი კეთილმიდრეკილებითა.

ალექსანდრე.

ს. პეტერბურგი, 31 მაისი, 1806 წელი“ (ც. ქირია, შ. სარია, მასალები საქართველოს ისტორიისათვის, თბ., 1967 გვ. 25-26).

ი. მეუნარგიას აღნიშვნით: „ერთის მხრივ თავადის, გიორგის ასულის ნინოს წასვლამ რუსეთში, მეორე მხრივ, მაშინდელმა ადგილობრივმა გარემოებამ ხელი შეუშალა მისს უგანათლებულესობას გაეკეთებინა რაიმე უმაღლესის ბრძანების ასასრულებლად; ხოლო სამეგრელოს მთავარმა ლევანმა ასეთი უმაღლესი ზრუნვა მის სამათავროსათვის

განსაკუთრებულ წყალობად ჩასთვალა ხელმწიფის მხრივ და ზრუნვას არ აკლებდა გამოენახა საჭირო თანხა იმპერატორ ალექსანდრეს უმაღლესი ნების ზედმიწევნით ასასრულებლად; ეკლესიისათვის ადგილად აირჩია სოფ. ზუგდიდი და შეუდგა შეძლებისადა კვალად, თავის ხარჯით ქვითკირის ეკლესიის შენებას ვლახერნის ღვთისმშობლის სახელობაზე. ეს ეკლესია სრულიად დამთავრდა 1830 წელს. და მთავარმა ეს ადგილი თავის მუდმივ საცხოვრებლად გაიხადა.

ეს ორი ათასი ჩერვონეცი-კი, რომელიც უმაღლესად გადადებული იყო ამ ეკლესიის ასაშენებლად გასაწევ ხარჯებისათვის პირველ ხნობითად, 1808 წლიდან ჩემ წინამოადგილეთა დროს დანიშნულებისამებრ არ მოხმარებულა და ინახებოდა ჯერ მთავარ-მართებლის ხაზინაში, ხოლო შემდეგ საზოგადოებითის შეწევნის საბრძანებელში; მაგრამ რადგან ეს ფული თავად დადიანის მიერ თავის საფასით ეკლესიის აშენების შემდეგ მისს საკუთრებას შეადგენდა, მე თანახმად მისი მოთხოვნისა 1833 წ., განკარგულება გავეცი ეს ფული უსარგებლოდ მას დაბრუნებოდა.

ამას წინათ ჩემს სამეგრელოში ყოფნის დროს მე ვნახე ზუგდიდში შენებული ეკლესია, მომეწონა და მასალის ადგილობრივ ფასების კვალობაზე მისი აშენება 15 ათას მანეთზე მეტად უნდა დამჯდარიყო და ამიტომ სამეგრელოს მთავრის მიერ ამ ტაძრის აშენება ყოვლადვე ქების ღირსია.

ამ ჟამად თავადს დადიანს განზრახვა აქვს დიდის ზეიმით გადმოასვენოს წმინდა ხატი ვლახერნის ღვთისმშობლისა ზუგდიდში ახლად აშენებულ ტაძარში მარტვილის მონასტრიდან, სადაც ეს ხატი დროებით დასვენებული იყო. სურს აგრეთვე, ის ადგილი სადაც აშენებულია ვლახერნის ღვთისმშობლის სახელობაზე ეკლესია, იწოდებოდეს გრიგორიოპოლად, ამიტომ ითხოვს ვიშუამდგომლო – მისმა იმპერატორობითმა უმაღლესობამ უმაღლესად ნება დართოს ამაზე“ (ი. მეუნარგია, სამეგრელოს სამთავროს უკანასკნელი პერიოდი და დავით დადიანი, გვ. 47-48).

„ვლაქერნის ხატი“

„ვლაქერნი ეწოდებოდა ძველად სტამბოლის კუთხეს, რომელიც მდებარეობს ქალაქის ჩრდილო განაპირას. ამ ადგილას იყო აშენებული ეკლესია ვლაქერნის ღვთისმშობლისა, რომელშიაც ესვენა შესანიშნავი ხატი ღვთისმშობლისა ამავე სახელით. ეს ეკლესია დღეს არ არსებობს, მაგრამ ხატი ღვისმშობლისა, „რომელმანცა დაიცვა და დაიფარა, კონსტანტინეპოლი განადგურებისაგან 626 წელს“, დღესაც არსებობს და დაცულია სამეგრელოს თავადის მუზეუმში. როგორც ამბობს პლატონ იოსელიანი, ეს ხატი მისცა საქართველოს ერს საბერძნეთის კეისარმა ჰერაკლემ მეშვიდე საუკუნეში ქრისტეს შემდეგ. მას აქვს სად რა ალაგას ესვენა „სასწაულმოქმედი“ ხატი ცნობა არა მაქვს. „ქართლის-ცხოვრებიდამ“ ვიცით მხოლოდ, რომ ეს ხატი მეჩიდმეტე საუკუნეში გიორგი გურიელმა, იმერეთის მეფე ალექსანდრე მეოთხისაგან საბრძოლველად წამოსულმა, „განსძარცვა“ და ჰყო სამკაულად თვისა“. მეცხრამეტე საუკუნის დამდეგს 1805 წელს, სამეგრელოს მთავრინა ნინოს სურვილისამებრ ეს ხატი წაასვენა პეტროგრადის საგანგებო დეპუტაციამ, რომელსაც შეადგენდნენ დიდი ნიკო გიორგის ძე დადიანი, ბეჟან მანუჩანის ძე დადიანი და კარის დეკანოზი იოანე იოსელიანი და მიართვა სამეგრელოს ერის სახელით ხელმწიფე იმპერატორს ალექსანდრე I-ს ისე, როგორც ოთხის წლის წინათ იმავე იმპერატორს მიერთვა საქართველოს მეფის ჩამომავალთაგან წმინდა ნინოს ჯვარი. ალექსანდრე პირველმა ეს ხატი ძვირფასად შეამკო და დაუბრუნა სამეგრელოს ერს“ (ი. მეუნარგია, დასახ. ნაშრომი, გვ. 50-51).

გ.არახამიას გამოკვლევით, „საქართველოს სამოციქულო ეკლესიაში ვლაქერნად წოდებულ ღვთისმშობლის ხატები, საუკუნეების მანძილზე ესვენა ბედიის, ქუთაისისა და ქვათახევის ტაძრებში. ის გარემოება, რომ წმ. ხატის სახებაში ვლაქერნი ფიგურირებს, მიუთითებს მის წარმომავლობით კავშირზე მართლმადიდებლური სამყაროს სასულიერო ცენტრის კონსტანტინეპოლის ერთ-ერთ უბანთან, რომელსაც ვლაქერნი ერქვა. განსაკუთრებით სახელგანთქმული იყო ვლაქერნის წმ. ღვთისმშობლის ეკლესია მრგვალი ფორმის ე. წ.

ვლაქერნის ღვთისმშობლის ეკლესია არქიტექტურულად 1953 წელს ასეა აღწერილი: „ქუთაისის ოლქი, ზუგდიდის რაიონი; ქ. ზუგდიდი; ეკლესია ვლახერნის ღვთისმშობლისა; აგებულია 1830 წ. არქიტექტორის გვარი ცნობილი არ არის; დასაცავი ზონის ფართობი 200 m^2 უდრის; ეკლესია გუმბათიანია, ჯვრის ტიპის. აგებულია თლილი, კარგად დამუშავებული ქვისა და კირისაგან. გარედან კირითაა შეღებილი. გუმბათი რვა წახნაგოვანია მსგავსივე თუნუქის სახურავით დახურული. ნავები (მკლავები) ორფერდა სახურავიანია, გუმბათს რვა სწორკუთხი სარკმელი აქვს დატანებული. ორ-ორი მსგავსივე სარკმელი დატანებული აქვს თითოეული ნავის კედელში და ამ სარკმლების ზემოთ დამატებით დატანებული აქვს აგრეთვე თითო ნალისებური მოყვანილობის სარკმელი. თითო ოთხკუთხი კარი დატანებული აქვს აღმოსავლეთისა და დასავლეთის კედლებში. აღმოსავლეთის კარის წარბს ზემოთ სამეფო გვირგვინის რელიეფური გამოსახულებაა, ხოლო მეორე კარის წარბს ზემოთ – ჯვრის გამოსახულება. ეკლესიის გუმბათის ქვეშ ოთხი ქვის სვეტია; არცერთ დაწესებულებას არ უჭირავს; სადაცვო-საიჯარო ხელ-შეკრულება არ არის; არავითარი მიზნით არაა გამოყენებული; სახუ-რავი დაზიანებულია, რის გამოც ეკლესიაში წყალი ჩადის.

ტყეშელაშვილი ო. ბ.

1953 წ. აპრილი

3. დადიანთა სასახლეები

ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით, „...ამავე მდინარის (ხობის) ჩრდილოთ კერძოდ დიდს ვესა ზედა არს ზუგდიდი, სასახლე დადიანთა, დიდშენი და პატალებიანი, ზღუდე-გოდ-ლიანი“[1].

მარტირიას ტიპისა, რომელიც 451 წ. ბიზანტიის კეისრის თეოდოსის უმცროსი დის, კეთილმორწმუნე პულხერიას თაოსნობით აშენდა „ოქროს რქის“ სირმეში, ზღვის პირას. ვლაქერნის ტაძრის მთავარ სიწმინდეს, რამაც მას ქრისტიანულ სამყაროში გაუთქვა სახელი (სხვა სიწმინდეებთან ერთად) საკურთხევლის კედელზე წმ. ღვისმშობლის მოზაიკური გამოსახულება წარმოადგენდა. სწორედ ვლაქერნის ამ ტაძარში დაცული წმ. ღვთისმშობლის სახება წარმოადგენს პირველწყაროს, ერთგვარ პარადიგმას, რომელმაც დასაბამი მისცა ვლაქერნის ღვთისმშობლის სახელწოდებით ცნობილ ხატებს საქართველოსა და სხვა ქვეყნებში“ (გ. არახამია, ვლაქერნის ღვთისმშობლის ხატი ბედიის ტაძარში, საქართველოში ქრისტიანობის გავრცელების 2000 წელი, სამეცნიერო კონფერენცია 2000 წლის 2-4 ნოემბერი. მართლმადიდებლობა აფხაზეთში და ეროვნული თვითიდენტიფიკაციის საკითხები, I, თბ., 2005, გვ. 100-101.). „ვლაქერნის ღვთისმშობლის“ სახელწოდებით აღინიშნებოდა ორანტის ტიპის გამოსახულება წმ. ღვთისმშობლისა. ამას ადასტურებს ბედიის ვლაქერნის წმ. ღვთისმშობლის ხატიც, რომელიც ორნეტის ტიპს მიეკუთვნება. ბედიის ვლაქერნის წმ. ღვთისმშობლის ხატს ზემოთ აღნიშნული წმ. ღვთისმშობლის მოზაიკური გამოსახულებიდან გადმოღებული ასლია (გ. არახამია, დასახ. ნაშრომი, გვ. 102). ბედიის ტაძარი X საუკუნის ბოლოს აშენდა წმ. ღვთისმშობლის სახელზე და მისი მთავარი ხატი იმთავითვე იყო ვლაქერნის ღვთისმშობლის ხატი. ვლაქერნის წმ. ღვთისმშობლის ხატი ბედიის ტაძარმა გუდაყვა//ზიღანეოსის ეკლესიიდან მემკვიდრეობით მიიღო (გ. არახამია, დასახ. ნაშრომი, გვ. 104-105).

[1] ქართლის ცხოვრება, ტ. IV, თბ. 1973, გვ. 778-779.

ი. მეუნარგიას ცნობით, „მთავარს ორმოცდაათზე მეტი სასახლე აქვს, რომელთა შორის უმშვენიერესია ზუგდიდის სასახლე, იგი აგებულია საუცხოვო ქვისაგან და შესანიშნავია, როგორც სიდიდე-სივრცით, ისე ფანჯრების, აივნების და სპარსულის მხატვრობის მშვენიერებით. შემდეგ მთავრისა, ყველა დიდებულთ მეტ-ნაკლებ, რამდენიმე სასახლე აქვთ და ისინი ერთიდან მეორეში გადადიან“[1]. „ზუგდიდის მთავარი სასახლის მარჯვენა მხარეს, ფერდის გაყოლებაზე, იყვნენ გამწკრივებულნი. მთავრის ძმის გრიგოლ დადიანის სასახლე, მანუჩას, მისი გამზრდელის ბატონიშვილის ნაშენი, წალენჯიხის მხრიდან მოტანილი ზუგდიდს, უზენაესი სასამართლო, მთავრის სასტუმრო სახლი, მაზრის სამდივანბეგო, **კაცია ჩიჩუას** სასახლე, მთავრის სალარო და მაღალი სამ-სართულიანი ციხე, შეიარაღებული ზარბაზრებითა და ჯაზეირებით, საიდანაც ყოველ დიდ დღესასწაულზე ციხის უფროსი **შენგელაია** ისროდა ზარბაზნებს“[2].

ი. მეუნარგიას თქმით, „ახალი ზუგდიდი შენდება ვრცელ მინდორზე, რომელსაც საზღვრავენ აღმოსავლეთით სასახლე და ბაღი დადიანისა, ჩრდილოეთით რამდენიმე სასახლეები და პატარა მდინარე, დასავლეთით დროებითი სასახლე თავად გრიგოლისა... და სამხრეთით საკმაოდ ვრცელი ბაზარი, აგებული დავით დადიანისაგან, რომელსაც ეტყობა სახეში ჰქონია დაეფუძნებინა აქ დიდი ვაჭრობა, თავისი ქვეყნის მიწის ნაყოფისა და ერთმანეთთან, თუ გარეშეებთან დაახლოებით გაევრცელებინა აქ იდეები განათლებისა. რამდენიმე ასეული სახლი გაშენდა ამ ორ წელს საყოველთაოდ სასარგებლოდ, თუ ეს მოძრაობა გაგრძელდა, ზუგდიდს მალე დაეტყობა აყვავება“[3]. როგორც აღნიშნულია, ამ პერიოდში აშენებული სასახლეებიდან ყველაზე მნიშვნელოვანი იყო დავით დადიანის მიერ აშენებული ზუგდიდის სასახლე, რომელიც მას 1836 წელს დაუწყია. როგორც ფიქრობენ, დავით დადიანის მიერ ამჯერად დაწყებული მშენებლობა სწორედ ის სასახლეა, რომლის ნანგრევები ამჟამად ზუგდიდის ბოტანიკური ბაღის ტერიტორიაზეა. ეკატერინე ჭავჭავაძის 1857 წლის წერილში, რომელშიც ის აღწერს მატერიალურ ზარალს მიყენებულს ომარ-ფაშას მიერ, წერს, რომ ომარ ფაშამ დასწვა და გაანადგურა ძველი ორსართულიანი მთავრის სახლი ქვისა და ახალი ორსართულიანი სახლი მთავრისა თლილი ქვისაგან ნაგები. როგორც ნანგრევებიდან ჩანს, ეს განადგურებული სასახლე სწორედ, თლილი ქვისგან არის ნაგები. ამ სასახლის მშენებლობა დავით დადიანმა ზემოთ ნახსენები წერილის დაწერიდან საკმაოდ დიდი ხნის შემდეგ დაიწყო. 1846 წლის 17 ოქტომბერს გოლოვინი სწერს დავით დადიანს „მაქვს პატივი, რომ გაუწყოთ მე პასუხი თბილისიდან. არქიტექტორ სკუდერიდან თქვენი სახლის პროექტის თაობაზე, რომელიც მე მას გავუგზავნე გარე ხედის შესასწორებლად, ის მე მწერს, რომ დიდი სიამოვნებით შეადგენს მას და მოიტანს ამ თვის ბოლოს. მიჩნეულია, რომ მისი მშენებლობა 1846 წლამდე ადრე არ უნდა დაწყებულიყო. მარი ბროსეს გადმოცემით

[1] ი. მეუნარგია, დასახ. ნაშრომი, გვ. 54.
[2] ი. მეუნარგია, დასახ. ნაშრომი, გვ. 58.
[3] ი. მეუნარგია, ქართული მწერლები, ტ. I, 1957, გვ. 117, 118

დავითს დადიანს გარდა ამ სასახლისა აუშენებია ჯვარედინ აგებული სასტუმრო სახლი“[1].

არქიტექტურულად ზუგდიდის ძველი და ახალი დადიანისეული სასახლეები ამ სახით არის აღწერილი 1953 წელს: ქუთაისის ოლქი, ზუგდიდის რაიონი; ქ. ზუგდიდი; პარკში; ძველი სასახლის ნანგრევები; აშენების დრო და არქიტექტორის გვარი ცნობილი არ არის; დასაცავი ზონის ფართობი 200 მ^2 უდრის; სასახლე გეგმაში მოგრძო ოთხკუთხედის მოყვანილობის არის. ამჟამად პირველი სართულის ნაშთია შემორჩენილი. აგებულია რიყის ქვითა და კირის ხსნარით. ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში მოთავსებულია კოშკისმაგვარი ნაგებობა, რომელსაც ოთხკუთხი კარი აქვს დატანებული. შუაში შემორჩენილია ნალისებური მოყვანილობის სარკმლის ნაშთი ზომით 0,75X1,25 მ. სასახლის ზომა 56X6,5. მ. უდრის. კედლის საშ. სისქე – 0,60 მ.; არცერთ დაწესებულებას არ უჭირავს; სადაცვო-საიჯარო ხელშეკრულება არ არის. არავითარი მიზნის არაა გამოყენებული; შემორჩენილი კედლები დაზიანებული არ არის.

ტყეშელაშვილი ო. ბ.

1953 წ. აპრილი.

ქუთაისის ოლქი, ზუგდიდის რაიონი; ქ. ზუგდიდი, ზუგდიდის მუზეუმის გვერდით; დადიანების სასახლის ნანგრევები; აშენების დრო და არქიტექტორის გვარი ცნობილი არ არის; დასაცავი ზონის ფართობი 200 მ^2 უდრის; სასახლე ჯვრის ტიპისა ყოფილა. იგი დადიანების ყველაზე ძველი სასახლეა. ამჟამად შემორჩენილია საძირკველის ნაშთი, რომლის საშუალებითაც შეიძლება სასახლის გეგმის შედგენა და რეკონსტრუქცია. საძირკველი ქვითკირითაა ნაგები, მისი სიგანე 1,80 მ უდრის საშუალოდ; არც ერთ დაწესებულებას არ უჭირავს; სადაცვო-საიჯარო ხელშეკრულება არ არის; არავითარი მიზნით არაა გამოყენებული; საძირკველი კარგადაა შემონახული;

ტყეშელაშვილი ო. ბ.

1953 წ. აპრილი.

„ქუთაისის ოლქი, ზუგდიდის რაიონი; ზუგდიდი, დადიანის სასახლე; ეკატერინე დადიანისეული სასახლე; აშენებულია ეკატერინე დადიანის დროს; სასახლე ორსართულიანია; საზეიმო შესასვლელი წინ წამოწეულ დერეფანს წარმოადგენს, რომელსაც რომელსაც სამი მხრიდან აქვს შესავალი; ამ დერეფანს ზემოდან გუმბათი ადგას ამჟამად შუშაბანდისაა; საზეიმო შესასვლელი აღმოსავლეთის მხრიდანაა; აქედან მარჯვნივ მეორე სართულში გასასვლელი ტალანია; მეორე სართულისაკენ ქვის კიბე მიემართება, თხუთმეტსაფეხურიანი, დაახლ. 3 მეტრის სიგრძისა; კიბე შუა სართულში წყდება უხვევს მარჯვნივ და მარცხნივ; აქედან სხვა კიბეები იწყება იმავე ზომისა; კიბეების შემდეგ სამხრეთის მხრისაკენ გრძელი ტალანია, რომელიც გადის სასახლის ქვედა სამყოფელში; სასახლეს შიგნით მხრიდან ორი ფლიგელი აქვს; სამხრეთის

[1] თ. ქადარია, დასახ. ნაშრომი, გვ. 224-229.

მხრიდან ორსართულიანი, ჩრდილოეთისა სამსართულიანი; ამათ შორის ფართო და ლამაზად გაფორმებული აივანია ხისა, რომელიც შემკულია ლამაზად გაფორმებული ხისავე სვეტებით. სვეტებშივე სხვადასხვაა სახის ორნამენტებით ამოკვეთილია აივნის ჭერი დაფანჯრულია და შიგ, როგორც ამბობენ სხვადასხვა ქსოვილები აქვს დატანებული, რაც უფრო მეტ სილამაზეს მატებს ისედაც ლამაზად გაფორმებულ შენობას; მეორე სართულის ოთახები წინათ უფრო დიდი ზომისა ყოფილა, ამჟამად კი ზოგიერთი მათგანი შეერთებულია და ოთახების რიცხვიც მარტო მეორე სართულზე ოცდაათამდე აღწევს, სასახლის სახურავი თუნუქისაა, სახურავის გვერდები სხვადასხვა ზომისა და მოყვანილობის ქონგურების მაგვარი შვერილებითაა გაფორმებული. სასახლის ფართობი დაახლოებით 100 $м^2$ უდრის; შენობა ზუგდიდის რაიკომსა და რაიაღმასკომს უჭირავს; ძეგლი რემონტს არ საჭიროება.

ტყეშელაშვილი ო. ბ.

ქუთაისის ოლქი, ზუგდიდის რაიონი; ზუგდიდი, ნიკოლოზ დადიანის სასახლე; სასახლე; XIX ს. არქიტექტორის გვარი არაა ცნობილი; 200 $м^2$ უდრის დასაცავი ზონის ფართობი; სასახლე ორსართულიანია, ნაგებია აგურით გარედან გაჯითაა შეღებილი და კირით შეფეთქილი, გარედან ხის გრძელი აივნებით აქვს: საზეიმო შესასვლელი სამხრეთის მხრიდანა აქვს; იგი ოდნავ შემაღლებულია, ღია დერეფნის მაგვარი, ამის შემდეგ დიდი დარბაზია პირველ სართულზე, რომლის შემდეგაც მიემართება ქვის კიბე, მეორე სართულისაკენ. გადახურულია თუნუქის სახურავით. უჭირავს დაახლ. 70 $м^2$; სასახლეში მოთავსებულია ზუგდიდის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი და სამეურნეო-ტექნიკუმი; ხელშეკრულების დადების შესახებ არაფერია ცნობილი; გამოყენებულია ადმინისტრაციული მიზნით.

4. საჯვაროს უბნის – წმ. გიორგის სახელობის ახალი ეკლესია.

ქ. ზუგდიდში საჯვაროს უბანში მე-8 სკოლასთან, დგას ახლად აშენებული წმ. გიორგის სახელობის გუმბათიანი ეკლესია.

5. წითაწყარის სასაფლაოს წმ. გიორგის სახელობის ხის ეკლესია.

ჭითაწყარის სასაფლაოსთან დგას წმ. იორგის სახელობის ახლად აშენებული ხის ეკლესია. ძველად აქ იმავე სახელწოდების ხის ეკლესია მდგარა.

სოფელ ჭითაწყარის ახალი ეკლესია

თავი V

მარტვილის რაიონი

1. ჭყონდიდი-მარტვილის ღვთისმშობლის მიძინების სახელობის მონასტრი და საეპისკოპოსო

ქართული კულ-ტურის ერთ-ერთ უმ-ნიშვნელოვანეს კერას წარმოადგენს ჭყონ-დიდის ანუ

მარტვილის მონასტერი, რომელზეც, როგორც წერილობით წყაროებში, ისე სამეცნიერო ლიტერატურაში საკმაოდ ვრცელი მასალა არსებობს.

ექვთიმე თაყაიშვილის სიტყვებით, „მარტვილი ერთი საუკეთესო ტაძარია თავისი მდებარეობით, ხელოსნური სტილით, ისტორიული მნიშვნელობით და მასში დაცული არქეოლოგიური ნაშთებით არა თუ მარტო სამეგრელოში, არამედ მთელს საქართველოში. ლამაზი გუმბათიანი ეკლესია აგებულია მაღალ გორაკზედ ცხენის წყალსა და აბაშას შუა, საიდანაც თქვენ გეშლებათ საუცხოო სურათი იმერეთის და სამეგრელოს ვაკე-მინდვრებისა თავისი წალკოტ-ბაღნარით და სოფლებ-დაბებით და აგრეთვე ლეჩხუმისა და სვანეთის მთა-გორაკებისა. სიტყვა მარტვილი წარმოსდგება ბერძნული სიტყვისაგან *მავრტჰრ,* რომელიც ნიშნავს წამებულს. ძველი მეგრული სახელი იყო ადგილისა ჭყონდიდი, ესე იგი დიდი მუხა, ამიტომ ამ მონასტრის მღვდელ-მთავრები იწოდებოდნენ ჭყონდიდლებად. ჭყონდიდლები პირველი ვეზირები იყვნენ ძველ დროში საქართველოს მეფეებისა და, რასაკვირველია მათი საკათედრო ტაძარიც დიდებული უნდა ყოფილიყო [1] . მარტვილის მონასტრის შესახებ მნიშვნელოვნად მიგვაჩნია XIX საუკუნის უკანასკნელი მეოთხედის ქართულ პერიოდულ პრესაში გამოქვეყნებული მასალა, რომელიც გვამცნობს მარტვილის მონასტრის ისტორიას, გვაძლევს ინფორმაციას იმ დროისათვის იქ დაცულ სიძველეებზე და ზოგიერთი მათგანის ბედზე, რომელიც დროის უკუღმართობას შეუწირავს[2].

[1] ექვთ. თაყაიშვილი, მარტვილის მონასტერი, თბ., 1993, გვ. 3.
[2] გაზ. ივერია, №114, 1893

მარტვილი (სამეგრელოდამ).

„ერთი ამ ძველ დიდებულ ნაშთთაგანი არის დაბა მარტვილიც, რომელიც არის შესანიშნავი თავისის ძველის-ძველის, ტურფად ნაგების ტაძრით, ჭყონდიდლების კათედრა. ტაძარი არის აშენებული განმარტოებულს გორაზედ, თითქო განგებისად შეგორავებულზედ, ოთხივ კუთხივ გადაჰყურებს სამეგრელოს, რომელიც მის წინ ხელის გულისავით არის გადაშლილი; ეკლესიის მხატვრობა დაძველებულია, თითქმის ხეირიანად აღარა სჩანს-რა; ძვირფასი ხატები და ძვირფასი ნივთები ბევრია; სხვათა შორის, შესანიშნავია ჯვარი ძველისძველი თვალ-მარგალიტით უხვად შემკული; მინამქრიანი ხატი და ძველის-ძველი ტყავზედ ნაწერი ოთხთავი (სახარება). ამ სამივე ნივთისათვის ბ-ნს კონდაკოვს დიდი ყურადღება მიუქცევია; შესანიშნავია სახარება თავის სურათებით, ხელ-ნაწერებით და სისუფთავით; ერთი მღვთის-მშობლის ხატი ყოფილა ძალიან ძვირფასის თვალ-მარგალიტით და მინანქრით შემკული; ეს ხატი; როგორც მიამბო მღვდელ-მონაზონმა მარტვილის უდაბნოსამ მამა სოფრონმა, წაუღია რუსეთს ბ-ნს საბინინს, ვითომდა გასაკეთებლად. ხატს ცოტა რამ ჰქონია გასაკეთებელი; წაუღია; შემოუძარცვავს მთელი ძველი სამკული, ვინ იცის, რა ძვირფასად ღირებული, ჩაუსვამს უბრალო ვერცხლში და ისე დაუბრუნებია. ახალს ნივთებში შესანიშნავია სახარება, რომელშიც შეუწირავს სამეგრელოს დედოფალს ეკატერინეს, დავით მთავრის მეუღლეს, თ. ალექსანდრე ჭავჭავაძის ასულსა; სახარება ძვირფასის თვლებით არის მოჭედილი, ყდა ოქრო ვერცხლისა და ზედ აწერია შემწირველის სახელი. სხვა ნივთთა შორის შესანიშნვია მღვდელ-მთავრის

შესამოსელი, ძვირფასად შემკული დიდროვნის თვალ-მარგალიტით და ერთობ ხელოვნურად ნაკეთები; ძვირფასი ნივთები და წიგნები ინახება ტაძრის სალაროში, რომელიც აბარია ზემოდ-დასახელებულს ბერს სოფრონსა. ტაძარი ესე ყოფილა და არის სამარხი სამეგრელოს მთავრებისა; აქვე იმარხებიან სხვა დადიანებიც, ჩრდილოეთის სამარხში ადგილი სჭერიათ თ. ჩიქოვანებს, რომელთაც პატარა ეკკლესიაც ჰქონიათ აქვე, მარტვილის მთაზედ. ტაძარში ასაფლავიან მღვდელ-მთავარნი მამა ტაძრისა, ჭყონდიდლად წოდებულნი. მეგრული სიტყვა ჭყონი ნიშნავს ქართულად – მუხას, ჭყონდიდი – მუხადიდს. როგორც გარდმოცემა გვეუბნება და თვით ხატი ანდრია მოციქულისა, რომელიც კანკელზედ არის გამოსახული, გვამცნევს, ამ ადგილზედ, სადაც დღეს დიდებული მარტვილის ტაძარია აღმართული, მდგარა უზარ-მაზარი მუხა (ჭყონი); ხალხი ამ მუხას სცემდა თაყვანსა, აქ ჰქონდათ ამართული კერპები, რომელსაც ხალხი ლოცულობდა და სწირავდა მსხვერპლსა. ანდრია მოციქულმა აბხაზეთიდამ, სადაც სვიმონ კანანელი დასტოვა საქალაქებლად, ჯვრით და ქადაგებით გადმოიარა სამეგრელო და აი ამ ადგილზედ მოვიდაო, მოსჭრა ხალხისაგან სათაყვანებელი ჭყონი და ჯვარი აღმართაო. აი ხატი რას წარმოგვიდგენს: სდგას მართლა დიდი მუხა, ანდრია მოციქული მრისხანე სახით აჭრევინებს მუხას, თითი აქვს გაშვერილი მისკენ და მეორე ხელში ჯვარი უპყრია. ბერებმა მითხრეს, რომ ერთის საფლავის გათხრის დროს, აღსავლის წინ, მსხვილ-მსხვილი ფესვები მუხისა ამოჰყარესო; ჩვენ გვგონია, რომ იმ მუხის ფესვები უნდა იყოს, რომელიც ანდრია მოციქულმა მოსჭრაო. სამწუხაროა, რომ ეს დიდებული ჭყონდიდლების კათედრა გაუქმდა სამეგრელოსთან გურიის ეპარქიის შემოერთებით. ხალხი სამეგრელოსი და გურიისა სულითა და გულით სწუხს, რომ მარტვილს მეგრელებისათვის და ჯუმათის გურულებისათვის ჩამოეხადათ ძველი დიდება და სახელი და ჭაობიანს ფოთში გადაიტანეს სამყოფი მღვდელ-მთავრისა, სადაც რიგიანი ეკკლესიაც კი არა აქვთ.

წელს მარტვილში ბრძანდება გურია-სამეგრელოს ეპისკოპოზი გრიგოლ ტაძრის გასასინჯად და სახლების აშენების საზრუნველად; ტაძარი თუნუქით დაუხურავთ; წელს სამრეკლოს აკეთებენ და ბანს ცემენტით ჰხურავენ; სამღვდელმთავრო სახლი შარშან დაუწვავთ ისე; რომ ქვა-ქვაზედ აღარ დარჩენილა. მასალა ქვისა მოგროვილია ალაგობრივ და ყოვლად-სამღვდელო ხელახლად აპირებს სახლების აგებასა. მაინც მარტვილელებს ძალიან უყვართ სახლების გადაწვა; სასულიერო სასწავლებლის სახლი სამჯერ დასწვეს; ეხლა კი, როცა სასწავლებელი ახალ-სენაკში გადაიტანეს, უკან მისტირიან და მისჩხავიან, თავებს იხოცავენ, რატომ მარტვილში არ უნდა იყოს სამეგრელოს სასულიერო სასწავლებელიო. იყო, როგორ არ იყო, მაგრიამ სამჯერ გადასწვეს და რომელი გიჟი ღა დადგებოდა მარტვილში ცეცხლის სამსხვერპლოდ, ან სად იყო იმდენი შეძლება, რომ ახალ-ახალი სახლები ეშენებინათ, ექირავებინათ და ბავშვები ეწვალებინათ!

თუ ასე საჭირო, სასარგებლო და სასურველი იყო სასწავლებლის მარტვილში არსებობა, რაზედ სწვავდნენ ასე უმოწყალოდ და შეუბრალებლად. მაგრამროდესაც მე ეს ვიკითხე, მიპასუხეს: მოწინააღმდეგე დასი სწვავდაო, ის დასი, რომელსაც მარტვილიდან გატანა უნდა სასწავლებლისაო. არც ეს არის გასაკვირველი ამ დროში.

სასულიერო სასწავლებლის მაგივრობას სწევს დღეს მარტვილში ორ კლასიანი სამაგალითო სამრევლო სკოლა, რომელშიაც მასწავლებლობენ ბ-ნი ბობოხიძე და თათარაშვილი, ორთავე სწავლადამთავრებულნი ტფილისის სასულიერო სემინარიაში; ამ სასწავლებლის გარდა არის კიდევ სამინისტრო სკოლა; სამხედრო, სკოლის შენობა ქვისაა, აუშენებია ყოვლად სამღვდელო გრიგოლს, უმფროს განყოფილებაში ასწავლის ბ-ძე და უნცროსში ო-ლი, მასწავლებლებს არ დაუზოგავთ ცდა და მეცადინეობა, ბეჯითად შესდგომიან წმინდა საქმეს ბავშვების აღზრდა-განათლებისას და კიდევაც საუცხოოდ დაჯილდოვებულა ეს მათი შრომა. მე მქონდა შემთხვევა ყოვლად-სამღვდელო გრიგოლთან ერთად ყოფნისა სასწავლებლების გაკვეთილების დროს, არა რომელიმე სასულიერო სასწავლებლის მოსამზადებელს კლასებში, არა რომელსამე პირველს და მეორე კლასებში სასწავლებლისა არ მეგულებოდა თუ ასრე საუცხვოდ იქნება წარმართული სწავლის საქმე, როგორც მარტვილის სამაგალითო სამრევლო სკოლაში. თავი დავანებოთ ქართულს ენას, რომელზედაც საუცხოვოდ კითხულობენ და სწერენ; რუსული ენა, სხვა-და-სხვა საგნების შესწავლა ორთავე ენებზედ –

როგორც ქართულზედ, ისე სახელმწიფოზედ – საგანგებოდ უწარმოებიათ; სასწავლებელი ნახა თავის მოხელეებით აგრეთვე ქუთაისის სამხედრო გუბერნატორმაც, რომელით იმ დროს, 6-დამ 8 მაისამდე. მარტვილში ბრძანდებოდა: ძრიელ მოიწონეს სწავლის საქმე და გუბერნატორმა აღუთქვა შემწეობის აღმოჩენა ამ სკოლას.

მღვდელ-მთავარმა გრიგოლმა ჰკითხა შეგირდებს: რომელ ენაზედ ლაპარაკობთ სახლში: მეგრულად, თუ ქართულზედაო? ბავშვებმა მიუგეს, რომ ხან ერთზედ და ხან მეორეზედაო, როგორც შეგვხვდებაო. შემდეგ ერთს მოწაფეს ჰკითხა სამღვთო ისტორიიდამ იონა წინასწარმეტველის ცხოვრების და თავ-გადასავალის ამბავი; ბავშვებმა მშვენიერის ქართულით გადმოგვცა იონას ისტორია: მაშინ ყოვლად-სამღვდელომ ჰკითხა: აბა ეგევე ისტორია ეგრე ლამაზად და დაუბრკოლებლივ მეგრულს ენაზედ მითხარიო. ბავშვი მოჰყვა, მაგრამ ძალიან გაუჭირდა, რადგან ზოგიერთის აზრის გამოსათქმელად სიტყვები შემოელია და წმინდა ქართულს მიმართა. ისარგებლა რა ამ შემთხვევით ეპისკოპოსმა გრიგოლმა, მიჰმართა კლასში ბავშვებს შემდეგის სიტყვებით: დაიხსომეთ; გულში ღრმად ჩაიმარხეთ, შვილებო, რომ მეგრელები ძველის-ძველი ქართველები ვართ; ქრისტეს სხივით უწინ აბხაზეთ-სამეგრელო გაანათლეს მისმა მოციქულებმა; პირველ საუკუნეშივე ქრისტეს შემდეგ ანდრია მოციქულმა აქ იქადაგა, აი აქ, სადაც ეს სკოლაა, სადაც მარტვილის დიდებული ღვთისმშობლის ტაძარი, ანდრია მოციქულმა მოსჭრა დიდი ჭყონი, რომელსაც ჩვენი წინაპარნი თაყვანსა სცემდნენ, და აღმართა ჯვარი. მას შემდეგ ჩვენს ეკლესიებში გვსმენია, გვესმის და გვესმინება წირვა-ლოცვა ქართულს ენაზედ. ჩვენ ამ ენაზედ წირვა-ლოცვა, ღვთის ვედრება სისხლ-ხორცად გარდაგვქცევია; სიტყვა სამეგრელო, მეგრელი, როდი შეადგენს განსაკუთრებულს ქვეყანას, განსაკუთრებულს სახლს, სამეგრელო ნაწილია ერის ქვეყნისა, ჩვენის საზოგადო სამშობლოსი, საქართველოსი. მეგრელი სახელია იმ ქართველისა, რომელიც საქართველოს ერთს ნაწილში სამეგრელოში სცხოვრობს. საქართველო ბევრს ნაწილებისაგან შესდგებოდა და შესდგება, თუ გინდათ ამ ნაწილებს ახალი სახელი დავუძახოთ, მაგ. გუბერნია. აი მისი ნაწილები: ქართლი, კახეთი, იმერეთი, სამეგრელო, გურია, სვანეთი, აბხაზი და სხვანი. ქართლელი ვერ იტყვის რომ ქართლელი არა ვარო, აგრეთვე კახელი ვერ იტყვის, იმერელი, გურული და სხვები. ასე, როგორც მოსკოვის გენერალი, ტვერის და სხვები ვერ იტყვიან, რომ ჩვენ რუსები არა ვართო, მაგრამ ჟამთა ვითარებას სამეგრელო დაუშორებია საქართველოს სხვა ნაწილებისათვის...“

ამერ-იმერელი

გაზ. ცნობის ფურცელი, №597, 1898

ს. მარტვილი (სამეგრელო). ნიმუში ჩვენებულის დაუდევრობისა მარტვილის ტაძარი განთქმული იყო მთელს სამეგრელოში თავისის სიმდიდრითა. მთავარნი და დიდებულნი სამეგრელოისა სულ იმის ცდაში იყვნენ, გაემდიდრებინათ თუ ხატებითა, თუ სხვა საეკლესიო ნივთებითა ის ტაძარი, სადაც სიკვდილის შემდეგ საუკუნო განსასვენებელი უნდა მოეპოვებინათ ბოლო ხანამდე ასე თუ ისე ხელ უხლებელი იყო განძი ამ ტაძრისა.

პირველად გაზიდულ იქმნა თვალსაჩინო ნივთები ამ ტაძრიდან მხატვრის საბინ-გუსისაგან 1884 წელს ყველაზე ძვირფასი ხატი იყო მღვთისმშობლისა, მინანქარით შემკული, მშვენიერის ხელოვნებისა. ეს ხატი ხსენებლმა საბინ-გუსმა პეტერბურგი წაიღო „განსაახლებლად“ (?) და იმის მაგიერ დააბრუნა, მართალია, „განახლებული“ ხატი, გარნა ამ ხატს იმის მეათასედი ფასი არა აქვს ჩვენის არქეოლოგიისათვის, რაც იმ „განახლებულს“ ხატსა ჰქონდა.

გარდა ამისა, ძვირფასი საპატრიარქო და სამღვდელმთავრო შესამოსელები ამ უკანასკნელს ჟამს მეტად გაფუჭდა და ჩრჩილისა და ნესტის მსხვერპლი შეიქმნა. ჩვენის დაუდევრობის ბრალია, რომ მოქვის სახარება, XI საუკუნეში დაწერილი ტყავზე, მშვენიერის მხატვრობით შემკული, სანახევროდ გაფუჭებულია. ამავე დღეში არის სხვა ხელნაწეოები, აწ გაუქმებულ საირმის მონასტრიდან (ლეჩხუმში) გადმოტანილ ხელნაწერებსა და სხვა ძვირფას მინიატურებსა. ეტყობა, რა კი ერთი და ერთი შეუყრიათ ნესტიან ოთახში, მერე ზედ არავის შეუხედნია. ამაზე წინათ აქა ყოფილა რუსების ახალგაზრდა მხატვარი ეისნერი, დაუთვალიერებია ყოველივე, ღირსშესანიშნავ მხატვრობითგან პირი გადაუღია და

შეძრწუნებულია, როცა უნახავს ასე უყურადღებოდ მიყრილი განძი და სიძველენი, რომელთაც სხვაგან თვალის ჩინივით უვლიდნენ ხოლმე.

ყოვლად სამღვდელო ალექსანდრემ, გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსმა, ცნობილმა მფარველმა საქართველოის ძველთა ნაშთთა, თავისი მწყემსთ-მთავრული ყურადღება მიაქცია ამ სავალალო მდგომარეობას დიდებულის ტაძრის ძველ ნივთა და სათანადო განკარულება მოახდინა...

განჯინათა დასაცველად ყველა ნივთთა და ძველ ხელნაწერთა. უეჭველია, როცა აღინუსხება ყველა ნივთები, ვისმე მცოდნეს კატალოღის შედგენასაც მიანდობენ. სასურველია შედგენილ იქმნეს წიგნაკიც, რომლის შემწეობით აქ მოსულს მლოცველს შეეძლოს გაცნობა ამ დიდებულის ტაძრის წარსულისა და აწმყოისა.

ყურადღება უნდა მიექცეს აგრეთვე ეგრედ წოდებულს „მარტვილის სვეტს“ (რომელსაც მდაბიონი „დილეგს“ უხმობენ უსაფუძვლოდ). ეს სვეტი რამდენსამე ალაგას გაბზარულია და მოსალოდნელია, მალე კიდეც დაინგრეს, თავს დაეცეს თვით ტაძარს დააზიანოს.

გარდა ამისა, მუდამ ჟამს თვალყური ადევნოს კაცმა თვის ტაძრის სახურავს. საქმე ის გახლავსთ რომ ამ ტაძარს ადრე მკვიდრი სახურავი ჰქონდა სპილენძისა. ერთმა წინამძღვარმა მამა სოფრონმა ეს სახურავი ააყრევინა, გააზიდვინა წონით და მის მაგივრად თუნუქი იხმარა სახურავად. ხოლო თუნუქი სპილენძთან თავისდღეში ვერ მოვა, მალ-მალე ფუჭდება და ხან იქა და ხან აქ წვიმა ჩამოდის და შენობას აფუჭებს ტაძრისას. თუ ამ გარემოებას ჯეროვანი ყურადღება არ მიექცა, მთელს საუკუნოობით მკვიდრად ურყეველად მდიდარი ტაძარი ხელიდგან გამოგვეცლება.

მგზავრი

გაზ. მწყემსი, 1893.

დ. ბაქრაძე, მარტვილის მონასტერი.

მარტვილის მონასტერი, რომელიც ერთი შესანიშნავ მონასტერთაგანია საქართველოში, მდებარეობს სამეგრელოში, ორ მდინარეთა აბაშასა და ტეხურს შუა. ხონიდამ ამ მონასტერში მიმავალმა უნდა გაიაროს ცხენის წყალი და შეუდგეს მაღალს სერს, რომლის ზემოთ გაშლილს ადგილზე აშენებულია ხსენებული მონასტერი. მონასტრის ეზოდამ, რომელიც დაფარულია მუხის და ალვის ხეებით, მშვენიერი სურათი ეხატება მნახველს. ამ სერიდამ როგორც ხელის გულს ისე დაჩერებია კაცი მთელს იმერეთს და მეორეს მხრით აქედამ კაცი მშვენიერად ხედავს სურამის და ახალციხის მთებს, რომელიც ალაგ-ალაგ დაფარულია თოვლით. მონასტრის ეზოდამ კარგად მოჩანს ლეჩხუმის მთელი და მათ უკან ამაღლებული მთის ზურგი, რომელიც საზღვრავს ერთმანეთ შორის სადადიანო და თავისუფალ სვანეთს. ეს სურათი საუცხოვო შთაბეჭდილებას ახდენს მნახველზე. მარტვილის საკრებულო ტაძარი დიდი არ არის და შინაგანი მოწყობილობით წააგავს სიონის ტაძარს, რომელიც მდებარეობს ქართლში, ატენის ხეობაში. კარი ბჭე, რომელსაც აქვს ორი ეგუტერი მთავარანგელოზთა და მიძინებისა, მიშენებულია, როგორც სჩანს, შემდეგ დროში და სასაფლაოს დანიშნულება აქვს; მესამე ეგუტერში, რომელიც აგებულია მიძინების სახელობაზედ ტპარეზის მახლობლად, მღვდელ-მთავრის დასაჯდომელ ადგილთან, მოთავსებულია სალარო. უმთავრესი ტპარეზი გაკეთებულია მრამორისაგან და დამაგრებულია ხუთ სვეტზე. ეკკლესიიდან მარჯვნივ სერის ფერდობზე აშენებულია ძლიერი ძველის კოშკი, რომელიც ყოფილა მესვეტეთა სადგომი. აკადემისოსის ბროსეს სიტყვით მარტვილის ტაძარი ერთი საუკეთესო ტაძართაგანი ყოფილა საქართველოში. ამას ამტკიცებს შენობის, ფანჯრების და კარების ჩუქურთმიანი გრეხილის ნაშთები, რომელნიც ხელოვნურად არიან გაკეთებულნი. ეს ტაძარი, თუ ისე ძველია, როგორც მას ამტკიცებს ვახუშტი, რომელიც ამ ტაძრის აშენებას აწერს გიორგი II, რომელიც მეფობდა

921-925 წლებში, მაშინ გასაკვირველი არ იქნება, რომ ათი საუკუნის განმავლობაში თავისი კვალი დაემჩნია ამ ტაძარზე. როგორც საქართველოს სხვა ეკლესიები, ისე მარტვილის ტაძარიც დასახიჩრებულია შემდეგ დროში მიშენებული შენობებით. მეორე მეცნიერი დიუბუა ამტკიცებს, რომ მარტვილის ტაძარი აშენებულია კერპ-თაყვანისმცემელთა ბომონის ადგილზეო და ამ ტაძრის ზოგიერთი სახეშეცვლილი მასალა ნახმარია კერპთა ტაძრისაგანო. მარტვილის ტაძარში კედლის მხატვრობაში მნახველის ყურადღებას იქცევს როგორც ვლახერნის ღვთისმშობლის მხატვრობა მთავარანგელოზებით, ისე განსაკუთრებით სურათები მეფე კონსტანტინესი, ისე დადიანების ახალი გვარის დამაარსებელისა, როგორც წარწერიდან სჩანს, „ლეჩხუმისა, საინარიძის და სალიპარტიანოს მფლობელისა, ხელმწიფე – დადიანის ვეზირის, იმერეთის და ოდიშის უფროსის და მხედართ-მთავრის კაცია ჩიქოვანის და მისი მეუღლისა... რომელიც იყო ქალი დიდისა... აგრეთვე მათი შვილების გიორგის, იოსების და ოტიასია მარტვილის ტაძრის ღვთის-მშობლის ხატებში, რომელნიც ძვირფასად არიან მორთულნი, სამი შეწირულია ადგილობრივი მდვლედ-მთავრებისაგან ანუ ჭყონდიდლებისაგან: ევდემონისაგან 1644 წ., გაბრიელისაგან მეჩვიდმეტე საუკუნის დამლევს და გიორგისაგან 1839 წ. ჭყონდიდლების სახელი აგრეთვე მოხსენიებულია ეტრატზე დაწერილი სახარების ფურცლებზე, დადიანებთან წარწერებთაგან წარწერებში მოხსენიებულია შერგილი და ლევან დიდი, რომელმაც 1662 წ. შესწირა მარტვილის ტაძარს „ღვთის-მშობლის ხატი, შემკული მისგანვე ლალით და მარგალიტით საცხოვნებლად თავის ცოდვებისა და საცხონებლად თავის ძეთა ალექსანდრე და მანუჩარის და თავის ქალის ზილხანისა“.

მარტვილის ტაძარი აგებულია ღვისმშობლის მიძინების სახელობაზე. სიტყვა მარტვილი წარმოსდგება ბერძნული სიტყვისაგან და ნიშნავს „მოწამეს“. ძველის დროიდამ ადგილობრივი მცხოვრებნი ამ ტაძარს უწოდებენ ჭყონდიდს (დიდი მუხა). მარტვილის ტაძრის აშენებას აწერენ აფხაზეთის მეფეს გიორგის (921-956), ამ მეფემ დანიშნა აქ ეპისკოპოსის კათედრა. ჭყონდიდლები ისტორიული პირნი იყვნენ, ისინი განსაკუთრებით შესანიშნავნი იყვნენ აფხაზეთის და ქართლის ბაგრატიდების დროს. ჭყონდიდელს ირჩევდნენ ხოლმე იმ პირთაგან, რომელნიც შესანიშნავდი იყვნენ როგორს სწავლით ისე მადალის ზნეობით. ჭყონდიდელს ეკავა უმაღლესი ადგილი მეფის გვირგვირის კურთხევის დროს ქართლის და ჭყონდიდელი ეპისკოპოსები სხდებოდნენ პირველ ადგილზე, სავარძელში, ბალიშებზე, პირველი ქათალიკოსის მარჯვნით და მეორე მარცხნით. ჭყონდიდელი იყო მწერლების უფროსი. ამასთანავე იგი იყო მფარველი ქვრივთა და ობოლთა, ტანჯულთა და დაჩაგრულთა. მათ შესახებ მხოლოდ ჭყონდილელი მოახსენებდა ხოლმე მეფეს. იგი პირველი აცნობებდა ხოლმე მეფის ბრძანებას საერთო და სასულიერო პირთ. როცა ჯარი გაილაშქრებდა მტრის წინააღმდეგ, ჭყონდიდელი მიუძღოდა ჯარს წინ ხერით და ჩხუბის დაწყების წინ აკურთხებდა ჯარს და შემდეგ ბრუნდებოდა უკანვე და უფროსობდა მეუკანავე ჯარს. ჩვენ ზემოთ მოგახსენეთ, რომ დადიანების გვარის უკანასკნელი წანაპარი გამოხატულია მარტვილის ტაძარშიო, რომელიც იყო დადიანის გვართა სასაფლაო ადგილი. კაცია სცხოვრობდა იმერეთის მეფის ბაგრატ მეოთხის დროს, რომელიც მეფობდა 1669 წლიდან 1678 წლამდე და სამეგრელოს სუსტ მფლობელ ლევან მესამის დროს, რომელიც იყო სიძე ბაგრატ მეოთხისა და შვილისშვილი იასესი, შესანიშნავი ლევან დიდის ძმისა, ქართლის მატიანე კაციას დაწინაურების შესახებ აი რას მოგვითხრობს: „იმ დროს (1676 წ.), როცა აფხაზები დაეცნენ ოდიშს (სამეგრელოს). ჭყონდიდელი ჩიქოვანი მომეტებული ძლიერი შეიქმნა. იგი გაუძვრა ხელიდამ ვახტანგ მეფეს შულავერში და მან მითვისა ჭყონდიდლის სახელი და მიიხმო თავისკენ დადიანი. იმან მოუწოდა თავის ძმას კაციას და დაარწმუნა დადიანი, მიეცა მითვის სალიპარტიანო იმ აზრით, რომ კაცია ამით გაუადვილებდა დადიანს ლეჩხუმის აღებას. კაცია ამით გაუადვილებდა დადიანს ლეჩხუმის აღებას. კაცია იყო გორდის უბრალო აზნაური და მისი მამა თავის ზურგით ზიდავდა სვანეთში თაფლს, ყიდდა და ამ სახით სჭამდა ლუკმა პურს, თავისი ძმის ჭყონდიდლის წყალობით შეიქმნა ფრიად ძლიერი და პატივმცემული მეფეებისაგან. იმას დიდი გავლენა ჰქონდა ლეჩხუმლებზე. ლევან დადიანს, რომელმაც მისცა კაციას სალიპარტიანო, ძლიან დაიახლოვა თავისთან კაცი, ვინაითგან იგი იყო მამაცი, მოქნილი, და ამასთანავე უპატიასნო და ბოროტი. იგი ურჩევდა დადიანს ამოეწყვიტა ოდიშის დიდი კაცები. კაცია კიდევ უფრო გაძლიერდა, როცა ჯვარი დაიწერა რაჭის ერისთავის შოშიტ მეორის ქალზე. ამ ძლიერების გამო კაციამ, ლევან დადიანის სიკვდილის შემდეგ, რომელიც მოხდა 1694 წ. ხელში იგდო სამეგრელოს მართვა.

ლევანის ქვრივმა მიიღო მოლოზნობა და რუსეთში გაჰყვა ქართლის მეფე ვახტანგ მეექვსეს, ხოლო ლევანის შვილი გიორგი რუსეთშივე თან გაჰყვა იმერეთის მეფე არჩილს.

ყველა ეს ცნობები ჩვენ ამოვსწერეთ „Кавказъ въ христоанскихъ памятникахъ"-დან. ჩვენის მხრივ საჭიროდა ვსთვლით ამ ცნობებს დაუმატოთ შემდეგი: მარტვილის ტაძარი დიდის ხნიდამ იყო კათედრა სამეგრელოს მღვდელ-თავრების – ჭონდიდებლისა. ერთ დროს საჭიროდ დაინახეს სამეგრელოს ეპარქიის გაუქმება; ხსენებული „ეპარქია" მიაწერეს იმერეთის აპარქიას, ხოლო მარტვილი დარჩა ქორ-ეპისკოპოსის კათედრად. 1885 წელში გურია-სამეგრელოს ეპარქია ხელახლად გადაკეთდა დამოუკიდებელ ეპარქიად. ამ ეპარქიების უფრო საშუალო ადგილად იცვნეს ქ. ფოთი. რომელიც კიდეც დაინიშნა საკათედრო ადგილად გურია-სამეგრელოს ეპარქიის ეპისკოპოსისა, მარტვილი კი გადაკეთდა მონასტრად, რომლის წინამძღვრად ითვლება გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსი. სამეგრელოს ოთხ-კლასიანი სასულიერო სასწავლებელიც გადმოიტანეს მარტვილიდამ ახალ-სენაკში. დღეს მონასტრამდის შეიძლება მიმოსვლა მშვენიერი გზატკეცილით, რომელიც გაკეთებულია გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსის გრიგოლის მეცადინეობით. მათი მეუფების მეცადინეობით მარტვილის მონასტერთან აგებულ იქმნა მშვენიერი სადგომები მონასტრის მამებისათვის. აქვე აგებულ იქმნა მშვენიერი ქვის შენობა საეკლესიო-სამრევლო ორკლასიანი სამაგალითო სკოლისათვის. ყოვლად სამღვდელ გრიგოლის მეცადინეობით მონასტრის ძველი შენობები შეკეთებულ იქმნა. ასე რომ დღეს ხსენებული მონასტერი მათი მეუფების მეცადინეობით კაი შთაბეჭდილებას ახდენს მნახველზე.

გაზ. ივერია, №118, 1893

დაბა და სოფელი

მარტვილი (სამეგრელო).

მარტვილში იმყოფება სენაკის მაზრაში. ჩრდილოეთით ზედ აკრავს ლეჩხუმის მხარე და დასავლეთით ზუგდიდისი, სამ ვერსზედ ჩამოუდის ცხენის წყალი, საიდამაც იწყება იმერეთის ეპარქია. როგორც ჰხედავთ, მარტვილი თითქმის სამეგრელოს გულშია მოქცეული და კიდევაც ამიტომ ყოფილა აქ მუდამ საეპისკოპოზო კათედრა, კიდეც ამიტომ არ შორდებოდნენ ამ ადგილს ჭყონდიდლები. დღეს-კი, როდესაც სამეგრელოს გურია შემოუერთეს და გაკეთდა ესრედ-წოდებული გურია-სამეგრელოს ეპარქია, კათედრა გადაიტანეს ფოთში, რომელიც დაშორებულია, როგორც სამეგრელოზედ, ისე გურიაზედ (ისევ გურიაზედ უფრო ახლოა). სამღვდელოება ორთავე მხარისა დიდს გაჭირვებაშია ჩავარდნილი; მიდის მღვდელი, ცხენს სტოვებს რომელიმე რკინის გზის სადგურზედ, რჩება ფოთში რამდენიმე დღე და ორნაირს ხარჯს ვერ ამოსდის – ფოთში თავისას და სადგურზედ ცხენ-ჯორისას. ხელ-მოკლე სამღვდელო ხომ სულ მოკლებულია ფოთში ჩასვლას რაიმე საჭირო საქმისათვის. სუსულიერო სასწავლებლები ამა ეპარქიისა ერთი ოზურგეთშია და მეორე ახალ-სენაკში; ერთ-ერთი სასწავლებელი რომ მაინც იყოს ფოთში, მაშინ კიდევ კათედრას არა უშავდა რა: მოსწავლეებიდამ ხოროს შეადგენდნენ ქართულ-რუსულ მგალობელთა და ეკლესიაში ხალხი დასტკბებოდა სამშობლო ხმების მოსმენითა. დღეს-კი მწყობარს, ტკბილს და სასიამოვნო გალობას ფოთის ტაძარი მოკლებულია, რადგან მგალობლებს ვერ შოულობენ. ჰყავთ ლოტბარიც, მაგრამ რა ჰქნას ლოტბარმა, როდესაც ხმები არ არის, როდესაც ვერ ვისა შოულობენ. არა მარტო ამ მხრივ, სხვა მხრივაც უხერხულია ფოთი საკათედროდ, მაგრამ აქ მისი დასახელება მეტად მიმაჩნია, თითქმის ყველამ იცის და განმეორება რადა საჭიროა.

მარტვილში, სანამ ეპისკოპოზი იქ ბრძანდებოდა, წირვა-ლოცვაზედ საუცხოოდ გალობდნენ ორი გუნდი მგალობელთა – ქართველ-გურული დ. ჭალაგანიძის ლოტბარობით და სამაგალითო სამრევლო სკოლის მოწაფენი ქართულ-რუსულად ბ-ნ გეგეჭკორის ლოტბარობითა. სამრევლო სკოლაში რუსულ გალობას ასწავლის ბ-ნი გ-რი და ქართულ-გურულს გაბრიელ ბერი გურული. საუცხოო იყო ქართული გალობა დ. ჭალაგანიძის ლოტბარობით, რომელსაც ისეთივე სახელი აქვს გალობაში აქ, როგორც ბ-ნ ა. დუმბაძეს გურიაში. ჩვენ ვიცით, რომ ანტონ დუმბაძე

მარტვილის თავდაპირველი ტაძრის აშენების ზუსტი თარიღი წყაროებით არ დგინდება. მიჩნეული იყო (ვახუშტი ბატონიშვილი და სხვ.), რომ მარტვილის ტაძარი გიორგი II-ის (912-957) დროს აშენდა. ეს დათარიღება ექვთ. თაყაიშვილმა შეცდომად მიიჩნია, რომელი მეათე საუკუნეში აგებულად მხოლოდ დასავლეთის შუა ეკვდერს თვლიდა და არა თვით ეკლესიას. მისივე აღნიშვნით, მარტვილის ეკლესიის თავდაპირველი გეგმა სრულიად ისეთი იყო, როგორც ჯვრის ეკლესიისა მცხეთის მახლობლად, ატენის სიონისა და ძველი შუამთისა კახეთში. მისივე თქმით, ამ გეგმის ეკლესიები ეკუთვნიან VII-VIII საუკუნეებს. ხოლო მეათე საუკუნის ეკლესიები,

---

სულითა და გულით ავრცელებს ყველგან გურულ გალობას, სურს, არ დაეცეს, არ დაეკარგოს ქართველებს ეს მშვენიერი სამშობლო ხმები და ამიტომაც იგი არა ვითარს ღონეს არ ზოგავს, რომ გაავრცელოს. ასევე იქცევა სამეგრელოში ბ-ნი დ. ჭალაგანიძე; ამისი გალობაც იგივე გურულია შეუცვლელად; რავდენჯერმე ყოფილა ესეც მიწვეული ჩვენ გალობის მცოდნე ქართველებთან გალობის ნოტებზედ გადასაღებად. როგორც დუმბაძე, ისე ჭალაგანიძე ერის კაცნი არიან. რასაკვირველია, ღმერთმანი, რომ უკეთესნი მცოდნენი გალობისა, უკეთესნი გამავრცელებელნი გალობისა, უკეთესნი გამავრცელებელნი დღეს გალობისა გურია-სამეგრელოში ერის კაცნი არიან. რასაკვირველია, სამღვდელოთა შორისაც მოიპოვებიან კარგნი მგალობელნი, მაგრამ რომ ყველა საგალობელი იცოდნენ ისე ზედ მიწევნით და სავსებით, როგორც დუმბაძემ, ან ჭალაგანიძემ, ასეთი სამღვდელო არ მოიძებნება.

გაზ. ცნობის ფურცელი, №581, 1898

მარტვილი (სამეგრელო). ყოვლად-უსამღვდელოესის ჩამობრძანება. ყოვლად-სამღვდელო ალექსანდრე მარტვილს მობრძანდა 27 წარსულ ივნისს. ადგილობრივს დღესასწაულხე 29 ივნისს მარტვილის მონასტერში წირვა იქნება. წირვის შემდეგ ხალხს უქადაგა. მიუხედავად ავდრისა ხალხი მრავალი შეიკრიბა, რადგან გაეგოთ, რომ მისი მეუფება ბრძანდებოდა ამ დღეს მწიველი. ხალხის სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა, რადგან დიდი ხნიდან აქ არსებული ჩვეულება – პეტრე-პავლობა დღეს მღვდელ-მთავრის მიერ წირვის გადახდა – წლეულსაც არ მოაკლდათ.

ყოვლად-სამღვდელო ალექსანდრე ამ ზაფხულს, საქმეების რიგზე მოსაყვანად, აქ თვისს საწინამძღვრო მარტვილის მონასტერში დაჰყოფს.

მარტვილელი

გაზ. ცნობის ფურცელი, №636, 1898

აქაური დეპუტატთა დაუდევრობა იქიდანაც მტკიცდება, რომ აგვისტოს 2 ადგილობრივ ბლაღ. მღვ. არისტ. კალანდარიშვილს კრება ჰქონდა თავის მრევლისა და მოვაჭრების შესახებ, ეკკლესიის მნათისა და ახალ ეკკლესიის მზრუნველის ამორჩევაზე, მაგრამ კრებას მხოლოდ 221/2 კაცი დაესწრო.

ეს რამდენიმე წელიწადია, რაც ახალი ეკკლესიის აშენება დაუწყიათ. ერთი მესამედი კიდევ აუშენებიათ და დანარჩენი მიუტოვებიათ, რის გამოც, რაც გაკეთებულია ისიც ფუჭდება და გაგრძელების ფიქრი კი არ მოსდით.

ისევ ის

რომელსაც ჩვენამდე მოუღწევიათ, სულ სხვა გეგმისა არის და ამის ცხად მაგალითს გვაძლევს თარიღიანი ეკლესია კუმურდოსი, აშენებული აფხაზეთის მეფის ლეონ II დროს 964 წელს. რომ დასავლეთის მკვდარი მართლა აშენებულია მეათე საუკუნეში, ამას მოგვითხრობს წარწერა, რომელიც ბროსეს გადმოუწერია და რომელიც ეკლესიის განახლების დროს XIX საუკუნის მეორე ნახევარში გამქრალა: „[ღმერთო შემიწყალე] მეფე აფხაზთა [და ქართველთა ორთავე შინა] ცხოვრებათა აღაშენა წმინდა ესე სანათლა[ვი]... დასაბამითგან წელთა ქ(?) ქორონიკონსა სივ“ ქორონიკონი ამ წარწერისა ექვთ. თაყაიშვილისავე აღნიშვნით, უდრის 996 წელს. ამ დროის აფხაზეთის მეფე იყო ბაგრატ III (978-1014). ცხადია, რომ ეს წარწერა მოგვითხრობს დასავლეთის ეკვდერის აშენებაზე და ამ ეკვდერს, მისივე აზრით, სანათლავს ეძახდნენ, ალბათ იმიტომ, რომ ეს ადგილი ბავშვების სანათლავად ყოფილა დანიშნული[1].

ექვთ. თაყაიშვილისავე ცნობით, დასავლეთის მხარეს, შუა ეკვდრის ფანჯრის ზემოთ დიუბუას დროს ყოფილა და მასვე გადმოუღია შემდეგი წარწერა: „ქრისტე შეიწყალე მიქელ კალატოზი ოპიზარი“. მისივე თქმით, ეს ოსტატი, როგორც წარწერიდან ჩანს ყოფილა ოპიზიდან[2], თუმცა სხვა ცნობები ჩვენ მისი ვინაობის დასადგენად არ გვაქვს.

თ. ჟორდანიას უპოვია წარწერა თაბახიან ქაღალდზე „908 წ. წელსა :შ©: აბხაზთა მეფემან გიორგიმ მარტვილი აღაშენა“, რომელზედაც მე-XIX საუკუნის ხელით აღნუსხული ყოფილა შენიშვნები, უმეტესად დადიანების შესახებ. თ. ჟორდანიას მოჰყავს ასევე ექვთ. თაყაიშვილის მიერ ზემოთ მოყვანილი ბროსეს მიერ ფიქსირებული წარწერა და აღნიშნავს, რომ გიორგის მიერ მარტვილის აღშენება მოხსენიებულია შემდგომად მისის ძმის ბაგრატის საკედილისა, ე. ი. ვახუშტით +922 წ., მაგრამ ჩვენის ქრონიკით ბაგრატი მეფედ დაჯდა 931 წ.: „და იყო მათ შორის ბრძოლა ფიცხელი“, „და იშლებოდა ქვეყანა აფხაზეთისა ჟამ რაოდენმე“, რადგან ძმები ერთმანეთს არ უთმობენ მეფობას: გიორგის მხარე სჭერიათ, ალბათ, სამეგრელო-იმერეთს, ხოლო ბაგრატისა – გურია-აფხაზეთს და ბაგრატის სიმამრს გურგენ ერისთავთ-ერისთავს, რომელიც მოკვდა 941 წ. 14 თებერვალს, და რასაკვირველია, ამ 941 წ. შემდეგ გიორგი სძლევდა ბაგრატს, და მარტვილის ტაძრის შენობას ხელახლა ხელს მიჰყოფდა. მართლაც, გიორგი მეფედ მოხსენიებულია 947 წელს იერუსალიმელ მეტაფრასში“[3]. მაშასადამე თ. ჟორდანია, ტაძრის პირველ მაშენებლად მაინც გიორგი II-ეს მიიჩნევდა.

მარტვილის ეკლესიის ბერძნულ წარწერაში ვკითხულობთ: „კონსტანტინე მეფემ ააგო ჭყონდიდი“. როგორც აღნიშნულია, კონსტანტინე იყო გიორგი II აფხაზთა მეფის მამა, რომელიც აფხაზეთში გიორგი II-მდე მეფობდა. გამომდინარე აქედან, ზოგიერთი ავტორი ასკვნის, რომ ჭყონდიდლის ტაძრის მშენებლობა, თუ აღდგენა, კონსტანტინე აფხაზთა მეფის დროს დაწყებულა, ხოლო გიორგი II-ს უკვე დაუსრულებია ეს პროცესი და საეპისკოპოსოდაც უქცევია[4].

ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით, „ბანძის ზეით და ცხენისწყლის დასავლით, და მისი მჭურეტი, მაღალს ადგილზედ, არს ჭყონდიდი, ეკლესია გუმბათიანი, დიდშენი

---

[1] ექვთ. თაყაიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 4.
[2] ექვთ. თაყაიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 5.
[3] თ. ჟორდანია, ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორისა, თბ., 1892, წ. I, გვ. 85.
[4] შ. გლოველი, აფხაზთა სამეფო (დისერტაცია, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად), თბ., 2004, გვ. 111.

მარტვირისა. ესე აღაშენა ß-“ (8 – დ. ჭ.). მეფემან აფხაზთამან გიორგიმ და შეამკო ყოვლითა შემკობილებითა საკათალიკოსათა. დაფლული არს მეფე ბაგრატ. ამანვე დასუა მუნ ეპისკოპოზი და აწცა არს მწყემსი უნაგირის აღმოსავლეთისა ცხენის წყლამდე“[1].

გ. ჩუბინაშვილის აღნიშვნით, მარტვილის ეკლესია თავდაპირველად ჯვრის ტიპს განეკუთვნებოდა და მისი აგების თარიღად VII საუკუნის I ნახევარს მიიჩნევს[2]. მისივე თქმით, მარტვილის ტაძარი შეუკეთებია აფხაზთა მეფეს გიორგი მეორეს (922-957); ამოუყვანიათ ახალი გუმბათის ყელი და დაუმატეს გარეთა კედლები, რითაც, ავტორისავე აზრით, ტაძარს დაუკარგავს ჯვრის ფორმა[3].

გ. ელიავა იზიარებს ექვთ. თაყაიშვილის და გ. ჩუბინაშვილის მოსაზრებას და მარტვილის ტაძარს VI-VII საუკუნეებში აგებულად თვლის[4].

საკითხთან მიმართებაში მართებულად მიგვაჩნია ექვთ. თაყაიშვილის და გ. ჩუბინაშვილის მოსაზრება აქ თავდაპირველი ტაძრის VI-VII საუკუნეებში აშენების შესახებ და უნდა ვიფიქროთ, რომ აფხაზთა მეფეებს კონსტანტინეს და შემდგომ გიორგი II-ეს სწორედ დიდი ღვაწლი მიუძღვრით ტაძრის აღდგენა-განახლებაში, რადგან სწორედ IX-X საუკუნეებში მარტვილის ტაძარი მნიშვნელოვანი საეკლესიო კერა ხდება დასავლეთ საქართველოში, რაც საეკლესიო ცენტრების მონაცვლეობაშიც გამოიხატა. ამავე დროს, მარტვილის ტაძრის დასავლეთის ფასადის ტამპანზე, მოთავსებული მოზაიკა თარიღდება VII საუკუნის პირველი ნახევრით[5].

მარტვილის როგორც ტაძრის და ქრისტიანული ცენტრის უძველესობას ამტკიცებს საუკუნეების განმავლობაში შემონახული გადმოცემა ანდრია პირველწოდებულის მიერ აქ წარმართული მუხის მოჭრის და ქრისტიანობის ქადაგებაზე, კერძოდ, „იქ სადაც დღეს დგას ქრისტიანული ტაძარი, ოდესღაც იდგა წარმართული, თუჯისგან დამზადებული „კაპუნია“-ს კერპი, რომელიც გამოსახავდა პირღია ადამიანს. ქურუმები ამ პირში ასაფლავებდნენ ცოცხალ ბავშვებს, რომლებსაც ღმერთს სწირავდნენ მსხვერპლად. კერპი მიბმული იყო მუხის ხეზე და „კაპუნიას“ მადიდებელი ქურუმი მუხისა იწოდებოდა „ჭყონდარი“, როგორც ეხლაც იწოდება სამეგრელოს ქრისტიანი ეპისკოპოსი (ქართულად ჭყონდიდელი). ხალხური გადმოცემით, რომელიც შემორჩენილია პ. ა. ნადეჟდიანის მიერ გამოვლენილ ქართულ ხელნაწერებში, მოციქულებსა და ღვთისშობელს შორის საქადაგებლად იბერია წილად ხვდა ღვთისმშობელს; მაგრამ ის იქ არ გაემგზავრა და თავის ნაცვლად გაგზავნა ანდრია პირველწოდებული, რომელსაც გაჰყვა სვიმონ კანანელიც. ანდრია და სიმონი მივიდნენ მარტვილში, გაანადგურეს „კაპუნიას“ კერპი, მოჭრეს ის მუხა, რომელზეც ის იყო მიბმული და მის ადგილას აღმართეს ჯვარი; მაგრამ გავიდა გარკვეული დრო და იქ თავისით აღიმართა ტაძარი. გადმოგვცემენ, რომ როდესაც ანდრია პირველწოდებული ბანძაში იმყოფებოდა მას

---

[1] ქართლის ცხოვრება, ტ. IV, გვ. 776.

[2] Г. Н. Чубинашвили, Памятники типа джвари, Исследование по истории грузинского искусства, Тб. 1948, გვ. 58.

[3] Г. Н. Чубинашвили, დასახ. ნაშრომი, 59.

[4] გ. ელიავა, ჭყონდიდი-მარტვილი, თბ., 1962, გვ. 23. იხ. გ. ჩუბინიშვილი, ქართული ხელოვნების ისტორია, ტ. I, გვ. 139.

[5] კ. ბაკურაძე, მარტვილის მოზაიკა, ძეგლის მეგობარი, თბ., 1987, №76, გვ. 47.

მოპარეს მარცხენა ფეხის ქალამანი. სხვა გადმოცემით ეს სანდალი მოუპარია ანდრია პირველწოდებულისთვის დასვენების დროს ერთ-ერთ მეგრელ აზნაურს“[1]

ექვთ. თაყაიშვილმა საკმაოდ დეტალურად აღწერა მარტვილის სამონასტრო კომპლექსის ნაგებობანი, მისი თქმით: „შუა ეკლესიას დასავლეთით მიშენებული აქვს მარცხნივ ევკდერი მიძინებისა, მარჯვნივ მთავარანგელოზისა, უკანასკნელი უფრო გვიანია და უშნო, ხოლო ერთიცა და მეორეც სასაფლაოა დადიანებისა, მარჯვენა ეკვდერის დასავლეთის კარზე მხედრულით აწერია: „წელსა ჩყლ©-ს ივნისის კდ-სა ეკვდრისა ამის წინამძღვარი დოლაბერიძე, გერასიმე ვედრებით [გთხო]ვთ აღმომკითხველთა ამისთა შენდობას გვიბრძანებდეთ. თქვენ შენდობილ იყვნენით ამინ. ეკვდერი განვაახლე და სიგელსა[გან] დაუხურაობისაგან ჩამონგრეული შევკაზმე და დავხურე ეგ“.

„გორაკის ზემო ნაწილი მარტვილისა, სადაც შენობებია ვრცელი არ არის. შუაზე დგას თავი ეკლესია. სამხრეთ-დასავლეთისა ეკლესიისა აღმართულია ოხკუთხედი მაღალი სვეტი, რომელზედაც მესვეტის საცხოვრებელი ეკლესია – ოთახია, აღმოსავლეთის ნაწილზე ამ ეკლესიისა მოჩანს ქანდაკება წელზევით სვიმონ მესვეტისა და საზოგადოდ ეს ნაწილი და მხარე სვეტისა შემკობილია ჩუქურთმებით და გრეხილებით, მაგრამ ეტყობა ეს შედარებით მერმეა მიმატებული რაღაც სხვა შენობის ნაშთებიდან. დიბუას დროს აქ კიდევ ცხოვრობდა მესვეტე და დაცული იყო კიბე, რომლის საშუალებითაც ხალხი ადიოდა და ჩამოდიოდა, რათა მიეღოთ ლოცვა-კურთხევა მესვეტისაგან. მურავიოვის დროს აქ იყო მესვეტე, იესე, რომელიც წინეთ განმარტოვებული ცხოვრობდა ტყეში და რომელიც მოვიდა იქ მესვეტე რომანოზის გარდაცვალების შემდეგ. ჩრდილოეთის მხრივ ეკლესიისა ფერდობზე პატარა თლილის ქვის სამ სართულიანი ეკლესია არის ჯვრის გეგმისა სრულიად შებურული სუროთი. სილამაზე ამ ეკლესიისა სწორედ მომხიბლავია და მარტო ამის სანახავად ღირს რომ კაცი გაემგზავროს მარტვილში. ამ ეკლესიას სახელსდებენ ჩიქოვანების ეკლესიით, კარების ჩარჩოებზე მხედრული წარწერაც მოჩანს. უბრალო შავის მელნით, მაგრამ ეხლა ჩარჩოები დამალულია შეკეთების გამო და მოჩანს ძლივს მხოლოდ შემდეგი სიტყვები: „თქვენისა ფარვისამან სახლთხუცესმან ჩიქოვანმა გიორგიმ საცხოვრებლად მრჩობელთა შინა ცხოვრებათა თვით და მეუღლისა ჩემისა...“ ამ ეკლესიაში, რომელიც ეხლა გაუქმებულია, ყოფილა ხის კანკელი ფიცარზე დახატული ხატებით. ზოგიერთი მათგანი აქვე აწყვია. ზედ წარწერები ხუცურად ასეთია: წ ჲ დიმიტრი, მარკოზ; წ ჲ გიორგი, წ ა ოქროპირი, იე ე ნათლისმცემელი, ი ჯ ქ ე, მირქმა, წ ა ფილიპე, წ ტყი დავით, ყ დ წ ა, წ ა ანდრია, წ ა ზაქარია, წ ა პ ე, წ ა თედორე, წ ა ი ნე მახარობელი“... წინათ კედლები ამ პატარა ეკლესიისა მოხატული ყოფილა ფრესკებით, მაგრამ ეხლა მხატვრობა ჩამოცვინული და ჩამორეცხილია. საკურთხევლის ცაში დახატული ყოფილა ღვთის მშობელი ანგელოზებით ორივეს მხრით, მაგრამ მოჩანს ეხლა მარტო ერთი ანგელოზი, სხვა სურათები გაფუჭებულია.

დასავლეთის მხრით საეპისკოპოსო სახლია გრიგოლ ეპისკოპოსის დადიანის დროს აშენებული და აგრეთვე მაღალი სამრეკლო სამ სართულიანი, ახლად აშენებული 1825 წელს ბესარიონ ჭყონდიდლის, კაცია დადიანის ძის, მიერ, რასაც ცხად ყოფს მხედრული წარწერა აღმოსავლეთის კედელზე:

[1] М. Машурко, Из области народной фантазии и быта, Преподователь Кутаисского гимназии, Сборник материалов по описанию местиостей и племен Кавказа, 1894, т. XVIII, გვ. 376-377.

1) წელსა ქ ესით ჩყკ:. აგვისტოს კ:.

2) ჴელმწიფობასა ყ დ უამაღლებულესისა და თთჳთ-მპყრობელესისა

3) ალექსანდრე პავლეს ძისა და მთავრობასა ღერანელ ლეინტელანდისა სხვითა და სხვითა ორ

4) დენ კავალერისა მქონესა ლეონ გრიგოლის ძის დადიანისა: აღშენდა სამრეკლო ესე ყ დ უსამღ

5) ვდელოესისა სრულიად სამენგრელოისა მწყემსთ-მთავრისა ჭყონდიდელ მიტროპოლიტისა და კავალე

6) როსნისა ბესარიონ კაცია დადიანის ძისა მიერ საფუძვლითგან დარღვეული. მონაგებისა თჳსისა წარგებითა: –

ქვემოთ მეორე ქვაზე:

1) ქ ე შეიწყალე ამისი გა

2) ლატოზი გიორგი ქა

3) რთველი ჯუბინაძე: -"[1]

ვ. ბერიძის აზრით, ქართველი აქ შესაძლოა ნიშნავდეს იმას, რომ გიორგი აღმოსავლეთ საქართველოდან იყო[2].

რაც შეეხება მარტვილის ტაძრის ჩრდილოეთით სამსართულიანი თლილი ქვისგან აშენებული „ჩიქვანების ეკლესიას" იქ ჩიქვანთა სათავადოს საგვარეულო სასაფლაო იყო მოწყობილი XVIII-XIX საუკუნეებში[3].

მარტვილის სვეტი არქიტექტურულად შეისწავლა ლ. რჩეულიშვილმა[4]. ხალხურ გადმოცემებზე დაყრდნობით, ავტორი აღნიშნავს, რომ მარტვილის სვეტში ცხოვრობდა მემარტვილე იგი არც თვითონ ეკარებოდა ხალხს და მასთანაც არავინ ადიოდა, „საჭმელს კალათით აწვდიდნენო". კოშკიდან დღეს მხოლოდ ჩრდილოეთის ნახევარია შემორჩენილი. 1922 წლის სექტემბერში მთელ სიმაღლეზე ნახევრად გაპობილი შენობის ნახევარი გადავარდნილა ფერდზე და დაკარგულა. მარტვილის კოშკს, ისევე, როგორც უბისისას ოთხკუთხა ფორმა აქვს, რომელიც თლილი ქვით არის ნაგები და ორქანობიანი სახურავით ყოფილა გადახურული[5]. შენობის თარიღის დადგენისათვის გვეხმარება 1031 წლის ცნობა, რომლიდანაც ჩანს, რომ იგი ამ დროს უკვე აგებული არის და მასში უკვე მოღვაწეობს იოანე მესვეტე. დ. ბაქრაძემ ერთ ხელნაწერში აღმოაჩინა მინაწერი: „მე გლახამან იოანე მესვეტემან, აღვწერე წამება ესე წმიდათა მონამეთაჲ... დაიწერა სუეტსა ზედა ჭყონდიდისასა, ინდიქტიონსა: დ: ქორონიკონსა სნა, ხელითა იოვანე მესუეტისათა". ლ. რჩეულიშვილი სვეტის აგების თარიღად არქიტექტურული ფორმების მიხედვით, მე-10 საუკუნის მეორე ნახევარს მიიჩნევს[6].

ცნობილია, რომ დასავლეთ საქართველოს საეკლესიო კათედრათა შორის გამორჩეული ადგილი და ალბათ უპირველესიც ფაზისის სამიტროპოლიტოს ეკავა და აქ ისე, როგორც დასავლეთ საქართველოში არსებულ სხვა საეპისკოპოსოებში ღვთისმსახურება ბერძნულად ტარდებოდა და შესაბამისად ბერძნული გავლენის ქვეშ

---

[1] ექვთ. თაყაიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 6-7

[2] ვ. ბერიძე, ძველი ქართველი ოსტატები, თბ., 1967, გვ. 237-238.

[3] ო. სოსელია, ნარკვევები ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს ისტორიიდან (სათავადოები), I, თბ., 1973, გვ. 318.

[4] ლ. რჩეულიშვილი, ქართული ხელოვნების ისტორიის ნარკვევები, გვ. 182-187.

[5] ლ. რჩეულიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 182-183.

[6] ლ. რჩეულიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ.187-188.

იმყოფებოდნენ. შემდგომ, როდესაც მიმდინარეობს ამ კათედრების „გაქართულება“, IX-X საუკუნეების მიჯნაზე უქმდება ძველი საეპისკოპოსო კათედები (ცაიშის გარდა) და არსდება „ქართული“ კათედრები. როგორც ვარაუდობენ ძველი ბერძნულყოფილი კათედრებიდან ფაზისი უნდა გაუქმებულიყო 922-957 წლებში და დაახლოებით ამ პერიოდში არსდება ჭყონდიდის საეპისკოპოსო[1].

ჭყონდიდ-მარტვილში საეპისკოპოსოს დაარსება მატიანე ქართლისაში დაცული ცნობის თანახმად, მიეწერება გიორგი II „აფხაზთა მეფეს“ (922-957), კერძოდ „განგნ და განწყუნა ყოველნი საქმენი მამულისა და სამეფოსა მისსა: აღშენა საყდარი ჭყონდიდისა, შექმნა საეპისკოპოსოდ და განაშუენა იგი ნაწილთა სიმრავლითა სიწმინდითა მიარტჯლთათა“ [2]. თუმცა ჭყონდიდში ტაძრის აშენების თარიღთან, ასევე ვფიქრობთ, საეპისკოპოსოს დაარსების თარიღთან დაკავშირებით, ქართლის ცხოვრების ეს მონაკვეთი უნდა ცდებოდეს.

უფრო ბუნდოვანია ცნობები იმის შესახებ თუ სად მოხდა კათედრის გადატანა ფაზისიდან – მარტვილში თუ ფაზისიდან ქუთაისში.

პ. ინგოროყვა მიიჩნევს, რომ „აფხაზთა მეფის გიორგის II-ის დროს (922-957 წწ.) გაუქმდა ზღვის სანაპირო ზონაში ფაზისის კათედრა და იგი გადატანილ იქნა შიდა მხარეში, ახალ ცენტრში – ჭყონდიდში[3].

მიაჩნიათ, რომ ფაზისის მიტოპოლიის გაუქმების შემდეგ ფაზისის სამიტროპოლიტო კათედრა და პალიასტომის ხატი ქუთაისში გამოიტანეს (თ. ბერაძე); ამავე აზრს იზიარებს პ. გაბისონია[4]. ბ. კუდავა იზიარებს პ. ინგოროყვას მოსაზრებას და აღნიშნავს, აღნიშნავს, რომ „პალიასტომის ხატი არ ყოფილა ქუთაისის კათედრის მთელი სიწმინდე. იგი ეკიდა აღმოსავლეთის კარის მარცხენა მხარეს, ვლაქერნის ღვთისმშობლის ხატის შემდგომ. ძირითადი ხატი იქ სხვაა (ისიც ღვთისმშობლისა), რომელიც საგანგებო ალაგას არის დასვენებული. ვტორის აღნიშვნით ამ ხატის ქუთაისში არსებობა არ შეიძლება იყოს მყარი არგუმენტი აქ ფაზისის კათედრის გადმოტანის მოსაზრების სასარგებლოდ“ [5]. მისივე აზრით, შესაძლოა ეს უკავშირდებოდეს ფაზისის დაცემის ეპოქას (ფაზისის როგორც პოლიტიკურ, ეკონომიკურ, საეკლესიო ცენტრის მოშლას, დაცემას ან სულადაც მის დატბორვას. ქრონოლოგიურ ზღვრად შეიძლება მივიჩნიოთ X ს. (IX საუკუნეში ფაზისი ჯერ კიდევ ეგრისის საეკლესიო ცენტრია). ავტორისავე აზრით, ხატი, ქუთაისის საკათედრო ტაძარში უნდა მოხვედრილიყო X-XIII საუკუნეებში, უფრო მოსალოდნელია, რომ XI საუკუნეში[6]. მისივე თქმით, ორი აზრი არ არსებობს, რომ ფაზისელი პატივით პირველი მღვდელმთავარი იყო ბიზანტიური პერიოდის დასავლეთ საქართველოს ეკლესიაში. მას ემორჩილებობა 4 საეპისკოპოსო კათედრა. მომდევნო საუკუნეების დასავლეთ საქართველოში კი აფხაზეთის საკათედროში შემავალი კათედრებიდან ყველაზე დაწინაურებული და პატივით აღმატებული ჩანს

---

[1] ბ. კუდავა, დასავლეთ საქართველოს ეკლესია (IX-XI სს.), დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბ., 2002, გვ. 128.

[2] „მატიანე ქართლისაი“, ქართლის ცხოვრება, ტ. I, თბ., 1955, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, გვ. 265.

[3] პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, თბ., 1954, გვ. 249.

[4] პ. გაბისონია, ქუთაისის საეპისკოპოსოს ისტორია (დისერტაცია, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად), თბ., 2006, გვ. 23.

[5] ბ. კუდავა, დასახ. ნაშრომი, გვ. 94.

[6] ბ. კუდავა, დასახ. ნაშრომი, გვ. 96.

ჭყონდიდის კათედრა. ერთიანი ქართული მონარქიის არსებობის პერიოდში კი ჭყონდიდელი პატივის მხრივ არამცთუ დასავლეთ საქართველოს, არამედ მთელი საქართველოს მასშტაბით უპირველესი კათედრაა. ჭყონდიდი პირველი კათედრაა, რომელსაც აარსებენ „აფხაზთა მეფეები“ დასავლეთ საქართველოში, მეტიც, იგი საერთოდ პირველი „ქართული“ საეპისკოპოსოა დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე[1].

ბ. კუდავა ხაზს უსვამს იმ გარემოებასაც, რომ XI საუკუნის შუა ხანებში ბაგრატ IV ჭყონდიდის მღვდელმთავრებს სთავაზობს მთელი ქართული ეკლესიის დიდი ავტორიტეტისა და გავლენის მქონე პირს – გიორგი მთაწმინდელს. არც ის უნდა იყოს შემთხვევითი, რომ ბაგრატ IV-ს სიცოცხლეშივე ამოურჩევია ჭყონდიდი საძვალედ, და არც ის, რომ დავით აღმაშენებელმა ცნობილი რეფორმის გატარების (ჭყონდიდელ-მწიგნობარუხუცესის სახელოს დაარსებისას) არჩევანი ჭყონდიდის კათედრაზე შეაჩერა. ავტორისავე დასკვნით, ქუთაისის კათედრის დაარსებამდე, მინიმუმ ნახევარი საუკუნის მანძილზე მაინც (922/957 – დაახ. 1003 წწ.) უპირველესი კათედრა ჭყონდიდი იქნებოდა. ქუთაისში საეპისკოპოსოს დაარსების შემდეგ კი ჭყონდიდის უპირატესობა არ შეცვლილა [2] . თავდაპირველად „უპირველესი“ საყდარი ფაზისის სამიტროპოლიტო კათედრა იყო (რომელიც საეჭვოა, რომ 1003 წლამდე არსებულიყო), ფაზისის შემდეგ კი, როგორც ჩანს ეს ფუნქცია ჭყონდიდმა აიღო[3]. ფაზისის მძლავრი კათედრის მემკვიდრედ სწორედ ჭყონდიდის ძლიერი კათედრა უნდა ყოფილიყო, მისი აზრით, ჭყონდიდლის საეპისკოპოსოს დაარსება „მოცვლის“ პოლიტიკის დასაწყისია[4].

საკითხთან დაკავშირებით ზემოთ წარმოდგენილი მსჯელობით შემოვიფარგლებით, რამდენადაც სხვა დამატებითი არგუმენტების მოყვანა სათანადო წყაროების უქონლობის გამო ჯერჯერობით შეუძლებელია და რაც არის, ისინი სამეცნიერო ლიტერატურაში უკვე მიმოხილულია. ხოლო რაც შეეხება საკითხთან დაკავშირებით ბ. კუდავას მოსაზრებებს, რომელიც ჩვენ ასე ვრცლად ზემოთ დავიმოწმეთ, საკითხთან დაკავშირებით ყველაზე უფრო არგუმენტირებულად მიგვაჩნია.

როგორც ცნობილია, საქართველოში არსებობდა მწიგნობართუხუცესის თანამდებობა; ამ ინსტიტუტის არსი, როგორც აღნიშნულია, არსებითად განსხვავებულია ფეოდალურ საქართველოში არსებულ ყველა სხვა სადარბაზისკარო „ჭელისაგან“. ყველა სხვა „ჭელი“ მიწამფლობელობასთან იყო დაკავშირებული და ამდენად ორ ბუნებას ამჟღავნებდა. ერთი მხრივ, ხელისუფალი დამოკიდებელი იყო მეფის წყალობისაგან და, ამიტომ მეფის [5] ძლიერებისათვის უნდა ებრძოლა, მეორე მხრივ დამოუკიდებელი მემამულე იყო, რაც აიძულებდა საკუთარ თავსა და სამფლობელოზე მეტი ეზრუნა, მეფის გაძლიერებისათვის კი მაინც არ შეეწყო ხელი. ფეოდალური საქართველოს ყველა „ჭელის“ (გარდა მწიგნობათუხუცესისა) საერთოდ დამახასიათებელი თვისება იყო, რომ ყოველთვის სამემკვიდრეოდ გადაქცევის მიდრეკილებას იჩენდა. არც ერთ ამ თვისებათაგანი არ ჰქონდა მწიგნობართუხუცესს. იგი მონაზონი იყო და ამიტომ, ბუნებრივია, მიწისმფლობელობისაგან შორს იდგა. ასევე ვერ გამოიჩენდა თანამდებობის სამემკვიდრეოდ გადაქცევის მიდრეკილებას (მონაზონს არ

[1] ბ. კუდავა, დასახ. ნაშრომი, გვ. 97.
[2] ბ. კუდავა, დასახ. ნაშრომი, გვ. 99.
[3] ბ. კუდავა, დასახ. ნაშრომი, გვ. 101.
[4] ბ. კუდავა, დასახ. ნაშრომი, გვ. 107.
[5] რ. მეტრეველი, დავით აღმაშენებელი, თბ., 1998, გვ. 133.

შეიძლებოდა ჰქონოდა ქალაქი და სოფელი საკუთრებად და სახარჯოდ მას არც მემკვიდრეები ჰყავდა). ამდენად მწიგნობართუხუცესი მთლიანად მეფის ცენტრალურ ხელისუფლებაზე იყო დამოკიდებული და, ბუნებრივია, მწიგნობართუხუცესი ასეთი ხელისუფლების გაძლიერების მომხრე იყო[1].

მწიგნობართუხუცესის თანამდებობას შემდგომში დავით აღმაშენებელმა, საყოველთაოდ ცნობილი რეფორმებით ჭყონდიდის თანამდებობა გაუერთიანა, როგორც აღნიშნულია, არა უადრეს 1103 და არა უგვიანეს 1110 წლებისა. დავით აღმაშენებლის მიერ აღწერილი დიდი (რუის ურბნისის) საეკლესიო კრების „ძეგლისწერაში“ გიორგი მხოლოდ მწიგნობართუხუცესადაა მოხსენიებული, ხოლო 1110 წელს იგი მწიგნობართუხუცესად და ჭყონდიდლადაა წარმოდგენილი. 1104-05 წლებში უნდა მომხდარიყო (რ. მეტრეველი) მყონდიდელ-მწიგნობართუხუცესის ინსტიტუტის გაერთიანება[2].

დ. ბაქრაძე წერს, რომ ჭყონდიდელს „занимал весьма почетный пост: при при коровании царя карталинскими епископ и чкондидский епископ садились выше всех, в креслах, на подушке, первая в права, а вторая влева от каталикоса, чкондидели считался главою всех занимавшихся письмоводством и вместе с тем был покрователем и защитником вдовь и сирот, страдающих и угнетенных. Он докладывал о них царю. Он первый передовал его приказания светским и духовным властям. Во время движения войск против неприятеля он шел впереди с крестов в руках и, благословив их пред начатием боя, уходил назад и брал под свою комманду арриергард»[3].

ჩვენთვის ცნობილია შემდეგი მწიგნობართუხუცესები და ჭყონდიდლები (თანამდებობის გარეთიანებამდე):

მწიგნობათუხუცესნი:	ჭყონდიდელნი:
ევთვიმე – XI საუკუნე პეტრე – XI საუკუნის მესამე მეოთხედი გიორგი – XII საუკუნის დამდეგი	სტეფანე სანანოდს ძე – X საუკუნე (ეპისკოპოსი) უცნობი – გიორგის მოწინავე 1054 წლიდან მთავარეპისკოპოსი იოანე – მთავარეპისკოპოსი – 1060-იანი წლებიდან

ხოლო მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდლები არიან:

გიორგი – 1104/5 წლიდან 1118 წლამდე

სჯიმეონ – 1118 წლიდან 1141 წლამდე

. . . . . .

[1] რ. მეტრეველი, დასახ. ნაშრომი, გვ. 134.
[2] რ. მეტრეველი, დასახ. ნაშრომი, გვ. 135.
[3] Дм. Бакрадзе, Кавказ в древных памятниках христианства, Записка общества любителей кавказской археологии, кн. I, под. ред. АД. Берже и ДМ. Бакрадзе, Тиф. 1875, გვ. 110.

იოანე – 1161 წლიდან 1178 წლამდე

ანტონი – 1178-1184 წლამდე

მიქაელი მირიანის ძე – 1184-1190 წლამდე

ანტონი გნოლის..... ძე – 1190-1203/4 წლებამდე

თეოდორე – 1205 წლიდან -...

. . . . .

არსენი – 1248 (?) წლიდან – 1265 წლამდე

. . . . .

გიორგი – XIV საუკუნის მეორე ნახევარში[1]

ს. კაკაბაძის აღნიშვნით, გიორგი ჭყონდიდელი 1370-1390 წლებში მცხოვრები პირია[2]. მისივე თქმით, „აფხაზეთის კათალიკოზი დანიელი მოხსენიებულია ერუსალიმის ჯვარის მონასტრის აღაპებში 18 აგვისტოს; საიდანაც სჩანს, რომ დანიელ კათალიკოზის შვილი გიორგი ჭყონდიდელი ჯვარის მონასტერში ყოფილა აქიმანდრიტის იოსების დროს და კერძოდ მაშინ, როდესაც ჯავახისშვილის სარიჯნისა და მისის მეუღლის თამარის მოსახსენებლად ათასი დრამა გადაუცია მონასტრისათვის მათ ასულს ხვარაშან ყოფილს ფოტინეს. არქიმანდრიტი იოსებ იხსენიება კიდევ ერთ ისეთს მოსახსენებელში, რომელიც საშუალებას მოგვცემს მისი ცხოვრების დრო უფრო დაახლოვებით დავათარიღოთ, სახელდობრ 14 სექტემბერს: „ჯ რის ამაღლებასა. დღესა. წირვა და ჲდაპი. საუკუნო მეფეთ. მეფისა. გ ისი: შ ნს ღ ნ:. თუ, ორნიცა მოლაზონნი. იყვნეს: არ დააკლდეს: არქიმანდრიტმ ნ. მმ ნ. იოსებ და მოძღუარმ ნ და სრულად კრებულმ ნ: გაუჩ ნეთ:“. ამ გვარად იოსებ არქიმადრიტად ყოფილა ჯვარის მონასტერში მაშინაც, როდესაც ერთი გიორგი მეფე უკვე გარდაცვლილი ყოფილა. ჯავახისშვილი სარიჯნა, რომლის ასული იოსებ არქიმანდრიტის დროს ჯვარის მონასტერს მისულა, მოხსენიებულია ერთს 1344 წლის საბუთში, რომელიც ბოძებული უნდა იყოს გიორგი ბრწყინვალის შვილის დავით მეფის მიერ: „... გიბოძები ჯავახიშვილს გამრეკელსა შვილთა სარიჯნა... კომნაკომისძე და ბორტყოლა შენსა ბიძას ძის შალვასა შვილს ჰქონდესა მისისა საქმისა შეკაზმამდის“...“[3].

მას შემდეგ რაც აღმაშენებელმა გააერთიანა სრულიად საქართველო, ჭყონდიდელ მწიგნობართუხუცესს სვიმონს (1118-1120/30 წლამდე), ბედიელ-ალავერდელი ეპისკოპოსის პატივი მიუგო[4].

მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელის თანამდებობას თამარის მეფობის ბოლო წლებში მეტოქეობა გაუწია ათაბაგობის ინსტიტუტმა; როგორც შ. მესხია წერს, „ათაბაგობის

---

[1] რ. მეტრეველი, დავით აღმაშენებელი, თბ., 1990, გვ. 139, მისივე, მეფე თამარი, თბ., 1991, გვ. 271.
[2] ს. კაკაბაძე, წვრილი შტუდიები საქართველოს ისტორიის საკითხების შესახებ, ტფილისი, 1914, გვ. 6.
[3] ს. კაკაბაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 3-5.
[4] რ. მეტრეველი, დავით აღმაშენებელი, გვ. 143-144.

ინსტიტუტმა არა მარტო პირველობა წაართვა XII საუკუნის საქართველოს ერთ-ერთ ვეზირს, არამედ გააქრო კიდეც მისი ხელისუფლება[1].

ნ. ბერძენიშვილის გამოკვლევით, ბასილი ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესის შემდეგ წყაროებში არც ერთი მწიგნობართუხუცესი სახელდობრ არ იხსენიება[2], რომელიც 1265 წელს სიკვდილით დაისაჯა. ავტორისათვე აზრით, მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდლის ხელისუფლება ამის შემდეგაც არსებობდა და ჯვრის მონასტერში აღაპებში მოხსენიებული „ჭყონდიდელი გიორგი“, XIV ს-ის მეორე ნახევრის მწიგნობართუხუცესი-ჭყონდიდელი იყო. ამ თანამდებობის საბოლოო დაშლა-დანაწევრების და გადაგვარების დროდ, ნ. ბერძენიშვილი, XV საუკუნეს – საქართველოს ერთიანი სამეფოს საბოლოოდ დაყოფას მიიჩნევს[3]. ავტორისავე აღნიშვნით, ჭყონდიდელთა ხელისუფლება XV საუკუნეშიც და შემდგომაც არსებობდა, მაგრამ იმდროინდელი ჭყონდიდლები მხოლოდ ჭყონდიდის ეპისკოპოსები იყვნენ და მწიგნობართუხუცესობასთან საერთო არაფერი ჰქონდათ[4]. თუმცა, როგორც შ. მესხია აღნიშნავს, ჯვრის მონასტრის აღაპების გიორგი ჭყონდიდელის მწიგნობართუხუცესობაც საეჭვო ხდება, მით უფრო, რომ XIII ს. მეორე ნახევრისა და შემდგომი დროის ნარატიულ, დოკუმენტურ თუ სხვა სახის წყაროებში საქართველოს სამეფოს „ვაზირთა უპირველესის“ ხსენება საერთოდ წყდება; წყაროებში მოხსენიებული უკუნასკნელი მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელი არის ბასილი (დავით-ულუს დროს)[5].

თოფურიძეთა სასიხლო სიგელში, რომელიც გაცემულია ალექსანდრე მეფის მიერ კულიბერ თოფურიძისადმი, სხვა ეპისკოპოსებთან ერთად მოხსენიებულია ელია ჭყონდიდელიც. ცერძოდ: „აწე ქრისთეს მიერ კურთხევით კურთხეულნო ქართლისა ქათალიკოზნო და ეპისკოპოზნო: თქვენითა ჯვარითა, თქვენითა ომფორითა თქვენც ასრე დაუმტკიცეთ: ლიხთ-იმერისა ქათალიკოზნო და ეპისკოპოზნო, თქვენც ასრე დაუმტკიცეთ ბრძანება და სიგელი: სვიმონ მაწვერელო, მანუელდ ქუთათელო, დავით ცხეთელო, ელია ჭყონდიდელო, ბართლომე ცაიშელო, რომანოზ მოქველო, გრიგოლ ბედიელო, საბა ხობელო, ევდემოს ცხეთელო, თევდორე დრანდელო...“ ექვთ. თაყაიშვილმა ეს დოკუმენტი ერთიანი საქართველოს მეფე ალექსანდრე I-ს მიაკუთვნა და მისი მეფობის წლებით – 1413 (უნდა იყოს 1412 წ.) – 1442 წლებით დაათარიღა[6]. თ. ჟორდანიას ვარაუდით ეს სიგელი 1428-1430 წლებით უნდა დათარიღდეს, თუმცა იქვე აღნიშნავს, რომ ეს სასისხლო საბუთი შეიძლება იმერეთის მეფე ალექსანდრე II-ის (1484-1510 წწ.) გაცემული იყოს[7]. თოფურიძეთა სიგელი, ს. კაკაბაძემ, 1490 წლით დაათარიღა და იგი იმერეთის მეფე ალექსანდრე II-ის ბოძებულად ჩათვალა[8]. პირთა ანოტირებულ ლექსიკონში ეს დოკუმენტი 1484-1510 წლებით, ალექსანდრე II-ის მეფობის ხანით არის დათარიღებული[9].

---

[1] შ. მესხია, საშინაო პოლიტიკური ვითარება და სამოხელეო წყობა XII საუკუნის საქართველოში, თბ., 1979, გვ. 76-77.

[2] ნ. ბერძენიშვილი, სავაზირო ფეოდალურ საქართველოში, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. III, გვ. 29.

[3] ნ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 29.

[4] ნ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 29.

[5] შ. მესხია, დას. ნაშრომი, გვ. 77.

[6] ექვთ. თაყაიშვილი, ნიმუშები სამეგრელოს სიგელ-გუჯრებისა, I, გაზ. ივერია, 1891, №213.

[7] ქრონიკები და სხვა მასალანი საქართველოს ისტორიისა, შეკრებილი და ქრონოლოგიურად დაწყობილი, ახსნილი და გამოცემული თ. ჟორდანიას მიერ, წ. 2, ტფ., 1897, გვ. 233-235.

[8] ს. კაკაბაძე, სასისხლო სიგელების შესახებ, საისტორიო მოამბე, წ. II, ტფ. 1924, გვ. 65.

[9] პირთა ანოტირებული ლექსიკონი, I, XI-XVIII სს. ქართული ისტორიული საბუთების მიხედვით, გამოსაცემად მოამზადეს დ. კლდიაშვილმა და მ. სურგულაძემ, ე. ცაგარეიშვილმა, გ. ჯანდიერმა, თბ., 1991, გვ. 460.

თ. ჯოჯუას აზრით, თოფურიძეთა სასისხლო სიგელი 1484-1488 წლებს შორის იმერეთის მეფე ალექსანდრე II-ის მიერ არის გაცემული [1]. პ. გაბისონიას თქმით, როგორც თოფურიძეთა სასისხლო სიგელიდან ჩანს, იგი 1484-1488 წლებს შორისაც განაგებდა ქუთაისის ეპარქიას და მისი მოღვაწეობა XV საუკუნის II ნახევრის დასაწყისიდან დაახლოებით 1488 წლამდე უნდა დათარიღდეს. 1488 წლიდან ქუთაისის საეპისკოპოსოს უკვე სხვა მღვდელთმთავარი განაგებდა[2].

XVI საუკუნის შუა წლებში, იმერეთის მეფე ბაგრატ III-ის ინიციატივით დასავლეთ საქართველოს საეკლესიო კრება მოიწვიეს, რომელსაც ქართლის კათალიკოსიც დაესწრო. კრებაზე მიიღეს სამართლებრივი დოკუმენტი – „კათალიკოზთა სამართალი“, რომელიც დაამტკიცეს: აფხაზეთის კათოლიკოსმა ევდემონმა, ქართლის კათალიკოსმა მალაქიამ, ქუთათელმა მიტროპოლიტმა სვიმონმა, გენათელმა მთავარეპისკოპოსმა ანტონმა, ასევე დადგენილების მტკიცებულებით ნაწილში მოხსენიებულნი არიან: ჭყონდიდელი, ბედიელი, მიტროპოლიტი, მოქველი მთავარეპისკოპოსი, დრანდელი მიტროპოლიტი ფილიპე, ცაგარელი კოზმანი, ნიკორწმინდელი იოაკიმე, ცაიშელი კჳრილე“[3].

XVII საუკუნემდე კი ჭყონდიდლების შესახებ ჩვენ ცნობები არ გაგვაჩნია, ხოლო XVII-XVIII ს-ების ჭყონდიდლების გენეალოგია მიმოხილული აქვს ა. ტუღუშს [4], რომელსაც ქვემოთ შევეხებით და შევეცდებით მათი ქრონოლოგია სათანადო წყაროებით კიდევ უფრო დავაზუსტოთ.

1644 წლით დათარიღებულ წარწერაზე მარტვილის ტაძარში შენახულ ღვთისმშობლის ხატზე მოხსენიებულია ევდემონ ჭყონდიდელი, რომელზეც ექვთ. თაყაიშვილს აღნიშნული აქვს, რომ ამ ხატზე ჩარჩოს გაკეთება ევდემონ ჭყონდიდელს ეკუთვნის. ეს ჭყონდიდელი, მისივე ცნობით, დახატულია მარტვილის ეკლესიაში გიორგი ლიპარტიანის ცოლის ხვარაშანის გვერდით, სამხრეთის კარების მახლობლად[5].

აბ. ტუღუშის აზრით, სწორედ ეს ევდემონი იყო ის ჭყონდელი აფაქიძე, რომლისგანაც „საკრეფი მამულები“ უშოვია გურიელ-კათალიკოს მალაქიას; ავტორისავე აზრით, რახან მალაქია გურიელი 1639 წელს გარდაიცვალა, ევდემონი თუ ამ წელზე ადრე არა, ამ წელს მაინც მჯდარა ჭყონდიდელად[6].

---

[1] თ. ჯოჯუა, XII საუკუნის გარეჯული კრებულის (ვენ.4) ერთ-ერთი მინაწერი და აფხაზეთის უცნობი კათალიკოსი ბართლომე (დაახლ. 1488-1519 წწ.), საქართველოს სიძველენი, I, თბ., 2002.

[2] პ. გაბისონია, ქუთაისის საეპისკოპოსოს ისტორია (დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად), თბ., 2006, გვ. 53.

[3] ს. კაკაბაძე, სამართალი კათალიკოზისა და მისი შედგენის დრო, ტფ., 1913, გვ. 7.

[4] ა. ტუღუში, ჭყონდიდელ ეპისკოპოსთა ქრონოლოგიიის გარკვევისათვის (17-18 სს.), კრ. ეგრისი, 1988, №1, გვ. 227-231.

[5] „ეჰა ადამის აღმართებაო და ევას ცოომისა პატიჟთა დამხსნელო, ქრისტიანეთა შესავედრებელო, ქერობინთა უმაღლესო და სეროიბინთა უზეშთაესო, შვიდთა ცათა უაღმატებულესო, სასოებაო სიქადულო, და ჭელისა მპყრობელო ჩემო, საშინელო და პატიოსანო მარტუილთა ღმრთის მშობელო, მოვაჭედინე და შევამკე ხატი ესე ძალისაებრ მე მსასოებელმან შენმან და სიყრმითგან მინდობილმან ცვა ფარვათა შენთამან აფაქიძემან მამა ჭყონდიდელმან ევდემონ. ყოვლად წმინდაო ღმრთის მშობელო, წუთსა ამას სოფელსა მცევდ, მფარევდ, მიხსნიდ ეშმაკისაგან და დღესა მას განკითხუისასა მექმენ შემწე და მცველ. ესრეთ შეიწირენ, ვითარცა ძემან შენმან ორნი იგი მწვლილნი ქურივისანი, ამინ. მოიჭედა ხატი ესე ყოვლად წმიდაჲ ღმრთის მშობლისა ქორონიკონსა სამას ოცდათორმეტსა“ (ექვთ. თაყაიშვილი, მარტვილის მონასტერი, თბ., 1993, გვ. 20).

[6] აბ. ტუღუში დასახ. ნაშრომი, გვ. 227.

აბ. ტუღუშის აღნიშვნით, ვამეყ III (1658-1660) დადიანის ზეობის ხანაში ჭყონდიდლად მჯდარა ჭილაძეთა სათავადო სახლის წარმომადგენელი, რომელზეც ავტორი იმოწმებს ფეშანგის თხზულებას (ფეშანგი, შაჰნავაზიანი, თბ., 1935, გვ. 69), სადაც ნათქვამია, რომ „წამოუვიდა დადიანს ჭილაძე ჭყონდიდელი, მას თან გამოჰყვა ძმა მისი, რომელსაც ჰქვიან ქველია“. აბ. ტუღუში არ იზიარებს ექვთ. თაყაიშვილის იმ მოსაზრებას, რომ აქ მოხსენიებული ჭყონდიდელი ის იერემია ჭილაძე უნდა იყოს, რომელიც ტყვირის ეკლესიის წარწერაში იხსენიება [1]; კერძოდ, „მაცხო[ვარო] პირო ღმრთისაო, შეიწყალე სული ჭილაძის პატრონისა (=პატრონის) მამა ჭყონდიდელის იერემიასი ორსავე შინა ცხოვრებასა ამინ.“. ექვთ. თაყაიშვილის თქმით, „ეს ჭყონდიდელი იერემია ჭილაძე ის ჭყონდიდელი უნდა იყოს, რომელიც მოხსენიებულია პოემა შაჰნავაზიანში და რომელიც ცხოვრობდა მე XVII საუკუნის მეორე ნახევარში. იმავე შაჰნავაზიანში ცნობილია იერემიას ძმა ქველი. ეტყობა ჭყონდიდელი იერემია ჭილაძეს მიუშენებია ტყვირის ეკლესიისათვის ჩრდილოეთის ეკვდერი თავის სამარხად და დამარხულია ამავე ეკლესიაში“[2].

ამ პერიოდის მახლობლად გვყავს კიდევ ერთი ჭყონდიდელი ზოსიმე კოპალაძე, რომელიც მოხსენიებულია სეფიეთის ტაძრის წარწერაში: „დაიხატა [დახატა, დაახატვინა] ეკლესია ესე კოპალაძემ ჭყონდიდელმა ზოსიმე. შეუნდვნეს ღმერთმა. ამავე დროს გვაქვს ერთი წარწერა: „და, ესე ჭილაძე აბრამი მერმე მე ჭყონდიდელმან ზოსიმე კოპალაძემან დავახატვინე ესე. ამინ“. ჭყონდიდელი ზოსიმე კოპალაძე დახატული ყოფილა მარტვილის დასავლეთის ეკვდერში, მაგრამ სურათი სულ დაღარულია და ეხლა მარტო თავი მოჩანს, სადაც შემორჩენილია ასომთავრული წარწერა „[დ]იდისა საყდრისა მამა ჭყონდიდელი კოპალაძე ზოსიმე ადიდენ ღმერთმან“. ექვთიმე თაყაიშვილი მას XVII საუკუნეს აკუთვნებს[3].

ამ დროის ჭყონდიდელზე ჩვენ გვაქვს ვახუშტი ბატონიშვილის ცნობა სადაც ნათქვამია, რომ როდესაც ვახნაგ V-ემ (1658-1678) დაამარცხა ვამეყ III დადიანი 1660 წელს „კუალად შეიპყრა ვახტანგ მეფემან ჭყონდიდელ ჩიქოვანი, ძმა კაციასი, და წარმოიყვანა პატიმრად, მოვიდა ოდიშიდამ კუალად ქუთათისს[4].

ს. მაკალათიას გამოკვლევით, უკვე ლევან III დადიანის დროს (1660-1680) იმერეთის ფეოდალებს შორის ძლიერდება კაცია ჩიქოვანი და მისი ძმა ჭყონდიდელი, რომელიც ვახტანგ V-ს გამოექცია ტყვეობიდან და ისევ მიიღო ჭყონდიდლობა, იგი დაუახლოვდა ლევან III-ს და დაიმსახურა მისი დიდი ნდობა და ერთგულება.

აბ. ტუღუშის ცნობით, გაბრიელ ჩიქოვანი ჭყონდიდლად 1665 წელს იხსენიება[5], 1666 1666 წელს კი გაბრიელ ჩიქოვანი ჭყონდიდელ-ცაგერლად იხსენიება, თუმცა აქ ავტორი წყაროს არ უთითებს[6]. შემდგომი წლების ანუ 1675 წლის ლევან III დადიანის ბიჭვინტის

---

[1] აბ. ტუღუში, დასახ. ნაშრომი, გვ. 227-228.
[2] ექვთ. თაყაიშვილი, არხეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნანი, თბ., 1914, გვ. 6.
[3] ექვთ. თაყაიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 34-35; მისივე, მარტვილის მონასტერი, 1993, გვ. 72.
[4] ქართლის ცხოვრება, ტ. IV, გვ. 836.
[5] ს. მაკალათია, სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, თბ., 1992, გვ. 104.
[6] აბ. ტუღუში, დასახ. ნაშრომი, გვ. 228.

ბიჭვინტის საბუთითგან შეწირულობის წიგნში მოხსენიებულია ჭყონდიდელ-ცაგერელი გაბრიელი[1].

იგივე გაბრიელ ჩიქოვანია ნახსენები 1675-1680 წლის ერთ-ერთ საბუთში, უკვე ჭყონდიდელ-ცაგარელ-ბედიელის რანგში[2].

ამის შემდეგ სამეგრელოში მეტად რთული პოლიტიკური ვითარებაა და აქ ლევან III-ის (1660-1680) უკანონო შვილი თურქეთის სულთნის ბრძანებით ლევან IV დადიანი (1683-1691) დასვეს [3], თუმცა ოდიშს ფაქტიურად განაგებს გიორგი ლიპარტიანი [1].

---

[1] „1675 წ. შეწირულობის წიგნი ლევნ III დადიანისა ბიჭვინტის საბუთთაგან. ...(შემდეგ გრძელი ღვთისმეტყველურ წინასიტყვაობისა).. ჩვენ სრულისა ოდიშისა და აფხაზეთისა მპყრობელ მქონებელმან დადიანმან პატრონმან ლევან და თანამეცხედრემან ჩვენმა მეფეთმეფისა ასულმან დედოფალმან პატრონმან თინათინ და პირმშომან ძემან ჩემმან მანუჩარ და ძეთა ჩვენთა და მომავალთა ყოველთავე ვიგულეთ და ვიგულისმოდგინეთ და მობრძანდით თქვენ კ ზი ბატონი დ თ, დაგველაპარაკენით და ძველადგანცა ხობი ბიჭვინტისა ღთის მშობლის შეწირული ყოფილიყო და ჟამთა ვითარებისაგან გამოხმოდა. აწეს საკანონო საქმე დაგვედვა, ნათესავის სისხლში გავერიეთ და მობძანდით თქვენ კ ზი ბატონი დავით ნემსაძე და ჭყონდელ ცაგერელი ბატონი გაბრიელ, როგორითაც ჩვენი ერდგული იყვენით, იმისთანა საქმე გვირჩიეთ და ჩვენის სულის სახსრად და საოხად და ცოდვათა ჩვენთა აღსახოცელად და ძეთა ჩვენთა მანუჩარის აღსაზრდელად და ჭელმწიფობისა ჩვენისა წარსამართებელად, ასე რომე ჩვენს ბატონობაშიდა მრავალი საკანონო საქმე იქნა და შემოგვიწირავს მცირე ესე და კნინი შესაწირავი ხოფი ორი სასახლითა, სხულებითა, და ხორგითა სულა მათის შესაულითა და გამოსაულითა, უძებრითა და საძებრითა, მისის ყოვლის ფერის სამართლიანის საქმითა. ხორგას სამი ნავი ვაჭარი თუ მოვიდეს, ერთი ბაზარგანი ვაჭარი სახობოს კაცისას დადგებოდეს და სხვა რომელიც სარგოს იყოს ხოფისა ღუთისმშობლის შეწირული, ყველა ისრეუ შეგვიწირაუს. შეიწირე მცირე ესე შესაწირავი შენ შვიდ ცათა უმაღლესო და ქერაბინთა უზეშთაესო, ბიჭვინტისა ღუთისმშობელო, ასე რომე კათალიკოზს ოდიშს ერთი საყდარი ასეთი არ ქონდა, რომე დღესასწაული გარდაეხადა. ხან ერთს ეფისკოპოს ჩაუდგებოდენ შინ და ხან მეორეს, ებისკოპოზები მწეთ გარჯით იყვნენ და ამისთვის შეუსწირეთ, რომე როდესაც კ კოზი ოდიშს მობრძანდებოდეს, ხატსა, ჯვარსა და ომფორსა აქ დაასვნებდეს და სასაფლაოთაც ის შეგვიწირაუს, იქ გაიკეთებდენ და გავაჩინეთ ამისათვის, ვინცა ვინ კ ზი იყოთ და ოდიშს ბრძანდებოდეთ, ხარების დღეს ჟამს გვიწირეუდეს ჩვენი სულის საოხად და სახსრად კარსგაღებულს (სიც) აღაპს გვიზემდის. თუ იმ დღეს ოდიშს ვერ დაესწროთ, ამ თორმეტს საუფლოს დღეში იმ საყდარს ჟამს გვიწირეუდით, რათა არა განვარდეთ სასუფეველისაგან. ესე მამული, საყდარი და სასახლე ასე გარიგებით ბატონის კ ზის დავითისათვის მიგვიბარებია (გრძლად წყევა შემშლელთა ზედა)... დაიწერა წიგნი და სიგელი ესე ქორონიკონს სამას სამოცდა სამს. არის ამის მოწამე ჭონდიდელ ცაგარელი ბატონი გაბრიილ, ჩიქუანი კაცია, ბეჟანი ღოღაბერიძე, კარის ჩვენისა მესტუმრე ოთარი მელია.

ხვეულად: ლევან, თინათინ“ (ს. კაკაბაძე, დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, წ. I, ტფილისი, 1921, გვ. 76-77).

[2] „1675-1680 წლ. ახლ. ამ წლის ახლოს უნდა იყოს მიცემული ჭონდიდელ-ცაგარეთ ბედიელის გაბრიელ ჩიქვანის მიერ საბუთი ცაგერის ტაძრის გლეხის ამოყვანის შესახებ.

... წმინდაო გ ი სუჯუნისაო ჩვენ... ქრისტეს მიერ კურთხევით კურთხეულმან ჭყონდიდელ ცაგერელ ბედიელმან ჩიქვანმან გაბრიელ.. შემოგწირეთ მცირე ეს შემოსაწირავი ოდიშარია ხუხუ თუთარია, ხუხუსშვილი გოგილა და გელი და ბიძუა და მიამია მათის ცოლშვილით...

... დამიწერია სეხნია ქვარიანს და მოწამეცა ვარ ამისი. ბეჭედი“ (ს. კაკაბაძე, დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, წ. I, ტფილისი, 1921, გვ. 78-79).

[3] ლევან IV იყო დადიანთა ძველი დინასტიის ბოლო წარმომადგენელი.

რაკვირველია ამ პერიოდში არა თუ ლევან III-ის და მისი შვილის ლევან IV-ის ერთგული პირი უნდა მჯდარიყო ჭყონდიდელად, არამედ ვინმე სხვა პიროვნება, რომელსაც უნდა შეეცვალა გაბრიელ ჭყონდიდელ-ცაგერელ-ბედიელი.

ამ მხრივ საყურადღებოა სუჯუნის ერთ-ერთი წმ. გიორგის ხატის წარწერაში მოხსენიებული ევდემონ ჩხეიძე. „... მთავარო წმიდაო გიორგი საჯუნისაო ჩვენ ქრისტეს მიერ კურთხეულმან მამა ჭყონდიდელმან ჩხეიძემ პატრონმან ევდემოს... ქ: ჩხეიძე: ევდემოს: ჭყონდიდელისაგან კოდორს: სამი კვამლი კაცი გოგი ელიავასათვის გამოერთმია და წმ. გიორგის სუჯუნისათვის შეეწირა და ჩვენ ლიპარტიანის შვილმან ჭყონდიდელმა პატრონმა გაბრიელ პატრონმა გაბრიელ კუალად...“[2] ექვთ. თაყაიშვილის აზრით, მეორე წარწერაში (ხატის მეორე ნაწილზე – დ. ჭ.) მოხსენიებული ლიპარტიანის შვილი გაბრიელი ჭყონდიდელი, იყო შვილი გიორგი ლიპარტიანისა და ცხოვრობდა მეთვრამეტე საუკუნის დასაწყისში, ხოლო ჭყონდიდელი ევდემონ ჩხეიძე იყო მოღვაწე მეჩვიდმეტე საუკუნის დასასრულისა, წინამორბედი გაბრიელისა[3]. გაბრიელ ჩიქოვანის შემცვლელად მიაჩნდა ჭყონდიდის საეპისკოპოსო ტახტზე ევდემონ ჩხეიძე აბ. ტუღუშსაც, თუმცა ავტორი მას მე-17 საუკუნის 80-იან წლებში ათავსებს, რითაც ზემოთ წარმოდგენილი მასალებიდან გამომდინარე ვერ გავიზიარებთ და ვფიქრობთ, მისი ჭყონდიდლობა უფრო მე-18 საუკუნის დასასრულ წლებზე უნდა მოდიოდეს, ანუ გაბრიელ ჩიქოვანის შემდგომ.

აბ. ტუღუშის აღნიშვნით, ერთ უთარიღო საბუთში ნათქვამია: „(ესე) საბოლოოთ გასათავებელი წიგნი, ფიცი და პირი დაგიმოწმეთ და მოგეცით ჩვენ ჭილაძემან ჭყონდიდელმან ბატონმან პეტრემ თქვენ კათალიკოს ბატონ გრიგოლს, ასრე და ამა პირსა ზედა, რომე კათალიკოზს დავითის გლეხები მივხიდე (!) და მას აქეთ ჩვესა და ჩვენს შუა სადაო საქმე შეგვექმნა და აწე... ასრე გავარიგეთ“. აქ მოხსენიებული კათალიკოსებიდან, აბ. ტუღუშის აღნიშვნით, ერთია დავით ნემსაძე (1675-1696), ხოლო მეორე გრიგოლ ლორთქიფანიძე (1696-1742). პეტრე ჭილაძის ჭყონდიდლობას, ავტორი მიიჩნევს, როგორც დავით ნემსაძის კათალიკოსობისას (1696 წლამდე), ასევე გრიგოლ ლორთქიფანიძის კათალიკოსობის დასაწყისში. როგორც ჩანს, განაგრძობს ავტორი, პეტრე ჭილაძე შეცვალა გაბრიელ II-მ, რომლის მღვდელმთავრობის საწყის თარიღად ს. კაკაბაძე წყაროზე მიუთითებლად 1700 წელს ასახელებს[4]. ჩვენი აზრით, პეტრე ჭილაძის ეპისკოპოსობა, დავით ნემსაძის კათალიკოსობის დასასრულსა (1696 წ.) და გრიგოლ ლორთქიფანიძის კათალიკოსობის დასაწყისის ხანაზე (1696 წ.) უნდა მოდიოდეს და ის ჭყონდიდლად მე-18 საუკუნის დასაწყისის პირველ წლებამდე უნდა ყოფილიყო. შემდგომ 1700-1714 წლით დათარიღებულ საბუთებში, ჭყონდიდლად იხსენიება გაბრიელი; ერთ-ერთი საბუთის მიხედვით კი ის ცაგერელის ტიტულსაც ატარებს[5].

---

[1] ს. მაკალათია, დასახ. ნაშრომი, გვ. 106-107.
[2] ექვთ. თაყაიშვილი, არხეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნანი, გვ. 26.
[3] ექვთ. თაყაიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 27.
[4] აბ. ტუღუში, დასახ. ნაშრომი, გვ. 229
[5] „1700-1714 წ. ამ წლების ახლოს უნდა იყოს მოცემული პირობის წიგნი ჭყონდიდელ ცაგერელის გაბრიელის, ცაგერის საბუთთაგან.

...მე დიაკონს კაჭარავას დამიწერია...“ (ს. კაკაბაძე, დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, წ. I, ტფილისი, 1921, გვ. 110).

გაბრიელის ჭყონდიდლობასთან დაკავშირებით საყურადღებოა ვახუშტი ბატონიშვილის ცნობა – „ამისთჳს შეშინდა ლიპარტიანი, მოვიდა ლეჩხუმში, გამოასხნა სანდონი იესესნი და დაადგინნა თჳსნი და მისცა ძესა თჳსსა ბეჟანს ლეჩხუმი და უხუცესსა კაციას დადიანობა და შედეგსა გაბრიელს მონაზონსა ჭყონდიდლობა და თჳთ ლიპარტიანობს კუალად და იყვნენ მორჩილებასა შინა მისსა ძენი მისნი“[1]. აქ საუბარია კაცია I დადიანზე, რომელიც გამთავრდა 1704 წელს და ამავე წელსვე გულისხმობს ვახუშტი გაბრიელის გაჭყონდიდლობასაც.

ამ პერიოდის, ანუ კაცია I-ის (1704-1710) დროინდელ სამეგრელოში დიდი არეულობის ხანაა. ერთი მხრივ, როგორც შინაფეოდალური – შინადინასტიური ბრძოლით, ასევე თურქეთის გააქტიურებითაც. როგორც ჩანს, გაბრიელ ჭყონდიდელიც აქტიურადაა ჩართული ამ საქმეში და იბრძვის ძალაუფლების მოპოვებისათვის. ისიც აღსანიშნავია, რომ მას ვახუშტი ბატონიშვილი ახასიათებს კაცად „უღვთო, მეძავ-მემრუშე, სოდომია და ტყჳსმყიდველი და სავსე ბოროტითა“. გამომდინარე აქედან გაბრიელ ჭყონდიდელსა და ბეჟან I დადიანს შორის, რომლებიც ძმები იყვნენ, უთანხმოება და ერთმანეთის ცილობა ჩამოვარდნილა და როგორც 1714 წლის საბუთი

„1700-1714 წ. შეწირულობის წიგნი გაბრიელ ჭყონდიდელისა მარტივლის საბუთთაგან. იბეჭდება პეტერბურგის აზიურ მუზეუმში დაცალ პირის მიხედვით.

... წმიდაო გ ი საჯუნისაო, ჩვენ... დიდის ლიპარტიანის ძემან ჭყონდიდელმან ბატონმან გაბრიელ ვიგულეთ და ვიგულსმოდგინეთ, ჟამთა ვითარებისადან ჩემსა და ჩემსა სასულიეროთ შეგწირეთ ქობალავა ივანე და მისი შვილები შაქარი, მათე, მისის სახლკარიანათ ხატს შევსწირე... ყოველს გიორგობას წიანდღეს ერთს მარჩილს სამთელს მოგართმიდეს. ეს... შეიწირე... და ან რამანცა ძემან კაცისამან, დადიანმან ანუ დედუფალმან და ანუ ჩემმან შემდგომმან მიტროპოლიტმან და ანუ ეპისკოპოსმან ანუ კადელაკმან და ანუ სხვამან მებეგრემ კაცმან დიდმან ანუ მცირემან ეს ჩემი შეწირული ქობალავას ბეგარა შენ მოგიშალოს და გამოგწიროს, იგიმც შეიშლება სჯულის ქრისტიანობისაგან... ან ქადაგმან, ან მესტუმრემ ან სხვა ვინმემ მოშალოს (კრულ და შეჩვენებულ) ... ეს ქობალავა ამისთვის შევსწირე, რომ წმინდა გ ის სუჯუნისას იესელამ დიდიამ ორი მტყვე წმიდის გაყიდა, ცოლი ორსული გაადგო, თემისა და ქვეყანის ფიცი და პირი გასტეხა, ქურლობა ქმნა ხარის, ძროხის და ცხენის. ამისთვის ხატის საუპატიო შევსწირეთ წმინდა გ ის სუჯუნას“ (ს. კაკაბაძე, დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, წ. I, ტფილისი, 1921, გვ. 111-112).

„1700-1714 წ. შეწირულობის წიგნი გაბრიელ ჭყონდიდლისა, მარტვილის საბუთთაგან.

...(მე) ... ლიპარიტიანის გ ის ძემან პატრონმან ჭყონდიდელმან გაბრიელ შემოგწირეთ შენ, წმინდა გიორგის სუჯუნის, მცირე ესე შესაწირავი ოთხი კვამლი კაცები, თავს ხოსია ბზიავა მისი შვილებით, ბაბუშია, გიორგია მისის შვილებით და სახლკარით და რისაც მქონებელნი იყვნენ ყოვლის ფენიანათ; მეორედ შაქარელა მიმინოს შვილი, მისი ძმა ბურდღუა მისის სახლ კარიანათ და რისაც მქონებელნი იყვნენ; მესამედ ბაბადიში ცომაია მისი შვილებიანათ და სახლკარიანათ, რისაც მქნებელნი იყვნენ, მეოთხედ ბაძველა კუციას შვილები მისი სახლკარით და ყოვლის ფერიანათ რისაც მქონებელნი იყოს, ეს ოთხი კვამლი კაცები მათით უძებარ საძებრით, ტყით, წყლით, მიწა ადგილით, რისაც მქონებელნი არიან ყოვლის ფერიანათ შენთვის შემომიწირავს, წმინდაო გ ი სუჯუნისაო... განზე: ქ. ვისაც ამაშიდ რომ კაცები სწერია და ორი ღორი მართებს, ერთს ღორს არ ვსთხოვ და ყოველს გიორგობას თითო მარჩილის სანთელი ხატს მართავს ჩემის სულის ცოდვათა შესანდობელად. ასე იცოდეთ ყოველნო სულნო. და ან აზნაურის შვილმან სთხოვოს და მას მისცეს“ (სარგის კაკაბაძე, დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, წ. I, ტფილისი, 1921, გვ. 112).

[1] ქართლის ცხოვრება, ტ. IV, გვ. 866.

გვამცნობს ბეჟან დადიანს იგი გადაუყენებია თანამდებობიდან და ჭყონდიდლად ევდემონ ღოდაბერიძე დაუსვამს[1], მაგრამ ეს იმ წელსვე, ანუ გაბრიელის გადაყენებისთანავე არ უნდა მომხდარიყო ევდემონის ჭყონდიდის ეპისკოპოსად დასმა, არამედ უფრო გვიან, რადგან ამ დოკუმენტებში აღნიშნულია, რომ კარგა ხანი ჭყონდიდში ეპისკოპოსი არ მჯდარა. აფხაზეთის კათალიკოსს გრიგოლს, ევდემონი 1714 წლის ახლო ხანებში მისივე თხოვნით მიტროპოლიტად უკურთხებია[2]. სწორედ ამ პერიოდში უნდა მომხდარიყო მისი ჭყონდიდლად კურთხევაც.

---

[1] „1714 წ. შეწირულობის წიგნი ბეჟან დადიანისა მარტვილის საბუთთაგან.

... ჩვენ... დადიანმან ბატონმან ბეჟან და თანამეცხედრემან ჩვენმან დედოფალმან ბატონმან თამარ ვინებეთ საქმისა ამის გამოკულევად, ასე რომ ჩვენი ძმა ჭყოდიდელი გაბრიელ საჭყონდიდლოშიდ ბატონად იჯდა და ეშმაკის საბრხით ჩვენსა მის შუა აშლა და ერთმანერთის მოცილება შეიქმა. ახლათ მოვედით ჩვენ საჭყონდიდლოშიდ და ჩემი ძმა ჭყონდიდეელი გარდავაყენე. მას მოდმა მოვიკითხეთ და ერთობ დიდი ხანი გამოვიდა რომ საჭყონდიდლოში მწირველი ეპისკოსპოსი არ მჯადარიყო და ჟამთა ვითარებისაგან ალაგალაგ საჭყონდილოს ბევრი დაკლებოდა კაცი თუ ალაგ მამული, ახლათ ჩვენ ჩვენის ჭყონდიდის სამაგიეროთ წმიდა და მართლმადიდებელი მწირველი ღოდაბერიძე ევდემონ მიტროპოლიტი გვიკურთხებინებია და ჭყონდიდლათ დაგვიჯენია და საჭყონდიდლო ამისათვინ მიგვიცემია. სხვა რომელიც ძველთაგან თუ ახალი შენაწირი დავთრები იყო, მოვიკითხეთ ზოგი უდროობით დაკარგულიყო და ზოგი კიდევ იყო. ყველანი გამოვიძიეთ და შევიყტვეთ. ანჯელი და კოდორა გაღმართი ტეხურის პირამდის რაც არის, ძველთაგან ჭილაძეებს შეეწირათ, მაგრამ კიდევ ვინმე დაობდა, აწ ჩვენ რომ მოვიკითხეთ და გავსინჯეთ. ჭყონდიდელი ერთობ დიდი ხნის განთავისუფლებული და დიდი მიტროპოლიტი გამოვიდა და ეს პირველი გარიგებული და წიგნი ჩვენ ასე ხელახლა განგვიახლებია და შეგვიწირავს პირველ მარტვილისა ღთისმშობლის ტაძრისათვინ და მერმეთ წ ის გ ის სუჯუნის ეკლესიისათვინ, რომ არც დადიანმან, არც დედოფალმან, არც უფლისწულმან, არც დიდმან და არც მცირემან ეს საჭყონდიდლო კაცი და ალაგმამული სახასოთ მისთვინ არ დაიკავოს. დასტურ დადიანი ბატონი არის და ვისაც უნდა იმსახურებს, სხვეფ ამაში ხელი არავის აქვს, ისე შეგვიწირავს და განგვიაზატებია და ამ ჭყონდიდელ ღოდაბერიძისათვინ ამ რიგად ჩაგვიბარებია... დაიწერა ქეს აქეთ ათას შვიდას და ათოთხმეტსა“ (ს. კაკაბაძე, დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, წ. I, ტფილისი, 1921, გვ. 113).

[2] „1714 წ. ამ წლის ხანებში უნდა იყოს მიცემული გრიგოლ კათალიკოზისადმი პირობის წიგნი ევდემონ ჭყონდიდელის მიერ.

ქ ნებითა და წყალობითა ღთისათა და ყოველთა მისთა წმიდათა თავსმდებობითა და შუამდგომლობითა, ესე საბოლოოდ გასათავებელი პირი და წიგნი მოგართვით თქვენ ჩრდილოსა და აფხაზეთისა კზს პატრონს გრიგოლს ჩვენ ჭყოინდელმან ღოდაბერიძემან ევდემონ, ასრე და ამა პისა ზედან რომ ბატონის დადიანის ბეჟანის სიტყვით და ბრძანებით მიტროპოლიტად კურთხევას შემოგეხვეწენით და მოგახსენეთ. სხვას ჟამს ჭყონდელი მიტროპოლიტად კურთხეულნი არ ყოფილან და მერე სხვანი ებისკოპოსნი, რომელიცა მიტროპოლიტად თქვეგან იკურთხნენ, მართებულად ვერცა სათნო გეყუნენ და ვერც მცნება და სამსახური თქვენი მართებულად აღასრულნეს, ჩვენს წინანწელი ჭყონდიდელნი ძველთა და დიდთა ჭელმწიფეთაგან დიდად პატივცემულნი ყოფილან მონასტრითაც, სიმდიდრითაც და მამულითაც, მაგრამ მიტროპოლიტად კურთხევა არ ჰქონიან. აწ რადგან ჯერ ღთის ბრძანებით და მერმე ბატონის დადიანის წყალობით ჩვენზედ მიტროპოლიტობის კურთხევა მოიღეთ, დღეს ამას იქეთ ვიყოთ თქვენთვის კარგი და კარგის მდომი, სჯულიერისა და საღმრთოს საქმეზედ ბატონთან ხვეწნით და მოხსენებით თქვენს მოდგომას ვეცადოთ და სხვაზედ რისაც შემძლებელი ვიყოთ, სამართლიანის საქმით მოგიდგეთ და სადაც დავესწროთ ბიჭვინტისა ღვთისმშობლის ყმების მოხმარებასაც ვეცადოთ მართებულის საქმით. ამის გათავების თავსმდებად მოწამედ მოვგცემია თავად ღ თი და ყოველნი მისნი წმიდანი და თვითონ

აბ. ტუღუში, ექვთ. თაყაიშვილის მასალებზე დაყრდნობით აღნიშნავს, რომ ევდემონ ღოღობერიძე უკანასკნელად 1727 წელს იხსენიება ჭყონდიდლად[1].

შემდგომ წყაროებში მოხსენიებული ჭყონდიდელი არის გაბრიელ ბეჟან დადიანის ძე (1715-1728), რომელიც შესაძლოა ჯერ კიდევ ბეჟან დადიანის მთავრობისას გახდა ჭყონდიდელი, მისი მმართველობის ბოლო წლებში. აბ. ტუღუშის მასალებით, ის მოხსენიებულია 1738 წლის საბუთში (დ-6117)[2]. გაბრიელ ჭყონდიდელი მოხსენიებულია XVII ს-ის პირველი ნახევრის მარტვილის ერთ-ერთი სასვენებელი ჯვრის წარწერაში[3];

ბიჭვინტისა ღ თის მშობელი“ (ს. კაკაბაძე, დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, წ. I, ტფილისი, 1921, გვ. 114).

[1] იხ. აბ. ტუღუში, დასახ. ნაშრომი, გვ. 230.
[2] იხ. აბ. ტუღუში, დასახ. ნაშრომი, გვ. 230.
[3]

1)ქ:. აჰა შენ, ცათა უმაღლესო და ქერობინთა უწმიდესო
2) უხრწნელად მშობელო ძისა ღ თისაო:
3) მარადის ქალწულო მარტვილთა ღ თის მშობელო.
4) ჩვენ სურვილით ცვა ფარვისა თქვენისა სასოებით
5) მინდობილმან დადიანის ბეჟანის ძემან ჭყონდიდე
6) ლ მიტროპოლიტმან გაბრიელ წმიდისა ამ:.
7) ოთხის ჯვარის შემკობა და ერთათ ერთსა სასვე
8) ნებელში ჩასვენება ვინებე უფროსი ჯვარი
9) პირველად
10) გაესვენებათ და სხვაგან წაეღოთ ამაშიდ დიდ
11) ხანი გამოსულიყო მამა ჩვენს ბედან დადიანს და
12) დედა ჩემს თამარს დედოფალს ამოეღოთ და მათდა სა
13) სულიეროთ ისევ მარტვილისა ღ თის მშობლისათვის
14) შემოეწირათ და ისევ დაესვენებინათ. ეს მეორე ოქ
15) როს ჯვარი წამხდარი იყო მოვიყვანეთ ოსტატი ხელ
16) ახლა ჩვენ შევამკევით და გავაწყობინეთ და ეს
17) ორი ჯვარი კიდევ ჟამთა ვითარებისაგან სხვას
18) გაესვენებია გამოვართვით ესეც და ოთხთავეს
19) რაც აკლდა ან ნაწილი ან თვალი ან მარგალლი
20) ტი ან ძეწკვები ყველას გაუკეთებინეთ,
21) გავაწყვევით და ეს ჩასასველებელი გაუკეთ
22) ებინეთ და ამაში ჩაგვისვენებია ოთხივე და ისევ წმიდის მარტვილთ
23) ღ თის მშობლის ტაძარში დაგვისვენებია
24) ჩვენის ცოდვილის სულის საოხად რათა
25) მერმესა მას საუკუნესა მარჯვენით
26) ნაწილთა თანა მკვიდრობისათა ამათ
27) მიერ ღირსსა მყოს და ასე დაგვიმტკიცებია რო
28) ელნიც ჭყონდიდელი იყოს იმან წირვაზედ იხმაროს
29) როდესაც სწიროს თორემ ისე რომელმაც მებატონემ
30) და დადიანმან ანუ ჭყონდიდელმან ანუ დეკ
31) ანოზ მოურავ უხუცესმან ანუ ქალმან
32) ვინმემ ანუ დიდმან გინა მცირემან
33) ესე ოთხი ჯვარი ამ ეკლესიას გამოსწიროს
34) და ანუ ერთმანეთს (სიც) სუმინდულეფ (სიც) მოაშოროს.
35) და რითაც საქმით ამ ეკლესიას დაუკარგოს შენ
36) შერისხენ თავად დაუსაბამოვ ღმერთო და მარ
37) ტვილთა ღ თის მშობელო ცხოველს მყოფელო
38) ჯვარო მისი სული და ხორცი ჯოჯოხეთს
39) შინა დაანთქ და იუდასთანა მკიდრად იჩინე
40) სატანჯელსა მას დაუსრულებელსა,
41) დამამტკიცებელნი ამისნი აკურთხნეს ღმერთმან
42) ამინ. (ექვთ. თაყაიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 8-9).

ასევე მარტვილში დაცული ერთ-ერთი ხატის წარწერაში[1] და 1753 წლის მარტვილის ტაძრისადმი შეწირულობის წიგნშიც[2].

ხოლო უკანასკნელად გაბრიელ ჭყონდიდელი მოხსენიებულია 1860 წლით დათარიღებულ სჯულის კანონის ხელნაწერში[3].

---

[1] ქ. ლოდო ქრისტეს საფრავისა
ქ. ხატისა ამის შემკობად დადიანის
ბეჟანის ძე ჭყონდიდელი მიტროპოლიტი
გაბრიელ მოიხსენიოს უფალმან
ღ თნ სასუფეველსა მისსა ამინ (ექვთ. თაყაიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 21).

[2] „[შეწირულობის წიგნი გაბრიელ ჭყონდიდელისა მარტვილის ტაძრისადმი] [1753 წ.]

... მარტვირის ღმრთისმშობელო... მე, სიყრმიდგან მონამან და მადიდებელმან ტაძრისა შენისამან, **დადიანის ბეჟანის ძემან, ბატონმან ჭყონდიდელ მიტროპოლიტმან გაბრიელ...** მწვლილადი ეგე შესაწირავი ძღვნად მიგიძღვენ ასე, რომ: **გულუხეთს** ჩვენი ყმა **ბუჭუკელა გიგინეისშვილი** იყო, მოკვდა ის; და მისი კაცები რაც იყო სხვები, საყდრისა შენი ყმა იყო, მაგრამ ეს სანთლის ბეგარა არ ემართა და ჩვენ დავადევით.

ცხრა გლეხი არის თავს: ერთი **სეხნიელა იობაძე** და მის ძმა **ბუჭუელა**, მეორე კიდევ **მახარობელი იობაძე**, მესამე **ცირცხალავა გიორგი**, მეოთხე კიდევ **ფირცხალავა სეხნია**, მეხუთე **გიგინეისშვილი ტატუელა**, მეექვსე **გიგინეისშვილი ლაშკარა**.

ამ ექვს გლეხს ურმოული ლომის ბეგარა ემართა; ურმოულა ღომი გარდავიღეთ და თითო მარჩილის სანთელი და თითო რუბის საკმეველი დავადევით.

და ამ სამს გლეხს: **კოჩია გიგინეისშვილს, მამისთვალა გიგინეისშვილს** და **ბუჭუელა გიგინეისშვილს** ურმოული არ ემართა და ღორის ბეგარა შევაწიეთ და თითო მარჩილის სანთელი დავადევით.

ამას გარეთ კიდევ **რობას**: სამი გლეხი იყო ჩვენი: **ქოიავა ხუტუ** და მისი ძმა კაცობა; მეორე გლეხი **ჩიქობავა ბაძღულია;** მესამე გლეხი **სვიმონა ჯგიმორდელა** და მისი ძმა **ხახუტელა.** ეს მისი გლეხი რობას ესახლენ, მაგრამ **მიქელაძემან** არ დააყენეს და წამოვიყვანეთ და გამოდმა **კოდორს** დავასახლეთ. სამი გლეხს ურმოული ღომი შევაწიეთ და თითო მარჩილის სანთელი თქვენის საყდრისათვინ დევადევით და თითო რუბის სანთელი სუჯუნის საყდრისათვინ. ამ რობელი კაცების დავთარი სუჯუნისაც დაგვიძს.

აწ როგორც გერიგებით სანთელი და საკმეველი ამ წიგნში დაგვიწერია, ისე ყოველს დიდმარხვაშიდ... შენის საყდრის სანთლის და საკმევლის ჩამომბოჯავას მისცემდეს ჩვენის სულის საოხად.

და თუ წყალობითა შენითა იმატონ და გაიყონ, რამდენიც გლეხი შეიქნას, ეს საყდარისა შენისა ბეგარა თითო გლეხზედ ისევ სრულად გაყვეს.

ხოლო ჟამთა ვითარებისაგან რომელიმე გლეხი ამოსწყდეს, ვინც იმ გლეხის ნაპარტახი ალაგ-მამული დაიკაოს, ეს ბეგარა როგორც სწერია, იმ კაცმა გარდაიხადოს.

ამას გარეთ ამ კაცებს თუ რამ ბეგარა მართებს, იმას ვინც ჭყონდიდელი იყოს, იმას მიართმევდეს და არც მიდღემჩი არას მებატონისაგან ეს თორმეტი გლეხი კაცები აზნაურისშვილს ყმათ არ მიეცეს...

დაიწერა ქორონიკონსა **უმა** (ქართული სამართლის ძეგლები, თბ., 1970, ტ. III, ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, გვ. 836-838).

[3] „20. სჯურლის კანონი, ანუ ნომოკანონი, დიდი ხელთნაწერი, ინ ფოლიო, დიდი ფორმატისა, ნუსხა ხუცური, ორ სვეტად, მე XVIII საუკუნის ხელით, 1052 გვ. ბოლოს უწერია: „ღმერთო,

შემდგომ, XVIII ს-ის პირველი ნახევრის ერთ საბუთში ჭყონდიდელად მოხსენიებულია გრიგოლ, რომელიც გაბრიელ ჭყონდიდელის ძმისშვილი იყო[1].

1760 წელს მოხსენიებულია გრიგოლ ჭყონდიდელი – „შეიბ მახვილი შენი წელთა შენთა, ძლიერო, შენ მიერო შვენებითა, მოიხსენე, უფალო, ჭყონდიდელო გრიგოლ“. მისი

შეიწყალე ფრიად ცოდჳლი ამისი მწერალი ქართველი ლაზარე ამინ“. ქვემოთ თარიღი ვიდაცას განგებ წაუბღალავს და ქვემოთ სომხური წარწერა აქვს. ზემოთ სიტყვა „ქართველი“-ს წინ მერმენდელი ხელით მიმატებულია: „სალაყაია“. თავში ცალკე ფურცელზე მხედრულათ უწერია: „... ეჰა შენ ზეცათა მეუფისა დადაო უხრწნელო ქალწულო დედუფალო მარტვილთა ღმრთის მშობელო. ჩვენ მარადის საფარველსა თქუენისა მონდობილმა დადიანის ბეჟანის ძემან ჭყონდიდელ მიტროპოლიტმან გაბრიელ შემოგწირეთ წმიდა და პატიოსანი სჯულის კანონი ესე სულთა ჩვენთა სახსნად და საოხად ცოდვათა მისატევებელად. ოდეს კუალად (კ დ) ხელახლა წიგნი ესე შეაკვრევინოთ, ღ თის სიყვარულისათვის ჩემს მოხსენებას წიგნსა ამას შინა ნუ დააგდებთ, რათა თქვენცა ხსენებულ იქმენის სასუფეველთა შინა ცათასა. აწ ვინცა და რამანცა ძემან კაცისამან, გინა დიდმან, ანუ მცირემან, გინა ჭყონდიდელმან წმიდასა ამას ეკლესიასა შენსა გამოსწიროს, შეჩვენებულიმც იქნების პირველ დაუსაბამოისა ღთაებისაგან და დიდისამის შენისა კათოლიკე ეკლესიისაგან მისი ნაწილი და საუკუნო იუდასთანამც დაემკვიდრების და მეორედ მოსვლას ჩემის ცოდვის მაგიერათამც განიკითხვის მართლმსაჯულისა ღ თისაგან. ამინ. ხოლო დამამატკიცებელნი ამისნი აკურთხნეს ღ თნ. აღიწერა ქ ტეს აქეთ. ჩღ:-“

მეორე გვერდზე ხუცურად სწერია:

„მოიხსენე უფალო სასუფეველსა შენსა წიგნისა ამის აღმაწერნებელი და წ ისა მარტვილის საყდრისა შემომწირველი დადიანის ბეჟანის ძე ჭყონდიდელ მიტროპოლიტი გაბრიელ ამინ (ექვთ. თაყაიშვილი, მარტვილის მონსტერი, გვ. 460).

[1] „289. [სააზატო წიგნი გრიგოლ ჭყონდიდლისა მახარობელ გეგეჭკორისადმი] [XVIII ს. I ნახ.]

ქ. ნებითა და შეწევნითა და ყოველთა მისთა წმიდათა, ესე საბოლოვოდ გასათავებელი სა[ა]ზატო წყალობის წიგნი დაგიწერეთ და გიბოძეთ ჩვენ, ქრისტეს მიერ კურთხევით კურთხეულმან **ჭყონდიდელ მიტროპოლიტმან**, **დადიანის ბეჟანის** ძემან, **გრიგოლ** შენ, ჩვენს ყმას **გეგეჭკორს მახარობელს**, შვილებს **მიქელას** და **იესელას** თქვენთა შვილთა და მომავალთა ასრე, რომ.

ბიძა ჩვენს **ჭყონდიდელს გაბრიელს** თქვენი პაპისა და ბაბუისათვის სააზატო წიგნი მიეცა და კიდევ გქონდათ. აწ ჩვენ კიდე ხელახლავ გაგვიახლებია, შეგვიწევია: ნდობა, ყოვლისფერი ბეგარა და ტვირთობა; ასრე, რომ შენს კარზედ ლაშკრობისა და ბატონის შინაყმობისა და სამსახურის მეტი არა მოდგებოდეს რა, ისე ყოვლისფერი შეგვიწევია.

აწ ამისა გასათავებლად მომცემია თავად ღმერთი და ყოველნი მისნი წმიდანი ზეცისანი და ქვეყნისანი, ხორციელნი და უხორცონი; კაცთაგან ამისი მოწამე: ჩვენი **წინამძღვარი ღოღვაბერიძე** სოფრონ, **იესელიანი მთავარდიაკონი სვიმონ**, მოურავი **ელიავა წუწყუ**, მთავარდიაკონი **ელიავა ნიკოლოზ**, ჩვენ მაგიერი კაცი **თევდორაშვილი სვიმონიკა**.

დამიწერია მე, მღდელ-მონაზონს **ელიავას გერმანეს** და მოწამეცა ვარ ამისი.

აწ, ვინცა და რამანც ძემან კაცისამან ეს ჩვენგან ბოძებული წიგნი შეგვიშალოს ან ჭყონდიდელმან, ან ერისკაცმან, ან ვინც ადამის შვილმან, მასამც რისხავს თავად დაუსაბამო ღმერთი და ყოველნი მისნი წმიდანნი და ჩვენგან და ჩვენის ეკლესიისაგან წყებულ, შეჩვენებულიც იქმნება და მეორედ მოსვლას ჩვენის ცოდვის მუქაფად განიკითხვის მართლმსაჯულის ღმრთისაგან, ამინ.

ბეჭედი: **გრიგოლ**“ (ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, თბ., 1970, გვ. 815-816).

ბეჟან დადიანის ძეობას მარტვილის ორარის ერთ-ერთი წარწერა გვამცნობს. „ვინებე ოლარისა ამის შეკერვა მე ძემან დადიანის ბეჟანისამან ჭყონდიდელ მიტროპოლიტმან გრიგოლ“[1].

გრიგოლ დადიანი ჭყონდიდელი იხსენიება ერთ-ერთი წმ. გიორგის ხატის წარწერაში: „ქ: ღ თ და დადიანის ძე ბეჟანი ჭყონდიდელი მ[იტროპო]ლიტი გრიგოლის ბრძანებით შემკული ხ[ატი ესე მე] ხოშტარია თევდორემა ვინც წაიკი[თხოთ შენდობა ბრძანეთ]“, აქვე ექვთ. თაყაიშვილი მიუთითებს, რომ გრიგოლ ჭყონდიდელის ერთ-ერთი სიგელს უზის თარიღად 1760 წ.[2] როგორც ჩანს, გრიგოლ ჭყონდიდელი სავარაუდოდ 1777 წელს გარდაცვლილა[3]. ერთ-ერთ საბუთში კი პირდაპირ აღნიშნულია, რომ „1777-ს მიიცვალა დედოფალი მარიამი, მასვე წელსა მიიცვალა გრიგოლ ჭყონ[დ]იდელი“[4].

აბ. ტუღუშის გამოკვლევით, იმავე 1777 წელს ჭყონდიდლად აკურთხეს ანტონ I – ოტია დადიანის ძე, რომელიც 1789 წლამდე იჯდა ეპისკოპოსად. მას თავისივე სურვილით მიუტოვებია ტახტი და თავისავე აშენებულ ნახარებაოს ეკლესიაში გადასულა, ის გარდაცვლილა 1816 წელს[5]. ის მოხსენიებულია კაცია დადიანის 1784 წლის სიგელში ბიჭვინტისადმი[6]; 1803-1811 წწ. საბუთებში კი მთავარეპისკოპოსად, რომელსაც უკვე ხელს აწერს ჭყონდიდელი მიტროპოლიტი ბესარიონი[7].

აბ. ტუღუშის აზრით, 1789 წელს ჭყონდიდის ეპისკოპოსად აკურთხეს ბესანიონ I (1765-1828) კაცია დადიანის ძე. თუმცა ჭყონდიდლად კურთხევის ზემოთ მოყვანილი თარიღი არ უნდა იყოს სწორი, რამდენადაც ჭყონდიდლად ის უკვე 1788 წელს არის ნახსენები ჭალაგანიძეებისადმი ყმების სამსახურებისაგან განთავისუფლების წიგნში[8].

---

[1] ექვთ. თაყაიშვილი, მარტვილის მონასტერი, გვ. 34.

[2] ექვთ. თაყაიშვილი, არხეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნანი, გვ. 28.

[3] სიტყჳს გებაჲ ჰურიათა მიმართ, ინ ფოლიო, ნუსხა ხუცური, ორ სვეტად, 568 გვერდი. ბოლოს უწერია: „განსრულდა სადიდებელად ღ ა, მამისა და ძისა და სულისა წმიდისა, ბრძანებითა დიდისა უფლისა დადიანის ძისა ჭყონდიდელ მიტროპოლიტისა გრიგოლისითა: თთუჱსა აგჳსტოსა: ით: ჴელითა ჩემ ცოდვილისა ხუცესი მონაზონისა იოანესითა: რომელიცა ფრიად ვმოქენეობ მხილველთა შენდობისა ყოფასა ლოცვითურთ: ქკს ქ ესით: ჩღოზ: -“ (ექვთ. თაყაიშვილი, მარტვილის მონასტერი, გვ. 44).

[4] თ. ჟორდანია, ქრონიკები, III, თბ., 1967, გვ. 638.

[5] აბ. ტუღუში, დასახ. ნაშრომი, გვ. 230,

[6] ს. კაკაბაძე, წვრილი შტუდიები, საქართველოს ისტორიის საკითხების შესახებ, ტფ., 1914, გვ. 30.

[7] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. VI, ტექსტი, გამოსცა და შენიშვნები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, თბ., 1977, გვ. 447-448.

[8] „413. [ყმების სამსახურისაგან განთავისუფლების წიგნი ბესარიონ ჭყონდიდელისა ჭალაგანიძეებისადმი] [1788 წ. აპრილი]

ქ. ესე წყალობის წიგნი გიბოძე მე, დიდად სახელოვანისა ხელმწიფისა **დადიანისა კაციას** ძემან, ყოვლად სამღვდელომან **ჭყონდიდელ მიტროპოლიტმან** უფალმან **ბესარიონ** თქვენ, ჩვენთა ყმათა, **ჭალაგანის ლაზარეს** ძეთა: მღვდელს **სიმეონს** და შენს ძმას **ბასილს** და **მიქელას.**

ასე, რომ: ეკლესიის ჩვენისა კეთილად მსახურნი და ჩემიც, დიახ, ერთგულებით მაამებელნი იყვენით; და ჩემგან წყალობად ითხოვეთ თქვენის ყმების ჩვენის სამსახურისაგან განთავისუფლება და გარდაუწერეთ და გარდავაღეთ თქვენთა ყმათა ჩვენი სამსახური და ყოველივე საუდიერო საბოჭი ყოვლის ფერისა: ნადობა, ტვირთობა, სახლისკეთება, მჭადღომობა, ბაზიერის, მეჯინიბისა და მზარებულისაგან მოსაბოჭი რაც რამ ფერი, ყოველივე გარდაუწერე თქვენს ყმას **თოლიკავა თოფურიას, სიმონელა თოფურიას, ობიშხელა კესელავას** და მის წმისწულს **მამაშიას.**

აბ. ტუღუშის მართებული აღნიშვნით, 1792 წელს ჭყონდიდის საეპისკოპოსო ტახტზე უკვე ზის იოანე, რომელიც მანამდე ცაგერის ეპარქიას განაგებდა. ავტორი ამ ფაქტს, ანუ ბესარიონ I გადაყენებას, იმდროინდელ ოდიშის სამთავროში მიმდინარე პოლიტიკური მოვლენის პირდაპირ შედეგად მიიჩნევს. კერძოდ, 1792 წელს ნიკო დადიანის ცნობით, იმერეთის მეფის დახმარებით მანუჩარ II დადიანმა ოდიშის სამთავროს ტახტიდან ჩამოაგდო თავისი ძმა, მთავარი გრიგოლ დადიანი და სამთავრო გვირგვინს თავად დაეპატრონა. როგორც ჩანს, ბესარიონ ჭყონდიდელი გრიგოლ დადიანის ერთგული იყო და ამიტომ მანუჩარ II დადიანმა ის გადააყენა. ხოლო მის ნაცვლად ჭყონდიდლად იოანე ცაგარელი დასვა. იოანეს ჭყონდიდელობა, ავტორისავე აზრით, გრიგოლ დადიანის მიერ ტახტის დაბრუნებამდე ანუ 1799 წლამდე უნდა გაგრძელებულიყო[1].

შემდგომ ბესარიონ ჭყონდიდელი უკვე იხსენიება 1806 წ. 11 ივლისით დათარიღებულ განჩინების საბუთში ფაღავების მამულის საქმეზე[2]. ასევე ბესარიონ ჭყონდიდელი იხსენიება 1827 წ. 28 დეკემბერს საპიაგინის წერილში ლევან დადიანისადმი ჭყონდიდის მონასტრის ხარების ეკლესიაში სკოლის გახსნის შესახებ[3]. ბესარიონ ჭყონდიდელი გარდაცვლილია 1828 წლის 16 ივლისს[4] და გარდაცვალებამდე იყო ჭყონდიდის ეპისკოპოსი.

აბ. ტუღუშის მიხედვით XVII-XVIII საუკუნეში მოღვაწე ჭყონდიდელთა ქრონოლოგიური რიგი ასე გამოიყურება:

1) ევდემონ I აფაქიძე – ...1639-1644...

ჩვენი მოურავი და მოხელე და სხვა ჩვენი ხელობის კაცი მათს კარზედ აღარ მიდგებოდეს, მოყვრობით სტუმრობას გარდა.

და რადგან სამღვდელოთ იყვენით და ჩვენს სახლს სამდებელიობის(?) ჩვეულებაც აქვნდა, ამისად ნაცვლად დაგიდევით წირვა: ათი ბატონის **დადიანის კაცისათვის** და ათი ჩვენთვის; რომ თუ თქვენ და თქვენმა ძემა და მომავალმა არ მოშალოთ. არც ჩვენგან და არც ჩვენის შემდგომის ჭყონდიდლისაგან და არც სხვათა მეპატრონეთაგან თქვენ ეს წყალობა საუკუნოდ არ მოგეშალოსთ.

არის ამისი მოწამე...

აწ უკეთუ [ვინმე] ხელყოს დარღვევად მტკიცესა ამისა განჩინებისა, მოისპენ იგი პირისაგან ვითარცა უღმრთოჲ, რათა არა იხილოს დიდება ღმრთისა და მიიღოს ზეგარდმოჲსა მამისა მიერ რისხვა.

ჩღპ, აპრილს.

დადიანი კაცია

ბესარიონ ჭყონდიდელი მიტროპოლიტი" (ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, თბ., 1970, გვ. 973).

[1] აბ. ტუღუში, დასახ. ნაშრომი, გვ. 230-231.
[2] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, გამოსცა და შენიშვნები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, თბ., 1977, გვ. 369.
[3] ც. ქირია, მასალები საქართველოს ისტორიისათვის, თბ., 1967, გვ. 44-45.
[4] თ. ჟორდანია, ქრონიკები, III, თბ., 1967, გვ. 638.

2) (?) ჭილაძე – ...1661...
3) გაბრიელ I ჩიქოვანი – ...1665-1675...
4) ევდემოს II ჩხეიძე – მე-17 საუკ. 80-იანი წლები.
5) პეტრე ჭილაძე – ...1696-1700 ...
6) გაბრიელ II ჩიქოვანი – 1700-1714.
7) ევდემონ III ღოღობერიძე – 1714-1727...
8) გაბრიელ III დადიანი – ...1738-1760...
9) გრიგოლ დადიანი – 1760-1777
10) ანტონ I დადიანი – 1777-1789
11) ბესარიონ I დადიანი – 1789-1792 (პირველი ხანა).
12) იოანე დადიანი – 1792-1799
13) ბესარიონ დადიანი – 1799-1828 (მეორე ხანა)[1].

ჩვენს მიერ ზემოთ წარმოდგენილი მასალებით კი ის ამ სახით არის:

1) ევდემონ I აფაქიძე – 1644
2) ჭილაძე (იერემია?) – დაახლოებით 1661 წლამდე (ვამეყ დადიანის დროს 1658-1660).
3) ზოსიმე ჭყონდიდელი – XVII სს.
4) გაბრიელ I ჩიქოვანი – 1675-1680?
5) ევდემოს II ჩხეიძე – 1680-1696
6) პეტრე ჭილაძე – 1696-1700/1704
7) გაბრიელ II ჩიქოვანი – 1700/1704-1714
8) ევდემონ III ღოღობერიძე – 1714-1727
9) გაბრიელ III ბეჟან დადიანის ძე – /1726/7/8-1760
10) გრიგოლ დადიანი – 1760-1777
11) ანტონ I დადიანი – 1777-1788
12) ბესარიონ I დადიანი – 1788-1792 (პირველი ხანა)
13) იოანე დადიანი – 1792-1799
14) ბესარიონ დადიანი – 1799-1828 (მეორე ხანა).

შემდგომ, ექვთ. თაყაიშვილის მასალებით, 1830 წელს შემოვიდა მიტროპოლიტი დავითი, გავიდა იმერეთში 1834 წელს[2]. „ჩყლ (1830 წ.) ჩაბარდა დავით მიტროპოლიტს სრულიად მენგრელთა სამთავროჲსა სულიერი მწყემსთ-მთავრობა საჭყონდიდლო საცაგერლო და საცაიშლოცა ამას მიეცა (წ. ჟამთა)[3]. მორიც ვაგნერის ცნობით, „მოგვიანებით ის გადაუყენებიათ, რადგან ბრალად დასდეს მმართველი მთავრის დადიანის წაქეზება რუსეთის წინააღმდეგ და მისი ძმის გენერალ დადიანის მოწამვლა“[4].

---

[1] აბ. ტუღუში, დასახ. ნაშრომი, გვ. 231.
[2] ექვთ. თაყაიშვილი, არხეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნანი, გვ. 162.
[3] ქრონიკები, III, თბ. 1967 წ., გვ. 526
[4] მორიც ვაგნერი საქართველოს შესახებ, გერმანული ტექსტი თარგმნა, შესავალი, კომენტარები და საძიებლები დაურთო გ. გელაშვილმა, თბ., 2002, გვ. 143

ექვთ. თაყაიშვილის მასალებით, „შემდგომ ეპისკოპოსი გრიგოლი დადგინდა 1835 წ., გარდაიცვალა 1842 წ. 2 აპრილსა“[1], გრიგოლ 1834 წელს იყო ლეჩხუმისა და ჭყონდიდის არქიმანდრიტად[2].

გიორგი ჭყონდიდელი 1839 წ. მაცხოვრის ხატის წარწერაში იხსენიება სრულიად სამეგრელოს და იმერეთის ნაწილის მწყემს მთავრად – „ოდიშთა, ლეჩხუმთა, სვანთა და აფხაზთა და იმერთა ნაწილის და ჭყონდიდის ეპისკოპოსად“[3].

---

[1] ექვთ. თაყაიშვილი, დასახ. ნაშრომი; გვ. 162.

[2] „დიდი წიგნი და ფსალმუნთა გადაწერილი 1834 წ. იანვ. 23.

„სრულ იქმნა ძალითა ღ ისათა წელსა ქ ესით ჩყლდ: იანვრის კგ:

მე მისის უგანათლებულესობის რუსეთის ღენერალ ლეიტელანტის, და მრავალ ორდენთა კავალერის მქონეს. ჩემის ჭელმწიფის დადიანის ლეონის მოძღვარმ ნ. ლეჩხუმთ ორთა. მონასტერთა გ ნმაშვენებელმ ნ საირმის და ნამარნევის უდაბნოთ მამამ, და სრულიად ლეჩხუმისა და ჭყონდიდლის საეპარხიოს არხიმანდრიტმ ნ გიორგიმ. ვიღვაწე სულთა გ ნმანათლებელი წიგნი ესე დავითნის თარგმ ნი, და დავ წერინე ჩემგ ნ მოყუანილს და დადგინებულს. ჩემს მონასტერშიდ მცხოვრებს მდივანს მიქელაძე ბერს გრიგორის. ჩემის ქაღალდით და მელნით. და ს დის სასყიდლის მიცემით. და აწ გვხოვ ყ თა მხილველთა და აღმომკითხველთა ამისთა: ცხოვნებას და შ ნდობას მიბრძანებდეთ:“

„წელსა ჩყმბპ-სა ოკდონბრის ივ-ს

ეს დავითნის თარგმანი. განსვენებულის გიორგის ეპისკოპოზის იყო, და მე არხიმანდრიტმან ბესარიონმან დავსდევი. მარტვილის მონასტერშიდ, სულისა მისისა საოხად და მოსახსენებლად, და ვინთ ეს დავი[თ]ნის თარგმანი გამოიტანოს ამ ეკკლესი[ი]დამ. შეჩვენებული იყოს სულით და ხორცით აქაცა და მერმესა. მას საუკუნესა –

ხობის მონასტრის არხიმანდრიდი და დროებით მენღრელი[ი]ს. საეპ[ა]რხიოსა მართველი ბესანიონ“ (ქრონიკები, III, თბ. 1967 წ., გვ. 585-586).

[3] 1) ყოვლად წმინდანო დედაო ღ თისა და მაცხოვრისა ჩვენისაო მარიამ მე მდაბალმან ეპისკოპოსმან ჭყონდიდელმან სრულიად სამეგრელოჲსა და ნაწილთა იმერეთისა მწყემს მთავარმან გიორგიმ მოვაჭედინე

2) ხატი ღვთისა ჩვენისა და ძისა შენისა და შევამკე ბრწყინვალითა თვალითა და მარგალიტითა და დავასვენე წ ს ა ეკლესიასა შ ა შენსა მარტვილს სადღეგრძელოდ და განსაძლიერებლად მთავრისა.

3) ჩვენისა ლეონ გრიგოლის ძის დადიან სა და საოხად სულისა ღ თისადმი განსვენებულის დედოფლისა ჩვენისა მართასი და სადღეგრძელოდვე მემკვიდრისა მათისა დავითის და მეუღლისა მისისა ეკატ

4) ირინასი და ძეთა და ასულთა მთავრისათა გრიგოლ კოსტანტინე ნინია და ეკატერინასა და სულისა ჩემისა საოხად წელთა შობითგან ქრე სა ჩყლთ-სა წელსა მთავრობასა დადიანის ლეონისასა ოცდამე

5) თექვსმეტესა. ხოლო მწყემს მთავრობასა ჩემსა მეხუთესა, მაცხოვარო ქრისტე ღმერთო შეიწყალე სახისა შენისა გამომხატველი და ამომყვანი მონა შენი მეუნარგია პაპუ.

ზემოაღნიშნული ხატი გაკეთებულია 1849 წელს პეპუ მეუნარგიას მიერ, რომელიც ცნობილი ოქრომჭედელია სამეგრელოში მე-XIX საუკუნის პირველ ნახევარში (ექვთ. თაყაიშვილი, მარტვილის მონასტერი, გვ. 18).

15. ცხოვრება გიორგი მთაწმინდელისა, ფურცელს ბოლოს უწერია: „წელსა ჩყლთ-სა, თვესა მაისსა კა-სა, თჟ ნ ყოვლად უსამღვდელოესობავ სრულიად მენღრელთა სამთავროთა მწყემს მთავარო, ესე იგი ოდიშთა, ლეჩხუმთა, სვანთა და აფხაზთა და რაოდენთამე ნაწილთა იმერთა და ჭყონდიდისა ეპისკოპოზო და კავალეროსო გიორგი, ვინათგან უფროს ყოველთა შესაწირავთასა სურს სამღთოსა მას სულსა თქუენსა სამღ თოჲსა წერილსა შესწირვა და საქმეთა წ ათა ღ თ შემოსილთა მამათა ბაძვა და ღმერთ მყოფელი მოწყალება ბუნების უმეტესი აქვს თვალთა თქვენთა და თვალნი სულისანი ზე გაქვსთ მიურულებელნი, ხოლო ნივთთა სოფლიოთა უღონო ქმნილმან, გარნა თქვენ ყოველთა უფროს ოქროთა და ანთრაკთა

ექვთ. თაყაიშვილის მიხედვით, 1843 წელს გიორგი ჭყონდიდელს ცვლის ეპისკოპოსი ანტონი, რომელიც გარდაიცვალა 1852 წლის 9 დეკემბერს[1].

ი. მეუნარგიას აღნიშვნით, სამმართველოს მთავრის საქმეებიდან ჩანს, რომ „სამეგრელოს ეპისკოპოსი გიორგი გარდაიცვალა 1842 წ. თანახმად უმაღლესის ბრძანებისა 14 ნოემბრიდამ 1842 წ. ცაგერის არხიმანდრიტი ანტონი ეკურთხა სამეგრელოს ეპისკოპოსად სიონის სობოროში 14 თებერვალს, 1843 წ. ხსენებული ეპისკოპოსი გარდაიცვალა 9 დეკემბერს 1852 წ. და დაასაფლავეს 19 დეკემბერს დავით მიტროპოლიტმა, გურიის ეპისკოპოსმა ექვთიმემ და აფხაზეთისა – გერმანემ. მთავარმა ითხოვა ეკურთხებინა მის ადგილზე **ცაიშის** არხიმანდრიტი ზაქარია, მაგრამ სანამ ნამესტნიკს ამაზე ქაღალდი მიუვიდოდა, ისიდორე ექსარხოსს იგი უკვე წარედგინა სინოდში კანდიდატად და შემდეგს 1853 წელს 7 ივნისს, იგი ხელ-დასმულ იქმნა სამეგრელოს ეპისკოპოსად სიონის სობოროში. ზაქარია ეპისკოპოსი გარდაიცვალა სალხინოს სასახლეში 5 მარტს 1854 წელს. 8 სექტემბერს 1854 წელს მის ადგილზე ხელ დასმულ იქმნა სამეგრელოს ეპისკოპოსად არხიმანდრიტი თეოფანე“[2].

ანტონ დადიანი მოხსენიებულია 1847 წლის დიდი ოთხთავის ხელნაწერში: „მთავრინა ეკატერინამ განვაახლე ომფორი ესე მარტვილისა ეკლესიის წელსა ჩყმზ ჭყონდიდის ძისა ანტონის დადიანისა“[3]. ამავე დროს 1849 წელს დათარიღებული დოქის მინაწერში გვაქვს „ჭყონდიდელი ანტონი დადიანოვი 2. ჩყმთ-სა წ ა“[4].

ანტონ ჭყონდიდელი მოხსენიებულია ერთ-ერთ სადღესასწაულო წიგნშიც: „1850-სა წელსა მივიღე წიგნში ესე ძმისა ჩემისა პეტრე ნიკოლოზის ძის დადიანოვისაგან მე ეპისკოპოსმან ჭყონდიდელმან ანტონიმ და რომელი ეკლესიაზედ მე დავიმარხო, ვინც ეს წიგნი იმ ეკლესიას გამოახჯას, შეჩუწნებულ იყოს ღჯთისაგან. ეპისკოპოსი მენდრელიისა ჭყონდიდელი ანტონ“ [5]. ასევე პარაკლისს ყოვლად წმინდისათვის ნუსხა-ხუცურად აწერია: „ადიდე ღმერთო ორთავ სუფევათა შინა მადიდებელი შენი ჭყონდიდელი ანტონ, რომლისა ბრძანებითა აღიწერა მონისა მისისაგან წმინდა საღმრთო ესე პარაკლისი მონასტერსა შინა ნამარნევისას, ჩყმზ-სა მაისის ლა-სა“[6].

ანტონ ჭყონდიდელი დაკრძალულია მარტვილის ტაძარში კანკელის წინ, სადაც ნაპოვნია ასეთი წარწერა: „აქა განისვენებს ყ დ სამღვდელო ჭყონდიდელ ანტონ დადიანის ძე და კავალერი ორმეოცდა ათექვსმეტისა წლისა, ცხრა წელსა ათ თთუ8 მწყემსმთავრად მგებარე. გარდაიცვალა 1852 წელსა დეკემბრის 9; ხოლო ფიქალო ასე დავსდე მთავარმა მენგრელიის დავით დადიანმა“[7].

ანტონ ჭყონდიდელი მარტვილის მონასტრის საკუთრხეველში ეპისკოპოსის საჯდომი სავარძლის წარწერაშიცაა მოხსენიებული: „შენ სცან, უფალო, დაჯდომა ჩემი

ესე ვითართა მწადელსა მოგართვით ესე სამღთო წიგნი და შეიწირეთ მსგავსად ქ ესა, ვითარცა ქვრივის მიერ. მონა თქვენი რომანოზ დაყუდებული მარტვირის სვეტისა“.

16. ცხოვრება გიორგი მთაწმინდელისა გადაწერილი მხედრულათ 1838 წელს იმავე რომანოზის მიერ, რომელსაც გადაუწერია წინა ხელთნაწერი (ექვთ. თაყაიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 43).

[1] ექვთ. თაყაიშვილი, არხეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნანი, გვ. 162.

[2] ი. მეუნარგია, დასახ. ნაშრომი, გვ. 141-145.

[3] ექვთ. თაყაიშვილი, მარტვილის მონასტერი, გვ. 30.

[4] ექვთ. თაყაიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 29.

[5] ექვთ. თაყაიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 49.

[6] ექვთ. თაყაიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 67.

[7] ექვთ. თაყაიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 74.

და ადგომა ჩემი! უფალო მოიჴსენე ანტონი და სიმშვიდე მისი ქ. მაღალი ყოვლად სამღვდელო მინგრელიის ეპისკოპოსს მიუძღვენი წვდილლსა ამას ჩემ მიერ ნაშრომსა სოფია პაატას ასული კნეინა ელიზბარ დადიანისა მენგრელიის ეპისკოპოსის ანტონის სულის საოხად ჩყნგ“[1].

შემდგომი ჭყონდიდელი და სამეგრელოს ეპისკოპოსი გახლავთ ზაქარია, რომელიც ეკურთხა 1853 წლის 11 ივნისს და მალევე 1854 წლის 5 მარტს გარდაიცვალა[2].

შემდგომი ეპისკოპოსო იყო თეოფანე, რომელიც ეკურთხა 1854 წლის 8 სექტემბერს და გარდაიცვალა 1859 წლის 1 ივლისს [3], თუმცა აღსანიშნავია, რომ 1853 წლით დათარიღებულ ერთ-ერთ შეწირულობის წიგნს ამოწმებს „მენგრელიის ეპისკოპოსი ჭყონდიდელი თეოფანე“[4].

შემდგომი ეპისკოპოსო გახლავთ გერონტი 1860 წლიდან, რომელიც 1863 წელს საქართველოს ვიკარად განუწესებიათ[5].

შემდგომი ეპისკოპოსი არის ბესარიონი, რომელიც ეკურთხა 1863 წლის 1 იანვარს, გარდაცვლილა 1864 წლის 15 დეკემბერს.

შემდგომი ეპისკოპოსი არის ტარასი, რომელიც აკურთხეს 1865 წლის 29 აგვისტოს და გარდაცვლილიყო 1871 წლის 4 იანვარს[6].

XIX საუკუნის სამეგრელოს ეპისკოპოსთა ანუ ჭყონდიდელთა ქრონოლოგია ასეთია:

მიტროპოლიტი დავითი – ჭყონდიდელი, ცაგარელი, საცაიშელო მიტროპოლიტი, სრულიად სამეგრელო – 1830-1834,

გიორგი – 1834-1842,

ანტონი – 1843-1852,

ზაქარია – 1853-1854,

თეოფანე – 1854-1859,

გერონტი – 1860-1863,

ბესარიონის – 1863-1864,

ტარასი – 1865-1871.

XVIII საკუნეზე ადრინდელი ცნობები ჭყონდიდის საეპისკოპოსოს საზღვრებზე არა გვაქვს. მისი საზღვრები უნდა მოიცავდეს მდ. ცხენისწყლის მარცხენა სანაპიროსაც

---

[1] ექვთ. თაყაიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 33.
[2] ექვთ. თაყაიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 162.
[3] ექვთ. თაყაიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 162.
[4] ექვთ. თაყაიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 43.
[5] ექვთ. თაყაიშვილი, არხეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნანი, გვ. 162
[6] ექვთ. თაყაიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 162.

აღმოსავლეთით, ხოლო დასავლეთით მდ. ტეხურის და აბაშის ხეობამდე, სამხრეთით მდ. რიონის მარხენა სანაპიროს სოფლების ჩათვლით.

ვახ. ბატონიშვილის აღწერილობით, „... მუნ ეპისკოპოზი, და აწცა არს მწყემსი უნაგირის აღმოსავლეთისა ცხენისწყლამდე. ამათ დასავლით დის მდინარე აბაშა“[1].

XIX საუკუნის საჭყონდიდლოს საზღვრებზე ზოგად წარმოდგენას გვიქმნის ზოგიერთი დოკუმენტური მასალა, მაგალითად, „განჩინება ბესარიონ ჭყონდიდლისა და ფაღავების მამულის საქმეზე“ [2], საიდანაც ჩანს, რომ სეფიეთის ეკლესია და მისი

[1] ქართლის ცხოვრება, ტ. IV, თბ. 1973, გვ. 775-779.

[2] „ქ. მათი ყოვლად სამღუდელოება უფალი **ჭყონდიდელი** მიტროპოლიტი **ბესარიონ** და **ფაღავები – პეპუ მურძაყანის** შვილები და **ზაალის** შვილები – გაიბჭვენ.

ჭყონდიდელმან იჩივლა: პირველთგანვე ჩვენი ეკლესია ერთ მთავრობაში აღშენებული ყოველთავე იციან; და აგრევე **სეფიეთი** სოფელი აზნაურითა და გლეხებით იმ ეკლესიის ყოფილა, თავისის საკმაოთ ალაგ-მამულითა და საყანით თუ ტყით: და იმ დამითგან ჩვენს ეკლესიასა და მათს ყმებს მოდავე და მოცალე არავინ გამოსჩენია. დღეს თქვენ მიდით და ჩემს უდავებელსა და უცილობელს ალაგშიდ გლეხები ჩამისახლეთ. მე მაშინვე დაგითხოვეთ, ნალიაებიც გავაწევევინეთ, მაგრამ არ გარდამეცალეთ და მიზეზი რა გაქუსთ, არ ვიციო.

ფაღავებმან უპასუხეს: ჩვენ თქვენის ეკლესიის საწყენი და თქვენი შესაცოდებელი საქმე თუ რამე ვქენით, არ ვიციოთ. ერთი ჩვენი სასაკუთრო და კაცისაგან შემოუცილებელი ვერანი ალაგი იყო და დღემდის სახმარად არ დაგვჭ[ი]რვებია და ახლა გლეხები შეგვიწუხდა სამოსახლოდ და ჩვენს საკუთარს ალაგშიდ ჩვენი გლეხები დავასახლეთ, მართალი არისო.

ჭყონდიდელმან აშორო სთქვა.

აგრევე **ფაღავებმაც აშორო სთქვეს**: „ეკლესიის არაოდეს არ ყოფილიყოს და არც სეფიეთელის კაცის ალაგი ეს იყოს, რაც ახლა ჩვენ რომ სოფელი გვაქვს **ბანძა** და მოსახლეობა რომ გაქვს **ნაშეგელუ,** ამისი ალაგი არ არის, დამსახლებელის ბატონის წყალობით არა გვაქვს, არც საჭყონდიდლო იყოს და არც საეკლესიო“.

ჩვენ დავხედეთ, მაგრამ ჭყონდიდის ეკლესია ერთმთავრობისა და მეფობის ჟამშიდ აღშენებული და განმდიდრებული დარჩა და ფაღავები უფრო ჩვენის ქვეყნის მპყრობელისაგან დასახლებული და რჩენილი არის. და ამ პირველობისათვის აშორი ეკლესიასა და მასზედ მდგომს საეკლესიო ძველის მოსახლე კაცების მახლობელიც არის და აშორო ვეღარ წავართვით.

აწ ამ ალაგებზედ მივიდენ, ხატი ფაღავებმან მიუსვენოს და ის ალაგი დამფასებელისაგან დაფასდეს და რამოდენის ათის მარჩილის იქნეს, იმოდენი სეფიეთელი გლეხი კაცი და ან ამავალი აზნაური იქაურივე ასე შეიფიცოს ფაღავებს, რომ: „ახლა ჩვენ რომ ალაგი შემოვიარეთ არასდროს დადიანის სახასო ალაგი ეს არ ყოფილიყოს. არც **ნაშენგელუს** შემავალი ადგილი ეს იყო და არც არას ფაღავას ამაშიდ ხელი ქონდეს. რაც მკვიდრი საეკლესიო საჭყონდიდლო ადგილი არ არის“.

თუ ასე იფიცონ, მას მერმეთ ის შემორებული ნაფიცი ალაგი ხელშეუვალთ ეკლესიას დარჩეს და ფაღავებმა ხელი ააღოს და გლეხებიც გარდააცალოს. შენობა რომ რამე ყოფილიყო, ისიც სამართლის წიგნის ბრძანებით ეკლესიას დარჩებოდა, მაგრამ აღარაფერი შენობა არის.

და ყანები რაც არის დღეს, იმისაგან ჭყონდიდელმან წლეულს მოდი აიღოს და სამერმიოთ და საუკუნოდ ალაგებიც შერჩეს.

თუ სეფიეთელი კაცი ვერ აუვიდეს, სხვა საეკლესიო კაცი შემოიმატონ მოფიცრათ. თუ ვერ იფიცონ, ფაღავას დარჩეს. ქრისტეს აქეთ **ჩყვ,** ივლის[ს] **ია, ბანძას.**

მიმდგომი სოფლები თავისი ყმებით ჭყონდიდლის კუთვნილება იყო. ზემოთ ჩვენს მიერ წარმოდგენილი ერთ-ერთი საბუთი კი ამტკიცებს, რომ ის თავის დროზე ჭილაძეებს შეუწირავს ჭყონდიდისათვის.

ამ საბუთში ჩანს ასევე დავა ხაინდრავებსა და ჭყონდიდელს შორის თავის დროზე ჭყონდიდელისთვის შეწირული საეკლესიო ადგილებზე. ეს ტერიტორია ალბათ მოიცავდა მდ. ნოღასა, ცხენისწყალსა და დღევანდელ ლეხაინდრაოს შორის მდებარე სოფლებს. ჩვენ არ ვიცით თუ შემდგომ როგორ გადაწყდა ეს დავა მაგრამ ეს რომ საჭყონდიდლო იყო თავის დროზე და უშუალოდ ჭყონდიდლისათვის რომ იყო შეწირული ეს უდაოა; ამავე დროს ამ საბუთიდან აშკარად ჩანს ამ დროისათვის ჭყონდიდელის და მთავრის ინსტიტუტის დაქვეითება სამეგრელოში და ცალკეულ გვართა გაძლიერება და კერძო მესაკუთრული ინტერესები[1].

რვა ბეჭედი:

1. სრულიად ოდიშის **დედოფალი ნინა.**
2. **დადიანი ლეონ**
3. **ბატონიშვილი გიორგი**
4. არ ირჩევა
5. **ცაიშელი** მიტროპოლიტი **გრიგოლ**
6. **ბატონისშვილის დავით**
7. სახლთხუცესი **ჩიქოანი გიორგი**
8. **იოსელიანი ბერი"** ქართული სამართლის ძეგლები, ტ. VI, ტექსტი გამოსცა და შენიშვნები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, თბ., 1977, გვ. 368-370).

[1] „განჩინება მთავარეპისკოპოს ანტონისა და ხანიდრავების მამულის საქმეზე. 1803-1811 წწ.

ქ. უფალი **მთავარეპისკოპოსი ანტონი** მოდგა და კურთხეულის **დადიანის კაციას** შეწირული ადგილის დავთარი მოიტანა **საკვარნახოუს** ალაგის შეწირულობის და თავისი ადგილი გამოითხოვა, რომელიც დადიანის კაციას შეეწირა. და ის დავთარი ჩვენ წავიკითხეთ და ასე სწერია, რომ თავისის სამართლიანის საზღვარი შემომიწირავსო.

და ამ საქმეზედ ჩვენ წავედით და, რომელიც იმ ნაკვარნახოუს ადგილის მოსაზღვრე იყვნენ, **ხანიდრავებიც** თან წავიტანეთ: და **დეიფანსა** და **ცხენისწყალს** შუა ნაკვარნახოუთ დასდვეს იმ ადგილების მოსაზღვრემ.

და **ნოღელასა** და დეიფანს შუა თავის საკუთრათ სთქვეს **ხანიდრავებმა,** ასე რომ: „ჩვენი ძველი და ახალი რომელიც კი ვყოფილვართ, მისდღეჩი ეს ადგილი ჩვენი ყოფილა და ამით ვრჩენილვართო; და დღეს რა დღეს რა სადეო აქვს მთავარეპისკოპოს[ს] ამ ადგილზედაო".

ამ სიტყვაზედ **მთავარეპისკოპოსმა** თავისი მოურავი გაგვატანა ადგილის დასარებათ, და ცხენისწყალს აქეთ **დეიფანის** ღელე რომ ჩამოდის, იმ საზღვარს გამოღმა გამოვა და ნოღელამდის მთლად ნაკვერნახოუთ იდევა და ასე სთქვა, რომ: „ამ ადგილიდამ მრავალჯერ მოდი წაგვიღია და ეკლესიის შეწირული ადგილიც არისო; და შარშან კიდე ერთობით ხარინდრავებმა და ჩვენაც ერთად შემოვიარეთ, ბატონის კაციც იყო და ის ადგილებიც დავიარეთ; და ნოღელასა და დეიფანს შუა მომცროს მეტი ეკლესიისათვის დასდევით და ასე სთქვით, რომ ეს ადგილი ეკლესიის არისო და დღეს ვარს რატომ ამბობთო".

და ამაზედ **ხანიდრავებმა ვარი სთქვეს,** ასე რომ: „ეს ადგილი ეკლესიის არის-თქვა, არც ის სიტყვა შანშან ჩვენ გვეთქვას, არც აქედამ მოდი წაგეღოსთ, არც ნაკვარნახოუ იყოს და არც დადიანს ეს ადგილი ეკლესიისათვის შეეწიროს, რაც ჩვენი საკუთარი არ არისო".

და ამ საქმეზედ თითონ ჩვენ დავიარეთ ის ადგილი და ათას მარჩილით დავაფასეთ; და ფიციც ამ რიგათ გავაჩინეთ: წამოდგეს ხანიდრავები, რომელიც თავ-თავი კაცი იყოს, თითოს

საკითხთან მიმართებაში ამავე დროს საინტერესოა კ. ბოროზდინის ცნობა, რომ „...მარჯვენა ნაწილი ცივის-წყლიდან (ზუგდიდის ოლქის საზღვარი) სოფელ თეკლათიდან იწყებოდა. სადაც, თავადნი მხეიძენი სცხოვრობდენ; მათს იქით, ზღვისკენ – თ-დნი ჯაიანნი, ქოჩაქიძენი და მიქაძენი სცხოვრობდენ. მათი მამული მდ. რიონამდე სწვდებოდა, მერე იწყებოდა დიდი საეკკლესიო მამული, საჭყონდიდლო, რომელიც რიონის ნაპირად იდო, სოფ. ჭალადიდთან. საეკლესიო მამულის სამხრეთით, რიონის აყოლებაზე, ქუთათისის გუბერნიის საზღვრამდე, საჭილავო იყო, სადაცა სცხოვრობდენ აზნაურები: კორზაიები, ნანეიშვილები და სხვა...“ [1]. „...ბანძის აღმოსავლეთის მეორე საეკლესიო მამული იყო. ამ მამულის შუაგულში, მაღალს გორაკზედ, აღმართული იყო მარტვილის მონასტერი, ჭყონდიდელის რეზიდენცია და სავანე სამეგრელოს მთავართა. ამ მონასტერში სასულიერო სასწავლებელიც იყო. ეს იყო ერთად-ერთი რუსული სასულიერო სასწავლებელი, თუ გნებავთ, რუსული აკადემიაცა, სადაც რის ვაი-ვაგლახით რუსულ ენასსწავლობდნენ“[2].

ვფიქრობთ, კ. ბოროზდინი არ ცდება იმაში, რომ საჭყონდიდლოს საზღვრები მდ. რიონამდე წვდებოდა, მაგრამ რამდენად შედიოდა მასში ჭალადიდი (ანუ იგულისხმება ალბათ სენაკის რ-ნის სოფ. ჭალადიდის მუხური და არა ხეობის რიონის ჭალადიდი), საკმაოდ საეჭვოა; ხოლო საზღვრი ბანძაზე ანუ „ბანძის აღმოსავლეთით“ კი არ უნდა გავავლოთ, რადგან სოფელი ძანძაც და ტერიტორია მდ. ტეხურამდე საჭყონდიდლო უნდა ყოფილიყო.

ბ. კუდავას აღნიშვნით, ჭყონდიდის საზღვრები – უნაგირის ქედიდან (ან მდ. ჭანისწყლიდან მდ. ხობიდან) მდ. ცხენისწყლის საზღვარი და მდ. რიონი უნდა ვიგულისხმოთ[3].

ვფიქრობთ, საჭყონდიდლოს საზღვრები შუა საუკუნეებში უნდა ყოფილიყო მთლიანად დღევანდელი მარტვილის რაიონის საზღვრებში, მდ. ტეხურის ჩრდილო-დასავლეთის ტერიტორიის ჩათვლით (კიწია, ნოღა, გოდოგანი-კურზუ, ბალდა, გურძემი,

---

ოჯახიდამ თითომ და რვა ხანიდრავა უნდა იქმნეს, და ამასთან სამოცი სხვა გლეხი კაცი და ან ამავალი აზნაურიშვილი, და ასე სამართალი მისცეს მთავარებისკოპოს[ს]:

„თქვენ რომ დეიფანს გამოღმა ნაკვარნახოუთ სდეობთ და ხატისათვის სდებთ, რაც დეიფანს გაღმა არ არის თქვენის ეკლესიის შეწირული და კვარნახისსოული ადგილიც გამოღმა არც მისდღეჩი დადიანს ეკლესიისათვის შეეწიროს, არც აქამდე მთავარეპისკოპოს[ს] მოდი წაედებინოს, არც შარშან ჩვენ ეს გვეთქვას, რომ ნოღელასა და დეიფანს შუა ეკლესიის არის თქო და არც ეს ადგილი კვარნახისსოული იყოს“.

თუ ასე უფიცონ, ხანინდრავებს დარჩეს. და თუ ვერ უფიცონ, ეკლესიის შეწირული ყოფილა და ისევ ეკლესიისთვის იყოს, რომ კაცი ვერ მოედავება.

სამი ბეჭედი:

1. სრულიად ოდიშის **დედოფალი ნინა**
2. ჭყონდიდელი მიტროპოლიტი **ბესარიონ**
3. **ბატონიშვილი ნიკოლოზ“** (ქართული სამართლის ძეგლები, ტ. VI, ტექსტი გამოსცა და შენიშვნები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, თბ., 1977, გვ. 447-448).

[1] კ. ბოროზდინი, სამეგრელო და სვანეთი (1854-1861) მოგონებანი, თარგმნილი თ. სახოკიას მიერ, მეორე გამოცემა, თბ., 2004, გვ. 233.

[2] კ. ბოროზდინი, დასახ. ნაშრომი, გვ. 255.

[3] ბ. კუდავა, დასახ. ნაშრომი, გვ. 113.

თამაკონი და ა. შ. ჩათვლით), ხოლო აღმოსავლეთით ძირითადი ხაზი ალბათ მდ. ცხენისწყალზე გადიოდა, მაგრამ ჩვენ არ გამოვრიცხავთ, რომ ცხენისწყლის გადაღმაც ჩრდილოეთის ზოლიდან მოყოლებული კინჩხა, გორდი, სამხრეთით ილორამდე საჭყონდიდლო ყოფილიყო, ანუ ქუთაისის, ხონის და ცაგერის საეპისკოპოსოს დაარსებამდე; სამხრეთის საზღვარი კი, არა თუ მდ. რიონზე უნდა გასულიყო, არამედ ის მოიცავდა მთელი დღევანდელი აბაშის რაიონს და ამავე დროს რიონის მარცხენა მხარეს მდებარე სოფლებს – გულეიკარს, წელიკარს, კეთილარს, კოდორს და შესაძლოა თავის დრომზე სამხრეთ-დასავლეთით ჭალადიდის მუხურამდეც კი აღწევდა.

ი. მეუნარგიას ცნობით, „დავით დადიანის დროს სამეგრელოს სამწყსო შეადგენდა ერთს ეპარხიას, რომლის კათედრად იყო მარტვილის სობორო. მეცხრამეტე საუკუნის ორი სხვა ეპარხიები სამეგრელოსი – ცაგერისა და ცაიშის – მამა მისის ლევან დადიანის დროს იყვნენ გაუქმებულნი. სამეგრელოს სამთავროში – ოდიშ-ლეჩხუმს დავითის დროში იყო: სამრევლო ეკლესიები – 242; სასახლის ეკლესიები – 32; სასაფლაო ეკლესიები – 6; ზედმიწერილი ეკლესიები – 28; ამათ რიცხვში: ქვითკირის ეკლესია – 150; ფიცრისა – 148“[1].

* * *

მარტვილის მონასტერი ქართული კულტურის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კერა იყო. იქ სხვადასხვა დროს გამორჩეული პიროვნებები ეწეოდნენ კულტურულ და საგანმანათლებლო საქმიანობას, რომლებმაც ხელოვნების არა ერთი ბრწყინვალე ძეგლი შექმნეს.

ვ. ბერიძის აღნიშვნით, „ივანე დიაკონი – შესანიშნავი ოქრომჭედელი. ცხოვრობდა XI ს-ში. ავტორი მარტვილის საწინამძღვრო ჯვრისა, რომელიც XI ს-ის მეორე მეოთხედშია შესრულებული. ჯვრის უკანა მხარეს, გარე კონტურის შემოყოლებით, მოთავსებულია წარწერა, რომლის თანახმადაც ეს ჯვარი „შექმნა“ „გლახაკმან არსენი, ძემან ვაჩე მარხუელისამან... სადიდებელად და სალოცველად – ადიდენ ღმერთმან – ძრიელისა ბაგრატ მეფისა და კურაპალატისა და შვილთა მათთა... შეიქმნა ჭელითა ივანე დიაკონისაჲთა“. აქ მოხსენიებული მეფე არის ბაგრატ IV (1027-1072). მისივე თქმით, მარტვილის ჯვარი თავისი ფორმით ისეთივეა, როგორიც სხვა ქართული საწინამძღვრო ჯვრები – ტარზე წამოცმული, უფრო გრძელი ქვემო მკლავითა და თანაბარი ზემო სამი მკლავით; მკლავების ბოლოები ფართოვდება და ყოველ კიდეში ფოთლოვანი ყუნწები აქვს გამობმული. ჯვრის ზომაა 55X36 სმ. წინა პირზე შუაგული უჭირავს ჯვარცმული ქრისტეს რელიეფურ გამოსახულებას. მისი გაშლილი ხელების გასწვრივ, ე. ი. ჯვრის განივი მკლავების ბოლოებში, გამოსახული არიან თითო ანგელოზი (წელზევით), მარიამი და იოანე, ზემო მკლავი უჭირავს ქრისტე ყოვლისმპყრობელის ფეხზე მდგომ

[1] ი. მეუნარგია, გვ. 141-145.

მთლიან ფიგურას (ორი წელზევითი მთავარანგელოზით თავთან), ქვემო მკლავი – წვეროსანი წმინდანის მთლიან ფიგურას, ბასილი დიდისა და გრიგოლის წელზევითს ფიგურებს. ჯვრის არე ორნამენტითაა დაფარული. ზურგის მხარეს მთელი არე უჭირავს ვირტუოზული ბრწყინვალებით შესრულებულ მცენარეულ ორნამენტაციას (წარწერა არშიაზეა). მისივე თქმით, ივანე დიაკონი ქართული ოქრომქანდაკებლობის განვითარების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საფეხურის თვალსაჩინო წარმომადგენელია. იგი მოღვაწეობდა იმ დროს, როცა ჩვენს ოქრომჭედლობაში (ისევე, როგორც ხისა და ქვის რელიეფებში) მკაფიოდ წამოიწია წინ პლასტიკური, ე. ი. საკუთრივ სკულპტურული, გამოსახვის ამოცანა. ამას განსაკუთრებით კარგად გვიჩვენებს ჯვარცმული ქრისტეს ფიგურა, რომელიც მაღალი რელიეფითაა შესრულებული; სხეული მოდელირებულია, პროპორციები სწორია, მარტვილის ჯვრის ფიგურებში აისახა ახალი ეპოქა, რომელსაც საზეიმო და მონუმენტური ხასიათის გამოსახულება აინტერესებს. ჯვარცმულის ფიგურის ხაზები მშვიდი და ჰარმონიულია, ოსტატს არც უცდია ტანჯვა ან, თუნდაც, სხეულის ოდნავი დაძაბულობა გადმოეცა. სრულიად აღარ ჩანს ის ემოციურობა, ხაზგასმული ექსპრესიულობა, რომელიც ახასიათებს ორმოცდაათიოდე წლით ადრე შესრულებულ იშხნის ჯვარს“[1].

გ. ჩუბინაშვილი, რომლებმაც ივანე დიაკვნის ნაწარმოები სტილისტური თვალსაზრისით დაწვრილებით განიხილა, აღნიშნავს, „თუმცა გამოსახულების დოგმატურ-რელიგიური სქემა მზამზარეულადაა აღებული ქრისტიანულ ხელოვნებაში (ბიზანტიაში) შემუშავებული რეპერტუარიდან, თვით ამ ჯვრის გააზრება და მხატვრული შესრულება ავტორის სრულ შემოქმედებითს თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას მოწმობს“[2].

„იოანე მესტვირე – კალიგრაფი. ცხოვრობდა XI ს-ში. მოვაწეობდა ჭყონდიდში (მარტვილში). აქ მისი სამყოველი ყოფილა სვეტი (კოშკი). მუშაობდა ვინმე ფარჯანიანის ოჯახისათვის 1030-1031 წელს ვახტანგ ფარჯანიანის შეკვეთით გადაწერა პატარა აგიოგრაფიული კრებული, რომლის ბოლოშიაც ასეთი მინაწერია: „დაიწერ სუეტსა ზედა ჭყონდიდისა, ადიდენ ღმართმან, მეფობასა ბაგრატ კურაპალატისა, ინდიგტონსა (სიც): დ: ქრონიკონსა სნა, ჭელითა იოვანე მესუეტისათა. ღმერთმან დაგაჯეროს, ლოცვა ყავთ“ (ინდიქტონი – ე. ი. მეფობის წელი – 1030 წელს მიგვითითებს. ეს მცირე ზომის წიგნია (17,3X12,2 სმ), 117 ფურცლისგან შედგება, ნაწერია ყავისფერი მელნიც, კუთხოვანი ნუსხურით ერთ სვეტად, ნუსხურის კვალობაზე ძალიან მსხვილი და სქელი ასოებით. ოცი წლის შემდეგ, 1050 წელს, იოანე მონაწილეობდა ოთხთავის გადაწერაში. ეს წიგნი მარტვილის ოთხთავის სახელითაა ცნობილი. ანდერძში ნათქვამია, „მე ივანე ფარჯანიანმა დავიწერე წმიდაჲ ესე სახარებაჲ სალოცველად თავისა და სულისა ჩემისა და ძმათა და შვილთა ჩემთა...“ ცოტა ქვემოთ იხსენიებიან გადამწერნი, „დაიწერა წმინაი ესე სახარებაჲ ჭელითა ადიდენ ღმერთმან, იოვანე მესუეტისაჲთა, ლოცვასა წმიდასა თქვენსა გვერდით... და მეც გლახ საწყალობელი სულითა არსენი ეშმს ძე...“ შემდეგ:

---

[1] ვ. ბერიძე, ძველი ქართველი ოსტატები, თბ., 1967, გვ. 113. საკითხთან დაკავშირებით ასევე იხ.: Н. Кондаков, Д. Бакрадзе, Опис помятников древности в некоторых храмах и монастырях Грузии, СПб., 1980, გვ. 70-72, სურ. 35; თ. ჟორდანია, ქრონიკები, I, გვ. 174-175; ე. თაყაიშვილი, არხეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნანი, II, გვ. 65-66; Г. Чубинашвили. Грузинское чеканное искусство, გვ. 60-66, ფოტ. 388, 390, 223

[2] ვ. ბერიძე, ძველი ქართველი ოსტატები, თბ., 1967, გვ. 128.

„იესუ ქრისტე, შეიწყალე და მწარედ ცოდვილი არსენი მწერალია“. ეს ყველაფერი ძლივს-ღა აჩნია. თარიღი სინგურითაა ნაწერი, მსხვილი მთავრული ასოებით: „ქორონიკონი იყო სო“ (270+780=1050)[1].

სოფელი მუხურჩა

წმ. მარიამ ღვთისმშობლის სახელობის ნაეკლესიარი

სოფლის სასაფლაოსთან იდგა წმ. მარიამის სახელობის საკმაოდ დიდი ქვის ერთნავიანი ეკლესია, შემორჩენილია ერთი მეტრის

სიმაღლის კედლის ნაშთები, ეკლესიის ფორმა კარგად იკითხება. მისი გარშემოწერილობა დაახლოებით 40 მეტრია; აქ დაკრძალულია ამავე ეკლესიის მღვდელი ოქროპირ რურუა. ეკლესიას შესასვლელი კარები გაჭრილი ქონდა დასავლეთით, აღმოსავლეთით და ჩრდილოეთით, საკურთხეველი იყო სამხრეთი-აღმოსავლეთით.

სოფელი ვედიდკარი

1. ნოჯიხევის ციხე-სიმაგრე

სოფელ ვედითკარში, მდ. აბაშის მარცხენა ნაპირთან ახლოს მდებარე ადგილს ადგილობრივები ეძახიან „ნოჯიხევს“. შემორჩენილია რიყის ქვის კედლის ნაშთები. ადგილი დაფარულია ეკალ-ბარდებით, გეგმის წაკითხვა თითქმის შეუძლებელია. თვით სახელწოდება ნოჯიხევი (ნაციხარი) აქ ციხე-სიმაგრის არსებობაზე მიუთითებს. ადგილობრივთა გადმოცემით, აქ იდგა წრიული შენობა ფლეთილი კირქვის, კირის დუღაბზე, დაახლოებით 10 მ-ის სიმაღლის. ამ რადიუსში 20 მეტრის წრეზე კიდევ ირგვლით იყო მეორე წრე მიწაყრილით და გალავნით. ეს ნაგებობა 1965 წლამდე ყოფილა შემორჩენილი, შემდეგ დაუშლიათ. შესაძლოა ეს იყო ვახუშტის მიერ მდ.

აბაშასთან მოხსენიებული ციხე „სახარია“ და დადიანთა სასახლე[2]. აქ მცირე მონაკვეთზე დღესაც შემორჩენილია ადგილობრივი კირქვისგან ნაშენი დაახლოებით ორი მეტრის სიმაღლის კედლები. არ არის გამორიცხული

ასევე აქ იყო აგათია სქოლასტიკოსის ონოგურისის ციხეც (იხ. ზემოთ).

1. მთავარანგელოზთა სახელობის ეკლესია

ვედითკარის სოფლის სასაფლაოსთან იდგა მთავარანგელოზთა სახელობის ქვის ეკლესია. ეს სოფელი შაური კართან ერთად ძველად შედიოდა ბანძის შემადგენლობაში. დღეს ეკლესიიდან მცირეოდენი ქვების გროვა და ფრაგმენტებია შემორჩენილი; აქ შენდება ახალი ეკლესია. ძველი ტაძარი სამნავიანი ყოფილა, რადგან ახალი ეკლესიაც იგივე ფორმისაა და იგივე საძირკველზე ამოუყვანიათ (ჯერჯერობით გადაუხურავია).

ვედითკარზე საინტერესო ცნობებს გვაწვდის ექვთიმე თაყაიშვილი: „აქ მთავარანგელოზის ეკლესია არის ახალი, ქვისა და შიგ მთავარანგელოზების ხატია ერთი ვერცხლისა, 29X24 სანტიმეტრი, ქართულის მდარე ხელობისა, ჩვიდმეტის ქვებით, მათ შორის ერთი ბეჭედია არაბულის წარწერით აყიყზედ, მეორეზე ძველი რომაელების ღმერთი მერკურიოსია გამოხატული. ზემოთ ერთი პატარა სიმრგვალეა (дробница) ცამეტის ძვირფასი ქვით შემკობილი. აშია ბრტყელია ბალახის მსგავსი გრეხილებით მოჩუქურთმებული. მეორე გვერდზე მხედრულით აწერია:

1) ქ:. დიდნო მთავარნო ზეცისა:.
2) ძალფანო:. მიქაელ:. და:. გაბრიელ:.
3) აღგიშენე:. ხატი:. ესე:. მე:. ფაღავამ:.
4) ხუხუმ:. შენდა:. სადიდებლად:. ჩემ
5) სა:. ამ:. სოფლისა:. სადღეგრძელოდ:. მას:.
6) საუკუნოსა:. ჩემისა:. სულისა:. საოხად:. და:.
7) სახსრად:

ხატი უნდა ეკუთვნოდეს მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისს“[1].

ნ. ურიდიას ცნობით, ვედიდკარის მთავარანგელოზთა ეკლესიის არქიტექტურული სტილი იშვიათ ნიმუშს წარმოადგენდა. აქ მღვდელი ყოფილა რომანოზ ურიდია, შემდგომ კი სხვა სოფლის მღვდელი (არ უთითებს რომელი სოფლის) პავლე ფორჩხუა ყოფილა. პირველივე დღეს მას ეკლესიის კარებთან ბოლშევიკები დახვედრია და ეკლესიის კარები გაუტეხიათ და დაურბევიათ. ეკლესიის გარეთ ასევე ოთხი დიდი ზარი ყოფილა ჩამოკიდებული. ამ ეკლესიის ახლოს მონაზონ სალომე ფანცულაიას უცხოვრია. ამ ეკლესიის ხატი გაუნადგურებია ჟ. ჯელიას. ეს ეკლესია დაუნგრევია ვინმე მაისაიას და გვასალიას[2].

სოფელი ონოღია

ბანი და შენიშვნანი, თბ., 1914, გვ. 38.

იოანე ნათლისმცემლის სახელობის ნაეკლესიარი

სოფელ ონოღიაში იდგა იოანე ნათლისმცემლის სახელობის ქვის საკმაოდ დიდი გუმბათიანი ეკლესია. იქ მღვდელი ყოფილა ბათუ ქაჯაია. ადგილობრივთა გადმოცემით, ამ ეკლესიას სიგანე 30 მეტრი ჰქონდა. ამ სასაფლაოს სადაც ეკლესია იდგა ტერიტორია ირგვლივ დაახლოებით 300 მეტრის სიგრძეზე (წრეზე) რიყის ქვის კედლით იყო შემოზღუდული. აქ სამრევლო სკოლაც ყოფილა, რომელიც ვასილი ქაჯაიას აუგია. დღეს არანაირი ნაშთები არაა გარდა მცირეოდენი რიყის ქვების და ორნამენტირებული ქვების ნარჩენებისა. საძირკველი არ იკითხება. ზედ საფლავებია გამართული.

დღეს აქ სასაფლაოს მოპირდაპირე მხარეს შენდება ახალი იმავე სახელობის ეკლესია, თუმცა მშენებლობა უკვე 5 წელია რაც შეჩერებულია.

სოფელი ნაგებერუ

წმ. გიორგის სახელობის ეკლესია

სოფელ ნაგებერუში დგას წმ. გიორგის სახელობის ეკლესია, რომელიც აღუდგენიათ ძველი ეკლესიის საფუძველზე. ძველი კედლის ქვები საკმაოდ კარგად ყოფილა შემორჩენილი. ის დღეს მოქმედია. საკმაოდ კარგად და არქიტექტურული ფორმების დაცვით არის აღდგენილი.

სოფელი ბანძა

1. შაური კარის წმ. გიორგის სახელობის ნაეკლესიარი

სოფლის სასაფლაოსთან (ცენტრთან) იდგა წმ. გიორგის სახელობის ქვის ეკლესია. აქ მღვდლები იყვნენ კეკელიები. აქ არის მათი საფლავები – მიხეილ

ანტონის ძე კეკელია (1882-1961), მისი მეუღლე ილია გიორგის ას. ლაბახუა-კეკელია (1890-1967). ანტონი (ბლაღოჩინი) ივანეს ძე კეკელია (1885-1980), ივანე მიქეს ძე კეკელია (1819-1914).

შაური-კარის (ბანძა) ეკლესიაზე და მის ხატზე ცნობებს გვაწვდის ექვთ. თაყაიშვილი – „ეკლესია აქაც ახალია ქვისა. წმიდის გიორგის სახელზედ აშენებულია. ხატი წმინდა გიორგისა, 27X21 სანტიმეტრი, ვერცხლის არის. ქართულის ხელობისა. წმინდა გიორგი ცხენით არის წარმოდგენილი ვეშაპს გმირავს შუბით. ზემოთ ხუცურათ აწერია: „(ჩ ᲂ)“. აშია შემკობილია ყვავილების მსგავსი ჩუქურთმებით. ხატს აზის ცხრა ძვირფასი ქვა ზემო ნაწილზე. მეორე გვერდზე მხედრული წარწერაა: „წელსა ჩყმზ-სა ივლისის კზ-სა. წმინდა გიორგი, ჩვენ მოსავმან შენმან თავადმან ფაღავამ კაციამ და მეცხედრემან ჩემან ზეფისშვილის ასულმან ელისაბედმან გავაჭედინეთ ხატი ესე შენი საფასითა ჩვენითა სულისა ჩვენისა საოჯად და ძეთა ჩვენთა წარსამართებლად“.

ეკლესიას დიდი ეზო აქვს ჩვეულებრივათ დიდრონი ხეებით შემკობილი. ახალი კვირას აქ დიდი ხალხი იკრიბება და, სხვათა შორის, ჩვეულებათ აქვთ ძირიანად რომელიმე დიდი ხის მოთხრა. ფაღავას გვარი უმეტესად ეხლაც ბანძაში ცხოვრობს“[1].

სოფ. ვედითკარის და შაური კარის ეკლესიასთან ჩატარებულ წეს-ჩვეულებაზე სამრევლო სკოლებსა და სამღვდელოებაზე საინტერესო ცნობებს გვაწვდის გაზ. „ცნობის ფურცელი“[2].

---

[1] ექვთ. თაყაიშვილი, არხეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნანი, გვ. 38-39.

[2] „ხალხის უსარგებლო და გამღატაკებელი ჩვეულებების გამო სამეგრელოში

სოფ. ბანძაში აღდგომის ხუთშაბათს ბარძა-ვედითკარის ეკკლესიის სამრევლოთაგანმა იცის დღეობა; ამ დღეს შუადღის ოთხ-ხუთს საათზე ერთი უხუცესი აქაური თავადთაგანი აიღებს ბურთს და სხვების თანადასწრებით შემოატარებს ეკკლესიის გარშემო და გამოლოცვის შემდეგ ბურთს სათამაშო მოედანზე გააგდებს და იმართება ბურთაობა, რომელიც ხშირად ცუდი შედეგით თავდება; ახალკვირასაც იქნება ამნაირი შეკრებულობა და ბურთის თამაში, ხოლო ახალ-კვირის ორშაბათს „ჯარიანობა“ იციან ამავე სოფელში ბანძა შაურკარის ეკკლესიაზე, სადაც იმავე წესითა და იმავე დროს, რა დროსაც წარსულს ხუთშაბათს, ბურთს შამოატარებენ ეკკლესიის გარშემო და გააგდებენ სათამაშოდ. რომელი „პარტიაც“ უწინ „ლელოს“ გაიტანს, ის სიმღერითა და ბუკის კვრით გაექანება ხის ამოსათხრელად, მას დაედევნება უკან მეორე პარტია და მთელი საზოგადოება და მღვდელი აჩვენებს ეკკლესიის მიდამოში ერთს კარგად მოზრდილს ხეს, ზოგნი ძის ძირს მოეჭიდებიან, ზოგნიც ზედ გავლენ და დიდის ხნის ხესთან ბრძოლის შემდეგ გამარჯვებულნი ამოთხრილის ხითურთ „კირიალეისონის“ სიმღერით გაირბენენ, ეკკლესიას შემოატარებენ და ხის ბოლოს ქვევით და ძირს ზევით გარეთ კედელზე ააყუდებენ. ამ უცნაურს ჩვეულებას აქაურნი მოხუცებულნი ასე ჰხსნიან: სამეგრელოშო ანდრია მოციქული რომ მობრძანებულა, მარტვილში მუხის ხე ჰქონდათ კერპთაყვანის საცემლად და ანდრია მოციქულმა ის მუხა ახალკვირის ორშაბათს, თურმე, ძირიანად ამოათხრევინა და გადააგდებინა სადღაც შორს. ბანძაშიაც ასე უნდა მომხდარიყო და ხალხს ის დღე სადღესასწაულოდ

გაუხდია, კერპთაყვანის-მცემლობის მოსპობის მოსაგონებლადო. და ჭეშმარიტებით ამ საქმის მცოდნეს ვერვის შევხვდი“ (გაზ. ცნობის ფურცელი, №216, 1897, ევსევი ხოფერი).

გაზ. ცნობის ფურცელი, №172, 1897

სოფ. ბანძა (სამეგრელო).

ამ სოფელში 1875 წლიდან არსებობს ერთ-კლასიანი სასოფლო სამინისტრო სკოლა. 1895 წლის აპრილიდან, მაზრისუფროსის განკარგულებით, საზოგადოებისაგან სკოლას მიეცა საბაღო ადგილი, რომელიც ნახევარ ფასად დაუთმო ადგილობრივმა მდვდელმა რომანოზ ურიდიამ. 1896 წელს სკოლამ გამოიწერა იალტის საიმპერატორო ნიკიტის სასწავლებლის ბაღიდან მცენარეები. ამ ჟამად სკოლის ბაღი წარმოადგენს სასიამოვნო სანახავს. ამავე სოფელში 1896 წ. პირველ სექტემბრიდან დაარსდა, სასურიერო მთავრობის განკარგულებით, მეორე ხარისხოვანი სკოლა, სამასწავლებლო კურსით, რომელშიაც, ბლაღოჩინის ანტ. კეკელიას მეცადინეობით, სწავლის საქმე რიგიანად მიდის. ევსევი ხოფერია

გაზ. კვალი, 1900, №46

ს. ბანძა (სამეგრელო)

ბანძელებისთვის საჭირ-ბოროტო კითხვათ გადაიქცა სამრევლო სასწავლებლის ბედი. როგორც შარშან ვწერდით „კვალის“ მე-39 ნომერში სოფლებს 2900 მ. შემწეობა უნდა აღმოეჩინა სასწავლებლისათვის, რომლებმაც მიუტევებელი გულცივობა გამოიჩინეს და ფულის შემგროვებლებს უარით ისტუმრებდენ სახლიდან და ურცხვათ გაიძახოდნენ, არ გვინდა სკოლაო; უკეთეს მომავალზე ყოველივე იმედი დაეკარგებოდა კაცს ისევ ველურ ამბავს ჩადიოდენ. რამდენადაც ჯიუტობენ სოფლელები იმდენათ მეტი ენერგიით მოქმედებდენ მეთაურნი, მაგრამ მიაყარე ცერცვი კედელს! ვერც მუდარით, ვერც მუქარით რომ ვერაფერს გახდენ, ისესხეს საჭირო თანხა ერთ ვინმესგან -ზე და წარადგინეს დანიშნულებისამებრ. საქმე ყველას ამით დაბოლოვებული ეგონა და დღესასწაულობდენ ტრაქტატულ გამარჯვებას. ამ დროს ისეთი თავზარ-დამცემი ამბავი მოვიდა სასწავლებლის შესახებ, რომ ყველა ააშთოფა, გააკვირვა, დიდი თუ პატარა, მოხუცი გინდ ახალგაზრდა ფეხზე დააყენა და აქამდის თუ ორ მანეთს ვერ გამოამეტებინებდი, ახლა სამაგიეროთ თუმნობით გადადიოდნენ თუ საქმით არა სიტყვით მაინც, ოღონდ ქვეყნის თვალში არ შერცხვენილიყვნენ. ამ სასწავლებლის სულის ჩამდგმელი, მამა ანტ. კეკელია, ხომ საიმქვეყნოთ იყო გამზადებული, ისეთი შთაბეჭდილება მოახდინა მათზე. ამდენ შრომის, იმდენი ცილის-წამება დამცირების შემდეგ, ამ სასწავლებლის ხელიდან გამოგლეჯა მისთვის, ჭეშმარიტათ აუტანელი უნდა ყოფილიყო! საქმე იმაში გახლავთ, ბატონებო, რომ ამ ნაირ ტიპის სასწავლებელი თურმე უნდა არსებობდეს მიუვალ, მიყრუებულ ადგილას, ხოლო ბანძა კი თურმე განათლებული სოფელი ყოფილა! მაშასადამე, აქედან გადატანილი უნდა იქნეს სასწავლებელი უფრო გვიან ჩამორჩენილ სოფ. კიწიაშიო, თუმცა თუ ჩამორჩენაზე მიდგა საქმე, შეიძლება მოინახოს უფრო დაქვეითებული კუთხეც. ბანძის გონებრივ-ქონებრივ მდგომარეობის გათვალისწინება ღვთის წინაშე. 1896 წელსაც შეიძლებოდა, როცა აქ ამ სკოლის დაარსება გადაწყვიტეს და მას შემდეგ რომ ყარამანული ნაბიჯი წარმატებისკენ არ გადაუდგამს, ეს უბრალო მომაკვდავმაც კი უწყის არა თუ ყოვლის შემძლე პირებმა. ძალიან მიკვირს, ნუ თუ თავიდანმე არ ჰქონიათ დასახელებული გინდა განსაზღვრული, თუ სად უნდა დაარსებულიყო ასეთი ტიპის სასწავლებელი, ან რისთვის უთუოთ აქ და არა ცხრა მთას იქით“? ბოროტი ენები მოგახსენებენ, ამ საქმეში პირად ანგარიშებს უჭირავს საპატიო ადგილიო, თვარა შარშან გურიაში რას მიარბენინებდნენ და წელს რათ შეცვალეს მარშრუტიო. გ. ა.

გაზ. კვალი. 1893, №39

ბანძას აქვს ორი სკოლა: სამინისტრო ერთ კლასიანი, სადაც ქართულს არ ასწავლიან და სამრევლო სამასწავლებლო სასწავლებელი ორ კლასიანი. უკანასკნელს მივაქცევ მკითხველის ყურადღებას, რადგანაც მისი თავგადასავალი მეტათ საყურადღებოა და სასაცილოც. საქმე აი რაში მდგომარეობს. პატივცემულო ბლაღ. ან. კეკელიას მეცადინეობით და მეოხებით

სასულიერო მთავრობამ გადაწყვიტა, როგორც მახსოვს, 1896 წ. დაუარსებია სამრევლო სასწავლებელი ს. ბანძაში თუ საზოგადოება ერთჟამიერათ დახმარებას 2900 მ. ახლო-მახლო სოფლებმა რომ გაიგეს ეს ამბავი შემწეობას დაჰპირდნენ. გ. ა.

გაზ. ცნობის ფურცელი, №29, 1896

ბანძა, (სენაკის მაზრა) სოფ. ბანძას, 19 სექტემბერს, 1896 წელს. ყ-დ უსამღვდელოესმა გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსმა გრიგოლმა აკურთხა ორ-კლასიანი სამასწავლებლო კურსით სასწავლებელი მრავალ ადგილობრივ სასულიერო და საერთო პირთა თანადასწრებით.

დღეს გვატყობინებენ, რომ ადგილობრივმა ბლაღოჩინმა მღვდელმა ანტონ კეკელიამ, ამ სასწავლებლის გამგემ, დეპეშა მიიღო უწმინდესის სინოდთან დაარსებულ სამასწავლებლო საბჭოს თავმჯდომარის ყ-დ უსამღვდელოესის გურისაგან, რომ რწმუნებულ მისდამი სასწავლებლის შესანახად 1500 მანეთი წლიურად უკვე დაენიშნაო ხსენებულ სასწავლებელს, და ამ დღეებში კრედიტი ეხსნება ერთ-ერთ ხაზინაში სასწავლებელთან ახლო.

გაზ. მწყემსი, 1896, №20

გახსნა და კურთხევა ს. ბანძაში ორ კლასიანი საეკკლესიო სამრევლო სკოლისა.

სექტემბრის თვის 19 მისი ყოვლად უსამღვდელოესობის, გურია სამეგრელოს ეპისკოპოსის გრიგორის თანდასწრებით ბანძის წ. გიორგის ეკკლესიაში საღმრთო ლიტურდია შეასრულა მცირე აიაზმის გარდახდით ზემოხსენებული სასწავლებლის ხელმძღვანელმა, ბლაღოჩინმა ან. კეკელიამ იმავე და მახლობელ ეკკლესიათა სამღვდელოების თანმწირველობით და თანდასწრებით ეპარქიის საეკკლესიო-სამრევლო სკოლათა მეთვალყურის უ. თ. დ. ჟორდანიას, სენაკის მაზრის სამასწავლებლო რჩევის განყოფილების წევრთა. შემდეგ საღმრთო ლიტურდიისა, რომელზედაც გალობდა ქართული გუნდი მგალობელთა და სადაც დაესწრო აღტაცემულის სიხარულით აუარებელი ხალხი. მისმა ყოვლად უსამღვდელოესობამ, ყოვლის სამღვდელო გრიგორიმ შეასრურულა ლიტანია სკოლის შენობაში „მეფის ლოცვის“ გალობით და გარდაიხადა დაწესებული სავედრებელი გალობა „წინეთ სწავლის დაწყებისა“, რომლის შემდეგ წარმოთქმულ იქმნა მრავალ-ჟამიერობა სამეფო სახლისა, უწმინდესის სინოდისა, მასთან დაარსებულის სამასწავლებლო საბჭოისა, უწმინდესის სინოდის ობერ-პროკურორის ბ. კონსტანტინე პეტრეს ძის პობედონოსცემისა, მმართველთა, მოსწავლეთა და მასწავლებელთათვის. შემდეგ ცერემონიისა ყოვლად სამღვდელო გრიგორიმ შეკრებილი შაგირდები აკურთხა ჯვრითა და მაცხოვრის ხატითა და სკოლის დროებით შენობის, შაგირდების და დამსწრეთა სხურების შემდეგ, წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიაც განმარტა, თუ რას გვასწავებს ჩვენ ღმერთ-მასწავლებელი და ურჩია შეგირდებს, რომ მაცხოვრის სახის შეხედვით იგონებდნენ ხოლმე ყოველთვის მის სწავლას და ნიადაგ შეუსუსტებლად ასრულებდნენ მას. მასწავლებელთა და შეგირდების მშობელთა უთხრა აგრეთვე სიტყვა, რომელშიაც განმარტა ის აზრი, თუ რამდენათ ვალდებულ არიან ისინი ღვთის წინაშე იქონიონ მკაცრი მხედველობა თავიანთ შვილების ზნეობით აღზრდაზე და ამიტომ მშობელნი მოვალენი არიან შეაჩვიონ შვილები სკოლის გარეთაც ლოცვას, თავიანთ კეთილის მყოფელთა და განსაკუთრებით სახელმწიფო იმპერატორისათვის; რომ ქართველს ერთ სწყურია სწავლა და ჰსურს, რომ ეს სწავლა იყოს „არა ამა ქვეყნისანი, არამედ ქრისტემიერი“; ჰსურს, რომ ბავშვებს აძლიონ ნოყიერი საჭმელი და არა დამპალი და სხ. შემდეგ ამისა ბლაღოჩინმა კეკელიამ მიიწვია ყველა საპატიო პირები თავის ბინაზე სადილად. სადილზე პირველი სადღეგრძელო იყო სამეფო სახლისა, მეორე უწმიდესი სინოდისა, მესამე უწმიდესი სინოდთან დაარსებულის სამასწავლებლო საბჭოისა, შემდეგ მისის მეუფების გრიგორისა და სხ. და სხ. სადილზედაც წარმოსთქვეს შემთხვევის შესაფერი სიტყვები უ. თ. დ. ჟორდანიამ, თ. მელქისედექ ფაღავამ და სხვებმაც. როგორც დაგვარწმუნეს. თ. მელქისედეგ ფაღავას მეუღლე – დარიას უკისრნია დაარსოს ამ სკოლასთან უფასო სამკითხველო და ფონდიც, ჯერჯერობით, 300 მანეთამდის შეუდგენია. ღმერთმა ინებოს, რომ ამ შეშმარიტად ღვთისნიერის და სხვა საზოგალო საკეთილო საქმეშიაც გამოჩენილის პირისათვის წაებაძნოთ სხვებთაცა. მღ. კ. დანელია.

სოფ. ბანძა მოხსენიებულია 1806 წლის 11 ივლისის დოკუმენტში – განჩინება ბესარიონ ჭყონდიდელისა და ფაღავების მამულის საქმეზე[1], რომელიც ზემოთ სრულად უკვე მოვიყვანეთ.

„ბანძაში დღემდე შემორჩენილია მრავალი ტოპონიმი, რაც მიგვანიშნებს აქ უძველესი საკულტო-სარიტუალო კერებზე. შაურიკარში – ჯვენიერობა, სოფიობა იცოდნენ. ჯუგულეში, ჯეგეთის წმინდა სალოცავი იყო. ხოლო სამოთხის უბანში არის ძველისძველი „სამოთხე კარის ეკლესია“, დღემდე შემორჩენილია ამ ბაზილიკური ეკლესიის ნანგრევები“[2].

2. მარიამ ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ახალი ეკლესია

ძველი ნაეკლესიარი ადგილის მოპირდაპირე მხარეს აუშენებიათ რიყის ქვის ახალი დიდი გუმბათიანი და ძალზედ ლამაზი ეკლესია, რომელიც მარიამ ღვთისმშობლის მიძინების სახელს ატარებს.

3. ბანძის ციხე-სიმაგრე

ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით, „... ცხენისწყლის დასავლით მუნვე ბანძა და ციხე კეთილნაშენი“[3]. შესაძლოა რომ აქ ჩვენს მიერ სოფელ მუხურჩაში ფიქსირებულ იგულისმება და არა ზემოთ ვივარაუდეთ „სახარია“, თუმცა ვფიქრობთ აქ სხვა ციხე-სიმაგრეზეა საუბარი, კერძოდ, გ. ელიავას აღნიშვნით, ვედითკარიც და მუხურჩიც შედიოდა ბანძის შემადგენლობაში. მისივე თქმით, ბანძის ველზე ყოფილა (სამწუხაროდ არ უთითებს ადგილს) ორგალავნიანი ციხე-დარბაზის ნანგრევები; მეორე გალავანზე, ჩრდილოეთით, მდგარა წვერწაკვეთილი პირამიდის მსგავსი კოშკი. მისივე თქმით, დღეს მხოლოდ მისი პირველი სართულის ნანგრევებიღაა დარჩენილი. ასევე შემორჩენილია სამხრეთის კოშკის მცირე ნაშთი. გალავანს შორის სივრცე სამ მეტრს აღემატება. კოშკის ეზოში,

[1] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. VI, ტექსტი გამოსცა და შენიშვნები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, თბ., 1977, გვ. 368-370.

[2] XXVII სამეცნიერო სესია, მიძღვნილი რუსეთთან საქართველოს შეერთების 200 წლისთავისადმი. მასალები. გეგეჭკორის სარაიონთაშორისო სამხარეთმცოდნეო მუზეუმი, გეგეჭკორი, 1982, გვ. 69.

[3] ქართლის ცხოვრება, ტ. IV, გვ. 776.

შიდა გალავნის გარეთ ეტყობა წყარო ყოფილა. გ. ელიავას ვარაუდით, იგი იყო სწორედ ბანძის ის კეთილნაშენი ციხე, რომელზედაც მიუთითებს ვახუშტი ბატონიშვილი და „ქართლის ცხოვრება“[1].

თ. ბერაძის აღნიშვნით, ბანძაში ამჟამად ციხე-სიმაგრის კვალი არ შეინიშნება. მიუხედავად ამისა, ავტორის თქმით, ვახუშტი სწორია. 1737 წელს შედგენილ დასავლეთ საქართველოს რუკაზე აღნიშნულია „ბანძა ფაღაოს სასახლე“. ამ პერიოდში დიდი ფეოდალის სასახლე იმავე დროს ციხე-სიმაგრეს წარმოადგენს. ამიტომ ვახუშტი სწორია, როდესაც ბანძაში ციხეს აღნიშნავს[2]. ბანძაში ციხე-სიმაგრის ნაშთებს და ადგილს ჩვენც ვერ მივაკვლიეთ.

ბანძა პანზას ფორმით ნახსენებია ზახარეევის და ელჩინის ელჩობის ანგარიშში[3].

საერთოდ სოფელ ბანძის მდგომარეობაზე სამრევლო სასწავლებლის დაარსებაზე, სამღვდელოებაზე თუ სხვა კულტურულ ღონისძიებებზე, საყურადღებო ცნობებს გვაწვდის XIX ს-ის ქართული პერიოდული პრესა, სადაც ასევე ერთ-ერთში აღნიშნულია, (იხ.ზემოთ) რომ ბანძაში ოთხი-ხუთი ეკლესიაააო[4].

სოფელი ნაჯახაო

1. მთავარანგელოზთა სახელობის ეკლესია

პირველი ნაჯახაოს სოფლის სასაფლაოსთან დგას მთავარანგელოზთა სახელობის სამაოდ დიდი სამნავიანი ბაზილიკური ტიპის ეკლესია. ის ხელახლა აღუდგენიათ. გადმოცემით, ის XVII საუკუნეში აუშენებიათ, ბოლო მღვდელი ყოფილა ესტატე დანელია.

ჟურნალ ჭყონდიდში გამოქვეყნებულია „მარტვილის ეროვონულ მუზეუმში 6 4350/1 ა133 ნომრით დაცული 1914 წლით დათარიღებული ერთ-ერთი ხელნაწერი ქაღალდი,

---

[1] გ. ელიავა, აბაშისა და გეგეჭკორის რაიონების ტოპონიმია, თბ., 1977, გვ. 85.
[2] თ. ბერაძე, დასახ. ნაშრომი, დისერტაცია, გვ. 26.
[3] Т. Берадзе, დასახ. ნაშრომი, გვ. 79.
[4] გაზ. ივერია, №186, 1898

სოფ. ბანძა (სენაკის მაზრა).

ბანძაში ბარე ოთხი-ხუთი ეკკლესიაა.

რომელიც წარმოადგენს ლეხაინდარაო ნაჯახაოს მთავარანგელოზის სახელობის ეკლესიის სამრევლოთა სიას 1914 წლისათვის[1].

2. ბარბაე კარის წმ. ბარბარეს სახელობის ნაეკლესიარი და ახალი ეკლესია

ლეხაინდრაოსა და ნაჯახაოს საზ-ღვარზე ბარბარე კარის (ბარბარეს კარი) უბანში, დგას ახლად აშენებული წმ.

[1] „1914 წლის 20 აპრილი

ლეხაინდარო – ნაჯახაოს მთავარანგელოხის ეკლესიის მრევლი შევიკრიბეთ ბლაღოჩინის, დეკანოზ ანტონ კეკელიას წინადადებით, რათა მოგველაპარაკა და აგვერჩია ბლაღოჩინის სამხრუნველოს წევრებად აზნაური ფარნაოზ მერაბის ძე ზაქარია და გლეხი ბუჩუ დავითის ძე დანელია, რომლებსაც ვიცნობთ, როგორც პატიოსან და კეთილსაიმედო პირებს, ამაზედ ხელს ვაწერთ: 1. აზნაური ნესტორი გახუს ძე ზაქარია, 2. დავით ზაქარაია, 3. კონსტანტინე ივანეს ძე დანელია, 4. მიხაკო დანელია, 5. ვასიკო დანელია, 6. სერგი დანელია, 7. ნესტორ გოგია, 8. პავლე დანელია, 9. ალექსი დანელია, 10. კოსტა დანელია, 11. იონა დანელია, 12. ბეგლარ დანელია, 13. ალექსანდრე დანელია, 14. მიხა დანელია, 15. გუტეია დანელია, 16. ევთიმე დანელია, 17. ალექსი დანელია, 18. ბახუ სანაია, 19. სიმონ გვილავა, 20. პეტრე ჯღარკავა, 21. ბიჭი დანელია, 22. სიდო გეგეჭკორი, 23. კოსტა დანელია, 24. ოქროპირ დანელია, 25. დათიკო დანელია, 26. დათიკო სვანიძე, 27. ბოჭონთა დანელია, 28. ბასილი დანელია, 29. ილარიონ დანელია, 30. დათა დანელია, 31. ნესტორ დანელია, 32. ბახვა გოგია, 33. გოგია დანელია, 34. ანტონა დანელია, 35. გიგო კვანტალიანი, 36. პეტრე დანელია, 37. პეტრე დანელია, 38. დათა დანელია, 39. ათანასე დანელია, 40. მამია კვანტალიანი, 41. გიორგი დანელია, 42. უტენა დანელია, 43. ერმილე ხურცილავა, 44. ვასილი ხურცილავა, 45. ბუტუ დანელია, 46. როსტომი დანელია, 47. კოსტა დანელია, 48. ..... დანელია, 49. პავლე სანია, 50. .... კვანტალიანი, 51. გიორგი კვანტალიანი, 52. არსენი კვანტალიანი, 53. მიხა ჯიქია, 54. სამსონ დანელია, 55. ტარო დანელია, 56. კოსტა დანელია, 57. სტეფანე დანელია, 58. ალექსი დანელია, 59. პეტრე ბერულავა, 60. ივანე დანელია, 61. ბეჩუ დანელია, 62. ბურდღუ დანელია, 63. მათე დანელია, 64. ბიჭი დანელია, 65. ... დანელია, 66. პავლე დანელია, 67. ფარნა დანელია, 68. ... სანაია, 69. ალექსი ხურცილავა, 70. ივანე დანელია, 71. ბექა სანაია, 72. ალექსანდრე ბართაია, 73. სტეფანე, 74. ... გალდავა, 75. სიკო დანელია, 76. რემა დანელია, 77. ....., 78. რაჟდენი დანელია, 79. ... დანელია, 80. პავლე დანელია, 81. ... დანელია, 82. იოვანე, 83. დიმიტრი ბენიძე, 84. ....., 85. სტეფანე გაგუა, 86. ივანე ქიქავა, 87. ნიკო, 88. ალექსი სანაია, 89. ... კვეკვეცია, 90. გიგო, 91. ივანე დანელია, 92. ... დანელია, 93. ნესტორი დანელია, 94. ფარნა დანელია, 95. ბათუ დანელია, 96. გუჯა ძაგანია, 97. კოსტა დანელია, 98. ილარიონ დანელია, 99. პეტრე, 100. ივანე დანელია, 101. კუჭუ დანელია, 102. პეტრე დანელია, 103. ... დანელია, 104. ლევან დანელია, 105. იასონი სანაია, 106. აზნაური ალექსი მოსეს ძე ხაინდრავა, 107. გრიგოლ მიხაილის ძე ხაინდრავა, 108. აზნაური კონსტანტინე დიმიტრის ძე ხაინდრავა, 109. ვენედიქრე გოგის ძე ხაინდრავა, 110. ბაგრატ ხაინდრავა, 111. მიშა ალექსის ძე ხაინდრავა, 112. აზნაური ფარნაოზ ზაქარაია, 113. ლავრენტი დანელია“[1].

თანახმა ვარ და ხელს ვაწერ მღვდელი გიორგი დანელია. ?ბლაღოჩინი ანდრონიკე დანელია, მედავითნე რომანოზ კეკელია. ხელს ვაწერთ, სინამდვილეს ვამოწმებთ ხალის მოწერით და სახელმწიფო ბეჭდით. დასმულია 1914 წ. 20 აპრილი. დ. გვილავა.

ბარბარეს სახელობის ეკლესია. აქ ძველად მდგარა ხის ეკლესია, ის ვიდაც ფინთურიას დაუშლია და წაუღია სახლში. ეს ეკლესია იყო წიქვაძეების გვარის სალოცავი. ეხლა დედათა მონასტერია.

არქიტექტორების მიერ წმ. ბარბარეს ეს ეკლესიის ნაშთები 1992 წელს ამ სახით არის ფიქსირებული: მარტვილის რაიონი, სოფ. ნაჯახაო; ნაეკლესიარი „წმ. ბარბარე". შუა საუკუნეები; ტიპი – საკულტო; სოფლის ძველ სასაფლაოზე შემორჩენილია „წმ. ბარბარეს" ეკლესიის ნაშთი დგას ტრაპეზის ქვა. გეგმა აღარ იკითხება, დაფარულია მიწითა და მცენარეულობით.

1992 წ. 17 აპრილი. არქიტექტორი ლ. გიორგაძე.

3. ლეგოგუეს უბნის ნაოხვამუ (ნაეკლესიარი)

ეგოგუეს ერთ-ერთი უბანი „სტეფაში დაბად" იწოდება, სადაც არის ადგილი „ნაოხვამუ" (ნაეკლესიარი), სადაც ძველად მდგარა ხის ეკლესია.

ლეხაინდრავოს ეკლესიის მღვდლებზე და სამრევლო სკოლაზე ცნობები გამოქვეყნებულია გაზ. ივერიაში, სადაც ეკლესიის შეწირულობათა ნუსხაა წარმოდგენილი[1].

ხაინდრავებისა და მათი საადგილმამულო დავის შესახებ ცნობებს იძლევა 1803-1811 წლის საბუთი, რომელიც წარმოადგინა მთავარეპისკოპოს ანტონის განჩინების წიგნს ხაინდრავების მამულის საქმეზე[2]. ეს დოკუმენტი ჩვენ ზემოთ სრულად მოვიყვანეთ.

გაზ. „ცნობის ფურცლის" ცნობით (1897) ნაჯახაოში იყო სამრევლო სკოლა[3].

---

[1] გაზ. ივერია, №227, 1895

ს. ლეხაინდრავო (სენაკის მაზრა): თანახმად ჩვენის წერილისა 22 თებერვლიდგან, ამასთანავე ვაცნობებთ „ივერიის რედაქციას" სიას იმ პირებთა, რომელნიც არიან დიდი მადლობის ღირსნი ჩვენში სკოლის დაარსებისა, და მასთან მათი ნივთიერი შეწირულობისათვის: დავით ეგორალაშვილმა 5 მან., სტეფანე შიოს ძემ ძიმისტარაშვილმა 5 მან., ბლაღოჩინმა ა. კეკელიამ 5 მან., მვდელი მ. დანელიამ 50 მან., მღვდელი კირ. დანელიამ 10 მან., მიხ. ი, ხაინდრავამ 30 მ., ტოტ ბ. ქ. ხაინდრავამ ორი ქცევა მიწა. ლევ გ. ხაინდრავამ 5 მან., ალექ. საინდრავამ 5 მან., ერისტო ი. გაბუნიამ 5 მან., მარიამ და ვასილ. ხანდამიშვილებმა 8 მანეთი.

[2] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. VI, ტექსტი გამოსცა და შენიშვნები დაურთო პროფესორმა ი. დოლიძემ, თბ., 1977, გვ. 447-448.

[3] გაზ. ცნობის ფურცელი, №304, 1897

სოფ. ნაჯახოუ (სამეგრელო) სამრევლო სკოლა და მისი ურიგო მზრუნველობა. თითქმის ორი წელიწადია მას აქეთ, რაც ჩვენს სოფელში ჩვენისავე ხარჯით გავმართეთ სამრევლო-საეკლესიო სკოლა, რომლის თაობაზე და ბედ იღბალზე უნდა მოგახსენოთ რამოდენიმე სიტყვა.

4. არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილი ნაჯახაოს ციხე და ეკლესია

სოფელ ნაჯახაოში არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩნდა ციხის და ეკლესიის ნაშთები.

ნაჯახაოს ეკლესია წარმოადგენდა „გუმბათოვანი დარბაზის“ ტიპის, რომელსაც უპპელ-ჰალლე-ს უწოდებენ. დასავლეთ საქართველოში ჯერჯერობით ამ ტიპის აღმოჩენის ერთადერთი შემთხვევაა. [1] თ. კაპანაძემ ეს ეკლესია დაათარიღა X-XI საუკუნეთა მიჯნით[2]. თუმცა მის დათარიღებას თავდაპირველად VII-IX საუკუნეებშიც კი ათავსებდნენ[3].

ნაჯახაოს „გუმბათოვანი დარბაზის“ ტიპის ეს ეკლესია და ციხე შეისწავლა თ. კაპანაძემ, რომლის ზოგიერთ მნიშვნელოვან დეტალებსაც ქვემოთ გთავაზობთ[4].

---

[1] თ. კაპანაძე, ნაჯახავოს „გუმბათოვანი დარბაზის“ ტიპის ეკლესია, ძეგლის მეგობარი, 1987, №76, გვ. 50.

[2] თ. კაპანაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 52.

[3] ნ. გენგიური, კუპელჰალე, გვ. 47.

[4] ნოჯიხევიდან სამხრეთით, სამიოდე კილომეტრზე, მდებარეობს სოფელი ნაჯავახო, გზის სამხრეთით, ორმოცდაათიოდე მეტრზე ყურადღებას იქცევდა ხეებით დაფარული 3-4 მეტრის შემაღლება, რომელსაც მოსახლეობა „ჯიხას“ ეძახდა (მეგრულად „ჯიხა“ ნიშნავს ციხეს ან შემაღლებას). ადგილი, ისევე როგორც ნოჯიხევი, ვაკეა. „ჯიხას“ ზედაპირზე მდებარე რიყის ქვის კედლები იყო კაპიტალური კედლების ამოყორვა. გორაკის გაწმენდამ გამოავლინა ეკლესიის ნანგრევები, რომლის კედლებით ორიოდე მეტრის სიმაღლეზეა შემორჩენილი. ნოჯიხევის რვაფსიდიანი ტაძარი, ზემოთ მოყვანილი არქიტექტურულ-მხატვრული ანალიზის საფუძველზე, X-XI სს-თა მიჯნაზე უნდა იყოს აგებული. ესაა მცირე ზომის (წიდა ზომები 8,3X11,8 მ), მარტივი გეგმის „გუმბათოვანი დარბაზი“. ეკლესიის დარბაზი გრძივი კედლების ორი წყვილი მასიური შვერილით ორ არათანაბარ მონაკვეთადაა გაყოფილი. აღმოსავლეთის მონაკვეთი დასავლეთისას სიდიდით თითქმის სამჯერ აღემატება. თვით დარბაზში კედლების შვერილები არათანაბრადაა განლაგებული. ჩრდილოეთის მხარეს მათ შორის მანძილი 3,7 მ-ია, ხოლო სამხრეთით 3,2 მ. ამის გამო ეკლესიის ინტერიერი ასიმეტრიულია. დარბაზს ირგვლივ სწორკუთხა საფეხური უვლის, რომელიც ჩამოსაჯდომად იქნებოდა განკუთვნილი. საკურთხეველი უშალოდ დაკავშირებულია დარბაზის აღმოსავლეთის მონაკვეთთან. შვერილებს სხვადასხვანაირი პილასტრები ამთავრებს, სამხრეთის შვერილების პილასტრები სამსაფეხურიანია, ხოლო ჩრდილოეთისა – ორსაფეხურიანი. ამ შვერილებზე გუმბათი იყო დაყრდნობილი. გუმბათის საყრდენ ოთხივე შვერილს დასავლეთის მხარეს თითო მაღალი სწორკუთხა ნიშა აქვთ. სამხრეთის მხარე ორივე ნიშა მთლიანადაა შემორჩენილი, ხოლო შვერილებში აღმოსავლეთისას ზედა გადახურვის ქვა და სამხრეთით კიდევ ერთი ქვა აკლდა. სამხრეთის კედლის დასავლეთის შვერილის ნიშა მთლიანად მორღვეულია. ჩანს მხოლოდ მისი ძირის შიდა ნაწილის ნაშთი. ეს ნიშნები იატაკის დონიდან 1,5 მ-ის სიმაღლეზეა განლაგებული. საკურთხევლის აფსიდის მოხაზულობა ნალისებრია, მაგრამ ნალი მკვეთრად არაა გამოვლენილი. ნალისებურება ჩრდილოეთის მხარეს მეტია, ვიდრე სამხრეთით. საკურთხეველი დარბაზის იატაკის დონიდან 40 სმ-თაა ამაღლებული. ამ შემაღლების შუა ნაწილში ოთხი საფეხურია. აქედან ქვედა ორი ნორმალური საფეხურია, ხოლო დანარჩენი დაბლებია, 10 სანტიმეტრსაც ვერ აღწევს. საკურთხევრის წინ გვიანი პერიოდის კანკელის ნაშთია დარჩენილი. დარბაზის იატაკი კარგადაა შემორჩენილი. იგი შელესილია 2-3 სმ-ია სისქის მტკიცე ხსნარით (კირის ხსნარში დანაყილი აგურია არეული). ყურადღებას იქცევს კედლის ნალესობა. სხნარი მტკიცეა და ძალზე თხელი ფენითაა შესრულებული (2-3 მმ), ეკლესიის კედლები მოხატული ყოფილა. სამხრეთის მხარეს, აღმოსავლეთის პილონის ნიშაში კარგადაა შემორჩენილი ჯვრის გამოსახულება. ამავე დროს, სამხრეთ-დასავლეთის ნიშისა და ჩრდილო-აღმოსავლეთის პილონის ნიშის მარჯვენა მხარეებში შერჩენილი რომელიღაც მხატვრული კომპოზიციის შემომსაზღვრელი ვერტიკალური წითელი ზოლები, მხატვრობის კვალი შეიმჩნევა სხვა ადგილებშიც.

ეკლესიას სამი შესასვლელი აქვს – დასავლეთით, სამხრეთით და ჩრდილოეთით, სამხრეთისა და ჩრდილოეთის კარები კედლების შვერილების შუაშია მოქცეული. დასავლეთისა

კი ცენტრშია გაჭრილი. სამივე კარი თითქმის თანაბარი სიგანისაა (0,8 მ.). სამივე კარზე სწორკუთხა მინაშენებია. ამ მინაშენებიდან დასავლეთისა და სამხრეთისა პატარა ზომის კარიბჭეებს წარმოადგენს, ხოლო ჩრდილოეთისა დახურული სათავსია. სამხრეთის კარიბჭე მხოლოდ სამხრეთიდან ყოფილა ღია, ხოლო დასავლეთისა – სამი მხრიდან. საგულისხმოა, რომ ღიობები თაღოვანი იქნებოდა. ჩრდილო სათავსი შედარებით დიდია (4,0X1,7 მ), მასში მხოლოდ ეკლესიის დარბაზიდან შეიძლებოდა მოხვედრა. სავარაუდოა, რომ ეს ეკვდერი სანათლავი იყოს. აქ, აღმოსავლეთით, იატაკის დონეზე, რომელიღაც კედლის კვალი შეიმჩნევა.

კარიბჭის კედლები ეკლესიის კედლებზეა მიშენებული. შეიძლება ეს კონსტრუქციული თავისებურება იყოს. ყოველ შემთხვევაში, ისინი სტილისტურად დიდად არ განსხვავდებიან, ეპოქა ერთი ჩანს. მოგვიანებით, კარიბჭის ყველა ღიობი გაურკვეველი მიზეზით ამოუშენებიათ. ამოშენების კვალი ჩანს დარბაზის დასავლეთ კარშიც. თუ დავუშვებთ ამოშენებას ეკლესიის გაუქმებისას, მაშინ გაუგებარი ხდება მასალის ერთგვარობა. ეკლესიის დასავლეთის კარი და ამავე კარიბჭის სამხრეთის ღიობი რაღაც მიზეზით ოციოდე სანტიმეტრით აამაღლეს. ეკლესიის დასავლეთის მონაკვეთი და კარიბჭეები გადახურული ყოფილა ცილინდური კამარებით, რაზეც მეტყველებს დარბაზში და სამხრეთ კარიბჭეში ნაპოვნი კამარების საკმაოდ დიდი ფრაგმენტები, რომლებიც შიგნიდან მთლიანად შირიმის ქვით იყო მოპირკეთებული. ეკლესიის ცენტრიდან სამხრეთ-დასავლეთით, კუთხეში გამოვლინდა გუმბათის სფეროს მცირე ფრაგმენტი. თვით ეკლესია შემოსილია შირიმის თლილი ქვით. კუთხეებზე გამოყენებულია კირქვის კარგად თლილი ქვა. ზოგან წყობით გასასწორებლად ნახმარია აგური. ეკლესიისაგან განსხვავებით მინაშენები ცოკოლიანად მთლიანად შტრიმის ქვითაა შემოსილი. შემოსვის შიგნით ყველგან ყორე ქვის დუღაბია.

საინტერესოა, რომ ეკლესიის საკუთრივევლის შვერილ აფსიდას ორი ცოკოლი აქვს. პირველი ცოკოლი სწორკუთხაა. როგორც ეტყობა, ნაგებობა სწორკუთხა მოხაზულობის ჩაუფიქრებიათ. შემდეგში, აფსიდის ფორმა შეუცვლიათ. იგი წრიულად შვერილია. ახალ აფსიდს ცოკოლიც წრიული ახლავს. თავდაპირველი ცოკოლის სიმოკლის გამო, ახალ ცოკოლს მომრგვალების საშუალება არ ეძლეოდა, ამიტომ წრე, შუა ნაწილში ორიოდე მეტრზე, სიგრძეზე წაკვეთილია (ყველაფერი ეს აშკარად მშენებლობის პროცესში გეგმის შეცვლის შედეგია).

კრამიტებში საკმაო რაოდენობით გვხვდება ჯვრის გამოსახულებანი ანტეფიქსები.

მინის ფრაგმენტები საკრმელებისაა. მათში გვხვდება წრიულიც, რომლის გარე ხაზი ოდნავ გასქელებული აქვთ, მინა მოიისფროა და სუსტი გამჭვირვალების.

მოპოვებული ფრაგმენტების მიხედვით ეკლესია კრამიტით ყოფილა გადახურული. კრამიტებში ურევია სალურსმე ნახვრეტებიანიც, მაგრამ ლურსმანი არ უხმარიათ, ისე ჩაუფლავთ დუღაბში.

ეკლესიის ჩრდილოეთ მინაშენში, 1,5 მ. სიღრმეზე (ნანგრევების ზედაპირიდან) აღმოჩნდა ვერცხლის მონეტა – ტრაპიზონის ასპრი, ხოლო საკურთხევლის ჩრდილო ბოლოში – არაბული დირჰემის მინაბაძი. ეკლესიის ცენტრში, მიწის ზედაპირიდან ოციოდე სანტიმეტრზე, აღმოჩნდა კიდევ ერთი მონეტა – თურქული ყურუში, იგი შესაწირავი უნდა იყოს.

ნაჯახოვოს ახლადაღმოჩენილი ეკლესია „გუმბათოვანი დარბაზის“ ტიპისაა. ეს ჯერჯერობით ერთადერთი შემთხვევაა ამ ტიპის აღმოჩენისა დასავლეთ საქართველოში, რაც მნიშვნელოვან ფაქტად მიგვაჩნია. საქართველოში „გუმბათოვანი დარბაზის“ ტიპის ეკლესიების ჩასახვისა და განვითარების გზებს ქართულ და სომხურ არქიტექტურას უკავშირებდნენ (გ. ჩუბინაშვილი). საქართველოში „გუმბათოვანი დარბაზის“ ტიპის მაგალითს გვაძლევს IX ს. დასაწყისში აგებული ვაჩნაძიანთ ყველაწმინდის ტაძარი. „გუმბათოვანი დარბაზის“ ტიპის ეკლესიების ადრეულ წარმომადგენლებს (ვაჩნაძიანი; შირავაკანი, არუჭი, პტღნი) ახასიათებთ გრანდიოზულობა, დიდი სივრცის შექმნა, რასაც ჩვენ ვერ ვხედავთ ნაჯახოვოში, შემდგომი პერიოდის ძეგლებში იგრძნობა ზომების დაპატარავება და სიგრძივი ღერძის დამოკლების ტენდენცია.

ეკლესიის საკურთხევრის ჩრდილო ნაწილში აღმოჩენილი მონეტა, არაბული დირჰემის მინაბაძი, X-XI ს-ისაა. ეს ფაქტი ხელს უწყობს ძეგლის X საუკუნით დათარიღებას.

როდის და რა მიზეზით დაინგრა ნაჯახოვის ტაძარი, არ არის ცნობილი. ერთადერთი მონაცემი, რომელზედაც შეიძლება დაყრდნობა, ეს არის მონეტა, ნაპოვნი ეკლესიის ჩრდილო მინაშენის შიგნით. ნაგრშევებში. ეს ვერცხლის მონეტა არის ტრაპიზონის ასპრი, მოჭრილი XIII ს. შუა ხანებში. ამავე ტიპის მონეტები ნაპოვნი იყო განძის სახით, იქვე, ჩრდილოეთით, სამიოდე კილომეტრის დაშორებით მდებარე რვაფსიდიანი ეკლესიის ნანგრევებში, როგორც ეტყობა, ძლიერმა მტერმა ეს მხარე მოაოხრა და ეკლესიები დაანგრია XIII ს. II ნახევარში.

ნაჯახოვოს ეკლესია აღმოჩენა ძალზე საინტერესო და მნიშვნელოვანი ფაქტია. გარდა იმისა, რომ ეს ტიპი დასავლეთ საქართველოში ცნობილი არ იყო და ნაჯახოვო პირველი ასეთი ეკლესიაა, მისი აღმოჩენა ნოჯიხევის კომპლექსთან ერთად ადასტურებს ამ რეგიონში VI-XVIII სს. ორი მნიშვნელოვანი ცენტრის მოქმედებას. თუ გავითვალისწინებთ, რომ ეს ეკლესიები

სოფელი ნაგვაზავო

1. ქვედა ნაგვაზავოს მაცხოვრის სახელობის ნაეკლესიარი

სოფელ ქვედა ნაგვაზავოში, სოფლის სასაფლაოსთან იდგა მაცხოვრის სახელობის ხის ეკლესია. ეს ეკლესია ადრე მდგარა მდ. აბაშის მარცხენა ნაპირთან მდებარე ადგილ „ნამანცხვარუში“ (მოცხოვრის ადგილი); ეკლესია იქაც ხის ყოფილა, შემდეგ აქეთ გადმოუტანიათ. აქ მღვდელი იყო გრიგოლ ახალაია, შემდგომ მისი შვილი ვასილი, ხოლო ვასილის შვილი სწავლობდა სასულიერო აკადემიაში და იმ დროს, როცა მღვდლად უნდა ეკურთხებინათ, ბოლშევიკები მოვიდნენ ხელისუფლებაში.

2. ზედა ნაგვაზავოს წმ. გიორგის სახელობის ნაეკლესიარი

სოფლის სასაფლაოსთან, მდ. ნოღას ნაპირიდან დაახლოებით 2,5-3 კილომეტრში მის მარჯვენა მხარეს, მარტვილიდან (ჭყონდიდის მონასტრიდან) დაახლოებით 5 კილომეტრში მისგან სამხრეთ-აღმოსავლეთით ძველად მდგარა წმ. გიორგის სახელობის ქვის ეკლესია; გადმოცემით, ის შემოსევების დროს დანგრეულა. ეს ეკლესია ჭყონდიდზე უფრო ძველი ყოფილა. შემდეგ აუშენებიათ ხის ეკლესია და ისიც სხვა ადგილას, იმავე სოფელში გადაუტანიათ.

3. კუდავების უბნის წმ. გიორგის სახელობის ნაეკლესიარი

ზემოთ დასახელებული წმ. გიორგის ხის ეკლესია, გადმოცემით, დაახლოებით 400 წლის უკან, დამოუტანიათ კუდავების უბანში, იქ, სადაც დღესაც სასაფლაოებია. ეს ადგილი მდებარეობს მდ. ნოღას მარჯვენა ნაპირთან ახლოს. აქ მღვდელი ყოფილა გაბისონია და ნახარებავოში მცხოვრები სურმავა.

4. ნაგვაზავოს სასახლე

ნაგვაზაოში ყოფილა დადიანთა სასახლე; ის მოხსენიებულია XVII საუკუნით დათარიღებულ გუჯრებში, სადაც ნათქვამია, რომ: აგრეთვე გკადრეთ და შემოგწირეთ ჩვენ ლიპარტიმან გიორგი და ძემან ჩვენმან ფამაყ (უნდა იყოს ვამეყ III დადიანი (1658-1660)) და თანა მეცხედრემან ჩვენმან დადიანის ქალმან ბატონმა ანა (ანნა) თქვენ საშინელსა ბიჭვინტისა ღვთისმშობელსა სასახლე ნაგვაზაო რვის კუამლის კაცითა სახსრად და საოხად სულისა ჩვენისა. ამინ“[1].

მარტვილის საეპისკოპოსო ტაძართან (VII ს. პირველი ნახევარი) ერთად განლაგებულია ერთ ხაზზე 5-6 კილომეტრის მანძილზე, მათი ისტორიული მნიშვნელობა უფრო იზრდება“ (ვ. ზაქარაია, თ. კაპანაძე, ციხე-გოჯი – არქეოპოლისი – ნოქალაქევი. ხუროთმოძღვრება, თბ., 1991, გვ. 235-260).

[1] ა. ხახანაშვილი, გუჯრები, Кутаисъ, 1891, გვ. 149.

შესაძლოა სწორედ ჩვენს მიერ ზემოთ აღნიშნული წმ. გიორგის ეკლესიის ადგილას იყო ზიგაურის ფორმით ზახარევისა და ელჩინის ელჩობის ანგარიშში

მოხსენიებული მარტვილთან და ბანძასთან ახლოს მდებარე წმ. გიორგის ეკლესია[1].

XVI-XVII საუკუნეებში შედგენილ „აფხაზეთის საკათალიკოზო გლეხების დიდ დავთარში“ მოცემულია ნაგვაზავოს სასახლეს გლეხობის გამოსავლის ნუსხა[2].

სოფელი ნახარებავო

1. წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია

სოფელ ნახარებავოში მაღალ გორაკზე დგას წმ. გიორგის სახელობის XVII-XVIII საუკუნის საკმაოდ დიდი ქვის დარბაზული ეკლესია. ეს ადგილი გადაჰყურებს მარ-

---

[1] Т. Берадзе, Отчет русских послов в менрелии в 1639-1640 годах как источник для изучения исторической географии Мегрелии, წიგნში: Материалы о церковной и этнологической истории Абхазиии, გვ. 79, 81.

[2] არის: ნაგუაზაუს: სასახლე:. და: გმოსვლი მრთებლი: მოსაკრებლობაჲ:.

მრთებს ნარსიას გოჭკუმური და ორი საკლავი მისის ქათმითა, 3 მახათელი ღომი, 7 გუდა ღუნო, ო ვი ბეგარაჲ, ცამეტი კოკაჲ ღუნო, 12 კოდი ღომი, ორი საკლავი:.

მრთებს კიდევე სიფრინიას გოჭკუმური, 2 საკლავი მისის ქათმითა, 3 მახათელი ღომი, 7 გუდა ღუნო, ბეგარაჲ, 13 კოკა ღუნო, 12 კოდი ღომი, 2 საკლავი, მისი კუწრცხი, ყველი, თევზი,

მრთებს ბაჩილას გოჭკუმური, 2 საკლავი მისის ქათმით, 3 მახათელი ღომი, 7 გუდა ღუნო, ბეგარა ცამეტი კოკა ღუნო, კოდი ღომი, ორი საკლავი.

მრთებს სურმას გუჭკუმური, ორი საკლავი მისის ქათმითა, 3 მახათელა ღომი, 7 გუდა ღუნო, ბეგარა 13 კოკაჲ ღუნო, 12 კოდი ღომი, 2 საკლავი.

მრთებს წყალობიას გუჭკუმური, 2 საკლავი მისის ქათმითა, 3 მახათელი ღომი, 7 გუდა ღუნო, ბეგარაჲ 13 კოკაჲ ღუნო, 12 კოდი ღომი, 2 საკლავი. მისი თევზი, ყველი, კუწრცხი, მრილი..

მრთებს ჯავნაშიას გუჭკუმური, 2 საკლავი მისის ქათმითა, 3 მახათელი ღომი, 7 გუდა ღუნო, ბეგარაჲ 13 კოკაჲ ღუნო, 12 კოდი ღომი, 2 საკლავი.

ასრე მეორეს გნაყოფს ჯავნაშიას მრთებს:.

მრთებს პაპაკუდას 8 კოკაჲ ღუნო, ოთხი საკლავი მისი საპურობოიანად, ყ ლას ყვლითა:. კუწრცხითა, მარილითა.

თივის თიბვა მრთებს და მუშაობაჲ ყ ლას, ხმელი ბეგარაჲ თითო ხეში ყ ლას მართებს. პაპაკუდას მეტს ყლას მართებს ლაშქრობაჲ:. საკლავის ჯუმალი არის 35 კოდი ღომი, ღუნო 49 გუდაჲ:. ჯუმალი ღუნისა ბეგარაჲ 99 კოდი ღომი 84 არის:. (სიც) პაპაზარქუასძეს ბეგრად თავად ზროხაჲ, ამასთან ერთი საკლავი, 1 ძარა ამოკირული კაკალ ღომი, 1 ქათამი, მისი პური, მისის სამრხოთა, იმსთან ცამეტი კოკა ღუნო იმ კ ცსა მრთებს, გოჭკუმური, 2 ღორი, იმსთან 1 დიდი ძარა კაკალი ღომი, ცხრაჲ ტიკი ღუნო, იმსთან 1 ქათამი, მისი პური და სამრხოთა ღვინისა და მხარეულისა 1 თოხი უწერიაჲ.

მეორე მოსახლე კ ცსა მახრობლს ნაჭყებიას მართებს ბეგარად 1 ზროხა, 1 ღორი, 1 ამოკერლი ძარა ღომი, 6 კოკა ღუნო, 1 ქათამი, მისი პური და მისი სამრხო, კიდევ გოჭკუმური მრთებს 2 ღორი, 1 დიდი ძარა ღომი, 1 ქათამი, მისი პური, მისი სამრხო, ცხრაჲ გუდა ღუნო, მზარეულსა და მეღუნეს 1 თოხი უწერიაჲ:.

ახლა ბატონმნ ლიპარტანმნ და ბატონმნ კ ზმნ დავსდევით ნაგვაზაურებსა რაც კცი სახლობს კუამლის თვსა თითოს კ ცსა ათ ათი კოდი ღომი, ექვს ექსი კოკა ღუნო, პ დ რომე ბეგარაჲ ემრთა იმს გრეთ ეს სახასო იქნების: აწე ამისი მწმე არის ხახუტაი ბაიმბურიაჲ, ივანე რატიანი, იმრიდონ გუაზაჲ:. არის სენაკს შაფათაჲ, მრთებს (მეტი არ წერია) (ს. კაკაბაძე, აფხაზეთის საკათალიკოზო გლეხების დიდი დავთარი, ტფილისი, 1914, გვ. 17-18).

ტვილის რაიონის დაბალი ზონის სოფლებს. მისგან ჩრდილო-აღმოსავლეთით დაახლოებით 2 კილომეტრში მდებარეობს მარტვილის მონასტერი, ხოლო მისგან სამხრეთ აღმოსავლეთით დაახლოებით 3 კმ-ში ჩვენს მიერ ზემოთ ნახსენები წმ. გიორგის ნაეკლესიარი. ნახარებაოს ეკლესიის ადგილი თავდაცვითი ფუნქციის მატარებელი უნდა ყოფილიყო. მას გარედან საკმაოდ დიდი გალავანი უნდა ჰქონოდა თავის დროზე. Iს სტრატეგიულად მოხსენიებულ ალგილზე მდებარეობს.

თ. ჟორდანიას აზრით, 1711 წელს ეკუთვნის მხედრული წარწერა ნახარებოუს მონასტრისა მე-XI საუკუნის ეტრატის სახარების თარგმანის წიგნზე: „სულსა დედოფლისა ელენეს შ ეს ღ ნ. სულსა თანამეცხედრისა მისისა მეფე-გურიელს მამიას და ძესა მისსა მეფე-გურიელსა გიორგის (ოდნავ ჩანს) შ ს ღ ნ; მამასა დედოფლისა ელენესსა დიდად სახელოვანსა... აბაშიძეს გიორგის შ ს ღ ნ“. მამია III+15 იანვარს 1714 წ. მეფობდა იმერეთს 1711 წ. ერთს წელს და 1713 წ. ორს თთვეს; დახატულია შემოქმედს და იქვეა დამარხული. იქვე წარწერილიცაა: „შ-ე უფალო გურიელი გიორგი და დედოფალი ხვარამზე ცოცხლებით“... „შ-ე ... ბატონიშვილი სვიმონ“... (ძე გიორგი V?) „ლიხტიმერეთის ერისთვის ძისწულმან და გურიელის ერისთვის შვილმან (ნიკოლოზ შემოქმედელმან?) ბერმან დავათავე“[1].

ნახარებაოს ეკლესია აუშენებია ოტია დადიანის (1728-1744) ძეს ანტონ I ჭყონდიდელს (1777-1816 წლებში იყო ჭყონდიდლად)[2], თუმცა ვფიქრობთ, ის ამ ტაძრის აღმდგენელი ჩანს და არა აღმაშენებელი.

ა) არქიტექტურულად ნახარებაოს სამონასტრო კომპლექსი ამ სახით არის აღწერილი: ნახარებავოს სამონასტრო ანსამბლი; გეგეჭკორის რ-ნი, გეგეჭკორის ს/ს, სოფ. ნახარებავო; 900-იან წლებში ეკლესია გადახურული იყო თუნუქით; ანსამბლი შედგება ეკლესიისა და სამრეკლოსაგან (დღეს სამრეკვლო არ არის შემორჩენილი – დ. ჭ.); ანსამბლში შემავალი ძეგლების კონსტრუქციული ნაწილები ძირითადად დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია. გამოყენებული არ არის; საქართველოს გვიანფეოდალურ ხანაში მშენებლობის გამოცოცხლებასთან ერთად იქმნება სხვადასხვა საკულტო ნაგებობები. მშენებლობის ხელოვნების დონე რადგან საერთოდ დაბალია, ამიტომ აღნიშნული ანსამბლს მხატვრული დონეც დაბალია. ეკლესია ერთნავიანია შვერილი აფსიდით. დარბაზი გადახურულია საბჯენ თაღებზე დაყრდნობილი კამარით. კარი სამი აქვს, სარკმელი კი – რვა. კედლები ნაგებია ყორექვით და აგურით, გარედან კი კირქვითაა მოპირკეთებული. სამრეკვლო ორსართულიანია. ქვედა სართული კამაროვანი გასასვლელია, ზედა კი – თაღოვანი ლატი.

პ. ზაქარაია, 14.X.54

ბ) ეკლესია; გეგეჭკორის რაიონი, გეგეჭკორის ს/ს., სოფ. ნახარებავო; გადაკეთებულია მხოლოდ სახურავი, სადაც კრამიტის სახურავის ზემოთ მოწყობილია ხის კონსტრუქცია და ზედ მოთუთიებული თუნუქი; მშენებელი უცნობია; ცალკე არსებული დეკორატიული ხელოვნების ნაწარმოები არ შერჩენილა; ძირითადი კონსტრუქციული ნაწილები დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია; ეკლესია ცალნავიანი დარბაზული ტიპისაა. საკურთხეველი ხუთწახნაგოვანი შვერილია. დარბაზი გადახურულია საბჯენ თაღებზე დაყრდნობილი ისრული კამარით. კარი თითო აქვს

[1] ქრონიკები, III, თბ. 1967 წ., გვ. 38-39.
[2] აბ. ტუღუში, დასახ. ნაშრომი, გვ. 230.

სამხრეთით, დასავლეთით და ჩდილოეთით. სარკმელი თოთო-თითოა გვერდის კედლებზე და სამ-სამი აღმოსავლეთისა და დასავლეთის კედლებში. კედლები ნაგებია ყორექვით და აგურით, ხოლო კონსტრუქციული ადგილები – მხოლოდ აგურით. ფასადები მოპირკეთებულია კარგად თლილი კირქვით. თავდაპირველი სახურავი ცილინდრული კრამიტისა ყოფილა, ხოლო შემდეგ მოთუთიებული თუნუქით გადახურული.

პ. ზაქარაია, 14.X.54.

გ) სამრეკვლო, გეგეჭკორის რ-ნი, გეგეჭკორის ს/ს, სოფ. ნახარებავო; გადაკეთებები არ განუცდია; მშენებელი უცნობია; ცარკე არსებული დეკორატიული ხელოვნების ნაწარმოები არ შერჩენილა; ძირითადი კონსტრუქციული ნაწილები დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია. სამრეკვლო ორ სართულიანია. ქვედა სართული კამაროვანია, კვადრატის კუთხეებში თითო სვეტია. თავდაპირველად, როდესაც მონასტერს გალავანი ჰქონდა, მაშინ სამრეკლოს ეს ნაწილი არსულებდა ჭიშკრის როლს. მეორე სართული ექვსსვეტიანი ფანჩატურია. გადახურულია გუმბათოვანი კამარით. სამრეკლო ნაგებია კირქვის კარგად თლილი კვადრებით;

პ. ზაქარაია; 14.X.54.

2. ნაგებობის ნაშთი

ნახარებავოს ეკლესიიდან სამხრეთით, დაახლოებით 1 კმ-ის დაშორებით დგას რიყის ქვით, კირის დუღაბზე ნაშენი კვადრატული ფორმის ნაგებობა. კედლების სიმაღლე 2-დან 3 მეტრამდეა. ზოგ ადგილას ეტყობა აგურის მინაშენიც. გალავნის მთლიანი სიგრძე დაახლოებით 45 მეტრია.

სოფელი ნოჯიხენი

1. ციხე და ეკლესია

მდინარე აბაშის მარცხენა სანაპიროსთან, მარტვილის მონასტრის სამხრეთით (დაახლოებით 4-5 კილომეტრში) შემორჩენილია დაახლოებით 1, 1,30 მ-ის სიმაღლეზე შემორჩენილი ძეგლი ეკლესიის ნაშთები. აქედან კარგად მოჩანს ჩრდილოეთით მარტვილის მონასტერი. აქვე არის რიყის ქვისგან ნაშენი ციხე-სიმაგრის კედლის ნაშთები. Iრგვლივ შეინიშნება სხვადასხვა მშენებლობათა ნაშთები, რომელსაც ოთახების ფორმა აქვს. შესაძლოა აქ იდგა სასახლე.

თ. კაპანაძისა და პ. ზაქარაიას ცნობით, „...მდინარე აბაშის მარცხენა მხარეს, ვაკეზე, სენაკი – მარტვილის გზატკეცილზე, ნოქალაქევიდან ათიოდე კილომეტრზე. შოფლის ბოლოს გათხრებმა გამოავლინა დასახლების კვალი, რომელიც ადრეფეოდალური ხანიდან იწყება. აღმოჩნდა ამ პერიოდის საცხოვრებელი კომპლექსი, რომლის აბანო და ტეტრაკონქის ტიპის ეკლესიის ნაშთი შემორჩენილია, ხოლო სასახლისა და სხვა დამხმარე ნაგებობებისა კი არა. ამ ეკლესიას ისინი V საუკუნის ბოლოს მესამედით და VI საუკუნის პირველ მესამედს შორის ათარიღებენ[1].

იქვე მახლობლად 30-ოდე მეტრზე სამხრეთით ორ გორაკზე აღმოჩნდა ციხის კედლით შემოფარგლული ფართობი. გამოვლინდა პალატის ნაშთი, ხოლო მეორეზე აღმოჩნდა მცირე ზომის ცალნავიანი ეკლესია, რომელიც განსხვავებული წყობის მქონე ნაგებობის ნანგრევებზე იყო დაშენებული. ქვედა ფენაში კი გამოვლინდა რვაფსიდიანი ტაძარი [2] . მათივე ვარაუდით ეს ადგილი კარგა დიდხანს ყოფილა დასახლებული. თავდაპირველად აქ V-VI სს. მიჯნაზე რომელიღაც დიდებულის საცხოვრებელი კომპლექსი აუგიათ, რომელიც VIII ს. დანგრეულა. შემდეგ, განვითარებულ შუა საუკუნეებში შესანიშნავ ტაძარს აგებენ, რომელიც ასევე ნანგრევებადაა ქცეული. XVI-XVIII სს. კი „ნაკურთხ ადგილზე“, ძველი ეკლესიის ნანგრევებზე, ცალნავიან, მარტივ ეკლესიას ადგამენ, ხოლო გვერდით ვრცელ პალატებს აშენებენ და ყველაფერ ამას ციხის კედლებით შემოფარგლავენ[3].

ნოჯიხევში დადიანების სასახლის შესახებ ცნობას გვაწვდის ნ. დადიანი: „ამითვის იმეცადინა გიორგი დადიანის ძემ და მიიბირა გელოვანი ქაიხოსრო და მოუწოდა გრიგოლს თავისსა სასახლესა შინა ნოჯიხევს“[4].

ნ. ბერძენიშვილის ცნობით, მდ. აბაშის მარცხენა მხარეზე, შუა ველში „ძველისძველი“ სიმაგრის ნაშთია „ნოჯიხევი“. ოვალური ფორმის ფართობი ორ ჰექტრამდე გარშემორტყმულია ზღუდით (დღეს ამ ზღუდის მცირე ნაწილია დარჩენილი და ეკლესიის ნაშთები – დ. ჭ.); ფართობის შუაში

[1] პ. ზაქარაია, თ. კაპანაძე, ციხე-გოჯი – არქეოპოლისი – ნოქალაქევი. ხუროთმოძღვრება, თბ., 1991, გვ. 233, 240-241.
[2] პ. ზაქარაია, თ. კაპანაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 233.
[3] პ. ზაქარაია, თ. კაპანაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 233-234.
[4] ნ. დადიანი, ქართლის ცხოვრება, თბ., 1962, გვ. 188.

რაღაც ნაგებობის კვალია (ალბათ ამ ეკლესიას გულისხმობს – დ. ჭ.). ნ. ბერძენიშვილი მიიჩნევდა, რომ ნოჯიხევი განვითარებული ფეოდალური ხანის ნაშთი არაა: ამ დროს ველში ასეთი ჯიხას აგების საჭიროება არ იყო[1].

2. ნოჯიხევის რვააბსიდიანი ეკლესია

„ნოჯიხევის ორი გორაკიდან მომცროს გათხრამ პატარა ზომის, ყოვლად უსახო დარბაზული ეკლესიის ნაშთი გამოავლინა. იგი დადგმული იყო საინტერესო, კაპიტალურად ნაგები ტაძრის ნანგრევებზე...“ [2], რომელიც რვააფსიდიანი აღმოჩნდა. როგორც აღნიშნულა, სრული სიახლეა არა მარტო ისტორიული სამეგრელოსათვის, არამედ მთელი საქართველოსთვისაც. ასეთი ტიპის ტაძარი საქართველოში ნოჯიხევამდე ცნობილი არ იყო. მიუხედავად იმისა, რომ ძეგლი ძალზე დაზიანებულია, მისი გეგმის დადგენა მაინც ხერხდება. ეკლესიას შიგნიდან რვა აბსიდი აქვს, გარედან კი მრავალწახნაგა იყო. მას სამი კარი აქვს ღერძებზე – დასავლეთით, სამხრეთითა და ჩრდილოეთით. ორი უკანასკნელი გვიან ამოუშენებიათ. ჩრდილოეთის კარზე ამოშენების დაშლის შემდეგ აღმოჩნდა ზღურბლი, შვერილი ნაოთხალით, დასავლეთის კარი, როგორც მთავარი, დანარჩენ ორზე ცოტათი განიერია[3].

---

[1] ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. VIII, თბ., 1975, გვ. 463.

[2] პ. ზაქარაია, თ. კაპანაძე, ციხე-გოჯი – არქეოპოლისი – ნოქალაქევი. ხუროთმოძღვრება, თბ., 1991, გვ. 241.

[3] „ეკლესია შიგნიდან რვა აფსიდისაგან შედგება. ცენტრალურ, გუმბათქვეშა ფართობის გარშემო აფსილები რადიალურადაა განლაგებული და ერთიან სივრცეს ქმნიან. აფსიდების წრიული მოსახულობა ყველგან ზუსტად შერთნაირი არ არის. შვიდი აფსიდა უბემოა და უშუალოდ ერთვის ცენტრალურ სივრცეს. ისინი ზომებით ოდნავ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. შედარებით დიდია ის აფსიდები, რომლებშიც კარებია გაჭრილი. საკურთხევლის აფსიდა მათზე განიერია, გემა ახლავს და ამის გამო ღრმაცაა. საკურთხევლის აფსიდის მოხაზულობა სხვა აფსიდების ზომისაა, მაგრამ სხვებისაგან განსხვავებით, ბემის დასაწყისში განივრდება. საკურთხეველი ეკლესიის დარბაზის დონეზე ორი საფეხურით მაღალია. შუაში, აღმოსავლეთ კედელთან, ტრაპეზის ქვაა მიდგმული. ბემის კედლებში, მარჯვნით და მარცხნივ, თითქმის იატაკის დონეზე, თითო მომრგვალებული ნიშაა, რომელთაც იატაკის დონიდან გამყოფი ქვის ღილები ახლავთ. ჩრდილოეთით აფსიდებს შორის ორი გადარჩენილი პილასტრის ზედაპირი სამ-სამი ლილვითაა დამუშავებული.

გუმბათი შიგნიდან როგორ იყო გადაწვეტილი, ზუსტად არ დგინდება. ნანგრევებში აღმოჩენილი ფრაგმენტების მიხედვით მხოლოდ იმის თქმა შეიძლება, რომ გუმბათის ყელზე გადასვლა აფრული ყოფილა. მიუხედავად იმისა, რომ ეკლესია გარედან უფრო მეტადაა დაზიანებული, ვიდრე შიგნით, კარგად ჩანს, რომ ცოკოლსა და საძირკველს წრიული მოხაზულობა აქვთ, ხოლო ზემოთ თვით კორპუსი წახნაგოვანი ყოფილა. საძირკველი ნაგებია ყორექვით, ხოლო ორსაფეხურიანი ცოკოლი – თლილი ქვით. ცოკოლი შენობის ირგვლივ კარგადაა შერჩენილი. ზედა კორპუსისაგან კი მოღწეულია მხოლოდ სამი გვერდი ჩრდილო-დასავლეთის მხარეს, ისიც ნაწილობრივ. სწორედ ამ ნიშნით ირკვევა, რომ ტაძრის კორპუსი წახნაგოვანი ყოფილა. წახნაგებს ძირში ორნამენტიანი არშია გასდევს. მის ზემოთ კი რთული პროფილის მაღალი ფრიზი ყოფილა, რომლის ფრაგმენტი შემორჩენილია ჩრდილო-დასავლეთ წახნაგზე. რა ხდებოდა ამის ზემოთ, ადგილზე არ ჩანს.

ნოქალაქევის რვაფსიდიან ეკლესიას პ. ზაქარაია და თ. კაპანაძე მხატვრულ-არქიტექტურული ანალიზის საფუძველზე X-XI საუკუნეებით ათარიღებენ[1].

შესაძლოა სწორედ აქ ყოფილიყო ონოგურისის ციხეს ერთ-ერთ საძებნ ადგილზე, რომელიც მდ. აბაშის (ანუ აგათია სქოლასტიკოსის კათარის წყალი) ხეობაშია საძებნი.

სოფელი ჯოლევი

1. წმ. გიორგის სახელობის ნაეკლესიარი

სოფელი ჯოლევში სასაფლაოსთან (ნარსიების, ყურუების, ჯღარკავების, ცეკვავების) მდინარე ტარჩელის მარჯვენა ნაპირთან ახლოს იდგა წმ. გიორგის სახელობის ხის ეკლესია. დღესაც შეინიშნება საძირკვლის ნაშთები, და ირგვლივ მიმობნეულია ქვები. აქ მღვდლები ყურაშვილები იყვნენ.

2. ლეცეკვე-ლემესხე – ჯვრის ნაეკლესიარი

მდინარე ტარჩელის მარცხენა მხარეს (2 კილომეტრში) ლეცეკვე-ლემესხეს უბანში სასაფლაოსთან, ადგილობრივთა გადმოცემით, იდგა ჯვრის სახელობის ხის ეკლესია. ეს ტერიტორია მდებარეობს მდინარე ტარჩელისა (მარცხენა სანაპირო) და ტეხურს შორის; მისგან დასავლეთით არის ნოქალაქევი.

ეკლესიის ნანგრევებში ბლომადაა ნაპოვნი არქიტექტურული დეტალი და ჩუქურთმის ფრაგმენტი. ტაძარი გარედან მოთეთრო კირქვის კარგად თლილი კვადრებით ყოფილა შემოსილი, ხოლო შიგნიდან – თლილი, პატარა ზომის შირიმის ქვით. შირიმი გამოყენებულია პილასტრების ლილვებზეც. ეკლესიის მოხატულობა არაა შემორჩენილი, მაგრამ, ვფიქრობთ, იგი მოხატული იყო. ამის მაუწყებელია ჩრდილო აფსიდების ზედაპირის ნაჭდევებით დამუშავებული ბათქაშის დასამაგრებლად.

ტაძრის ნანგრევებში აღმოჩნდა ასომთავრული წარწერის ფრაგმენტები, რომლებიც შესრულებულია ისეთივე კირქვის ფილებზე, როგორითაც ტაძრის ფასადებია შემოსილი.

ეკლესია რელიეფებითაც ყოფილა მორთული. ამათგან ჩვენამდე მოაღწია ერთადერთმა ხარის თავმა.

ნუმიზმატიკური მასალიდან აღსანიშნავია ის მონეტები, რომლებიც აღმოჩნდა ნაგებობის ირგვლივ. ერთი მონეტა უშუალოდ ტაძრის ნანგრევებშია აღმოჩენილი, იატაკის დონეზე. თერთმეტი მონეტა განძის სახით ნაპოვნია ჩრდილო-აღმოსავლეთით 50-იოდე მეტრზე, გალავანთან (ქოთანში იყო), სამი მონეტა კი ნაპოვნია ტაძრის გარშემო, სხვადასხვა ადგილას. მონეტები ვერცხლისაა, კარგად შემონახული, მათი ნაწილი ტპაპიზონის საკეისროსია, ნაწილიც სელჯუკური (XIII ს. ქრონოლოგიურად 1236-1263 წწ. თავსდება)“ (პ. ზაქარაია, თ. კაპანაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 241-247).

[1] პ. ზაქარაია, თ. კაპანაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 254.

სოფელი აბედათი

1. ლემიქავეს იოაკიმეს და ანას სახელობის ნაეკლესიარი.

ლემიქავეს სასაფლაოსთან იდგა წმ. იაკიმეს და ანას სახელობის ხის ეკლესია. აქ ბოლო მღვდელი ყოფილა ივანე გაგუა.დღეს აქ ახალი ეკლესია შენდება

2. ლუხურცილეს იზდორეთის ოხვამე (ეკლესია) – ღვთისმშობლის სახელობის ეკლესია

ლუხურცილეს სასაფლაოსთან იდგა ხის ეკლესია, მას „იზდორეთის ოხვამეს“ (იზდორეთის სალოცავს) ეძახდნენ. მღვდელი ამ ეკლესიასთან წინ ცხოვრობდა, აქ მდებარე წყაროსაც სახელწოდებად შემორჩენია „პაპაში წყუ“ (მღვდლის წყარო). იქ გარეთ ზარიც ეკიდა, რომელიც ლეძაძამეს სკოლაში წაუღიათ. მღვდელი აქ ყოფილა იოანე გაგუა, ამ ეკლესიის აშენება უთავია ისიდორე გაგუას (ზოგიერთი გადმოცემით მღვდელი ასევე იყო გვარად კურდღელია) და სწორედ ამიტომ ეძახდნენ იზდორეთის ოხვამეს. ჩვენს მიერ ჩაწერილ გადმოცემას გაგუების მღვდლობაზე ამ ეკლესიაში ადასტურებს ზემოთ წარმოდგენილი საარქივო მონაცემებიც, სადაც 1864 წელს აქ მოძღვარი ყოფილა გიორგი ქაჯაია, მღვდელი დავით გაგუა, პრიჩეტნიკი ეფვთიმე ქაჯაია.

3. წმ. გიორგის სახელობის ნაეკლესიარი

სოფელ აბედათში იდგა წმ. გიორგის სახელობის ხის ეკლესია

როგორც გაზ. „მწყემსი“ გვატყობინებს „აბედათში 1887 წელს მღვდელი ყოფილა, მამა მაქსიმე ანჯაფარიძე“[1], რომელიც 1864 წელს ის მედავითნეა, ხოლო მღვდელი არის გიორგი ცხაკაია (იხ. ზემოთ).

[1] გაზ. მწყემსი, №8, 1887

4. აბედათის სიხე-სიმაგრე

სოფელ აბედათში, სოფლის დასავლეთით, მაღალ მთაზე დგას სავარაუდოდ ეგრისის სამეფოს დროინდელი ციხე-სიმაგრე. სამხრეთით, სამხრეთ-აღმოსავლეთით და დასავლეთით მას ესაზღვრება ბჟერის მთა, ასე რომ ამ მხრივ მიდგომა შეუძლებელია. ამ მთის იქით, მისგან დაახლოებით 400-500 მეტრში არის მდ. ტეხურის მარცხენა სანაპირო – დასავლეთით (შემოვლითი გზით აბედათის ციხიდან მდ. ტეხურამდე 2 კილომეტრია); აღმოსავლეთით მდ. აბაშამდე დაახლოებით 6 კილომეტრი. ჩრდილოეთით მარტვილამდე 14 კილომეტრია. სამხრეთით ძველ სენაკამდე 20-22 კილომეტრია. ამის უკან მდებარე ბჟერის მთიდან, სადაც ასევე ყოფილა სხვა ციხე-სიმაგრეც, მოჩანს მთლიანად მდ. ტეხურის სამხრეთი, სამხრეთ-დასავლეთი და ჩრდილოეთი ხეობა, ასევე სამხრეთით ნოქალაქევის ციხეები. მისგან აღმოსავლეთიდან ის მთლიანად აკონტროლებს მდ. აბაშის ხეობას. ციხის ქვემოთ არის წყარო, რომლის ქვაბულიც კარგად ნათალი დიდი კვადრებითაა ნაგები სავარაუდოდ ის გვირაბით უკავშირდებოდა ციხეს. ამ ციხე-სიმაგრეს, ძირითადი კედლის გარდა, გარეთა პერიმეტრზე შემოუყვება კიდევ მეორე კედელი. ციხესთან მისვლა მხოლოდ დასავლეთის მხრიდანაა შეიძლებელი. მისგან აღმოსავლეთით ჩანს ნოჯიხევში მდ. აბაშის მარცხენა სანაპიროსთან. ჩვენს მიერ ფიქსირებული ციხე. შესაძლოა აბედათის ციხე, ობჟალეს მთის წვერზე მდგარი კოშკების საშუალებით პირდაპირ უკავშირდებოდა შხეფის (ასევე მანამდე ნოქალაქევად – კოტინეთის თავდაცვის ხაზზე მაღალ მთაზე მდგარ რამოდენიმე ციხე-კოშკს და ციხე-სიმაგრეს) ციხეს, რომელიც ასევე აკონტროლებს მდ. ტეხურის ხეობას აღმოსავლეთით და სამხრეთით.

აბედათის ციხე საკმაოდ დეტალურად არის აღწერილი არქიტექტორთა მიერ, თუმცა არქეოლოგიურად ის უფრო მეტ შესწავლას მოითხოვს და შესაძლოა აქ არა თუ ძველი ეგრისის სამეფოს დროინდელი, არამედ უფრო ძველი ფენებიც გამოვლინდეს.

ა) მარტვილის რაიონი, სოფ. აბედათი

აბედათის ციხის I ნაგებობის ნაშთი. შუა საუკუნეები

აბედათის სოფლის მღდელმა მამა მაქვსიმე ანჯაფარიძემ, როდესაც ის მივიდა თავის ეკკლესიაში საწირავად, ეკკლესიის სენაკში ნახა ჩიჩაბში ჩაკრული ახალი დაბადებული მკვდარი ბავშვი.

ტიპი – სამეურნეო.

ციხის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში იკითხება ნაგებობის ნაშთი. ნაგებობა გეგმით წაგრძელებულ მართკუთხედს წარმოადგენს. კედლები მიწის დონემდეა დასული. ნაშენი ყოფილა ადგილობრივი ჯიშის ქვით-კირის დუღაბზე.

1992 წ. 17 აპრილი. არქიტექტორი ლ. გიორგაძე.

ბ) აბედათის ციხის II ნაგებობის ნაშთი. შუა საუკუნეები

ტიპი – სამეურნეო.

ციხის ჩრდილოეთით კედლის ცენტრალურ ნაწილში იკითხება ნაგებობის ნაშთი. ნაგებობა გეგმით კვადრატს უახლოვდება, რომლის სამხრეთ ნაწილში შეინიშნება ღიობი. კედლები შემორჩენილია 0,3 მ-ის სიმაღლეზე. საშენ მასალად გამოყენებულია ადილობრივი ჯიშის ქვა-კირის დუღაბზე.

1992 წ. 17 აპრილი. არქიტექტორი ლ. გიორგაძე.

გ) აბედათის ციხის III ნაგებობის ნაშთი. შუა საუკუნეები

ტიპი – სამეურნეო

ციხის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში მდგომ კოშკს ემიჯნება ნაგებობის ნაშთი. ნაგებობა გეგმით წარმოადგენს წაგრძელებულ მართკუთხედს. კედელში შემორჩენილია 1 მ-ის სიმაღლეზე. საშენ მასალად გამოყენებულია დიდი ზომის თლილი ქვა-კირის დუღაბზე.

1992 წ. 17 აპრილი. არქიტექტორი ლ. გიორგაძე.

დ) აბედათის ციხის კოშკი. შუა საუკუნეები

ტიპი – საფორტიფიკაციო.

ციხეს სამხრეთიდან მოწყობილი აქვს კარიბჭე, რომელიც გეგმით კვადრატული ფორმისაა. ჩრდილოეთისა და სამხრეთის კედლები მთლიანად დანგრეულია. შემორჩენილი მცირე ნაწილი ნაშენია ადგილობრივი ჯიშის თლილი ქვით-კირის დუღაბზე.

1992 წ. 17 აპრილი. არქიტექტორი ლ. გიორგაძე.

ე) ნაგებობის ნაშთი. შუა საუკუნეები

ტიპი – სამეურნეო

„აბედათის ციხიდან“ ჩრდილოეთით 30 მ-ის დაშორებით შემორჩენილია ნაგებობის ფრაგმენტები, რომელიც გაუთხრიათ. ნაგებობა გეგმით მართკუთხედს წარმოადგენს. იკითხება აღმოსავლეთის კედლის ნაშთი ნახევარი მეტრის სიმაღლეზე. ნაშენია ფლეთილი ქვით-კირის დუღაბზე.

1992 წ. 17 აპრილი. არქიტექტორი ლ. გიორგაძე.

ვ) აბედათის ციხის მინაშენის ნაშთი. შუა საუკუნეები

ტიპი – საფორტიფიკაციო

ციხის აღმოსავლეთიდან იკითხება მინაშენის ნაშთები. გეგმის დადგენა ვერ ხერხდება. შემორჩენილია ნაწილი. ნაშენია დიდი ზომის ფლეთილი ქვით-კირის დუღაბზე.

1992 წ. 17 აპრილი. არქიტექტორი ლ. გიორგაძე.

ზ) ნაგებობის ნაშთი. შუა საუკუნეები

ტიპი – საფორტიფიკაციო

„აბედათის ციხიდან“ აღმოსავლეთით 20 მ-ის დაშორებით შემორჩენილია ნაგებობის ნაშთი. ნაგებობა შესდგება ორი სათავსოსაგან. ორთავე სათავსო გეგმით კვადრატს უახლოვდება. კედლები შემორჩენილია 30 მ-ის სიმაღლეზე. ნაშენი ყოფილა ფლეთილი ქვით-კირის დუღაბზე.

1992 წ. 17 აპრილი. არქიტექტორი ლ. გიორგაძე.

თ. ნაგებობის ნაშთი. შუა საუკუნეები

ტიპი – საფორტიფიკაციო

„აბედათის ციხიდან“ ჩრდილო-აღმოსავლეთით 25 მ-ის დაშორებით შემორჩენილია ღია ნაგებობის ნაშთი, რომლის დიდი ნაწილი დაფარულია მიწითა და მცენარეულობით. იკითხება სამხრეთის კედლის ფრაგმენტები 20 სმ-ის სიმაღლეზე. ნაშენი ყოფილა დიდი ზომის ფლეთითი ქვით-კირის დუღაბზე.

1992 წ. 17 აპრილი. არქიტექტორი ლ. გიორგაძე.

ი. აბედათის ციხის IV ნაგებობის ნაშთი. შუა საუკუნეები

ტიპი – სამეურნეო

ციხის ცენტრალურ ნაწილში შემორჩენილია ნაგებობის საძირკველი. სავარაუდოა, რომ ნაგებობა შესდგებოდა ორი სათავსოსაგან. ნაშენი ყოფილა ადგილობრივი ჯიშის ქვით-კირის დუღაბზე.

1992 წ. 17 აპრილი. არქიტექტორი ლ. გიორგაძე.

აბედათის ციხე-სიმაგრე არქიტექტურულად ასევე შეისწავლეს თ. კაპანაძემ და პ. ზაქარაიამ. ავტორთა მიერ შამოთავაზებული კვლევის ამ მონაკვეთთან ჩვენ არაფერი გვაქვს საწინააღმდეგო [1], თუმცა ვერ გავიზიარებთ ავტორთა მიერ შემოთავაზებულ

[1] “სოფელ აბედათს ჩრდილოეთიდან მაღლა მთა დაჰყურებს, ამ მთის წინა პირზე დგას ციხე, რომელიც ძირითადად იცქირება სამხრეთით და სამხრეთ-აღმოსავლეთით. ციხე არაა ერთდროული. მის გარეთ არის რამდენიმე კედლის ფრაგმენტი, რომელიც გვაფიქრებინებს; რომ ისინიც ციხის გავლავნის ნაშთებია. ციხის ჩრდილოეთით და დასავლეთით 100-150 მეტრზე ვაკეა, შემდეგ კი ამ მხარეებზე რელიეფი იწევს და საკმაოდ მაღალი მთაა წამომდგარი ამ მთის წვერზე, 300-400 მეტრის დაცილებით, რაღაც კედლის ნაშთია, მეორე უფრო გრძელი კედლის

ნაშთი ციხის ჩრდილოეთითაა. კედლების ეს ნაშთები მიწის ზედაპირის დონეზეა. თუ ისიც ციხის გალავნის ნაშთები აღმოჩნდა, მაშინ ის რაც ახლა დგას ციტადელი იქნება.

ციხის გათხრებმა გამოავლინა, რომ იგი მინიმუმი სამი ფენისაგან შედგება არქიტექტურული მასალა ადრეფეოდალური ხანისაა, მაგრამ არის (XI-XIII სს-ის მოჭიქული კერამიკა, დასავლეთ საქართველოს XIII-XIV სს-ის კირმანეული და XVII-XVIII სს-ის თურქული ვერცხლის მონეტები და ჩიბუხები) თავდაპირველი ფენის ნაშთი გათხრებამდე ჩანდა მხოლოდ ციხის სამხრე-დასავლეთის კუთხეში. ასევე, დასავლეთის გალავნის სამხრეთის ნახევარი აშკარად განსხვავდება ჩრდილოეთის მონაკვეთისაგან. არის საეჭვო ადგილები ჩრდილოეთის კედელშიც.

მთლიანად ციხე ორი გალავნისაგან შედგება. მთავარია ის, რომელმაც აქამდე მოაღწია და ეზოს შემოფარგლავს 10-12 მეტრის სიმაღლის კედლებით. მისი გეგმა უწესო ტრაპეციის მაგვარია, ჩრდილოეთისა და აღმოსავლეთის კედლები თუ სწორ კუთხეს ქმნიან, დასავლეთის მომრგვალებულია და უერთდება ცერად მომავალ სამხრეთის გალავანს. ციხის სამხრეთისა და აღმოსავლეთის მონაკვეთი, მთის რელიეფის შესაბამისად, მეორე გალავნითაა შემოფარგლული (აღმოსავლეთის მიმართულების ეს მცირე გალავანი პირველს 16 მეტრითაა დაცილებული, სამხრეთით კი – 13 მეტრით). ფერდობს მიმყოლი ეს მეორე გალავანი ზემოდან მიწის დონეზეა დარღვეული, მაგრამ ქვემოთ ათიოდე მეტრის სიმაღლეზე ჩადის, ფერდობს მიმყოლი გალავანი გამაგრებულია კონუსური კონტრფორსებით. ადრეულ ხანაში ასეთი კონტრფორსები გავრცელებული არ არის, მაგრამ გვხვდება, მაგალითად, ჭაქვინჯში. ამ ფერდობის მიმყოლ გალავანში ჩართულია კოშკი, რომლის გეგმა კვადრატულია. მისი მასა ზემოთკენ თანდათანობით ვიწროვდება. კოშკის პირველ სართულზე ყრუ კედლებია, ზედა ორ სართულს კი მცირე სარკმლები ანათებს. არსებულ კედლებში კარი არ არის და არც უნდა ყოფილიყო, რადგან გარედან მას იგი არ სჭირდებოდა. კარი იქნებოდა ციხის ზედა ტერასაზე, კოშკის ბოლო სართულზე და ეზოს დაუკავშირდებოდა.. მოძრაობა ზემოდან ქვემოთ მოხდებოდა, რაც ნორმალურად უნდა მივიჩნიოთ. სართულშუა გადახურვა ხისა იყო. ფერდობზე გამავალი გალავანი, მასში ჩართული კოშკით, ციხის თავდაპირველ ფენას უნდა მიეკუთვნებოდეს. ციხის დათარიღება, ცხადია, IV-VI სს-ით შეიძლება, მაგრამ იგი ალბათ მთელი შუა საუკუნეები მოქმედებდა, ვიდრე XVIII ს-ის ბოლომდე. ამ ხნის განმავლობაში მას მრავალი დიდი და მცირე გადაკეთებები განუცდია.

გათხრებმა ეზოს შიგნით და აღმოსავლეთით გალავნის გარეთ გამოავლინა ციხის ნაშთები. დარღვეული კედლების სიმაღლე ერთ მეტრს არ აღემატება, ძველი კედელი ჩამოყალიბებულია აგრეთვე სამხრეთ-დასავლეთის მონაკვეთში. სამწუხაროდ, ეს კედლები იმდენად ფრაგმენტალურია, რომ მათი ერთმანეთთან დაკავშირება და ციხის გეგმის მოხაზულობის აღდგენა ვერ ხერხდება.

პირველი ციხიდან დარჩენილია ჩრდილოეთის გალავნის ხაზი, რომელიც შემდეგი დროის გალავნიდან სამი მეტრითაა დაცილებული და მის პარალელურად მიემართება. მისი გაგრძელება მერმინდელ გალავანშია ჩართული. ჩრდილო-დასავლეთის კუთხეში მდგარი სამსართულიანი კოშკი, გრძელი, სასახლის ტიპის სათავსით, სამფენიანი ჩანს, ამათგან კოშკი უკეთაა შერჩენილი. მის სამხრეთით მდგარი საცხოვრებლიდან მხოლოდ პირველი სართულია გადარჩენილი, ისიც ორი მეტრის სიმაღლეზე. ეზოდან მხოლოდ საცხოვრებელშია ორი შესასვლელი. მის შიგნით ყველაფერი მოშლილია, მაგრამ კარების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ორნაწილიანი იყო. არაა გამორიცხული ეს საცხოვრებელი ორი პერიოდის ნაგებობა იყოს. ციხის ეს კუთხე საცხოვრებელი კოშკით, ალბათ, ციხისთავისთვის იქნებოდა განკუთვნილი.

ციხის პირველი ფენის კიდევ ერთი დეტალი აღმოჩნდა. ესაა ჩრიდილოეთის ცენტრალურ ნაწილში მდებარე კოშკური ჭიშკრის ნაშთები. ალბათ, ციხეში შესასვლელი მოწყობილი იყო ამ მდგარი კოშკის პირველ სართულში. ნოქალაქევის ანალოგიით თუ ვიმსჯელებთ, კოშკის პირველი სართული თაღოვან-კამაროვანი გასასვლელი იქნებოდა (გასასვლელის სიგანე 3 მეტრია). მეორე სართული მცველებისათვის იქნებოდა განკუთვნილი, ხოლო მესამე საბრძოლო ბანი უნდა ყოფილიყო.

გალავნის სამხრეთ-დასავლეთის კუთხეში, ახლანდელი გალავნის შიგნით და გარეთ, რომელიღაც კედლების ნაშთებია. მათი მოხაზულობა კოშკის შთაბეჭდილებას ტოვებს. ციხის ეზოში, ცენტრალური მონაკვეთი ჯერ მთლიანად არ არის გათხრილი, გამოჩნდა სწორკუთხა შენობის ნაშთი, მას აღმოსავლეთის ხაზი მორღვეული აქვს, ამიტომ თუ რა შენობის ნაწილია, არ ირკვევა. მაგრამ ერთი რამ ცხადია – იგი არ არის კოშკის ნაშთი, იგი საცხოვრებელია, შესაძლოა სასახლე ყოფილიყო.

„პირველი ციხის კედლები ძირითადად ერთი მეტრის სისქისაა, ზოგან კი ცოტათი მეტი. შეიძლება ასეთი თხელი კედლები იყოს მიზეზი ამ ადრეული ციხის თითქმის ძირფესთიანად დანგრევისა. ეგრისის სამეფოს ისეთი ციხეები, როგორიცაა – შხეფი, კოტიანეთი და „საკალანდარიშვილო“, გალავნების სისქის ასეთივე სურათს ავლენს. პირველი ციხის ნანგრევებზე აგებული მეორე ციხე განსხვავებული გეგმისაა. ეს ახალი ციხე ორი ნაწილისაგან შედგება. მთავარი ციხე ისაა, რომელსაც ტრაპეციის მაგვარი მოხაზულობა აქვს, მეორე კი, მას ეკვრის აღმოსავლეთით და სამხრეთით. პირველი მათგანი უკეთაა შერჩენილი, მეორე კი მიწის დონეზეა დანგრეული, მაგრამ გარედან, ფერდობზე მიდგმული გალავანი საკმაოდ დიდი სიმაღლისაა.

მომდევნო პერიოდის ციხეს, განსხვავებით პირველი პერიოდის ციხისაგან, შესასვლელი მოპირდაპირე მხარეს, სამხრეთიდან აქვს. აქაც კოშკი ყოფილა. მცირე ზომის ეს კოშკიც ორსართულიანი მაინც იქნებოდა, თუ მეტი არა. ე. ი. ქვემოთ ტრანსპორტის გასასვლელი, მეორე სართულზე მცველთა სამყოფი და ზემოთ – თავდაცვითი ბანი (შესაძლოა სართულიანობა მეტი იყო, მაგრამ კოშკი ბანით მაინც დამთავრდებოდა). ადრეულსა და ამ კოშკს შორის კიდევ ის განსხვავებაა, რომ პირველი გალავნის გარეთ გადიოდა, შვერილი იყო, მეორე კი გალავნის შიგნითაა მოქცეული.

ამ მეორე სამშენებლო ფენის ციხის კედლები ხუთი მეტრიდან 10-20 მეტრის სიმაღლეზეა შერჩენილი. ყველაზე მეტად დაზიანებულია სამრხეთის მხარე, ნაკლებად – აღმოსავლეთისა. ჩრდილოეთისა თითქმის ერთ სიმაღლეზეა თავიდან ბოლომდე შერჩენილი. დასავლეთის ყველაზე მაღალია, მაგრამ ძველი და შემდეგი ფენები ერთმანეთშია შეზრდილი და გადაბმის ადგილზე ვერტიკალურადაა დაზიანებული. ასეთ მაღალ კედლებშიც არავითარი ამბრაზურა არ არის. როგორც მოსალოდნელი იყო, იმ ადრეული ეპოქისათვის ამბრაზურები კედლებში არც უნდა ყოფილიყო. დაცვა მთლიანად მოხდებოდა ზედა საბრძოლო ბილიკიდან, რომელიც ქონგურების გაყოლებაზე იქნებოდა. კედლების დამამთავრებელი ასეთი მონაკვეთი, სამწუხაროდ, არსად არაა შერჩენილი, მაგრამ არის ერთი დეტალი, რომელიც გვიანი, ერთ-ერთი გადაკეთების აშკარა ნაშთია. ესაა სვანურ კოშკებში გამოყენებული სალოდეების ნაშთი. იგი შერჩენილია დასავლეთის მაღალი გალავნის ცენტრალურ ნაწილში, ზემოთ. სალოდეების თაღები მორღვეულია და დარჩენილია პილასტრების მაგვარი მისი შვერილი საყრდენები, თაღების მოშლის შემდეგ მასზე ახალი კედელი დაუშენებიათ. ასე მაღლა, გალავნის ზემოთ სალოდეების გამოყენება შეიძლებოდა იმ შემთხვევაში, თუ მას შიგნიდან დარჩენილია ის „ბილიკი“, საიდანაც დამცველები ყრიდნენ ლოდებს, ასხამდნენ ცხელ სითხეს და სხვა. გვიან საუკუნეებში სვანური ფორმის სალოდეების გამოყენება, ასევე, ეგრისის სამეფოს დროინდელი შხეფის, ჭაქვინჯის ციხეებშიაც გვხვდება. თუ როდის უნდა გამოეყენებინათ სვანური სალოდეების ფორმა სამეგრელოში, ძნელი სათქმელია, ცხადია, ეს მოხდა გვიან საუკუნეებში, მაგრამ არაუგვიანეს XVI საუკუნისა.

მეორე პერიოდის ეს ციხე ნაგებია ფლეთილი ქვით. ქვა საშუალო ზომისაა, მაგრამ წყობის შესავსებად ბევრია პატარაც. ფასადებზე ბევრგან ნახავთ კარგად თლილ მოზრდილ ქვასაც. ასეთი თლილი კვადრები წყობაში ისეა ჩართული, რომ რაიმე ფენა, ან სისტემა განლაგებაში არ ჩანს, შემთხვევით ხასიათს ატარებს, მაგრამ ქვედა ფენებში, იქ სადაც მოზრდილი თლილი კვადრებია გამოყენებული, პირველი ციხის ნაშთთან უნდა გვქონდეს საქმე.

გალავნის ჩრდილოეთით, ქვების გროვის გაწმენდის შემდეგ გათხრებით გამოვლინდა ბუხრიანი შენობა. შენობა, ეტყობა, ხისა იყო, დარჩენილია ქვების ერთი ფენა ოთხივე მხარეს. ამის წემოთ იქნებოდა ხის სახლი. ასეთივე ორი ბუხრის ნაშთი დარჩენილია ციხის

მოსაზრებას ონოგურისის ციხესთან (რომელშიც, როგორც აღნიშნავენ „მტკიცედ არიან დარწმუნებულნი“) მისი იგივეობის შესახებ, რაზეც ჩვენ უკვე ზემოთ ეგრისის სამეფოს ციზე-სიმაგრეების განხილვის დროს ვისაუბრეთ.

5. აბედათის ციხის ღვთისმშობლის სახელობის ეკლესია

აბედათის ციხის გალავნის აღმოსავლეთის კედელში ჩაშენებულია ღვთისმშობლის სახელობის ეკლესია, რომელიც თ. კაპანაძის და პ. ზაქარაიას აზრით, IX საუკუნეშია ჩაშენებული[1].

აღმოსავლეთის მონაკვეთში, პირველი გალავნის გარეთ. ბუხრიანი ხის სახლების დათარიღება ძნელია, სათანადო მონაცემების უქონლობის გამო, მაგრამ, ვფიქრობთ, გვიანი საუკუნეებისა უნდა იყოს. ამ ბუხრიანი სახლის სრული ფიქსაციის შემდეგ გაითხარა იატაკის ქვემოთ, 1-1,5 მეტრზე ჩასვლის შემდეგ გამოვლინდა ელინისტური ხანის, ძვ. წ. III-I სს-ის კერამიკული მასალა. აქვე შეიძლება იმასაც გაესვას ხაზი. რომ ციხის შიგნით ახ. წ. IV ს-ზე ადრეული მასალა არ აღმოჩენილა“ (პ. ზაქარაია, თ. კაპანაძე, ციხე-გოჯი – არქეოპოლისი – ნოქალაქევი. ხუროთმოძღვრება, თბ., 1991, გვ. 128-137).

[1] „ციხის შიგნით მდგარი ეკლესია არ არის თავდაპირველი, ციხის თანადროული. თავდაპირველ ციხეს შეუძლებელია საკუთარი ეკლესია არ ჰქონოდა, რადგან იგი ციხის გარნიზონს ყოველთვის სჭირდებოდა. ეს ეკლესია საშუალო ზომის დარბაზული ნაგებობაა. იგი გეგმით გარედან სწორკუთხედია. ინტერიერში დარბაზის სწორკუთხედი აღმოსავლეთით ნახევარწრიული აფსიდით მთავრდება. დარბაზისა და აფსიდის გადახურვა არ შერჩენილა, მაგრამ კარგად ირჩევა, რომ დარბაზი გადახურული იყო ნახევარწრიული კამარით, ხოლო აფსიდა – იმავე მოხაზულობის კონქით. კამარა ეყრდნობა პილასტრებზე გადაყვანილ საბჯენ თაღს. თაღი პილასტრებით ცენტრიდან დასავლეთით ოდნავ გადაწეულია. შესასვლელი სამია – დასავლეთით, სამხრეთით და ჩრდილოეთით. ამათგან გვერდითები თითქმის ტოლებია, ხოლო დასავლეთისა მათზე განიერია (ჩრდილოეთის კარი გვიან ამოუშენებიათ. ამოშენებიდან დარჩენილია ნახევარი მეტრის სიმაღლის კედელი). კედლები ნაგებია საშუალო ზომის ოდნავ დამუშავებული ქვით, საშენად ძირითადად გამოყენებულია მოთეთრო კირქვა, მხოლოდ საკურთხევლის კონქის თაღის სამხრეთ დასაწყისსა და დასავლეთის სარკმლის წირთხლებზე შირიმია ნახმარი. კადრების წირთხლების წყობა არაა გამოყოფილი, სრულიად სხვაგვარია თაღის წყობა. იგი ნახევრადდამუშავებული ქვითაა აწყობილი. მართალია, ოსტატი თაღების ამოყვანისას ყოველთვის ვერ იცავს ნახევარწრიულობა, მაგრამ თავისთავად წყობა ლაზათიანია.

ეკლესიის ინტერიერი ნათდება სამი სარკმლით. ყოველ მხარეს თითოა, გარდა ჩრდილოეთისა. ისინი შიგნით გაგაგანიერებულია. სარკმლებიც ისევეა ნაგები, როგორც კარები, წირთხლების გამოყოფის გარეშე და თაღების სოლისებური ქვებით. სარკმლებს ადრეული ხანისათვის დამახასიათებელი ერთი თავისებურებაც გააჩნია. ესაა შიგნიდან გარეთ გამავალი ქვის აწევა ერთი საფეხურით. ასეთი კონსტრუქციული, საფეხურისებური გადაწყვეტა აქვს ნოქალაქევის ციტადელზე მდგარ „მისარიონის“ ეკლესიას. საკურთხევლის გვერდზე თითო მაღალი ნიშია, რომელთაგან ჩრდილოეთისა იატაკიდან 80 სმ, ხოლო სამხრეთისა 50 სმ-ზე იწყება. ნიშები გეგმაში ნახევარწრიულია. გადახურვა თაღოვანი აქვთ, მხოლოდ თაღები, რადგან პროფილირებული ორ-ორი ქვითაა მიღებული, უსწოროა, და შეისრული მოხაზულობა

არქიტექტურულად ის ამ სახით არის აღწერილი: მარტვილის რ-ნი, სოფ. აბედათი; „აბედათის ციხის“ ეკლესია. განვითარებული შუა საუკუნეები; ტიპი – საკულტო; ციხის გალავნის აღმოსავლეთ ნაწილში ჩართულია დარბაზული ტიპის ეკლესია, დასავლეთის მინაშენით. ეკლესია ნაშენია ადგილობრივი ჯიშის ქვით-კირის დუღაბზე. სამაოდ შთამბეჭდავია ქვის წყობის მხატვრული სახე; დარბაზი გეგმის სწორკუთხაა, აღმოსავლეთიდან ნახევარწრიული ფორმის აბსიდით. საკურთხეველში გაჭრილია თაღოვანი სარკმელი, რომლის ორთავე მხარეს თითო შვერილ-თაღოვანი – აზიდული პროპორციების ნიშია განლაგებული. აბსიდის კონქი ფრაგმენტულადაა შემორჩენილი. საკუთხეველი ერთსაფეხურიანი სოლეათია ამაღლებული და მცირე ზომის მხრებით იყოფა დარბაზისაგან. დარბაზი ნათდებოდა დასავლეთისა და სამხრეთის თითო თაღოვანი სარკმლით. გადახურვა მთლიანად ჩამოქცეულია. შემორჩენილია კამარის საბჯენი თაღის მცირე ფრაგმენტები, რომელიც ეფუძნებოდა ერთსაფეხურიანი პილასტების კაპიტელებს. დარბაზს შემოუყვება ხარისხი; ეკლესიას სამი, შინგიდან თაღოვანი, გარედან არქიტრავული შესასვლელი აქვს დატანებული. დასავლეთის

აქვთ, ასეთი გადაწყვეტა მათ ადრეულობას გამორიცხავს. ინტერიერში ჩვეულებრივზე მაღალი სივრცეა შექმნილი. ასეთი მაღალი პროპორციები ადრეულ ხანას არ ახასიათებს. ინტერიერის არქიტექტურული მორთულობა მარტივია. მხოლოდ ოთხი იმპოსტია მოზრდილი ოთხკუთხა ქვებით მიღებული. ინტერიერის დამუშავებული ქვით ნაგები კედლები შელესილი იყო თუ არა, ეს ამჟამად ზუსტად არ დგინდება. მაგრამ ძალიან თხელი, 2-3 მილიმეტრის სისტის ნალესობით რომ იყო დაფარული, ეს ცხადია. ამ ბათქაშის მცირე ფრაგმენტები ბევრგანაა შერჩენილი, ნალესობა ისეთი თხელია, რომ ქვის ჩაღრმავებულ ზედაპირებსაც კი ვერს ასწორებს. ფაქტია ისიც, რომ ამ ფრაგმენტების ზედაპირზე თითქმის ყველგანაა დარჩენილი მოწითალო, მუქი შინდისფერი. ფრაგმენტებში სხვა ფერი არ ჩანს, ამიტომ გარკვევით ვერ ვიტყვით აქ მხატვრობა იყო თუ არა. ეკლესია გასული საუკუნის ბოლოს, თუ ამ საუკუნის დასაწყისში, განუახლებიათ. იატაკი, საკურთხევრის აწეულ ნაწილთან ერთად, მოუფენიათ თეთრი კირქვის კარგად თლილი ქვით. დარბაზის ცენტრში დიდი ზომის ოქტოგონური ფორმის ქვა დევს, მის გარშემო წყობა ამ ოქტოგონის წახნაგებს მიჰყვება. იმავე დროს, საკურთხევლის შუაში ოთხკუთხა ტრაპეზი აღუმართავთ. მისგან დარჩენილია მხოლოდ ზედა ქვა. იატაკის დაგების დროს უნდა იყოს შეკეთებული დასავლეთის სარკმელიც. ეკლესიის ფასადები შემოსილია სხვადასხვა ზომის თლილი ქვით, სადაც ოსტატს უცდია ჰორიზონტალური რიგის დაცვა. შენობა დგას ერთსაფეხურიან ცოკოლზე. კარნიზი შერჩენილია აღმოსავლეთით და ნაწილობრივ სამხრეთით. იგი, თავისთავად, სწორკუთხა, შვერილ ფილას წარმოადგენს (იგი, მათალია, ძველის მიბაძვითაა გაკეთებული, მაგრამ ახალი ჩანს).

სამხრეთისა და ჩრდილოეთის კარების არქიტრავული გადახურვის გვერდებზე თითო კრონშტეინია. კრონშტეინები დიდი ზომის თითო ქვისგანაა გამოთლილი. ცხადია, ეს კრონშტეინები თაღების დასაყრდენად იქნებოდა განკუთვნილი, მაგრამ გაურკვეველია, თუ რა სათავსს ქმნიდნენ თაღები. ცალკე კარებზე მიდგმული კარიბჭეების არსებობა ადრეული საუკუნეების ძეგლებზე დადასტურებული არ არის. გამორიცხული არ არის აქ, ეკლესიის გვერდებზე მინაშენების არსებობაც.

ეკლესიის დასავლეთით სწორკუთხა კარიბჭე აქვს მიშენებული. მისი სახურავი ჩაქცეულია. კარი მხოლოდ დასავლეთითაა. კარიბჭის ფასადების წყობა ეკლესიის ფასადების წყობასთან მსგავსებას იჩენს, მაგრამ მას ხარისხით ჩამოუვარდება. ამიტომ ეკლესიას სტილისტური ნიშნები გამოკვეთილად არ გააჩნია, ამიტომ მისი ზუსტად დათარიღება ძნელდება. საერთო შთაბეჭდილებით კი იგი ნამდვილად არ არის ეგრისის სამეფოს დროინდელი ნაგებობა. კარიბჭეები ადრეულ ხანაში არ კეთდებოდა. ამასთან ერთად, ეკლესია არ შეიძლება IX ს-ზე უადრეს იყოს აგებული (პ. ზაქარაია, თ. კაპანაძე, ციხე-გოჯი – არქეოპოლისი – ნოქალაქევი. ხუროთმოძღვრება, თბ., 1991, გვ. 229-231).

კარიდან გავდივართ მინაშენში. მინაშენი გეგმით კვადრატს უახლოვდება. გადახურვა ჩამონგრეულია. დასავლეთის კედელშია გაჭრილი თაღოვანი შესასვლელი; ძეგლი დგას ერთსაფეხურიან ცოკოლზე.

1992 წ. 15 აპრილი, არქიტექტორი ლ. გიორგაძე.

6. ლეგაგუეს მთავარანგელოზთა სახელობის ნაეკლესიარი

ლეგაგუეს სასაფლაოსთან იდგა მთავარანგელოზთა სახელობის ხის ეკლესია. ეს ადგილი 2 კმ-ით არის დაშორებული აბედათის ციხიდან. გადმოცემით ის ყოფილა ჯღარკავების სალოცავი და ამ ეკლესიის ხატი მათ სენაკიდან ჩამოუტანიათ, საიდანაც ისინი ჩამოსულან. ხატი ჯერ ნახუნაოს ეკლესიაში დაუსვენებიათ, შემდეგ აქ აუშენებიათ თავიანთი ეკლესია. ბოლო მღვდელი აქ იყო სარდიონ ქაჯაია. ცანავების გვარს უცხოვრია ცანაში მდ. ცანასთან და ამის მიხედვით დაურქმევიათ ეს გვარ-სახელი.

7. ნაგებობის ნაშთები (ლეჯღარკე)

ადგილობრივთა გადმოცემით ლეჯღარკეს უბანში მდგარა ძველი, აგურისგან ნაშენი რაღაც ნაგებობა.

სოფელი სერგიეთი

მთავარანგელოზთა სახელობის ეკლესია

სოფ. სერგიეთში სოფლის სასაფლაოსთან დგას მთავრანგელოზთა სახელობის ქვის დარბაზული ეკლესია, რომელიც როგორც საარქივო მონაცემებზე დაყრდნობით არის აღნიშნული 1882 წელს ყოფილა აშენებული [1]. ეკლესია სამნავიანია; ნაშენია უმეტესად რიყის ქვით და წარმოადგენს საკმაოდ დიდ ნაგებობას.

თუმცა სერგიეთის მთავარანგელოზთა სახელობის ეკლესია 1838 საარქივო მონაცემებშიც ჩანს და შესაძლოა იმ დროს აქ ხის ეკლესია მდგარიყო (იხ. ზემოთ).

[1] ბ. დუმბაძე, ლ. კილასონია, აწმყო შობილი წარსულისაგან, ქუთაისი, 2002, გვ. 28.

სოფელი ბომბოთი

1. ღვთისმშობლის შობის სახელობის ეკლესია

სოფელ ბომბოთში, სასაფლაოსთან დგას (ახალი აღდგენილია) ღვთისმშობლის შობის სახელობის ეკლესია. გადმოცემით აქ უცხოვრია არჩილ დადიანს და აზნაურ ასათიანებს, რომლებიც ლეჩხუმიდან მოსულან. ეს ეკლესია აუშენებიათ 1843 წელს, ხოლო მღვდელი იყო ისიდორე ასათიანი, რომელსაც იქ 1882 წელს ორკლასიანი სამრევლო სკოლა აუშენებია, სადაც თვითონ ასწავლიდა წერა-კითხვას და ლოცვებს. 1910-1911 წლებში ეს ორკლასიანი სკოლა ოთხკლასიანად გადაუკეთებიათ[1].

არქიტექტურულად ეს ეკლესია ამ სახითაა აღწერილი: მარტვილის რ-ნი, სოფ. ბომბოთი; „ღვთისმშობლის“ ეკლესია. XIX საუკუნე; ტიპი – საკულტო; სოფლის სასაფლაოზე დგას მთავარანგელოზის სახელობის ეკლესია. ნაგებობა მნიშვნელოვნადაა დაზიანებული. გადახურვა მთლიანად ჩამონგრეულია. ფასადები დაფარულია სუროთი. ამოსულია ხეები. კედლები ბევრ ადგილას დაბზარულია; ძეგლი ნაშენია რიყისა და ქვიშა-ქვით კირის დუღაბზე. გამოყენებულია შირიმიც; დარბაზი გეგმით მართკუთხაა, ამოსავლეთის მხრიდან ნახევარწრიული ფორმის შვერილი აბსიდით. საკურთხეველში გაჭრილია თაღოვანი ფორმის სარკმელი, რომლის ორთავე მხარეს ასევე თაღოვანი ნიშებია განლაგებული. საკურთხეველი დარბაზისაგან გამოყოფილია წყვილი ერთსაფეხურიანი პილასტრით. ჩრდილოეთისა და სამხრეთის კედლებზე ორ-ორი პილასტრია შემორჩენილი. დარბაზი ნათდებოდა დასავლეთის ერთი და ჩრდილოეთისა და სამხრეთის ორ-ორი თაღოვანი სარკმლით; ეკლესიას შესასვლელი სამი მხრიდან აქვს (აღმოსავლეთის გარდა); ძეგლი დგას ერთსაფეხურიან ცოკოლზე; 1992 წ. 17 აპრილი, არქიტექტორი ლ. გიორგაძე

2. ციხე-კოშკი

ბომბოთის ციხის ნაშთები არქიტექტურულად ასეა აღწერილი: მარტვილის რაიონი, სოფ. ბომბოთი; „გომბოთის ციხე“. შუა საუკუნეები; ტიპი – საფორტიფიკაციო-თავდაცვითი; სოფლის სამხრეთით ხევის პირას, მთის შემაღლებულ ბორცვზე შემორჩენილია ციხე-კოშკის ნაშთები. იკითხება კოშკის კედლის ფრაგმენტი – 3-მ-ის სიმაღლეზე. კედლის სისქე 1,1 მ-ია. აქა-იქ მოჩანს გალავნის მცირე ფრაგმენტები. საშენ მასალად გამოყენებულია რიყის ქვა-კირის დუღაბზე; 1992 წ. 17 აპრილი. არქიტექტორი ლ. გიორგაძე.

---

[1] ბ. დუმბაძე, ლ. კილასონია, დასახ. ნაშრომი, გვ. 28.

სოფელი ნახუნაო

1. წმ. კვირიკეს და ივლიტას სახელობის ნაეკლესიარი

შემაღლებულ ბორცვზე იდგა წმ. კვირიკეს და ივლიტას სახელობის ეკლესია (დღეს მიმდინარეობს აღდგენა). მას ჩამოუდის ღელე არჯანია. ეს ეკლესია დაუნგრევია სარია გაგუას. აქ ზარს მრეკველი და სტაროსტა ყოფილა გუჩუ ზარქუა. ბოლო მღვდელი იყო გიორგი ზარქუა. ზემოთ წარმოდგენილი საარქივო მონაცემებით, 1864 წელს მღვდელი იყო ტიმოთე ჟორდანია, ხოლო მედავითნე ლაზარე ზარქუა. ამ ეკლესიიდან ჩრდილო-დასავლეთით არის ბჟერის მთა და აბედათის ჯიხა, დასავლეთით აბედათის მთა, ჩრდილოეთით ესიგუეს მთა, ჩრდილო-აღმოსავლეთით ტაბაკონა, ხოლო ამ მთაზე სოფ. თამაკონის მხარეს ე. წ. "მოცაციხე"; ჩრდილოეთით ნახარებაოს და მარტვილის მონასტერი. ეს ადგილი მდ. აბაშის მარჯვენა სანაპიროდან 5 კილომეტრშია, ხოლო მდ. ტეხურისგან მარცხენა ნაპირთან 3 კილომეტრში.

არქიტექტურულად ამ სახით არის აღწერილი: მარტვილის რ-ნი, სოფ. ნახუნავო; ეკლესია „კვირიკე"; ტიპი – საკულტო XIX საუკუნე; სოფლის სასაფლაოზე შემორჩენილია კვირიკეს ეკლესიის ნაშთი. ერთი თაღოვანი ნიშია მოწყობილი. ნიშთან დგას ტრაპეზის ქვა. აბსიდა ერთი საფეხურითაა ამაღლებული დარბაზის იატაკისაგან. ორი წყვილი პილასტრი დარბაზს ანაწევრებს სამ თანაბარ მონაკვეთად. ეკლესიას სამი შესასვლელი აქვს. სამხრეთ კედელში შემორჩენილია სარკმლის ფრაგმენტი. იატაკზე დაგებულია კვადრატული ფორმის ქვის ფილები. ეკლესიის კედლები შემორჩენილია 1-2,5 მ-ის სიმაღლეზე, ნაშენია ადგილობრივი ჯიშის ქვით-კირის დუღაბზე. შემორჩენილი ქვის წყობა თარაზულია; ძეგლი დგას ერსაფეხურიან ცოკოლზე.

1992 წ. 15 აპრილი, არქიტექტორი ლ. გიორგაძე

2. ესიგუეს წმ. იორგის სახელობის ეკლესია და თავდაცვითი ზღუდე

სოფლის დასავლეთით, მაღალ ბორცვზე, მთის ძირას დგას წმ. გიორგის სახელობის პატარა „სიგუების" ქვის ეკლესია. ადრე აქ იდგა ხის ეკლესია. ახლა მდგარი ეკლესია აუშენებიათ დაახლოებით 250 წლის წინ. სიგუები აქ ჩამოსულან სოფ. კვაუთიდან; ძველად აქ ხუხუნავებს უცხოვრია, რომლებიც დადიანს ამოუწყვეტია. პირველად აქ მღვდლები ყოფილან მოსიძეები, რომლებიც მარტვილის მონასტრის ქვემოთ ცხოვრობდნენ. ბოლო მღვდელი აქ ყოფილა

გიორგი ცანავა, დიაკონი, სტეფანე ცანავა. 1864 წლის მონაცემებით აქ მღვდელი არის ანტონ ოდიშარია, მედავითნე, ნიკოლოზ ოდიშარია.

ეს ეკლესია არქიტექტურულად ამ სახით არის აღწერილი: მარტვილის რ-ნი, სოფ. ნახუნავო; „სიგუების“ ეკლესია. გვიანი შუა საუკუნეები; ტიპი – საკულტო; ნაგებობა დარბაზული ტიპისაა. გეგმით მართკუთხა, აღმოსავლეთის მხრიდან დასრულებული ნახევარწრიული შვერილი აბსიდით. საკურთხეველში გაჭრილია ორი თაღოვანი სარკმელი და მოწყობილია სამი ნიში. დარბაზი ნათდება ჩრდილოეთისა და სამხრეთის ორ-ორი და დასავლეთის ერთი თაღოვანი სარკმელით; ეკლესიას ორი თაღოვანი შესასვლელი აქვს (დასავლეთის და სამხრეთის); ნაგებობის გადახურვა მთლიანად ჩამონგრეულია. კედლებზე ამოსულია სურო და ხეები. იატაკი მიწის. ძეგლი ნაგებია ფლეთილი – ქვით-კირის დუღაბზე. ქვის წყობა თარაზულია. ეკლესია დგას ერთსაფეხურიან ცოკოლზე.

1992 წ. 15 აპრილი, არქიტექტორი ლ. გიორგაძე

როგორც ჩანს, ესიგუეს ეკლესიის ტერიტორია ირგვლით გალავნით იყო შემოზღუდული. დღეს მისი ზუსტი ფორმა არ იკითხება, თუმცა ვფიქრობთ, რომ აქ თავდაცვითი ნაგებობა უნდა ყოფილიყო, რაზეც ასევე მისი სტრატეგიულად მოხერხებული მდებარეობა გვაფიქრებინებს. ეს იმავე ხაზზეა სადაც არის აბეზეთის და სხვა ჩვენს მიერ ფიქსირებული თავდაცვითი ნაგებობები. აქედან ჩრდილო-აღმოსავლეთით კარგად ჩანს მარტვილის მონასტერი და მდ. აბაშის მარჯვენა სანაპიროს ხეობა დაახლოებით 3 კმ-ის გაყოლებით.

3. სოფელ ნახუნაოში და მის მიმდებარე ტერიტორიაზე მდებარე თავდაცვითი ნაგებობი და ნაოხვამუ ადგილები ტოპონიმების მიხედვით.

ეჯახუეს უბნის ზემოთ არის ადგილი „ნაჯიხური“; ეცანეს ზემოთ არის ადგილი „ნაჯიხური“, ამ ორივე ადგილებში ძველად ეკლესიები მდგარა; სავარაუდოდ იქ თავდაცვითი ნაგებობაც უნდა ყოფილიყო, ეს იმავე ხაზზე სადაც მდებარეობს მარტვილის მონასტერი, რომლის თავდაცვა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი იყო. ეს ადგილები მდებარეობს უნაგირის მთის ძირში, ხოლო მთაზე უფრო მაღლა არის ადგილი „ნაოხვამუ“, ზემოთ არის „მოცაციხე“, ხოლო ამ ციხემდე მისასვლელ გზაზე ადგილი სახელწოდებით „ოსკიბოის“, სადაც სალოცავად უშვილო ქალები დაჰყავდათ. აქ ძირითადად სალოცავად სოფელ კიწის და სოფელ გურძემის ხალხი დადიოდა.

გ. ელიავა, სოფელ ნახუნუში მოიხსენიებს ციხეს. კერძოდ, ჯიხა-ჭაე-ციხის ჭალა. მდ. აბაშის გადასახედთან დგას მე-16-17 საუკუნის ნახევრად დანგრეული საყარაულო კოშკი. საყარაულო კოშკს გაყოლებაზე ჩაუდის საურმე გზა მდინარესთან. ამ გზის ორივე მხარეს მიწის ჭრილში ჩანს უძველესი კედლის ნანგრევები[1].

4. „ნამანცხვარუ“ – მაცხოვრის სახელობის ნაეკლესიარი

[1] გ. ელიავა, აბაშისა და გეგეჭკორის რაიონების ტოპონიმიკა, თბ., 1977, გვ. 95.

შემაღლებულ ბორცვზე, ესიგუეს ეკლესიიდან დაახლოებით 1 კილომეტრში, მარტვილის მონასტრიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით არის ადგილი „ნამანცხვარუ“, სადაც მდგარა მაცხოვრის სახელობის ხის ეკლესია, იქ დღეს საძირკვლის ნაშთები არ შეინიშნება.

5. ჭაბურთას უბანი – ნაეკლესიარი

ადგილობრივთა გადმოცემით, სოფლის სასაფლაოსთან, მაღალ ბორცვზე, მდგარა ურთხელის ხის ეკლესია. შემორჩენილია საძირკვლის ნაშთები და ზარი. ეს მარტვილისკენ მიმავალ გზის იმავე ხაზზეა, რაზეც ზემოთ ჩამოთვლილი ეკლესიები. ეკლესია გასაბჭოების დროს გაუნგრევიათ. აქ მღვდელი ყოფილა ანტონ ოდიშარია, ხოლო ბოლო მღვდელი მისი შვილი გრიგოლ ოდიშარია (ისინი მღვდლები იყვნენ წმ. გიორგის ეკლესიაშიც. იხ. ზემოთ) ისინი ეკლესიასთან ახლოს ცხოვრობდნენ. აქ ძველად დიდი ზარიც ეკიდა, რომელიც გადმოცემით მარტვილის მონასტერში წაუღიათ. ეს ადგილი მდებარეობს მარტვილის მონასტრიდან 2 კილომეტრში, მისგან ჩრდილო-დასავლეთით.

სოფელი ხუნწი

1. დობერა – ციხე-სიმაგრის ნაშთები

სოფელ ზედა ხუნწში, შემაღლებულ გორაკზე, დობერად წოდებულ ადგილას, საძირკვლის ნაშთებთან ერთად, დასავლეთის და სამხრეთ-დასავლეთის ფერდობთა დაქანებაზე შემორჩენილია კოშკის ნაშთები, საიდანაც დასავლეთით ხელის გულივით, მისგან მოჩანს მარტვილის მონასტერი ამ ადგილიდან აღმოსავლეთით ჩანს მთლიანად ცხენისწყლის ხეობა, სოფლები მდ. ცხენისწყლის გადაღმა. მისგან ციხისგან აღმოსავლეთით და ჩრდილო-აღმოსავლეთით მათხოჯის ეკლესია და ციხე. ეს მეტად მოხერხებული ადგილია თავდაცვისათვის. ის მთლიანად აკონტროლებს მდ. ცხენიწლის ხეობას აღმოსავლეთით, სამხრეთით, სამხრეთ-აღმოსავლეთით და ჩრდილო-აღმოსავლეთით.

ხუნწის ციხე მოხსენიებული აქვს გულდენშტედტს, რომელსაც ის პატარა ციხეს უწოდებს[1].

[1] გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, ტ. I, თბ., 1962, გვ. 323.

2. ქვემო ხუნწის მაცხოვრის სახელობის ეკლესია

ჩვენს მიერ ზემოთ ნახსენები ციხე-სიმაგრიდან სამხრეთ-დასავლეთით, დაახლოების 500 მეტრში დგას ეკლესიის ნანგრევები, შემორჩენილია დასავლეთის და ასევე მცირე მონაკვეთზე ჩრდილოეთის და სამხრეთის კედლის ნაშთები.

ეს ეკლესია არქიტექტურულად 1992 წელს ამ სახით არის აღწერილი: მარტვილის რ-ნი, სოფ. ქვემო ხუნწი; ეკლესია; ტიპი – საკულტო. გვიანი შუა საუკუნეები; სოფლის ჩრდილოეთით, მთის ბორცვზე მდებარე სასაფლაოზე შემორჩენილია დიდი ზომის ეკლესიის ნანგრევები. აღმოსავლეთის კედელი აღარ არსებობს. ჩრდილოეთისა და სამხრეთის კედლების მნიშვნელოვანი ნაწილი დანგრეულია. ეკლესიის შემორჩენილი დასავლეთის კედელი ნაშენია ადგილობრივი ჯიშის ქვით-კირის დუღაბზე. გამოყენებულია აგრეთვე ქართული აგური და შირიმი. ქვის წყობა თარაზულს უახლოვდება. ჩრდილოეთის და სამხრეთის კედლებზე შემორჩენილია თითო ერთსაფეხურიანი პილასტრი. დასავლეთის კედელში თაღოვანი სარკმელია განლაგებული. დასავლეთის ფასადზე ჩატანებულია კვადრი ჯვრის რელიეფური გამოსახულებით. კედელზე ამოსულია სურო და მცენარეულობა.

1992 წ. 15 აპრილი, არქიტექტორი ლ. გიორგაძე

3. ზემო ხუნწის ღვთისმშობლის შობის სახელობის ეკლესია

ზემო ხუნწში შემაღლებულ ბორცვზე სასაფლაოსთან, დგას ღვთისმშობლის შობის სახელობის ეკლესია, რომელიც 2005 წელს აღუდგენიათ. ეს ეკლესია ადრე მდგარა ცოტა მოშორებით, ზემოთ, მდ. ცხენისწყლის მარჯვენა ნაპირთან, სადაც ძველად სასაფლაოებიც ყოფილა. ამ ეკლესიას უწოდებენ ჯვარს. ის XIX საუკუნეში აუშენებიათ. აქ მღვდელი იყო ბახუ გაბეჩია, შემდეგ დურუ ჯიშკარიანი. ადგილობრივთა გადმოცემით, აქ თითქოს, ეკლესიის კედლის ერთ-ერთ ქვაზე დასავლეთის კედელთან, გამოსახულია ამ ეკლესიის მღვდელთა სახეები.

აქვე დგას ახლად აშენებული პატარა სამრეკლო. სასაფლაო, სადაც დგას ეკლესია, გარშემო შემოზღუდული იყო კედლით და შესაძლოა ეს ადგილი თავდაცვითი ფუნქციის მატარებელიც იყო.

ეს ეკლესია 1992 წელს აღწერილია არქიტექტორების მიერ, თუმცა მას წმ. ნინოს სახელობისად ასახელებენ (რაც ვფიქრობთ შეცდომაა): მარტვილის რ-ნი, სოფ. ზემო ხუნწი; წმ. ნინოს ეკლესია. ადრეული შუა საუკუნეები; ტიპი – საკულტო; სოფლის სასაფლაოზე დგას წმ. ნინოს სახელობის დარბაზული ტიპის ეკლესია. დარბაზი გეგმის მართკუთხაა, აღმოსავლეთის მხრიდან ნახევარწრიული ფორმის აბსიდით. საკურთხეველში გაჭრილია თაღოვანი სარკმელი, რომლის ორთავე მხარეს ნიშნებია განლაგებული. აქვე იკითხება ტპარეზის ქვის ნაშთი. აბსიდა გადახურულია სფერული კონქით. კამაროვანი გადახურვის მნიშვნელოვანი ნაწილი ჩამოქცეულია. ორი წყვილი ერთსაფეხურიანი პილასტრი დარბაზს ანაწევრებს სამ თანაბარ მონაკვეთად. ეკლესიას შესასვლელი სამი მხრიდან აქვს (აღმოსავლეთის გარდა). შესასვლელების თავზე თითო თაღოვანი სარკმელია გაჭრილი. სამხრეთის სარკმელში ჩატანებულია ქვის ფილა მხედრული წარწერით (ჩყნ) [1] ; ძეგლის ნაგებია ადგილობრივი ჯიშის ქვით-კირის დუღაბზე. გამოყენებულია აგრეთვე შირიმიც. ქვის წყობა თარაზულია. სახურავს ირგვლივ შემოუყვებოდა მარტივი ფორმის ლავგარდანი. კედლები ბევრ ადგილას დაბზარულია, ამოსულია სურო.

1992 წ. 15 აპრილი, არქიტექტორი ლ. გიორგაძე

4. ნატებერუს (ლეციცხვაიე) წმ. გიორგის სახელობის ნაეკლესიარი

სოფლის სასაფლაოსთან (ადგილ ნატებურში, ეხლა ეძახიან ლეციცხვაიეს უბანს) შემორჩენილია წმ. იორგის სახელობის ქვის ეკლესიის საძირკველის და ქვის ხროვის ფრაგმენტები. გადმოცემით აქ ძველად ცოდნიათ ალეგრობა (ალბათ ალერტობა), სადაც კლავდნენ ხარს. აქ მღვდელი ყოფილა ვლადიმერ გაბისონია, უფრო ადრე ალექსი გვალია და ბათუ მოსიძე, ეს უკანასკნელი ნახარებაოს ეკლესიაშიც იყო მღვდლად. ეკლესია დაუნგრევია ფილიპე წოწორიას.

ის არქიტექტორების მიერ ამ სახით არის ფიქსირებული: მარტვილის რაიონი, სოფ. ხუნწი; ნაეკლესიარი „ნატებერი“. შუა საუკუნეები; ტიპი – საკულტო; „ნატებერის“ სახელობის ეკლესია 30-იან წლებში დაუნგრევიათ. შემორჩენილია ეკლესიის ქვის გროვა, აგრეთვე იკითხება საძირკვლის ფრაგმენტები.

1992 წ. 17 აპრილი. არქიტექტორი ლ. გიორგაძე.

[1] ეს უდრის 1850 წელს, თუმცა ვფიქრობთ, ეს თავდაპირველი ეკლესიის არათუ აშენების, არამედ შესაძლოა მისი აღდგენის თარიღია. ჩვენი აზრით ეს ეკლესია XIII-XIV საუკუნეზე გვიანდელი არ უნდა იყოს.

სოფელი ინჩხური

1. მშენებარე წმ. გიორგის სახელობის ეკლესია

სოფელი პატარა ინჩხურში, მარტვილისკენ მიმავალი გზის მარცხენა მხარეს შენდება წმ. გიორგის სახელობის საკმაოდ დიდი ეკლესია.

2. ლეფირცხელავეს წმ. გიორგის სახელობის ეკლესია

სოფელ პატარა ინჩხურში, ფირცხალავების და ლაგვილავების სასაფლაოსთან, ტაბაკონის მთის აღმოსავლეთით, მარტვილის ტაძარიდან დაახლოებით 5-6 კილომეტრში მდებარეობს ეკლესიის ნანგრევები. ადგილობრივთა გადმოცემით ის იყო წმ. გიორგის სახელობის. ტაძარს სახურავი და ჭერი არა აქვს, მთლიანად სუროშია ჩაფლული. სამხრეთის და ჩრდილოეთის კედლები კარგადაა შემორჩენილი; აღმოსავლეთის და დასავლეთის კედლების დიდი ნაწილი დანგრეულია. ადგილობრივთა გადმოცემით ადრე აქ იყო წარწერა, რომლის მიხედვითაც ის 1799 წელს აუშენებია. აუშენებია ვინმე ბერძენს ,გვარად კოლოჩიტს. აქ მღვდლები ყოფილან ნესტორ ფირცხალავა და მისი მამა თევდორე ფირცხალავა. ამ სოფელში ცხოვრობდა ასევე მღვდელი გეგეჭკორი.

არქიტექტურულად ეს ეკლესია ამ სახით არის აღწერილი: მარტვილის რაიონი, სოფ. პატარა ინჩხური; „ლეფერცხელავეს“ ეკლესია. გვიანი შუა საუკუნეები; ტიპი – საკულტო; ეკლესია დარბაზული ტიპისაა, გეგმით მართკუთხა, აღმოსავლეთიდან ნახევარწრიული ფორმის შვერილი აბსიდით. შაკურთხეველში გაჭრილია სამი სარკმელი და მოწყობილია ორი ნიში. სარკმელთან დგას ტრაპეზის ქვა. შესასვლელი აქვს დასავლეთის მხრიდან; ნაგებობა ძლიერ დაზიანებულია. გადახურვა მთლიანად ჩამონგრეულია. ედელზე ამოსულია ხეები და მცენარეულობა. იატაკი მიწისაა; ძეგლი ნაშენია ქართული აგურით და ფლეთილი ქვითკირის დუღაბზე.

1992 წ. 15 აპრილი.
არქიტექტორი ლ. გიორგაძე.

3. დიდი ინჩხურის წმ. გიორგის სახელობის ნაეკლესიარი

ტაბაკონას მთის ძირში, სოფლის სასაფლაოსთან, მდ. ინჩხურის მარცხენა მხარეს, იდგა წმ. გიორგის სახელობის ქვის ეკლესია. დღეს ნაშთები არ არის შემორჩენილი. მასთან მიმავალ გზას ეძახიან ემაუჩის კარის გზას. ამ სოფელში ცხოვრობდა ამბროსი ხელაია. ამ ეკლესიაში ყოფილა ხატი, რომელსაც გვალვის დროს გამოასვენებდნენ და წვიმის მოსაყვანად განბანდნენ. აქ მღვდელი ერთ დროს იყო ნახარებაოს ეკლესიიდან ვინმე ლაზარე. ეკლესიის შიგნით დასაფლავებული ყოფილა მღვდელი ივანე ხელაია. ეკლესია 1924 წელს დაუნგრევია მიხა წოწერიას.

4. გეგეჭკორების უბნის ამაღლების სახელობის ნაეკლესიარი

გეგეჭკორების უბანში, წირქვავების სასაფლაოსთან (დღეს ეს სასაფლაო თითქმის გაუქმებულია) იდგა ამაღლების სახელობის ხის ეკლესია. აქ ბოლო მღვდელი ყოფილა ნესტორ ფირცხალავა. დღეს საძირკვლის ნაშთებიც არ იკითხება.

5. აბგესის უბნის – მაცხოვრის სახელობის ნაეკლესიარი

აბგესის უბანში ძველად იდგა მაცხოვრის სახელობის ქვის ეკლესია. ეს ადგილი მდებარეობს ინჩხურის მთის ქვემოთ; აქ არის ადგილი ოთიეში, აღმოსავლეთით კი ნახუნაოს და ლებაჩილეს მთა. გადმოცემით, აქ მდგარი ეკლესია მარტვილის (ჭყონდიდის) მონასტერზე უფრო ძველი იყო.

სოფელი ბალდა (გაჭედილის თემი)

1. ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ეკლესია

სოფელ ბალდაში, მდ. აბაშის მარჯვენა სანაპიროსთან, ულამაზეს ხეობაში დგას ახლად აღდგენილი ღვთისმშობლის მიძინების სახელობის საკმაოდ დიდი ეკლესია, რომელიც ძველი ტაძრის ნანგრევებზე და საძირკველზეა დაშენებული. კედლები საკმაოდ კარგად ყოფილა შენარჩუნებული და გარედან მოპირკეთებულია კარგად გათლილი პრიალა თეთრი ქვით. დღეს აქ არის მამათა მონასტერი და მოღვაწეობს 3 ბერი. იქ ინახება, სავარაუდოდ XIX საუკუნის, არც თუ ისე მაღალი ხელობის ღვთისმშობლის და მაცხოვრის ხატები. გადმოცემით, ადრე აქ იდგა ხის ეკლესია, შემდეგმ XVII საუკუნეში აუშენებიათ ქვის ტაძარი. ადრე ეკლესია ყოფილა სოფლის ცენტრთან. გადმოცემით, იქაური ღვთისმშობლის ხატი აქეთ სამჯერ წამოსულა, რის შემდეგაც აქ გადა-უწყვეტიათ ეკლესიის აშენება. ბოლო მღვდელი ყოფილა გრიგოლ შავდია. ეს ადგილი მდებარეობს მთა ფაკვასა და კურტუმას აღმოსავლეთით, დასავლეთით კი არის ტაბაკონას მთა.

სოფელი სქურდი (გაჭედილის თემი)

1. ებაღუსკუეს ნაეკლესიარი

ებაღუსკუეს უბანში, შემაღლებულ ბორცვზე მდ. აბაშის მარჯვენა მხარეს, სადაც ასევე მოედინება მდ. ჩერი და დასავლეთით მდ. გირძე ოისირე, იდგა ქვის ეკლესია, რომელიც თავის დროზე ყავრით ყოფილა გადახურული. ქვემოთ ჰქონია კარგად გათლილი ქვის იატაკი. ეს ეკლესია დაუნგრევია მაცი სხულუხიას.

2. ნაეკლესიარი

ადგილობრივთა გადმოცემით, აქ მდებარე ერთ-ერთ შემაღლებულ ბორცვზე ძველად მდგარა ხის ეკლესია, იქ სასაფლაოებიც ყოფილა. იყო ზარებიც. ზარებს აქ რეკავდა გაბრიელ წულაია.

3. მარიამობისა და ტიიფობის დღესასწაული

სოფელ ბალდაში ცოდნიათ მარიამობის დიდი დღესასწაული. ეს ბალდას ხალხს ჰქონდა სახადად. სქურდის ხალხს კი უნდა გადაეხადა ტიიფობის დღესასწაული.

სოფელი პატარა თამაკონი

1. ჟინაანთკარის მაცხოვრის სახელობის ეკლესია

პატარა თამაკონში, ჟინაანთკარად წოდებულ უბანში, მაღალ ბორცვზე, იქ სადაც ძველად უცხოვრია ჯღანჯღავების და ჯამბურიების გვარს (სოფელი დღეს დაცლილია) დგას მაცხოვრის სახელობის ახლად აღდგენილი ეკლესია. აქ მღვდელი

ყოფილა კოსტა ჯღანჯღავა.

ეს ეკლესია განახლებამდე, არქიტექტურულად ამ სახით არის აღწერილი: მარტვილის რ-ნი, სოფ. პატარა თამაკონი; ეკლესია „ჟინანთკარი“; ტიპი – საკულტო. შუა საუკუნეები; თამაკონის ციხის დასავლეთით 60 მ-ის დაშორებით შემორჩენილია დარბაზული ტიპის ეკლესია. დარბაზი გეგმით მართკუთხაა, აღმოსავლეთის მხრიდან ბრტყელი აბსიდით. საკურთხეველში გაჭრილია სარკმელი, რომლის ჩრდილოეთით აზიდული პროპორციის თაღოვანი ნიშია მოწყობილი. სარკმელთან დგას მასიური ტრაპეზის ქვა; საკურთხეველი ერთსაფეხურიანი სოლეათია ამაღლებული და გამოყოფილია დარბაზისაგან წყვილი პილასტრის საშულებით; ეკლესიას შესასვლელი სამი მხრიდან აქვს (აღმოსავლეთის გარდა). გადახურვა მთლიანად ჩამონგრეულია; კედლები ბევრ ადგილას დაბზარულია, ამოსულია ხეები და მცენარეულობა; ძეგლი ნაგებია ადგილობრივი ჯიშის ქვით-კირის დუღაბზე. გამოყენებულია აგრეთვე შირიმიც. ქვის წყობა თარაზულს აუხლოვდება.

1992 წ. 15 აპრილი, არქიტექტორი ლ. გიორგაძე

2. ციხე-სიმაგრე

მაცხოვრის ეკლესიის აღმოსავლეთით, დაახლოებით 50-70 მეტრში არის ციხე-სიმაგრის ნანგრევები. იქ არის ნამარნევი ადგილიც, სადაც ქვევრები იყო დამარხული. ციხე-სიმაგრიდან შემორჩენილია დასავლეთის და სამხრეთის კედლის ნაშთები. ჩრდილოეთიდან ეს ადგილი უყურებს მდ. ტეხურის ხეობას და მთა კალამონას, რომელიც შემდგომ მიემართება ინჩხურსა და გორდში. დასავლეთით სალხინოს, სამხრეთ-დასავლეთით თამაკონს, სადაც ასევე არის ციხე-სიმაგრე; შემდგომ ის უნდა დაკავშირებოდა ნოდას ციხეს. ეს ადგილი მდებარეობს მდ. ტეხურის მარჯვენა ნაპირთან და სოფ. სალხინოს გადასახვევთან ახლოს. ის უყურებდა გორდს და ინჩხურს, სადაც ასევე არის ციხე-სიმაგრეები.

თამაკონის ციხეს იხსენიებს გიულდენშტედტიც [1], ხოლო ს. ა-კალათიას ამ სახით აქვს აღწერილი: თამაკონის ჯიხა მდებარეობს სალ-ხინოს მახლობლად. აქ იყო სადა-დიანო ცენტრი და დარჩენილია რამ-დენიმე ციხის ნანგრევი. მათ შორის შედარებით კარგად არის დაცული თამაკონის ციხე, რომელსაც მაღალი გალავანი ჰქონია შემორტყმული. ციხე ნაგებია ქვითკირით, კედლები დარღვეულია და ჭერ-სახურავი ჩაქ-ცეული. სამხრეთის მხარეზე მიშენე-ბული აქვს ოთხსართულიანი საყარაულო კოშკი, რომელსაც აქვს სათოფურები და ჩარდახები. ციხეში ქვევრებია ჩაფლული. ამ ქვევრებში სადადიანო კულუხის ღვინოს

[1] გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, დასახ. ნაშრომი, გვ. 323.

ასხამდნენ თურმე. ციხე მაღალ გორაკზეა აშენებული და გასცქერის მდ. აბაშის და ტეხურის ხეობას[1].

ციხე არქიტექტურულად ამ სახით არის აღწერილი: მარტვილის რაიონი, სოფ. პატარა თამაკონი; „თამაკონის ჯიხა“; ტიპი – საფორტიფიკაციო-თავდაცვითი; სოფლის სამხრეთით, მთის შემაღლებულ ბორცვზე შემორჩენილია ციხის ნაშთები. ნაგებობის შემორჩენილი ფრაგმენტებიდან ჩანს, რომ ციხე აღმოსავლეთ-დასავლეთის ღერძზე ვითარდებოდა და იმეორებდა რელიეფის კონფიგურაციას. გალავნის შემორჩენილი ფრაგმენტები ნაშენია ფლეთილი ქვით-კირის დუღაბზე. ციხის ცენტრალურ ნაწილში შემორჩენილია ნაგებობის ნაშთი. ძეგლის სრული სახით წარმოდგენისათვის საჭიროა გათხრით-გაწმენდითი სამუშაოები.

1992 წ. 15 აპრილი. არქიტექტორი ლ. გიორგაძე.

3. ციხე-სიმაგრის ეკლესია

არქიტექტორთა აღწერილობის მიხედვით, სავარაუდოდ თამაკონის ციხის შინით ყოფილა ეკლესია (გარკვეული ნაშთები დღესაც ჩანს): მარტვილის რაიონი, სოფ. პატარა თამაკონი; ნაგებობის ნაშთი; ტიპი – საკულტო; „თამაკონის ციხის“ ცენტრალურ ნაწილში, შემორჩენილია ნაგებობის ნაშთი, რომელიც მიწის დონემდეა დასული. ნაგებობა გეგმით მართკუთხედს უახლოვდება. საშენ მასალად გამოყენებულია ფლეთილი ქვა-კირის დუღაბზე. შემორჩენილი ქვის წყობა თარაზული. სავარაუდოა, რომ აქ იყო სამლოცველო.

1992 წ. 17 აპრილი. არქიტექტორი ლ. გიორგაძე.

სოფელი სალხინო

აღნიშნულია, რომ „დადიან-მიურატების დროს სალხინოს დღევანდელ ტერიტორიაზე ოთხი ეკლესია მოქმედებდა: წაჩხურის, მისარონის, თეისარონისა და მთავარ დადიანთა. მათი ჭერი და კედლები ფრესკებით იყო ლამაზად მოხატული და ხატებით მოჭედილი. თაიელი ნიკოლოზ თოდუას გადმოცემით, წაჩხურუს ეკლესიაში, სადაც მისი წინაპრები სალოცავად დადიოდნენ, იყო თურმე მაღალი ოსტატობით შესრულებული, ოქროს ჩარჩოში ჩასმული მცირე ზომის მარიამ ღვთისმშობლის სამაგიდო ხატი, რომელიც შემდეგ გადაუციათ დადიანთა სალხინოს ეკლესიისათვის. ვარაუდობენ, რომ ეკატერინე ჭავჭავაძემ, სხვა რელიქვიურ ნივთებთან ერთად, აღნიშნული ხატი 1857 წელს საჩუქრად მიართვა კავკასიის მეფისნაცვალს რათა მას

[1] ს. მაკალათია, სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, თბ., 1941, გვ. 310.

გაეწია იმპერატორის წინაშე შეამდგომლობა, რომ იგი ოჯახით პეტერბურგში არ გაესახლებინათ“[1].

1. ლექვარცხე-ჟინოთას თეთროსნის (წმ. გიორგის) სახელობის ნაეკლესიარი

ლექვარცხეს უბანში (ჟინოთა), მდ. ტეხურის მარჯენა მხარეს, იდგა წმ. იორგის თეთროსნის სახელობის ხის ეკლესია. ზოგიერთის გადმოცემით ის იყო მაცხოვრის სახელობის. მღვდელი აქ ყოფილა კოსტა ქვარცხავა.

2. ლეხულორდავეს მისარიონის წმ. გიორგის სახელობის ნაეკლესიარი

ლეხულორდავეს უბანში, შემაღლებულ ბორცვზე, სოფლის სასაფლაოსთან იდგა მესარონის ანუ წმ. გიორგის სახელობის ქვის ეკლესია. ეს ადგილი არის მდ. ტეხურის მარცხენა და მდ. წაჩხურის მარჯვენა მხარეს შორის (მდ. წაჩხურთან უფრო ახლოს არის). აქ დღეს პატარა სამლოცველო დგას.

3. დადიანთა სასახლე და ღვთისმშობლის სახელობის კარის ეკლესია

პირველ რიგში უნდა აღვნიშნოთ, რომ მდ. წაჩხურის მარჯვენა სანაპიროზე ულამაზეს ადგილას მდგარ დადიანთა სასახლეს და ეკლესიას დღეს რესტავრაცია უტარდება. იქ არის აგრეთვე ევროპული მარანი, სადაც იწურება ოჯალეში. არიან ბერები.

ი. მეუნარგიას ცნობით, „ლევან დადიანამდეს სალხინოში სამეგრელოს მთავრებს უბრალო ხის ოდა ედგათ“[2]. მისივე თქმით, „სასახლის შენების დროს მოკვდა უფროსი ოსტატი თათარი ოსმანი, რომელიც იქვე სალხინოს ეზოში დამარხეს. სასახლის უფროსი ხელოსანი ლევანის დროს იყო **ბოშია ბასილაია**“[3].

„სასახლის გვერდით არის კარის ეკლესია, აგებული მთავრის კაცია II დადიანისაგან 1782 წ. ეკლესიის ერთ სვეტზე მისი ბრძანებით ამოჭრილია შემდეგი წარწერა: „ქრისტეს დედავ, მცირე წვლილს ვბედათ შენს სახლად იძღვენ ეს ეკლესია, შენ მიერს შენდა გძღვნოდ ვით შეგშვენდა, ჩემზე მხედველად ყავ ჩემი შესია, მე დადიანმან შენგან მოსავმან კაციამ გიგე სახლი ესია და მეუღლით და ძით მნათობდა მბაძით მრჩობლ სუფევა გვეც უმჯობესია“.

ეკლესიას გარედამ სპონდიოს ქვა აქვს შემოვლებული. ეს ქვა აბაშის წყალ-ვარდნილიდან არის მოტანილი. ლევან დადიანის დროს

[1] გ. ბასილაია, დ. ბასილაია, ჩვენი სალხ
[2] მეუნარგია, დასახ. ნაშრომი, გვ. 60-61.
[3] მეუნარგია, დასახ. ნაშრომი, გვ. 62-63

ამ ეკლესიას წინიდან სამრეკლო მიაშენეს“[1].

ე. აიხვალდი (XIX ს-ის პირველი მესამედი) დადიანთა სალხინოს სასახლეს ამ სახით აღწერს: „მეოგალებიდან 15-ოდე ვერსზე მივაღწიე საჩურას (წაჩხურა), რომელიც დადიანი ზაფხულის ბანაკს ჩამოუდის გვერდით“[2]. მისივე თქმით, „მცირე მანძილზე გავლის შემდეგ მივადექი დადიანის საზაფხულო სადგომს **სალხინოში.** მე ვფიქრობდი, რომ აქ ვნახავდი სამეგრელოს მბრძანებლის სულ ცოტა მშვენიერ შენობებს მაინც. ამის მაგიერ, როგორც კი ტყიდან გამოვედი, მდინარის წინ პატარა მოედანზე შევნიშნე „კაბიტკის“ მსგავსი რამდენიმე, მრგვალი დაწნული ქოხი. რომლებსაც აქვთ ზევით აწვეტებული სახურავები, ორი ერთმანეთის საპირისპიროდ მდებარე კარი და ერც ერთი ფანჯარა. პირველად ისინი მეგონა გლეხების ქოხები, მაგრამ მაშინვე შავიტყვე, რომ მათში ცხოვრობდნენ კარის თავადები. შემდეგ უფრო წინ შევნიშნე ქვის ძველი ეკლესია სამრეკლოს გარეშე; ზარი ეკიდა გვერდზე მდგომ პატარა სახლზე. ეკლესიის უკან იდგა დადიანის სასახლე, რომელიც უკვე ისე მოძველებული და მორყეულია, რომ წარმოუდგენელია ის ასეთი თავადის საცხოვრებლად ჩაეთვალა კაცს. კედლებში ყველგანაა განიერი ნაპრალები და ნახვრეტები. საერთოდ ისეთი ცუდი შესახედია, როგორიც შეიძლება ძალზე იშვიათად ყოვლად უბრალო აზნაურის საცხოვრებელი იყოს რუსეთში. მის წინ დგანან მშვენიერი ხეები, რომლებით სასიამოვნოდ, გამაგრილებლად ჩრდილავენ ირგვლივ მიდამოს“[3].

ა. ჭანტურიას თქმით, „სალხინოს სასახლე ეკუთვნოდა პრინცესა ანტუანეტა (ბებე) მიურატს. ბებე მენშევიკების დროს ცხოვრობდა სალხინოში, საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე, ძმების შთაგონებით, მან დატოვა სალხინო და შეუერთდა ძმებს, ლუსიენს და ნაპოლეონს ბათუმში. ახლა იგი იმყოფება საფრანგეთში. ის ტირილის გამოემშვიდობა თავის სამშობლოს. ზემოხსენებული პირი იყო დიდი მუშაკი და ქველმოქმედი, მაგალითად, მან გახსნა სალხინოში ერთ მის სახლში სამკურნალო და იყო დაუღალავი თითქმის სულ ყოველ დარგში. სალხინოს ახლანდელი სასახლე დგას მშვენიერ ადგილას, მდინარე ტეხურის და წაჩხურის ნაპირას, იგი დაწყებული იყო ლევან დადიანის მიერ. დედოფლის სიკვდილის შემდგომ იგი ერგო სალომეს. სასახლე, რომელიც პირველად აზიურ სტილზე ყოფილა გაკეთებული, გადაკეთებულია ევროპულად, განსაკუთრებით ზედა სართული სასახლისა. გარეგნულად სასახლე არ არის მიმზიდავი. შიგნით განსაკუთრებით ერთი ზალა წარმოადგენდა ინტერესის ცენტრს, შუაში მოთავსებული მრგვალი მაგიდა, გარშემო სვეტები შემკულია ჩუქურთმებით, ნამდვილი აზიური სტილის და ხელოვნების წარმომადგენელი. გადაკეთებულია იგი ლევან დადიანის მიერ. მოგვითხრობენ: მის დროში ლხინის დროს, მას ატრიალებდნენო. ვეებერთელა კარები და ფანჯრები ზალისა, ყველა ნიგვზის ხისგან ამოჭრილი, ხელობა არის ზედმიწევნით კარგად შესრულებული. იმყოფება აგრეთვე შესანიშნავი ბიბლიოთეკა, უმეტესად ფრანგული წიგნები. დაცულია აგრეთვე ბევრი იარაღი. მათ შორის ურევია თოფი სპარსეთის შახისა, ბევრია აგრეთვე სურათები ფოტოგრაფიული და ასლი დასავლეთ ევროპის მხატვრებისა, უფრო მეტად ეპიზოდები ნაპოლეონის ცხოვრებიდან. არისო აგრეთვე შენახული ხატები, თუმცა მე არ მინახავს.

---

[1] მეუნარგია, დასახ. ნაშრომი, გვ. 63-64.

[2] ედუარდ აიხვალდი საქართველოს შესახებ (XIX საუკუნის პირველი მესამედი), გერმანულიდან თარგმნა, შესავალი და საძიებლები დაურთო გ. გელაშვილმა, თბ., 2005, გვ. 174.

[3] ედუარდ აიხვალდი საქართველოს შესახებ (XIX საუკუნის პირველი მესამედი), გერმანულიდან თარგმნა, შესავალი და საძიებლები დაურთო გ. გელაშვილმა, თბ., 2005, გვ. 175.

იმყოფება აგრეთვე სერვიზები მონოგრამებით და სხვადასხვა. იქვე გვერდზე დგას სასახლის ეკლესია, შესანიშნავი წარწერებით, ნანახი მეცნიერების მიერ. მე მთხოვეს აღმეძრა შუამდგომლობა მისი გადახურვისა, ვინაიდან, „სახურავი დამპალი არისო და აწვიმსო“. თვით ეკლესია და სასახლე დალუქული არის ჩემ მიერ. ერთ სახლში მოთავსებულია სამკურნალო, არის აგრეთვე რამდენიმე სხვა სახლები. ეზოში შესანიშნავია ჭადრის ხეივანი, რომელსაც ორივე მხრით მიჰყვება ბზისა, სულ ყოველი ზომები უნდა იქნეს მიღებული მის დასაცავად, რომ ზუგდიდის ბაღის ბედი არ ეწიოს, იქვე გაშენებული ყოფილა ვენახი, მაგრამ როგორც გადმომცეს, სამწუხაროდ გადატრიალების შემდეგ ძირამდე დაუჭრიათ და ახლა სიმინდის ყანად არის გადაქცეული. ადგილობრივ მცხოვრებთა სურვილია მუზეუმი იქვე იქნეს მოთავსებული“[1].

გაზეთ კვალის, ცნობით სალხინო „თავის მეზობელ სოფლებთან შედარებით როგორც ნივთიერათ, ისე სწავლა-განათლების მხრითაც წინ არის. მდ. ჭაჩხურას პირად, რომელიც შეიცავს ერთ გაშლილ სწორ მიდამოს, არის ძველ დროში ხელოვნურათ აგებული სასახლე. აი ეს სასახლე ამ 10-13 წლის წინეთ მუდმივ საცხოვრებლათ აირჩია თავისი მეუღლით პრინც მიურატითურთ პრინცესა სალომე დავით დადიანის ასულმა. პირველი საქმე, რასაც ყურადღება მიაქციეს ამ ცოლ-ქმარმა იყო გზები“[2].

როგორც ჩანს სალხინოს ეკლესიისთვის შემდგომ მიუშენებიათ სამრეკლო, რომელიც 1927 წლამდე არსებულა[3].

4. წაჩხურის მთავარანგელოზთა სახელობის ეკლესია

წაჩხურის მთავარანგელოზთა სახელობის ცნობილი სალოცავი დგას სოფ. სალხინოს ჩრიდილოეთით მაღალ გორაკზე, მაღალი მთის ძირას, რომელიც სამხრეთიდან გადაჰყურებს მთელი მდ. წაჩხურისა და ტეხურის ხეობას. ის ერთ-ერთი ძლიერი სალოცავი იყო სამეგრელოში, სადაც უშვილო ქალები დაჰყავდათ. როგორც წარწერიდან ჩანს, ეკლესია 1967 წელს აღუდგენიათ, მის შემდგომაც ამ უკანასკნელ პერიოდში ის ხელახლაა აღდგენილი. აქვე დგას ახლად აშენებული სამრეკლო.

---

[1] გ. კალანდია, გაძარცული საგანძური, გვ. 51-52.
[2] გ. წივწივაძე, სოფელი სალხინო, გაზ. კვალი, №2.
[3] გ. ბასილაია, დ. ბასილაია, ჩვენი სალხინო, 2008, გვ. 36.

ს. მაკალათია საკმაოდ დეტალურად აღწერს ამ სალოცავს და მის მნიშვნელობას სამეგრელოს მოსახლეობისათვის, ასევე აღსანიშნავია ისიც, რომ ამ ადგილას ძველად ყოფილა ციხე-სიმაგრეც, რომელიც ჩვენც დავაფიქსირეთ[1].

წაჩხურის მთავარანგელოზთა ეკლესია და ხატი აღწერილი აქვს ე. თაყაიშვილს[2]; წაჩხურის ეკლესია ასევე მოხსენიებულია XVII საუკუნის ერთ-ერთ გუჯარში[1].

---

[1] „წაჩხურის მთავარანგელოზი“ მოთავსებულია სოფელ წაჩხურში მარტვილის რაიონში და სოფელ ტალერიდან ის სამი კილომეტრით არის დაშორებული. ეკლესია მაღლობზეა აგებული და ძნელი მისასვლელია. წაჩხურის ეკლესია არ არის ძველი, ადგილი სადაც ტაძარია აგებული, ყოფილა ციხე – „წაჩხურის ჯიხა“ ამ ციხის კედლები და გალავანი დაცულია. ციხის გალავანში ძველად ყოფილა პატარა ეკლესია, რომელიც შემდეგ დაუშლიათ და აუშენებიათ ახალი და დიდი ეკლესია. აქ იყო დაცული წაჩხურის მთავარანგელოზის ხატი, რომელსაც უწოდებდნენ „მოსკე-წაჩხურს“, ე. ი. ვაჟების მომცემს. აქ სალოცავად მოდიოდნენ სამეგრელოს ყველა მხრიდან, აგრეთვე სამურზაყანო-აფხაზეთიდანო და „სათათრეთიდანო“ – ლაზისტანიდან. წაჩხურში დიდი ხატობა იმართებოდა ნაადდგომევის პირველ ხუთშაბათს (ცაშხა დღეს). სალოცავად აქ უმთავრესად ისინი მოდიოდნენ, ვისაც შვილი არ ჰყავდა ან ვაჟი არ ებადებოდა, წაჩხურობას ასეთი ცოლ-ქმარი მიდიოდა წაჩხურში და შესაწირად მიჰქონდათ: თავიანთი სიგრძის სანთელი, ვერცხლის ძაფი, სანთელ-საკმეველი, ფული და აკვნის გამოსახულება. აქ ხატის წინ, მათ დააჩოქებდა მნათე, დაამწყალობებდა და ხატს შესთხოვდა მიეცა მათთვის შვილი, სახელდობრ, ვაჟი. ზოგი შეხვეწილი წაჩხურის ხატს ღამეს უთევდა, ცოლ-ქმარნი წვებოდნენ ხატის წინ, „ხატიში ითონჯირაფა“, იმ მიზნით, რომ ვაჟი გასჩენოდათ. ამის შემდეგ, შეხვეწილებს თუ ვაჟი ეყოლებოდათ, ისინი მეორე წელიწადს წაჩხურში წავიდოდნენ გამოსალოცად და თან მიჰყავდათ სამადლობელი საკლავი, რომელსაც ხატს შესწირავდნენ.

სამეგრელოში, ამასთანავე, ყველა ოჯახში იხდიდნენ „საწაჩხურო“-ს, რომელსაც ასრულებდნენ მუცლისა და წელის ტკივილის წინააღმდეგ. მაისის თვის ერთ-ერთ ხუთშაბათ დღეს, გამოაცხობდნენ მრგვალ კვერებს, დაჰკლავდნენ გოჭსა და ბატკანს და აგრეთვე მამალს. ყველა ამას საკმევლით და საზედაშე ღვინით დაალაგებდნენ ხონჩაზე, რომელსაც გარშემო მიაკრავდნენ ანთებულ სანთლებს და მიიტანდნენ წაჩხურის ქვევრთან. აქ ოჯახის დიასახლისი და მამასახლისი ორივე დაიჩოქებდა, ხონჩას სამჯერ მოაბრუნებდნენ და დაილოცებოდნენ: „წაჩხური ბედნიერი, სი ქოფთხილე ქორაში დო ოჭიშიში ჭუაშე, უბადო გოლაფაშე სკულამო დო მოთამო, ამუდღარი ხვამა სი გომიტიბინე. სკი გამიბრალი, მოსკე წაჩხური, ჩქინი სიბრალით, ჩქინი გური გაახარი, სქანი სახელი ხვამილ ოში წანაში ხვამა სი ქოდმაცალ“. „წაჩხურო ბედნიერო, შენ დაგვიფარე, მუცლისა და წელის ტკივილისაგან. მავნე თრთოლვისაგან შვილებითა და შვილი-შვილებითა. დღეის ლოცვა შენ შეგვარგე. ვაჟი გამიმრავლე, ვაჟიანობის წაჩხურო. ჩვენი ნამრავლით ჩვენი გული გაახარე, შენ სახელდალოცვილო, ასი წლის ლოღვა შენ დაგვაცადე“. ლოცვის დასასრულს, წაჩხურის ქვევრს თავს მოხდიდნენ. საზედაშე ღვინოს ქვევრში ჩაასხამდნენ, ანთებულ სანთლებს ქვევრის ნაპირას მიაკრავდნენ და მამლის თავს და გოჭის გულ-ღვიძლს ერთი კვერით იქვე შეჭამდნენ. იმ შემთხვევაში, თუ ოჯახში წაჩხურის ქვევრი არ ჰონდათ, მაშინ აიღებდნენ ვაზს, რგოლისებურად დაგრეხდნენ და მასზე ლოცულობდნენ. შემდეგ, ვისაც დათქმული ჰქონდა, ის საკლავ-საწირით მიდიოდა წაჩხურში და ლოცულობდა. წაჩხურის ბეგარას დადიანიც იხდიდა თურმე და დიდ ხუთშაბათს იმ წაჩხურში აგზავნიდა 2 კოკა ღვინოს და ერთ ქილა (ფუთ) ღომს (ჩხვერს). (ს. მაკალათია, სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, თბ., 1941, გვ. 433-435).

[2] წაჩხურის მთავარანგელოზთა ეკლესია ცნობილია ერთი საყურადღებო რატიანთა სიგელით მე XVII საუკუნისა. ბროსეს ცნობა, ვითომც ამ სიგელის შინაარსი დაწერილი ყოფილიყოს წაჩხურის ეკლესის ხატზედ, არ გამართლდა. ვინაიდან ჩვენ დრო არ გვქონდა წაჩხურში წასვლისა, მამა ანტონიმ (ფირცხალავა) მოგვაწოდა ცნობა, რომ წაჩხურში გარდა ერთი მთავარანგელოზების ხატისა აღარაფერი არ შენახულა, როგორც წარწერა უჩვენებს, ხატი მოჭედილი ყოფილა იმერეთის მეფის სოლომონ I-ის მეუღლის თამარის მიერ 1761 წ. ამ ხატს მამა ანტონი ასე აგვიღწერს: ხატი დახატულია ნიგვზის ხეზე, წინა პირის გარდა ყველა მოჭედილია ვერცხით. ზედ ახატია იესო ქრისტე, ქვევით კი მთავარანგელოზი მიხაილ და გაბრიელ. წარწერა აქვთ: „იესო ქრისტე“; „გ. მ.“ და „მ. მ.“ მ. ანგ. გაბრიელს მარჯვენა ხელი გულზე აქვს მიდობილი, მარცხენა კი აწეული, მიშვერილი იესო ქრისტესკენ. მ. ანგ. მიხაილს მარცხენა ხელში უჭირავს ცეცხლის მახვილი, მარჯვენა ხელშიაც კიდევ უჭირავს რაღაც რომელსაც ვერ გაარჩევს კაცი. იესო ქრისტეს და მთავარანგელოზებს თავები აქვს გარშემო მოჭედილი ოქროთი, ზედ კი ძვირფასი ქვებია, იესო ქრისტეს გარშემო უზის 4 პატარა ქვა, ანგელოზებს კი თითოს ხუთ-ხუთი. ამ თორმეტ ქვებში სამი ქვა კარგად მოზრდილია, სხვები კი

პატარებია. ხატის გარშემო არშიები მოჭედილია, მოოქრულ ვერცხლით; სიმაღლით 30 სანტიმეტრია, სიგანით 14, სისქით კი 21/2 სანტ. უკან კი შემდეგი წარწერაა:

1) „ქ. ვინათგან მშენებელ უარსოისთა არსთა ქმნად იხილოვანებდა ჯერ:.
2) იყო ვ რ პირველ მსგავსთა მსახურთა წარმოჩენა რათა უმეტეს დამტ
3) კიცნეს მეუფობა მისი და ამათ ქმნისაებრ და ვით მამისა ღთისა წარ
4) ობილ (წარშობილ?) გყო თქვენ სულად გონიერად და ალად გონიერად და ალად ცეც
5) ხლისა და რომელნი მიიღებთ ბრძანებათა უზესთა და ქვენცა თვინიერ
6) ხმოანთა სიტყვათა აუწყებთ უქვემოესთა თქვენ საუკუნოდ ვიდრე თვინიერ მისა
7) უხილავ უსაზღვროს პირის პირ დიდებისა განცდითა სამწმინდაობისა მღა-
8) ღადათ ბევრის ბევრეულთა ანგელოზთა ერის მთავრად ჩინებულმან მიხ-
9) აილ მტერთა რისხვითა ქვესკნელად შთამხდელო და გაბრიელ მარადის გიხ-
10) აროდენსა მაუწყო მე მსასოვმან და მინდობილმან საფარველთა თქვენ-
11) თამან დედუფალმან ლიხთამერთამან მარიამ თოქვენ უნივთოთა მაგათ
12) ნივთიერთაგანცა მცირე ესე სახისა თქვენისა მაგალითა (მარგალიტითა?) შევამკევ და გიძღვენ გიმ-
13) წვლილე და დავასვენე ეკლესიასა თქვენსა ჭაჩხურს მრჩობლთავე ცხო-
14) ვრებათა ჩვენთა საცხოვრად და წარმართებად მეფობის, უფლისა სო-
15) ლომონისა და ძისა ჩვენისა ალექსანდრესა და ასულთათვის ჩვენთა ხოლო
16) დღესა განჩინებისასა მარჯვენით დგომად მიხვაწე რათა საგრილსა
17) ფრთეთა შენთასა განვისვენოთ. ქ კს ქრ სა ჩღდა“ (ე. თაყაიშვილი, არხეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნანი, თბ., 1914, გვ. 129-130).

[1] „გუჯარი რატიანთა.

ექვთ. თაყაიშვილის თქმით, ფრანგული თარგმანი ჩვენის გუჯრისა შემოაქვს თავის არხეოლოგიურს მოგზაურობაში ბროსსეს, მაგრამ როგორც გუჯარი, კი არა, არამედ როგორც წარწერა წაჩხურის მთავარ-ანგელოზის ხატისა...“ (საქართველოს სიძველენი, ტ. II, ექვთ. თაყაიშვილის რედაქტორობით, თბ., 1909, გვ. 75-76).

„ლევან II სიკვდილის შემდეგ დადიანად დაჯდა ლიპარიტ III, მაგრამ ალექსანდრე მეფემ იმერეთისამ, ლიპარიტი გააძევა და დასვა ვამეყ III, რომელსაც უკუთვნის მეორე ნაწილი ჩვენის გუჯრისა. ვამეყი იყო შვილი პირველ ლიპარტიანად ცნობილის გიორგისა. 1660 წ. (ვახუშტის ცნობით 1661 წ.) ვამეყი გადააგდო ვახტანგ V, ანუ შახნავაზმა, და დადიანად დასვა შამა-დავლე, ანუ ლევან III, იესე ბატონიშვილის ძე. ლევან III ანუ შამან-დავლე მიიცვალა 1680 წ. ვამეყ III დადიანად იყო 1658-1660 წ. და მეორე ნაწილიც ჩვენის გუჯრისა ამ წლებშია დაწერილი, ხოლო უკანასკნელი ნაწილი ეკუთვნის შამა-დავლეს, ანუ ლევან III, და დაწერილი უნდა იყოს 1661-1680 წლებში. ვამეყის ცოლი ელენე სვიმონ გურიელის ასული იყო. თინათინი, ლევან მესამის ცოლი, იმერეთის მეფის ალექსანდრე მესამის ქალი იყო, სხვა დაწერილობითი ამბები თვით ჩვენს გუჯარშია მოხსენებული.

I. 1639-1657. ᲐᲨᲔᲜ ღუთის წინაშე დგომისა, საცნაურისა და პასუხ შუᲑნიერისა ღაღადების მიცემისა შემძლებელ მქმნილო, ძლიერებით და სიტკბოებით მუკდელელო, ცეცხლის-ფრად (ც ცხლის ფერად) მქცეველო ზეცის უსხეულოდთა ძალითა, ერის მთავარო, მთავარ-ანგელოზო წაჩხურისაო, რომელსა ძალ-გიც მყის მის წამს შემორებაᲐ ცის კიდის კიდემდე, და სწრაფით რბინ ბრძანება შენი, მიქაელ და გაბლიელ მთავარ-ანგელოზო, ჩვენ მონამან თქვენმან, და მოსავმან, და მავედრებელმან სიწმინდისა შენისამან, ცვა-ფარვათა შენთა მინდობილმან, ჭელმწიფემან, მრავალჯერ გამარჯუᲑულმან, **დადიანმან-გურიელმან,** ბატონმან **ლევან, –** შემოგწირეთ მცირე და კნინი ესე ძღუᲑნი, ასრე რომე პაპა ჩუᲑნის **ლიონ** (სიც) **დადიანი** სტანბოლს წასულა, და ოდიშს პატიოსანი საყდრები ყოფილა, ამისათჳს ზოგს ოცი, ზოგს ათი, ზოგს ხუთი შეუწირავს; ამ მთავარ-ანგელოზისა წაჩხურისათჳს შემოუწირავს წაჩხურული, და მისი შვილი **კაჭუ** და მისი ძმა **ქრისტეკოჩი**, ორმოცდა-თორმეტი მოსახლე კაცი ორი სასახლით. და ქრისტეკოჩი სტანბოლს წაუტანიათ, და იქ პაპა ჩუᲑნს გამარჯუᲑნია, და ამათი ძალით გამარჯუᲑული მოსულა, და ცხრა ხომალდი ბედნიერს ხუანთქარს წყალობად მიეცა, და მათს აქეთ, წამობრძანებულა, ქრისტეკოჩი იქ სტანბოლს დაუგდია ხომალდების წინამძღვრად, და მდივნობაც უბოძებია, და უფროსობაᲐ ხომალდის. ასრე შეუწირავს ეს რატია, რომე მზის და წვიმის მეტი მის კარზე არაᲐ მიდგეს რაᲐ, არც დაჭირვა, და არც გაღარიბებაᲐ, არცა ნაუშვილევი, და არცა ბეგარაᲐ მართებია, და ასრე გაურიგებიან. ეს ძველი წიგნები ვნახეთ

ლიონ დადიანის, მამიას და მანუჩარის და მამის ჩუჩნის, და მოკითხული ვქენით და წიგნებიცაჲ გამოვიდა. აწე ჩუჩნ ახლა განგჳახლებია ეს შეწირული წიგნები, და ის ერის თავისა, ჰაერის მთავარ-ანგელოზის და მთავარ-ანგელოზის წაჩხურის საყდრისათჳს, ხატისათჳს შემოგჳწირავს რატია, გაბრიელ და ქაიხოსრო, და მისი შვილი პაპუნაჲ. მისი ყმითა, ორი სასახლითა, ყმიან თავს შემოგჳვლია ჩუჩნდა სადღეგრძელოდ, განსამარჯჳჩბელად და დღეთა ჩუჩნთა წარსამართებელათ, და მეცხედრისა ჩუჩნისა, ნესტან-დარეჯანისა კახელისა, სულის საჴსარად და საოხად, და განსანათებლად სულისა მისისა დღესა მას დიდსა განკითხვისასა, ასე რომე ყოველს წელიწადს სულის-წმინდის მოსვლის დღეს ცხრაჲ მღვდელი და მთავარი ჟამსა უწირვებდეს, თავათ რატია და სხვანი ხუცები. მის კარზე არაფელი (სიც) მოდგებოდეს მზისა და წჳმის მეტი, არც დაჭირვა და არცა გაღარიბებაჲ, არც ნაუშვილევი, არც ბე(გარი)... გაგჳრიგებია... ასე რომე ხატი საყდრისათჳის სამსახურები, მთავარ-ანგელოზისათჳს პატივი დაგჳც. აწე რამანც ძემან და გვარმან კაცისამან... ეს ჩუჩნგან გარიგებული მოგიშალოს, მასაც მოეშლების ყოფაჲ და სიცოცხლე... დამამტკიცებელნი ამისნი აკურთხეს ღმერთმან, ამინ".

II. 1658-1660. ბრძანებითა ღუთისათა ჩუჩნ ღუთივ აღმატებულმან, ღუთივ დამყარებელმან, **ლიპარიტმან ვამეყ,** ოდეს ბიძის ჩემის შვილი, **დადიანი** ბატონი **ლევან,** მიიცვალა, მაშინ ალექსანდრე მეფე მოვიყენეთ, ჩუჩნ გავბატონდით ოდიშს, დავიჭირეთ დადიანობაჲ. მეფეთ მეფე, ბატონი **ალექსანდრე,** მიიცვალა, და ვიგულეთ და ვიგულსმოდგინეთ, დავიჭირეთ სრულიათ (ს თ) იმერეთი და გავბატონდით იმერეთს, და გაველაშქრეთ გურიას ოდიშით და ლიხთ-იმელით (სიც); ქაიხოსრო გურიელი გარდავაგდეთ, ჩუჩი ცოლის ძმაჲ **დიმიტრი გურიელი** გავაბატონეთ გურიას. აწე ჩუჩნ ჴელმწიფეთ ჴელმწიფემან, მეფემ, დადიან-გურიელმან, ბატონმა **ვამეყ** და თანა-მეცხედრემან ჩუჩნმან, დედოფალთ-დედოფალმან, ბატონმან **ელენემ** მოკითხულ ვქენით წაჩხურის: პაპა ჩუჩნი **ლიონ დადიანი** სტანბოლს წასულიყო, გამარჯჳჩბისათჳს **რატია** შეეწირა მთავარ-ანგელოზისათჳს წაჩხურელი. ქრისტეკოჩი... ჩუჩნ ახლა შეგჳწირავს **გაბრიელ** (წაჩხურული) და მისი ძმის-წული **პაპუნაჲ** ორი სახლით და მისი შემოსავალით ჩუჩნდა სადღეგრძელოდ და გასამარჯჳჩბლად. და რაც ზემოთ **ლევან დადიანის** დაწერილი ამ წიგნშიდ სწერია, ისრე ჩუჩნც განგჳიახლებია მისი ბრძანებაჲ. ვინცა და რამანც ძემან კაცისამან ეს ჩუჩნგან გარიგებული მოშალოს, ისიმც შეიშლება რჯულისა ქრისტიანობისაგან, ჩუჩნი ცოდვის მუქმად (სიც) განიკითხვის, ამინ და კირიალეისონ. ხელ-ჩართულად ხელს აწერენ: „ვამეყ. ელენე".

III. 1661-1680. ოდეს ბატონი **ლევან დადიანი** მიიცვალა მეფე **ალექსანდრე** მტერი იყო, დიდის ლაშქრით წამოვიდა, ოდიშს ჩამოვიდა, **ვამეყ ლიპარტიანი** გააბატონა, ოდიშის ბატონობაჲ მისცა, მე გარდამაგდეს, და მე, **ლევან დადიანის** ძმისწულმან**, იესე ბატონიშვილის** შვილმან**, შამანდავლემ,** ქართლით წავედი. ქართველმა ბატონმან ისპაანს საყაინოში ბრძანებითა მისითა თავად ქართველი ბატონი **შარნაოზ** მეფე და მისი ლაშქარი გამოგვატანა, და იმერეთს და ოდიშს გამოუძახა, დიდის ლაშქრით იმერეთს ჩამოვედით, იმერეთი მეფემან მისთჳს დაიჭირა, და მისი შვილი **არჩილ** გააბატონა, იმერეთიდამ ოდიშს ჩამოვიდა, **ვამეყ დადიანი** გარდააგდო. ოდიში, ჩუჩნი საბატონო, ჩუჩნ გჳბოძა, და გაუბატონდით ოდიშს. მოკითხული ვქენით წაჩხურის: ძუჩლთაგან **ლიონ დადიანი** სტანბოლს რომ წასულა, ხუანთქარის წინაშე გამარჯჳჩბია, მაშინდელი შეწირული ყოფილა, იმ დღის გამარჯჳებისათჳს შეუწირავს **რატია** მისი ყმით, მდივანი ყოფილა **ქრისტეკოჩი, რატია** სტანბოლს წაუტანია, და ბედნიერს ხვანთქარს წყალობად დადიანისთჳს ხომალდები უბოძებია, მის მაგიერად აქ სტანბოლს დაუგდია ხომალდის წინამძღრად, უბოძებია ხომალდის მდივნობაჲ, მებაჟობა და მოლაღობაჲ ახლა ჩუენ ვიგულეთ და ვიგულსმოდგინეთ, როგორათაც შეწირული ყოფილა, ისევე ხატს შევსწირეთ, ზემოთ ამ წიგნშიდ **ლევან დადიანს** გაუჩენია, ისე ჩუჩნც ნება გადჳრთავს და შეგჳწირავს **გაბრიელ, რატია** და **პაპუნაჲ.** მისის ყოვლისფერითა, ჩუჩნ ჴელმწიფეს, **დადიანს,** ბატონს **ლევანს,** და თანა-მეცხედრესა ჩუჩნსა, მეფის ალექსანდრის ასულს, დედოფალს, ბატონს **თინათინს** (სიც), გჳბოძებია **პაპუნა, რატიასათჳს,** ხომალდები სადაც დადგეს, ტყაყურს და მორკჳლას, ანაკლიას, ხორგას, მდივნობაჲ, მებაჟობაჲ, ჩუჩნი სახლის მოლარობაჲ, მოლარე-უხუცეს გარეთ, მოლარეს უფროსობა გჳბოძებია. როდესაც ხატი ილოცის, მას(პ)ინძლობის მეტი სხვა მართებლობა არაფელი ეთხოება, და სულის წმინდის მოვსლის დღეს ცხრა ხუცებით ჟამსა სწირვიდნენ,

სოფელ სალხინოს ეკლესიების მღვდლების და სამრევლო სკოლების შესახებ საინტერესო მასალაა თავმოყრილი XIX ს-ის ქართულ პერიოდულ პრესაში[1].

საწირავი ბატონმან უნდა უბოძოს, ვინცა და რამანცა ძემან კაცისამან... ჩუჩნი შეწირული გამოსწიროს... მასცა ურისხდების მთავარ-ანგელოზი წაჩხურისა მიქელ და გაბრიელ.

ასე რომე ქრისტეკოჩი ჩუჩნი პაპის ერგული ყოფილა, მერმე და სხვანი მამა-შვილი ერდგული ჩუჩნი სახლისა არის **პაპუნაი, რატია...** ასე რომე ხატის სამსახურები და შემდგომი დადიანისაგან ძუჩლად ლიონ დადიანისა, და ლევანისა, ვამეყისა, იესე ბატონიშვილისა, ჩუჩნც ძველ წყევასა ვერ შევარდით, მათი გარიგებულებაჲ ჩუჩნც ვერ მოვშალეთ, ჯერ არის ხატის ერდგული და შეწირული მთავარ-ანგელოზისა, და მერმე ჩუჩნი სახლისა ერდგული არის. ეს ძველი წყევა და ახალი წყევა მას მიეცემა ვინც ეს სიგელში სწერია, მოშალოს... ხელჩართულად ხელს აწერს **ლევან დადიანი**" (საქართველოს სიძველენი, ტ. II, ექვთ. თაყაიშვილის რედაქტორობით, ტფ., 1909, გვ. 78-83).

[1] გაზ. კვალი, 1900, №47.

ს. სალხინო. აქ დღემდის სწავლა-განათლებას ფეხი ვერ მოუკიდია, დღეს კი აქაურებიც მიახვედრა თვით ცხოვრებამ, რომ ამას შემდეგ უსწავლელი კაცი არ ვარგა და, დიდი ენერგიითაც ეწაფებიან სწავლას. აქ არის ორი სასწავლებელი: სამრევლო, რომელიც უკეთვნის მრევლს წმ. გიორგის ეკკლესიას, და სამინისტრო ორ-კლასიანი, რომელიც ეკუთვნის მთელ სალხინოს საზოგადოებას.

გაზ. მწყემსი, №3, 1896

უფალს მეთვალყურეს პასუხი

წარსული 1895 წლის „მწყემსი"-ს მე-21 №-ში მოთავსებულია თქვენი პასუხი, რომლითაც თქვენ უმტკიცებთ საზოგადოებას, რომ ჩემი წერილი, „მწყემსი"-ის მე-9 №-ში მოთავსებული, სიმართლეს არის მოკლებული. ამ თქვენმა პასუხმა იძულებული გამხადა პასუხი მოგცეთ თქვენს წერილზე, რომ ამით ცხადათ დაინახოს მკითხველმა საზოგადოებამ თუ ვისი წერილია სიმართლეს მოკლებული.

თქვენ ბრძანებთ: „სალხინოს საზოგადოებაში ჯერეთ არც ერთი სკოლა არ არის გახსნილი". თუ მართლა მეთვალყურე ბრძანდებით, როგორ ვერ ნახეთ და ვერ შეიტყვეთ, რომ სალხინოს საზოგადოებაში არათუ ეხლა, ხუთი-ექვსი წელიწადია, ხუთი სკოლა არის გახსნილი და ამ სკოლებისათვის აშენებულია საკუთარი სახლები. ეს სკოლები არის გახსნილი კურზუში, ნაფიჩხოვო-გოდოგანში, ეწერში, თამოკონო ჟინოთაში და სალხინოში. ამ ნამდვილს და აღსრულებულს საქმეს შეადარეთ შემდეგი თქვენი პასუხი: „ერთ საზოგადოებაში რომ ერთი სკოლის ადგილზე ხუთი გახსნილიყოს და ათასი მანეთი მასწავლებლს დანიშნოდეს, ამისთანა მაგალითი არა თუ სალხინოში არამედ მთელს სამეგრელოში არ ყოფილა ჯერეთ". თუ რომ ნამდვილ მოხსენებული ხუთი სკოლა არსებობს და მათში სწავლის საქმე სასურველად მიდის, მაშინ როგორი თვალით უნდა შევხედოთ თქვენს პასუხს? აქედან ცხადია, რომ თქვენ გემჩნევათ სიმძულვარე დეკანოზ ბერიძისადმი, მაგრამ ამ შემთხვევაში უმეტეს თქვენ უნდა გძულდესთ გურია-მენგრელიის ეპისკოპოსი, რომლის წინადადებით დეკანოზმა ბერიძემ დაარსა ეს კოლები, რომ სალხინოს საზოგადოებაში ხუთი სამრევლო სკოლა არის და საზოგადოდ დეკ. ბერიძის საბლაღოჩინოში სწავლის საქმე სამრევლო სკოლებში სასიამოვნოდ მიდის, ამას დაგიმტკიცებსთ თქვენ ეპარქიალური სამოსწავლო რჩევის საბუთები და მადლობა სასულიერო მთავრობის მხრივ გამოცხადებული, ხსენებული სკოლის მასწავლებლებისადმი. სხვა დასამტკიცებელ საბუთთა შორის მოგახსენებ, რომ ზემო აღნიშნულის მოღვაწეობისათვის ბლაღოჩინი დეკ. ბერიძე დაჯილდოვდა უწმინდესი სინოდის მადლობით და ნიშნად მადლობისა მიიღო წიგნი „დაბადება". რა გასაკვირია, რომ თითო მრევლმა, როგორც (მოახდინა სალხინოს საზოგადოებამ) თავის ეკკლესიასთან სამრევლო სკოლა გახსნას და თავისს სახლში შვილი გამოზარდოს. რომ სალხინოს საზოგადოებაში გახსნილია ხუთი სამრევლო სკოლა ამას

დაამტკიცებენ ეპარქიალური რჩევის წევრნი. ბბ. მიქაძე, ე. ელიავა, ს. ძიმისტარიშვილი და ს. მატარაძე, რომელთაც იმ სკოლებს რევიზია უქნეს. შეიძლება სინდისმა ნება მოგვცესთ და ისიც უარჰყოთ, რომ მოთხოვნად მთავრობისა სალხინოს საზოგადოებამ ამ საზოგადოებაში გასახსენლს ორ-კლასიან სამრევლო სკოლას შესწირა ორი ათასი მანეთი, ხუთი ქცევა მიწა და სახლის ასაშენებელი მასალა უსასყიდლოდ, ამის ოქმი წარმოდგენილია უწმიდესს სინოდში, რას იტყვით ამაზე? თქვენი სათქმელი ის არის, რომ თქვენისთანა მეთვალ-ყურემ თვალზე და ყურზე ხელი დაიფაროს და სთქვას: ხედვით ვხედავ და ვერ ვიხილე, სმენით მესმოდა და ვერ გულის ხმა ვყავ.

ბრძანებთ: „ბლაღოჩინს, მართალია, იმ დროებით ჰქონდა საზოგადოების კრება, მაგრამ საზოგადოებამ ერთ ხმად უარი განაცხადა სკოლის გახსნის შესახებ“. ვერ გაგიგიათ, მეთვალყურევ, საქმე რაში იყო თქვენ მხოლოდ დაგინახავთ თვალით, რომ საზოგადოების კრება მოხდა, მაგრამ საზოგადოებამ რაზე სთქვა უარი, ეგ კი ვერ გაგიგონიათ. უარი სთქვეს სამინისტრო სკოლის გახსნაზე, რომელზედაც სამოქალაქო მთავრობა იძულებას აყენებდა ხალხს და ეს ჰაზრიც პოლიციის ბოქაულის მაგიერ მამასახლისმა გადასცა ხალხს და ის უარიც აი რით დაასაბუთა საზოგადოებამ: „სამინისტრო სკოლაში ქართულს ენას სრულიად არ ასწავლიან. ორი, სამი სიტყვა რუსული ჩვენს შვილებს არაფრად გამოადგა და მეორედ ერთი სამინისტრო სკოლა მთელს სალხინოს საზოგადოებას, რომელიც ათი თხუთმეტი ვერსის მანძილზეა დაშორებული, ვერ დააკმაყოფილებს ამ მხრით მცხოვრებთა სურვილს და მოთხოვნილებას და ამისათვის სამინისტრო სკოლის გახსნისათვის უარი განაცხადეს; ხოლო სამრევლო სკოლებისათვის წლიურად ხაზინაში ათასი მანეთის შეტანის სურვილი და თანხმობა გამოაცხადეს და იმავე დღეს შემდგარი ოქმი ეწერის სკოლის შესახებ სამოსწავლებლო რჩევამ უკვე გარდასცა მაზრის უფროსს აღსასრულებლად და კიდეც სრულდება.

ამ არგაწყვეტილებას მოუსწრო ყოვლად მოწყალე ხელმწიფე იმპერატორის ნიკოლოზ II-ის მოწყალება, რომ სამრევლო სკოლებს სახელმწიფო ხაზინიდამ უნდა მიეცეს შემწეობაო, მაშ საზოგადოება ამ გარდასახადიდამ თავისუფალია და ამის სამაგიეროდ ბლაღოჩინი დეკ. ბერიძის წინადადებით საზოგადოებამ წასულ აგვისტოს თვეში გადაიხადა სამადლობელი პარაკლისი ხელმწიფე იმპერატორის და სამეფო სახლეულობის სადღეგრძელოდ და ბოლოს ამ საზოგადოებამ დაადგინა ოქმი ხუთივე ზემოხსენებული სკოლებისათვის ააშენოს სამოსწავლებლო რჩევის მიერ მიცემული გეგმისამებრ შენობები და მისცენ საკმაო მიწა, რამდენიც საჭირო იქნება, და როგორც ის ოქმები ისთე სხვები წარდგენილ იქმნენ სამასწავლებლო რჩევაში (ნახე სპრავკა იქვე).

ბრძანებთ: „ძამისტარაშვილი დაჰპირდა საზოგადოებას“, რომ იგი მუქთად გამოუგზავნის მასწავლებელს სასწავლო ნივთებს და ზოგჯერ ავეჯებს“. ეს მართალია. ბ. ძამისტარაშვილი რევიზიის დროს პირდება არა მასწავლებლებს, არამედ მოსწავლეთა და მათ მშობლებს, იმას რაც ზემოთ ნათქვამია, და კიდევ ყოველწელიწადს სამასწავლებლო რჩევას, უგზავნის ამ სკოლებს სასწავლო ნივთებს (ნახე სპრავკა სამოსწავლებლო რჩევაში).

გასაკვირი არ არის, რომ პრინცესა მიურატისამ, როგორც მენგრელიის მთავრის ასულმან, ნივთიერად შეძლებულმა, შემწეობა აღმოუჩინოს თავისს სამშობლო ქვეყნის შვილებს სწავლა-განათლების საქმეში, მაგრამ თქვენ რომ ამბობთ, ვითომც 1889 წელს პრინცესას, თანახმად თხოვნისა სამოსწავლო რჩევის ძამისტარაშვილისა, ბლაღოჩინი ბერიძისა და მღვდლის ივანე ხუხუნისა, ებოძებინოს მიწა სკოლის დასადგმელად სოფელ სალხინოში. ეს კი ჭეშმარიტებას არის მოკლებული. თუ გნებავთ, რომ პრინცესა ბრძანებულიყო თქვენს პასუხში მადლობით მოხსენებული, სიმართლე მაინც გეთქვათ. პრინცესამ შესწირა ეწერის სამრევლოს სკოლას დასადგმელი მიწა, ეწერშივე ეკლესიის გვერდით, როდესაც ყოვლად სამღვდელო გურია-მენგრელიის ეპისკოპოსმა გრიგოლმა აკურთხა ეწერის ახლად აშენებული ქვის ეკლესია 1890 წელს. ეს არის ნამდვილი და არა თქვენგან თქმული.

უკანასკნელი ნება მიბოძეთ გკითხოთ: შემდეგ ამ ფაქტებისა და მიმართულების მქონე უნდა იყოს თქვენი პასუხი ჩემი კორესპონდენციის შესახებ თუ თქვენ თავგამოდებით გიჭირავს თვალ-

5. ვახას მშენებარე წმ. გიორგის სახელობის ეკლესია

სოფელ ვახაში სასაფლაოებთან შემაღლებულ ბორცვზე შენდება ახალი წმ. გიორგის სახელობის ეკლესია. აქ ადრეც მდგარა ეკლესია.

6. ვახას ჯვარიშის ნაეკლესიარი

ვახას უბანში, წაჩხურის ეკლესიის სამხრეთით, დაახლოებით 3 კილომეტრში არის ადგილი „ჯვარიში“, სადაც ძველად ყოფილა სასაფლაოები და იდგა ეკლესია. იქ ეხლაც დგას უძველესი ცაცხვის ხე. დღეს რამის გარჩევა შეუძლებელია.

7. ვახას ნაეკლესიარი

ადგილობრივთა გადმოცემით სოფლის სასაფლაოსთან მდგარა ძველი ეკლესია, თუმცა ვერ გვიზუსტებენ თუ ვისი სახელობის იყო.

1. ხირზენის ციხე და გამოქვაბული

წაჩხურის ეკლესიიდან აღმოსავლეთით დაახლოებით 1,5-2 კმ-ის დაშორებით მაღალ მთაზე, რომელსაც ეწოდება „ხირზენი“, არის ციხე-სიმაგრის ნანგრევები. ეს ადგილი სამხრეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ მხრიდან მთლიანად აკონტროლებს მდ. წაჩხურის და მდ ტეხურის ხეობას. ადგილობრივთა გადმოცემით, ეს ადგილი გვირაბით უკავშირდებოდა წაჩხურის ეკლესიას და ხირზენის მთაზე ზემოთ მდებარე კიდევ ერთ გამოქვაბულს, რომელიც ჩვენ ადგილზე ვნახეთ. ის მდებარეობს მდ. წაჩხურის მარცხენა სანაპიროზე, მაღალი მთებით გარშემორტყმულ ხეობაში. შესასვლელი არის ამოშენებული, შიგნით კი ბუნებრივი გამოქვაბულია. ხირზენის მთიდან ასევე ჩანს ჭაქვინჯის ჯიხაც. საერთოდ წაჩხურის ეკლესიიდან და ხირზენის ციხიდან სამხრეთით, სამხრეთ-აღმოსავლეთით და სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით თითქმის მთელი სამეგრელოს უამრავი სტრატეგიული ადგილი ჩანს..

ყური სასწავლებელზე, რომ ადგილს არა მისცემთ მისთვის არავითარს უმართლოებას, მაშინ ასე დიდ შეცდომაში რად ვარდებით? მე იძულებული ვარ ვიფიქრო, რომ თქვენ რაც დასწერეთ, ამის მიზეზი იყო თქვენის მხრით შურის ძიება. მაგრამ მეთვალყურეს არ შეშვენის ვისმეს პატივისცემისათვის ტყუილი დასწეროს, ვინაიდგან მეთვალყურე არის მცველი სიმართლისა და არა მიმყოლი კერძო სურვილისა. შეიძლება, რომ თქვენ თქვენის პასუხით დააკმაყოფილეთ თქვენი ხარბი თვალი, მაგრამ რატომ თქვენც არ მიღეთ მონაწილეობა ამ კითილ საქმეში?

მღვდელი დიმიტრი ბერულავა

9. ციხე-სიმაგრის ნაშთები

ხირზენის ჯიხიდან და წაჩ-ხურის ეკლესიიდან 3-4 კმ-ის დაშორებით მისგან სამხრეთ-აღ-მოსავლეთით არის პატარა ციხის და კოშკის, სავარაუდოდ სათვალთვალო კოშკის ნაშთები. ის ნაშენია ადგილობრივი თეთრი ფლეთილი კირქვით კირის დუღაბზე.

10. ლეგულორდავეს ციხე

ლეგულერდავეს უბანში შემაღლებულ გორაკზე შემორჩენილია ციხე-სიმაგრის ნაშ-თებია. ეს ადგილი მდებარეობს მდ. წაჩხურადან 1,5 კმ-ის დაშორებით, მის მარჯვენა მხარეს. ის ჩრდილოეთით უყურებს წაჩხურის ეკლესიას და ხირზენის ციხეს, სამხრეთიდან პატარა თამაკონის ჯიხას, რომელიც შემდგომ ალბათ ნოქალაქევის ხაზს გადასცემდა. ის ასევე თავის მხრივ უყურებს ლესხულუხეში (ქვემოთ გვექნება საუბარი) მდ. წაჩხურისა და ტეხურის შესართავთან მდებარე ციხეს. ასევე ეს ციხე უყურებს მდ. ტეხურის მიდამოებს. ამ ციხის ჩრდილოეთით არის ვახას მთა, მისგან ჩრდილო-დასავლეთით ხირზენის ციხე და მთა და წაჩხურის ეკლესია, სადაც ასევე იყო ციხე-სიმაგრე. შამხრეთ-დასავლეთით ჩანს თამაკონის ციხე. ლეგულორდავეს ბორცვზე მდებარე ციხეს დაახლოებით 400 კვ მეტრზე შემოუყვება გალავანი, თუმცა დღეს ზუსტი გეგმის გარჩევა შეუძლებელია, ის ეკალ-ბარდებითაა დაფარული. ზოგან ნაშენია რიყის ქვით კირის დუღაბზე, ზოგ ადგილას კარგად (დასავლეთის კედელი) ნათალი ადგილობრივი თეთრი დიდი ქვის კვადრებით; ის რომაული პერიოდის ნაგებობის შთაბეჭდილებას ტოვებს.

ეს ციხე სიმაგრე არქიტექტურულად ასეა აღწერილი: მარტვილის რაიონი, სოფ. ლეგულორდავე; „ლეგულორდავეს ჯიხა“. შუა საუკუნეები (ვფიქრობთ ეს დათარიღება არ არის სწორი – დ. ჭ.); ტიპი – საფორტიფიკაციო; ციხის ნაშთები დაფარულია ეკალ-ბარდებით. სავარაუდოა რომ აქ იყო წრიული დაგეგმარების ციხე. შემორჩენილია კედლების მცირე ფრაგმენტები; საშენ მასალად გამოყენებულია რიყის ქვა-კირის დუღაბზე.

1992 წ. 17 აპრილი.
არქიტექტორი ლ. გიორგაძე.

სამეგრელოს ციხე-სიმაგრეთა თავდაცვის ხაზზე და კონკრეტულად სალხინოს მიდამოების ციხე-სიმაგრეებზე,

ვფიქრობთ, საინტერესო მასალაა თავმოყრილი გ. ბასილაიას და დ. ბასილაიას წიგნში. ავტორებს წაჩხურის ციხე მიაჩნიათ ვახუშტის მიერ ნახსენებ სახარიას ციხედ[1], რაც

[1] “ ძალან შორეულ დროში, ჯერ კიდევ დადიანთა ძველი დინასტიის დადიანობამდე, ჩვენს სოფელს მტერი შემოესია თურმე. მისარიონის წმინდა გიორგის ეკლესიის ახალგაზრდა დიაკონი, სახელად კახა, გამოექცა თურმე მტერს და თავი დღევანდელი ლეგულორდავეს ციხეს შეაფარა. იმ დროს ეს ციხე ჩვენი სოფლის უძლიერესი თავდაცვითი სიმაგრე ყოფილა. იგი თვალს ადევნებდა სოფლის ნებისმიერი მხრიდან მტრის შემოსვლას, ამასთან დარაჯად ედგა ქვიბიაში ერთადერთ შესასვლელ-გამოსასვლელ გზას, რომელიც ლეფირცხალავე-ლეგულორდავეს გავლით გადიოდა წაჩხურის მარჯვნივ, დღევანდელი კახას ტერიტორიულ სივრცეზე. მხოლოდ ამ გზით ხდებოდა მათში პირუტყვის გადარეკვა, ხე-ტყისა და ყავრის გამოტანა, მისი კვალი დღესაც სარტყელივით კარგად არტყია კახას მთას.

სოფლის დარბევა-გაძვრცვის შემდეგ მტერი ციხეს მოადგა. სიჭარბის გამო, რადაც ხერხის გარეშე, მათთან შებრძოლება შეუძლებელი იყო. ციხისთავმა გადაწყვიტა მეომართა ნაწილი გადაეყვანა წაჩხურის ციხეში და იქ დალოდებოდა საერთო ლაშქრის შექმნას, მთავარი ძალა კი შეეხიზნა ქვიბიის მთებში და იქიდან ემოქმედა მტერზე. ამ ჯგუფის წინამძღოლობა კახას ჩააბარა, რომელსაც იცნობდნენ, როგორც საზრიანს, გულადსა და შეუპოვარ მებროლს. ციხისთავის ეს განზრახვა მტრისათვის რაღაცნაირად ცნობილი გახდა. მათმა სარდალმა გადაწყვიტა ქვიბიისაკენ მიმავალი მეციხოვნენი ტყეში შესვლამდე მოემწყვდია გზის ისეთ ნაწილზე, სადაც ღამით გარდიგარდმო ფერდობის დახრილობის გამო შეუძლებელი იქნებოდა ქვემოთ ან ზემოთ მოძრაობა. მისი ფიქრით, ასეთ გამოუვალ ვითარებაში ჩავარდნილნი უბრძოლველად ტყვედ ჩაჰბარდებოდნენ. ამგვარ მოხერხებულ ადგილად მან წაჩხურის წყალვარდნილ ოგურგენჯის მაღლა გამავალი გზის მონაკვეთი მიიჩნია. სწორედ აქ დაუხვდავ კახასა და მის რაზმელებს წინა ღამით ტყეში ჩასაფრებული მტრის დიდი ჯგუფი და აქვე წამოეწიათ უკან ფარულად ადევნებული მეორე ჯგუფიც. ჩვენებმა სწრაფად აღიქვეს შექმნილი საფრთხე. მან მარდად გაჰყო რაზმი. მთავარი ძალა ქვიბიისკენ მიმართა, სადაც იდგა მტრის ძლიერი დაჯგუფება, ნაწილს ზურგის დაცვა დაავალა. შემდეგ გაიხადა ანაფორა, ყელზე ჩამობმულ ჯვარს აკოცა და უბეში ჩაიდო. პირველმა გაიშვიშვლა ხმალი და მტერსაც პირელი მიეჭრა. მტრის სიჭარბემ აქაც თავისი საქმე გააკეთა. გამთენიისას დამთავრდა ეს ულმობელი კაცთ კვლა. კახა და მისი ყველა რაზმელი ღირსეულად შეეწირნენ მამულს. მტერმა უფრო მძიმე დანაკლისი განიცადა, მოკლულთა სახით დაკარგა ხუთჯერ მეტი, ვიდრე კახას რაზმელები იყვნენ. ამ ბრძოლამ მტრის სარდალს ყველა იმედი გაუცუდა და ისე შეაკრთო, რომ იმავე დღესვე უკან მოუხედავად დატოვა აქაურობა. მადლიერმა თანასოფლელებმა ჯერ ბრძოლის ადგილს, შემდეგ მთლიანად მთა-ფერდობს კახა შეარქვეს – კახასა და მისი რაზმელების გმირობის უკვდავსაყოფად. სალხინოდან ხელმისაწვდომი იყო სამთავროს მართვა. აქედან დადიანს შეეძლო კიწია-ნოღის ან კურზუ-ნაფიჩხავოს გზით გადასულიყო ზედა, მთიან სამეგრელოში, სადაც შესაძლებელი იყო ლაშქრის შედგენა და ოდიშის მიმართულებით მოქმედება. ანალოგიურად ასე შეეძლო ემოქმედა, და ბარის ზონაშიც, მარტვილიდან დაწყებული ლეჩხუმის, კინჩხა-გორდის, აბაშის, სენაკის, ფოთისა და ხობის მიმართულებით. თუ მოწინააღმდეგე შეძლებდა სამთავროს გარკვეული ტერიტორიის დაკავებას და საფრთხე დაუმექრებოდა თვის სალხინოს, მაშინ დადიან-მთავარი ლეცავე-სუხჩის გზით ადვილად და სწრაფად გადავიდოდა მშობლიურ გორდში ან ქვიბიის მთებით ლეჩხუმში. სალხინოს ჰქონდა თავდაცვის მრავალი საშუალება. გააჩნდა სამი ციხე-სიმაგრე. პირველი სიმაგრე მაღლობზე მდგარ სიმაგრეებისაგან განსხვავებით, ტეხურსა და წაჩხურას შესართავთან, მოხერხებულად იყო ჩამჯდარი ვაკეზე და თავისი ადგილმდებარეობის წყალობით მტრისთვის მოულოდნელ რისხვას წარმოადგენდა. იგი ნაქალაქევის მიმართულებით აკონტროლებდა ტახურის ხეობას. სამეგრელოს უმეტეს შემთხვევაში მტერი სამხრეთ-დასავლეთიდან და სამხრეთ-აღმოსავლეთიდან გამოუჩნდებოდა ხოლმე. საფრთხის თაობაზე პირველ ინფორმაციას იღებდნენ შხეფის, ნაქალაქევის, აბედათისა და მათ ირგლივ განლაგებული ციხე-სიმაგრენი, მათგან წაჩხურას ციხე ადვილად იღებდა პირობითი სიგნალების მეშვეობით საჭირო ინფორმაციებს. ეს ინფორმაციები იმავე სიგნალებით გადაეცემობა ლეგულორდავეს უბანში მაღლობზე მდგარ მეორე ციხეს. აქიდან კი მესამე, წაჩხურის ზღუდე-სიმაგრეს. წაჩხურუ თავისი სიმაღლის წყალობით შექმნილ მდგომარეობაზე სიგნალს აძლევდა ნოღის, კურზუს, ნაფიჩხოვოს ციხე-სიმაგრეებს, საიდანაც საფრთხისა და მზადყოფნის თაობაზე ინფორმაცია გადაეცემოდა მთელ ზედა, მთიან სამეგრელოს. ასე იქმნებოდა სამთავროს დაცვის ერთიანი გაჯვი. აქვე უნად ითქვას, რომ წაჩხურას ციხე სალხინოს წარსულის საამაყო ძეგლია. იგი წაჩხურასა და ტეხურის შესართავიდან ჩრდილოეთით, წაჩხურას მარჯვენა ნაპირზე, მდინარიდან 25 მეტრზე იდგა. ჰქონდა ძლიერი გალავანი და სამსართულიანი კოშკი, რომელსაც მიწის ქვემოთაც ორ სართულზე გააჩნდა სათავსი ადგილები. საჭიროების შემთხვევაში მას შეეძლო გალავნის შიგნით შეეფარებინა სამი ათასამდე მეომარი. წაჩხურის ციხე არ იყო უბრალო სათვალთვალო და სასიგნალო ჯიხა-ციხე. იგი თავისი ადგილმდებარეობის წყარობით ითვლებოდა მტრის

დამხვდურ, ძლიერ საბრძოლო სიმაგრედ. იცავდა არა მარტო სალხინოს, არამედ ნოღის ციხესთან ერთად მტკიცედ იდგა სალიპარტიანოს, ტეხურის ხეობისა და ზემოს სამეგრელოსკენ გადასასვლელი გზების სადარაჯოზე. ჩვენი სალხინო ამაყობდა ბუნებრივი თავდაცვითი სიმაგრეებითაც. პირველ რიგში ეს იყო მთელი ქვიბია, მისი დაბურული ტყეები და სამალავი ადგილები. მტკიცე ციხე-სიმაგრეს წარმოადგენდა სოფლის ბოლოს წაჩხურას სანაპიროზე არსებული დიდი ბუნებრივი გამოქვაბული, რომელსაც შეეძლო მცირერიცხოვანი ჯგუფით მტრისთვის ჩაეკეტა ქვიბიის მთებში ერთადერთი შესასვლელი ხეობა. აღნიშნული გამოქვაბული შედგება ერთი ვრცელი დარბაზისაგან, რომლის ფართობი 90 კვადრატულ მეტრზე მეტია. ჭერის სიმაღლე 8 მეტრს აღემატება. იგი მდინარის ნაპირიდან 20 მეტრს სიმაღლეზეა. კაცია II-ემ ამ ბუნებრივ მდვიმეს წინა მხარე ამოუშენა და მას მისცა თავდაცვითი სიმაგრის დანიშნულება. სოფლად თაობიდან თაობას ზეპირად გადაეცემა ერთი ასეთი ვრცელი თქმულება – ლეგენდა, რომლის თანახმად XVI საუკუნის შუა წლებში, დადიანთა ძველი დინასტიის დადიანობის დროს ოდიშის ტერიტორიაზე მძლავრობდნენ ოსმალები (თურქები). ხშირად იყო მათი თარეში, ამიტომ სიმაგრეთა კოშკებზე გამუდმებით ენთო სასიგნალო კოცონი, ნიშნად საშიშროებისა და სიფხიზლისა. ერთხელ მტრის უთვალავი ლაშქრის მოულოდნელი გამოჩენის გამო ქართულმა მხედრობამ სწრაფად დაუტოვა თურმე აბედათის, ნახუნაოს, თამაკონის სიმაგრეები და თავი სალხინოს შეაფარა. მაგრამ მას მტერი კვალდაკვალ მიუყვა. ქართველთა მხედართმთავარმა აქაც თავი აარიდა შერკინებას და ლაშქრითურთ ქვიბიის მთებს შეეხიზნა. მაგრამ ჩვენი მხედრობის განადგურების სურვილით ოსმალებიც მთებში შევიდნენ. შებრძოლება გარდაუვალი გახდა. ქართველებმა ხერხს მიმართეს. გადაწყვიტეს მტერი მთებში ღრმად შეეტყუებინათ, ხეტიალით არაქათი გამოეცალაც და შემდეგ განეხორციელებინათ მოულოდნელი თავდასხმა. ასედაც მოხდა. ერთ მშვენიერ დღეს, გამთენიისას, უეცრად დაესხნენ ოსმალებს და ისე მიმოიფანტეს, როგორც ქორისგან შეშინებული წიწილები. გონს მოსვლამდე ბლომად ჩეხეს ისინი. მამაცურად იბრძოდა მტრის მთავარსარდალი. ის ყოველთვის იყო იქ, სადაც მის მებრძოლებს უჭირდა, მაგრამ საღამო ჟამს მძიმედ დაიჭრა, რამაც საბოლოოდ გადაწვიტა ბრძოლის ბედი. სარდლის გარეშე დარჩენილი თურქები შედრკნენ, დატოვეს ბრძოლის ველი და ტყეს შეაფარეს თავი. დაჭრილი სარდალი იქვე დიდი ქვის ლოდზე დააწვინეს. მთელი ღამე ბორგავდა, შფოთავდა დაჭრილი ვაჟკაცი. იგი ამქვეყნიურ ყველა ღმერთს სთხოვდა, წყალი კი იმ მთებლი არსად იყო. მაგრამ უცებ, შუაღამისას ვაჟკაცის თავთან, ქვის ლოდიდან შადრევანივით იქუხა ანკარა წყალმა. მეორე დილას ეს ამბავი ქართულთა ბანაკში რომ გაიგეს, გაუკვირდათ და იკითხეს, „ქრისტიანულმა მიწამ ურჯულოს წყალი როგორ მიაწოდაო?“ „ვაჟკაცისათვის, ვინც არ უნდა იყოს იგი, ქართული, ქრისტიანული მიწა მადლიანიაო“. – იყო პასუხი. ქვიბიაში დღესაც ამ ადგილს „ქუაშწყარი“ (ქვის წყალი) ჰქვია. ხოლო იმ ადგილს, სადაც ქართველებს ბრძოლის ველიდან გაქცეული თურქები სრულ მორჩილებამდე ალყაში ჰყავდათ „ნათურქუ“ (თურქის ნადგომი) დაერქვა და დღესაც ამ სახელს ეძახიან... სალხინოს ყოველმხრივ მოწონებასთან ერთად, სამთავრო კარის წარმომადგენლებმა შეარჩიეს კარ-მიდამოს მოწყობის ადგილიც. ასეთ ადგილად მიჩნეულ იქნა ის ნახევარკუნძული, რომელიც წაჩხურასთან ონტყოლეს შეერთებით იქმნება. ამ ნახევარკუნძულის წვეროს ერთ ჰექტრამდე ფართობი ტყისა და ეკალბარდების გამო დაუსახლებელი და მფლობელის გარეშე იყო დარჩენილი. დანარჩენ ტერიტორიაზე (წაჩხურის ვაკის მეორე და მესამე ნაწილზე მთლიანად) ლაშხიები და აქა-იქ თოდუები სახლობდნენ. დადიანებმა ნახევარკუნძულის წვეროს ცარიელ ადილზე მუშა საქონლისათვის წნელით ღობეშემოვლებული და ისლით დახურული ბოსელი დადგეს. ალბათ ლაშხიებზე შეტევის პლაცდარმად. შეტევის დაწყების მიზეზი გახდა ასეთი ინციდენტი. ერთ დღეს დადიანების კამეჩებით გულშეწუხებულმა ლაშხიამ დაიჭირა ერთი კამეჩი და ზედ ზურგზე ნაღვერდალი დააყარა. ცეცხლისაგან გამწარებული კამეჩი ბოსელში შევარდა და მასთან ერთად დაიწვა. ეს შემთხვევა დადიანებმა იუკადრისეს და მიზეზადაც გამოიყენეს. ლაშხიები აყარეს მათ მიერ მოწონებული ადგილებიდან და მიმოფანტეს სალიპარტიანოს სოფლებში. ძირითადად ტალერში, კურზუსა და დოშაყეში. ვინც წინააღმდეგობა გამოიჩინა, მას ფიზიკურადაც გაუსწორდნენ. ასე საშინელი სისხლისღვრით დაისაკუთრეს დადიანებმა წაჩხურის ვაკის მეორე ნაწილი. ლაშხიებთან მკაცრი ანგარიშსწორებით დადიანებმა ყველა მოწინააღმდეგე ისე შეაშინეს, რომ მათ მიერ მოწონებული და სასურველი ბევრი სხვა ადგილიც ადვილად დაისაკუთრეს. მალე მთლიანად სალხინოს ტერიტორია სამთავროს კუთვნილებად გამოაცხადა. ეს იმას ნიშნავდა, რომ ემიერიდან სალხინო იმ დადიანის კუთვნილება იყო, რომელიც იჯდა მთავრად. მემკვიდრეობითაც მხოლოდ დადიან-მთავარს გადაეცემოდა და არა ძმას, ბიძას სამთავრო კარის ინტერესებში. სამთავრო კარის მფლობელობაში გადასვლის შემდეგ ჩვენი სოფლის მთელ ტერიტორიაზე (ქვიბიის ჩათვლით) მყარდება დადიან-მთავრის იურისდიქცია. მოსახლეობა მხოლოდ მთავრის წინაშე იყო პასუხისმგებელი (სალხინოში თავადი არ ყოფილა. აზნაურები გაჩნდნენ XIX საუკუნის ბოლო წლებში). ამასთან, დადიანებმა შექმნეს მკაცრი რეჟიმი. თავიანთი კაცებით ყველაფერს ისე აკონტროლებდნენ, რომ მათ დაუკითხავად არავის შეეძლო

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, არის იყოს მართებული და სახარიას ციხე ჩვენ მდ. აბაშის ხაზზე მდებარედ მიგვაჩნია (იხ. ზემოთ). ამავე დროს ავტორთა მიერ ზოგიერთ საკითხზე შემოთავაზებული მსჯელობა არც თუ ისე დამაჯერებელია, თუმცა მთლიანობაში თავმოყრილი მასალა გადმოცემების სახით საინტერესოა.

11. ლესხულუხიე – გამოქვაბული

მდ. წაჩხურის მარცხენა სანაპიროსთან არის ბუნებრივი გამოქვაბული, თუმცა შესასვლელი ამოშენებულია ადგილობრივი კირქვით კირის დუღაბზე. ეს გზა ჩრდილოეთით მიემართება სვანეთისკენ. მთის სახელწოდებებია – თიბია, მუხური, ჯოტკე, ნუზუონი, ფოთწყარი, მუხურა ნაფსია, გვიმარიონი, ქვაბაგოლაია, ბოლოს მედანი, შემდეგ სვანეთი; სწორედ ეს გამოქვაბული უკაშირდებოდა წაჩხურის ჯიხას და გადმოცემით გორდს და კინჩხასაც კი, ასევე ტეხურსა და წაჩხურის შესართავთან მდებარე ციხე-სიმაგრეს.

12. ციხე-სიმაგრე მდ. წაჩხურისა და მდ. ტეხურის შესართავთან

მდ. წაჩხურისა (მარჯვენა მხარე) და მდ. ტეხურის (მარცხენა მხარე) შესართავთან არის ციხე-სიმაგრის ნაშთები; ის სამხრეთით და სამხრეთ-დასავლეთით გადაჰყურებს მდ. ტეხურის ხეობას და თამაკონის ჯიხას; ჩრდილოეთისკენ კი იმ ციხე-სიმაგრეებს, რომლებიც ჩვენ დავაფიქსირეთ სალხინოში. ეს ციხე შემოზღუდულია დაახლოებით ნახევარ ჰექტარზე რიყის ქვით კირის დუღაბზე. შიგნით ოდნავ შემაღლებულ ბორცვზე უნდა მდგარიყო ცალკე კოშკიც.

ეს ციხე არქიტექტურულად ამ სახით არის ფიქსირებული: მარტვილის რ-ნი, სოფ. სალხინო-მიდამოები; ციხე; ტიპი –

წაჩხურში ლიფსიტა თევზის დაჭერაც კი და ქვიბიიდან ფოთლის გამოტანა. აქ ყველაფერს დადიანების ნება ედო საფუძვლად. სალხინოდან აკრეფილი ყოველგვარი საგადასახადო თანხა მთავრის საზინის კუთვნილება იყო.

ქრონოლოგიურად ზემოთ აღწერილი ისტორიული მოვლენები მიმდინარეობდა ოტიას მმართველობის ბოლო და კაცია II-ის მმართველობის საწყის პერიოდში. ეს გახლავთ მიახლოებით 1735-1745 წლებში. ამ წლებიდან შეგვიძლია ჩვენს სოფელს ვუწოდოთ – დადიანების სალხინო“ (გ. ბასილაია, დ. ბასილაია, ჩვენი სალხინო, 2008, გვ. 28-34).

საფორტიფიკაციო. შუა საუკუნეები; სოფ. სალხინოსთან, მდინარეების წაჩხურისა და ტეხურის შესართავთან შემორჩენილია ციხის ნაშთები; ნაციხარი დაფარულია მიწითა და მცენარეულობით. სამხრეთის მხრიდან შემორჩენილი ღიობით მივდივართ მიწისქვეშა სათავსოში, რომელიც თითქმის ამოვსებულია მიწით; ძეგლის სრული სახის წარმოსახვისათვის საჭიროა ჩატარდეს გაწმენდითი და გათხრითი სამუშაოები.

1992 წ. 17 აპრილი, არქიტექტორი ლ. გიორგაძე

სოფელი თამაკონი

1. ღვთისმშობლის სახელობის ახალი სამლოცველო

სოფლის სასაფლაოსთან, დგას ღვთისმშობლის სახელობის ახლად აშენებული სამლოცველო, რომელზეც ასეთი წარწერაა: „მე გუგული გვილავამ აღვაშენე სამლოცველო ესე მარიამ ღვთისმშობლის სახელობის ჩემი შვილიშვილის მამუკას და ყველა შესვენებულ ახალგაზრდათა სულის საოხად“.

2. ნამიკოლაუს მაცხოვრის ამაღლების სახელობის ეკლესია

ადგილობრივთა გადმოგვცემით, აქ მდგარი მაცხოვრის ამაღლების ეკლესია აშენებულია XVII-XVIII საუკუნეებში. ადრე აქ მდგარა ხის ეკლესია. მღვდლები აქ იყვნენ ბასილ ჯანაშია, სოლომონ ჯანაშია. ჩვენ გვაქვს დაახლოებით 5 წლის წინანდელი ამ ეკლესიის ჩვენს მიერ გადაღებული სურათი, იმ დროს მას წინ ჰქონდა მიშენებული რუსული სამრეკლოს მსგავსი გუმბათი, რომელიც შემდგომ მოუხსნიათ.

არქიტექტურულად ეს ტაძარი ამ სახით არის აღწერილი: მარტვილის რ-ნი, სოფ. თამაკონი; ეკლესია „მაცხოვარი“. XIX საუკუნე; ტიპი – საკულტო; ეკლესია დარბაზული ტიპისაა, რომელსაც მოგვიანებით დაადგეს გუმბათი. დარბაზი გეგმით მართკუთხაა, აღმოსავლეთიდან დასრულებული შვერილი აბსიდით. აბსიდა შიგნიდან ნახევარწრიული, ხოლო გარედან წახნაგოვანი ფორმისაა;

საკურთხეველში გაჭრილია სამი არქიტრავული სარკმელი და მოწყობილია ორი თაღოვანი ნიში. აქვე დგას მასიური ტრაპეზის ქვა. საკურთხევლის წინ მოწყობილია ერთსაფეხურიანი სოლეა. დარბაზი განათებულია ჩრდილოეთისა და სამხრეთის ორ-ორი არქიტრავული სარკმლით. ორი წყვილი პილასტრი დარბაზს ანაწევრებს სამ მონაკვეთად. ცენტრალურ მონაკვეთზე დადგმულია წრიული ფორმის ხის გუმბათი, რომელზეც გადახურულია კონუსისებრი სახურავი. გუმბათის ყელში დატანებულია არქიტრავული სარკმლები. დარბაზში გაჭრილია სამი თაღოვანი შესასვლელი; ეკლესიას დასავლეთიდან მიშენებული აქვს ორსართულიანი სამრეკვლო, რომელიც გადახურულია წახნაგოვანი სახურავით; ძეგლი ნაგებია კირქვითა და შირიმით-კირის დუღაბზე. ფასადები შებათქაშებულია. ეკლესია დგას ერთსაფეხურიან ცოკოლზე.

1992 წ. 15 აპრილი, არქიტექტორი ლ. გიორგაძე

3. თარგამულის წმ. გიორგის სახელობის ეკლესია

მდ. ტეხურის მარცხენა მხარეს მაღალი მთის თხემზე დგას წმ. გიორგის სახელობისეკლესია. ადგილობრივთა გადმოცემით, აქ გადმოუტანიათ ალერტის წმ. გიორგის ნიში და ეკლესიაც აუგიათ. ეს ეკლესია დასავლეთით გადაჰყურებს ნამიკოლაუს მაცხოვრის ეკლესიას და იქვე მდგარ კოშკს. მისგან ჩრდილოეთით მაღალ მთაზე არის მოცაციხე, სამხრეთით ბჟერის მთა. ამ ეკლესიაში პირველი მღვდელი ყოფილა ივანე მიშველაძე, მერე მისი შვილიშვილი – მელიტონი, ხოლო მისი შემდგომი და ბოლო მღვდელი იყო ამბაკო ჯავახია.

აღსანიშნავია, რომ თარგამულის ამ ეკლესიის ირგვლივ შეინიშნება გალავნის ნაშთები და შესაძლოა აქ თავდაცვითი ნაგებობაც ყოფილიყო; მას სტრატეგიულად კარგი მდებარეობა აქვს.

4. ლექაჯაიეს ადამიების ნაეკლესიარი

ლექაჯაიეს უბანში შემაღლებულ ბორცვზე (დღეს იქ მოსახლეობა არ არის), ადგილობრივთა გადმოცემით, მდგარა ქვის ეკლესია; აქ ასევე იყო ძველი სასაფლაო. მას ადამიების ეკლესიას უწოდებენ. აქ არის ადგილი „პაპაში ნანწყუ“, სადაც მღვდელს უცხოვრია, მას ცოლად ყოლია დადიანის ქალი. ბოლო მღვდელი აქ ყოფილა ლაზარე ადამია.

5. მეორე ნამიკოლაუს მარიამ ღვთისმშობლის სახელობის ნაეკლესიარი

სოფლის სასაფლაოსთან მდგარა მარიამ ღვთისმშობლის სახელობის ხის ეკლესია. აქ პირველი მღვდელი ყოფილა იოანე გაგუა, მას მოსწრებია ჩვენი მთხრობლის მამა, რომელიც 1902 წელს იყო დაბადებული. დღეს აქ პატარა სამლოცველოა აშენებული.

6. მეორე ნამიკოლაუს ახალი წმ. გიორგის სახელობის მშენებარე ეკლესია.

ზემოთ ნახსენებ სასაფლაოსთან ასიოდე მეტრის დაშორებით აღმოსავლეთით შენდება ახალი წმ. გიორგის სახელობის ეკლესია, ჩაყრილია საძირკველი.

7. ლეფაციეს მარიამ ღვთისმშობლის სახელობის ხის ეკლესია

ლეფაციე უბანში სასაფლაოებთან დგას მარიამ ღვთისმშობლის სახელობის ხის ეკლესია. ადგილობრივთა გამოცემით, აქ მდგარა ძალიან ძველი ქვის - VI-VII საუკუნეების ეკლესია. ამ ეკლესიის შიგნით ინახება ერთი ქვა, რომელიც იმ ძველი ეკლესიის ნარჩენად არის მიჩნეული და ადგილობრივები მასზე ლოცულობდნენ.

8. ლეფარცვანიეს ნაეკლესიარი

ადამიების და ქაჯაიების სასაფლაოსთან მდგარა ხის ეკლესია, რომელიც შემდგომ ცოტა ქვემოთ ლეფარცვანიეში გადმოუტანიათ. ეკლესია ორივე ადგილას მდგარა.

9. ნამიკოლაუს ციხე-კოშკი

მდ. ტეხურის მარჯვენა მხარეს, მაღალ გორაკზე, დგას ადგილობრივი კირქვის და რიყის ქვისგან კირის დუღაბზე აშენებული კოშკი. მას დასავლეთიდან და ჩრდილოეთიდან მცირე მანძილზე კიდევ შემოუყვება მეორე კედელი, რომელიც დღეს თითქმის დანგრეული. ის ჩრდილოეთით უყურებს პატარა თამაკონის ჯიხას. აღმოსავლეთით მოცაციხეს და თამაკონის მთას, სამხრეთით მდ. ტეხურის ხეობას და მის სანაპიროსთან ვაკეში მდგარ ციხეს (იხ. ქვემოთ).

10. თარგამულის ციხე-სიმაგრე

მდ. ტეხურის მარცხენა ნაპირთან დაბლობში (მდ. ტეხურის წყალი მის კედლებს უშუალოდ ეხება) მდებარეობს ციხის ნანგრევი. მისგან აღმოსავლეთით მდებარეობს ზემოთ ნახსენები წმ. გიორგის ეკლესია და ბჟერის მთა, ხოლო ქვემოთ ჩვენს მიერ უკვე ნახსენები აბედათის ციხე-სიმაგრე. მისგან ჩრდილო-აღმოსავლეთით არის „მოცაციხე"; სამხრეთ-დასავლეთით ის უყურებს გურძემის ეკლესიას, შემდეგ იწყება სენაკის რ-ნი და სოფელი ფოცხო, ლეძაძამე, ბეთლემი და გზა ნოქალა-ქვისკენ მიდის. აქედან ჩრდილოეთით ჩანს ნამიკოლაუს კოშკი, რომელიც ასევე უკავშირდებოდა პატარა თა-მაკონის ჯიხას, ის კი თავის მხრივ სალხინოს ციხეებს და წაჩხურს.

11. თამაკონ-ნახუნაოს საზღვარი – ციხე-სიმაგრე „მოცაციხე"

თამაკონის მთაზე მდ. ტეხურის მარცხენა მხარეს, მისგან დაახლოებით 4 კილომეტრში მაღალ მთის წვერზე მდებარეობს დიდ ფართობზე გაშლილი ციხე-სიმაგრე. მისგან აღმოსავლეთით 6-7 კილომეტრში მდ. ბაშისწყალის ხეობა იწყება – ნახუნაო, წინაკვირკვე, აბედათი. დასავლეთით გადაჰყურებს თამაკონს, ლამიკოლაუს, თარგამეულს, გურძემს, ტალერს, ნოღას, კიწიას, ალერტს, კურზუს, ხობს. ჩრდილოეთით სალხინოს და წაჩხურს, სამხრეთ-დასავლეთით წალენჯიხას და მის მიმდებარე სოფლებს. სამხრეთით მდ. ტეხურის ხეობას, ბჟერის მთას და მის ქვემოთ მდებარე აბედათის ციხე. ეს ციხე-სიმაგრე ერთმანეთს აკავშირებს აღმოსავლეთით (მდ. აბაშის და ცხენისწყლის ხეობიდან) და დასავლეთით მდ. ტეხურის გავლით ხობის და მდ. ენგურის ხეობებს. ეს მთა და მასზე მდებარე ციხე-სიმაგრე ერთგვარად აერთიანებს აღმოსავლეთ და დასავლეთ სამეგრელოს თავდაცვით ხაზს, რომელიც ამ მონაკვეთზე გაწყვეტილია თამაკონის მთით (ზოგადად უნაგირას მთის) საიდანაც აქიდან ჩანს თითქმის მთელი სამეგრელო აღმოსავლეთით, დასავლეთით, ჩრდილოეთით და სამხრეთით.

მოცაციხეს სათვალთვალო არეალი ურთა მთაზე მდებარე ჯეგეთის ციხე-სიმაგრესაც კი აღწევს. აქედან ასევე კარგად ჩანს სათანჯოს მთა.

მას აქვს სათოფურები და დაახლოებით 1500 მეტრის სიგრძის კედელი. მას ადგილობრივები „მაცაციხეს“ (მოცაციხეს) ეძახიან, თითქოს აქ მაცი ხვიტია იმალებოდაო. დასავლეთის კედელთან მას უნდა ჰქონოდა მაღალი კოშკი, რაც აშკარად იკითხება. ეს სათოფური ხვრელები, რომელიც ძირითადად მის ჩრდილოეთ კედლებშია, (სამხრეთით და აღმოსავლეთ კედლებში არ არის) უფრო ძველი ნეგებობის შტაბეჭდილებას ტოვებს. ჩვენ ამ ციხის ზოგიერთი კედელი ეგრისის სამეფოს დროინდელად მიგვაჩნია და შესაძლოა უფრო ადრინდელიც. ციხე ზოგან ნაშენია რიყის ქვით; ზოგან კი თეთრი ადგილობრივი კირქვით კირის დუღაბზე.

სოფელი (პირველი გურძემი) გურძემი

1. ნაქიაჩუ სკურდის (ქიაჩის სახელობის) ეკლესია

სოფლის სასაფლაოსთან მდგარა ქიაჩის სახელობის ეკლესია. დღეს იქ ახალი ეკლესიის საძირკველია ჩაყრილი, რომელიც წმ. მარიამ ღვთისმშობლის სახელობისად არის ნაკურთხი.

სოფელ გურძემს და კონკრეტულად ამ ადგილს ძველად ეძახდნენ ნაქიაჩუს. აქ მღვდელი ყოფილა მიხა ჩაჩიბაია. მას აქ სკოლაც ქონია, ის წარმოშობით ალერტიდან იყო.

2. ლემილორავეს მთავარანგელოზთა სახელობის ეკლესია

ლემილორავეში დგას მთავარანგელოზთა სახელობის ქვის ეკლესია. გადმოცემით ეს ეკლესია, აუშენებიათ გიორგი სააკაძის გარდაცვალების წლებში, აქ ყოფილა ადრე სამრეკლო და 12 ზარი ეკიდა. აქ აღდგომის სამშაბათს იციან მთავარანგელოზობის დღესასწაული. აქ მღვდელი ადრე ყოფილა გიორგი ახვლედიანი, შემდეგ როგავა სენაკიდან, შემდეგ კი მიხა ჩაჩიბაია.

ეს ეკლესია არქიტექტურულად ამ სახით არის აღწერილი: მარტვილის რ-ნი, სოფ. ურძემი; „მთავარანგელოზის“ ეკლესია. არდამავალი ხანა; ტიპი – საკულტო; სოფლის განაპირას შემაღლებულ ბორცვზე დგას მთავარანგელოზის სახელობის ეკლესია. აგებობა გეგმით თავისუფალი ჯვრის ფომისაა, რომელიც აღმოსავლეთიდან

სრულდებოდა ნალისებური შვერილი აბსიდით. შაკურთხეველში გაჭრილია თაღოვანი სარკმელი, რომლის ჩრდილოეთით ორი არქიტრავული ნიშია განლაგებული. სარკმელთან დგას მასიური ტრაპეზის ქვა. აბსიდა ერთსაფეხურიანი სოლეათია ამაღლებული. ეკლესიის გადახურვა ჩამონგრეულია და ადგილობრივ მოსახლეობას გადაუხურავს შიფერით. იატაკზე დაგებულია მართკუთხა ქვის ფილები. ჩრდილოეთისა და სამხრეთის მკლავებში გადადის ნახევარწრიული ფორმის თაღები. ძეგლს შესასვლელი სამი მხრიდან აქვს დატანებული (აღმოსავლეთის გარდა). დასავლეთის ფასადზე შესასვლელის ორთავე მხარეს ჩატანებულია ქვის ფილები რელიეფური გამოსახულებით და ასომთავრული წარწერებით. წარწერები თითქმის აღარ იკითხება. ეკლესიის საშენ მასალად გამოყენებულია კირქვა-კირის დუღაბზე. ფასადებზე შემორჩენილია ბათქაშის კვალი. კედლები ბევრ ადგილას დაბზარულია. ამოსულია სურო; ძეგლი დგას ორსაფეხურიან ცოკოლზე.

1992 წ. 15 აპრილი, არქიტექტორი ლ. გიორგაძე

3. ნახურცილავუს – მარიამ ღვთისმშობლის სახელობის ეკლესია

შემაღლებულ ბორცვზე ნახურცილავოს სასაფლაოსთან დგას მარიამ ღვთისმშობლის სახელობის ქვის დარბაზული ერთნავიანი ეკლესია. აქ მღვდელი ყოფილა იოსე ჯავახია. აქ 8 სექტემბერს (ახალი სტილით 21 სექტემბერი) ტარდებოდა მარიამობის დღესასწაული, სადაც კლავდნენ ხარს; ამ ადგილიდან ჩრდილო აღმოსავლეთით ჩანს თამაკონი, ნამიკოლავუ და მდ. ტეხურის ხეობა, ასევე იქ მდგარი ეკლესიები (წმ. გიორგის), მოცაციხე, ასევე მდ. ტეხურის ნაპირთან ვაკეზე მდებარე ციხე და ნაქიაჩუს ეკლესია (სოფ. პირველი გურძემი).

4. ადგილი ჯვარ-მამამთავარი

მარიამ ღვთისმშობლის ეკლესიის დასავლეთით, მაღალ გორაზე დაახლოებით 300 მატრში აღმართულია ჯვარი. ამ ადგილს ჯვარ-მამამთავარს უწოდებენ. იქ მთელი სოფელი დადიოდა სალოცავად (ხურცილავები, ლატარიები, ჩაჩავები, სოსელიები და სხვა), სადაც 8 სექტემბერს იცოდნენ მარიამობის დღესწაული და სწირავდნენ მსხვერპლს. იქ ვიღაც მღვდელი ყოფილა დაკრძალული. აქ ძველად ხურცილავების გვარის სალოცავი იყო, სადაც ისინი ხარს სწირავდნენ.

5. სქურდი-ლეკოხიეს მაცხოვრის სახელობის ეკლესია

სქურდი-ლეკოხიეს უბანში დგას მაცხოვრის სახელობის დარბაზული ერთნავიანი ქვის ეკლესია. ჭერი ჩამონგრეულია. ამ ადგილს ეძახიან ზაკაში ოხვამეს (ზაკას სალოცავი) ტაძარი საკმაოდ დიდია და სავარაუდოდ XVII საუკუნის ნაგებობა ჩანს. გადმოცემით, ლეკოხიეს ეკლესია ყოფილა, ჩვენს მიერ ლეძაძამეს – უბან ლეგოგიეში ფიქსირებული მისარიონის სალოცავის ძმა და მისი ზედმიწერილი. აქ მღვდელი ყოფილა იოსე ჯავახია, შემდეგ მისი შვილი ამბაკო ჯავახია.

6. წმ. ნიკოლოზის სახელობის ეკლესია

სოფელ გურძემში წმ. ნიკოლოზის სახელობის ეკლესიაზე ცნობებს (თუმცა ჩვენ ვერ დაადგინეთ ამ ეკლესიის ადგილი) გვაწვდის გაზეთი „ცნობის ფურცლი“ 1899 წელს: „ამ სოფელში არის ერთი ეკკლესია წმ. ნიკოლოზის სახელზე აშენებული, ზედ მიწერილი ალავერტის წმ. გიორგის ეკკლესიისადმი. შემავალნი ამა ეკკელსიისა ყველა წოდებისა ირიცხებიან 55-მდის კომლი კაცი. ეს ეკლესია იყო ძველი, ხისა და პატარა. ამისათვის განიზრახეს აეშენებინათ ქვითკირის ეკკლესია. სახსოვრად მათის იმპერატორებითის უდიდებულესობის დაგვირგვინებისა. 1897 წ. 23 ნოემბერს ბლაღოჩინი დეკანოზი გიორგი ბერაძის წინადადებით დაადგინეს ააშენონ ნაცლად ძველი პატარა ხის ეკლესიისა, ქვითკირ-აგურის ეკკლესია. აარჩიეს აღმშენებელი კომიტეტები და დაავალეს დაუყოვნებლივ შეუდგნენ საქმეს და თვითონაც ვალდებული გახდნენ ყოველივე მოთხოვნილება მათი (კომიტეტებისა) უსიტყველად აღასრულონ. არჩეულმა კომიტეტმა გადასწყვიტეს იჯარით გაცემა ეკკლესიის შენება და იმ გეგმისამებრ, რომელსაც ეპარქიალური მთავრობა უჩვენებს მათ. დაიწყეს ეკლესიის აშენება და ორ აშინამდის აღშენებულია. ეხლა საქმე და კარგი ის არის, რომ ასეთმა მცირე მრევლმა (56-60 კომლმა კაცმა) იკისრა ქვის ეკკლესიის შენება, მაგრამ ამ უკანასკნელს დროს ვეღარ გაუძლეს და ეკკლესიის შენობა შეჩერებულია, და არც გასამტყუნებელია, რომ ვერ შესძლონ, მით უმეტეს, რომ ეს პატარა სოფელი, მიუხედავად თვისის სიმცირისა, გულმოდგინედ შეუდგა ამ წმინდა საქმეს – ეკკლესიის აღშენებას, მაგრამ ამ ჟამად დავარდნილ სიღარიბეს, რომელიც მოფენილია აქეთა მხარეს და ნამეტურ ამ სოფელში მოულოდნელის სამფრიანობისა და მოუსავლიანობისა გამო, სამრევლო ამა ეკკლესიისა მიიყვანა უკიდურეს სიღარიბისადმი და გახადა შეუძლებელად აღასრულოს თავისი წინა განძრახული კეთილი და წმ. საქმე, ეკკლესიის შენება, თუ კი ამას არ მოეშველა კეთილ-მოწყალე ქრისტიანეთა და ქველ-მოქმედთა ხელი. დასასრულს ვისურვებთ ამ კეთილი და წმინდა საქმის თავის მდებთა (მათაურთა მრევლთა) გამხნევებას, ქველ-მოქმედთა შემწეობას და საქმის კეთილად დაგვირგვინებას“[1].

სოფელი მეორე გურძემი

[1] ს. გურძემი (სამეგრელო). გურულ-მეგრელი, გაზ. ცნობის ფურცელი, №1899, №№№№882.

წმ. გიორგის სახელობის ნაეკლესიარი

სოფლის სასაფლაოსთან (წიფურიების, წურწუმიების, გოგუების, ცაგურიების, სორდიების, უჩავების, დამენიების) იდგა წმ. გიორგის სახელობის ქვის ეკლესია, რომლის საძირკვლის ნაშთები დღესაც შეინიშნება. დღეს აქ მის საძირკველზე ოდა სახლის მაგვარი შენობა გაუმართავთ. მღვდელი აქ ყოფილა ვინმე ბერიძე. ეს ეკლესია დაუნგრეთია აშორდიებს. აქ ასევე დაკრძალულნი არიან ჩაჩიბაიები, რომელთან გადმოცემით ალერტის ხატი კუთვნებიათ და ალერტში მნათეები იყვნენ.

სოფელი პირველი კიწია

მთავარანგელოზთა სახელობის ნაეკლესიარი

სოფლის სასაფლაოსთან იდგა მთავარანგელოზთა სახელობის აგურის ეკლესია, რომელსაც „ჭითა ოხვამესაც“ (წითელი სალოცავი, ალბათ აგურის ფერის გამო) ეძახდნენ. საძირკველის და კედელის მოხაზულობა კარგად არის შემორჩენილი. ფართობი დაახლოებით 40 მეტრამდეა. ის მთლიანად აგურისგან იყო აშენებული. ზოგან 1 მეტრის სიმაღლის კედლის ნაშთებია შემორჩენილი. აქ მღვდელი ყოფილა დიმიტრი გვადის ძე გადელია.

ამ ეკლესიის აგების შესახებ ჩვენ ცნობებს ვპოულობთ 1890 წლის გაზ. „კვალში“, სადაც ნათქვამია, რომ ამ აგურის ეკლესიის აშენებამდე აქ მდგარა ხის ეკლესია[1].

გასაბჭოების დროს ეს ეკლესია დაუშლიათ და სოფლის ფერმა აუშენებიათ. დღეს ადგილობრივებმა ისევ დაშალეს ეს სოფლის ფერმა და იმ ძველი აგურისაგან აპირებენ იმავე ადგილას ეკლესიის აშენებას.

[1] სოფ. კიწიაში ხის ეკლესიის ადგილას დღეს შენდება ქვითკირის ეკკლესია, იმ ეკლესიის მრევლმა განჩინება დაადგინა აგურის ეკკლესიის აშენებისა, გუმბათით და ძვირფასი სახურავით. მრევლში ითვლება სულ 96 კომლი ყველა წოდებისა. იქვე ეკკლესიის ახლოს დგას სამრევლო სკოლა, რომლის სამრეკლო გადმონგრეულია და კედლებიდან ქარი თავისუფლად უბერავს“ (კიწის საზოგადოება (სამეგრელო). ვასილ გადილია, გაზ. კვალი. 1890, №20).

სოფელი მეორე კიწია

ლეჭიეს სასაფლაოსთან ნაეკლესიარი ადგილები და ჭილაიების ანუ ჭილაძეთა გვარის შესახებ

შემაღლებულ ბორცვზე სოფლის სასაფლაოსთან ადგილ "ლეჭიეში" არის ეკლესიის საძირკვლის ნაშთები. გადმოცემით, ძველად აქ უცხოვრია ჭილაიების გვარს, რომელთაც ამ ბორცვზე გვერდიგვერდ სამი ქვის ეკლესია ჰქონიათ. ძველად ამ სოფელსაც ლეჭილაიე ერქვა. ისინი ხოლერისგან ამოწყვეტილან. ამის შემდეგ აქ დასახლებულან შულაიები და კორთხონჯიები. ერთ-ერთ ეკლესიაში, რომლის საძირკველი ეხლაც ჩანს (სხვა ეკლესიების საძირკველი არ ჩანს და როგორც ადგილობრივები მიგვითითებენ ამ მიმდებარე ტერიტორიაზე მდებარეობდა) მღვდლები ყოფილან ესტატე და რაჟდენ ხარებავები, დიაკვანი მირიან ხუხუა; სტაროსტა მოტია ბერია (ქალი იყო). აქაური ბლაღოჩინი იყო დეკანოზი კონდრატე ჩაჩიბაია, რომელსაც ამ მხარეში 10 ეკლესია ებარა. ამ სასაფლაოსთან ადგილას ეძახიან "ციმაიას გას", მას მარცხენა მხარეს ჩამოუდის მდ. „კორჩე" და არის ადგილი „ნორაში გიოლაფუ".

საჭილაო მდებარეობს აბაშის რაიონშიც. მდ. რიონის გასწვრივ. ჭილაძეები, ანუ საჭილავო ცნობილი სათავადო გვარია აღმოსავლეთ სამეგრელოში. მათ შესახებ გარკვეული ცნობებით არსებობს, თუმცა ძნელია იმის თქმა თუ რომელ ჭილაძეებს ეკუთვნოდათ ეს ეკლესია.

ექვთ. თაყაიშვილის აღნიშვნით, „ტყვირის ეკლესია აშენებული ყოფილა ჭილაძეების მიერ და მათ სამარხავად გამხდარა, ჭილაძეები ერთ დროს მთავრები იყვნენ (ისინი საბოლოოდ მაინც ვერ „გამთავრდნენ" – დ. ჭ.) და ფლობდნენ დიდ მხარეს გურიასა და სამეგრელოს შუა. გურიაში მათი სამფლობელო საერისთავომდის მიდიოდა, ესე იგი მათ ეჭირათ მთელი ეხლანდელი მხარე გურიისა, რომელსაც ჰქვია საჯავახო, სამეგრელოს მხრით მათი სამფლობელო, როგორც ირკვევა ეხლა, ბანძამდის მიდიოდა. ამ საზღვრებში შედიოდა, გარდა საჯავოხოისა, ორპირი, სამტრედია, ეხლანდელი საჭილაო, აბაშა და სეფიეთი. ჭილაძეების ძლიერნი იყვნენ მე XIV და მე -XV საუკუნეებში, მაგრამ შემდეგ, მე XV საუკუნის მეორე ნახევარში, დაკარგეს თავის სამლობელო და დაქვეითდნენ. მე XV საუკუნეში იმერეთის მეფის გიორგი II დროს (1548 – 1585) დიდად გამოჩენილი იყო ჯავახ ჭილაძე, მაგრამ მან უღალატა გიორგი მეფეს, მეფემ შეიპყრო ის და მოჰკლა. მისი მამული ჯერ თვით გიორგიმ დაიჭირა, მაგრამ მერმე გაუყო დადიანს და გურიელს და მათ შორის საზღვრათ დაიდვა რიონი. საჯავახო ერგო გურიელს, რიონის მარჯვენა ნაპირი დადიანს. მე-XVII საუკუნეში ჭილაძეების გვარი კიდევ წარჩინებულად ითვლებოდა და ნათესაობით შეკავშირებული იყო დადიანებთან და გურიელებთან. ხოლო შემდეგ დროში სულ დამცირდა. ეხლა მათ ყოფილ სიმდიდრეს და გვარს მოგვაგონებს ერთი კუთხის სახელი აბაშა და სამტრედიის შუა, საჭილაო, და

აგრეთვე აქამდე დარჩენილი შელოცვა: „ღმერთმა ისე გაგამრავლოს, როგორც ჭილიას ჯოგიო“ ხშირად იტყვიან სამეგრელოში“[1].

XIX საუკუნის მასალებზე დაყრდნობით, თ. ბერაძე აღნიშნავს, რომ სამეგრელოს და მისი მიმდებარე ტერიტორიის საჭილაოს სოფლები იყო (ცალკე იყო საჯავახოს საჭილაო) მარანი, ილორი, ნაფაღაური, სამტრედია, სანავარდო, ქვიშანჭალა, ქორეისუბანი, ტოლები, გულეკარი, კვიტია, ეკალი, ნაფაცხევი, ტყვირი, ცხელური, შუა ქალაქი [2] . ასევე შედიოდა კოდორა, ცხეპიჯი, კეკუთი, ანჯელი. აქ ჩამოთვლილი პუნქტების უმრავლესობა რიონის მარცხენა ნაპირზე მდებარეობს, ანჯელი კი რიონის მარჯვენა ნაპირზეა[3].

თ. ბერაძის აზრით, ნოქალალევის სამხრეთით ჭილაძეების სამფლობელო გადადიოდა მდ. ტეხურს და უნაგირას ქედამდე აღწევდა[4].

ო. სოსელიას გამოკვლევით, ჭილაძეთა სათავადო ერთ-ერთი უდიდესი და უძველესი სათავადო იყო სამეგრელოში, რომლებიც ჯერ კიდევ XII საუკუნეებიდან იხსენიებიან, ხოლო XIV-XV საუკუნეებში ისინი ფლობდნენ სოფელ ტყვირს (ქველი, კახაბერი, ჩუბანი), სადაც აშენებდნენ თავიანთ საგვარეულო ეკლესიას [5]. ავტორისავე აღნიშვნით, ჭილაძეები თავიდანვე დადიანების ვასალები ჩანან, თუმცა ისინი მთავრული განკერძოებისაკენ მიისწრაფვიან. XV საუკუნესა და მომდევნო საუკუნეების პირველ ნახევარში ჭილაძეები „ფლობდნენ დიდ მხარეს გურიისა და სამტრედიის შუა. გურიაში მათი სამფლობელო საერისთავომდე მიდიოდა[6]. მათ ეჭირათ მთელი ახლანდელი მხარე გურიისა – საჯავახო, სამეგრელოს მხრით მათი სამფლობელო ბანძამდის აღწევდა; ამ საზღვრებში შედიოდა გარდა საჯავახოსი - ორპირი, სამტრედია, ეხლანდელი საჭილაო, აბაშა, სეფიეთი ჭილაძეების იყო ტყვირი, გულე-კარი, რიონის და ცხენის წყლის შესაყარიდან ტეხურის შესართავამდე სულ დაღმართი, კოდორსა, ცხეპიჯი, კუკუთი, სამარღანიო, ანჯელი. მათივე უნდა ყოფილიყო სოფელი ნოსირიც. ტერიტორია (რიონის და ცხენიწყლის შესაყარიდან ტეხურის შესაყარამდის სულ გაღმართი, კოდორა, ცხეპიჯი, კუკუთი, სამარღანიო და ანჯელი) შემდეგ („ძველთაგან“) ჭილაძეებმა ჭყონდიდის მონასტერს შესწირეს. ზემოაღნიშნული სოფლებიდან სოფ. კოდორი (კოდორა) ერთ დროს სადადიანო გამხდარა. ვამეყ III დადიანს (XVII ს-ის მეორე ნახევარი) იგი კვლავ ჭყონდიდის მონასტრისთვის შეუწირავს, მაგრამ შემდგომ „ჟამთა ვითარებისათა ეს სოფელი აზნაურ გოგი ელიავას თავისთვის „დაეჭირა“. XVII ს. დასასრულს ჭყონდიდელმა ევდემონ ჩხეიძემ „გამოართვა“ კოდორი ელიავას და იქ მოსახლე „სამი კვამლი კაცი“ სუჯუნის ეკლესიის წმ. გიორგის შესწირა. შესაძლოა ჭილაძეები ერთ დროს ამ კუთხის თუ სხვა კუთხის ერისთავადაც იჯდა[7].

ჭილაძეების ადგილსამყოფელ ტყვირსა და გულე-კარში იყო. აქ ჰქონდათ სასახლეები კარის ეკლესიებით. საგვარეულო საძვალე ჭილაძეებს მათ მიერ აგებულ ტყვირის ეკლესიაში ჰქონდათ მოწყობილი. ფლობდნენ ტოლების ციხე-სიმაგრეს,

---

[1] ექვთ. თაყაიშვილი, არხეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნანი, გვ. 3-4.
[2] თ. ბერაძე, გვ. 161.
[3] თ. ბერაძე, გვ. 162.
[4] თ. ბერაძე, გვ. 165.
[5] ო. სოსელია, ნარკვევები ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიიდან (სათავადოები), I, თბ., 1973, გვ. 271.
[6] ო. სოსელია, დასახ. ნაშრომი, გვ. 274.
[7] ო. სოსელია, სადახ. ნაშრომი, გვ. 275.

რომელიდაც მონაკვეთში შხეფის ციხესაც. XVI ს-ის 80-იანი წლების შემდეგ კი შხეფის ციხე დადიანთა ხელში ჩანს[1].

XVII საუკუნეში ჭილაძეები წარმატებას აღწევენ საეკლესიო სფეროშიც: პეტრე და იერემია ჭილაძეებს ამ დროს ჭყონდიდის ეპისკოპოსის ხარისხით ვხედავთ[2].

სამეგრელოში ჩიქვანთა საგვარეულოს გამთავრების შემდეგ ჭილაძეთა საგვარეულო სხვებთან ერთად დაემცრო და უკვე XVIII-XIX საუკუნეებში აზნაურებად არიან მოხსენიებულნი[3].

ტყვერის ეკლესიის წარწერები, ექვთ. თაყაიშვილის მიხედვით, ძალზედ ბევრ მასალას გვაძლევს ჭილაძეებზე, რომელსაც ჩვენ ტყვირის ეკლესიის განხილვის დროს შემოგთავაზებთ. ხოლო კიწიაში ჩვენს მიერ ფიქსირებულ ჭილაძეებზე ანუ ჭილაიებზე იქ არაფერია ნათქვამი.

საჭილაო მოხსენიებულია 1789 წ. 10 სექტემბერს წყალობის წიგნში სოლომონ II-ისა გრიგოლ დადიანისადმი[4].

ჭილაძეები ანუ საჭილაო მოხსენიებულია 1714 წ. შეწირულობის წიგნში ბეჟან დადიანისა მარტვილის საბუთთაგან, საიდანაც ვიგებთ, რომ ანჯელი და კოდორი მდ. თეხურამდე ჭილაძეებს შეუწირავთ მარტვილის მონასტრისათვის[5].

---

[1] ო. სოსელია, დასახ. ნაშრომი, გვ. 276.
[2] ო. სოსელია, დასახ. ნაშრომი, გვ. 283.
[3] ო. სოსელია, დასახ. ნაშრომი, გვ. 284-285.
[4] ... და რადგან ორთავე ერთობა და სიყუარული შეიტყო, თავისდა სიკ დილად შერაცხა და თავისის ძალით მოდგა და შამოგვება. მოწყალებამან ღ თისამან თავისი სამართალი გამოაცხადე და ვჰსძლიეთ და გავიმარჯვეთ და სამკვიდრებელი ჩემი სრულებით დავიპყარ. და საჭილაოს საქმე ძველთა მეფეთა წერილებითა პირველ მიბრძანე და ჩუცნც მას ჟამსა აღგითქვით პაპათა ჩემთა წერილებისა დამტკიცება და აღგისრულეთ: დაგიმტკიცეთ და მოგართვით საჭილაო თავისის სამართლიანის საზღურით, აზნაურით, გლეხით, ტყით, წყლით, ეკკლესიით, თავისის შემავალით სანადიროთა გვიბოძებია...“ (საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ისტორიული დოკუმენტები და არქივები. ისტორიული დოკუმენტები, ტ. II, თბ., 1953. ტექსტი შენიშვნებითა და საძიებლებითურთ გამოსაცემად მოამზადა შ. ბურჯანაძემ, გვ. 13-14).

[5] „1714 წ. შეწირულობის წიგნი ბეჟან დადიანისა მარტვილის საბუთთაგან.

... ჩვენ... დადიანმან ბატონმან ბეჟან და თანამეცხედრემან ჩვენმან დედოფალმან ბატონმან თამარ ვინებეთ საქმისა ამის გამოკულევად, ასე რომ ჩვენი ძმა ჭყოდიდელი გაბრიელ საჭყონდიდლოშიდ ბატონად იჯდა და ეშმაკის საბრხით ჩვენსა მის შუა აშლა და ერთმანერთის მოცილება შეიქმა. ახლათ მოვედით ჩვენ საჭყონდიდლოშიდ და ჩემი ძმა ჭყონდიდელი გარდავაყენე. მას მოღმა მოვიკითხეთ და ერთობ დიდი ხანი გამოვიდა რომ საჭყონდიდლოში მწირველი ეპისკოსპოსი არ მჯადრიყო და დამთა ვითარებისაგან ალალგალად საჭყონდილოს ბევრი დაკლებოდა კაცი თუ ალაგ მამული, ახლათ ჩვენ ჩვენის ჭყონდიდლის სამაგიეროთ წმიდა და მართლმადიდებელი მწირველი ღოდაბერიძე ევდემონ მიტროპოლიტი გვიკურთხებინებია და ჭყონდიდლათ დაგვიჯენია და საჭყონდიდლო ამიათვინ მიგვიცემია. სხვა რომელიც ძველთაგან თუ ახალი შენაწირი დავთრები იყო, მოვიკითხეთ ზოგი უდროობით დაკარგულიყო და ზოგი კიდევ იყო. ყველანი გამოვიძიეთ და შევიტყვეთ. ანჯელი და კოდორა გაღმართი ტეხურის პირამდის რაც არის, ძველთაგან ჭილაძეებს შეეწირათ, მაგრამ კიდევ ვინმე დაობდა, აწ ჩვენ რომ მოვიკითხეთ და გავსინჯეთ. ჭყონდიდელი ერთობ დიდი ხნის განთავისუფლებული და დიდი მიტროპოლიტი გამოვიდა და ეს პირველი გარიგებული და წიგნი ჩვენ ასე ხელახლა განგვიახლებია და შეგვიწირავს პირველ მარტვილისა ღთისმშობლის

ჭილაძეები მოხსენიებულნი არიან 1730-1742 წ. გრიგოლ კათოლიკოზის შეწირულობის წიგნში, უკვე როგორც აზნაურები[1].

სოფელ ნოღაში ჩვენს მიერ ფიქსირებული საჭილაოს შესახებ ყველაზე საყურადღებოდ მიგვაჩნია ი. კაპანაძის მიერ ჩაწერილი მასალა, რომელშიც გარკვეულ მსგავსებას ვხედავთ ჩვენს მიერ ზემოთ წარმოდგენილ ადგილზე ჩაწერილ გადმოცემასთან, კერძოდ, საჭილაოში შემორჩენილი იყო გადმოცემა ძმებ ჭილაძეებზე, რომელიც აქაური მცხოვრებ გიგო კორძაიასგან არის ჩაწერილი. კერძოდ, საქართველოში მურვან ყრუს ლაშქრობის წინ აქ საჭილაოში მოსულან ორი ძმა შედანი და ჯავახა ჭილაძეები. ისინი რაინდები და ლამაზები იყვნენ, ისინი ფლობდნენ უამრავ სიმდიდრეს. ამას მოწმობს მათ მიერ საკუთარი ხარჯით აშენებული სამი ქვის ეკლესია, სადაც დღევანდლამდე (1900 წლამდე – დ. ჭ.) წარმოებს ღვთისმსახურება. ერთ-ერთ ამ ეკლესიაში, რომელშიც მაცხოვრის ხატია, არის ორი ვიღაც ჭილაძის გამოსახულება – პირველღვთისმსახურის ერემია ჭილაძისა და თავად ფარნოზა ჭილაძისა[2]. აქ ტყვირის ან შესაძლოა სეფიეთის ეკლესიაზე იყოს საუბარი, თუმცა სოფ. ნოღას საჭილაოც, ვფიქრობთ ჭილაძეების კუთვნილი იყო.

სენაკის მაზრის სოფ. საჭილავოში 1900 წლის აღწერილობის თანახმად ცხოვრობდა 13 მღვდელი, რომელთა უმრავლესობა ყოველგვარი განათლების გარეშე იყო. საჭილაოში არსებობდა ორი სამონასტრო და სამი საეკლესიო-სამრევლო სკოლები, ეს უკანასკნელი შეწირულობებით არსებობდა. ასევე იხსენიება ეკლესია; ასევე ყველაზე დიდი დღესასწაული აქ იყო 6 აგვისტოს ფერიცვალება.

სოფელ კიწიას სამრევლო სკოლებზე ცნობებს გვაწვდის XIX ს-ის ქართული პერიოდული პრესა[3].

ტაძრისათვინ და მერმეთ წ ის გ ის სუჯუნის ეკლესიისათვინ, რომ არც დადიანმან, არც დედოფალმან, არც უფლისწულმან, არც დიდმან და არც მცირემან ეს საჭყონდიდლო კაცი და ალაგმაული სახაროთ მისთვინ არ დაიკავოს. დასტურ დადიანი ბატონი არის და ვისაც უნდა იმსახურებს, სხვეფ ამაში ხელი არავის აქვს, ისე შეგვიწირავს და განგვიაზატებია და ამ ჭყონდიდელ ღოდაბერიძისათვინ ამ რიგად ჩაგვიბარებია... დაიწერა ქეს აქეთ ათას შვიდას და ათოთხმეტსა“ (ს. კაკაბაძე, დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, წ. I, ტფილისი, 1921, გვ. 113).

[1] „1730-1742 წ. ამ წლების ახლო ხანებში უნდა იყოს დაწერილი გრიგოლ კათალიკოზის შეწირულობის წიგნი.

ტყვირის მონასტერი თერთმეტის მოსახლე კაცით მეფემ ალ ემ თავის მეუღლის დადიანის ქალის ნიშანშიდ შესწირა მისი საწყოსოიანათ და ნიშნიანათ, ტყით, წყლით, აგარაკით, სავენახით, უძებრით და საძებრით და ყოვლის მისის შემოსავალით, ასე რომე საჭილაო აზნაურისშვილებს ყუჩლას მისი ნიშანი მართებს“ (სარგის კაკაბაძე, დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, წ. I, ტფილისი, 1921, გვ. 151-152).

[2] Сборник материалов по описанию местностей и племен Кавказа, Село Сачилаво, Смотритель Маранского училища Ясон Капанадзе, 1900, т. 27, отд. II.

[3] გაზ. ცნობის ფურცელი, №42, 1896

სოფ. კიწია: აქ გაიხსნა 21-22 ენკენისთვეს ორ კლასიანი სამრევლო სკოლა, ახალი რეფორმისა. ამ სკოლის დაარსება უკვე დამტკიცებულია უწმინდესის სინოდთან დაარსებულ სამასწავლებლო საბჭოსაგან და სკოლას კრედიტიც გაეხსნება, ამ მოკლე ხანში, მახლობელ

სოფელი ნოდა

1. ციხე-სიმაგრე (ლებარამე)

ლებარამეს უბანში სოფლის შემაღ-ლებულ ბორცვზე დგას საკმაოდ მნიშ-ვნელოვანი და დიდი ციხე-სიმაგრე. ჩრდილოეთით ის იყურება გოდოგანს, სამხრეთით ალერტის და მდ. ნოდის ხეობას და მის მიმდებარე ტერიტორიას – ფოცხოს და სხვა. ასევე აღმოსავლეთით თამაკონს და ზემოთ მთაზე მდებარე მოცაციციხეს; ჩრდილო-აღმოსავლეთით პატარა თამაკონის ციხეს. ჩრდილოეთით ალბათ წაჩხურის ციხესაც, დასავლეთით უყურებს ახუთს და ლემამფორიეს, სადაც იდგა ეკლესია. მას აქვს ოთხი კოშკი ჩრდილოეთით, სამხრეთით, აღმოსავლეთით და დასავლეთით შესასვლელ კართან. ეს უკანასკნელი შიგნით არის ჩაშენებული. მის კოშკებში სათოფურებია გაჭრილი.

ნოდის ციხე არქიტექტურულად, კერძოდ მისი კოშკები, ამ სახით არის აღწერილი: მარტვილის რ-ნი, სოფ. ნოდა (ლებარამე); „ნოდის ციხის“ II კოშკი; ტიპი – საკულტო-

---

ხანიდამ. ეს სასიამოვნო ამბავი უკვე შეუტყობინებიათ სკოლის ხელმძღვანელის, მ. ბლაღოჩინის კონდრატე ჩაჩიბაიასათვის.

„გაზ. მწყემსი, 1896, №23-24.

გახსნა და კურთხევა ორ კლასიანი სამრევ

სენაკის მაზრაში, სოფელს კიწიაში, სამასწავლებლო საბჭოს გადაწყვეტილებისა, აღვნიშნოთ, რომ სწორეთ საჭირო იყო ამ სოფ ერთი ყრუ-მიგდებული შუა-სოფელთაგანი, საზოგადოება, რომელთა მკვიდრნი მოკლებუ სწავლა-განათლებას და თანაც ეს ზემოხსენე სხვა მახლობელ სოფლებს ბევრათ სჯობია. ეპისკოპოსის გრიგორის განკარგულებით ს საეკკლესიო-სამრევლო და წერა-კითხვის სკ ჟორდანია, რომელმაც მოხსენიებული სასწავლ ჩაჩიბაიასი და ერთი მასწავლებლის თანდას მთხოვნელთაგან იქმნა მიღებული 110. ამავე თვის 22, დღით კვირას, შემდეგ ლიტურდიის შესრულებისა და პარაკლისის გადახდისა აკურთხეს სკოლის დროებითი შენობა დიდი საზოგადოების თანდასწრებით. 2 ენკენისთვიდან უკვე დაიწყო სწავლა ამ სკოლაში.

ადგილობრივ მკვიდრთ, მიუხედავათ თავისი უკიდურესი მატერიალური მდგომარეობისა, უფასოთ დაუთმეს ამ სკოლის ეზო-ფერმისათვის თორმეტი ქცევა სახნავ-სათესი მიწა და ფულათ ათასი მანეთი სკოლის სამუდამო შენობისათვის. აგრეთვე უფასოდ დაუთმო ამ საზოგადოებამ სკოლას ოთხ-ოთახიანი სადგომი.

კიწიის ორ-კლასიანი სამრევლო სკოლის მასწავლებელი ნიკიფორე ბარაბაძე

თავდაცვითი შუა საუკუნეები – XVI საუკუნე; ციხის გალავნის აღმოსავლეთ ნაწილში ჩართულია კოშკი ეკლესიით. ნაგებობა შემორჩენილი სამი სართულის დონეზე. სართულებშუა გადახურვები ჩამონგრეულია. კოშკი ნაშენია ადგილობრივი ჯიშის ქვით-კირის დუღაბზე; I სართულზე მოწყობილია სამლოცველო. აღმოსავლეთის მხარეს ბრტყელი აბსიდაა. საკურთხეველში გაჭრილია არქიტრავიული ფორმის სარკმელი, რომლის ორთავე მხარეს ნიშნებია განლაგებული. შარკმელთან დგას ტპარეზის ქვა. ორი ფაღოვანი შესასვლელი დასავლეთის და სამხრეთის მხრიდანაა დატანებული. შესასვლელების თავზე და ჩრდილოეთის კედელში თითო თაღოვანი სარკმელია. ნაგებობის ინტერიერი შებათქაშებულია. კედლები ზოგან დაბზარულია, ამოსულია ხეები.

1992 წ. 15 აპრილი, არქიტექტორი ლ. იორგაძე

„ნოღის ციხის“ III კოშკი; ტიპი – საფორტიფიკაციო-თავდაცვითი შუა საუკუნეები – XVI საუკუნე; კომპლექსის სამხრეთ კედელში ჩართულია ოთხკუთხა კოშკი. ნაგებობა გეგმით ტრაპეციას უახლოვდება. შემორჩენილია ოთხი სართულის დონეზე. სართულშუა გადახურვა მთლიანად ჩამონგრეულია, იკითხება გადახურვის ბუდეები. ოთხივე კედელში დატანებულია სარკმელ-სათოფურები; კოშკს შესასვლელი ჩრდილოეთიდან ჰქონდა მოწყობილი, რომელიც ამჟამად დაზიანებულია. კედლებში გაჩენილია ბზარები. პირველი სართული ამოვსებულია მიწითა და ჩამოცვენილი ქვებით; ძელი ნაშენებია რიყისა და ადგილობრივი ჯიშის ქვით-კირის დუღაბზე. ქვის წყობა ქაოსურია. ფასადები დაფარულია სუროთი. კედლებზე ამოსულია ხეები.

1992 წ. 15 აპრილი, არქიტექტორი ლ. გიორგაძე

ნოღას ციხის დანიშნულება და არქიტექტურული სახე საკმაოდ კარგად აქვს დახასიათებული ს. მაკალათიას, რომელსაც სრულად მოვიყვანთ: „ციხე მდებარეობს სოფელ ნოღაში, ახუთის მახლობლად და მას უწოდებენ „ნოღაშ ჯიხა“-ს. ეს ციხე მაღალ გორაკზეა აგებული. ნაშენია კირქვითა და იგი საინტერესოა თავისი ნაგებობის ტექნიკით. ფორმით და გეგმით ნოღას ციხე მაღალი კედლით არის შემოზღუდული და მრგვალი ფორმისაა. მას აქვს ერთი შესასვლელი კარი დასავლეთის მხრიდან მეორე პატარა კარი გადის აღმოსავლეთის მხარეზე კორიდორით. ციხის კორიდორი დახურულია და მას კარი არა აქვს. ამ კორიდორში დადიანები წართმეულ საქონელს ამწყვდევდნენ თურმე. ციხის შიგნით მოზრდილი ეზოა. კედლებში მოთავსებულია სულ ოთხი კოშკი; პირველი კოშკი შედარებით დაბალია და იგი იცავდა ციხის შემოსასვლელ კარს. ეს კოშკი ყოფილა ორსართულიანი და მას ჰქონია ორი კარი – ერთი რკინისა, მეორე მუხისა. კოშკის პირველ სართულში ბუხარია გამართული და კედლებში თახჩებია დატანებული. ამ კოშკის ფართობი უდრის 3,40X3,80 კვ. მეტრს, სიმაღლე უდრის 7 მეტრს. მეორე კოშკი არის სამხრეთის მხარეზე. იგი ოთხკუთედია და მას უწოდებენ ჯაიანის ჯიხას. გადმოცემით, ეს ჯიხა დადიანს ჯაიანებისათვის წაურთმევია. შოკის სიმაღლე აღწევს 10 მეტრს, მას აქვს ერთი კარი, რომელიც გამოდის ციხის ეზოში. ციხის სართულები ჩაქცეულია, ოთახები ყოფილა გამართული და კედლებზე დატანებული აქვს სათოფურები და სარკმელები. მესამე კოშკი აღმოსავლეთის მხარეზეა, იგი მრგვალია და სამსართულიანი. პირველ სართულში ყოფილა ეკლესია. მას აქვს ორი კარი და ორივე გამოდის ციხის ეზოში. კოშკის ფართობი 3,80X4 კვ. მეტრს შეიცავს. ეზოს მხარეზე აქვს სამი მოზრდილი ფანჯარა და ნიშები. ამ კოშკის მეორე სართული წარმოადგენს ოთახს, რომელსაც ეზოსკენ აქვს ორი

ფანჯარა. მესამე სართული საომარი დანიშნულებისა ყოფილა, სადაც გამართულია სათოფურები. ჩრდილოეთის მხარეზე მეოთხე კოშკია. იგი მრგვალია და ოთხსართულიანი. პირველ ქვედა სართულს „დილეგს“ (სატუსაღოს) უწოდებენ. იგი წარმოადგენს ბნელსა და დახურულ სარდაფს. მეორე სართულში ერთი შესასვლელი კარია 1 მX1,9 მ. ამ სართულის ფართობი შეიცავს 4,10X4,70 კვ. მ. მას აქვს სამი სათოფური. მესამე სართულში ოთხი სათოფურია და სამი სარკმელი. მეოთხე სართულის გარშემო დატანებულია ექვსი სათოფური. ამ კოშკში ტუსაღებს ამწყვდევდნენ თურმე. პირველ სართულში ათავსებდნენ ტყვეებს და ყმებს, მეორეში – აზნაურებს, მესამეში – თავადებსო. ნოღას ეს ციხე იყო სადადიანოს ცენტრში და ამ ციხეში უცხოვრიათ დადიანებს. ბოლო დროს ციხე კუთვნებია ნიკო დადიანს. სოფ. ნოღას მცხოვრებლებს კარგად ახსოვთ თუ რამდენი ტანჯვა-წამება განუცდიათ მათ წინაპრებს დადიანებისაგან ამ ნოღას ციხეში. ციხის მახლობლად მცხოვრებმა ასი წლის მოხუცმა ფართხუ ქუჩიას ძე შამათავამ გვიამბო, რომ ნოღას ციხის ეზოში დადიანი ყმებს თურმე ამათრახებდა. გადაწვეტილი ყოფილა 60 მათრახი. თუ მემათრახე გწყალობდა, თქვა მან, მაშინ იგი მოიტანდა ნედლ წნელებს, თუ არადა – ხმელებსო. თითო წნელის დარტყმისას წნელი გადატყდებოდა, მაშინ ამ წნელს არ დაარტამდნენ, რადგანაც იგი ითვლებოდა სამჯერ დარტყმულადო. ამის შემდეგ ყმას ჩააგდებდნენ ნოღას ციხის დილეგში (სატუსაღოში). დამნაშავე ყმას მებატონე ზოგჯერ მიუსჯიდა ჯაჭვით დაბმას. მაშინ ყმას კისერზე დაადებდნენ მძიმე ჯაჭვის საყელურს ბოქლომით დაკეტავდნენ. ჯაჭვს გაუყრიდნენ ციხის კედელში და შიგნით მიამაგრებდნენ. პატიმარს არ შეეძლო დაკეტილი ბოქლომის გახსნა და არც ციხის კედლიდან ჯაჭვის გამოძრობა. ციხის გალავანიც დაკეტილი იყო და სანამ ბატონის სურვილი არ იქნებოდა, პატიმარს ტანჯვა მოთმინებით უნდა გადაეტანაო. ფართხუ შამათავამ გადმოგვცა, თუ როგორ იტაცებდნენ ადამიანებს და ჰყიდდნენ ოსმალებზე. მებატონეებს ამისთვის ჰყოლიათ საგანგებო კაცები, რომლებსაც მინდობილი ჰქონიათ ლამაზ, ახალგაზრდა ქალ-ვაჟთა მოტაცება. მათ მეგრელები „ყურსალებს“ ეძახდნენო (ხალხური განმარტებით ყურსალი ეწოდება კაცის ქუდს“) ოსმალოს გემი („ხაჭაპა“) მოადგებოდა თუ არა რიონს მდ. ცივის შესართავთან, მაშინ ყურსალებს იქ მიჰყავდათ ხელშეკრული ტყვეები და ჰყიდდნენ ოსმალებზეო[1].

თ. ბერაძე ნოღის ციხეს XII-XIII საუკუნისად მიიჩნევს (არქიტექტორებმა, როგორც ზემოთ გამოჩნდა ის XVI საუკუნით დაათარიღეს) და ეს მოსაზრება მისაღებია (შესაძლოა აქ უფრო ადრინდელი ეგრისის სამეფოს დროინდელი ფენაც გამოვლინდეს – დ. ჭ.). ავტორის ასევე აღნიშვნით, იგი სინამდვილეში წარმოადგენს ციხე-დარბაზს. ნაგებობას ოვალური ფორმის გეგმა აქვს და ჯვარედინზე დგას თითო კოშკი. კოშკები მრგვალი ფორმისაა და მრავალ სართულიანი. ყოველი სართულს აქვს ფანჯარა, იგივე სათვალთვალო და ბუხარი. აღმოსავლეთ კოშკში პირველი სართული გამოყენებული ყოფილა ეკლესიად. ციხის კედელს საბრძოლო ბილიკი მიუყვებოდა 4-5 მეტრის სიმაღლეზე. ბილიკი როგორც ჩანს ხისა უნდა ყოფილიყო. ციხე-დარბაზი იმ დროისათვის უნდა იყოს აგებული, როდესაც ცეცხლსასროლი იარაღი არ არსებობდა. ცეცხმსროლელ იარაღთან დაკავშირებით შემოუვლიათ მეორე კედელი, რომელშიც როგორც ამ კედლის შემორჩენილი ნანგრევებიდან ჩანს სათოფურები იყო დატანებელი. თავისი ხასიათითა და ზომის მიხედვით ის დიდი ფეოდალის ციხე-დარბაზია და არა

[1] ს. მაკალათია, სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, თბ., 1941, გვ. 311-313.

რეზიდენცია ისეთი დიდი ქვეყნის ერისთავისა, როგორსაც ამ დროს ოდიშის ერისთავი წარმოადგენდა[1].

ჯაიანთა სათავადო XV საუკუნის მიწურულს ჩამოყალიბდა. ჯაიანებს გადმოცემის მიხედვით ეკუთვნოდათ ნოღა, ახუთი, ალერტი, ლეწურწუმესა და ხორგის მნიშვნელოვანი ნაწილი. ჯაიანების რეზიდენცია თავდაპირველად სოფ. ნოღაში იყო[2]. აქ იყო მათი სასახლე, კარის ეკლესია და ციხე-სიმაგრე, საგვარეულო საძვალე ჯაიანებს ალერტის ეკლესიაში ჰქონდათ. ისინი საკმაოდ დიდ წარმატებებს აღწევენ სასულიერო სფეროში და ევდემონ ჯაიანი არის წალენჯიხის ეპისკოპოსი 1648 წლამდე, ხოლო შემდგომ კი ის დრანდის ეპისკოპოსია[3].

ჯაიანები ნოღის ციხეს ფლობდნენ უკვე XVII საუკუნეებში. XVIII საუკუნის პირველი ნახევარში კი დიდი ბრძოლის შედეგად დადანებმა შესძლეს ნოღას ციხის აღება. აქ გამაგრებული იყო იმ დროს ჯაიანთა საგვარეულოს თავკაცი შაქარი. დადიანებს ამ ბრძოლაში და მის შემდგომაც ამოუწყვეტიათ ჯაიანები[4]. ნოღის ციხე ამის შემდგომ ჯერ "დიდი ნიკოს" მამის გიორგისა და მერე თვით „დიდი ნიკოს" ხელშია[5].

ნოღას ციხეს ჯაიანებისათვის წართმევას ზემოთ წარმოდგენილი ს. მაკალათიას მასალებიც ადასტურებს, სადაც ერთ-ერთ კოშკს ჯაიანის კოშკის სახელწოდება შემორჩა. ამავე დროს ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ როგორც ჩანს ნოღას ციხე იყო ერთ-ერთი ის პუნქტი, საიდანაც თავადაზნაურობა ისეთ საზარელ საქციელს ჩადიოდა, რასაც ჰქვია ტყვეების ყიდვა-გაყიდვა.

2. სული წმინდის მოფენის დღესასწაული

გაზეთ „ცნობის ფურცლის" ცნობით, სოფელ ნოღაში და ლეგერსამეში წელიწადში ერთხელ დღესასწაულობენ სულის-წმინდის მოფენის დღეს. ამ დღეს ყველა წოდების კაცი, მდიდარი და ღარიბი ვალდებულადა სთვლის თავს, პირნათლად დაუხვდეს სტუმრებს[6].

სოფელი ალერტი (ნოღის თემი)

ანის დასავლეთ საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური
, გვ. 291.

ელო), გაზ. ცნობის ფურცელი, №2186, 1903.

ალერტის წმ. გიორგის სახელობის ეკლესია

ალერტი, სამეგრელოში ერთ-ერთ უძლიერეს ხატ - სალოცავს წარმოადგენს. მასზე ჩვენ ვრცლად ვისაუბრეთ სოფ. ყულიშკარის სალოცავის მიმოხილვის დროს.

სოფელ ალერტში დგას ალერტის წმ. გიორგის სამნავიანი, გუმბათიანი ქვის ულამაზესი ეკლესია. ის ირგვლივ გალავნით არის შემოზღუდული, უფრო შორს კი მიუყვება კიდევ მეორე კედელი, და სავარაუდოდ აქ ძველად შესაძლოა თავდაცვითი ნაგებობაც ყოფილიყო. აქიდან კარგად ჩანს ნოდას ციხე, და მას საკმაოდ მოხერხებული მდებარეობა აქვს თავდაცვისათვის. ეკლესიის გარეთა ტერიტორიაზე შეინიშნება ნაგებობათა საძირკვლის ნაშთები. ეკლესიაში შიგნით არის უამრავი, ალბათ XIX საუკუნის ხის ხატები და სხვადასხვა წმინდანთა გამოსახულებები. გადმოცემით, ალერტის ხატისთვის პირველად ეკლესია აუშენებიათ გურძემში. ეკლესიის გვერდით დგას სამრეკლო, რომელიც არქიტექტურულად ამ სახის არის აღწერილი: მარტვილის რ-ნი, სოფ. ნოდა: სამრეკლო; ტიპი – საკულტო; წმ. გიორგის ეკლესიის სამხრეთით დგას ორსართულიანი სამრეკლო; პირველი სართული წარმოადგენს ოთხ, თავისუფლად მდგომარე, კვადრატული ფორმის სვეტს. სვეტებს გააჩნიათ ბაზა და კაპიტელი. კაპიტელებიდან ნახევარწრიული თაღები გადადის. ჩრდილო-აღმოსავლეთის სვეტს ჩატანებული აქვს ფილა ჯვრის რელიეფური გამოსახულებითა და ორნამენტით; მეორე სართული გადახურულია წახნაგოვანი სახურავით, რომელიც ეფუძვნება რვა ოთხკუთხა სვეტს და ნახევარწრიული ფორმის საბჯენ თაღებს; სამრეკლო ნაშენია შირიმის ქვით-კირის დუღაბზე.

1992 წ. 15 აპრილი, არქიტექტორი ლ. გიორგაძე

ვფიქრობთ, ალერტის წმ. გიორგის ეკლესია და სამრეკლო XVIII საუკუნეშია აშენებული.

ალერტში წმ. გიორგის დღეობაზე (23 აპრილს) საყურადღებო ცნობას გვაწვდის 1899 წლის გაზეთი „ცნობის ფურცელი“[1].

სოფელი ჭყონი

[1] “ს. ალერტი (სამეგრელო) დღეობა. ამ სოფელში ყოველ წლობით 23 აპრილს იციან ტაძრის წმინდა გიორგის დღეობა. წრეულსაც ჩვეულებისამებრ აღსრულდა ეს დღეობა. მაგრამ, მკითხველო, იქონიე სახეში, რომ აქაური დღეობა სხვა სოფლების დღეობისაგან ბევრით განირჩევა. ამ დღეს აქ იკრიბება დიდძალი საზოგადოება იმიტომ, რომ როგორც თვით ეკლესია შენობით და მორთულობით შესანიშნავია, აგრეთვე წირვაც სრულდება ქალაქურის წესით. მაგალ: შიგ რამდენიმე მღვდელია მწირველი, ორი-სამი გუნდი გალობს ქართულად, ხალხით გადაჭედილია და ნამდვილ რომელიმე ქალაქელ ტაძარს მოგაგონებს იქვე ეკკლესიის ახლო ბაზრობაა, ყიდვა-გაყიდვა და იქვე ახლო ცხენებზე თამაში: ჯირითობა, მკერდზე მისვლა (მოკლე მარულა) და სხვანი. ეკკლესიაში წირვის (განიცადეს) დროს ადგილობრივი მღ. ალავერტის ოლქის ბლაღოჩინის დეკანოზი. მ. გიორგი ბერიძის მიერ წარმოთქმულ იქმნა სიტყვა, რომელმაც საზოგადოებაზე დიდი ზეგავლენა იქონია“ (გაზ. ცნობის ფურცელი, №824, 1899).

ადრე სოფელ ჭყონს ერქვა ჟინოთა. იყო დიდი და პატარა ჟინოთა. პატარა ჟინოთა იყო ტეხურის გადაღმა, რომელიც შედიოდა სალხინოს შემადგენლობაში. ძველი ცენტრი იყო ნაფოსტარში, ხოლო იმ ადგილას, სადაც დღეს სოფ. ჭყონის ცენტრია ეძახდნენ ოციმეს.

1. ლედგებიეს წმ. გიორგის სახელობის ნაეკლესიარი

სოფელ ლედგებიეში, სადაც ძველად დგებუაძეები ანუ დგებიები ცხოვრობდნენ, სოფლის სასაფლაოსთან იდგა წმ. გიორგის სახელობის ქვის ეკლესია, დღეს მიმდინარეობს ამ ტაძრის აღდგენა. კარგად იყო შემორჩენილი შესასვლელი კარი და ძველი საძირკველი, ასევე ძველი ეკლესიის ქვებიც. აქ მღვდელი იყო სამსონ ხუხუა.

2. ოციმეს წმ. ნიკოლოზის სახელობის ნაეკლესიარი

სოფლის ცენტრთან ადრე მდგარა ხის ეკლესია, დღეს იქ შენდება წმ. ნიკოლოზის სახელობის ეკლესია.

სოფელი დოშაყე

იოანე ნათლისმცემლის სახელობის ნაეკლესიარი

სოფელ დოშაყეში სოფლის სასაფლაოსთან შემაღლებულ ბორცვზე იდგა იოანე ნათლისმცემლის სახელობის ხის ეკლესია. აქ მღვდელი ყოფილა დავით თოდუა, რომელსაც 1915 წელს, აღდგომას, სალომე დადიან-მიურატის სავედრებელი პარაკლისი გადაუხდია სალხინოს ეკლესიაში, ის მიუწვევიათ ამ საქმისათვის სოფელ დოშაყედან, სადაც განწესებული ყოფილა მღვდლად მისი თხოვნითა და სალომეს დახმარებით. სალხინოში კი მღვდლად სამსონ ჭანტურია დაუნიშნავთ[1].

ვფიქრობთ, ის ადგილი სადაც იდგა დოშაყეს ეკლესია თავდაცვითი ფუნქციის მატარებელიც უნდა ყოფილიყო. აქ ირგვლივ საძირკვლის ნაშთებიც შეინიშნება, თან ამ ტერიტორიას სათვალთვალოდ ძალზედ ხელსაყრელი მდებარეობა აქვს. დოშაყედან ჩრდილოეთ და ჩრდილო-აღმოსავლეთით ჩანს წაჩხური და მიმდებარე ციხეები. ასევე

[1] გ. ბასილაია, დ. ბასილაია, ჩვენი სალხინო, 2008, გვ. 29.

აღმოსავლეთიდან მოცაციხე და თამაკონის მთა; აქედან ასევე ალბათ სამხრეთ-აღმოსავლეთით უნდა ჩანდეს ნოღიას ციხე.

Eweris mTavarangelozTa xati

სოფელი ტალერი

ეწერის მთავარანგელოზთა სახელობის ეკლესია

სოფელ ტალერში საავტომორბილო გზის პირას მდ. ტეხურის მარჯვენა მხარეს, სოფლის სასაფლაოსთან იდგა მთავარანგელოზთა სახელობის საკმაოდ დიდი სამნავიანი ეკლესია; დღეს ეკლესია აღდგეენილია, თუმცა გადახურული არ არის (ეს უკვე 7 წელია ამ მდგომარეობაშია) ჩვენ გვაქვს ტალერის მთავარანგელოზთა ხატის სურათი, რომელიც ინახება აკაკი ყუფუნიას ოჯახში. მათი გადმოცემით ის 400 წლისაა; ასევე აქ ინახება ამ ეკლესიის ბეჭედი. იქ მღვდელი ყოფილა იონა გაგუა. ასევე აკაკი გოგოლაძე და როსტომ გოგოლაძე, დიაკონი კი სოკრატე ყუფუნია.

სოფელი ნობულევი

მდ. ტეხურის მარცხენა მხარეს ნაეკლესიარი

სოფლის სასაფლაოზე მაღალ ბორცვზე იდგა ხის ეკლესია.

სოფელი კურზუ

1. ქეჯვარის ნაეკლესიარი და წმ. ელია წინასწარმეტყველის სახელობის ახალი ეკლესია

მაღალი მთის ძირში სოფლის ჩრდილო-აღმოსავლეთით, დგას ახლად აშენებული წმ. ელია წინასწარმეტყველის სახელობის ეკლესია. ადრე აქ იყო ქეჯვარობის სალოცავი (იგივე გეჯე-მისარიონი – დ. ჭ.), რომელიც 20 ივლისს ეწყობოდა. აქ ილოცებოდა ნაჭყებიების გვარი; აქ ინახებოდა ხატი, რომელიც სვანებს გაუტაცნით. ეს ადგილი არის წელამის მთის ძირში.

2. ციხე-სიმაგრის ნაშთები

სოფელ კურზუში, ზემოთ ფიქსირებული ეკლესიიდან აღმოსავლეთ და ჩრდილო-აღმოსავლეთ გაყოლებაზე, მდ. ოჩხომურის ხეობაში, მუღუზის სახელწოდების მთაზე და მის მიმდებარე მთებზე არის რამოდენიმე ციხის ნანგრევები (ჩვენ ყველა ისინი ვერ დავათვალიერეთ). იქ მთის სახელწოდებებია ასევე აჭვი და ჩღვინდღულა.

3. ლებერულე ციხე სიმაგრე და ნაეკლესიარი

ლებერულეში არის ციხე-სიმაგრის და ნაეკლესიარის ნაშთები.

4. ნოჯიხუ

აქ ერთ-ერთი უბნის სახელწოდებაა ნოჯიხუ; არის კოშკის ნაშთები.

5. ნაეკლესიარი

სოფლის სასაფლაოსთან შემაღლებულ ბორცვზე მდ. ოჩხამურის მარცხენა მხარეს იდგა ქვის ეკლესია.

6. კურზუს დადიანთა სასახლის ისტორიიდან

ს. მაკალათიას ცნობით, „სოფელი კურზუ იყო საბატონო და ეკუთვნოდა დადიანებს. ეს სოფელი მოთავსებულია ტეხურის ხეობის სათავეში და იგი მთიანი სამეგრელოს უკანასკნელი სოფელია. მოსახლეობა მისდევს მესაქონლეობას. დადიანებს აქ ქონიათ სასახლე, რომელიც დღესაც დაცულია (დღეს სამწუხაროდ მისი კვალიც არ არის – დ. ჭ.). სასახლე აუშენებია გიორგი დადიანს და ამ დოხორეში მას უცხოვრია ზაფხულობით [1]. ზამთარში კი დადიანი საცხოვლებლად სოფელ რეყეში გადადიოდა. სასახლე ერთსართულიანია და ნაგებია ქვითკირით. მისი დარბაზები საკმაოდ ფართოა, ჭერი აქვს მაღალი. სასახლე ნაგებია ევროპულ ყაიდაზე. გამართულია ქვის ბუხრები,

[1] ამ ფაქტს ო. სოსელიაც ადასტურებს (იხ. ო. სოსერია, ნარკვევები ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიიდან (სათავადოები), III, თბ., 1990, გვ. 97-98), ხოლო გ. ელიავა კურზუს კვითკირის სასახლეს, ასევე გოდოგანის ეკლესიას XVIII საუკუნეებში აგებულად მიიჩნევს (გ. ელიავა, აბაშისა და ტეხურის ხეობის ისტორიული ღირსშესანიშნაობანი, მეგზური, თბ., 1971, გვ. 90.

განიერი ფანჯრები და აივანი. სახლის უკან მიშენებულია ბნელი ოთახი, სადაც ეკიდა თურმე ყმების დასაბმელი ჯაჭვი ხაჯალური.

დადიანის ეზოში იდგა ორი დიდი საჩრდილობელი ხე – ერთი ცაცხვი და მეორე – უთხოვარი. ცაცხვი დღესაც დგას, უთხოვარი კი მოუჭრიათ. მთხოვნელები ამ ცაცხვის ძირში იცდიდნენ თურმე და ელოდნენ ბატონის განკარგულებას თუ როდის ინებებდა იგი მათ მიღებას. კურზუში ცხოვრობდნენ აზნაურებიც ალშიბაია და ფირჩხაია. რომლებიც ემსახურებოდნენ დადიანს. ალშიბაია, ხალხური თქმულებით, მოსულა ალანეთიდან (თუ აფხაზეთიდან) და იგი დადიანის აზნაური გამხდარა. მათი წინაპარი ჭუკი ალშიბაია ცნობილი ყოფილა ადამიანების მოპარვაში. ის მათ ოსმალებზე ჰყიდდა თურმე. როდესაც დადიანის აზნაური უმემკვიდრეოდ გარდაიცვლებოდა, გვიამბო კურზუში მცხოვრებმა ალექსი სისოს ძე ალშიბაიამ (85 წლისა), მისი მემკვიდრე იყო დადიანი და ამას მიჰქონდა „ნაუსკუ“-ო. დადიანი მიცვალებულის წილს „ნაუსკუს“ გამოუყოფდა გარდაცვალებულის ძმებს, რომლებსაც შეეძლოთ დადიანისაგან ნაუსკუს ფულით გამოსყიდვაო.

კურზუში მცხოვრები გლეხების ერთი ნაწილი ემსახურებოდა დადიანსო. მეორე ნაწილი კი – უზნაურებსო, ალშიბაიას ყმები ყოფილან ახალაია, ჩიქობავა და პაპავა. ჩიქობავას ვალად ედო ღომის ცეხვა, ახალაია და პაპავა კი შინამოსამსახურენი ყოფილან. ახალაია ალშიბაიას „მეხელე“ (მოურავი) ყოფილა.

დადიანს კურზუში ჰყოლია „მეჯოღორეები“ (მეძაღლეები), რომლებსაც ევალებოდათ მონადირე ძაღლების გაწვრთნა და შენახვა. მეძაღლეები ყოფილან: გაბისონია, ფონია და ესართია, რომლებსაც „კურზუალ“-ს უწოდებდნენ თურმე (ძაღლების მწყემსს).

ალექსი ალშიბაიას ახსოვს უტუ მიქავა და გლეხების ამბოხება სამეგრელოში. ის მაშინ ყოფილა 10-12 წლის. კურზუდან უტუს ჯარში მოქმედებდა ისიდორე ფირცხალავა, ნაფიჩხუდან კი ხატუია ბერიაო[1].

სოფელი გოდოგანი

1. გოდოგნის მისარიონის (წმ. გიორგის) სახელობის ნაეკლესიარი

სოფლის სასაფლაოდან სამხრეთით იდგა წმ. გიორგის (მისარიონის) ეკლესია, რომლის კედლის ნაშთები დღესაც არის შენარჩუნებული. აქ მღვდელი ყოფილა ალექსი ბერულავა, არსებულა სამრევლო სკოლაც.

არქიტექტურულად ამ სახის არის აღწერილი: მარტვილის რ-ნი, სოფ. კურზუ (სასაფლაოზე); „გოდოგნის“ ეკლესია. შუა საუკუნეები; ტიპი – საკულტო; სოფლის ჩრდილოეთით, მთის შემაღლებულ ბორცვზე შემორჩენილია „გოდოგნის“ ეკლესიის ნანგრევები; ნაგებობა გეგმით მართკუთხაა, რომელიც აღმოსავლეთის მხრიდან

[1] ს. მაკალათია, სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, თბ., 1941, გვ. 314-315.

დასრულებულია შვერილი აბსიდით. სავარაუდოა რომ აბსიდა ნალისებური იყო. გადახურვა და კედლების დიდი ნაწილი ჩამონგრეულია. კარ-სარკმლები აღარ იკითხება. ეკლესია ნაშენია ფლეთილი ქვით კირის დუღაბზე. ქვის წყობა თარაზულია.

ძეგლის ირგვლივ მოწყობილია საფლავები.

1992 წ. 15 აპრილი, არქიტექტორი ლ. გიორგაძე

2. ციხე-სიმაგრე

არქიტექტურულად გოდოგანის ციხე ამ სახითაა აღწერილი: „გოდოგნის“ ეკლესიის აღმოსავლეთით 200 მ-ის დაშორებით მთის ბორცვზე შემორჩენილია ციხის ნაშთები. ადგილობრივი მოსახლეობა მას მოიხსენიებს „თურქების ციხის“ სახელწოდებით. ციხეს კარგი სტრატეგიული მდებარეობა აქვს. მისვლა გაჭირვებით ხერხდება აღმოსავლეთიდან ხოლო დანარჩენი სამი მხრიდან მიუვალია; ძეგლის სრული სახით წარმოდგენისათვის საჭიროა გათხრითი სამუშაოები. შემორჩენილი კედლის ფრაგმენტები ნაშენია ადგილობრივი ქვით-კირის დუღაბზე. ქვის წყობა თარაზულია.

1992 წ. 15 აპრილი, არქიტექტორი ლ. გიორგაძე.

ეს ციხე ჩვენი დათვალიერებით, უყურებდა მისგან ჩრდილო-დასავლეთით ნაფიჩხოვოს თემში შემავალ სოფელ ლებერიეში ლაკადად წოდებულ ადგილას, მთისძირას მდგარ საკმაოდ დიდ ციხე-სიმაგრეს.

თავი VI

ხობის რაიონი

1.ხობის მონასტერი და საეპისკოპოსო

ხობის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების მამათა მონასტერი მდებარეობს მდ. ხობისწყლის მარცხენა მხარეს ქ. ხობთან, მისგან ჩრდილო-აღმოსავლეთით.

ხობის მონასტერი სამეგრელოში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ძეგლია, სადაც, როგორც ჩანს უკვე XIII-XIV საუკუნეებიდან არსებობდა საეპისკოპოსო კათედრა.

ხობის მონასტრის ისტორია პირველად ვრცლად შემოგვთავაზა ექვთ. თაყაიშვილმა[1], მისი აღნიშვნით, „არ არის ცნობილი თუ როდის არის აშენებული ხობის მონასტერი, მაგრამ ტაძრის გეგმა, ჩუქურთმა, შენობის სტილი უჩვენებს, რომ ეს მონასტერი აგებული უნდა იყოს არაუგვიანეს X-XI საუკუნისა, ხოლო დასავლეთის და სამხრეთის თაღების გაშლილი შტოები შემდეგ არის მოშენებული. კიდევ უფრო გვიან, XIV საუკუნეში, ამოყვანილია თაღები სამხრეთის შტოის და გამზადებულია ეკვტერი ამ ნაწილში ვამეყ დადიანის მიერ. წარწერა მოიპოვება მხოლოდ მარმარილოს ფიქალზე სამხრეთის ეკვდრის შესასვლელის ზემოთ გადაბმულის და არა ადვილად გასარჩევი ასომთავრულით [2] , სადაც იხსენიება ვამეყ დადიანი (1384-1396) გიორგი II-ის შვილი, რომელი უკანასკნელისთვის დადიანობა მიუცია გიორგი ბრწყინვალეს. გიორგი გარდაიცვალა 1384 წელს და დაიმარხა ხობში, მის შვილს ვამეყს გაუკეთებია ეკვდერი თავის დედ-მამის და დის მარეხის სასაფლაოზე[3]. როგორც იმავე ავტორი აღნიშნავს, მონასტერს ირგვლივ უვლის მაღალი ქვის გალავანი (ეს დღესაც ასეა –დ.ჭ.), რომლის შესასვლელის თავზე აღმართულია მშვენიერი ძველი სამრეკლო“. მისივე აღწერით, „ეკლესია ხობისა წარმოადგენს ძველ სამნაწილიან უგუმბათო ეკლესიას სიონად (ბაზილიკად) აგებულს თლილის ქვისაგან, ხოლო საკურთხევლის შუა ნაწილის მომრგვალებით ხუთ-ფრთიანად გამოდის გარეთ და შემკობილია მშვენიერის ქართული ჩუქურთმებით. დასავლეთის და სამხრეთის მხრით ეკლესიას უვლის სტოა, ანუ შტოი, რომელიც ეკლესიის აშენების შემდეგ უნდა იყოს აგებული. თაღები შტოისა დასავლეთის მხრივ გახსნილია, ხოლო სამხრეთის კედელი შემდეგ დროშია აშენებული. გარდა შემოსავლელი თაღისა შუა ნაწილში და კიდევ მეორისა დასავლეთისაკენ შუა ნაწილებში ამ შტოებისა ზემოთ ფრონტონებია ამართული თითო ჩუქურთმიანი ფანჯრებით“[4].

ხობის მონასტრის აგების თარიღთან დაკავშირებით ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში აზრთა სხვადასხვაობაა; ჯერ კიდევ XVII საუკუნის შუახანებში სამეგრელოში მყოფი ათონელი ბერების აბესალომისა და იოსეფის მონათხრობის

---

[1] ექვთ. თაყაიშვილი, არხეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნანი, ტფ., 1914, გვ. 131-163.

[2] “ქ. სახელითა ღმრთისათა ერისთავთ ერისთავმან და და მანდატურთ უხუცესმან დადიანმან ვამეყ მამისა მათისა [პატ]რონისა ერისთავთ ერისთავისა დადიანისა გიორგის შედეგად მოუჴდა ჯიქეთ[ს] ურწმუნოებისა და ორგულობისათჳს, რათამცა მოემსახურა. და სძლო და შეურაცხ და უჴმარ იქმნა მათი სიმაგრენი, გაგარი და უღაღნი, ყოველნივე ძალითა მოირჭუნა. მრავალთა ჯიქეთისა პატრონთაგან მიუვალი მოარბივნა. რაოდენნი მოეწყო, მათი მძევალნი წამოასხნა და სხვანი აოტნა. და მაშინ მოიღო სვეტნი და ფიქალნი ესენი მარმარილოსანი და მამა-დედათა ლარნაკი და მისი მარეხ გააერთ(ა). საუკუნემცა არც ჴსენება მათი (ექვთ. თაყაიშვილი, არხეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნანი, ტფ., 1914, გვ. 133).

[3] ექვთ. თაყაიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 132-134.

[4] ექვთ. თაყაიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 131-132.

მიხედვით რუსეთის ელჩები ტოლჩანოვი და იევლიევი აღნიშნავდნენ, რომ ხობის ტაძრის აშენებას ბერძენ კეისარს ჰერაკლეს მიაწერენო (VII ს-ის I ნახევარი)[1].

ვ. ბერიძემ ყურადღება მიაქცია წალენჯიხის ტაძრის ჯვარცმის ხატის წარწერას: „ქ. რომელი ჭსნისათვის ჩუენისა კაც იქმენ და ჯუარცმაი და სიკვდილი დაითმინე, რაი შევწიროთ ღირსი წყალობათა შენთა? არამედ სურვილით ვამკობთ ჯუარსა შენსა, მაცხოვარო წალენჯიხისაო, მონდობილნი შენნი: მანდატურთუხუცესი დადიანი ბედანი და მე ძე მათი, მეორედ მამკობი დადიანი გიორგი, და მე დადიანი შერგილი და მეუღლე ჩემი ნათელ მესამედ მამკობნი ხატისა თქუენის, დაგჯცვენ სულით და ყოვლით სავნებელთაგან ძეებითურთ“ ამ და ზემოთ წარმოდგენილ შერგილს და მის მეუღლე ნათელას, ავტორი, ერთიდა იგივე ადამაინებად მიიჩნევს, ხოლო ბედან დადიანი, სათანადო წყაროების მოშველიებით, XIII საუკუნის მეორე ნახევრის პირად, ანუ დავით ნარინის თანამედროვედ, ხოლო მის ვაჟს, განაგრძობს ავტორი, ცოტნეს უკვე XIV საუკუნის პირველ ნახევარშიც მივყავართ. ხობის ტაძრის აგებას XIII-XIV საუკუნეთა მიჯნით ათარიღებს და გიორგი დადიანს, რომელიც ამ ტაძრის აღმშენებლადაა მიჩნეული ფრესკული წარწერების მიხედვით, 1323 წელს გარდაცვლილად თვლის. თუმცა ავტორი აქვე იმასაც აღნიშნავს, რომ იმავე დროს არ არის აუ-ცილებელი იგი ამ შენობის დამ-წყებად მივიჩნიოთ და გა-მომდინარე აქედან, ავტორი ხუ-როთმოძღვრული ჩანაფიქრის და-საწყისის თარიღს XIII ს-ის ბოლო ათწლეულებისაკენ წევს. მისივე თქმით, ეკვტერის აგება ვამეყ

დადიანს მიეწერება, რაც ჩანს წარწერიდან. ასევე ვამეყს მთლიანად ეკუთვნის სამხრეთის მთელი მინაშენი – გალერეაც და დახურული ეკვტერიც[2].

ხობის სამრეკლო ერთ-ერთი უდიდესთაგანია საქართველოში, ის რამდენიმე ქრონოლოგიური ფენისგან შედგება: ქვემო ნაწილი ადრინდელია (შესაძლებელია ეკლესიის თანამედროვე), II სართული – საკუთრივ ფანჩატური, XVII საუკუნის[3].

ნ. სევეროვის აღნიშვნით, ხობის ტაძარი ორნამენტის სტილით XIII საუკუნეშია აშენებული[4].

ხობის მონასტრის აშენებაზე არსებულა ხალხური გადმოცემა, რომლის მიხედვითაც. დავით აღმაშენებელს ხობის მონასტერთან საზაფხულო სადგომი ჰქონია[5].

---

[1] ხობის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების მონასტერი, შემდგენლები: ანზორ სიჭინავა, გოგიტა ჩიტაია, ხობი-თბილისი, 2000, გვ. 10.

[2] ვ. ბერიძე, ხობის ტაძრის ისტორიისათვის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, ისტორიის სერია, თბ., 1973, №2, გვ. 76-80.

[3] ვ. ბერიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 88.

[4] Н. П. Северов, Помятники грузинского зодчества, М. 1947, გვ. 207.

[5] გ. ჩიტაია, ფოთისა და ხობის ეპარქია, ისტორიული ძეგლები, თბ., 2007, გვ. 15.

გ. ჩიტაია, ამ გადმოცემას, ვ. ბატონიშვილის ცნობიდან გამომდინარე, („ჟამს ერთსა გარდავიდა მეფე გეგუთს და მუნით ხობს“) უსაფუძვლოდ არ მიიჩნევს[1]. არსებულა კიდევ კიდევ ერთი ლეგენდა ხობის მონასტრის აშენებაზე, რომელიც ცოტნე დადიანს მიეწერება, კერძოდ, ერთხელ ცოტნე დადიანი ხობისწყლის პირას ნადირობდა. იქ, სადაც დღეს ხობის მონასტერი მდებარეობს გაუვალი ტყე ყოფილა. ცოტნეს დაღამებია და ღამე კიტიას ოჯახში გაუთენებია. დადიანს მეორე დღეს გაუგრძელებია ნადირობა და ტახი მოუკლავს, ხოლო იქ სადაც დღეს მონასტერია, დანგრეული ეკლესია უნახავს. ცოტნეს კიტიასათვის დაუვალებია, ეკლესიის მიდამოები გაეკაფა. შემდეგ მის ახლოს ეკლესია აუგია“[2].

ნ. დადიანის „ქართლის ცხოვრებაში“ აღნიშნულია, რომ „ხოფის ეკლესია აღაშენა გიორგი დადიანმან, პაპამან ზემოხსენებული ლეონისამან“[3], ამ წყაროს მიხედვით, ლეონ დადიანი არის მანუჩარის ძე (მანუჩარი I – 1590-1611), ხოლო ლეონ დადიანში, ლევან II (1611-1656) უნდა ვიგულისხმოთ. ხობის ეკლესიის აღმშენებელად გიორგი III დადიანის მიჩნევა (1572-1582), სრულიად უმართებულია. შესაძლოა პაპაში ის ზოგადად წინაპარს გულისხმობს და არა უშუალოდ 3-ე-4-ე თაობის წინაპარს, მაგრამ რომელ გიორგი დადიანზეა საუბარი ზუსტად არ ჩანს. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ხობის მონასტერში სამხრეთის კედელზე „კარის მარჯვნით წარმოდგენილნი არიან, მარჯვნივ გიორგი დადიანი ჭრელს გრძელს ტანისამოსში ხალათის მსგავსად, რომელსაც ეკლესიის გეგმა აქვს ხელში წარწერით: „საყდარი“, და სურათს მხედრულად აწერია:

1) ამ:. საყდარსა:. აღმაშენებ(ე)ლი:. ერის
2) თავთ ერისთავი:. და მანდატარ
3) რთ (სიც):. უხუცესი:. დადიანი:. გ
4) იორგი:. შეუნდეს:. ღმ
5) თმნ:. ამინ.

ექვთ. თაყაიშვილის აღნიშვნით, „ეს ფრესკა წარწერის შინაარსის მიხედვით უნდა ეკუთვნოდეს გიორგი მე-II (1345-1384), მამია პირველის შვილს, მაგრამ ეს დადიანი პირველი მაშენებელი არ არის ხობის ეკლესიისა და ეს შეუძლებელიც არის, ვინაითგან, ხობში დაცულია მე-XIII საუკუნის ფრესკა შერგილ დადიანისა. გიორგი მე-II-ს უნდა მიეწეროს იმ დია შტოის მიშენება, რომელიც უვლის ხობის ეკლესიას სამხრეთით და დასავლეთით. ავტორისავე აზრით, თვით მხედრული წარწერა ამ ფრესკისა ხელმეორეთ გადაწერილია მე-XVII საუკუნეში და პალეოგრაფიული ხასიათი ნაწერისა იგივეა, რაც ლევან მეII დადიანის წარწერისა. ამის მიხედვით, ჩვენ შეგვიძლია ფრესკა მივაწეროთ გიორგი I-ს ლიპარტიანს, ლევან მე-II-ის ბიძას, რომელსაც ლევანმა მოსტაცა ცოლი ნესტან დარეჯანი, რომ შინაარსი წარწერისა არ ეწინააღმდეგებოდეს ამ მოსაზრებას“[4]. თუმცა ექვთ. თაყაიშვილი იქვე გადაჭრით იმასაც არ ამბობს თუ რომელ გიორგი დადიანის ეკუთვნის ეს ფრესკა[5].

ვფიქრობთ, მართებულია მოსაზრება, რომ გიორგი II პირველადი ტაძრის აღმშენებელი არ უნდა იყოს. მან ალბათ ხობის ტაძარს რესტავრაცია გაუკეთა და

---

[1] გ. ჩიტაია, დასახ. ნაშრომი, გვ. 15.
[2] ხობის მონასტერი, დასახ. ნაშრომი, გვ. 4-5.
[3] ს. კაკაბაძე, წერილები და მასალები საქართველოს ისტორისათვის, წ. I, თბ., 1914, გვ. 83.
[4] ექვთ. თაყაიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 135.
[5] ექვთ. თაყაიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 135.

როგორც ჩანს, მის სახელს უკავშირდება აქ საეპისკოპოსოს დაარსება [1], რაც „აღმშენებლობის“ ანუ ზოგადად არა თუ ტაძრის „პირველმაშენებლის, არამედ რაცაღ ახალი მნიშვნელოვანი „შენებულობის“ ანუ საეპისკოპოსოს დამაარსებლად შეიძლება მივიჩნიოთ და ზემოთ წარმოდგენილი იმ წყაროს ცნობა, რომელიც გიორგის მიაწერს ტაძრის მშენებლობას უნდა იყოს სწორედ გიორგი I (+1324) დადიანი, მაგრამ ისიც არა პირველი მაშენებელი ტაძრისა, მით უმეტეს ჩვენ გვაქვს XIII საუკუნის ხატის წარწერები, რომლებიც თ. ჟორდანიას აზრით, 1230-1250 წლების ეპოქას ეკუთვნის[2].

---

[1] გ. კალანდია, დასახ. ნაშრომი, გვ. 153.

[2] „ა) ხობის ღვისმშობლის ხატის ზურგზე ასომთავრულით წარწერა:

1) „მშობელო სიტყჳსა ღ თისაო, ყ დ წ ო ღ თისმშობელო, ადიდე შენ-მიერითა დიდებითა ღ თივ გჳრგჳნოსანი ძლიერ (სიც) და უძლეველი მეფეთა-მეფე დავით, ძე რუსუდანისი. Ჰ ყ დ წ ო ღ თისმშობელო, შემწე და მეოხ და მფარველ ეყავ გულს-მოდგინედ მამკობსა წ ისა და პატიოსნისა ხატისა შენისა ე(რისთავთ)ერისთავისა მანდატურთ უხუცესსა ბედანსა დადიანსა და დიოფალ-დიოფალსა (სიც) ხვაშაქსა, რომლისა შემოწირვითა მოიჭდა ზურგი ესე (ხვაშაქი, ასული ბეგა სურამელისა და ცოლი ბედაისი).

იმავე ხატის პირზე ძველის X საუკ. ასომთავრულით წარწერილია მოხსენება სულისა ლეონ მეფისა, რომელიც, იყო აბხაზთა მეფე („ქრონიკები“, წ. I, გვ. 90-1).

იქვე მაცხოვრის დიდს ხატზე ასომთავრული წარწერა:

2) „ყოვლითა ღმერთო, ქტისტე, ღ თისა სიტყუაო, კაცთა ცხოვნება და მოწყალებათა კაც ქმნილო, შენისა ხატისა სურვილით მამკობელი კახაბერისძეთა ასული თეონილა, ზვიადის დედა, მარჯვენით შენსა დგომად ღირს მყავ სასუფეველსა შენსა. ა ნ“.

და ზედვე, ოდნავ გარჩეულის ხელით:

3) და აწ მოწყალებითა შენითა მყოფთა, პატრონთა დადიანისა სახლისათა ნათელს (ნათელას) შეუნდვენ და იჴსენ ყოველთა განსაცდელთაგან, და მასვე პირველ (ᲗᲚ) შემამკობელსა ხატისა ამის შენისასა ნაწილსა თანა მარჯვენით შენსა მდგომელ (დგომად?) დააწესე იგი და ძე მათი :ᲕᲜ (ვარდან) დადიანი (და) მანდატურთ უხუცესი ბედანი დადიანი და ცოლი მათი ბეგაისა ქართლისა ერისთავის ასული ხვაშაქი და ძენი მათნი: ერაშაჰრი, გ ი (გიორგი) და ივანე მსგავსად მოწყალებისა შენისა დაიცვენ ყოველთა სავნებელთა სულიერთა და ჴორციელთაგან და ყოველნი ჟამნი ცხოვრებისა მათისანი წარჯმართენ (წარუმართენ?) სათნოდ ღმრთაებისა შენისა ცხოვრებულთა ქ ე, ძეო მღრთისაო, და.... მრთებისა (წარმართებისა?) მისისა (ქვემოთი, მოშორებით) და განმაახლებელსაცა შენისასა ბერსა ათანასიას შეუნდვენ. –

ამას ხატსა ზედა იყო ორას ოცი ვერცხლი; აწ რვაასი ვერცხლი; ორმოცდა-ათი ოქროი დრამისა წონაი.

4) მეორე ღვისმშობლის ხატზე, ასომთავრულად:

„სამ-მნათობიერსა ერთ-არსისა და სამთაგან ერთ-არსისა, შენ-შორის შეწერილ-ქმნით ჴორც-შესხმით კაც-ქმნილისა სძალო, ქალწულო-დედაო ქმნადთა მიერ ჩემთა აქაცა დასჯილი და ბრალთაგან დანთქმული, საუკუნოდ უღირსი შენდობისა ხვაშაქი უნდოთა ამათ წვლილთა წილ ვითხოვ, რათა არა შორ მყო შეწევნისაგან შენისა სასჯელსა ძისა შენისა მიერსა.

5) ხოფის სამხრეთის კედელზე შიგნიდამ დასავლეთ-სამხრეთის კუთხეში დახატულია კაცი გრძელის და ჭრელ ტანისამოსით წვერ-ულვაშიანი და ძვირფასად შემკულის ქუდით: ამის გვერდზე გამოსახულია ქალი და მათ შუა ყმაწვილი 8-10 წლისა. ამ ხატებს აწერია ასომთავრულად: „ერისთავთ-ერისთავი შერგილ დადიანი. დედოფალთ-დედოფალი ნათ[ელა]. ძე

ხობის მონასტერი მოხსენიებულია უფრო ადრინდელ დოკუმენტებშიც, კერძოდ ,იერუსალიმის ჯვრის მონასტრის აღაპებში, სადაც ასევე მოხსენიებულია ეგნატე ხობის წინამძღვარი[1]. ეს ეგნატეს მოსახსენებელი, გ. კალანდიას აზრით, 1212-1222 წლებით თარიღდება[2], ხოლო ა. სიჭინავა და გ. ჩიტაია მას XIII ს-ის დამლევით და XIV ს-ის დამდეგით უნდა ათარიღებენ[3].

ხობის ღვთისმშობლის ხატის წარწერები იქ სადაც, მოხსენიებულნი არიან შერგილ დადიანი, გვაფიქრებინებს რომ, ხობის მონასტერი XII საუკუნის დასაწყისში უკვე აგებული ჩანს და კიდევ უფრო მეტიც, ამ წარწერებში ლეონ აფხაზთა მეფის მოხსენიებიდან გამომდინარე აქ პირველადი ეკლესია IX-X საუკუნეში უკვე უნდა არსებულიყო.

პირველი უცხოელები, რომლებიიც ხობის ტაძარზე გვაწვდიან ცნობებს, ლევან II დადიანის კარზე მყოფი რუსი ელჩები პავლე ზახარიევი და ფედოტ ელჩინია, ისინი (1640 წ.) „მივიდნენ ხობის მონასტერში ნიკოლოზ ეპისკოპოსთან. ეპისკოპოსმა მათ ანახა ღვთისმშობლის წამოსასხამი (კვართი) და სხვა წმინდანების ნაწილები“[4].

არქ. ლამბერტის ცნობით, „ტეხურს ანუ სიმაგრეს მოსდევს ხობო, რომელსაც მკვიდრნი დღესაც მსგავს სახელს უწოდებენ – ხოფი. ეს მდინარე მეტად მდიდარია ნაირ-ნაირ თევზებით და ნავით სავალია იმ ადგილამდი, რომელსაც ჰქვია ხოფი. ამ ადგილის გამო თვით მდინარეს ეწოდება ხოფი. აქ არის ეკლესია, რომელიც წინათ საეპისკოპოსი იყო“[5]. ეს ძალზედ მნიშვნელოვანი ცნობაა, რამდენადაც ლამბერტის დროს სავარაუდოდ მცირე ხნით ხობში საეპისკოპოსო გაუქმებული ჩანს (იხ. ქვემოთ).

ხობის ტაძრის სიწმინდეებზე და ღვთისმშობლის კვართზე მოგვითხრობს მარი ძამპი[6]

ამათი ცოტნე (ამ პირთაგან ქ-ცხბაში ცნობილია მხოლოდ ცოტნე, დიდად შესანიშნავი გმირი XIII საუკ. 1245-1250 წლებში: ქ-ცხ, გვ. 364-5; 371-2).

ასევე შერგილ და მეუღლე მისი დედოფალი ნათელ მოხსენიებულნი არიან პატარა მაცხოვრის ხატის წარწერაში, რომელშიც ჩასმულია თამარ-მეფის გულ-საკიდი ჯვარი (იხ. „ქრონიკები“, I, გვ. 268-9).

6) ამავე ტაძრის წინა-სვეტებზე დახატულნი არიან ორნი მღვდელ-მთავარნი წარწერით: „კ ზი ილარიონ“; „კ ზი ნიკოლოზ“ (თ. ჟორდანია, ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა წ. II (1213 წლიდამ 1700 წლამდე), თბ., 1897, გვ. 129-132).

[1] პ. ინგოროყვა, რუსთველიანი, თხზულებათა I ტომი, თბ., 1963, გვ. 721.
[2] გ. კალანდია, დასახ. ნაშრომი, გვ. 149.
[3] ხობის მონასტერი, დასახ. ნაშრომი, გვ. 80.
[4] Т. Берадзе, Отчет русских послов в менгрелию в 1639-1640 годах как источник для изучения исторической географии Менгрелии, Материалы по церковной и экономической истории Абхазии, Посольства Федоти Ельчина и Павла Захарьева в Менгрелию (1639-1640). Для изучения подготовил, предисловием, коментариями и словарем снабдил Джемал Гамахария, Тб. 2005, გვ. 81.
[5] დონ არქანჯელო ლამბერტი, სამეგრელოს აღწერა, თბ., გვ. 162.
[6] „ამბობენ, რომ მაშინ კოლხიდაში ჩამოვიდაო ერთი არქიეპისკოპოსი, თან ჩამოიტანაო ერთი მტკაველის ოდენა ნიჭიერი ძელი ჭეშმარიტისა (ფრანგული ფუტის რვა დიუმზე რამდენადმე დიდი) და კვართი, რომელიც, მათი თქმით, ღვთისმშობელს ეკუთვნოდა; ჩვენს პატრებს იგი უნახავთ. ტილო, რომლისგანაც იგი არის შეკერილი, ყვითელი ფერისაა, აქა-იქ დაჩითულია ყვავილებით და მოქარგულია ნემსით. სიგრძით იგი რვა რომაული მტკაველის ოდენაა, განით კი

კასტელის გვამცნობს, რომ ხობში ლამაზად მორთული თაღის ქვეშ, შემონახულია სათაყვანებელი რელიკვიები, ჩვენი უფლისა და ღვთის დედის, ქალწული მარიამის კვართები. ეს დიდი რელიკვიები შესაძლებელია ძველია, ამიტომ ღირსეულადაა შენახული ერთ მთაზე. ამ მხარეში ის დიდად პატივცემულია და უფრო სადიდებელი იქნებოდა უფლისათვის, რომ ის წაეღოთ ჭეშმარიტ ქრისტიანთა შორის. ამისათვის დრო კი მქონდა..., მაგრამ ვერ შევასრულე იტალიაში ჩემი გამგზავრების გამო; ეს შესაძლებელია იმისათვის, ვინც იქ ახლად მივა“[1].

ე. აიხვალდის თქმით, „როცა მე პირველად მივუახლოვდი მდ. ხობს, მის მეორე ნაპირზე დავინახე მშვენიერი ძველი მონასტერი, რომელშიც სამეგრელოს მთავარეპისკოპოსი ცხოვრობს. მისი ბერები აქ მისდევდნენ მეთევზეობას, რადგან ისინი ხორცის საკვებს არ ჭამენ“[2].

მ. ვაგნერის აღწერილობით, „სოფელი ხობის სახლები სიგრძეში იყვნენ გაფანტულნი. სოფლისგან მცირე მოშორებით მდინარის ნაპირზე, მშვენიერი ტყიანი გორაკის წვერზე დგას ამავე სახელის მონასტერი“[3]. „ხობის მონასტერში ცხოვრობს წმ. ბასილის ორდენის რამდენიმე ქართველი ბერი, რომელთაც არქიმანდრიტი მეთაურობს. უწინ ეს იყო სამეგრელოს ექვსი საეპისოპოსოთაგან ერთი, რომლებიც შემდგომ სააბატოებად შეიცვალა. ამ სასულიერო სამყოფელს გარს მაღალი გალავანი არტყია ტრანსკავთკასიის თითქმის ყველა მონასტრის მსგავსად; მონასტრის ეკლესიის მშენებლობის სახე და შიდა მოჩუქურთმება ნაკლებ მნიშვნელოვანია. სვეტების მარმარილოს კაპიტელები წარმოადგენენ სხვადასხვა სტილის ჭრელ ნარევს და უხეშადაა დამუშავებული. ხობის მონასტერი სამეგრელოს მბრძანებლისათვის არის წმინდა დენისი (შაინტ ენის); ვამეყ დადიანის შემდეგ დადიანის მმართველი გვარის ყველა პრინცის ნეშტს აქ მიუჩინეს ადგილი“[4].

- ოთხისა, აქვს ერთი მტკაველის სიგრძის მოკლე მკლავები და ვიწრო საყელო. მეც მინახავს იგი ხობის ეკლესიაში, სადაც ის ინახება, აქვე ძვირფასი თვლებით მოოჭვილი ოქროს ლუსკუმაში, ვნახე გამხმარი მკლავი; როგორც ამბობენ, ეს არის წმ. მარინეს მკვლავი; ვნახე აგრეთვე წმ. კვირიკეს მკლავი და ოქროთი თუ ვერცხლით შემკული სხვა წმინდანთა ნაწილები. კვართი, რომლის შესახებაც მე ვილაპარაკე, ინახება ვერცხლისაგან გაკეთებულ, ყვავილებით მორთულ ებანოზის ყუთში; მასშივე არის პატარა კოლოფი, რომელშიაც დევს მაცხოვრის წვერის რამდენიმე ღერი და შოლტი, რომლითაც იგი იგვემა. ეს ყუთი მთავრის ბეჭდით არის დაბეჭდილი. როდესაც ეს რელიქვიები გვაჩვენეს, ისინი ნოხზე დააწყვეს და რამდენადაც ჩვენ დიდი მოწიწებით და თაყვანისცემით ვეხებოდით და ვიღებდით მათ, იმდენად მეგრელები გულგრილად ეკიდებოდნენ ამ რელიქვიებს. ისინი უფრო ლუსკუმის ოქრო-ვერცხლის მორთულობას აფასებდნენ, ვიდრე ამ წმინდა ნაწილებს, რადგან რელიქვიები მრავლად მოეპოვებათ (ჟან შარდენის მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში, ცნობები საქართველოს შესახებ, ფრანგულიდან ფარგმნა, გამოკვლევები და კომენტარები დაურთო მზია მგალობლიშვილმა, თბ., 1975, გვ. 156-157).

[1] დონ კრისტეფორე დე კასტელი, ცნობები და ალბომი საქართველოს შესახებ, თბ., 1977, ტექსტი გაშიფრა, თარგმნა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო ბეჟან გიოგაძემ, გვ. 176

[2] ედუარდ აიხვალდი საქართველოს შესახებ (XIX საუკუნის პირველი მესამედი), გერმანულიდან თარგმნა, შესავალი და საძიებლები დაურთო გ. გელაშვილმა, თბ., 2005, გვ. 198.

[3] მორიც ვაგნერი საქართველოს შესახებ, გერმანული ტექსტი თარგმნა, შესავალი, კომენტარები და საძიებლები დაურთო გ. გელაშვილმა, თბ., 2002, გვ. 141.

[4] მორიც ვაგნერი საქართველოს შესახებ, გერმანული ტექსტი თარგმნა, შესავალი, კომენტარები და საძიებლები დაურთო გ. გელაშვილმა, თბ., 2002, გვ. 142.

ჟაკ ფრანსუა გამბას ცნობით, „...ხობის მონასტერში, შვიდი-რვა ბერი ცხოვრობდა უზრუნველად. ეს ბიჭი იყო ამ მონასტერში დაბინავებული ერთ-ერთი პოპის (პოპე) (მღვდლის) ძმა. მას მამა არ ჰყავდა და რაკი ამქვეყნად უპატრონოდ დაეხეტებოდა, მთხოვა, თან წამიყვანეო“[1].

ვახუშტი ბატონიშვილის სიტყვებით, „ამ მდინარის ჩრდილოთ კერძოთ, ზღუს კიდეზედ არ ხოფი. აქა არს ეკლესია გუმბათიანი, კეთილშენი და შემკული. აქ ეკლესიასა შინა მსუენარებს პერანგი ყოვლად წმიდის ღვთისმშობლისა, სასწაულმოქმედი“[2].

ა. სიჭინავასა და გ. ჩიტაიას გამოკვლევით, იერუსალიმის პაქრიარქ დოსითეოსის მიხედვით (რომელმაც XVII ს. შუახანებში იმოგზაურა საქართველოში) ხობის მონასტერში ინახებოდა წმინდანთა ნაწილები, იოანე ნათლისმცემლის თითქმის მთელი სხეული... გადმოცემით, იოანე ნათლისმცემლის თითი, რომელიც ხობის მონასტერში ინახებოდა, წინამძღვარ ალექსი მირცხულავას გარდაცვალების შემდეგ, მისი ანდერძით, შთამომავლებს თეკლათის დედათა მონასტრისათვის გადაუციათ, სადაც ამჟამად ინახება[3].

ანტიოქიის პატრიარქ მაკარიოსს, მხლებლებითურთ XVII საუკუნის 60-იან წლებში სამეგრელოში ყოფნისას, ხობის მონასტერში უნახავს ღვთისმშობლის კვართი. ჩამოსულებს თაყვანი უციათ ამ სიწმინდისათვის, მის თარგზე ახლად შეკერილი ასეთივე პერანგი უკურთხებიათ, შიგ „იმ დიდებული კვართის ნაწილი ჩაუსვენებიათ“ და ღვთისმშობლის მადლისა და ლოცვა-კურთხევის მიღების იმედით, მოწიწებით შეუნახავთ სამშობლოში წასაღებად[4].

პავლე ალეპოელი, XVII საუკუნის 60-იან წლებში სამეგრელოს ექვს ეპისკოპოსს შორის ასახელებს ხოფელს და აღნიშნავს, რომ აქ ინახება ღვთისმშობლის კვართი და ძელიცხოვლის ნაწილი.

იმერეთის მეფის ბაგრატ ალექსანდრეს ძის რუსეთის იმპერატორისადმი ელჩების ხელით 1669 წელს გაგზავნილ წერილში აღნიშნულია, რომ დადიანის ქვეყანაში, ხობის ღვთისმშობლის მიძინების მონასტერში სანაწილე კოლოფში ინახება ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის კვართი, კოლოფის გასაღები აქვს ხობის ეპისკოპოსს. ამავე წერილის მიხედვით, კვართს და სხვა სიწმინდეებს, რომლებიც აქ ბევრი ყოფილა, საფრთხე დაემუქრა: როდესაც თურქეთის ფაშები ლაშქრით მოსულან, სიწმინდეები დაუტყვევებიათ და მოუნდომებიათ ამ ადგილას (ხობის მონასტერი) დამკვიდრება. იმერეთის მეფე ბაგრატ ალექსანდრეს ძეს თურქთაგან ტაძარი ფულით გამოუსყიდია. ამავე ცნობით, ხობის მონასტერში ღვთისმშობლის კვართი ისევე, როგორც მარტვილის მონასტერში მაცხოვრის კვართი, დაუსვენებია ივერთა მეფე დავითს, რომელიც როგორც ტექსტიდან ჩანს, დავით აღმაშენებელი უნდა იყოს[5].

---

[1] ჟაკ ფრანსუა გამბა, მოგზაურობა ამიერკავკასიაში, ფრანგულიდან თარგმნა, კომენტარები დაურთო მ. მგალობლიშვილმა, თბ., I, თბ., 1987, გვ. 117.
[2] ქართლის ცხოვრება, ტ. IV, თბ. 1973, გვ. 778.
[3] ხობის მონასტერი, დასახ. ნაშრომი, გვ. 11.
[4] იქვე, გვ. 11.
[5] ხობის მონასტერი, დასახ. ნაშრომი, გვ. 11-12.

ზემოთ აღნიშნული სიწმინდეები (რაფიელ ერისთავი ხობის სიწმინდეებს შორის მოიხსენიებს წმ. მოწამე ივლიტას მკლავს მტევნითურთ: ალბათ, შემთხვევითი არ არის (ა. სიჭინავა, გ. ჩიტაია), ის რომ ე. თაყაიშვილის მიერ გამოქვეყნებული ხობის მონასტერში დაცულ ერთ ხელნაწერში აღნიშნულია: „წმ. მარინეს წამებიდან გასულია 1603 წელი, წმ. ივლიტას წამებიდან 577 წელი“: შესაძლოა, ამას უკავშირდება ხობის რაიონის სოფელ გურიფულში წმ. კვირიკესა და ივლიტას ეკლესიების არსებობა; კ. ლიფონავას ცნობით, ხობში ინახებოდა წმინდა ნაწილები დიდმოწამეებისა თეოდორეს ტირონისა და თეოდორე სტრატილატისა), რომელიც სხვადასხვა დროს, ბიზანტიიდან ჩამოუტანიათ საქართველოში და ხობის მონასტერში ინახებოდა (ამჟამად ეს სიწმინდეები ზუგდიდის მუზეუმშია დაცული)[1].

როგორც ზემოთ აღინიშნა, საეპისკოპოსოს დაარსება ხობში დაკავშირებული უნდა იყოს გიორგი II დადიანის (1345-1284) სახელთან, თუმცა ამაზეც პირდაპირი ცნობები წყაროებში არ გვაქვს.

პირველ ხობელ ეპისკოპოსად გ. კალანდია მიიჩნევს ილარიონს[2], თუმცა ამის დამადასტურებელი სხვა ფაქტი არ არსებობს გარდა იმისა, რომ ექვთ. თაყაიშვილის მიხედვით ტაძრის ჩრდილოეთ სვეტზე დახატულია ეპისკოპოზი ხელებაშვერილი სავედრებლად, რომელსაც ხუცურად, მაგრამ გადმობრუნებულის ასოებით აწერია (=ხობელი ილარიონ)[3]. თ. ბერაძე მას უცნობ კათალიკოზად მიიჩნევს.

შემდგომი ხობელი ეპისკოპოსი ალბათ არის თადეოზ ხობელი. როგორც ი. სიჭინავა და გ. ჩიტაია აღნიშნავენ, ჯვრის მონასტრის დათარიღებულ აღაპებში მოიხსენება „თადეოზ ხობელი“, რომელიც ხელნაწერის სავარაუდო დათარიღებით, შესაძლოა XIV საუკუნის ბოლოს და XV საუკუნის დამდეგს მოღვაწეობდა[4].

იმერეთის მეფის მიერ მიცემულ 1432 წლით დათარიღებულ აზნაურ გურალიების საბუთში კათალიკოლსებთან, ეპისკოპოსებთან – ჭყონდიდელთან, მოქველთან, ცაიშელთან ერთად მოხსენიებულია ხობელი ეპისკოპოსიც[5].

შემდეგი ხობელი ეპისკოპოსი როგორც ჩანს არის საბა ხობელი, რომელიც მოხსენიებულია თოფურიძეთა სასისხლო სიგელში (იხ. ზემოთ ჭყონდიდის მონასტერი და საეპისკოპოსო) და ის უახლოესი დათარიღებით 1484-1488 (თ. ჯოჯუა) წლებს ეკუთვნის.

თ. ჯოჯუას მასალებით, ვენის ნაციონალურ ბიბლიოთეკაში დაცულ ერთ-ერთ ხელნაწერზე, 1160 წელს ნიკოლოზ ნიკრაის მიერ გადაწერილ აშიებზე არის მინაწერი: „ს(უ)ლსა ჭობისა / კათალ(ი)კოზ(ი)სა ბართლომეს(ა) შ(ეუნდვნე)ს ღ(მერთმა)ნ“. თ. ჯოჯუა პალეოგრაფიული ნიშნებით, ვენის კათოლიკოზის ამ მინაწერს XV საუკუნის ბოლოს და XVI საუკუნის დასაწყისით ათარიღებს და ბართლომესაც ამ პერიოდის მოღვაწედ მიიჩნევს[6]. ავტორი თოფურიძეთა სასისხლო სიგელზე (სავარაუდოდ 1484-1488)

---

[1] ხობის მონასტერი, დასახ. ნაშრომი, გვ. 12-13.
[2] გ. კალანდია, დასახ. ნაშრომი, გვ. 156.
[3] ექვთ. თაყაიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 136.
[4] ხობის მონასტერი, დასახ. ნაშრომი, გვ. 6.
[5] ხობის მონასტერი, დასახ. ნაშრომი, გვ. 7.
[6] თ. ჯოჯუა, XII საუკუნის გარეჯული კრებულის (ვენ 4-ის) ერთი მინაწერი და აფხაზეთის უცნობი კათალიკოსი ბართლომე (დაახლ. 1488-1519 წწ.), კრ. საქართველოს სიძველენი, IV თბ., 2002, გვ. 117, 119.

მოხსენიებულ ბართლომე ცაიშელს, ხოლო შემდგომ ფალავანდიშვილთა სასისხლო სიგელში (1488) მოხსენიებულ ქუთათელ მთავარეპისკოპოს ბართლომეს ერთი და იგივე პიროვნებად მიიჩნევს და მის კათალიკოსობას 1488-1519 წლებით ათარიღებს[1]. ავტორი იმასაც აქცევს ყურადღებას, რომ ბართლომე მოხსენიებულია, როგორც „ჴობისა კათალიკოზი“, რასაც ამ პერიოდის პოლიტიკური ვითარებით ხსნის და აღნიშნავს, რომ 1470-იანი წლებიდან ვიდრე XVI საუკუნის შუახანებამდე ანუ საბოლოოდ გელათში დამკვიდრებამდე, ხობის მონასტერი აფხაზეთის კათალიკოსთა რეზიდენციას წარმოადგენდა და ისინი ბიჭვინთის პარალელურად ხობში მოსაყდრეობდნენ და მათი ტიტულიც „ხობის კათალიკოზი“, სწორედ ამ პერიოდში და ამ გზით უნდა იყოს მიღებული[2].

ძალზედ მნიშვნელოვანია 1470-1474 წლებში შედგენილი დადიან-გურიელ შამადავლას (1470-1474) მიერ შედგენილი წიგნი საკათალიკოზო სარგოს შესახებ, საიდანაც ჩანს, რომ აფხაზეთის საკათალიკოსოსა და ხობის საეპისკოპოსოს მფლობელობის საზღვრები ერთმანეთის გვერდიგვერდაა. კერძოდ, „ჭალადიდს რიონსზედა ნახევარი ბაჟი ხოფისა ღვთისმშობლის ყოფილა, ნახევარი კათალიკოზის, ქარიანტას (ქარიატა – დ. ჭ.) და კემხელის (ყულევი – დ. ჭ.) მესამედი წყლის ბაჟი ყოვლად წმინდისა... ნოხუდენს ოთხი კვამლი კაცი..., ამავე დროს ცუს გამოღმა და ჭურიას წყალს შიდა ვინცა [ნა]დირი მოკლას, სეფეს ყოფლად წმინდას წინ მიიღებდეს, ნურავინ დააკლებს“. მეორე მხრივ შამადავლა დადიან-გურიელი აღადგენს რომელიღაც ძველ იადგარს (რაც კიდევ ერთხელ მიუთითებს ხობის ტაძრის და საეპისკოპოსოს სიძველეზე), სადაც აღნიშნულია, რომ ხობის „გარშემო“ ტერიტორია ტაძრის კუთვნილება, ასევე... ჭურიას და ცუს (ცივს) შუა ტყე და წყალი ყოვლად წმინდისა არს“[3].

---

[1] თ. ჯოჯუა, დასახ. ნაშრომი, გვ. 119-121.
[2] თ. ჯოჯუა, დასახ. ნაშრომი, გვ. 126-127.
[3] „**1470-1474 წ.** შამადავლა დადიანის წიგნი საკათალიკოზო სარგოს შესახებ.

... დავამტკიცე... ჯვარი და ბისონი... კეთილითა შევამკეთ და დავასუენეთ და ვირწმუნეთ იერუსალიმისა და ანტიოქისა პატრიარქსა მიხაელს (სიც) სა-რ-ქოთა და ომფორითა კათალიკოზი იოვაკიმ ქრისტეს სა[ფ]ლავისა მარჯუენითა კათოლიკოზად დავაყენეთ მსახურებისა [თვი]სითა შესვალითა და გამოსავლითა მისითა სამსხმოთა... ითა ტყითა, წყლითა და სანადიროთა, სათევზოთა, [სა]ყანითა, რასაც მოგელია იხმარებდა, უძებარითა და საძებრითა, იმ რიგითა და წესითა, გლეხებითა ყოლათა და ჯუარის მტუირთველად ბერი ზოსიმე... ხელს გეგებერია კაჭრისშვილები ბაბადიშა და მისნნი ძმანი კახიაი და ვა[ჟ?]ბედაი, მისთანა ორნი მაშისძენი დედის მამაი და ლადარია, ორნი ნადირია მიქელა და მამისთუალი, წუწუნარი მამ[უ]ლი და მარანი მისითა ტყითა, წყლითა და ეკლესიის კარი[თა] და სათევზოთა, კუირია მასხულია მისითა შვილებითა, ოთარაი წუწუნავა მისითა მამულითა, ბერია მისითა მამულითა, წყლის პირს ბონია ქრისტეშიაი მისითა მამულითა, წყლის პირსა ჭალადიდს რიონსზედან ნახევარი ბაჟი ხოფისა ღთისმშობელისა არის და ნახევარი კათოლიკოზს, ქარიანტას და კემხელს მესამედი წყლის ბაჟი ყოვლად წმიდისა არის, ნოხუდენს ოთხი კუამლი კაცი ყურუ... და სხუიტავა ანდალისშვილი შონია მათითა მამულითა, ტბითა, წყლითა და ეკლესიის კარითა. აგრევე დადიანის სახლის თავი ნიშანი კათალიკოზისა არის. აგრევე აგრევე (სიც) სხუათა აზნაურის შვილთა ნიშანი, აგრევე სხუათა ებისკოპოთა საფერხავი მართებს და ამას არა ეთხოვებოდეს, აგრევე ცუს გამოღმა და ჭუირიას წყალს შუა ვინცა [ნა]დირი მოკლას, სეფეს ყოვლად წმიდის წინ მოიღებდეს, ნურავინ დააკლებს.

ქ აგრევე ჩუენ ბატონმა დადიან-გურიელმან შამანდავლა მოვიკითხე: იადგარი ძუელთაცა აგრე ეწერა, ვინცა ხოფის საყდარს გარეშემო უპატიობა იკადროს ანუ გლეხი [და ან]უ ჯოგი

თუმცა აქ ორ საეკლესიო მამულს შორის რაიმე გამოკვეთილ საზღვრებზე კი არ არის საუბარი, არამედ როგორც ჩანს ცალკეული ყმა-მამულებზე, რომელსაც ასე „მშვიდობიანად“ იყოფენ აფხაზეთის საკათალიკოსო და ხობის მონასტერი, რაც მათი მმართველობის გაუმიჯნაობაზეც (იმ გაგებით, რომ აფხაზეთის კათალიკოსი ზოგჯერ ხობშიც მოსაყდრეობს და ხობის ეპისკოპოსიც არის) შეიძლება მიუთითებდეს.

იმ მოსაზრებიდან გამომდინარე, რომ 1470-იანი წლებიდან ვიდრე XVI საუკუნის შუა ხანებამდე აფხაზეთის კათოლიკოსნი ბიჭვინთის პარალელურად ხობშიც მოსაყდრეობდნენ (თ. ჯოჯუა) გვაფიქრებინებს, რომ ამ საბუთში მოხსენიებული კათალიკოსი იოაკიმე, ხობელ ეპისკოპოსადაც შეიძლება მივიჩნიოთ და მისი მოღვაწეობა წინ უსწრებს საბა ხობელისას და სავარაუდოდ დაახლოებით 1470-1474 წლებზე მოდის.

შემდგომ, ანუ XVI საუკუნის 20-30-იანი წლებიდან, ვიდრე დაახლოებით ამავე საუკუნის შუა პერიოდამდე ხობელი ეპისკოპოსი წყაროებში არ ჩანს.

XVI საუკუნეში ხობი ისევ საეპისკოპოსო საყდარია რისი დადასტურებაცაა ამავე საუკუნის შუა ხანებში შედგენილი ნუსხა გლეხების თეთრის გამოსაღებისა[1].

წაუსხას ანუ ქურდობა ქნას ანუ სასახლეს [მი]უხდეს და გატეხოსა, ათი გლეხი დაეურვოს საყდარსა... ზედან მოუხდეს დააარბიოს დააწუას (სიც) ... მეხადილე კუამლი გლეხი დაუ... ლოდ ანუ ღალატითა კაცი მოკლას, ორი ზომა [სის]ხლი დაეურვოს. ვინცა, ძმათაგანსა უპატიობა ჰკადროს ანუ აგინოს, ათასი ბოტ[ინატი დაუ]ურვოს, აგრეეე ჭუირიას და ცუს შუა ტყე და წყალი ყოვლად წმიდისა არის და ნურავინ დააკლებთ და ვინ დააკლოს, რ[ისხ]ავმცა მამა ძე და სული წმიდა და ყოვლად წმიდა ღმრთისმშობელი ხოფისა და ყოველნი წმიდანი ღთისან (სიც) ზეცისანი და ქუეყნისანი, ხორციელ და უხორცონი და ვინც ამისდა შლად და ქცევად ჭელყოს, რისხავსმცა ქრისტეს საფლავის მადლი, იერუსალიმს შესვლა, ჯუარცმა, აღდგომა, ნათლისღება, ამაღლება, მეორედ მოსვლა, მთაწმინდა, სინაწმიდანი, წინასწარმეტყუელნი, მღუდელთმოძღუარნი, მოწამენი, წმიდანი მამანი, მეუდაბნოენი და ქალწულნი, შემცაედების ში"შთუილიბი (სიც) იუდასი, კეთრი დიოს კორესი, განდგომილება ივლიანესი, ღრჭენა კბილთა და სატანჯველი მდედარისა (სიც) მის უწყალოსა და ნურათამცა სინუ[ნუ]ლით (სიც) ნუ იქნების ჭსნა სულისა მისისა ჭელთაგან ჯოჯოხეთისათა, უკეთუ (სიც) სისხლნიცა თვისნი ქრისტესათვის დასთხივნის ა ნ. დამამტკიცებელნი ამათნი აკურთხნეს ღმერთმან ა ნ.

ყოფილა ხვეული ხელისმოწერა“ (ს. კაკაბაძე, დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, წ. I, ტფილისი, 1921, გვ. 1-2)..

[1] „მე-XVI საუკუნის შუაში შედგენილი ნუსხა ხოფელ ეპისკოპოზის გლეხებისა.

...მართებს ამბღნაბარს დუდუნიას	ოცი თეთრი
მართებს კთილისა დუდუნიას	ოცდაათი თეთრი
მართებს მმისბედაღსა	ოცდათხუთმეტი თეთრი.
მართებს მამრომღს დუდუნიას	თხუთმეტი ნაღდი თეთრი
მართებს კუტალია აბედიას და კუკუჩიას	ოცდაათი თეთრი
მართებს ქრისტეშიაღ კუტალიას	ოცი თეთრი
მართებს ბ პატი კუტალიას მამულსაღ	ოცი თეთრი

მართებს პარკაღებს	ორმოცი თეთრი
მართებს გორამებსა	სამოცი თეთრი
მართებს კორტიკიას	ორმოცდაათი თეთრი
მართებს ჩიქობელსა	თხუთმეტი (სიც) თეთრი
მართებს მმისახარს სანაკიას	ორმოცდათხუთმეტი თეთრი.
მართებს ი ე და ქერობინს ცულუნიას	ათი თეთრი.
მართებს ქრისტეშია ბერიას	ოცდაათი თეთრი
მართებს იმარინდუჲ ჭანტურიას მეორე	
წელიწადსა	თხუთმეტი თეთრი.
მართებს ი ე ჭანტურიას	თხუთმეტი თეთრი
მართებს ესტატაი შუღლაიას	თხუთმეტი თეთრი
მართებს ბედინაო კუკუტაიას	თხუთმეტი თეთრი

წითურად: ამას წინათ რაჲცა სწერიაჲ: უნ და მაისს ბგ (სიც) მოკრეფდეთ.

მრთებს მსხულებს ხატის ბეგარაჲ ომაისური ერთი ზროხისაჲ თეთრი: ცხომარია მმის თევნასშვილსაჲ თევნებიას და მაოხიას.

მრთებს ჭანტურიებსა	ოცი თეთრი
მრთებს რატიებსა	ოცი თეთრი
მათებს სლთაამს ცხომარიას	ოცი თეთრი
მრთებს ჩეკულიებსა	ოცი თეთრი
მრთებს ცხომარიას და ულოიას და	
გურიბიას შვილსა	ოცი თეთრი
მრთებს თევნაბიას და მისსა განაყოფსა	ათი თეთრი
მრთებს წყლის ძგელთა ხატის ბეგარაჲ	
ომაისური ი ე ილივარიასაჲ	ოცი თეთრი
მრთებს მაბუნია კჯრკუცლიას	ოცი თეთრი
მრთებს დოხუჩასა კჯრკუცლიას	ოცი თეთრი
მრთებს სანას რასა კჯრკუცლიას	ოცი თეთრი
მრთებს ვაჟიბედიასა ღუამჭითავას	ოცი თეთრი
მრთებს მამისარისა კჯრკუცლიას	ოცი თეთრი
მრთებს თქელს კუათაცხელიას (სიც)	ოცი თეთრი
მრთებს კახაბერასა კჯრკუცლიას	ოცი თეთრი

დაახლოებით ამავე პერიოდში, ანუ 1569 წელს, შეწირულობის წიგნში მოხსენიებულია ხობელი ეპისკოპოსი ნიკოლოზ წულუკიძე[1].

მრთებს	გავაშელ კჯრკუცლიას	ოცი თეთრი
მრთებს	მაკაკასაჲ კჯრკუცლიას	ოცი თეთრი
მრთებს	გუგუასაჲ ღუამჭითავას	ოცი თეთრი
მრთებს	სჯმონს კჯრკუცლიას	ოცი თეთრი
მრთებს	გმჲგონი კჯრკუცლიას	ოცი თეთრი
მრთებს	დედისკთლსა კჯრკუცლიას	ოცი თეთრი
მრთებს	მმისარასა კჯრკუცლიას	ოცი თეთრი
მრთებს	პაპას კჯრკუცლიას	ოცი თეთრი
მრთებს	მმისასა შონიას	ოცი თეთრი
მრთებს	ბევროზასა შონიაჲს	ოცი თეთრი
მრთებს	გუგულასა კჯრკუცლიას	ოცი თეთრი
მრთებს	ანდრიათვლსა ასის ნაღდისა სანთელი	

მრთებს ფოთელსაჲ ნავსაჲ მაისობჲსა თჯთოსა ნავსაჲ თავსაჲ მუნის (სიც) წონაჲ სანთელი ვინცჲ არ მოსცეს ყ დ წჲ ღის მშობელი გაურისხდების და ხოფის ღ ისმშობლის წინამდეგის ებისკოპოზის მადლისაგ ნ შუჩუცნებულმცა არის აწდა საუკუნეთაჲ სკნეთაჲსა ა წ და კსნ.:“ (ს. კაკაბაძე, დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, წ. I, ტფილისი, 1921, გვ. 13-14).

[1] „[შეწირულობის წიგნი ხოფელ ნიკოლოზ წულუკიძისა ხოფისადმი] [1569 წ.]

... ქებულსა და დიდებულსა უმაღლეს ყოვლად წმიდასა და უფროსად კურთხეულსა დედოფალსა ხობისა ღმრთის-მშობელსა, ოდეს სხვა ხოფელი იჯდა და თათრისაგან გაოხრებული და გაცუდებული საყდარი და მონასტერი იყო, ესე მოგუცეს, ჩვენ, **წულიკიძეს ხოფს ნიკოლოზს,** ასე აოხრებული მონასტერი და მამული.

ვიგულე და ვიგულსმოდგინე და შემოგწირე მცირე და კნინი შესაწირავი ესე შენ, თეთროსანსა ხობისა ღმრთის-მშობელსა თავს: ვერცხლის ბარძიმი და ფეშხუმი და კამარა, სამი ატლასის პერექლები, ერთი ოდიკი, ერთი ნაქსოვისა კრეტსაბმელი, ერთი ხელი შესამოსელი სტიხარი და ფილონი ნაქსოვისა, ოლარი ნაქსოვისა. სამკლავე ნაქსოვი. ერთი დიდი ქვაბი სპილენძი გურიადამან მოვიტანე, გავაჭედინე და შემოგწირეთ ჩუენის სულის სახსრად და საოხად.

აწე ვინცა და რამანცა ძემან კაცისამან ესე ჩვენგან შეწირული ნაღვაწი გამოგწიროს ანუ დადიანმან, ანუ დედოფალმა, ანუ ქათალიკოზმა, ანუ ვეზირმან, ანუ ხოფელმან, ანუ მესტუმრემან, ანუ დიდმან ანუ მცირემან, - რისხავს თავად ღმერთი და ხოფისა ღმრთის-მშობელი, ქრისტეს საფლავი და სისხლი მეწამული გოლგოთა და ცხოვლისმყოფელი პატიოსანი ჯვარი, სინა მაყვალი შეუწველი, მთაწმინდა.

წყეულ და შეჩვენებულ არს ოთხთა პატრიართაგან, სამას ათურამეტთა მამათაგან; მისმცა ედების კეთრი გეზისი, შიშთვილი იუდასი. ღრჭენა კბილთა დიოსკორესი დ აიესოს ჯვარისმცემელთანაც განიკითხვის მისი სული და ხორცი.

ნიკოლოზ წულუკიძის ამ შეწირულობის წიგნიდან ირკვევა ისიც, რომ მის ეპისკოპოსობამდე დაახლოებით 15 წლით ადრე ხობის ტაძარი ოსმალებს აუოხრებიათ; გამოთქმული მოსაზრებით, 1553-1554 წლებში კათედრაში სასულიერო ცხოვრება და აქ მოქმედი საკათალიკოზო მოიშალა[1]. ამ აზრს იზიარებს გ. კალანდიაც[2]. ნიკოლოზ ეპისკოპოსი შესაძლოა ის ეპისკოპოსი იყოს, რომელიც ხობის ტაძრის ჩრდილოეთის სვეტზეა დახატული წარწერით: „ხობელი ნიკოლოზ“, ასევე იქვე ქვემოთ არის სხვა წარწერაც: „დავახატვინე ესე საყდარი ჩემისა სულისა მოსახსენებლად“[3].

შემდგომი ხობის ეპისკოპოსი 1639-1640 წლამდე უცნობია. სწორედ ამ წლებში, კერძოდ 1640 წელს ლევან II დადიანის კარზე მყოფი რუსი ელჩების პავლე ზახარიევისა და ფედოტ ელჩინის მიერ ხობში იხსენიება კათედრა და წინამძღვარი ნიკოლოზი.

გ. ჩიტაიას და ა. სიჭინავას აღნიშვნით, “წინამძღვარი ნიკოლოზი ცნობილი მოღვაწე, ხობის ეპისკოპოსი ნიკოლოზ ჩოლოყაშვილი (ნიკიფორე ირბახი) უნდა იყოს. საკურთხევლის წინ კედელზე გამოსახულია „ხობელი ნიკოლოზ“ (თუმცა ეს სავარაუდოდ უფრო ნიკოლოზ წულუკიძე უნდა იყოს და არა ჩოლოყაშვილი – დ. ჭ.)

და[მა]მტკიცებელნი ამისნი აკურთხეს ღმერთმან, ამინ, ამინ, კიდევ ამას გარეთ ერთი მოსახლე კაცი თათრისაგან ვიყიდე **სკვამიკოჩა ფაცისა** და მოვნათლე, დავასახლე ხოფს. და ვინც კანდალაკი იყოს, იმისთვის მიმიცემია და ყოველს წელიწადს ღმრთისმშობლობას ჩემი სულისათვის ჟამს სწირავდეს. ვინც ბერები და ხუცები იყოს, იმიანათ სწირევდეს.

დამიც ბეგარა: ერთი ცხვარი, ერთი ლოდარიკონი სანთელი, ორი შაურის საკმეველი, სამი კოკა ღვინო, ორი ქილა ღომი; რაეთიც ეშოვებოდეს, თევზი და ყველი და კვერცხი მიართვან.

თუ ის დღე მარხვა მოხდეს. მეორე დღეს სახსნილო მიართვას და ჩემის სულისათვის ჟამს სწირევდეს და მომიხსენებდეს. და შემომიწირავს ხოფისა ღმრთის-მშობლისათვის ჩემი სულის სახსრად და საოხად.

და აწ ვინც გამოსწიროს, რომელიც ზემოს წყევლაა და შეჩვენება სწერია, ისიც მოიწევს მას ზედან და ხობის ღმრთის-მშობელიც, ამინ, ამინ.

ქორონიკონსა სმიზ.

ხელრთვა: **ნიკოლოზ ხოფელი.**

ქ. სხვა კიდევ ამას გარეთ **ზამან ბარძიმისშვილი** მოკვდა და მის ნიშანსა და ნაწერში ამიყვანია **ივანე** და **სარჯელია** და **კაკულიაი სერგია** და ხატისდა შემიწირავს ხოფისა ღმრთის-მშობლისათვის მათის ცოლშვილით, სახლკარითა, ჭურ-მამულითა, მისის ყოვლის ფერითა.

დამიც ჩემის სულისათვინ ერთის საკლავის სანთელი ოთხი ლოდრიკონი. სხვა რაცა ემართოს, ხოფელს მიართმევდეს.

და შემიწირავს მე, **წულუკიძეს ნიკოლაოზს** ხოფისა ღმრთის-მშობლისათვის.

რამანცა ძემან კაცისამან ესე გამოწიროს, ანუ დადიანმან, ანუ ვაზირმან, ანუ მესტუმრემან, ანუ სხვა ვინმემ ძემან კაცმან, მასცა რისხავს თავად ღმერთი და ყოველნი მისნი წმიდანი ზეცისანი და ქვეყანისა[ნი და ხოფი]სა ღმრთის-მშობელი.

ხელრთვა **ნიკოლოზ**“ (ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, თბ., 1970, გვ. 274-275).

[1] თ. ჯოჯუა, დასახ. ნაშრომი, გვ. 129.
[2] გ. კალანდია, დასახ. ნაშრომი, გვ. 152.
[3] ექვთ. თაყაიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 136.

ქართული ასომთავრული წარწერით, რომელიც ამჟამად წაშლილია. ტაძარში ბერძნული წარწერაცაა, რომელშიც მოხსენიებულია „ნიკოლოზ ხობელი ამ წმინდა მონასტრის მარადმოსახსენებელი წიანამღძვარი“. ტიმოთე გაბაშვილი, რომელიც XVIII ს. შუა ხანებში იმყოფებოდა იერუსალიმში, იქ ჯვრის მონასტრის ფრესკაზე გამოსახულ „ნიკოლოზ ყოფილი ნიკიფორეს“ მოიხსენიებს „ოდიშს ხოფელ-კოცხერელად“. იოანე ბატონიშვილი „კალმასობაში“ ნიკიფორე ჩოლოყაშვილს „ოდიშის ხოფას კოცხურელთა გამგეს უწოდებს“ [1]. თუმცა აქ გარკვეულ წინააღმდეგობას ვაწყდებით, კერძოდ, ანგარიშგასაწევია არქ. ლამბერტის ცნობა, რომ „ხობს და კიდევ ხუთ დანარჩენ ტაძარს წინათ ჰყავდათ ეპისკოპოსები და ეხლა გადაკეთებულნი არიან მონასტრებადო“; ლამბერტი სამეგრელოში ცხოვრობდა 1633-1650/51 წლებში, ე. ი. 1639-40 წლებში ის აქ იყო და მას უნდა სცოდნოდა, რომ ხობში საეპისკოპოსო არსებობს და იქ მწყემსმთავარიც ზის, მით უმეტეს კასტელიც, რომელიც 1640 წლიდან ცხოვრობს სამეგრელოში იხსენიებს „ხობის საეპისკოპოსო“-ს; 1649-1652 წლების კასტელის ჩანახატებში, ე. ი. ლამბერტის სამეგრელოდან წასვლის პერიოდში, ანუ 1649-50/51 წლებამდე საეპისკოპოსო ალბათ დროებით გაუქმებულია ხობში და ლამბერტის იქ ყოფნის დროს არც უნდა არსებულიყო. როგორც ჩანს, ელჩინის და ზახარიევის ნიკოლოზი (ჩოლოყაშვილი), ტაძრის წინამძღვარია და არა ეპისკოპოსი. ვფიქრობთ, ლამბერტის ცნობა საკითხთან მიმართებაში უფრო მართებულად გვეჩვენება და ვიზიარებთ გ. კალანდიას მოსაზრებას, რომელიც საკითხთან დაკვშირებით იშველიებს ლევან II დადიანის მიერ ხობის საყდრისადმი მამულების განახლების სიგელს [2]. ვფიქრობთ, ხობში საეპისკოპოსოს მოშლა უნდა გამოეწვია 1614 წლის მახლობლად მომხდარ მიწისძვრას, რომელმაც ცაიშის მონასტერიც და მთელი სამეგრელოს ტაძრები დაუნგრევია (იხ. ცაიშის მონასტერი); ამის მკაფიო მინიშნება ხობის ტაძრისადმი მამულების განახლების სიგელშიც გვაქვს: „... რომ ჟამთა ვითარებისა და წელთა გარდასულისა, და ეტლთა მოქცევისა, და დღეთა ცვალებისაგან მოშლილიყო სოფელი ტყე და ველნი“[3].

---

[1] ხობის მონასტერი, დასახ. ნაშრომი, გვ. 10.

[2] გ. კალანდია, დასახ. ნაშრომი, გვ. 160.

[3] „68. [მამულების მფლობელობის განახლების სიგელი ლევან დადიანისა ხობის საყდრისადმი] [1611-1657 წწ.]

„... გკადრეთ და მოგახსენეთ დაწერილი ესე სიგელი, იადგარი უმიზეზო და უკუნისამდე წელთა და ჟამთა შეუცვლელი და მარადის განთავებით განსრულებული, თქუენ, ჩუენსა მცველსა და მფარველს და ცხოვრებისა ჩუენისა წარმმართებელსა და განმარჯუებითა მძლეველსა მტერთა და მბრძოთა ჩუენთასა ქალწულსა, უბიწოსა, მარადის ბიწშეუხებელსა, დედას ნათლისასა და მშობელსა მეუფისასა, **უთროსნისა** ღმრთისმშობელსა, და ძელსა ცხოველსა **ხოფს** ტაძარსა შინა განუსუენებულთა, მისაძინელთა საძუალთა პირველ კურთხეულთა და საუკუნოდ განსუენებულთა პატიოსანთა და სახელოვანთა ძუელთა ჩუენთა პაპ[ა]თა და პაპის-პაპ[ა]თა ყოვლად სანატრელთა: **გიორგი, ვამეყ, შერგილ** და **სამადავლე** – ამათ ოთხთა ღმრთივ-პატივცემულთა და გჳრგჳნოსა[ნ]თა საფლავსა, და ჩუენსა სასოებით შესავედრებელს ხოფს განსუენებულსა სახესა და ხატს წმიდისა ღმრთისმშობელისასა და ჯუარის ყოველთა განმაცხოველებელსა.

მოგახსენეთ და გკადრეთ იადგარი და სიგელი მტკიცე, ჟამთა საუკუნეთა გასათავებელი. ჩუენ, თქვენ-მიერითა და მადლითა და ცვა-ფარვითა მძლედ და ძლიერად ამაღლებითა განძლიერებულმან, და ოხითა თქუენითა ზესთა აღმატებულმან, და მტკიცედ მპყრობელ-მქონებელმან, თჳთ განმგებელმან, თქუენ მიერ სახელ-აღმატებულმან და ფრიად მსასოებელმან, და მადლითა და წყალობითა თქუენთა მინდობითა სარწმუნოდ მოსავმან, და სურვილით

მოქენემან, **ჭელმწიფემან, პატრონმან დადიანმან ლევან,** შიშით და კრძალვით განგიახლეთ და დაგიმტკიცეთ მტკიცე ესე უკუნისამდე კაცთა ნათესავისაგან შეუცილებელ-შეუსარჩლელი წიგნი და ნიშანი; ასრე და ამა პირსა ზედა, რომე ჟამთა ვითარებისა, და წელთა გარდასულისა, და ეტლთა მოქცევისა, და დღეთა ცვალებისაგან მოშლილიყო სოფელი და ტყე და ველი.

ვნახეთ და მოკითხული ვქენით, და ძველთა ჩუენთა მამა-პაპათა საფლავი ყოფილიყო, კურთხეულთა და სახელდებულთა; და მათ მიერ დადებული და გარიგებული იადგარი და სიგელი ვნახეთ, და ჩუენცა გულსმოდგინებით ესრეთ დაუმტკიცეთ.

ესე ვითარცა დადიან-გურიელისა, სულ-კურთხეულისა სამადავლასაგან გარიგებული სიგელი ვნახეთ, ესრეთ ეწერა და გაერიგა: „ძველითგანი იადგარი გ[ა]რყუნილიყო და დაკარგულიყო ხოფისა ღმრთისმშობელისაო, მას ჟამსა უღმრთოდ და უსჯულოებად მი[ი]ქცეს აფხაზნიო, და აღვიყვანეთ იოვაკიმ, კაცი ღირსი ნეტარებისა, დავსვით კათალიკოზადო, რომელი აფხაზთა გარყუნეს სჯული და კათალიკობა, ხოლო ჩუენ, მარჯუენითა ქრისტეს საფლავისათაო და იერუსალიმისა და ანტ[ი]ოქის პატრიარქისა **მიხაილის** ნება-დართვითა, გავარიგეთ ჯუარითა და ონფორითაო“.

აწე, ჩუენც მათი გარიგებული და დადებული იადგარი ვნახეთ, განვიცადეთ და ჩუენცა მსგავსად მათებრ დავამტკიცეთ, და გავარიგეთ: თავს **მსხულების** წმიდა გიორგი, მის[ი] შესავლითა და გასავლითა, წყლითა, ტყითა, სანადიროთა, სათევზაოთა, საყანითა, უძებრითა და საძებრითა, იმა რიგითა გლეხებითა, ჯუარის-მტვირთლითა; ბერი ზოსიმე; კემხელს გეგებერია, ვაჭრის შვილები: ბაბადიში და მისნი ძმანი კასიაი და ვაჟიბედაი; მასთანა ორნი მაშის ძენი დეის მამაი; და ორნი ლადარია: მიქაილ და მამასთუალი: წუწუნარი მამული და მარანი, მისითა ტყვითა, წყლითა და ეკლესი[ი]ს კარითა, და სათევზოთა; კჯრია მასხულია, მისითა შვილებითა; თათარი წუწუნავა მისის მამულითა, ბერია, მისის მამულითა; წყლის პირს ბონია ქრისტეშია, მისით მამულითა.

წყლის პირს რიონზედა **ჭალადიდსა** ნახევარი ბაჟი ხოფისა ღმრთისმშობელისა არის; არის **ქარიატიას** და **კემხელს** მესამედი ნავი ად ბაჟი ყოვლად წმიდისა; არის **ნოხუდენს** ოთხი კუამლი კაცი: ყურუა და სხვიტავა, ანდალაისშვილი და შონია, მათით მამულითა, წყლითა, ტყითა, სათევზოთა და ეკლესი[ი]ს კარითა.

აგრეთვე დადიანის სახლის თავი ნიშანი და სხუათა თავადთა და აზნაურისშვილთა ნიშანი კათალიკოზისა არის; სხუათა ეფისკოპოზთა [აფერჯავი] მართებს; და ამას არა ეთხოებოდეს რა.

აგრევე **ცუს** გამოღმა და **ჭვირას** გამოღმა ვინც ნადირი მოკლას. სეფასა ყოვლად წმინდასა წინ მოიღებდენ, ნურავინ დააკლებთ.

აგრევე ჩუენ, პატრონმან **დადიან-გურიელმა შამადავლამ,** იადგარი ძველნი ვნახეთ და ასრე ყოფილიყო ძველითგან და ესრეთ ეწერა:

„ვინცა **ხოფისა საყდარსა** გარეშემო უპატიობა იკადროს, ანუ გლეხი დაურბიოს. ანუ ჯოგი წაუსხას, ანუ ქურდობა ქნას ან სასახლეს მოუხდეს და გატეხოს, ათი გლეხი დაუურვოს საყდარსა.

ვინცა სახოფოსა ზედან მოუხადეს, და[ა]რბიოს და დაწუას, მეხადილე გლეხი დაუურვოს საყდარსა.

ბოდ (სიც), ანუ ღალატითა კაცი მოუკლან, ორი ზომა სისხლი დაეურვოს.

ვინცა ძმათაგანსა უპატიობა ჰკადროს, ანუ აგინოს, ათასი ბოტიტანი დაეურვოს.

აგრეთვე **ჭვირიას** და **ცუს** შუა ტყე და წყალი ყოვლად წმიდისა ხოფისა ღმრთისმშობელისა არის უცილობელი“.

ესრეთ ეწერა ძველსა სიგელსა და იადგარ შიგან, ამა წყევითა და კრულვითა.

გ. კალანდიას აზრით, XVII საუკუნის 30-იან წლებში მოშლილი ხობის საეპისკოპოსო (თუმცა ჩვენ საეპისკოპოსოს მოშლას 1614 წელს მომხდარის შედეგად ვფიქრობთ – დ. ჭ.) მთავარს დაახლოებით 1639-1649 წლებში აღუდგენია, იმავე პერიოდში მიიჩნევს შედგენილად ლევან II-ის მიერ ხობის ტაძრისადმი მფლობელობის განახლების დოკუმენტს[1]. გ. კალანდია, ნიკოლოზს მიიჩნევს ჯერ ხობის ტაძრის წინამძღვრად (1632-1640 წლებში), ხოლო 1640-1657 წლებში ეპისკოპოსად, რაც ვფიქრობთ, ავტორის მიერ წყაროთა ლოგიკური დახასიათებით სავსებით დასაშვებია[2], მაგრამ ვფიქრობთ, თარიღის ასე დაზუსტებით თქმა, მით უფრო მისი ეპისკოპოსობისა, ძალზედ რთულია და ჩვენ ის 1649/50 წლებამდე ჯერ კიდევ ხობის ტაძრის წინამძღვრად მიგვაჩნია და არა ეპისკოპოსად, ანუ როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, 1640 წელს რომ არსებულიყო ხობში საეპისკოპოსო ეს ლამბერტს უსათუოდ ეცოდინებოდა და ის მისი წასვლის შემდეგ 1650/51 წლებში ჩანს განახლებული, ხოლო ზემოთ წარმოდგენილი დოკუმენტი ლევან დადიანის მიერ მამულების განახლების სიგელი შესაძლოა ოცდაათიანი წლების ბოლოს იყოს შედგენილი როგორც არა საეპისკოპოსოს, არამედ საწინამძღვრო ტაძრის მიმართ. რაც შეეხება ზახარევისა და ელჩინის ცნობას ხობში საეპისკოპოსოს არსებობის შესახებ, თვითონ ამ ელჩების შეცდომად მიგვაჩნია და უფრო სანდო ამ შემთხვევაში ლამბერტის ცნობაა.

გ. კალანდია მიიჩნევს, რომ ლევან II დადიანის გარდაცვალების შემდეგ ისევ გაუქმდა ანუ მოიშალა კათედრა და იგი აფხაზეთის კათალიკოზის ისეთივე პირადი რეზიდენცია გახდა, როგორიც ბიჭვინთა[3]. თუმცა ვფიქრობთ, ეს შედარებით მოგვიანებით ხდება, რადგან პავლე ალეპოელი XVII საუკუნის 60-იან წლებში სამეგრელოს ექვს ეპისკოპოსს შორის ასახელებს ხოფელს და აღნიშნავს, რომ აქ ინახება ღვთისმშობლის კვართი და ძელიცხოვლის ნაწილი[4]. ხოლო „იმერეთის მეფის ბაგრატ ალექსანდრეს ძის რუსეთის იმპერატორისადმი ელჩების ხელით 1669 წელს გაგზავნილ წერილში აღნიშნულია, რომ დადიანის ქვეყანაში, ხოპის ღვთისმშობლის

აწე, ჟამთა ვითარებისაგან სიგელი გარყუნილიყო და კურთხეულსა და დადიან-გურიელს შამადავლსა გაერიგებინა, როგორც ძველად ყოფილიყო, ისრევე გაერიგებინა. აწე მელია და საყდრის კაცები იცილებოდეს, და დავსხით ჩვენ, ჭელმწიფე პატრონი **დადიანი ლეონ** და **კათალიკოზი პატრონი მაქსიმე მაჭუტაძე** და ვნახეთ ძველი იადგარი, და სრულად ჩუენი დარბაისელნი დავსხით და გავსინჯეთ, და ასრე ეწერა წყევით, რომე ჭვირის და ცუს [შუა ტყეს და წყალი ყოვლად წმიდისა ხოფისა ღმრთისმშობლისა არის უცილობელი] (ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II, ტესტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, თბ., 1965, გვ. 208-211). თ. ჟოჯუა, ამ საბუთის გაცემას 1639-1657 წლებით საზღვრავს; სხვა დათარიღებით ის, 1628-1657 წლებშია გაცემული (იხ. თ. ჯოჯუა, დასახ. ნაშრომი, გვ. 125). ეს დოკუმენტი ასე გამოქვეყნა ექვთ. თაყაიშვილმა 1920 წელს, ქორონიკონი არა სჩანს, მაგრამ სიგელი უნდა უკუთვნოდეს, ლევან II დადიანს (+1657). ამის დროსვე ცხოვრობდა ჩვენ გუჯარში მოხსენიებული აფხაზეთის კათალიკოსი მაქსიმე მაჭუტაძე, რომელიც 23 აპრილს 1640 წ. ნახა ლევანი II კარზე რუსის დესპანმა ელჩინმა, ხოლო 1650 წ. მაქსიმემ იმერეთის მეფესთან ალექსანდრე მესამესთან ერთად ფიცი მიიღო რუსეთის ქვეშევრდომობაზედ პაპნი და პაპის პაპნი ლევან მეორისა გიორგი, ვამეყ, შერგილ და შამადავლე, ანუ შამადავლე, მართლა დასაფლავებულნი არიან ხოფში. ერთი წარწერა გუჯრისა უჩვენებს, რომ ლევან II ჰყოლია ძმისწული სახელით ლევანი, რომელიც უნდა იყოს ლევან III, ანუ შამადავლე (+1680).

[1] გ. კალანდია, დასახ. ნაშრომი, გვ. 160.
[2] გ. კალანდია, დასახ. ნაშრომი, გვ. 160-161.
[3] გ. კალანდია, დასახ. ნაშრომი, გვ. 164.
[4] ხობის მონასტერი, დასახ. ნაშრომი, გვ. 11.

მიძინების მონასტერში სანაწილე კოლოფში ინახება ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის კვართი, კოლოფის გასაღები აქვს ხობის ეპისკოპოსს“[1].

შემდგომ კი ხობი არა საეპისკოპოსო, არამედ საწინამძღვრო ტაძარია; კერძოდ, 1673-1696 წელს ხობის მონასტრისადმი შესაწირ დოკუმენტში უკვე იხსენიება არა ეპისკოპოსი, არამედ წინამძღვარი, რომლის სახელია ზებედე[2]. ეს ის ზებედე უნდა იყოს, ხობის მონასტრის ვერცხლის სამწერობელშია მოხსენიებული: [ბი]ჭვინტისა: ღტის მშობელო: შემოგწირე: ქერობინი. ესე მე ზებედემ რათა მეოხ მეყო მე დღესა მას დიდსა განკითხვისასა. ამინ.“ მეორეზეც ეს წარწერაა გამეორებული, ხოლო ქერობინის მაგიერ ეწერა „სერაფიმი“[3].

ზებედე ხობის წინამძღვარია და არა ეპისკოპოსი და აღსანიშნავია ის მომენტიც, რომ 1660-1680 წლებში ლევან III დადიანმა ხობის ტაძარი აფხაზეთის კათალიკოზს, დავით ნემსაძეს შესწირა[4].

მართებული შენიშვნით, ამ დროს ხობის მონასტერი ოდიშში კათალიკოსის რეზიდენცია გამხდარა. ხობის ტაძარი გარკვეული პრივილეგიებით სარგებლობს: „სხვათა ეპისკოპოსთა საადგომო მართებს, ამას (ხობისას) არა ეთხუებოდეს რა“ [5]. ხობის მონასტრის ისტორიისათვის საყურადღებოა 1673-1696 წლებს შორის აფხაზეთის კათალიკოზის დავითის მიერ შეწირულობები ხობის ღვთისმშობლისადმი[6].

---

[1] ხობის მონასტერი, დასახ. ნაშრომი, გვ. 11-12.

[2] 1673-1696. ქ. ჩუენ ქრისტეს მიერ კურთხევით კურთხეულმან, ჩრდილოეთისა და აფხაზე[თისა] კზმან, პატრონმან დავით, შემოგწირეთ მცირე და კნინი ესე შესაწირავი თ[ქვენ] საშინელსა და შვიდ ცათა უმაღლესსა და ქერაბინთა უწმინდესსა ხობისა [ღთის]მშობელსა მირცხულავა ბიჯოჯია და მისი შვილი ქოჩუა და სპაჭკუ მ[ისითა ც]ო[ლ]შვილითა, სახლ-კარითა, ჭურ-მარნითა... (დანარჩენი აკლია).

განის აშიაზედ სწერია სხვა ხელით: 1673-1696. ქ. ეჰა შენ ცათა უმაღლესო, სერაბინთა უზეშთაესო და ქერაბინთა უწმიდესო, რომელმან შევ ერთი სამებისაგანი და შობითა მისითა განხეთქე ცოდვათა ჩვენთა ჴელით წერილი, შენ ყდ კურთხეულო, ცათა მობაძავო, ხობისა ღთის მშობელო, ჩვენ ცვა ფარვათა შენთა მინდობილმან და მსასოებელმან სიწმინდისა შენისამან, და საკუთრებით მეურნემან ნამსახურისამან, კნინმან მადლთამან... და ფრიადმან ცოდვითა, წინამძღვარმან ზებედე, შემოგწირე მცირე ესე შესაწირავი ასრე და ამა პირსა ზედა, რომე ამას წინათ ხობს ვიდექით ჩუენ, და ღოდაბერიძის კაცს ამ ხობისა ღმთის-მშობლის ფიცის ტეხა დაედვა და ბატონმან კათალიკოზმან [დავით] თავს შეიდვა და მერმე ზაალ ღოდაბერიძემ გასტეხა და... აღარ გაეწყობოდა და ის კუამლი კაცი ხატს შემოსწირა, და ჩვენც მოგვაშორა ეცადია გეგენავა და მისი ოთია ჩვენ გვსახუ[რებდა]...ბდა. მერმე ლიპარტიანი ქვემოთ წაბრძანდა აფხაზეთს ლაშკრად, და ჩვენ ზუგდიდამდის ვიახელით, და ცოტა უძლებად ვიყავით, და დავბრუნდით, და აქ ხობს მოვედით. ეწე ეს გეგენავები პირველად ამ ხატის [ყოფი]ლ იყო, მაგრამ ჩვენ... და ცოდვათა ჩვენთა შე[სანდობელად] ხელ-მეორედ ორივე ძმანები შემოგვიწირავს. შეიწირე [კნი]ნი ესე შესაწირავი ხობისა [ღთის-მშობელო]... (დანარჩენი აკლია)“ (საქართველოს სიძველენი, ტ. I, თბ., 1920, ექვთიმე თაყაიშვილის რედაქტორობით, გვ. 29-30).

[3] ექვთ. თაყაიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 139.

[4] გ. კალანდია, დასახ. ნაშრომი, გვ. 164.

[5] ხობის მონასტერი, დასახ. ნაშრომი, გვ. 14

[6] „XVII საუკ. ქ: მე ხახუმ ფაციას კაცი შემომაკვდა და საკანონო გამიჩინეს, და ბიძაბ ცხომარია დავიხსენი, და ხატს შევსწირეთ, ბატონმა კაზმა და ხოფლმა გამიჩინა საკანონოდ და შევსწირეთ ხატს არის ამის მოწამე ბატონი ჭყონდიდელი და ხახუ ჩიჩუვა.

შემდგომ კი, დაახლოებით XVII საუკუნის დასასრულის ხობის მონასტრის მეთაური იხსენიება მთავარეპისკოპოსად, კერძოდ, მოხსენიებულია ეფთვიმე ფაღავა, რომელსაც ხობის მონასტრისათვის შეუწირავს წალენჯიხელისაგან ნაყიდი ერთი კომლი კაცი[1]. ასევე 1696-1715 წლებს შორის შედგენილადაა მიჩნეული ხობის შესავალი

შემდეგ კიდე სხვა ხელით: 1673-1696. ქ: ჩვენ ჩრდილოსა და აფხაზეთისა კაზმან დავით შემოგწირე ბეჟუნაი მირცულა მისის შვილითა და ძმისულითა მისი სახულ-კარითა, ეკულესის კარითა, ტყითა, წყლითა, უძებარ-საძებარითა და მისი ყოვლის ფერითა. ხახუა ფაციას ნიშნად ბატონმა დადიანმან მიბოძა ეს გულეხი და მე ხობისა ღთის მშობლისათვის შემიწირაუს ჩემის სულის საოხად და საცხოუნებლად.

შემდეგ კიდე სხვა ხელით: 1673-1680. ქ: ჩუენ ქრისტეს მიერ კურთხევით კურთხეულმან ჩრდილოსა და აფხაზეთისა კზ მან, პატრონმან დავით, შემოგწირეთ თქუენ ცათა მობაძავსა ბიჭვინტისა ღთის-მშობლელსა და ხოფის ღთისმშობელს ლიფონავა ისუფ და მისი ძმა იანვარაი მათის ცოლშვილითა სახლ-კარითა, ჭურ-მარნითა, მისი ეკლესიის კარითა, მისის მამულითა; საყანითა, ტყითა, ველითა, გასავლითა და გამოსავლითა, დღეს რისაც მქონებელი იყოს, მისის [ყო]ვლის ფერით სამართლიანის საქმითა, ასრე არის ამისი... რომე გულერის კარს ბიჭვინტისა ღთის-მშობლის მეთ[ევზობა]... შენაწირი ესახლა და ასპანა ფაღავამ გაიქურდა, და სახლ-[კარ]ობით დაგვიკარგა, და მერმე მის გარდასახადად ბატონმან დადიანმან ლეონ ხორგას ეს ლიფონავა გვიბოძა, და ჩვენ ბატონის დადიანისა და დედოფლის ბატონის თამარის ბრძანებითა ბიჭვინტისა და ხოფისა ღთისმშობლისათვის შეგვიწირავს, აწე ვინცა და რამანცა ძემან კაცისამან, ანუ დადიანმან, ანუ დიდმან და ან მცირემან, ამ ჩვენს შენაწირს გ[ანაჩენ]ს შლად, დაქცევად ხელყოს, ისიმცა შეიცულების რჯულ[სა] ქრისტიანობისაგან, ნუცა იხსნების წირვითა და ლოცვითა, რისხავს დაუსაბამო დაუსრულებელი ღთიმა... წყეულ და შეჩვენებულიმც არის მისი სული და ხორცი ამა და მას საუკუნოს, აწდა უკუნისამდე ამინ. არიან ამისნი შუამავალნი ლიპარიტიანი ბატონი გიორგი, ჩიჩუა ახუ, და[რ]ისმანი ჯაიანი, და მოწამე სრულად სკზო და სახოფაო ანაურის (სიც) შვილები.

ლევან. თამარ (ხელჩართულად). კათალიკოზი დავით (ხელჩართულად). ამის შემდეგ თათრული ხელის მოწერაა (საქართველოს სიძველენი, ტ. I, თბ., 1920, ექვთიმე თაყაიშვილის რედაქტორობით, გვ. 29-30).

[1] „1700 წ. ახლ. ამ წლის ახლოს ხანში ანუ უკეთ მე-XVIII საუკ. დასასრულს ან მე XVIII საუკ. დასაწყისს უნდა იყოს მიცემული შეწირულობის წიგნი ეფთიმე ხოფელისა, დაცული ბიჭვინტის საბუთებში.

[დიდებულო ქალწულო უვრცელესო ცათაო და უწმიდესო ზეცისა მხედრობათაო და ყოვლისა სიმტკიცე და ზღუდეო ხელის ამპყრობელო და მრხინებელო (სიც) ქრისტიანეთაო, შემიწყალე და სახიერ შექმენ] ღუთისმშობელო, რამეთუ დედასა ღმერთისასა შემოგწირე შენ ცითა მობაძავსა ხოფისა ღმთისმშობელსა მცირე ესე და კნინი შესაწირავი შემოგწირეთ ერთი კომლი კაცი, წალენჯიხელისაგან ვიყიდე როსთომია ამინათაი, მისი ძმა ურცხალაი მათის შვილებითა, მათს სახლის კათიცა, მისის ეკლესიითა, სახლკარითა, მიწა-მამულითა, შესავლითა და გამოსავალითა, ტყითა, წყლითა და ველითა, უძებრითა და საძებრითა ყოვლის ფერითა. [შემო]გვიწირავს ხოფისა ღმთისმშობლისათვის ჩვენ მთავარებისკოპოზმან ხოფელმან ეფთიმე ფაღავამ ჩვენთვის სახსრად და სულისა ჩვენისა წარსამართებლად მას დღესა განკითხვისასა, რათა შემაერთოს მარჯუენათა მათ ცხოვართათა და განმაშოროს უხილავი იგი მტერი. აწე ვინცა და რამანც [ძე]მან კაცისამან ეს ჩვენგან შეწირული გლეხი შე[ნ გა]მოგწიროს, დიდმან ანუ მცირემან ან დადიანმან ანუ დედოფალმა ან ეფისკოპოზმან და ან თავადმან [ანუ აზ]ნაურშვილმან ან გლეხმა ამისდა შლად ქცევად და გამოხმად ხელყოს. მასამცა რისხავს თ.ვდ დაუსაბამო ღმერთი და ყოველნი მისნი წმიდანი ზეცისანი და ქვეყანისანი, ხორციელნი და უხორცონი, მასამც ედების ცეცხლი გენისა. კეთრი გეზისა, შიშთვილი იუდასი, მეხის ტეხა დიოსკორსი, [დათქმა დათან და აბირონისი, ნურას ქველის საქმითა იქმნების ხსნა სულისა მისისა, ნურცა წირვითა, ნურცა ლოცვითა და ნურცა გლახაკთა მიცემითა და დამტკიცებელნი ამისნი ღმერთ მან აკურთხეს, მომშლელნი ამისნი ღმერთმან მოშალოს, ამინ, ამინ და ხელიცა

გლეხების სანთლის ბეგრის ნუსხა, რომელსაც აფხაზეთის კათალიკოზი გრიგოლი ამტკიცებს[1]. ი. დოლიძე, ამ საბუთს 1696-1742 წლებს შორის შედგენილად მიიჩნევს[1]. ე. ი.

ჩაგვირთავს]“ (სარგის კაკაბაძე, დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, წ. I, ტფილისი, 1921, გვ. 84).

[1] „1696-1715 წ. ამ წლის ახლო ხანებში საზოგადოდ მე-XVIII საუკ. დასაწყისში არის შედგენილი ხობის შესავალ გლეხების სანთლის ბეგრის ნუსხა, დაწერილი ნუსხა ხუცურად თეთრს ქაღალდზე.

ქ. წყალობითა ღთისათა ხობის შესავალი და შეწირული სანთელი.

ხორგას თავს დასტურაია ჭუჭუ და გაბრიელ ოთხი ლოღარიკი სანთელი.

ილორისა შვილები ოთხი ლოღაკი სანთელი.

ანცანდია გაგინა ოთხი ლოღარიკი.

დასტურაია დათუ და მახუტუ ოთხი ლოღარიკი.

ხანჩილა ოთხი ლოღარიკი.

მამაშისშვილები ოთხი ლოღარიკი სანთელი.

ხოჭოლავა მიამია ოთხი ლოღარიკი სანთელი.

პაჭკუტია მესხულავა ოთხი ლოღარიკი სანთელი.

გაღმა ხორგას თაბუნია ხოჭოლავას სეული პარტახი ძველთაგან შეწირული ყოფილიყოდ (სიც) და ოთხი ლოღარიკი სანთელი.

ბესია გიგიბერია და ორი მისი გლეხი ხუთი ლოღარიკი სანთელი.

ილანახუ ლეფონავა ოთხი ლოღარიკი სანთელი.

მისი ძმა ნიკოლა ოთხი ლოღარიკი.

კიდევ მისი განაყოფი გიგანძალა ოთხი ლოღარიკი.

თომა ბერაია და მისი ძმები ბეჟია ოთხი ლოღარიკი.

კიდევ ბერია გურიკავა და შოშიტა ოთხი ლოღარიკი.

ჯაიანისსეული კაცი ავშილავა გონჯი ოთხი ლოღარიკი.

ხობს ბაბაკოჩი ბიგვავა ხუთი ლოღარიკი.

ძღიკვიდი ხამინჯია და თაიმაზი ხუთი ლოღარიკი.

წულაი თუთაშხია და გვაძაბია ხუთი ლოღარიკი.

დაღუზია გოგელეი ხუთი ლოღარიკი.

ხუტუ კოდუა და მოგელი ხუთი ლოღარიკი.

სუბუქა მამაგული ბაბადიში და ბიძა მისი ხუთი ლოღარიკი.

კიდევ ჯგებურია ჭუჭუ ახალიკოჩი და მისი ძმები ხუთი ლოღარიკი სანთელი.

ელიშა ოსათარა დაკავა ხუთი ლოღარიკი.

ამ საბუთიდან გამომდინარე ხობის მონასტერი ამ პერიოდშიც მნიშვნელოვან სატაძრო ცენტრად რჩება.

ა. სიჭინავა და გ. ჩიტაია, XVIII საუკუნის შუა ხანებში ხობის წინამძღვრად ასახელებენ ფილიმონს[2], ხოლო შემდგომ, მათივე აღნიშვნით, კაცია II დადიანისა და მისი მეუღლის ელისაბედის 1767 წლის წყალობის სიგელის მოწმეა ხობის არქიმანდრიტი აბაშიძე, ხოლო 1732-1788 წლებში მოხსენიებულია ხობის კანდელაკი ბასილი ბერიძე[3]; შემდგომი, XIX და XX საუკუნეების წინამძღვართა სია საკმაოდ ვრცლად არის წარმოდგენილი ა. სიჭინავას და გ. ჩიტაიას ნაშრომში და ამდენად მასზე ვრცლად ყურადღებას არ ვამახვილებთ[4]. თუმცა გამოვყოფთ XIX საუკუნის ზოგიერთ საბუთს, რომელიც იმის ნათელი მტკიცებაა, რომ ხობის მონასტერი ისევ მნიშვნელოვანი საეკლესიო ცენტრია და მასზე სათანადოდ ზრუნავენ შესაწირავებით თუ სხვა ფორმით[5].

ბიას კოჩიორე სიჭინავა და მისი გლეხი იმანცალა დხადაია ხუთი ლოღარიკი.

ბიგავა ჯვებე და მისი ძმისწული ხუთი ლოღარიკი.

სახარბედოს ეჯიბია ივანელა სამი ლოღარიკი სანთელი

კიდევ მეორე ეჯიბია ჭკოლოფუა და ბაბალია სამი ლოღარიკი სანთელი.

ხუცესი ხარბედია სამი ლოღარიკი სანთელი.

ნასხიდა შუღლაი სამი ლოღარიკი.

ხორგას ჩემი შეწირული რომელიც იყო ის დამიწერია. ძველადგან ჟოვლიებს სდებია და როგორც სდებოდეს, ისე გარდაიხადოს. ამ ჩემს შეწირულს კაცებს ვისაც სანთელი ემართოს, მეხადილეს კაცისათვის საკლავი შეგვიწევია და მეღორე კაცისათვის უფროსის აკლავი, არც გასამყაფლო (სიც) ეთხოებოდეს არც ბატონისაგან და არც მოხელისაგან და ხატის ბეგარა სანთელი რამდენადაც გვიყოს, თან გაჰყვებოდეს მთლად.

ბეჭედი წარწერით: აფხაზეთის კ ზი გრიგოლ

ხვეულად: კოლზი“ (სარგის კაკაბაძე, დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, წ. I, ტფილისი, 1921, გვ. 115-117).

[1] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, თბ., 1970, გვ. 770-772.

[2] ხობის მონასტერი, დასახ. ნაშრომი, გვ. 36; იხ. საქართველოს სიძველენი, ტ. I, 1920, ექვთ. თაყაიშვილის რედაქტორობით, გვ. 48.

[3] ხობის მონასტერი, დასახ. ნაშრომი, გვ. 15.

[4] ხობის მონასტერი, დასახ. ნაშრომი, გვ. 36-37.

[5] „[შეწირულობის წიგნი ბესარიონ კათალიკოზისა ხობის ეკლესიისადმი] [1742-1769 წწ.]

ეჰა შენ მშობელო უფლისა ჩუენისა იესო ქრისტეს. ღმრთისმშობელო საყდარო ხობისაო განსვენებულო ჩუენ ძისა შენისა მიერ **კათალიკოზ-პატრიარქმან ბესარიონ** შემოგწირეთ **ჯაიანის მერაბის** შვილი **იოანე** და **სვიმონ.** პირველად **დადიანმა ოტიამ** შესწირა და ჩუენ მოგუცა და ჩუენ თქუენდა შემოგვიწირავს ის ორი ძმა და მისი კაცებით **შაქარი ჭაჭას** სახლი და **დაგაჯინი** და **კოტრავას** სახლი. მათის ყოვლისფერითა **გეგია** და **ხურცილავა** ერთი პარტახი ნაგეგენაჯ, ტყით, წყლით და მიწა-მამულით, საყანით, სახოხბით. აწ ვინც ეს გამოწიროს შეჩუენებულიმც არის შენის ძის ქრისტეს ღმრთისაგან და ყოველთა მისთა წმიდათაგან, ჩუენის შემდგომის კათალიკოზისაგან და ყოველთა სამღუდელოთა დასთაგან, ამინ.

ბეჭედი: ყ ისა ჩრდილოეთისა **კათალიკოზი ბესარიონ“** (ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, თბ., 1970, გვ. 882).

„1733 წ. გუჯარი გრიგოლ კათალიკოხისა ბიჭვინტის საბუთთაგან.

...აბაშას ერთი მოსახლე კაცი, საჩინოს ზავთასი წინამძღვარი მაკარიოზ და მისი ძმა გ ი და სამი სხვა მაკარიოზისგლეხები მახარაძე ნასყიდა და ორი სხვა... ოდიშს ქვეყანას მეჯეთს დოდელიას სეული ადგილი ბეჟან დადიანისაგან ვიქრთამეთ მისის ყოვლისფერიანათ, თავს ერთი მოსახლე კაცი გეგენავა მამუკა, მეორე მოსახლე ინალი კუპრაისშვილი, მესამე მოსახლე განაყოფი მისი ძმა ჭუჭუა, მეოთხე მამაგულა კუპრაისშვილი, მეხუთე ჯღამაია ბაბუშია, მეექვსე ნანაია ჯღამაია, ესეები ყოვლის ფერიანათ. მეშვიდე დათუნა გულაიცა სენაკის კანდელაკის სისხლშიდ ამოვიყვანე მისის ცოლშვილით, ტყით, წყლით, ადგილით, მისის ყოვლის ფერიანათ. ეკის მონასტერი იმანიერი (სიც), ამ მონასტერზედ ბერი დავაყენეთ და მისი სარჩო კაციან ალაგიან საწირავიან სალოცავიან ყოვლის ფერიანათ მიუჩინეთ და ერთი მოსახლე მოჯალაბე ჩვენი არს. ამასთან ერთი მოსახლე კაცი ხუბულავა ნინია და მისი ძმა ბაბაკური და მასთან ფარცვანია დავაყენე მისი ცოლშვილით და სხვის შვილით. მეორე შუღალაძე ნასხიდა ჯერ სათათრიოდამ მოვიდა, მერმე აფხაზეთიდამ ამოვიყვანეთ და დავაყენეთ ცოლშვილით და თავის ყოვლის ფერით, მესამე თათრისშვილი იკკო, მეოთხე დავითა და სკუდია, მეხუთე ფარულავა ოფიშხია ჯოლიას ნაყმობი კაცი მისის ცოლითა და შვილით. შხეფს იმ საყდართან ბერდია დოხვადია შეწირული, მეორე მოსახლე ფხეიძის ნიშანში ავიყვანე ოთია ესებუა, უშაფათს ლააკია ხუტა და მისი ძმა კოჩა დადიანის ქალის ნიშანებად ავიღე მათის ყოვლისფერიანად, საწულაისქიროს ერთი მოსახლე კაცი ჩილაჩავა, მისის ყოვლის ფერით, სახარბედიოს ეჯიბია ზალ მხეიძის საწირავში ავიყვანე და დავასახლე, მეორე კიდევ ზალ მხეიძის ნიშანში ავიყვანე ტყვირს ბიშხუა ჯოჯუა მისის ყოვლის ფერიანათ. თეკლათს ერთი მოსახლე გარუჩავა ერისათვის ქალმა დედოფალმა შესწირა მისის ყოვლისფერიანათ წყალისგზას ციხისთავის (სიც) ცაიშელის ნაქონელი თავს ერთი ხელოსანი მამიგული სხვიტარია, მეორე ჭითავა მაკარია, მესამე ლუხავა გ ი და მისი ძმა ჭუჭუ, მეოთხე ჩოხოლეი ლუხავა და მისი ძმა ნინიაკოჩი, მეხუთე ჯაჯავა გაჭირვებული ხორავა, მეექვსე გელოზია გიორგელა და ორი მისი ძმა და ერთი მისი ბიძაშვილი, მეშვიდე მამაგული ლასურია მისი შვილებიანათ, მერვე ფაცილეი მელია, მეცხრე გარუჩავა იესე და მისი შვილები, მეათე თოლიკავა. ეს მოსახლე კაცები მათის ტყით, წყლით, სარჩოთ ყოვლისფერიანათ თეკლათს და სირიაჩქონის.

სახოფოთ ბიას კოჩიგაძე სიჭინავა ჩიჯავაძის ნიშანში ბეჟან დადიანმა მოგვცა ორი მოსახლის გლეხით, მისის ყოვლისფერიანად.

თვითონ ხოფს საცხომარიოს გ ი პაინჭკურია და მისი ძმისწული მახარობელი. პაატა ჯოლიამ ჩვენ კაცს ქალი გაუყიდა და ბეჟან დადიანმა იმაში მოგვცა. მეორე მოსახლე ხუხუ კოდუა და მისი ძმა მაგულია და მასთან კობახიძის ნაყმევი კაცი გოგოლავა მისის ცოლშვილით, მესამე სუბუქია მამუგული, მისი ძმა ბაბადიში; მეოთხე ჯგუბურია ახალკოჩი გურუშია და ორი მისი ძმები; მეხუთე ჯგუბურია ნიკურცხია; მეექვსე ბიგვავა, ბაბაკოჩი; მეშვიდე ლიფო ჩაგვავა მისი შვილებით. ორი მოსახლე კაცი კიდევ დეისმა ჯაიანმა და ცოლმა მისმა ხახუ ღოღაბერიძის ქალმა შესწირა ძღიკი ჯღამაძე და მასთან კიდევ თამაზი და ერთი ბაბა ახალკოჩი; მეორე მოსახლე კაცი თუთაშხია წულაია. ეს სახოფო მათის წყლით, ტყით, ადგილით და ყოვლისფერით. ხორგას საკუტალიოს გოჯი აფშილავა მისის ცოლშვილით და მამულით მერაბ ჯაიანმა შესწირა, მეორე ჭითავა მახარობელი და მისი ძმა შაქარა მათის ცოლშვილით და ყოვლისფერით, მესამე პაჭკუტი მირცხვილავა მისის ცოლშვილით და ყოვლისფერით; მეოთხე სამი ძმები ობლები ბერაია ეცადია, გიორგელა ბაჭიჭუჭუ არცან იადისსეულში დავასახლეთ; მეხუთე პაატა დადუნია მეექვსე ხოჭოლავა მამა და მისი ძმისწული; მეშვიდე დასტურაია მამაშვილები, მერვე ხანჩქილაი დასტურაია; მეცხრე კიდევ დასტურაია მახუტი დათუა; მეათე კიდევ დასტურაია ხუტულია და ძიწიბა; მეათერთმეტე არცანდია მამაძინა და მისი ძმები კიაოლია, გაბრიელა, გორგელა და ბაძია; მეათოთხმეტე კიდევ დასტურაია ჭუჭუ თავის ყმით. ნურკელის სასახლე ერთის მოჯალაბით, ტყით, კარგი სათევზე წყლით, ადგილით, თავის ყოვლისფერიანით; ორი მოსახლე გაღმა გიგიბერიები ბერი გარე ყმიანად და თავის ყოვლის ფერით, ლიფონავა ინულუხუ და მისი შვილები, მისი

XIX-XX საუკუნეების ხობის ეპარქიის და მონასტრის ისტორიას საკმაოდ ვრცლადაა წარმოდგენილი ა. სიჭინავას და გ. ჩიტაიას ნაშრომში, რომელსაც ვრცლად შემოგთავაზებთ: „სამეგრელოს მმართველი ნინო ბაგრატიონ-დადიანისა, XIX საუკუნის დასაწყისში შედგენილი საბუთების მიხედვით, ხობის მონასტერს უბრუნებს ადრე მის მიერ მონასტრისგან აღებულ ვალებს: ხიტუ გაბუნიას ხელში გადასულ საეკლესიო ყმა შონიას საკომპენსაციოდ ტაძარს სწირავს ოთხ მარჩილს.

ნინო დადიანი 1809-1811 წლებს შორის შედგენილი შეწირულობის წიგნის მიხედვით, ხობის მონასტერს უახლებს სახარბედიოს შეწირულობას.

1821 წელს, კათალიკოსობის შემდეგ პირველ არქიმანდრიტს, გრიგოლ მიქელაძეს ხობის მონასტერში შეუკეთებია ტაძარი, სამრეკლო და სათავსოები; შეუძენიათ სასულიერო წიგნები წიგნთსაცავისათვის, საეკლესიო შესამოსელი, ნივთები, მისივე მონდომებით გაუახლებიათ ხატები, საეკლესიო ნივთები...

1824 წელს გაცემული შეწირულობის სიგელის მიხედვით, პეპუ ჩიჩუა ხობის ღვთისმშობელს სწირავს ექვს გლეხს.

ცნობილი მეცნიერი და მოგზაური დიუბუა დე მონპერე რომელმაც 1831-1834 წლებში იმოგზაურა კავკასიაში, ყოფილა ხობში და აღწერს ხობის მონასტერს. ის აღნიშნავს, რომ აქ წმ. ბასილის ორდენის რამდენიმე ქართველ-ბერძენი ბერი ცხოვრობს, ტაძრის წინამძღვარი კი არქიმანდრიტის წოდებას ატარებს, ტაძარი გარშემორტყმულია მაღალი გალავნით, შესასვლელთან არის სამრეკლო. მისთვის უჩვენებიათ გრძელი საყვირი, რომლითაც ლოცვის დროს უხმობდნენ მცხოვრებთ, ომიანობისას კი ხალხს ამცნობდნენ მტრის მოახლოებას და მონასტერი ამ დროს სიმაგრის მოვალეობას ასრულებდა.

განაყოფი ნიკოლა და მისი შვილები, კიდევ მისი განაყოფი გემანცალი და მისი შვილები. იმას ზეით ბერაიები ერთი მოსახლე ხახუ და მისი შვილები; მეორე ბაბაკოჩი და მისი შვილები: მესამე თომა ხუცესი ბერაია, მეოთხე განაყოფი მისი ბეჟა ბერაია და მისი შვილი; მეხუთე შოშიტა ბერაია და მისი შვილი; მეექვსე გიგიბერია ზალიკა და მისი ძმა კაკა ხარაბედიები და ეჯიბია დავით კ ზს ეშოვნა და ბეგარა არ მოეკითხა. ჩვენ მოვიკითხეთ და კარგა მართებდა მათ ხუთ ხუთი ლადარიკი სამთელი დავადევით და ბეგრობით არ ეთხოვებოდეს რა.... ...ცხენის წყლის გამოღმა იმერეთის ქვეყანას თითო შემახური და გაღმა ოდიშს ქვეყანას ხუთხუთი ლადარიკონი. ამის მაგიერად მეხადილეს საჩუქარი ამოუწერეთ და ღორის მებეგრეს თითო საკლავი და სადაც მონასტერი იყო, მის შემავალს კაცისაგან იმ მონასტერს მიეტანებოდეს ის სანთელი და სადაც არა, კათალიკოზს მიერთმეოდეს და ტყვირის მონასტერს თორმეტი მოსახლე კაცი ყავს, იმათი სამთელი უკლებლად იმ მონასტერს მიერთმეოდეს. ასე გაგვირიგებია და შემოგვიწირავს შენ, საშინელო და ცათა ურცევლესო ბიჭვინტისა ღუთისმშობელო და ხოფისა ღუთისმშობელო. ახლა ვინცა და რამა ძემან კაცისამან ანუ მეფემან ანუ დადიანმა და ან გურიელმა ანუ მთავართა ანუ დიდებულთა და წარჩინებულთა ანუ დიდთა ანუ მცირეთა ეს შეწირულობის სიგელი და იადგარი მოშალოს, დიდისა ანუ მცირისა რასამე ახოცად ხელ ყოს და ესე არ დაამტკიცოს და დახსნას, წყეულ და შეჩვენებულ არიან ღუთისა დაუსაბამოსა დაუსრულებელისა პირითა, რომელმან შექმნა საუკუნენი, კრულ, წყეულ და შეჩვენებულმცა არს სული და ხორცი მათი...“ (ს. კაკაბაძე, დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, წ. I, ტფილისი, 1921, გვ. 141-145).

1840 წლის წყალობით სიგელის მიხედვით, ხობის მონასტერს გლეხებს სწირავდნენ ლევან მეხუთე დადიანი.

XIX საუკუნეში მონასტერს ნივთებს სწირავდნენ თავადები ჩიჩუები და ჯაიანები...

მღვდელ-მონაზონ კალისტრატეს (რომელიც 1862-1882 წლებში ხობის მონასტრის ხაზინადარი იყო და შემდგომი წიგნიც გამოსცა ხობის მონასტერზე) ცნობით, 1840-1857 წლებში ამ ტაძრის არქიმანდრიტ ბესარიონ ჭყონიას დიდი ღვაწლი მიუძღვის ხობის მონასტრის მამულების დაცვის საქმეში.

რუსი სამხედრო პირი პ. ბიბიკოვი, რომელიც 1854 წელს დასწრებია ხალხმრავალ სატაძრო დღეობას ხობში, სანახაობის საინტერესო აღწერასთან ერთად აღნიშნავს, რომ მონასტრის სიძველეზე მიუთითებენ ნახევრად დანგრეული საოცრად მაღალი კედლები.

ხობის მონასტერს ისევ საფრთხე ემურქება: 1855 წელს, სამეგრელოში ომერ ფაშას მეთაურობით ოსმალთა შემოჭრისას, ხობის მონასტერი საომარი ოპერაციების ასპარეზი გახდა. თურქებს დაკავებული ჰქონდათ მონასტერი და მისი მიდამოები. მოსახლეობა, მათ შორის ბერებიც გახიზნულან. კალისტრატე ჩიჩუას ცნობით, ერთი ბერთაგანი, პეტრე ჟორდანია არ მოსცილებია იქაურობას, რომ მონასტრის შენობა თურქებს არ დაეწვათ.

რაფიელ ერისთავის ცნობით, ხობში დაბინავებულ თურქებს გადაუწყვეტიათ მონასტერი გადაეცათ თოფისწამლის საწყობად. მათ ერთხელ, საღამოთი უნახავთ, რომ მონასტერს ნათელი დასდგრომია, მომდევნო ღამეს კიდევ უფრო განათებულა იქაურობა... ბერები და ადგილობრივი მოსახლეობა პირჯვარს იწერდნენ, ლოცულობდნენ და ამას კარგის მომასწავლებლად მიიჩნევდნენ. თურქებმა კი ამ უცნაური მოვლენის შესახებ თავიანთ სარდლობას აცნობეს და მათგან მიიღეს ბრძანება, მაშინვე დაეტოვებინათ მონასტერი, რათა არ გამხდარიყვნენ რაიმე „ეშმაკობის“ მსხვერპლნი.

1856-1857 წლებში, სამეგრელოს გლეხთა აჯანყების დროსაც აჯანყებული გლეხები მონასტრის მიდამოებში მდგარან.

იმავე კალისტრატეს ცნობით, 1860 წელს ხობის ეკლესიის გალავნის შიგნით ორსართულიანი სახლი აუშენებია სამეგრელოს ეპისკოპოსს ბესარიონს (ჩიჩუა), რომელიც მონასტრისადმი დიდი მზრუნველობას იჩენდა.

რაფიელ ერისთავის მიხედვით, ხობის მონასტერს XIX საუკუნის პირველ ნახევარში, ბატონყმობის გაუქმებამდე, ეკუთვნოდა 470 კომლი გლეხი, რომლებიც მას უხდიდნენ 2500 მანეთს; მონასტერს ჰქონდა მიწები, ვენახები, წისქვილები, ტყეები... აქ ცხოვრობდნენ წინამძღვარი, იეროდიაკონი და მორჩილები. მისივე ცნობით, მონასტერს ჰქონდა 15-მდე სხვადასხვა ზომის ხატი, ოქროთი და ვერცხით მოჭედილი, ძვირფასი თვლებითა და მარგალიტებით მორთული.

ხობის მონასტერს საფრთხე დამუქრებია 1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომის დროსაც, როცა ოსმალები შავიზღვისპირეთს მიადგნენ, ხობში დაცული სიწმინდეები, ხატები, წიგნები და სხვა ნივთები გადასამალავად ყუთებში ჩაუწყვიათ, მაგრამ ომის შემდგომმა მსვლელობამ საჭირო არ გახადა მათი გატანა.

კალისტრატე ჩაჩუა იუწყება, რომ სამეგრელოში რუსული მმართველობის შემოღების შემდეგ, მონასტრის ყმებს შეაწერეს გადასახადები, ხოლო წინამძღვარს და ბერებს შტატით დაენიშნათ ხელფასი.

მონასტერი თანდათან კარგავს მიწებს, სხვა ქონებას, შემოსავალს...

მონასტრის ძვირფასეულობა არაერთხელ გაუძარცვავთ. პეტერბურგელ ფოტოგრაფ საბინ ჰუსს მიუთვისებია ძვირფასი ქვებით შემკული წმინდა გიორგის ხატის ბუდე, ეგზარქოსს პალადის – ტიხრული მინანქრის ნიმუში...

1882 წელს ხობში იყო ფრანგი მეცნიერი ჟ. მურიე, რომელმაც მონასტერზე მასალები გამოაქვეყნა ფრანგულ ენაზე.

1886-1890 წლებში ხობის მონასტერში მოღვაწეობდა წმინდა ალექსი ბერი (შუშანია).

XIX საუკუნის 90-იანი წლებისათვის მონასტრის გალავანში ჩაუშენებიათ ორსართულიანი ქვის პალატი, რომლის ქვედა სართულში მარანია. ძველ ქვევრთა შორის ერთი, წელიწადში დღეების რიცხვის შესაბამისად, 365 კოკის ტევადობის ყოფილა.

მღვდელ-მონაზონ კალისტრატეს ცნობით, 1891 წელს ხობის ტაძარი გაუტეხავთ და გაუტაციათ ღვთისმშობლის კვართი თავის კუბოიანად... ეს „გაიგო თუ არა ხალხმა, ზარის ხმასთან ერთად იგრიალა და შემოერტყა ძახილით: ნურც ბერი, ნურც ერი ნუღა ვიქნებით ცოცხალი, თუ ეს სიწმინდე დაგვეკარგაო... აღელდა ხალხი, გაცხარდა ადმინისტრაცია“. მესამე ღამეს, მონასტრის მახლობლად, ტყვიან ადგილას, შეამჩნიეს ციდან ჩამომავალი უცნაურად მოციმციმე ნათელი, როცა მივიდნენ, ნახეს კვართის კუბო ხელუხლებელ მდგომარეობაში. ამ სასაწაულმა ხალხმა გაუორკეცა უმეტესი სასოება და სიყვარული ყოვლადწმინდა ქალწული მარიამისადმი. სამადლობელი პარაკლისის შემდეგ ხალხმა დაადგინა, რომ ტაძარი ღამის დარაჯებად სამ-სამი კაცი მუდამ გამოსულიყვნენ.

1894 წელს გაზეთ „ივერია“-ში არქიმანდრიტ სიმეონის მიერ გამოქვეყნებული წერილის მიხედვით, ხობის მონასტერს XIX საუკუნის 90-იან წლებში ძროხების საძოვრებად აქვს ცალკე ოცი ქცევა მიწა.

1898 წლის 8 ივნისს ხობის მონასტერში ჩასულ გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსს ალექსანდრეს (ოქროპირიძე) მიუმართავს მრავალრიცხოვანი მრევლისათვის და აღუნიშნავს: „თქვენ აქ გაბარიათ საქართველოს სასიქადულო სიწმინდე, როგორიც არის ღვთისმშობლის პერანგი, შესანიშნავი (სიდიდით) ძელი ჭეშმარიტი, წმინდა მოწამეების: მარინა და კვირიკეს მარჯვენა მკლავები და სხვა წმინდანთა ნაწილები, ძვირფასი ხატები და ჯვრები“. მას მონასტრისათვის შეუწირავს 100 მანეთი, „რათა ამ თანხის სარგებლით აქ მსვენარე სიწმინდეების წინაშე მუდამ ენთოს ჩაუქრობელი ლამპარი“. ეპისკოპოსს წინამღძვრისათვის გადაუცია წლის სამყოფი ლამპრის ფასი.

„ივერიის“ ცნობით, 1900 წლის 4 სექტემბერს, ხობის წინამძღვრის, არქიმანდრიტ სვიმეონის მეცადინეობით ხობის მონასტერთან დაარსებულა სამრევლო – საეკლესიო სკოლა, სადაც ორივე სქესის 25 მოსწავლე სწავლობდა...

როგორც სამრეკლო კედელზე ჩატანებული წარწერებიანი ფილა მოგვითხრობს, 1902 წელს, ხობის არქიმანდრიტ სიმეონ აფაქიძის წინამძღვრობისას, შეუკეთებიათ სამრეკლოს იატაკი, კიბეები, გალავანი, ეკლესიის გალერეის იატაკი კიბეებით.

1912 წელს ხობის მონსტრის წინამძღვარი დიონისი მონასტრის კრებულთან ერთად მადლობას სწირავს ტარიელ გაბუნიას ქვრივს ქ-ნ ნატალიას, რომელსაც ტაძრისათვის შეუწირავს კანდელი“[1].

ხობის მონასტერზე და ხობთან დაკავშირებულ ჩვენთვის საინტერესო ამბებზე მნიშვნელოვანი ცნობებია თავმოყრილი XIX საუკუნის ქართულ პერიოდულ პრესაში[2].

---

[1] ა. სიჭინავა, გ. ჩიტაია, დასახ. ნაშრომი, გვ. 15-20.

[2] დ. ხოპი (სამეგრ.). მხატვარის ეისნერის ჩამოსვლა. გაზ. ცნობის ფურცელი, №607, 1898

10 ამ თვეს მოვიდა ხოპის მონასტერში ადგილობრივ ბოქაულთან ერთად საქართველოს ძველი ეკკლესიების ნაშთების დამცველი ცნობილი არხეოლოგი და მხატვარი ბ-ნი ა. პ. ეისნერი. მოსვლისთანავე დაიწყო უძველესი დროის ხატების და სურათების გადახატვა, რომლებიც ეკუთვნიან 1160-1660 წლების ლიპარტიან დადიანებს და მათს ცოლ-შვილებს. ბ-ნმა ეისნერმა ბერებს უთხრა: კედლებზე ხატებს და სურათებს არას გზით არ შეხოთო, რადგან ზოგან შელესილი ნახა. ყველასთვის სასიამოვნო უნდა იყოს, რომ მომავალ თაობას მაინც არ დაეკარგება ცნობისაგან აქაური ხატები და სურათები: მაგრამ სამწუხაროდ, შემწეობის მაგიერ ბ-ნ ეისნერს მისდამი მინდობილს საქმის აღსრულებაში, ბოქაულის წასვლის შემდეგ, ცოტა არ იყოს წყენა შეხვდა იმის გამო, რომ სამუშაოდ ბერებმა არ მიუშვეს, რადგან წინამძღვარისაგან ასე გვაქვს ნათქვამიო. მამა წინამძღვარი მონასტერში არ იყო და მერმე ბევრი უსიამოვნების შემდეგ, როცა ისევ ბოქაულის დაბარება და საქმის შედგენა გამოუცხადა, მერმე-კი, მეორე დღეს, როგორც იყო კარი გაუღეს... მაგრამ რამდენ ხანს შეაჩერეს მუშაობისაგან და გააჯავრეს კიდევ ჩვენი ქვეყნის სასარგებლო საქმის მშრომელი...

ხოპელი

დ. ხოპი (სამეგრელო). გაზ. ცნობის ფურცელი, №617, 1898

მხატვრის ეისნერის შრომა. საქართველოს სხვა და სხვა უძველესი დროის მონასტერ-ეკლესიების მხატვრებთა შორის, ბ. ეისნერმა ხოპის მონასტრის საკურთხევლის მხატვრობისგან უმეტესი ნაწილი შარშან გადახატა, წარუდგინა პეტერბურგის საიმპერატორო არხეოლოგიის კომისიას. წელს ხოპის მხატვრობისგან არჩევით გადაიღო შემდეგი: 1) დიდი ტანის მთავარ-ანგელოზი მიხეილ, რომელსაც გველ-ვეშაპი შუბით გაუპია და ზედ დაუბჯენია. ამ მხატვრობის უძველესი დროის დარჩენილა მხოლოდ ანგელოზის მანტიის წინა კალთა და წვივი, დანარჩენი მხატვრობა შემდეგ განახლებულია. მაგრამ მაინც გადაიღო, იმის საბუთად, რომ აქაური მხატვრობა, ზოგი უძველეს დროის არის და ზოგიც 14 და 16 საუკუნეებს ეკუთვნისო. 1) იოანე ნათლის მცემლის განკაფული ცხოვრების ფრთებიანი სახე. 3) კიდევ მთავარ ანგელოზი თეთრი სამოსში ხელებაპყრობილი, მხარ-მკერდი ჯვარედინად გინგილი შეკრული. 4) წმ. გიორგის ხატი ვერცხლზე კვერით ამოყვანილი, ოქროთი დაფერილი და თვლებით შემკობილი, ფეხებზე დამდგარი, უჭირავს ხელში შუბი, რომაულ ტანისამოსში, რომელიც მე-13 საუკუნის ხელობას ეკუთვნის. ეს იმ V საუკუნის წმ. გიორგის ხატის ბუდეა, რომელიც საბინ გუსისთვის მიუცია და მომკითხავი პატრონი აქამომდე არავინაა!! 5) დახატა მოსაზრება ძველი ქართულის კანკელის სახე, რომლებიც მას უნახავს ქართულ მონასტერ-ეკკლესიებში, ზოგიერთი ეხლანდელი ვანკელი სრულიად არ შეეფერებიან საზოგადოდ დიდი მშვენიერი ტაძრების ძვირფასს მხატვრობებსო; ხოლო ჩარჩოებში არიან თანამედროვე თათრების, ანუ უბრალო საბაზრო ნამუშავარიო; ამიტომ დახატა უძველესი კილოზე ქართული კანკელი, სამეუფეო კარებით და ხატებით, როგორიც შეეფერება ძველ ტაძარ-ეკკლესიებს. ამ ნაირი კანკელი მით უფროა კარგი, რომ ერთ სართულაა, მთელი საკურთხევლის მხატვრობა, აღარ იქმნა დაფარული, წირვა ლოცვის მსმენელთათვის. მეორეც, მშვენიერი ქართული ქანდაკებისგან არის

აღებული ჩარჩოები, შუაში ხატები და კარებზე ოთხი მახარებელი და სხ. ჟესტზე და გინა ფიცარზეა დახატული. ამ ნაირი უმშვენიერესი კანკელი ღირს 600 მანეთი. და მესამე უწმინდელი ლიპარტიან-დადიანების და მათი ცოლ-შვილების აქ აღმოჩნდა 14 სურათი. ყველა ესენი გადაიღო ცოცხალ სურათებად, როგორც იყვნენ. ამათ შორის არის ორი ახალ აღმოჩენილი სურათები, - როდესაც ბ. ეისნერმა გააღებია, ერთი აქაური უყურადღებოდ მიგდებული ეკვტერი ნახა, შიგ აღმოჩნდა მედამურეებით და მისი ნეხვით სავსე ტპარეზი, ძველი შესამოსლები და სხვა დაინტერესებული და დაფორებული. ამან ძლიერ ცუდი შთაბეჭდილება მოახდინა მხატვარზე რის გამო დამსწრეთა უსაყვედურა უყურადღებლობა და სიძველის უპატივცემლობა... და იყვნენ, რომლებისათვის აქამდის არავის ყურადღება არ მიქცეულა, ბ. ესინერის გარდა... ამასთანავე გადახატა ორი კათალიკოსები: მოხუცი ილარიონ და ახალგაზდა ნიკოლოზ წულუკიძე, რომლებიც მხატვრობით და ცხოვრებით ეკუთვნიან სრულიად სხვა და სხვა საუკუნეებს.

უძველეს დროის კათაოლიკოსების სახე ჩამოცვივნულა და აქა იქ ოდნავდა სჩანან.

ბ. მხატვარის ყურადღება მიიქცია: შერგილ დადიანის სურათმა, რომელიც ზეთით წიველ სახატავ წამლითაა, მეტად უცხო შემკობილ გრძელმა ტანისამოსმა და გრძელმა ქუდმა, რომელსაც მამის მსგავს ტანისამოსში წინ უდგას პატარა ვაჟი წარწერით: „ძე ამათი ცოტნე დადიანი“, ხოლო შერგილის გვერდით მეუღლე მისი მიბით „ნათელა დედოფალი“. დედის გვერდით ნიმბით „ასული ამათი თამარი“.

ესენია თუ სხვები საქართველოში ბ. ეისნერის შრომა და ღვაწლი ძვირფასი განძია ქართველებისათვის, ყველაზე უკეთესი საბუთია, ჩვენი ქვეყნის მომავალი მხატვრობისთვის და ვრცელი უტყუარი ისტორიისათვის...

ხოპელი

დ. ხოპი (სამეგრელო). ძველი ტაძრის მდგომარეობა. გაზ. ცნობის ფურცელი, №656, 1898

დასავლეთ საქართველოში ძველ კოლხიდაში, შავი ზღვის მახლობლად არის ერთი უძველესი ტაძარი, მეტად ღირსი ყურადღებისა, ეს ტაძარი უმაღლესი ხელოვნებით არის ნაშენი: ბიზანტიური მხატვრობა, სამეგრელოს სასიქადულო სიწმინდეები: ღვთის-მშობლის კვართი (პერანგი) და სხვა ნაწილები, ძვირფასი ხატები და ჯვრები, 957-1660 წ. დიდებულ მეფეებისაგან თვალ-მარგალიტით შემკობილნი და სხვ. ისტორიული პირების სურათები. აი ეს დიდებული ტაძარი, წელიწადზე მეტია, რაც წვიმისაგან ვერ დაგვიფარას, არა უფულობის, არამედ დაუდევრობის გამო. შარშან-წინ ამ ტაძრის დახურვას მარსელიის კრამიტით ნაღდით გავურიგდით ვაჭარს №-ს, რომელსაც ხარჯისა და შრომის გარდა კიდევ რამდენიმე თუმანი მოგება დარჩებოდა. როდესაც ძველი სახურავი გაარღვიეს და ახალზე მიდგა საქმე, მაშინ №-მა ოსტატებს უბრაძა: „ძველი სახურავის ზომა ირგვლივ შემოხერხეთ-შეამოკლეთო“!! მათ ამაზე წინააღმდეგობა განაცხადეს. პირველად იმიტომ, რომ ვაჭარი ვალდებული იყო პირობის ძალით ძველი სახურავის ზომა დაეცვა; მეორედ იმიტომ, რომ ტაძრისათვის გარშემო სრულ ფრთები და ღარები საჭირო იყო კედლების წვიმისაგან დასაფარავად. მაგრამ კარგი რჩევა არ შეიწყნარეს. სახურავს 2-2 მტკაველი მოახერხეს და დაამოკლეს. ამით ვაჭარმა ზედმეტი 200-300 მანეთი მოიგო, რადგან 1,000 კრამიტი, რეიკები და სხვა მასალები და, მუშაობაც შეუმცირდა... ამ წინ დაუხედაობამ გამოიწვია საჩინო ზარალი, მთავრობის და საზოგადოების წინაშე ჯერ ისევ დაუსრულებელი ღადადი, რადგან ყოველ ძლიერი წვიმის დროს, ტაძარში წვიმა ჩამოდის და დაუხურაობით სახლები ლპება. 15 ავგისტოს აქ გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსი ალექსანდრე მობრძანდა და მის კითხვაზე: „წვიმა კიდევ ჩამოდის თუ არაო, წინამძღვარ ბერებმა არაო მიუგეს. მაგრამ 30 სექტემბერს და 3 ოქტომბერს, ხოპის მონასტრის დიდებულ ტაძარში აქა-იქ საშინელი ღვარი იდგა.

ხოპელი

ხოპი (სამეგრელო). გაზ. ცნობის ფურცელი, №618, 1898

ხობის ეპისკოპოსების და მონასტრის წინამძღვართა ჩვენს მიერ წარმოდგენილი ქრონოლოგიური რიგი XIII საუკუნიდან XVIII საუკუნის დასასრულამდე:

ეგნატე ხობის წინამძღვარი – XIII-XIV საუკუნეთა მიჯნა

ილარიონი – ?

თადეოზ ხოპელი – XIV საუკუნის დამლევს XV ს. დამდეგს

იარმუკობა გასულ წლებში 10-20 აგვისტოს არსებობდა, - წელს ადგილობრივ ბოქაულმა ვაჭრებს გამოუცხადა: 13-20 რიცხვებში გაქვსთ უფლება, ამ რიცხვების გარდა არ შემიძლია ვაჭრობის ნება მოგცეთო.

14 აგვისტოს დილით ბოქაულმა ბ. ავალიშვილმა შუა ბაზარში ადმართა სადღესასწაულო ბაირადი, მოუწოდა ვაჭრებს და მთელ ბაზრობას, მიიწვია მონასტრის წინამძღვარ-ბერები და სამღვდელოება, ზარების რეკით, ჯვრით და ხატებით შუა ბაზარში წყალი აკურთხეს, მოვლენის შემდეგ, ხალხი და კარავები ნაკურთხი წყლით სხურებულ იქმნენ.

ეპისკოპოსის წირვა. 13-20 აგვისტო. ამ დღესასწაულის პატივ-საცემლად, მიუხედავად დიდი წვიმისა, 13 აგვისტოს მობრძანდა გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსი ალექსანდრე, თვისის საკათედრო დეკანოზით, კრებულით და მგალობლებით. ხოპის მონასტრის წინამძღვარს და ძმებს თავის ხელით ჩააბარა, ამას წინათ მისგან შეწირული ერთი ათასი მანეთის ბილეთი მონასტრის სასარგებლოდ. ტაძრის დღესასწაულობა, ღამის თევით თვითონ შეასრულა: არხიმანდრიტებით, დეკანოზით, მღვდელ მონაზვნებით, იმდენი მლოცველები იყვნენ, რომ თითქმის ორ საათს გაგრძელდა მეუფის მიერ წმ. ზეთით ხალხის კურთხევა. მეორე დღეს 15 აგვისტოს, იმავე სამღვდელოებით შეასრულა სამღვთო ლიტურღია, გარდაიხადა ღვთის მშობლის პარაკლისი მუხლმოდრეკით. კათედრიდგან მხცოვანმა მღვდელ-მთავარმა წარმოსთქვა საგრძნობელი დღესასწაულის შესახებ მოძღვრება და ყველა შეავედრა ღვთის მშობლის შემწეობა მფარველობას და აქ მსვენარე წმიდათა ნაწილებს.

არავის არ ახსოვს, ჩვენ დროში, ამ დიდებულ ტაძრის დღეობა ეპარქიის მღვდელთ მთავრებს შეესრულებიოს. ამიტომაც ამ უმაგალითო მოქმედებამ დიდად პატივცემული მღვდელთ მთავრისამ განუსაზღვრელი სიყვარული და პატივისცემა გამოიწვია სამეგრელოს საზოგადოებისაგან.

ხოპელი

დაბა ხობი (ზუგდიდის მაზრა). გაზ. ივერია, 1891, №187.

ხობში ძველის დროიდგან არსებობს მშვენიერი მონასტერი ადგილობრივ მცხოვრებლებისათვის. აშენებულია მაღალ მთიან ადგილზედ და გარშემო უძევს მშვენიერი ველი და მინდორი, ხე-მამულებით დაბურული. აქ, ველზედ, ყოველ წლობით იმართება იარმუკა პირველ მარიამობისთვიდგან 16-მდე და ეძახიან „ხობის მონასტრის იარმუკობას“. წლეულსაც ხობის მონასტრის იარმუკა შესანიშნავად იყო მოწყობილი ჩვეულებრივ: დროებითი გამართეს კარვები, უანგარიშო საქონლით გამოტენილი. დარიც მშვენიერი და სასიამოვნო დაუდგათ და აღებ-მიცემას გვარიანი იყო.

ხობი (სამეგრელო). გაზ. ცნობის ფურცელი, №2302, 1903

აქ არსებობს სამონასტრო სკოლა და მახლობლად სამრევლო.

ტ. სენაკელი

იოაკიმე კათალიკოსი – 1470-1474 წ.

საბა ხობელი – XV საუკუნის 80-იანი წლები

ბართლომე ხობელი – 1488-1519 წწ.

ნიკოლოზ ხობელი (წულუკიძე) – 1554-1569 (არ ვიცით გარდაცვალება)

ნიკოლოზ ხობელი (ჩოლოყაშვილი) – 1639-1640 წწ. (წინამძღვარი)

ზებედე – 1673-1696 (წინამძღვარი)

ეფთვიმე ფაღავა – XVII საუკუნის დასასრული, XVIII ს-ის დასაწყისი

ფილიმონი –? – XVIII ს. შუა ხანები

... აბაშიძე – ? 1767 წელი.

ა. სიჭინავას და გ. ჩიტაიას მიხედვით:

ეგნატე ხოპის წინამძღვარი – [XIII ს. დამლევი – XIV ს. დამდეგი;]

თადეოზ ხოპელი – [XIV ს. დამლევი – XV ს. დამდეგი;]

საბა ხობელი – [XV საუკუნის I ნახევარი;]

ნიკოლოზ ხოფელი (წულუკიძე) – XVI საუკუნის II ნახევარი;

ნიკოლოზ ხობელი (ჩოლოყაშვილი) – (1632-1642);

ილარიონ ხობელი – ?

ზებედე – ? [XVII საუკუნის მეორე ნახევარი;]

ეფთიმე ფაღავა – XVII ს. დამლევი XVIII ს. დასაწყისი;

ფილიმონი – ? [XVIII საუკუნის შუახანები;]

... აბაშიძე – 1767 წელი;

ხობის მონასტრის წინამძღვარნი:

გრიგოლ (მიქელაძე) – 1806-1836;

ბესარიონი (ჭყონია) – 1840-1857;

ბესანიონი (ჩიჩუა) – 1857-1863;

გერმანე – 1864-1868;

გრიგოლი (დადიანი) – 1871-1879;

ბენიამინი (ჭყონია) – 1880-1893;

სიმეონი (აფაქიძე) – 1894-1906;

ნიკოლოზი – 1907-1911;

დიონისი – 1912;

დიმიტრი – 1913-1914;

შიო (ქვილითაია) – 1915-1928;

ალექსი (მირცხულავა) – 1928-1962;

მარკოზი – (ბულუხია) 1989 წლის სექტემბრიდან დეკემბრის ჩათვლით;

ისააკი (ენუქიძე) 1990 წლის იანვრიდან 15 აპრილამდე;

მარკოზი (ბულუხია) 1990 წლის აპრილიდან დეკემბრის ბოლომდე;

დავითი (ენუქიძე) 1991 წლის იანვრიდან დეკემბრის ბოლომდე;

ავთანდილი (ჭოხონელიძე) 1992 წლის იანვრიდან 1997 წლის თებმერვლამდე;

გიორგი (ტაბაღუა) 1997 წლის მარტიდან დეკემბრის ბოლომდე;

გაბრიელი (წულაია) 1998 წლის იანვრიდან ოქტომბრის ბოლომდე;

ნიკოლოზი (ღლონტი) 1998 წლის ნოემბერი-დეკემბერი;

ილია (ლომაია) 1999 წლის იანვრიდან“[1].

გ. კალანდიას მიხედვით:

1. ეგნატე – XIII ს-ის I ნახ., 1212-1222 წწ., წინამძღვარი.
2. თადეოზი – XIV-XV სს. მიჯნა., ეპისკოპოსი.
3. საბა – XV ს-ის I ნახ., ეპისკოპოსი.
4. ილარიონი – XIV ს-ის I ნახ., ეპისკოპოსი.
5. ნიკოლოზ წულუკიძე – XVI ს., 1569 წლის ახლო პერიოდი, ეპისკოპოსი.
6. ნიკოლოზ ჩოლოყაშვილი – წინამძღვარი 1632-1640 წწ., ეპისკოპოსი 1640-1657 წწ.
7. ევთიმე ფაღავა – XVII ს., მთავარეპისკოპოსი.
8. ზებედე – XVII ს. 80-იანი წწ. წინამძღვარი.
9. გრიგოლ მიქელაძე – 1806-1836 წწ., წინამძღვარი.
10. ბესარიონ ჭყონია – 1840-1857 წწ., წინამძღვარი.
11. ბესარიონ ჩიჩუა – 1857-1863 წწ., წინამძღვარი.
12. გერმანე – 1864-1868 წწ., წინამძღვარი.
13. გრიგოლ დადიანი – 1871-1879 წწ., წინამძღვარი.
14. ბესარიონ ჭყონია – 1880-1893 წწ. წინამძღვარი.
15. სიმონ აფაქიძე – 1894-1906 წწ. წინამძღვარი.
16. შიო ქვილითაია – 1915-1928 წწ., წინამძღვარი.
17. ალექსი მირცხულავა – 1928-1962 წწ., წინამძღვარი[2].

---

[1] ხობის მონასტერი, დასახ. ნაშრომი, გვ. 36-37.
[2] გ. კალანდია, დასახ. ნაშრომი, გვ. 166-167.

ხობის მონასტრის და საეპისკოპოსოს ყმა მამულების და ზუსტი საზღვრების შესახებ ჩვენ პირდაპირი ცნობები ცოტა გვაქვს, მაგრამ ზემოთ ჩვენს მიერ წარმოდგენილი მასალების საფუძველზე, მიახლოებითი მონახაზის გაკეთება მაინც არის შესაძლებელი. ზემოთ მოყვანილი ხობის მონასტრის სანთლის შეწირულობის ნუსხიდან და მამულების განახლების სიგელებიდან ჩანს, რომ მას საკმაოდ დიდი შემოსავალი უნდა ჰქონოდა და ერთ-ერთი მსხვილი სამონასტრო ცენტრი უნდა ყოფილიყო. რაც შეეხება საზღვრებს ის ალბათ მოიცავდა ტერიტორიას მდ. ცივიდან მდ. ჭურიამდე; მდ. ხობის ქვემო წელს; სოფლებს ბიას, ხორგას და მის ირგვლივ, ანუ მონასტრის ირგვლით მიმდებარე ადგილებს. ასევე სოფლებს ქარიატას, ყულევს (კემხელი), ასევე მდ. რიონის პირა სოფლებს და ჭალადიდს, საღვამიჩაოს, საქორქიოს. მისი საზღვარი დასავლეთით, ალბათ სოფ. ხეთამდე ვრცელდებოდა, ხოლო ჩრდილოეთით ნოჯიხევ-ბიას ხაზამდე.

2. ხობის სასახლე

ეკლესიის დასავლეთით, გალავანში ჩაშენებულია ორსართულიანი შენობა; ხობის მონასტერში მოღვაწე ბერ-მონაზონმა კალისტრატემ საინტერესო ცნობები დაგვიტოვა მონასტრის ნაგებობებზე „ეკლესიის ზღუდეში ჩაშენებულია... ორსართულიანი პალატი, სიგრძე 42 ალაპი, განი 12 ალაბი, სიმაღლე 17 ალაბი, ქვედა სართულში მარანია ძველ ქვევრთა შორის, ერთი მათგანი 365 კოკისაა“[1].

ც. ჩაჩხუნაშვილი, ხეობის სასახლის აშენებას, მისი გალავნით შემოზღუდვის ხანას უკავშირებს და მას დაახლოებით XVI-XVIII საუკუნეებით ათარიღებს, თუმცა ავტორი, მის ზოგიერთ დეტალს უკავშირებს საქართველოს სხვა VII-IX საუკუნეების სინქრონულ ძეგლებს [2], რაც ვფიქრობთ, გასათვალისწინებელი გარემოებაა და საკითხი ახალი მასალების წარმოჩენას მოითხოვს და თარიღის მეტ დაზუსტებას მოგვცემს.

აქვე აღვნიშნავთ, რომ ხობის სასახლე უკვე მოხსენიებულია 1470-1474 წლის შამადავლე დადიანის მიერ შედგენილ წიგნში საკათალიკოზო სარგოს შესახებ (იხ. ზემოთ) და ვფიქრობთ ის ლიპარიტ I დადიანის (1414-1470) დროს უკვე აშენებულ უნდა იყოს.

ხეთის თემი

[1] ც. ჩაჩხუნაშვილი, ხობის სასახლე, ძეგლის მეგობარი, №2, 1989, გვ. 51.
[2] ც. ჩაჩხუნაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 54-55.

ხეთა, ხამისქური პირველი მაისი

1. ქორთოძეთა ციხე-სიმაგრე

სოფელ ხამისკურში (ხეთა) სენაკი-ზუგდიდის ცენტრალური საავტომობილო გზის მარცხენა მხარეს, საქირიოს უბანში, ვაკეზე დგას ციხე-სიმაგრე, რომელიც საკმაოდ დიდ ნაგებობას წარმოადგენს. მას ადგილობრივები „ჯიხას“ სახელწოდებით იცნობენ, ზოგიერთები კი ქორთოძეთა ჯიხას უწოდებს. მას აქვს 2 კოშკი. ნაშენია რიყის ქვით კირის დუღაბზე. მისი მდებარეობის გამო მას დიდი საერთო თავდაცვითი სისტემის ხაზისთვის ფართო სტრატეგიული მდებარეობა არ უნდა ჰქონოდა, არამედ კონკრეტული ფეოდალის ციხე-სიმაგრე უნდა ყოფილიყო; მაგრამ ასევე აღსანიშნავია, რომ ის უყურებს ჯეგეთის მთას ჩრდილო-აღმოსავლეთისკენ და პირველი პუნქტი რომელიც ზღვიდან ამოსულ მტერს ხვდებოდა, დასავლეთიდან და სამხრეთ-დასავლეთიდან სწორედ ეს ციხე-სიმაგრე იქნებოდა. მისი გარშემოწერილობა დაახლოებით 260-270 მეტრია.

ხეთის ციხე-სიმაგრე მოხსენიებული აქვს ვახუშტი ბატონიშვილს. „... მთის ძირს, ველსა ზედა არს ხეთას ციხე და სასახლე დადიანისა“[1]. ასევე ეს ციხე-სიმაგრე უნახავს რაფიელ ერისთავსაც[2].

ეს ციხე-სიმაგრე აღწერილი აქვს გ. ჩიტაიას, კერძოდ ავტორის აღნიშვნით, „ის ფორმით მრგვალია, ზომის საკმაოდ დიდია, მისი შიდა ეზოს ფართობი არანაკლებ 4 ათას კვ. მეტრია. გალავანს შიგნიდან მიშენებული აქვს სამი დიდი ოთხკუთხა კოშკი. ციხისა და კოშკების სიმაღლე 7-10 მეტრს აღწევს. მათი ზედა ნაწილი „წაკვეთილია“, ციხის შესასვლელი, ჩრდილოეთის მხრებიდან აქვს. გალავნის ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაწილი ძლიერ დაზიანებულია, ხოლო დასავლეთი საფუძვლამდეა დანგრეული. ჩრდილო-აღმოსავლეთიდან მდებარე კოშკსა და კარიბჭეს შორის გალავანში გამართულია სათოფე ნიში. გალავნის აღმოსავლეთ ნაწილში შეიმჩნევა გაურკვეველი ნაგებობის მინაშენის კვალი. კოშკები ძირითადად ნაგებია ადგილობრივი კირქვებით, გამოყენებულია აგრეთვე დიდი ზომის რიყის ქვებიც, ციხის გარეთ, სამხრეთ-დასავლეთით რამდენიმე მეტრში გამოდის წყარო[3]. ავტორის აზრით, ეს ციხე-სიმაგრე XVII საუკუნემდეა აშენებული ანუ ლევან II დადიანის დრომდე. ავტორი, ამ ფაქტს

---

[1] ქართლის ცხოვრება, ტ. IV, თბ., 1973, გვ. 178.
[2] გ. ჩიტაია, ფოთისა და ხობის ეპარქია, ისტორიული ძეგლები, თბ., 2007, გვ. 70.
[3] გ. ჩიტაია, დასახ. ნაშრომი, გვ. 69.

ხსნის იმით, რომ ლევან II-ის დროს რომ ყოფილიყო აშენებული ის ჩვენთვის ცნობილი იქნებოდა, ამავე დროს მისივე აზრით, შემდგომ პოლიტიკური ვითარება ასეთი ციხის აშენების საშუალებას არ იძლეოდა, ამავე დროს, მას აქვს სათოფურები მწირი რაოდენობით, რაც მისი აშენებისას თოფების ფართოდ არგავრცელების დროს ადასტურებს[1]. ვფიქრობთ, ეს მოსაზრება სწორია და თ. ბერაძეც ხეთის ციხის უძველეს ფენას წყობით მიხედვით XII-XIII საუკუნეებს აკუთვნებს[2].

ჩვენ ადგილობრივებმა მიგვითითეს იმ ადგილის შესახებ სადაც იდგა დადიანების სასახლე. ეს გახლავთ ქორთოძეთა ციხე-სიმაგრიდან დაახლოებით 1 კილომეტრში ჩრდილო-აღმოსავლეთით, საიდანაც კარგად ჩანს ურთის ანუ ჯეგეთის მთა.

ქორთოძეთა საგვარეულო, როგორც ჩანს, ერთ-ერთი ძლიერი სათავადო გვარი იყო დადიანთა სამთავროში და მათ იქ მაღალი თანამდებობები ეკავათ. როგორც ცნობილია, ლევან II დადიანმა გააგდო თავისი პირველი ცოლი სეტემან შერვაშიძის ასული, რომელსაც, არქ. ლამბერტის ცნობის თანახმად, „ეტრფიალებოდა“ მისი ვეზირი პაპუნა (აპონია); ის მეორე პირი იყო დადიანთა სამთავრობო კარზე და როგორც ი. ანთელავა აღნიშნავს, ამ მიზეზით (დადიანმა არა მარტო ამ მიზეზით, არამედ სხვა პოლიტიკური მოსაზრებათა გამოც გამოიყენა ეს ვითარება – დ. ჭ.) მაშინვე გააგდო ცოლი, ხოლო ეს ვეზირი, ვინმე პაპუნა (ა. ლამბერტის მიხედვით) სასტიკად დასაჯა[3]. გამოთქმული მოსაზრებით, ლამბერტი ცდება, როცა აღნიშნავს ამ ვეზირის სახელად პაპუნას (როგორც ჩანს ლამბერტს აერია სახელები, რადგან ეს ნაშრომი მან შემდგომში დაწერა და ის ვეზირი ალბათ კარგად ცნობილი ვეზირი პაატა წულუკიძე იყო, ხოლო ლამბერტის ამ ვეზირად მას მიაჩნია ამ უკანასკნელამდე ვეზირად მყოფი პიროვნება, რომელიც ლუი გრანჟეს 1615 წლით დათარიღებულ წერილშია მოხსენიებული სახელით კორტუგა (ცორტუგა), ის დადიანის პირველი ვეზირი იყო და დიდად პატივცემულ პიროვნებად არის მოხსენიებული მთელს ოდიშში. ი. ანთელავა, ერთ-ერთი დოკუმენტზე დაყრდნობით („ქრთამის გამოღების წიგნი კათოლიკოს ექვთიმე საყვარელიძისა ლევან დადიანისა და გიორგი ლიპარტელიანისადმი“ – თარიღდება 1611-1616 წლით). ამავე დროს აღნიშნავს, რომ სამთავრო სახლის წევრების შემდეგ კათოლიკოსის ჩამონათვალში დასახელებულნი არიან მერაბ ქორთოძე[4] (თუმცა იქ თანამდებობები არაა

---

[1] გ. ჩიტაია, დასახ ნაშრომი, გვ. 71.

[2] თ. ბერაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 215.

[3] ი. ანთელავა, ლევან II დადიანი, თბ., 1990, გვ. 61-62.

[4] „თქვენ ქრისტეს ღვთის მიერ კურთხეულმან აფხაზეთის კათოლიკოსმან ეფთვიმე საყვარელიძის ძემან ... მივეც მირაბ ქორთოძეთა ერთი ბედაური ცხენი მისის უნაგირითა და ასლითა და ზირაქეთა შეკაზმული.

„ნებითა შეწევნითა წყალობითა ღვთისათა ჩვენ გურიელ კათოლიკოზმან მალაქია შეესწირეთ ბიჭვინთის ღვთისმშობელსა... ერთი პატიოსანი ძილის ჭრელი ნუსხითა. ერთი ჟამნი, დავითნი. ერთი კურთხეულნი, ერთი გულანი კახელის ეფთვიმე კათალიკოზისაგან იყო და წერილი და ხატის შეწირული არ იყო და ბატონის დადიანს წაეღო და მე ვთხოვე და მიბოძა და აწ მე შემიწირავს. ერთი ეტრენა ოთხმოცი დახატული აქვს, მერაბ ქორთოძისაგან ხალიჩა.

აღნიშნული), რომელიც ავტორს მიაჩნია ლუი გრანჟეს კორტუგად და დადიანის პირველ ვეზირად, ანუ იმად ვინც დადიანმა დასაჯა. ეს ქორიძე სხვა ადგილას მოლარეთუხუცესად არის მოხსენიებული[1]. სამეგრელოში დღესაც ცხოვრობენ ქორთუები და ქორთუშვილები. 1904 წლის აღწერის თანახმად, აბასთუმანსა და ხეთაში მოსახლე ქორთუები აზნაურები იყვნენ, ხოლო ურთაში არის უბანი საქორთუო, ხოლო სოფ. ჯიხაშკარში ტოპონიმი ლუქორთუე[2]. თვითონ გვარი ქორთოძე – „ქართველიშვილს“ ნიშნავს და ამ გვარს ადგილობრივი წარმოშობა არ უნდა ჰქონოდა.

2. სოფელ ხეთის ეკლესიები XIX საუკუნეში და სამღვდელოება

XIX საუკუნის სტატისტიკური აღწერილობის მასალების მიხედვით, სოფელ ხეთაში, რომლის შემადგენლობაში შედიოდა დღევანდელი სოფ. ხამისქურიც იყო, 5 ეკლესია და 1 სკოლა[3].

XIX საუკუნის საარქივო მონაცემებით აქ ცხოვრობს 19 სამღვდელო ოჯახი, სადაც ასევე ჩანს მათი ეკონომიკური მდგომარეობა ანუ მიწის მფლობელობა: 1. გრიგოლავა ეპიფანე, დაბ. 1869 წ. 1 დეს.; 2. შუშუნია ბესარიონ დაბ. 1832 წ. 2 დეს.; 3. ქირია ოქროპირი, დაბ. 1837 წ. 6 დეს. 1350 კვ. საჟ.; 4. ლატარია ირინა, დაბ. 3 დეს. 1800 კვ. საჟ.; 5. კობახიძე კაპიტონი, დაბ. 1883 წ. 1 დეს 2100 კვ. საჟ.; 6.შუშანია იაკობი, დაბ. 1854 წ. 8 დეს. 300 კვ. საჟ.; 7. ცაგურია ანა, დაბ. 1885 წ. 1 დეს.; 8. ტურავა მიხაილი, დაბ. 1871 წ. 2 დეს 600 კვ. საჟ.; 9. კუტალია პავლე, დაბ. 1885 წ. 8 დეს. 12000 კვ. საჟ.; 10. კუტალია სტეპანე, დაბ. 1855 წ. 4 დეს. 900 კვ. საჟ.; 11. ლატარია ლუკა, დაბ. 1850 წ. 2 დეს. 600 კვ. საჟ.; 12. ლატარია გიორგი, დაბ. 1862 წ. 900 კვ. საჟ.; 13. ლატარია პავლე, დაბ. 1864 წ. 1 დეს. 900 კვ. საჟ.; 14. კობახიძე ალექსანდრე, დაბ. 1869 წ. 3 დეს.; 15. ვართიგავა იპოლიტე, დაბ. 1873 წ. 2 დეს.; 16. ჯანაშია კესა, დაბ. 1 დეს.; 17. კუკავა დავით, დაბ. 1856 წ. 2 დეს. 2000 კვ. საჟ.; 18. ლატარია; 19. კოდუა ზოსიმე, დაბ. 1855 წ.[4]

ერთი ვერცხლის ჯვარი... ერთი მურსა ტაშტი, ერთი მომრგვალებული სამზეური. ერთი მომრგვალებული ჩარყაფლი... ოქროქარგული ხალიჩა მომარგალიტებული...“ (იხ. ა. ხახანაშვილი, გუჯარები, ქუთ. 1891, გვ. 139, 140-142).

[1] ი. ანთელავასავე აღნიშვნით, ამის შემდეგ ეს გვარი დაემცრო და გააზნაურეს, ისინი წყაროებში მოხსენიებიან „ქორთოძე“-თაც და „ქორთუაძედ“-აც. იხ. ი. ანთელავა, დასახ. ნაშრომი, გვ. 63-64.

[2] პ. ცხადაია, გვარები და გვართა დასახლებანი სამეგრელოში, თბ., 2000, გვ. 141.

[3] Список населения местам Кавказского края, Сборник сведения о Кавказе, т. V, Тиф., 1879.

[4] Посемеиный списокь лиць привилегированного сословоя по Кутаисскои губерноя Зугдидского уъзда Редут-Кальского полицеиского участка селегоя Хета, Зугдидский уездной начальник 1869-1872 гг, ქუთაისის სახელმწიფო არქივის მასალები, ფონდი №56, საქმე №6 (აქ ჩვენ არ მოგვყავს მთლიანად ოჯახის შემადგენლობა).

3. ხეთა ჩე ოხვამე – წმ. კვირიკეს და ორმოც მოწამეთა სახელობის ეკლესია

სოფელ ხეთაში, სამისკურის საზღვართან ხეთის მთის სამხრეთ ფერდობზე საქირიოს უბანში, დგას ერთნავიანი ეკლესია, რომელიც თითქმის დანგრევის პირას არის მისული, მას ადგილობრივები „ჩე ოხვამეს“ (თეთრი სალოცავი) ეძახიან. გ. ჩიტაიას აღნიშვნით, ამ ფერდობს ხა ლხი „ოხვამე ფერდს“ („სალოცავის ფერდობი“ – დ. ჭ.) ეძახის; ავტორისავე გამოკვლევით, მისი სიგრძე 8.70, სიგანე 6.50, კედლის სისქე კი ერთი მეტრია. ნაგებია ადგილობრივი კირქვით. კედლის ზედა რამდენიმე რიგი, აგრეთვე ჭერი გვიანდელი დანაშენია. ნაგებობას დეკორატიული მორთულობა არ გააჩნია. აქვს ორი კარი – დასავლეთით და სამხრეთით. აქვს სამი სარკმელი, საკურთხეველში ორი ნიშანია და სამი ქვევრი რეზონატური; ნაგებობა მთლიანად დაფარულია მცენარეებით[1], რომლის ფესვებმა კედლები ბევრგან გაბზარეს, განსაკუთრებით დასავლეთისა და ჩრდილოეთის კედელი[2].

ჩვენს მიერ მოპოვებული მასალის საფუძველზე ეს ეკლესია ყოფილა წმ. კვირიკესა და ორმოც მიწამეთა სახელობის. გ. ჩიტაიაც ამ ეკლესიას, წყაროებზე დაყრდნობით, წმ. კვირიკეს სახელობისად ასახელებს და როგორც აღნიშნავდა აქ ერთ დროს მღვდელი ყოფილა ოქროპირ ქირია[3]. ჩვენს მიერ მოპოვებული მასალით აქ ბოლო მღვდელი ყოფილა თევდორე ქირია, რომელიც საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დროს გადაუსახლებიათ. საერთოდ ქირიების გვარი ჩამოსულან აბასთუმნიდან. მათივე გადმოცემით, ჩე ოხვამესთან იყო სამეგრელოს ეპისკოპოსების საზაფხულო რეზიდენცია. ამავე დროს ადგილობრივებმა ჩვენ აქ მღვდლებად ჯოჯუას გვარის ხალხიც დაგვისახელეს, რომლებიც თურმე აზნაურები ყოფილან (შესაძლოა საეკლესიო აზნაურები იყვნენ), ხოლო ეს მიდამოები (თორსა, დღვა, ხეთა, ხამისკური, ერგეტა, მობირი) კობახიძეების (კობახიძეები აზნაურები იყვნენ) სამფლობელო იყო.

გ. ჩიტაიას თქმით, ისტორიკოსების ხარიტონ საკულიასა და ხარიტონ გადელიას ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად წაუკითხავთ ტაძრის სამხრეთ კედელში ჩატანებული წარწერებიანი ქვა. მისივე აღნიშვნით, მათ მიერ გაშიფრული თარიღები ერთმანეთს არ ემთხვევა. ქვაც შემდგომ ჩამოვარდნილა და დამსხვრეულია. ამ წარწერაში მოხსენიებულნი ყოფილან: გერასიმე მღვდელმონაზონი, რომელსაც უნახავს დარღვეული და გარყვენილი ეკლესია, სამეგრელოს მთავარი გრიგოლ დადიანი (1788-1804), ლეონ დადიანი (ლევან V – 1804-1840 – დ. ჭ.), ბატონიშვილი ნიკოლაი, ალბათ „დიდი ნიკო“ დადიანი, ცაიშელი მიტროპოლიტი გრიგოლ ჩიქოვანი. ტაძრის აღდგენას გერასიმე

---

[1] ამჟამად ტაძარი მცენარეებით არ არის დაფარული. ის ადგილობრივებს ამ ბოლო დროს გაუსუფთავებიათ, თუმცა ზოგადად უმძიმეს მდგომარეობაშია.
[2] იხ. გ. ჩიტაია, დასახ. ნაშრომი, გვ. 75.
[3] გ. ჩიტაია, დასახ. ნაშრომი, გვ. 75-76.

მღვდელთმონაზონი ხელმძღვნელობდა და როგორც აღნიშნულია, წარწერის შინაარსი-დან გამომდინარე, ეს 1804 წლამდე უნდა მომხდარიყო, ვიდრე სამეგრელოს მთავარი გრიგოლ დადიანი გარდაიცვლებოდა[1].

4. ხამისკური

სოფელ ხამისკურში დგას წმ. მარიამის სახელობის ახალი 2002 წელს აშენებული ეკლესია.

5. ნალანგერის წმ. გიორგის სახელობის ნაეკლესიარი

სოფელ ხამისკურში ახალ ეკლესიასთან „ნალანგერად“ წოდებულ ადგილას იდგა ხის ეკლესია, რომელიც გასაბჭოების დროს დაუშლიათ; აქ ყოფილა სამრევლო სკოლა, მღვდელი იყო თევდორე ქირია, მოგვიანებით ლადი ქირია. გ. ჩიტაიას მასალებით, ნალანგერის ეკლესია იყო წმ. გიორგის სახელობის და იქ მღვდლები ყოფილან თევდორე და ოქროპირ ქირიები, რომლებიც ასევე ჩე-ოხვამეში იყვნენ მღვდლები. ნალანგურის სასაფლაო და იქ მდგარი ეკლესია უფრო გვიანდელია ვიდრე ჩე-ოხვამე[2].

6. მთავარანგელოზთა სახელობის ეკლესია.

სოფელ ხეთაში „ოხვამეკარად“ წოდებულ გორაკზე დგას მთავარანგელოზთა სახელობის საკმაოდ დიდი ეკლესია, რომელიც დღეისათვის მოქმედია.

ჩვენს მიერ მოპოვებული მასალის საფუძველზე ამ ადგილს და ტაძარს „მიქამგარიოს“ (იგივე მიხეილი და გაბრიელ მთავარანგელოზთა) ეძახიან. აქ ძველად დიდძალი მლოცველი დადიოდა შესაწირავებით. ის ითვლება ბუკიების და ლატარიების ჯინჯ (ძირ) – საგვარეულო ხატად, გადმოცემით ეს ხატი სვანეთიდან

ჩამოუტანიათ. შესაძლოა სწორედ ამ ხატზეა საუბარი, როდესაც ჟან

1
2

შარდენი აღნიშნავს, რომ: „ქურდებს, სიკვდილის შიშით, ყველაზე მეტად ერიდებათ სოფელ ხეთას მცხოვრებ მოზომილეს ოჯახის მთავარ-ანგელოზად წოდებული წმ. გიორგის ხატისა“[1].

აქ ადრე ეკლესიის აშენებამდე უფრო პატარა ძველთაძველი ეკლესია მდგარა[2]. ს. მაკალათიას ცნობით, ლარჩვას მთავარანგელოზს (ლარჩვას უბანში, იქვე ხეთაში დგას ეს ეკლესია. იხ. ქვემოთ – დ. ჭ.) შესთხოვდნენ საქონლის გამრავლებას[3].

დღევანდელი ტაძარი 1885 წელს აუგიათ. ის საკმაოდ დეტალურად აქვს აღწერილი გ. ჩიტაიას. „იგი საკმაოდ დიდია, სიგრძე 17, ხოლო სიგანე 10.50 მ-ია. აშენებულია ადგილობრივი კირქვით, კუთხეები ამოყვანილია კარგად გათლილი მართკუთხა კვადრებით, კედლები კი ფლეთილი კირქვით. ტაძარს აქვს სამი კარი – დასავლეთით, სამხრეთითა და ჩრდილოეთით, კარები კირქვის ლამაზად გათლილი ქვებით არის მოჩარჩოებული და აქვს დეკორატიული თაღები, ნათდება 7 სარკმლით, ორ-ორი აქვს ჩრდილოეთ და სამხრეთ კედლებში და სამი აღმოსავლეთით საკურთხეველს, სარკმლებიც კარების მსგავსად მოჩარჩოებულია და დეკორატიული თაღით არის დამშვენებული. სახურავი შემოსაზღვრულია სადა, მაგრამ საკმაოდ ლამაზად გათლილი კირქვის კარნიზით. ნაგებობას დასავლეთით მიშენებული აქვს ნახევარწრიული თაღებით, ოთხკუთხა სვეტებზე დაყრდნობით ორსართულიანი სამრეკლო, რომელიც ფრონტონით გვირგვინდება, მასზე კი 1885 წელი წერია, რაც ამ ტაძრის აშენების თარიღზე მიგვითითებს. სვეტები, როგორც პირველ აგრეთვე მეორე სართულზე თავდება ძაბრისებური, ოთხკუთხა ჰორიზონტალური ჭრილებით დამშვენებული სვეტისთავებით. ჭერი შიგნიდან ეყრდნობა ორივე მხარეს სამ-სამ ოთხკუთხა სვეტებზე დადგმულ თაღებს. ტაძარს რაიმე განსაკუთრებული დეკორატიული მორთულობა არა აქვს. კანკელი XX საუკუნის ბოლოს მღვდელ ავთანდილ ჭოხონელიძის დროს გაუკეთდა. დღეისათვის ტაძარი სასიამოსნო სანახავია, რადგან მღვდელ კირიონ დარასელიას თაოსნობითა და ძალისხმევით იგი ხელახლა გადაიხურა, შიდა კედლები მობათქაშდა, სვეტები ფიქალით ლამაზად მოპირკეთდა, იატაკზე დეკორატიული თიხის ფილები დაიგო“[4].

გასაბჭოების დროს ეს ეკლესია დაუხურიათ. 1923 წლის 5 მაისს ზუგდიდის მაზრის მილიციის უფროსს (სამეგრელოს) მუზეუმისათვის ჩაუბარებია ვერცხლით მოჭედილი წმ. მთავარანგელოზთა ხატი ზომის 47X44,5 სმ. ვერცხლის ბარძიმი, ფერხუმი, კოვზი და სავარცხელი[5].

7. კორცხოს წმ. თევდორე ტირონის სახელობის ეკლესია

სოფელ კორცხოში (ხეთა) მაღალ მთაზე საკუტალიოს უბანში დგას კორცხის წმ. თევდორეს სახელობის ქვის პატარა ეკლესია. ადგილობრივთა გადმოცემით, კორცხოს ეკლესია აუშენებიათ XVIII საუკუნეში, ხუროთმოძღვარი ყოფილა ვინმე ხეცურიანი, ძველად ამ ეკლესიის ადგილას მდგარა უფრო ძველი უხეში ქვით ნაშენი ეკლესია. XVI

---

[1] ჟან შარდენის მოგზაურობა, დასახ. ნაშრომი, გვ. 152.
[2] გ. ჩიტაია, დასახ. ნაშრომი, გვ. 85.
[3] ს. მაკალათია. სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, თბ., 1941, გვ. 438.
[4] გ. ჩიტაია, დასახ. ნაშრომი, გვ. 84-85.
[5] გ. ჩიტაია, დასახ. ნაშრომი, გვ. 85-86.

საუკუნეში სოფ. კველთაში (ეს სოფელი სადღაც ახლოს უნდა ყოფილიყო) ჩამოსულა ერთი განდეგილი და მისულა დადიანებთან, შემდგომ ის წამოსულა ურთას მთისკენ და მოსულა ჯეგეთაში, სადაც იყო წმ. გიორგის მისარონის სამლოცველო. იქიდან ამ ადგილას გადმოსულა და აუშენებია ქვის პატარა საყდარი. შემდგომ კი აქედანაც წასულა. ამის შემდგომ სოფ. აბასთუმნიდან ჩამოსულან კუტალიები და ეს ეკლესიაც მათ გვარის სალოცავი გამხდარა. აქ მღვდლად დამდგარა მარკოზ კუტალია და დადიანებისგან მოცემული დახმარებით აუგია ახალი ეკლესია, რომელიც ეხლაც დგას; ის მღვდელიც ეკლესიის შიგნით დაუკრძალავთ. შემდგომ აქ მოსულა მონაზონი ვინმე სალომე, რომელსაც იქ სადაც დღეს არის კუჭავების სასაფლაო, აუშენებია ხის ქოხი და იქ უცხოვრია. ეს ეკლესია მოუხატია ვინმე პეტრე (პაპუ?) მეუნარგიას.

ამ ეკლესიის შესასვლელ კართან დევს წარწერიანი ქვა, ასევე დასავლეთით შესასვლელ კართან არის მეორე წარწერა. გ. ჩიტაიას თქმით, დასავლეთის წარწერიდან ვიგებთ, რომ მღვდელ მარკოზ კუტალიას, წმ. თევდორეს სახელზე, ცაიშელი მიტროპოლიტის გრიგოლ ჩიქოვანის (1776-1823) ბრძანებით და შეწევნით 1820 წელს აუგია, მას კალატოზებით ნიკოლოზ დადიანი დახმარებია („დიდ ნიკოს“ – ოდიშის სამთავროს მსაჯულთუხუცესი და ლეჩხუმის მთავარმოურავი). მშენებლობაში მონაწილეობდნენ მღვდელი მარკოზ კუტალია და მისი სახლიკაცები, ასევე მუშაობაში მონაწილეობა მიუღიათ მეუნარგიებს და კოდუებს[1]. ტაძრის სიგრძე 8.70 მეტრია, სიგანე 6.20 მეტრი, კედლის სისქე 77 სანტიმეტრია. მას აქვს დასავლეთით და სამხრეთით ორი კარი, სამხრეთით, დასავლეთით და აღმოსავლეთით სამი სარკმელი, რომელიც მოჩუქურთმებულია ლამაზად გათლილი კირქვით, სხვა დეკორატიული შემკულობა ტაძარს არა აქვს[2]. ეკლესია ძალზედ რთულ მდგომარეობაშია, ის დანგრევის პირას არის მისული.

მღვდელ კუტალიების გენეალოგია ჩვენ ამ სახით ჩავიწერეთ:

მარკოზი

ალექსი

ნიკოლოზი (კოლია)

გიგლა (მათი შთამომავალია და დღესაც ცოცხალია)

8. ადგილი „ნაბერა “ (სადროშო) – ნაგებობის ნაშთები

[1] გ. ჩიტაია, დასახ. ნაშრომი, გვ. 80-81.
[2] გ. ჩიტაია, დასახ. ნაშრომი, გვ. 81.

სოფელ ხამისქურში, ურთის მთაზე, ცენტრიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით არის ადგილი სახელწოდებით „ნაბერა “. ბერაყ (ბაირაღი) მეგრულში დროშის აღმნიშვნელ სახელწოდებად დამკვიდრდა, რომელიც თურქულიდან შემოსული სიტყვა ჩანს. აქ არის ნაგებობის ნაშთები და როგორც გ. ჩიტაია აღნიშნავს, მას 3000 მეტრამდე ტერიტორია უკავია[1]. ძეგლი სათანადო მეცნიერულ კვლევას მოითხოვს, თუმცა სავარაუდოდ ის ქრისტიანობამდელი ეპოქის ნაგებობის ნაშთი უნდა იყოს და ციხე-სიმაგრის შთაბეჭდილებას ტოვებს.

ამ ეკლესიის შესასვლელ კართან დევს წარწერიანი ქვა, ასევე დასავლეთით შესასვლელ კართან არის მეორე წარწერა. გ. ჩიტაიას თქმით, დასავლეთის წარწერიდან ვიგებთ, რომ მღვდელ მარკოზ კუტალიას, წმ. თევდორეს სახელზე, ცაიშელი მიტროპოლიტის გრიგოლ ჩიქოვანის (1776-1823) ბრძანებით და შეწევნით 1820 წელს აუგია, მას კალატოზებით ნიკოლოზ დადიანი დახმარებია („დიდ ნიკოს“ – ოდიშის სამთავროს მსაჯულთუხუცესი და ლეჩხუმის მთავარმოურავი). მშენებლობაში მონაწილეობდნენ მღვდელი მარკოზ კუტალია და მისი სახლიკაცები, ასევე მუშაობაში მონაწილეობა მიუღიათ მეუნარგიებს და კოდუებს[2]. ტაძრის სიგრძე 8.70 მეტრია, სიგანე 6.20 მეტრი, კედლის სისქე 77 სანტიმეტრია. მას აქვს დასავლეთით და სამხრეთით ორი კარი, სამხრეთით, დასავლეთით და აღმოსავლეთით სამი სარკმელი, რომელიც მოჩუქურთმებულია ლამაზად გათლილი კირქვით, სხვა დეკორატიული შემკულობა ტაძარს არა აქვს[3]. ეკლესია ძალზედ რთულ მდგომარეობაშია, ის დანგრევის პირას არის მისული.

მღვდელ კუტალიების გენეალოგია ჩვენ ამ სახით ჩავიწერეთ:

მარკოზი

ალექსი

ნიკოლოზი (კოლია)

გიგლა (მათი შთამომავალია და დღესაც ცოცხალია)

8. ადგილი „ნაბერა “ (სადროშო) – ნაგებობის ნაშთები

[1] გ. ჩიტაია, დასახ. ნაშრომი, გვ. 57.
[2] გ. ჩიტაია, დასახ. ნაშრომი, გვ. 80-81.
[3] გ. ჩიტაია, დასახ. ნაშრომი, გვ. 81.

სოფელ ხამისქურში, ურთის მთაზე, ცენტრიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით არის ადგილი სახელწოდებით „ნაბერა “. ბერაყ (ბაირადი) მეგრულში დროშის აღმნიშვნელ სახელწოდებად დამკვიდრდა, რომელიც თურქულიდან შემოსული სიტყვა ჩანს. აქ არის ნაგებობის ნაშთები და როგორც გ. ჩიტაია აღნიშნავს, მას 3000 მეტრამდე ტერიტორია უკავია[1]. ძეგლი სათანადო მეცნიერულ კვლევას მოითხოვს, თუმცა სავარაუდოდ ის ქრისტიანობამდელი ეპოქის ნაგებობის ნაშთი უნდა იყოს და ციხე-სიმაგრის შთაბეჭდილებას ტოვებს.

9. მისარონფერდი (მისარონის ანუ წმ. გიორგის სალოცავი)

საფარცვანიოს უბანში – ვენერა ფარცვანიას სახლთან, ხამისქურის ღელესთან მდებარეობს ადგილი „მისარონფერდი. „ჯეგე მისარონი“ უძველესი წარმართობისდრო-ინდელი სალოცავი იყო სამეგრელოში, რომლის რწმენა წმ. გიორგიმ შეცვალა და მას სათანადო გამოკვლევა მიუძღვნა ს. მაკალათიამ[2], ხოლო კონკრეტულად ამ ადგილის შესახებ აღნიშნავს, რომ ის ითვლებოდა ხეთელი ფარცვანიების „ჯინჯ ხატად“, აქ წინათ ყოფილა პატარა ეკლესია ჯეგე-მთავარანგელოზ მისარონის სახელზე. გადმოცემით, ეს ეკლესია თათრებს დაუნგრევიათ, ხატები წაუღიათ აჭარაში და აქ განუზრახავთ მისარონის ხატის დამტვრევაც, მაგრამ ისინი დაბრმავებულან და მათში თვალის სნეულება გავრცელებულა. მაშინ თათრებს გამოუგზავნიათ ერთი უღელი ხარი მისარონში და უთხოვიათ პატიება. ხარი დაუკლავთ და საღვთო გადაუხდიათ. ხატობა მისარიონის ფერდზე დადიოდნენ თებერვალში, დიდმარხვის წინ. ხატში შესაწირავად მიჰქონდათ მოხარშული კვერები, კვერცხები და აქ მისარონს შესთხოვდნენ თვალის საღობას[3].

10. ჯეგეთას წმ. გიორგის სახელობის სალოცავი

„ჯეგე“ მეგრულში წმ. გიორგის ნიშნავს. ჯეგეთის სალოცავი მდებარეობს ურთის მთის წვერზე, საიდანაც მისგან სამხრეთით კარგად მოჩანს ხეთის (ქორთოძეთა) ციხე-სიმაგრე.

ჯეგეთის მისარონის სალოცავი საკმაოდ დეტალურად აქვს აღწერილი ს. მაკალათიას: „ჯეგეთა“ ან „ჯეგე-მისარი“-ს სამლოცველო მოთავსებულია სოფელ ხეთაში ერთ მაღალ და ტყიან გორაკზე, რომელსაც „ურთა“-ს უწოდებენ. ამ ურთას წვერის დავაკებაზე დაცულია ძველი პატარა „ჯეგეთა“-ს ეკლესია. ნიადაგი კირქვიანია. ეკლესია ნათალი ქვით არის ნაგები და უგუმბათოა. მისი სიგრძე უდრის 6 მეტრს, განი კი 3 მეტრს. ეკლესიას ერთი კარი აქვს დასავლეთის მხარეზე, რომლის კარიბჭეზე დაცულია ვრცელი ხუცური წარწერა, წარწერა ეკუთვნის XVII ს. პირველ ნახევარს, ლევან II დადიანის დროს. წარწერაში მოხსენიებულია აფხაზეთის კათალიკოსი და ცაიშელ-ჯუმათელ-ხონელი მთავარეპისკოპოსი გურიელი გიორგის ძე მალაქია, რომელიც მოგვითხრობს დიდ მიწისძვრაზე, ცაიშისა და ურთის ეკლესიების დანგრევაზე და შემდეგ მის მიერ მათ აღდგენა-განახლებაზე. ეკლესია შიგ მოხატული ყოფილა.

[1] გ. ჩიტაია, დასახ. ნაშრომი, გვ. 57.
[2] ს. მაკალათია, ჯეგე-მისარონის კულტი ძველ საქართველოში, თბ., 1928.
[3] ს. მაკალათია, სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, თბ., 1941, გვ. 458.

შერჩენილია ერთ კედელზე მთავარანგელოზის სურათის ზემო ნაწილი. ეკლესიის დასავლეთ მხარეზე დაცულია ძველებური „სასანაკო“, სადაც ხატობას ღამის მთეველები დგებოდნენ თურმე. იგი ნაგებია ლამაზად და მკვრივად, ოთახები თაღებიანია, ზემო სართული ეტყობა მიწისძვრისაგან დაქცეულია. ჯეგეთაში დიდი ხატობა იმართებოდა 23 აპრილს და აქ ლოცულობდნენ წმ. გიორგი ჯეგე-მისარს. მომლოცველი ღამე დგებოდა და ხატს ღამეს უთევდა – „ხატიში ითონჯირა“. ჯეგეთაში შეხვეწილებს მიჰქონდათ ბოძლები. ვისაც რაიმე ავადმყოფობის გამო ჯეგე-მისარისათვის შეთქმული ჰქონდა ბოძალის მიტანა, ის მას შეუკვეთავდა მჭედელს და შემდეგ ამ ბოძალით მიდიოდა ჯეგათას ეკლესიაში, სადაც ევედრებოდა ჯეგე-მისარს მეხისაგან დაცვას და აგრეთვე ყოველგვარი ბოროტ და მავნე სულებისაგან მფარველობას. შემდეგ ამ ბოძალს იქვე ტოვებდნენ. ამის გამო, აქ დიდძალი სხვადასხვა ზომის ბოძლები ინახებოდა. ამ ბოძლების მიხედვით, ხატის მსახურნი წინასწარმეტყველებდნენ ჯეგეთობა დღეს. ჯეგეთაში ბოძლები განსაკუთრებით კუკავას გვარის მლოცველებს მიჰქონდათ. ჯეგეთას ეკლესია მთელი წლის განმავლობაში დაკეტილი ყოფილა და მას მნათეები მხოლოდ ერთხელ 23 აპრილს გააღებდნენ თურმე. ამ დღეს მნათეები გადამალულ ბოძლებს ეკლესიაში შეიტანდნენ. თუ ბოძალი ბევრი იყო, მაშინ იტყოდნენ, რომ კარგი მოსავალი იქნებაო. თუ ცოტას შეიტანდნენ – ცუდიო. ხალხის წარმოდგენით, ეს ბოძლები ეკლესიაში ვითომც წმ. გიორგის მიჰქონდა ხატობა დღეს. დღეობის შემდეგ, მნათეები ამ ბოძლებს ისევ გადამალავდნენ და ხალხს არწმუნებდნენ, რომ ბოძლები წმ. გიორგიმ ისევ გაიტანაო. ამის მიხედვით, ხალხი წინასწარმეტყველებდა და ამბობდა, როცა წვიმიანი ამინდებია, ბოძალი ბევრი იქნებაო, გვალვაში კი ნაკლებიო. როცა ავდარია, წმ. გიორგის ბოძალი ჯეგეთას ეკლესიიდან გააქვს და ამით სცემს გველეშაპს, რაც იწვევს ქუხილსა და მეხსაო. აქვე ყოფილა დაცული მშვილდი, რომელშიაც მნათეები მახვეწარს გაატარებდნენ. ხეთიდან გამოთხოვილ ქალებს ჯეგეთაში მიჰქონდათ შემწვარი გოჭები, რომლის თავს აძლევდნენ მნათეებს, ხორცს კი თვითონვე ჭამდნენ. ვისაც დათქმული ჰქონდა, აქ მოჰქონდა „ბონი“, რომელიც გრძელი და სწორი ხე იყო, სიგრძით აღწევდა 3-4 მეტრს. ბონისათვის არჩევდნენ იფნის, ცაცხვის ან ფიჭვის სწორსა და ლამაზ ხეს. მას ფერადი საღებავებით ააჭრელებდნენ, შეამკობდნენ საწირ-სანთლებით. ბონს ძირი ჰქონდა ბოძალივით წაწვეტებული და მას მიიტანდნენ ეკლესიაში და იქ მიაყუდებდნენ, მეხატული მხვეწარს დაამწყალობებდა წმ. გიორგი ჯეგე-მისარის სახელით. ხეთაშივეა „კვირკველი“-ს სამლოცველო ეკლესია, რომელიც არჩენდა, ხალხის რწმენით, მუცლის სისუსტით დაავადებულებს“[1].

ჯეგეთის ეკლესიაზე საინტერესო ცნობებს გვაწვდის გაზეთი ცნობის ფურცელი: „...ამ სოფელში (ჯეგეთა) არის ერთი უხსოვარი დროის ნაშენები პატარა ქვის ეკკლესია „ურთის“ მთის ქედზე სახელდობრ ჯაგეთაში. სიდიდით ეს ეკკლესია მეტად პატარაა, ასე რომ კარგი უნდა 15-20 კაცი მოთავსდეს შიგ. ამაში ძევს ერთი რკინის სიგრძით საჟენი მეტი ძველებური მშვილდ ისარი, ერთიც სიდიდით შესანიშნავი სავარცხელი და ზოგიერთ წელს ათობით და ზოგჯერ ათასობით ფირშლის მსგავსი რკინის „ბორძალი“. ამ იარაღებს წმინდა გიორგის ათვისებენ და თან იტყვიან, რომელ წელშიაც მომეტებული ბორძალი იქნება ამ ეკკლესიაში, რომელიც მასვე წმ. გიორგის უნდა მოქონდეს, ის წელი დიდი ნოტიო იქნებაო და როგორც გამოცდილება აქვთ ეს რწმენები არც გაცრუებიათ. ამ პატარა შენობას ერთი დასავლეთის კარზე მეტი არა აქვს და

[1] ს. მაკალათია, სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, თბ., 1941, გვ. 437-438.

საკურთხეველიც აღმოსავლეთის კედელზე არის მიკეთებული და თვის საკურთხეველში ორი კაცის მეტი რიგიანად ვერც მოთავსდება. ხატები შიგ არ არის, მხოლოდ, როგორც სჩანს გადმოცემიდან, აქაური წმ. გიორგის ხატი ერთ კაცს გვარად კუკავას გამოესვენებინოს და მის მიერვე აშენებულ 3-4 ვერსის მანძილზე, იმავ მთის ძირში ხის ეკკლესიაში დაესვენებინოს, სადაც დღეს არის საშტატო ეკკლესია მშვენიერის მორთულობით და კიდეც უწოდებენ კუკავების წმ. გიორგის ეკლესიად, ხოლო მთის ეკკლესიას ჯეგეთისა მნათობა მარად კუკავას გვაროვნობას ჰქონდათ და დღესაც მათ ხელშია. 23 აპრილს იციან დღეობა. წინა საღამოს ე. ი. 22, რომ გახდება საყვირის კვრაა, შეიკრიბება მღვდელი, ერი, გამოასვენებენ ამ ხის ეკკლესიიდან წმ. გიორგის ხატს და ფეხშიშველა წავლენ ჯეგეთის ეკკლესიაში, იქ დაასვენებენ ხატს და არის მთელი ღამე ლოცვა და იყრება იქ იმ ღემეს რამოდენიმე ათასი მლოცველი სხვა და სხვა საზოგადოება, მაზრებიდან ფეხშიშველა მოდიან თავიანთ დანაპირ შესაწირავით: ფული; სანთელი, აუცილებლად პატარა მოხარშული გოჭის თავი და პურის ანუ მჭადის კვერით. მიართმევენ მნათეს ანუ კუკავებს, რომელთაგან რამოდენიმე პირი კარებთან დგანან, ამ შესაწირავებს ისინი კი ლოცვით დაჩოქებულ მლოცველს სამჯერ თავს შემოავლებს და ინახავს შემონაწირს. გოჭის თავი და პური კუკავებსა და სანთელი და ფული კი ეკკლესიას ეკუთვნის. ფულისა და სანთლის ისეთი კალო დადგება დილამდე, რომ კაცი იტყვის ცხენი ვერ გადაახტებაო. ღამის მთეველებს აქვს მთელი ღამე სიმღერა, ცეკვა-თამაში სმა და ქეიფი მინდორში ათას ადგილზე გაჩაღებულ ცეცხლთან და კოცონებთან. დილას რა წირვას გარდაიხდის მოძღვარი, დაკრავენ საყვირს და შეუდგებიან თავისი ხატით ძირს დიდ ეკკლესიაში წამოსვლას. აქაც მთელი დღე შემოდის შესაწირავი და არის საშინელი მხიარულება. გარდა ამ დღის შემოსავლისა ამ ეკკლესიას არა ნაკლები შემოსავალი უნდა შემოსდიოდეს წლიდან-წლამდე, რადგან როგორც სასწაულთ-მომქმედი ხატი, ხშირად მოწმების საფიცრათ თუ სხვა საჭიროებებისათვინაც, დაყავთ მთელ მაზრაში. რაც ამ ეკკლესიაში შემოსავალია ჩასაწერი წიგნი დაარსებულია, 1500 მანეთამდე ძლივ მოჩანს შემოსავალი იმ დროს, როდესაც მისი სამრევლო ფიქრობს ათი-ათასობით ეკკლესიის ქონებას. ამ ხის შენობას სიძველის გამო ზევიდან წვიმა ჩაუდის და თვით კედლებიც პატარა ქარის დროს საშინლად ინძრევა, ამიტომ მრევლი ფიქრობს ახალი ეკკლესია აღაშენოს, მაგრამ რაღათი? ეკკლესიას ფული არა აქვს და სამრევლოც ღარიბია. ორი წელიწადი არ არის რაც ამ ეკკლესიას დაენიშნა მღვდელი მ. ი. კანკავა და ცოტათი ახალ მოძღვარმა ცვლილება შემოიტანა. მისი მეცადინეობით და მამობრიულ დარიგებით სამრევლოს თვისი შემოსავალი შესამჩნევად მოემატა, მშვენიერი ქვითკირის ზღუდე შემოევლო მკვიდრთ მიერ ხსენებულ ეკკლესიის ეზოს და სხ., სწორედ მადლობის ღირსია მამა ივანე და იმედიცა გვაქვს არ მოგვაკლებს მომავალშიაც მის მამობრიულ შრომას, აღძრავს ეკკლესიის გადაკეთების კითხვას ვისთანაც ჯერ არს, სანამ ძველი შენობა გვიღალატებდეს და გავხდებოდეთ მოკლებული მისი წირვა-ლოცვისა“[1].

ჯეგეთის მთის წვერზე მდებარე ძეგლებს გვიხასიათებს პ. ზაქარაია, მისი თქმით: „მთის წვერზე ერთმანეთთან ახლოს ორი ნაგებობაა: პირველი ცენტრში მდებარე, ეკლესიაა, ხოლო მეორე ჩრდილო-დასავლეთით თხუთმეტიოდე მეტრის მანძილზე, რაღაც ორსართულიანი შენობის ნანგრევია, რომლის მხოლოდ ქვედა სართულიღაა

[1] ყათრან, ჯეგეთა, გაზ. ცნობის ფურცელი, 1898, №676.

შემორჩენილი[1]. ეს გადარჩენილი ნაწილი კვადრატულ აბსიდში მოქცეულ სხვადასხვა სიგანის ორ გრძელ დარბაზს წარმოადგენს[2]. აქ იდგა წმ. გიორგის ეკლესია, რომელსაც დიდი მლოცველები აწყდებოდა მთელ სამეგრელოდან, სადაც უამრავი „ბორძალი“ ინახებოდა (წმ. გიორგის ორკაპა)[3]. წმ. გიორგის ეკლესიას ირგვლივ გარს უვლიდა დაახლოებით ოთხკუთხედი მოხაზულობის ქვის გალავანი. დღეს მხოლოდ ჩრდ. დასავლეთის კედლის ნაწილიღა შეიმჩნევა და დანარჩენების აღდგენა ძლივსღა ხერხდება (ეს 1947 წლის მდგომარეობა-დ.ჭ.)[4]. ეკლესია დარბაზული ყოფილა[5]. შიდა სივრცე მთლიანად ფრესკით ყოფილა დაფარული[6]. ყოფილა სხვადასხვა სახის ჩუქურთმები და გამოსახულებები (ცხვრის)[7].

„ამ ძეგლის ყველაზე საინტერესო ნაწილს წარმოადგენს ლაპიდარული წარწერა, რომელიც მოთავსებულია დასავლეთის კარის არქიტრავის ქვაზე: „აჰა ესერა ზედამხედველმან და განმგებელმან ყოველთამან წყალობა მისი რისხვად შესცვალა და მოავლინა. ძრვა საშინელი სრულიად ერთს წელიწადსა, დაიქცა საყდარი ცაიშისა და ესეც, და მრავალნითა საყდარნი და შენობანი. ჩვენ ქრისტეს მიერ კუთრხე[უ]ლმან ცაიშელ-ჯუმათელ მამათმთავარმან გურიელის შვილმან, პატრონმან მალაქია მივყავი ჭელი აღშენებად საყდარსა ამას და აღვაშენეთ ბრძანებითა დადიანისა, პატრონისა ლეონისითა და ბიძის მისისა ლიპარიტიანისა პატრონისა გიორგისასა და მეაბჯ[რეთ] [უ]ხუცესობასა მერაბ და კაცია[ი]სასა [.....] ჩვენთათვის, ამინ, იელ და“[8].

ჯეგეთას კომპლექსის დღევანდელი სახე საკმაოდ დეტალურად აქვს აღწერილი გ. ჩიტაიას. მისი თქმით, „ჯეგეთა“ არქიტექტურული კომპლექსია, იგი შედგება წმ. გიორგის სახელობის პატარა სამლოცველოსგან, პალატისა და გალავნის ნაშთებისაგან. სამლოცველოს სახურავი მთლიანად, ხოლო კედლები ნაწილობრივ დანგრეულია, მისი ზომებია 3,50X7 მ-ზე. კედლის სისქე 70 სანტიმეტრია. აღმოსავლეთის კედელი შიგნიდან მომრგვალებულია, რომელშიც მარცხენა მხარეს პატარა ნიშია. კედლები მოხატული ყოფილა, ფრესკის საღებავის კვალი ახლაც შეიმჩნევა, სამლოცველო ნაგებია კირქვის კვადრებითა და ფლეთილი ქვით. ადრე აქ ვიდრე 1614 წლის მიწისძვრა მოხდებოდა, დიდი ეკლესია მდგარა, მიწისძვრის შემდეგ კი ზემოთ აღნიშნული სამლოცველო აუგიათ, ამას ადასტურებს ის, რომ ნაგებობაში ბევრგან არის ჩატანებული კარნიზის თლილი ქვები, ნაგებობის ირგვლით, განსაკუთრებით დასავლეთით, უამრავი თლილი კვადრებია მიმოფანტული, სამლოცველოდან დასავლეთით ფერდობზე 70-ოდე მეტრში დევს რწვაწახნაგა სვეტის ნაწილი ბაზითურთ, რომლის სიგრძე 1 მეტრი და 10 სანტიმეტრია, დიამეტრი 50 სანტიმეტრი, ბაზის ზომებია 70X60 სანტიმეტრზე, 100-იოდე მეტრში კი დევს სვეტის თავი, რომლის ზომებია 70X60 სანტიმეტრზე, სიმაღლე 30 სანტიმეტრი, ორივე კირქვიდან არის გამოთლილი, ეს არის დეტალები იმ ტაძრებისა, რომელიც 1614 წლის მიწისძვრამდე სამლოცველოს ადგილას იდგა. გ. ჩიტაიას თქმით, ის, რაც დიდმა მცნიერმა პ. ზაქარაიამ XX საუკუნის პირველ ნახევარში ნახა და

---

[1] პ. ზაქარაია, ჯეგეთა, ზუგდიდის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის შრომები, I, 1947, გვ. 73.
[2] პ. ზაქარაია, დასახ. ნაშრომი, გვ. 74-75.
[3] პ. ზაქარაია, დასახ. ნაშრომი, გვ. 76.
[4] პ. ზაქარაია, დასახ. ნაშრომი, გვ. 78.
[5] პ. ზაქარაია, დასახ. ნაშრომი, გვ. 79.
[6] პ. ზაქარაია, დასახ. ნაშრომი, გვ. 80.
[7] პ. ზაქარაია, დასახ. ნაშრომი, გვ. 81.
[8] პ. ზაქარაია, დასახ. ნაშრომი, გვ. 82-83.

აღწერა, სამწუხაროდ არ ჩანს, მას უნახავს დასავლეთის ფასადზე ცხვრის თავის რელიეფური გამოსახულება, აღმოსავლეთის ფასადზე კი გამოსახული ყოფილა რაღაც ცხოველის თავი, გვერდით კი აღმოსავლურად ფეხმორთხმული კაცი, რომელიც ჩონგურზე თუ თარზე უკრავდა. გ. ჩიტაიას აღნიშვნით, პ. ზაქარაია „ჯეგეთაზე“ არსებულ სამ გამოქვაბულს ასახელებს – ერთ ხელოვნურს და ორ ბუნებრივს. ხელოვნური მდებარეობს სამხრეთის კლდის ვერტიკალურ, ძნელად მისაღწევ ფერდობზე, რომლის ზომებია 3X3 მეტრზე. აქვე ვიპოვეთ ჩვ. ერამდე I ათასწლეულის თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები. სამლოცველოდან ჩრდილო - დასავლეთით, 20-დე მეტრში, დგას პალატი, მისი ზომებია 7X8 მეტრზე, შედგება ორი სენაკისაგან, მარჯვენა ეყრდნობა ნახევარწრიულ, ხოლო მარცხენა ორ ისრულ თაღს. ზედა სართული დანგრეულია. ნაგებია საკმაოდ დიდი ზომის კირქვის კვადრებით. პალატი სამლოცველოზე გაცილებით ადრე უნდა იყოს აშენებული. „ჯეგეთა“ მშრალი კირქვის წყობით აგებული გალავნით ყოფილა შემოსაზღვრული, რომლის სისქე 80 სანტიმეტრია, შემორჩენილია დასავლეთისა და ჩრდილოეთის გალავნის ნაშთები, ნაგებია საგანგებოდ შერჩეული კირქვებით, დასავლეთის გალავნის სიმაღლე ერთ მეტრამდე აღწევს, ჩრდილოეთის კედელი კიდევ უფრო დაბალია, ეს კედელი ზევიდან ჩამოუყვება ფერდობს, გავაკებასთან კი შეინიშნება გარედან მოდგმული ოთხკუთხა ნაგებობის, ალბათ კოშკის ნაშთები. გალავნის ნაშთების მიხედვით შეიძლება წარმოვიდგინოთ შემოზღუდული ტერიტორიის ფორმა; ფართობი კი ალბათ რამდენიმე ჰექტარით განისაზღვრება. აშკარაა, რომ „ჯეგეთა“ თავის დროზე საკმაოდ დიდსა და მრავალფეროვან არქიტექტურულ კომპლექსს წარმოადგენდა. „ჯეგეთაში“ მჩქეფარე სასულიერო ცხოვრების ჩაქრობის მიზეზი მარტო მიწისძვრა არ უნდა ყოფილიყო, ამის ძირითადი მიზეზი გვიან შუასაუკუნეების საქართველოს მძიმე პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობა იყო. საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე „ჯეგეთის“ სამლოცველო მთელი წლის განმავლობაში დაკეტილი იყო, აქ ამოსვლა ეკრძალებოდათ და თუ ვინმე ამ მიდამოებში მოხვდებოდა აქედან ხმელი ტოტის წაღებასაც კი ვერ გაბედავდა“[1].

11. ადგილი „პაპანწყვილი“ – ნაეკლესიარი

სოფელ სამისქურში, ადგილობრივთა გადმოცემით, „პაპანყვილად“ წოდებულ ადგილას მდგარა ხის ეკლესია, დღეს იქ მდებარეობს პატარა ტბა, რომელსაც პაპანწყვილს უწოდებენ. ამ ტბასთან მდებარე გორაკზე მდგარა ეკლესია და იქ უცხოვრია მღვდელსაც, რომელიც ამ ტბაში დამხრჩვალა; სტიქიური უბედურების დროს ჩამოქცეულ მიწას ჩაუტანია ტბაში.

12. ნაეკლესიარი ადგილები და სამრევლო სკოლა

სოფელ ხეთაში, ა. ჭანტურიას მასალებით, არსებულა ოხვამე კარის ეკლესია, მასთან ახლოს კი გამოქვაბული[2]. თუმცა ძნელია იმის თქმა თუ რომელ ეკლესიაზეა აქ საუბარი. შესაძლებელია აქ ხამისქურში ჯეგეთის მთაზე მდებარე წმ. გიორგის სალოცავი იგულისხმება. მისივე ცნობით, ჯეგათზე არის რკინის რგოლი, ჯეგეთის

[1] გ. ჩიტაია, დასახ. ნაშრომი, გვ. 61-65.
[2] გ. კალანდია, გაძარცული საგანძური, თბ., 2006, გვ. 156.

ეკლესიის სამხრეთ-აღმოსავლეთით კლდეზე. რგოლი ჯაჭვითაა. ეკლესიიდან მანძილი იქნება 50-100 საჟენამდე. ხეთაშიც ყოფილა უბანი ლეკვიკვინე და მდინარე მუნჩია, რომლის ნაპირზეც ნაეკლესიარი არის – სახელად აია სოფია[1].

გაზეთ „ივერიის“ ცნობით, სოფ. ხეთაში 1893 წელს უკვე არსებულა სამრევლო სკოლა, კერძოდ აღნიშნულია, რომ „დიდი ხანი არ არის, რაც აქ (ხეთი) სამრევლო სკოლა გაიმართა. სკოლაში სწავლობენ ვაჟნიცა და ქალნიც, რიცხვით 55-მდე. მასწავლებელნი ორნი არიან. მშვენივრად კითხულობენ და სწერენ შეგირდები ქართულად[2].

ზუგდიდის მუზეუმში შენახულ ხატებს შორის არის ხეთის წმ. გიორგის ხატი ხეთის ეკლესიიდან, რომელიც 1813 წელს არის დათარიღებული[3].

სოფელი ბულიწყუ

1. ნაგებობის ნაშთი

სოფელი ბულიწყუ ადრე ხეთის თემში შედიოდა. საბჭოთა დროს მას პირველი მაისი ერქვა. აქ მდებარეობს ძალზედ მნიშვნელოვანი ციხე-სიმაგრეები და ეკლესიები.

ჯახუთის უბანში თენგიზ კვიკვინიას ეზოში შემორჩენილია სავარაუდოდ ეკლესიის ნანგრევები. გადმოცემით, აქ ძველად სასაფლაოც ყოფილა. შეინიშნება დასავლეთისა და სამხრეთის კედლის მცირეოდენი ფრაგმენტები, გარშემოწერილობა არის დაახლოებით 30 მეტრი. მას სავარაუდოდ გარშემო კიდევ შემოუყვებოდა გალავანი, რომელიც ადგილობრივი კირქვით, რიყის ქვით კირის დუღაბზე არის ნაშენი. ვფიქრობ, აქ ჩვენ საქმე გვაქვს არა მარტო ეკლესიასთან, არამედ თავდაცვით ნაგებობასთან, რაც სათანადო არქეოლოგიურ შესწავლას მოითხოვს. როგორც ჩანს ამ ძეგლმა ადგილობრივი მოსახლეობის მიერ აქედან ქვების გატანის გამო დაკარგა თავის სახე. დღეს ის მთლიანად ეკალ-ბარდებით არის დაფარული და გეგმის წაკითხვა თითქმის შეუძლებელია. გ. ჩიტაიას ეს ძეგლი დაუთვალიერებია არქეოლოგ რ. პაპუაშვილთან ერთად. ავტორის აღნიშვნით, „საკმაოდ დიდი ბორცვის ყველაზე მაღალ წერტილში კირქვით ნაგები მართკუთხედის ფორმის შენობის ნაშთია დარჩენილი, რომლის სიმაღლე დაახლოებით ერთი მეტრი და ოცი სანტიმეტრია, კედლის სისქე ერთი მეტრია. ძეგლი ხე-მცენარეებით არის დაფარული. შიგნით და გარეთ კედლის ნანგრევები ყრია. ნაგებობა ადრექრისტიანული

[1] გ. კალანდია, დასახ. ნაშრომი, გვ. 156.
[2] გაზ. ივერია, 1893, №№11

[3] გ. კალანდია, დასახ. ნაშრომი, გვ. 127.

სამლოცველო უნდა იყოს. ის მოითხოვს სათანადო გაწმენდითი სამუშაოების ჩატარებას. კედლებთან მიმოფანტულია ადრექრისტიანული ხანის კრამიტის საკმაოდ მოზრდილი ფრაგმენტები. ბორცვის ჩრდილოეთი მხარე საკმაოდ დამრეცია. შეიმჩნევა გალავნის კვალიც, რომელიც ნაგებობას გარს უვლის დაახლოებით ოცდაათი მეტრის რადიუსში. შენობის დასავლეთის კედლის პარალელურად კედელია აღმართული, რომელიც ეტყობა ამ ნაგებობის დანგრევის შემდეგ აუშენებიათ, რადგან მასში სამშენებლო მასალად კრამიტის ნატეხებიცაა გამოყენებული. ნაგებობის ირგვლივ შეიმჩნევა ძველი კოლხური თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები. მისი ეზოს ჭიშკრის მარცხენა მხარეს, ქვითკირის ღობეში ჩაშენებულია ძალზე საინტერესო ჩუქურთმიანი ქვა, რომელიც ზემოხსენებული ნაგებობიდან მოუტანიათ. ქვის ზომებია 18X27 სანტიმეტრი, ხოლო ორნამენტის დიამეტრი 15 სანტიმეტრია[1].

2. ჯახუთის უბანის ციხე-სიმაგრე

ჯახუთის უბანში მდ. ხობისწყლის მარჯვენა მხარეს არის საკმაოდ დიდი ციხე-სიმაგრის ნანგრევები. სტრატეგიულად ის ძალზედ მოხერხებულ ადგილას მდებარეობს. დასავლეთით გადაჰყურებს აია სოფიას ტაძარს ურთის მთის სამხრეთ კალთაზე, აღმოსავლეთით მდ. ხობისწყლის ხეობას, ის აკონტროლებს მისი სამხრეთის და ჩრდილოეთის პერიმეტრებს. ჩრდილოეთით მას ღრმა ბუნებრივი ხრამი აქვს, სადაც „ტოტის“ ღელე მიედინება. ის ასევე აღმოსავლეთით უყურებს ნოჯიხევის ციხეს, სამხრეთ-აღმოსავლეთით ხობის მონასტერს და მდებარეობს ზღვიდან დაახლოებით 30 კმ-ის დაშორებით. ამ ციხე-სიმაგრეს დაახლოებით 1000 მეტრის სიგრძეზე შემოუყვება ირგვლივ კედლის ნაშთები, ხოლო შიგნით არსებულ შემაღლებულ ბორცვზე, თითქმის ცენტრთან, არის კოშკის მაგვარი ნაგებობის ნაშთები, როგორც ჩანს მთავარი ციტადელი; მისი კედლის დასავლეთი ნაწილი კარგად არის შემორჩენილი და ის დაახლოებით 3-3,5 მეტრის სიმაღლისაა. შიდა სივრცე დაახლოებით 30[2] მეტრია; საფიქრებელია, რომ მას ღელეს მხრიდან ჩრდილოეთით ჰქონდა წყლისკენ გასავლელი გვირაბი. ეს ციხე-სიმაგრე ძალზედ მნიშვნელოვანი ნაგებობის შთაბეჭდილებას ტოვებს, რაც არქეოლოგიურ შესწავლას მოითხოვს. გარეგნული

[1] გ. ჩიტაია, დასახ. ნაშრომი, გვ. 95-96.

დათვალიერებიდან გამომდინარე ჩვენ მიგვაჩნია, რომ ანტიკური დროის ნაგებობაა. ციხე ნაგებია ადგილობრივი ფლეთილი კირქვით კირის დუღაბზე, ზოგან კირის დუღაბიც არ არის გამოყენებული.

3. ჩხაიას უბნის ციხე-სიმაგრე– „ყურყუმელიას ჯიხა“

მდ. მუნჩიის მარჯვენა ნაპირთან, მთა ჩხაიას დასავლეთით, მაღალ გორაზე მდებარეობს ციხე-სიმაგრის ნანგრევები. აქ ციხე-სიმაგრის აღმოსავლეთით ერთმანეთს უერთდება მდ. ჩხაია და მუნჩია. მდ. ჩხაია მას გარს უვლის სამი მხრიდან – დასავლეთით, ჩრდილოეთით და აღმოსავლეთით. ციხეს მისასვლელი აქვს სამხრეთიდან. გორის წვერზე შემორჩენილია დაახლოებით 30 კვადრატული მეტრის ნაგებობა, რომელიც ცენტრალურ ციტადელს წარმოადგენს. როგორც ჩანს ეს ციხე ქვემოთ კიდევ მეორე კედელით იყო შემოზღუდული ანუ ორგალავნიანი იყო, რისი ნაშთებიც აშკარად შეიმჩნევა და ის იმავე ტიპის და ეპოქის ნაგებობის შთაბეჭდილებას ტოვებს, რაც ზემოთ აღწერილი ჯახუთის უბანში მდებარე ციხე-სიმაგრეა.

ეს ციხე-სიმაგრე ნაწილობრივ აღწერილი აქვს გ. ჩიტაიას. ის მას „ყურყუმელიას ჯიხას“ სახელწოდებით იცნობს და აღნიშნავს, რომ ხე-მცენარეების გამო ციხის ამჟამინდელი წყობის აღდგენა შეუძლებელია [1], რაც ჩვენი იქ ყოფნის დროსაც იგივე ვითარებაში იყო.

პ. ცხადაიას მასალებით, საკვიკვინიოში არის თურქიშ ჯიხა//კურუმულაშ ჯიხა-კოშკი, ჩხაის მარჯვენა ნაპირას სოფელ აბასთუმანს საზღვრავს. კურკუმელა კობახიძე, კობახიძეთა ერთ-ერთი წინაპარია, რომელიც აქ ჩამოსულა ლეღვიასთან ერთად[2].

როგორც აღვნიშნეთ, მისგან აღმოსავლეთით მდებარეობს მდ. მუნჩია და ჩხაია (აქ უერთდება ეს ორი მდინარე ერთმანეთს) დასავლეთით არის მთა ნეძ-გოლია, ჩრდილოეთით ხირხუდ წოდებული მთა. რომლისგან დასავლეთით მდებარეობს ზუგდიდის რ-ნის სოფ. აბასთუმანი, მისი მცირე მონაკვეთი ჩანს ნეძ-გვალასა და მთა ხირხუს შორის, ასევე ის მთლიანობაში გადაჰყურებს სამხრეთით მდინარე მუნჩიას ხეობას და ზღვის სანაპიროს და სავარაუდოდ ის ამ ხეობას კეტავდა ზუგდიდთან, ანუ საერთოდ ჩრდილოეთ სამეგრესლოსკენ მიმავალ გზაზე, სადაც სოფ.

[1] გ. ჩიტაია, დასახ. ნაშრომი, გვ. 90.
[2] პ. ცხადაია, სამეგრელოს გეოგრაფიული სახელწოდებანი, III (ხობის რაიონი, ქ. ფოთი), თბ., 2007, გვ. 80.

აბასთუმნისკენ ასევე გზა ვიწრო ხეობაში გადის ციხე თავისი მდებარეობით, თითქმის ყველა მხრიდან მიუვალი ადგილასაა.

4. მაჩხომერის უბნის ციხე-სიმაგრე და კოშკი

მაჩხომერის უბანში მდებარეობს ციხე-სიმაგრის ნაშთები, რომელიც აღწერილი აქვს გ. ჩიტაიას. მისი თქმით, „ის მდებარეობს პირველ მაისში სენაკი-ზუგდიდის სარკინიგზო მონაკვეთის მარჯვენა მხარეს, რკინიგზის ბაქან მუნჩიადან დაახლოებით ნახევარ კილომეტრში ხეებით დაბურულ მაღალი ბორცვის შევაკებაზე, იმ უბანში, რომელსაც „მაჩხომერი“ ეწოდება (შეერქვა ამავე სახელწოდების ღელეს მიხედვით). ძეგლთან ასასვლელი გზა მურმან დიანოზის ძე წოწერიას სახლთან იწყება. ძეგლი წაგრძელებული მართკუთხედის ფორმის გალავნითა და კოშკებით ყოფილა შემოზღუდული, შემორჩენილია ჩრდილო-აღმოსავლეთის გალავნისა და კუთხის კოშკის ნაშთები, რომლის სიმაღლე დაახლოებით 1,70 მეტრია, კედლის სისქე ერთ მეტრამდეა, ხოლო კოშკის ფართობი 4,50X4,50 მეტრზე. შიდა ეზოს ფართობი ერთ ჰექტარს აღწევს. შუა ეზოში შეინიშნება ნაგებობის ნაშთები, რომელიც ადრექრისტიანული ხანის ეკლესია უნდა იყოს, იქვე მრავლადაა მიმოფანტული ამავე პერიოდის კრამიტისა და თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები, აგრეთვე, კირქვისაგან გამოთლილი სამშენებლო დეტალები. იქვე ვიპოვეთ ნახევრად მიწაში ჩაფლული კირქვისაგან გამოთლილი ფილა, რომლის სიმაღლე 70, სიგანე 65, სისქე კი 14 სანტიმეტრია, ცალი წვერი წამტვრეული აქვს, ფილას ცალ მხარეზე მთელ სიგრძეში დაახლოებით 10 სმ სიგანის ფაქიზად გათლილი სიმრგვალე მიუყვება. ეზოს დათვალიერება მთლიანად ვერ ხერხდება, რადგან იგი ხე-მცენარეებით და ეკალ-ნარითაა დაფარული. ძეგლი მეცნიერების მიერ შესწავლას მოითხოვს[1].

5. ადგილი ნასკალუ – ჯახუთის უბანი – თავდაცვითი ნაგებობა

ეს თავდაცვითი ნაგებობაც აღწერილი აქვს გ. ჩიტაიას: „სოფელ პირველ მაისში, ჯახუთის უბანში, არის ადგილი, რომელსაც ადგილობრივი მცხოვრებნი „ნასკალუს“ ეძახიან. მდებარეობს ბიჭუნა ირობის ძე კვიკვინიას ეზოს უკან ჩრდილო-დასავლეთით, დაახლოებით ერთი კილომეტრის დაშორებით. იგი კლდოვანი და მაღალი ბორცვის ზედა ნაწილია. აქედან კარგად ჩანს „ყურუმელიას ჯიხა“, რომელიც მისგან ჩრდილო-დასავლეთით, დაახლოებით ორი კილომეტრის დაშორებით არის აღმართული. „ნასკალუდან“ აგრეთვე კარგად მოჩანს შავი ზღვა, „ჯეგეთა“, სახარბედიოს, ზემო ბიის, სათანჯოს მთები. მისასვლელი სამხრეთ-აღმოსავლეთიდან აქვს. თვით ძეგლი ბორცვის

უმაღლეს წერტილში მდებარეობს, იგი წარმოადგენს ძლიერ დაშლილ მრგვალ ნაგებობას, რომლის დიამეტრი 6 მეტრი, კედლის სისქე კი 80 სანტიმეტრია. ნაგებია ფლეთილი კირქვითა და კირხსნარით. ერთ მეტრამედ სიმაღლის კედლის ნაშთი

შემორჩენილია ჩრდილო-დასავლეთით. 85 წლის ღუღუნი კვიკვინიას თქმით, იგი „თურქობის“ დროს აუგიათ. დაბეჯითებით ძნელია ნაგებობის დანიშნულების შესახებ საუბარი, ვფიქრობთ, რომ იგი სადარაჯო (სასიგნალო) კოშკი უნდა ყოფილიყო“[1].

6. ჯახუთის ნაეკლესიარი

აქ ასევე ცოტა მოშორებით მდგარა ხის ეკლესია, რომელიც აია-სოფიის ტაძრის დანგრევის შემდეგ აუშენებიათ. მას ჰქონია სამრეკვლოც. ზარს აქ რეკავდა აბრამ კვიკვინია, რომელიც 1903 წელს იყო დაბადებული.

ეს ახალი ეკლესია, როგორც ამას გაზ. ივერია გვაუწყებს, აუგია მღვდელ ბესარიონ შუშანიას, რომელიც აია-სოფიას ტაძარში ყოფილა მღვდლად. მას აქ სამრევლო სკოლაც გაუმართავს[2].

7. წმ. აია სოფიას ეკლესია და ციხე-სიმაგრე

სოფელ პირველ მაისში, მდ. მუნჩის მარჯვენა სანაპიროზე, მაღალ გორაკზე მდებარეობს აია-სოფიის ეკლესია, რომელიც დანგრევის პირას არის მისული. ეს ადგილი გადაჰყურებს ხეთის მიქამგარიოს (მთავარანგელოზის) ეკლესიას და ხობის ტაძარს. ის მდებარეობს ყურყუმელიას ციხიდან (ციხე-სიმაგრიდან) ორი კილომეტრში. ეს გარემოება ხაზგასასმელია იმდენად, რამდენადაც ეს ადგილი თავდავითი ფუნქციის მატარებელი უნდა ყოფილიყო. ამ ეკლესიის გარედან შემოუყვება დასავლეთის მხარიდან საკმაოდ მძლავრი გალავანი დაახლოებით 4-5 მ-ის სიმაღლეზე, ზოგან კედლის სიმაღლე 50-70 სანტიმეტრამდეა. ფართობი დაახლოებით 1000 მეტრზეა შუაში, შემაღლებულ ბორცვზე დგას აია სოფიას დარბაზული ერთნავიანი ეკლესია. ის თავის დროზე როგორც ჩანს ლამაზი ეკლესია უნდა ყოფილიყო, ჩანს მოპირკეთებული იყო კარგად ნათალი ქვებით. შესასვლელი კარი აქვს დასავლეთით და აღმოსავლეთით.

. 98.
ს წმინდის ეკლესიის მღვდლის ბესარიონ შუშანიას ჰყავდა
ულ სამრევლო სკოლის შენობის გამკეთებლად დურგალი,
ოთია ლატარია“ (თ. ჭიჭინაძე, სოფ. ხეთა (ზუგდიდის მაზრა). გაზ.

ტაძრის მოპირდაპირე მხარეს არის კიდე ერთი ნაგებობის ნაშთი (სავარაუდოდ კოშკი) ტაძრის ირგვლის მიმოფანტულია ეკლესის და სხვა შენობათა ქვების ნაშთები, სადაც განირჩევა კარგად მოჩუქურთმებული ქვებიც. როგორც ზემოთ აღინიშნა ამ ეკლესიის მღვდელი 1891 წელს იყო ბესარიონ შუშანია, რომელსაც აქ ასევე სამრევლო სკოლა აუშენებია. ასევე მთხრობლები, აქ მღვდლად გვისახელებენ თოდუას გვარის ადამიანს და მათ ხელისშემწყობად ვინმე ნაჭყებიას.

ეს ეკლესია აღწერილი აქვს გ. ჩიტაიას, რომელიც აქ ადრე უფრო დიდი ტაძრის არსებობას ვარაუდობს, კერძოდ მისი თქმით, „ტაძრის სიგრძე 9, სიგანე 6, კედლის სისქე კი 1 მეტრია. ტაძარს ირგვლივ გალავანი უვლის, შესასვლელში ოთხკუთხა კოშკის ნაშთია დარჩენილი, ის ტაძრის ჩრდილოეთ მხარეს მდებარეობს. შიდა ეზოს ფართობი დაახლოებით 1000 კვ. მეტრია, ეკლესია, კოშკი და გალავანიც ნაგებია ადგილობრივი კირქვით. ტაძარი შემაღლებულ ბექობზე დგას, ჩრდილოეთის, სამხრეთის და აღმოსავლეთის კედლებს აქვს თითო სარკმელი. დეკორატიული შემკულობა არ გააჩნია. ეკლესია ადრე იქ მდგარი ხელოვნებისა და სიდიდის თვალსაზრისით ბევრად უფრო უკეთესი ტაძრის ადგილას არის აგებული. ამას მოწმობს ნაგებობის კედლებში ჩატანებული კარნიზის ქვები, აგრეთვე, ეზოში გაბნეული რამდენიმე ჩუქურთმიანი ლოდი. დიდი ტაძარი 1614 წლის მიწისძვრის დროს უნდა დანგრეულიყო, მიწისძვრა პერიოდულად მთელი წლის განმავლობაში გრძელდებოდა, „საცაიშლო გამოსავლის დავთრის“ მიხედვით, მაშინ დაქცეულა ცაიშის მონასტერი და ახლომდებარე სხვა ტაძრებიც, ლევან II დადიანის ბრძანებითა და შეწევნით აფხაზეთის კათალიკოს მალაქია გურიელს აღუდგენია ეკლესიები „რაოდენ შესაძლებელ იყო“. წმ. სოფიას ჩვენამდე მოღწეული ტაძარი მაშინ უნდა იყოს აგებული. ტაძრის კედლების ზედა ნაწილი და სახურავი ხე-მცენარეებით არის დაფარული, ჭერი დანგრევის პირასაა მისული. ტაძრის შესახებ რაიონში ცნობილ ისტორიკოსს აწ განსვენებულ ხარიტონ კაკულიას 1956 წელს ამ სოფელში მცხოვრებ 82 წლის მ. გაბისონიასაგან ჩაუწერია ლეგენდა: „შავი ზღვიდან ამოსულ ბერძნებს ტაძრიდან გაუტანიათ წმ. სოფიოს ხატი; უკან დაბრუნებისას ზღვა საშინლად აღელვებულა, შეშინებულ ბერძნებს ღმერთისათვის უთხოვიათ, ოღონდ გადაგვარჩინეთ და ხატს დავაბრუნებთო, ტაძარს ვაზისგან დამზადებულ კარებს დავკიდებთო, ხოლო ხატს შემდეგ წამოვასვენებთო“. ბატონი ხარიტონი აგრეთვე გადმოგვცემს, რომ ლუკიანე კვიკვინიას წინაპარი XX საუკუნის დამდეგს ჩასულა ტაძრის ქვემოთ მდებარე გამოქვაბულში, სადაც მას უნახავს ქვის მაგიდითა და სკამებით მოწყობილი დიდი დარბაზი და ხელოვნური გვირაბი, რომელიც თითქოს მდინარე მუნჩიამდე ჩადის. ტაძრის შემოგარენში ადრეფეოდალური ხანის თიხის ჭურჭლის ფრაგმენტებია. ეტყობა XIX საუკუნემდე სოფელი ამ ტაძრის ირგვლით მდებარეობდა, როდესაც რუსული მმართველობა დამყარდა და გარეშემოთა შემოსევები შეწყდა, სოფელი ქვევით ვაკეში ჩამოვიდა, იქვე გაჩნდა ახალი სასაფლაო და ეკლესიაც, აგრეთვე წმ. სოფიოს სახელობისა, რომელსაც XIX საუკუნის საბუთებში სოფლის

უბნის მიხედვით საკვიკვინიოს წმ. სოფიოს ეკლესიას უწოდებდნენ. ცხადია, ძველი ეკლესიის ხატ-ჯვრები და საეკლესიო ჭურჭელი ახალ ეკლესიაში დამოასვენეს. 1923 წელს საბჭოთა ხელისუფლებამ ეკლესია დაიხურა, იმავე წლის 5 მაისს ამ ეკლესიის ჯვარცმის ვერცხლის ხატი ზურგზე წარწერით, ზომით 36X22 სანტიმეტრზე, ვერცხლის ბარძიმი, ვარსკვლავი და კოვზი ზუგდიდის მუზეუმს ჩააბარეს[1].

ჩვენ სავსებით ვიზიარებთ გ. ჩიტაიას მოსახრებას იმის თაობაზე, რომ აქ ძალზედ ძველი ტაძარი უნდა მდგარიყო, მას ადგილობრივთა გადმოცემებიც გვიდასტურებენ, წერილობით წყაროებში კი ჩვენ მის შესახებ ცნობებს ვერ ვპოულობთ, თუმცა აქ შემორჩენილი ძველი ჩუქურთმიანი თაღების და ტაძარში ჩატანებული კარნიზების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, შესაძლოა XI-XII საუკუნეების ძეგლთანაც გვქონდა საქმე. ეკლესიას დღეს ჭერი მორღვეული აქვს და კედლებიც დანგრევის პირას არის.

წმ. აიას მონასტრიდან სამხრეთით ჩანს მაჩხომერად წოდებული ადგილი და სადაც შენდება დედათა მონასტერი. იქვე იყო ზემოთ ნახსენები ციხე-სიმაგრის ნაშთები; ამდენად აია-სოფიას ტაძრის ადგილი ასევე თავდაცვითი ფუნქციის მატარებელიც უნდა ყოფილიყო და შესაძლოა ციხის ძველ ეკლესიასთანაც გვქონდეს საქმე.

სოფელი თორსა-დღვაბა

მთავარანგელოზთა სახელობის ნაეკლესიარი

დღვაბის სოფლის სასაფლაოსთან იდგა მთავარანგელოზთა სახელობის ხის ეკლესია, რომელიც ადგილობრივთა გადმოცემით დაახლოებით 1886-1877 წლებში აუშენებიათ; ის დაუშლიათ 1924 წელს და ფიცრები სკოლის შენობის ასაშენებლად გამოუყენებიათ. გადმოცემით, აქ მჭიდრო დასახლება XIX საუკუნის მეორე ნახევარში გაჩნდა.

საჯიჯავოს თემი (ჯაპშაქარი, ზენი, შუბი, გაშფერდი).

[1] გ. ჩიტაია, დასახ. ნაშრომი, გვ. 87-88.

1. საჯიჯავოს თემის ეკლესიების რაოდენობა და სასულიერო წოდება XIX საუკუნეებში

XIX ს-ის სტატისტიტური აღწერილობის მასალებით, საჯიჯავოს თემში იდგა 1 ეკლესია და 1 სკოლა [1], თუმცა ცალკეა მოხსენიებული კიდევ საჯიჯაოს თემში შემავალი სოფლები რზენი – 1 ეკლესია, 1 სკოლა; მაცხოვრის კარი – 1 ეკლესია, ერთი სკოლა[2]. ზენი დღეს სოფელ ხიბულის შემადგენლობაში შედის.

სააქივო მონაცემებით, XIX ს-ის მეორე ნახევარში საჯიჯავოსა, ზენსა, მაცხოვრის კარსა და ზუბში ცხოვრობს 46 სამღვდელო ოჯახი:

Посемеиний списокь лиць привилегированного сословия по Кутаисскои губерний Зугдидского уъздa редут-кальского участка селения Сачиджаво, Зени, Мацховрис-кари, Зуби

1. ნავეიშვილი კირილე, დაბ. 1869 წ. 3 დეს.; 2. შელია გარაშე, დაბ. 1841 წ. 3 დეს. 180 კვ. საჟ.; 3. გერშამია ოქროპირ, დაბ. 1850 წ. 3 დეს. 1800 კვ. საჟ.; 4. თირქია შოზე 3 დეს., დაბ. 1866 წ.; 5. თირქია პავლე, დაბ. 1871 3 დეს. 1600 კვ. საჟ.; 6. შელია მიხეილი, დაბ. 1851 წ. 5 დეს. 1500 კვ. საჟ.; 7. თირქია ლევანი, დაბ. 1851 წ. 2 დეს.; 8. თირქია გიორგი, დაბ. 1866 წ. 3 დეს.; 9. თირქია პროკოპი, დაბ. 1872 წ. 3 დეს.; 10. თირქია სამსონი, დაბ. 1841 წ. 2 დეს.; 11. თირქია პიშეცი, დაბ. 1857 წ. 3 დეს.; 12. თირქია სირიოზი, დაბ. 1901 წ. 3 დეს.; 13. თირქია იოანე, დაბ. 1893 წ. 3 დეს.; 14. თირქია ალექსანდრე, დაბ. 1866 წ. 3 დეს.; 15. ადამია პეტრე, დაბ. 1860 წ. 2 დეს.; 16. ადამია დესპინე, დაბ. 1878 წ. 2 დეს.; 17. ადამია პლატონი, დაბ. 1855 წ. 2 დეს.; 18. ადამია ანტონი, დაბ. 1860 წ. 2 დეს. 1450 კვ. საჟ.; 19. თირქია დიტო, დაბ. 1862 წ. 3 დეს. 1500 კვ. საჟ.; 20. თირქია ილარიონი, დაბ. 1866 წ. 3 დეს.; 21. ადამია იოდანი, დაბ. 1866 წ. 3 დეს. 1950 კვ. საჟ.; 22. კემულარია ვლადიმერი, დაბ. 1868 წ. 1 დეს. 160 კვ. საჟ.; 23. კემულარია ივანე, დაბ. 1847 წ. 3 დეს. 1210 კვ. საჟ.; 24. ლომაია ლუკა, დაბ. 1856 წ. 2 დეს.; 25. კემულარია მოსე, დაბ. 1888 წ. 1 დეს.; 26. კემულარია კირილე, დაბ. 1879 2 დეს.; 27. კემულარია დიმიტრი, დაბ. 1860 წ. 1 დეს. 1800 კვ. საჟ.; 28. კანდელაკი დიმიტრი, დაბ. 1834 წ. 5 დეს.; 29. ძიგუა ლუკა, დაბ. 1846 წ. 4 დეს. 1800 კვ. საჟ.; 30. ძიგუა გერასიმე, დაბ. 1858 წ. 6 დეს.; 31. ძიგუა დავითი, დაბ. 1841 წ. 4 დეს.; 32. ძიგუა კოჩია, დაბ. 1826 წ. 4 დეს. 150 კვ. საჟ.; 33. ძიგუა დათა, დაბ. 1856 წ. 4 დეს. 1800 კვ. საჟ.; 34. ძიგუა ეპიფანე, დაბ. 1857 წ. 4 დეს. 3.1 კვ. საჟ.; 35. კანდელაკი პავლე, დაბ. 1858 წ. 1 დეს.; 46. იოსავა ბართლომე, დაბ. 1833 წ. 4 დეს.; 37. შელია ტარასი, დაბ. 1870 წ.; 38. პერატაია ისიდორე, დაბ. 1874 წ.; 39. შელია სამსონი, დაბ. 1872 წ.; 40. შელია დიმიტრი, დაბ. 1875 წ.; 41. ბოკუჩავა ალექსანდრე, დაბ. 1886 წ. 1800 კვ. საჟ.; 42. კემულარია ამბროსი, დაბ. 1865 წ. 3 დეს. 1200 კვ. საჟ.; 43. ძიგუა აიტოში, დაბ. 1871 წ. 1 დეს.; 44. ძიგუა არტემი 1 დეს.; 45. გვათუა პროკოფი, დაბ. 1872 წ. 3 დეს.; 46. ნავეიშვილი იონა, დაბ. 1873 წ.[3]

---

[1] Свод статистических данных, დასახ. ნაშრომი.
[2] Свод статистических данных, დასახ. ნაშრომი.
[3] ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული არქივის მასალები. დასახ. ფონდი.

2. ჯაპშაქარის წმ. გიორგის სახელობის ეკლესია

ადგილობრივთა გადმოცემით, ძველად სოფელ ჯაფშაქარს სათირქიო ერქვა. აქ თირქიების, კვარაცხელიების, კილასონიების, ქირიების, ნადარაიების, შამათავების, კალანდიების, ნარსიების სასაფლაოსთან ადრე იდგა ხის, წმ. გიორგის სახელობის ეკლესია. ბოლო მღვდელი აქ ყოფილა კაი შელია, სოფელ საჯიჯაოდან, დიაკვანი ესტატე თირქია, ზარების მრეკველი ვალერიან თირქია. აქ თურმე ეკიდა სამი ზარი. საჯიჯაოში სახლობდნენ თავადი ჩიჩუები; თირქიების გვარი კი აზნაურები ყოფილან, რომლებიც აქ დაახლოებით 200 წლის უკან სოფელ ფოცხოდან ჩამოსულან. ისინი ასევე სახლობდნენ სოფელ ყულიშკარში და აბაშაში, რომელ უკანასკნელთაც თურქიად გადაუკეთებიათ გვარი, ხოლო ძველი მათი გვარი იაშვილი იყო.

ჯაპშაქარში ძველი ნაეკლესიარ ადგილას დგას დაახლოებით 2 წლის წინ აშენებული ქვის ეკლესია. აქ ეკლესიისათვის სახლის ასაშენებლად მიწაც არის გამოყოფილი.

3. ადგილი „ნაოხვამუ“ – ნაეკლესიარი

საჯიჯაოს შესასვლელთან, მდ. ხობის წყლის ნაპირთან, სოფელ ბიას საზღვართან, არის ადგილი „ნაოხვამუ“, სადაც ძველად იყო სასაფლაო, გადმოცემით, აქ ეკლესია მდგარა. ჩვენ დავათვალიერეთ ეს ადგილი და ვფიქრობთ, რომელიც მდებარეობსუზარმაზარ ტერიტორიაზე გაშლილი (დაახლობით 3 ჰექტარზე), დიხა-გუძუბა ეს არის მდ. ხობისა და ჭანისწყლის შესართავთან ახლოს, მისგან ჩრდილოეთით. მას გარს უვლის ღელე პატრიკი, რომელიც ჩაედინება მდ. ხობში. აქ უამრავი კერამიკის ნამტვრევებია მიმოფანტული.

4. ზენის ანუ რზენის ციხე-სიმაგრე გაბელიები

საჯოჯაოს ერთ-ერთ უბან ზენში (რზენი) ჟორა დირეკონის ეზოში (ჩამო-სახლებულან XIX საუკუნეში უკრაინიდან) დგას საკმაოდ დიდი რიყის ქვისგან ნაშენი ციხე-სიმაგრე. მას აღმო-

სავლეთიდან შემოუყვება ღელე პარტიკი. ის გადაჰყურებს ხორშის გორაკს; ღელე პარტიკის შემდგომ არის მდ. Xობისწყალი, შემდეგ კი ხორშის გორაკი. გ. ჩიტაიას თქმით, „ციხე გვიან შუა საუკუნეებში თავად ჩიჩუებისა იყო. ციხეს გარედან კუთხეებს ოდნავ მომრგვალებული მართკუთხედის ფორმა აქვს, ხოლო შიგნიდან ოვალური. იგი აგებულია რიყის ქვებით. შიდა ეზოს ფართობი 250 კვ. მეტრზე მეტია: აქვს ორი ოთკუთხა კოშკი, ერთი კოშკი შიგნით არის მიშენებული გალავანზე, მეორე კოშკს გალავანი ჰყოფს ორ ნაწილად, ანუ იგი გალავანშია ჩაშენებული, ქვევით კარიბჭეა, რომელსაც თაღოვანი ჭერი აქვს. ციხის კედლების პირის მეტი ნაწილი დაუზიანებელია[1]. დაუზიანებელია[1]. პ. ზაქარაია მას XVII საუკუნის I ნახევრით ათარიღებს“ და გვაძლევს მის არქიტექტურულ დახასიათებას[2].

ვფიქრობთ, ეს ციხე-სიმაგრე ერთიან ვრცელ თავდაცვით ხაზისთვის ნაკლებ გამოსადეგი იქნებოდა და ალბათ ამისთვის არც იყო გათვლილი; ის გვიანფეოდალურ ეპოქაში სწორედ ჩიჩუების კუთვნილ ციხე-სიმაგრეს წარმოადგენდა, რომელიც კონკრეტულ სათავადოს სახლის სამყოფელი იყო,

[1] გ. ჩიტაია, დასახ. სახელმძღ., გვ. 48.

[2] “მდ. ხობის კალაპოტი ქვემო წელში გაშლილია. იგი, როგორც ეტყობა, ამ მიდამოებში ხშირად იცვლიდა ადგილს. მისი ძველი კალაპოტის მარჯვენა ნაპირი საკმაოდ მაღალია. სწორედ ამ ნაპირზე აუგიათ ციხე. იგი ამჟამად სოფლის სამხრეთის განაპირასაა. ციხე შედარებით კარგადაა დაცული, მაგრამ მისი კედლები ისეა სუროთი დაფარული, რომ თითქმის არაფერი ჩანს. ციხე მოზრდილია, და კაპიტალურადაა ნაგები. ციხის გეგმა ოვალურია. გალავანში ორი კოშკია ჩართული. ერთ მათგანში ჭიშკარია მოწყობილი, მეორე კი ძირითადად, საბრძოლო-საცხოვრებელია. ორივე კოშკი მდებარეობს ჩრდილო-სამხრეთის ღერძზე. ჩრდილოეთის კოშკის პირველი სართული თაღოვანი გასასვლელია. თაღი ისრული ფორმისაა. მეორე სართულის სამხრეთის კედელში პატარა ბუხარია და მარჯვნივ – სათოფე. დასავლეთის კედელი ყრუა, რადგანაც მასზე განიერი გალავანია მიდგმული. წრდილოეთით შემოსასვლელის თავზე. სალოდე მოუწყვიათ. მესამე სართულის ოთხივე კედელში თითო სათოფეა. მეოთხე სართულის გადაწყვეტა კარგად არ ირკვევა კედლების დაზიანების გამო. კოშკი სართულშუა გადახურვა ხისა ყოფილა. ეხლა ყველა ჩანგრეულია. ციხის მთავარი კოშკია სამხრეთით მდგარი. იგი დიდია, მასიური, პირამიდული ფორმისა. პირველი სართული მაღალია. სამიოდე მეტრზე. მის ქვემოთ შესაძლოა სარდაფია ჩამარხული. ამჟამად დარჩენილია სამი სართული. სართულშუა კოჭოვანი გადახურვა აღარ შერჩენილა. კოშკის ერთადერთი შესასვლელი მდებარეობს პირველ სართულში ეზოდან, თითქმის 4 მ-ის სიმაღლეზე. მისი კოჭოვანი გადახურვა ჩანგრეულია. პირველი და მეორე სართულის კედლებში ცალმაგი სათოფეებია, მესამე სართულის კედლების გადაქცევის გამო სათოფურები არ დარჩენილა. ციხის გალავანი 6-8 მ-ის სიმაღლისაა. ეტყობა, რომ ორი თუ სამიარუსიანი ყოფილა (კედლების დათვალიერება კარგად ვერ მოვახერხეთ კოლხური სუროთი დაფარვის გამო). ქვემოთ 3-4 მ. სიმაღლეზე გალავანში არავითარი ამბრაზურა არ ჩანს. უფრო მაღლა სამხრეთით ორი ნიშა ჩანს და დასავლეთით – ერთი. მოგვიანებით, როდესაც ციხეს ვერ დაუკმაყოფილებია მისი მფლობელი, მაშინ კოშკისთვის აღმოსავლეთით დამატებითი სათავსი მიუშენებიათ. დარჩენილია მისი კედლების ნაშთები. კოშკის გეგმა უსწორო ოთხკუთხაა. ნაშთებით თუ ვიმსჯელებთ. იგი ოთხსართულიანი ყოფილა. კედლებში ცალმხრივი სათოფეებია შერჩენილი. ციხე ისტორიულ წყაროებში არ იხსენიება. მისი დათარიღება უნდა მოხდეს ისევ თვით ნაგებობების მონაცემებით: კოშკების ოთხკუთხა გეგმა, მასების პირამიდულობა, მასალად რიყის ქვა, მხოლოდ ცალმაგი სათოფურები და სხვა. ყველაფერი ეს ერთად აღებული, ცეცხლსასროლი იარაღის შემოღების პირველ პერიოდზე კი არა, არამედ მომდევნო საფეხურზე მიუთითებს. შეიძლება ეს იყოს ციხისათვის XVII ს-ის პირველი ნახევარი, ხოლო მინაშენისათვის – იმავე საუკუნის მეორე ნახევარი“ (პ. ზაქარაია, ქართულ ციხე-სიმაგრეთა ისტორია, თბ., 2002, გვ. 287-288.

დაახლოებით ისეთი, როგორიც ქორთოძეთა ციხე იყო.

ო. სოსელიას აღნიშვნით ჩიჩუების სათავადოს შესახებ ცნობები XVII საუკუნის 20-50 წლებიდან მოგვეპოვება. მათი სათავადო ჭანის წყლისა და ხობის წყლის ქვემო წელზე მდებარეობდა, რომელსაც „საჩიჩუო“ ანუ „საიჩუო“ ეწოდება. საჩიჩუოში შედიოდა სოფლები – ზუბი, ჯაპშაქარი, რზენი, საჯიჯაო, ხეთა (ნაწილობრივ). აღნიშნული სოფლების გარდა, ჩიჩუები ყმა-მამულს ფლობდნენ აგრეთვე ნარაზენსა, ბიას, სახარბედიოს, თეკლათს, ქვალონს და მუხურაში. ჩიჩუების რეზიდენცია სოფ. რზენში იყო. აქ იყო მათი სასახლე, კარის ეკლესია და ციხე-სიმაგრე. საგვარეულო სასაფლაო [1] ნათლისმცემლის სახელზე აშენებულ რზენის ეკლესიაში და ხობის მონასტერში ჰქონდათ. ჩიჩუებს ჰქონდათ ზუბის ციხე-სიმაგრეც[2].

5. ზენის იოანე ნათლისმცემლის სახელობის ნაკლესიარი

საჯიჯაოს ცენტრთან მდებარე ზენის უბნის სასაფლაოსთან იდგა იოანე ნათლისმცემლის სახელობის ხის ეკლესია, რომელიც გასაბჭოების დროს დაუნგრევიათ. აქ იდგა თურმე მიცვალებულის დასასვენებელი სასენაკოც (მას სასენაკოს ეკლესიასაც ეძახიან) მთხრობელთა გადმოცემით, მღვდლები აქ იყვნენ კაი და სამსონ შელიები (კაი შელია მღვდლად იყო. ასევე ჯაპშაქარში რომელიც აქედან ორიოდ კილომეტრითაა დაშორებული. იქ იდგა წმ. იორგის სახელობის ხის ეკლესია – იხ. ზემოთ).

6. სოფელ ზუბის „ნაოხვამუ“ – ნაეკლესიარი

გივი გოგიას სამოსახლოსთან არის ადგილი ნაოხვამუ, სადაც ადგილობრივთა გადმოცემით, ძველად მდგარა ხის ეკლესია.

7. ზუბის წმ. გიორგის სახელობის ნაეკლესიარი

სოფელ ზუბის სასაფლაოსთან იდგა წმ. გიორგის სახელობის ხის ეკლესია, იქ ბოლო მღვდელი ყოფილა კონდრატე იოსავა. მას აქ სკოლაც გაუხსნია, სადაც თვითონ ასწავლიდა. დღეს იქ დგას ე.წ. „ბლოკებისგან“ აშენებული პატარა სამლოცველო, სადაც დღესაც დადიან სალოცავად გიორგობის დღესასწაულზე 6 მაისს და კლავენ ხარს, რომლის ხორცს მთელი სოფელი ინაწილებს; ქეჯვარობას კი გაბელიები აქედან დადიან „მიქამგარიობაზე“ (საქონლის სალოცავად ითვლება) სოფელ ხეთაში .

8. გაშფერდის (მაცხოვრის კარი) მაცხოვრის სახელობის ნაეკლესიარი

სოფელ გაშფერდის სასაფლაოსთან იდგა მაცხოვრის სახელობის ხის ეკლესია. საძირკველი ჰქონდა ქვის, რომლის ნაშთები დღესაც შემორჩენილია. ამ ეკლესიის

---

[1] ო. სოსელია ნარკვევები ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიიდან (სათავადოები), I, თბ., 1973, გვ. 300.
[2] ო. სოსელია, დასახ. ნაშრომი, გვ. 301.

ფიცრებისგან აუშენებიათ სკოლის შენობა. აქ მღვდლები იყვნენ ჯიქიები. მისი გუმბათის ჯვარი ჩამოუტანია ბეგი ჯანჯღავას, ეკლესია კი დაახლოებით 1896 წელს აუშენებიათ. ასევე აქ მღვდელი ყოფილა ნიკოლაიშვილი. ეს ადგილი ჩრდილოეთით უყურებს ჭაქვინჯის ციხეს, დასავლეთით ხიბულის ციხეს, სამხრეთით სენაკს. ის მდებარეობს მდ. ოჩხომურის მარჯვენა მხარეს დაახლოებით 5-6 კმ-ის დაშორებით; აქედან აღმოსავლეთით ჩანს ჩხოროწყუს რაიონი და მაღალ მთაზე მდებარე თაიას ეკლესია და კოშკი.

9. გაშფერდი – ნაეკლესიარი

გაშაფერდში ნაეკლესიარი ყოფილა. ავთა კვირკვაიას სახლთან. იქ ეხლაც შემორჩენილია ქვის ნაშთები.

საჯიჯაოს თემის ეკლესიებზე ძალზედ საყურადღებო ცნობას გვაწვდის 1897 წელს გაზეთი „ცნობის ფურცელი“, რომლის მიხედვით, რომელიღაც ეკლესიაში მღვდელი ამ დროს ყოფილა ოქროპირ ნანეიშვილი, ხოლო დიაკვანი გვარად გვათუა, რომელთაც აქ სამრეკვლო სკოლაც აუშენებიათ[1].

10. გაღმა საჯიჯაოს ციხე-სიმაგრე

გაღმა საჯიჯაოს ჯიხა მდებარეობს სოფელ გაღმა საჯიჯაოში, პატარა გორაკზე, მდინარე ზანის მარჯვენა ნაპირზე, ჯუმბერ ნარსიას კარმიდამოს პირდაპირ.

გ. ჩიტაიას დახასიათებით, ციხე არის მრგვალი ფორმის, აქვს მრგვალი კოშკი, რომელიც გალავანს შიგნითაა მიშენებული. აგებულია რიყის ქვებით. ციხის შიდა ეზოს ფართობი 150 მ-მდეა, კოშკის დიამეტრი 6 მეტრია. ციხე ძლიერაა დაზიანებული და მისი სიმაღლე 2 მეტრიდან 5 მეტრამდე მერყეობს, კედლის სისქე – 1,5 მ-მდე. იგი მთლიანად ხე მცენარეებითაა დაფარული[2].

---

[1] „ს. საჩიჯაო (სამეგრელო).

სწავლა-განათლება ჩვენში. საჯიჯაოს საზოგადოება შეიცავს 600-მდის კომლს მცხოვრებს, მათ შორის თავად-აზნაურობა იქნება 30 მოსახლე. არის ხუთი შტატის ეკკლესია და ექვსი მღვდელი. აი ასეთს დიდს საზოგადოებაში ერთი სამინისტრო სკოლაა და ერთიც – სამრევო.

სამრევლო სკოლის საჭიროება. თვით ს. საჩიჯაოში ორი ეკკლესიაა და ერთი მღვდელი მამა ოქროპირ ნანეიშვილი. მისი მრევლი შეიცავს თითქმის 250 კომლ მოსახლეს და ამიტომ სასურველია იგი იკისრებდეს თავის სამრევლოში სკოლის დაარსებას. მართალია, მისი მრევლი ღარიბია, მაგრამ, რადგანაც თვითონ იგი, მამა ოქროპირი და მისი დიაკვანიც გვათუა ნასწავლნი ბრძანდებიან და შეძლებაც შესწევთ, ადვილად შეიძლებენ თავის შრომით და ჯერ-ჯერობით თავის ხარჯითაც სკოლის დაარსებას და შენახვას“ (ისიდორე შიოსძე, ს. საჯიჯაო, გაზ. „ცნობით ფურცელი“, №227, 1897).

[2] გ. ჩიტაია, დასახ. ნაშრომი, გვ. 50.

სოფელი ხიბულა

1. სამების სახელობის ნაეკლესიარი

საღურწკაიოს უბანში, სოფლის სასაფლაოსთან, სადაც დაკრძალულია მაია დადიანი, ადგილობრივთა გადმოცემით იდგა სამების ხის ეკლესია. კითხება ეკლესიის საძირკველი. მაია გიორგის ასული დადიანი იყო კონსტანტინე დადიანის უმცროსი და, რომელიც 100 წლის ასაკში 1921 წელს გარდაიცვალა. ეს ეკლესია მდებარეობდა მდ. ჭანისწყლის მარცხენა მხარეს.

2. ძველი ხიბულას მთავარანგელოზთა სახელობის ნაეკლესიარი

ნარსიების და ჭაქვაძეების სასაფლაოსთან, მდ. ხობის მარჯვენა მხარეს, ხიბულის ციხის ჩრდილოეთით იდგა ხის ეკლესია. ეს უფრო ძველი ეკლესია იყო ვიდრე მაიას სასაფლაოზე მდგარი ეკლესია. აქაც ჩანს მცირეოდენი საძირკველის ნაშთები. აქ თურმე აღდგომის პირველ ხუთშაბათს იცოდნენ დიდი ჯარობა, თითქმის მთელი დასავლეთ საქართველო მოდიოდა, ხონიდან და გალის რაიონიდანაც კი. მდვდელი ყოფილა ელიზბარ ქარცხია, როცა ის დაუშლიათ ჩვენი 1920 წელს დაბადებული მთხრობელი (ქვარცხავა გივი) ყოფილა 5 წლის. ზოგიერთი მთხრობლის გადმოცემით ეს ეკლესია იყო ღვთისმშობლის სახელობის.

3. დადიანთა ნამოსახლარი

სოფელ ხიბულაში დღესაც ახსოვთ დადიანების სასახლის ადგილი – მას „დადიაშ დოხორეს“ ეძახიან. აქ სახლობდა მაია და კონსტანტინე დადიანი. აქ დღეს სახლობს 4 ოჯახი, ჩხეიძე, სიჭინავა, კაკაშვილი და ვარდია.

ძველ ხიბულას თავისი ციხითურთ ფლობდა კონსტანტინე ბატონიშვილი, რომელიც ლევან V დადიანის ყველაზე უმცროსი ვაჟი იყო. დაიბადა 1819 წელს[1].

ადგილობრივთა გადმოცემით, ხაბულაში დიდი ბრძოლა მომხდარა ადგილობრივ თავად ჩიჩუებსა და დადიანებს შორის, რომლის შედეგად დადიანებს ეს ციხე მათთვის წაურთმევიათ. ეს გადმოცემა სიმართლეს უნდა შეესაბამებოდეს.

აქ სამი ეკლესია დაუნგრევიათ (ზუბის, გაშფერდის, ხიბულის) ძმებ კემულარიებს.

[1] დასავლეთ საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური 115-116.

4. ხიბულას ციხე-სიმაგრე

მდ. ჭანისწყლის მარჯვენა მხარეს მაღალ გორაკზე მდებარეობს ხიბულას ჯიხა. ჩრდილოეთიდან ის უყურებს ჭაქვინჯის ციხეს, ჩრდილო-აღმოსავლეთით სოფელ ობუჯს, დასავლეთით კი სოფელ ბიას.

ეს ციხე-სიმაგრე საკმაოდ ვრცლად აქვს აღწერილი გ. ჩიტაიას, რომელსაც სრულად შემოგთავაზებთ: „იგი ხუროთმოძღვრულ კომპლექსს წარმოადგენს, რომელიც შედგება გალავნის, კოშკის, სასახლისა და სამლოცველოს ნაშთებისაგან. გორაკი მთლიანად დაფარულია ფართოთოფლოვანი ხეებით, ხეები მრავლადაა ციხის შიდა ეზოშიც, რომლის ფართობი არანაკლებ 2000 კვ. მეტრია. ეზოს ფორმა ოვალურია. ციხის კოშკიდან კაგად მოჩანს ბიისა და ურთის მთის მასივები, აგრეთვე ჭაქვინჯის ციხე.

ბორცვი, რომელზედაც ციხეა აღმართული, საკმაოდ ციცაბოა, მხოლოდ სამხრეთ-დასავლეთი მხრიდან არის ვაკე მისასვლელი. მთავარი შესასვლელიც ამ მხარეს უნდა ყოფილიყო. ბუნებრივია იგი სათანადოდ გამაგრებულიც იქნებოდა, ალბათ კოშკითაც, მაგრამ დღეისათვის მსგავსი რამ არ ჩანს. აქვე ახლოს სამეურნეო დანიშნულების ნაგებობებიც ყოფილა, რასაც ციხის გალავნის გარეთ 20-ოდე მეტრში მიწაში ჩაფლული ქვევრი მოწმობს. გალავანი რიყის ქვითაა ნაშენი, იგი მხოლოდ სამხრეთ-აღმოსავლეთით არის შემორჩენილი, რომელიც მიწისძვრისა და მეწყერის გამო გადაწოლილია, გალავნის საკმაოდ დიდი ნაწილები ფერდობზეა დაგორებული. იქვე ზედ გალავანთან, შემორჩენილია რიყის ქვით ნაგები შენობის ნაშთები, გვერდით დევს ჩამონგრეული კედლის ნაწილი, რომელშიც ქვევრია ჩაშენებული, მისი დიამეტრი 50 სმ-ია, იგი ქვევრი-რეზონატორი უნდა იყოს, რაც გვაფიქრებინებს, რომ ეს შენობა ციხის სამლოცველო უნდა ყოფილიყო. ეზოს სამხრეთით ჭაა, რომლითაც ადგილობრივ მცხოვრებთა გადმოცემით, XX საუკუნის 30-იან წლებშიც სარგებლობდნენ, ამჟამად ჭა ამოვსებულია. ციხის ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაწილში საერთო ეზოდან ორ მეტრამდე სიმაღლის შირიმის ქვით გამოყოფილ შემაღლებაზე გალავნისგან დამოუკიდებლად დგას კოშკი, რომლის ფუძის ზომებია 7,70X7,10 მეტრი, ზევით იგი ოდნავ ვიწროვდება, მისი სიმაღლე 7 მეტრამდეა, იგი დიდი ზომის შირიმის ქვის კვადრებით არის აშენებული, ზემოდან შუაში ოთკუთხა ჩასასვლელია, რომელიც ამოვსებულია; კოშკზე ორ მეტრამდე სიმაღლის რიყის ქვის კედლებია დაშენებული, იგი გვიანდელი დანამატია. იქვე ახლოს, შემაღლების მარცხნივ, მიდგმულია ორსართულიანი პალატის პირველი სართული, ჭერი ნაწილობრივ ჩამონგრეულია, შემორჩენილია მეორე სართულის კედლის ნაწილი, პალატის ზომებია: სიგრძე 6,60 მ, სიგანე 6 მ, პირველი სართულის სიმაღლე 3 მ., კედლის სისქე 1 მ., პალატი რიყის ქვითაა ნაგები, ხოლო მარჯვენა კედელი – შირიმის ქვის კვადრებით, ნაგებობის წინ, მარცხენა მხარეს, საკმაოდ დიდი ზომის ქვევრია ჩამარხული“[1].

[1] გ. ჩიტაია, დასახ. ნაშრომი, გვ. 50-52.

XVI-XVII საუკუნეში შედგენილი შეწირულობის წიგნში ბიჭვინტისადმი, რომელსაც ხელს აწერს აფხაზეთის კათალიკოსი მალაქია, ნათქვამია, რომ „...ხიბულას საყდრის იარაღისათვის ციხე სალაროთი გამიკეთებია, შიგან ორი კვამლი კაცი დამისახლებია, საყდარი სა, სახლი, ჩარდახი დამიდგია და ერთი სასახლე ის გამიკეთებია“ [1]. გ. ჩიტაიას აზრით, ხიბულის ციხის რიყის ქვის სამშენებლო ფენა მალაქია კათალიკოსისეულია, ხოლო შირიმის ქვის ფენა უფრო ძველი უნდა იყოს[2].

არსებობს ამ გუჯარის სხვა, ცოტა განსხვავებული ვარიანტი, რომელიც ექვთიმე თაყვაიშვილმა გამოაქვეყნა: „...გკადრეთ და მოგახსენეთ, ხიბულას სალარო არ იყო, ნაციხვარი სალა[რო და] სასახლე გამიკეთებია, ერთი კვამლი კაცი ჩემის თეთრითა [მიყ]იდია და შიდ მოსასახლეთ დამისახლებია, ციხე სალარო გაკეთებ[ული] ერთის კვამლის კაცითა შემომიწირავს. კვალადცა გკადრეთ... [მე]ჯოგე, საყდრისა გატეხა, და მისის საუპატიოთ ვიშოე; ერთი კვამლი... მოსახლეთ დამისახლებია“[3].

ჩვენს მიერ მოპოვებული მასალის საფუძველზე, აქ ციხის შიგნით მდგარა დადიანების კარის ეკლესია. ამავე დროს ვფიქრობთ, რომ ციხეში სხვადასხვა დროის სამშენებლო ფენა შეინიშნება და იქ მდგარი დიდი კვადრებით აშენებულ კოშკი შესაძლოა ადრეფეოდალური ხანისაც იყოს.

ხიბულას იხსენიებს დონ კრიტსტეფორე დე კასტელი, რომელიც აღნიშნავს, რომ „სამეგრელოს სოფ. ხიბულას მთაზე ეკლესია, შიგ მართლმადიდებლური მხატვრობის უმშვენიერესი რელიეფური ვერცხლის ხატებია“. მისივე თქმით, „ამ მთის პირდაპირ რამდენიმე სახლია, სადაც წავედი მკურნალობის ჩასატარებლად და რამდენიმე სული მოვნათლე“[4].

ხიბულა ქართულ წყაროებში პირველად იხსენიება 1525-1550 წლებში შედგენილ აფხაზეთის საკათალიკოსო გლეხების დიდ დავთარში, სადაც წარმოდგენილია ხიბულის სასახლის „გამოსავალი“ „მართებელ მოსაკრებელი“[5].

---

[1] ა. ხახანაშვილი, გუჯრები, ქუთაისი, 1891, გვ. 144.

[2] გ. ჩიტაია, დასახ. ნაშრომი.

[3] ექვთიმე თაყაიშვილის თქმით, „ამ წერილში მოხსენიებული ლეონ დადიანი უნდა იყოს ლევან II. ამის დადიანობის დასაწყისში იყო ეფთვიმე კათალიკოზი, რომელიც ამ სიგელში იხსენიება, ვგონებ, გარდაცვალებულად. ამისათვის წერილი უნდა იყოს დაწერილი 1611-1657 წლებში“.

[4] დონ კრისტეფორე დე კასტელი, ცნობები და ალბომი საქართველოს შესახებ, თბ., 1977, ტექსტი გაშიფრა, თარგმნა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო ბეჟან გიოგაძემ, გვ. 174-175.

[5] „არის: ხიბ ლას სასახლე: და: გმოსვლი: მრთებელი: მოსაკრებლობაჲ: მრთებს უჩაკოჩის ქარცხიას გოჭკუმური და ლაშქრობაჲ. მრთებს ხუტკუბიას ქარცხიას გოჭკომური და 1 საკლავი და 1 ქანდაქის ფასი საყანე ღორი, ბაზიარობაჲ და 1 ქათამი საქორე, 5 კოკა ღვნო, 20 ჯამი ღომი, ტჯრთის ზიდვაჲ, ყ ლ დღეთ ყანის მუშაობაჲ და ლაშქრობა და ყურძნის კრებაჲ და თივის თიბვაჲ, იფქლის მკაჲ, ბეგრის ქათამი:

მართებს გმიგონას ქარცხიას საპურობო და ორი საკრავი, 28 ჯამი ღომი, 9 კოკა ღუნო, 1 საქორე ქათამი, ყ ლის დღის მუშაობაჲ, ტჳრთის ზიდვაჲ, ლაშქრობაჲ, 1 ბეგრის ქათამი:

მრთებს მახოლას ქარცხიას საპურობო, 2 საკლავი, 9 კოკაჲ ღუნო, ოცდარვაჲ ჯამი ღომი, ყ ლის დღის მუშაობაჲ, საზიარო ქათამი, 1 გებრის ქათამი, ერთი ქადაქისა საყანე ღორი, ტჳრთის ზიდვაჲ, ყურძნის კრებაჲ, პურის მკაჲ, ლაშქრობაჲ.

მართებს გუგუტას ქარცხიას საპურო, 1 საკლავი, საბაზიარო ქათამი, 1 ბეგრის ქათამი, მუშაობაჲ, ტჳრთის ზიდვაჲ, სამი კოკა ღუნო, 10 ჯამი ღომი, ლაშქრობაჲ, ყურძნის კრებაჲ, თივის თიბვაჲ.

მრთებს მახუტოლას ქავთარიას საპურობო, 2 საკლავი, 1 ბეგრის ქათამი, 2 ჯამი ღომი, 8 კოკაჲ ღუნო, მეოთხეს წელსა ოჩხოლი და ლაშქრობაჲ და მგზავრობაჲ.

მრთებს გუგუს ქავთარიას საპურობო და ე(რ)თი საკლავი და ბეგრის ქათამი, 3 კოკა ღუნო, 5 ჯამი ღომი და ლაშქრობაჲ, მეთორმეტის წელსა ოჩხოლი:

მრთებს გუგულას ქავთარიას საპურობო და 1 საკლავი, 6 კოკა ღუნო, 20 ჯამი ღომი, მეთორმეტეს წელსა ოჩხოვლი, ბაზიარობაჲ და ლაშქრობაჲ:

მრთებს ქ ეკოჩი ქავთარიას საპურობო და 1 საკლავი, 3 კოკა ღუნო, 5 ჯამი ღომი, 1 ბეგრის ქათამი., მეთორმეტეს წელსაჲ ოჩხოვლი და ლაშქრობაჲ:

მრთებს ი ნეს ქავთარიას საპურობო და მეოთხეს წელსა 1 საკლავი, 3 კოკა ღუნო, 5 ჯამი ღომი, ლაშქრობაჲ და მეთორმეტეს წელსა ოჩხოლი:

მრთებს ქეკოჩაის ბკერალიას საპურობო და 2 საკლავი. 9 კოკა ღუნო, 20 ჯამი ღომი, 1 ბეგრის ქათამი და ლაშქრობაჲ.

მრთებს უმეყოთას ბკერალიას საპურობო 2 საკლავი, 6 კოკა ღუნო, 10 ჯამი ღომი, 1 ბეგრის ქათამი, ლაშქრობაჲ და მგზავრობაჲ:

მრთებს გამიგონას ლომიას საპურობო და 2 საკლავი, 9 კოკა ღუნო, 10 ჯამი ღომი, 1 ქანდაქის ფასი საყანე საკლავი და საბაზიარო ქათამი, 1 ბეგრის ქათამი, ყ ლის დღის მუშაობაჲ, ტჳრთის ზიდვაჲ, პურის მკაჲ, ყურძნის კრებაჲ, თივის თიბვაჲ და ლაშქრობაჲ:.

მრთებს მისკუამ ს ლომაიას საპურობო და 1 საკლავი, 14 ჯამი ღომი, 5 კოკა ღუნო, 1 ბეგრის ქათამი და 1 საბაზიარო, 1 ქანდაქის ფასი საყანე საკლავი, ყ ლის დღის მუშაობაჲ თივის თიბვაჲ, პურის მკა, ყურძნის კრებაჲ, ბარგის ზიდვა და ლაშქრობაჲ:

მართებს ამრხალას ქარცხიას საპურობო და ორი საკლავი, ერთის ქანდაქის ფასი საყანე საკლავი, ცხრაჲ კოკა ღუნო, 28 ჯამი ღომი, საბაზიარო და ბეგრის ქათამი, ყ ლის დღის მუშაობაჲ. ტჳრთის ზიდვაჲ, პურის მკაჲ, ყურძნის კრებაჲ, თივის თიბვაჲ, ლაშკრობაჲ:

მართებს კუატას ლომაიას საპურობო, 2 საკლავი, 1 ქანდაქის ფასი საყანე საკლავი, 9 კოკა ღუნო, 28 ღომი, 1 ბეგრის და 1 საბაზიარო ქათამი, ყ ლის დღის მუშაობაი და ბარგის ზიდვაჲ, პურის მკაჲ, თიბვაჲ, ყურძნის კრებაჲ, ლაშქრობაჲ:.

მართებს სომიხერდას ლომაიას საპურობო, 1 საკლავი, 1 ჯამი ღომი, 5 კოკა ღუნო, 1 ბეგრისა და 1 საბაზიარო ქათამი, ყ ლი დღის მუშაობაჲ, ტჳრთის ზიდვაჲ, ყურძნის კრებაჲ, თივის თიბვაჲ. ლაშქრობაჲ, ერთის ქანდაქის ფასი საყანე ღორი:.

მართებს მახუჭაბას ლომაიას საპურობო და 1 საკლავი, საკლავის ქათამი და საბაზიარო ქათამი, 5 კოკა ღუნო, 14 ჯამი ღომი, ყ ლი დღის მუშაობაჲ და ტჳრთის ზიდვაჲ, პურის მკაჲ და ყურძნის კრებაჲ და ლაშქრობაჲ:.

მრთებს უღვინობას ქარცხიას საპურობო და 1 საკლავი, კოკა ღუნო, 16 ჯამი ღომი, 1 ქანდაქის ფასი საყანე ღორი, მოზიარობაჲ და საბაზიარო ქათამი და ლაშქრობა:.

მრთებს ღანდალეის ქარცხიას საპურობო, 1 საკლავი და საკლავის ქათამი, 3 კოკა ღუნო, 16 ჯამი ღომი, ბაზიარობაჲ და ლაშქრობაჲ:.

მართებს ინეს ქარცხიას საპურობო და 2 საკლავი, 6 კოკა ღუნო, 26 ჯამი ღომი, 1 ქანდაქის ფასი საყანე ღორი, 1 ქათამი საკლავისა და ერთი საბაზიარო, ყ ლის დღის მუშაობაჲ პარზიდვაჲ, თივის თიბვაჲ, ყურძნის კრებაჲ, ლაშქრობაჲ.

მრთებს კჭულეის ქავთარიას საპურობო და 2 საკლავი, 5 კოკა ღუნო, 26 ჯამი ღომი, 1 ბეგრის ქათამი, 1 საბაზიარო ყ ლის დღის მუშაობაჲ, თივის თიბვაჲ, პურის მკა, ყურძნის კრებაჲ, ერთის ქანდატის ფასი საყა(ნე) ღორი და ლაშქრობა:.

მრთებს უჩაიას ქავთარაიას საპურობო. მესამეს წელსა 1 საკლავ საკლავისა და საბაზიარო ქათამი, 10 ჯამი ღომი, 3 კოკა ღუნო, ყანის მუშაობაჲ, ყურძნის კრებაჲ, თივის თიბვაჲ, ტურთის ზიდვაჲ და ლაშკრობაჲ:.

მრთებს ჯგეკოჩაი ქაჯიანიას ოჩხოლი, საპურობო, 1 საკლავი, 1 ბეგრისა და 1 საბაზიარო ქათამი, 10 ჯამი ღომი, 5 კოკა ღუნო, ყ ლის დღის მუშაობაჲ, თივის თიბვაჲ, ყურძნის კრებაჲ, ყანის მკაჲ, ღუნის გაცივებაჲ და ლაშქრობაჲ:.

მრთებს უჩყინარას ქავთარიას ოჩხოლი, საპურობო, ერთის ქანდაქის ფასი საყანე ღორი, 6 კოკა ღუნო, 14 ჯამი ღომი, საქორე ქათამი და ლაშკრობაჲ:.

მართებს ობიშხას ქავთარიას საპურობო, ოჩხოლი, 4 კოკა ღუნო, 5 ჯამი ღომი, ბეგრისა და საბაზიარო ქათამი, მესამეს დღეს მუშაობაჲ და ლაშკრობაჲ:.

მრთებს მახრებლს ზარქუას საპურობო, 1 საკლავი, 5 კოკა ღუნო, 14 ჯამი ღომი, ბეგრისა და საბაზიარო ქათამი, ერთის ქანდაქის ფასი საყანე ღორი, ყ ლის დღის მუშაობაჲ, პურის მკაჲ, ყურძნის კრებაჲ, ლაშქრობაჲ და ტურთის ზიდვაჲ:.

მრთებს მახუტიას ზარქუას საპურობა და 1 საკლავი, 5 კოკა ღუნო, 14 ჯამი ღომი, ყოვლის დღის მუშაობა, ტურთი(ს) ზიდვაჲ, პურის მკაჲ, თივის თიბვაჲ, ყურძნის კრებაჲ, საკლავისა და საბაზიარო ქათამი:.

მრთებს თოლიშიას ზარქუას საპურობო, 1 ბეგრისა და საბაზიარო თითო ქათამი, 5 კოკა ღუნო, 14 ჯამი ღომი, ყ ლის დღის მუშაობაჲ; ერთი ქანდაქის ფასი საყანე ღორი, ბარგის ზიდვაჲ, პურის მკა, ყურძნის კრებაჲ, თივის თიბვაჲ, ლაშქრობაჲ:

მრთებს კოჩას ზარქუას საპურობო, 1 საკლავი, 4 კოკა ღუნო, 14 ჯამი ღომი, თითო ბეგრისა და საბაზიარო ქათამი, ყ ლის დღის მუშაობა, ბარგის ზიდვა, თივის თიბვაჲ, ყურძნი(ს) კრებაჲ და ლაშქრობაჲ:.

მრთებს სეფეყმ ს კაჭუას საპურობო და 1 საკლავი, 20 ჯამი ღომი, 6 კოკა ღუნო, 14 ჯამი ღომი, 1 ბეგრი(ს) ქათამი და ლაშკრობაჲ და მგზავრობაჲ:.

მართებს კაკაკოჩი უჩაას საპურობა და 1 საკლავი, 5 კოკა ღუნო, 14 ჯამი ღომი, 1 ბეგრი(ს) ქათამი და ლაშკრობაჲ და მგზავრობაჲ:.

მრთებს ქომიხერდას დოღუზიას ხადილი, ლაშკრობაჲ და მგზავრობაჲ

მართებს გ ის ჩიტიას შვილსა ხადილი და ლაშკრობჲ:.

მრთებს იანას თომაიას საპურობო და 1 საკლავი, ბეგრის ქათამი, ერთის ქანდაქის ფასი ღორი, 6 კოკა ღუნო, 12 ჯამი ღომი, ლაშკრობა და მგზავრობაჲ:.

მრთებს ხახულარას ლომაიას საპურობო და 1 საკლავი, ბეგრის ქათამი, 6 კოკა ღუნო, 12 ჯამი ღომი, 1 ქანდაქის ფასი საყანე ღორი, ლაშკრობაჲ და მგზავრობაჲ:.

მართებს ქ-ებნას ლომაიას საპურობა და 1 საკლავი, 1 ბეგრის ქათამი, 1 საქანდაქო ღორი, ლაშკრობჲ, 6 კოკა ღუნო, 12 ჯამი ღომი და მგზავრობაჲ:.

მრთებს თაიმაზას ლომაიას საპურობო და 1 საკლავი, 1 ბეგრის ქათამი, 1 საქანდაქო საყანო ღორი, 6 კოკა ღუნო, 12 ჯამი ღომი და ლაშკრობაჲ და მგზავრობაჲ:.

მრთებს ბაბადიბას ლომაიას საპურობა და 1 საკლავი, 1 ბეგრის ქათამი, 6 კოკა ღუნო, 12 ჯამი ღომი, 1 ქანდაქის ფასი საყანე ღორი, ლაშკრობაჲ და მგზავრობაჲ:.

მრთებს ივანეს ლომაიას საპურობო და 1 საკლავი, 6 კოკა ღუნო, 12 ჯამი ღომი, 1 საქანდაქო ღორი, ბეგრის ქათამი, ლაშკრობაჲ და მგზავრობაჲ:.

მრთებს თოლიორქოს ლომაიას საპურობო და 1 საკლავი, საქანდაქო საყანო ღორი, ბეგრის ქათამი, 6 კოკა ღუნო, 12 ჯამი ღომი, ქაშკრობაჲ და მგზავრობაჲ:.

მრთებს თლისკუამიას ლომაიას საპურობო და 1 საკლავი, ბეგრის ქათამი, 6 კოკა ღუნო, 12 ჯამი ღომი; 1 საქანდაქო საყანე ღორი, მერემაყობაჲ (სიც) ლაშკრობაჲ და მგზავრობაჲ:.

მრთებს ხუტკუბიას ხრჩავიას ორი უფროს უმცროსი საკლავი, 1 ბეგრის ქათამი, კურაშიდ ერთი დღის ყანის შვლაჲ, ლაშკრობაჲ და მგზავრობაჲ:.

მრთებს კაკა ჩიტას ნოღაშავრიას 1 პურობაჲ, მგზავრო(ბაჲ) და ლაშქრობაჲ:.

მრთებს კიღულეი ქავთარიას მოინალობაჲ, 1 ბეგარი, 1 ღორი, 8 კოკა ღუნო, 10 ჯამი ღომი, ყ ლის დღის სასახლის სამსახური, 1 ბეგრის ქათამი:.

მრთებს კიზულვის ქავთარიას მოინალობა ჲ, ერთი საკლავი, 8 კოკა ღუნო, 2. ჯამი ღომი, საბაზიარო ქათამი, ყ ლის დღის სასახლის სამსახური:.

მრთებს მაჭუჭიას ქავთარიას 1 საკლავი, 4 კოკა ღუნო, 10 ჯამი ღომი, 10 ჯამი ღომი, 1 ბეგრის ქათამი და ყ ლის დღის სამსახური სასახლისა და ერთი ქანდაქის ფასი საყანე ღორი:.

მრთებს ხუტალიეს ქავთარიას მოინალობაჲ, 1 საკლავი, 1 ბეგრის ქათამი, 10 ჯამი ღომი, 4 კოკაჲ ღუნო, 1 საქანდაქო საყანე ღორი, ყ ლის დღის სასახლის სამსახური:.

მრთებს ამრცალაჲ ქავთარიას 1 საკლავი, 3 კოკა ღუნო, 10 ჯამი ღომი, 1 საკლავის ქათამი, ყ ლის დღის მოინალობაჲ და სასახლის სამსახური:.

მრთებს უსკუამადას ქავთარიას 1 საკლავი, საქანდაქო მჭიფები, 5 კოკა ღუნო, 10 ჯამი ღომი; 1 საკლავის ქათამი, ყ ლის დღის სასახლის სამსახური.

მრთებს მაჭიხოლას ქავთარიას 1 საკლავი, 1 ბეგის ქათამი; 5 კოკა ღუნო, 10 ჯამი ღომი. ერთის ქანდაქის ფასი საყანე ღორი, ყ ლის დღის მოინალობაჲ და სასახლის სამსახური.

მრთებს სომიტერდას ქავთარიას 1 საკლავი, 1 საკლავის ქათამი, 4 კოკა ღუნო, 10 ჯამი ღომი და მოინალობაჲ და ყ ლის დღის სასახლის სამსახური:.

მრთებს გინაგონას ლომაიას საპურობო და 1 საკლავი, 1 ბეგრის ქათამი, 4 კოკა ღუნო, 10 ჯამი ღომი, ყ ლის დღის მუშაობაჲ, ტურთის ზიდვაჲ და ლაშქრობაჲ:.

მრთებს ჭოჭოლეის ქარცხიას ერთი საკლავი, საპურობო, 1 ბეგრის ქათამი, 3 კოკა ღუნო, 10 ჯამი ღომი, ყ ლის დღის მუშაობაჲ ბარგის ზიდვაჲ:.

მრთებს კაჭუჭიას ბაკურიას ყ ლის დღის კამბეშის შენახვაჲ:.

სოფელი ბია

1. მთავარანგელოზთა სახელობის ეკლესია

XIX საუკუნის რუსული სტატისტიკური აღწერილობის მასალებით სოფ. ბაიაში მოხსენიებულია ერთი ეკლესია[1]. სოფელი ბია დღესდღეობით იყოფა ორ ნაწილად – ზემო და ქვემო ბიად.

ზემო ბიაში მაღალ ბორცვზე მდებარეობს მთავარანგელოზის სახელობის საკმაოდ კარგად შენარჩუნებული ტაძარი (გაუკეთდა რესტავრაცია ნაწილობრივ). მდვდლები აქ ყოფილან იოსავები და სიჭინავები.

1696-1742 წ. გრიგოლ კათალიკოზის მიერ დადებულ წიგნში მოხსენიებულია სოფ. ბია, სადაც ნათქვამია, რომ ბიჭვინთის და ხობის ღვთისმშობლისათვის შეუწირავთ, „ბიას კოჩიორი სიჭინავა და მისი გლეხი ამაცალა ცხადაია, ხუთი (უწინ ყოფილა: სამი) ლოღარიკი სანთელი. კიდევ ბაიას ჯვებე ბიგავა და მისი ძმისწული მათის ცოლშვილითა, ხუთი ლოღარიკი სანთელი, ხობს ხუტუ კოდუა და გელა მათის ცოლშვილითა, ხუთი ლოღარიკი სანთელი. ქ. კიდევ ხობსა მამაგული ბაბადიში და ბიძა მისი, ხუთი [ლოღარიკი სანთელი]. ქ. კიდევ [გეგი]ბერია ჭუჭუ, ახალიკოჩი და ... (მეტი არაა)[2].

XVII საუკუნის შეწირულობის წიგნში აფხაზეთის კათოლიკოზისადმი ნახსენებია სოფელი ბიის მცხოვრები: „კოჩიორე სიჭინავა მეხადილე, სამი ლოღარიკი სანთელი; კიდე ჯვებე ბიგვავა, ხუთი ლოღარიკი სანთელი; ხორგას რაც არის ყველა მეხადილე არის, აზნაურის ყმას გარდა“[3].

1733 წ. გუჯარში გრიგოლ კათალიკოზისა ბიჭვინთის საბუთთაგან შეწირულობის წიგნში ნათქვამია: „სახოფოთ ბიას კოჩიგაძე სიჭინავა ჩიჯავაძის ნიშანში ბეჟან დადიანმა მოგვცა ორი მოსახლის გლეხით, მისის ყოვლისფერიანად“[4].

ბიის მთავარანგელოზთა ეკლესია საკმაოდ ვრცლად აქვს აღწერილი გ. ჩიტაიას, რომელმაც თვითონ დაგვათვალიერებინა ეს ტაძარი და სამშენებლო ქვების მიხედვით

არის ზუგდიდს ივანაიაჲ:. მრთებს (მეტი არა სწერია).

მეორე გვერდზე: არის ხიბლას კუამლი გლეხი ჯუმლად ორმოცდათურამეტი:. არის ჯუმლად 41 საპურობო:. არის ჯუმლად 62 საკლავი:. არის ჯუმლად 58 ქათამი:. არის ჯუმლად 24 საყანე საკლავი: არის ღჳნო კოკაჲ ჯუმლად 254:. არის ჯუმლად ჯამი ღომი 665:“ (ს. კაკაბაძე, აფხაზეთის საკათალიკოზო გლეხების დიდი დავთარი, თბ., 1914, გვ. 19-24).

[1] Свод статистических данных, დასახ. ნაშრომი.

[2] ს. კაკაბაძე, დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, წ. I, ტფილისი, 1921, გვ. 154-156.

[3] საქართველოს სიძველენი, ტ. I, თბ., 1920, ექვთიმე თაყაიშვილის რედაქტორობით, გვ. 56.

[4] ს. კაკაბაძე, დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, წ. I, ტფილისი, 1921, გვ. 131-145.

უფრო ძველი ფენის არსებობაზეც მიგვითითა. მისი აღწერილობით, „ტაძრის შენობის სიგრძე 13, სიგანე 7 მეტრია, კედლის სისქე – 70 სანტიმეტრი. მართალია, იგი არ არის შემკული ჩუქურთმებით, მაგრამ არქიტექტორს ისეთი პროპორციები შეურჩევია, რომ ტაძარი როგორც შიგნიდან, ასევე გარედან ძალიან ლამაზია, ის უფრო ძველი და დიდი ტაძრის ადგილზეა აშენებული, რასაც მოწმობს ნაგებობის ირგვლივ მდებარე ერთი მეტრამდე სიფართის ძველი საძირკველი. ტაძარში აშკარად შეიმჩნევა რამდენიმე სამშენებლო ფენა. როგორც ჩანს, სარესტავრაციო სამუშაოებისას სხვადსხვა დროს გამოუყენებიათ ქვიშაქვები, კირქვის კვადრები, რიყის ქვა, ქართული აგური. საკურთხეველს გარედან ხუთკუთხედის ფორმა აქვს, რომელშიც სამი სარკმელია ჩატანებული, ორ-ორი სარკმელი აქვს სამხრეთისა და ჩრდილოეთით, ერთი – დასავლეთის კედლებს. სარკმლები მოჩარჩოებულია ლამაზად გათლილი კირქვებით. ტაძარს სამი კარი აქვს: ჩრდილოეთით, სამხრეთით და დასავლეთით. კარების თავები დამშვენებულია ლამაზად გათლილი კირქვის ცრუ თაღებით. ამ თაღების შუაში ჩასმულია კირქვის კვადრები, რომლებზეც ამოჭრილია ჯვრის გამოსახულებანი. დასავლეთის სარკმლის ორივე მხარეს რამდენიმე კვადრისაგან შემდგარი მართკუთხედია, რომლებზედაც ჯვარია გამოსახული. სამხრეთ და ჩრდილოეთის კედლებს შიგნიდან აქვს დეკორატიული სამ-სამი ცრუ თაღი. საკურთხეველი ძირითადი სივრცისაგან გამოყოფილია ოდნავ ნალისებრი რკალით, საკურთხევლის ორივე მხარეს ცრუ თაღით შემოსაზღვრული შეწეული მოცულობაა, რომელიც ალბათ სადიაკვნესა და სამკვეთლოს ფუნქციებს ასრულებდა. იატაკი ძლიერ დაზიანებულია, იგი მოკირწყლული ყოფილა ერთნაირი ზომის გათლილი კვადრებით. საკურთხევლის წინ მარცხნით, შეინიშნება საფლავის ქვის ნაშთი. ადგილობრივ მცხოვრებთა გადმოცემით, ეკლესიის სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში საძვალეა. ჩრდილოეთის კარის ხელმარჯვნივ ჩატანებულია წარწერებიანი ქვის ლოდი ზომის 48X23 სმ-ზე, თუმცა, წარწერა შეცდომებითაა სავსე, იგი ლამაზი მხედრული ასოებით არის შესრულებული, მასში არ ჩანს ავტორის ვინაობა, სულ სამ სტრიქონიანია, მეოთხე სტრიქონი კი ძალიან უხეში ასოებით არის შესრულებული, სადაც ორჯერ მკრთალად მეორდება: „ესე საყდარ“, „ესე საყდარ აშენდა“, შემდეგ კი გარკვევით წერია: „ესე საყდარი აშენდა“, ქვევით კი, „ჩყმზ წელსა“, ანუ 1847 წელს. ეს არ არის ტაძრის აშენების საწყისი თარიღი, უნდა ვიგულისხმოთ, რომ ამ დროს ალბათ, მორიგი სარემონტო სამუშაოები ჩატარდა. ტაძარს არა აქვს კანკელი. ჭერის საყრდენი თაღის ქვების ნაწილი დაფარულია ლურჯი, უფრო იისფერი ფრესკული საღებავით, ეტყობა ერთ დროს იგი მოხატული ყოფილა. საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე ამ ეკლესიასთან მარიამობის მომდევნო კვირას იმართებოდა დღესასწაული, რომელიც „მალანურობის“ სახელწოდებით არის ცნობილი. ამ დღესასწაულზე უარმავი ხალხი იკრიბებობა, საგანგებოდ შეარჩევდნენ უცოლო ახალგაზრდებისაგან 12 „მალანურს“, დღესასწაულის დასკვნით ეტაპზე ისინი ორად იყოფოდნენ და ეკლესიის წინ დადებული გრძელი ჭოკის ორივე მხარეს ჩაავლებდნენ ხელს და ცდილობდნენ თავიანთ მხარეს გადაეზიდათ, ხალხს მიაჩნდა, რომ რომელი მხარეც გაიმარჯვებდა, იმ მხარეს უხვი მოსავალი იქნებოდა“[1].

უნდა აღვნიშნოთ, რომ გ. ჩიტაია სავსებით მართებულად აღნიშნავს იმ გარემოებას, რომ ბიის ტაძარი არა თუ 1847 წელს უნდა იყო აშენებული, არამედ ამ დროს აქ აღდგენითი სამუშაოები ჩაუტარებიათ; ამას ადასტურებს გაზ. „ცნობის ფურცელში“ გამოქვეყნებული სტატია, სადაც ნათქვამია, რომ ბიის ორნავიანი ეკლესია

[1] გ. ჩიტაია, დასახ. ნაშრომი, გვ. 39-41.

მღვდელს შიო იოსავას განუახლებია ეკლესია ამ ორმოცდაათი წლის უკან, ანუ დაახლოებით XIX საუკუნის 30-იან წლებზეა საუბარი[1]. იმავე გაზეთის ცნობით, სოფ. ბიაში „დგას მთავარ-ანგელოზის საყდარი მაღლად აყვანილ მინდორ ადგილზედ; ეკკლესიას უვლის თვალ უწვდენელი დაღმართი. ნამარიამევს სამშაბათს ამ ეკკლესიაში შეიკრიბება ხალხი და გაიმართება სხვადასხვა გვარი თამაში და ჯირითობა. ეს თამაში დაიწყება კვირიდან და გათავდება სამშაბათს“[2].

ბიის მთავარანგელოზთა ეკლესიის ადგილს გარკვეული თავდაცვითი ფუნქციაც უნდა ჰქონოდა. ის ძალზედ მოხერხებულ ადგილას დგას; დასავლეთით გადაჰყურებს მდ. ხობისწყალას – ჩანს მისი ჩრდილოეთი და სამხრეთი ხეობა, მისგან ჩრდილო დასავლეთით ჩანს ურთის მთა. ჩრდილოეთიდან და ჩრდილო-აღმოსავლეთიდან გადაჰყურებს ჯახუთის და რზენის ციხეს, აღმოსავლეთით კი ნოჯიხევის ძველ ჯიხას, რომელიც ხობისწყლის ხეობაშია.

2. მაცხოვრის სახელობის ნაეკლესიარი

XIX საუკუნის დასასრულს სოფ. ბიაში აუშენებიათ მაცხოვრი სახელობის ხის მეორე ეკლესია, იმ ადგილას, სადაც დღეს არის გეგიების, ცხადაიების, ქირიების, სიჭინავების და სხვათა სასაფლაო. მასზე ცნობებს გვაწვდის გაზეთი „ცნობის ფურცელში“ მოთავსებული მასალა. აქ ასევე გაუხსნიათ სამრევლო სკოლა, ბიის ძველ ეკლესიასთან, მღვდელ პროხორე იოსავას მეცადინეობით. ამ ახალი ეკლესიის აშენება უცდია მღვდელ ნესტორ სასანიას და მას ორასი მანეთი შეუწირავს. ამ ეკლესიისათვის საძირკველი 1887 წელს ჩაუყრიათ, რომელიც 1899 წლისათვის ჯერ კიდევ არ ჩანს დამთავრებული[3].

---

[1] გაზ. „ცნობის ფურცელი“, ან. იო-ავა. №237, 1897.

[2] პ. ლ-ვა. ერთი ჩვეულება სამეგრელოში, გაზ. დროება, №200, 1880.

[3] გაზ. ცნობის ფურცელი, №94, 1899: ამ სოფელში მეორე ეკლესიაა აშენებული „ქვემო ბიაში“ სამი ვერსის მანძილზე მთავარ-აგნელოზის ეკკლესიისა. ჯერ-ჯერობით თუმცა არაა სრულიად დასრულებული. იმედია, თავის მეცადინეობას არ დაზოგავს მღვდელი და მით დააჯილდოვებს ჩვენს სოფელს; როგორც ამ ეკკლესიაში აგრეთვე მთავრ-ანგელოზის ეკკლესიასთან 4-5 წელიწადია რაც სამრევლო სკოლაა გახსნილი მღ. იოსავას მეცადინეობით, რომელმაც დასთმო თავისი ოჯახი სამრევლო სკოლისათვის, რის გამო დიდი მადლობის ღირსია მამა პროხორე. სასურველია ვისგანაც ჯერ არს შემწეობას აღმოუჩენდნენ მღდელს და სკოლის შენობის აშენებას ხელს მოუმართავდნენ (ბეგლარი ბიელი);

გაზ. ცნობის ფურცელი, №237, 1897

ს. ბია (სამეგრელო). მოწერილი ამბის გამო. გაზეთ „ივერიის“ 74 №-ში დაბეჭდილი იყო წერილი ზუგდიდის მაზრის სოფ. ბიიდან, ბიის სოფლის და იმავე სოფლის ორშტატიანის წმ. მთავარ-ანგელოზის ეკკლესიის შესახებ. ვითომ სოფელი ბია განიყოფება ორ ნაწილად: ზემო და ქვემო ბიად. ქვემო ბია ზემო ბიაზე ხუთი-ექვსის ვერსით არის დაშორებულიო. ზემო ბია ძალიან მაღალ მთიანს ადგილზე არის გაშენებული ამავე სოფლის საერთო ორ-შატიანი ეკკლესია, რომელსაც მეტად მიუვალი გზა აქვსო. კორესპონდენტისავე თქმით, განიზრახეს ქვემო ბიაში მცხოვრებლებმა თავიანთს სოფელში ეკკლესიის აგება და მღვდ. ნესტორ სასანიას თაოსნობით შენდება კიდეც ახალი ეკკლესია, და მღვდ. სასანიამ ორასი მანათი შესწირაო.

ვფიქრობთ, სწორედ ეს უნდა იყოს ფრანსუა გამბას მიერ ხობის მონასტრისკენ მიმავალ გზაზე მოხსენიებული ხის დაუმთავრებელი ეკლესია: „ორ საათზე გავემართეთ ხორგის საგუშაგოდან სახარბედიოს საგუშაგოსაკენ, რომლებიც ოცი ვერსითაა (ხუთი ლიეთი) ერთმანეთისაგან დაშორებული. სოფოსტო სადგური კი ჩვიდმეტ ვერსზეა, და რადგანაც წლის ყველაზე ხანგრძლივი დღეები იდგა, იქ დაღამებამდე ბევრად ადრე ჩავედით“. „ჩვენი მასპინძლის სახლი ხეებით დამშვენებულ პატარა ფერდობზე იდგა. ფერდობის ზემოთ კი ლამაზად ნაგები, ჯერ კიდევ დაუმთავრებელი ეკლესია მოჩანდა. ეკლესიის კედლები, კარგად გათლილი და ჩარჩოთი შეკრული, დაახლოებით ორი გოჯის სისქის მუხის ფიცრებისა იყო. ეკლესიის ირგვლით დატოვებული იყო რამდენიმე დიდი ზომის კოპიტი, ცაცხვი და თელა“[1].

სოფელი ქვალონი

1. ქვალონის ეკლესიები და სამღვდელოება XIX საუკუნეში

XIX ს-ის სტატისტიკური აღწერილობის მასალების მიხედვით ქვალონში ფიქსირებულია 2 ეკლესია და 1 სკოლა[2].

საარქივო მონაცემებით კვალონში ყოფილა 10 სამღვდელო ოჯახი.

„Посемеинии списокь лиць привилегированного сословия по Кутаисскои губерния Зугдидского уезда редут-кальского полицеиского участника селения Квалони

სიმართლის აღსადგენად, ნება გვიბოძეთ, საქმის ნამდვილი ვითარება მოგახსენოთ. სოფელ ბიას ორი ოთხ კუთხი ვერსი ადგილი თუ უჭირავს. ერთი ეკლესია ბიელებს უკვე აქვსთ, რომელიც გაშენებულია გამოჩინებულს ადგილზე. გზაც კარგი აქვს, ყოველსავე შემთხვევაში, ამ გზაზე სიარულის დროს არავინ დამარცხებულა. მეორე ეკკლესიის აშენება, ჯერ ერთი, სამძიმოა ნივთიერად დაცემულ სოფლელთათვის, მეორეც, საჭიროც არ არის, რადგან, როგორცა ვსთქვით, სოფელი ისე დიდი არ არის, რომ ერთი ეკკლესია არ გასწვდეს ყველას. მიუხედავად ამისა, მაინც დაწყებულ იქმნა ახალი ეკლესია, რომლის მარტო საძირკველია ჩაყრილი, ხოლო კედლებს როდის ამოიყვანენ, ეს ღმერთმა უწყის, რადგან ხალხს არ შეუძლია საჭირო ხარჯის გაღება. ამ სამოცის წლის წინად ამავე ბიის სოფლის მცხოვრებმა და იმავე ორ-შტატიანის ეკკლესიის მღვდელმა აწ განსვენებულმა შიო იოსავამ განაახლა ხსენებული ეკკლესია და დღესაც სჭირდება განახლება ამ ეკკლესიას. თუ სადმე ფულია, ახალის აშენებას, არა სჯობია რაცა გვაქვს, ის შევაკეთოთ და ხალხი ხარჯისა და გაჭირვებისაგან ვიხსნათ! კორესპონდენტი ბრძანებს: დღემდე ბიელები უსკოლოდ იყვნენო. არ ვიცით, რისთვის დასჭირვებია თვალის დახუჭვა! თვითონ ბია და ორი სხვა სოფელი ერთს საზოგადოებას შეადგენს და დაბა ხობში ორ-კლასიანი ნორმალური სასწავლებელი აქვსთ, ხოლო თვით სოფელ ბიაში მღვდელმა პროხორი იოსავამ ჯერ კიდევ 1894 წელს გახსნა აქ მთავრობის ნებართვით სამრევლო სკოლა, სადაც ყოველ-წლობით სამოცი შეგირდი სწავლობს, რისათვის მამა პრ. იოსავამ საზოგადოების პატივი და სიყვარული დაიმსახურა (ან. იო-ავა)“.

[1] ჟაკ ფრანსუა გამბა, მოგზაურობა ამიერკავკასიაში, თ. I, თბ., 1987, გვ. 118, 121.

[2] Свод статистических данных, დასახ. ნაშრომი.

1. ხოჭოლავა დუტუ 1889 წ. 14 დეს.; 2. ხოჭოლავა მათე 1875 წ. 4 დეს. 1200 კვ. საჟ.; 3. ხოჭოლავა ივანე 1828 წ. 17 დეს. 1250 კვ. საჟ.; 4. ხოჭოლავა დავით 1832 წ. 2 დეს. 1500 კვ. საჟ.; 5. ხოჭოლავა გრიგორი 1855 წ. 2 დეს. 1500 კვ. საჟ.; 6. ხოჭოლავა მიხაილ 1846 წ. 7 დეს. 1200 კვ. საჟ.; 7. მირცხულავა ბესარიონი 1870 წ.; 8. ჯიქია სოფრომი 1846 წ. 2 დეს. 600 კვ. საჟ.; 9. ხოჭოლავა ევგენი 1880 წ.; 10. ხოჭოლავა ანდრე 1865 წ.[1]“

2. ჩე ოხვამე – წმ. გიორგის სახელობის ეკლესია

ზემო ქალონის სოფლის სასაფლაოსთან დგას საკმაოდ დიდი სამნავიანი ეკლესია; სახურავი არა აქვს.

ტაძარის საკმაოდ დეტალური არქიტექტურული აღწერილობა და სამღვდელოების ვინაობა დადგენილი აქვს აღწერილი გ. ჩიტაიას: „სოფლის სასაფლაოს ცენტრში დგას წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის კედლები, რომელიც საკმაოდ დიდი ზომისაა, მისი სიგრძე 18, სიგანე 12 მეტრია, კედლის სისქე კი ერთ მეტრამდე აღწევს. ხალხი მას „ჩე ოხვამესაც“ ეძახის, რაც თეთრ სალოცავს ნიშნავს. აქვს გამოშვერილი სამნავიანი საკურთხეველი, სამკვეთლოსა და სადიაკვნეში პატარა ნიშებია, ტაძარს აქვს სამი კარი და შვიდი სარკმელი, რომლებიც მართკუთხა აგურებით ლამაზადაა მოჩარჩოებული, ჩრდილოეთისა და სამხრეთის კედლებს აქვს აგურებით გამოყვანილი სამ-სამი დეკორატიული თაღი და ნახევარსვეტი. ჭერი ოთხს სვეტს ეყრდნობოდა. აშენებულია მოზრდილი რიყისა და ფლეთილი კირქვებით, კირქვის კვადრები კი მხოლოდ კუთხეების ამოსაყვანადაა გამოყენებული. ტაძარი მე-19 საუკუნეში უფრო ძველი ტაძრის ადგილზე უნდა იყოს აშენებული. ადგილობრივი მკვიდრის დარეჯან ხოჭოლავას განმარტებით, რომლის წინაპარი, ივანე, ამ ეკლესიის მღვდელი იყო, ეკლესია სახარბედიოს მთიდან მოტანილი კირქვით ყოფილა აშენებული, თითქოს სოფელ მენჯამდე ჩამწკრივებულ ხალხს ერთმანეთზე გადაწოდებით მოუზიდია საჭირო მასალა, მანვე აღნიშნა, რომ მოხუცების გადმოცემით, ტაძართან აღდგომის შემდგომ ორშაბათს იმართებოდა ქენჯერობის (ალბათ ქეჯვარობა – იგივე ჯეგე-მისარიონი – დ. ჭ.) დღესასწაული. ასევე, ადგილობრივ მკვიდრს იური ნესტორის ძე აბშილავას თავისი ბაბუის, ალექსანდრე ვატას ძე ფაჩულიასაგან გაუგია, რომ ზემო ქვალონის ტაძარი თეთრი გიორგის სახელობისა იყო, ხოლო სასაფლაოზე ხუთშაბათს წყალში დამხრჩვალზე მეტს არ ასაფლავებდნენ. ტაძრის შიგნით, საკურთხევლის წინ მარცხენა მხარეს, დევს 1860 წელს გარდაცვლილი ყულეველი ვაჭრის უჩარდია ალანოვის (ალანია) მარმარილოს საფლავის ქვა, რომელიც დაზიანებულია. ლოდი შემკულია ჩუქურთმებით: ვაზის ფოთოლწნულებითა და ყურძნის მტევნებით, ზემოთ გამოსახულია ჯვარი, რომელიც ორ ანგელოზს უჭირავს. ამ საფლავისა და ჩრდილოეთის კედელს შორის დევს კირქვისაგან გამოთლილი საფლავის ლოდი, რომელიც ეკუთვნის მღვდელ ოქროპირ ხოჭოლავას ქალიშვილს, სოფიოს; იგი 1849 წელს გარდაცვლილა. ეკლესიის შიგნის ჩრდილო-დასავლეთით სამი უწარწერო ბეტონის საფლავის ლოდია დადებული. 1923 წელს საბჭოთა ხელისუფლებამ ეკლესია დახურა. პედაგოგ დენუჩკა ლოლუას მიხედვით ტაძარს კომკავშირლები საპატიმროდ იყენებდნენ, შემდეგ კი კლუბი გახსნილა“[2].

---

[1] ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული არქივის მასალები, დასახ. ფონდი.
[2] გ. ჩიტაია, დასახ. ნაშრომი, გვ. 46-48.

ქვალონის ტაძრიდან ჩრდილო-დასავლეთით ჩანს ხორშის მთა, ჩრდილოეთით ნოჯიხევი, ბიის ეკლესია და მთა.

გაზეთ „ცნობის ფურცლის“ ცნობით, „სწავლა განათლების საქმე კარგად მიდის, ჩვენს სოფელში ორი სკოლაა. ერთი სამინისტრო, მეორე სამრევლო; სამრევლო სკოლისთვის დიდი შრომა მიუძღვის მღდელს მამა ივანე ხოჭოლავას და დავით ხოჭოლავას, ამისათვის, მადლობის ღირსნი არიან. სამრევლო სკოლას. უფრო ეტანება ჩვენი ხალხი...“[1].

3. დიხა-გუძუბები და „ნაოხვამუ“ ადგილები ქვემო ქვალონში – ტოპონიმიკა

პ. ცხადაიას მასალებით, სოფელ ქვემო ქვალონში გიმოზგონჯილში არის დიხაზურგა//დიხაძუგური – ბორცვი გიმოზონჯილიშ ღალსა და ჯაფხენს შუა. დიხაზურგა და დიხაზუგა უძველესი ნასახლარი ბორცვებია[2].

გვიმარონში არის ბორცვი ნანდევუ (საჯღარკაში, ჯაფხენსა და კვაკვაშ კირის სორის შუა, კოლხეთში ნანდეუ, ნდიშ ნოხირი ხშირად ეწოდება დიხაგუძუბას, ე. ი. უძველეს საცხოვრებელ ბორცვს[3].

ოხვამეკარი – უბან დურღუნაში – უბანი რკინიგზის ხაზთან.

ნახომულიშ მინდორი – ზემო ქვალონის საზღვართან (სოფ. ჭითაუშქურაში), მოსალოდნელია ოხვამევ.

სოფელი ნოჯიხევი

1. ეკლესიები და სამღვდელოება XIX საუკუნეში

---

[1] გაზ. ცნობის ფურცელი, ს. ქვალონი (სამეგრელო), №188, 1898.
[2] პ. ცხადაია, სამეგრელოს გეოგრაფიული სახელწოდებანი, III (ხობის რაიონი, ქ. ფოთი), თბ., 2007, გვ. 194.
[3] პ. ცხადაია, დასახ. ნაშრომი, გვ. 200.

XIX საუკუნის სტატისტიკური აღწერილობის მიხედვით, სოფელ ნოჯიხევში ფიქსირებულია 1 ეკლესია[1], ხოლო XIX ს-ის საარქივო მასალებით სამღვდელოთა 16 ოჯახი.

„Посемеинии списокь лиць привилегированного сословия по Кутаисскои губерния селения Ноджихеви

1. სიჭინავა ანდრონიკე 1851 წ. 3 დეს. 1800 კვ. საჟ.; 2. სიჭინავა პავლე 1836 წ. 7 დეს. 1800 კვ. საჟ.; 3. ბუსკანძე ნიკოლოზი 1886 წ. 1 დეს.; 4. ბუსკანძე სტეფანე 1878 წ. 1 დეს.; 5. ახალაია თეიმურაზი 1856 წ. 1 დეს.; 6. ახალაია სოლომონი 1890 წ. 1/2 დეს.; 7. იოსავა ანდრონიკე 1801 წ. 1 დეს.; 8. სასანია ნიკოლოზი 1873 წ. 1 დეს.; 9. სასანია ნესტორი 1856 წ.; 10. სასანია გუდუ 1867 წ. 1/2 დეს.; 11. როგავა ალექსანდრე 1861 წ. 1 დეს.; 12. როგავა პრახარი 1851 წ. 1 დეს.; 13. ჭიჭინაძე აიპესტი 1866 წ. 1 დეს.; 14. როგავა ისიდორე 1 დეს. 1851 წ.; 15. ბოიკვადზე ილარიონი 1817 წ. 12 დეს. 1200 კვ. საჟ.; 16. როგავა ლავრენტი 1801 წ. 1 დეს.“[2].

2. მთავარანგელოზთა სახელობის ნაეკლესიარი

ჩვენს მიერ მოპოვებული მასალების საფუძველზე, სოფლის სასაფლაოსთან იდგა მთავარანგელოზთა სახელობის ხის ეკლესია. გ. ჩიტაიას აღნიშვნით, ეს ეკლესია 1924 წლის აჯანყების შემდეგ დაუნგრევიათ. „ამ ეკლესიასთან იმართებოდა სოფლის მთავარი დღესასწაული – ჯარიანობა, რომელსაც ადგილობრივი მოსახლეობა „ცააშხა-კარობუას“ ეძახოდა და რომლის არსი და მნიშვნელობა არავის ახსოვს. „ცააშხა“ ქართულად ხუთშაბათს ნიშნავს. ნოჯიხევში XX საუკუნის 70-იან წლებამდე ერიდებოდნენ ხუთშაბათობით მიცვალებულის დასაფლავებას. 1915 წელს დაბადებული, მხცოვანი ისტორიკოსისა და პედაგოგის, ვალერიან ყირიმიას ძე იოსავას მოგონებებით, ის ბავშვობაში „ცააშხა-კარობუას“ დღესასწაულს წითელი კვერცხით ხელში დასწრებია, საიდანაც გამომდინარე გ.ჩიტაია ფიქრობს, რომ აღნიშნული დღესასწაული ბრწყინვალე ხუთშაბათს აღინიშნებოდა, მისივე გადმოცემით, ამ ეკლესიასთან „ქენჯერობის“ (ალბათ „ქეჯვარობა“ – დ. ჭ.) დღესასწაულსაც აღნიშნავდნენ, რომლის რაობის შესახებ არც მან და არც სხვა ვინმემ არაფერი იცის. აწ გარდაცვლილი ნოჯიხეველის ხუტა ჯიქიას მოგონებით, ნოჯიხევის წმ. მთავარანგელოზს მშობლები განსაკუთრებულად თხოვდნენ ოჯახის უფროსი ვაჟიშვილების მფარველობას. XIX საუკუნეში ეკლესია სოფლის შუაგულში იდგა, აქვე ყოფილა სოფლის ადმინისტრაცია, სამრევლო სკოლა“[3].

3. ციხე-სიმაგრე

„ნოჯიხევი“ სიტყვასიტყვით „ნაციხარს“ ნიშნავს, რაც ფართოდ გავრცელებული ტოპონიმია სამეგრელოში და პირდაპირ მიგვითითებს იქ ძველი ციხის არსებობაზე ანუ ისეთზე, რომელმაც დიდი ხნის უკან დაკარგა თავისი ფუნქცია და ეპოქალურად ძალზედ ძველია.

---

[1] Свод статистических данных, დასახ. ნაშრომი.
[2] ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული არქივის მასალები, დასახ. ფონდი.
[3] გ. ჩიტაია, დასახ. ნაშრომი, გვ. 35-36.

ამ ციხე-სიმაგრეზე ჩვენ ისტორიულ წყაროებში ცნობებს ვერ ვპოულობთ, ერთადერთი ის ვიცით, რომ სოფელ ნოჯიხევში იყო დადიანთა სასახლე და ის წარმოადგენდა გიორგი დადიანის საუფლისწულოს. გიორგი იყო ბეჟან დადიანის შვილიშვილი, ოტია დადიანის შვილი, კაცია II-ის უმცროსი ძმა და გრიგოლ დადიანის ბიძა. მისი სიკვდილის შემდეგ მისი სამფლობელო მისი მემკვიდრის ნიკო – „ნიკოლოზ ბატონიშვილის“ ხელში გადავიდა[1]. მისი არქიტექტურული აღწერილობა აქვს გ. ჩიტაიას: „ნოჯიხევის ციხის ნაშთები საკმაოდ ძნელად მისადგომ ბორცვზე მდებარეობს, მასთან მისვლა მხოლოდ სამხრეთ-დასავლეთით ვიწრო გზით შეიძლება, ეტყობა, რომ იგი ბორცვის შევაკების ზოლს მიუყვებოდა და ოვალურ ფორმას უახლოვდებოდა. მისი შიდა ეზოს ფართობი დაახლოებით 100 კვ. მეტრს აღწევს. ნაგებია მოზრდილი რიყის ქვებით. ამჟამად კედლის ერთ-ერთი უდიდესი ფრაგმენტის სიმაღლე 150 სანტიმეტრს აღწევს, კედლის სისქე დაახლოებით ერთი მეტრია. ციხე გზასაყართან მდებარეობდა. ქუთაისიდან მომავალი გზა, რომელიც ნოქალაქევს გაივლიდა, აქედან აფხაზეთში მიდიოდა, მეორე კი დასავლეთით – შავი ზღვისკენ, ფოთსა და ყულევისკენ მიემართებოდა. ციხესთან ყოფილა ადგილი, რომელსაც „ნაოხვამუ“ ჰქვია. ციხის ბორცვს ორივე მხარეს ჩამოუდის ღელეები, რომელსაც დიდი რაოდენობით ჩამოაქვს კოლხური ჭურჭლის ფრაგმენტები. ანალოგიური მასალა ციხის ბორცვის კალთებიდან წვიმის წყალსაც უხვად ჩამოაქვს. ამ მიდამოებში ჩვენს მიერ აკრეფილ იქნა (გ. ჩიტაია) ჩვენს ერამდე I ათასწლეულის კოლხური, ათენური შავლაკიანი, სინოპური ჭურჭლის ფრაგმენტები, ხელსაფქვავის ნატეხები. კოლხური დასახლების კვალი ციხის ირგვლით დიდ ტერიტორიაზე მეტი თუ არა, ერთი კილომეტის რადიუსში მაინც ვრცელდება. ძეგლი ძალიან საინტერესოა, როგორც ციხისა და მისი მიდამოების ზედაპირული დაკვირვებიდან ჩანს, ფეოდალური ხანის ციხე დგას ანტიკური ხანის ნამოსახლარზე და იგი მეცნიერების მხრიდან შესწავლას მოითხოვს, რაც თავის მხრივ ახალ ფურცლებს შემატებს ჩვენი ქვეყნის სახელოვან ისტორია“[2].

სოფელი გამოღმა შუა (ანუ პირველი) ხოგა

1. ეკლესიები და სამღვდელოება XIX საუკუნეში

XIX საუკუნის სტატისტიკური აღწერილობის მასალებით სოფ. ხორგაში იდგა 6 ეკლესია და 1 სკოლა[3]. ხოლო სამღვდელო იყო 16 ოჯახი.

„Посемеинии списокь лиць привилегированного сословия по Кутаисскои губерния Зугдидского уезда редут-кальского полицеиского участка селегоя Хорга

---

[1] ო. სოსელია, ნარკვევები ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიიდან (სათავადოები), III, თბ., 1990, გვ. 97-99, 100.

[2] გ. ჩიტაია, დას. ნაშრომი, გვ. 36-37.

[3] Свод статистических данных, დასახ. ნაშრომი.

დათუაშვილი პასორეში 3 დეს. 1889; ჩიშავა პეხუ 1846 წ. 3 450; ჭითანავა პავლე 1842 10 დეს.; ბერაია ირინა 1890 4 დეს. (ალბათ მონაზონი იყო – დ. ჭ.); გეგენავა სანდრო 1887; ბერაია კოსტანტინე 1870 წ. 4 დეს.; ბერაია ვლადიმერი 1876 წ. 4 დეს.; ხოგოლავა პეტრე 1841 წ. 3 დეს. .....; ჟვენია 1847 წ. 2 დეს.; სურმავა ნიკოლოზი 1865 2 დეს.; ბერაია ივანე 1846 წ. 4 დეს.; შუშანია ნინო 4 დეს.; ბერაია პეტრე 1842 წ. 8 დეს.; დოინორიძე დავითი 1842 წ.; კობოლავა როსტომი 1846 წ.; კალანდარიშვილი ვასილი 1876 წ.; გვასალია სოლომონი 1872“[1].

2. წმ. გიორგის სახელობის ნაეკლესიარი

სოფლის სასაფლაოსთან იდგა წმ. გიორგის სახელობის ხის ეკლესია, ის ადგილობრივთა გადმოცემით, 1935 წელს დაუშლიათ. აქ ბოლო მღვდელი ყოფილა კინტირია კვარაცხელია, ხოლო დეკანოზი პართენ (ალბათ ზემოთ მოხსენიებულ პაროსეში) დათუაშვილი. აქ მონაზვნად ყოფილა დომინიკა, რომელიც შემდგომ სენაკის ეკლესიაში წასულა. ეს ეკლესია დაუნგრევია გუდუ წულაიას.

3. ციხე-სიმაგრე

ჩვენ აქ ციხე-სიმაგრე ვერ დავაფიქსირეთ, თუმცა პ. ცხადაიას მასალებით, „გამოღმა შუა ხორგაში არის ადგილი „ჯიხა“-საკარმიდამო საწულაიოში, ლეფონასხულის მარჯვენა მხარეს. მოსწრებიან ციხე-სიმაგრის ნაშთს[2].

4. პირველი ხორგის მეორე წმინდა გიორგის ნაეკლესიარი.

პირველ ხორგაში არის ადგილი ნაოხვამუ, სადაც ადგილობრივთა გადმოცემით, იდგა წმ. გიორგის სახელობის ხის ეკლესია. დღეს ეს ტერიტორია სახნავ-სათესად არის ქცეული; ადრე აქ 50-მდე ოჯახი ცხოვრობდა. იქ მღვდელი ყოფილა ივანე ბერაია. ეს ადგილი მდებარეობს მდ. ხობის ნაპირას, სადაც ამ ეკლესიას თავისი მიწებიც ჰქონია. ეს ეკლესია დაუნგრევია ტერენტი ბერაიას და სხვებს.

5. მისარონის (წმ. გიორგის) სალოცავი

პირველ ხორგაში არის ადგილი მისარონ კარი, სადაც იდგა ხის სალოცავი და წმინდა ხე, სადაც ხატზე გადაცემაც ხდებოდა. ეს ეკლესიაც გასაბჭოების დროს დაუნგრევიათ.

---

[1] ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული არქივის მასალები, ფონდი №56, Зугдидскии уездной начальник 1869-1872 гг., საქმე №6.

[2] პ. ცხადაია, სამეგრელოს გეოგრაფიული სახელწოდებანი, III, ხობის რაიონი, ქ. ფოთი, თბ., 2007, გვ. 233.

6. ჯვარცმის ვნების სახელობის ნაეკლესიარი

პირველ ხორგაში, წმ. გიორგის სახელობის ნაეკლესიარიდან 500 მეტრში სასაფლაოსთან იდგა მეორე ეკლესია (ირგვლივ იქ მოსახლეობა არ არის), რომელიც ჯვარცმის-ვნების სახელობის იყო.

1844 წელს შედგენილი პირობის წიგნიდან კი ჩანს, რომ ხორგის ჯვარცმის ეკლესიაში მღვდელი იყო იესე თომას ძე (გვარი არ არის მითითებული)[1].

7. დადიანთა სასახლე და აფხაზეთის საკათალიკოსო

ხორგის საეკლესო მამულებზე, მის ყმებზე, აზნაურებზე და მღვდლებზე ისტორიულ წყაროებში საკმაოდ საინტერესო ცნობებია თავმოყრილი. XV-XVII საუკუნეებში ბიჭვინთის ღვთისმშობლისადმი შეწირულობაში ნათქვამია, რომ აფხაზეთის კათალიკოსს დავით ნემსაძეს შეუწირავს ცხრა კომლი ყმა[2].

ხორგაში იყო დადიანების სასახლე და ის იყო აფხაზეთის საკათალიკოსო სოფელი, ასევე ხობის საეპისკოპოსოს უფლებებიც ვრცელდებოდა, რისი დამადასტურებელი უამრავი დოკუმენტური მასალა არსებობს [3] . აფხაზეთის

---

[1] „1844 წ. 21 ივნისი. პირობის წერილი..

„ესე წერილი მოგეცი ამის ქვემორე ხელისმომწერმა სამეგრელოს სამთავროს შინა სოფელსა ხორგას მცხოვრებმან აზნაურმან დათა ლომკაცის ძემ დათუაშვილმა თქვენ სამეგრელოს სამთავროსვე მცხოვრებს აზნაურს მღვდელს ზაქარია სალაყაიას მას შინა...

... ვმოწმობ წერილსა ამას ჯვარცმის ხორგის ეკლესიის მღვდელი იესე თომას ძე“ (ც. ქირია, შ. სარია, მასალები საქართველოს ისტორიისათვის, თბ., 1967, გვ. 113).

[2] „აგრეთვე გკადრეთ და შემოგწირეთ თქვენ საშინელსა და ცათა მიბაძავსა ბიჭვინტის ღვთისმშობელსა ჩვენ კაცოლიკოზმან ნემსაძემ დავით ხორგას ერთი კუამლი კაცი აზნაურის შვილი ბერუა მორდებჟ ორის მისის გლეხებით. მეორე კუამლი დასტურაი თომიხილი, მესამე კუამლი დასტურაი ბაბუა. მეოთხე კუამლი დასტურაი კოჩალია. მეხუთე კუამლი ხოჩილავა (?) ბაბაკაჩა. მეექვსე კუამლი ხახავა ხუხუტა. მეშვიდე კუამლი ხახავა ხვახვალი. მერვე კუამლი ხოჭილავა ხვიჩა. მეცხრე კუამლი ცხილონია ჯვიბილეი მათის ცოლშვილითა, სახლკარითა ჭურ-ბეღელ-მარანითა, ეკკლესიის კარითა, სასაფლაოთი. დღეს რისიც მქონებელნი იყვნენ მისი ყოველისფერითა. შეიწირე შენ საშინელო ბიჭვინტისა ღვთისმშობელო და ნაცვალი გვაგე მადლი ნაშენი დღესა მას დიდსა განკითხვისასა“ (ა. ხახანაშვილი, გუჯრები, Кутаись, 1891, გვ. 151).

[3] „1675 წ. შეწირულობის წიგნი ლევნ III დადიანისა ბიჭვინტის საბუთთაგან.

... ხორგას სამი ნავი ვაჭარი თუ მოვიდეს, ერთი ბაზარგანი ვაჭარი სახობოს კაცისას დადგებოდეს და სხვა რომელიც სარგოს იყოს ხოფისა ღუთისმშობლის შეწირული“ (ს. კაკაბაძე, დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, წ. I, ტფილისი, 1921, გვ. 76-77)

„1689-1701 წ. მამია დადიან-გურიელის შეწირულობის წიგნი, ბიჭვინტის საბუთთაგან.

... ჩვენ ცვაფარვათა შენთა მონდობილმან, სიწმიდისა შენისა მსასოებელმან, ძლიერებითა შენითა მადიდებელმან და კაცთ მოყვარებისა შენისა მაქებელმან, კაცთა ბუნებისა ჩვეულებითა ცოდვითა შებლალულმან და აურაცხელთა ბრალთა ჩემთა შენდობისათვის შენმან

მორუდუნემან ჭელმწიფემან დადიან გურიელმან პატრონმან მამია ვიგულვე, ვიგულსმოდგინე, ვიგემე, ვიწადე და ვიჯერჩინებეთ, ასრე და ამა პირსა ზედან რომე ხორგას ნაპრკაო სასახლე ცხრა კვამლის კაცით კათალიკოზს დავითს ნემსაძეს წულუკიძისაგან ეყიდა და მას გარეთ სხვა ეყიდა თუ წირვით ეშოვნა, ჩვიდმეტად კვამლს კაცად გაეხადა, ხვასკალია ხაზავა, ბაბადიშაი ხაზავა, ჯუბილეი მოჯალაბე, კიდე თოხულარა მოჯალაბე, ჭუჭუ დასტურაია, თომიხილი დასტურაია, კოჩილეი დასტურაია, მორდებული გიგიბერია, ხვიჩია ხოჭოღავა, ინახუ ლეფანავა... ალა ბერაია, ბაძდალა ბერაია, ბატკა ბერაია, დიაკონი ბერაია, ერთი ბერი კაცი მარტოხელი ქაშაგია, ქოჩუა მერცხულავა, მამახუტა წულაია“ (ს. კაკაბაძე, დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, წ. I, ტფილისი, 1921, გვ. 86-87).

„1706 წ. სიგელი აფხაზეთის კათალიკოზის გრიგოლ ლორთქივანიძისა.

ჩ ნ ცვაჲფარვაჲთაჲ შ თა მინდობილმან შეწევნისა შნისა მომედოვნემნ, ერთგლებისა მსასოებელმნ და მოსავმან სიწისა თქნისამნ ჩრდილოეთისა და აფხაზეთისა კზმნ ლორთქიფანიძემნ ბატონმნ გრიგოლ გკადრეთ და შემოგწირეთ მცირე ესე შესაწირავი თავს ხორგას ნაპაკევის სასახლე მისი წყლითა, ტყითა, ველითა, სსფლაოთაჲ მმლითაჲ და საყანითა, შესავალ გამოსავალითა, მისის ყ ისფერითაჲ. მოსახლე კ ცი თავს ერთი აზნაურისშვილი მორდებ გეგებერიაჲ ორის მოსახლე გლეხითა; მეორე ჭუჭუ დასტურია მისის ძმებითა და სახლკარითა; მესამე მამაში დასტურაია მისის ძმებითა და სახლკარითა; მეოთხე ხოჭოლავაჲ სოგიჯუმა, მეხუთე ხაზავაჲ სარჯელაიაჲ ხაზავაჲ ბაბადიშაჲ. ასე რომე პლ ნემსაძე კზს ბედან წულკიძისაგნ ეყიდა და შეუწირავად დარჩომოდა. კზი გრდაიცვალაჲ და დადიანმნ ლიონ დაიჭირჲ, ის დადიანი რომ გრდაიცვალაჲ, მეორეს დადიანისგნ და ბჲტონის გ ის ლიპარტიანისაგან ჩ ნ ვიქრთამეთ და ვიშოვნეთ. კიდევ ოთხი მოსახლე ბერაჲები იმავ კზის ჭლშიდ მიქელაძეს გ ის შეეწირაჲ და კზისაჲთ ს წელიწადშიდ წირვაჲ დაედვაჲ კზი გრდიცვალაჲ, იმავ დადიანს გამოეწირაჲ... არმანიაჲ ყვაპსეული კცი მაგიეშიდ ამოვიყვანეთ და ხიბულას დავასახლეთ. კიდევ ელიბახუ ნანისშჯლი ეგურის გაღმიდამ წამოვიყვანეთ და მაგიერშიდ და ხიბულას დავასახლეო“ (ს. კაკაბაძე, დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, წ. I, ტფილისი, 1921, გვ. 90-92).

„1733 წ. გუჯარი. გრიგოლ კათალიკოზის ბიჭვინტის საბუთთაგან შეწირულობის წიგნი.

ხორგას საკუტალიოს გოჯი აფშილავა მისის ცოლშვილით და მამულით მერაბ ჯაიანმა შესწირა, მეორე ჭითავა მახარობელი და მისი ძმა შაქარა მათის ცოლშვილით და ყოვლისფერით, მესამე პაჭკუტი მირცხვილავა მისის ცოლშვილით და ყოვლისფერით; მეოთხე სამი ძმები ობლები ბერაია ეცადია, გიორგელა ბაჭიჭუჭუ არცანიადისსეულში დავასახლეთ; მეხუთე პაატა დადუნია მეექვსე ხოჭოლავა მამა და მისი ძმისწული; მეშვიდე დასტურიაია მამაშვილები, მერვე ხანჩქილაი დასტურაია; მეცხრე კიდევ დასტურაია მახუტი დათუა; მეათე კიდევ დასტურაია ხუტულია და ძიწიბა; მეათერთმეტე არცანდია მამაძინა და მისი ძმები კიაოლია, გაბრიელა, გორგელა და ბაძია; მეათოთხმეტე კიდევ დასტურაია ჭუჭუ თავის ყმით. ნურკელის სასახლე ერთის მოჯალაბით, ტყით, კარგი სათევზე წყლით, ადგილით, თავის ყოვლისფერიანით; ორი მოსახლე გაღმა გიგიბერიები ბერი გარე ყმიანად და თავის ყოვლის ფერით, ლიფონავა ინულუხუ და მისი შვილები, მისი განაყოფი ნიკოლა და მისი შვილები, კიდევ მისი განაყოფი გემანცალი და მისი შვილები. იმას ზეით ბერაიები ერთი მოსახლე ხახუ და მისი შვილები; მეორე ბაბაკოჩი და მისი შვილები: მესამე თომა ხუცესი ბერაია, მეოთხე განაყოფი მისი ბეჟა ბერაია და მისი შვილი; მეხუთე შოშიტა ბერაია და მისი შვილი; მეექვსე გიგიბერია ზალიკა და მისი ძმა კაკა ხარაბედიები და ეჯიბია დავით კ ზს ეშოვნა და ბეგარა არ მოეკითხა. ჩვენ მოვიკითხეთ და კარგა მართებოდა მათ ხუთ ხუთი ლაღარიკი სამთელი დავადევით და ბეგრობით არ ეთხოვებოდეს რა....“ (ს. კაკაბაძე, დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, წ. I, ტფილისი, 1921, გვ. 144).

„1673-1680. ქ: ჩუენ ქრისტეს მიერ კურთხეულმან ჩრდილოსა და აფხაზეთისა კზ მან, პატრონმან დავით, შემოგწირეთ თქუენ ცათა მობაძავსა ბიჭვინტისა ღთის-მშობლელსა და სოფის ღთისმშობელს... შენაწირი ესახლა და ასპანა ფაღავამ გაიქურდა, და სახლ-[კარ]ობით დაგვიკარგა, და მერმე მის გარდასახადად ბატონმან დადიანმან ლეონ ხორგას ეს ლიფონავა

საკათოლიკოსო სასახლეზე ცნობებს ვახუშტი ბატონიშვილთან ვხვდებით. კერძოდ, „...ამ ფოთის ჩრდილოთ კერძ შესდის ზღუას ხორგის წყალი. მოიგო სახელი დაბის ხორგისაგან, ზღუს კიდესა შენისა, სადაცა არს სასახლე აფხაზთა კათალიკოზისა“[1].

1898 წელს გაზეთი მწყემსი გვატყობინებს, რომ მესამე ხორგის მთავარანგელოზის ეკლესიის მღვდელი ყოფილა ნიკოლოზ დათუაშვილი, რომელსაც გაუხსნია თავის სახლში ერთკლასიანი სამრევლო სკოლა. ადრე ის მღვდლად ყოფილა სენაკის რ-ნის სოფ. ჭალადიდში (ჭალადიდის მუხური), სადაც ასევე დაუარსებია სკოლა და გზებით გაუყვანია. ასე რომ ამ ადამიანს უამრავი კეთილი საქმე გაუკეთებია. ასევე ამ ცნობიდან ჩანს, რომ ხორგაში ბლაღოჩინი ყოფილა ა. ქვარცხავა[2].

8. დიხა გუძუბები და „ნაოხვამუ“ ადგილები

პ. ცხადაიას მასალებით, დიხაკიციშ დიხაგუძუბა – მცირე ბორცვი დიხაკიცაში[3].

ოხვამეკარი – მორევი, საბანაო ხობისწყალზე, ჭალემუხურში, სადაც მდგარა ოხვამე (ეკლესია)[4].

გვიბოძა, და ჩვენ ბატონის დადიანისა და დედოფლის ბატონის თამარის ბრძანებითა ბიჭვინტისა და ხოფისა ღთისმშობლისათვის შეგვიწირავს...“ (საქართველოს სიძველენი, ტ. I, თბ., 1920, ექვთიმე თაყაიშვილის რედაქტორობით, გვ. 29-30).

[1] ქართლის ცხოვრება, ტ. IV, გვ. 778-779.

[2] „საეკკლესიო-სამრევლო სკოლები ნივთიერად ჯერ იმავე მდგომარეობაში არიან, როგორშიაც წასულ წლებში იყვნენ. სამღვდელოება, რომელზედაც ამ სკოლების ბედ-იღბალი არის დამყარებული, შესაფერად მოქმედებს. ხშირად თავის ხარჯით ხსნიან სკოლებს, სადაც თვითონ ინიშნებიან მმართველად და საღმრთო სჯულის მასწავლებლად. სამღვდელოება რომ ნივთიერად უზრუნველი იყოს, ამ კეთილ საქმისათვის ის არ დაიშურებს თავის საშვალებას. აი მაგალითიც: სოფელ მესამე ხორგის (ზუგდიდის მაზრაშია) მთავარ-ანგელოზის ეკკლესიის მღვდელმა მ. ნიკოლოზ დათუაშვილმა (რომელსაც 1897 წელში დაენიშნა ხაზინიდან დამატებითი ჯამაგირი), თავის სამრევლოში თავის საკუთარ სახლში 1894 წელში შინაურად გახსნა წერა-კითხვის სკოლა, წარსულ სექტემბერს გადააკეთა ერთკლასიანად, რომელსაც შესწირა ორ-თვალი სახლი, შესაფერისად გაწყობილი და ორი ქცევა მიწა, მდებარე ირგვლივ სკოლისა, ღირებული 600 მ., სახსოვრად მისის იმპერატორებითის უმაღლესობის დიდის მთავრინა ტატიანა ნიკოლოზის ასულის დაბადებისა. ამ შეწირულობის შესახებ საჭირო საბუთი ადგილობრივის ბლაღოჩინის ა. ქვარცხავასაგან რაპორტით იქმნა შემოტანილი სამოსწავლებლო რჩევის ზუგდიდის მაზრის განყოფილებაში წარსადგენად სადაც ჯერ არს. ზემო აღნიშნული შეწირულობა დღეს სამოსწავლებლო რჩევის განკარგულებაში არის. მ. დათუაშვილი პირველად მღვდლად მსახურობდა ს. ჭალადიდში (სენაკის მაზრაშია), სადაც მან გააკეთა ნავები მუქთად სახმარებელნი, გზები, ხიდებით და სკოლაც ჰქონდა გამართული. სჩანს, რომ მ. დათუაშვილი კეთილი საქმისათვის არ ზოგავს არც შრომას და არც საკუთარ საშვალებას. მ. დათუაშვილი თვითონ მე... ხორგის სამრევლო სკოლის მასწავლებლად არის დანიშნული. სწორედ პატივის და ყურადღების ღირსია მამა დათუაშვილი ამ კეთილი საქმისათვის. ღმერთმან ინებოს ამ კეთილ საქმეში ხსენებულ მოძღვარს მიმბაძველნი აღმოუჩნდებოდნენ“ (გაზ. „მწყემსი“, 1898, №3, მდ. დიმიტრი ბერულავა, მწყემსის კორესპონდენცია ზუგდიდის მაზრიდან).

[3] პ. ცხადაია, სამეგრელოს ტოპონიმიკური სახელწოდებანი, III, (ხობის რაიონი, ქ. ფოთი), თბ., 2007, გვ. 142.

[4] პ. ცხადაია, დასახ. ნაშრომი, გვ. 145.

სოფელი გაღმა ხორგა (ახალსოფელი)

1. წმ. გიორგის სახელობის ნაეკლესიარი

მდ. ხობისწყის მარცხენა მხარეს, ნადარაიების სასაფლაოსთან, იდგა წმ. გიორგის სახელობის ხის ეკლესია. მღვდლები აქ იყვნენ ჯერ გეთია ეპიფანე, ხოლო ბოლოს ჭითავა, მღვდელი გეთია ეპიფანე იყო ჯვრიდან და აქ იყო საჩიძებული ბერაიაზე.

2. სააბრამოხვამე – ნაეკლესიარი

გაღმა პირველი ხორგაში (ახალსოფლის საკრებულო) არის ადგილი სააბრამოხვამე – ადრე მდგარა ხის ეკლესია[1].

სოფელი ყულევი

1. ეკლესიები და თავდაცვითი ნაგებობები და მოკლე ისტორიული წარსული

მდ. ხობის წყლის მარცხენა სანაპიროზე საავტომობილო გზასთან დგას აგურის ნაგებობა. გ. ჩიტაიას აღნიშვნით, მას ზოგჯერ შეცდომით „ჯაიანის ჯიხას“ უწოდებენ; მისივე თქმით, ჯიხა იდგა იქ სადაც მდ. ცივი უერთდება ხობისწყალს, ამ ორ ადგილს შორის კი საკმაოდ დიდი მანძილია[2]. ვფიქრობთ, ეს სწორი მოსაზრებაა, რასაც წყაროებიც ადასტურებენ.

ჟაკ ფრანსუა გამბა, რედუტ კალეს ციხეს მდ. ხობის შესართავთან მოიხსენიებს, რომელიც ამ დროს უკვე რუსების მიერ მიტოვებული ყოფილა[3]. ის რედუტ კალეს სახელწოდებად კიანეი (ჩყანნუს) ასახელებს[4].

ე. აიხვალდის ცნობით, ყულევში, „ბაზრის ბოლოს ჩამოედინება პატარა მდინარე **სივა** (ცივი), რომელიც აქ ერთვის ხობს. ხოლო აქეთ მხარეს, ზღვასთან მთლად ახლოს, ძევს თვით რედუტი. მისი მიწაყრილი უმნიშვნელო სიმაღლისაა, აქა-იქ ჩამოქცეულია და

---

[1] პ. ცხადაია, დასახ. ნაშრომი, გვ. 28.
[2] გ. ჩიტაია, დასახ. ნაშრომი, გვ. 39.
[3] ჟან. ფრანსუა გამბა, მოგზაურობა ამიერკავკასიაში, ტ. I, თბ., 1987, გვ. 83, ფრანგულიდან თარგმნა, კომენტარები დაურთო მ. მგალობლიშვილმა.
[4] ჟან. ფრანსუა გამბა, დასახ. ნაშრომი, გვ. 100.

სხვადასხვა მხრიდან თავდასხმისას საკმაოდ დაუცველი უნდა იყოს, მიუხედავად იმისა, რომ დიდი ქვემეხები ყოველი მიმართულებით დგანან მასზე“[1]... „იშვიათადაა ღელვა ისეთი ძლიერი, რომ ციხის მიწაყრილი ჩარეცხოს. ძალიან ძლიერი დასავლეთის შტორმისას ზღვის წყალი ძალზე ღრმად იჭრება ნაპირზე, ისე რომ სივას (ცივის) ხობთან შეერთებამდე აღწევს და ციხე წყალში ექცევა. ამ დროს წყალი სიმაგრის შიგნით ერთი ფუტის სიმაღლეზე დგას და ყველაფერს ლეკავს, ეს კი ადგილის ნესტიანობას კიდევ მეტად ზრდის, ხოლო დაავადებათა შორის უმეტესად ციებცხელებაა (ჭეცჰსელფიებერ) გავრცელებული“[2]... „რედუტის ნავსადგური არსებობს სამიოდე წელია და ამ ხნის განმავლობაში საგარეო ვაჭრობა ძალზე გაიზარდა[3]... „როგორც კი გემი ღუზას ჩაუშვებს, პირველ ყოვლისა მიესალმება ციხეს ქვემეხის შვიდი გასროლით, რაზედაც იმდენივე ზალპით უპასუხებს სიმაგრეც. ციხე მდებარეობს ზღვის ნაპირიდან დაახლოებით 30 ნაბიჯზე, ხოლო მისი მიწაყრილის უკან ამოღებულია ჭა, რომელშიც არის ერთი საჟენი სიღრმის ძალიან კარგი, სავსებით უმარილო წყალი“[4].

მ. ვაგნერი კი გვამცნობს, რომ „ფოთი შეიძლება უფრო არაჯანსაღია, ვიდრე რედუტ-კალე. თურქები, რომლებიც 1829 წლამდე აქაურ გარნიზონს ქმნიდნენ, ცხელი წელიწადის დროს ადიოდნენ მაღლა მდებარე მხარეებში, რადგან კარგად იცნობდნენ ამ ნიადაგის ანაქროლის დამღუპველ გავლენას. რუსებმა, რომლებსაც ნაკლებად აწუხებთ ადამიანის სიცოცხლეზე ზრუნვა, იქ მუდმივი გარნიზონი ჩააყენეს; პატარა სამხედრო კოლონიაც კი ჰყავთ, რომლებიც ყოველ ათ წელიწადში ავი ჰაერის გამო მთლიანად ნადგურდება და ამიტომ ყოველთვის განახლებას საჭიროებს. ხშირად ადგენდა რუსული მთავრობა პროექტებს, რომ აქ დაეარსებინათ მნიშვნელოვანი სიმაგრე და დიდი სამხედრო და სავაჭრო ნავსადგური. მომაკვდინებელი ჰავა წინ აღუდგა ამ გეგმებს“[5].

1170 წლის კაპიტანიაზიკოვის ჩანაწერებიდან ვიგებთ, რომ შავი ზღვის სანაპიროზე არის სიმაგრე აკუ, რომელშიც თურქული გარნიზონია[6].

სპასკი ავტონომოვი, მდ. ცივისა და ხობის შესართავთან ასახელებს ორი ძველი ქვის კედლის ნაგებობას, რომელსაც ერთი მხრიდან ცივის წყალი ერტყმის, მეორე მხრიდან კი ხობის. ის შიგნით ნაგებია რიყის ქვისაგან და ხვინჭასგან, რომელიც მოპირკეთებულია აგურით, საკმაოდ მაგარი ცემენტისგან; როგორც თვითონ ამბობს, ადგილობრივები მას ზოგი ციხეს უწოდებს, ზოგი კიდევ ეკლესიას. სწორედ ამ ციხის ნანგრევებზე შესატყვისია მაღალი მიწაყრილი, რომელზედაც მეგრელთა მთავარმა ჯაიანმა ააგო ყულევის ძველი კოშკი და მასში დამცველები ჩააყენა. 1804 წელს კავკასიაში მთავარსარდალმა ციციანოვმა ამ სანაპიროზე გააგზავნა კაზაკები, რომელთაც სასწრაფოდ მოაწყვეს სანგარი, მდ. ხობის მარცხენა სანაპიროზე მისი ზღუდესთან შეერთების ადგილას, სადაც ეხლა არის კარანტინი (იგულისხმება რაღაც პუნქტი, ალბათ ნაგებობით – დ. ჭ.). ამ რედუტმა და ჯაიანის ძველმა კოშკმა – კულემ

---

[1] ედუარდ აიხვალდი საქართველოს შესახებ (XIX საუკუნის პირველი მესამედი), გერმანულიდან თარგმნა, შესავალი და საძიებლები დაურთო გ. გელაშვილმა, თბ., 2005, გვ. 200.
[2] ედუარდ აიხვალდი, დასახ. ნაშრომი, გვ. 201.
[3] ედუარდ აიხვალდი, დასახ. ნაშრომი, გვ. 203.
[4] ედუარდ აიხვალდი, დასახ. ნაშრომი, გვ. 204.
[5] მორიც ვაგნერი საქართველოს შესახებ, გერმანული ტექსტი თარგმნა, შესავალი, კომენტარები და საძიებლები დაურთო გ. გელაშვილმა, თბ., 2002, გვ. 149.
[6] Грамоты и другие исторические документы XVIII столетия относяшиеся к Грузии, Т. I, с. 1768 по 1774 году, под. ред. А. А. Цагарели, СПб. 1891, გვ. 261.

(ყულე) ანუ კალემ (ყალე) მისცეს სახელწოდება ამჟამინდელ ქალაქს რედუტ-კალეს[1]. 1840 წელს რედუტ-კალე გამოცხადდა ქალაქად[2].

ნ. ხოშტარიას აზრით, სიტყვა „რედუტი“ ფრანგულია და ნიშნავს მომცრო ციხე-სიმაგრეს, რომელიც იმავე მნიშვნელობით რუსულშიც იხმიარებოდა; „კალე“ და „კულუ“, აღნიშნავს ავტორი, თურქული სიტყვები უნდა იყოს: პირველი ნიშნავს ციხე-სიმაგრეს, მეორე კი კოშკს[3].

თ. ბერაძის აზრით, დღევანდელმა ყულევმა თავის სახელი თურქული სიტყვიდან „რედუტ-ყალესაგან“ მიიღო[4].

2. წმ. ნიკოლოზის და წმ. ელენეს სახელობის ნაეკლესიარები

ჩვენს მიერ ადგილზე მოპოვებული მასალის საფუძველზე, ყულევში მდგარა ორი ეკლესია, რომლებიც გასაბჭოების დროს დაუნგრევიათ. ერთი იდგა ზღვასთან ახლოს, მეორე იქ სადაც დღეს სოფლის სასაფლაოა. თვითონ სახელწოდება „ყულევის“ ისტორიულ წყაროებში მოხსენიების გარდა, საყურადღებოა ასევე მისი ძველი სახელი, რომელსაც ადგილობრივები „კემხალო“-ს ანუ „კემხალის“ (კემხელი) უწოდებენ; ეს სახელწოდება ისტორიულ დოკუმენტებშიც არის მოხსენიებული და ის აფხაზეთის კათალიკოსის და ხობის საეპისკოპოსოს საზღვრებში მდებარეობდა.

კემხელი მოხსენიებულია 1470-1474 წ. შამადავლე დადიანის წიგნში საკათალიკოზო სარგოს შესახებ, სადაც აღნიშნულია, რომ „წყლის პირსა ჭალადიდს რიონსზედან ნახევარი ბაჟი ხოფისა ღთისმშობელისა არის და ნახევარი კათოლიკოზს, ქარიანტას და კემხელს მესამედი წყლის ბაჟი ყოვლად წმიდისა არის, ნოხუდენს ოთხი კუამლი კაცი ყურუ... და სხუიტავა ანდალისშვილი შონია მათითა მამულითა, ტბითა, წყლითა და ეკლესიის კარითა. აგრევე დადიანის სახლის თავი ნიშანი კათალიკოზისა არის. აგრევე აგრევე (სიც) სხუათა აზნაურის შვილთა ნიშანი, აგრევე სხუათა ებისკოპოთა საფერხავი მართებს და ამას არა ეთხოვებოდეს, აგრევე ცუს გამოღმა და ჭუირიას წყალს შუა ვინცა [ნა]დირი მოკლას, სეფეს ყოვლად წმიდის წინ მოიღებდეს, ნურავინ დააკლებს... აგრევე ჭუირიას და ცუს შუა ტყე და წყალი ყოვლად წმიდისა არას და ნურავინ დაკლებთ“[5].

1611-1657 წლების მამულების განახლების სიგელში, რომელიც ხობის ტაძრისადმი ლევან II დადიანმა შეადგინა აღნიშნულია, რომ „აწე, ჩუენც მათი გარიგებული და დადებული იადგარი ვნახეთ, განვიცადეთ და ჩუენცა მსგავსად მათებრ დავამტკიცეთ, და გავარიგეთ: თავს მსხულების წმიდა გიორგი, მის[ი] შესავლითა და გასავლითა, წყლითა, ტყითა, სანადიროთა, სათევზაოთა, საყანითა, უძებრითა და საძებრითა, იმა რიგითა გლეხებითა, ჯუარის-მტვირთლითა; ბერი ზოსიმე; კემხელს გეგებერია, ვაჭრის შვილები:

---

[1] К. Спаски-Автономов, Редут-кале, ცალკე ამონაბეჭდი კრებულიდან «Отечественные записки», т. 55, 1847, გვ. 25.

[2] Спаски-Автономов, დასახ. ნაშრომი, გვ. 26.

[3] ნ. ხოშტარია, სოფელ ყულევის არქეოლოგიური გამოკვლევა, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. VII, თბ., 1946, გვ. 77.

[4] თ. ბერაძე, XVII საუკუნის პირველი ნახევრის ოდიშის რუკა. „ძეგლის მეგობარი“, №21, თბ., 1970, გვ. 42.

[5] ს. კაკაბაძე, დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, წ. I, ტფილისი, 1921, გვ. 1.

ბაბადიში და მისნი ძმანი კასიაი და ვაჟიბედაი; მასთანა ორნი მიშის ძენი დეის მამაი; და ორნი ლადარია: მიქაილ და მამასთუალი: წუწუნაი მამული და მარანი, მისითა ტყვითა, წყლითა და ეკლესი[ი]ს კარითა, და სათეზოთა; კჳრია მასხულია, მისითა შვილებითა; თათარი წუწუნავა მისის მამულითა, ბერია, მისის მამულითა; წყლით პირს ბონია ქრისტეშია, მისით მამულითა. წყლის პირს რიონზედა **ჭალადიდსა** ნახევარი ბაჟი ხოფისა ღმრთისმშობელისა არის; არის **ქარიატიას** და **კემხელს** მესამედი ნავი და ბაჟი ყოვლად წმიდისა“[1].

ყულევში ეკლესიის არსებობას XIX ს-ის პირველ ნახევარში, ადასტურებს მ. ვაგნერიც, თუმცა შესაძლოა ეს იყოს რუსული ეკლესია, კერძოდ მისი თქმით, „ასევე ხითაა ნაგები რუსი მოხელეების უფრო დიდი სახლები, ყაზარმა, ეკლესია და ა. შ. ნოვოროსიის ქალაქებიდან რედუტ-კალეს დიდად ჰგავს დონის კაზაკთა დედაქალაქი ნოვოჩერკასკი“[2].

კ. სპასკი–ავტონომოვის აღნიშვნით, საზოგადოებრივ შენობებს შორის არის მართლმადიდებლური ეკლესია, რომელიც გარეგნულად მის ირგვლივ მდებარე შენობებისაგან განსხვავდება, მხოლოდ ერთი მომცრო ჯვრით და სამრეკლოთი, რომელიც დაშენებულია მასზე ოთხი მაღალი ბოძით. ღვთისმსახურება სრულდება ბერძნულ და ქართულ ენებზე ორი–ერთი ბერძენი და ერთი მეგრელი მღვდლის მიერ... ეკლესიის კანკელი კარგი მოხატულობისაა, რომელსაც აქვს წარწერა ზედა ნაწილში „Разумейте, языцы и покоряйтес, яко с нами Бог“. საეკლესიო ტანსაცმლი და სხვ. სანოვაგე ღარიბია. განათება ბრწყინვალეა სამი მდიდრული ჭაღის წყალობით, რომელთაგან ერთი ვერცხლისაა, ხოლო ორი ხრუსტალის...“[3].

ადგილობრივთა გადმოცემით, ერთი ეკლესია იდგა სასაფლაოსთან, მეორე კი იქ სადაც დღეს არის ტერმინალის დაცვის პოსტი. იქ ძველი სასაფლაო ყოფილა.

სოფელი ქარიატა

სოფელ ქარიატას ორ ნაწილად ყოფს მდ. ხობი. ადგილობრივთა გადმოცემი, ადრე მდ. ხობი შუაზე მას არ ყოფდა და ერთი სოფელი იყო. დღეს არსებობს ორი ქარიატა, გაღმა და გამოღმა ქარიატა.

1. გამოღმა ქარიატის წმ. გიორგის სახელობის ნაეკლესიარი

ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო
სევე იხ. საქართველოს სიძველენი, ტ. I, ე თაყაიშვილის

, გერმანული ტექსტი თარგმნა, შესავალი, კომენტარები
ა, თბ., 2002, გვ. 133.
30.

გამოღმა ქარიატაში, მდ. ხობისწყლის მარჯვენა მხარეს მდებარე სასაფლაოსთან იდგა წმ. გიორგის სახელობის ხის ეკლესია, რომელიც 30-იან წლებში დაუნგრევიათ და სკოლის შენობა აუშენებიათ. აქ მღვდლები ყოფილან ჟველიები, ეკლესიაც მათ გვარს დაუარსებია, ისინი აფხაზეთიდან ჩამოსულან. იმ სასაფლაოს სადაც ეს ეკლესია იდგა ეძახიან პალურის სასაფლაოს, ხოლო ეკლესიას პალურის წმ. გიორგის. იმ ადგილს ასევე ეძახიან „ხატ-მუხურს“. ზოგიერთის გადმოცემით, ჟველიები აქ ჩამოსულან წალენჯიხის რაიონიდან. აქ სასაფლაოსთან და ეკლესიასთან ახლოს სამრევლო სკოლაც ყოფილა, სადაც ასწავლიდა ვინმე ანტონი, მას ის საკუთარ სახლში ჰქონდა გახსნილი.

2. გაღმა ქარიატის ღვთისმშობლის სახელობის ნაეკლესიარი

გაღმა ქარიატაში იდგა ღვითმშობლის სახელობის ეკლესია. იქ დასაფლავებულნი ყოფილან თავადი ჯაიანები, ბოლო მღვდელი იყო ხოჭოლავა. ეს ეკლესია დაუშლიათ 1922-26 წლებს შორის ქოჩო გიგიბერიას და ბიჭი შამუგიას. აქ იყო დიდი მარმარილოს ქვაც, რომელიც სახლში წაუღია ქოჩო გიგიბერიას. ამავე ადგილას იპოვეს ქვევრში ჩალაგებული მღვდლის სამოსი და მოსართავები. დღეს გამოღმა ქარიატის სკოლის შენობაში გამართულ სამლოცველოში არის იმ ძველი ეკლესიის ორი ბოძი და სავარაუდოდ გუმბათის ჯვარი. ბოძები სამლოცველოს შესასვლელშია შეყენებული.

როგორც ისტორიული დოკუმენტებში ზემოთ გამოჩნდა ქარიატაც აფხაზეთის კათალიკოსის და ხობის საეპისკოპოსოს ტერიტორია იყო.

სოფელი პირველი გურიფული

1. წმ. კვირიკეს და ივლიტას სახელობის ნაეკლესიარი

გურფულის სოფლის სასაფლაოსთან იდგა წმ. კვირიკეს და წმ. ივლიტას სახელობის ხის ეკლესია. ეს არის მდ. ხობისწყლის მარჯვენა მხარეს. გადმოცემით ეს ეკლესია დაუარსებია ბეგლარ წურწუმიას; 1923 წელს დაბადებულ ადამიანებს ახსოვთ მოხუცი ბეგლარი. ბეგლარის შვილი, როგორც აქ მდებარე სასაფლაოს წარწერიდან ირკვევა დაბადებულა 1889 წელს. ე. ი. ეს ეკლესიაც დაახლოებით 80-იან წლებში უნდა დაარსებულიყო. აქ ყოფილა ეკლესიის ხატიც რომელიც კომუნისტებს ჩაუგდიათ ხობისწყალში, ანტონ გვასალიას კი ის ჩუმად ამოუღია წყლიდან და ზუგდიდის მუზეუმისთვის ჩაუბარებია. დღეს აქ აპირებენ ახალი ტაძრის გამართვას და გარკვეული სამშენებლო მასალაც არის მოტანილი.

ზოგიერთი მთხრობელის გადმოცემით დიაკონი აქ ყოფილა ივანე ქირია. მღვდელი იყო ლავრენტი კალანდარიშვილი, რომელიც ამ ივანე ჯიქიაზე იყო ჩასიძებული. ასევე აქ იყო ხონის სასულიერო აკადემიის კურსდამთავრებული პლატონ ფილია. გადმოცემით, ეს ხის ეკლესია შიგნით მოხატული ყოფილა, მისი ხატი კი მოოქროვილი. პ. ცხადაიას მასალებით, წმინდა კვირიკე//წმინდა კვირიკეში ნახუტურუ – სასაფლაო შემაღლებაზე, ხობის წყლის მარჯვენა ნაპირას მდგარა წმინდა კვირიკეს სახელობის ეკლესია. იგი აუშენებიათ წურწუმიას, ადამიას, ირემაძეს და ვადაქარიას, ხოლო აღუდგენიათ XX ს-ის დამდეგს[1].

2. დიხა-გუძუბები

პ. ცხადაიას მასალებით, გურფულში არის დიხაძუგა//ხობიშ დიხაძუგა – ბორცვი სოფლის ჩრდილო ნაწილში. ქ. ხობის საზღვართან, წყაბუს მარცხენა ნაპირზე. დიხაზურგა ზოგადად მცირე ბორცვია, დიხაზურგაზე ნაკლები, მაგრამ იმავე დანიშნულებისა.

დიხაძუგა//საირგაშ დიხაძუგა – ბორცვი ნანახანგარეშ, სოფ. ხორგის საზღვართან. ზედ არხმა გაიარა. როცა თხრიდნენ ქვევრები ამოიყარა[2].

სოფელი საგვიჩიო

ღვთისმშობლის ტაძრად მიყვანების სახელობის ეკლესია

სოფელი საგვიჩიო მდებარეობს მდ. რიონის მარჯვენა ნაპირის გასწვრივ, სადაც მდინარის სანაპიროსთან დგას მარიამ ღვთისმშობლის ტაძრად მიყვანების სახელობის 1996-1999 წლებში აშენებული ეკლესია. მისი დღეობა არის 4 დეკემბერს. ადრე მის ეზოში იქ სადაც დღეს სასაფლაოა იდო სალოცავი ქვა, რომელიც 40-50 წლებში დაუმტვრევიათ. ადგილობრივები იქ დღესაც ანთებენ სანთელს.

[1] პ. ცხადაია, დასახ. ნაშრომი, გვ. 100.
[2] პ. ცხადაია, სამეგრელოს გეოგრაფიული სახელწოდებანი, III, (ხობის რაიონი, ქ. ფოთი) თბ., 2007, გვ. 98.

სოფელი საღვამიჩაო

წმ. გიორგის სახელობის ნაეკლესიარი

სოფელი საღვამიჩიო მდებარეობს მდ. რიონის მარჯვენა სანაპიროზე, სადაც ძველ სასაფლაოსთან იდგა წმ. გიორგის სახელობის ხის ეკლესია, მას ქვის საძირკველი ჰქონია. ამ სასაფლაოს ერთ-ერთი საფლავის ქვის წარწერა გვამცნობს, რომ იქ დაკრძალულია მღვდელი ილია ისიდორეს ძე ბაბილუა (1865-1899). გადმოცემით, აქ ყოფილა ძალიან დიდი ზარი, რომელიც ჯერ სოფლის სკოლაში წაუღიათ, შემდეგ კი ფოთის პორტში, მას ძლიერი ხმა ჰქონია. ძველად აქ უცხოვრია ბაბილუებს და ღვამიჩავებს; ეს უკანასკნელნი ეხლაც არიან.

სოფელი საჭოჭუო

მთავარანგელოზთა სახელობის ნაეკლესიარი

საჭოჭუო მდებარეობს მდ. რიონის გაყოლებაზე მის მარჯვენა ნაპირთან, სადაც სოფლის სასაფლაოსთან იდგა საჭოჭუოს მთავარანგელოზთა სახელობის ხის ეკლესია, რომელიც ასევე გასაბჭოების დროს დაუშლიათ.

სოფელი პატარა ფოთი

წმ. გიორგის სახელობის ნაეკლესიარი

სოფელი პატარა ფოთიც იმავე ხაზზეა, ანუ მდ. რიონის მარჯვენა ნაპირის გაყოლებაზე, სადაც ძველ სასაფლაოსთან იდგა წმ. გიორგის სახელობის ხის ეკლესია, რომელიც ასევე გასაბჭოების დროს დაშალეს.

სოფელი საქორქიო

1. წმ. გიორგის სახელობის ნაეკლესიარი

სოფელი საქორქიო მდებარეობს მდ. რიონის მარცხენა ნაპირას, სადაც იდგა წმ. გიორგის სახელობის ხის ეკლესია. ისიც გასაბჭოების დროს დაშალეს.

2. ციხე-სიმაგრე (ტოპონიმიკა)

პ. ცხადაიას ცნობით, სოფელ საქორქიოში არის ტოპონიმი „სიმაგრე“ - უბანი რიონის მარჯვენა მხარეს, სოფ. სარიაჩქონის საზღვართან. გადმოცემით, აქ თურქებს ჰქონიათ სიმაგრე მოტაცებული ბავშვების დასამწყვდევად. მისგან მხოლოდ ნაშთია დარჩენილი[1].

სოფელი ჭალადიდი

წმ. ნინოს სახელობის ეკლესია

სოფელი ჭალადიდი მდ. რიონის მარჯვენა სანაპიროზეა, სადაც დღეს-აც დგას წმ. ნინოს სახელობის XIX ს-ის 90-იან წლებში აშენებული აგურის ეკლესია.

ქალაქი ხობი

ქ. ხობში იდგა სამების სახელობის ეკლესია.

[1] პ. ცხადაია, დასახ. ნაშრომი, გვ. 214.

თავი VII

წალენჯიხის რაიონი

წალენჯიხის მონასტერი და საეპისკოპოსო

სამეგრელოში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ძეგლია წალენჯიხის მაცხოვრის ფერისცვალების სახელობის ეკლესია, რომელზეც წერილობით წყაროებში ძალზედ მწირი ცნობები არსებობს. ის მდებარეობს ქ. წალენჯიხიდან აღმოსავლეთით მაღალ გორაკზე, საიდანაც ხელისგულივით ჩანს თითქმის მთელი დასავლეთი სამეგრელო. ექვთ. თაყაიშვილის თქმით, „წალენჯიხის ეკლესია აშენებულია ჯვარის გეგმის სახედ, შიგნით სამნაწილიანია, გუმბათი აქვს შეხამებული სიმაღლისა ეკლესიის სიდიდესთან, გუმბათში ათი გრძელი მაგრამ ვიწრო ფანჯარა არის. შუა ეკვდერი ხუთ ფრთიანად გამოდის, როგორც ხობში და ცაიშში, ხოლო დანარჩენი ორი მომრგვალებით. ეს გარემოება უჩვენებს რომ წალენჯის ეკლესია უფრო ძველია ხობის და ცაიშის ეკლესიებზეც. ფანჯრები და კარი აქ შემკული არ არის ქართული ჩუქურთმებით. კედლები სადაა. ქვა ტლანქად ნათალი“[1].

ექვთ. თაყაიშვილი წალენჯიხის ეკლესიის თავ ეკლესიას, X-XI საუკუნეებით ათარიღებს. მისივე თქმით, ეკლესიისათვის შტოები შემოუვლია ვამეყ I დადიანს (1384-1396), ბროსე კი მთელი ეკლესიის ამ სახით აშენებას მიაწერს ვამეყ I დადიანს, რასაც ექვთ. თაყაიშვილი არ იზიარებს[2]. XIV საუკუნიდან წალენჯიხა ერთ-ერთი უმთავრესი საცხოვრებელი ადგილი იყო დადიანებისა[3], სადაც იდგა სასახლე დასავლეთის მხარეს; ამ თაღოვან-სვეტებიანი ნაგებობის ნაშთები დღესაც შემორჩენილია. წალენჯიხას, მაზანდარა-ობუჯსა და ჯადირას ფლობდა ტარიელ//ტაია კაცია II-ის შვილი, გრიგოლ დადიანის უმცროსი ძმა და ლევან V-ის ბიძა.

ლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნანი, ტფ., 1914, გვ. 210.
ნაშრომი, გვ. 210.
ექვთ. თაყაიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 209.

ტარიელ ბატონიშვილის და მის მემკვიდრეთა რეზიდენცია იყო წალენჯიხაში. მათი კუთვნილი იყო ობუჯ-ჯადირაში აგებული ციხე-კოშკი[1]. პატარა მდინარე კინისკურსა და ჭანისწყლის შესართავთან[2]. ტაძრის ჩრდილოეთით შესასვლელ კართან აღმართულია ორსართულიანი სამრეკლო. ირგვლით ეკლესიის ტერიტორია შემოზღუდულია რიყის ქვის გალავნით, რომელიც გვიანდელი ჩანს, ასევე მასში გარედან არის სხვადასხვა ნაგებობის (იმავე რიყის ქვით) მინაშენების ნაშთები. საძირკველს აშკარად ეტყობა, რომ ეს კედელი გვიან დაუშენებიათ ძველ საძირკველზე სადაც აქ ეკლესიის აშენებამდე შესაძლოა ციხე-სიმაგრეც ყოფილიყო. კერძოდ, თვით სახელწოდებიდან გამომდინარე – წალენჯიხა ანუ ჭანთა ციხე (წენ-წყარი – ჭანის წყალი). მის შესახებ წყაროებში ცნობები არა გვაქვს, თუმცა შესაძლოა სწორედ აქ ყოფილიყო ჭანთა დიდი ციხე; ჯერ კიდევ არ არის მიკვლეული აქ იმ დონის მძლავრი ციხე-სიმაგრე, რომელიც სახელწოდება „წალენჯიხას“ ანუ ჭანთა ციხეს შეესაბამება.

ყველაზე უადრესი ცნობა წალენჯიხის ტაძარზე თვით ამ ეკლესიაში შემორჩენილი ბერძნული და ქართული წარწერებიდან გვაქვს, კერძოდ, ვამეყ I (1384-1396) დადიანის ბრძანებით ტაძარი მოუხატავთ კონსტანტინეპოლიდან მოსულ მანუელ ევგენიკოსს; ასევე ვამეყ დადიანს ამ ტაძრის შესამკობად გაუგზავნია ბერ-მონაზვნები ქვაბალია და ანდრონიკე გაბისულავა. თ. ყაუხჩიშვილი წარწერას ასე კითხულობს: „ქ. ვედრება ღვთის მონისა და ცოდვილისა მანუელ ევგენიკოსისა, მხატვრისა, რომელმაც მოხატა ეს ტაძარი კონსტანტინეპოლიდან მოსულმა, (სადაც) გაგზავნა ბერმონაზვნები (ამ ტაძრის) შესამკობლად (ერისთავთერისთავმა?), რომლის სახელია ვამეყ, ხოლო (მონაზონთა) სახელებია: ქობალია მახარებელი და ანდრონიკე გაბისულავა“, ხოლო ვინც ...წ... ეს მხატვრობა, ჩემი ყოველთა ქრისტიანეთა შორის ცოდვილისა, შემიწყნაროს (?) ამინ“[3].

ექვთ. თაყაიშვილი, ტაძრის, როგორც ქართულ, ისე ბერძნულ წარწერებს ასე კითხულობს: „ქ. პატრონისა ერისთავთ ერისთვისა და მანდატურთ უხუცესისა დადიანისა ვამეყ ბრძანებითა მოვ[იყვანე] კოსთანტიპ[ო]ვლით მხატვარი კირ მანოელი ევიენიკოს და დავახატვინე [ესე ეკლესია შეწევნითა ღმ]რთი[სათა. ვინც]ა შენ[დობა ბრძ]ანოთ, [თქვენ]ცა შეგინდოს [ღმერთმან], ამინ ამინ, ამინ“.

ამ წარწერის მარჯვნით იმავე სვეტზე ბერძნული წარწერაა დაზიანებული. მარცხენა სვეტზედ სწერია იმავე ხელით: „ქ. წარვეგზავნეთ მაცხოვრისა შეწევნითა კოსტანტიპოვლეს და მოვიყვანეთ მხატვარი ესე კირ მანუელ ჩვენ . . . ონ . . . მა[ხარობელი] ქვაბალია და ანდრონიკე გაბისულავა და ვევედრებით მაცხოვარსა, რათა გვიხსნას ჩვენცა დიდსა დღესა მას განკითხვისასა. ამინ, ამინ, ამინ. . . . მაშენებულთა, გალატოზთა და ხელის-უფალფა და მზარეულთა ყოველთა შეუნდვნეს ღმერთმან, ამინ, ამინ, ამინ“. ექვთ. თაყაიშვილისავე კომენტარით, ბროსეს ისე გაუგია ეს წარწერა, თითქო მახარობელი ქვაბალია და ანდრონიკე გაბისულავა წარგზავნილნი კაცები კი არ იყვნენ, არამედ მხატვრის ევიენიკოს თანაშემწენი. ვტორი, გაბისოლავას მაგიერ გაბისულავას კითხულობს, რადგან ბერძნულ წარწერაში გაბისულავა სწერია“-ო[4].

---

[1] ო. სოსელია, ნარკვევები ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს სოციალურ პოლიტიკური ისტორიიდან (სათავადოები), III, თბ., 1990, გვ. 94-95.

[2] ო. სოსელია, დასახ. ნაშრომი, გვ. 96.

[3] თ. ყაუხჩიშვილი, საქართველოს ბერძნული წარწერების კორპუსი, I, დასავლეთ საქართველო, თბ., 1992, გვ. 94-95.

[4] ექვთ. თაყაიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 211-213.

პ. გაბისონიას აღნიშვნით, „ცაიშის გულანის“ სახელით ცნობილი „ჟამ-გულანის“ ხელნაწერი წიგნის ერთ-ერთ მინაწერში იხსენიება მათეოზ წინამძღვარი: „ღმერთო შეიწყალე სული მათეოზ წინამძღვრისა, უცბად ამის მჩხრეკელსა, ამინ“[1]. პ. გაბისონია ეყრდნობა კ. გრიგოლიას მოსაზრებას იმის შესახებ, რომ ეს გულანი XVI საუკუნის ბოლოსათვის გადაუწერიათ ლიპარტიანის ქალის მანიას თაოსნობით. ის თავდაპირველად წალენჯიხისა და სქურის მონასტრების საკუთრება ყოფილა, ხოლო ცაიშის ეკლესიაში უფრო მოგვიანებით XVIII საუკუნეშია მოხსენიებული[2]. ავტორისავე აზრით, წალენჯიხის მონასტრის წინამძღვრად მათეოზი XVI საუკუნის მეორე ნახევარში უნდა ყოფილიყო [3]. თუმცა აღვნიშნავთ, რომ სქურის ეკლესიაც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მონასტერი იყო და ძნელია იმის თქმა თუ რომელი მონასტრის – სქურის თუ წალენჯიხის წინამძღვარი იყო მათეოზი.

შემდეგი წინამძღვარი წალენჯიხის ტაძრისა (რომელიც ჩვენთვის წყაროებიდან არის ცნობილი) არის ელისე ჯაფარიძე; ის იხსენიება წალენჯიხის ჯვარცმის ხატის წარწერაში – „ღმერთო შეიწყალე ორსავე შინა ცხოვრებასა მამკობი ხატისა შენისა წინამძღვარი ელისე ჯაფარიძე, ამინ, ამინ“[4]. ექვთ. თაყაიშვილი, ამ წარწერას XVI-XVII საუკუნისად მიიჩნევს და აღნიშნავს, რომ ჩვენ არ ვიცით თუ როდის ცხოვრობდა წინამძღვარი ელისე ჯაფარიძე[5].

პ. გაბისონია შემდეგ წინამძღვრად, კერძოდ, 1613 წლიდან 1628-1630 წლამდე, ზებედეს მიიჩნევს. ავტორი ეყრდნობა ალავერდის სახარების სახელით ცნობილი ხელნაწერი წიგნის თავში ჩაკრულ ანდერძს, რომელიც ზებედე წინამძღვრას ეკუთვნის[6]. მისივე აღნიშვნით, „როგორც ამ ანდერძიდან ირკვევა, ზებედე წალენჯიხის წინამძღვარი ყოფილა, რადგან იმ დროისათვის დადიანთა სამთავრო სახლის საძვალე წალენჯიხის ეკლესია იყო. იგი ასევე ლევან II-ის სულიერი მოძღვარი იყო და მთავარს ყველგან, მათ შორის ლაშქრობებშიც ახლდა. ეს ლაშქრობა 1615 წლისთვის მოხდა, როცა კახეთში დავით ჯანდიერის მეთაურობით სპარსელების წინააღმდეგ აჯანყებამ იფეთქა. დასავლეთ საქართველოში მყოფი კახეთის მეფე თეიმურაზ I სასწრაფოდ კახეთში გაეშურა. იმერეთის მეფე გიორგი III-მ (1605-1639), ლევან II დადიანმა და მამია გურიელმა თავიანთი ლაშქრით თეიმურაზი მდინარე არაგვამდე მიაცილეს [7]. ზებედე წინამძღვარს ეს სახარება ამ წელს უნდა ეყიდა. თ. ჟორდანიაც მის მიერ იმერეთში სახარების შეძენას 1615-1620 წლებით ათარიღებს“[8].

შემდგომი წალენჯიხელი წინამღძვრის შესახებ უფრო უტყუარი ცნობა გვაქვს. კერძოდ, 1639 წლის 8 დეკემბერს წალენჯიხის ტაძარს ეწვივნენ რუსი ელჩები ფ. ელჩინი და პ. ზახარევი, რომლებიც იხსენიებენ წინამძღვარ იოანეს.

---

[1] იხ. ექვთ. თაყაიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 189. პ. გაბისონია,. დასახ. ნაშრომი, გვ. 3.

[2] იხ. პ. გაბისონია, დასახ. ნაშრომი; გვ. 4; კ. გრიგოლია, ზებედე მღვდელთმონაზონი და მისი ანდერძი, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, ტ. XVII- , თბ., 1953, გვ. 53.

[3] პ. გაბისონია, დასახ. ნაშრომი, გვ. 4.

[4] ექვთ. თაყაიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 225.

[5] ექვთ. თაყაიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 226.

[6] მას ჟამსა ოდეს გაილაშქრა მეფის თეიმურაზის საშუელად... დადიანმან პატრონმან ლეონ და ბიძამან მისმან ლიპარტიანმან ბატონმან გიორგი, რამეთუ საფლავისა მათისა წინამძღუარ ვიყავი, მივედი გეგუთს იმერეთის მეფეთ მეფობასა გიორგისა, მუნ მოიღეს კაცთა სარწმუნოებითა და ვიყიდე ჩემითა ალალითა თეთრითა და განვამზადე სადა იგი დამარხვად ვარ და ვინცა გამოიხუათ საძვალესა ჩვენსა... (პ. გაბისონია, დასახ. ნაშრომი, გვ. 4).

[7] პ. გაბისონია, დასახ. ნაშრომი, გვ. 4-5.

[8] ს. კაკაბაძე, წერილები და მასალები საქართველოს ისტორიისათვის, გვ. 125

შემდგომში, როგორც ჩანს ლევან II-ის თაოსნობით წალენჯიხაში არსდება საეპისკოპოსო, თუმცა დაარსების თარიღზე და პირველ ეპისკოპოსზე ზუსტი ცნობები არ არსებობს და ვარაუდის დონეზე თუ შეიძლება ამის განსაზღვრა.

საკითხთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია ერთ-ერთი წყაროს ცნობა, რომ „წალენჯიხა არს აშენებული ლეონ დადიანის მანუჩარის ძისაგან“. მანუჩარი, მანუჩარ I-ია (1590-1611), ხოლო მისი შვილი ლევან II დადიანი (1611-1657) და ამ ცნობაში ნაგულისხმევია არა თვით ტაძრის აშენება, არამედ საეპისკოპოსოს დაარსება ლევან II დადიანის მიერ.

არქ. ლამბერტი, რომელიც სამეგრელოში დაახლოებით 1633-1650-1651 წლებში იმყოფებოდა აღნიშნავს, რომ „მეხუთეა წალენჯიხის, აგრეთვე გორაკზე მდებარე მისი ეკლესია ფერიცვალების სახელობაზეა აშენებული. აქ ჰმარხავდნენ მთავრებს. მის ეპისკოპოსს ჰქვია წალენჯიხელი“[1].

ე. ი. აქ საეპისკოპოსო უნდა დაარსებულიყო 1639 წლის შემდგომ (რადგან ელჩინი და ზახარევი ჯერ კიდევ წინამძღვრებს იხსენიებენ) 1650-51 წლამდე.

პ. გაბისონია პირველ წალენჯიხელ ეპისკოპოსად ალავერდელ მიტროპოლიტს მიტროფანეს მიიჩნევს. ავტორი იმოწმებს ქრისტეფორე კატელის მიერ 1642 წელს სამეგრელოდან რომში გაგზავნილ წერილს, საიდანაც ირკვევა, რომ გიორგობის დღესასწაულზე ალავერდელს, რომელიც იმავდროულად წალენჯიხელი ეპისკოპოსიც იყო, გაუკიცხავს ოდიშში მყოფი არქიეპისკოპოსი, რადგანაც იგი კათოლიკურ აღმსარებლობაზე გადასულა, ამის გამო ლევან II-ის გულისწყრომა დაუმსახურებია[2]. როგორც ექვთ. თაყაიშვილი გვამცნობს მიტროფანე ალავერდელი ეპისკოპოსი კახეთიდან გამოხიზნულა. მას თან წამოუღია ღვთისმშობლის ხატი. 1604 წლამდის შეუმკვია ეს ხატი თავის მეუღლის დავითის (†1604) დასაცველად. ხატი, როგორც ეტყობა, წამების დროს თანა ჰქონია სპარსეთში. ხოლო ქეთევანის წამების შემდეგ ალავერდელს მიტროფანეს ისპაანს დაუხსნია ეს ხატი და იქიდან გამოქცეულა და ოდიშს ლევან დადიანთან შეხიზნულა. ალავერდელის გარდაცვალების შემდეგ ხატი დარჩენილა წალენჯიხის ეკლესიაში. ეს ამბავი მოთხრობილია მხედრულის წარწერაში[3].

---

[1] არქ. ლამბერტი, დასახ. ნაშრომი, გვ. 107.

[2] პ. გაბისონია, დასახ. ნაშრომი, გვ. 5, იხ. მიხ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის ნამდვილი საბუთების შემოტანით და განმარტებით XIII საუკუნიდან ვიდრე XX საუკუნემდე, ტფ., 1902, გვ. 185, 187.

[3] ქ: ჰი: დიდებულო: დედოფალო: სერაბინთა უზეშთაესო: და: უმაღლესო: ქერაბინთაო: დედაო: ნთელი საო: კარისა: ღ თის: მშობელო: ალავერდელსა: მიტროფანეს: ისპაანს: თეთრით: დაეხსნა: სახე: ესე: თქუენი: პატიოსანი: პირველ: დავით: არაგვის: ერითჳსაგან: მოჭედილი: და: ნამკობი: ალავერდელი: აგარიანთა: ლაშქართაგან: მეოტ: ქმნილი: ჩუენთან: მოვიდა: და: ჩუენ: წალენჯიხას: დავაყენეთ: და: იქ: მიიცვალა: ხოლო: ხატი: ესე შენი: პატი ოსანი: ჩუენ: დაგვიტევა: და ჩუენ: თან სასვენად: გინებეთ: კუბოში: ჩაგასვენეთ :რათა: წყალობა: შენი: თანა: მავალ: გვეყოს: ჩუენ: აწ: უკვე: გევედრები: შენ: მიერ: ძლევა: შემოსილი: მე: მოსავი: შენი: ჭელმწიფე: დადიანი: პატრონი:ლევან ძე: ჭელმწიფისა: დადიანისა: მანუჩარისი: რათა: ორსავე: ცხორებასა: ჩემსა: მცველ: და: მფარველ: მექმნა: და: არა: ჭვებულ: მყო: მე: წყალობისაგან: შენისა: ამინ:

ქვემოთ ქვაზედ მხედრულათ ამოჭრილია: ლევან“ (ექვთ. თაყაიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 229-230).

შემდგომი წალენჯიხელი ეპისკოპოსი გახლავთ ევდემონ ჯაიანი, რომელსაც წალენჯიხის ერთ-ერთი წარწერა გვაცნობს. ექვთ. თაყაიშვილის აღნიშვნით, „ჩრდილოეთის სვეტის აღმოსავლეთ ნაწილზე წინეთ ვიღაც წმინდანი თუ მღვდელმთავარი ყოფილა დახატული, მაგრამ შემდეგ წალენჯიხელს ევდემონ ჯაიანს მე-XVII საუკუნეში თავის თავი დაუხატვინებია ამ სურათზედ. ძველი მხატვრობა აქა იქ აშკარად მოჩანს. ევდემონის ზემოთ მაცხოვარია წელს-ზევითი, რომელიც ორივე ხელით ჯვარსა სწერს ევდემონს. ამ სურათს ხუცურად აწერია მარცხნივ: „უფალო იესო ქრისტე, ძეო და სიტყვაო ღმრთისაო, შეიწყალე წალენჯიხელი ევდემონს ჯაიანსა შეუნდოს ღმერთმანი“.მარჯვნივ ამ წერწერის გაგრძელება ჩამოვარდნილია და მოჩანს ძველი ფრესკის ბერძნული წარწერის ასოები, ხოლო ბოლო ქართულის წარწერისა შემორჩენილია: ვინცა შენდო-ბით მომიხსენიოთ...დასავლეთის ნაწილი ჩრდილოეთის შტოისა შეიცავს ლევან II დიდის დადიანის საძვალეს და უერთდება დასავლეთის შტოსაც. შესავალი აქვს დასავლეთით და ჩრდილოეთით, დასავლეთის შტოიდან ეკლესიისა. ამ უკანასკნელი კარის ზემოთ ქვაზედ შემდეგი მხედრული წარწერაა: 1) ქ. მე: ებისკოპოსმან:. წალენჯიხელმან:. ევდემონ:. ჯაიანმან:. დავახა 2) ტვინე:. ეკდრის:. კარი:. ჩუენის:. ჭელმწიფის:. დადიანის:. ლევანის:. სა 3) დღეგრძელოთ:. და კურთხეულის:. ბატონის:. დედოფლ 4) ის:. ნესტან:. დარეჯანის:. სულისათვის:. დაიხატა:. კარ 5) ი:. ესე:. დროსა:. და:. ჟამშია:. დიდისა:. ჭელმწიფისა:. დადიანისა:. 6) ბატონისა:. ლევანისათა:. ქრონკსა:. სამას:. ოცდა:. ათე 7) ქვსმეტსა:. ამინ:. და კირიელეისონ:. დავწერე:. მე:. ესე:. წინამძღვარმან:. საყდრისა:. ამის:. მაქსიმე:. მელიაძისამან:.

ქორონიკონი უდრის 1648 წელს. ევდემონ ჯაიანი წალენჯიხელი ყოფილა თანამედროვე ლევან II დადიანისა. ეკვდრის კარის დახატვის დროს ლევან II ცოცხალია ხოლო ნესტან-დარეჯანი გარდაცვლილი“[1].

პ. გაბისონიას თქმით, როგორც ჩანს ევდემონის წალენჯიხელად დანიშვნა, კავშირში უნდა იყოს ოდიშის მთავარისა და ალავერდელი მიტროპოლიტს შორის მომხდარ დაპირისპირებასთან და მის წალენჯიხის საეპისკოპოსო კათედრაზე მოღვაწეობას 1643-1655 წლებით საზღვრავს[2]. თუმცა აქვე აღვნიშნავთ, რომ ჩვენ არა გვაქვს იმის საბუთი, რომ ლევან II დადიანს ამ წერილის შედგენისთანავე–1642 წელს, ან თუნდაც 1643 წელს გადაეყენებინოს მიტროფანე; ვფიქრობთ, ევდემონის დანიშვნა ეპისკოპოსად უნდა განვსაზღვროთ სწორედ ზემოთ წარმოდგენილი წარწერიდან, კერძოდ, 1648 წლიდან. მანამდე ის დრანდის ეპისკოპოსი ყოფილა[3]. ევდემონ ჯაიანი მოხსენიებულია წალენჯიხის ტაძრის ჩრდილო-დასავლეთი სვეტის აღმოსავლეთ სვეტის ხუთსტრიქონიან წარწერაში: „უფალო, მოიხსენიე სული მონისა შენისა, ევდემონ მღვდელთმთავრისა“[4].

შემდგომი ეპისკოპოსის ვინაობას გვამცნობს პატრი ანდრია ბარომეს, პატრი ივანე მონთალეს და პატრი იოსეფ მარი ძამპის რომში გაგზავნილი წერილი, რომელიც 1655

---

[1] ექვთ. თაყაიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 215-216.
[2] პ. გაბისონია, დასახ. ნაშრომი, გვ. 8.
[3] ბ. ხორავა, დრანდის საეპისკოპოსო; კრ. მართლმადიდებლობა აფხაზეთში და ეროვნული თვითიდენტიფიკაციის საკითხები, I, თბ., 2005, გვ. 96.
[4] თ. ყაუხჩიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 95.

წლის 16 სექტემბრით თარიღდება[1]. როგორც ჩანს აქ მოხსენიებული ილარიონი 1653/4 წელს მაინც უნდა ყოფილიყო ეპისკოპოსად ხელდასმული.

როგორც ისტორიული წყაროებიდან ჩანს ილარიონი ეპისკოპოსად ან 1667, ან 1670 წლამდე მაინც უნდა ყოფილიყო[2].

---

[1] „მთავარი დადიანი და მთელი ოდიში თავიანთ ჩვეულებრივ სიყვარულს გვიმტკიცებენ. ჩვენ ყველანი ჩვენის მხრით ვცდილობთ შევეწიოთ მათ განუსაზღვრელის სიყვარულით და ვსწამლობთ, რაც კი დასჭირდება და როცა კი მოგვმართავენ. თითქმის ყოველ დღივ ვსწამლობთ და სიამოვნებით მივდივართ მათ სახლებშიაც, როდესაც დაგვიბარებენ, რის გამო დიდი შეწუხება გვადგება... „რა კი მთავარი ნდობითა და სიყვარულით გვეპყრობა, მისნი ქვეშევრდომნიც ამავე გრძნობას გვიცხადებენ. პატრიარქი, აქ კათალიკოსად წოდებული, მუდამ დიდს სიყვარულს გვიცხადებს, ხშირად სახლში გვიგზავნის დიდს მოწყალებას და როდესაც შემთხვევა მოგვეცემა მისის ნახვისა, მუდამ დიდის პატივით გვეპყრობა. კათოლიკოსის შემდგომ ყველა სხვა დანარჩენი ეპისკოპოსებიც სიყვარულით გვეპყრობიან. მაგრამ მათ შორის ერთი უმთავრესი, რომელსაც უწოდებენ წალენჯიხელი (შცალინგიცჰელლი), უმეტეს სიყვარულს გვიცხადებს. ამიტომ საჭიროდ ვსთვლით თქვენს პატიოსან მამობრივს ღირსებას იმის ამბავი განსაკუთრებით მოვახსენოთ, რათა ჩვენმა ორდენმა მისი სახელი განსაკუთრებით დაიხსომოს. როდესაც დიაკონი და მწირი ბერი იყო, ისე გვემტერებოდა იგი და ისეთ წინააღმდეგობას გვიცხადებდა სარწმუნოების საქმეში, უმეტესი აღარ შეიძლებოდა. სხვათა შორის, ერთხელ, მას აქეთ რავდენიმე წელიწადია, უჩვენა ეს მტრობა ერთ ჩვენთაგანს ბჭობაში დადიანის წინაშე; სახელად ერქვა ილარიონ; როდესაც ეპისკოპოსი გახდა; ჩვენს მამებთან ისე მოიქცა, რომ მათ არც სიავე და არც სიკეთე უყო. ერთხელ რადაც შემთხვევის გამო მოვიდა ჩვენს სახლში და იმ დროს ნახა ცხენით სატრიალებელი წისქვილი, რომელიც ჩვენებს გაეკეთებინათ საჭიროებისათვის. წისქვილი ძლიერ მოსწონებია წალენჯიხელ ეპისკოპოსს და უთხოვნია მისი გამკეთებლის პატრისათვის, წასულიყო მასთან წალენჯიხის საეპისკოპოსოში, რათა იქაც გაემართა. პატრიც წაჰყვა, გაუკეთდა წისქვილი, როგორიც უნდოდა. ეპისკოპოსს ძრიელ მოეწონა და კარგადაც დაასაჩუქრა პატრი; მას აქეთ ძრიელ შეგვიყვარა თუ გამკეთებელი პატრი და თუ ჩვენ ყველა ერთიანად; ახლა შეიქმნა უმეტესად საყვარელი, ჩვენი კეთილის მყოფელი და საუკეთესო მეგობარი, რადგან ახლა ყველგან გვაქებს და კარგად გვიხსენიებს. ხშირად გვეწვევა დიდის და უხვის წყალობით: მოწყალებად გვიგზავნის ეკლესიისათვის წმინდა სანთელს, რომელიც მთელს წელიწადს გვყოფნის; გვიგზავნის ხშირად და ბლომად ღვინოს, მეტადრე წლეულს, რომ მოსავალი სრულებით არ იყო; ეგრეთვე საჩუქრად გვიგზავნის ცხვრებს, ძროხებს; ხშირად ჰპატიჟობს წისქვილის გამკეთებელ პატრს თავის საუკეთესო მამულებში ჰაერის გამოსაცვლელად და დიდად ეალერსება არა მარტო მას, არამედ ყველა ჩვენთაგანს, როდესაც მის სახლში მისვლა მოგვიხდება. რადგან აქაურებში ყველაზე უფრო ნასწავლი, ყველაზე უფრო გულისხმიერი და ადვილ შესათვისებელია. ყოველ ამ ღირსებას მარტო თავისი სათნოებით მიეწია. სიამოვნებით წარმოგვიდგენს ბევრს საეჭვო კითხვას სარწმუნოებისას; ეგრეთვე გვკითხავს ევროპიელის მთავრების ამბავს, მეტადრე რომის პაპის ამბავს და ყოველსავე რაც შეეხება რომის სამთავროს. გულმოდგინებით ისმენს ჩვენს პასუხს. ცხადად აღიარებს, რომ მეგრელი მღვდლები ნათლიღებას სწორედ არ ასრულებდნენ, რადგან მათ წიგნებში ისე არა სწერია, როგორც ბერძნულში და თავისი წიგნებიც გვაჩვენა. დადიანს ამ პატიოსანის ეპისკოპოსის დიდი პატივისცემა აქვს. აწინდელი კათალიკოსი კარგად ხნიერია. იმის სიკვდილის შემდგომ იმედი გვაქვს ეს გახდეს კათალიკოსი. თუ მართლა ასე მოხდა, როგორადაც ვევედრებით უფალსა, თუ ჩვენთვის და თუ ჩვენი მისიონერისათვის ძრიელ კარგი იქმნება. ინებოს უფალმა ღმერთმა ისე, როგორც უფრო სჯობდეს.... სამეგრელოდან 16 სექტემბერს 1655.

პრეფექტო პატრი ანდრია ბორომე, პატრი ივანე მონთო, პატრი იოსებ ძამპი“ (მ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, თბ., 1902, გვ. 199-201).

[2] პ. გაბისონია, დასახ. ნაშრომი, გვ. 6.

აღსანიშნაია ის გარემოება რომ წალენჯიხის ეპისკოპოსებთან ერთად იხსენიებიან ამ ტაძრის წინამძღვრებიც. როგორც ზემოთ გამოჩნდა ევდემონ ჯაიანის ეპისკოპოსობის დროს. 1648 წლის წარწერაში (იხ. ზემოთ) მოხსენიებულია მაქსიმე მელაძე და ილარიონის დროს სვიმონ ჭილაძე, რომელსაც ცაიშის გულანის მინაწერი გვამცნობს[1].

XVII ს-ის მიწურულის ხელნაწერი წიგნის მინაწერში მოხსენიებული ქრისტეფორე, რომელიც „მოძღვართმოძღვრად“ იწოდება: „დიდებაჲ ღმერთისა სრულმყოფელსაჲ ყოვლისა კეთილისაჲ, დაიწერა და სრული იქმნაჲ წმინდაჲ ესე ხორცთა და სულთა განმწმენდილი ოთხთავნი მეოხებითა და შეწევნითა მაცხოვრისა წალენჯიხისათაჲ ამინ, და ბრძანებითა პატრონისა მოძღვართ მოძღუარისაჲ ქრისტეფორესითაჲ, რომლის ხსენებაჲ და კურთხევაჲ საუკუნომცა არს“[2].

ქრისტეფორეს წალენჯიხელ ეპისკოპოსად მოღვაწეობა, ზოგადად XVII ს-ის 70-80-იანი წლებით თარიღდება[3].

1657 წელს, ლევან II-ის გარდაცვალების შემდეგ, სამეგრელოს სამთავროს ჩრდილო-დასავლეთიდან აფხაზთა თავდასხმების მოგერიება ძალიან გაუჭირდა. 1678 წელს აფხაზებმა ზუგდიდი, ცაიშის და ხობის ტაძრები დაარბიეს. საფიქრებელია, რომ მათ წალენჯიხის მონასტერიც გაძარცვეს. ბროსეს სამეგრელოში ყოფნისას, წალენჯიხის ეკლესიაში, ლევან II-ის ეკვდერის კარის პირდაპირ ამოუკითხავს ნაწვეტებად შემონახული წარწერა, რომელიც იუწყება, რომ ტაძარი აფხაზებს გაუოხრებიათ. გაძარცული ეკლესია შემდეგ ვინმე გიორგის თავის მეუღლე თათუასთან

---

[1] 1) ქ. იესო ქრისტე მეუფეო დიდებისაო, ადიდე
2) დიდისა ჴელმწიფისა მანუჩარის ძე, ჴელმწიფეთა ხელმწიფე,
3) დადიანი ლეონ ყოვლისა საქართველოთა პატ[რონი]
4) და დედოფალთ დედოფალი პატრონი ნესტან დარეჯან
5) და მამკობნი ხატისა და ჯვარისა თქვენისა.. [ეკლესიისა]
6) მაშენებელნი, რომელმან მოინდომა გულანისა...
7) ... დაღმან აღმოღება და მოტანა. ძველათ ამისვე ყო[ფილიყო],
8) ზებედე ცრუმან გარდაიხვეწა ეს. გაიპარა. გულანი აქაურით
9) და ჯვარი ყველა მან ქართლით წასვენა და ჴელახლა ... [ძლი]
10) ერმან ჴელმწიფემან ხატიც წამოასვენებინა და ეს [გულანიც მოატა]
11) ნინა და მეორეზეც ახლავედ კიდევ შემოგწირეს და...
12) რს:. თქვენსავე: წმინდა: გიორგის სკურდისასა...
13) და სახსრად სულისა მათისა... (აქ განგებ გამოუშვით უმნიშვნელო სიტყვები).
1) ღრემთო და ამ გულანის მა
2) დლო, აცოცხლე და ადღეგრძელე ლიპარტიანი ბატონი ვა
3) მეყ: და ძმა მათი გიორგი სიგრძესა შინა ჟამთასა... მე...
4) დღეთასა ამინ:. მე ცოდვილმან და უღირსმან მონასტრის
5) ა ამის წინამძღვარმან სვიმონ ჭილაძემან ჩ...
6) შიდ ჩვენ ვიშოვედ ეს გულანი და ჩვენვე და...
7) ბატონის დედიანის ლეონის სადღეგრძელოდ და ლია...
8) ნებისთვის სადღეგრძელოდ მათვე საფლავსა [შევსწირეთ]
9) აწე რამანცა კაცმან... (წყევლა).
მერმინდელის ხელით:
„ადიდოს ღ ნ ორთავე ცხორებათა შინა დადიანი კაცია და მე მეუღლე მათი დედოფალი ანნა ძით და ასულით მათით, ა ნ“.
„მე ცაიშელ მიტროპოლიტმან გრიგოლ განვაახლებინე და შევაკრევინე იგინი ესე გულანი ჩემისა საოხად“ (ექვთ. თაყაიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 191-192).

[2] ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, თბ., 1964: 70-71

[3] პ. გაბისონია, დასახ. ნაშრომი, გვ. 7.

ერთად განუახლებია, შეუწირავს მამული და ყმები. მას თავისი ოჯახის საძვალეც აქ მოუწყვია[1].

შემდგომი წალენჯიხელი ეპისკოპოსი ჩვენთვის უცნობია, ხოლო 1762 წელს კაცია II დადიანმა საგანგებო სიგელით წალენჯიხის მონასტერი და მისი ყმა-მამულები დასავლეთ საქართველოს საკათალიკოსოს გადასცა[2].

1863 წლის წარწერაში წალენჯიხის მონასტრის წინამძღვრად მოხსენიებულია პეტრიძე[3].

ზემოთქმულიდან გამომდინარე წყაროებში ცნობილ წალენჯიხელ წინამღძვართა და ეპისკოპოსთა ქრონოლოგიური რიგი ასეთია:

მათეოზი – XVI ს. II ნახევარი

ელისე ჯაფარიძე – XVI-XVII სს. მიჯნა (წინამძღვარი)

ზებედე – XVII ს. 10-იანი-20-იანი წლები (წინამძღვარი)

იოანე – 1639 (წინამძღვარი)

მიტროფანე – 1640?-1648 (ეპისკოპოსი)

ევდემონ ჯაიანი – 1648-1654 (ეპისკოპოსი)

ილარიონი – 1653/4-1667 (ეპისკოპოსი)

ქრისტეფორე – XVII ს-ის 70-იანი 80-იანი წლები (ეპისკოპოსი – „მოძღვართმოძღვარი“)

პეტრიძე – XIX ს-ის 60-იანი წლები (წინამძღვარი).

ამავე დროს მანუჩარ I დადიანის (1590-1611) ეკვდერში მოხსენიებულნი არიან აქ მოღვაწე ადამიანები – მღვდლები თუ კალიგრაფ-გადამწერები: აფაქიძე, მანუჩარ ქვაბულია, კანდელ-მოძღვარი ეფემიძე მელქისედბეგი[4].

აქ უმოღვაწია ასევე კანდელაკ გერასიმე ქობალიას, ასევე ვინმე იოანე ეჯიბიას: „ღმერთო შეიწყალე კანდელაკი გერასიმე (?) ქობალია ამინ. ღმერთო შეიწყალე იოანე ეჯიბია“[1].

---

[1] პ. გაბისონია, დასახ. ნაშრომი, გვ. 7.

[2] ს. კაკაბაძე, დსავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, II, ტფ., 1921, გვ. 22.

[3] „მცირედი ესე მთავარანგელოზისა ეკვდერი და სასაფლაო მთავრის დადიანის ძის მანუჩარისა დავახატვინე საფასითა ჩემითა მოლოზანთ (მლთ) მოლაზონმან პეტრიძემ ჩყდგ-ს იუნისსა კა დღესა“ (ექვთ. თაყაიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 219).

[4] „აფაქიძესა .. [შეუნდ]ვნეს [ღმერთმან], ამინ. მარჯვნივ მთავარანგელოზია გამოხატული, ხოლო შემდეგ მზარეულთ უხუცესი, რომელსაც ტაფა უჭირავს ხელში და ფრესკას ზემოთ აწერია: მზარეულთ უხუცესი ქობალია ქველი. ამის მარჯვნივ მეორე ფრესკაა უწარწერო მამაკაცისა, მთელის ტანით, როგორც ყველა სხვა ფრესკები. ჩრდილოეთის კედელზედ შუაში დახატულია დიდებული ძლიერ ჭრელის ტანისამოსით, მარცხნივ მისი ცოლია და მარჯვნით მისი მოძღვარი კანდელაკი ჭრელის ფილონით. ცოლ-ქმარის წარწერა წაბღალულია და ჩვენ საეჭვოდ ასე ვკითხულობთ: მანუჩარ ქვაბულია, მეუღლე მისი როშაქ ჯობორიფხე კანდელაკის წარწერა ცოტა უკეთ არის დაცული კანდელაკსა მოძრვარსა ეფემაძესა მოლ(ა)(?) ყოფილისა მელიქიზედე(კ)ს შეუნდოს ღმერთ მან. (ექვთ. თაყაიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 220).

აქ ასევე მოღვაწეობდნენ: „ბოკუჩავა, გაბრიელ – მღვდელი, კალიგრაფი. მისი გადაწერილია 1667 წელს, მოძღვართ მოძღვრის, წალენჯიხელი ილარიონის შეკვეთით კურთხევანი: „ამის უცბათ მჩხრეკელსა, უგუნურსაჲ და დიდად ცოდვილისაჲ გაბრიელ მღვდელსა ბოკუჩავას ცოდვანი მისნი შუნდოს ღმერთმაო“, წერია ანდერძში. ბოკუჩავას ნამუშევარი მოწყობს, რომ წიგნების გადაწერის ხელოვნება XVII ს-ში საქართველოს შორეულ კუთხეებშიც კარგ დონეზე იდგა“ [2]. ასევე მნიშვნელოვანია, რომ ლევან I დადიანის ბრძანებით აქ გადმოუწერიათ სახარება [3]. ასევე მნიშვნელოვანია ხატზე მინაწერები, რომლებიც სხვადასხვა ეპოქის ისტორიულ პირებზე გვაწვდიან მნიშვნელოვან ცნობებს, ასეთია ჯვარცმის ხატი, სადაც მანდატურთუხუცესი ბედან დადიანია მოხსენიებული, ასევე გიორგი და შერგილ დადიანები[4].

---

[1] ექვთ. თაყაიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 225.

[2] ვახტანგ ბერიძე, ძველი ქართველი ოსტატები, თბ., 1967, გვ. 50.

[3] სახარება ხელნაწერი ქაღალდზე, 24X19,5 სანტ., ორ სვეტად, ნუსხა ხუცურით, უბრალო ხის ყდით, მაგრამ სახარება ჩადებულია ვერცხლის ბუდეში, ოქროთ დაფერილში, თავის გასაღებით. პირველ პირზე ბუდისა ამობერვით განჭედილია ჯვარცმა, ხოლო მეორეზედ ჯოჯოხეთის წარტყვენა. სახარება შემკობილია ოთხის ლამაზი ნახელავის მახარობლის სურათით, მათე და მარკოზს წერა ჯერ არ დაუწყიათ, კალამს სჭრიან, ლუკა უკვე სწერს და პირველი ორი სიტყვა დაუწერია ბერძნულად, იოანე ფიქრშია, წარწერები სახელებისა ბერძნულია. ბოლოს ზანდუკი აქვს დართული. სარჩევის ბოლოს ტექსტის ხელით სწერია: „აღიწერა და სრულ იქმნა წმიდაჲ ესე და სულთა განმანათლებელი წიგნი ოთხთავი ბრძანებითა ღ ის მიერისა და მზეებრ ბრწყინვალისა ოდიშის ბატონისა ლეონ დადიანისათაჲ. მრავალმცა არიან წელში ცხორებისა მისისანი და საუკუნომცა არს საჴსენებელი და კურთხევა მათი. „საწყალობელი მწერალი რაფიელ (რ ფლ) მოიჴსენიეთ, საწყალობელი სულითა, უფალნო ჩემნო, ვაჲმე!“

შემდეგ ჩვენს ხელთნაწერში მოთავსებულია თარგმანი-საკითხავები სახარებისა და ბოლოს უწერია: „დიდებაჲ ღმერთსა სრულმყოფელსა ყოვლისა კეთილისასა. ღმერთო, აცოცხლე და ადღეგრძელე ორთავე შინა ცხოვრებათა დადიანი პატრონი ლეონ და თანა მეცხედრე მათი პატრონი ელენე და დედოფალი ამინ“. „ღმერთო, შეიწყალე ამის მწერალი მანასე და მისნი მშობელნი ამინ: და ვინცა შენდობაჲ ბრძანოთ. თქუენცა (თქ ნცა) შეგინდეს ღმერთმან ამინ“. წიგნი გადაწერილი უნდა იყოს ლეონ I-ლის დადიანის და მისი მეუღლის ელენეს დროს ორი მწერლის ხელით რაფიელის და მანასესი. ლეონ I გარდაიცვალა 1572 წელს. მისი ცოლის სახელს ბროსე მარეხათ უჩვენებს საეჭვოდ, მაგრამ ცოლის სახელი ელენე ყოფილა, თუ ეს მეორე ცოლი არ არის“ (ექვთ. თაყაიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 237).

[4] ჯვარცმის ხატი, რომელიც აღწერილს ჩასასვენებელში ინახება, დასაკეცია, სამ ფრთიანი, 12,5X16 სანტ. წინა პირზე დაკეცილის ხატისა წარმოდგენილნი არიან წმინდა გიორგი და წმინდა დიმიტრი რომაულის სამხედრო ტანისამოსით და იარაღებით. ეს მხარე შემკობილია მარგალიტებით და სხვა მოსხო ძვირფასი ქვებით, როდესაც კარებს გახსნით, თქვენ წინ წარმოგიდგებათ ამობერვით განჭედილი ჯვარცმა საუცხოვო ხელობისა. ქრისტეს გვამი მოგრძოა და ხელოვნურად არის მილურსმული ჯვარზედ, წინამდგომნი ოთხია, ორი ქალი მარჯვნივ, ხოლო მარცხნივ იოანე ღვთისმეტყველი და ანგელოზი საყვირის მცემელი. ფრთებზე გამოხატულია დედა ღ თისა და იოანე ნათლისმცემელი. გადმოცემა მოგვითხრობს, რომ თვით ჯვარცმა ამ ხატისა გაკეთებულია იმ ლურსმებიდან, რომლითაც ქრისტე იყო მილურსმული ჯვარზე. მართლაც ჯვარცმა რკინისა ანუ ფოლადისაგან არის გაკეთებული, ხოლო ყველა დანარჩენი ნაწილი ხატისა ოქროსია. ირგვლივ მთელი ხატი შიგნით ფრთებითურთ შემკობილია მრავლის მოსხო ძვირფასი ქვებით და მსხვილის მარგალიტებით.

„ქ. რომელი ჴსნისათვის ჩუენისა კაც იქმენ და ჯუარცმაი და სიკვდილი დაითმინე, რაი შევსწიროთ ღირსი წყალობათა შენთა? არამედ სურვილით ვამკობთ ჯუარსა შენსა, მაცხოვარო წალენჯიხისაო, მინდობილნი შენნი: მანდატურთ უხუცესი დადიანი ბედანი და მე ძე მათი, მეორედ მამკობი დადიანი გიორგი, და მე დადიანი შერგილ და მეუღლე ჩემი ნათელ, მესამედ მამკობნი ხატისა თქუენისა, დაგუცვენ სულით და ყოველთ სავნებელთაგან ძეებითურთ“. ეს შესანიშნავი წარწერა ცხად ყოფს, რომ ხატი სამჯერ არის შემკობილი. პირველად ბედან დადიანის მიერ, მეორედ ბედანის შვილის გიორგი დადიანის მიერ და ბოლოს შერგილ დადიანის და მისი ცოლის ნათელის მიერ. მაგრამ ვინაითგან სამნივე დაცვას ევედრებიან ჯვარს, ამიტომ თანამედროვენი უნდა იყვნენ. ჩვენ ვიცით, რომ ბედან დადიანი მოღვაწე იყო რუსუდან დედოფლის და მისი მემკვიდრეების დროისა და ამით დროს, ესე იგი მე-XIII საუკუნეს ეკუთვნის აგრეთვე მოღვაწეობა შერგილ დადიანისა“ (ექვთ. თაყაიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 226-227).

რაც შეეხება წალენჯიხის საეპისკოპოსოს საზღვრებს, ერთადერთი ხელმოსაჭიდი ცნობаы ვახუშტი ბატონიშვილისაა, კერძოდ, მისი თქმით„„ამ ზუგდიდის აღმოსავლით, მთის ძირზედ, არც ჭელენჯიხი, ეკლესია გუმბათიანი, დიდშენობა, შუენიერი, კეთილს ადგილს. ზის ეპისკოპოზი, მწყემსი ჭანი მდინარისა და დადის მდინარის შორისის ადგილთა, კავკასიდამ ზღუამდე“[1].

პ. გაბისონიას აღნიშვნით, „ვახუშტის მიერ მოხაზული წალენჯიხის საეპისკოპოსოს საზღვრები ზუსტი არ უნდა იყოს. „ზღუამდე“ ანუ შავ ზღვამდე წალენჯიხის ეპარქიის საზღვრები ვერ მიაღწევდა, რადგან მას სამხრეთ-დასავლეთით და სამხრეთით ცაიშის საეპისკოპოსო ესაზღვრებოდა. მისი დასავლეთი მიჯნა მდინარე ენგური უნდა ყოფილიყო, რომლის იქით ბედიელი მთავარეპისკოპოსის სამწყსო იწყებოდა. აღმოსავლეთით წალენჯიხის საეპისკოპოსოს ჭყონდიდის საეპისკოპოსო ესაზღვრებოდა და მდინარე ხობისწყალი უნდა ყოფილიყო სასაზღვრო მიჯნა. ჩრდილოეთით წალენჯიხის ეპარქიის საზღვარი სამეგრელოს ქედი იყო“[2].

ვფიქრობთ, მიუხედავად წყაროების უქონლობისა წალენჯიხის საზღვრების უფრო ზუსტი განსაზღვრაა შესაძლებელია. დასავლეთის საზღვარი მართლაც რომ მდ. ენგური იქნებოდა, ხოლო რაც შეეხება აღმოსავლეთით საზღვრად მდ. ხობისწყლის მიჩნევას, ვერ გავიზიარებთ, რადგან ვფიქრობთ, აღმოსავლეთით მასში დაახლოებით სოფ. თაია და საერთოდ ჩხოროწყუს რაიონის ჩრდილოეთით მდებარე სოფლები (ზოგიერთის გამოკლებით) უნდა შესულიყო. სამხრეთით კი ნამდვილად სწორია ის მოსაზრება, რომ ვახუშტი ცდება, რადგან მისი საზღვრები ზღვამდე ვერ მიაღწევდა. აქ მას გზას გადაუჭრიდა ხობის და ცაიშის საეპისკოპოსოები. სამხრეთით ის ალბათ მოიცავდა დღევანდელი წალენჯიხის რაიონის ტერიტორიას სოფლებით: ობუჯი, ნაკიანი და სხვა.

წალენჯიხის ტაძარის და მის მიდამოებში მდგარი ზოგიერთ ისტორიული ძეგლზე 1894 წელს ძალზედ საინტერესო ცნობებს გვაწვდის სოფელ ხორშის სკოლის მასწავლებელ ა. გვასალია[3].

---

[1] ქართლის ცხოვრება, ტ. IV, თბ. 1973, გვ. 779.

[2] პ. გაბისონია, დასახ. ნაშრომი, გვ. 8.

[3] „წალენჯიხაში 1894 წლის მონაცემებით იყო 5 სამღვდელო წოდების პირი. აქაურ სიძველეებს შორის ყურადღებას იქცევს მაცხოვრის მონასტერი. მისი აშენების შესახებ ცნობები არ არსებობს ის აშენებულია წალენჯიხის დასახლების შუაში გორაზე, კარგად მისადგომ ადგილზე. ის გარშემორტყმულია სამეგრელოს თავადების და მაღალი წოდების პირების საფლავებით. ამ საფლავების ირგვლივ განლაგებულია უბრალო საფლავებიც. ტაძრის კედლები ნაგებია თლილი ქვით გარეგნული ზომებით მას აქვს 10 საჟენი, ხოლო სიგრძე და სიმაღლე 55 საჟენი. ტაძარი გეგმაში წარმოადგენს ოთხკუთხედს ერთ გუმბათით. მას აქვს სამი ხის კარები: დასავლეთის მხრიდან, ჩრდილოეთიდან და სამხრეთიდან. სახურავი გაკეთებულია რკინისგან. შიგნით კედლებზე არის სხვადასხვა წმინდანთა გამოსახულებანი.

სამეფო ტაძრების მარჯვენა მხარეს დასაჯდომად გამართულია საკმაოდ ამაღლებული ადგილი, რომელზეც ძველად, როგორც გადმოცემა მოწმობს, ღვთისმსახურების დროს იჯდა სამეგრელოს კათალიკოსი. ამის გარდა ტაძარზე აღმოსავლეთის მხრიდან მიშენებულია ორი პატარა ოთახი – ერთი მათგანი განეკუთვნება და ემსახურება საცხედროს. მასში ლოცულობენ მიწაში მიბარებამდე. მეორე ოთახი განკუთვნილია საწყობად (საკუჭნაოდ), მასში ინახება სამღვდელო სამოსელი და სხვა საეკლესიო ნივთები – მაგ. კარდილია, ემბაზი (Куполь). ეკლესიის გარეთა კედლები აქა-იქ მორთულია ადამიანთა და ჯვრების სხვადასხვა გამოსახულებებით. გუმბათზე არის რამოდენიმე ისრისებური ფანჯარები. გუმბათის სახურავის

არქიტექტურულად წალენჯიხის ეკლესია ამ სახით არის აღწერილი: წალენჯიხის რაიონი, ქ. წალენჯიხა, მიდამოები მაღალ გორაკზე; ეკლესია „მაცხოვარი“; ტიპი – საკულტო. XII-XIII საუკუნეები[1]; მოხატულობა XVს.; მაცხოვრის სახელობის ტაძარი წარმოადგენს ჯვარ-გუმბათოვან ნაგებობას. ნაგებია კარგად თლილი ქვით, რომელიც შემდეგ შელესილია; ეკლესიის ძირითადი კორპუსი აღმოსავლეთით დასრულებულია ნახევარწრიული შვერილი აბსიდით, რომლის გვერდებზე მოწყობილია სამკვეთლო და სადიაკვნე. აბსიდის ცენტრში გაჭრილია სამი თაღოვანი სარკმელი, ხოლო გვერდითა სათავსოებში თითო სარკმელია; პასტოფორიუმები მთავარ სივრცეს ღია ნახევარწრიული თაღებით უკავშირდება. გამყოფი თაღები ცენტრში ეყრდნობა მასიურ სვეტებს, დასავლეთით კი პილასტრებს. ეკლესიის გუმბათი წახნაგოვანია. თითოეულ წახნაგში დატანებულია ვიწრო სარკმელი (სულ 10 სარკმელი). გუმბათქვეშა კვადრატიდან გუმბათის წრეზე გადასვლა ხდება ტრომპების საშუალებით. ტაძრის ყველა კედელი მოხატულია. საკურთხეველში ღვისმშობლის ფრესკაა, მარჯვნივ უდგას წმინდა პეტრე და მიქელ მთავარანგელოზი – მარცხნივ წმ. პავლე და გაბრიელ მთავარანგელოზი. ამათ ზემოთ განთავსებულია ამაღლების სცენა. ღვთისმშობლის ფრესკის ქვემოთ კედელზე წარმოდგენილია ლიტურგია ანუ ჟამის წირვა ანგელოზთა. ამათ ქვემოთ ეკლესიის მამათა პორტრეტებია. საკურთხევლის სარკმლის ქვეშ გამოსახულია ყრმა ქრისტე, რომელიც ზის სარეცელზედ და ანგელოზებს მის თავზე სამწერობელნი უკავიათ;

ფორმა პირამიდისმაგვარია. საკურთხეველს აქვს პირდაპირი კავშირი სამსხვერპლოსა და სადიაკონოსთან. საკურთხეველთან მდებარეობს ტახტი, რომელიც გამოთლილია ქვისაგან. ტაძრის შიდა მორთულობას წარმოადგენენ ძვლისფერი ხატები, სუფთა ოქროთი და ვერცხლით შემოსილი, ამ ხატებზე შემდეგი რამ არის გამოსახული: ერთზე ორმოც მოწამე კაბადოკიაში, მეორეზე ქორწინება კანე გალიელის (брак в кане галилейской), მესამეზე – წმ. კონსტანტინე და ელენე, მეოთხეზე ღვთისმშობელი მოციქულ პეტრესა და მთავარანგელოზ გაბრიელს შორის; მაცხოვარზე წმ. იოანე ოქროპირი, მეექვსეზე წმ. ვასილი დიდი, მეშვიდეზე – მაცხოვრის ჯვრიდან მოხსნა, მერვეზე – წმ. ნიკოლოზ სასწაულთმოქმედი. სხვა გამოსახულებების გარჩევა ძნელია. ხატებს შორის განსაკუთრებით მშვენიერია მაცხოვრის ხატი, რომლის სახელზედაც აგებულია ეს ტაძარი. ის დამზადებულია მთლიანად ოქროსგანაა და მორთულია ბრილიანტებითა და სხვა ძვირფასი ქვებისაგან. ის განთავსებულია ტაძრის საკურთხეველზე, აბრეშუმის ჩიხოლში ჩასმული და მიყუდებულია კანკელზე. ამასთან ერთად ტაძართან სასაფლაოებთან აღმართულია ლამაზი სამრეკლო, ისიც ასევე ქვისგანაა აშენებული და მისი სიძველის გამო შესაძლებელია ვივირაუდოთ, რომ ისიც ტაძრის დროინდელი აშენებული ჩანს. სამრეკლოსთან აშენებულია ადგილობრივ ბერთათვის ორი კელია, რომლის რაოდენობა მერყეობს ორიდან ორასამდე. ტაძრის ირგვლივ არის ქვის ღობე, რომლის სიმაღლე დაახლოებით არის $1^1/_2$ საჟენი. ამ ღობესთან მდებარეობს სამრეკლო. მის გარეთ ასევე გამოყოფილია სამლოცველოსთვის განკუთვნილი ადგილი.

წალენჯიხის მაცხოვრის ეკლესიიდან ორი კილომეტრით მოშორებით ჩანს ძველი ტაძრის ნარჩენები და იმ ადგილას ეხლა დგას ჯვარი. ხალხის რწმენით ამ ადგილას ჩაფლულია მაცხოვრის სასწაულმოქმედი ხატი და ამიტომაც წალენჯიხის მაცხოვრებლებს ამ ადგილას მოაქვთ შესაწირავები: სანთლები, ცხოველები და ფული. ამ ადგილის ახლოს ტაძრიდან ჩრდილო-დასავლეთით, მდებარეობდა ციხე-სიმაგრე, რომელიც აუშენებია სამეგრელოს ერთ-ერთ მთავარს, თუცა უცნობია როდის. ეს ციხე ტყვია-წამლის და იარაღის შესანახად იყო განკუთვნილი. მასში იმყოფებოდა დარაჯები, რომლებიც დარაჯობდნენ წალენჯიხის მიდამოებს თავდასხმებისგან. ომის დროს სიმაგრე აქ მცხოვრებლებს ამარაგებდა ტყვია-წამლით და სხვა საბრძოლო აღჭურვილობით (А. Гвасалия, Учитель Хоршинского сельского училища, Селение Цаленджиха, Зугдидского уезда Кутайской губернии, СМОМПКА, 1894, т. 12, отд. I, стр. 144-146).

[1] ჩვენ მისი თავდაპირველი აშენების თარიღთან დაკავშირებით ვიზიარებთ ექვთ. თაყაიშვილის მოსაზრებას ანუ IX-X საუკუნეებს.

სარკმლებს შუა გამოსახულნი არიან იოანე ნათლისმცემელი და სხვა წმინდანები; ეკლესიის დასავლეთის კედელზე წარმოდგენილია ღვთისმშობლის მიძინება, ქვემოთ დასავლეთის კარების მარჯვნივ და მარცხნივ მთავარანგელოზები დიდრონის გრაგნილებით. ისტორიულ პირთა ფრესკებში განთავსებულია ჩრდილოეთის კედლის დასავლეთ ნაწილში. კერძოდ გამოსახულნი არიან მანდატურთუხუცესი ვამეყ დადიანი, მისი მეუღლე მარეხ და შვილი გიორგი; ეკლესიის ფასადები სრულიად სადაა. დგას სამსაფეხურიან ცოკოლზე.

1991 წ. 21 თებერვალი, ხელოვნებათმცოდნე მ. აბაშიძე.

სოფელი ობუჯი

1. სამესხიოს „მისარიონის“ ნაეკლესიარი

სამესხიოს სასაფლაოსთან მდგარა მისარონის ანუ წმ. გიორგის სახელობის ხის ეკლესია.

2. წმ. გიორგის სახელობის ნაეკლესიარი და სამონასტრო კომპლექსი

ობუჯის სამონასტრო კომპლექსი მდებარეობს სოფლის ცენტრიდან ჩრდილო-დასავ-ლეთით დაახლოების 1 კილომეტრში. შემორჩენილია საკმაოდ მაღალი და ლამაზი სამრეკლოს შენობა და ეკლესიის კედლის მცირე ნაშთები (ეკლესიის ნაშთთა) ფოტო-ფიქსაცია ჩვენ ვერ მოვახერხეთ, რადგან გვიმრით არის დაფარული). ასევე სამრეკლოს წინ არის ნაგებობის საძირკვლის ნაშთები.

ობუჯის მონასტერს იხსენიებს არქ. ლამბერტი, რომელსაც ის ადრე გაუქმებულ 6 საეპისკოპოსოებს შორის ასახელებს. კერძოდ, მისი თქმით, „მეოთხეა ობუჯის მონასტერი, რომლის ეკლესია წმ. გიორგის სახელობაზეა აშენებული. აქ ძველად მთავრების სამარხი იყო, რომელიც ეხლა წალენჯიხაშია“ [1]. სხვა წყაროებით ეს არ

[1] დონ არქანჯელო ლამბერტი, სამეგრელოს აღწერა, თბ., გვ. 108.

დასტურდება, რადგან დადიანების საძვალე ხობის მონასტერში იყო, თუმცა ლამბერტის ცნობას ჩვენ მთლად ვერ გამოვრიცხავთ, მით უმეტეს თუ ციხე-გოჯს ჭაქვინჯის ციხედ მივიჩნევთ და საერთოდ ჭაქვინჯის ციხე დადიანთა რეზიდენცია მთელი გვიანფეოდალური ეპოქის ბოლომდე რომელიც სულ ათიოდე კილომეტრშია აქედან დაშორებული და ერთიან ხაზს ქმნის ამ ხეობაში.

ობუჯის მონასტრის ნაშთები და სამრეკლო არქიტექტორების მიერ ამ სახით არის აღწერილი: წალენჯიხის რ-ნი, სოფ. ობუჯი, სოფლიდან ჩრდ. 1 კმ-ზე მდ. ჭანისწყლის ხეობა; „ობუჯის“ მონასტრის ტაძრის ნაშთი; ტიპი – საკულტო; ტაძარი შემორჩენილია უმნიშვნელო ფრაგმენტების (ნანგრევების) სახით. იგი დიდი ზომისა იქნებოდა, ამაზე მეტყველებს ტერიტორია, რომელსაც შემორჩენილი ნანგრევები მოიცავს. მიწის დონე ძალზედ აწეულია. გეგმა არ იკითხება.

1990 წ. 29 ნოემბერი, ხელოვნებათმცოდნე მ. აბაშიძე

„ობუჯის“ მონასტრის სამრეკლო. XIII-XIV საუკუნეები; ტიპი – საკულტო; ობუჯის მონასტრის ორსართულიანი სამრეკლო ნაგებია სხვადასხვა ზომის რიყის და ფლეთილი ქვით – კირის დუღაბზე. გარედან მოპირკეთებულია მოზრდილი, იდეალურად თლილი მონაცრისფრო შირიმის კვადრებით და ქვიშა-ქვით; სამრეკლო გეგმით კვადრატს წარმოადგენს. მისი პირველი სართულის ჩრდილოეთ და სამხრეთ კედლებში ფართო თაღოვანი გასასვლელებია. გადახურვა კამაროვანია. კამარის საბჯენი თაღი ოდნავ წინ გამოწეულ, პროფილირებული კაპიტელებით დაგვირგვინებულ პილასტრებს ეყრდნობა. საბჯენი თაღი გადაყვანილია შირიმის კვადრებით. აღმოსავლეთ და დასავლეთ კედლების ზედა ნაწილში წყვილი, სწორკუთხა ნიშები ერთმანეთის მიმართ სიმეტრიულადაა განლაგებული; სამრეკლოს მეორე სართულის ოთხივე კედელი გახსნილია წყვილი, ნახევარწრიული თაღებით, რომლებიც ეყრდნობიან ოთხკუთხა სვეტებს და ამით ქმნიან ღია ფანჩატურს. სვეტები დაგვირგვინებულია პროფილირებული კაპიტელებით. სამხრეთით და დასავლეთით ორსაფეხურიანი ცოკოლის ფრაგმენტებია; სამრეკლო წარმოადგენს განვითარებული შუა საუკუნეების ტიპიურ ნაგებობას.

1990 წ. 26 ნოემბერი, ხელოვნებათმცოდნე მ. აბაშიძე

3. მიხეილ და გაბრიელ მთავარანგელოზთა სახელობის მშენებარე ეკლესია

სოფლის ცენტრთან იქ სადაც იდგა ქიაჩის მთავარანგელოზთა სახელობის ხის ეკლესია დღეს შენდება იმავე სახელობის (მიხაელის და გაბრიელის) ეკლესია და სამრეკლო.

4. ობუჯის ციხე-სიმაგრე

ობუჯის მონასტერი ირგვლივ, როგორც ამაზე იქ მდებარე ნაშთები მიუთითებს, გალავნით ყოფილა შემოზღუდული; ვფიქრობთ, აქ იყო თავდაცვითი ნაგებობა. ის მდებარეობს მდ. ჭანისწყლის მარჯვენა მხარეს. აქედან ჩრდილო-აღმოსავლეთით, ჩანს

წალენჯიხის ჯიხა (ლიუდერა) სამხრეთ-აღმოსავლეთით ჯაღირას ჯიხა, რომელიც სამხრეთ-დასავლეთით უყურებს ჭაქვინჯის ჯიხას. თავის მხრივ ჭაქვინჯის ჯიხა ჩანს ობუჯის ჯიხადანაც.

5. ქიაჩის მთავარანგელოზთა ხატი და ნაეკლესიარი

სოფლის ცენტრთან, იქ სადაც დღეს შენდება ახალი ეკლესია იდგა ხის ეკლესია, სადაც ესვენა ქიაჩის ცნობილი ხატი. ის ითვლებოდა შენგელიების და კაკაჩიების სალოცავად. აქ მდგდელი ყოფილა ფიფია.

ს. მაკალათიას მიხედვით, „მიქელგარიო ქიაჩი“ თავის სიძლიერით ცნობილია წალენჯიხის რაიონში[1]. ეს ხატი მოთავსებული იყო სოფ. ობუჯში და მასზე აფიცებდნენ ქურდებს, ავაზაკებს და მათ მოწმეებს. ხატი წარმოადგენდა ვერცხლის სამწერობელს, ოქროთი დაფერილს. მასზე სხვათა შორის, გამოსახული იყო წმ. მიქელ და გაბრიელ. თავისი ნაჭედობითა და წარწერებით, იგი თარიღდებოდა XIII-XIV სს. ობუჯის ქიაჩის ხატი ეკუთვნოდა შენგელიას გვარს და მნათეებსაც ამ გვარიდან ირჩევდნენ. დღეობა აქ იმართებოდა 15 აგვისტოს და დიდძალი ხალხი მიდიოდა სალოცავად, განსაკუთრებით ისინი, ვისაც უნდოდა ხატზე გადაცემა-დაფიცება, წყევლა და სხვა. აქ მოჰყავდათ სულით ავადმყოფები და ხატს ახვეწებდნენ მათ განკუთრნებას“[2].

ექვთ. თაყაიშვილის ცნობით, როგორც მას ადგილობრივებმა აუწყეს, „სოფელ ობუჯის ძველ ხატს დიდი სახელი და პატივი აქვს სამეგრელოში. ეს ძლიერ ხატად არის მიჩნეული და საყურადღებო საქმეების გარჩევის დროს მოწმეებს მასზე აფიცებენო. ექვთ. თაყაიშვილისავე თქმით, ხატის გასინჯვამ დაგვარწმუნა, რომ ეს სამწერობელი, ვერცხლისა, ნაჭედი, ოქროთი დაფერილი, ლამაზი ხელობისა 35X35 სანტ. პირველ გვერდზე გამობერვით განჭედილია წმინდაი რაფიელ; წმიდაჲ მიქელ; წმიდაჲ ირობინი; წმიდაჲ გაბრიელ; ზმიდაჲ მარიამ(?). მეორე პირზე ექვს ფრთიანი სერაბიმია ლომის თავებით აქეთ-იქით, ხოლო ფრთებზედ – ზემოთ ტრედი, მარჯვნივ და მარცხნივ ემბლემები მზისა და მთავრისა კაცის სახედ წარწერებით. პირველ გვერდზე ასომთავრული წარწერა არის, ოთხივე ფრთაზე განაწილებული: „სახელითა ღმრთისაითა მე, გიორგი მეფემან დავსხენ ეს სამწერობელნი წმიდასა ამას ეკლესიასა ქიაჩს, სალოცველად სულისა ჩემისათჳს. მღვდელნო, რაჟამს შესწირვიდეთ ჴორცსა და სისხლსა ქრისტესა, ლოცვასა მომიჴსენეთ, ამინ. წმინაო ღმრთის მშობელო, მეოხ მყავ წინაშე ძისა შენისა და ღმრთისა ჩვენისა მე გიორგი მეფესა“. სამწერობელნი ჩასვენებულია საგანგებოდ გაკეთებულს ვერცხლის კუბოში, 36,5X35 სანტ., ზემო პირი ამ ჩასასვენებლისა ორ ფრთიანია, შუაში იხსნება და ზედ ცალკე ვერცხლის ფირფიტებზე ნაჭედია 12 წმინდანის სახე, წყვილ-წვილათ, ესენი უნდა იყვნენ 12 მოციქულნი. წარწერები არა აქვთ. ხოლო პეტრეს კლიტეები აქვს ხელში“[3].

სოფელ ობუჯზე და მთავარანგელოზის ქიაჩის ხატზე მასალები გამოქვეყნებულია XIX საუკუნის ქართულ პერიოდულ პრესაშიც: „...ობუჯი არის პატარა საზოგადოება, სხვებთან შედარებით, მხოლოდ 220 კომლს შეიცავს; მათ შორის 40 კომლი აზნაურნი

---

[1] ქიაჩის ხატის წარწერას ჩვენ შემოგთავაზებთ ჩხოროწყუს რაიონის სოფ. ჭიღასთან დაკავშირებულ მასალებში.

[2] ს. მაკალათია, სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, თბ., 1941, გვ. 438-439.

[3] ექვთ. თაყაიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 238-239.

არიან გვარად შენგელაიები; ესენი არიან მოსულნი ქართლიდამ და უწინ შერგილაძეები ყოფილან, როგორც ჩანს იმ სიგელიდამ, რომელიც ბოძებული აქვთ მათ მეფე ბაგრატ დიდი და დედოფალი ელენესაგან. ს. ობუჯში სხვათა შორის არის ერთი შესანიშნავი, როგორც ამბობენ, თავის სასწაულ მოქმედებით დიდი ხატი „მთავარ ანგელოზისა"; ხატი არის ვერცხლით მოჭედილი (იქნება რამდენიმე გირვანქა) ოქროში დაფერილი. იმერეთ-სამეგრელო აფხაზეთ-გურიაში ძალიან გათქმულია მისი სახელი და ურიცხვი ხალხი მოდის სხვა-და-სხვა კუთხეებიდამ მისს თაყვანის საცემლად – განსაკუთრებით აგვისტოს 15-ს ეკლესიის დღეობაზედ. ადგილობრივნი მცხოვრებნი ამ ხატს უწოდებენ „ქიაჩს"; მაგრამ მნიშვნელობა-კი ამ სიტყვისა ჯერ არავინ იცის; არ იციან საიდამ დაერქვა მას სახელად ქიაჩი. თუმცაღა ხატი ისეთი შესანიშნავია და დიდი შემოსავალიცა აქვს, მაგრამ ობუჯელებს ისეთი პატარა ე-სია აქვთ (ხისა) რომ კარგი უნდა ორმოცი კაცი დაეტიოს შიგ. ბევრჯელ, განსაკუთრებით დიდ უქმე-დღეებში, ხალხი იძულებულია გალავანში დადგეს და იქიდამ უგდოს ყური. არც სწავლის ტაძარი აქვს ამ სოფელს"[1].

ქიაჩის ტაძრის ნაშთები (IX-X სს.) შემორჩენილია აფხაზეთში, ოჩამჩირის რაიონში სოფ. ჯგერდის მიდამოებში (კოდორ-დღამიშის წყალგამყოფზე). ა. თორდიას, X საუკუნის ამ ეკლესიის წარწერაში მოხსენიებული გიორგი მეფე (922-957) აფხაზეთის მეფედ მიაჩნია [2]. თუმცა ექვთ. თაყაიშვილის მიერ წაკითხული ზემოთ მოყვანილი წარწერის მიხედვით, ქიაჩის ხატზე მოხსენიებული გიორგი მეფედ ექვთ. თაყაიშვილი, ან გიორგი ბრწყინვალედ (1318-1346) ან იმერეთის მეფე გიორგი I-ად თვლის. ამის საფუძველს ავტორს აძლევს ხატის ხელობის სტილი, რომელიც XIII-XIV საუკუნისას აგონებს[3].

ა. თორდიას თქმით, „XVII ს-ის 40-იან წლებში ლევან II დადიანმა, მდინარე კელასურის შესართავიდან მდ. მოქვისწყლის სათავეებამდე, აფხაზეთის ექსპანსიის შესაჩერებლად კედელი აიგო. ქიაჩი აი ამ კედლის მიღმა დარჩა, თუმცა მონასტერი XVII ს-ის 80-იან წლებამდე ფუნქციონირებდა, ამის შემდეგ კი საბოლოოდ დაცარიელდა. აქ დაცული ჯვარ-ხატები გადმოტანილ იქნა ენგურის გამოღმა სამეგრელოში, მათ შორის ტაძრის მთავარი ხატი მიქელგაბრიელისა (ეკლესიაც მთავრანგელოზის სახელობისა იყო) რომელიც ობუჯში გადმოუსვენებია ვინმე კაკაჩიას (მისი მოგვარეები დღესაც ცხოვრობენ ამ სოფელში), რომელსაც გაუპარავს აზნაური შერგელაია (შენგელია) და ზარალის ასანაზღაურებლად, ხატის კლიტე არჩივი დაუდვია შერგელაიასთვის. ხატი ობუჯის მონასტრის კუთვნილება გამხდარა. შემდგომში ხატი სოფლის ცენტრში, ქიაჩის ხატის სახელობაზე აშენებულ ხის ეკლესიაში გადმოუსვენებიათ, ამიტომ ხშირად ქიაჩის მონასტერი მის ადგილსამყოფელად შეცდომით მიაჩნდათ"[4].

როგორც სოფ. ობუჯში გადმოგვცეს, ქიაჩის ხატი აფხაზეთიდან ლევან II დადიანს 1681 წელს ჩამოუტანია ძმების კაკაჩიების დახმარებით სოფ. ჭოღაში, შემდეგ კი ობუჯში ჩამოუტანიათ შენგელიებს. რაც შეეხება კაკაჩიების და შენგელიების მიერ ობიექტში ქიაჩის ხატის ჩამოტანას, შესაძლოა შეესაბამება კიდეც სიმართლეს, თუმცა აქ საუბრი უნდა იყოს არა იმ ქიაჩის ხატზე რომლის წარწერაც ჩვენ ზემოთ წარმოვადგინეთ,

---

[1] გაზ. დროება, №152, 1885.

[2] ა. თორდია, ქიაჩის მთავარანგელოზთა მონასტერი, საფარველი, №№ №2 (93)

[3] ექვთ. თაყაიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 239

[4] ა. თორდია, ქიაჩის მთავარანგელოზთა მონასტერი, საფარიველი, №2(93).

არამედ 1640 წლით დათარიღებული ლევან II დადიანის აღაპის წიგნში მოხსენიებულ, მისივე ბრძანებით მოჭედილ პირველი ჭოღის მთავარანგელოზთა ხატზე (იხ სოფელი ჭოღა).

სოფელი ჯაღირა

ჯაღირას ციხე-სიმაგრე

ზედ მდინარე ჭანიწყლის მარცხენა ნაპირთან ულამაზეს ხეობაში მაღალ ბორცვზე დგას ციხე-სიმაგრის ნაშთები. ეს ადგილი ბრწყინვალედ არის შერჩეული თავდაცვითი ხაზის მიმართულების მხრივ. სამხრეთ-დასავლეთით და სამხრეთით მოჩანს მთლიანად მდ. ჭანიწყლის ხეობა და ჭაქვინჯის ციხე, რომელიც ჯაღირას ციხეს უკაშირდებობა, შემდგომ მასთან ახლოს მყოფ ჩრდილო-დასავლეთით ობუჯის მონასტრის ციხე, ხოლო ის თავის მხრივ ჩრდილო-აღმოსავლეთით წალენჯიხის (ლიუღერა) ციხეს უყურებს. შემორჩენილია აღმოსავლეთის კედელი და სამხრეთ-დასავლეთის კედლის ნაშთები. მას აქვს სათოფურები, თუმცა ისინი შესაძლოა გვიანდელი გაჭრილი იყოს.

ეს ძეგლი დათარიღებულია XVI-XVIII საუკუნეებით და არქიტექტურულად ამ სახით არის აღწერილი: წალენჯიხის რ-ნი, სოფ. ჯიღირა, მდ. ჭანისწყალის მარცხენა ნაპირზე. ციხე-სიმაგრის კომპლექსი. XVI-XVII საუკუნეები. ტიპი – საკულტო, საფორტიფიკაციო-თავდაცვითი. სოფ. ჯაღირას ციხის ცომპლექსი მდებარეობს მთაზე, რომელსაც შესანიშნავად შერჩეული ადგილი ჰქონდა ხეობაში. ამავე დროს სტრატეგიულ-თავდაცვითი მნიშვნელობაც ქონდა. ციხე-სიმაგრეს ჩრდილო-დასავლეთიდან ჭანისწყლის ხეობა ჩამოუდის. მთის ქედზე განლაგებულ ციხე-სიმაგრეს გარს უვლიდა გალავანი, რომელიც იმეორებდა ამ მთის კონფიგურაციას და სამლოცველოს ემიჯნებოდა სამხრეთ-აღმოსავლეთ და სამხრეთ-დასავლეთიდან. კომპლექსის ცენტრალურ ნაწილს წარმოადგენდა კოშკი-სამლოცველო, რომლის ჩრდილოეთითა და სამხრეთით ვრცელი ტერიტორია იყო, ვიდრე გალავნამდე. ჩრდილოეთ მხარეს არანაირი ნაგებობის ნაშთი აღარ შემორჩა, ხოლო სამხრეთით აღმოსავლეთი მხრიდან მოყოლებული დასავლეთამდე შემოზღუდულია ოვალური გეგმის, რიყის ქვით – დუღაბზე ნაწყობი გალავანი. აღმოსავლეთ მხარეს მისი კედელი 2-2,5 მ. არის შერჩენილი. მასში დატანებული განიერი ნაოთხალებიანი კარი საურდულო ბუდეებით 1 მ-ის სიმაღლეზე შემოინახა. ამავე კედელში ხუთი სათოფურია. შემდეგ გალავანი უფრო დაზიანებულია და მცირე ფრაგმენტებით მიუყვება რელიეფს. დასავლეთით კი, ვიდრე ეკლესიამდე მისი სიმაღლე 1.5 მ-ს აღწევს.

1990 წ. 28 ნოემბერი, არქიტექტორი ც. დადიანიძე

ჯაღირის ციხე XVI-XVII საუკუნეებით დაათარიღა. პ. ზაქარაიამაც [1]. თუმცა ვფიქრობთ, რომ ამ ციხის შიგნით მდებარე ზოგიერთი მინაშენი უფრო ადრინდელი ხანის უნდა იყოს და საერთოდაც ეს სათოფურები გვიანდელ გაჭრილად მიგვაჩნია. ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ რიყის ქვით ციხის მშენებლობის ტექნიკა სრულიად არ ნიშნავს მის გვიანდელობას. სწორედ ეს იყო აქ უმთავრესი სამშენებლო მასალა რომელიც მრავლად არის მდ. ჭანისწყლის ხეობაში.

2. ჯიღირას ჯვარცმის სახელობის ციხის ეკლესია

ციხის კომპლექსში მდებარეობს მცირე ზომის რიყის ქვის ეკლესია. რქიტექტურულად ის ამ სახით არის აღწერილი: წალენჯიხის რ-ნი, სოფ. ჯიღირა, მდ. ჭანისწყალის მარცხენა ნაპირზე; კომპლექსის ეკლესია. XVI-XVII საუკუნეები; ტიპი – საკულტო-საფორტიფიკაციო; ჯაღის ციხე-კომ-პლექსის ეკლესია მთაზეა განლა-გებული. ციხის შიდა ეზოში მდე-ბარეობს მთლიანი რიყის ქვით ნაგები მცირე ზომის ეკლესია. ამ ნაგებობაში შერწყმულია საბრძოლო ელემენტები (სათოფურები) და მისი კონსტრუქციული გადაწყვეტა გვაფიქრებინებს აქ თავდაპირველად კოშკის არსებობს, რომლის I სართული სამლოცველოს წარმოადგენდა, ხოლო მეორე იყო კოშკი. თუ რამდენ სართულიანი იყო ეს კოშკი ამჟამად არ დგინდება; ეკლესია გეგმით წარმოადგენს მოკლე სწორკუთხედს, აღმოსავლეთიდან დასრულებულს ბრტყელი, კუთხეებში ოდნავ მომრგვალებული საკურთხევლით. მასში ერთი სწორკუთხა ფირმის სარკმელი ზის. მისგან ქვემოთ კარგად მოცილებული, ცენტრიდან განზიდული თითო სათოფურია მოთავსებული. ასეთივე სათოფურებია აბსიდის გრძივ კედლებშიც. საკურთხეველი დარბაზიდან ვიწრო მხრების საშუალებით გამოიყოფა. მათზე გადაყვანილია სოლისებურად ჩალაგებული სატრიუმფო თაღი. საკურთხევლის კონქი შეისრულ-თაღოვანი ფორმისაა. ეკლესიის გრძივ კედლებში სათოფურებია დატანილი. ორი სამხრეთით, ერთი ჩრდილოეთით. ამავე კედლებში შერჩენილია აკუსტიკური ქვევრების ბუდეები; განათებული იყო სამლოცველო აღმოსავლეთ და სამხრეთ კედლებში ჩაყოლებული მცირე სარკმლებით. შესასვლელი კარის დადგენა ძლიერი დაზიანების გამო არ ხერხდება; თვით ეკლესიის თაღ-კამარა ჩამოქცეულია. ჩრდილოეთისა და სამხრეთის კედლებზე შეიმჩნევა მისი კვალი, დასავლეთ კედელზე კი ფრაგმენტებია გადარჩენილი. გრძივ კედლებსა და საკურთხევლის კედლებს შორის ვეება ნაპრალებია წარმოქმნილი; დასავლეთი და სამხრეთ-აღმოსავლეთი კედლების შუა ნაწილები გამონგრეულია. სამხრეთ კედლის შუა მონაკვეთშიც ბზარია წარმოქმნილი. ეკლესიის გარშემო და შიგნით მიწის დონე აწეულია. აღმოსავლეთ კედელს შემოცლილი აქვს რამოდენიმე საპირე ქვა. ეკლესიას სამხრეთ-დასავლეთი მხრიდან მიჯრილი აქვს ყორე ქვით ნაგები გალავანი.

[1] პ. ზაქარაია, ქართულ ციხე-სიმაგრეთა ისტორია, თბ., 2002, გვ. 288-289.

1990 წ. 28 ნოემბერი, არქიტექტორი ც. დადიანიძე

ზემოთქმულიდან გამომდინარე და ჩვენს მიერ ამ ადგილის დათვალიერების შედეგად ვფიქრობთ, რომ ჯაღირას ეს კომპლექსი თავდაპირველად წარმოადგენდა ციხე-სიმაგრეს, ხოლო შემდგომ ალბათ რომელიმე ფეოდალის კუთვნილ ციხეს, შესაძლოა სასახლესაც კი, სადაც იყო ციხის ეკლესია. წერილობითი წყაროები მის შესახებ ცნობებს ვერ ვპოულობთ.

სოფელ ჯიღირას შესახებ და აქ არსებულ სამრევლო სკოლის მდგომარეობაზე ცნობებს გვაწვდის გაზეთი „ცნობის ფურცელი“[1].

3. ბარბარობა

სოფელ ობუჯსა და ჯაღირას საზღვართან ბარბარობას ცაცხვის ხესთან დღესასწაულობდნენ. აქ აბულაძეებს ჰქონიათ სალოცავი, სადაც მთელი გვარი იკრიბებოდა.

ქალაქი წალენჯიხა

1. ლიუღერას ციხე-სიმაგრე

შემაღლებულ ბორცვზე მდ. ჭანისწლის მარცხენა მხარეს წალენჯიხის ეკლესიის ჩრდილოეთით, დაახლოებით ერთ კილომეტრში მდებარეობს (მისგან მარჯვნივ არის მდ. ლიუღერა) ციხე-სიმაგრის ნაშთები. ეს გორაკი როგორც ჩანს მცირე ფართობზე რიყის ქვით იყო შემოზღუდული. შიგნით არის ასევე შემაღლება, სადაც ჩანს ამავე რიყის ქვის ნაგებობა, სავარაუდოდ კოშკი. აქედან აღმოსავლეთით და დასავლეთით და სამხრეთ-დასავლეთით არის სოფ. ნაკიფუ და ჯაღირა, ის უყურებდა იმავე ხეობაში მდებარე ჯაღირის ციხეს, ხოლო სამხრეთ-დასავლეთით ობუჯის ჯიხას და მონასტერს, მისგან ჩრდილოეთით, დაახლოების 1 კილომეტრში იმავე მთის გარძელებაზე მდებარეობს

[1] „ ს. ჯაღირა. (სამეგრელო) სკოლის ავი და კარგი. ეს სოფელი აკრავს დ. ზუგდიდის აღმოსავლეთით, 21 ვერსტის მანძილზედ. იგი ეკუთვნის კირცხის საზოგადოებას, რომლისაგან დაშორებულია 7 ვერსტით. ეს სოფელი მდებარეობს მაღალს, ციცაბო ადგილზედ, შემოზღუდულია გორაკებით. აქ ცხოვრობენ 100 კომლი აზნაურნი და გლეხნი, არის ერთი ეკკლესია და სამრევლო სკოლა. სკოლის მასწავლებელმა სხვათაშორის არ იცის ქართული ენა, რომელიც დედაბოძია სამრევლო სკოლებისა, რის გამო მისი შეგირდები ძლიერ სუსტნი არიან ყველა საგნებში და განსაკუთრებით ქართულ ენაში. ადგილობრივი მღვდელი, თუმცა ამ სკოლის ზედამხედველია, მაგრამ როგორღაც ყურადღებას არ აქცევს არც სკოლას და არც სკოლის გაუმჯობესების საქმეს„„.

გაზ. ცნობის ფურცელი, №785, 1899ს. ბოლქვაძე.

წალენჯიხის ტაძარი, რომელსაც გალავანი ჰქონდა და თავის დროზე სავარაუდოდ ციხე-სიმაგრის ფუნქციასაც ასრულებდა.

ეს ციხე-სიმაგრე არქიტექტურულად ამ სახით არის აღწერილი: წალენჯიხის რაიონი, ქ. წალენჯიხიდან დასავლეთით 2 კმ. ლიუღერას უბანი; ნანგრევი „ნაჯიხარი“; ტიპი – საფორტიფიკაციო-სტრატეგიული. შუა საუკუნეები; „ნაჯიხარი“, როგორც მას ადგილობრივი მოსახლეობა უწოდებს მდებარეობს ლიუღერასა და ჭანისწყლის შუა აღმოცენებულ კონცხზე. მაღალი კონცხის წაკვეთილი პლატო მთლიანად ციხეს ეკავა. სამი მხრიდან ციხე დაცული იყო ბუნებრივი, ღრმა ხევით. ციხე რამოდენიმე ტერასიანი უნდა ყოფილიყო. ამჟამად ორი ტერასა განირჩევა. ზედა ტერასის ყველაზე მაღალ ადგილას შემორჩენილია სწორკუთხა ნაგებობის ნაშთი (შესაძლებელია სათვალთვალო კოშკი). კომპოზიციურად ეს ნაგებობა ცენტრალურ ადგილს იკავებდა მთელ ანსამბლში; აგებული იყო რიყის ქვით – კირის დუღაბზე. შიგნიდან შენობის არე მიწით არის ამოვსებული და მიწის პირზე ძლივს ჩანს, გარედან კი კედლები 50-51 მ. შემორჩა, ზოგან მეტიც. სამხრეთი კედლის დასავლეთ ფრაგმენტს მიჯრილი აქვს ნახევარწრიული ფორმის კონტრფორსი; ქვედა ტერასაზე მხოლოდ გალავნის ფრაგმენტებია შემორჩენილი. სამშენებლო მასალად აქაც რიყის ქვაა გამოყენებული – კირის დუღაბზე.

1990 წ. 26 დეკემბერი, ხელოვნებათმცოდნე მ. დადიანიძე.

2. სოფელ ლიუღერას ნაეკლესიარი

ამ ციხის ჩრდილოეთით, დაახლოებით ორას მეტრში არის სასაფლაოები, სადაც ადგილობრივთა გადმოცემით ძველად მდგარა ხის ეკლესია.

სოფელი მიქავა-ფუქი

1. ნაზმაკოჩის უბნის ნაოხვამუ

ადგილობრივთა გადმოცემით, ნაზმაკოჩის უბანში შემაღლებულ ბორცვზე იყო „ნაოხვამუ“ ანუ ნაეკლესიარი. ეს სასაფლაოები აქ გაუხსნიათ 1947 წელს, თუმცა გადმოცემით, აქ ყოფილა ძალზედ ძველი სასაფლაოებიც, სადაც სალოცავად დღესაც დადის ეგიების გვარი (დღეს წალენჯიხაში ცხოვრობენ). ბორცვის ირგვლივ გალავნის ნაშთები შეინიშნება. აქედან სამხრეთ-აღმოსავლეთით ჩანს ლეღვინჯილიეს სუკი (გორაკი), სადაც ასევე იდგა ეკლესია, ჩრდილო-აღმოსავლეთით და აღმოსავლეთით ლაკადას მთა, და ოცინდალეს ეკლესია და კოშკი. სამხრეთ-აღმოსავლეთით ლეჯოლოხეს უბანი. ჩვენი აზრით, ეს ადგილი საკმაოდ მნიშვნელოვანი თავდაცვითი ფუნქციის მქონე უნდა ყოფილიყო, რასაც ოცინდალეს კოშკთან და სხვა ადგილებთან მისი თვალყურის დევნების შესაძლებლობა გვაფიქრებინებს.

1990 წელს ამ ადგილას ამ სახის სურათი იყო: წალენჯიხის რაიონი, სოფ. მიქავა უბანი „ნაზმაკოჩი“; ნაეკლესიარი. შუა საუკუნეები; ტიპი – საკულტო; ეკლესია

შემორჩენილია ქვის გროვის სახით (დღეს ეს გროვაც არ ჩანს – დ. ჭ.). ჩანს გალავნის ფრაგმენტები, რომელიც დიდ ტერიტორიას მოიცავს. ქვის გროვაში ჭარბობს ყორე და ფლეთილი ქვები.

1990 წ. 29 ნოემბერი. ხელოვნებათმცოდნე მ. აბაშიძე.

2. წმ. ბარბარეს სახელობის ნაეკლესიარი

ლეღვინჯილიეს უბანში შემაღლებულ ბორცვზე იდგა წმ. ბარბარეს სახელობის ხის ეკლესია. დღეს საძირკვლის ნაშთებიც არ იკითხება. ჩრდილო-აღმოსავლეთიდან ეს ადგილი გადაჰყურებს სქურის ხეობას, აღმოსავლეთით ლაკადას მთას და თაიას ეკლესიას და კოშკს,ასევე სამხრეთ-აღმოსავლეთით ამ მთის გაყოლებაზე მდებარე სოფლებს. ადგილობრივთა გადმოცემით, აქ ბოლო მღვდელი იყო დავით ქუთათელაძე, ის წალენჯიხიდან დადიოდა. დიაკონი ყოფილა გრიგოლ მოსიძე.

3. ციხე-სიმაგრე და ნაეკლესიარი

წმ. ბარბარეს ეკლესიიდან (ლეღვანჯილიე) დასავლეთით, დაახლოებით 1 კილომეტრში მ. ღვინჯილიას სახლთან (ლეღვინჯილიეს უბანი) არის გალავნით გარშემორტყმული მაღალი ბორცვი. მშენებლობის ნაშთები წრეზე დაახლოებით 250-300 მეტრზეა. ცენტრიდან აღმოსავლეთით არის შემაღლებული ადგილი სადაც მდებარე ნაგებობის ნაშთი ეკლესიას უნდა ყოფილიყო. იკითხება აფსიდის მომრგვალება და საძირკველი მიწის დონეზე. ვფიქრობთ, ამ ადგილას თავდაცვითი ნაგებობა უნდაც ყოფილიყო. ამ ადგილიდან ჩანს ყველა ის ადგილი, რომელიც ნაზმაკოჩის წმ. ბარბარეს ეკლესიიდან დავაფიქსირეთ. აქ მოედინება ღელეები – ლუღიები; ლაჩახვა, სამასართალა, სქურჩა.

ეს ადგილი არქიტექტურულად ამ სახის არის აღწერილი: წალენჯიხის რ-ნი, სოფ. მიქავა, მ. ღვინჯილიას სახლიდან დასავლეთით შემაღლებულ ბორცვზე; ეკლესიის ნანგრევი; ტიპი – საკულტო შუა საუკუნეები; ეკლესია იდგა ბორცვის ცენტრში, რომელსაც გარს უვლიდა გალავანი. ეკლესიის კედლები შემორჩენილია თითქმის მიწის დონეზე. აღმოსავლეთით იკითხება აბსიდის მომრგვალება, შესასვლელის კვალი დასავლეთიდანაა; ტერიტორიაზე გდია მასიური ბალავრის ქვა. აქა-იქ ჩანს გალავნის ფრაგმენტები.

1990 წ. 29 ნოემბერი, ხელოვნებათმცოდნე ც. დადიანიძე

სოფელი კანთი

1. ნაეკლესიარი

ჯუმბერ კვარაცხელიას სახლის წინ არის ადგილი „ნაოხვამე“, სადაც დგას ძველი ქვებისაგან ნაშენი პატარა მრგვალი ნაგებობა. ეს ადგილი მდებარეობს თარზენის მთის ძირში. ადგილობრივთა გადმოცემით, ეს ნაგებობა აშენებული ყოფილა სასილოსედ, თუმცა იქ ძველად ეკლესია მდგარა, რომლის ქვებისგანაც ეს შენობა აუშენებიათ. აქ ძველი სამშენებლო ქვებია გამოყენებული. მღვდელი ყოფილა მელიტონ აფაქია. ასევე მღვდლები აქ იყვნენ ჯგალიდან მელიტონ ქვარცხავა და პეტრე ქვარცხავა.

ეს ნაგებობა არქიტექტურულად ამ სახით არის აღწერილი: წალენჯიხის რ-ნი, სოფ. ლეკანთი; ნაეკლესიარი. შუა საუკუნეები; ტიპი – საკულტო; ეკლესიიდან შემორჩენილია მხოლოდ საძირკველის ფრაგმენტები და ჩრდილო-აღმოსავლეთის კუთხე. აქა-იქ გალავნის ფრაგმენტებიცაა. ჩვენი საუკუნის 60-იან წლებში კოლმეურნეობამ ნაეკლესიარზე ააგო მრგვალი სასილოსე კოშკი-სათავსო. მისი კედლების წყობაში ჩამოყებულია ეკლესიის ქვები, რომელთა შორისაა შირიმი და ქართული აგური.

1990 წ. 13 ნოემბერი, ხელოვნებათმცოდნე მ. აბაშიძე

2. თარზენის „ნაოხვამუ“ ადგილები

ლაკადა-თარზენის მთა მიუყვება სქურის ხეობიდან სოფლებს ჯგალს, ლეთ-კანთს, მუხურს, გრძელდება სოფელ ნაფიჩხოვომდე. მთის წვერს ეწოდება თარზენი (იქ დავაკებაა), სადაც ზემოთ სავარაუდოდ არის უამრავი ისტორიული ძეგლები. მათი დათვალიერება ჩვენ ვერ მოვახერხეთ. ადგილობრივთა გადმოცემით, თარზენის მთაზე არის ციხის ნანგრევები, რომელსაც ასევე „ნაოხვამუს“ უწოდებენ (ასეთი არის ლეთკანთის მონაკვეთზე ორი) ეს ადგილები ჩრდილო-დასავლეთის მხარეს უყურებს ლესალეს ჯიხას. ის ბილიკებით გადადის სქურის ხეობაში. აქედან ჩანს სამეგრელოს მთელი სამხრეთ-დასავლეთის მხარე, ამ ადგილიდან ჩანს თაიას ეკლესია და იქ მდებარე კოშკი, საიდანაც ქვეითად შეიძლება გადასვლა. მანძილი დაახლოებით 10 კილომეტრია.

სოფელი სქური

1. ეკლესიები და ციხე-სიმაგრეები (ზოგადი მიმოხილვა)

სქურის ხეობა ძალზედ მდიდარია ისტორიული ძეგლებით, სადაც არის, სავარაუდოდ IX-X საუკუნეების, ულამაზესი ეკლესიის ნანგრევები. მასზე ისტორიულ წყაროებში არც თუ ისე ბევრია ცნობები;

ყველაზე სრული ამ ხეობის აღწერილობა აქვს ს. მაკალათიას, მისი თქმით, „ერთი ძველი და საყურადღებო კოშკი დაცულია წალენჯიხის რაიონში, აგარაკ სკურის მახლობლად. წენ-წყლის ხეობაში. გზა აქ ვიწროა, ხეობა ღრმა და ძნელ-გასავალი. პირველი სიმაგრე, რომელიც ამ გზაზეა აღმართული, არის ადგილი „ლაყორია“-ში და იგი წარმოადგენს საყარაულო კოშკს. გზა გადის ამ კოშკის ქვემო სართულის თაღიდან კარებში. მისი ორივე მხარე გამაგრებულია: ერთის მხრივ, ღრმა ხევია, მეორეს მხრივ, მიშენებული აქვს მაღალი კედელი, ციხე ყოფილა ორსართულიანი, ახლა დარჩენილია მისი ქვედა სართული. კოშკი ქვითკირით არის ნაგები, ქვა ნათალია და კედლის სისქე უდრის ხუთ მეტრს. ამ საყარაულო კოშკის თაღში რომ გაივლით, სკურის მიმართულებით, დაახლოებით ორი კილომეტრის მანძილზე არის ადგილი „ნოჯიხენი“, სადაც აგებულია მრგვალი ფორმის სიმაგრე, რომელიც შემოზღუდულია ქვითკირის გალავნით. ეს კოშკი ქვითკირისაა და გარედან შეძერწილია ნათელი და დიდი ქვის ფიქალებით, რომლის ზომა უდრის 80-50 სანტ. ამ ნაგებობის ზედა სართული ჩაქცეულია და ახლა ხეებია ამოსული. დარჩენილია მხოლოდ ქვემო სართული, რომელსაც აქვს სათოფურები და სარკმლები. მისი სიმაღლე უდრის 5 მეტრს. ციხე ლამაზად არის ნაგები, თვით შეძერწვის ტექნიკაც მაღალი ხელოვნებითაა შესრულებული. კოშკი გადასცქერის წენ-წყლის ხეობას და გზას, რომელიც მას სამხრეთით უვლის“[1].

ს. მაკალათიას მიერ აღწერილი „ლაყორიაშის“ კოშკი და ციხის ნაშთები დღეს შემორჩენილი არ არის; ის როგორც ჩანს აქ სამანქანო გზის გაყვანის დროს დაანგრიეს.

უნდა აღვნიშნოთ, რომ როგორც სქურის ხეობის ტოპონიმიკურ მასალაში ჩანს აქ უამრავი „ნაოხვამუ“-დ წოდებული ადგილებია. ასევე ადგილობრივებმა სქურის ეკლესიის ჩრდილოეთის მხარეს ჩვენ ციხე-სიმაგრის და ეკლესიათა ნანგრევებისკენ მიგვითითეს. მათი დათვალიერება ჩვენ სამწუხაროდ ამ ეტაპზე უგზოობის გამო ვერ მოვახერხეთ. ეს ხეობა კი მთლიანობაში ძალზედ კომპლექსურ შესწავლას მოითხოვს, სადაც ვფიქრობთ, საინტერესო კულტურულ ფენების აღმოჩენაა შესაძლებელი.

თ. ბერაძის აღნიშვნით, სქურის ეკლესიიდან რამდენიმე კილომეტრის დაშორებით, მდ. ჭანის წყლის მარცხენა ნაპირზე დგას სქურის „ჯიხა“. ეს ნაგებობა წარმოადგენს ციხეს კოშკითა და გალავნით. კოშკს ნალისებური ფორმა აქვს. მისი ერთი მხარე მრგვალია და მეორე სწორკუთხა; გალავანიც მისი დროისაა. კოშკი მრავალსართულიანი ყოფილა. შეიმჩნევა პირველი სართულის ერთი სარკმელი. კოშკი თავის დროზე საკმაოდ მაღალი უნდა ყოფილიყო, რადგან პირველი სართული მთლიანად ამოვსებულია მისი ნანგრევებით. კოშკის და გალავნის წყობა გამორჩეულია თავის არქაულობით. ნაგებია დიდი კარგად დამუშავებული კვადრებით, რომლებიც გარკვეული კანონზომიერებით, ხან ვერტიკალურადაა გადალაგებული რიგებში, ხან კიდევ ჰორიზონტალურად. ავტორის

[1] ს. მაკალათია, სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, თბ., 1941, გვ. 305-307.

აზრით, ამგვარი წყობა დამახასიათებელია რომაული ხანისათვის და თარიღდება II-IV საუკუნემებით[1].

ძალზედ მნიშვნელოვანია ჯგალის ციხის საკათალიკოსო გამოსავლის 1616 წლებით დათარიღებული დოკუმენტი[2].

1614 წლის მიწისძვრის შემდგომ ლევან დადიანის მიერ ცაიშის ტაძრის და საეპისკოპოსოს აღდგენისთანავე ცაიშის მამულების საერთო გუჯარში უცვნიათ (შეუყვანიათ) ჯგალის „საკათალიკოზო ჯგალისა და მისი ადგილ მამულის საზღურისა და გარდასახადისა“[3].

2. მაცხოვრის შობის სახელობის მონასტერი

სქურში შუა საუკუნეებში მონასტერი არსებობდა, რომელიც მაცხოვრის შობის სახეობის იყო.

---

[1] თ. ბერაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 223.

[2] „92. [ნუსხა ჯგალის ციხის საკათალიკოსო გამოსავლისა] [1616-1621 წწ.]

ქ. წყალობითა და შეწევნითა ღმრთისათა და შვიდ ცათა უმაღლესისა ბიჭვინტისა ღმრთის-მშობლისათა. არის საქოჩაქ[ი]ძეო **დადიანის ბატონის ლევანის** წყალობა მამული თავს **ჯგალის ციხე,** სასახლე; არის ჯგალის ციხის გამოსავალი.

მართებს ჯგალის ციხის შემავლს კაცებსა ბეგარა: 1. მართებს **საკლიას** უმფროს-უმცროსი საკლავი, ქათამი, 11 საწყავი ღვინო, 11 ჯამი ღომი, 1 ჯამი პური, გოჭკომური რარიგადცა თავის ესახელებოდეს. **2. ფაცხლიას სავლიოს** ისრევე სძეს. **3. ულვინია ოდიშარიას** მართებს 1 საჭმელი. 4. **თაიმაზას ფერთეხიას** მართებს ზროხიანი საჭმელი **5. ჯგერგეკის ფერთეხიას** ისრევე მართებს. **6. ეჩაკოჩის შონიას** მართებს უმცროს-უმფროსი საკლავი, ქათამი, 11 ფოხალი ღვინო, 11 ჯამი ღომი, 1 ჯამი პური და გოჭკომური. **7. . თოლიას ბუღავას** ისრევე იმას მართებს. **8. წყორიას ბუღავას** იმას მართებს. **9. ჯიმადის ბუღავას** ისრევე იმას მართებს. **10. ხუხულიას შონიას** ისრევე იმას მართებს. **11. ხუხულიას მსუბუქიას** ისრევე იმას მართებს. **12. ხუხუას მსუბუქას** ისრევე იმას მართებს. **13. გვანიშიას ტოტობინავას** ისრევე იმას მართებს. **14. მამულიას ხუბულიას** ისრევე იმას მართებს. **15. გურმიხილიასა ბელქანოას** ისრევე მართებს. **16. პტონიბის მირაქას** ისრევე იმას. **17.** ათს კვამლს კაცსა ხმელი ბეგარა მართებს. **18.** ხუთს კუამლს კაცსა ხატისასა ტრაპეზი მართებს, თვით საკლავი ბატონისა. **ქ. მართებს ჯგალის სასახლის მიდგომსა კაცებსა ბეგარა: 19**. მართებს **შამიბიას ბუმბუვასა** უმფროს-უმცროსი საკლავი, ქათამი, 11 ჯამი ღომი, 1 ჯამი პური, რარიგადცა თავი ესახელებოდეს, იმისთანა გოჭკომური. **20**. კიდევ სამს ამის გნაყოფსა ასრევე მართებს. **21. მახუტოლიას თოფურიას** კიდევე ასრევე მართებს. **22. ხვიჩელიავას ასმავიას** კიდევ ასრე მართებს. **23. კოჩილოას მიდორიას** ისრევე იმას მართებს. **24. გოშორთიას ასმავას** ისრევე იმას მართებს. **25. მიორდიას გიგიდავას** ისრევე იმას მართებს. **26. კუტავას გვახავას** ისრევე იმას მართებს. **27. მორდილიას ბუღავას** ისრევე იმას მართებს. **28.** კიდევე ამას გარეთ მართებს ამ ბეგრის 1/2. **29. იმარცალიას** ისრევე მართებს. **30. ხერიას სავლიას** ისრევე მას მართებს. **31. უსკვამაბის გეგიდავას** ისრევე იმას მართებს. **32. შუშანია გეგიდავას** ისრევე იმას მართებს. **33. ამარცალიას ქუცურავასა** ისრევე იმას მართებს. **34. უღვანობას კერშილავას** ისრევე იმას მართებს. **35. უღვიმას მჭითავას** ისრევე იმას მართებს. **36. ხიხულიას ფურთუზიას** მართებს 6 ფოხალი ღვინო, 6 ჯამი ღომი, გოჭკომური. **37. გურმიხილიას თუსმელიას** მართებს 1 საჭმელი. **38. ს ლის მამულის** მართებს 1 საჭმელი“ (ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, თბ., 1970, გვ. 478-480).

[3] ს. კაკაბაძე, ტფილისი, საცაიშლო გამოსავლის დავთარი, ტფილისი, 1913, გვ. 41.

თ. ბერაძის თქმით, სქურში არის ერთაფსიდიანი ეკლესია, სადაც სამი აფსიდაა გამოკვეთილი. ამგვარი რამ საერთოდ დამახასიათებელია დასავლეთ საქართველოს ეკლესიებისათვის. ეკლესია დიდი ზომისაა, სიმაღლე დაახლოებით 10-12 მეტრია; სიგანე 8 მეტრი, სიგრძე, დაახლოებით 15 მეტრი. სქურის ეკლესია თავისი არქიტექტურული გადაწყვეტითა და მშენებლობის ხასიათით ქართული შუაფეოდალური არქიტექტურის ბრწყინვალე ძეგლს წარმოადგენს. ავტორის აზრით, პილასტრების განლაგება ფანჯრებისა და კარნიზის დამუშავება, წნული ორნამენტის გამოყენებით ფასადზე, ყველა ეს ნიშანი კარგად მოცემული სქურის ეკლესიას XI საუკუნით ათარიღებს[1].

1639 წლის 26 ნოემბერს რუსმა ელჩებმა, პ. ზახარიევმა და ფ. ელჩინმა ანდრია ცაიშელ ეპისკოპოსთან ერთად სქურის მაცხოვრის შობის მონასტერი მოინახულეს. მათი აღწერით, „მონასტერში ქვით ნაგები ეკლესია დგას, რომელსაც ორი ჯვარი ამკობს, ერთი ჯვარი ხისაა, რომელიც საყდრის წინა კედელზეა დამაგრებული, ხოლო მეორე – რკინის ჯვარი საკურთხევლის უკანა კედელზეა დამაგრებული. დარბაზი საკურთხევლისაგან კანკელითაა გამოყოფილი. შაკურთხეველში ერთი სამეფო კარია და სატრაპეზო მოწყობილი. ეკლესიაში ადგილობრივი ხელობის იესო მაცხოვრის ჯვარცმის და ყოვლაწმინდა ღვთისმშობლის ხატია. იმ დღეს ამ ეკლესიაში ანდრია ეპისკოპოსმა წირვა ჩაატარა. მასთან იყო ევდემონ არქიმანდრიტი, ოთხი მღვდელი და სამი დიაკვანი, რომლებიც მას ემსახურებოდნენ... ეკლესიის შუაში ხალიჩა დააგეს, სადაც საეკლესიო შესამოსელი დაალაგეს. სამეფო კარის წინ ხატზე ხალიჩა დაჰფინეს, სადაც ეპისკოპოსი დაბრძანდა“[2].

სქურს იხსენიებს არქანჯელო ლამბერტი 1654 წლის რუკაზე „სკუროლის“ სახელით. იქვე დახატულია ეკლესია, რომელზეც ჯვარია თავზე დასმული[3].

1665 წელს სამეგრელოს სამთავროში ანტიოქიის პატრიარქი მაკარიოსი იმყოფებოდა, რომელმაც სქურის მონასტრის შესახებ გარკვეული ცნობები დაგვიტოვა: „სვანებს ორი ეპისკოპოსი ჰყავთ, რომლებიც ქართველთა ქვეყანაში ცხოვრობდნენ და მხოლოდ სახელი აქვთ აქაური სამწყსოს მღვდელმთავრებისა. ეს ეპისკოპოსები სულ არ მიდიან სვანებთან და არ მოძღვრავენ მათ. ესენია ცაგერელი ეპისკოპოსი და ცაიშელი ეპისკოპოსი. ცაგერელმა ეპისკოპოსმა მაუწყა, რომ მის სამწყსოში – სვანთა ქვეყანაში 60 მეტი სოფელი შედის. ყველაზე პატარა სოფელში 400 კომლია, ზოგიერთში 600 კომლი და უფრო მეტიც, მათ 12 ათასი მეომარის გამოყვანა შეუძლიათ. სვანთა უმეტესობა უნათლავია იმის გამო, რომ არავინ ჰყავთ ვინც დამოძღვრავდა. ამ

---

[1] თ. ბერაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 221.
[2] Т. Берадзе, დასახ. ნაშრომი, გვ. 256-258
[3] არქ. ლამბერტი, სამეგრელოს აღწერა, თბ., 1990, იხ. რუკა.

ეპისკოპოსმა ისიც მითხრა, მთელი სიცოცხლის განმავლობაში არასოდეს ვყოფილვარ სვანებთან. ისინი მხოლოდ სახელით არიან ქრისტიანები“[1].

პ. გაბისონიამ ყურადღება მიაქცია იმას, რომ არაბულ დედანში ცაგერელი „სქურელის“ ფორმით არის დაწერილი, ხოლო მაკარიოსის ამავე თხზულებაში ცაგერელი „საქარელის“ სახელითაა დაწერილი და ის იმერეთის საეპისკოპოსოების ჩამონათვალშია მოხსენიებული[2]. გარდა ამისა, აღნიშნავს ავტორი, მაკარიოს პატრიარქი იმ ხანად წალენჯიხის მონასტერში გარკვეული ხნის განმავლობაში ცხოვრობდა და თავის ნაშრომიც იქ დაწერა. მისივე აზრით, ცაიშელთან ერთად მოხსენიებული მეორე ეპისკოპოსი არის სქურის მონასტრის წინამძღვარი, რომელიც მაკარიოსმა რატომღაც ეპისკოპოსად მოიხსენია. შესაძლებელია, რომ სქურის მონასტერს სვანეთში თავისი სამწყსო ჰყავდა, თუმცა მათ შესახებ წინამძღვარმა პატრიარქს ძალზე გაზვიადებული ცნობები მიაწოდა[3].

სქურის მონასტერს დიდ ყურადღებას აქცევდა ლევან II დადიანი (1611-1657); მან 1652 წელს შეამკობინა ამ მონასტრის რამდენიმე ხატ-ჯვარი: „ქ... იესო ღმერთო, რომელსა მართალნი გიყუარს და ცოდვილთა სწყალობ, გევედრები მე ხელმწიფე დადიანი პატონი ლევან შენ მაცხოვარო ხატო სქურისაო მოწყალე მექმენ... ხატი ესე პატიოსანი სახისა შენისა და ძველებური განვაახლე ახალ ფიცალზედ გადმოვაღებინე ზურგი ვერცხლით, მოვაჭედინე და სახე თქუენი ახლად დავახატვინე...“[4].

ნ. კონდაკოვის აზრით, ამ ხატის ჩარჩო უფრო ძველია და შესრულებულია ფერადი მინანქრიანი ოქროთი, სადაც გამოსახულია ღვთისმშობლის მიძინება, იოაკიმ და ანას შეხვედრა, ქრისტეს შობა. ეს ჩარჩო XI ს-ის II ნახევრის ბიზანტიური ხელობისაა[5].

შემორჩენილია სქურის ვერცხლის ჯვარცმა, რომელიც 1845 წელს მანუჩარ დადიანის ბრძანებით და საკუთარი საფასით შეამკეს ოტიე, ბაბახუხუ და გიორგი სალიებმა. ჯვარცმაზე გამოსახულია იესო ქრისტე. მარცხნივ და მარჯვნივ მთავარანგელოზები, ხოლო ქვემოთ წმ. გიორგი ვეშაპის მგმირავი[6].

ექვთ. თაყაიშვილის მიხედვით, „სკურდში დაცულია მოდიდო ჯვარი ვერცხლით მოჭედილი, გძელის ძეწკვით. 43X25 სანტ. წინა პირზე გამობერვით განჭედილია ჯვარცმა ასომთავრული წარწერით – „იესო ნაზარეველო მეუფე ჰურიათა“. ზემოთ გამოხატულია მამა ღმერთი, მარჯვნივ და მარცხნით ჯვარცმულია მთავაანგელოზები, ქვემოთ წმინდა გიორგი და ვეშაპის მგმირავი. ჯვარი შემკობილია 1845 წელს. მეორე გვერდზე მხედრულად აწერია: „ჩყმე-სა წელსა მარტის ლ ბრძანებითა მანუჩარ კაცია დადიანის ძისათა, ხოლო სურვილითა და საკუთარისა ხარჯითა ჩვენითა შევამკეთ ჯვარი ესე

---

[1] მაკარი ანტიოქიელი, ცნობები საქართველოს შესახებ, არაბულიდან თარგმნა თ. მარგველაშვილმა, არმალინი, აღმოსავლური მწერლობის ნიმუშები, თბ., 1982, გვ. 110.

[2] პ. გაბისონია, სქურის ისტორიული ძეგლები, კრ. ისტორიულ-ეთნოლოგიური ძიებანი, ტ. IX, თბ., 2007, გვ. 278.

[3] პ. გაბისონია, დასახ. ნაშრომი, გვ. 278-279.

[4] ძველი საქართველო, ტ. II, ტფ., 1913-1914, ექვთ. თაყაიშვილის რედაქტორობით, გვ. 206-207.

[5] Опись памятников древности в некоторых храмах и монастирьях в Грузии, Составлена Н. Контаковим, СПб. 1980, გვ. 240-241.

[6] პ. გაბისონია, დასახ. ნაშრომი, გვ. 279.

ძალუეე ოტიე ბაბა ხუხუ და გიორგი სალიებთ შვილებმან ერთობით საოხად ჩვენდა და ძეთა ჩვენთა ამ ჯვარის მონახეურე გიორგიას გამონაყაფარის[1]“.

XII-XIII საუკუნის მოანე ოქროპირის „თარგმანებაჲ მათეს სახარების“ ხელნაწერი წიგნის მოგვიანო მინაწერი გვამცნობს: „ღმერთო და წმიდაო ღვთისმშობელო და ქრისტე სკურისაო, შეეწიე მონასა შენსა სახელით ფრიად ცოდვილსა... ტაშვილსა შეუნდოს ღმერთმან“[2].

დანამდვილებით არ ვიცით უცნობია თუ როდის გაუქმდა სქურის მონასტერი. პ. გაბისონიას ვარაუდით, ალბათ XVII ს-ის მიწურულში, რადგან მომდევნო საუკუნეში ის საისტორიო წყაროებში არ იხსენიება[3].

ზემოთ წარმოდგენილი ისტორიული ძეგლები, ასევე სხვებიც არქიტექტორების მიერ ამ სახით არის აღწერილი: ა) წალენჯიხის რ-ნი, სოფ. ჯგალი, კურორტ სქურის მიდამოები; სქურის ეკლესია. XIII-XIV საუკუნეები [4] ; ტიპი – საკულტო; ეკლესია წარმოადგენს დარბაზული ტიპის ნაგებობას, ჩრდილოეთის, დასავლეთის და სამხრეთის მინაშენებით. სამშენებლო მასალად გამოყენებულია სხვადასხვა ზომის რიყის ქვა, რომელიც შემდეგ მოპირკეთებულია კარგად თლილი ქვიშა-ქვის კვადრებით. წყობა თარაზულია; ეკლესია გეგმით წაგრძელებული სწორკუთხედს წარმოადგენს, აღმოსავლეთით ნახევრადწრიული აბსიდით, რომლის ცენტრში გაჭრილია მაღალი თაღოვანი სარკმელი. აბსიდის ჩრდილოეთ და სამხრეთ მხარეს მოწყობილია გეგმის ნალისებური, აზიდული პროპორციების მქონე ღრმა ნიშები, რომლებშიც თითო, გარეთ შევიწროვებული სარკმელია გაჭრილი. ნიშების მოსაპირკეთებლად გამოყენებულია მოყვითალო შირიმის ქვა. სარკმლების წირთხლებზე შემორჩენილია მოხატულობის ძალზედ უმნიშვნელო ფრაგმენტები. აბსიდის კონქი გადაყვანილია კარგად თლილი, მოზრდილი ქვების რადიალური გიგებით. აბსიდი დარბაზისაგან გამოყოფილია მხრებით. იყოფა. დარბაზის კედლები სხვადასხვა დონეზეა შემორჩენილი. კამარა მთლიანად ჩამოქცეულია. სამხრეთის და დასავლეთის კედლებში განლაგებულია სამ-სამი თაღოვანი სარკმელი. სამხრეთის სარკმლების თავზე გადადის კედლის დეკორატიული თაღები. დასავლეთის სარკმლებთან მხოლოდ წირთხლებია გადარჩენილი. ეკლესიის სამივე კედელში დატანებულია შიგნით თაღოვანი, გარეთ არქიტრავიული შესასვლელები. სამივე თაღი მინაშენებს უკავშირდება; ჩრდილოეთის მინაშენი ორნაწილიანია. აღმოსავლეთით სრულდება ნახევარწრიული აბსიდით, რომლის ცეტრში გაჭრილია გარეთ შევიწროვებული სარკმელი. ამჟამად სარკმლის მხოლოდ ქვედა ნაწილია შემორჩენილი. მის ორივე მხარეს მოწყობილია შეისრულ თაღიანი ნიშები, რომელთა სიმაღლე მიწის დონიდან იწყება. მინაშენის კამარა და კონქი მთლიანად ჩამოქცეულია. ინტერიერში, მიწის ქვეშ მოთავსებულია კრიპტა. ორნაწილიანი კრიპტა ერთმანეთისაგან გამოყოფილია თაღებით, რომლებიც ცენტრში ოთხკუთხა სვეტს ეყრდნობიან. მინაშენის დასავლეთ კარს ორივე მხარეს თითო თაროს ფორმის კრონშტეინია. შესაძლოა, რომ კრონშტეინებს კამარის საბჯენი თაღი ეყრდნობოდა; ეკლესიის დასავლეთის მინაშენი შემორჩენილია ფრაგმენტების სახით. კერძოდ, კარგად ჩანს ჩრდილო-დასავლეთის და სამხრეთ-დასავლეთის კუთხეები; სამხრეთის მინაშენი

---

[1] ექვთ. თაყაიშვილი, არხეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნები, გვ. 242.
[2] თ. ბერაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 222.
[3] იხ პ. გაბისონია, დასახ. ნაშრომი, გვ. 280.
[4] XIII-XIV საუკუნეებით ამ ეკლესიის დათარიღება ვფიქრობთ არ იქნება მართებული და ჩვენი აზრით ის IX-X საუკუნეების ძეგლია.

უფრო მცირე ზომისაა, ვიდრე ჩრდილოეთისა. იგი გეგმით სწორკუთხედს წარმოადგენს, აღმოსავლეთით ნახევრადწრიული აბსიდით. მისი ცენტრალური ნაწილი მთლიანად ჩამონგრეულია. ჩრდილოეთ მხარეს არქიტრავული, ხოლო სამხრეთით თაღოვანი ნიშებია განლაგებული. ქონქი ამოყვანილია კარგად თლილი შირიმის რადიალური რიგებით. სატრიუმფო თაღი კაპიტელებით დასრულებულ აბსიდის მხრებს ეყრდნობა. მინაშენის სამხრეთ კედელში სარკმლის კვალია. დასავლეთით გაჭრილია შიგნით თაღოვანი, გარეთ არქიტრავული შესასვლელი. მინაშენს დასავლეთიდან ემიჯნება ეკლესიაში შესასვლელი კარიბჭე. კარიბჭეს დასავლეთიდან ლამის ეკლესიის მთელ სიმაღლემდე აუყვება მძლავრი კედელი; სამხრეთ ფასადზე შემორჩენილია პროფილირებული კარნიზის ფრაგმენტი, აღმოსავლეთის ფასადი თითქმის პერანგშემოცლილია. კარგად ჩანს სამივე სარკმლის ჩარჩოს ქვედა ნაწილი. იგი შედგება სამმაგი ლილვისაგან; დასავლეთის ფასადზე აქცენტირებულია შესასვლელის მორთულობა. პორტალი მოჩუქურთმებულია. ჩუქურთმის მხოლოდ ფრაგმენტებიღაა შემორჩენილი. იგი წარმოადგენს გეომეტრიულ წნულს. შესასვლელის ორივე მხარეს თაროს ფორმის კონსულებია; ეკლესია მინაშენებითურთ ორსაფეხურიან ცოკოლზე იდგა. ძეგლს გარშემო გალავანი შემოუყვება.

1990 წ. 30 ნოემბერი, ხელოვნებათმცოდნე მ. აბაშიძე

ბ)წალენჯიხის რ-ნი, კურორტ სქურის მიდამოები ეკლესიასთან; სენაკის ნაშთი; ტიპი – საცხოვრებელი. შუა საუკუნეები; სენაკის ნაშთი მდებარეობს ეკლესიიდან სამხრეთით 7-8 მეტრში. იგი გალავანს გარედან ემიჯნება. შემორჩენილია კედლების უმნიშვნელო ფრაგმენტები და ნაგებობის ბუდე. სამშენებლო მასალად გამოყენებულია ყორე ქვა.

1990 წ. 30 ნოემბერი, ხელოვნებათმცოდნე მ. აბაშიძე

გ) წალენჯიხის რ-ნი, სოფ. სქური. გზის პირას (გესის ტერიტორიაზე); ზურგიანი კოშკი. IV-VI საუკუნეები (თ. ბერაძე მას II-IV საუკუნეებით ათარიღებს. იხ. ზემოთ); ტიპი –საფორტიფიკაციო; კოშკი ნაგებია ვეება, თანაბარი ზომის უხეშად თლილი ოქროსფერი კვადრებით – კირის დუღაბზე. წყობის თარაზულ რიგებს შორის, ჰორიზონტალურად ჩაყოლებული აქვს ვიწრო ზომის ისეთივე ქვები, რომლებიც მთლიანად პერანგისათვის არის გამოყენებული. იქმნება ძალიან სასიამოვნო გეომეტრიული ნახატი, რაც უფრო ხაზს უსვამს მედიდურ საფასადო წყობას. იქ, სადაც პერანგი შემოცლილია, ჩანს კედლებისათვის გამოყენებული შემავსებელი მასალა რიყის ყვა და წვრილი ნატეხი ქვა; კოშკი მთლიანი მონოლითივით დგას ხეობის პირას. მისი სიმაღლე დაახლოებით 5 მ. იმ ადგილას, სადაც კოშკი დგას განიერი გალავნის ნაშთებია შერჩენილი.

1990 წ. 29 ნოემბერი, არქიტექტორი ც. დადიანიძე

დ) წალენჯიხის რ-ნი, სოფ. ჯგალი, კურორტ საქურიდან ჩრდ.-აღმ. 2 კმ-ზე; ადგილი „გურგუმსუკი“, მდ. კიკონიას ხეობა. შუა საუკუნეები; ნაეკლესიარი „მთავარანგელოზი“; ტიპი – საკულტო; მაღალი მთის თხემზე შემორჩენილია ეკლესიის ნაშთი, ჩანს ჩრდილოეთის კედლის უმნიშვნელო ფრაგმენტი, ამოსავლეთით რამდენიმე ფლეთილი ქვა გდია. მიწის დონე ამოწეულია.

1990 წ. 29 ნოემბერი, ხელოვნებათმცოდნე მ. აბაშიძე

ე) წალენჯიხის რ-ნი, სოფ. ჯგალი, კურორტ სქურის მიდამოები, მდ. კიკონიას ხევის მარჯვენა მხარეს. შუა საუკუნეები; ეკლესიის ნანგრევი; ტიპი – საკულტო; ეკლესიის შემორჩენილი ნანგრევის მიხედვით, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ იგი ბაზილიკა იყო. კარგად ჩანს სამივე ნავის კედლები, აქედან ყველაზე უკეთაა ჩრდილოეთის ნავი, ყველაზე უარესად სამხრეთის ნავი. ცენტრალური ნავი ამოვსებულია მიწით და ჩამონაშალი ქვით; ჩრდილოეთის ნავი წაგრძელებული სწორკუთხედს წარმოადგენს, აღმოსავლეთით ნახევარწრიული აბსიდით. ჩრდილოეთით ჩანს კონქის სატრიუმფო თაღის საბჯენი თარო. ამავე კედელზე სარკმლის კვალია. კედლის სიმაღლე სხვადასხვა დონეს აღწევს. დასავლეთის ნაწილი ყველაზე მაღალია დაახლოებით 5-6 მ.; ცენტრალური ნავის ინტერიერში გდია ჩამოქცეული კამარის დიდი ნაწილი. ეკლესიიდან სამხრეთით 30-40 მეტრში შემორჩენილია გალავნის ფრაგმენტები; ეკლესიის საამშენებლო მასალად გამოყენებულია ადგილობრივი წარმოშობის სხვადასხვა ზომის ფლეთილი ქვა – კირის დუღაბზე.

1990 წ. 29 ნოემბერი,
ხელოვნებათმცოდნე მ. აბაშიძე

სოფელი ჯგალი

1. ჯგალის ძელი ჭეშმარიტისა და ჯგალის წმ. გიორგის სახელობის ეკლესია

ექვთ. თაყაიშვილის თქმით, სოფ. ჯგალში არსებულა „ხატი ძელი ჭეშმარიტისა“[1].

[1] „წალენჯიხაში მოასვენეს ჩვენის თხოვნით აგრეთვე სოფ. ჯგალიდან ხატი ძელი ჭეშმარიტისა. ეს ხატი, 23,5X12,5 სანტ., დაზიანებულია. ჩასვენებულია ვერცხის ბუდეში ანუ კუბოში, რომელიც გაუკეთებია ცნობილს ლევან II დადიანს 1652 წელს და რომლის ზურგზედ მხედრულად აწერია: ქ: ეჰა: ძელო: დიდებულო: ცხოველს: მყოფელო: პატიოსნისა: ჯვარისაო: რომელმან: წყალობით: შენზედა: განიპყრნა: უხრწნელნი: მკლავნი: თჳსნი: კსნისათჳს: ჩვენინისა: უფალმან: და: მეუფემან: ჩუენმან: ძემან: ღ თისამან: გაკურთხა: და: აწ: მეფენი: და: ჭელმწიფენი: შენ: მიერ: იკურთხევიან: აწ: უკვე: გევერდები: მე: მოსავი: შენი: ჭელმწიფე: დადიანი: პატრონი: ლევან: სიქადულო: და: ძალო: ჩემო: უკუბოთ: ესვენე: სკურს: და: ვერ: მოვითმინე: უპატიოთ: სუენება: შენი: და: მოგჭედინე: კუბო: ესე: ვერცხლისა: რათა: წყალობა: შენი: თანა: მაღალ: და: განუშორებელყო: ჩემგან: და: მორჩილ: ჰყავ: მტერნი: ჩემნი: ქუეშე: ჩემსა: ძენი: და: ასულნი: ჩემნი: კეთილად: აღმიზარდე: ამინ: მოიჭედა: კუბო: ესე: ქს სა: სამას: ორმოცსა: ღ თო: შ ე: მისი: მწერალი: სპარსი: გიორგი: თვით ძელი ჭეშმარიტის ჯვარი, ჯვარის მსგავსად გამოჭრილს ხეშია ჩასვენებული. ჯვარი წინეთ შეჭედილი ყოფილა ოქროთი, რომელზედაც გამობერვით განჭედილი ყოფილა წმიდანები. მაგრამ უმეტესნი მათგანი აღარ შენახულა. ეხლა ზემოთ მოჩანს ერთი ანგელოზი, მეორე დაკარგულია, ქვემოთ დედა ღვთისა. ხელობა ლამაზია, ქართული. ქვემოთ ხუცური წარწერა არის ნაკლულად შენახული. „ქრისტე ღმერთო, რომელი დ[აემ]სჭვალე ჯელსა ჯუარისასა, შეიწირე მცირედი ესე მსახურებაი და... მოიჴსენე ს[ასუფეველსა შენ]სა იოანე ჯა.... ისეანი“.

სოფელ ჯგალის ცენტრთან დგას წმ. გიორგის სახელობის ახალი ეკლესია და სამრეკლო. ძველად აქ მდგარა იმავე სახელობის ეკლესია, რომელიც გასაბჭოების დროს დაუნგრევიათ. აქ მღვდლები იყვნენ ქვარცავები. გადმოცემით იყვნენ ოთხი ძმები – მღვდელი ზაქრო, ნიკო, იოსები. ალექსანდრე ქარცხავაც ქუთაისში უმსახურია სინოდალურ კანტორაში მაღალ თანამდებობაზე. ამ ერთ-ერთი ძმებიდან სამღვდელო ოჯახის გენეალოგიური სქემა ასეთია:

სიკო – 1778 წ.

|

დეკანოზი ალექსი ქვარცხავა |

|

ნიკო – 1861 ალექსი – 1846 მათე – 1887

| |

პეტრე – 1882 კუკუ – 1924 შოთა – 1922

|

ლეო – 1921-1948

|

ოთარი

მღვდელი სიკო ქვარცხავა

ჯგალის წმ. იორგის სახელობის ეკლესიის მღვდლების სურათები ინახება იმავე სოფელში მცხოვრებ ოთარ ქვარცხავას ოჯახში.

2. ლეხარჩილეს წმ. ნინოს სახელობის მშენებარე ეკლესია და სამრეკლო

სოფელი ლეხარჩილეში (ჯგალი) შენდება წმ. ნინოს სახელობის ეკლესია. დღეს აშენებულია მაღალი გუმბათიანი სამრეკლო.

3. ლეხარჩილეს ალერტ-ხარჩილის სალოცავი

ლეხარჩილეს უბანში არის ალერტ-ხარჩილის სალოცავის ნიში, რომელიც ხარჩილავების გვარის სალოცავს წარმოადგენდა; ეკლესია აქ არ მდგარა. მასზე ჩვენ ალერტის სალოცავთან დაკავშირებულ თავში უკვე გვქონდა საუბარი.

4. ლესალეს ციხე-სიმაგრე და მიმდებარე ტერიტორია

სოფელი ლესალე (სალიების გვარის დასახლება) შედის ჯგალის თემში, სადაც სოფელ ჯგალის ცენტრიდან ჩრდილო-დასავლეთით მაღალ მთაზე შემორჩენილია ციხე-სიმაგრე. ადგილობრივთა გადმოცემით, ამ ადგილებში ძველად უცხოვრიათ ქურსუების გვარს; აქ ლესალეს ჯიხის გარდა სხვა ძალზედ საინტერესო ნაგებობათა ნაშთებია შემაღლებულ გორაკზე.

თვით ლესალეს ჯიხა დასავლეთით და სამხრეთ დასავლეთით უყურებს სოფელ საჩინოში მდებარე „მამუკიას ციხეს“ და სოფელ ლიას „დიდი ქირსას“. ციხე სამხრეთით და სამხრეთ-აღმოსავლეთით და დასავლეთი აკონტროლებდა სქურის ხეობის მისასვლელებს.

ლესალეს ჯიხასთან ახლოს სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე უფრო მაღალ ბორცვზე არის კედლის ნაშთები, საიდანაც უკეთ ჩანს წალენჯიხის რაიონის აღმოსავლეთი მხარე და ჩხოროწყუს რაიონის სოფლები, ასევე საკმაოდ შორს მაგრამ მაინც მის სათვალთვალო არეშია მარტვილის და თამაკონის მთათა სისტემა და თაიას კოშკი. სავარაუდოდ აქედან უნდა ჩანდეს პატარა თამაკონის ციხე-სიმაგრე.

ლესალეს ციხის სამხრეთით და ამ ზემოთ დასახელებული ბორცვის აღმოსავლეთ გაყოლებაზე, ჩრდილოეთიდან სამხრეთის მიმართულებით მიუყვება კიდევ ერთი, სავარაუდოდ სიგრძეში დაახლოებით 500 მეტრზე კედლის ნაშთები. კარგად ჩანს კედლის დაახლოების 70-100 მეტრიანი მონაკვეთი. აქ ადგილობრივები ხშირად პოულობენ კერამიკის და დიდი ქვევრის ნამტვრევებს.

ლესალეს ჯიხაზე ისტორიულ წყაროებში ჩვენ ცნობები არა გვაქვს, თუმცა შესაძლოა, ზემოთ წარმოდგენილი ჯგალის საკათალიკოზო ეკლესიების გამოსავლის დავთარში მოხსენიებული ჯგალის ციხე სწორედ ეს იყოს და შესაძლოა აქ იყო ჯგალის სასახლეც.

არქიტექტურულად ლესალეს ჯიხა ამ სახით არის აღწერილი: წალენჯიხის რ-ნი, სოფ. ლესალე, სოფლიდან ჩრდილოეთით 1-1,5 კმ-ზე. მთაზე „ლესალეს“ ციხე-სიმაგრე. XV-XVI საუკუნეები; ტიპი – საფორტიფიკაციო-თავდაცვითი; „ლესალეს“ ციხე-სიმაგრე

სტრატეგიული თალსაზრისით აგებულია მეტად მარჯვე ადგილას, აქედან კარგად ჩანს მიმდებარე ტერიტორია და ციხისკენ მიმავალი ყველა გზა. ციხის გეგმა იმ ბორცვის კონფიგურაციას იმეორებს, რომელზედაც მდებარეობს. ჩრდილო-დასავლეთით იქმნება კუთხე. დანარჩენი კედლები უფრო მომრგვალებულია; ციხის გალავნის კედლები ნაგებია ადგილობრივი წარმოშობის, სხვადასხვა ზომის დამუშავებული ქვით – კირის დუღაბზე. საამშენებლო ღერძი ვითარდება აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ. გალავნის ჩრდილოეთ ნაწილში მოწყობილია კარიბჭე, რომლის სამხრეთის და ჩრდილოეთის კედლებში გაჭრილია თაღოვანი გასასვლელები. გალავნის აღმოსავლეთ ნაწილში მოთავსებულია მოგრძო სწორკუთხა დარბაზი, რომლისგან შემორჩენილია მხოლოდ აღმოსავლეთის და სამხრეთის კედლები. ორივე კედელში დატანებულია წყვილი, გარეთ შევიწროვებული არქიტრავიული სარკმელები. სამხრეთ კედელში, ამასთანავე გაჭრილია რამდენიმე სათოფური; ციხის ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში შემორჩენილია კედლის უმნიშვნელო ფრაგმენტი. საერთოდ გალავნის დასავლეთის და სამხრეთის კედლები ფრაგმენტულადაა გადარჩენილი. მათი სიმაღლე სხვადასხვა დონეს აღწევს; ციხის ტერიტორიაზე მიწის დონე ძალზედ აწეულია. ამოსულია ეკალ-ბარდები და დიდი ზომის ხე-მცენარეები.

1990 წ. 26 ნოემბერი, ხელოვნებათმცოდნე მ. აბაშიძე

„ლესალეს“ ციხზე-სიმაგრის კარიბჭე. XV-XVI საუკუნეები; ტიპი – საფორტიფიკაციო-თავდაცვითი; ციხის კარიბჭე მდებარეობს გალავნის ჩრდილოეთ ნაწილში. ნაგებია სხვადასხვა ზომის ფლეთილი ქვით – კირის სქელ დუღაბზე. შემორჩენილია ორი სართულის დონეზე. მეორე სართულის მხოლოდ აღმოსავლეთ და დასავლეთ კედლების ფრაგმენტებია. კარიბჭე გეგმის კვადრატს წარმოადგენს, ჩრდილოეთის და სამხრეთის კედლებში გაჭრილი თაღოვანი გასასვლელებით. ჩრდილოეთის კარი ნაოთხალიანია. ერთ-ერთ წირთხლზე დატანებულია საურდულე. კარიბჭის შინით და გარშემო მიწის დონე აწეულია. სამხრეთის შესასვლელის ღიობი დაზიანებულია. კედლები რამდენიმე ადგილას გახსნილია.

1990 წ. 26 ნოემბერი, ხელოვნებათმცოდნე მ. აბაშიძე

სოფელი ულურია

ნაოხვამუ – ნაეკლესიარი

მდ. ულურიის მარჯვენა მხარეს შემაღლებულ ბორცვზე არის რიყის ქვის ხროვა და იკითხება საძირკველი. აქ მისგან მარჯვნივ მოედინება მდ. კვარჩხიღალი (მდ. ულურია უფრო ახლოს არის). როგორც ჩანს, ირგვლივ ეს ტერიტორია შემოზღუდული იყო გალავნით. ვფიქრობ, აქ ძალზედ ძველი ეკლესია უნდა მდგარიყო. აქ ყველგან მიმოფანტულია კერამიკული მასალა, რომელიც ადრეფეოდალური ეპოქის

შტაბეჭდილებას ტოვებს. აქ თავდაცვითი ნაგებობაც უნდა ყოფილიყო, ან შესაძლოა უფრო რომელიმე ფეოდალის ციხე-დარბაზიც იყო.

არქიტექტორულად ეს ძეგლი ამ სახით არის ფიქსირებული: წალენჯიხის რ-ნი, სოფ. ულურია, მდ. კვარჩხიღალის მარჯენა მხარეს, ადგილი „ნაოხვამუ“; შუა საუკუნეები; ნაეკლესიარი; ტიპი – საკულტო; შემაღლებული ბორცვის თხემზე შემორჩენილია ეკლესიის ბუდე და აქა-იქ გაბნეული ქვების გროვა. ნაეკლესიარიდან დასავლეთით 7-8 მეტრში გალავნის ფრაგმენტებია, რომლის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში შემორჩენილია კარიბჭის ნაშთი; ეკლესიის ტარიტორიაზე ყრია კრამიტი და რამდენიმე ქართული აგური.

1990 წ. 13 ნოემბერი, ხელოვნებათმცოდნე მ. აბაშიძე

სოფელი ნაკიფუ

„ნაოხვამუ“ – ნაეკლესიარი

სოფლის სასაფლაოსთან ძველად მდგარა ჭყონის (მუხის) ხისგან აშენებული ეკლესია. პირველი მღვდელი ყოფილა ანტონ მოლაშხია, ბოლო ბათუ კვარაცხელია, სტაროსტა ესტატე კვარაცხელია. დღეს ნაეკლესიარზე ჩანს შემაღლება, საძირკველი არ იკითხება. 1990 წელს კი ამ სახითაა ფიქსირებული: წალენჯიხის რაიონი, სოფ. ნაკიფუ სასაფლაოზე; ეკლესიის ბუდე; ტიპი – საკულტო. შუა საუკუნეები; ადგილი სადაც ეკლესია იყო აგებული, დღეს შემაღლებულ ბორცვს წარმოადგენს. ბორცვის კონტურის მიხედვით და აქა-იქ შემორჩენილი რიყის ქვით ნაგები კედლების მცირე ფრაგმენტების საშუალებით შესაძლოა სქემატური გეგმის დადგენა. რიყის ქვის კედლების ფრაგმენტები თითქმის ნაგებობის ოთხივე კუთხეში შემორჩა. მისი ზომა დაახლოებით 10X15 მ.; მცირე ზონდაჟის გაკეთების დროს შესაძლოა ეკლესიის საძირკელის გამოჩენა.

1990 წ. 29 ნოემბერი. ხელოვნებათმცოდნე ც. დადიანიძე

სოფელი მაზანდარა

1. წმ. ნიკოლოზის სახელობის მშენებარე ეკლესია

წალენჯიხა-ჯგალის ცენტრალური სამანქანო გზის მარჯვენა მხარეს შენდება ახალი წმ. ნიკოლოზის სახელობის ეკლესია.

2. „ნაოხვამუ“ – მაცხოვრის სახელობის ნაეკლესიარი

სოფელი მაზანდარაში, სოფლის სამხრეთით, ცენტრალური გზიდან ხუთასიოდე მეტრის დაშორებით არის მაღალი გორაკი, რომლესაც ეძახიან „ნაოხვამუს“, იქ ძველად, ადგილობრივთა გადმოცემით მდგარა ძალზედ ძველი მაცხოვრის სახელობის ეკლესია.

3. ციხე-სიმაგრე – „ნოჯიხი“

ნაოხვამუდან ჩრდილო-აღმოსავლეთით დაახლოებით 500 მეტრში, შემაღლებულ ბორცვს ეძახიან „ნოჯიხს“ ანუ „ნაციხარს“, სადაც ადგილობრივთა გადმოცემით არის ნანგრევების ნაშთები. ჩვენ დავათვალიერეთ ეს ადგილი, თუმცა ეკალ-ბარდებით არის დაფარული და რამის გარჩევა შეუძლებელია. ის სამხრეთ-დასავლეთით გადაჰყურებს წალენჯიხას, ჩრდილო-დასავლეთით საჩინოს, ლიას და სქურის ხეობას. ეს ციხეც სქურის ხეობის თავდაცვით ხაზს უნდა მომსახურებოდა, სტრუქტურულად ადგილი კარგად არის შერჩეული; მისასვლელი აქვს სამხრეთ-დასავლეთიდან.

არქიტექტურულად ის ამ სახით არის ფიქსირებული 1990 წელს: წალენჯიხის რაიონი, სოფ. მაზანდარა, ადგილი „ნაჯიხურუ“; ციხის ნაშთი; ტიპი – საფორტიფიკაციო. შუა საუკუნეები; შემაღლებულ ბორცვზე შემორჩენილია გალავნის უმნიშვნელო ფრაგმენტი, რომლის საამშენებლო მასალად გამოყენებულია ფლეთილი ქვა – დუღაბზე. ნაგებობის ღერძი ვითარდება ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ.

1990 წ. 29 ნოემბერი, ხელოვნებათმცოდნე მ. აბაშიძე.

სოფელი მედანი

1. ციხე-სიმაგრე

მდინარე ჭანისწყლის მარჯვენა სანაპიროზე არის ციხის ნაშთები, დასავლეთით მას უვლის ძვაზების ღელე. შემორჩენილია კედლის ფრაგმენტები და იკითხება ორი კოშკის ნაშთი. უკეთაა გადარჩენილი სამხრეთის კოშკი. ის სამხრეთ-დასავლეთის უყურებს ლესალეს ჯიხას, ხოლო ჩრდილოეთით სქურის ხეობას, სამხრეთით ჩანს მაზანდარაში ფიქსირებული ციხე – „ნოჯიხი“, ასევე ამავე ხაზზე ჩანს ლეხარჩილავეს სასაფლაო და იქ მდგარი ახალი სამრეკლო.

არქიტექტურულად ეს ძეგლი 1990 წელს ამ სახით არის აღწერილი: წალენჯიხის რ-ნი, სოფ. მედანი, სამანქანო გზის პირას; ციხე-კოშკის ნანგრევი; ტიპი – თავდაცვითი, გვიანი შუა საუკუნეები; ციხე-დარბაზის ნანგრევი მდებარეობს შემაღლებულ ბორცვზე, რომელსაც აღმოსავლეთიდან მდ. ჭანისწყლის ხეობა ჩამოუდის. მცირე ხევი ბორცვს

სამხრეთ-დასავლეთიდანაც ეკვრის. ჭანისწყლის ხეობის მხრიდან შემორჩენილი კედლების სიმაღლე 2,5-3 მეტრს აღწევს. კედლები ნაგებია ძირითადად რიყის ქვით-კირის დუღაბზე; ციხის საამშენებლო ღერძი ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ ვითარდება. ერადერთი შემოსასვლელი დატანებულია ჩრდილოთ მხარეს. ციხის შემორჩენილი კედლები კონცხის კონფიგურაციას იმეორებს; ჩრდილოეთ და სამხრეთ მხარეს შემორჩენილია კოშკების ნანგრევები. სამხრეთის კოშკის კედლები უფრო გადარჩენილია და გეგმაც იკითხება. ამ კოშკიდან დასავლეთით რამდენიმე მეტრში სვეტის ორსაფეხურიანი ბაზისია შემორჩენილი. პირველი საფეხური კარგად დამუშავებული თოხკუთხა ქვაა; ციხის ჩრდილოეთ ნაწილში მდებარე კოშკიდან შემორჩენილია კედლების უმნიშვნელო ფრაგმენტი. იგი ნაგები იყო ყორე-ქვით. გეგმით წაგრძელებულ სწორკუთხედს წარმოადგენს; ციხის ტერიტორიაზე მიწის დონე ძალზედ აწეულია. ამოსულია ბუჩქნარი.

1990 წ. 26 ნოემბერი,
ხელოვნებათმცოდნე მ. აბაშიძე

ციხე-კოშკის ნანგრევი (I კოშკი). გვიანი შუა საუკუნეები; ტიპი – თავდაცვითი; კოშკი მდებარეობს ციხის სამხრეთ ნაწილში. გეგმით ოთხკუთხედს წარმოადგენდა და ნაგებია სხვადასხვა ზომის რიყის ქვით – კირის დუღაბზე. კედლები შემორჩენილია სხვადასხვა დონეზე. უკეთესადაა გადარჩენილი აღმოსავლეთ კედლის ფრაგმენტები. კოშკის ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში, გარედან ორსაფეხურიანი ცოკოლი იკითხება. საამშენებლო ღერძი ვითარდება ამოსავლეთიდან დასავლეთისაკენ; კოშკში და მის გარშემო მიწის დონე აწეულია, ამოსულია გვიმრა და ეკლესიანი ბალახი.

1990 წ. 26 ნოემბერი, ხელოვნებათმცოდნე მ. აბაშიძე

ციხე-კოშკის ნანგრევი (II კოშკი). შუა საუკუნეები; ტიპი – თავდაცვითი; კოშკი შემორჩენილია უმნიშვნელო ფრაგმენტების სახით და მდებარეობს ციხის ჩრდილოეთ ნაწილში. კოშკი გეგმით წაგრძელებულ სწორკუთხედს წარმოადგენს. ნაგებია რიყის ქვით. მის გარშემო მიწის დონე აწეულია.

1990 წ. 29 ნოემბერი. ხელოვნებათმცოდნე მ. აბაშიძე

2. ჩიქოვანების კარის ნაეკლესიარი

ამ ციხიდან დაახლოებით 200 მეტრში იდგა ჩიქოვანების კარის ხის ეკლესია. ადგილობრივთა გადმოცემით, ის ეკუთვნოდა გოგი ჩიქოვანს და მის შვილს კოსტა ჩიქოვანს.

ო. სოსელიას აღნიშვნით, კვაუთელი ჩიქოვანების ერთი შტო მკვიდრდება მედანში XVIII-XIX საუკუნეთა მიჯნაზე[1].

სოფელი საჩინო

1. გაშფერდის წმ. გიორგის სახელობის ნაეკლესიარი და ახალი ეკლესია

მდინარე ინწრიის მარჯვენა მხარეს, შემაღლებულ ბორცვზე, რომელსაც ეძახიან „გაშფერდს“ და „ცაცხვის ფერდს“ ადგილობრივთა გადმოცემით იყო სასაფლაოები და სამჭედლოც, სადაც მოიპოვებოდა რკინის წიდა და მზადდებოდა რკინა. იქ იდგა წმ. გიორგის სახელობის ეკლესია და ესვენა სასწაულთმოქმედი ხატი. ეს ეკლესია შემდეგ გადმოუტანიათ მდ. ინწრიის მარჯვენა სანაპიროსთან, სადაც აუშენებიათ იმავე სახელწოდების (წმ. გიორგის) ხის ეკლესია, რომელიც გასაბჭოების დროს დაუნგრევიათ. დღეს აქ ახალი ეკლესია შენდება. აქ ძველად ცხოვრობდნენ კვარაცხელიები.

იმ ადგილას სადაც დღეს შენდება წმ. გიორგის ახალი ეკლესია ეძახიან „ნაბერთუს“. აქ მღვდელი ყოფილა ბესარიონ ჯაფარიძე, ასევე მელაუნტი მგალობლიშვილი და დადიოდა ქვარცხავა ჯგალიდან.

2. კუხეშის მიქამგარიოს მიხეილ და გაბრიელ (მთავარანგელოზთა) სახელობის ნაეკლესიარი

მდ. ინწრიის მარჯვენა და მდ. ნოჟელას მარცხენა სანაპიროს შორის (ზემოთ მიედინება მდ. ხურჩი) შემაღლებულ ადგილას არის ეკლესიის ნაშთები. აქვეა სასაფლაოები. ადგილობრივთა გადმოცემით ეს იყო „მაქამგარიოს“ ანუ მიხეილ და გაბლიერ მთავარანგელოზთა სახელობის; აფაქიძეების კარის ეკლესია. ადგილობრივთა გადმოცემით აფაძგეებს უცხოვრიათ ცოტა ზემოთ (იმავე სოფელში) ენწერ (მაღალ) ადგილებში, რომელსაც „სააფაქიო ენწერს“ ეძახიან. ბოლო მღვდელი აქ იყო ნიკო ქარჩხავა. მთლიანად ამ სოფლებს – ნაგურუ, კუხეში, საჩინო, მედანი, ლესალეს განაგებდა ჯგალის მამასახლისი.

---

[1] ო. სოსელია, ნარკვევები ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს ისტორიიდან (სათავადოები), I, თბ., 1973, გვ. 320.

დღევანდელი მდგომარეობით ეკლესიის ჭერი და ჩრდილოეთის კედლის და საკურთხევრის ნაწილი ჩამონგრეულია. ძეგლი სავალალო მდგომარეობაშია და თითქმის დაშლის პირას არის.

1990 წელს კი ძეგლი არქიტექტურულად ამ სახით არის აღწერილი: წალენჯიხის რ-ნი, სოფ. საჩინო; ეკლესია; ტიპი – საკულტო; დარბაზული ეკლესია ნაგებია მოთეთრო-მონაცრისფრო უხეშად თლილი ქვით და ფიქალებით – კირის სქელ დუღაბზე; ეკლესია გეგმის სწორკუთხედს წარმოადგენს, აღმოსავლეთით შვერილი, ნახევარწრიული აბსიდით, რომელშიც გაჭრილია სამი სარკმელი, სამივე ღიობი გარეთ არქიტრავული, შიგნით თაღოვანია. აბსიდის სამხრეთ მხარეს ერთი თაღოვანი, ხოლო ჩრდილოეთით ერთი თაღოვანი და ერთი სწორკუთხა ნიშებია მოწყობილი. საკურთხევლის წინ ნახევარწრიული სოლეაა შემორჩენილი. აბსიდი დარბაზისაგან გამოყოფილია მძლავრი მხრებით; გრძივი კედლები პილასტრების საშუალებით სამ თანაბარ ნაწილად იყოფა. ამავე კედლებში დატანებული კარ-სარკმლები ერთმანეთის მიმართ სიმეტრიულადაა განლაგებული. სარკმლები თაღოვანია, შესასვლელები არქიტრავული. ასეთივე კარი და სარკმელი მოთავსებულია დასავლეთ კედელში. ეკლესიის ფასადები აბსოლუტურად სადაა.

1990 წ. 26 ნოემბერი, ხელოვნებათმცოდნე ც. დადიანიძე

3. „მამუკიას ჯიხა“ – ციხე-სიმაგრე

სოფელ საჩინოში, კუხეშის უბანში „ენწერ ფერდად“ წოდებულ ადგილას მდებარეობს „მამუკიას ჯიხის“ სახელწოდებით ცნობილი ციხე. ციხე მცირე ფართობზეა გაშლილი და რიყის ქვითაა ნაშენი. გამოკეთილად შემორჩენილია სამხრეთ-დასავლეთისკენ მიმართული კოშკის ნაშთები. ჩრდილო-აღმოსავლეთით უნდა ყოფილიყო

მეორე კოშკიც. ჩრდილო-დასავლეთით ის გადაჰყურებს „ომუნეს“ კოშკს. სამხრეთ-დასავლეთით ასევე ჩანს სოფელ ლიას „დიდი ქარისას“ ჯიხა და სამხრეთით მდ. ენგურის ხეობის სოფლები. ჩრდილოეთით კი სამეგრელოს მთიანეთი, ჯვარი, შემდეგ სქურის, ასევე ლაკადის მთის კალთები და ჩრდილო-აღმოსავლეთით მიმდებარე ტერიტორია.

არქიტექტურულად ეს ციხე ამ სახით არის აღწერილი: წალენჯიხის რაიონი, სოფ. ზედა საჩინო (კუხეში) ადგილი „ჯიხური“; ციხე-კოშკი „მამუკიას ჯიხა“. გვიანი შუა საუკუნეები; ტიპი–საფორტიფიკაციო-თავდაცვითი; ციხის ნანგრევი მდებარეობს შემაღლებული ბორცვის მოვაკებულ ადგილას. ნაგებია სხვადასხვა ზომის ყორე-ქვით–კირის სქელ დუღაბზე. ციხე გეგმით სწორკუთხედს წარმოადგენს, მის ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში კოშკის ნანგრევია. კოშკის აღმოსავლეთი კედელი მიწის პირამდეა ჩამონგრეული. ჩრდილოეთ კედელზე იკითხება ორი სართულის დონე; ციხის

ჩრდილოეთით და ჩრდილო-აღმოსავლეთის კუთხე გამაგრებულია ნახევარწრიული ბურჯებით. ტერიტორიაზე მიწის დონე აწეულია, ყრია ჩამონაშალი ქვები. ციხიდან დასავლეთით 7-8 მეტრში მოწყობილია წყლის რეზერვუარი.

1990 წ. 29 ნოემბერი, ხელოვნებათმცოდნე მ. აბაშიძე.

საჩინო იხსენიება 1733 წლის გუჯრებში გრიგოლ კათალიკოზისა ბიჭვინთის საბუთთაგან: „...აბაზას ერთი მოსახლე კაცი, საჩინოს ზავთასი წინამძღვარი მაკარიოზ და მისი ძმა გ ი და სამი სხვა მაკარიოზის გლეხები მახარაძე ნასყიდა და ორი სხვა...“ [1].

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ ამ სოფელში აფაქიძეებს ჰქონიათ კარის ეკლესია. ამავე დროს მათ მფლობელობაში უნდა ყოფილიყო მამუკიას ჯიხაც, რომელსაც მთხრობლები გვისახელებენ როგორც ამ ციხის მფლობელი ერთ-ერთი აფაქიძის სახელად. თავად აფაქიძეების ამ ტერიტორიის ფლობაზე მიუთითებს ტოპონიმი „აფაქიძეების ენწერი“.

ო. სოსელიას აღნიშვნით, აფაქიძეები ზემო სამეგრელოში ორ ციხე-სიმაგრეს ფლობდნენ. ერთს საჩინო-ჯვარის საზღვრებზე და მეორეს კუხეშში, რომელსაც „მამუკიას ჯიხას“ ეძახიან. ო. სოსელიას აღნიშვნით, ამ ციხის ძველთაძველი მფლობელი უთუოდ მამუკია აფაქიძე იყო და ამიტომაც დარქმევია ციხეს ასეთი სახელი. XIX-XX საუკუნეთა მიჯნაზე ამ ციხის მიდამოებში სახლობდა თავადი ლევან აფაქიძე, რომელიც გადმოცემით მამუკიას შტამომავლად ითვლებოდა[2].

4. კუხეში ნაგებობის ნაშთი

სოფლის ცენტრთან არის რიყის ქვისგან ნაშენი შენობის ნაშთი. არქიტექტორთა მიერ კიდევ ერთი სხვა ნაგებობის ნაშთიც არის აქ ფიქსირებული, რომელსაც ჩვენ ვერ მივაგენით. კერძოდ: წალენჯიხის რ-ნი, სოფ. საჩინო. მიდამოები გზის პირას; ნაგებობის ნაშთი; სამანქანო გზის პირას შემორჩენილია გაურკვეველი დანიშნულების ნაგებობის ნაშთი. ქვა ფლეთილია. ჩანს დუღაბის კვალი. შემორჩენილი ფრაგმენტები ამჟამად ძველია.

1990 წ. 29 ნოემბერი, ხელოვნებათმცოდნე მ. აბაშიძე

სოფელი ნაგურუ

[1] ს. კაკაბაძე, დასავლეთ საქართველოს საეკლ

[2] ო. სოსელია, ნარკვევები ფეოდალური ... ან (სათავადოები), III, თბ., 1990, გვ. 166.

მიხაელ და გაბრიელ მთავარანგელოზთა (მიქამგარიოს) სახელობის ეკლესიის ნაშთი

მდინარე ინწირიის მარცხენა სანაპიროსთან იდგა მიქამგარიოს – მიხაილის და გაბრიელ მთავარანგელოზთა სახელობის ქვის ეკლესია. შემორჩენილია 1-1,5 მ-ის სიმაღლის კედლები, წრე და კუთხეები კარგად იკითხება. ეკლესია იყო ერთნავიანი. ეს ყოფილა ჩიქოვანების კარის ეკლესია. ნაშენი იყო ადგილობრივი კირქვის უხეში ფლეთილი ქვებით კირის დუღაბზე. ბოლო მღვდელი აქ ყოფილა ილარიონ ჩიქოვანი.

1990 წელს არქიტექტორების მიერ ეს ეკლესია ფიქსირებულია, თუმცა მას აღმოსავლეთით უმნიშვნელო კედლის ნარჩენებად აღწერენ. ადგილობრივებს დღე-ისათვის ეს ეკლესია გაუწმენდიათ და კედლებიც 1-1,5 მეტრის სიმაღლეზე გარკვევით ჩანს: წალენჯიხის რ-ნი, სოფ. ნაგურუ, სასაფლაოზე; ნაეკლესიარი; ტიპი – საკულტო. შუა საუკუნეები; ეკლესიიდან შემორჩენილია მხოლოდ აღმოსავლეთ კედლის უმნიშვნელო ფრაგმენტი. დანარჩენი კედლები დაფარულია მიწით და მცენარეულობით. აქა-იქ ყრია რიყის ქვა.

1990 წ. 29 ნოემბერი, ხელოვნებათმცოდნე მ. აბაშიძე

სოფელი ჩქვალერი

1. საშეროზიოს მოცინარეს ხატი და ნაეკლესიარი

სოფელ ჩქვალერში, საშეროზიოს უბანში, ღეძობედ წოდებულ მაღალ მთაზე მდგარა „მოცინარეს“ ხის ეკლესია. „მოცინარე“ ერქვა ხატს. ეს ხატი სვანებს გაუტაცნიათ უშგულში. ის იყო შეროზიების საგვარეულო ხატი. დღეს ამ ადგილებში მოსახლეობა არ არის, თუმცა ჩვენ უამრავი ნასახლარები ვნახეთ. აქ მჭიდრო დასახლების არსებობაზე მდ. ინწრიის გასწვრივ მაღალ ხეობაში მიუთითებს ონომასტიკური მასალა – ნაჯაჯე, ლეძობე, ნასვირა, ოხორა.

პ. ცხადაიას მასალებით, მოცინარე//ჯგერაგი – ნაეკლესიარი ლეძობეში; გადმოცემით მოცინარე, ანუ ჯგერაგი, ხატი ყოფილა. ილოცებოდნენ შეროზიები და კვარაცხელიები. დაკავშირებული ყო ჯეგელაფაროს ხატთან. გადმოცემით გაიტაცეს სვანებმა და ჩააშენეს ბეჩოს ეკლესიის კედელში[1].

[1] პ. ცხადაია, სამეგრელოს გეოგრაფიული სახელწოდებანი (წალენჯიხის რაიონი), თბ., 2004, გვ. 84.

4. ლეძობეს ანუ ქართლიშის ჯიხა – ციხე-სიმაგრე

მდინარე ინწრიის მარცხენა ნაპირთან ლეძობეს მთის ძირში მაღალ კლდეზე დგას ციხე-სიმაგრის ნაშთები. ის უფრო კოშკის შთაბეჭდილებას ტოვებს. ის მეტწილად წარმოადგენს ბუნებრივ კლდეს, ხოლო დასავლეთ და ჩრდილოეთ მხარეს ეტყობა კირის დუღაბზე ადგილობრივი ფლეთითი კირქვით ნაშენი კედლები. აღმოსავლეთით ის უყურებს ლესალეს ჯიხას. სამხრეთ-აღმოსავლეთით საჩინოს ჯიხას. ეს ადგილი სამხრეთით უყურებს ენწერის ციხესაც.

ის 1990 წელს ამ სახით არის ფიქსირებული: წალენჯიხის რაიონი, სოფ. ჩქვალერი, მდ. ინწრას ხეობა, მდინარის მარცხენა ნაპირი, მთაზე; კოშკი „ქართლშის ციხე“; ტიპი – თავდაცვითი; სათვალთვალო კოშკი დაშენებულია კლდის ქანზე. ნაგებია ფლეთილი ქვით. მისი აზომვა ვერ მოხერხდა.

1990 წ. 29 ნოემბერი. ხელოვნებათმცოდნე მ. აბაშიძე..

3. ნაოხვამუ ნაეკლესიარი

ლეძობეს მთის სამხრეთ-დასავლეთით შემაღლებულ გორაკზე არის ადგილი „ნა-ოხვამუ“, სადაც ადრე ეკლესია მდგარა.

4. ლეშამგეს მაცხოვრის სახელობის („ქირსე მანცხვარი“) ეკლესია

სოფელ ჩქვალერში ლეშამუგეს უბანში დგას მაცხოვრის სახელობის ეთრნავიანი დარბაზული ეკლესია. ის ახალი აღდგენილია. დეკანოზი აქ ყოფილა აქვსენტი ჭანტურია, დიაკონიც ჭანტურია ყოფილა.

ვფიქრობთ, ლეშამუგეს ეკლესია ძალზედ ძველ ნაგებობას წარმოადგენს და ის შესაძლოა VI-VII საუკუნეებისაც იყოს.

ს. მაკალათიას მიხედვით, „ძლიერი ხატი ჯვარში იყო „ლეშამუგეს ქირსე-მანცვარი“. აქ ამაღლების მეორე კვირას „ზვარაკუა“ იცოდნენ თურმე. მეორე ხატობა მისი იყო „გიორგობას“ – 10 ნოემბერს. ამ დღეს აქ მრავალი მცლოცველი მოდიოდა. ვისაც დაპირება ჰქონდა ის მიდიოდა ფეხშიშველი, მიჰყავდა შესაწირავად ბატკნები, ციკნები და სხვა. აქვე სცოდნიათ ხატზე გადაცემა და დაწყევლა. ვისი წყევლაც გასჭრიდა, წყევლა მაწყევარს რომ არ დაბრუნებოდა, გადამცემი ასრულებდა „განალინ“-ს და ამ მიზნით ის დაუკლავდა ხატს საკლავს და შესთხოვდა წყევლის გაბათილებას. ხალხური რწმენით, ჯგეგეს და ქირსეს წელიწადში ერთხელ გიორგობა დღეს, ხარი მოუვიდოდა. ხარი გიორგობა დღეს თავის ფეხით მიდიოდა, საყდრის კარებთან დადგებოდა, მნათე მას დაიჭერდა და დაკლავდაო. ამ ხარის ხორცს ხალხს აჭმევდნენო. ხშირად ჯგეგე და ქირსე გადაცემულ ადამიანს თავის ფეხით მიიყვანდა ეკლესიის კარებთანო. გადაცემულს ეკლესიის კარებთან მიაბამდნენ. გადაცემის დროს მაწყევარი იტყოდა: „ჩემი მავნებელი ჯგეგე და ქირსე, ისე ცუდად გახადე, რომ იგი აიძულე განს კარზე თავისი ფეხით მივიდეს და იქ მიაბანო“. ამის გამო, გადაცემული ადამიანი ცუდად გახდებოდა, ის მკითხავის რჩევით, მიდიოდა ქირსეს კარებთან და მას იქ დააბამდნენ. მას დაიხსნიდა მისივე მოკეთე, რომელმაც მკითხავის მითითებით იცოდა თუ რამდენი ფული უნდა მოეტანა ხატისათვის ავადმყოფის დასახსნელად. ხშირად ადამიანის სანაცვლოდ, ცხენს ან ხარს მიაბამდნენ ხატის კარებთან და ამის შემდეგ ავადმყოფი ახსნილად ითვლებოდა და ის იკურნებოდაო. ამ ქირსეს ხატთან დაკავშირებით, სხვათა შორის, ასეთი თქმულება არსებობს: ერთი კაცი ყოფილა, სახელად არამხუტუ, რომელსაც ყურსალები ჰყოლია, ადამიანებს იპარავდა თურმე და ოსმალებზე ჰყიდდა. არამხუტუს მამას რქმევია აფიცბა და იგი ჩამომავლობით ყოფილა აფხაზი. ერთხელ არამხუტუ მოსულა ჯვარში და აქ ერთ განაპირა ადგილას უნახავს, რომ დედა-შვილი ღომსა მკიდნენ. არამხუტუ მათ მიპარვია და დედისთვის მოუპარია ახალგაზრდა გოგონა და გაქცეულა. დედის კივილზე ხალხი შეყრილა და ქარდავებს შეუხვეწნიათ ქირსეს ხატისათვის არამხუტუს მუხლები მოჰკვეთე და გოგონა პატრონს დაუბრუნეო. ქალის მამა და ქარდავები გამოჰკიდებიან არამხუტუს, რომელსაც ჩქარა უგრძვნია მუხლების ტკივილი და დაუწყია მუხლების სრესა. ამის გამო მდევარიც მას ჩქარა დასწევია, ის მოუკლავთ და თავიც მოუჭრიათ. ეს თავი გრძელ ჯოხზე ჩამოუკიდიათ და ქირსეს ეკლესიის კარზე დაურჭვიათ. აქვე მიუყუდებიათ მისივე რკინის წვეტიანი ჯოხი „ლაბაშა“, არამხუტუს საპირისწამლე კი ჯგეგეს ეკლესიაში ჩამოუკიდიათ“[1].

არქიტექტურულად ლეშამგეს ქირსე მანცვარის ეკლესია ამ სახით არის აღწერილი 1990 წელს: წალენჯიხის რ-ნი, სოფ. ჩქვალერი, სოფლის სასაფლაოზე; „ლეშამგეს“

[1] ს. მაკალათია, სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, თბ., 1941, გვ. 435-436.

ეკლესია. შუა საუკუნეები; ტიპი – საკულტო; დარბაზული, შვერილაფსიდიანი ეკლესია დგას შემაღლებულ ადგილას სოფლის სასაფლაოზე; აგებულია ეკლესია, როგორც გარედან ისე შიგნით ადგილობრივი კლდის ჯიშის მოთეთრო ფერის უხეშად თლილი კვადრებითა და ქვიშაქვის კვადრებით. ქვები თითქმის თანაბარი ზომისაა, მაგრამ წყობაში შერეულია აგრეთვე უხეშად დამუშავებული სხვადასხვა ზომის თეთრი ქვა. კარის წირთხლებისა და ბალავარის ქვებისათვის მოყვითალო ფერის ქვიშა-ქვა არის გამოყენებული. ქვა კარგად გათლილია; მოგვიანებით ეკლესიის კედლები შეულესიათ, ცემენტის ხსნარით, რაც ძალზე უსიამოვნოს ხდის მას, ფასადების დიდი სიბრტყეები ზოგან განთავისუფლებულია ნალესობისგან. კამარა ჩამოქცეულია. ეკლესიისათვის კედლის ზედა ნაწილი ერთ სწორ ხაზზე გაუსწორებიათ და ხის სახურათი დაუდგამთ; გეგმის სწორკუთხა ნაგებობა აღმოსავლეთიდან დასრულებულია ღრმა, გაშლილი ნახევარწრიული ფორმის საკურთხევლით. მასში სამი მაღალი, თაღოვანი სარკმელია ერთ სიმაღლეზე განთავსებული. საკმლის ჩრდილოეთ მხარეს ორი თაღოვანი ნიშია, სამხრეთით კი ერთი სწორკუთხა. საკურთხეველი დარბაზისაგან განიერი მხრებით გამოიყოფა; შიდა სივრცე ორი წყვილი პილასტრის საშუალებით პირობითად ჰყოფს დარბაზს სამ არათანაბარ მონაკვეთად. ამათგან დასავლეთისა ყველაზე მოკლეა. დასავლეთ კედლის ორივე კუთხეში პილასტრია აყოლებული; ნაგებობა განათებულია გრძივ კედლებსა და დასავლეთ კედელში დატარებული ორ-ორი მაღალი თაღოვანი სარკმლებით, და საკურთხევრის სამი სარკმლით, რომელთა ქვედა სიბრტყე ძლიერ დაქანებულია; ნაგებობას გააჩნია სამი კარი – დასავლეთით, ჩრდილოეთით და სამხრეთით. გარედან ყველა კარი და სარკმელი არქიტრავულია. წითხლები შირიმის ქვისაა. შიგნიდან კი მათი ფორმა თაღოვანია, აქაც თაღებისათვის შირიმია გამოყენებული. თაღები ამოყვანილია სოლისებურად ჩაწყობილი ქვით და ყველას გააჩნია ჩამკეტი ქვა; ფასადები სადაა. ერთადრეთი დეკორატიული აქცენტი გაკეთებულია დასავლეთი კარის თავზე, წყობაში ჩაძირულია მოხდენილი ფორმის ნიშით. უფრო ფრონტონისაკენ ჩასმულია ქვიშაქვის სწორკუთხა ფილა, გოლგოთის რელიეფური ჯვრით. ეკლესია დგას ერთსაფეხურიან ცოკოლზე. დასავლეთ კარის წინ კიბის მრგვალი საფეხურია. ეკლესიის ჩრდილოეთ კედლის ძირში საფლავები აქვს მიჯრილი.

1990 წ. 26 ნოემბერი, ხელოვნებათმცოდნე ც. დადიანიძე

სოფელი ჯვარზენი

საგეთიოს ჯვარზენის ტრიქონქი (ჯგერგე)

გეთიების უბანში სოფლის სასაფ-ლაოსთან, არის ტრიქონქის ტიპის ეკლესიის ნაშთები. შემორჩენილია დაახლოებით 1-1,5 მეტრის სიმაღლის კედლები. ფორმა კარგად იკითხება. მას

ადგილობრივები ეძახიან „ჯგერგეს“.

ს. მაკალათიას მიხედვით, სოფელ ჯვარში, რომელიც ენგურის ნაპირას სამეგრელო-სვანეთის საზღვარზეა, არის ხატ-სამლოცველო, ე. წ. ჯგერგე და დარჩენილია მისი კედლები. ჯგერგე ითვლებოდა ძლიერ ხატად და გადმოცემით, ეს ჯგერგე არქანიებს მოუტანიათ სვანეთიდან (მესტიიდან) და დაუსვენებიათ სოფელ ჭალეში, სადაც არქანიები მოსახლეობდნენ. იმ ადგილს, სადაც მისი ეკლესია იყო აგებული ეწოდებოდა „ჯვარზენი“. მისი ხატობა სცოდნიათ 10 გიორგობისთვეს და ამ დღეს გჯგერგეში მახვეწარს მიჰქონდა შესაწირავი. იქ მიჰყავდათ სულით ავადმყოფები – „ხანგები“, რომლებსაც მშვილდში სამჯერ გაატარებდნენ. მიდიოდნენ აგრეთვე გამოსალოცავად „გილახვამუშა“, ვისაც რაიმე დაპირება ჰქონდა. ჯგეგეს მნათეებად იყვნენ: გეთიას და ეფსაიას გვარის უფროსი კაცები და ისინი ამწყალობებდნენ გჯერგეში მოსულ მლოცველებს. ჯვარიდან გამოთხოვილ ქალებს „საჯინჯხატო“-დ მოჰყავდათ ჯგეგეში ციკანი და შესაწირში კი მიჰქონდათ „ზინდილ-ვარჩხილი“ (ვერცხლის ძაფი)[1]. ეს ეკლესია, როგორც ჩანს დაანგრიეს 1933 წელს[2].

თ. ბერაძის თქმით, ნაგებობა გეგმაში წარმოადგენს ტრიქონს (სამნავიან ეკლესიას). ამ ტიპის ეკლესია საქართველოში გვხვდება არა უადრეს VII საუკუნისა და არა უგვიანეს X საუკუნისა. ეკლესიის ახლოს მიგნებული იყო ქვაყუთები, რომლის ინვენტარი VII-VIII საუკუნეებით თარიღდება. ეკლესიაც იმავე დრისად ივარაუდება[3].

თ. კაპანაძის მიხედვით, ეკლესია გეგმით წმინდა ტრიქონია. მას არავითარი დამატება არა აქვს. ერთი ზომის სამი აფსიდი ფარდულივითაა ერთმანეთზე მიდგმული. მეოთხე, დასავლეთის მხარე, სწორკუთხაა და მოკლეც. გეგმით იგი საოცარი კომპაქტური ნაგებობის შტაბეჭდილებას ტოვებს. ეკლესიის კარის ნაშთი მხოლოდ დასავლეთიდანაა შერჩენილი, გამორიცხული არაა, რომ კარი სამხრეთიდანაც ყოფილიყო. ერთი სარკმლის ნაშთი შემორჩა აღმოსავლეთით, მაგრამ სარკმელი სავარაუდოთ სამხრეთიდანაც უნდა ჰქონოდა[4]. ის IX-X საუკუნეებით თარიღდება, რომელი ტიპის ანუ პატარა ტრიკონქის ტიპის ძეგლი ერთადერთია დასავლეთ საქართველოში[5].

არქიტექტურულად ეს ძეგლი ამ სახით არის აღწერილი: წალენჯიხის რ-ნი, სოფ. ჯვარზენი; ტრიკონქის ნანგრევი „ჯგერგე“. ადრე შუა საუკუნეები; ე. წ. „ჯგერგის“ ტრიკონქი თითქმის განადგურებულია. გეგმის წაკითხვა ჯერ კიდევ შეიძლება. დასავლეთის მკლავი სწორკუთხაა, სამხრეთისა და აღმოსავლეთის მკლავების მომრგვალება მიწის პირზე იკითხება. ჩრდილოეთ მკლავზე სამი სამარხია გაჭრილ-აშენებული; ეკლესიის შიდა არე მიწით არის ამოვსებული. გარედან კედლები 50 სმ. დონეზე შემორჩა. ყველაზე უკეთ გადარჩა დასავლეთი მკლავი. მისი სიმაღლე ზოგან 2,5. სმ-ს აღწევს. კედლის სისქე 100 სმ. დასავლეთი მკლავის კედლებზე განსაკუთრებით კარგად ჩანს ეკლესიისათვის გამოყენებული სამშენებლო მასალა. ეს არის რუხი ფერის უხეშად თლილი კვადრები კირის დუღაბზე. ქვები თითქმის თანაბარია, წყობა კი სწორკუთხოვანი. საფასადო კედლების შერჩენილი ნაწილებშისაპირე მთლიანად

---

[1] ს. მაკალათია, დასახ. ნაშრომი, გვ. 435.
[2] გ. კალანდია, გაძარცული საგანძური, გვ. 166.
[3] თ. ბერაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 220-221.
[4] თ. კაპანაძე, ჯვარზენის ტრიკონქი, ძეგლის მეგობარი, №2, 1989, გვ. 66.
[5] თ. კაპანაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 67.

შემოცლილია; ტაძარი იდგა ქვის ცოკოლზე, რომლის ფრაგმენტებია შერჩენილი დასავლეთით და სამხრეთით. ცოკოლის ქვები ნაწყობი იყო ლილვისებურად, რომელსაც ხისტი პროფილი გააჩნდა; ძეგლის სრული სახით წარმოდგენისათვის საჭიროა ჩატარდეს არქეოლოგიური სამუშაოები.

1990 წ. 29 ნოემბერი, ხელოვნებათმცოდნე ც. დადიანიძე

2. ციხე-სიმაგრე და კოშკი (საგეთიო)

ტრიკონქის ტიპის ეკლესიიდან 10 მეტრში აღმოსავლეთით არის კოშკის ნაშთები. დღეს იქ საფლავებია გამართული და ფორმის გარჩევა შეუძლებელია. 1990 წელს ასეა აღწერილი: წალენჯიხის რ-ნი, სოფ. ჯვარზენი, სასაფლაოზე; „დიდი ქირსას“ კომპლექსის კოშკი (I); ტიპი – საფორტიფიკაციო. შუა საუკუნეები; სასაფლაოზე საფლავებს შორის აქა-იქ შემორჩენილია ძველი ციხის გალავნის ფრაგმენტები. უკეთესად ჩანს დასავლეთ კედლის ნაწილი. სამშენებლო ქვა ფლეთილია.

1990 წ. 29 ნოემბერი, ხელოვნებათმცოდნე მ. აბაშიძე

დაბა ჯვარი და მისი მიდამოები

1. ყოველთა წმინდანთა სახელობის ახალი ეკლესია

ზემო ჯვარში დგას ახლად აშენებული ყოველთა წმინდანთა სახელობის ეკლესია. შიგნით არის ყველა წმინდანის ახალი დაწერილი ხატები.

2. „გუბანის“ ეკლესია

მდ. ენგურის მარცხენა და მდ. მაგანას მარჯვენა სანაპიროს შორის წყალგამყოფთან, ი. ქარდავას კარმიდამოში არის ადგილი გუბანი, სადაც შემორჩენილია ძველი გუმბათიანი ეკლესიის ნანგრევები. ეკლესიასთან კიდევ დგას მეორე ნაგებობა, რომელსაც ასევე ეკლესიის ფორმა აქვს. ის უფრო პატარაა და გადმოცემით, თითქოს ზემოთ მდგარ ომუნეს ციხეს უკავშირდებოდა გვირაბით.

ამ ეკლესიაზე წერილობით წყაროებში ცნობებს ვერ ვპოულობთ და არ ვიცით ისიც თუ ვისი სახელობის იყო. ხოლო რაც შეეხება მის სახელწოდება „გუბანს“, რომელსაც ადგილობრივები უწოდებენ, შესაძლოა სიტყვა „გუმბათის“ მეგრელიზებული ფორმა იყოს.

თ. ბერაძის აღწერილობით, ეკლესია ცენტრალურ-გუმბათოვანი ყოფილა. აბსიდა შვერილია. გუმბათი ეყრდნობა სვეტებს, რომელთაგან ორი საკურთხევლის კუთხეებთან დგას, და ორიც დასავლეთის მხარეს. საყრდენების ეს სისტემა საქართველოში XI საუკუნის დასაწყისიდან გვხვდება, ეკლესიას სამი შემოსასვლელი ჰქონია: ჩრდილოეთის, სამხრეთისა და დასავლეთის მხრიდან. შემდგომ ნაგებია დიდი კვადრებით დუღაბზე. ეს ეკლესია პ. ძაქარაიამ, XI-XII საუკუნეებით დაგვითარიღა. გუბანის ეკლესიიდან 50 მეტრის მოშორებით ჩრდილოეთით დგას ერთნავიანი დარბაზული ტიპის ეკლესია... მას შესასვლელი დასავლეთისა და სამხრეთის მხრიდან ჰქონია. ჩრდილოეთის კედელში გაჭრილია კარი, რომელიც მინაშენში გადადიოდა. მშენებლობის დროს ეს მინაშენი დაინგრა და ნანგრევებში ადამიანთა მრგვალი ძვალი გამოჩნდა. უნდა ვიფიქროთ, რომ აქ საძვალე იყო. ეკლესიისათვის მოგვიანო ხანაში კარიბჭე გაუკეთებიათ. გუბანის ეს მეორე ეკლესია წყობით მიხედვით გვიანფეოდალური ხანით თარიღდება[1].

ეს ძეგლი არქიტექტურულად ამ სახით არის აღწერილი: წალენჯიხის რ-ნი, სოფ. ჯვარი, ი. ქარდავას კარ-მიდამო; ეკლესია „გუბანი“. ადრე შუა საუკუნეები; ტიპი – საკულტო; დარბაზული ეკლესია შემორჩენილია ნანგრევების სახით. ნაგებია სხვადასხვა ზომის ფლეთილი და უხეშად დამუშავებული ქვით – კირის დუღაბზე; ეკლესია გეგმით სწორკუთხედს წარმოადგენს, აღმოსავლეთ ოდნავ ნალისებური აბსიდით, რომლის ცენტრში გაჭრილია თაღოვანი ჩარკმელი, სარკმელის ორივე მხარეს თითო სწორკუთხა ნიშია მოწყობილი. აბსიდი დარბაზისაგან გამოყოფილია მხრებით; გრძივი კედლები შემორჩენილია სხვადასხვა დონეზე, დასავლეთის კედელი მთლიანად ჩამონგრეულია. თაღოვანი შესასვლელი ეკლესიის სამხრეთიდან ჰქონდა. ამჟამად კარი ამოშენებულია. ჩრდილოეთ კედელში გაჭრილია გვირაბი, რომელიც კოშკს „ომუნეს ჯიხას“ უკავშირდებოდა; ინტერიერში მიწის დონე ძალზედ აწეულია, სუფევს საშინელი ანტისანიტარია; ეკლესიის სამხრეთით შემორჩენილია მინაშენის ფრაგმენტი. კერძოდ სამხრეთ-აღმოსავლეთის კუთხე.

1990 წ. 28 ნოემბერი, ხელოვნებათმცოდნე მ. აბაშიძე

[1] თ. ბერაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 221.

წალენჯიხის რ-ნი, სოფ. ჯვარი, მდ. ენგურის მარცხენა ნაპირზე (ორი მოსახლის ეზოში); გუმბათოვანი ეკლესია. არდამავალი ხანა; ტიპი – საკულტო; ოდესღაც მშვენიერი, დღეს დიდებულ ნანგრევებად ქცეული შვერილაბსიდიან ეკლესიას არ დაუკარგავს მიმზიდველობა. იგი წარმოადგენდა გუმბათოვან ტაძარს აგებულს ქვიშა-ქვისა, შირიმისა და უხეშად დამუშავებული სხვადასხვა ზომის კვადრებისაგან – კირის დუღაბზე. მას გარს უვლიდა ქვის მაღალი ცოკოლი. მიუხედავად ძლიერი დაზიანებისა, ეკლესიის ინტერიერში და მის გარშემო დაყრილი ჩამონაშალი ქვების მიხედვით მთლიანად აღიქვამ მის მოცულობას, კედლები საკმაო სიმაღლეზეა შერჩენილი. გატყავებულ და გაძარცვულ კედლებს თარაზული წყობის ანაბეჭდი ამჩნევია. ჩამოქცეულ ქვებს შორის ბევრია შირიმის დეტალები. ტაძრის შუაში მიწაზე დევს ჩამოვარდნილი ტრომპი კედლებისა და დუღაბის ფრაგმენტებიანად. ნაგებობის გაწმენდის გარეშე გეგმის მთლიანად აღდგენა არ მოხერხდება; საკურთხეველი, მძლავრი სამსაფეხურიანი პილასტრებით გამოიყოფა დარბაზის სივრცისაგან. საკურთხეველს გააჩნია ბემა. აბსიდის ორსავე მხარეს განლაგებულია მცირე ზომის სამკვეთლო და სადიაკვნე. სამკვეთლოში შერჩენილია კამარის ერთი მწკრივი და საბჯენი თაღის ფრაგმენტი. ეს სათავსოები თითო თაღოვანი კარით უკავშირდებიან დარბაზს. სამხრეთი სათავსო ამოვსებულია. გუმბათი ეყრდნობა ორ თავისუფლად მდგარ სვეტს და აბსიდის შვერილებს. გადასვლა გუმბათქვეშა კვადრატიდან გუმბათის ფუძეზე განხორციელებული იყო ტრომპის საშუალებით. სვეტებიდან ჩრდილოეთისა შემორჩა, ისიც ნაწილობრივ გადაქცეული და დეფორმირებული. ამგვარად შიდა სივრცე სამ ნაწილად იქნებოდა დაყოფილი. ჩრდილოეთი ნავის ამავე მხარეს კედელზე ნახევრად ჩამოქცეული პილასტრია შერჩენილი. გუმბათქვეშა ოთკუთხა სვეტის თავზე თაღის ფრაგმენტებია შემორჩენილი; ეკლესიის განათების სრული სურათი ამდამად არ გაგვაჩნია. სარკმლები შემორჩენილია დასავლეთ კედელში, მათი გადაწყვეტა ასეთია: ორ მაღალ, თაღოვანი სარკმლების შუა, მაღლა კიდევ ერთი ნახევრად ჩამოქცეული სარკმელია, რაც ჯვრისებრ კომპოზიციას ქმნის. ანალოგიურად უნდა იყოს სარკმელთა განლაგება ჩრდილოეთ კედელზე. იმის გამო, რომ ეკლესიის კედლების სუროს აქვს შეჭმულ-დაფარული ბოლომდე აქაც არა გვაქვს რაიმეს თქმის საშუალება.

საკურთხევლის შუა კედელი საერთოდ ჩამოქცეულია. შესასვლელი კარი ტაძარს სამივე მხრიდან გააჩნდა. ჩრდილოეთის თაღოვანი შესასვლელი კარის კვალი კი იკითხება მიწის დონეზე. ტაძარს გარს უვლიდა ქვის მაღალი რამოდენიმე საფეხურიანი ცოკოლი. ამჟამად მისი ორი საფეხურიღა ჩანს. იგი კარგად შემორჩა დასავლეთი კარის ორსავე მხარეს. ცოკოლის გაგრძელებას წარმოადგენს თითო კარგად გათლილი, რუხი ფერის ქვიშაქვა, ასეთი ქვა ფასადებზე სხვაგან არ ჩანს; კედლებს შორის შემავალ მასალად გამოყენებულია ყორე ქვა და რიყის ქვა. საფასადო წყობასა და ინტერიერის ქვის წყობას შორის ერთგვარი სხვაობაა. ინტერიერში შედარებით მცირე ზომის ქვაა ნახმარი.

1990 წ. 26 ნოემბერი, ხელოვნებათმცოდნე ც. დადიანიძე

3. ხუდონის კოშკი

ენგურჰესის წყალსაცავთან მთის ძირში, იყო ორ სართულიანი კოშკის ნაშთები. ჩვენ მისი ნახვა ვერ მოვახერხეთ, რამდენადაც ის კაშხლის წყლით იყო დაფარული, რაც ხშირად ხდება.

1990 წელს ეს ძეგლი ამ სახით არის აღწერილი: წალენჯიხის რაიონი, სოფ. ჯვარი, მდ. მაგანას ხეობა, ნასოფლარი „ხუდონი"; კოშკის ნანგრევი; ტიპი – თავდაცვითი. გვიანი შუა საუკუნეები; ოთხკუთხა კოშკი დგას ხეებითა და ბუჩქნარით დაბურულ ადგილას. ნაგებია რიყისა და უხეშად თლილი ქვით-კირის დუღაბზე. შემორჩენილია თითქმის ორი სართულის დონეზე. კოშკი მთლიანად ამოვსებულია მიწით და ჩამონაშალი ქვით. ამდენად ვერ აიზომება; ფასადები ბევრ ადგილას გარღვეულია. დასავლეთით საპირე ქვა თითქმის შემოცლილია.

1990 წ. 26 ნოემბერი, ხელოვნებათმცოდნე მ. აბაშიძე.

4. ხუდონის ქარდავების უბნის ნაეკლესიარი

სოფელს ხუდონში სასაფლაოსთან ქარდავების უბანში მდგარა ხის ეკლესია, თუმცა დღეს უმნიშვნელო ქვის ხროვებია შემორჩენილი და ეკალ-ბარდებით არის დაფარული. ეს ადგილი 1990 წელს ამ სახით არის აღწერილი: წალენჯიხის რაიონი, სოფ. ჯვარი, მიდამოები, ნასოფლარი „ხუდონი"; ნაეკლესიარი; ტიპი – საკულტო. შუა საუკუნეები; ეკლესიიდან შემორჩენილია მხოლოდ ბუდე და გალავნის უმნიშვნელო ფრაგმენტი, რომელიც ნაგები იყო ფლეთილი ქვით. ჩანს დუღაბის კვალი.

1990 წ. 29 ნოემბერი, ხელოვნებათმცოდნე მ. აბაშიძე.

5. წყავაშის ნაეკლესიარი

სოფელ წყავაშში მდ. მაგანას მარჯვენა მხარეს (იქ დღეს მოსახლეობა არ არის. ადრე სახლობდნენ ფიფიები – ლეფიფიე) იდგა ხის ეკლესია.

6. ლეფიეს ნაეკლესიარი

მდ. მაგანას ხეობაში მაღალი მთების ღრმა ხეობაში ჯვარიდან ჩრდილოეთით, დაახლოებით 5 კილომეტრში, ეფიეს უბანში (იქ დღეს მოსახლეობა არ არის) იდგა ხის ეკლესია

7. ენგურჰესის წყალსაცავის ტერიტორიაზე არსებული ნასახლარები და ნაეკლსიარები

იქ სადაც დღეს ენგურჰესის წყალსაცავია ირგვლივ ადრე დასახლება ყოფილა, რომელიც წყალს ჩამოუშლია. აქ ქარდავებსა და მანიებს ჰქონიათ ცალკე ეკლესია. ის ადგილი დღეს წყლით არის დაფარული, ყოფილა ციხე-კოშკები, რომელიც წყალს დაუფარავს და წაუღია.

8. ლექარდეს ნაეკლესიარი

ომუნეს კოშკიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით და ენგურჰესის სამხრეთ-აღმოსავლეთით შემაღლებულ გორაკზე იყო ძველი სსასაფლაო, სადაც მდგარა ქვის ძველი ეკლესია. აქ მოსახლეობა დღეს არ ცხოვრობს.

9. ომუნეს კოშკი

ომუნეს კოშკი მდებარეობს დაბა ჯვარის ჩრდილოეთით მაღალ გორაკზე; აქედან სამხრეთით ჩანს ლიას ციხე (დიდა ქირსა) და ის მთელი მდ. ენგურის სამხრეთ სერს გადაჰყურებს და მისი სათვალთვალო არეალი მიმდებარე ციხეების მეშვეობით, რუხის ციხემდეც კი აღწევს. აქედან ჩანს მამუკიას ჯიხაც. ვფიქრობთ, ის XIII-XIV სს. ნაგებობა უნდა იყოს.

თ. ბერიძის აზრით, ლაბერაშის ციხის სამხრეთით მდებარე კოშკში (ომუნის ჯიხა) XV საუკუნისაა[1].

1990 წელს იგი ამ სახით არის აღწერილი და დღესაც იგივე ფორმით არის შენარჩუნებული: წალენჯიხის რ-ნი, სოფ. ჯვარი, მიდამოები. ადგილი „ომუნე“; კოშკი „ომუნეს ჯიხა“. გვიანი შუა საუკუნეები; ტიპი – თავდაცვითი; კოშკი წარმოადგენს სვანური კოშკებისათვის დამახასიათებელ ტიპიურ ნაგებობას. იგი დგას სვანეთ-სამეგრელოს გზის პირას, შემაღლებულ ბორცვზე და ერთგვარად აკონტროლებს ამ მთავარ მაგისტრალს; ხუთსართულიანი კოშკის გადახურვა ორქანობიანია, ნაგებობა სხვადასხვა ზომის ფლეთილი და რიყის ქვით,

[1] ი. ბერაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 220.

სქელ დუღაბზე. კოშკში შესასვლელი დატანებულია მესამე სართულის დასავლეთ კედელში. იგი შიგნით არქიტრავიული, გარეთ თაღოვანია. ასვლა ხდებოდა მისადგმელი კიბით. მეოთხე და მეხუთე სართულების აღმოსავლეთით კედელში გაჭრილია ვიწრო სარკმლები. კოშკის კედლები აღჭურვილია სათოფურებით. გარშემო მიწის დონე ძალზედ აწეულია, სახურავი აყრილია; კოშკი 1982 წელს აღუდგენიათ, კარგად იკითხება ძველი და ახალი წყობის შემაერთებელი ხაზი.

1990 წ. 29 ნოემბერი, ხელოვნებათმცოდნე მ. აბაშიძე

10. ლემატუეს ანდრია პირველწოდებულის სახელობის ახალი ეკლესია

მატუების უბანში დგას ანდრია პირველწოდებულის სახელობის ახალი ეკლესია. ადგილობრივთა გადმოცემით, აქ ადრეც მდგარა ეკლესია, რომლის ნაშთები დღეს არ არის შემორჩენილი.

11. ზემო ლემატუეს (ლეჭანე) ნაეკლესიარი (ნაოხვამუ)

ფიფიების სასაფლაოსთან იდგა ხის ეკლესია, ამ ადგილს ეძახიან ნაოხვამუს. ფიფიების მოსვლამდე აქ უცხოვრია ხვიჩიებს, ქვემოთ არის უბანი ლეხვიჩიე.

12. ციხე-სიმაგრის ნაშთები (გაგაჩის ჯიხა)

მდ. ენგურსა და მაგანას შორის მაღალ მთაზე არის ციხის ნანგრევები. დასავლეთით გადაჰყურებს სოფელ ფოცხოს და ჩრდილოეთით იმ კოშკს რომელიც კაშხალშია ჩაძირული ხაკას ქვემოთ ხუდონში. სამხრეთით ის დიდა-ქირსას (ლია) უყურებს; მდებარეობს ძალზედ მაღალ გორაზე, სვანეთიკენ მიმავალი გზის მარცხენა მხარეს.

წალენჯიხის რ-ნი, სოფ. ჯვარი, მიდამოები ენგურჰესიდან სამხრეთით, მდინარეების მაგანასა და ენგურის შეა მდებარე ქედზე; ციხე „გაგაჩის ჯიხა“; ტიპი – საფორტიფიკაციო-თავდაცვითი. გვიანი შუა საუკუნეები; ციხე სტრატეგიული თვალსაზრისით მეტად მარჯვე ადგილას დგას. იგი ორივე მდინარის, მაგანასა და ენგურის ხეობებს აკონტროლებდა. ციხის გალავანი გაუყვება წაგრძელებულ ქედს და ამით მის კონფიგურაციას იმეორებს. საამშენებლო ღერძი ვითარდება ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ. გალავნის კედლები და ციხის უკიდურეს სამხრეთ ნაწილში მდებარე ოთხკუთხა კოშკი ნაგებია ადგილობრივი წარმოშობის ფლეთილი და უხეშად დამუშავებული ქვებით – კირის დუღაბზე. გალავნიდან სამხრეთით 4-5 მ-ში ნაგებობის ნაშთია. მის ირკვლივ მიწის დონე ძალზედ აწეულია. ნაგებობა გეგმით კვადრატს უახლოვდება. სამხრეთით იკითხება ოდნავ მომრგვალებული კუთხეები. საერთოდ ციხის ტერიტორიაზე მიწის დონე ძალზედ აწეულია, შესაძლოა აქ ყოფილიყო კიდევ სხვადასხვა ნაგებობები, რომლებიც დღეს აღარ ჩანს.

1990 წ. 29 ნოემბერი, ხელოვნებათმცოდნე მ. აბაშიძე

წალენჯიხის რ-ნი, სოფ. ჯვარი, მიდამოები მდ. მაგანასა და ენგურის შუა მდებარე ქედზე. შუა საუკუნეები; ნაგებობის ნაშთი; ნაგებობის ნაშთი შემორჩენილია „გაგაჩის“ ციხის გალავნის სამხრეთით 4-5 მეტრში. მის გარშემო მიწის დონე აწეულია. გეგმით კვადრატს უახლოვდება, სამხრეთით იკითხება ოდნათ მომრგვალებული კუთხეები.

1990 წ. 29 ნოემბერი, ხელოვნებათმცოდნე მ. აბაშიძე

წალენჯიხის რ-ნი, სოფ. ჯვარი, მიდამოები მდინარეების მაგანასა და ენგურის შუა მდებარე ქედზე. გვიანი შუა საუკუნეები; „გაგაჩის“ ციხის კოშკი; ტიპი – თავდაცვითი; მასიური ოთხკუთხა კოშკი მდებარეობს ციხის გალავნის უკიდურეს სამხრეთ ნაწილში. კოშკი ნაგებია ადგილობრივი წარმოშობის მონაცრისფრო უხეშად დამუშავებული ქვით – კირის დუღაბზე. კედლები შემორჩენილია სხვადასხვა დონეზე. ჩრდილო-აღმოსავლეთის კუთხე ჩამონგრეულია მიწის პირამდე; კოშკის სამხრეთ-აღმოსავლეთის კუთხე გამაგრებულია მძლავრი ბურჯით; კოშკი შემორჩენილია ორი სართულის დონეზე. მეორე სართულის მხოლოდ აღმოსავლეთის კედელია გადარჩენილი, რომელშიც სათოფურის კვალია; კოშკის ინტერიერში და მის გარშემო მიწის დონე ძალზედ აწეულია.

1990 წ. 26 ნოემბერი, ხელოვნებათმცოდნე მ. აბაშიძე

13. ნაკას კოშკი

წალენჯიხის რაიონი, სოფ. ჯვარი. მდ. მაგანას ხეობა, მიდამოები „ნაკა“; ნაკოშკარი. შუა საუკუნეები; ტიპი – ფავდაცვითი; კოშკი „ნაკას“ სახელწოდებით იდგა კონცხზე, რომელიც თითქმის ხელოვნურ ბაქანს უქმნიდა მას. ამჟამად კოშკიდან აღარაფერია შემორჩენილი „ტოპონიმის“ გარდა.

1990 წ. 29 ნოემბერი. ხელოვნებათმცოდნე მ. აბაშიძე.

14. ლაბერაშის (ჯვარი) ციხე-სიმაგრე

თ. ბერაძის აღწერილობით, სოფ. ჯვარიდან სამიოდე კილომეტრის დაშორებით, მდინარეების ენგურისა და მაგანას წყალგამყოფ ქედზე, იმ ადგილას რომელსაც მოსახლეობა „ლაბერაშს“ უწოდებს, არის მეტად საინტერესო ხასიათის ნაგებობა. მისი ჩრდილოეთი ნაწილი წარმოადგენს კედელს, რომელიც მთელს ქედს კეტავს. კედლის

სიგანე დაახლოებით 2,5 მეტრია, სიმაღლე 3 მ და სისქე 1,5 მ. აღნიშნული კედლიდან 30-40 მეტრის დაშორებით, სამხრეთით, ოთხკუთხა კოშკის ნანგრევებია; წყობა კირქვისაა დუღაბზე ნაშენები. შენობის ნაშთის გარე ზომებია 4X5 მ. კედლის სისქე დაახლოებით 1,5 მ, სიმაღლე 1 მ. ამ

ნაგებობის სამხრეთით, 50 მეტრის დაშორებით, დღეს საკმაოდ კარგადაა შენახული ოთხკუთხა კოშკი, რომლის წყობა ჰორიზონტალურია. წყობაში შეინიშნება კირქვის ოთკუთხა კედლები. სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხესთან, კოშკს გარედან მრავალი ბურჯი ამაგრებს. კოშკის აღმოსავლეთით კედელში შეიმჩნევა ძელების ნაკვალევი[1], რომელიც თავის დროზე მეორე სართულის იატაკს იჭერდა; კოშკის ზომებია: 4,5X5X3,5 მ. ეს უკანასკნელი შემორჩენილი კედლის სიმაღლეა. კედლის სისქე აქაც 1,5 მ-ია. ქედის გაყოლებაზე სამხრეთით რამდენიმე ადგილას შეიმჩნევა მსგავს ნაგებობათა ნაშთები. ქედურს, თხემის გაყოლებაზე, მიუყვებოდა ბილიკი, რომელიც ზოგან საკმაოდ განიერია, სულ ბოლო დროს კედლის ვერტიკალურად დარჩენილ ქანში დაახლ. 1-1,5 მ. სიგანისა და ადამიანის სიმაღლის კლდეკარია გაჭრილი. აქ თავის დროზე უეჭველად შესასვლელი იყო. თ. ბერაძე ამ ციხე-სიმაგრეს ადრეფეოდალური ხანისად მიიჩნევს[2].

სოფელი ლია

1. მახარიას ეკლესიის და ციხის ნაშთები

სოფ. ლიასა და ჩხორიის საზღვარზე, „მახარიას“ უბანში არის ადგილი „ნაოხვამუ“. ადმოცემით, ძველად აქ დადიოდნენ სალოცავად და ცხვარს სწირავდნენ. შემორჩენილია გალავნის ნაშთები, რომელიც ნაშენია რიყის ქვით დუღაბზე. ირგლივ მიმოფანტულია უარავი რიყის ქვა. ვფიქრობთ აქ თავდაცვთი ნაგებობა უნდა ყოფილიყო. ის მდებარეობს შემაღლებულ ბორცვზე დიდი დავაკების შუაში. აქედან დასავლეთით ჩანს სოფელი წყოუში და სავარაუდოდ იქ მაღალ გორაკზე მდ. ენგურის მარცხენა სანაპიროსთან მდგარი ციხე და სხვა მიმდებარე ციხეები. შორს მოჩანს სათანჯოს მთა აღმოსავლეთით, ჩრდილოეთით სამეგრელოს მთიანეთი და ჯვარის მიმდებარე ადგილები – მთა ოხაჩქუე, ასევე სოფლები ფახულანი და ჭალე; აღმოსავლეთით და ჩრდილო აღმოსავლეთით გადაჰყურებს წალენჯიხის რაიონის მთის სისტემას, მისგან ჩრდილო აღმოსავლეთით არის დიდა ქირსას კომპლექსი, დასავლეთით სოფელი პალური და მახარიის წმ. გიორგის სახელობის ეკლესია. ამ ადგილის დასავლეთით არის ადგილი ნაფატია სადაც ადგილობრივთა თქმით მიმდინარეობდა არქეოლოგიური გათხრები.

გალავნით შემოზღუდული ადგილის სივრცეში, არის ეკლესიის ნაშთები, კედლები მიწის დონიდან 20 სანტიმეტრში იკითხება. ნაშენი იყო ფლეთილი ქვით კირის დუღაბზე. ცოტა მოშორებით ჩვენ ვნახეთ კარგად ნათალი ქვაც. ეს ძალზე ძველი სტრატეგიული ნაგებობა ჩანს და ნაგებობათა კომპლექსის შთაბეჭდილებას ტოვებს. 1990 წელს ეს ადგილი ამ სახით არის აღწერილი: წალენჯიხის რაიონი, სოფ. ლია, უბანი მახარია, კ. ბერიშვილის სახლიდან ჩრდ. 400-500 მეტრში; ნაეკლესიარი. შუა საუკუნეები; ტიპი – საკულტო; გვიმრით დაფარულ ადგილას, შემაღლებულ ბორცვზე შემორჩენილია ნაეკლესიარი. იკითხება მხოლოდ სამხრეთის და დასავლეთის კედლების ფრაგმენტები.

---

[1] თ. ბერაძე, დასა. ნაშრომი, გვ. 219.
[2] თ. ბერაძე, დასა. ნაშრომი, გვ. 220.

სამშენებლო მასალად შემორჩენილია ფლეთილი ქვა. ნაეკლესიარიდან სამხრეთით ჩანს გალავნის ფრაგმენტები.

1990 წ. 29 ნოემბერი, ხელოვნებათმცოდნე მ. აბაშიძე.

წალენჯიხის რაიონი, სოფ. ლია, უბანი „მახარია“, კ. ბერიშვილის სახლიდან 400-500 მეტრში ჩრდილოეთით; ნაგებობის ნაშთი. შუა საუკუნეები; ნაეკლესიარიდან აღმოსავლეთით 15 მეტრში შემორჩენილია ნაგებობის ნაშთი. ჩანს, სამხრეთ კედლის ფრაგმენტი და აღმოსავლეთ კედლის საძირკველი. სამშენებლო მასალა ყორე ქვაა დუღაბზე.

1990 წ. 29 ნოემბერი, ხელოვნებათმცოდნე მ. აბაშიძე.

2. მახარიას წმ. გიორგის სახელობის ნაეკლესიარი და ახალი ეკლესია

სოფელ ლიაში – მახარიას უბანში იდგა წმ. გიორგის სახელობის ეკლესია, რომლის მშენებლობის ისტორია და მღვდელმსახურების შესახებ ცნობები ადგილობრივებს ამ სახით შემონახავთ: „XIX ს. II ნახევარში დადიანებს სოფელ კინჩხიდან კუხალაშვილების გვარის სამი კაცი ჩამოუყვანიათ და დაუსახლებიათ ისინი დღევანდელი ტაძრის მიმდებარე ტერიტორიაზე. სოფლის ადგილობრივ მოსახლეობას გადაუწვეტია ეკლესიის აშენება, მაგრამ საიმისოდ ტერიტორია ვერ შეურჩევიათ. ერთი ადგილი მოსწონებიათ სოფელ პალურში, მაგრამ მიწის მეპატრონეს ნება არ დაურთავს. უხალაშვილებს რომ გაუგიათ ეკლესიის ასაშენებლად ადგილს ეძებენო, ადგილობრივ მკვიდრთათვის თავიანთ კუთვნილებაში არსებული მიწა შეუთავაზებიათ, ოღონდ იმ პირობით, რომ ეკლესია აუცილებლად წმ. გიორგის სახელობის იქნებოდა. იმ ადგილას, სადაც ეკლესია უნდა აშენებულიყო, ლამაზი მინდორი ყოფილა გაშლილი. წაბლის ხის მასალისაგან ულამაზესი ეკლესია აუგიათ და სახელით დაპირებისამებრ დაურქმევიათ – კინჩხური წმ. გიორგის სახელობის ეკლესია. მის გარშემო ლამაზი ბაღიც გაუშენებიათ. მას შემდეგ კინჩხიდან კუხალაშვილების რამოდენიმე ოჯახი ჩამოსულა და მახარიაში დამკვიდრებულა სამუდამოდ. კლესიაში პირველი მსახურება აღუვლენია მღვდელ პავლე ჭანტურიას. მაგრამ ფიზიკური უძლურების გამო ეკლესიის პირველ მღვდელს – მამა პავლეს რამოდენიმე ხნის შემდეგ მსახურება აღარ გაუგრძელებია. მის შემდეგ ტაძარში მსახურობდა მღვდელი ნიკო-

ლოზ ქუხილავა. კომუნისტებს ეკლესია დაუნგრევიათ და მისგან სოფ. ლიაში კანტორა აუგიათ, დროთა განმავლობაში მასი საავადმყოფო გაუმართავთ, უფრო მოგვიანებით ისევ დაუშლიათ და სოფ. პალურში ბაგა-ბაღი აუწყვიათ. ეკლესია აღადგინა აწ განსვენებულმა მონაზონმა აკეფსიმამ (ფიფია). მას შემდეგ დედა აკიფსიმეს მიერ აღდგენილ და განახლებულ ტაძარს „დედაოს ეკლესიას“ ეძახის... 1984 წლის შემოდგომაზე ჭქონდიდლის ეპისკოპოსმა ვახტანგიმ (ახვლედიანი, რომელიც იმჟამად შუშანიების სავანეში მსახურობდა) აკურთხა ახლად აღდგენილი ტაძარი და დიდი ხნის შემდეგ შეწყვეტილი სახურება ისევ განაახლა. მას შემდეგ ტაძარში დედა აკეფსიმას მოწვევით სხვადახსვა დროს წირვა-ლოცვას აღავლენდნენ დეკანოზები ზურაბ ცხვარაძე, მიქაელ ასათიანი, ფრიდონ ასათიანი, აწ განსვენებული დეკანოზი ამირან შენგელია, მოგვიანებით დეკანოზი ანდრია კემულარია ხუთშაბათობით აღავლენდა წირვა-ლოცვას. ტაძრის წინამძღვრებად ასევე დაინიშნა დეკანოზი გაბრიელ გულორდავა, ამჟამად კი ტაძრის წინამძღვრის მისიას დეკანოზი გალაქტიონ ფიფია ეწევა. 2000 წელს დედა აკეფსიმამ ისევ მოუხმო თავის ერთგულ მრევლს და ტაძარსთვის სარემონტო სამუშაოები ჩაუტარებია. ხის კანკელი ქვით შეიცვალა, კედლები შეიღება, სახურავი გამოიცვალა. ტაძრის დღესასწაული აღინიშნება გიორგობას.

3. ლიის წმ. გიორგის სახელობის ნაეკლესიარი

სოფელი ლიას ცენტრთან ძველად იყო სასაფლაოები, სადაც იდგა წმ. გიორგის სახელობის ხის ეკლესია. დღეს აქ აპირებენ ეკლესიის აღდგენას. აქ მღვდელი ყოფილა კონდრატე თათარაშვილი (უიარაღო) რომელიც კირცხის ეკლესიაში გადაუყვანიათ მღვდლად. აქ პირველი მღვდლად დარჩენილა დეკანოზი მოსე რომანოზის ძე კვირკველია. კონდრატე 1912 წელს წასულა ბრიუსელში (ბელგია) სასწავლებლად, ლიაში მღვდლად გადმოუყვანიათ მოსე კვირველია. ის აქ თავისი ოჯახით გადმოსულა; მისი მეუღლე იყო მარია შენგელია, დადიანთა საგვარეულო დეკანოზის დავით შენგელიას ქალიშვილი.

4. „ დიდი“ ქირსას ციხე-სიმაგრის კომპლექსი

სოფელი ლიაში მაღალ გორაკზე, მდ. ენგურის მარცხენა მხარეს, დაახლოებით 1,5 კილომეტრში მდებარეობს „დიდა-ქირსად“ წოდებული ციხე-სიმაგრის ნაშთები.

სამხრეთ-დასავლეთით და დასავლეთით დიდა ქირსა უყურებს სოფელ ფახულანის ჯიხას; ჩრდილო-დასავლეთით სოფელ მუჟავას ციხეებს, რომლებიც მდებარეობენ მდ. ენგურის მარჯვენა მხარეს. ჩრდილოეთიდან ჯვარს და ომუნეს ჯიხას. ასევე ჯვარზენს, სადაც მდებარეობდა ციხე-სიმაგრე და ტრიკონქის ტიპის ეკლესია (იხ. ზემოთ). ჩრდილო-აღმოსავლეთით მამუკიას ჯიხას. სამხრეთით სავარაუდოდ სოფელ ჩხორიას და ჭკადუაშს. შესაძლოა ჩიჟიშკარსაც ანუ ზემო ბაშის ციხეს. ზოგიერთ ადგილას შემორჩენილი საძირკვლის ნაშთი გვაფიქრებინებს, რომ აქ ციხე-სიმაგრე და შესაძლოა ქალაქიც ჯერ კიდევ ანტიკურ დროს ყოფილიყო. ის იმავე ხაზზეა ჩრდილოეთით, სადაც ჩვენი ვარაუდით ეგროსის ქალაქი ეგრისი (ჩიჟიშკარი – იხ. ზემოთ) მდებარეობდა

თ. ბერაძის აზრით, მისი დღემდე შემორჩენილი ნაწილი, შუაფეოდალური ხნისაა. ციხე-სიმაგრე ადრეფეოდალური ხანიდან მოქმედებდა: გათხრილია ამ პერიოდის ბაზილიკური ტიპის ეკლესიის ნანგრევები, შეიმჩნევა შუაფეოდალური ფენა. მისი დანიშნულება იყო კონტროლი გაეწია ზემო სვანეთიდან მომავალი გზისათვის, რომელიც ჯვარს და ლიას გავლით წალენჯიხისკენ მიემართებოდა[1].

ო. სოსელიას მასალებით, ლია ფახულანი „თავისი შემავალი ადგილით, ყმითა და მამულით 1848 წლის 1 იანვარს დავით დადიანმა უბოძა თავის ძმას გრიგოლს[2].

არქიტექტურულად ამ სახით არის აღწერილი: წალენჯიხის რ-ნი, სოფ. ლიას აღმოსავლეთით, ენგურის ხეობაში, მაღალ ბორცვზე; „დიდი ქირსას“ კომპლექსის კოშკი (I). ადრე ფეოდალური ხანა; ტიპი – თავდაცვითი-სტრატეგიული; ოთხკუთხა გეგმის მქონე კოშკი ციხის დასავლეთ მხარეს მდებარეობს, მისი სიმაღლე 3,5 მეტრამდეა შერჩენილი, ზოგან უფრო ნაკლები. კოშკის ფართობი 12 კვ. მ.-ია. სამშენებლო მასალად გამოყენებულია რიყის ქვა სილანარევ დუღაბზე. კოშკის კედლების სისქე არათანაბარია. აღმოსავლეთი კედლის სისქე 1.65 მ. სამხრეთის – 1.2 მ, ჩრდილოეთის კი – 1.4 მ; კოშკის შიდა კედლები გეგმაში ოდნავ მომრგვალებულია, საფასადო მხრიდან კი სწორი; კოშკის კედლების წყობაში სამი ქრონოლოგიური პერიოდი გამოიყოფა. მისი დასავლეთი კედელი მთლიანად არის აღდგენილი იმავე დროს, როდესაც მას გალავანი შემოავლეს და ციხე ააგეს. მშენებლობის ტექნიკითა და ქვის წყობით ისინი გვიანფეოდალურ ხანას განეკუთვნებიან. კოშკის კედლების ქვედა ოთხი რიგებისათვის გამოყენებულია თანაბარი ზომის რიყის ქვები სილანარევ დუღაბზე და მეტნაკლებად ჰორიზონტალური წყობის ხასიათს ტოვებს. აქა-იქ გარე შელესილობის კვალიც ემჩნევა. წყობის ამგვარი ხასიათი შემდეგ იცვლება და უკვე შედარებით მომცრო ზომის რიყის ქვებით იცვლება. წყობის ამ რიგებში აგურის ნატეხებიც არის გამოყენებული. ეს ნატეხები იდენტურია ნაეკლესიარზე აღმოჩენილი აგურებისა. ეს კი საშუალებას გვაძლევს დავადასტუროთ, რომ კოშკის კედლების ეს ნაწილი შეკეთებულია ეკლესიის დანგრევის შემდეგ. ეს ორი წყობა არა მარტო მასალით განსხვავდება ერთმანეთისაგან, არამედ დუღაბის ფერითა და შემადგენლობით; ამის შემდეგ იწყება სრულიად განსხვავებული წყობის ხასიათი, რომელიც რიყის წვრილი ქვებისაგან შედგება. იგი გალავნის წყობის მსგავსია. ციხის მშენებლობის დროს კოშკის კედლები აუმაღლებიათ; კოშკის ქვედა წყობის სიმაღლე 1 მ., მომდევნო 1,2 მ., მესამე კი 2,65 მ.

1990 წ. 27 ნოემბერი, ხელოვნებათმცოდნე ც. დადიანიძე.

---

[1] თ. ბერაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 228.

[2] ო. სოსელია, ნარკვევები ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიიდან (სათავადოები), III, თბ., 1990, გვ. 113.

წალენჯიხის რ-ნი, სოფ. ლია, მ. ენგურის ხეობა, მთაზე; ციხე „დიდა-ქირსეს“ II კოშკი. გვიანი შუა საუკუნეები; ტიპი – თავდაცვითი; ორსართულიანი კოშკი მდებარეობს ციხის ჩრდილო-დასავლეთის კუთხეში. ნაგებია სხვადასხვა ზომის რიყის ქვით – კირის სქელ დუღაბზე; ოთხკუთხა კოშკის სამხრეთ-აღმოსავლეთის კუთხე მომრგვალებულია. გარშემო მიწის დონე ძალზედ აწეულია, თითქმის მეორე სართულის დონემდე. კოშკის კედლები მოკლებულია საბრძოლო ელემენტებს. ის უფრო სათვალთვალო პუნქტს წარმოადგენდა; კედლები შემორჩენილია სხვადასხვა დონეზე;

1990 წ. 27 ნოემბერი, ხელოვნებათმცოდნე მ. აბაშიძე

წალენჯიხის რაიონი, სოფ. ლიას აღმოსავლეთით, ანგურის ხეობაში, მაღალ ბორცვზე; ნაციხვარის კომპლექსი „დიდი ქირსა“. შუა საუკუნეები; ტიპი – საკულტო, სტრატეგიული; ბორცვი „დიდი ქირსა“ კვერცხისებური მოყვანილობისაა, მისი სიმაღლე 70-80 მ. აღწევს. მისი ციცაბო ფერდობებზე ალაგ-ალაგ ხელოვნური ტერასებია გაკეთებული. ბორცვის ფერდობები მოფენილია სხვადასხვა დროის კულტურული ნაშთებით – დაწყებული ელინისტური ხანიდან, ვიდრე გვიანფეოდალური ხანის ჩათვლით; ბორცვის ჩრდილო-დასავლეთ მხარეს, მის თხემზე შემორჩენილია ციხის დიდებული ნანგრევები. მისი ფართობი დაახლოებით 1200 კმ-ია; ციხე კარგად იყო მორგებული რელიეფს და გარკვეული სტრატეგიული მნიშვნელობაც ენიჭებოდა. იგი აკონტროლებდა სვანეთისაკენ მიმავალ გზას და წალენჯიხისაკენ მიმავალ უმოკლეს გზას. ციხე შემოზღუდული იყო მაღალი გალავნით. მისი კედლები ყველაზე უკეთ შემორჩა სამხრეთ-აღმოსავლეთ მხარეს – სიმაღლე 4 მ-სდე, სიგრძე – 10 მ. ეს კედელი შუა მონაკვეთში თაღისებურად გამოუნგრევიათ. გალავნის შემორჩენილი კედლების სისქე არათანაბარია. „გოჩას ღელეს“ მხარეს, რომელიც ციხის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარეობს, კედლის სისქე 1 მ. არ აღემატება, ზოგან კი 2 მ. აღწევს. გალავნის კედლები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან არა მარტოს სისქით, არამედ წყობის ზასიათისა და მშენებლობის ტექნიკის მიხედვით. ყოველივე მეტყველებს ციხის არაერთ დანგრევა-განახლებაზე, რამოდენიმე სამშენებლო პერიოდზე; ციხის თხემზე ერთმანეთის გასწვრივ, ერთ ხაზზე შემორჩენილია სამი კოშკის ნანგრევი, რომლებიც ენგურის ხეობას გადაჰყურებენ. მათ შორის უკეთ გადარჩა ორი კოშკი, რომლებიც გვიანფეოდალურ ხანაში „დიდა ქირსაზე“ ციხის შექნასთან დაკავშირებით გალავნით იყო შემოზღუდული; კოშკები ნაგებია რიყის ქვით სილანარევ კირზე. მათი კედლების სისქეც არათანაბარია, ზოგან 1.20 მ, ზოგან 1.65 მ. კედლების ქვედა ნაწილები ნაგებია ჰორიზონტალური წყობით, თანაბარი დიდრონი ზომის რიყის ქვებით; ციხის ტერიტორიაზე ჩატარებულმა არქეოლოგიურმა კვლევა-ძიებამ 1964-1968 წლებში აღმოაჩინა ნანგრევი, რომელიც ეკლესიის საკურთხევლის ნაშთს წარმოადგენდა. ეკლესია ნაგები ყოფილა სწოკუთხოვანი აგურის (32X22X5) ფენით. ეკლესია ადრეფეოდალურ ხანაშივე ჩანს დანგრეული და მისგან მხოლოდ ნააბსიდარმა მოაღწია. დანგრევის შემდეგ მასში გვიანფეოდალურ ხანაში ორმო-სამერხები ჩაურჭიათ. ციხის ტერიტორიაზე უნდა ყოფილიყო საცხოვრებელი ნაგებობაც, მაგრამ დასავლეთ საქართველოს ამ ტიპის ნაგებობას ხის მასალა ახასიათებს ამიტომაც მისგან აღარაფერი შემორჩა; გვიანფეოდალურ ხანაში, როდესაც ბორცვ „დიდა ქირსაზე“ ციხე აშენდა, მასზე მდებარე სამ კოშკთან ორი შემოიზღუდა. გალავნით; ციხის ტერიტორიის გარეთ უნდა მდგარიყო კრამიტით გადახურული ნაგებობა, რომელიც ციხის აგების დროისათვის აღარ არსებობდა; „დიდა ქირსეს“ ციხის მშენებლობის დამთავრების შემდეგ, მისი უკეთ დაცვის მიზნით, აღმოსავლეთით, გალავნის ძირში, მთელ სიგრძეზე

ღრმა თხრილი გაუჭრიათ, რამაც ბორცვის ორ ნაწილად გაყოფა გამიწვია. ციხეში შესასვლელი კირის კვალი დღეს არ ჩანს, მაგრამ საგულისხმოა, რომ იგი ციხის გალავნის ჩრდილო-დასავლეთ კედელში უნდა ყოფილიყო მოწყობილი, რადგან ამ მხრიდან ფერდობი ნაკლებ დაქანებულია.

1990 წ. 27 ნოემბერი. ხელოვნებათმცოდნე ც. დადიანიძე

5. დიდა ქირსას ნაეკლესიარი

დიდა ქირსადან ჩრდილო-აღმოსავლეთით 100 მეტრის მოშორებით არის რიყის ქვით მშენებლობის ნაშთები, სავარაუდოდ ნაეკლესიარი. კარგად გარჩევა შეუძლებელია. ადგილი ეკალ-ბარდებით არის დაფარული. ეს ადგილი არქიტექტორების მიერ 1992 წელს ამ სახით არის ფიქსირებული: წალენჯიხის რ-ნი, სოფ. ლია, მდ. ენგურის ხეობა, მთაზე სოფლიდან ჩრდილოეთით 1-1,5 კმ-ზე. მთაზე; ნაეკლესიარი. შუა საუკუნეები; ციხე „დიდა-ქირსეს“ ჩრდილო-აღმოსავლეთით 200 მეტრში შემორჩენილია ნაეკლესიარი. ჩანს მხოლოდ ეკლესიის ბუდე, რომელიც თითქმის მიწითაა ამოვსებული, და ჩრდილოეთით კედლის უმნიშვნელო ფრაგმენტი. რომლის სისქე 90 სმ-ია

1990 წ. 30 ნოემბერი, ხელოვნებათმცოდნე მ. აბაშიძე

6. ნაეკლესიარები

ა. ჭანტურიას ცნობით, კოსტა ჩიქოვანის ეზოსთან არის ეკლესიის ნანგრევები. ივარდავების სალოცავი არის მეორე ეკლესიის ნანგრევები[1].

სააფაციო

ვახუშტი ბატონიშვილის რუკაზე მოხსენიებული პუნქტის – სააფაციოს მდებარეობის საკითხს ყურადღება მიაქცია თ. ბერაძემ. ავტორის თქმით, მდ. ენგურის ზემო წელში, სათავიდან, ვახუშტის აზრით, მდებარეობდა გარკვეული ფეოდალური ერთეული სააფაციო. თავის რუკაზე საფაციოს იგი ხან მდინარის მარცხენა ნაპირზე

[1] ა. ჭანტურია, ისტორიულ-არქეოლოგიური ძიებანი სამეგრელოში, ისტორია არქეოლოგია, ხელოვნებათმცოდნეობა, კოთნოგრაფია, თბ., 1989, №283, გვ. 178.

ათავსებს, ხან მის ორივე მხარეს. ვახუშტის რუკის პირველი ატლასის პირველ რუკაზე, ენგურის მარჯვენა ნაპირზე აღნიშნულია პუნქტი სააფაციო[1].

ავტორის აზრით, ვახუშტი საფაციოში ენგურის ხეობის იმ ნაწილს გულისხმობს, სადაც ეს მდინარე სამეგრელოს ქედს ჰკვეთს. ხეობა აქ ძალიან ვიწროა და ძველად ორიოდე სოფელი იყო მხოლოდ. ამ სოფლებში არც ტოპონიმიკაში, არც ხალხურ გადმოცემებში სააფაციო შემონახული არაა. ვახუშტისეული სააფაციო ნიშნავს ქვეყანას, რომელიც აფაციებს ეკუთვნის. არც ერთ წერილობით საბუთში ფეოდალური ერთეული „სააფაციო“ არ გვხვდება. არც ფეოდალური გვარი აფაციებია მოხსენიებული სადმე. ყოველივე ამის შემდეგ ავტორი ფიქრობს, რომ ვახუშტისეული „სააფაციო“ სინამდვილეში არ არსებობდა[2].

ტოპონიმი სააფაციო, ამ მხარეში ვერც ჩვენ დავაფიქსირეთ და სწორია ისიც რომ აფაციების სახით არც ფეოდალური სახლი და არც რამე გვარია წყაროებში მოხსენიებული, მაგრამ საინტერესოა თვითონ ამ მხარის ანუ მდ. ენგურის მარჯვენა სანაპიროს სოფლებში. მდ. ოლორიას შესართავთან – მუჟავას წყოუშსა და მის მიმდებარე სოფლებში მდებარე უამრავი ციხე-სიმაგრეები და ეკლესიები, ასევე ჩრდილო-აღმოსავლეთითაც სვანეთისკენ მიმავალ გზაზე, უნგურჰესის კაშხალთან და მის მიმდებარე ტერიტორიაზე მდ. ენგურის და მაგანას შესართავის ტერიტორიაზე ჯვართან და მის ჩრდილოეთით უამრავი ციხე-სიმაგრე და ეკლესიადასტურდება, მათ შორის ძალზედ უძველესი (ჯვართან, მდ. მაგანასთან და ენგურის შესართავთან). ამავე დროს ენგურგესის მშენებლობამდე აქ უამრავი სოფელი და ეკლესია ყოფილა სვანეთისკენ მიმავალ გზაზე ღრმა ხეობაში, დღეს კი თითო-ოროლაა შემორჩენილი. მაგალითად, იყო ხუდონში, ლეფიფიეში, წყავაში და სხვ.

სოფელი ჭალე

ენწერფერდის „ჩე ოხვამე“ – წმ. გიორგის სახელობის ეკლესია

სოფელ ჭალეში „ენწერფერდად“ წოდებულ ადგილას, დგას წმ. გიორგის სახელობის ერთნავიანი დარბაზული ეკლესია, მას „ჩე-ოხვამეს“ (თეთრი სალოცავი)

[1] თ. ბერაძე, დისერტაცია, გვ. 36.
[2] თ. ბერაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 36.

უწოდებენ. ბოლო მღვდელი ყოფილა სტეფანე გეთია (ასევე სტეფანე გეთია სოფელ მუჟავაშიც ყოფილა მღვდლად), სტაროსტა იყო მიხეილ ხუბუტია. ეკლესიის ტერიტორია სავარაუდოდ გალავნით იყო გარშემორტყმული. საძირკვლის ნიშნები დღესაც შეინიშნება. ამ ადგილას თადაცვისთვის მოსახერხებელი მდებარეობა აქვს, რადგან აქედან თითქმის ყველა მხარე კარგად ჩანს. ეკლესია ნაშენია თეთრი კირქვისგან და ზოგიერთი ადგილი რიყის ქვისაა, რომელიც აღდგენის პერიოდშია ჩართული. ვფიქრობთ XIV-XV საუკუნის ძეგლია.

ს. მაკალათიას ცნობით, „კვირიკე“-ს ხატი მოთავსებულია ჯვარში ენგურის გაღმა სოფ. ჭალეში. კვირიკეს მეხატული ყოფილა შონია და აქ მლოცავი მოდიოდა გამოსალოცავად – „გითახვამუშა“. საკლავის ნაცლად მიჰქონდათ ფული და სანთლები. 10 ნოემბერს კვირიკეს მეხატულები წაიღებდნენ ჯვარზენში – ჯგეგეს დღეობაზე და მახვეწარს ამწყალობებდნენ. მესამე დღეს კვირიკეს ხატს უკანვე დააბრუნებდნენ[1].

ჭალე საისტორიო წყაროებში XVII ს-ის I ნახევარში იხსენიება. აფხაზეთის საკათალიკოსო დიდი იადგარის (XVI ს.) მოგვიანო, დაახლოებით 1611-1617 წლებს შორის შესრულებული მინაწერის მიხედვით, ლევან II დადიანმა ბიჭვინთის ღვთისმშობლის ეკლესიას შესწირა: „ჭალა კაკა ჯაიანისეული მამული და მისი შვილის ხუტუსეული მამული“ [2]. ჭალეში რომ მონასტერი არსებობს იადგარში ამავე ხანის დასავლეთ საქართველოს კათალიკოს ეფთვიმეს მინაწერიც მოწმობს: „... აფხაზეთის კათალიკოზმან ეფთვიმე საყვარელიძემ ჭალა მონასტერი და რაც მამული შესწირა დადიანმა ლეონ და ლიპარიტიანმან გიორგი ბიჭვინტისა ღვთისმშობელსა ჩვენ მისდა ქრთამად გამოვიღეთ...“[3]. ჭალე მოხსენიებულია აფხაზეთის საკათალიკოზო გამოსავლის მოსაკრებლის დავთარში (1621 წ.) „არის ჭალას საყდარი და ნაჯაიანო სასახლე და კაცები და მართებული გამოსავალი“. აქ მებეგრე გლეხები იყვნენ: გოგორდავა, ჩანგელია, ჭანია, ფალია, კვარცხავა, ბიბილია[4].

ჭალე ჯვართან ერთად კაკა და მის შვილ ხუტუ ჯაიანებს მამული იყო, რომელიც შემდეგ ჩამოერთვათ. ო. სოსელიას მოსაზრებით კაკა შეიძლება ის ჯაიანი იყო ან იმის მემკვიდრე, ვისაც ლევან I დადიანის სიკვდილში ბრალი მიუძღოდა და ამიტომაც ჩამოერთვათ აღნიშნული მამული[5]. როგორც ცნობილია 1572 წელს სამეგრელოს მთავარ ლევან I დადიანს ნადირობის დროს ჯაიანმა ცხენი დაუჭრა და მოკლა[6].

ეს ძეგლი არქიტექტურულად 1990 წელს ამ სახით არის აღწერილი: წალენჯიხის რაიონი, სოფ. ჭალე, უბანი ენწერფერდი, სასაფლაოზე; ეკლესია „ჩეოხვამე“. გვიანი შუა საუკუნეები; ტიპი – საკულტო; სოფლის სასაფლაოზე დგას შვერილაბსიდიანი, დარბაზული ეკლესია; სამშენებლო მასალად ძირითადად გამოყენებულია სხვადასხვა ზომის რიყის ქვა და მოყვითალო-აგურისფერი ქვიშაქვის, უხეშად დამუშავებული კვადრები – კირის დუღაბზე; გეგმით წარმოადგენს სწორკუთხედს, აღმოსავლეთიდან დასრულებულს ღრმა გაშლილი ნახევარწრიული ფორმის საკურთხევლით. მასში სამი

ოს ისტორია და ეთნოგრაფია, თბ., 1941, გვ. 436-437.
საკათალიკოზო დიდი იადგარი, საისტორიო მოამბე, ნ. II, თბ., 1925, გვ.
ომი, გვ. 187.
ეგლები, ტ. III, გვ. 434.
ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური
973, გვ. 693.
II, გვ. 503.

სარკმელია გაჭრილი ერთ სიმაღლეზე. ჩრდილოეთით მდებარე სარკმელი თაღოვანია, ხოლო ორ დანარჩენს თაღები მონგრეული აქვთ. საკურთხევლის სარკმლების აქეთ-იქით ნიშებია დატანებული. ჩრდილოეთით ორი ნიშია, სამხრეთით კი ერთი. საკურთხეველში ტრაპეზის ძირი დგას. აბსიდა დარბაზიდან მცირე მხრების საშუალებით გამოიყოფა. შიდა სივრცის გადამხურავი კონსტრუქცია არ შემორჩა. განათებულია ეკლესია გრძივ და დასავლეთ კედელში დატანებული წყვილი თაღოვანი სარკმლით, აღმოსავლეთით კი სამი ასეთი სარკმელია. მისი ფორმა შიგნიდან გარეთ ვიწროვდება. შესასვლელი კარი დატანებულია სამივე კედელში. სამივე კარს ბალავარის ქვა ადევს, რომელიც თაღით არის დაგვირგვინებული; ეკლესიის ფასადები და ინტერიერი სადაა, ყოველგვარი დეკორის გარეშე. ქვის წყობის ხასიათს, როგორც გარედან ისე შიგნით აცოცხლებს დიდრონი ზომის რიყისა და ქვიშაქვის აქცენტები; ეკლესიის თავ-კამარა ჩამოქცეულია. საკურთხევლის კედლის შუა ნაწილი სარკმლის სათავიანად მორღვეულია. ასევე ნაწილობრივ დაზიანებულია მის გვერდით სარკმლის თაღიც; ნაგებობას მთელ პერიმეტრზე ჰქონდა ერთსაფეხუროვანი ცოკოლი, რომლის ფრაგმენტები შემორჩა დასავლეთ მხარეს, ხოლო სამხრეთით იგი კედელს მთელ სიგრძეზე მიუყვებოდა; ეკლესიის დასავლეთით, რამოდენიმე მეტრში, შემორჩენილია გალავნის ფრაგმენტები, ნაგები რიყის ქვით – კირის დუღაბზე.

1990 წ. 28 ნოემბერი, ხელოვნებათმცოდნე ც. დადიანიძე.

სოფელი მუჟავა

1. საარქანიოს წმ. გიორგის სახელობის ეკლესია

სოფელ მუჟავაში, სარქანიოს უბანში, მდ. ილორის მარცხენა მხარეს, შემაღლებულ ბორცვზე სოფლის სასაფლაოსთან დგას წმ. გიორგის ერთნავიანი გუმბათიანი ეკლესია. ძველად აქ მდგარა ხის ეკლესია, რომელსაც ქვის საკურთხეველი ჰქონია. ბოლო მღვდელი აქ იყო სტეფანე გეთია, რომელსაც აუშენებია ეს ეკლესია.

2. საგეთიოს ციხე-კოშკი

სოფელ მუჟავაში საგეთიოს უბნის ზემოთ მაღალი მთის თხემზე, მდ. ოლორის მარცხენა მხარეს დგას საკმაოდ კარგად ნათალი ქვისგან ნაგები ციხე-კოშკი. ის სამხრეთით უყურებდა საბერიოს (გალის რაიონი) ჯიხას. ასევე მუჟავაში მდგარ სხვა ჯიხებს და შესაძლოა მამუკიას ჯიხამდეც კი აღწევდა. აღმოსავლეთით კი, ის უყურებდა მაჟავას წმ. გიორგის ეკლესიას.

3. საანთიოს ნაეკლესიარი

მდ. ოლორის მარჯვენა სანაპიროზე მაღალ გორაკზე შემორჩენილია ეკლესიის დასავლეთის და ნაწილობრივ ჩრდილოეთის კედლის ნაშენია ადგილობრივი დიდი ნაშთები. ფლეთილი კირქვით კირის დუღაბზე. ეკლესია ძველი ჩანს, აქ სასაფლაოებიც არ არის. შესაძლოა იყო და საფლავის ქვები მიწამ დაფარა. სახით არის არქიტექტურულად ის 1990 წელს ამ სოფ. მუჟავა, აღწერილი: წალენჯიხის რაიონი, ნანგრევი. შუა ადგილი „საანთიო“; ეკლესიის დარბაზული საუკუნეები; ტიპი – საკულტო; ჩრდილოეთის ეკლესიიდან ფაქტიურად და დასავლეთის კედელი, ნაწილობრივ საკურთხევლის ნახევარზე მეტი კედლის ფრაგმენტი შემორჩა, ისიც სუროთია დაფარული. იქ სადაც კედლის წყობა მოშიშვლებულია სამშენებლო მასალა ჩანს. ეკლესია, როგორც გარედან, ისე შიგნით აგებული ყოფილა ადგილობრივი ჯიშის, უხეშად თლილი სხვადასხვა ზომის ქვით-კირის დუღაბზე. თითქმის სწორხაზოვანი რიგების ანაბეჭდი შემორჩა ჩრდილოეთ კედლის ზედა ნაწილებში. ქვედა რიგები კი კარგად არის შემონახული. ინტერიერის მხრიდან ეს კედელი ნაკლებად დაზიანებულია; გეგმით წარმოადგენდა სწორკუთხედს აღმოსავლეთიდან დასრულებული ნახევარწრიული საკურთხევლით, რომლის ფრაგმენტი მხრითურთ გადარჩა. თვით საკურთხევლის შიდა არე მიწით არის ამოვსებული. მისი გარე კედელი კი მცირეზეა შერჩენილი. ამ ფასადისათვის შედარებით დიდრონი ქვები გამოუყენებიათ. დანარჩენი კედლების ჩამონგრეული ნაწილები აქვე ყრია; ეკლესია იდგა ერთსაფეხურიან ცოკოლზე, რომელიც ჩრდილოეთი კედლის ძირშია შემორჩენილი.

1990 წ. 29 ნოემბერი, ხელოვნებათმცოდნე ც. დადიანიძე.

4. ჩხაპილკის მთა – ციხე-კოშკი

ჩხაპილკის მთის თხემზე მდ. ოლორის მარჯვენა სანაპიროზე მდებარეობს თავდაცვითი ნაგებობის – სავარაუდოდ კოშკის ნაშთები. ის უმთავრესად რიყის ქვით კირის დუღაბზეა ნაშენი; ამ ნეგებობის და ზუსტი ფორმის აღდგენა ძნელდება. დასავლეთით ის უყურებს საგეთიოს კოშკს და სამხრეთ-დასავლეთით ფახულანში მდებარე ციხეებს და კოშკებს.

არქიტექტორების მიერ 1990 წელს ამ სახით არის ფიქსირებული:

წალენჯიხის რაიონი, სოფ. მუჟავა, ჩრდ. აღმ. ადგილი „ჩხაპილკა“ მდ. ოლორის მარცხენა ნაპირზე; ციხის ნაშთი „ნაჯიხარი“. შუა საუკუნეები; ტიპი – სტრატეგიული; ფიფიებისა და მატუების კარ-მიდამოს გავლით 400 მეტრში შემორჩენილია მრგვალი კოშკის ნაშთი. აგებული იყო ადგილობრივი ჯიშის კოდის ფლეთილი ქვით და რიყის ქვით – კირის დუღაბზე; კოშკის ჩრდილო-აღმოსავლეთით, რამოდენიმე მეტრში გალავნის ფრაგმენტებია იდენტური მასალით ნაწყობი. კოშკისა და გალავნის გარშემო უამრავი ქვა-ღორღი ყრია.

1990 წ. 29 ნოემბერი, ხელოვნებათმცოდნე ც. დადიანიძე.

5. კომპლექსის ეკლესია

წალენჯიხის რაიონი, სოფ. მუჟავა, მდ. ოლორის მარცხენა ნაპირი, მაღალ კონცხზე; არქიტექტურული კომპლექსი. ადრე შუა საუკუნეები; გვიანი შუა საუკუნეები; ტიპი – საფორტიფიკაციო-საკულტო; კომპლექსი მდებარეობს მაღალი მთის კონცხზე, მისასვლელი გზის აღმოსავლეთიდანაა, იგი საკმაოდ რთულია. კომპლექსი სტრატეგიული თვალსაზრისით მეტად მარჯვე ადგილას მდებარეობს. აქედან კარგად ჩანს მდ. ილორის ხეობის დიდი ნაწილი. კომპლექსის მომცველი ტერიტორია დაყოფილია ტერასებად და გალავნიანი კონცხის კონფიგურაციას იმეორებს; ეკლესია დგას კომპლექსის ყველაზე მაღალ ადგილას და ამით დომინირებს სხვა ნაგებობებთან; დარბაზული ეკლესია წარმოადგენს კომპლექსის ყველაზე ადრეულ ნაგებობას. მას სამხრეთიდან, კედლის ძირში კრიპტა აქვს. ეკლესიის კედლები შემორჩენილია ნანგრევების სახით. ჩრდილოეთიდან ჰქონდა მინაშენი, რომელიც ძალზედ დაზიანებულია. ეკლესიიდან დასავლეთით რამდენიმე მეტრში ქვედა ტერასაზე შემორ-ჩენილია ორნაწილიანი დარბაზის ნანგრევები. უკეთესადაა გადარჩენილი დარბაზის დასავლეთი ოთახი; გალავნის სამხრეთ კედელთან მდებარეობდა სენაკი. სენაკის გვერდით ნაგებობის ნაშთია, რომლის მხოლოდ უმნიშვნელო ფრაგმენტებია შემორჩენილი; კომპლექსის ტერიტორიაზე მიწის დონე ამოწეულია, ჩამონაშალი ქვა იქვე ყრია. ამოსულია დიდი რაოდენობით ხე-მცენარეები.

1990 წ. 26 ნოემბერი, ხელოვნებათმცოდნე მ. აბაშიძე.

წალენჯიხის რაიონი, სოფ. მუჟავა, მდ. ოლორის მარჯვენა ნაპირზე; კომპლექსის ეკლესია კრიპტით. ადრეული შუა საუკუნეები; ტიპი – საკულტო; ეკლესია დგას მაღალ მთის წვერზე, მისასვლელი გზა საკმაოდ შორია და რთული. ნაგებობა მნახველს კლდეზე გადმოკიდებული, აღმოსავლეთი მხრიდან წარმოუდგება. აქედან ეკლესიის კედელი პირდაპირ კლდეზეა დასმული. გააჩნია განგებ ამოყვანილი ხელოვნური ტერასა. ამ მხრიდან ეკლესიის ფასადს ვერ მიუდგები. ჩრდილო-დასავლეთიდან უფსკრულია;

ეკლესია კომპლექსისა და მთის კომპოზიციურ დომინანტს წარმოადგენს; ნაგებია ეკლესია, როგორც გარედან ისე შიგნით უხეშად დამუშავებული, თითქმის თანაბარი ზომის სასიამოვნო წყობით – კირის დუღაბზე. სწორკუთხოვან რიგებს შორის მოხდენილად არის ჩასმული წვრილი ზომის ქვები; ნაგებობა ძლიერ დაზიანებულია. ჩამოქცეულია მისი თაღ-კამარა და კედლების ზედა ნაწილები. კედლებში წარმოქმნილია ბზარები. დასავლეთი კედელი შიგნიდან მიწის პირზე ჩანს, გარედან მეტად. გამონგრეულია სამხრეთ-დასავლეთი კუთხე. მორღვეული სამხრეთი კარის მხოლოდ ერთი წირთხლი შემორჩა ნაწილობრივ ჩრდილოეთისა და მთლიანად გატყავებულია გეგმით წარმოადგენს სწორკუთხა ორკედლიან ნაგებობას. ჩრდილოეთით ეკლესია გაცილებით ვიწროა მთავართან შედარებით. მთავარი ეკლესია აღმოსავლეთიდან დასრულებულია შებრტყელებული ნალისებრი ფორმის აბსიდით. მასში ერთი ოთხკუთხა სარკმელი ზის. საკურთხევლის ჩრდილოეთი მხარე ნაწილობრივ შემორჩა, სამხრეთისა კი აღარ. მთავარი ეკლესიის ჩრდილოეთი კედლის შუა გაკეთებული იყო გასასვლელი გვერდითა ეკლესიაში. თუ როგორი იყო ეს კარი, ძლიერი დაზიანებების გამო არ ჩანს. ვიწრო ეკლესიის შიდა სივრცეს პირობითად ჰყოფს ჩრდილო გრძივ კედელში დატანებული მძლავრი პილასტრი, რომელზედაც კამარის საბჯენი თაღი გადადიოდა. ამ სათავსოს გრძივი კედლების აღმოსავლეთ მონაკვეთებში შერჩენილია კამარის ქუსლის და ქვის ერთი რიგი. ეს ეკლესია აღმოსავლეთი მხრიდან სწორი კედლით სრულდება. მასში ერთი სარკმელია გაჭრილი, რომელიც მთლიანად დაზიანებულია, მისგან მხოლოდ ერთი წირთხლია შერჩენილი. ორივე ეკლესია ცალ-ცალკე სახურავით იყო გადახურული; დიდი ეკლესია უფრო მაღალია გვერდითასთან შედარებით; ეკლესიის სამხრეთით კიდევ ერთი კარი გააჩნდა, რომელიც ამჟამად კრიპტის სახურავზე გამოდის. არ არის გამორიცხული, კრიპტა ორ სართულიანი იყო; კრიპტა ეკლესიის სამხრეთი კედლის ძირში მდებარეობს. ჩრდილოეთი კედლით იგი მიჯრილია ეკლესიის კედლის ძირზე. ბოლომდე გაუყვებოდა თუ არა იგი ეკლესიის კედლის დაზიანების გამო არ ჩანს. აღმოსავლეთი მხრიდან კრიპტასა და ეკლესიის კედლის ძირში ერთ ხაზზე იმყოფებიან. აკლდამის სამხრეთ კედელზე თითქმის მთლიანად გადარჩა. კრიპტა მიწითა და ქვებით არის ავსებული, გადახურულია ცილინდრული კამარით, რომელსაც სოლისებურად ჩალაგებული ქვებით ამოყვანილი თაღი გააჩნია; ეკლესიის აღმოსავლეთი კედლის სამხრეთი კუთხის საყრდენი კედელი გამონგრეულია. ამავე მხარეს არის ჩამოქცეული კრიპტის კედელი. კრიპტას სახურავზე მიწაყრილია, ზედ ამოსულია ბუჩქნარი; ნაგებობანი გალავნით იყვნენ შეზღუდული.

1990 წ. 26 ნოემბერი, ხელოვნებათმცოდნე ც. დადიანიძე

6. მრგვალი კოშკის ბუდე

წალენჯიხის რაიონი, სოფ. მუჟავა, მდ. ილორის მარცხენა ნაპირი; კომპლექსის მრგვალი კოშკის ბუდე; ტიპი – თავდაცვითი. შუა საუკუნეები; მრგვალი კოშკის ბუდე შერჩენილია გალავნის გარეთ სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით 2-3 მეტრში; იკითხება ნაგებობის წრიული გეგმა. შემორჩენილია მისი სამხრეთ-აღმოსავლეთი კედლის ფრაგმენტი. ქვა რუხი ფერის, ადგილობრივი ჯიშის კლდის.

1990 წ. 29 ნოემბერი, ხელოვნებათმცოდნე ც. დადანიძე

7. ნაეკლესიარი

ა. ჭანტურიას ცნობით სტეფანე გეთიას სახლის ზემოთ არის ნაეკლესიარი, ოთახებით, სადაც პოულობენ ძვლებს და სხვა ნივთებს. ლეგენდის მიხედვით, ხატს მოჰყავდა ირმები, რომელთა თავის მოსაჭრელი ნაჯახი ეკლესიაში ინახებოდა, ქალები – გვარად გოგოხია და ბულია – ხატის ძალით გაქვავებულიყვნენ ამ ეკლესიაში შეხედვის დროს[1].

სოფელ წყოუში

1. ნაეკლესიარი და კოშკის ნაშთები

მდ. ენგურის მარჯვენა მხარეს, აბესალომ გოგოხიას კარმიდამოში დგას ორი საკმაოდ დიდი ნაგებობის ნაშთები. სავარაუდოდ ერთი ეკლესია უნდა იყოს, მეორე კი კოშკი, ამ ადგილიდან ჩრდილოადმოსავლეთით არის ფახულანის ციხე, რომელიც მას უყურებს სამხრეთ-დასავლეთით, ასევე ის უყურებს გალის რაიონის სოფელ ოციმეშში (საბერიო) მდგარ ციხეს და სათანჯოს მთას, შემდგომ კი რუხის ციხეზე ჩამავალ ხაზს.

მეორე ნაგებობა დგას მისგან ათ მეტრში, ამავე მხარეს მას გაჭრილი აქვს ოთხი სარკმელი, ხოლო სამხრეთით, როგორც ჩანს იყო შესასვლელი კარი; ეს მხარე რიყის ქვისგან არის ნაშენი.

ეს ნაგებობა საცხოვრებელს გავს, მას სარკმლები დაბლა აქვს გაჭრილი, შესაძლოა აქ სასახლე ან თავადის საცხოვრებელი ყოფილიყო და ალბათ ორსართულიანი ნაგებობა იყო.

არქიტექტურულად ეს კომპლექსი ამ სახით არის აღწერილი: წალენჯიხის რ-ნი სოფ. წყოუში, კ. გოგოხიას კარ-მიდამო, ყანაში; კოშკის ნანგრევი. გვიანი შუა საუკუნეები; ტიპი – თავდაცვითი; ოთხკუთხა კოშკი შემორჩენილია ნანგრევების სახით. ნაგებია სხვადასხვა ზომის ყორე და ფლეთილი ქვით – სქელ დუღაბზე; კოშკი გეგმის სწორკუთხედს წარმოადგენს, რომლის დასავლეთ კედელში შესასვლელი იყო დატანებული. ამჟამად კედლის ეს ნაწილი ჩამონგრეულია. აღმოსავლეთის კედელში წყვილი, გეგმით ნახევარწრიული ნიშია მოწყობილი. ერთი მცირე ზომის ნიში დასავლეთ კედელშიცაა მოთავსებული. სამხრეთის კედელში ვიწრო სარკმელ-

[1] ა. ჭანტურია, ისტორიულ-არქეოლოგიური ძიებანი სამეგრელოში, ისტორია, არქეოლოგია, ხელოვნებათმცოდნეობა, ეთნოგრაფია, თბ., 1989, №283, გვ. 178.

სათოფურებია განლაგებული; კოშკის კედელზე მოდებულია ეკალ-ბარდები და ბალახეულობა.

1990 წ. 26 ნოემბერი, ხელოვნებათმცოდნე მ. აბაშიძე

წალენჯიხის რაიონი, სოფ. წყოუში. კ. გოგოხიას კარ-მიდამო, ყანაში; ნაგებობის ნაშთი. შუა საუკუნეები; ტიპი – საკულტო; ნაგებობიდან შამორჩენილია მხოლოდ ჩრდილოეთ კედლის ფრაგმენტი, რომელიც ნაგებია მოზრდილი ქვით – დუღაბზე. დანარჩენი კედლები დაფარულია მიწით და მცენარეებით

1990 წ. 13 ნოემბერი. ხელოვნებათმცოდნე მ. აბაშიძე.

2. ნაეკლესიარი

ზემოთ წარმოდგენილი ადგილიდან სამხრეთ-დასავლეთით არის ძველი სასაფლაო, სადაც ადგილობრივთა გადმოცემით ძველად მდგარა ხის ეკლესია.

3. ციხე-სიმაგრე

მდინარე ენგურის მარჯვენა მხარეს, დაახლოებით მისგან ორ-სამ კილომეტრში, მაღალ მთაზე დგას ციხე-სიმაგრე; ის სტრატეგიულად ძალზედ მოხერხებულ ადგილას მდებარეობს, რომელიც მთლიანად აკონტროლებს სამხრეთ-აღმოსავლეთ და ჩრდილო-აღმოსავლეთ მხარეებს და მდინარე ენგურის ხეობას; სამხრეთით ის უყურებს სოფლებს: პალურს, ტყაიას და რუხის ციხს, მთლიანად მდინარე ენგურის სამხრეთ ხეობას, სამხრეთ აღმოსავლეთით საბერიოს და სათანჯოს მთას. ჩრდილო აღმოსავლეთისკენ და უფრო აღმოსავლეთის დიდა ქირსას და ჯვარისკენ მიმავალ გზას, შესაძლოა მამუკიას ჯიხასაც. ის წარმოადგენს დიდი ადგილობრივი კირქვებისაგან ნაშენ ციხეს, მის შიგნით კიდევ არის კედელზე ჩაშენებული დიდი თეთრი ერთი კოშკი რომელიც ნაშენია კირქვის კვადრებით და კირის დუღაბზე ვფიქრობთ, ეს ციხე-სიმაგრე, რომელიც დიდ ფართობზე არ არის გაშლილი წარმოადგენს რომაული ხანის ნაგებობას და მას ჩვენ II-IV საუკუნეების ძეგლად მივიჩნევთ.

4. მთავარანგელოზის სახელობის ნაეკლესიარი

მდინარე ოლორის მარჯვენა მხარეს სოფლის ცენტრის ჩრდილოეთით 50 მეტრში, სასაფლაოსთან იდგა მთავარანგელოზთა სახელობის ხის ეკლესია. ბოლო მღვდელი იყო კოსტა შონია.

სოფელი ფახულანი

1. ტებენას ციხე-სიმაგრე და ნაეკლესიარი

ტებენად წოდებულ ადგილას მაღალ მთაზე არის ციხე-სიმაგრის და ეკლესიის ნაშთები, სამწუხაროდ ეს ადგილი ჩვენ ვერ დავათვალიერეთ. არქიტექტორთა მიერ კი ამ სახითაა აღწერილი: წალენჯიხის რაიონი, სოფ. ფახულანი, მიდამოები მდ. ოლორისა და ტებენას შუა; კოშკის ნანგრევი. შუა საუკუნეები; ტიპი – თავდაცვითი; კოშკიდან შემორჩენილია მხოლოდ ჩრდილოეთის და სამხრეთის კედლების ფრაგმენტები, რომელიც ნაგებია სხვადასხვა ზომის ყორე და ფლეთილი ქვით – კირის დუღაბზე. სამშენებლო ღერძი აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ ვითარდება. გარშემო მიწის დონე ძალზედ აწეულია, მიმოფანტულია ჩამონაშალი ქვა. კოშკი უფრო სასიგნალო დანიშნულებისაა. მისგან აღმოსავლეთით, მდ. ილორის გაღმა მთაზე ყოფილა ასეთივე სასიგნალო-სათვალთვალო კოშკი, რომელიც დღეს სრულიად განადგურებულია.

1990 წ. 13 ნოემბერი, ხელოვნებათმცოდნე მ. აბაშიძე.

2. ციხე-სიმაგრე და ნაეკლესიარი

მდინარე ოლორის მარცხენა და მდინარე ენგურის მარჯვენა მხარეს შორის შესართავთან წამოზრდილ მაღალ გორაკზე მდებარეობს საკმაოდ დიდ ფართობზე შემოზღუდული ციხის ნაშთები. ადგილი ეკალ-ბარდებით არის დაფარული და ძალზედ ძნელია პირვანდელი ფორმის გარჩევა. შავარაუდოდ მას უნდა ჰქონოდა ოთხი კოშკი – ჩრდილო-აღმოსავლეთით, სამხრეთ-აღმოსავლეთით, ჩრდილო-დასავლეთით და სამხრეთ-დასავლეთით. შიგნით შეინიშნება სხვადასხვა ნაგებობების ნაშთები. აქ ეკლესიაც მდგარა.

ციხე-სიმაგრის ეს კომპლექსი შეისწავლა ჯ. ჯღამაიამ. ავტორის თქმით, ბორცვი წარმოადგენს ოცალური მოყვანილობის 70-80 მ. სიმაღლის გორას, რომელიც აღმოსავლეთის მხრიდან ხელოვნურადაა გადაჭრილი ფართო თხრილით და შემოზღუდულია რიყის ქვის გალავნით. აქ დასტურდება ძვ. წ. VII-VI სს. კერამიკა. იმავე ხანებშია იგი გადაჭრილი დიდი თხრილით, რის შედეგადაც ეს ბორცვი საცხოვრებელ ყელგადაჭრილ გორად იქცა. მას სამივე მხრიდან ციცაბო ფერდობები აქვს, რომლებზედაც ალაგ-ალაგ ხელოვნური ტერასებია გაკეთებული. ბორცვის თხემი რამდენადმე სწორ ადგილს წარმოადგენს, რომელზედაც ციხის ნანგრევებია შემორჩენილი. ნაციხარის ფართობი 400 კვმ-ია. ნაციხარის აღმოსავლეთ ნაწილში

გალავნის კედლიდან რამოდენიმე მეტრის დაშორებით დგას ეკლესიის ნანგრევი [1]. აღნიშნული ნანგრევი წარმოადგენს დარბაზული ტიპის ეკლესიას, მას გეგმაში წაგრძელებული სწორკუთხედის ფორმა აქვს, დამხობილია აღმოსავლეთ-დასავლეთის ღერძზე, ჩრდილოეთისაკენ ოდნავ გადახრით. ის ნაგებია რიყის ქვით, სილანარევი კირის დუღაბზე და მოპირკეთებულია გულდაგულ გათლილი კირქვიანი ქვიშაქვის ფილებით. ეკლესიას აქვს საძვალე, რომელიც დატანებულია მის სამხრეთ კედელთან. ეკლესიას ეტყობა იყო მოხატული [2]. იგი ნაშენია შუაფეოდალურ ხანაში, ხოლო შემდგომ გვიანფეოდალურ ხანაშია გადაკეთებული, რომლის დროსაც მისთვის მიუდგამთ მინაშენი რიყის ქვისაგან[3].

შედარებით უკეთ დაცული კოშკი მდებარეობს „ნოჯიხუს“ სამხრეთ-აღმოსავლეთ მხარეს. იგი სწორკუთხა მოყვანილობისაა და ნაგებია საგანგებოდ შერჩეული დიდრონი რიყის ქვებით და თარიღდება შუაფეოდალური ხანით, როცა ის დანგრეულა კიდეც და მერე აღარ აღუდგენიათ. მასზე კი გარედან მიუდგამთ სწორკუთხა კოშკის აღმოსავლეთი კედელი. „ნოჯიხუს“ ჩრდილოეთით კუთხეში შეიმჩნევა სწორკუთხა მოყვანილობის კოშკის ნაშთი, ამჟამად შემორჩენილია აქვს 4 მ სიგრძის წყობის უმნიშვნელო ნაწილი. გალავნის სამხრეთ კედელს შემორჩენილი აქვს 4 მ. სიგრძის და 2 მ. სიგანის ნახევარწრიული კონტრფორსი, ნაგები რიყის დიდრონი ქვებითა და ისეთივე ჰორიზონტალური წყობით, როგორც მასთან ახლოს 15-ოდე მეტრში მდგარი სწორკუთხა კოშკი. ისინი წარმოადგენდენ შუაფეოდალური ხანის სამშენებლო პერიოდს[4].

ჯ. ჯღამაიას დასკვნით, „ნოჯიხუს“ ციხის კომპლექსი მოქმედებდა შუაფეოდალური ხანიდან გვიანფეოდალური ხანის ჩათვლით[5].

ამ ციხის კომპლექსში მდებარე ეკლესია და ციხე-სიმაგრე არქიტექტურულად ამ სახით არის აღწერილი: წალენჯიხის რაიონი, სოფ. ფახულანი, მდ. ოლორის მარჯვენა მხარეს, ფერმების თავზე. შემაღლებულ ბორცვზე. შუა საუკუნეები; არქიტექტურული კომპლექსის ეკლესია; ტიპი – საკულტო; ეკლესია მდებარეობს გალავნის აღმოსავლეთ ნაწილში, შემორჩენილია ნანგრევების სახით. ნაგებია სხვადასხვა ზომის ფლეთილი ქვით – კირის დუღაბზე. ინტერიერი მოპირკეთებულია კარგად თლილი კვადრატული ქვებით; ეკლესია გეგმით სწორკუთხედს წარმოადგენს, აღმოსავლეთ ნახევარწრიული აბსიდით, რომლის ცენტრალური ნაწილი მთლიანად ჩამონგრეულია. ჩრდილოეთით შეიმჩნევა აბსიდის მხარი. სამხრეთის კედელზე შემორჩენილია პილასტრების ფრაგმენტები. ინტერიერი ამოვსებულია მიწით და ჩამონაშალი ქვით; ეკლესიას შესასვლელი სამივე მხრიდან ჰქონდა. აქედან ჩრდილოეთისა მინაშენს უკავშირდება. მინაშენი ეკლესიასთან შედარებით უფრო მცირე ზომისაა. გეგმით სწორკუთხაა. მას დამოუკიდებელი შესასვლელი დასავლეთიდანაც ჰქონდა. ჩრდილოეთ კედელში მოწყობილია წყვილი თაღოვანი ნიში, აღმოსავლეთით სარკმლის კვალია. მინაშენი ნაგებია ყორე და ფლეთილი ქვით.

1990 წ. 26 ნოემბერი, ხელოვნებათმცოდნე მ. აბაშიძე.

---

[1] ჯ. ჯღამაია, შუასაუკუნეთა ნაციხარი „ნოჯიხე“ ფახაულთან, საქართველოს არქეოლოგიის საკითხები, I, 1978, გვ. 105.
[2] ჯ. ჯღამაია, დასახ. ნაშრომი, გვ. 106.
[3] ჯ. ჯღამაია, დასახ. ნაშრომი, გვ. 107.
[4] ჯ. ჯღამაია, დასახ. ნაშრომი, გვ. 108-109.
[5] ჯ. ჯღამაია, დასახ. ნაშრომი, გვ. 111.

შუა საუკუნეები; კოშკის ნაშთი (I); ტიპი – საფორტიფიკაციო; კომპლექსის გალავნის სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში შემორჩენილია კოშკის ნაშთი. ტერიტორია იმდენად დაფარულია გვიმრით, რომ ჭირს გეგმის დადგენა. აქა-იქ ჩანს სხვადასხვა ზომის ფლეთილი ქვის გროვა.

1990 წ. 29 ნოემბერი, ხელოვნებათმცოდნე მ. აბაშიძე.

კოშკის ნაშთი (II). ტიპი – საცხოვრებელი. შუა საუკუნეები; ეს ნაგებობის ნაშთი ციხის გალავანში დასავლეთის მხრიდან არის ჩართული ძალიან ძნელად იკითხება მისი მომრგვალებული გეგმა. კედლები მიწის პირზე ძლივს ჩანს. დასავლეთის კედელი გარედან 1,5 მ დონეზეა შერჩენილი. შერჩენილი ფრაგმენტებიდან ჩანს კომპლექსისათვის გამოყენებული სამშენებლო მასალა ფლეთილი და რიყის დიდრონი ქვები, კირის დუღაბზე. ნაგებობის ნაშთები ჯაგებით არის დაფარული.

1990 წ. 29 ნოემბერი, ხელოვნებათმცოდნე ც. დადიანიძე.

კოშკის ნაშთი (III); ტიპი – სტრატეგიული. შუა საუკუნეები; კოშკის ნაშთი გალავანში, დასავლეთის მხრიდან არის ჩართული და მიჯრილია იგივე გეგმის კოშკთან ძნელად იკითხება გეგმა, შიგნიდან ამოვსებულია მიწაყრილით და ჯაგნარით. ჩრდილოეთის კედელი გარედან დაახლოებით 2 მ-ია; სამშენებლო მასალად გამოყენებულია ფლეთითლი და რიყის ქვები კირის დუღაბზე.

1990 წ. 29 ნოემბერი, ხელოვნებათმცოდნე ც. დადიანიძე.

დარბაზის ნაშთი. შუა საუკუნეები; ტიპი – საცხოვრებელი; მდ. ილორის მარცხენა სანაპიროზე, მთის წაკვეთილ პლატოზე, შემორჩენილია ციხე-დარბაზის კომპლექსის ნანგრევები. ციხის გალავნის სამხრეთ-დასავლეთით კედელში ჩართულია სწორკუთხა ნაგებობის ნაშთი. აგებული ყოფილა დიდრონი რიყის ქვით, კირის დუღაბზე. კედლები 50 სმ-ია. ზოგან კი მიწის პირზეა ჩამონგრეული. გალავანში ჩართული ნეგებობების სამხრეთი და დასავლეთი კედლის წყობა უკეთ ჩანს გარეთა მხრიდან. გეგმა არ იკითხება მთლიანად. ნაგებობიდან გადარჩენილი ფრაგმენტები ეკალბარდებით არის დაფარული.

1990 წ. 29 ნოემბერი, ხელოვნებათმცოდნე ც. დადიანიძე.

ეს ციხე-სიმაგრე სამხრეთით აკონტროლებს მდინარე ენგურის ხეობას რუხის ციხემდე. დასავლეთითი უყურებს წყოუშში ფიქსირებულ ციხეს. ჩრდილო-აღმოსავლეთით მამუკიას ჯიხას და დიდა-ქირსას. ჩრდილოეთით მდინარე ოლორსა და ტებენას შორის მდებარე ციხის ნაშთებს.

სოფელი ეწერი

ლეციმიტიეს წმ. გიორგის სახელობის („ბუჭიეს“) ნაეკლესიარი

სოფელი ენწერში, ლეცი-მიტიეს უბანში იდგა წმ. გიორგის სახელობის ერთნავიანი დარბაზული ეკლესია. პირველი მღვდელი ყოფილა კონდრატე თათარაშვილი (უიარადო); შემდეგ ბესარიონ ხაბურზანია, ბოლო მღვდელი იყო სოლომონ გეთია, დიაკვანი ვასილ ქარდავა. ამ ადგილს ბუჭიეს სალოცავსაც უწოდებენ და არქიტექტორების მიერ 1990 წელს ამ სახით არის დაფიქსირებული: წალენჯიხის რ-ნი, სოფ. ეწერი სასაფლაოზე; ნაეკლესიარი „ბუჭიეს სალოცავი“. შუა საუკუნეები; ტიპი – საკულტო; შემორჩენილია მხოლოდ ბექობი, რომელზედაც ეკლესია იდგა. ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში ჩანს საძირკველის რამდენიმე ქვა.

1990 წ. 13 ნოემბერი, ხელოვნებათმცოდნე მ. აბაშიძე

წმ. მარიამის სახელობის ეკლესია ქ. წალენჯიხასთან

ქ. წალენჯიხის შესასვლელთან დასავლეთით, სამანქანო გზის მარცხენა მხარეს (ზუგდიდიდან) დგას ახლად აშენებული წმ. მარიამის სახელობის ეკლესია

თავი VIII

სენაკის რაიონი

სოფელი თეკლათი

1. ეკლესიები და სამრევლო სკოლა

XIX საუკუნის 70-იანი წლების სტატისტიკური აღწერილობის მასალებით სოფ. თეკლათში არის 4 ეკლესია და სკოლა.

თეკლათი იყოფოდა ორ – ზემო და ქვემო ნაწილებად. როგორც გაზ. „ივერია 1894 წელს გვატყობინებს:

„გვაქვს აქ ორი შტატის ეკკლესია ქვითკირისა აგრეთვე სამრევლო სკოლა. მოწაფეთა რიცხვი ამ სკოლაში დღითი-დღე მატულობს“ [1]. იმავე გაზეთი ცნობას გვაწვდის 1895 წლისათვის თეკლათის სამრევლო სკოლაზე, სადაც მსახურობდა მღვდელ-დიაკონი გერასიმე ხოშტარია[2].

გაზეთ ცნობის ფურცლის ცნობით, ასევე ზემო თეკლათში აღდგომის მეოთხე დღეს სცოდნიათ საეკლესიო დღესასწაული ჯარიანობა [3]. გ. ელიავას ცნობით, ეს დღეობა იცოდნენ აღდგომის მეორე დღეს (ორშაბათს) თარანგელოზის (მთავარანგელოზის) სალოცავში[4].

---

[1] გაზ. ივერია, №50, 1894.

[2] „სწავლა-განათლების მხრითაც ხსენებული სოფელი წინ არის სხვა დანარჩენ სოფლებზედ. კარგა ხანია, რაც აქ არსებობს სამრევლო სკოლა. ამ სკოლაში მასწავლებლად არის დანიშნული სამეგრელოს სასულიერო სასწავლებელში კურს-დამთავრებული მთავარ-დიაკონი გერასიმე ხოშტარია, რომელიც სინდისიერად ასრულებს თავისს საქმეს. აქ დღეს თითქმის ოცამდე ბავშვი სწავლობს. ამ სკოლის ნივთიერს შემწეობას აძლევს სამეგრელოს სასულიერო სასწავლებლის საბჭო, რომლის მზრუნველობის ქვეშ იმყოფება ხსენებული სკოლა. სწავლის საქმე სწორედ კარგად მიდის“ (გაზ. ივერია, №107, 1895, სოფ. ქვემო-თეკლათი (სენაკის მაზრა), ტრიფონ კალანდარიშვილი).

[3] „ს. ზემო-თეკლათი (სამეგრელო) დღეობა. ს. ზემო-თეკლათში ჯარიანობა და დღეობა იციან, ყოველ წლივ აღდგომის მეოთხე დღეს. მოდიან სამეგრელოს სხვა-და-სხვა სოფლებიდან ხალხი, ზოგი საქეიფოდ და დროს გასატარებლად, ზოგს კი დანაპირი ექნება სანთელ-საკმელი, ფული თუ ცხვარი ხატს შესწიროს. ამ დღეს კარგი შემოსავალი აქვს ეკლესიასა. წელს ჩვეულებრივ ხალხი შეიკრიბა ეკკლესიის გალავანის გარედ საკმაოდ და გაჩაღდა, ჯირითობა და ცხენების ერთმანეთის შეჯახება“ (გაზ. ცნობის ფურცელი, №807, 1899. ჯოჯოხეთის მაშხალა).

[4] გ. ელიავა, სენაკის რაიონის ტოპონიმია, თბ., 1981, გვ. 26.

2. ქვემო თეკლათის წმ. ბარბარეს სახელობის ნაეკლესიარი

მდ. ცივის მარცხენა ნაპირთან, ცენტრალური გზიდან მარჯვენა მხარეს დაახლოებით 100 მეტრში იდგა წმ. ბარბარეს სახელობის ეკლესია, აქ ერთ-ერთი საფლავის ქვაზე ესეთი წარწერაა: „სამებაო იმერთ მთავარო შემიწყალე ეკლესიისა ამის აღმშენებელი და ყოველთა... მამა მფლობელო სოფლის მონასტრის არხიმანდრიტი ბესარიონ ჭყონია...“ (შემდეგ წარწერა არ იკითხება).

ამ ეკლესიის გარშემოწერილობა დაახლოებით 50 მეტრია. შემორჩენილი საძირკვლის ნაშთები. აღდგილობრივთა გადმოცემით, აქ ბოლო მღვდელი იყო კალანდარიშვილი. ამ სასაფლაოზე ტარდებოდა ბაიობის (ბარბარობის) დიდი დღესასწაული. აქ მიცვალებულს ასაფლავებდნენ გოლასკურის, ტყიჩის, რეკის, ხორგეშის და თეკლათის ხალხი. ის გასაბჭოების დროს დაუნგრევიათ.

როგორც აღვნიშნეთ თეკლათის თემში 4 ეკლესია უნდა ყოფილიყო, თუმცა დღევანდელ თეკლათში არ არის ამდენი ნაეკლესიანი. ისინი ჩვენ დავაფიქსირეთ დღევანდელ სოფელ მენჯში, რომელიც იმ დროს ზემო თეკლათში შედიოდა

სოფელი თეკლათი იხსენიება 1733 წლის გუჯარში გრიგოლ კათალიკოზისა ბიჭვინტის საბუთაგან, სადაც ნათქვამია, რომ „თეკლათის ერთი მოსახლე გარუჩავა ერისთავის ქალმა დედოფალმა შესწირა მისის ყოვლისფერიანათ წყალისგზას ციხისთავის (სიც) ცაიშელის ნაქონელი თავს ერთი ხელოსანი მამიგული სხვიტარია, მეორე ჭითავა მაკარია, მესამე ლუხავა გ ი და მისი ძმა ჭუჭუ, მეოთხე ჩოხოლეი ლუხავა და მისი ძმა ნინიაკოჩი, მეხუთე ჯაჯავა გაჭირვებული ხორავა, მეექვსე გელოზია გიორგელა და ორი მისი ძმა და ერთი მისი ბიძაშვილი, მეშვიდე მამაგული ლასსურია მისი შვილებიანათ, მერვე ფაცილეი მელია, მეცხრე გარუჩავა იესე და მისი შვილები, მეათა თოლიკავა. ეს მოსახლე კაცები მათის ტყით, წყლით, სარჩოთ ყოვლისფერიანათ თეკლათს და სირიაჩქონის“[1].

1696-1742 წ. გრიგოლ კათოლიკოზის მიერ დადებულ წიგნში, ბიჭვინთის ღვთისმშობლისადმი, ვგებულობთ: „ქ. ამას გარეთ თეკლათს ერთი მოსახლე კაცი ღვაკალაი გრიგოლა ზაალ მხეიძეს ნიშანში ამოვიღეთ და ბიჭვინტისა ღთისმშობელს შესწირე (სიც) მისის ცოლშვილითა, სახლკარითა (აქ სამი სიტყვა წაშლილია, ტყითა, წყლითა, სასაფლაოთა) და მისის ყოვლისფერითა და ხუთი ლოღარიკი სანთელი დავადევი. ქ. მეორე მოსახლე კაცი გოქაცირია კოშანისძისსეული კაცი იყო, ბიჭვინტისა

[1] ს. კაკაბაძე, დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, წ. I, ტფილისი, 1921, გვ. 131-145.

ღთიისმშობელს შევსწირე მისის ცოლშვილით და ხუთი ლოღარიკი სანთელი დავადევი“[1].

მეჩვიდმეტე საუკუნის შეწირულობის წიგნში ნათქვამია: „თეკლათას გრიგოლია ღვარკალი, ხუთი ლოღარიკი სანთელი; მეორე მოსახლე მაქაცარია, ხუთი ლოღარიკი სანთელი, წყალი-გზას ცხრა მოსახლე კაცი: მამაგული შონია, ხუთი ლოღარიკი სანთელი; ხუცესი გელოზია, ხუთი ლოღარიკი სანთელი; ორი მოსახლე ლუხავები, ხუთ ხუთი ლოღარიკი სანთელი; ერთი მოსახლე ჯაჯაა და ხვარავა და ხუთი ლოღარიკი სანთელი, ერთი სხვიტარია, ხუთი ლოღარიკი სანთელი; ერთი ლასურია, ხუთი ლოღარიკი სანთელი; ქვაჩილეი მერგეშია, ხუთი ლოღარიკი სანთელი; ერთი მელია, ხუთი ლოღარიკი სანთელი; ერთი გარაუჩაა, ხუთი ლოღარიკი სანთელი...“ [2]

XV-XVII საუკუნეების გუჯრებში აღნიშნულია, რომ „აგრევე გკადრეთ და შემოგწირეთ თქვენ საშინელსა ბიჭვინტისა ღვთის მშობელსა ჩვენ ხელმწიფე დადიანმან პატრონმან **ლევან** თეკლათს საყდარი მთავარ ანგელოზისა საწინამძღვროდ რუვად კუამლის კაცითა, ტყითა, ველითა, საყანითა, სანადიროთა, გასავლითა და გამოსავლითა, საძებრითა და უძებრითა, დღეს რისაც მქონებელი იყონ სამართლიანის საქმითა ამას გარეთ საკანდელაკოს კლიტითა. შემოგწირეს სახსრად და საოხად სულისა ჩვენისა, ასრე რომე სახელი იყო ბატონი კათოლიკოზე მაქსიმე(?)... აწე ვინცა შლად ჰყოს წყეულ, კრულ და შეჩვენებულ არს მისი სული და ხორცი აქა და მას...“[3].

3. წმ. ბარბარეს სახელობის ახალი ეკლესია

წმ. ბარბარეს ძველი ნაეკლესიარის მოპირდაპირე მხარეს გზის მარცხენა მხარეს აშენებულია აგურის წმ. ბარბარეს სახელობის ეკლესია. ადგილობრივთა გადმოცემით, ის აუშენებიათ თავისი სახსრებით სენაკის მკვიდრ სერგო ლაშქარავას.

4. „ნაოხვამუ“ ადგილები

გ. ელიავას ცნობით, აქ უამრავი სხვა ნაოხვამუ ადგილები ყოფილა: „ნაოხვამუ“ – მაღალ ადგილზე. არქეოლოგებს უპოვიათ ქვევრები, ქოთნები, ბრინჯაოს თოხები, ნაჯახები და სხვ. „ნაოხვამუ“ – ადგილი რეკის სამხრეთ-დასავლეთ ფერდზე უძველესი სალოცავი ყოფილა [4]. „ნაოხვამუ“ – გარუჩავების უძველესი სალოცავი ადგილი [5].

[1] ს. კაკაბაძე, დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, წ. I, ტფილისი, 1921, გვ. 154-156.
[2] საქართველოს სიძველენი, ტ. I, თბ., 1920, ექვთიმე თაყაიშვილის რედაქტორობით, გვ. 55.
[3] ა. ხახანაშვილი, გუჯრები, Кутаисъ, 1891, გვ. 140.
[4] გ. ელიავა, დასახ. ნაშრომი, გვ. 28.
[5] გ. ელიავა, დასახ. ნაშრომი, გვ. 30.

„ნაოხვამუ“ – აქ ესვენა წმ. ბარბარეს ხატი. აქ დღეობა ძველი სტილით 4 ქრისტეშობის თვეს სცოდნიათ[1].

სოფელი ჭალადიდი (ჭალადიდის მუხური)

წმ. გიორგის სახელობის ნაეკლესიარი

სოფელი ჭალადიდის მუხური მდებარეობს მდ. რიონის მარჯვენა სანაპიროს გაყოლებით; ადგილობრივთა გადმოცემით, თემურ ადამიას საცხოვრებლელი სახლის გვერდით არის ადგილი ნაოხვაგუ, სადაც ადრე იდგა წმ. გიორგის სახელობის ხის ეკლესია.

XIX საუკუნის სტატისტიკური აღწერილობის მასალებით, ჭალადიდის მუხურში არის 2 ეკლესია[2].

1470-1474 წლის შამადავლი დადიანის წიგნში საკათალიკოზო სარგოს შესახებ აღნიშნულია, რომ: „წყლის პირსა ჭალადიდს რიონსზედან ნახევარი ბაჟი ხოფისა ღთისმშობელისა არის და ნახევარი კათოლიკოზს“[3]. იგივეა აღნიშნული 1611-1157 წლის ხობის მონასტრიადმი ლევან დადიანის მიერ მამულების განახლების სიგელში[4].

---

[1] გ. ელიავა, დასახ. ნაშრომი, გვ. 31.
[2] Свод статистических данных, დასახ. ნაშრომი.
[3] ს. კაკაბაძე, დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, წ. I, ტფილისი, 1921, გვ. 1-2.
[4] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II, გვ. 209-210.

სოფელი ახალსოფელი

სოფელ ახალსოფელის ძირითადი უბნებია ძონძერი, ისულა, საჟვანიო, საგადელიო

1. ისულას წმ. ბარბარეს სახელობის ნაეკლესიარი და ახალი ეკლესია

მდინარე ტეხურის მარჯვენა ნაპირთან მდებარე სოფლის სასაფლაოსთან იდგა წმ. ბარბარეს სახელობის ხის ეკლესია, რომელიც 1924-25 წლებში დაუშლიათ. ჯვარი აქაურ მცხოვრებ გრიგოლ ტყებუჩავას ჩამოუგდია. დღეს იქ აშენებულია ახალი ეკლესია (სასაფლაოს გვერდით), რომელიც ჯერ მოქმედი არ არის; ძველ ეკლესიაში მღვდელი ყოფილა კოცია კირცხალია; ის ცხოვრობდა ტეხურის გაღმა, რომელიც ადრე ასევე ისულას შემადგენლობაში შედიოდა.

XIX ს-ის სტატისტიკური აღწერილობის მასალებით ისაულში ერთი ეკლესიაა ფიქსირებული[1].

2. „ნანეფიშ ჭალეს“ ნამოსახლარი

სოფელ ახალსოფელში მდ. ტეხურის სანაპიროზე, მისი კალაპოტის კოლოფში აღმოჩენილია მნიშვნელოვანი არქეოლოგიური ძეგლი, რომელიც ნანეფიშ ჭალის სამაროვნით არის ცნობილი და ის ძვ. წ. III-II საუკუნეებით თარიღდება[2].

სოფელი ნოსირი

1. საოდიშარიოს წმ. სტეფანეს სახელობის ნაეკლესიარი

XIX ს-ის სტატისტიკური აღწერილობის მასალებით სოფ. ნოსირში ფიქსირებულია ორი ეკლესია.

საოდიშარიოს უბანში,

[1] Свод статистических данных, დასახ. ნაშრომი.
[2] გ. გვინჩილაძე, ნანეფიშ ჭალეს სამაროვანი, ძეგლის მეგობარი, თბ., 1980, №54, გვ. 16.

სოფლის სასაფლაოსთან, იდგა წმ. სტეფანეს სახელობის ქვის ან სავარაუდოდ აგურის ეკლესია. გადმოცემით, უფრო ადრე აქ მდგარა ხის ეკლესია, სადაც მღვდლები კირცხალიები ყოფილან. XVIII საუკუნეში აქ ჩამოსულან ოდიშარიები, ხოლო XIX საუკუნის ბოლოს მათ აუშენებიათ ქვის ეკლესია, რომელიც დღეს დანგრეულია. ზოგიერთის გადმოცემით, აქ ადრიდან მდგარა არა ხის, არამედ ქვის ეკლესია, რომელიც თურქების შემოსევის დროს დაუნგრევიათ, ხოლო შემდგომ აუშენებიათ ხის ეკლესია. აქ არის ერთ-ერთი მღვდლის, 1830 წელს დაბადებული ლაზარე ოდიშარიას საფლავი, რომელიც 1905 წელს გარდაიცვალა. სავარაუდოდ ეს ეკლესია იყო სამნავიანი, ჩანს საძირკვლის ნაშთები. გადმოცემით, აქ ოდიშარიებს დახვდათ ძველი მოსახლეები გოშუები და ჭილაძეები (ზოგიერთი გადმოცემით, ისინი შელიები ყოფილან და არა ჭილაიები) რომელთაც დავა მიწაზე და წყალზე მოსვლიათ. ისინი ერთმანეთს დაერივნენ და ამ ბრძოლაში ორივე გვარი ამოწყვეტილა. ისინი ძველი სამღვდელო გვარები იყვნენ. აქ ასევე ცხოვრობდნენ მღვდლები ნინუები და კირცხალიები. არქიტექტორ ლ. გიორგაძის მიერ წმ. სტეფანეს ხის ეკლესია XIX საუკუნითაა დათარიღებული, აღნიშნულია, რომ სოფლის სასაფლაოზე შემორჩენილია ეკლესიის საძირკველი. გადმოცემით აქ მდგარა ხის ეკლესია, რომელიც დაუნგრევიათ. წმ. სტეფანეს დასავლეთით მდებარე საძირკველის ნაშთები შუა საუკუნეებით თარიღდება. არქიტექტურულ აღწერილობაში აღნიშნულია რომ, „წმ. სტეფანეს დასავლეთით 10 მ-ის დაშორებით შემორჩენილია ეკლესიის ნაშთი. იკითხება კედლის მცირე ფრაგმენტი. 1992 წ. 18 მარტი. არქიტექტორი ლ. გიორგაძე“.

2. კარიეთის წმ. გიორგის სახელობის ეკლესია

კარიეთის წმ. გიორგის ეკლესიაზე ცნობებს გვაწვდის გაზეთი „ცნობის ფურცელი“, კერძოდ, აქ მდგარა რამოდენიმე საუკუნის ხის ეკლესია. აქ შტატის მღვდელი ყოფილა მამა ლაზარე (გვარი არ წერია – დ. ჭ.), რომელსაც განუზრახავს ამ ტაძრის აღდგენა. ის მოსკოვში წასულა ეკლესიის აღსადგენი თანხის მოსაძიებლად და კიდევაც მიუღწევია ამ მიზნისთვის. მამა ლაზარეს სასულიერო სასწავლებელი ჰქონია დამთავრებული[1].

[1] „სამაგალითო მოძღვარი. სხვათა შორის არ შეგვიძლიან ორიოდე სიტყვა არ ვსთქვათ აქაურ მინდა გიორგის ეკკლესიის თაობაზედ ეს წმინდა ეკკლესია აშენებულია ამ რამდენიმე საუკუნის განმავლობაში შიგ ნოსირში, სადაც შენობა ხისაა, როგორათაც ჩვეულებრივ წესათ აქვთ აქაურ მცხოვრებს. ჟამთა ვითარების გამო ეს საყდარი ძლიელ დაძველდა ამ ბოლოს დროში, ასე რომ წვიმიან დღეს მღვდელს არ შეეძლო წირვა-ლოცვა შეესრულებინა, რადგანაც ყველა კედლებიდან და ჭერიდგან საშინლად შიგ შუა საყდარში წვეთი ჩამოდიოდა. ბოლოს

3. აბანოს ნაშთები

სოფელ ნოსირში აღმოჩენილია აბანოს ნაშთები; შუა საუკუნეები; სოფლის განაპირას, მინდვრებში ჩატარებული გათხრების შედეგად. ამჟამად აქ იკითხება ქვის წყობის მცირე ნაშთი – კირის დუღაბზე.

1992 წ. 18 მარტი. არქიტექტორი ლ. გიორგაძე.

სოფელი მენჯი

მთავარანგელოზთა სახელობის ნაეკლესიარი

სოფელი მენჯი ადრე შედიოდა ბეთლემის თემში, ნაწილი კი ზემოთ თეკლათში; სოფლის სასაფლაოსთან იდგა მთავარანგელოზთა სახელობის ეკლესია; დღეს შემორჩენილია საძირკვლის ნაშთები. აქ ბოლო მღვდლები იყვნენ ვასილ ხეცურიანი და მისი შვილი ნიკო. ეკლესია 1924 წლის მახლობლად დანგრევიათ. ასევე მღვდლად ყოფილა ნიკოს სიძე ციმაკურიძე, რომელიც ბოლშევიკებს აქვე დაუხვრეტიათ. ამ სასაფლაოს ეძახიან თარანგელოზს. შუშანიების ტაძარი არის მისგან ჩრდილოეთით, მათ ერთმანეთისაგან მდინარე ცივი ჰყოფს.

იძულებული შეიქნა ამ საყდრის შტატის მღვდელი მამა ლაზარე რამე ღონისძიება ეხმარა ამ საქმისათვის და მიმართა მან თავის მრევლს, რომ საყდარი გადაეკეთებინათ, მაგრამ საუბედუროთ ბადლად იმისა, რომ ხალხი სიხარულით მიგებებოდა ამ საქმეს, იმათ უარი თქვეს, რადგანაც სოფელს უჯდებოდა თითქმის სამას თუმნამდე, რომელიც შეადგენდა მათთვის დიდ შევიწროვებას, როგორათაც ბუნებიდან ნაკლები და შევიწროვებულ ხალხთ. ყველა ასეთი საქციელი გამოიწვია ჩვენმა პატივცემულმა მ. ლაზარემ, რომ გამგზავრებულიყო სხვათა ქვეყნებში ფულის შესაგროვებლად ამ ფრიად სასარგებლო საქმისათვინ სადაც კიდევაც ასრულდა. ამ წასულ ენკენისთვეს გაემგზავრა მოსკოვში იქიდან კიდევ სხვა ადგილებში, მართლა დიდი სახელი გაითქვა მან სადაც მივიდა ამ საყოველთაო საქმეზე და ამ ბოლოს დროში კიდეც შეკრიბა ჯეროვანი ფული რამდენიმე თვის განმავლობაში და მოსვლისათანავე გულით და სულით შეუდგა თავის დაწყებულ საქმის აღორძინებას, რის მეოხებით დაიმსახურა ხალხში სიყვარული და პატივისცემა. თუმცა ჯერჯერობით მ. ლაზარე 60 წლისაა მაგრამ რაც შეეხება ფიზიკურ ჯანმრთელობას, ის კიდევაც ახალგაზრდებს გადააჭარბებს. სწავლა აქვს მიღებული ძველ დროებიდან სასულიერო სასწავლებელში“ (აქაური არჩილა“. ს. ნოსირი (სამეგრელო). გაზ. ცნობის ფურცელი, №844, 1899).

სოფელი სახარბედიო

1. ალექსი შუშანიას სავანე

ეკის მთის ერთ-ერთ გორაზე დგას დაახლოებით 1905 წელს აშენებული მთავარანგელოზთა სახელობის ეკლესია, რომელიც დაუარსებია ღირს მამას ალექსი შუშანიას[1]; ამ ეკლესიაში დღესაც შუშანიების მესამე თაობა მსახურობს[2].

XIX საუკუნის ქართული პერიოდულ პრესაში საინტერესო მასალებია წარმოდგენილი მონასტრის დანგრევისა და აშენების შესახებ[3], ასევე წმინდა მამა ალექსი შუშანიას მოღვაწეობაზე და იმ წინააღმდეგობებზე, რომელსაც ის აწყდებოდა ამ წერილის დამწერის მსგავსი პათოსის მქონე ადამიანებისგან.[4]

---

[1] „წმინდა ღირსი ალექსი (შუშანია. 1852-1923) – 1885 წელს დაემკვიდრა გელათის მონასტერში. 1886 წელს კი – მღვდელ-მონაზვნად. 1890 წელს ალექსი ბერი თავის მონაზონ დედასთან და დებთან ერთად – თეკლათის მონასტერში დაემკვიდრა. 1891 წელს მან მენჯში (სენაკის რ.) ბერული სენაკის მშენებლობა დაიწყო. ე. წ. მთავარანგელოზთა გორაზე. 1898 წელს ალექსი ბერმა დაყუდებული ცხოვრება დაიწყო. სენაკში მას ჰქონდა კაცის სიმაღლის ხის ჯვარი, ... ხოლმე, მნახველთა მისაცებად მხოლოდ შაბათ-... ით დამაშვრალი ბერი 1923 წლის 18 ივნისს ... ფრემის (შემდგომში საქართველოს კათოლიკოს-... ქსის უხრწნელი გვამი თეკლათის დედათა ... ს ალექსი ბერის მიერ აშენებულ ტაძრის ... ელს წმინდა ბერის საფლავზე პატარა ეკლესია ... ბერი შერაცხულია წმინდანად 1995 წლის 19 ... ე-სენაკის ჩრდილოეთ-დასავლეთის მხრით და ... ს საუკეთესო ადგილზე, დედათა მონასტერი ... ევრობს. ეხლა ძველი მონასტერი დაურღვევიათ, შესდგომიან ახალის აშენებას თავიანთ ნაღვაწ-ნაშრომით და, სადაც არის, კიდეც დაამთავრებენ. მონასტერი თლილის ქვისა იქნება ხუროთმოძღვარს აშენებისათვის 12 ათასს მანეთს დაჰპირდებიან. ყოვლად პატივცემულს მოძღვარს მონასტრისას განუზრახავს ფრიად კეთილი და სამადლო საქმე: განზრახვა აქვს ააშენოს მონასტრის ახლო ერთი დიდი სახლი ავადმყოფთათვის, რადგან კარგი სადგომი იშვიათი და ძვირია“ (გაზ. ივერია, №193, 1888).

[4] „ეს სოფელი განათლების მხრით ძალიან უკან არის დაწეული და ამაზე რომ იზრუნოს ვინმემ ეს ხომ ძველი ტიბიკონის წინააღმდეგი იქნება. ამ განუნათლებლობას ზედ ემატება აქაური სოფლის მცხოვრებთა სიღარიბეც. უბედურებას კიდევ უფრო გასაძლიერებლათ აქ გამოჩნდა ერთი ცრუ მონასტერი, რომელმაც ამ სოფლის ხალხი ვაივარამში ჩააგდო. საჭიროთ ვრაცხ ორიოდე სიტყვა ვთქვა ამ მონასტრის შესახებ. ამ სოფლის ერთ მაღლობ ადგილზე დარჩენილი იყო ნანგრევი ძველი ეკლესიისა, რომელიც ათი წელიწადია მას შემდეგ რაც განაახლა ერთმა ხობში (მონასტერია) ნამყოფმა ბერმა, მღვდელ-მონაზონმა ალ შ-იამ და თქვა „ძმათა სავანე“. აქ მან მიიწვია თავისთან „მაშვრალნი და ტვირთ მძიმენი“. რომ განაახლა კარგი, მაგრამ რაც შეეხება ამ მღვდელ-მონაზვნის საქციელს, სწორეთ საძრახისია. აი მაგალითათ, რა სიყალბე ჩაიდინა მან: სთქვა, რომ ჩემის ლოცვით ეს და ეს ავადმყოფი ქალი განვკურნეო; ნახეს, რომ ქალი მართლაც ლოგინიდან წამომდგარიყო. გაუნათლებელმა ხალხმა ეს სასწაულათ ჩათვალა და დაუწყეს მას საწირავების მიცემა თავიანთი მიცვალებულისათვის, მით უმეტეს, რომ ის ბერი ხშირათ ელაპარაკებოდა სოფლელებს – ჩვენებით ვნახე, ეს და ეს კაცი ეშმაკების

ეს ეკლესია არქიტექტურულად ასეა აღწერილი: „ეკლესია გუმბათოვანია, ნაგებია ქართული აგურით – ცემენტის ხსნარზე. ორი წყვილი სვეტი შიდა სივრცეს ანაწილებს სამ ნავად. სვეტებსა და მის საბჯენ თაღებს ეყრდნობა შიგნიდან ცილინდრული და გარედან წახნაგოვარი ფორმის გუბმათი, რომელიც გადახურულია სფერული კონქით. გუმბათის ყელში გაჭრილია 8 თაღოვანი სარკმელი; დარბაზი აღმოსავლეთიდან დასრულებულია ნახევრადწრიული ფორმის შვერილი აბსიდით. საკურთხეველში გაჭრილია 3 თაღოვანი სარკმელი და განლაგებულია თაღოვანი ნიშები. დგას მასიური ტრაპეზის ქვა; საკურთხეველი დარბაზისაგან გამოყოფილია ხის კანკელით, რომელზეც განლაგებულია ხატები. კანკელის წინ ორსაფეხურიანი სოლეაა; ეკლესიაში შესასვლელი სამი მხრიდანაა, რომელთა ზემოდან თაღოვანი სარკმელებია გაჭრილი; დარბაზის ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში მოწყობილია ხის კიბე, რომლითაც ავდივართ ეკლესიაზე მიშენებულ ორ სართულიან სამრეკლოში; ეკლესიის კარ-სარკმელების მოჩარჩოება დამახასიათებელია XIX საუკუნის არქიტექტურისათვის; შესასვლელები ფართოა და მაღალი, სარკმელები დიდი ზომის. აღმოსავლეთის ფასადზე აგურის წყობით გამოყვანილია ტოლმკლავა ჯვარი; ნაგებობა დგას ორსაფეხურიან ცოკოლზე.

1992 წ. 20 მარტი, არქიტექტორი ლ. გიორგაძე“.

დღეს ამ ეკლესიის ეზოში უკან აშენებულია კიდევ ერთი ახალი პატარა ეკლესია.

სოფელი სახარბედიო მოხსენიებულია 1696-1725 წლების ხანებში შედგენილი ხობის შესავალი სანთლის ბეგრის ნუსხაში: „სახარბედოს ეჯიბია ივანელა სამი ლოღარიკი სანთელი კიდევ მეორე ეჯიბია ჭკოლოფუა და ბაბალია სამი ლოღარიკი სანთელი. ხუცესი ხარბედია სამი ლოღარიკი სანთელი. ნასხიდა შუღლაი სამი ლოღარიკი“[1].

ხელშია და წირვა ეჭირვებაო. საცოდავი სოფლელები, რომელთაც სახელმწიფო ბეგარა კისერზე აწევთ და ის ვერ გადაუხდიათ, ბერს ხუთ და ათ მანეთობით უგზავნიდნენ ფულებს. მაგრამ ერთმა შემთხვევამ ამ ბერს ცოტა ხელი შეუშალა თავის ოინის განგრძობაში. ამ დროებით იმ წმინდანმა ბერმა თქვა, რომ წუხელ მთავარ-ანგელოზი გაბრიელი გამომეცხადა და მითხრა, ესა და ეს კაცი მიწას არ აქვს მიღებული თავის ცოდვისათვისო. რაწამს ეს შეიტყვეს მშობლებმა, მაშინვე მიირბინეს „წმინდანთან“, ამან კი დარიგება მისცა – წირვა ეჭირვებაო. მშობლებმა შექმნეს ტირილი და ვაება, რაკი შვილი ზეცაში წაწყმედილი ეგონათ. მწუხარებაში მყოფ მშობლებს ერთმა შეგნებულმა პირმა ურჩია, რომ საფლავი ამოეთხარათ და ვნახეთ თავისი მიცვალებული. მართლაც ეს რჩევა სისრულეში მოიყვანეს. თითქმის მთელი სოფლის მცხოვრები გაემგზავნა სასაფლაოსკენ (მთავარ-ანგელოზის ეკლესიაში), ამოთხარეს იქ იმ მიცვალებულის საფლავი, მაგრამ მარტო ძვლები ნახეს. ჩვენი „წმინდანიც“ აქ იყო და ცოტათი შეწითლდა, მარა მით იმართლა თავი რომ მთავარანგელოზს ალბათ, სხვისთვის უთქვამსო, თორემ ტყუილის თქმას როგორ იკადრებდა ანგელოზიო. მადლობა ღმერთს, ამ საუკუნეშიც არიან წმინდანები, მაგრამ ისეთები კი, როგორიც არის ზემოხსენებული „წმინდანი“ ალ. შ-ია. ამ უკანასკნელ დროს ერთმა შეგნებულმა პირმა ამხილა „წმინდანს“ – ხალხს ნუ აცდენო და მას მართლა შეეშინდა და აშკარათ საწირავების მიღება შეეწყვიტა (მერე მთავარანგელოზიც არ გამოცხადებია!..); ისედაც ბევრ ფულს მოუყარა თავი. საჭიროა ამისთანა წმინდანებმა (თუ კიდევ არიან) წმინდანობას თავი დაანებონ, თორემ სადაც ამისთანები გამოჩნდებიან, იქ მიცვალებულებსაც ამოთხრიან და გაუნათლებელი ხალხის ჯიბეებსაც ამოცლიან...“ (ოტია. გაზ. კვალი, №20, 1903. ს. სახარბედიო (სამეგრელო).

[1] ს. კაკაბაძე, დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, წ. I, ტფილისი, 1921, გვ. 115-117.

1733 წლის გუჯარში გრიგოლ კათალიკოზისა ბიჭვინტის საბუთთაგან ნათქვამია, რომ „სახარბედიოს ეჯიბია ზაალ მხეიძის საწირავში ავიყვანე და დავასახლე“[1].

1696-1742 წლებში გრიგოლ კათალიკოზის მიერ დაწერილი ბიჭვინთის ტაძრისადმი შეწირულობის წიგნიდან ჩანს, რომ „ბიჭვინტისა ღფისმშობელს შევსწირე მისის ცოლშვილით და ხუთი ლოღარიკი სანთელი დავადევი სახარბედოს კაჯიბია ივვანელა მისი ცოლშვილით, სახლკარითა, ხუთი (უწინ ყოფილა, სამი) ლოღარიკი სანთელი, ქ. მეორე მოსახლე ეჯიბია ჭკოლოფუა და ბარძალია, ხუთი (უწინ ყოფილა: სამი) ლოღარიკი სანთელი. ქ. ხუცესი ხარიბედია მისის ცოლშვილითა, ხუთი (უწინ ყოფილა: სამი) ლოღარიკი სანთელი. ქ. კიდევ ნასხიდა შუღლაია მისის ცოლშვილითა, ხუთი (უწინ ყოფილა სამი) ლოღარიკი სანთელი“[2].

XVII საუკუნის შეწირულობის წიგნში ნათქვამია: „სახარბედიოს ორი მოსახლე ეჯიბია, ხუ-ხუთი ლოღარიკი სანთელი; ერთი კიდე ხუცესი ხარბედია, ხუთი ლოღარიკი სანთელი, კიდე ნასყიდა შუღლაძე, ხუთი ლოღარიკი სანთელია“[3].

2. წმ. გიორგის სახელობის ნაეკლესიარი

ეკის ცენტრალური გზის მარცხენა მხარეს სახარბედიოს სასაფლაოსთან იდგა წმ. გიორგის სახელობის ქვის ეკლესია, რომელიც გასაბჭოების დროს დაუნგრევიათ. დღესაც შემორჩენილია საძირკვლის ნაშთები. ბოლო მღვდელი აქ იყო მიხეილ ხარბედია, ხოლო მისი ძმა ილია ხარბედია მღვდლად იყო სოფელ უფალკარში (ეკის თემი). ეკლესიის შიგნით დაკრძალული იყო მაქსიმე ხარბედია, რომელიც ჩვენი მთხრობლის (გოგინავა ხოჩია ალექსის ძე, დაბ. 1930 წ.) მეოთხე თაობის წინაპარია.

როგორც გაზ. ცნობის ფურცელი გვატყობინებს, სახარბედიოს წმ. გიორგის ეკლესია გაუძარცვიათ 1898 წელს[4].

მენჯის თემი

---

[1] ს. კაკაბაძე, დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, წ. I, ტფილისი, 1921, გვ. 143-144.
[2] ს. კაკაბაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 154-156.
[3] საქართველოს სიძველენი, ტ. I, თბ., 1920, ექვთიმე თაყაიშვილის რედაქტორობით, გვ. 56.
[4] „ს. სახარბედიო (სამეგრ.). ეკკლესიის გაძარცვა. თუმცა ქურდობა და ავ-კაცობა ჩვენკენ უწინაც-კი იყო, მაგრამ ეკკლესიის გატეხა და გაძარცვა აქაურ ქურდებს ფიქრადაც არ მოსვლიათ. ხოლო ეხლა მათ საუბედუროდ, ამ სამარცხვინო და ყოვლად მიუტევებელ საქმეშიაც გამოიჩინეს დამის რაინდებმა თავიანთი „კაი კაცობა“. 17 ივლისს ს. სახარბედიოს წმ. გიორგის ეკკლესიიდან 7 მანეთი ფული მოეპარათ. დანარჩენი ეკკლესიის ვერცხლის ჭურჭლისათვის ხელიც არ უხლიათ“ (გაზ. ცნობის ფურცელი, №592, 1898).

1. ნაეკლესიარი და წმ. გიორგის სახელობის ეკლესია

ერთ-ერთ გორაკზე, მდ. ცივის მარჯვენა ნაპირთან, სადაც არის ძველი ციხე-სიმაგრის ნანგრევები, შენდება ახალი ეკლესია, გადმოცემით იქ მდგარა რაღაც ძველი ტაძარი. ახალი ეკლესია შენდება წმ. გიორგის სახელობაზე.

5. საგაბესკირიო – პაპანწყვილი

საგაბესკირიო უბანში არის ადგილი პაპანწყალი, იქ არის ტბა, აქ ახლოს უცხოვრია მღვდელს. იქ მიწა ჩამოქცეულია და მღვდელიც თან ჩაუტანია. შესაძლოა აქ იდგა ეკლესიაც. ეს ადგილი მდებარეობს ეკის მთის დასავლეთით, მდინარე ცივის მარჯვენა მხარეს დაახლოებით 5 კმ-ის დაშორებით მაღალ გორაკზე.

3. საგაბესკირიო ნაეკლესიარი

საგაბესკირიო-საბაჩილავოს სასაფლაოსთან იდგა ხის ეკლესია. ეს ადგილი არის პაპანწყლის აღმოსავლეთით დაახლოებით 2 კილომეტრში; დღეს აქ მოსახლეობა თითქმის დაცლილია. გაბესკირიები აქ გადმოცემით დაახლოებით 200 წლის უკან ჩამოსულან.

4. ციხე-სიმაგრის ნაშთები

მდ. ცივის მარცხენა ნაპირზე, მაღალ გორაკზე, ქ. სენაკიდან ჩრდილო-დასავლეთით არის ძველი ციხე-სიმაგრის ნანგრევები. კარგადაა შემორჩენილია დასავლეთის და სამხრეთის კედელი. ერთ-ერთი შენობის სათვალთვალო კოშკი ჩრდილოეთით კარგად და მდინარე ცივის ციხეები და სამხრეთით ტერიტორია. ეს ციხე ეგრისის სამეფოს მიგვაჩნია. მას გვირაბი, რომელთაგან მის შიგნით მდგარი ნაშთი შესაძლოა იყო. აქედან ჩანს მდინარე ტეხურის გაყოლებაზე მდებარე სენაკის მიმდებარე საკმაოდ ძველი ჩანს და დროინდელად სავარაუდოდ აქვს სამი ერთ-ერთი გადის მდ. ცივზე.

სოფელი ხორში



1. ეკლესიები და სამღვდელოება

XIX ს-ის 70-იანი წლების სტატისტიკრი აღწერილობის მასალებით სოფ. ხორშში იდგა ოთხი ეკლესია და ერთი სკოლა[1], ხოლო საარქივო მონაცემებით ფიქსირებულია სამღვდელო 19 ოჯახი: 1. გრიგოლავა იანი 1854 7 დეს. 1.050 კვ. საჟ.; 2. ქორქია ნესტორი 1870 3 დეს.; 3. გრიგოლავა გიორგი 1870 4 დეს.; 4. გრიგოლავა გიორგი 1855 4 დეს.; 5. პავლე გვასალია 1857 9, 1.800 კვ. საჟ.; 6. პარკაია ლავრენტი 1867 წ.; 7. პარკაია აიტოტი 1872; 8. ძიძვავა მარკოზი 1855 წ.; 9. ძიძვავა ისიდორი 1849. 1800 კვ. საჟ; 10. ძიძვავა ძაბუა 1904; 11. ძიძვავა ერესტო 1850; 12. გვასალია სავვა; 13. ძიძვავა პლატონი 1877 2 დეს.; 14. კვარაცხელია ალექსანდრე 1852; 15. ბაკურაძე გიორგი 1841 წ. 4 დეს.; 16. გრიგოლია ანდრონიკა – 1867 4 დეს.; 17. გვასალია მიხაელი 1873 წ.; 18. ბარქაია დომენტი 1870 წ.; 19. გვასალია მიხაელ 1875 წ.[2]“

2. მაცხოვრის სახელობის ეკლესია

სოფელ ხორშში მანცხვარ კარის (მაცხოვრის კარი) უბანში, მდ. ხობისწყლის მარჯვენა მხარეს მაღალ გორაზე არის ძველი ეკლესიის კედლის ნაშთები, რომელსაც ირგვლივ შემოუყვებოდა რიყის ქვის გალავანი. ეს ძეგლი 1992 წელს არქიტექტურულად ამ სახითაა აღწერილი: სენაკის რ-ნი, სოფ. ხორში, უბანი „მანცხვარ-კარი“; ეკლესია „მაცხოვარი“; ტიპი – საკულტო; ძეგლი წარმოადგენს სამნავიან ბაზილიკას, შვერილი წახნაგოვანი აბსიდით; ეკლესია ძლიერ დანგრეულია. შედარებით უკეთაა შემორჩენილი აღმოსავლეთის ნაწილი. ცენტრალური აბსიდა ფორმით ნალს უახლოვდება საკურთხეველში გაჭრილია სამი სარკმელი. აბსიდა გამოყოფილია დარბაზისაგან ორსაფეხურიანი სოლეათი; ჩრდილოეთის და სამხრეთის ნავებში იკითხება თითო სარკმელი; ეკლესიას ჰქონდა სამი სარკმელი, რომლებიც ფრაგმენტულადაა შემორჩენილი. Iნტერიერში შეიმჩნევა მოხატულობის მცირე ფრაგმენტები; ფასადები გაძარცვულია პერანგისაგან; შემორჩენილია მოჩუქურთმებული სარკმლის თავსართი. ნაგებობა დგას სამსაფეხურიან ცოკოლზე. ეკლესია ნაგები ყოფილა კარგად გათლილი ქვიშა-ქვით – კირის დუღაბზე; ძეგლს ირგვლივ შემოუყვება წრიული ფორმის გალავანი, რომლის დასავლეთ ნაწილში შემორჩენილია კარიბჭის ნაშთი.

---

[1] Свод статистических данных, დასახ ნაშრომი.

[2] Посемеинии списокь лиць привилегированного сословия по Кутаисскои губерний Зугдидского уъзда Редут-кальского полицеиского участка селегоя Хорши

1992 წ. მარტი, არქიტექტორი ლ. გიორგაძე

ჩვენს მიერ მოპოვებული მასალების საფუძველზე, ამ ეკლესიაში მღვდელი ყოფილა ძიგუა. მისი ძმა ყოფილა ცხენის ქურდი, ამის გამო მას გვარი კანდელაკად გადაუკეთებია. ეს ეკლესია დაუნგრევია ალექსი ჩუკიას დაახლოებით 1937 წელს. თუმცა ხორშის ეს ეკლესია ბოლშევიკების მოსვლამდეც საკმაოდ ყოფილა დაზიანებული. ის თავის დროზე აღუწერია ა. ჭანტურიას. მისი თქმით, „ხორში მაცხოვრის კარის ეკლესია წარმოადგენს VII-X სს. ძეგლს. იგი აგებულია ლოდი ქვისაგან. Iსტორიული გადმოცემის თანახმად, მისი ასაშენებელი მასალა ქ. თრაპეზუნტიდან ყოფილა შეძენილი. ამ ეკლესიის უძველესი მატიანე გადმოგვცემს, რომ მასალა ტრაპეზუნტიდან შეუძენიათ იმ დროს თავადიშვილებს ჩიჩუებს, ხუროთმოძღვარი ხობის მონასტრის ამშენებელი ყოფილა, დაარსებიდან დღემდე ამ ეკლესიას შეუნარჩუნებია დამაარსებლის სახელი – „საჩიჩუოს ეკლესია“; 1854 წელს, თურქების შემოსევის დროს, ამ ეკლესიის შიგა არქიტექტურა ცეცხლს გაუნადგურებია. შემდეგ კვლავ განუახლებიათ. ეკლესია აგებულია ხობის მონასტრის ზუსტი გეგმით, ე. ი. ჩრდილო და სამხრეთ გვერდებზე კალთები ამოშენებულია; ამ ეკლესიის სიძველეს ადასტურებს მისი არქიტექტურა, ეკლესიის შენობის გარე კედლის მოხატულობა და კარ-ფანჯრების გარშემო ძველი ჩუქურთმები. ეკლესიის ეზოში შესასვლელ კართან არის ძველი ნაშთი – ძველი ლოდი ქვებისაგან აგებული, თითქმის ნახევარი, ძველი, დანგრეული სამრეკლოს შენობისა. ამ ეკლესიის ძველი ქვის გალავანი აგრეთვე მოწმობს მის სიძველეს; ამ ეკლესიის გარშემო თერთმეტი ეკლესია საჩიჯაოს და ხორშის საზოგადოებისა არ არსებობდნენ იმ დროს, როდესაც ეს ეკლესია აუშენებიათ და ეს ყოფილა ამ საზოგადოებაში ერთადერთი ეკლესია. შემდგომში, დროთა ვითარების გამო, ამ ეკლესიას ჩამოშორებულა მრევლი და მახლობელ კუთხეებში აუგიათ მის ეკლესიები, ხოლო მაცხოვრის კარის ეკლესიას ძლიერ ცოტა მრევლი შერჩენია – დაახლოებით სამოცდაათი კომლი; ამჟამად ეს ეკლესია სავალალო მდგომარეობაშია. იგი ზიანდება სახურავის სიძველის გამო[1].

პ. ზაქარაიას და ნ. ლომოურის თქმით, ხორშის ეკლესია სამნავიანია, მათივე აზრით, XII-XIV საუკუნეებით თარიღდება. იქ მასზე ადრე მაღაზია ყოფილა მიშენებული[2].

გ. ელიავას აზრით, ხორშის მაცხოვრის ეკლესია XII-XIV საუკუნეების ნაგებობაა[3].

---

[1] ა. ჭანტურია, ისტორიულ-არქეოლოგიური ძიებანი სამეგრელოში, თბილისის უნივერსიტეტის შრომები, ისტორია, არქეოლოგია, ხელოვნებათმცოდნეობა, ეთნოგრაფია, თბ., 1989, №283, გვ. 182.

[2] პ. ზაქარაია, ნ. ლომაური, ძეგლის მოყვარულმა ახალი ძეგლი შეგვძინა, ძეგლის მეგობარი, №2, 1989, გვ. 67-68.

[3] გ. ელიავა, სენაკის რაიონის ტოპონიმია, თბ., 1989, გვ. 60.

3. ციზეთის წმ. გიორგის სახელობის ნაეკლესიარი და დადიანთა ნასახლარი

ხორშში, ციზეთის უბანში, მდ. ხობისწყლის მარცხენა მხარეს, მისგან სამიოდ კილომეტრის დაშორებით, სასაფლაოსთან, იქ სადაც დღეს ოთხი უზარმაზარი ცაცხვის ხე დგას, ადრე იდგა ქვის ეკლესია, ბოლოს კი ყოფილა ხის. ადგილობრივთა გადმოცემით, მაია დადიანი (დასაფლავებულია სოფ. ხობულაში – დ. ჭ.) და მათი უშუალო წინაპრები აქ ცხოვრობდნენ და იდგა სასახლე. აქაურ დადიანთაგან ახსოვთ ტუტი და კოკი; ეს ეკლესია 1924 წელს დაუნგრევიათ. გადმოცემით, დადიანების წინაპრები და გვასალიები აქ მერვე საუკუნეში ჩამოსულან. ბოლო მღვდელი ამ ეკლესიაში (რომელსაც ზოგიერთი წმ. ბარბარეს სახელობისად გვისახელებს) ყოფილა ხარიტონ ძიძავა. ძიძავების გვარს ამ ეკლესიასთან უცხოვრია, დღეს იქ მოსახლეობა არ არის. აზნაურები აქ ყოფილან ნორაკიები და ფულარიები.

ხოირის წმ. გიორგის ეკლესია და სასახლე ნახსენებია ლევან I (1532-1572) და მამია IV (+1590) დადიანის შეწირულობის წიგნში ანუ 1525-1550 წლების ბიჭვინთის იადგარში[1] – ბიჭვინთისადმი – „ხოირს წმ. გიორგის ეკლესია 25 (კომლით)“[2].

აფხაზეთის საკათალიკოსო გლეხების დიდ დავთარში არის ხოირის (ხორშის) სასახლის გამოსავლის ნუსხა, რაც მნიშვნელოვანი დოკუმენტია[3].

---

[1] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II, გვ. 179.
[2] ა. ხახანაშვილი, გუჯრები, Кутаис, 1891, გვ. 129.
[3] „არის ხოირს: სასახლე: და მრთებლი: გმოსვლი: მოსაკრებლობაჲ:.

მრთებს ხახუტას დიდიას საპურობო, 1 საკლავი, ყანის შვლა, ყურძნის კრებაჲ, ლაშქრობაჲ და სამსახური:.

მრთებს კაციას ჩაგუას საპურობო, 1 საკლავი, მუშაობაჲ, ყურძნის კრებაჲ, ლაშკრობაჲ და სამსახური:.

მრთებს გ ია ჩაგუას საპურობო, 1 საკლავი, მუშაობაჲ, ყურძნის კრებაჲ, ლაშკრობაჲ და სამსახური:.

მრთებს უკულაშის ლასურიას საპურობო, 1 საკლავი, მუშაობაჲ, ყურძნის კრებაჲ, ლაშკრობაი და სამსახური:.

მრთებს უსკუამ ს ლასურიას საპურობო,, 1 ქანდაქი, სამოგვე ყურძნის კრეფა, მუშაობაჲ, ლაშკრობაჲ და სამსახური:.

მრთებს მახილიას მუზურგ ნიას საპურობო, 1 საკლავი, მუშაობა, ერთის დღის ყურძნის კრეფაჲ, ლაშკრობა და სამსახური:.

მრთებს მმულიას წებელარას საპურობო, 1 საკლავი, მუშაობა, ყურძნის კრეფა, ლაშკრობაჲ და სამსახური:.

მრთებს ჯგერგეშიას ჩაგუას საპურობო, 1 საკლავი, ყურძნის კრეფა, მუშაობაჲ, ლაშკრობაჲ და სამსახური:.

მრთებს გურმიხილას საგუას საპურობო, 1 საკლავი, მუშაობაჲ, ყურძნის კრეფა, ლაშკრობაჲ და სამსახური:.

მრთებს ხუხულის ჩაგუას საპურობო, 1 საკლავი, მუშაობა, ყურძნის კრეფა, ლაშკრობაᲘ და სამსახური:.

მრთებს ქაქალიას ჩაგუას საპურობო, 1 საკლავი, მუშაობაᲘ ყურძნის კრეფა, ლაშკრობაᲘ და სამსახური:.

მრთებს ბაბადიას ქუნიას საპურობო, 1 საკლავი, მუშაობაᲘ, ყურძნის კრეფა, ლაშკრობაᲘ და სამსახური:.

მრთებს ჯიტას საპურობო, 1 საკლავი, მუშაობაᲘ, ყურძნის კრეფა, ლაშკრობაᲘ და სამსახური:.

მრთებს ჯუარისას ჯიტას საპურობო, 1 საკლავი მუშაობა, ყურძნის კრეფა, ლაშკრობაᲘ და სამსახური:.

მრთებს გრიგოლიას ვაუობას საპურობო, 1 საკლავი, მუშაობაᲘ, ყურძნის კრეფა, ლაშკრობაᲘ და სამსახური:.

მრთებს გოკურციას გრიგოლიას საპურობო, 1 საკლავი, მუშაობაᲘ, ყურძნის კრებაᲘ, ლაშკრობაᲘ და სამსახური:.

მრთებს სკუამილეის ჯიქიას საპურობო, 1 საკლავი, მუშაობაᲘ, ყურძნის კრეფა და სამსახური:.

მრთებს გამიგონი ბიჭვას საპურობო, 1 საკლავი, მუშაობაᲘ, ყურძნის კრებაᲘ, ლაშკრობაᲘ და სამსახური:.

მრთებს მაშუტიას დიდიას საპურობო, 1 საკლავი, მუშაობაᲘ, ყურძნის კრებაᲘ, ლაშკრობაᲘ და სამსახური:.

მრთებს თოლიოქროს დიდიას საპურობო, 1 საკლავი, მუშაობაᲘ, ყურძნის კრებაᲘ, ლაშკრობაᲘ და სამსახური:.

მრთებს გავაშელს დამაკოჩიას საპურობო და გრდაღმა არ გრდიტანებენ, შ ა გუაჭმევენ, 1 საკლავი, მუშაობაᲘ, ლაშკრობᲘ და სამსახური:.

მრთებს დაბალასა და ჰრღუნასა საპურობო, 1 საკლავი, მუშაობაᲘ, ყურძნის კრებაᲘ, ლაშკრობაᲘ და სამსახური:.

მრთებს ხუხულიას ამბალიას საპურობო, 1 საკლავი, მუშაობაᲘ, ყურძნის კრებაᲘ, ლაშკრობაᲘ და სამსახური:.

მრთებს ხუცეს ამბალიას საპურობო, 1 საკლავი, მუშაობაᲘ, ყურძნის კრეფა, ლაშკრობაᲘ და სამსახური:.

მრთებს გამიგონას ჯომნიას საპურობო, 1 საკლავი, მუშაობაᲘ, ყურძნის კრეფა, ლაშკრობაᲘ და სამსახური:.

მრთებს ვაჟიკოჩას ჯომნიას საპურობო, 1 საკლავი, მუშაობ Ი, ყურძნის კრეფა, ლაშკრობაᲘ და სამსახური:.

მრთებს მხიარლას კაკუას საპურობო, 1 საკლავი, მუშაობაᲘ, ყურძნის კრეფა, ლაშკრობაᲘ და სამსახური:.

მრთებს იშამორთას კაკუას საპურობო, ნახევარი საკლავი, მუშაობაᲘ, ყურძნის კრეფა, ლაშკრობაᲘ და სამსახური:.

სასახლე „ხოირს“ ანუ ხორშის, რომელიც სავარაუდოდ XVI საუკუნის დასაწყისში უნდა ყოფილიყო გაშენებული, ლევან II დადიანს ბიჭვინთისთვის შეუწირავს. 1611-1657 წლებში შედგენილ შეწირულობის წიგნში ჩანს, რომ „...[მოგა]ხსენეთ ხოირს სასახლე არ იყო, სასახლე ადგილი, დიდი სახლი ჩარდახბო, [სახ]ლეები დგას ჭაშკრიანათ, ჩემის ალალის თეთრითა მიყიდია და სამი... ეთ ჩამისახლებია, და კიდევ შვიდი რვა საყანე მისის მამულიანათ ჩემ... და ასრე გაკეთებული სასახლიანათ მისის სათიბითა მე თქუენთვის შემომიწირავს. კვალადცა გკადრეთ [ერ]თი მოსახლე კაცი ხურჯინი ამილახორისაგან მიშოვნია და თალითს დამისახლებია, და შემომიწირავს...“[1].

4. ჯვარ-კარის სასაფლაო – წმ. გიორგის სახელობის ნაეკლესიარი

ჯვარ-კარის სასაფლაოზე იდგა წმ. გიორგის სახელობის ეკლესია, მღვდელი აქ ყოფილა პოხუ გვათუა.

5. პატარა ზანის წმ. გიორგის სახელობის ნაეკლესიარი

სოფელი პატარა ზანაში (ადრე შედიოდა სოფელ ზანაში) იდგა წმ. გიორგის სახელობის ქვის ეკლესია. ეს ეკლესია აუშენებია ანდრო შარტავას, რომელიც საეგზარქოსოში მაღალ თანამდებობაზე ყოფილა. 1923 წელს ის დაუშვლიათ და აუშენებიათ სკოლა. აქ იდგა ცალკე შენობა მიცვალებულთა დასასვენებლად და

მრთებს მოირდინას კაკუას საპურობო, მუშაობაჲ, ლაშკრობაჲ და სამსახური:.

მრთებს ქურიას მოინალესა ტჯრთი და 1 ხმელი თევზი:.

მრთებს ხუხინიას ჯაკობიას მინალეს ბარგის ზიდვაჲ და 1 თევზი:.

მრთებს კოსატაია (სიც) საპურობო, 1 საკლავი, მუშაობაჲ; ყურძნის კრეფა, ლაშქრობაჲ და სამსახური:.

მრთებს ხუხულიას ამბალიას შჳდი კოკა ღჳნო და შჳდი ჯამი ღომი:.

მრთებს ივანე ამბალიას შჳდი კოკა ღჳნო, შჳდი ჯამი ღომი:.

გამიგონას ჯომნიას მრთებს 4 ჯამი ცომი, 3 კოკა ღჳნო:.

ვაჟიკოჩას ჯომნიას მრთებს ოთხი ჯამი ღომი, 3 კოკა ღჳნო:.

მრთებს მხიარლას კაკუას 2 ჯამი ღომი, სამი კოკა ღჳნო:.

ამ კცებს ყლას თივაჲ და ღომი, ფეტჳ მრთებს სამეჯინიბოდ:.

მრთებს ხახუტას გამკერვლიას სმაჲ და ჭამაჲ, ლაშკრობაჲ და სამსახური:.

მრთებს ხერგუას სმაჲ და ჭამაჲ. ლაშკრობაჲ და სამსახური:.“ (ს. კაკაბაძე, აფხაზეთის საკათალიკოზო გლეხების დიდი დავთარი, ტფილისი, 1914, გვ. 29-31).

[1] საქართველოს სიძველენი, ტ. I, თბ., 1920, ექვთიმე თაყაიშვილის რედაქტორობით, გვ. 34

სამრეკლო. ეს პატარა ზანის ეკლესია იყო დიდი ზანის ეკლესიის ზედმიწერილი, სადაც მსახურობდა მღვდელი ა. ჯავახია[1].

6. საფაჩულიოს წმ. გიორგის სახელობის ნაეკლესიარი

საფაჩულიოში ადგილის სახელწოდებაა „საფაჩულიოს ოხვამე“, სადაც ადრე იდგა ქვის ეკლესია, სავარაუდოდ წმ. გიორგის სახელობის იყო. ადგილობრივები გადმოგვცემენ, რომ სოფელ ხორშში ადრე იდგა 7 ეკლესია, მათგან 5 წმ. გიორგის სახელობის იყო.

7. საადანაიოს მთავარანგელოზთა სახელობის ეკლესია

მდ. ცივის მარცხენა მხარეს „საადანაიოს“ უბანში დგას მთავარანგელოზთა სახელობის ეკლესია. მოსახლეობა ირგვლივ თითქმის არ არის. ეკლესიის კედლები გაბზარულია, ის რიყის ქვით და კირის დუღაბით არის ნაშენი; ჭერი ჩამონგრეულია, დაფარულია სუროთი. ეს ძეგლი არქირექტორების მიერ 1992 წლის აღწერილობის შემდგომ არ ჩანს განახლებული: „სოფლის სასაფლაოზე დგას დარბაზული ტიპის ეკლესია. დარბაზი გეგმით მართკუთხაა, აღმოსავლეთიდან დასრულებული ნახევარწრიული ფორმის აბსიდით. საკურთხეველში გაჭრილია სარკმელი, რომლის ორთავე მხარეს თითო შეისრულთაღოვანი ნიშია განლაგებული. სარკმელთან დგას ტრაპეზის ქვა. ეკლესიაში დატანებულია სამი შესასვლელი. ნაგებობის გადახურვა მთლიანად ჩამოქცეულია. კედლები ბევრ ადგილას დაბზარულია. ძეგლი ნაშენია რიყის ქვით-კირის დუღაბზე. აგრეთვე ნახმარია შირიმიც. ქვის წყობაზე ამოსულია სურო.

1992 წ. არქიტექტორი ლ. გიორგაძე“.

გაზ. „ცნობის ფურცელი“ 1898 წელს ასეთ ცნობას გვაწვდის სოფელი ხორშის მღვდელზე და სამრევლო სკოლაზე: „აგერ ერთი წელიწადია, რაც ს. ხორში გაიხსნა სამრევლო სკოლა მღ. საბა გვასალიას თაოსნობით და როგორც იქმნა, ხალხმა თავის წადილს მიაღწია. სკოლის დამაარსებელი, მღ. გვასალია და მისი შვილი (იქაური მასწავლებელი)[2].

---

[1] გაზ. ცნობის ფურცელი, №291, 1897, გურულ-მეგრელი.
[2] გაზ. ცნობის ფურცელი, №935, 1898.



8. საგუგუნაოს ციხე-კოშკი

საგუგუნაროს უბანში, ეკი-ჩხოროწყუს სამანქანო გზის მარცხენა მხარეს, მდ. ცივის მარჯვენა მხარეს, დაახლოებით 300 მეტრში, მაღალ გორაზე დგას საკმაოდ დიდი ციხე-კოშკი; არქიტექტორების მიერ ის ასეა აღწერილი: „შემაღლებულ ბორცვზე დგას კოშკი, რომელიც სამი სართულის დონეზეა შემორჩენილი. ძეგლი ძლიერ დაზიანებულია. შედარებით კარგადაა შემორჩენილი აღმოსავლეთის კედელი, რომელზეც იკითხება ქვის თარაზული წყობა-კირის დუღაბზე. ნაგებობა გეგმით კვადრატს უახლოვდება. I სართული მთლიანად ამოვსებულია მიწით და ჩამოცვენილი ქვით. ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში იკითხება კონფორსტის ფრაგმენტი. კოშკის აღმოსავლეთით რამოდენიმე მეტრის მოშორებით შემორჩენილია გალავნის ფრაგმენტი.

1992 წ. მარტი. არქიტექტორი ლ. გიორგაძე“.

ეს ძეგლი შეისწავლეს პ. ზაქარაიამ და თ. კაპანაძემ და მას IV-V საუკუნეებით ათარიღებენ. მათი თქმით, „ციხე შედგება გალავნისა და ერთი კოშკისაგან. ყველაფერ ამას ამთავრებს თხრილი, რომელიც გარს უვლის გალავანს. ციხის ეს სურათი, ტიპიურია ეგრისის სამეფოში მიღებული სისტემისათვის. ასე რომ, თავისთავად ზემოაღნიშნული გადაწვეტილება მიგვითითებს თარიღზე, რომელიც IV-V საუკუნეებით განისაზღვრება; კოშკი დიდი ზომისაა, ოთხკუთხა (8,8X5,25 მ, კედლის სისქე – 2,15 მ.) ნაწილობრივ შემორჩენილია სამი სართული. სართულების სიმაღლე საშუალოდ სამი მეტრია. დარჩენილ ორ კედელში სარკმლები, ან საბრძოლო ამბრაზურები გარკვევით არ ჩანს. კარის ნაწილი უნდა იყოს აღმოსავლეთის კედლის მეორე სართულზე. კოშკის ფასადების მოპირკეთებაც ტიპიურია ადრეული საუკუნეებისათვის. ფასადზე ნახმარია 30-40 სმ. კირქვა, რომლის ზედაპირი მქისედაა დამუშავებული. ასეთი ქვებით ფასადებზე ჰორიზონტალური რიგებით თითქმის დაცულია. ოპირკეთებისას განხორციელებულია კიდევ ერთი კარგი ჩანაფიქრი: ესაა ქვების ზომების შემცირება ქვემოდან ზემოთ. ბოლო რიგები, საწყისთან შედარებით, თითქმის ერთი მესამედით ნაკლებია. კოშკს ირგვლივ, ათიოდე მეტრის დაცილებით, უვლიდა გალავანი. გალავანიც დარღვეულია და ნაშთები უკეთ ჩანს სამხრეთის მხარეზე. გალავნის შემოსვა კოშკის მსგავსია. მხოლოდ ქვები უფრო წვრილია. თხრილი, რომელიც გალავანს კონცენტრულად მიუყვებოდა, ახლაც შთამბეჭდავია. მისი ხაზი გალავნიდან დაცილებულია 2.-25 მეტრზე. თხრილის პროფილი ამჟამად ასეთია: სიღრმე – 4.5 მეტრი, სიგანე – 6-7 მეტრი, ცხადია, თავდაპირველად თხრილის სიღრმე მეტი იქნებოდა. ახლომდებარე ციხეებიდან ეკის ციხე უფრო დიდია, ვიდრე კოტიანეთისა და „საკალანდარაშვილოსი“[1].

[1] პ. ზაქარაია, თ. კაპანაძე, ციხე-გოჯი – არქეოპოლისი – ნოქალაქევი, ხუროთმოძღვრება, თბ., 1991, გვ. 153.

სოფელი დიდი ზანა

1. სამღვდელოება

საარქივო მონაცემებით ზანაში XIX საუკუნის მეოთხედში ყოფილა 7 სოფელი უკანასკნელ სამღვდელო ოჯახი: 1. შურდაია ბაგრატი 1871 წ. 2 დეს. 1800 კვ. საუ.; 2. გულია ევსტათი 1853 წ.; 3. გულია დოანიზი 1862 წ.; 4. გულია ილარიონი 1866 წ.; 5. ცაავა სტეპანი 1856 წ.; 6. ესებუა სორომი 1872 წ.; 7. ყურუა ვასილი 1852 წ.“[1]

2. ზანის მაცხოვრის სახელობის ფერიცვალების ეკლესია და ნაეკლესიარი

სოფელ დიდი ზანის ცენტრში დგას 2006 წლის 27 ნოემბერს გახსნილი, ახლად აშენებული ფერიცვალების სახელობის ეკლესია. ასაბჭოებამდე ფერიცვალების ხის ეკლესია იდგა ამ ეკლესიიდან აღმოსავლეთით შემაღლებულ ბორცვზე სოფლის სასაფლაოსთან; ის 1924 წელს დაუშლიათ. დგილობრივთა გადმოცემით, ეს ეკლესია 1848 წელს აღუდგენია დადიანებს. აქ ბოლო მღვდელი იყო ბლაღოჩინი ათანასე თოდუა. თოდუებამდე აქ მღვდლები ყოფილან ბერიძეები. დიაკონი იყო გიორგი გვაძაბია, როგორც ადგილობრივები გადმოგვცემენ, ტაძარში ინახება 400 წლის მაცხოვრის ხატი, მასზე არის ასომთავრული წარწერა. ეს ხატი აღუდგენიათ 1847 წელს. ის ინახებოდა მიხა სოსელიას ოჯახში. მათი ოჯახის ერთ-

[1] Посемеинии списокь лиць привилегированного сословоя по Кутаисскои губерноя Зугдидского уъздa Зана полицеиского участка селегоя Зана.

ერთი წევრი ყოფილა აქაური მნათე. ძველად იმ ტერიტორიას სადაც იდგა ეკლესია ერქვა „ოხვამე კარი“. აქ ყოფილა ორკლასიანი სამრევლო სკოლაც.

სოფელ ზანის ეკლესიის და სამღვდელოების შესახებ ჩვენ ცნობებს გვაწვდის XIX საუკუნის ქართულ პერიოდულ პრესა, საიდანაც ჩანს, რომ 1898 წელს ზანაში სამღვდელო ყოფილა 4 კომლი. პირველი მღვდელი აქ ამ დროს ყოფილა კ. ბერიძე, მეორე მღვდელი ი. ცანავა, ასევე პატარა ზანის ზედმიწერილ ეკლესიაში მღვდლად მსახურობდა ა. ჯავახია. 1889 წელს კი მეხიურის ეკლესია გაუტეხავთ. 2 აგვისტოს კი სცოდნიათ ელიობის დიდი დღესასწაული[1].

ჩვენს მიერ მოპოვებული მასალის საფუძველზე, სოფელ ზანაში ყოველი წლის 2 აგვისტოს უძველესი დროიდან ტარდებოდა ელიობის დღესასწაული (დღესაც ტარდება); მთელი სოფელი იკრიბება და იკვლება საკლავი, ინთება დიდი კოცონი, იციან ცეკვა-თამაში და ღამის თევა.

3. საშურღაიოს ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ახალი ხის ეკლესია და ძველი სამლოცველო

სოფლის სასაფლაოსთან შურღაიების გვარს ჰქონია ცალკე სალოცავი, სადაც ისინი აღდგომის მეორე დღეს იკრიბებოდნენ საერთო ხარჯით. აქ იდგა ქვის პატარა სამლოცველო. შურღაიები აქ ჩამოსულან სამი ძმა; ისინი შუბლაძეები ყოფილან. აქ მუდმივად მღვდელი არ იყო, სხვადასხვა ეკლესიიდან მოყავდათ მახვამერად (მომლოცველად) მღვდელი. დღეს იქ აშენებულია (ბოლომდე არ არის დასრულებული) ხის ეკლესია, რომელიც უნდა იყოს ღვთისმშობლის მიძინების სახელობის.

---

[1] „ს. ზანა (სამეგრელო). სტატისტიკური ცნობები, 1898 წ. ზანაში სცხოვრობდა 243 კომლი კაცი, ე. ი. 1572 სული მათთგან მამრობითი სქესისანი 825 და მდედრობითის 747. ამ რიცხვთა შორის სამღვდელო (სასულიერო) არის 4 კომლი, 28 სული მამრობ. სქ. 13, მდედრ. 15.“ (გაზ. ცნობის ფურცელი, №728, 1899, გურულ-მეგრელი).

„დიდი ზანა. დიდი-ზანის-წერა-კითხვის სკოლის მასწავლებელი ნიკო ბერიძე“ (გაზ. ცნობის ფურცელი, №664, 1898).

„ს. ზანა (სამეგრელო). ერთი შტატის ეკკლესია დგას დიდ ზანაში, სადაც მსახურობენ პირველი მღვდელი ბლაღოჩინი კ. ბერიძე და მეორე მღვდელი ი. ცავა, პატარა ზანაში ზედ-მიწერილი ეკკლესია, სადაც მსახურობს მღვდელი ა. ჯავახია“ (გაზ. ცნობის ფურცელი, №291, 1897, გურულ-მეგრელი).

ს. ზანა (სამეგრელო) ეკკლესიის გაქურდვა. ხუთშაბათს, 8 ივლისს ღამით აქ დიდი ზანის მაცხოვრის ეკკლესია გატეხილ იქმნა და წაღებული ხუთ მანეთამდის ფული. ეს ბოროტმოქმედება შეიტყვეს მხოლოდ კვირას და შეიქმნა ერთი უბედურება“ (გაზ. ცნობის ფურცელი, №879, 1889, გურულ-მეგრელი).

სოფელი ენწერი

წმ. ივლიტას და კვირიკეს სახელობის ნაეკლესიარი

ადგილობრივთა გადმოცემით, სოფელ ენწერში სოფლის სასაფლაოსთან იდგა წმ. ივლიტასა და კვირიკეს სახელობის ხის ეკლესია. გასაბჭოების დროს აქაურ მღვდლებს ზარანდიებს ეს სიწმინდეები და ჯვარი დანგრევამდე მოუხსნიათ და სადღაც ამ სოფელში დაუმარხავთ, მისი კვალი არ არის მიგნებული.

ეკის თემი

1. საადამიოს იოანე ნათლისმცემლის სახელობის მონასტერი და თავდაცვითი გალავანი



საადამიოში, ეკის მთაზე, მდებარეობს იოანე ნათლისმცემლის სახელობის ეკლესია, რომელსაც „იმანიერსაც“ უწოდებენ. ეს ეკლესია ძველია. ეტყობა გადაკეთების ნიშნებიც, მაგრამ ადრინდელი ტაძარი ალბათ V-VI საუკუნისა უნდა იყოს; ამ ადგილს ეძახიან ოციმეშს (ნაციმციმე-საც); აქ ბოლო მღვდლები იყვნენ კუჭავები, ჩიქოვანები და ადამიები. ტაძრის ჩრდილო დასავლეთის დაახლოებით 20 მეტრში დგას ლამაზი ჩუქურთმებით შემკული სამრეკლო. მასთან ახლოს ეკლესიის ჩრდილოეთით დგას კიდევ ერთი ნაგებობა, ალბათ ბერების საცხოვრისი, სადაც სამი ოთახი შეინიშნება. ტაძრის შიდა სივრცე დაახლოებით 40 მეტრია. ტაძარს ეტყობა გადაკეთების კვალი, აღმოსავლეთით ჭერი მთლიანად ჩამონგრეულია. შესასვლელი კარი აქვს დასავლეთით და სამხრეთით, რომელიც კარგად არის მოჩუქურთმებული. არის ფრესკის ნაშთები.

1707 წელს გიორგი ლიპარტიანს

ბიჭვინთის ტაძრისადმი შეუწირავს ეკის ნათლისმცემლის საყდარი და იქ მოსახლე ყმები[1].

ეკის ეს იოანე ნათლისმცემლის ანუ „იმანიერი“, როგორც სამონასტერო ტაძარი მოხსენიებულია 1733 წლის გუჯარში გრიგოლ კათალიკოსისა ბიჭვინთის საბუთთაგან: „ეკას მონასტერი იმანიერი (სიც), ამ მონასტერზედ ბერი დავაყენეთ და მისი სარჩო კაციან ალაგიან საწირავიან სალოცავიან ყოვლის ფენიანათ მიუჩინეთ და ერთი მოსახლე მოჯალაბე ჩვენი არს. ამასთან ერთი მოსახლე კაცი ხუბულავა ნინია და მისი ძმა ბაბაკური და მასთან ფარცვანია დავაყენე მისი ცოლშვილით და სხვაის შვილით. მეორე შუღალაძე ნასხიდა ჯერ სათათრიოდამ მოვიდა, მერმე აფხაზეთიდამ ამოვიყვანეთ და დავაყენეთ ცოლშვილით და თავის ყოვლის ფერათ, მესამე თათრისშვილი იკკო, მეოთხე დავითა და სკუდია, მეხუთე ფარულავა იფიშხია ნაყობი კაცი მისის ცოლითა და შვილით“[2].

თ. ბერაძის აღნიშვნით, საბუთებში ამ სოფელში მოხსენიებულია ნათლისმცემლის საყდარი, ხოლო ზოგ საბუთში – „მონასტერი“. ეს მონასტერი და საყდარი ერთი და იმავე ნაგებობას უნდა აღნიშნავდეს. ნათლისმცემლის საყდარი ეხლაც დგას ეკში. იგი ნაგებობათა მთელი კომპლექსია. აქ დგას ეკლესია თავისი სამრეკლოთი. აქვეა მონასტრის ნაშთი. კ. მელითაურმა ეს კომპლექსი შუა ფეოდალური ხანით დაათარიღა[3].

---

[1] „ეკლესიისათვის ეკს ნათლიმცემლის საყდარი მისის სამკუიდროთ სამწყსოთა და ერთი მოსახლე კაცი ბიძალია, ადამია, თოლიკავასშვილი შვილები, მეორე მოსახლე ხოსია ადამია, მესამე მოსახლე ხუცესი ადამია, მეოთხე მოსახლე ხუხუ ადამია, მეხუთე მოსახლე ოთია ადამია და მისი შვილები, მეექვსე მოსახლე მისი განაყოფი ბაბადი ადამია და მისი შვილი მჭედელი, მეშვიდე მოსახლე ობიშხა ადამია, მერვე კაკალაი ბუჩეხია, მეცხრე მოსახლე უჩაკოჩას აბრულავას შვილები, მეათე მოსახლე ჯვიბი ადამია, მეთერთმეტე მოსახლე გაგონია ადამია, ეს სამი კვამლი კაცი დეისმამას ყავს (უკანასკნელი სიტყვა წაშლილია). სხვა რაც ამ საყდრის შესავალ გამოსავალი აქვს ან რაც ამ კაცებს სარჩო და სახმარი აქვს. მისი ყოვლისფერით შემოგვიწირავს.... აწ ვინცა და რამანცა ძემან კაცმან ან დადიანმან, დედოფალმან ან ლიპარიტიანმა ან თავადმან ან აზნაურმან ან ქალმან ან კაცმან ეს ჩვენგან შეწირული და სიგელი გუჯრით დამტკიცებული საყდარი ნათლისმცემელის მისის ყოვლისფერით მორთეული ცათა მობაძავს ბიჭვინტისა ღმრთის მშობელს გამოახვას და გამოხმად შლადდა ქცევად ხელყოს, ან განიზრახოს, მას მცა გაურისხდება მართალი მსაჯული იესო და ყოვლად უბიწო დედა წმინდა ბიჭვინტისა ღმრის მშობელი....“ (ს. კაკაბაძე, დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, ტ. I, თბ., 1921, გვ. 96-97.

[2] ს. კაკაბაძე, დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, წ. I, ტფილისი, 1921, გვ. 142-143.

[3] თ. ბერაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 277.

ეკის ნათლისმცემლის მონასტრის ხუროთმოძღვრება შეისწავლა ი. ადამიამ[1]. ეკის სამრეკლოს, ავტორი, უდარებს შორეთის (ასპინძის რაიონი) სამრეკლოს და აღნიშნავს, რომ ის თავისი მსუბუქი პროპორციული ფორმებითა და მხატვრული დამუშავების ზუსტი გრაფიკული დეკორატიული გადაწყვეტით აშკარად გამოირჩევა დღემდე მოღწეულ სამრეკლოთა შორის. მისივე აღნიშვნით, შედარება გვიჩვენებს, რომ საქართველოში ცალკე აგებულ სამრეკვლოთა შორის მხატვრული დამუშავების თვალსაზრისით ეკის სამრეკვლოს ბადალი არ ეძებნება. იგი ერთი იმათთაგანია, რომელიც საუკეთესოდ უნდა იქნეს აღიარებული. ავტორისავე აზრით, ეკის სამრევლოს პირველი სართულის აღმოსავლეთის ფასადზე სარკმლის ჩარჩოს მორთულობაში გამოყენებულია ისეთი მცენარეული სტილიზებული ორნამენტი, რომლის იდეური სახეები გავრცელებულია შუა საუკუნეების ქართული მონუმენტური ძეგლების მხატვრულ დამუშავებაში, იგი გვხვდება ისეთ ძეგლებში, როგორიცაა წრომი (VII ს.), ფოთოლეთი (X ს.) და სხვ.[2].

აქ ასევე სამრეკლოს აღმოსავლეთით (470 სმ. დაშორებით) გალავნის ჩრდილოეთ მხარეს შემორჩენილია ორსართულიანი შენობის ქვითკირის ნანგრევები, რომელსაც „ძველ პალატს“ უწოდებენ[3]. აქვეა ასევე სამრეკლოს კედელზე, ჩრდილოეთ მხარეზე, გალავნის გარეთ მიშენებული ნახევრად ოვალური მოყვანილობის ქვითკირით ნაგები დილეგი, რომელიც ქვემოდან ზემოთ თანდათანობით ვიწროვდება, გარედან კი კონტრფორსს წააგავს. ეს არის მცირე ტევადობის დახშული ნაგებობა, რომელსაც გვერდებიდან არსად შესაძრომი ან საშუქი ხვრებიც კი არ გააჩნია. აქ მხოლოდ თაღით შეიძლება ზემოდან ჩასვლა.

ე. წ. პირველი კორპუსის დასავლეთის ფასადზე ზემოთ ორ-ფერდიანი სახურავის ღია ფრონტის ბოლო ქვაზე შემორჩენილია ლაპი-დარული წესით, ასომთავრული (მრგვლოვანით) შესრულებული ქარაგმიანი სამშენებლო წარწერა, რომელიც შემდეგნაირად იკითხება: „აღაშენა კარიბჭე ესე ხელთა ივანე ქოროსჯანისძითა შეუნდვენ ღმერთმან ამინ“[4]. ი. ადამიას აზრით, „ივანე ქოროჯანიძე“, ეკის ნათლისმცემლის ეკლესიის ადრინდელი კორპუსის აღმშენებელი არ უნდა იყოს და ის კარიბჭის აღდგენის დროსაა შესრულებული. სამშენებლო წარწერას პალეოგრაფიული ნიშნების მიხედვით, ავტორი XV-XVI სს. აკუთვნებს. ეკის ეკლესიის პირველი კორპუსის აშენებას კი X-XI საუკუნეებს. მაგრამ უშვებს მის უფრო ადრინ-

[1] ი. ადამია, ეკის ნათლისმცემლის სამონასტრო კომპლექსის ხუროთმოძღვრება, ძეგლის მეგობარი, თბ., 1981, №54-55.
[2] ი. ადამია, დასახ. ნაშრომი, გვ. 13.
[3] ი. ადამია, დასახ. ნაშრომი, გვ. 13.
[4] ი. ადამია, დასახ. ნაშრომი, გვ. 14.

დელობასაც[1]. სამრეკლოს XIII-XIV საუკუნისად მიიჩნევს[2], ხოლო პალატს უფრო კარგა ხნით ადრინდელად[3].

ეკის სამრეკლოს ქვაზე კვეთილი წარწერა პირველად ხუროთმოძღვარ ნოროვისეული გადმოხაზვის მიხედვით მარი ბროსემ (1802-1881 წწ.) შემდეგნაირად წაიკითხა: „ქ. აღაშენეს ესე სამრეკლო ბრძანებითა თამარ მეფისა გიორგი მაქმ... მეოხებისათვის წმინდაი იოანე თავისი თავისა ამინ, დიდო მეფეო თამარ, მეუღლე გიორგისა, შალვა... შეიწყალე ღმერთო“. ავტორმა გამომდინარე ექედან ეს წარწერა თამარის ზეობის ხანით (1184-1207/13 წწ.) დაათარიღა. ეს წარწერა მოთავსებულია ეკის იოანე ნათლისმღემლის მონასტრის სამრეკლოს დღემდე შემორჩენილი სამი თაღიდან შუა კედელზე[4].

ა. ტუღუში წარწერას ამ სახით კითხულობს: „აღიშენა ს სამრე[კლო] ესე დიდითა მ(ი)ჭ[ირვე]ბ(ი)თა გ(იორგ)ი მ(ი)ქა სძის[აჲ]. სულსა [მისსა]მეოხ ექმენ წ(მინდა)ო ი(ოა)ნე და მშობელთა [მი]სთასა, ა(მი)ნ. გ(იორგ)ის ტოლმან თამ(ა)რ დიდი შ(ე)გვაგუვა, შ(ეუნდვე)ნ ღ(მერთმა)ნ ა(მი)ნ“[5]. პალეოგრაფიული ნიშნებით, ავტორი წარწერას XIII-XIV სს. მიიჩნევს[6].

ამ ეკლესიას ირგვლივ შემოუყვება საკმაოდ მძლავრი გალავნი, რაც გვაფიქრებინებს ასევე მის თავდაცვით ფუნქციაზეც. ის სამხრეთ-დასავლეთიდან უყურებს საგუგუნაოს ჯიხას, ხოლო ეს უკანასკნელი კი მდ. ცივის ნაპირთან სენაკის ჩრდილოეთით, ჩვენს მიერ ფიქსირებულ ციხე-სიმაგრეს.

ეკის ეს ციხე-სიმაგრე მდებარეობს მდ. ჩხარის დასავლეთით, აქ არის ღელე გითოკირილი წყარი, რომელიც უერთდება ჩხარს.

2. საადამიოს კოშკის ნაშთები

ადგილობრივთა გადმოცემით, იოანე ნათლისმცემლის ეკლესიის სამხრეთით, გზისპირას ომარ ადამიას სახლთან, ყოფილა ციხის ნანგრევები, სადაც მიცვალებულის ძვლებიც უნახავთ. შესაძლოა აქ ეკლესიაც ყოფილიყო, თუმცა ადგილობრივები ამას გამოკვეთილად ვერ გვიზუსტებენ. დღეს იქ ნაგებობის ნაშთი არ ჩანს.

3. საწულეისკიროს წმ. გიორგის სახელობის ნაეკლესიარი

საწულეისკიროს სასაფლაოსთან იდგა წმ. გიორგის სახელობის ხის ეკლესია. აქ მღვდლები იყვნენ შენგელიები და წულეისკირები. ეს ეკლესია 1924 წელს დაუშლიათ.

---

[1] ი. ადამია, დასახ. ნაშრომი, გვ. 16-17.
[2] ი. ადამია, დასახ. ნაშრომი, გვ. 18.
[3] ი. ადამია, დასახ. ნაშრომი, გვ. 19.
[4] ა. ტუღუში, ეკის ნათლისმცემლის მონასტრის წარწერები, ძეგლის მეგობარი, 1988, №3, გვ. 57.
[5] ა. ტუღუში, დასახ. ნაშრომი, გვ. 58.
[6] ა. ტუღუში, დასახ. ნაშრომი, გვ. 59.

მისგან ჩრდილო-აღმოსავლეთით დაახლოებით 200-300 მეტრში ყოფილა ძველი სასაფლაო, საწულეისკიროს მთაზე, საიდანაც მოგვიანებით გადმოუტანიათ ეს ეკლესია. საწულეისკირო ნახსენებია 1733 წლის გუჯარში გრიგოლ კათალიკოზისა ბიჭვინთის საბუთითთაგან- „საწულეისკიროს ერთი მოსახლე კაცი ჩილაჩავა“[1].

4. საფარცვანიოს (შრომის კარი) მაცხოვრის (ჯვრის) სახელობის ეკლესია

საფარცვანიოს უბანში დგას მაცხოვრის სახელობის (ჯვრისას ეძახიან) ეკლესია. მას აღმოსავლეთით ესაზღვრება ეკის მთა. ამ ეკლესიას მარცხნით შემოუყვება ღელე ბერ-ღალი, დასავლეთით ღელე ფაქვა. გადმოცემით, აქ მღვდლები იყვნენ ცხვიტარიები, რომლებიც შიგნით შესასვლელ კართან არიან დაკრძალულნი. ეკლესიის ეზოს შესასვლელთან დგას მეორე ნაგებობა, რომელსაც მარანს ეძახიან, თუმცა შესაძლოა ის სამრეკლო ყოფილიყო. ტაძარი XII-XIII საუკუნეების ნაგებობა ჩანს, თუმცა შესაძლოა ადრინდელიც იყოს. ის სათანადო შესწავლას მოითხოვს. ამავე დროს სასწრაფო რესტავრაციას, რადგან დანგრევის პირას არის მისული და მეტად მნიშვნელოვანი ძეგლია. ტაძარი კარგად ნათალი ქვებით უნდა ყოფილიყო მორთული და მოჩუქურთმებული.



ადგილობრივთა გადმოცემით ამ ადგილას ძველად ყოფილა ხის ეკლესია და უფრო ადრე რაღაც წარმართული კერპი, რომელიც დიდ ქვაზე ყოფილა გამოხატული. ზოგიერთის გადმოცემით, ამ ეკლესიას ეძახიან „იმარიონს“.



აქაური საფლავის ქვის წარწერა გვამცნობს, რომ დასაფლავებულია მღვდელი იოანე სხვიტარია და მისი შვილი. ასევე არის ვინმე სვიმონ მღვდლის 1854 წლით დათარიღებული საფლავი.

5. საელიავოს (უფალ-კარი) წმ. გიორგის სახელობის ნაეკლესიარი

შემაღლებულ გორაზე ეკის თემის სოფელ საელიავოში (დღეს ეს ადგილი მოსახლეობისგან დაცლილია) ჭყონია-ღელესა და სქურია ღელეს შუა, სასაფლაოსთან

[1] ს. კაკაბაძე, დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, I, თბ., 1921, გვ. 143.

არის საელიავოს წმ. გიორგის სახელობის ხის ნაეკლესიარი ადგილი. აქედან აღმოსავლეთით და ჩრდილო-აღმოსავლეთით ჩანს ეკის მთა, ამ ადგილს, სადაც იდგა ეკლესია, ეწოდება „უფალ კარი“. ამ ეკლესიის ხის მასალისგან სამსონ ზიმბაიას აუშენებია აქ სკოლა, შემდეგ ის ეკში წაუღიათ. მღვდლები აქ იყვნენ მიხეილ და ევგენი თათარსქუები (თათარიშვილები). ამ ეკლესიაში ეკიდა ასევე ზარი, რომელიც ჯერ სკოლაში წაუღიათ, ხოლო ომიანობის დროს გადაუდნიათ. დიაკონი ამ ეკლესიაში ყოფილა ლუკა ელიავა. ამ ადგილებში ცხოვრობდა ცნობილი თავადი გიორგი ჩიჩუა, ასევე აქ მღვდლად ყოფილა ილია ხარბედია.

6. საგაგუო – ჩიჩუების კარის ნაეკლესიარი

ადგილობრივთა გადმოცემით, საგუგუოს უბანში თავად ჩიჩუებს ჰქონიათ კარის ეკლესია, სადაც მღვდლები იყვნენ გაგუები. გაგუები საერთოდ სამღვდელო გვარად ითვლებოდნენ. გ. ელიავას ცნობით, ეს ეკლესია ეკუთვნოდა გიორგი ჩიჩუას, რომელიც 1924 წელს დაუნგრევიათ[1].

7. საგუნიოს ღვთისმშობლის სახელობის ნაეკლესიარი

საგუნიოს უბანში იდგა ღვთისმშობლის სახელობის ხის ეკლესია, იქ მღვდლები გუნიები ყოფილან.

8. საარჩაიოს ნაეკლესიარი

საარჩაიოს უბანშიც მდგარა ხის ეკლესია, სადაც მღვდლები ყოფილან გუნიები და ადამიები. ამ ადგილებში (საგუნიო, საარჩაო, საგაგუო) დღეს მოსახლეობა არ არის და ის ძველი სასაფლაოც მიტოვებულია. იშვიათად თუ ასაფლავებენ მიცვალებულებს.

ადგილობრივთა გადმოცემით, ეკის თემში ყოფილა 6 ეკლესია.

გაზეთ „ცნობის ფურცლის ცნობით, ყოველი წლის 24 ივლისს ეკში ცოდნიათ დიდი ჯარიანობა[2].

---

[1] გ. ელიავა, სენაკის რაიონის ტოპონიმიკა, თბ., 1989, გვ. 81.

[2] „ს. ეკი (სამეგრელო). ჯარიანობა. სოფ. ეკში ყოველ ივნისის 24-ს დიდი ჯარიანობა იციან. სამეგრელოს დაბა-სოფლებიდგან მრავალი ხალხი მოდის აქ სალოცავად. შემდეგ ლხინისა თამაშობა იმართება, ქვევითი კაცები თამაშობენ დაირა მუსიკაზე. ცხენოსნები კი მართავენ ჯირითს. ჯარის დაშლის დროს, ყველა ცხენოსნები შეიკრიბებიან ერთად და გარშემო შემოუვლიან სხვა-და სხვა მშვენიერის სიმღერებითა და ჯარიც იშლება“ (გაზ. ცნობის ფურცელი, №242, 1897).

სოფელი უშაფათი

1. მაცხოვრის კარი – ლეკორშიეს მაცხოვრის სახელობის ნაეკლესიარი

სასაფლაოსთან იდგა მაცხოვრის სახელობის ხის ეკლესია, იმ ადგილს „ლეგვეშს ეძახიან“, აქ მოედინება მდ. მოხაში; იკითხება ეკლესიის საძირკველი. ეკლესია ერთნავიანი იყო. შეინიშნება ეკლესიის მინაშენის საძირკველიც. ფართობი წრეზე დააახლოებით 33 მეტრს შეადგენს, მინაშენი 10 მეტრს. გადმოცემით ამ ეკლესიის აშენება უნდოდათ აქედან მოპირდაპირე ბორცვზე. როდესაც იქ თლიდნენ ამ ეკლესიის ასაშენებელ ხეს, მთელი ნაფოტი თურმე ყვავებს ამ ადგილას მოუტანით. შემდგომ ეს ხალხმა ღვთის ნიშნად ჩათვალა და ეკლესიაც აქ აუშენებიათ.

2. ლეკოკაიეს წმ. გიორგის სახელობის ნაკლესიარი

ლეკოკაიეს უბანში მდ. ტეხურის მარჯვენა სანაპიროსთან დაახლოებით 2 კილომეტრში იდგა წმ. გიორგის სახელობის ხის ეკლესია. აღმოსავლეთიდან ის უყურებს ეკის მთის გაგრძელებას, რომელსაც ლეკოკიეს მთას ეძახიან. აქედან ცოტა მოშორებით არის ადგილი „ნაბერაყუ“. ამ სასაფლაოსთან სადაც ეკლესია იდგა დღეს მოსახლეობა არ არის. აქ უმეტესად კოკაიების და ბაღათურიების დასახლება იყო, ეკლესიაც მათ ეკუთვნოდათ.

3. ლეგოგინეს წმ. გიორგის სახელობის ნაეკლესიარი

ლეგოგინეს სასაფლაოსთან მდ. ხანჯარას მარცხენა მხარეს იდგა წმ. გიორგის აგურის ეკლესია, ჩანს იატაკი და საძირკველი. აქ ბოლო მღვდელი იყო დიანოზ გოგინავა.

4. ლემალანიეს წმ. მარიამის სახელობის ეკლესია

დღეს ლემალანიეს უბანი შედის სოფ. ფოცხოში, სოფლის სასაფლაოს აგილს ეძახიან ოირინეს; სავარაუდოდ, ზოგიერთის გადმოცემით, ამ ადგილს ერქვა არა ირინე, არამედ მარინე და ეკლესიაც წმ. მარიამის სახელობის უნდა ყოფილიყო.

5. ლეხაბურზანიეს წმ. გიორგის სახელობის ეკლესია

ლეხაბურზანიეს სასაფლაოსთან იდგა წმ. გიორგის სახელობის ქვის ეკლესია.

სოფელი ფოცხო

1. მოხაში (ზემო ფოცხო) წმ. გიორგის სახელობის ნაეკლესიარი

ზემო ფოცხოს სახელწოდებაა მოხაში, ცხენიშად წოდებულ ადგილას იდგა წმ. გიორგის სახელობის ქვის ეკლესია. მღვდლები იყვნენ ბუსკანძეები, ბოლო მღვდელი ყოფილა ეგნატე ბუსკანძე. მოხაშში შედიოდა: ლეჭე, ლეტორჩინე, ლემალანიე, ლემურღულიე, ლეგოგიე, ლექადარე, ლეხარჩილე.

სოფელი ქვემო ფოცხო

2. ლემამულიეს (ქვემო ფოცხო) მთავარანგელოზთა სახელობის ნაეკლესიარი

სოფლის სასაფლაოსთან შემაღლებულ ბორცვზე იდგა მთავარანგელოზთა სახელობის ეკლესია, ეს ეკლესია აუგია სანაიებს. მღვდელი აქ ყოფილა ზოსიმე ბოკუჩავა, იკითხება საძირკველი, რომლის გარშემოწერილობა დაახლოებით 38 მეტრია.

არქიტექტორებს კი ეს ადგილი ამდგვარად აქვთ აღწერილი: „სენაკის რაიონი, სოფ. ქვემო ფოცხო; ეკლესია. შუა საუკუნეები; ტიპი – საკულტო; სოფლის სასაფლაოზე შემორჩენილია ეკლესიის ცოკოლის ფრაგმენტები. საშენ მასალად ნახმარია ადგილობრივი ჯიშის ქვა-კირის დუღაბზე. ზემოდან მოწყობილია საფლავები.

1992 წ. 18 მარტი. არქიტექტორი ლ. გიორგაძე“.

3. ლეყურუეს მისარიონის სალოცავი

ლეყურუეს უბანში არის ადგილი მისარიონ კარი, სადაც იდგა მისარიონის ხის სალოცავი, ეს იყო ღვინჯილიების, ყურაშვილების და ჯოლოგუების გვარის სალოცავი. აქ დღესაც დგას პატარა ხის სამლოცველო.

4. ლეშამათეს მიხაილ და გაბრიელ მთავარანგელოზთა სახელობის ეკლესია

სოფლის სასაფლაოსთან დგას მიხეილ და გაბრიელ მთავარანგელოზთა სახელობის 2007 წელს აღდგენილი ეკლესია. აქ ჩანს

ძველი საძირკველი და ეკლესიაში ჩატანებული ძველი სამშენებლო ქვები. თუ ქვების წყობით ვიმსჯელებთ იდგა ძველი ტაძარი, სავარაუდოდ XII საუკუნის მაინც. გადმოცემით აქ მდგარა ძველი თეთრი თლილი ქვისგან ნაშენი ეკლესია, რომლის ხუროთმოძღვარი ყოფილა ვინმე სარიშვილი (შესაძლოა ის არა თუ პირველადი ტაძრის ამგები, არამედ აღმდგენი უნდა ყოფილიყო). აქ ბოლო მღვდელი ყოფილა შამათავა. ეკლესიას წინ მიშენებული აქვს გუმბათიანი სამრეკლო. ეს ტაძარი მდებარეობს მდ. ცივის მარცხენა სანაპიროსთან ახლოს.

5. ჯგიმარიონის – მარიამ ღვთისმშობლის სახელობის ეკლესია

ადგილობრივთა გადმოცემით, ჯგიმარიონის ქვის ეკლესია რომელიც დღეს აღდგენილია, აუშენებიათ 1903 წელს; ის გასაბჭოების დროს ისევ დაუნგრევიათ; თუმცა 1903 წელსაც ვფიქრობთ, ეს ეკლესია აღდგენილი ჩანს, რადგან ის უფრო ძველი ნაგებობა უნდა იყოს. აქ მღვდლები იყვნენ ჭილაიები.

ეს ეკლესია გადახურვამდე, ანუ აღდგენამდე 1992 წელს არქიტექტორების მიერ ამ სახით არის აღწერილი: „სენაკის რაიონი, სოფელი ზემო ფოცხო (ლეტყებუჩავე); ეკლესია „ჯგიმარიონი“; ტიპი – საკულტო; სოფლის სასაფლაოზე დგას ეკლესია „ჯგიმარიონი“ ნაგებობა გუმბათოვანი ყოფილა, ამჟამად გუმბათი და გადახურვა არ არსებობს; დარბაზი აღმოსავლეთიდან სრულდება ნახევარწრიული ფორმის შვერილი აბსიდით. საკურთხეველში გაჭრილია თაღოვანი სარკმელი, რომლის ორთავე მხარეს საკმაოდ დიდი ზომის ნიშებია განლაგებული; ეკლესიას სამი შესასვლელი აქვს დატანებული. ჩრდილოეთისა და სამხრეთის თაღოვანი შესასვლელების გვერდებზე წვრილ-წვრილი აზიდული პროპორციების სარკმელებია გაჭრილი. იატაკი აყრილია, ამოსულია მცენარეულობა...; ეკლესიას დასავლეთიდან მიშენებული აქვს ორსართულიანი სამრეკლო, რომლის მეორე სართული აღარ არსებობს; ძეგლი ნაგებია შირიმის ქვით, კირის დუღაბზე ქვის წყობა თარაზულია...; კედლები რამოდენიმე ადგილას გაბზარულია და დაფარულია სუროთი... ეკლესია დგას ორსაფეხურიან ცოკოლზე.

1992 წ. 20 მარტი, არქიტექტორი ლ. გიორგაძე

ვფიქრობთ, ფოცხოზე უნდა იყოს საუბარი ფედოტ ელჩინის და პავლე ზახარევის ელჩობის დროის (1639-1640) ჩანაწერებში, სადაც ნახსენები სოფელი პუდცხური და იქ მდგარი ღვთისმშობლის სახელობის ხის ეკლესია[1].

[1] Т. Берадзе, Отчет русских послов в менгрелию в 1639-1640 годах как источник для изучения исторической географии Менгрелии, Материалы по церковной и экономической истории Абхазии,

სოფელი ბეთლემი

1. ციხე-კოშკი

ნოქალავეის დასავლეთით, მდ. ტეხურის მარჯვენა სანაპიროზე გზის პირას, შემაღლებულ ბორცვზე შემორჩენილია კოშკის ნაშთი; სამხრეთ-აღმოსავლეთით ის გადაჰყურებს ნოქალაქევის მთაზე მდგარ კოშკს, აღმოსავლეთით ამავე მთაზე არის მეორე კოშკი და მესამე უფრო ჩრდილო-აღმოსავლეთით, რომელიც ნოქალაქევის თევდაცვითი სისტემის ხაზზეა; ეს ადგილები ჩანს შხეფი-კოტიანეთი-სორტა-ნოქალაქევისკენ მიმავალი სამანქანო გზიდანაც. ჩრდილოეთით მდებარეობს სოფელი ბეთლემი და კვაუთის მთა. ასევე სოფელი ლეძაძამე. ამ კოშკიდან ჩრდილო-დასავლეთით დაახლოებით ორ კილომეტრში არის ნოქალაქევის ციხე-სიმაგრე და ცენტრალური გზა.

კოშკი არქიტექტურულად ამ სახით არის აღწერილი: „სენაკის რაიონი, სოფ. ბეთლემი; კოშკი. შუა საუკუნეები; ტიპი – საფორტიფიკაციო; გზის პირას, შემაღლებულ ბორცვზე შემორჩენილია კოშკის ნაშთი. ნაგებობა გეგმით კვადრატს უახლოვდება. I სართული ამოვსებულია მიწითა და ქვებით. II სართული ფრაგმენტულადაა შემორჩენილი. იკითხება სართულებშუა კამაროვანი გადახურვის მცირე ნაშთი. საშენ მასალად გამოყენებულია ფლეთილი ქვა-კირის დუღაბზე.

1992 წ. 18 მარტი. არქიტექტორი ლ. გიორგაძე“.

2. ჯგიმარიონის ანუ წმ. მარიამის სახელობის ეკლესია

სოფლის ძველ სასაფლაოსთან შემორჩენილია ეკლესიის ნაშთები, რომელსაც უწოდებენ „ჯგიმარიონს“. ირგვლივ ამ ეკლესიას შემოუყვება არც თუ ისე მაღალი (2-3 მეტრის სიმაღლის) რიყის გალავანი, რაც შესაძლოა აქ თავდაცვითი ნაგებობის არსებობაზეც მიგვითითებდეს. ამ

Посольства Федоти Ельчина и Павла Захарьева в Мингрелию (1639-1640). Для изучения подготовил, предисловием, коментариями и словарем снабдил Джемал Гамахария, Тб., 2005. გვ. 75-76.

სასაფლაოზე დაკრძალულია ნიკო დადიანი და მისი მეუღლე, ასევე შალვა დადიანის მამა. ეს იყო სადადიანო. შესაძლოა აქ მათი სასახლეც იყო. ეს ადგილი მდებარეობს მდ. გურძემის მარჯვენა და მდ. ტეხურის მარცხენა მხარეს შორის. აქ ახლოს ანუ იმ კოშკთან, რომელიც ჩვენ დავაფიქსირეთ ბეთლემში არის მთა „ბერნაძორი“, სადაც არის წყარო „ბერნაწყარო“. აქ თურმე ბერებს უცხოვრიათ.

ამ ეკლესიიდან შემორჩენილია ჩრდილო-დასავლეთის კედელი და სამხრეთის მცირე კედლის ნაშთი. ეკლესიის ზღუდის გარეთ სამხრეთ-აღმოსავლეთით ჩანს შენობის საძირკვლის ნაშთები. სადაც ადგილობრივთა გადმოცემით ყოფილა სასენაკო. აქ მღვდელი იყო ანთიმოზ ბარკალაია.

ვფიქრობთ, ეკლესიის გარშემო მდებარე გალავანი ერთიანი თავდაცვითი ხაზის ნაწილი უნდა იყოს მდინარე ტეხურისა და ნოქალაქევის მიმართულებით და ის იცავდა ნოქალაქევისკენ მიმავალ ჩრდილო-დასავლეთის გზას; თავის მხრივ უკავშირდება ბეთლემში ჩვენს მიერ ფიქსირებულ კოშკს, ნოქალაქევის მთაზე ფიქსირებულ სამ კოშკს (პირდაპირ ორს) და უშუალოდ მაგათი მეშვეობით ნოქალაქევს, ხოლო სამხრეთით - ძველი სენაკისკენ მიმავალი და შხეფისკენ მიმავალ გზაზე მდებარე ციხეებს.

ეს ეკლესია არქიტექტორთა მიერ ასეა ფიქსირებული: „სენაკის რაიონი, სოფ. ბეთლემი; ეკლესია „ჯგიმარიონი“. შუა საუკუნეები; ტიპი–საკულტო; სოფლის სასაფლაოზე შემორჩენილია ეკლესიის მცირე ნაშთი. ტერიტორია დაფარულია მცენარეულობითა და ეკალ-ბარდებით.

1992 წ. 18 მარტი. არქიტექტორი ლ. გიორგაძე“.

3. მისარიონის ნაეკლესიარი

ბეთლემში, ლეკირცხალიეს უბანში (დღეს იქ მოსახლეობა არ არის) იდგა მისარიონის (ანუ წმ. გიორგის) სახელობის ხის ეკლესია, მას ქვის საძირკველი ჰქონია.

4. ქრისტეშობის მაცხოვრის შობის სახელობის ნაეკლესიარი

სოფელი ბეთლემში ადგილობრივთა გადმოცემით, იყო „ქრისტეშობის“ ანუ მაცხოვრის შობის ეკლესია ეკლესიაც, იქ ამჟამად მოსახლეობა არ არის. ეს ადგილი მდებარეობს ბეთლემის ჯგიმარიონის ეკლესიიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით.

5. აბანოს ნაშთები

პიონერთა ბანაკთან, არქიტექტორების მიერ ფიქსირებულია აბანო. შუა საუკუნეები; ტიპი – სამეურნეო; მდინარე ტეხურის მარცხენა ნაპირზე, კლდეზე დაშენებულია აბანო, რომელიც შეურემონტებია ადგილობრივ მოსახლეობას. სამშენებლო მასალად გამოყენებულია ფლეთილი ქვა-ცემენტის ხსნარზე.

1992 წ. 18 მარტი. არქიტექტორი ლ. გიორგაძე.

ლეძეძამეს თემი



1. სოფელ კვაუთის მთავარანგელოზთა სახელობის ეკლესია

მთავარანგელოზთა სახელობის ეკლესია მდებარეობს სოფლის სასაფლაოსთან მდ. ტეხურის მარცხენა მხარეს დაახლოებით 500-700 მეტრში. მღვდლები აქ ყოფილან გაიოზ ძიმცარაშვილი და ნიკოლოზ ქადარია. კლესიის ჭერი ჩამონგრეულია. ჩრდილოეთით ის შემოსაზღვრულია მაღალ ბუნებრივი კლდით. სამხრეთით, აღმოსავლეთით და დასავლეთით მას შემოუყვება გალავანი, რომელიც კირის დუღაბზე კირქვით, რიყის ქვებითაა ნაშენი. შესასვლელი კარი ჰქონდა დასავლეთის მხარეს.

გალავნის კედლების სიმძლავრე და მდებარეობა აქ თავდაცვითი ნაგებობის არსებობას გვაფიქრებინებს. აღმოსავლეთით ის უყურებს მარტვილის მონასტერს. ჩრდილო-დასავლეთით და დასავლეთით ტეხურის ხეობას და იმ ადგილებს, სადაც ჩვენ ეკლესიები და კოშკები დავაფიქსირეთ ნოქალაქევის მთაზე. ეს ადგილი მდებარეობს ბჟერის მთის ძირში. ეკლესიიდან ერთ კილომეტრში არის გამოქვაბული.

მთავარანგელოზთა ეს ეკლესია არქიტექტურულად 1992 წელს ამ სახით არის აღწერილი: სენაკის რ-ნი, სოფ. ლეძეძამე; ეკლესია „მთავარანგელოზი“; ტიპი – საკულტო; სოფლის ჩრდილოეთით შემაღლებულ ბორცვზე დგას დარბაზული ტიპის ეკლესია. ნაგებობა გეგმით მართკუთხაა, აღმოსავლეთიდან ნახევარწრიული ფორმის შვერილი აბსიდით. საკურთხეველში გაჭრილია თაღოვანი სარკმელი, რომელიც სამხრეთით ერთი, ხოლო ჩრდილოეთით ორი თაღოვანი ნიშია განლაგებული. სარკმელთან დგას მასიური ტპარეზის ქვა. აბსიდა საკურთხევლისაგან გამოყოფილია წყვილი ერთსაფეხურიანი პილასტრით, აქვე შეიმჩნევა სოლეას ნაშთი; ეკლესიაში დატანებულია სამი შესასვლელი, რომელთაგან ჩრდილოეთისა და სამხრეთის ძლიერ დაზიანებულია. დასავლეთის შესასვლელი თაღოვანი ფორმისაა. დარბაზი ნათდებოდა სამი თაღოვანი სარკმლით; ნაგებობაში შეიმჩნევა გადაკეთების ნიშნები. წყობაში მრავლადაა

ჩატანებული შირიმის კვადრები, განვითარებული შუა საუკუნეებისათვის დამახასიათებელი ორნამენტიაციით. ინტერიერში და სამხრეთის ფასადზე შემორჩენილია მოხატულობის მცირე ფრაგმენტები; ნაგებობა ძლიერ დაზიანებულია. გადახურვა მთლიანად ჩამოქცეულია, კედლები ბევრ ადგილას დაბზარულია. ნაშენია ადგილობრივი ჯიშის ქვითა და შირიმით – კირის დუღაბზე. ქვის წყობა თარაზულს უახლოვდება. ეკლესიას დასავლეთის, სამხრეთისა და აღმოსავლეთის მხრიდან შემოყვებოდა გალავანი, ხოლო ჩრდილოეთიდან იცავდა ვულკანური წარმოშობის კლდე. გალავნის დასავლეთ ნაწილში შემორჩენილია კარიბჭის ნაშთი.

სოფ. კვაუთში იყო ჩიქვანების რეზიდენცია. აქ იყო მათი სასახლე და კარის ეკლესია. ციხე-სიმაგრე კი ლეძაძამეში ჰქონდათ. საგვარეულო სასაფლაო იყო მარტვილში მთავარი ეკლესიის ჩრდილოეთით თლილი ქვისგან გაკეთებულ პატარა სამსართულიან ეკლესიაში, რომელსაც ასახელებენ „ჩიქოვანების ეკლესიად“[1]. ჩიქვანები ყმა-მამულს ფლობდნენ აგრეთვე თამაკონს, ნოქალაქევს და ლეჩხუმს. ჩიქვანების სათავადო ცენტრი კვაუთი გადმოცემის მიხედვით, ტყვეთა გატაცება-სყიდვის ერთ-ერთ ცენტრს წარმოადგენდა [2]. ფლობდნენ ასევე ტერიტორიებს – ლესაჯე, თარგამული (ნაწილობრივ), ჯოლევი (ნაწილობრივ), ნამკოლუ (ნაწილობრივ), ლეძაძამე (ნაწილობრივ) [3]. კვაუთელი ჩიქვანების სხვადასხვა შტოს წარმომადგენელნი შემდეგ მკვიდრდებიან ზუმს, ნაგურუს და ტყაიას. კერძოდ ზუმს ჩიქვანები ადრიდანვე ეწყობიან, გრიგოლ დადიანის დროს (1788-1804 წწ.)[4].



2. პატარა ჯოლევის

ნაეკლესიარი ლევახანეს, ლეჯოჯუეს და ლეხარბუზანიეს სასაფლაოსთან, რომელიც კვაუთის მთავარანგელოზთა ეკლესიიდან ერთ კილომეტრში მდებარეობს მდინარე ტეხურის მარცხენა სანაპიროსთან იდგა ხის ეკლესია. აღმოსავლეთით გადაჰყურებს კვაუთის ეკლესიას.

3. ჯოლევის წმ. გიორგის სახელობის ნაეკლესიარი

---

[1] ო. სოსელია, ნარკვევები ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს ისტორიიდან (სათავადოები), I, თბ., 1973, გვ. 318.
[2] ო. სოსელია, დასახ. ნაშრომი, გვ. 319.
[3] ო. სოსელია, დასახ. ნაშრომი, გვ. 317.
[4] ო. სოსელია, დასახ. ნაშრომი, გვ. 320.

ნარსიების სასაფლაოსთან, შემაღლებულ ბორცვზე იდგა წმ. გიორგის სახელობის ქვის ეკლესია. ცოტა ხნის წინ საძირკველიც ყოფილა შემორჩენილი. ის თავის დროზე „ცინკით“ იყო გადახურული, რომლითაც შემდგომ ფოსტის შენობა გადაუხურავთ. აქ მღვდელი იყო ანტონია დიხამინჯია. პატარა ჯოლევში მდგარი ხის ეკლესიიდან ის დაშორებულია 1 კმ-ით, რომელიც მდებარეობს მის გასწვრივ სამხრეთით, მდ. ტეხურის მარცხენა მხარეს. ეს ეკლესია დაუნგრევია თარა არზიანს.

4. ლეარზინეს მაცხოვრის სახელობის ნაეკლესიარი

სასაფლაოსთან, მდ. ტეხურის მარჯვენა მხარეს შემორჩენილია მაცხოვრის სახელობის ეკლესიის ნაშთები. აქ მღვდელი იყო ივანე ხუხუნი. აქ ხეზე ორი ზარიც ეკიდა. ეკლესია სხვადასხვა ჯიშის ქვებისგან არის ნაშენი. როგორც ჩანს ძველი ტაძარი, ნათალი ქვებით იყო ნაშენი, შემდგომ აღუდგენიათ და დაუშენებიათ რიყის ქვის კედლები, რომელიც კარგად იკითხება და პირვანდელი ფორმის აღდგენა სავსებით შესაძლებელია. ეს ეკლესია სამხრეთით და სამხრეთ-აღმოსავლეთით გადაჰყურებს მდ. ტეხურის ხეობას მთლიანად და უყურებს ყველა იმ ადგილს ამ მიდამოებში, სადაც ეკლესია, ციხე-სიმაგრე თუ კოშკი იდგა.

5. ლეგოგიეს წმ. ბარბარეს სახელობის ნაეკლესიარი

ლეგოგიეს სასაფლაოსთან, მდ. ტეხურის მარჯვენა სანაპიროსთან, მაღალ ბორცვზე იდგა წმ. ბარბარეს სახელობის ხის ეკლესია, ის გასაბჭოების დროს დაუშლიათ და ფოსტის შენობა აუშენებიათ. დღეს იმ ძველი შენობის მასალა ადგილობრივებს ისევ წამოუღიათ და აუშენებიათ პატარა ხის ეკლესია. მღვდელი აქ ყოფილა ივანე ხუხუნი, რომელიც ასევე მაცხოვრის ეკლესიაში იყო მღვდლად. აქედან ჩანს სამხრეთით მთელი მდ. ტეხურის ხეობა, ჩრდილო-აღმოსავლეთიდან სოფელი ტალერი და სხვ. საფიქრებელია, რომ აქ თავდაცვითი ნაგებობაც ყოფილიყო. ირგვლივ ჩანს გალავნის ფრაგმენტები. აქედან ჩრდილო-დასავლეთით ჩანს სოფ. ალერტი და ალერტის ეკლესია.

6. ჩიქოვანების კარის ეკლესია (კვაუთი)

მდ. ტეხურის მარცხენა მხარეს, იქ სადაც სახლობდნენ ჩიქოვანები იდგა მათი კარის ხის ეკლესია.

სოფელი გეჯეთი

1. საკოხიოს გიორგის სახელობის ნაეკლესიარი

საკოხიოს უბანში სოფლის სასაფლაოსთან იდგა წმ. გიორგის სახელობის ხის ეკლესია. საძირკველი ჰქონია ქვის. ამ ადგილს ეძახიან „გოჭველ ოხვამეს“ (დამწვარი, გადამწვარი სალოცავი). მღვდლები აქ ყოფილან ემლაოზ თურქია და მისი ძმა ბესარიონი. ეს ეკლესია დაუნგრევია ვინმე რუსიას. აქ ცალკე მდგარა სამრეკლო, ეკიდა ერთი ზარი, 70 პროცენტი ოქროსი იყოო; ის მერე სკოლაში წაუღიათ. ეს სასაფლაო და ეკლესიის ადგილი რიყის ქვის გალავნით ყოფილა შემოზღუდული, არქიტექტორთა აღწერილობით 1992 წელს ჯერ კიდევს ყოფილა შემორჩენილი მცირე ნაშთი: „სოფლიდან სამხრეთ აღმოსავლეთით 8 კმ დაშორებით ხეებით დაფარულ ადგილას შემორჩენილია ეკლესიის სამრეკლოს ფრაგმენტები. სასწრაფოდ საჭიროა ტერიტორიის გაწმენდა”.

1992 წ. 18 მარტი, არქიტექტორი ლ. გიორგაძე

ამ პერიოდისათვის ასევე ყოფილა ეკლესიის საძირკვლის მცირე ფრაგმენტებიც შემორჩენილი: სენაკის რ-ნი, სოფ. ძველი სენაკი; სამრეკლო. შუა საუკუნეები; ტიპი – საკულტო; წმ. გიორგის ეკლესიის დასავლეთით 25 მ-ის დაშორებით შემორჩენილია ნაგებობის ნაშთი. გადმოცემით აქ მდგარა სამრეკლო; ნაშენი ყოფილა ფლეთილი ქვით-კირის დუღაბზე.

1992 წ. 18 მარტი, არქიტექტორი ლ. გიორგაძე

2. საოჩიგაოს მთავარანგელოზთა სახელობის ნაეკლესიარი

საოჩიგაოს უბანში სასაფლაოს-თან იდგა მითავარანგელოზთა სახე-ლობის ხის ეკლესია, მას საკმაოდ მაღალი ქვის საძირკველი ჰქონდა. იქ მდგარა სამრეკლოც, სადაც სამი ზარი ყოფილა. მღვდელი აქ ყოფილა ემლაოზ თურქია. მცირე მონაკვეთზე საძირკვლის და კედის ფრაგმენტი დღესაც იკითხება. 1992 წლის აღწერილობაში კი ნათქვამია: სენაკის რაიონი, სოფ. გეჯეთი (საოჩიბაო); ეკლესია „მთავარაგნელოზი“. შუა საუკუნეები; ტიპი – საკულტო; სოფლის სასაფლაოზე შემორჩენილია ეკლესიის ნაშთი. იკითხება შვერილი აბსიდის ფრაგმენტი. აბსიდა წახნაგოვანი ყოფილა. დანარჩენი ნაწილი დაფარულია საფლავებით.

1992 წ. 18 მარტი. არქიტექტორი ლ. გიორგაძე.

3. ფიჩხაიების და ღვამბერიების სალოცავი (ნაოხვამუ)

ადგილობრივთა გადმოცემით, ფირჩხაიების და ღვამბერიების გვარს ჰქონიათ ერთი სალოცავი. ამ ადგილს „ნაოხვამუს“ ეძახიან. ღვამბერიები ყოფილან თავადები (თუმცა ესეთი სათავადო გვარი სამეგრელოში ისტორიულ წყაროებში არ დასტურდება – დ. ჭ.), მღვდელი კი ფირჩხაია. ამ მღვდლისთვის ვინმე ღვამბერიას თავი მოუჭრია. ამ ორ საგვარეულოს ურთიერთქიშპობა ჰქონიათ და ერთმანეთი ამოუწყვეტიათ.

4. ჯიხირის მისარიონის (წმ. გიორგის) სახელობის სალოცავი

ჯიხირის უბანში არის ადგილი მისარიონი, სადაც ასევე იდგა ხის ეკლესია.

5. ჯიხირის ნაეკლესიარი

ჯიხირის უბანში ეპტიხი გოგიას სახლთან ყოფილა ეკლესია, ადრე იქ მატახე-რიების გვარს უცხოვრია.

სოფელი შხეფი

1. ისტორიული ცნობები და შხეფის ციხე

შხეფის ციხე სამეგრელოს თავდაცვითი სისტემის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ძეგლია, ის მდებარეობს სენაკი-მარტვილის გზის მარცხენა მხარეს, დაახლოებით 3 კილომეტრში მაღალ აზიდულ გორაკზე. მასზე საკმაოდ მწირი ისტორიული ცნობები გვაქვს და არც ის ვიცით თუ რა იყო ამ ციხის თავდაპირველი სახელწოდება.

სოფელი ქხეფი იხსენიება 1733 წლის გუჯარში გრიგოლ კათალიკოზისა ბიჭვინთის საბუთთაგან: „შხებთ იმ საყდართან ბერდია დოხვადია შეწირული“[1].

[1] ს. კაკაბაძე, დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, წ.

ს. მაკალათიას აღნიშვნით, „ნოქალაქევის ციხის მახლობლად არის შხეფის ციხე, რომელიც მაღალი მთის თხემზეა აგებული და გადასცქერის სამეგრელოს ვაკეს. ციხე ქვითკირით არის ნაგები და ეკუთვნის XVI საუკუნეს. მას აქვს შიგნით შესასვლელ კართან ასომთავრული წარწერაც: „ქ. კოშკი: ესე: კარის: თუვალი: შედან: აღაშენა: შეუნდვნეს: ღმერთმან: ვინცა სთქვა: შეუნდვნეს ღმერთმან“. შხეფის ციხეში დატუსაღებული იყო მცირეწლოვანი ლევან დადიანი გიორგის ძე (1572-1582 წწ.). ლევანს მტრობდა მისი ბიძა მამია, რომლის ჩაგონებით ეს პატარა ლევანი მოიპარა მამია გურიელმა და იგი ჩააგდო შხეფის ციხეში. ლევანმა განიზრახა ციხიდან გადმოხტომა და გაქცევა, მაგრამ გადმოხტომისთანავე, იქვე მომკვდარა. შხეფის ციხეში დაპატიმრებული იყო აგრეთვე იმერეთის მეფე ლევანი (1585-1590 წ.), რომელიც ტყვედ ჩაიგდო მამია დადიანმა და ჩააგდო შხეფის ციხეში, სადაც იგი მოკვდა 1590 წ.[1] ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით, „... ტეხურასა და აბაშას შესართავს ზეით, უნაგირას მთის ძირზედ და ტეხურის დასავლეთის კიდეზედ არის შხეთის ციხე დიდნაშენი და

სასახლე დადიანისა...“[2]. Vფიქრობთ, შხეფის ციხეზე აქვს საუბარი ჟან ფრანსუა გამბას, როცა აღნიშნავს, რომ, „ტეხურის გადალახვის შემდეგ გზა განვაგრძეთ ტყეში“[3]. „ჩვენი გზიდან დაახლოებით ოთხი ვერსის დაშორებით ვნახეთ ერთ-ერთ ამ განცალკევებულ მთაზე აღმართული ძველი ციხე თუ მონასტერი. ამ მხარეებში ბარბაროსების

შემოსევების გამო მონასტრებსა და ციხესიმაგრეებს ერთნაირად აგებდნენ. ეს ნაგებობა კარგად არის შემონახული, აქვს კვადრატული ფორმა და ოთხი კოშკი, რომელთაგანაც ერთ-ერთი საკმაოდ მაღალია. შენობა აგებულია ერთმანეთზე დალაგებული, დიდი ზომის თლილი ქვებით, რომლებიც თითქოსდა მხოლოდ თიხით უნდა ყოფილიყო ერთმანეთთან შემტკიცებული. ნაგებობა ძალზე მყარ ნიადაგზე იდგა. იგი აშკარად გენუელების ნახელავი უნდა იყოს და უდავოდ აგებულია ამ მეომარი და კომერციულ საქმიანობაში გაწაფული ხალხის ქარავნების დასაცავად, იმ დროს როცა ფეოდოსის მფლობელებს სამეგრელოსა და საქართველოს მეშვეობით ფართო ურთიერთობანი ჰქონდათ დამყარებული შიდა აზიასთან“[4].

---

[1] ს. მაკალათია, სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, თბ., 1941, გვ. 315.
[2] ქართლის ცხოვრება, ტ. IV, გვ. 777-778.
[3] ჟაკ ფრანსუა გამბა, მოგზაურობა ამიერკავკასიაში, ტ. I, თბ., 1987, გვ. 126.
[4] ჟაკ ფრანსუა გამბა, მოგზაურობა ამიერკავკასიაში, ტ. I, თბ., 1987, გვ. 126.

ი. ადამიას აზრით, შხეფის ციხის სახით ჩვენ საშუალება გვაქვს წარმოვიდგინოთ ადრეფეოდალური ხანის დროინდელი კოლხური საცხოვრებლის ფორმა. ის წარმოადგენს კოლხური საცხოვრებელი სახლის ერთ-ერთ უძველეს ფორმას, რომელიც ციხე-სახლის ე. წ. „ჯიხახორას“ სახელწოდებით ყოფილა უძველესი დროიდან ცნობილი; ის (შხეფის ციხე) წარმოადგენდა დადიანთა დინასტიის საცხოვრებელ რეზიდენციას და შორეულ წარსულში სხვა ფუნქციებიც უტარებია[1]. მისივე აზრით, V-VI საუკუნეებში შხეფის სიმაგრე უკვე აგებული უნდა ყოფილიყო (რა თქმა უნდა არა ისეთი ფორმით როგორიც დღეს დგას)[2].

შხეფის ციხე-სიმაგრეში დაცული ყოფილა ლაპიდარული წარწერა (ჩვენც ვნახეთ ეს წარწერა – დ. ჭ.). „ქ. ესე კოშკი კარის თვალი შენდან აღაშენა. შ ს ღ ნ [შედომა] ვინა სთქვა შ ს ღ ნ“. ეს წარწერა ბროსესთანაა დაცული; აქ მოხსენიებული ბედიანი, მისი აზრით, არის ხატებში არაერთგზის მოხსენიებული XIII საუკუნის მოდვაწე ბედან დადიანი. ანალოგიურაი მოსაზრება აქვს მ. ჯანაშვილსაც[3]. თ. ერაძეს უფრო მისაღებად მიაჩნია, რომ აქ საქმე გვაქვს ჭილაძეების გვარეულობის წარმომადგენელთან. სახელები შედანი და ბედანი ამ გვარეულობაშიც იყო გავრცელებული[4]. შხეფის ციხე იქ ბროსეს მიერ ფიქსირებული წარწერის მიხედვით ჭილაძეებს ეკუთვნით, კერძოდ შედანი მას ჭილაძედ მიაჩნია[5].

ამ წარწერას პ. ზაქარაია ასე კითხულობს: „ქრისტე, კოშკი ესე კარის თუვალი შედან აღაშენა, შეუნდოს ღმერთმან, ამინ. ვინა სთქუა, შეუნდოს ღმერთმან“. შედანს ის დადიანად მიიჩნევს, რადგან ფიქრობს, რომ ჭილაძეთა სამფლობელო აქამდე არ აღწევდა, მისივე თქმით შხეფის ციხე მთელი შუა საუკუნეები მოქმედებდა და სახელმწიფო მნიშვნელობისა გახლდათ[6].

---

[1] ი. ადამია, შხეფის ციხე-სიმაგრე, ძეგლის მეგობარი, №51, თბ., 1979, გვ. 9.
[2] ი. ადამია, დასახ. ნაშრომი, გვ. 21.
[3] თ. ბერაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 164.
[4] თ. ბერაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 164.
[5] თ. ბერაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 165.
[6] პ. ზაქარაია, ქართულ ციხე-სიმაგრეთა ისტორია, თბ., 2002, გვ. 85.

შხეფის ციხის ისტორია და არქიტექტურა აღწერილი აქვს კ. მელითაურს[1]. ავტორი აქ ძველ სამშენებლო ფენასაც ამჩნევს დაახლოებით 2,5 მ-ის სიმაღლეზე, მაგრამ ძირითადს VI-VII საუკუნისად მიიჩნევს, ზოგიერთს IX-X და XVI-XVIII საუკუნისად[2].

პ. ზაქარაიას აღნიშვნით, იგი გადაჰყურებს კოლხეთის დაბლობს და იმ სიმაგრეთა ჯაჭვში შედის, რომელიც ნაწილობრივ კოლხეთის დაბლობის შემომსაზღვრელ მთის ძირს ზღვამდე გადაჰყურებს. ამგები უცნობია, ისე კი ეტყობა, რომ პირველი ნაგებობა აქ ადრეფეოდალურ ხანაშია წარმოქმნილი. შემდეგში ანსამბლს დიდი ცვლილებები განუცდია და ამიტომაც იგი მრავალფეროვანია. შუა საუკუნეების უკანასკნელ პერიოდში კი აქ დადიანთა ერთ-ერთი ციხე-დარბაზი უნდა ყოფილიყო [3] . იგი წარმოშობილა ალბათ IV საუკუნეში. ჩრდილო გალავანში ჩართული კოშკი IV-V საუკუნეებშია აგებული. ციხის შიგნით ჩრდილო-აღმოსავლეთის მონაკვეთის ცენტრში პატარა ეკლესიის ნაშთია, რომელიც გარნიზონისათვის იქნებოდა განკუთვნილი[4].

მიზანშეწონილად მიგვაჩნია პ.ზაქარაია და თ.კაპანაძის მიერ ამ ციხის არქიტექტურული აღწერილობის მნიშვნელოვანი დეტალები, ქვემოთ შემოგთავაზოთ[5].

---

[1] К. М. Мелитаури, Крепости феодальной Грузии, II, Тб., 1972, გვ. 35-41.

[2]К. М. Мелитаури, დასახ. ნაშრომი, გვ. 40.

[3] პ. ზაქარაია, საქართველოს საერო ხუროთმოძღვრების ძეგლები, თბ., 1960, გვ. 27-28.

[4] პ. ზაქარაია, დასახ. ნაშრომი, გვ. 55.

[5] „„...ოთხი სამშენებლო ფენა აშკარად ჩანს, მაგრამ არც ერთი ფენა მთლიანად არ იკითხება. მიუხედავად იმისა, რომ ციხე IV საუკუნიდან XIX საუკუნის დასაწყისამდე მოქმედი იყო, მასზე ისტორიული ცნობები მეტად მცირეა. შხეფის ციხე მთის წვერზე დგას. სამხრეთით ციცაბოა და ასვლა მეტად ძნელი იქნებოდა. აღმოსავლეთით, მთასა და ფლატეს შორის ვიწრო გასასვლელი იყო. მტერს აქედან რომ არ მოევლო, ამიტომ იგი გადაუკეტით ათიოდე მეტრის სიგრძის კედლით. რადგან ციხეზე ასასვლელი ერთადერთი საურმე გზა ასე მიემართებოდა, ამიტომ ამ კედელში დატანებული იყო ჭიშკარი. კედლისა და ჭიშკრის ფრაგმენტები დღემდეა მოღწეული. ჭიშკრის გავლის შემდეგ გზა ჩრდილოეთიდან უვლიდა და დასავლეთიდან ადგებოდა თხრილს. ეს თხრილი, როგორც ეგრისის სამეფოს სხვა ციხეებში, ისე აქაც გარს უვლიდა ციხეს. უფრო კონკრეტულად თუ ვიტყვით, სამი მხრიდან უვლიდა, ხოლო მეოთხე, სამხრეთის მხარეზე მიუდგომელი, ციცაბო იყო. თხრილი ციცაბოსთან ერთად პირველ გადასალახავ „სიმაგრეს“ წარმოადგენდა. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ მომხდური თხრილში ჩავიდოდა გადასვლის მიზნით, მას ზემოდან დამცველები აშკარად დაჯაბნიდნენ.

ციხის გეგმა გრძელია, აღმოსავლეთ-დასავლეთის ღერძზეა გაჭიმული. სხვადასხვა დონეზე სამი ეზოა განლაგებული, ეს ეზოები სხვადასხვა დროსაა გაკეთებული. გათხრებმა გამოავლინა მეოთხე ფენაც. სინამდვილეში ქრონოლოგიურად ეს „მეოთხე ფენა“ არის პირველი ციხის ნაშთი. რამდენადაც გათხრებით გამოვლინდა, თავდაპირველად აქ მდგარა ერთი ოთხკუთხა კოშკი მცირე გალავნით. შხეფის პირველი ციხის გალავნის ნაშთი შემდეგი დროის დიდ კოშკს ირგვლივ უვლის და ჩრდილო გალავანს ებჯინება. ამ ფენას კედლები ფლეთილი ქვითაა ნაგები, მაგრამ წყობის ხასიათით აშკარად განსხვავდება მეორე ფენისაგან. პირველი ფენა თუ სამეფოს არსებობის დასაწყისისაა, არც მეორე ფენაა მისგან შორს. ისიც არ სცილდება IV საუკუნეს. პირველი ფენის კედლები ძირამდე ყოფილა დანგრეული, მეორე ფენის კოშკი პირველი ფენის კოშკის ნანგრევებზე აღუმართავთ. პირველის მსგავსად, აქაც კოშკი გეგმით კვადრატს მიახლოებული ოთხკუთხედია. ეს ძლიერი, მასშტაბური კოშკი ჩართულია გალავანში, რომელიც ძირითადად მთის რელიეფს მიყვება, მაგრამ სამხრეთ-აღმოსავლეთის გალავნისათვის საჭირო სუბსტრაქცია ძალიან დაბლა იწყება. თვით გალავნის ხაზი აღმოსავლეთით სწორხაზოვანია. ასევე მცირე შეღუნვით, სამხრეთის ხაზიც სწორედ მიემართება. ხოლო ჩრდილოეთის გალავანი თავიდანვე ცერად, კოშკის შემდეგ კი მკვეთრად უხვევს და სამხრეთისას ებჯინება. ასე რომ, ციხეს ფაქტიურად სამი კედელი აკრავს. ამიტომ გეგმაც

სამკუთხედს უახლოვდება. გალავანს დროთა ვითარებაში ნგრევა და აღდგენა რამდენჯერმე განუცდია. ჩრდილოეთის კედლის ქვედა ნაწილი პირვანდელია, ხოლო ზედა გვიან საუკუნეებშია დაშენებული. სამხრეთით კედლის ქვედა ნაწილი ეზოს დონეზე ძველია. ხოლო ზედა აქაც გვიანია. ორივე გალავნის ზედა ნაწილები სათოფეებითაა განწყობილი. თვით სათოფეების ფორმები და რაოდენობა მისი გავრცელების ადრეულ პერიოდზე, ე.ი. XVI ან XVII საუკუნეებზე მიუთითებს. აღმოსავლეთით გამავალი კედელიც ძველი ჩანს.

ეზოს გალავანში მოქცეულია ორი კოშკი. ერთი მათგანი დიდია, მასიურია და ძველია, ხოლო სამხრეთ-აღმოსავლეთის კუთხეში მდგარი – გვიანია. პირამიდული მოყვანილობის ძველი კოშკი ოთხსართულიანია. კოშკის ერთადერთი კარი სამხრეთითაა, ოთხი მეტრის სიმაღლეზე. ამ კარით პირველ სართულზე ვხვდებით. წინა ნაწილის გარდა, ეს სართული ამოვსებული იყო ხანძრის შედეგად ზემოდან ჩამოცვენილი დამწვარი კოჭებითა და მიწით. სართულის განათება მარტო კარიდან ხდებოდა. დანარჩენ სამ კედელში სხვადასხვა ზომის სწორკუთხა ნიშებია. მათ სამეურნეო დანიშნულება უნდა ჰქონოდათ. მეორე სართულის კედლებში ნიშები უფრო პატარებია, სარკმლები კი სამ კედელში თითოა. მესამე სართული მეორეს მსგავსადაა გადაწყვეტილი. მხოლოდ სარკმლები წინაზე წვრილია. ამ სამი სართულის კედელი შიგნიდან ერთ ვერტიკალზეა განლაგებული. ხოლო მეოთხე სართულის კედლები ოციოდე სანტიმეტრით შიგაა შეწეული. ქვედა ორ სართულზე სარკმლები შუაშია განლაგებული, რომ გასახედად მოხერხებული იყოს. მეოთხე სართულზე კი სარკმლები იატაკის დონეზეა. ყველა სარკმელი გარედან ოთხკუთხა მოხაზულობისაა. მესამე და მეოთხე სართულები შიგნითაც ასეთივე ფორმისაა, მორე კი თაღოვანია. ასევე თაღოვანი გადახურვა აქვს კარს შიგნიდან. მეოთხე სართული გადაკეთებული უნდა იყოს, მაგრამ დღეს ამის შესწავლა შეუძლებელია. ისიც არ ირკვევა, თუ როგორ ხდებოდა დაცვა. თუ პირველი სართულის კედლები სისქით, 2,5 მეტრია, მეოთხე სართულისა – 1,5 მეტრამდეა. ამ კედლებში განლაგებული სარკმლები მხოლოდ განათებისთვის თუ გამოდგებოდა. ამ სარკმლებს დაზვერვის დანიშნულებაც უნდა ჰქონოდათ, მაგრამ ძნელი გამოსაყენებელი იქნებოდა, ხვრელთა გამო. თანაც, ამ სარკმლებს თუ დასაზვერად იყენებდნენ, მაშინ ასეთივე უნდა ყოფილიყო გარე ჩრდილოეთის კედელში, მაგრამ იქ არ არის (ქვედა სართულებში ხვრელის დატანება გარედან თუ საშიში იყო, ზემოთ მათი არსებობა შესაძლებელი იყო).

სამი კოშკიდან სამხრეთ-აღმოსავლეთის კუთხეში მდგარი ცილინდრული კოშკი ერთდროულია და მას აგებისას გაუკეთეს „სვანური“ სალოდეები, ხოლო ორ კუთხოვან კოშკს, იმავე დროს, რესტავრაციის შედეგად დაედგა სვანური სალოდეები. თავდაპირველად შხეფის კუთხოვან კოშკებს კუთხოვანივე ქონგურები და საბრძოლო ბანი უნდა ჰქონოდათ. იმავე სამხრეთ-აღმოსავლეთის კუთხეში დგას ცილინდრული კოშკი. იგი ორსართულიანია, საბრძოლო ბანით. კარი ამჟამად პირველ სართულზეა, მაგრამ იგი გვიან უნდა იყოს გაჭრილი. თავდაპირველი კარი მეორე სართულზეა, იმავე ვერტიკალზე. პირველ სართულზე, ჭერთან ახლოს, სამი სარკმელია გაჭრილი. სამხრეთ-აღმოსავლეთის კუთხეში სარკმლის გვერდებზე თითო ამბრაზურაა. ისინი სადაზვერვო უფროა, ვიდრე სათოფე. მეორე სართულის კედლებში, კარის გარდა, სარკმლები და სათოფეებია სხვადასხვა დონეზე. მესამე სართული საბრძოლო ბანს წარმოადგენს. წრიულ კედელში თორმეტი ამბრაზურა თანაბრადაა განლაგებული. ეს ამბრაზურები, სვანეთში გავრცელებული ფორმების მსგავსების გამო, სალოდეები უნდა იყოს, მაგრამ მათი გამოყენება სათოფეებადაც შეიძლებოდა.

ახლა რაც შეეხება კოშკის ბანის გადახურვას. საქართველოში ძირითადად ბანი კეთდებოდა. ასეთი გადაწყვეტა ორ მიზანს ემსახურებოდა. პირველი ეს იყო ბანის გამოყენება საჭირო შემთხვევაში კოცონის დასანთებად, ხოლო მეორე – კოშკის სიმაღლიდან მიდამოს დაზვერვა. ხოლო რაც შეეხება სალოდეებს, სათოფეებს და საზარბაზნეებს, მათი გამოყენება ერთნაირად შეიძლებოდა როგორც დახურული სათავსიდან, ისე ღია ტერასიდან. ამ შემთხვევაში, რადგან ამ კოშკს გადაშვერილი სალოდე-სათოფურები აქვს სვანეთის კოშკების მსგავსად, მას სახურავიც სვანური აქვს. ამიტომ კოშკი ერთ-ერთ თავის დანიშნულებას ვერ შეასრულებდა. საერთოდ, კოცონს ანთებდნენ ყველაზე მაღლა მდგარი კოშკის ბანზე. ამ ციხის დონჟონი იყო ცენტრში მდგარი მაღალი კოშკი. ამიტომ კოცონისათვის, სიგნალის გადასაცემად

ეს კოშკი იქნებოდა მოხერხებული, მაგრამ იმ პირმა, ვინც ეს ცილინდრული კოშკი ააგო და „სვანური“ დაბოლოება მისცა, მთავარ კოშკსაც „სვანური ქუდი“ დაახურა. აქედან იმ დასკვნის გამოტანა შეიძლება, რომ ციხის მეპატრონეს, როგორც ეტყობა, სიგნალის გადასაცემად კოშკის ბანი არ სჭირდებოდა. რადგან ცეცხლსასროლი იარაღი უკვე შემოსული იყო, ამიტომ იგი სიგნალს თოფითა და ზარბაზნით გადასცემდა. ცეცხლსასროლი იარაღის შემოღების შემდეგაც კოშკების გადახურვა ბანური რჩება.

შხეფის ცილინდრული კოშკის სიახლოვეს, სამხრეთ გალავანში კარის მსგავსი ჭრილია. ესაა შვერილი ტუალეტი, რომელსაც მონგრეული აქვს გარე კედელი. XVI ს-დან კოშკებში და ციხეების გალავნებში თითქმის ყველგან გვხვდება ასეთი გადაწყვეტილება.

ციხის ზედა ეზოსთვის შემოვლებული გალავანი აშკარად ატარებს გადაკეთების ნიშნებს. ყველგან ჩანს სათოფეები. გალავანში არსადაა მეორე იარუსი, რომელსაც მეომართა საბრძოლო ბილიკს უწოდებენ. უამისოდ კი არ იქნებოდა. როგორც ეტყობა, ზედა იარუსს ფიცრული ბილიკი წარმოადგენდა.

ციხის ზედა ეზოში სხვა ნაგებობებიც მდგარა. მათ შორის აღსანიშნავია ეკლესია, რომელიც დიდი კოშკის აღმოსავლეთით, ჩრდილო გალავანზეა მიდგმული. აქვე, ორ კოშკს შორის და ეკლესიის სამხრეთით, მდებარეობს წყაროს წყალი. საქმე იმაში გახლავთ, რომ თვით ციხე დგას საკმაოდ მაღალი მთის წვერზე. ეზო დიდი არ არის, მისი სიგრძე 33 მეტრია, ხოლო სიგანე – 18, ასეთ ფართობზე, როგორც ეტყობა, მუდმივად დგას წყალი. ამ აუზის წყალი ციხის გარნიზონისათვის, თუ მცხოვრებთათვის საკმარისი არ ყოფილა, ამიტომ დამატებითი წყალსადენი გაუყვანიათ. წყალსადენის სათავე ჩრდილოეთით 1-1,5 კილომეტრზეა. იგი საინტერესო ინჟინრული ნაგებობაა. ციხე და წყარო სხვადასხვა ფერდობებზეა. წყალსადენს დაღმართი უნდა გამოევლო და აღმართზე უნდა ამოსულიყო. მაშინდელი ტექნიკის პირობებში ამის შესრულება საკმაოდ რთული იყო. მილები შეერთების ადგილას, აღმართში წყალს გაუშვებდა. ამიტომ წყალსადენს მთლიანად კარის დუღაბში სვამდნენ. წყალსადენის აქა-იქ მოსინჯვისას გაირკვა, რომ კერამიკული მილები ზოგან მთლიანად დუღაბშია ჩასმული, ზოგან კი მხოლოდ მილების შეერთების ადგილებია შემოსილი. ციხის წყლით მომარაგებასთან უნდა იყოს დაკავშირებული ციხის გარეთ, ჩრდილოეთით ჭისებრი ორმო. ამჟამად მისი სიღრმე 6 მეტრს აღწერს. იგი კლდეში ჩაჭრილია და ამ სიღრმეზე წყალი ამჟამად არ ჩანს.

თუ დიუბუას ნახატს მოვიშველიებთ, აქ მდგარა საცხოვრებელი სახლი. პირველი სართულის იატაკში სხვადასხვა ზომის ქვევრია ჩაყრილი. ზედა სართულიდან მხოლოდ ბუხარია დარჩენილი (ბუხრის საყრდენი კედელი ქვემოთ „ყრუა“). დიუბუას ნახატზე სახლს ერთქანობიანი სახურავი აქვს (ბუხრის საკვამური მილი ნახატზე კარგად ჩანს). გალავნის კედელში სამი სარკმელია ჩართული. აქ ისევ უნდა გავიხსენოთ ვახუშტის განმარტება: „არს შხეფს ციხე დიდნაშენი და სასახლე დადიანისა“. ციხის შიგნით სხვა სახლი არ დგას და ადგილიც არ არის. ერთადერთი ვარიანტია, რომ ეს შენობა იყო „სასახლე დადიანისა“.

ზედა ეზოს დასავლეთის მონაკვეთი სამიოდე მეტრით დაბლა იწევს და დიდი, განიერი კარით გადის სამხრეთით, პატარა, ოთხკუთხა მესამე ეზოში. აქ აშკარად გადაკეთებასთან გვაქვს საქმე, მეორე ეზოს აღმოსავლეთის კედელი ზედა ციხის გალავანია. აქვე, სამხრეთ-აღმოსავლეთის კუთხე მოკავებული აქვს მასიურ ბურჯს, რომელიც წაგრძელებულია სამხრეთით. ხოლო რაც შეეხება ამ ქვედა ეზოს სამხრეთის კედელს, იგი ორი მეტრი სისქისაა და ბევრად აღემატება ციხის ყველა დანარჩენ გალავანს. ხოლო რაც შეეხება ამ მეორე ეზოს, მისი ჩრდილოეთისა და დასავლეთის კედლები 80 სანტიმეტრი სისქისაა და ზედა ხაზზე სათოფეებითაა აღჭურვილი. ეს ორი კედელი აშკარად გვიანია, ალბათ, XVII-XVIII საუკუნეებისა (ისინი აგებული ჩანს ძველი კედლების დანგრევის შემდეგ). ამ მეორე ეზოს დასავლეთის კედელში კარია, გვიან, ალბათ, ჩვენს დროში, გაჭრილი. მაგრამ ნამდვილი კარი ისაა, რომელიც სამხრეთის სქელ კედელშია. იგი კაპიტალურია, როგორც შეშვენის ამ ციხეს; სისქით და წყობის თავისებურებით გავს დიდ ეზოსა და პატარა ეზოს შორის გამავალ კედელს. ვფიქრობთ, ეს ორი გალავანი ერთდროულია, მაგრამ ახლა არ ირკვევა, სად და როგორ გრძელდებოდა აღნიშნული სამხრეთის გალავანი. შემდეგში, აქვე ხომ ახალი კოშკი აღიმართა.

2. მთავარანგელოზთა სახელობის მშენებარე ეკლესია და ნაეკლესიარი

ნოქალაქევისკენ მიმავალი გზის მარცხენა მხარეს შენდება მთავარანგელოზთა სახელობის ეკლესია. დგას დაახლოებით 15 წლის წინ აშენებული სამრეკლო. გადმოცემით, აქ ძველად მდგარა იმავე სახელწოდების ეკლესია. დღე ნაშთები არ არის შემორჩენილი.

3. წმ. ნინოს სახელობის ნაეკლესიარი

სხვა კარებისაგან განსხვავებით, ამ სამხრეთის კა[illegible] მხარეს ტამპანით. კარის წირთხლები და ტამპანთა[illegible] მცირე ფართის მქონე მესამე გალავანს სამხრეთ-დასა[illegible] ეზოს სამხრეთისა და დასავლეთის კედელი აქვს თავ[illegible] კედლებია. ეს ახალი კედლები, იქვე, სამხრეთ-დასავ[illegible] აგებული. ეს კოშკი და ორი თხელი კედელი ტე[illegible] განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, რომ ისინი სხვადას[illegible] მიერაა აგებული. ეს პატარა ეზო მიწით იყო დაფარული. გათხრებისას თითქმის ორი მეტრი სიმაღლის მიწა აქნა გადაყრილი. გარე წვრილ კედლებში მარტივი სათოფურებია განლაგებული. კედლების სისქე, წყობის ტექნიკა და მარტივი სათოფეები იმაზე მიგვითითებენ, რომ ეს კედლები XVI-XVII სს-ებშია აგებული. აქვე, კუთხეში აღმართული კოშკი მონუმენტურია და შთამბეჭდავი. მას ისეთი ადგილი არ უჭირავს, როგორც ზედა ცენტრალურ პირამიდულ კოშკს და მას ზომებითაც ჩამოუვარდა, მაგრამ მნახველზე მაინც დიდ გავლენას ახდენს. ციხიდან მხოლოდ ამ კოშკს აქვს წარწერა“.

შხეფის ციხის ეკლესია

ციხის ზედა, მთავარ ნაწილში აქაც მდგარა ეკლესია, რომელიც გარნიზონისათვის აუცილებელი იყო. იკითხება გეგმის სწორკუთხა მოხაზულობა (4,7X3,8 მ). ეკლესიის სწორკუთხა დარბაზს აღმოსავლეთით ამთავრებდა ნახევრადწრიული აფსიდა. კარი თუ ნაგებობის სხვა დეტალები არ შერჩენილა. ეკლესია ნაგები ყოფილა მცირედ დამუშავებული ქვით. ეკლესიის გეგმა გარე სწორკუთხედშია ჩაწერილი, ყოველგვარი შვერილების გარეშე. შიგნით კი – სწორკუთხა დარბაზი აღმოსავლეთით ნახევარწრიული აფსიდით მთავრდება, კედლები ნაგებია სხვადასხვა ზომის, მცირედ დამუშავებული ფლეთილი ქვით. ქვების თავისუფალი განლაგება ძეგლს აშკარად ადრეული პერიოდის იერს აძლევს. რაც შეეხება ამ ეკლესიის სამივე კარის გადახურვის ფორმებს – გარედან არქიტრავია, შიგნიდან ნახევრადწრიული ტიმპანი. ასეთი გადაწვეტა ამ რეგიონისათვის „მისარონის“ ეკლესიაში და სეფიეთშიც (სეფიეთში, განსხვავებით ამ ორი ძეგლისაგან დასავლეთის კარის ტიმპანი ნალისებურია).

ეგრისის სამეფოს ამ ეპოქის საკულტო ნაგებობათა ძირითადი თემა სამნავიანი ბაზილიკაა, მაგრამ მცირე ზომის დარბაზულ ეკლესიებსაც თავისი ადგილი ჰქონდათ. ეს არის ერთადერთი სახე არაგუმბათოვანი არქიტექტურისა, რომელიც შუა საუკუნეების საკულტო ნაგებობათა განვითარების მთელ გზას შემორჩა. საუკუნეების განმავლობაში დარბაზული ეკლესიის გეგმა არ განიცდის მნიშვნელოვან ცვლილებებს – იცვლება მხოლოდ შენობის პროპორციები, ზომები, დეტალები და ფასადის მორთულობა“ (პ. ზაქარაია, თ. კაპანაძე, ციხე-გოჯი – არქეოპოლისი – ნოქალაქევი. ხუროთმოძღვრება, თბ., 1990, გვ. 139-150)

შხეფის ციხიდან დაახლოებით, 300 მეტრში, მის ძირში აღმოსავლეთით არის ეკლესიის ნაშთები, ადგილობრივთა გადმოცემით, ეს ყოფილა სახოკიების ეკლესია. აქ ყოფილან ორი განშტოების – მამათურების და პაპასთურების სახოკიები, მათ აუშენებიათ ეს ეკლესია, მათი შთამომავალი ყოფილა თედო სახოკია.

4. სამრევლო სკოლა

სოფელ შხეფის სამრევლო სკოლაზე ცნობებს გაზეთი ცნობის ფურცელი გვაწვდის: „ამ სოფელში 1893 წლიდან ადგილობრივმა დიაკონმა ხოფერიამ გახსნა სამრევლო სკოლა, რომელიც იქმნა მთავრობისაგან დამტკიცებული და რომელიც აქაურის მცხოვრებლებს ისე სულზე მიესწროთ, როგორც ავადმბყოფს წამალი, მაგრამ არც ერთი ხელის შემწყობი და თანამგრძნობი ამ სკოლის მასწავლებელს არ აღმოჩნდა. ეს სკოლა ისევ მასწავლებელს ხოფერიას აქვს თავის ნაქირავებ სახლებში საკუთარის ხარჯით. სკოლას ყურადღება მიიქცია ადგილობრივმა საეპარქიო სამოსწავლო საბჭომ, მაგრამ ეს ყარადღება მეტად მცირეა, ამიტომ ჩვენი ფიქრით, საჭიროა მასწავლებელს ხოფერიას სოფელმაც აღმოუჩინოს დახმარება, მით უმეტეს, რომ ეს სოფელი არ არის ძალიან მდიდარი, მაგრამ არც ისე ღარიბია რომ არ შეძლოს სკოლის შენახვა“[1].

სოფელი ძველი სენაკი

1. საჩიქობაოს I ციხე-სიმაგრე

შხეფის ციხის ჩრდილოეთით, დაახლოებით 2-2,5 კილომეტრის დაშორებით მდ. ტეხურის მარჯვენა მხარეს მაღალ გორაკზე, ნოქალაქევისკენ მიმავალი სამანქანო გზის მარცხენა მხარეს მდებარეობს კოშკის ნაშთები. ამ ადგილიდან მდ. ტეხურის მარჯვენა სანაპირო დაახლოებით 500-700 მეტრით არის დაშორებული. აქ არა მარტო კოშკი, არამედ საკმაოდ მოზრდილი ციხე უნდა მდგარიყო, ირგვლივ ჩანს გალავანი. იქვე ოც მეტრში შეინიშნება სხვა შენობათა საძირკვლის ნაშთები.

ეს ნაგებობები არქიტექტურულად 1992 წელს ამ სახით არის აღწერილი:

[1] გაზ. ცნობის ფურცელი, №664, 1898, შხეფელი.

„სენაკის რ-ნი, ძველი სენაკი (საჩიქობაო); ციხე-დარბაზი; ტიპი – საფორტიფიკაციო; ციხე-დარბაზი ძლიერ დანგრეულია; ნაგებობა ვითარდება სამხრეთ-ჩრდილოეთის ღერძზე. შედარებით კარგად იკითხება ორი ცენტრალური, მართკუთხაგეგმარების სათავსი. კედლები შემორჩენილია 3-4 მეტრის სიმაღლეზე. ჩრდილოეთის მინაშენი მიწის დონემდეა დაყვანილი. ნაგებობის დასავლეთით 5 მ-ის დაშორებით იკითხება გაურკვეველი სათავსის კუთხე 3,5 მ-ის სიმაღლეზე; ძეგლი ნაშენია ფლეთილი ქვით-კირის დუღაბზე. ქვის წყობა თარაზულს უახლოვდება. ნაგებობა დაფარულია ეკალ-ბარდებით, ამოსულია ხეები.

1992 წ. მარტი, არქიტექტორი ლ. გიორგაძე“

სენაკის რ-ნი, სოფ. ძველი სენაკი (საჩიქობაო); კოშკი; ტიპი – საფორტიფიკაციო; ციხის აღმოსავლეთით კუთხეში მდგომი კოშკი შემორჩენილია ორი სართულის დონეზე; I სართული ამოვსებულია მიწით და ჩამოცვენილი ქვებით; II სართული გეგმით მართკუთხედს წარმაოდეგნს; სართულშუა გადახურვა კამაროვანი ყოფილა, რომელიც ნაწილობრივაა შემორჩენილი. აღმოსავლეთ კედელში გაჭრილია სარკმელი და ორი სათოფური. ასევე თითო სარკმელი და ორი სათოფურია გაჭრილი ჩრდილოეთისა და სამხრეთის კედლებში. შესასვლელი დასავლეთის კედელშია მოწყობილი, რომელიც მნიშვნელოვნადაა დაზიანებული. კედლებში გაჩენილია ბზარები; კოშკი ნაგებია ფლეთილი და რიყის ქვით-კირის დუღაბზე.

1992 წ. მარტი, არქიტექტორი ლ. გიორგაძე

2. საჩიქობაოს II ციხე-სიმაგრე

ამ ციხის ჩრდილოეთით, დაახლოების 1,5 კილომეტრში, იმავე უბანში (საჩიქობაო) მდებარეობს კიდევ მეორე ციხის ნაშთები. ის მთლიანად სუროთია დაფარული. ის უფრო დაბალ გორაკზეა, ვიდრე ზემოთ დასახელებული ციხის ნაშთები. ადაჰყურებს მდ. ტეხურის ხეობას აღმოსავლეთით და აკონტროლებს დაბლობს, სამხრეთით აკონტროლებს სენაკის და აბაშის რაიონს და მის სოფლებს. ეს სამივე ციხე-სიმაგრეს (შხეფი და ორი საჩიქობაოსი) არის კოტიანეთი-სორტის გზაზე შემდეგ კი მოდის ძველი სენაკი და ნოქალაქევი. ეს ორი ციხე არა ნაკლებ მოხერხებულ ადგილას დგას ვიდრე შხეფის ციხე, რომელიც მისგან დაახლოებით 4-5 კმ-ით არის დაშორებული.

„საჩიქობაოს ციხე“; ტიპი – საფორტიფიკაციო-თავდაცვითი; სოფლის დასავლეთით გორაზე შემორჩენილია ციხე-კოშკის ნანგრევები. ციხე გეგმით წაგრძელებულ მართკუთხედს უახლოვდება, რომელიც ვითარდება აღმოსავლეთ-დასავლეთის ღერძზე.

ციხის სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში სათავსოა, რომელიც დაფარულია ეკალ-ბარდებით და ხეებით. სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში შემორჩენილია კოშკის ნანგრევი. ტერიტორია მთლიანად დაფარულია ეკალ-ბარდებითა და ხეებით რის გამოც მისი სრულია სახით წარმოდგენა ჭირს.

1992 წ. მარტი, არქიტექტორი ლ. გიორგაძე

3. მაცხოვრის შობის სახელობის ეკლესია

შოფელი ძველი სენაკის სკოლის შენობის წინ ნოქალაქევისკენ მიმავალი ცენტრალური გზის მარჯვენა მხარეს მდ. ტეხურის მარჯვენა სანაპიროზე და მდ. ნახურის მარცხენა მხარეს დგას მაცხოვრის შობის სახელობის აგურის დიდი ეკლესია. ის სავარაუდოდ XVII საუკუნეებშია აშენებული. იქ მღვდელი ყოფილა გიორგი ქავთარაძე.

სამწუხაროდ უნდა აღვნიშნოთ ის ფაქტი, რომ იქაურმა მღვდელმა პავლე ესებუამ ამ ეკლესიის შიდა სივრცის გადაღების უფლება არ მოგვცა იმ მიზეზით, რომ თითქოს ამისთვის კურთხევა იყო საჭირო. ჩემთვის კი მას კურთხევაც არ შემოუთავაზებია.

ამ ეკლესიის ძველი სამღვდელო ოჯახის რძლის (მღვდელთა შთამომავლის ბოლო წარმომადგენლის ჟორა ჯაფარიძის მეუღლე) ეთერ ამბაკოს ასული კერესელიძეს (დაბ. 1932 წ.) გადმოცემით, როდესაც ჭავჭავაძეები ხშირად დადიოდნენ სალხინოში, სალხინოდან ზუგდიდამდე დიდი მანძილია და ისინი, რომ დაიღლებოდნენ ისვენებდნენ კოტიანეთში მცხოვრებ კაცია ადამიას ოჯახში. თანდათან შეეჩვივნენ აქაურობას და მოსწონებიათ ეს ადგილი. მათ მთიულეთიდან ჩამოუყვანიათ სასულიერო განათლების მქონე მღვდელი დავით ჯაფარიძე, რომლისთვისაც ტაძრის აშენების ორგანიზაცია მიუნდვიათ. ეკლესიის საძირკველი ამ დავით ჯაფარიძეს გაუთხრია, ეს დაახლოებით ორი საუკუნის უკან მომხდარა. აუშენებიათ ბაზილკა, მღვდლად კურთხევამდე დავით ქავთარაძისათვის შეურთავთ დოდო ჩიქოვანი-გეგეჭკორის ქალი. მათ ჰყავდათ ორი შვილი ბესარიონ და სოლომონი. სოლომონი მამას წაუყვანია ეკლესიაში და მღვდელობა „უსწავლებია“. ბესარიონი კი ყოფილა ბოქაული (მოხსენიებული აქვს ბოროზდინს) სიმონისათვის შეურთავთ ელიავას ქალი სოფელ ეკიდან, მათ ოთხი გოგო და ოთხი ბიჭი ყავდათ. ერთ-ერთი მათი შვილი დიმიტრი-ქუჩუ გიმნაზიაში გალაქტიონთან ერთად სწავლობდა, რომელსაც რაღაც შემთხვევის გამო (მეგობრების ჩაშვება არ განიზრახა) და თავი მოიკლა. ერთი მათი ძმა კონსტანტინე, საელჩოში მუშაობდა თურქეთში, ისიც იქ მოუკლავთ, მესამე ძმა – დავითი შვეიცარიაში იყო ემიგრაციაში. აქ ბოლო მღვდელი ყოფილა ძაძუ ქავთარაძე. აქ ასევე იყო სამოთახიანი ხის სახლი მონაზვნებისათვის. გუმბათი ამ ეკლესიისათვის 1905 წელს დაუშენებიათ ქალბატონების თაოსნობით. კერძოდ, მარიამ ჯაფარიძის, კოწიას მეუღლის

მეძმარიაშვილის (ქუთაისიდან იყო) და ნინა კუხალეიშვილის (ცაგერიდან იყო) თაოსნობით. აქ გენერალ ავარსკის შემოსვლის დროს ყოფილა ორი სახლი – ბესარიონის და სვიმონ ქავთარაძის (ძმები იყვნენ), რომელიც მას გადაუწვეს.

ამ ეკლესიის მღვდელთა გენეალოგი ასეთია: დავითი სიმონი ძაბუ (გასაბჭოებამდე).

ე. ი. ეს ეკლესია დაახლოებით 120-150 წლის უკან არის აშენებული, შესაძლოა უფრო ძველი ტაძრის ადგილას.

აღსანიშნავია, რომ ქვაშიხორში ორსართულიანი სახლი ჰქონდა და სოფელი შხეფს და მის მიდამოებს ფლობდა ნიკოლოზ II გიორგის ძე ბატონიშვილის (შხეფელი) შვილიშვილი ნიკოლოზ ოტია დადიანის ძე ბატონიშვილისა, ბიძაშვილის შვილი დიდი ნიკო დადიანისა[1].

სენაკსა და სოფ. ახალხორში ცხოვრობდს ელიოზ გიორგის ძე ბატონიშვილი, ნიკოლოზ შხეფელის უმცროსი ძმა. მას დაბა სენაკის მახლობლად ორსართულიანი სახლი ჰქონდა და 500 კომლ ყმას გლეხსა და აზნაურს ფლობდა[2].

ამ ეკლესიის არქიტექტურული აღწერილობა ასეთია: „სენაკის რ-ნი, სოფ. ძველი სენაკი (სასაფლაოზე); გუმბათიანი ეკლესია; ტიპი – საკულტო; სოფლის სასაფლაოზე დგას დიდი ზომის გუმბათიანი ეკლესია, რომელიც ნაგებია აგურით – ცემენტის ხსნარზე; გუმბათქვეშა სივრცე გადახურულია სფერული კონქით, რომელით ეფუძნება ორ წყვილ სვეტს და მათ საბჯენ თაღებს. თაღები ნახევრადწრიული ფორმისაა და ერთ საფეხურიან პილასტრებით გადადის, როგორც განივი ასევე გრძივი მიმართულებით. სვეტები ინტერიერს ანაწევრებს სამ ნავად. ცენტრალური ნავი აღმოსავლეთიდან სრულდება ნახევრადწრიული ფორმის აბსიდით, სადაც წყვილი თაღოვანი სარკმელია გაჭრილი. სარკმელების ძირას დგას მასიური ტპარეზის ქვა. აბსიდის გვერდებზე, ცილინდრული კამარით გადახურული სამკვეთლო და სადიაკვნეს მცირე სათავსოებია დატანებული, აღმოსავლეთის თაღოვანი სარკმელებით. სამკვეთლოს სამხრეთის კედელში მოწყობილია გეგმით ჯვრის ფორმის მცირე სამალავი. სამკურთხეველის წინ ერთსაფეხურიანი სოლეაა; ეკლესიაში შესასვლელი სამი მხრიდანაა მოწყობილი (აღმოსავლეთის გარდა) რომელთა ზემოდან წყვილ-წყვილი თაღოვანი და წრიული სარკმელებია გაჭრილი; გუმბათის ყელი გარედან წახნაგოვანი ფორმისაა, რომელიც სრულდება ასევე წახნაგოვანი სახურავით. სახურავი თუნუქისაა, გუმბათის ყელში გაჭრილია 8 თაღოვანი სარკმელი; ნაგებობის ფასადები მორთულია აგურის წყობით გამოყვანილი მრგვალი სარკმელებით და ასევე აგურის წყობაში ჩაძირული, ნახევარწრიული ფორმის თაღებით; კარ-სარკმელთა მოჩარჩოება დამახასიათებელია XIX საუკუნის არქიტექტურისათვის. შესასვლელები საკმაოდ ფართოა და მაღალი. ასევე დიდი ზომისაა სარკმელებიც; ეკლესია დგას ორსაფეხურიან ცოკოლზე.

1991 წელი, არქიტექტორი ლ. გიორგაძე“.

---

[1] ო. სოსელია, ნარკვევები ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიიდან (სათავადოები), III, თბ., 1990, გვ. 108.

[2] ო. სოსელია, დასახ. ნაშრომი, გვ. 109.

4. საქანთარიოს ციხის ნანგრევები

მდ. ნახურის მარჯვენა მხარეს, ზემოთ ჩამოთვლილი შხეფის და სხვა ციხეების ხაზზე, სოსო ხარებავას ეზოში შემორჩენილია მომცრო ციხის აღმოსავლეთის და დასავლეთის კედლის კედლის ფრაგმენტები. ადგილობრივები მას „ნაჯიხურს“ უწოდებენ.

5. წმ. გიორგის სახელობის ეკლესია

საგიგიბერიო-სადავითაოს სასაფლაოზე, მაღალ გორაკზე, მდ. ნახურის მარჯვენა მხარეს დგას წმ. გიორგის სახელობის ეკლესიის კარგად შენარჩუნებული კედლები, ჭერი ჩამონგრეულია.

ძველი სენაკის შესახებ ჩვენ გარკვულ ცნობებს ქართული პერიოდული პრესაშიც ვგებულობთ[1].

სოფელი სორტა

მარიამ ღვთისმშობლის სახელობის ეკლესია და სოფიის ტაძარი

სოფელი სორტა მდებარეობს ზემოთ განხილული ტაძრებიდან და ციხეებიდან ჩრდილოეთით, იმავე ნოქალალექისკენ მიმავალ გზაზე. აქ სოფლის სასაფლაოსთან ადგილობრივთა გადმოცემით, იდგა ექვსკუთხედის ფორმის (ალბათ ექვსაფსაიდიანი) გუმბათიანი ხის ეკლესია, რომელიც დაახლოებით 100-120 წლის წინ აუშენებია მიხეილ ლორთქიფანიძეს, აქ მღვდლები ყოფილან ჯინორიები. ადგილობრივები მას სოფიას ტაძარს ეძახიან. სოფლის სკოლის შენობასთან აშენებულია ახალი ეკლესია (მდ.

[1] „დ. ძველი სენაკი (სამეგრელო) აქაური ავ-კარგი. დაბა ძველი სენაკი მდებარეობს მდინარე
სტის მანძილზე ახალ სენაკიდან ჩრდილოეთით,
ებული, რომელზედაც ეხლაც ამაყად გადმოჰყურებს,
ხისა; სასიამოვნო სანახავია, როდესაც ტაძრის
მოწიწებით სდგანან რიგზე და ამავე დღეს ამათი
მშვენივრად ჰგალობენ. ეს ყველა მ. დეკანოზის
ბით. როგორც ბ. ჭიჭინაძისაგან გავიგეთ, მ. დეკანოზ
რობასთან“ (გაზ. ცნობის ფურცელი, №944, 1899,

ტეხურის მარჯვენა სანაპირო), მარიამ ღვთისმშობლის მიძინების სახელზე. ადგილობრივთა თქმით, მისი მშენებლობის ინიციატორი არის მსახიობი მურმან ჯინორია.

2. ქვემო სორტის იოანე ნათლისმცემლის სახელობის ნაეკლესიარი და სამრეკლო

ქვემო სორტაში, სოფლის სასაფლაოსთან შემორჩენილია იოანე ნათლისმცემლის სახელობის ეკლესიის საძირკველი, ზემოთ ის ხის ყოფილა. ასევე შესასვლელ კართან არის ქვის სამრეკლოს ნაშთები. ადგილობრივთა დამოცემით, ეს სამრეკლო ძალზედ ძველია; აქვე ყოფილა სამრევლო სკოლა და სამონაზვნო, რომელიც რიყის ქვისაგან იყო აგებული. დღეს მისი ფრაგმენტები არ არის შემორჩენილი. აქ მღვდელი იყო გიორგი მათეს ძე ჯინორია. ასევე მათეს ძმა ექვთიმე. მღვდელი აქ ასევე იყო დავით ჯინორია, რომელიც სემინარია დამთავრებული ყოფილა. ბლაღოჩინი იყო გეჯეთელი კირილე ჯავახია, ასევე ის აქ იყო ბოლო მღვდელი; აქვსენტი ექვთიმეს ძე ჯინორია კი დიაკვანი, მასაც სემინარია ჰქონია დამთავრებული. აქ სკოლაში წერა-კითხვას ასწავლიდა თევდორე ბერი ჯინორიძე. ცხოვრობდა მონაზონი მატრონა ჯინორიძე. ეს ეკლესია აუშენებია გიორგის და მის შვილს – ექვთიმე ჯინორიას, დაახლოებით 190 წლის უკან. ეკლესია ყოფილა მუხის ხის. იატაკისათვის ცემენტი გამოუღია აქაურ მაშინდელ მეწარმეს ისიდორე შურღაიას. სამრეკლო გაუკეთებია ლუკა ჯინორიძეს. სასაფლაო და ეკლესია დაახლოებით 1 მ-ის სიმაღლის რიყის ქვის გალავნით იყო შემოზღუდული. ჯინორიძეები ძველად აქ ჩამოსულან ხობის რაინის სოფელი ხიბულადან. ეკლესიის აშენებამდე აქ ყოფილა სასენაკო.

ამ ეკლესიის და ნაეკლესიარის გარშემოწერილობა საძირკვლის მიხედვით დაახლოებით 44 მეტრია. საკურთხეველი ჰქონდა ჩრდილოეთის მხარეს, შესასვლელი კარი აღმოსავლეთით, სამხრეთით და დასავლეთითაც იყო გაჭრილი.

3. ზემო სორტა – დადიანის „ნატახტუ“

ზემო სორტაში, „ნაბჟალიად“ წოდებულ მაღალ მთაზე (იქ ბჟალიები ცხოვრობენ) არის ადგილი „დადიანის ნატახტუ“ დღეს იქ ნაგებობის გეგმა თითქმის არ იკითხება.

სოფელი კოტიანეთი

1. წმ. გიორგის სახელობის ეკლესია

სოფელი კოტიანეთი მდებარეობს ნოქალაქეთისკენ მიმავალ იმავე გზაზე,

ჩრდილოეთისკენ-შხეფიდან, ძველი სენკიდან და სორტიდან. აქ სოფლის სასაფლაოსთან მაღალ ბორცვზე მდ. ტეხურის მარჯვენა მხარეს დაახლოებით 3-4 კმ-ის მოშორებით, შემორჩენილია წმ. გიორგის ეკლესიის ნაშთები. კედლები კარგად არის შენარჩუნებული. ჭერი ჩამონგრეულია. ე. წ. შიფერით გადაუხურავთ. ის ნაშენია ადგილობრივი უხეშად ნათალი და ფლეთილი ქირქვით კირის დუღაბზე. საკურთხეველი აქვს აღმოსავლეთით. კარები გაჭრილია დასავლეთით, სამხრეთით და ჩრდილოეთით. ეს ადგილი გარკვეული თავდაცვითი ფუნქციის მატარებელიც უნდა იყოს, რამდენადაც ძალზედ მოსახერხებელ ადგილას მდებარეობს და გადაჰურებს აღმოსავლეთით და სამხრეთ-აღმოსავლეთით მდ. ტეხურის ხეობას.

2. ციხე-სიმაგრე და ციხის ეკლესია

სოფელ კოტიანეთში, ნოქალაქევისკენ მიმავალ გზატკეცილზე მაღალი მთების ერთ-ერთ წვერზე დგას ციხის ნანგრევები. ციხე ეგრისის სამეფოს დროინდელი უნდა იყოს და ნოქალაქევის დაცვითი სისტემის ერთ-ერთ რგოლს წარმოადგენდა.

პ. ზაქარაიას და თ. კაპანაძის მასალებით, ციხე მცირე ზომისაა. იგი შედგება გალავნის, ერთი კოშკისა და ეკლესიისაგან. დაცვის ერთი ზოლი ციხეს გარედანაც აკრავს – ესაა ღრმა თხრილი მიწაყრილით. სიმაგრეთა ასეთი სისტემა მიღებული იყო ეგრისის სამეფოს არსებობის პერიოდში; კოტიანეთის ეკლესია სულ მცირე ზომისაა (შიდა ზომები 4,6X3,77); ეკლესიის სიმცირე ნაკარნახევია ციხის ზომებით; ასეთი მცირე ზომის (28,4X17,52) ციხის შიგნით მხოლოდ მინიატურული ზომის ეკლესიის ჩადგმა შეიძლებოდა. ქვეყნის დაცვის სისტემაში კოტიანეთის ციხეს, ალბათ, უფრო საყარაულოს ფუნქცია ეკისრებოდა. აქ მზვერავები უნდა დგარიყვნენ მცირე გარნიზონით; ეკლესია ამჟამად სანახევროდ მიწაში ზის. გეგმით იგი გარედან სწორკუთხაა, შიგნით კი დარბაზია, საკურთხევლის აფსიდით. დარბაზის კამაროვანი გადახურვა და კონქი ჩანგრეულია. ეკლესიის კედლები სადაა, სანახევროდ დამუშავებული ქვითაა ნაგები. შედარებით უკეთაა ამოყვანილი აფსიდის კუთხეები. საკურთხეველი ერთი საფეხურით მაღლაა დარბაზის იატაკთან შედარებით. აფსიდის კედლებში ორი სწორკუთხა ნიშაა დატანებული; ეკლესიას კარი დასავლეთის კედლის ცენტრში აქვს გაჭრილი. კედლები დაახლოებით მეტრანახევრის სიმაღლეზეა დარჩენილი და სარკმლები, ალბათ. ამ დონეზე მაღლა ექნებოდა. კედლებს შელესვისა და მოხატვის კვალით არ შერჩენია“[1].

[1] პ. ზაქარაია, თ. კაპანაძე, ციხე-გოჯი – არქეოპოლისი – ნოქალაქევი. ხუროთმოძღვრება, თბ., 1992.

სოფელი ნოქალაქევი

1. გოხომელას უბნის წმ. ელენეს და კონსტანტინეს სახელობის ეკლესია

სოფლის სასაფლაოსთან, შემაღლებულ ბორცვზე, მდ. ტეხურის მარჯვენა მხარეს გზისპირას, გოხომელის უბანში დგას წმ. ელენეს და კონსტანტინეს სახელობის ეკ-ლესია. ჭერი ჩამონგრეულია. დგილობრივთა გადმოცემით, ეს ეკლესია აუშენებიათ დაახლოებით 120 წლის წინ. შესასვლელი კარი გაჭრილია დასავლეთიდან (ოდნავ სამ-ხრეთისკენაა გადახრილი), ასევე სამხრეთ-აღმოსავლეთით და ჩრდილო-დასავლეთითაც. ტაძარი საკმაოდ დიდია, მისი აღდგენა ადვილად არის შესაძლებელი, კედლები საკმაოდ კარგადაა შენარჩუნებული. ნაშენია თეთრი ნათალი ქვით.

„სენაკის რ-ნი, სოფ. ნოქალაქევი („გახომელას“ უბანი); ეკლესია „ჩე-ოხვამე“ (თეთრი სალოცავი); ტიპი – საკულტო; სოფლის სასაფლაოზე დგას დარბაზული ტიპის ეკლესია, რომელიც ნაშენებია ადგილობრივი ჯიშის ქვით-კირის დუღაბზე. ქვის წყობა თარაზულია. არბაზი გეგმით მართკუთხაა, აღმოსავლეთიდან შვერილი აბსიდით საკურ-თხეველში სამი თაღოვანი სარკმელია ჩაჭრილი. კონქი და კამარა მთლიანად ჩამო-ქცეულია; ორი წყვილი პილასტრი დარბაზს ანაწევრებს სამ თანაბარ მონაკვეთად. დარბაზი ნათდებოდა დასავლეთის ერთი და ჩრდილოეთისა და სამხრეთის ორ-ორი სარკმელით. ეკლესიაში მოწყობილია სამი შესასვლელი. იატაკი მიწისაა. ძეგლი საჭიროებს გამაგრებას.

1992 წ. მარტი, არქიტექტორი ლ. იორგაძე“

2. არქეოპოლისი – ნოქალაქევი.

არქეოპოლისზე ანუ ნოქალაქევზე საკმაოდ ვრცელი სამეცნიერო ლიტერატურა არსებობს და ეს კოლხეთის, ხოლო შემდგომ ეგრისის სამეფოს უძველესი დედაქალაქი საკმაოდ კარგად არის არქეოლოგიურადაც შესწავლილი.

იუსტინიანეს ნოველებში (VI საუკუნე) არქეოპოლისი (როდოპოლისთან ერთად) კოლხეთის უდიდეს და ძველ სიმაგრედ არის მოხსენიებული[1].

პროკოფი კესარიელი საკმაოდ დეტალურად აღწერს „არქეოპოლისს“ (როგორც მას უწოდებს) უმთავრესად იმპერატორ იუსტინიანე I-ის (527-565 წწ.) დროინდელ სპარსულ-ბიზანტიურ ომებთან დაკავშირებით, რომლის ერთ-ერთი ძირითადი არეალი იყო ლაზიკის ანუ ეგრისის სამეფო და თავისთავად ყველაზე ძნელად ასაღები სასანელთათვის;

პროკოფი კესარიელის თქმით, „ლაზთა სოფლები ხომ აქ ყველა მდებარეობს მდინარის აქეთა ნაპირას და ქალაქებიც მათ ძველთაგანვე აქ აუშენებიათ, მათ შორის არის არქეოპოლისი, ძალიან გამაგრებული“ [2] „...ხოლო მერმეროე, რომელსაც ეშინოდა პეტრასა და იქ დარჩენილ სპარსელებს დროთა ვითარებაში ცუდი არაფერი შეემთხვასო, მთელი თავისი ჯარით იქით გაემართა, როგორც კი დრომ, ზამთრის გასვლის შემდე, ამაში ხელი შეუწყო, მაგრამ გზაში მან გაიგო ყველაფერი, რაც მოხდა, და სრულიად შეცვალა ეს გზა. რადგან კარგად იცოდა, რომ მდინარე ფაზისის იქითა მხარეს ლაზებს პეტრას გარდა სხვა არც ერთი დასახლებული ადგილი არ მოეპოვებოდათ, ის გაბრუნდა და დაიჭირა იბერიიდან კოლხედის ქვეყანაში გადასასვლელი ადგილები, სადაც ფაზისის გადასვლა შეიძლება ფონში, გადალახა ეს მდინარე ფეხით, გადალახა აგრეთვე მეორე მდინარეც, სახელად რეონი – არც ეს არის იქ სანაოსნო – და ფაზისის მარჯვენა მხარეს რომ აღმოჩნდა, წაიყვანა ჯარი ერთი ქალაქის, არქეოპოლისის წინააღმდეგ, რომელიც არის მთავარი და უდიდესი ქალაქი ლაზების ქვეყანაში. ზოგიერთების გამოკლებით ყველანი ცხენოსნები იყვნენ და მათ რვა სპილო მიჰყვებოდა თან: მათ ზურგზე იდგნენ ხოლმე სპარსელები და იქიდან, როგორც კოშკიდან, უშენდნენ მტერს თავში ასე რომ მართლაც გაუჭირდებოდა კაცს ომების დროს და მოაშკარავებული ანტანობა და მოხერხებულობა სპარსელებისა, რომლებსაც იბერიიდან კოლხიდაში მიმავალი გზა, რომელიც ყველგან დაქანებული ნაპრალებითა და დაბუჩქებული ძნელსავალი ადგილებით იყო დასერილი და ისე დაფარული უღრანი ტყეებით, რომ მსუბუქად დატვირთულ კაცსაც კი გაუჭირდებოდა

[1] გეორგიკა, ტ. II, გვ. 37.
[2] გეორგიკა, II, თბ., 1965, გვ. 101-102

წინათ აქ გავლა...“ [1]. „...რომაელთა ჯარი თორმეტი ათასი კაცისაგან შედგებოდა და ყველანი ერთ ადგილას კი არ იყვნენ თავმოყრილნი, არამედ არქეოპოლისის მცველ რაზმში სამი ათასი კაცი იყო, რომელთაც ოდონაქე და ბაბა მეთაურობდნენ, – საომარ საქმეებში ორივე დახელოვნებული იყო; ხოლო დანარჩენები მდინარე ფაზისის შესართავთა აქეთ დაბანაკებულიყვნენ იმ ანგარიშით, რომ, თუ სადმე მტრის ჯარი იერიშს მოიტანდა, ისინი იქიდან წარმომართულიყვნენ საშველად მთელი თავისი ჯარით“[2].

„დაბლობში ერთი ქალაქი იყო, სახელად როდოპოლისი, რომელიც ყველაზე უწინარეს ხდებოდა გზაზე იბერიიდან კოლხიდაში შემოსულთ; ადვილმისადგომი იყო და იერიშის მიტანაც სრულიად არ იყო ძნელი. ამიტომ ლაზებმა ის ამას წინათ მიწასთან გაასწორეს. რადგან ეშინოდათ სპარსელთა შემოსევისა. შპარსელებმა რომ ეს გაიგეს, მაშინვე არქეოპოლისისაკენ გაემართნენ. ერმეროემ რომ შეიტყო, მოწინააღმდენი მდინარე ფაზისის შესართავთან დაბანაკებულანო, გაემართა მათ წინააღმდეგ. ის უმჯობესად თვლიდა ჯერ ესენი გაენადგურებინა და ისე შემოერტყა ალყა არქეოპოლისისათვის, რათა ისინი ზურგში არ მოქცეულიყვნენ და სპარსელთა ჯარისათვის ზიანი არ მიეყენებინათ. არქეოპოლისის ზღუდეს რომ მიუახლოვდა, გამაღიზიანებელი დაცინვით მიესალმა იქ მყოფ რომაელებს და რაღაც ყმაწვილური თავხედობით გადაჰკრა, მალე მოგიბრუნდებით თქვენო, მინდა ჯერ დანარჩენ რომაელებს მივესალმო, რომელნიც მდინარე ფაზისის მახლობლად დაბანაკებულანო. უთხრა მათ. მათაც უპასუხეს, წადი სადაც გინდაო, მაგრამ დაბეჯითებით უმტკიცებდნენ: თუკი იქაურ რომაელებს შეეყრები, ვერასოდეს ჩვენთან ვეღარ დაბრუნდებიო... მან გადასწვა რომაელთა სადგომები და ბრაზისგან გულგასივებული მაშინვე გაბრუნდა და არქეოლპოლისის წინააღმდეგ წაიყვანა ჯარი.

არქეოპოლისი მდებარეობს ერთ მეტად ქუშ სერზე და მას ჩამოუდის მდინარე,

[1] გეორგიკა, II, თბ., 1965, გვ. 181-183.
[2] გეორგიკა, II, თბ., 1965, გვ. 183-184.

რომელიც ქალაქის ზემოთ აღმართული მთებიდან ჩამოდის. ერთი კარი აქვს ქვემოთ, სერის ძირისაკენ რომ გადის; ის, მართალია, მიუწვდომელი არაა, მაგრამ, მისკენ რომ ადიხარ დაბლობის მხრით, ის ადგილი სწორი არ არის. მეორე კარი კი ციცაბო ადგილას გადის და ის ძალიან ძნელი მისასვლელია: ამ კარის წინ ადგილი ბუჩქნარიანია კარგა დიდ მანძილზე. რადგან იქაურ მცხოვრებლებს სხვა წყალი არსაიდან არა აქვთ, ქალაქის ამშენებლებს ორი კედელი აუგიათ იქ, სერიდან მდინარემდე, რათა მათ თავისუფლად შესძლებოდათ მდინარის წყლის ამოტანა“. ...რადგან მერმეროე მოწადინებული იყო და ცდილობდა მთელი თავისი ძალით ჰკვეთებოდა აქ ზღუდეს, შემდეგნაირად მოიქცა. პირველ ყოვლისა საბირებს უბრძანა გაეკეთებინათ კრიოს მანქანები, კარგად ბლომად, და ისეთები, რომელთა ტარებასაც შესძლებდნენ ჯარისკაცები მხრებზე. რადგან ჩვეულებრივი მანქანების მოტანას ვერავითარ შემთხვევაში ვერ შესძლებდა ის არქეოპოლისის ზღუდესთან, რომელიც მთის ძირში მდებარეობდა; მას კი სმენოდა, რაც რომაელთა მოკავშირე საბირებს მოე-მოქმედათ პეტრას ზღუდესთან ცოტა ხნის წინათ, მისდია გამომგონებელთა კვალს და სურდა ეს გამოცდილება გამოეყენებინა. მათაც ბრძანება შეასრულეს, უმალვე ააგეს უამრავი კრიო იმნაირადვე, როგორც – ზემოთქმულისა არ იყოს – ამის წინ აუგეს საბირებმა რომაელებს. შემდეგ ის გზავნის ერგეთწოდებულ დოლომიტეს ქალაქის დაქანებული ადგილებისაკენ და ავალებს მათ მთელი თავიანთი ძალით შეავიწროონ იქ მყოფი მოწინააღმდეგეები...“[1].

„იმ ცდამ რომ ფუჭად ჩაუარა მერმეროემ მთელი თავისი ჯარით მოხირისისკენ დაიხია: სპარსელები, მართალია, არქეოპოლისთან დამარცხდნენ...“[2]

ვახუშტი ბატონიშვილის თქმით, „აწ სენაკს ზეით, უნაგირას ძირში, არს ნაქალაქეთი, ციხე გოჯად წოდებული. ეს აღაშენა ა მეფის ფარნაოზის ჟამს ქუჯიმ, ქალაქი და ციხე, და ამისი საერისთავო იყო სრულიად რიონის დასავლეთი სუანეთით. შემუსრა ყრუმ, არამედ იყო კუალად ქალაქი, და შემდგომად მოოჴრდა ქალაქი. აწ არს ციხე კუალად და სასახლე დადიანისა“[3].

გიულდენშტედტი ნოქალაქევს იხსენიებს „ძველად განთქმულ, მაგრამ ეხლა გაუდაბურებულ ქალაქად“ [4].

არქეოპოსისის ანუ ნოქალაქევის ციხე-გოჯთან იგივეობას ვახუშტი ბატონიშვილიდან მოყოლებული თითმის ყველა ავტორი იზიარებს (ვ. ზაქარაია, თ. კაპანაძე, ს. მაკალათია, თ. ბერაძე, დ. მუსხელიშვილი...) თუმცა ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ,

---

[1] გეორგიკა, II, თბ., 1965, გვ. 186-189.
[2] გეორგიკა, II, თბ., 1965, გვ. 194-197.
[3] ქართლის ცხოვრება, ტ. IV, თბ. 1973, გვ. 775-779.
[4] გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, ტ. I, 1962, გვ. 325.

რომ საეჭვოდ მიგვაჩნია ციხე-გოჯის არქეოპოლისთან იგივეობა და საკითხზე შ. მესხიას მოსაზრებას უფრო ანგარიშგასაწევად ვთვლით (იხ. ჭაქვინჯის ციხე). ნოქალაქევ-არქეოპოლისის მიდამოები კოტიანეთი-სორტასა და თვით ნოქალაქევთან არის სწორედ საძებნი ძველი კოლხეთის დედაქალალი კჯიტაია ანუ აია, მით უმეტეს აქ ბოლო დროინდელი აღმოჩენებით უძველეს ფენებთან გვაქვს საქმე, მაგალითად: აქ აღმოჩნდა ცხვრის თავის, ლომის, ცხენის, თევზის ქანდაკებები, რომელთაც წვ. წ. VIII-VI სს-ით თარიღდება. ამ ფენას მოსდევს ძვ. წ. VI-IV სს. ფენა. ახ. წ. I-III საუკუნეებში შემჩნეულია მოსახლეობის შემცირება, ხოლო IV საუკუნიდან ისევ აღმავლობა იწყება, VI საუკუნეში კი ის უკვე თანდათან კარგავს თავის ადრინდელ მნიშვნელობას[1].

ნოქალაქევის ანუ არქეოპოლისის ციხე-სიმაგრე საქართველოში არსებულ ციხე-ქალაქებს შორის არქიტექტურული შედევრია, რომელიც ვრცლად აღწერილი აქვთ პ. ზაქარაიას და თ. კაპანაძეს[2].

---

[1] ნ. ლომიტაშვილი, ბ. ლორთქიფანიძე, ნოქალაქევის ნაქალაქარი, პერიოდიზაცია, ძეგლის მეგობარი, №2, 1989, გვ. 26-27.

[2] „დაცვის თვალსაზრისით ქვეყნის ოთხი მხრიდან შედარებით მყურო იყო ჩრდილოეთის მხარე. კავკასიონის მთების კალთებზე განლაგებული ეს მხარე ბუნებრივად სხვებზე უკეთ იყო დაცული. ციხეგოჯისათვის ადგილის შერჩევისას შეუძლებელია ეს გარემოება არ ყოფილიყო გათვალისწინებული. ზურგის საიმედობა დიდი კომპონენტია საერთოდ უშიშროების საკითხის გადაწყვტაში. მდინარის ნაპირზე მდებარე ნაქალაქარს მრავალფენოვანი გალავანი უვლის. კედლებით შემოფარგლული ფართობი 17-18 ჰა-ს უდრის. გალავნები მთის რთულ რელიეფს მიჰყვება და ამიტომ ძირითადად უსწორმასწოროდ მიემართება. ქვედა მონაკვეთს სამ მხრიდან უვლის მდინარე ტეხური. სერი კი სიმაგრის ამგებთათვის მეტად ხელსაყრელი იყო. ამას ემატება ისიც, რომ აქედან მდინარის ნაპირი სამხრეთის მთელ სიგრძეზე 20-25 მეტრის სიმაღლისაა და საკმაოდ ფლატეცაა, ხოლო რაც შეეხება მეორე მხარეს, დასავლეთის, აქ კლდოვანი ნაპირი ისეთი ქარაფია და მაღალი, რომ იქიდან ამოსვლა ფაქტიურად შეუძლებელია. ციხე-ქალაქი ძირითადად სამ არაფანაბარ ნაწილადაა დაყოფილი. ამათგან ქვედა მონაკვეთი სხვებზე მოხერხებული და მთავარია. მისი დიდი ნაწილი ვაკეა, რომელიც ჩრდილოეთით ფერდობს წარმოადგენს. ამ აღმართის თავზე მთის პლატო მოვაკებული აქვს ციტადელს, შიდაციხეს. მისი გეგმა აღმოსავლეთ-დასავლეთის ხაზზე წაგრძელებულია და უსწორო აბსიდით სამკუთხედს უახლოვდება. გალავნის ჩრდილოეთის ხაზს აღმოსავლეთით და დასავლეთით ამთავრებს თითო კოშკი. ქალაქის ქვედა მონაკვეთსა და შიდა ციხეს აერთიანებს გალავანშემოზღუდული საკმაოდ დიდი მონაკვეთი, რომელიც განლაგებულია შესამჩნევად დამრეც ფერდობზე. მისი დასავლეთის გალავანი მთის ქედს მიჰყვება. ამ დასავლეთის ხაზის დახრის კუთხე თითქმის არათანაბარია, ხოლო აღმოსავლეთისა – სრულიად განსხვავებული. აღმოსავლეთის ფერდობზე ამყოლი გალავანი ზოგჯერ სწორდება. ამავე დროს, აღსანიშნავია ისიც, რომ აღმოსავლეთის ხაზის სიგრძე თითქმის ორჯერ მეტია დასავლეთისაზე, რადგან პირველი შიდაციხეს სამხრეთ-დასავლეთის კუთხეში უერთდება, აღმოსავლეთისა კი თითქმის შორს მდებარე სამხრეთ-აღმოსავლეთის კუთხემდე მიდის. აღმოსავლეთისა და დასავლეთის გალავნებს შორის აგების დრო და ტექნიკაც მნიშვნელოვნად განსხვავებულია. პირველი თუ ნატეხი ქვითაა ნაგები – მეორე – კვადროვანია. ქალაქის გალავანი, რომლის პერიმეტრი სამ კილომეტრს აღემატება არსადაა მთლიანად თავდაპირველი სახით შემორჩენილი. ნაქალაქარის ქვედა ტერასის დასავლეთის მონაკვეთს ჩრდილოეთიდან თავზე დაჰყურებს მცირე ციხე. ამ ციხესა და ციტადელს შორის მთის ქედზე მიმავალი გალავანი ერთი ხაზისაგან შედგება. კედლის სიქე ერთ მეტრს არ აღემატება. ამ ციხიდან დარჩენილია სამხრეთისა და აღმოსავლეთის კედლები. დანარჩენი კი, ნიადაგის გამოცვლის გამო, მთლიანად მოშლილია. შერჩენილ კედლებში რამდენიმე სამშენებლო ფენა ჩანს. ამათში აშკარად გამოირჩევა თავდაპირველი ფენა, რომელიც IV ს-ით თარიღდება, ხოლო ბოლო პერიოდის ფენა XVI-XVII საუკუნეებისა უნდა იყოს. პირველი ფენა თუ ფლეთილი ქვითაა ნაგები, მეორე ფენა რიყის ქვისაა.

ამჟამად ამ ციხის არსებულ კედლებში, სამხრეთის მხარეს, ერთი კარია, რომელიც ციხეს ქალაქის ქვედა ნაწილთან აკავშირებდა. იგი გაჭრილია სწორედ თავდაპირველ კედელში. მიუხედავად იმისა, რომ ციხის კედლები სიმაღლით ათ მეტრამდეა შერჩენილი, მათში სხვა არავითარი ხვრელი არ არის. თავიდან ბოლომდე, მთელ სამხრეთის მხარეს მიჰყვება ორი პარალელური ხაზი, ორი გალავანი ერთმანეთზეა მიტყუპებული, კედელი კედელზეა მიდგმული, რაც ამ მხარეს განასხვავებს დასავლეთისა და აღმოსავლეთის ხაზებისაგან.

ხიდიდან სამოქალაქო აბანომდე ას მეტრამდეა. აქ გამავალი ორი ხაზის შუა ნაწილი, ფერდობის გამოცლის გამო, დიდი ხნის წინათ ჩანგრეულა. პარალელურად მიმავალი ორი ეს კედელი, მართალია, სხვადასხვა დროსაა ნაგები (შიდა კედელი სამეფოს გაჩენის პირველივე წლებში, IV ს. დასაწყისშია აგებული, ხოლო მეორე, გარე გალავანი, დაახლოებით ასიოდე წლის შემდეგ), მაგრამ მშენებლობის ტექნიკაში დიდი განსხვავება არ არის. ორივე კედელი ნაგებია ფლეთილი ქვით, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ გარე კედლის საფასადო წყობა უფრო წესიერია – ოსტატს ქვები სანახევროდ დაუმუშავებია 20-40 სმ სიგრძე-სიგანით) და ჰორიზონტალურად დაულაგებია. წყობის ამ სისტემას მეტ-ნაკლებად ჩვენ ვხვდებით იმ ეპოქის ყველა ძეგლში, რომელიც დაცვის ერთიან ჯაჭვში მოვაქციეთ (აბედათი, კოტიანეთი, „საკალანდარიშვილო, ეკი და სხვები).

სამხრეთის გალავნის განხილულ მონაკვეთს მისდევს სამოქალაქო აბანოს შენობა, თუ როგორ იყო ეს შენობა დაკავშირებული გალავანთან, უცნობია, რადგან ფერდობის გამოფიტვის გამო აბანოს კედელი, გალავანთან ერთად დიდი ხნის წინ დანგრეულა. აბანოდან აღმოსავლეთით, კოშკამდე. ზოგან პარალელურად მიმავალი გალავნების ნაშთები 1-2 მეტრის სიმაღლეზეა შერჩენილი, ზოგან კი თითქმის მიწამდეა გასწორებული. წყობა და კედლის სისტეც მცირედ განსხვავდება ზემოაღნიშნულისაან (გარე კედლის სისტე 90 სმ, შიდა კედლისა 227 სმ). გარე ვიწრო კედელი ყორე და რიყის ქვითაა ნაგები, შიდა კედელი კი – საკმაოდ დიდი ზომის უფორმო ქვით. იგი არ ჰგავს სხვა გალავნებს და არც იყო გალავანი. ქალაქის გალავანი მის სამხრეთით გადიოდა. იგი გამოდის კოშკის აღმოსავლეთით, გალავნის კუთხიდან, მიემართება მდინარისაკენ. ამ ადგილას მდინარის ნაპირი წყალს წაუღია. შემდეგ გალავანი ცერად მიემართება დასავლეთით (მისი ფრაგმენტი აღმოჩნდა კოშკის სამხრეთ-დასავლეთით). ეს გალავანი თუ როგორ უერთდებოდა სამოქალაქო აბანოს, ფერდობის ჩამონგრევის გამო არ ირკვევა, წესით მისი ხაზი აბანოს გარეთ უნდა ყოფილიყო. თანაც აღსანიშნავია ის გარემოება, რომ შიდა გალავანზე შიგნიდან სათავსოებია მიშენებული და ყოველი მონაკვეთის გალავანი მცირედ განსხვავებული წყობითაა ნაშენი. დროით კი ისინი თითქოს არ განსხვავდებიან. ალბათ, სხვადასხვა ოსტატი იყო და ამითაა გაპირობებული განსხვავებული წყობა. პირველი, უადრესი გალავნის ნაშთი შემორჩენილია კოშკის გარეთ, აღმოსავლეთით (მასზე კოშკი ნაწილობრივ გადადის). იგი, როგორც ეტყობა მდინარის ნაპირზე უხვევდა დასავლეთით და მიემართებოდა ე. წ. სამოქალაქო აბანოსკენ.

მეორე სამშენებლო ფენაა კოშკური შვერილი. იგი ზომით (160 სმ) და წყობით ესადაგება ქალაქის პირველ გალავანს. შიგნით თხელი კედოით ორ ნაწილად იყო გაყოფილი. ამ ორიდან დასავლეთისაში მოწყობილი იყო ჭიშკარი. მისი ნაშთი ჭიშკრის ზღურბლის ისეთივე თლილი ქვით, როგორც ეს აღმოსავლეთის ჭიშრებშია, აქაცაა დატანებული. ამ შვერილის დანგრევის შემდეგ მის შიგნით ჩაუშენებიათ სწორკუთხა კოშკი (კედლის სისქე 145 სმ). ამ კოშკისგან დარჩენილია სამი კედელი ორ მეტრაზე) დაახლოებით ორი სართულის შუაზე, შიგნიდან გადის აგურის ორი რიგის სარტყელი (ონუს მიხტუმ).

კოშკის ჩრდილოეთის კედელს ეზოდან ებჯინება ერთ ხაზზე განლაგებული ხუთი პილონი, ისინი თლილი ქვით ბრწყინვალედაა ნაგები. მათგან დასავლეთით მდგარი დაახლოებით ერთი მეტრის სიმაღლეზეა შემორჩენილი, ხოლო აღმოსავლეთის ბოლოს მდებარე – სამ მეტრამდეა. ხაზია გასასმელი იმ გარემოებისთვისაც, რომ დასავლეთის ორ პილონს შორის დიდი ზომის ქვებია დაფენილი. მათი ზედაპირი გამვლელთა ფეხით შესამჩნევადაა გახეხილი. ცხადია, პილონების მოქმედების დროს, აქ გადიოდა ქალაქში შესასვლელი ერთ-ერთი გზა. კოშკის მომდევნო სამხრეთ-აღმოსავლეთის კუთხემდე თითქოს უფრო მეტი გარკვეულობაა. ამ ხაზზე სამი თუ ოთხი სამშენებლო ფენაა. გალავნების მთელი სიგრძე ოთხმოც მეტრამდეა. გალავნები

შუაზე გადამსკდარა და აღმოსავლეთის მონაკვეთი გადაწოლილია, მეორე ნახევარი კი ფეხზეა. უშუალოდ კოშკის მიმდებარე მონაკვეთი, დაახლოებით ორმოციოდე მეტრზე, სამჯერ მაინცაა გადაკეთებული. თავდაპირველად აქაც სქელი, ორმაგში გალავანი მიდიოდა, მაგრამ 2-3 მეტრის სიმაღლეზე გადანგრეულა და გვიან, XVI-XVII საუკუნეებში, დადიანებს თხელი კედელი დაუშენებიათ. ქვედა, ერთმანეთზე მიტყუპებული კედლებიდან შიდა პირველადია, მეორე, გარე კედელი მასზე ასიოდე ლის შემდეგაა მიშენებული. ხოლო რაც შეეხება იქვე, ეზოს მხარეს, გალავანზე მიდგმული ქვის კიბე თუ როდისაა აგებული, ამაზე ზუსტი პასუხის გაცემა ძნელდება. საქმე იმაშია, რომ პარალელურად მიმავალი ორი კედელი განსხვავებული წყობითაა აგებული და მათ სტილში აშკარა სხვაობაა. შიგნით მიდგმული კიდე კი თლილი ქვის დიდი კვადრებითაა ნაგები და კონსტრუქციულად გალავანთან არ არის დაკავშირებული; იგი მასზეა მიდგმული.

ნაქალაქარის ქვედა ტერასაზე, გალავნებზე სამგანაა მიდგმული კიბე, მაგრამ სამივე განსხვავებული წყობითაა შესრულებული. ამათგან ჭიშკრის სიახლოვეს გარე, მესამე კვადროვან გალავანზე მიდგმული კიბე განსხვავდება ორივესაგან. ხოლო დანარჩენი ორი უფრო ერთმანეთს მიაგავს და ერთი და იმავე დროს თუ არა, ერთ ეპოქაშია აგებული. ეს ეპოქა კი ყველაზე მეტად მოსალოდნელია იყოს პირველი გალავნის აგების დრო, ე. ი. IV ს. დასაწყისი. ბოლო პერიოდში აგებული კედელი ნაქალაქარში ჩასახლებული დადიანების დასაცავად იყო აგებული. შვერილი კედლების ერთი ნაწილი ყორე ქვითაა ნაგები, მაგრამ წყობაში გემოვნება ჩანს. ხაზები სწორია და კედლები მტკიცე. ძველი კედლების მეორე ნაწილი თლილი კვადრებითაა ნაგები და ხაზები დახვეწილია. არაფერი ამის მასგავსი არ არის დადიანისეულ კედლებში: აქ კედლის ძირითად მასალას რიყის ქვა წარმოადგენს, ურევია ყორე ქვაც. მეორე, გარე გალავნის ფასადი, შეიძლება თამამად ითქვას, მხატვრული ნაწარმოებია. ოსტატი თითქმის ერთი ზომის (0-40 ს.) ქვებს ჰორიზონტალურად ალაგებს და ნამდვილ მხატვრულ ფასადს ვღებულობთ. ასეთი წყობაა მხოლოდ სამხრეთის კოშკთან აღმოსავლეთის კუთხემდე.

ნაქალაქარის სამხრეთ-აღმოსავლეთის კუთხე ძლიერაა დანგრეული, ამიტომ მისი თავდაპირველი სახით წარმოდგენა შეუძლებელია. თანაც დარჩენილი კედლები ყველა გადაწეულია. ამას ემატება კოშკისა და კედლების უზარმაზარი ნანგრევები. ამ კუთხეზე მხოლოდ ერთი აზრის გამოთქმა შეიძლება გარკვევით: საბოლოოდ, სამივე დროის მშენებლობის შემდეგ ეს კუთხე ყოფილა ქალაქის დაცვის მთავარი კვანძი. აქვე უნდა ყოფილიყო ციხისთავის სამყოფიც.

თავდაპირველად, როდესაც ქალაქს უვლიდა მხოლოდ ერთი გალავანი (შიდა, ეზოსკენ მდებარე), მაშინვე ციხისთავის სამყოფიც აუგიათ.

დანარჩენი მხარეები მთებით იყო ჩაკეტილი. ამ კოშკის გარეთ, სამხრეთით, რაღაც შენობის დიდი ნანგრევებია.

ახლა თუ სამხრეთ-აღმოსავლეთის კუთხეს ჩრდილოეთის ავყვებით, შუამდე ერთნაირი სურათია: პარალელურად მიმავალი ორი კედელია. კედლებს შუა ინტერვალი მერყეობს 60-80 სანტიმეტრს შორის. გალავნების კუთხეებიდან ზემოთ, სამოცდაათიოდე მეტრზე იწყება ქალაქის დაცვის ურთულესი კვანძი. აქ, სხვას ყველაფერს თავი რომ გავანებოთ, სამ გალავანში სამი სხვადასხვა პერიოდის ჭიშკარია განლაგებული. თითოეულ მათგანს საკუთარი გადაწყვეტა აქვს, ისეთი, რომელიც მეორეს არა აქვს. გალავნის სამი ხაზიდან შუა კედელში, ერთი ჭიშკარი იყო. ამ განგრეულ ჭიშკარში, ალბათ, ბოლო ასეულ წლებში (მდ ტეხურაზე 1886 წ. აგებული რკინის ხიდი ამ გზას უფრო მყარად ამკვიდრებდა (მანამდე აქვე ქვის ხიდი ყოფილა). ამ კლდოვან ნაპირებს შორის სამოციოდე მეტრია და საფიქრებელია, რომ ხიდი იქვე იქნებოდა უფრო ადრეც, ეგრისის სამეფოს დროსაც), გადიოდა ის ერთადერთი სატრანსპორტო გზა, რომელიც დღევანდელ სენაკის რაიონს მარტვილის რაიონთან აერთებდა (ადრე ეს გზა აკავშირებდა სამეგრელოს ისეთ მნიშვნელოვან პუნქტებს, როგორიც იყო სენაკი, ზუგდიდი, სოხუმი და სხვა. ხოლო აღმოსავლეთით ჯერ მარტვილს და შემდეგ ცხენისწყლის გაღმა – ხონს, ქუთაისს და ა. შ. გზა ეგრისის სამეფოს დროსაც დაახლოებით იმავე ხაზზე გაივლიდა). ნოქალაქევის შესასვლელის წინ ამ გზის ორივე მხარეზე აღმართულ ხეებითა და ბუჩქებით

დაფარულ გორაკებზე... გამოჩნდა გარეთა კვადროვანი ქვით შემოსილი გალავანი, მათში ჩართული კოშკები და ვინ იცის კიდევ რამდენი რამ... უპირველეს ყოვლისა გაირკვა, რომ ეს კვადროვანი კედელი პირველი კი არ იყო, როგორც ამაზე ადრე წერდნენ (ს. ყაუხჩიშვილი, დამატება – ნოქალაქევი-არქეოპოლისი, I, გვ. 235), არამედ – ბოლო. მომქმედი ჭიშკრის სამხრეთით ათიოდე მეტრზე მეორე ჭიშკრის აღმოჩენა სრულიად მოულოდნელი იყო... ძველი ჭიშკრის გახსნამ დაგვარწმუნა, რომ იგი არა მარტო თვით არის თავდაპირველი, არამედ ეზოდან მდებარი პირველი კედლის ნაწილია. ირკვევა, რომ ეზოდან პირველ კედელში ჩართული ჭიშკარი, გვერდებზე მდებარე საყარაულოების, სამი მეტრით გარეთაა გამოშვერილი და მდებარეობს შუა კედლის ხაზზე. თანაც კედლები არა მარტო წინაა გაწეული, არამედ ბოლოები გასქელებულია. ყველაფერი ეს ნაკარნახევია უკეთ დაცვის პრინციპებით. შვერილი ჭიშკარი, ფაქტიურად, კოშკის როლს ასრულებდა. გალავნის გარეთ გასული კოშკის ბანიდან ციხის მისადგომების დაცვა უფრო მარჯვედ მოხდებოდა. ამ ჭიშკრის შიგნით, ორივე მხარეზე გრძელი და ვიწრო სათავსები იყო, ისინი განკუთვნილი იქნებოდა მცველებისათვის. მათ საკმაოდ გრძელი ფრონტი ჰქონიათ, რადგან გასასვლელის სიგრძე თითქმის ათი მეტრია. მტერი რომელიც ჭიშკრიდან შემოიჩრებოდა, ამ გრძელ და განიერ ტალანში მოხვდებოდა და ქალაქში გასვლა გაუძნელდებოდა (მიუხედავად დაცვის ხაზის ასეთი გამაგრებისა, მტერი სხვადასხვა დროს, როგორც გათხრებით ირკვევა, ქალაქში შეჭრილა და აუოხრებია.

საყარაულოების კედლები ეზოსკენ შერჩენილია საშუალოდ 1,5 მეტრის სიმაღლეზე, მაგრამ გარეთა კედლები დარჩენილა 5-6 მეტრის სიმაღლეზე. კედლების ასეთი სიმაღლე გვავარაუდებინებს, რომ ეს სათავსები ორსართულიანები იყო, საბრძოლო ბანით. თავისთავად საეჭვო არ ჩანს ის გარემოება, რომ სათავსების ზემოთ, ჭიშკრის თავზეც, საბრძოლო ბანი უნდა ყოფილიყო. იმ ეპოქისათვის ჭიშკრის დაცვის სხვა ვარიანტი წარმოუდგენელია. მიუხედავად ჭიშკრის დაცვის ასე გონივრულად გადაწყვეტისა, ალბათ, მტრის ჭარბმა ძალებმა დაცვის ხაზი, აქ თუ სხვაგან, გაარღვია, კედლების ზედა ნაწილები გადაანგრია და ქალაქში შეიჭრა. ამის შემდეგ, როგორც ეტყობა, ქალაქის მესვეურებს, ქალაქის გამაგრების არსებული სისტემა დამაკმაყოფილებლად ვერ მიუჩნევიათ და ახალი სისტემა შეუმუშავებიათ ეს ახალი სისტემა, ფაქტიურად, გულისხმობდა ახალი; დამატებითი კედლის აგებას. მშენებლებმა გააძლიერეს პირველი ხაზი, მას გარედან დაუმატეს მეორე ხაზი. პირველი კედელი თუ 1,6 მეტრის სისქისაა, მეორე კედელი 1 მეტრია. მისი გარე ხაზი გაუსწორდა პირველი ჭიშკრისა და ზემოთ ფერდობზე მდგარი შვერილი კოშკის გარე ზედაპირს. პარალელურად მიმავალ ორ კედელს, დღემდე მოღწეული ნაშთის მიხედვით, ორგან ჰქონია ქვის კიბე. ერთი მათგანი სამხრეთით, მდინარის მხარეს, ერთადერთი კოშკის სიახლოვესაა. ამ ტიპის გალავანს აუცილებლად ქონგურები უნდა ჰქონოდა. პროკოფი კესარიელი აღწერილობით აშკარად ჩანს, რომ ნოქალაქევის გალავანი კბილანებით, ანუ ქონგურებით მთავრდებოდა, ხოლო რაც შეეხება საბრძოლო ბილიკს, უმისოდ ქონგურებს ვერ გამოიყენებდნენ. ასე რომ, სამივე კედელი აუცილებლად ბილიკებიანი ქონგურებით დამთავრდებოდა.

თავდაპირველი ჭიშკრის სიგანე 4,25 მეტრია. ასეთი განიერი ჭიშკარი ძალზე დიდი იყო, მისი დაცვა გაჭირდებოდა. როგორც ეტყობა, ეს გარემოება მიუღიათ მხედველობაში და შემდეგში ორივე გვერდის ამოშენებით ჭიშკარი დაუვიწროვებიათ. დავიწროებული კარის სიგანე (2,2 მეტრი) სრულიად საკმარისი იქნებოდა ბორბლიანი ტრანსპორტისათვის. ასეთ ჭიშკარს იყენებდნენ ორი განლავნის არსებობის მანძილზე, მაგრამ შემდეგ იგი გააუქმეს. ამოქოლილ ჭიშკარზე გარედან მიშენებული კვადროვანი კოშკი გამოწვეს და დაანგრიეს (ალბათ, არაბებმა 736-738 წლებში), დაიწვა ხის ჭიშკარიც. ჭიშკრის ზღურბლზე იყო დანახშირებული სქელი ფენა სადაც აღმოჩნდა ჭიშკრის რკინის საკეტი, ეს კი, ჯერჯერობით, პირველი შემთხვევაა საქართველოს სინამდვილეში. ჭიშკრის ამოქოლვის შემდეგ უნდა აღვნიშნოთ, რომ მის ზემოთ ორი კედელი გაუყვანიათ, რათა დანგრეული კარიბჭის „ჩატეხილი კბილი“ ამოევსოთ. ერთი კედელი დააშენეს უშუალოდ ჭიშკარს, მეორე კედლით კი შეერთდა პირველი გალავნის ხაზი, რომლის შეწევა გამოწვეული იყო კარიბჭის კოშკური შვერილით. ახალი ჭიშკრის გაჭრის დროს უკვე არსებობდა პარალელურად მიმავალი ორი გალავანი და აგებდნენ გარეთა, მესამეს, კვადროვან გალავანს, ჭიშკარი გაუჭრიათ ძველის ჩრდილოეთით ათიოდე მეტრზე (მისი სიგანე 2,85 მ.) გარე გალავანი ამჟამად დაზიანებულია, მაგრამ გადასასვლელის თავდაპირველი

ფორმების წარმოდგენა შეიძლება, ხოლო შიდა, პირველი გალავნის ხაზიდან დარჩენილია ერთი მეტრი სიმაღლის კედელი, რომელსაც განგრევის კვალი აშკარად ეტყობა. ჭიშკრის დონის ქვემოთ ორ კედეთან აშკარად გამოჩნდა განგრევის კვალი (ამას იმიტომ აღვნიშნავთ, რომ არავის ეგონოს ჭიშკარი კედლების თანადროული). ორივე გალავანი უხეშად გამოუნგრევიათ და შემდეგ ნაპირები მოუპირკეთებიათ თლილი ქვით. გარე კედლის საპირე ქვები ორივე მხარეს თაღის დასაწყისამდეა შერჩენილი. თაღი თუ რა მასალისაგან იყო არ ჩანს, მაგრამ ქვედა ნაწილი ისე კაპიტალურადაა ამოყვანილი თლილი ქვით, რომ ზემოთ ძნელი წარმოსადგენია სხვა მასალა. ხოლო რაც შეეხება ძველ ჭიშკარს, იქ სხვა წესითაა ნაგები. იმ ჭიშკრის გვერდები, განსხვავებით მეორე ჭიშკრისგან, სადაც ყოველ რიგში დიდი ზომის ორ-ორი ქვა დევს, ამოვანილია პატარა თლილი ქვით, ხოლო თაღზე აგურია ნახმარი. თაღის ზემოთ მდებარე კედლის სიმძიმის შიშით აგურის თაღი ორრიგად გადაუყვანიათ. ასევე პატარა თლილი ქვით იყო ამოყვანილი კარიბჭის შვერილი კოშკური მასის წიბოები. ოსტატს ასეთი წიბური არა მარტო სიმტკიცისათვის სჭირდებოდა, არამედ სილამაზისათვისაც. ეგრისის მეფეთა რეზიდენციათ ნოქალაქევის გადაქვევისთანავე ჩაფიქრებული იქნებოდა მისთვის ორი ჭიშკრის – სახმელეთო და სამდინარო ჭიშკრების აუცილებლობა. ქალაქს საერთოდ შეიძლება რამდენიმე ჭიშკარი ჰქონოდა, მაგრამ ისეთ განსხვავებულ ჭიშკრებს, როგორიც აქ აღვნიშნეთ, მხოლოდ გეოგრაფიული მდებარეობა განსაზღვრავდა. ჭიშკარი აღმოსავლეთით, ყველაზე მარჯვე მხრიდან ჰქონია. ასევე, სამდინარო ჭიშკარი მდინარის გაყოლებაზე ყველაზე მარჯვე ადგილასაა. სამეცნიერო ლიტერატურაში კარგადაა ცნობილი, რომ ანტიკური ხანიდან მდინარე რიონი და მისი შენაკადები სანაოსნო იყო. მაშინდელი წყალუხვობის დროს მდ. ტეხურაც სანაოსნო იქნებოდა. მდინარის სასმელად გამოყენება უკვე გადაწვეტილი ექნებოდათ ძვ. წ. III ს. დასაწყისში, როდესაც აქ ერისთავმა ქუჯიმ ციხის აგება განიზრახა. მაშინდელ ციხეს, ალბათ, გალავანი ექნებოდა და მდინარისკენ გასასვლელიც. მდინარე ქალაქს ორი მხრიდან უვლიდა. სამხრეთის მხარეს მდინარე გაშლილია და დასაცავად ძნელია. დასავლეთის მხარეს კი, იქ, სადაც მდინარის კალაპოტი ვიწროვდება, ქალაქის ნაპირიც მაღალი და ფლატეა. სწორედ ეს „ყელია“ მისადგომად, ნავსადგურად შერჩეული. ამ ადგილას გაუკეთებიათ გვირაბები, რომელიც ნაწილობრივ კლდეშია გაჭრილი, დანარჩენი კი ქვითაა ნაგები. გვირაბის ზედა ნაწილი ისეა მონგრეული, რომ იქ ბევრი რამის დადგენა ძნელდება, მაგრამ ძირითადის გაგება მაინც შესაძლებელია. აქ ქალაქის მხარე, კლდის სახით, ადგილზეა, ხოლო გარედან მოშენებული კედელი დანგრეულია და ჩანს მისი კვალი. გვირაბის ბოლოს, მდინარეში კარი უნდა ყოფილიყო. მხოლოდ ამ კარის გამოვლით შეძლებდნენ ქალაქში შესვლას. შიგნით, იქვე ახლოს იყო აუზი, სადაც მდინარის მხრიდან კედლის ქვეშ აშენებული რამდენიმე ვიწრო ხვრელით წყალი შემოდიოდა. ეს ხვრელები ისეა განლაგებული, რომ, ჩანს, წყალი გამდინარე იყო, რის გამოც აუზში იგი მუდამ ახალი იქნებოდა. ქალაქი წყლით სწორედ ამ აუზიდან მარაგდებოდა. მთელს საქართველოში ასეთი განიერი, მაღალი და ბრწყინვალედ ნაგები გვირაბი სხვა ძეგლზე არ არის. ესაა მაღალი დონის ინჟინრული ნაგებობა. სხვა მონაცემებიც რომ არ გვქონდეს, ჩვენ სწორედ ეს მხარე გვირაბისა გვათქმევინებდა, რომ იგი არ არის მდინარიდან მხოლოდ წყლის ამოსატანად აგებული. გვირაბი მრავალ ქალაქს (უფლისციხე, თმოგვი, გრემი და სხვა) და ციხეს (ხერთვისი, ჭაქვინჯი, გორი, ხულუტი და სხვა) აქვს, მაგრამ ისინი თითქმის ერთი დანიშნულებისათვისაა გათვალისწინებული, ესაა ქალაქისა და სიმაგრის წყლით მომარაგება. ქალაქ ციხეგოჯ-არქეოპოლისისთვის კი ეს იყო მისი სახელისა და დიდების მაუწყებელი ჭიშკარი; ზღვითა და მდინარით მოსული შინაური და უცხოელი, მიღებული ასეთ მაღალკამარიან გასასვლელში, უდავოდ დიდი შთაბეჭდილების ქვეშ მოექცეოდა. გვირაბის საერთო სიგრძე ორმოც მეტრს აღემატება. იგი ზემოთ, მიწის დონეზე იწყება. გვირაბის ზედა ნაწილი, მიწის დონეზე, გადაკეთებულია. გვირაბის კამარის მიმართულებას და კარს თუ დავაკვირდებით, მივხვდებით, რომ კამარა კიდე ზემოთ მიემართებოდა. შემდეგ, რაღაც მიზეზით, ეს ბოლო მოარღვიეს და გადააკეთეს. კარი ქვემოთ ჩასწიეს და წინ მცირე სათავსი გააკეთეს. ამ სწორკუთხა სათავსის ორი კედელი თითქმის ძირამდეა დარღვეული და თუ სად იყო კარი, არ ირკვევა (ეს სათავის მცველთათვის იქნებოდა). გვირაბის გარე მიდამოების გათხრებისას ერთი საინტერესო დეტალი გამოვლინდა. გვირაბის სამხრეთ-აღმოსავლეთის კუთხეში, გარედან მიწაში ჩაფლული იყო ერთი მოზრდილი ქვევრი. ეტყობა, იგი მეომართათვის წყლის მარაგისთვის იყო განკუთვნილი. გალავნის სიახლოვეს ეს პირველი ქვევრი იყო, შემდეგში ასეთი ქვევრები გალავნების მთელ სიგრძეზე იქნა

გამოვლენილი. ზოგან ქვევრი თითოა, ზოგან კი – ჯგუფად. ცხადია, მათი დანიშნულება იყო მეომრების წყლით სწრაფად მარჯვედ მომარაგება. გვირაბამდე ხუთიოდე მეტრზე სამხრეთით, მდინარისკენ, გალავნიდან ახლოს მდგარა რაღაც შენობა. მისი დასავლეთის ნაწილი, ფერდობის ჩამოშლისას, გალავანთან ერთად დაღუპულა. დარჩენილია აღმოსავლეთის კედელი და შიდა გამყოფი კედლების ნაშთები. განაპირა ორ-ორ კედელს შორის მანძილი ნახევარ მეტრს ცოტათი აღემატება. შენობის დანიშნულების დადგენა, მისი ფრაგმენტულობის გამო, ძნელია. ეტყობა, ეს შენობა გვირაბთან იყო დაკავშირებული.

პირველი კარიბჭის დანგრევის შემდეგ იგი აღარ აღუდგენიათ. ქალაქის მესვეურებს განუზრახავთ გამაგრების ახალი სისტემის შექმნა, ამიტომ ჭიშკარი ცოტათი ზემოთ გაჭრეს. V საუკუნის ბოლოს, თუ VI ს-ის დასაწყისში მომხდარმა ტრაგედიამ შესაძლოა იქვე მდგარი მეფეთა პირველი სასახლეც შეიწირა. ყოველ შემთხვევაში, იმავე ეპოქაში, პირველ მეოთხედში თუ არა პირველ ოთხ ათეულ წელში მაინც, შენდება მეორე სასახლე ცენტრალურ მონაკვეთში. ახლა, თუ რა დანიშნულება უნდა ქონოდა თითოეულ გალავნის შემოკავებას. ამის მტკიცება შეიძლება ზემოაღნიშნული სამიდან მხოლოდ ერთ გალავანზე. ესაა ახლად შექმნილი სამეფო ცეტრის შემოფარგვლა. მეორე სასხლე და ახალი ბაზილიკა იმყოფებოდა უშუალოდ მეფის განკარგულებაში. როგორც არაერთხელ აღგვინიშნავს, მეფეს ეშინოდა არა მარტო გარეშე მტრისა, არამედ საკუთარი ქვეშევრდომისაც, ამიტომ საჭირო იყო მათგან დაცვა. ამის გამო მსოფლიოს ყველა ქვეყანაში, ანტიკურ თუ ფეოდალურ ხანაში, ქალაქიდან გამოყოფილია სიუზერენის სამყოფი. ორი დანარჩენი გალავნით შემოფარგლული მონაკვეთი ქალაქის სამხრეთ-აღმოსავლეთის ფართობზეა. პირველი მათგანი, აღმოსავლეთისა, შემოფარგლულია სამი მხრიდან, მეოთხე იყო თუ არა ჯერ არ ჩანს. ამ მონაკვეთის ჩრდილო კედელი გადადის პირველი კარიბჭის ნანგრევებზე, შემდეგ უხვევს სამხრეთით და ებჯინება პირველი სასახლის დასავლეთის კედელს და მეორე კუთხიდან გრძელდება. აშკარად ჩანს, რომ სასახლის შენობაზე გვიანაა ეს კედელი მიდგმული (წყობაც განსხვავებულია). სასახლე ამ პერიოდში დანგრეული იყო და შეიძლება გალავანში ჩართეს მისი კედლის ნაშთი, ამ შენობამ თუ გააგრძელა ცხოვრება. ყოველ შემთხვევაში, იგი უკვე ქალაქის ცენტრი არ ყოფილა (ყოფილა სასახლის შენობის გამოყენება მრავალი მიზნისათვის შეიძლებოდა). მესამე კედელი სასახლიდან ხუთიოდე მეტრითაა დაცილებული. ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ ამ შემოკავებულ ნაწილსა და ქალაქის გალავანს შორის მებრძოლთა სამოძრაოდ ტალანია დატოვებული. ამ გალავანზე დასავლეთით მიკრული მესამე გალავნის დანიშნულებაც არ ჩანს თუ რისთვის იყო. ტერიტორიულად მის ფარგლებში ხვდებოდა სამხრეთის ერთადერთი კოშკი, მაგრამ მათი კავშირი არ დგინდება. „ქალაქის დაცვის გასამაგრებლად მესამე კედლის დამატება აშკარად შედეგია მესვეურთა გამოცდილებისა. ეტყობა, ორმა კედელმა ამ მონაკვეთში მტრის შემოტევას ერთხელ თუ რამდენიმეჯერ ვერ გაუძლო. ამიტომაც გადაუწყვეტიათ უფრო მტკიცე კედლის აგება ამ კვადროვანი გალავნის სიგრძე ერთ კილომეტრს აღემატება, მისი სისქე ყველგან 2,5 მეტრია. კედლის სიმაღლეს საშუალოდ 8 მეტრს თუ ავიღებთ, მაშინ შესრულებული იქნება თითქმის 20.000 კუბამეტრი ქვის სამუშაო (ამას თუ დავამატებთ მიწისქვეშა საძირკველს, რომლის სიღრმე სამ მეტრს აღემატება, მეტად დიდ ციფრს მივიღებთ). ეს რაც შეეხება კუბადურას. მაგრამ არანაკლებ შთამბეჭდავია თლილი ქვის ფართი. კედელი ორ მხარეს შემოსილია დიდი ზომის თლილი ქვის კვადრებით. კედელს იმავე ზომებში თუ ვიანგარიშებთ, ფასადებისათვის მივიღებთ 1600 კვადრატულ მეტრს. ამას თუ დავუმატებთ ამ კედელში ჩარული კოშკების შემოსვას, ფაქტი ნამდვილად ჩაგვაფიქრებს და ეგრისის სამეფოს ძლიერებას ეჭვმიუტანელს გახდის).

უპირველეს ყოვლისა, გადასაწყვეტი იყო ქალაქის ქვედა ნაწილის უკეთ დაცვა. ამ სამხრეთ-აღმოსავლეთის მონაკვეთს, როგორც მოსალოდნელი იყო, მტერი სხვა ადგილებზე მეტი ჰყავდა. ამიტომაც მას საგანგებო გამაგრება სჭირდებოდა. ასეთ საგანგებო გამაგრებუდ ჩაუთვლიათ ახალი გალავნის აგება კუთხის ორივე მხარეს. ყველაზე საშიშ მონაკვეთზე. ეს ახალი გალავანი თავდაპირველადგალავანს ექვს მეტრამდეა დაცილებული და მის პარალელურად მიემართება. მესამე კედელი არ არის ისეთი მარტივი, სწორხაზოვანი, როგორც პირველი და მეორე გალავანია. აქ არა მარტო აგების, ფორტიფიკაციის, მაღალი დონე ჩანს, არამედ მისი ამგები ქვეყნის ეკონომიკური და პოლიტიკური ძლიერებაც (ეს კვაროვანი კედელი მდინარის

ნაპირიდან ციტადელის ჩრდილო ბოლომდე გრძელდება, კილომეტრზე მეტი სიგრძისაა. კედლის კუბადურა და ფასადების ფართი საკმაოდ დიდი აღმოჩნდა. კვადროვანი გალავანი სამხრეთით იწყება, კუთხიდან დაახლოებით ორმოცდაათ მეტრზე, მერე უხვევს აღმოსავლეთის მხარეს და მიემართება ჩრდილოეთის მთის აღმართის დასაწყისამდე. ამ ხაზის საერთო სიგრძე 200 მეტრს აღემატება. ამ ადგილიდან ძლიერი აღმართი იწყება და მტერს მექანიზმებით შეტევა არ შეეძლო. ეს ბუნებრივი პირობები კარგად გაუთვალიწინებია მშენებელს და ამიტომაც კედელი აღარ გაუგრძელებია. ქალაქის გალავნის სამხრეთისა და აღმოსავლეთის მხარეები ერთი სისტემითაა გადაწყვეტილი. ფაქტიურად, ეს ახალი სქელი და მაღალი კედელი, ქალაქის სუსტ ადგილზე, ფარის როლს ასრულებდა, მაგრამ, ცხადია, არა განუსაზღვრელად. არაბთა სარდლის მურვანის უთვალავ ჯარს და ისიც ყოველგვარი საბრძოლო ტექნიკით აღჭურვილს, მან, ალბათ, ვეღარ გაუძლო და დაეცა (არაა გამორიცხული, რომ ქალაქის დამცველები გაეტეხა ხანგრძლივ ალყას).

ქალაქის ვაკე კუთხის დაცვა კარგად, მოფიქრებულადაა გადაწყვეტილი. გათხრებით დადგინდა პირველი და მეორე გალავნის სხვადასხვა დროის ჭიშკრები.

კოშკი, ჭიშკართან ერთად, მტერს დაუნგრევია, მის აღდგენას ახლის აგება აუჩევიათ. ახალი კოშკი დანგრეულ ძველ კოშკში შიგ ჩაუდგამთ. კოშკის დანგრეული კედლები და ჭიშკრის ნაშთი ახალი კოშკის გარეთ დარჩენილა. საუკუნეების განმავლობაში იგი ნაწილობრივ მიწას დაუფარავს. ამ კოშკს შემდეგაც განუცდია არაერთი გადაკეთება. ჭიშკრის ნაშთი კი დღემდე დარჩენილი. კოშკისაგან გადარჩენილია პირველი სართული მთლიანად და მეორე სართულის სამხრეთ-დასავლეთის კუთხე. პირველი სართულის კედლები მთლიანადაა შერჩენილი და არსადაა კარი ან სარკმელი. მიუხედავად იმისა, რომ კოშკის ზედა სართულები არ გადარჩენილა, ჩვენ ვიცით, რომ მათ კამაროვანი გადახურვა ჰქონდათ.

იმ რამდენიმე კოშკიდან, რომლებიც ამ ხაზზე მდინარიდან მთის წვერამდეა განლაგებული, მხოლოდ ერთგანაა შერჩენილი მეორე სართულის ნაწილი. ეს კოშკი კი მდებარეობს კვადროვანი გალავნის ჩრდილოეთის ბოლოს, ციტადელის პირდაპირ. ჩრდილო-აღმოსავლეთის კუთხის ამ კოშკს პირველი სართული კარგად აქვს შენახული, ხოლო მეორე სართულის დასავლეთისა და სამხრეთის კედელი ერთ მეტრამდეა დარჩენილი. სწორედ ამ ფრაგმენტებიდან დასავლეთის კედელზე შერჩენილია საკმაოდ კოხტა ორი კრონშტეინი. ეს კრონშტეინები ნაპირებშია. როგორც ეტყობა, ამ კრონშტეინებზე მთავარი კოჭები იყო გადებული, ხოლო მათზე საწინააღმდეგო მიმართულებით უფრო მომცრო კოჭები იქნებოდა. რადგან ამ კოშკის გაწმენდის დროს შიგნით, ბოლომდე იყო კამარის ქვები, ცხადია, მეორე და თუ კიდევ იყო სართულები, ისინიც გადახურული იქნებოდა კამარებით, ამას მოითხოვდა კოშკის მდგრადობა. იქვე გამავალი ქალაქის მეორე, შუა გალავნის სიმაღლე თორმეტ მეტრამდე აღწევს. როგორც ვხედავთ, ქალაქის ამ მიდამოებში (დაახლოებით 150 მეტრის სიგრძეზე) კედელი ასეთი სიმაღლისა ყოფილა საჭირო. კოშკი უფრო მაღალი თუ არა, ისეთივე სიმაღლისა მაინც უნდა ყოფილიყო. რაც შეეხება კოშკის დამთავრებას, ზედა ხაზის გადაწვეტას, აქ მხოლოდ ერთი ვარიანტი წარმოგვიდგება: ესაა ქონგურები საბრძოლო ბანით. ქონგურების ფორმა მხოლოდ სწორკუთხა შეიძლებოდა ყოფილიყო, ხოლო მათი სიმაღლე ბილიკიდან პარაპეტიანად – საშუალოდ ორი მეტრი). განხილულ მონაკვეთზე, კოშკის პირდაპირ მდებარე სწორკუთხად გაწეული გალავნის შიდა მხარე მიუჩნევიათ ყველაზე მარჯვე ადგილად და აქ დაუყოლებიათ კიბე საბრძოლო ბილიკზე ასასვლელად. კიბიდან დარჩა შვიდი საფეხური. გარეთა და შიდა გალავნებს შორის განიერ გასასვლელში მოსახვედრი კარები გონივრულადაა გადაწყვეტილი. ამ კოშკის მიდამოებში სწორკუთხად შვერილი გალავნის გვერდებზე, სამხრეთით კუტი კარია. ეს სათადარიგო კარი მარჯვედ მოძრაობისათვის სრულიად საკმარისია. თუ რა მასალის იყო კარები, არ ჩანს. საფიქრებელია, რომ კარები რკინით მოჭედილი ხისა იქნებოდა, რომლებიც შიგნიდან ურდულებით იკეტებოდა. საურდულე და კარის ქუსლის ბუდე ბევრგანაა დარჩენილი.

კვადროვანი გალავნის სამხრეთის მონაკვეთი უფრო მეტადაა დანგრეული, ამიტომ თავდაპირველი სახის წარმოსადგენად შედარებით ნაკლები მასალებია დარჩენილი. პირველი გალავნის ხაზი სწორხაზოვანად მიემართებოდა ბოლომდე და მას ამთავრებდა თლილი ქვით ნაგები კოშკი. ამჟამად მისგან ერთი კედელია გადარჩენილი, ხოლო ამ კოშკის უზარმაზარი

ფრაგმენტი იქვე დავდაყირა გდია. კვადროვანი გალავანი სამხრეთ-აღმოსავლეთის მონაკვეთში კუხეებს ქმნის და ფართოვდება. ამ შვერილის კედლები შიგ მდგარი კოშკის პარალელურად მიემართება. მათ შორის მანძილები წინა კოშკის კვანძის მსგავსია, ექვს მეტრთან ახლოსაა. კოშკის კედლების პარალელურად მიმავალ კვადროვან გალავანში შერჩენილია მხოლოდ ერთი კუტი კარი ჩრდილოეთის მხარეს (მისი სიგანე, ჩხვების მსგავსა, 1,3 მ). ციხის ამ მონაკვეთში სხვა არავითარი დეტალი არ ჩანს.

ქალაქის შემომყოლი პირველი და მეორე გალავანი ძირითადად ნაგებია 20-40 სანტიმეტრის მქონე ყორე ქვით. მესამე გალავანი სხვა ტექნიკითაა ნაგები. 250 სანტიმეტრის სიგანის კედელი ორივე მხრივ მოპირკეთებულია თეთრი, ოდნავ მოყვითალო კირქვით. ქვების გარე პირის სიგანეები, ჩვეულებრივ, მერყეობს 50 სანტიმეტრიდან 150 სანტიმეტრამდე (გვხვდება მეტიც და ნაკლებიც). ქვების სიმაღლე კი მერყეობს 50 სმ-დან 120 სან-მდე. ქვების სისქე საშუალოდ 40-70 სანტიმეტრია. მოსაპირკეთებელ ქვებს შორის კედელი ამოყორილია სხვადასხვა ქვეით, კირის დუღაბზე. ასეთი კედლის დანგრევა იმ ეპოქის კედლის სანგრევი ტექნიკით შეუძლებელი თუ არა, მეტად ძნელი იქნებოდა.

კვადროვანი გალავნის დასავლეთისა და ჩრდილოეთის ბოლო ჩიხივითაა გადაწყვეტილი. მათ შორის ის განსხვავებაა, რომ დასავლეთის ჩიხი ღრმაა, ხოლო ჩრდილეთისა – მოკლე, მტერი თუ პირველში მოხვდებოდა, მას სამი მხრიდან შეუტევდნენ და აქიდან ძნელი დააღწევდა თავს. ჩრდილოეთის შვერილი კედელი, რადგან ერთ მეტრს არ აღემატება, ამიტომ იქაც მტერს სამი მხრიდან შეუტევდნენ, მაგრამ მომწყვდევა გაძნელდებოდა. ამ ბოლო კედლების კუტი კარებიც თითქმის სხვების ტოლია. ამათგან ჩრდილოეთისა და ქვედა კოშკის გარეთა გალავნის ჩრდილო კარიც ამოუქოლავთ. ციხეში კარი რაც უფრო ნაკლები იქნებოდა, მით უკეთესი იყო.

გალავანის ზემოთა კვადროვანი გალავანი ჩრდილოეთის ჩიხთან მთავრდება და ზემოთ გრძელდება მხოლოდ პირველი და მეორე გალავანი. დაახლოებით 100 მეტრის შემდეგ კი ისევ ჩნდება კვადროვანი გალავანი, მაგრამ იგი ფერდობს თითქმის ჰორიზონტალურად მიჰყვება, ისე რომ აღმამიმავალ კედელთან თითქმის სწორ კუთხეს ქმნის. მესამე გალავნის, კვადროვანი კედლის, აგების დროს მკვეთრად შეცვლილია ქალაქის გამაგრების სახე. შევლილია როგორც ციხის გეგმა, ისე ბავრად გაზრდილია მისი ფართობი. ქვემოთ, მთის ფერდობის შუაზე, ხელახლა იწყება კვადროვანი კედელი, ჯერ, დაახლოებით 50 მეტრის სიგრძეზე, ფერდობზე ჰორიზონტალურად მიემართება აღმოსავლეთისაკენ, შემდეგ მკვეთრად ჩრდილოეთისაკენ უხვევს და ცერად, ტეხილი ხაზებით მიემართება ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ. ბოლოს ისევ მკვეთრად უხვევს ჩრდილო-დასავლეთისაკენ და ციტადელის კედელს ებჯინება (ამ აღმართზე, ზემოთკენ ჩანს პატარა კარის ნაშთი, შემდეგ კი მთის ფერდობზე რთული ფორმებია). აქედან კი ციტადელის კედელს ეკვრის და მასთან ერთად მიემართება ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ. ციტადელის კოშკთან გალავანი სწორ კუთხეს ქმნის და ოციოდე მეტრზე მთის ციცაბომდე მიდის. ამით ამთავრებს სვლას კვადროვანი გალავანი, მაგრამ მის მიერ გავლილ კილომეტრიან გზაზე დიდი მრავალფეროვნებაა. კვადროვანი გალავნის აგებით კიდევ ერთხელ ხაზი უნდა გაუსვათ იმ გარემოებას, რომ ქალაქის მესვეურებმა მისი გამაგრების საკითხი სულ ახლებურად გადაწყვიტეს. იმავე დრსო მათ ქალაქს მისცეს ახალი მასშტაბი. მართალია, ჩვენ ზუსტად არ ვიცით ადრე თუ როგორც უკავშირდებოდა ქალაქის ქვედა ნაწილი ზედას, ციტადელს, მაგრამ შუა საუკუნეების ქალაქთა დაგეგმარების საერთო პრინციპებიდან თუ გამოვალთ, ისინი შეერვებული უნდა ყოფილიყო. ახალმა კვადროვანმა კი ქალაქი აშკარად განამტკიცა და შეკრა. გალავნის პირველი ხაზი, რომელიც დაახლოებით 50 მეტრის სიგრძისაა, სამხრეთ-აღმოსავლეთის კუთხეში კოშკით მთავრდება. კოშკი ძალიანაა დანგრეული და მთლიანად გეგმა არ იკითხება. კვადროვანი გალავანი, რომელიც იქვე მდგარ კოშკს აღმოსავლეთით უვლის, ძალიანაა დაზიანებული და განსაკუთრებული არაფერი ჩანს, როგორც ირკვევა, იმ ფორტიფიკატორმა, რომელმაც დააგეგმარა კვადროვანი გალავანი, ამომწურავად წარმოიდგინა საშიშროება და სამხრეთით, აღმოსავლეთითა და ჩრდილოეთით, მთის ციცაბომდე, ყოველი მისადგომი გადაკეტა. ეს ხაზი, რომელიც კოშკებითაა გამაგრებული და კილომეტრს აღემატება, გრანდიოზული ნაგებობა იქნებოდა და ყოველი ჯურის მტერს შიშს თუ არ მოგვრიდა, ღრმად ჩააფიქრებდა მაინც.

ციტადელი მაღალი მთის პლატოზეა განლაგებული. აქაც გალავანი ძირითადად რელიეფს მიჰყვება. მისი გეგმა უფორმო გრძელი სამკუთხედია. მისი სამივე კუთხე განხსავებულადაა გადაწყვეტილი, სხვებზე მარტივია სამხრეთ-დასავლეთის კუთხე, სადაც მდებარეობდა ქალაქის ქვედა ნაწილთან დამაკავშირებელი კარი.

შიდა ციხეს სამხრეთის მხარეზე ორი ვიწრო შესასვლელი ჰქონია. ციტადელის მეორე კარი იმავე სამხრეთის გალავნის აღმოსავლეთ ბოლოსკენაა. იგი თითქმის დანგრეულია და ოციოდე სანტიმეტრის სიმაღლეხე იყო შერჩენილი. შიდა ციხის ჩრდილო კედლის ბოლოებში, ფაქტიურად ჩრდილო-აღმოსავლეთისა და ჩრდილო-დასავლეთის კუთხეებში, დიდი კოშკები დგას, ხოლო ერთი პატარაც მათ შუაა. საერთოდ, მთელი ქალაქის მთავარ კოშკს წარმოადგენდა ჩრიდლო-დასავლეთისა (როგორც ეტყობა, მისი როლი შემდეგ საუკუნეებშიც შესამჩნევი ყოფილა, და ადგილობრივნი მხოლოდ მას ეძახიან „ჯიხას“, რაც ქართულად ციხეს ნიშნავს). ნაგებობა ბოლო პერიოდში ორი ნაწილისაგან შედგებოდა. ჩრდილოეთით იყო კოშკი, ხოლო სამხრეთით საცხოვრებელი თავდაცვითი ფუნქციებით. კოშკის ქვედა ნაწილი თითქმის ათი მეტრის საიმაღლეზე ყრუა, ხოლო ზემოთ – კამაროვანი. არაა გამორიცხული, რომ ქვედა ყრუ ნაწილშიც სათავსი იყო, მზოლოდ ზემოდან ჩასასვლელი. დაზიანებული კამაროვანი სართულის დეტალების გარკვევაც ვერ ხერხდება. ალბათ, იგი უპირველეს ყოვლისა, სადაზვერვოს წარმოადგენდა. აქედან სამხრეთით კოლხეთის მთელი დაბლობი მოჩანს, ჩრდილოეთით მარტვილის მიდამოები და სხვა. ამ კოშკის აღმოსავლეთიდან რაღაც კედელი შედის, უკეთ – კოშკი დაშენებულია ადრე არსებულ გალავანზე. იქვეა წვრილი და ღრმა, დღეს გაურკვეველი ხვრელები. კოშკი რამდენიმე სამშენებლო ფენისაგან შედგება. ამ დიდი შენობის („ჯიხას“. სამხრეთის მონაკვეთის გეგმა გრძელი სწორკუთხედია. აქ აშკარად ოთხი სამშენებლო ფენა მაინც არის. ამას გარდა, არის მცირე გადაკეთებები, რომელთა განსაზღვრა, კედლების დაზიანების გამო, ძნელდება. ამ გრძელი შენობის მოკლე მხარეებიდან ჩრდილოეთისა კოშკსა აქვს მოკავებული, სამხრეთისა დგას ბოლო პერიოდის გადაკეთებით, რაც აშკარად მიგვითითებს მის ორფერდა დამთავრებაზე, ეს კი, თავისთავად, მეტყველებს შენობის ორფერდა სახურავზე.

ამ თაღოვანი პილონების ზემოთ, გარე კედლებში ორი პერიოდის მშენებლობა ჩანს. ქვედა სამშენებლო ზოლი, რომელიც არათანაბრად გადის დასავლეთისა და ჩრდილოეთის კედლებზე (აღმოსავლეთის კედლის დიდი ნაწილი დანგრეულია), ორიდან ოთხი მეტრის სიმაღლემდე აღწევს, ზემოთ კი გვიანი საუკუნეების, ალბათ, დადიანების დროინდელი დანაშენია. ქვედა კედლებში ჩანს სართულშუა გადახურვის საკოჭავები. ამავე მონაკვეთზე, დასავლეთის მხარეს, შუაში რამდენიმე მეტრზე აგურის სამფენიანი წყობაა. ასეთივე, ე. წ. შერეული წყობა აღვწერეთ ქალაქის ქვედა ნადილის იმ კოშკში, რომელიც ჩართულია სამხრეთის გალავანში. ასე რომ, მათი აგება ერთ ეპოქაში ეჭვს არ იწვევს. გალავნის ჩრდილო ხაზზე კიდევ ერთი მცირე ზომის კოშკია მიდგმული. მისი კედლები ორ მეტრამდეა შერჩენილი და კარი, ან სხვა ელემენტი არ ახლავს. მისი თხელი კედლები და მცირე ზომები ორ სართულზე მეტს ვერ აიტანდა. იგი უფრო დამატებით სათვალთვალო პუნქტად უნდა წარმოვიდგინოთ. აღმოსავლეთით ის მაღალი და ვიწრო ქედი, რომელიც ციტადელს ებჯინება, გალავნიდან ასიოდე მეტრზე იყო ჩაკეტილი. ფაქტიურად ეს იყო უღელტეხილი, რომელზედაც გადიოდა საურმე გზა. ეს გზა ქალაქს აკავშირებდა (მდ. ტეხურის ამყოლი გზის გარდა) ჩრდილოეთით მდებარე სოფლებს.

ციტადელის დაგეგმარების დროს მხედველობაში მიუღიათ მთის წვერის რელიეფი და კედლებიც შესაფერისად გადაუწვეტიათ. დასავლეთისა და ჩრდილოეთის მხარეებზე შედარებით ძლიერი დამრეცი ფერდობებია, ამიტომ აქ მხოლოდ კედლის ერთი ხაზია, რომელიც სისქით მერყეობს 120-140 სანტიმეტრს შორის. კედლებს, არც შიგნითა და არც გარეთ, კონტრფორსი ან სხვა მინაშენი არა აქვს. ორივე ხაზი ძალზე დაზიანებულია და ორი სამშენებლო ფენა ჩანს. ორივე ყორე ქვითაა ნაგები, მაგრამ ქვედა ფენის ქვები უკეთაა დამუშავებული და უფრო დიდებიცაა.

გალავნის სამხრეთის ხაზზე აშკარად იკვეთება სამი სამშენებლო ფენა, მაგრამ ზოგან სხვა ოსტატის ხელიც ჩანს. ციტადელის გალავნის სამხრეთის ხაზის დაცვისუნარიანობის გაზრდის

არქეოპოლისის ისტორიული წარსულის მიმოხილვა და მისი არქიტექტურული დახასიათება ასევე აქვს კ. მელითაურს[1].

ნოქალაქეთის ციხე აღწერილი აქვს ს. მაკალათიასაც[2]. ამავე დროს გაზ. „ივერიის“ 1900 წლის ნომერში თ. ჟორდანიასეული ციხე-გოჯის აღწერილობაა გამოქვეყნებული, რომელიც მნიშვნელოვანია იმ პერიოდში ციხის მდგომარეობის წარმოსადგენად[2].

მიზნით ახალი სისტემა შეუქმნიათ. ესაა საბრძოლო ბილიკი, რომელიც აღწერილ გალავანზე შიგნიდანაა დამატებული.

ნოქალაქევში გალავანსა და მერე მიდგმულ კედლებს შორის განსხვავებაა საშენი მასალისა და წყობის ტექნიკის მხრითაც. პირველი სამშენებლო ფენა თუ მარტო სანახევროდ დამუშავებული ქვითაა ნაგები, მეორე ფენას აგური ურევია. ამავე დროს, ამ მინაშენებში ქვა ფლეთილია და წინანდელთან შედარებით პატარა ზომისაა. აგურის ფენა კი სამ-სამი რიგისაგან შედგება. აგური გამოყენებულია „ჯიხას“ დასავლეთის კედელში და ქალაქის ქვედა მონაკვეთის სამხრეთის კოშკის შიდა მხარეს. სამივე შემთხვევაში აგურს მცირე რაოდენობით იყენებდნე და ისიც არა მთლიან შრეებად, არამედ ნაწილობრივ, აქა-იქ. ვთიქრობთ, რომ აგურის გამოყენების ეს სისტემა, შერეული წყობა, უფრო მისი განვითარების ადრეულ ეტაპზე მიგვითითებს, ვიდრე გვიანდელზე.

ქალაქის გამაგრების სისტემის განხილვამ აშკარად დაგვანახა მისი მაღალი თვისებები. გათხრებმა გვიჩვენა, რომ ქალაქის გალავანი არაერთხელ ყოფილა დაზიანებული. მაგრამ მისი საბოლოოდ მოსპობა მტრებმა მაინც ვერ შეძლეს. ვახუშტი ბაგრატიონის ცნობით, „ნაქალაქევი, ციხე-გოჯად წოდებული... შემუსრა ყრუმ, არამედ იყო კვალად ქალაქი, და შემდგომად მოოხრდა ქალაქი“ (ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსი, თბ., 1941, გვ. 166-167). აქედან იმ დასკვნის გამოტანა შეიძლება, რომ არაბებმა ქალაქი საბოლოოდ მწყობრიდან ვერ გამოიყვანეს, ე. ი. VIII ს. 30-იანი წლებიდან მას კიდევ გაუგრძელებია არსებობდა მხოლოდ „შემდგომად მოიხდა ქალაქი“. სამწუხაროდ, ჩვენამდე არ მოეღწევია იმ საბუთს, რომელზედაც ეყრდნობოდა ვახუშტი. ჩანს, რომ ქალაქის ცხოვრება მცირე მასშტაბით IX-X საუკუნეებშიაც გრძელდება (პ. ზაქარაია, თ. კაპანაძე, ციხე-გოჯი – არქეოპოლისი – ნოქალაქევი. ხუროთმოძღვრება, თბ., 1991, გვ. 15-68.

[1] К. Мелитаури, Крепости феодальной Грузии, Тб., 1969, გვ. 37-46.
[3] „ციხე ქუჯისა, ანუ ციხე-გოჯი

ერთი უძველესთა ნაშთთაგანი საქართველოს სიძველეთა.

ნაშთი ქუჯის ციხისა ანუ „ციხე-გოჯისა“, რომელიც ჩვენ დაწვრილებით დავათვალიერეთ 18-19 ივნისს ამა წლისასა. ციხე-გოჯი აშენებულია მდინარე ტეხურის ნაპირას, მთის წვერსა და კალთებზედ უჭირავს ალაგი სიგრძით ვერს ნახევრამდე და სიგანით 100-200 საჟენამდე. ორის მხრით მდინარისკენ ეს ალაგი მიუვალია ქარაფიანის კლდეებისა და მდინარისაგან, ხოლო სხვა მხრით გარშემოვლებულია მაგარის ზღუდით. ეს ალაგი დღეს წოდებულია ნოქალაქევად. პირველის შეხედვით მგზავრი განსაკუთრებულად შეამჩნევს: სოფელში შესული დაინახავს მხოლოდ სამს ციხეს, რომელთაგან ერთი ქვევით არის აშენებული მდინარის ნაპირას და ორი სხვა მთის წვერზედ. გარდა ამისა, მგზავრი გაივლის კიდევ ერთის მაღალის კარებში, რომელიც კაცს არ აღუძრავს განსაკუთრებულს ცნობის-მოყვარეობას. სულ სხვა შთაბეჭდილება მივიღეთ ჩვენ, რომელსაც 18-19 ივნისს ადგილობრივის ბლაღოჩინის ჩაჩიბაიასი, ფერშლის კ-ისა და მთავარ-დიაკვნის შ-ძის დახმარებით მოვიარეთ მთელი ციხე და რამდენადაც ეს შესაძლებელი იყო ზაფხულში (როდესაც ნანგრევი ტყით არის დაფარული), დაწვრილებით განვიხილოთ მთელი ის ალაგი, რომელიც სჭერია ძველს ციხეს. უმთავრესნი დასკვნანი, რომელნიც გამოვიტანეთ ჩვენ ამ განხილვიდგან შემდეგია: 1) ყველა ზემოხსენებული სამი ციხე, რომელნიც შორიდამვე სჩანს, არ არის ძველი ციხე: აშენებულნი ყოფილან შემდეგს დროებაში, XII-XIV საუკუნოებში შედარებით წვრილ ქვებისაგან, რომლითაც აშენებული ყოფილა

ნოქალაქევის ციხეზე, მის ეკლესიასა და იქ ანდრია პირველწოდებულის მიერ ქრისტიანობის ქადაგებაზე საინტერესო ცნობებს გვაწვდის გაზეთ დროებაში თეოფ ხუსკივაძე, რომელსაც ის ადგილზე ჩაუწერია[1].

უძველესი დედა-ციხე; 2) ნამდვილი ძველი ციხე შორიდგან არა სჩანს, იგი თუმცა მიწასთან არ არის გასწორებული, მაგრამ იმდენად დაზიანებულ-დარღვეულია, რომ ტყე-ბუჩქნარებში შორიდგან ძლივს გამოირჩევა. ეს ძველი ციხე წარმოადგენს ზღუდეს, რომელიც მთელს ზამოხსენებულს მთას და ველს სამ სარტელად შემოვლებია. ერთი სარტყელი მთის წვერზეა და შეადგენს დაახლოვებით მეოთხეს ვერსს სიგრძით, მეორე მთის შუაშია ერთ ვერსამდე სიგრძით და უკანაკსნელი მთიდამ ვაკემდე და ტეხურის ნაპირამდე ჩამოდის. მაგრამ რა ზღუდეა ეს სამი ზღუდე! თითქმის არ დაგვრჩენია განუხილავი საქართველოს დიადი ნაშთები, მაგრამ ამის მსგავსი არა შემხვედრია-რა. პირველად გაგაოცებთ ის, რომ ყველა ზღუდე აგებულია უზარმაზარის ნათალ ქვებით, რომელთა სიდიდე და სიმძიმე ზღაპრულია: ხშირად შეხვდებით ქვებს, რომელიც სიგრძით ორითგან ოთხ არშიამდე მიაწევს, რამდენიმე ქვა ვნახეთ სიგრძით ხუთის არშინისა და ცოტა მეტიც, შესაფერი აქვს სიგანეც და სიგრძეცა! ...სიმტკიცე აქვთ კაჟისა, იოტის ოდენა გავლენა არ ეტყობა ორის ათასის წლისა! – ვისაც უნახავს ან გაუგონია ესრეთ წოდებული циклопическоя постройки, უნდა დარწმუნდეს, რომ ციხე-გოჯიც ერთი უდიდებულესთა ნაშთაგანია ამ გვარის შენობათა. ხოლო უფრო გასაკვირია ის, რომ ამოდენა სამზღუდიანს კედელს ვეებერთელა სისქე აქვს: ოთხი არშინი! სად გაგონილა ამ სისქე შენობანი? ორი ურემი თავისუფლად გზას აუქცევს 5 და 6 არშინიან კედელზედ. განთქმული ბაბილონის კედელი, ვგონებ, უსქესი არ იყოს. სამწუხაროდ, სიმაღლე კედლებისა მეტად დაზიანებულია, უმეტესს შემთხვევაში აწინელი სიმაღლე არ აღემატება 4 არშინს, მაგრამ ზოგან კი შენახულია ხუთიდგან შვიდ საჟენამდე სიმაღლე. ციხეს ანგრევენ შენობათათვის. გარშემო სოფლელები ეკლესიებს ამ ქვებით იშენებენ, ხოლო თვით ნაქალაქევის მცხოვრებნი ხომ არა თუ სახლ-სარდაფებს, არამედ გალავანსაც კი ამ ქვებით იკეთებენ. ძალიან კარგი რომ უზარმაზარია ეს ქვები და ვერ დაუძრავთ, თორემ ნატამალიც არ დარჩებოდა აქამდე ამ ძვირფასის ნაშთისაგან. მე მითხრეს, რომ მებატონენი დადიანნი ჰყიდიანო კიდეც ამ ქვებს, როგორც თავისს საკუთრებას, თუმც ძნელი დასაჯერებელია, რომ ესრეთთ წარჩინებულ გვართა არ იცოდნენ კანონნი არქეოლოგიურ ნაშთთა შესახებ... უეჭველია, რომ 1300 წელს ხალხი სძარცვავდა ამ ნაშთებს, მაგრამ მაინც ამდენი საუკუნენი ვერ მოჰრევიან, რადგან მართლა რომ აუარებელია და განსაცვლიფრებელი სიმრავლე და სიდიადე ქვათა.

გარდა ზემოხსენებულის სამღუდისა, ქუჯის ციხეს (ე. ი. უძველესს ნაწილს ციხისას) ეკუთვნის შესანიშნავის ხელობითა და უზარ-მაზარის ქვებით აშენებული ვრცელი გვირაბი ციხიდამ ტეხურის მდინარემდე. გვირაბი ავსებულია მიწით ლა მხოლოდ პირი-და სჩანს იმისი“ (გაზ. ივერია, №192-193, 1900, თ. ჟორდანია).

[1] „ძველ-სენაკიდგან რამდენიმე საათის სავალზე მდებარეობს ნაქალაქევი თვისის მადნის წყლით. საუცხოო ადგილია ნაქალაქევი. ერთის მხრით ფითალო კლდეები აღმართულან და მეორეს – გაჭიმულან უზარ-მაზარი მთაგორაკები, რომელთ წვეროებწე წამოეუნჭულან ციხეთა ნანგრევი კლდეები; ამათ შუა რბის მდ ტეხური და რაღაც უცნობის ხმით ედუდუნება გარშემო ძველ ციხეთა ნანგრევ კედლებს. ნაქალაქევის მდებარეობის პირველი შეხედვა მოგაგონებთ ჩვენი პოეტის სიტყვებს:

ბუმბერაზ მთანი მდუმარედ

ცათამდის აყუდებულნი,

სხედან ვით დევნი სპეტაკის

ყინულ გვირგვინით შემკულნი,

მათ კლდოვან გვერდთა შავათა

ო. სოსელიას გამოკვლევით, ნოქალაქევს ფლობს არჩილ დავითის ძე ბატონიშვილი, შვილიშვილი მანუჩარ ბატონიშვილისა. ნოქალაქევში იყო მისი რეზიდენცია. აქ ჰქონიათ სასახლე კარის ეკლესიითა და ვრცელი ეზოთი[1].

3. ნოქალაქევის ორმოც მოწამეთა სახელობის ეკლესია

ნოქალაქევის ციხე-სიმაგრის ეზოში დგას ორმოც მოწამეთა სახელობის გუმბათიანი ეკლესია, რომელმაც უამრავჯერ განიცადა გადაკეთება და მისი თავდაპირველი ისტორია მთლად ნათელი არ არის,

---

ზედ დასწოლიან

ებით ქვეყანას

ემუქრებიან!...“

ით არის ერთი დიდი ციხის ნანგრევები და იქვე გვირაბი – დამაც ომიანობის დროს სასმელი წყალი ამოჰქონდათ ხოლმე მდ. ტეხურითგან ზევით ციხეში. აქ აგდია ერთი დიდი ქვა, რომელზედაც ერთმა მოხუცებულმა მეგრელმა შემდეგი მიამბო: ამ ქვაში იყო ჩასმული მარმარილოს ქვა და თავზე ოთხივ-კუთხით მურმან-ყრუს დაყენებული მცველები ადგნენ თოფ-იარაღებით, რომ არავის გაებედნა მასზედ დაჯდომა, რადგანაც წესად იყო მიღებული, რომ ვინც გაბედავდა და მიასწრებდა ამ ქვაზე დაჯდომას ის უნდა მეფედ გამხდარიყო. ამ დროს ანდრია მოციქული ქრისტიანობის გავრცელებისათვის დაჭერილი იყო, ხელ-ფეხში სადადიანო ბორკილი ეყარა და ეგდო გვირაბის თავში მდ. ტეხურის ნაპირას. საღამოს დროზე ერთი დედა-კაცი ჩამოსულიყო გვირაბში წყალის ამოსატანად, აევსო ჭურჭელი და როდესაც გამობრუნებულიყო, გაეგონა გაღმა ნაპირიდგან კაცის ხმა: „დედაკაცო, წადი უთხარი ანდრია მოციქულს, რომ პეტრემ აქ მოდი თქო“. ქალი შიშს შეეპყრო, პასუხის მიუცემლად ამოსულიყო გვირაბითგან და რა შეეხედნა ამ ოთხ დაიარაღებულ მცველებისათვის უნებლიედ გაეღიმა და შემდეგ რაღაც უცნაურად გასცინებოდა. ამ დროს თურმე მეფე და მისი ცოლი ზევითგან უცქერდნენ ამ ქალს და მაშინვე თავის მოკვეთა ებძანათ; ქალმა სამი სიტყვის თქმა სთხოვა და, როდესაც მიიღო, სთქვა: „პეტრე ეძახის ანდრიასაო“. ამას მეფემ ყურადღება არ მიაქცია პეტრეს სიტყვები საცინლად აიგდო და უთხრა ანდრია მოციქულს: „აბა სინჯე და წაბრძანდი შენს პეტრესთან“. ანდრია იმ წამსვე ამდგარიყო და რკინები იქვე დასცვივნოდნენ თავისთავად. განთავისუფლებული ანდრია მისულა და დამჯდარა ამ ქვაზე, რომელსაც მღველები თავზე ადგენ. მას აქეთ არის რომ ანდრიამ უფრო-და-უფრო იწყო ქრისტიანობისა და სწავლის გავრცელება სამეგრელოშიო... ამ ციხის ბოლოს, იქ სადაც გზატკეცილი გაივლის, აშენებულია ერთი ქვითკირის ეკლესია, რომელსაც „ორმოცისას“ ეძახიან. ეს სახელი, აი რისთვის უწოდებიათ. აქ უწინდელს დროში მდ. ტეხურში დაუღრჩვიათ ოც-და-ცხრამეტი კაცი, რომელთაც ღამე ნათელი დასდგომიათ; ეს ნათელი უნახავს ერთ მღვთის მოსამსახურე დედა-კაცს, რომელსაც გარდა ერთი შვილისა არ გააჩნდა რა თურმე. ეს ერთი შვილიც გადუგდია წყალში იმ დამღრჩვლებთან და უთქვამს „ოც-და-ცხრამეტი მანდ იყო – ესეც მეორმოცეო“. აუგიათ ამათ საფლავებზედ ეკლესია და დაურქმევია „ორმოცისა“ (გაზ. დროება, №185, 1885, თეოფ ხუსკივაძე. აგვისტოს 21-ს).

[1] ო. სოსელია ნარკვევები ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიიდან (სათავადოები), III, თბ., 1990, გვ. 110.

თუმცა როგორც ჩანს უძველესია ანუ იმ დროინდელი, როდესაც ქრისტიანობა უკვე ფეხადგმულია ბიზანტიის იმპერიაში და მათ შორის ეგრისის სამეფოში.

ნოქალაქევის ორმოც მოწამეთა ეკლესიას დ. ბაქრაძე, პროკოფი კესარიელის ცნობაზე დაყრდნობით, VI საუკუნისად თვლის და მას ღვთისმშობლის სახელობისად მიიჩნევს, თუმცა იქვე აღნიშნავს, რომ „Но здес оно носит название сорока мучеников, потому, что, в первом приделе показываются сорок кружков, правильно расположенных на помосте, где бутто-бы погребены остатки севастийских струальцев. Местное продаже называют жаде озером сорока мучеников живописную часть р. Техура, действительно имеющую вид озера у выхода из подземного прихода, и утверждает будто они пострадили на этом месте[1].

ნოქალაქევის ორმოც მოწამეთა ეკლესიის ისტორია, როგორც წერილობით წყაროებზე დაყრდნობით, ასევე ძველი არქიტექტურული ფორმებით, გამოიკვლიეს პ. ზაქარაიამ და თ. კაპანაძემ, რომელსაც ისინი V საუკუნით ათარიღებენ. ქვემოთ შემოგთავაზებთ ამ კვლევის ძირითად დეტალებს[2].

---

[1] Дм. Бахтадзе, Кавказ в древных памятниках христианства, Записки общества любителей кавказской археологии, кн. I, под. ред. Ад. Берже и Дм. Бакрадзе, Тиф., 1875, გვ. 110-111.

[2] „ორმოცმოწამეთა“ ეკლესია მრავალჯერაა გადაკეთებული და ამჟამად გუმბათოვან ნაგებობას წარმოადგენს. ტაძარი თავიდან სამნავიანი ბაზილიკა ყოფილა შვერილი ხუთწახნაგა აფსიდით, დღეს მის ინტერიერში შეიმჩნევა როგორც ბაზილიკის, ისე გუმბათოვანი ტაძრის ელემენტები. ტაძრის მთავარ ნაწილს წარმოადგენს ცენტრალური მონაკვეთი, რომელიც აღმოსავლეთით ოდნავ შესამჩნევი ნალისებური მოხაზულობის საკურთხევლის აფსიდით მთავრდება. საკურთხეველს სიმეტრიულად განლაგებული სამი სარკმელი აქვს. ისინი თავდაპირველად განივრები ყოფილან, შემდეგ კი დაუწვრილებიათ. აშკარად ჩანს გადაკეთების კვალი. გუმბათი ცენტრალური დარბაზის ცენტრშია აღმართული და იგი გრძივ მხარეზე კედლებს ეყრდნობა, ხოლო მოკლე მხარეებზე – განიერ საბრჯეგ თაღებს, კვადრატიდან გუმბათზე გადასვლა აფრული წესით ხდება, მაგრამ აფრა არაა მკვეთრად გამოხატული. გუმბათის ყელი დაბალია, ხოლო ყელის საწყისი გამოყოფილი არაა. მის კედლებში თაღის დონეზე იწყება. თვით გუმბათი უფრომოა და ზედაპირიც უსწორმასწორო აქვს. გუმბათქვეშა თაღების დონეზე გვერდის კედლებში თითო განიერი და მაღალი სარკმელია გაჭრილი. იმავე დონეზე დასავლეთითაც არის სარკმელი. რომელიც, ამათგან განსხვავებით, დაბალი და განიერია. ეს სარკმელი დამაკავშირებელი ღიობია დასავლეთით მეორე სართულზე არსებულ სათავსთან.

ტაძრის ცენტრალური დარბაზი ქვედა ჰორიზონტის გრძივ მხარეებზე თითქმის ერთნაირადაა გადაწვეტილი. სამხრეთის მხარეს სამი თაღია. პირველი, აღმოსავლეთით მდებარე. გვერდით სათავსში შესასვლელს წარმოადგენს. მომდევნო თაღი – ოდნავ განიერი და მაღალი – ცენტრალურ ნავს გვერდის ნავთან აკავშირებს. მესამე – შესამჩნევად განიერია, იგი აღნიშნული ორი ნავის ძირითადი დამაკავშირებელია. მოპირდაპირე ჩრდილოეთის მხარეს არსებული ორი თაღი იმეორებს სამხრეთის თაღების ნიშნებს, ხოლო აფიდასთან ახლოს მდებარე განსხვავებულია. საქმე ისაა, რომ აფსიდისგან სამხრეთით მდებარე თაღი თავდაპირველია. მისი ფორმები ზუსტადაა გამოყვანილი, ხოლო ჩრდილოეთისა გვიანაა გაჭრილი და მისი კედლები და გადახურვა უსწორმასწორო ზედაპირით ხასიათდება. ამ კედლის გაჭრა დაკავშირებულია ჩრდილოეთის ნავის მაგივრად ახალი სამლოცველოს გაჩენასთან.

ცენტრალური დარბაზი დასავლეთის ნართექსს ერთი განიერი თაღით უერთდება, რომელიც ცოტათი ვიწროა გვერდით დიდ თაღზე. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ცენტრალურ ნავში შემავალი ყველა თაღი ნახევარწრიული მოხაზულობისაა. ეკლესიის გვერდითი ნავები მრავალჯერაა გადაკეთებული და ეს გადაკეთებები სხვადსხვა ხასიათს ატარებს.

შედარებით მარტივია სამხრეთი ნაწილის დღევანდელი მდგომარეობა. იგი ორი ნაწილისაგან შედგება: აღმოსავლეთით ცალკე სათავსია, ხოლო დასავლეთით – ნავი. სათავსი რამდენჯერმეა გადაკეთებული. გეგმით იგი სწორკუთხაა და გვერდით ნავზე საკმაოდ დაბალია. მისი კამაროვანი გადახურვის ღერძი ეკლესიის ნავების ღერძებთან საპირისპიროდაა მიმართული. მას ამჟამად ორი კარი აქვს. ერთი, თავდაპირველი, ჩრდილოეთისა, მეორე –

დასავლეთისა, უხეშად გაჭრილი, ამ სათავსს სამხრეთის ნავთან აერთებს. სათავსის სამხრეთის კედელი გვიანაა ამოშენებული. მას აღმოსავლეთით საკრმელი ჰქონია, რომელიც ამოუშენებიათ. მის მაგივრად სამხრეთით კედლის გაჩენასთან ერთად გაუჭრიათ ახალი სარკმელი, რომელიც თავდაპირველზე მაღლა მოუქცევიათ.

ეკლესიის სამხრეთის ნავი გადახურულია ცილინდრული კამარით. მისი კედლები გადაკეთებულია. ნავის აღმოსავლეთის კედელი ძველია, დანარჩენი კი მომდევნო ხანისა ჩანს, მაგრამ შეიმჩნევა ადგილობრივი ხასიათის გადაკეთებებიც.

ჩრდილოეთის ნავის აღმოსავლეთის მონაკვეთი უფრო მეტადაა გადაკეთებული. დასავლეთით დარჩენილია ცილინდრული კამარით გადახურული ვიწრო ნავი, რომელიც თაღებით უერთდება ცენტრალურ ნავს. ჩრდილო ნავის აღმოსავლეთი ნაწილი მთლიანად დაურღვევიათ და ვრცელი სამლოცველო შეუქმნიათ. ცხადია, რომ მას სარკმელიც ექნებოდა აღმოსავლეთით. იმის გამო, რომ ცენტრალური ნავის კედელში გაჭრილი კარი გვიანია, ამ სათავსს კარი მხოლოდ დასავლეთით შეიძლებოდა ჰქონოდა.

შემდგომი გაჩენილი სამლოცველო საკმაოდ ვცელია, მისი აფსიდა ღრმაა და მოსახულობით ნახევარწრეს უახლოვდება. საკურთხევლის ცენტრში ერთი სარკმელია. საკრმელის ქვემოთ მიდგმულია კუბური ფორმის ტრაპეზის ქვა. აფსიდის კედლებში სხვადასხვა ზომისა და სიღრმის ნიშებია დატანებული. მათში თავისი სიმაღლით და სიღრმით გამოირჩევა ჩრილოეთის ცენტრალური ორი ნიშა, რომლებიც ერთმანეთის თავზეა განლაგებული. საკურთხეველში კანკელი როგორ იყო მოწყობილი, არ ჩანს, მაგრამ ერთი სამსაფეხურიანი ტრაპეზი კიდევაა ჩრდილოეთით, აფსიდის ძგიდეზე მდგმული. თითო ნიშაა ჩრდილო კედლის ცენტრალურ ნაწილსა და დასავლეთ კედლის მარჯვენა კუთხეში. რაც შეეხება საკრმელს, იგი საკურთხევლის გარდა, კიდევ თითო ყოფილა დასავლეთითა და ჩრდილოეთით, მაგრამ შემდგომი ორივე ამოუქოლიათ. ამ ვრცელი სამლოცველოს შემდგომში ცენტრისაგან ნაწილობრივ გამოყოფის მიზნით, ეკლესიის ნავის გაგრძელებაზე ვიწრო კედელი. ეს 1,5 მეტრის სიგრძის კედელი ცენტრალური ნავის დიდი თაღის საყრდენამდე მოდის, ისე რომ, კარის შებმა უკვე მოსახერხებელი იყო. შესაძლოა, იმავე დროს მოხდა სამლოცველოს სამხრეთით, აფსიდის გვერდითი კედლის განგრევაც, როგორც ეტყობა, ამ დროს სამლოცველომ დაკარგა დამოუდიდებელი სახე და იქცა საკურთხევლის დამატებად.

სამლოცველოს დასავლეთ მონაკვეთში მდებარეობს ორი აკლდამა. როგორც ეტყობა, ნოქალაქევის ბოლო მფლობელმა, დადიანების ერთმა შტომ, აქ გაიჩინა საკუთარი საძვლე. ამაზე მიგვანიშნებს სამლოღველოს დასავლეთით გარედან მიდგმული აკლდამაც.

აღმოსავლეთით, ცენტრალური ნავის მთელ სიგრძეზე, კედლის ნაშთი აღმოჩნდა, მაგრამ რომელი შენობისაა, ამის გარკვევა ძნელია.

ეკლესიას აქვს მეორე სართული, რომელიც ასევე ძლიერ გადაკეთებულა. რაც მთავარია, არ ირკვევა მისი ფუნქცია, რადგან ასასვლელი არ ჩანს. ღოიობები წარმოადგენენ ბოლო დროს შესასვლელებს. ამ ღიობიებიდან შეიძლება მოხვდე დასავლეთისა და ჩრიდილოეთის მონაკვეთებში, მაგრამ სამხრეთის მარჯვენა ნაწილში კი ვერა. მათ შორის ყრუ კედლებია, შესასავლელი გადაკეთების შედეგად დაკარგულია. ეს ორი კარიც, რომელიც ერთადერთი საშუალებაა მეორე სართულზე შეღწევისა, ძალზე მიუდგომელია, რადგან კედლის გასწვრით არც კარიბჭე და არც რაიმე სხვა ნაგებობა არ უნდა ყოფილიყო. თავდაპირველი კარი უთუოდ უფრო მოხერხებულ ადგილზე იქნებოდა (ეს ღიობები 60-იან წლებშია აღდგენილი).

მეორე სართულთან დაკავშირებით უნდა ითვას, რომ იგი ინტერიერში ფუნქციურად ჩართული არ არის. იგი ცენტრალურ ნავთან დაკაშირებულია მხოლოდ დასავლეთის ერთადერთი სარკმლით, ეს სარკმელი პატარაა და თანაც ცენტრში კი არ არის, არამედ სამხრეთით. აქედან გამომდინარე, ეკლესიის მეორე სართული პატრონიკენის როლს ვერ შეასრულებდა.

ტაძრის ფასადებზე მრავალი სამშენებლო ფენა ჩანს. ფენები აქაც ძლიერაა არეული და მათი ზუსტი გამიჯვნა არ ხერხდება. შედარებით კარგადაა შემონახული აღმოსავლეთი ფასადი, რომლის მთავარ ნაწილს შვერილი ხუთწახნაგა აფსიდა წარმოადგენს. სამი ცენტრალური წახნაგი თითქმის თანატოლია.

აღმოსავლეთ ფასადის მარცხენა მხარე, გვერდითი სათავსის კედელი, რამდენჯერმეა გადაკეთებული. თავდაპირველი უნდა იყოს ქვის წყობის რამდენიმე ქვედა რიგი, დაახლოებით ერთი მეტრის სიმაღლეზე. გათხრების დროის გაირკვა, რომ ეს კედელი სამხრეთის მიმართულებით კიდევ გრძელდებოდა, მაგრამ იგი მალე წყლება და თუ რა იყო შემდეგ, არ დგინდება. კედლის ზედა ფენაში ქვის არეული წყობაა. ზოგან აგურც ურევია. კარგად ჩანს გვიან ამოშენებული მოზრდილი თაღოვანი სარკმელი. აღმოსავლეთ ფასადის მარჯვენა მხარე ფაქტიურად ერთდროულია, რადგან გვიან აგებულ სამლოცველოს ეკუთვნის. ეს კედელი მთლიანად სხვადასხვა ზომის თლილი ქვებითაა ამოყვანილი, მასალა, ეტყობა, ნაქალაქარის ნანგევებზეა მოგროვილი, მას მარტივი ცოკოლი აქვს, კარნიზი არ შემორჩენია. სარკმელი, რომელიც ამ ფასადზე მდებარეობს, გვიან დაუპატარავებიათ.

ეკლესიის დასავლეთის ფასადი მარტივია. იგი ერთი სიბრტყისგან შედგება. გადახურულია ორფერდა სახურავი. შუაში, ერთ ღერძზე განლაგებულია კარი და სარკმელი. კარი სწორკუთხაა და ფართო. აშკარად ეტყობა, რომ იგი უფრო ვიწრო იყო. ხის კოჭოვანი გადახურვაც, რომელიც მას აქვს, ახალია.

სარკმელი, რომელიც მეორე სართულს ანათებს, განიერი და მადალია. მას გადაკეთება არ ეტყობა, იგი იმავე სამშენებლო ფენისაა, რომლისაც კედელი.

ეს ფასადი რამდენიმე სამშენებლო ფენისაგან შედგება. ფასადის მთელ სიგრძეზე ქვედა ფენა, დაახლოებით სამ მეტრზე, სხვა წყობითაა ნაშენი, ვიდრე ზედა. მასზე დაშენებულია შუა ნაწილი, ცენტრალური ნავის სიგანეზე. მარცხენა მხარეს აშკარად ჩანს მიშენების კვალი, რომელიც მარჯვნივ არ შეიმჩნევა. მთელ ფასადზე გამოფიტული ქვის კედლები აგურითაა შევსებული. ამ საფადზე თითქმის სარკმლის დონემდეა, მცირედაა შერჩენილი ფრესკის ფრაგმენტები, იგი იმ მინაშენის დროინდელია, რომელიც აქ არსებობს.

სამხრეთის ფასადზე... ყველაზე მრავლადაა გადაკეთების კვალი.

ეკლესია ამჟამად გუმბათოვანია. მისი გუმბათი ცილინდრია და დაბალი. გუმბათის ყელის კუთხეებში გუმბათქვეშა კვადრატის სამკუთხა შვერილებია. გუმბათის ყელი მთავრდება სწორკუთხა ვიწრო კარნიზით. მას ცილინდრული ყელის ჯვარედინად განლაგებული ოთხი სარკმელი აქვს. გუმბათი ნაგებია წვრილი, თლილი ქვით, ამჟამად გადახურულია კონუსური ფორმის სახურავით. 40-იან წლებში ეკლესია თუნუქით გადაუხურავთ, მანამდე ყავრით ყოფილა გადახურული, თავდაპირველად გადახურვა კრამიტისა იყო.

ეკლესიის დასავლეთის მინაშენის სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში მცირე სამლოცველო აუგიათ. მისი ჩრდილო კედელი მიანიშნებს სამხრეთ კედელზე იყო მიდგმული. ამ სამლოცველოს ქვეშ ქვით ამოშენებული სამი გაძარცული სამარხი იყო.

სამლოცველო ისეა დანგრეული, რომ მხოლოდ გეგმის მოხაზულობა ირკვევა. აფსიდის სიმრუდე ძლივს ემჩნევა, კედელზე მიშენებული ყოფილა ტრაპეზი. სამლოცველო თლილი ქვითაა ნაგები და მისი ფასადების წყობა ჰგავს ეკლესიის ჩრდილოეთით მიდგმულ სამლოცველოს (ამ სამლოცველოს სამხრეთის კედელში ორი ქვაა, რომელთაც შერჩათ რკინის სამაგრების ნაშთები. მსგავსი ქვები რკინის სამაგრებით სხვაგანაცაა და მათ მივიჩნევთ ქუჯის დროინდელი გაგებობის ნაშთებად).

საერთო მონაცემებით და კერძოდ, ფრესკული მხატვრობით, შეიძლება ვთქვათ, რომ ეკლესია დაახლოებით XVI საუკუნიდან ერთგვარ აღმავლობას განიცდის. ამ დროსაა მიშენებული ჩრდილოეთის სამლოცველო, დასავლეთით ეკლესიას აფართოებენ, ეკლესიის კედლები ხელახლა იფარება ფრესკით, ეს ყველაფერი, ვფიქრობთ, დადიანების გაძლიერების ეპოქას უკავშირდება.

თავდაპირველ ეკლესია აგებულია მის სამხრეთით მდებარე დიდი ბაზილიკის დანგრევის შემდეგ. ამ ეკლესიის მხოლოდ საკურთხეველია ნაწილობრივ გადარჩენილი. აფსიდა მთლიანადაა მოღწეული. თავდაპირველია აგრეთვე სამხრეთის სათავსის აღმოსავლეთის კედლის ფენები. და სამხრეთისა და ჩრდილოეთის ნავების აფსიდის მოსაზღვრე კედლები. ერთადერთი რისი თქმის საშუალებასაც იძლევა ძეგლის ნაშთები, ესაა მისი სამნავიანობა. ბაზილიკები დამახასიათებელია ადრეფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოსათვის. მრავალწახნაგა აფსიდებში სხვა თავისებურებებსაც ვხვდებით. მაგალითად, აღსანიშნავია წახნაგების ურთიერთმიმართება. ბიჭვინტასა და განთიადში, ისევე როგორც ნოქალაქევის მეორე ბაზილიკაში, განაპირა წახნაგები ურთიერთპარალელურია, დანაჩენ ძეგლებში გვერდები ცენტრისკენაა გადახრილი. ნოქალაქევის აფსიდა შიგნით ოდნავ შესამჩნევი ნალისებური მოხაზულობისაა, დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ასეთი ფორმა აქვს იქვე, ნოქალაქევში ადრე მდგარ ბაზილიკას, ციხისძირას ბაზილიკასა და ბიჭვინტის ცალნავიანი ეკლესიის აფსიდებს. აღმოსავლეთ საქართველოში კი ნალისებრ ფორმას, როგორც აფსილებში, ისე თაღებზე, ბევრ ადგილას ვხვდებით. ნოქალაქევის ბაზილიკა გ. ჩუბინაშვილმა დაათარიღა V ს. ბოლოთი და იქვე გამოთქვა მოსაზრება, რომ ლაზთა სამეფოში ქრისტიანობის მიღება 523 წელს, მეფე წათეს მონათვლით კი არ იწყება, არამედ ეს პროცესი გაცილებით ადრე მომხდარა (Чубинашвили Г. Н. К вопросу о Нокалакеви, Вопросы истори искусства. გვ. 101) ქართული ხელოვნების ისტორია. თბ., 1936, გვ. 30). აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოში, მაშინდელ იბერიასა და ეგრისში, ქრისტიანობა ერთსა და იმავე დროს IV საუკუნის პირველ ნახევარში მიუღიათ, იგი სახელმწიფო რელიგია გამხდარა. ნოქალაქევის პირველი ბაზილიკა, რომელიც სამხრეთით იდგა, ჩვენ V საუკუნის შუა ხანებით დავათარიღეთ. მეორე ბაზილიკა კი აშკარად მისი დანგრევის შემდეგაა აგებული, რაც ადგილზეც კარგად ჩანს. ასეც რომ არ იყოს, სტილისტურად მაინც შეიმჩნევა მათი თანმიმდევრობა. უპირველეს ყოვლისა, ეს დასტურდება საკურთხევლის სამნაწილიანობით, აფსიდის გვერდებზე სათავსების არსებობით და სხვ.

დასავლეთ საქართველოს დღემდე შემორჩენილი ბაზილიკებიდან, განსახილველი ძეგლის გარდა, არც ერთს არა აქვს პასტოფორიები. ამიტომ ისინი, ყველა თუ არა, დიდი ნაწილი მაინც, უნდა ჩაითვალოს V საუკუნისად, ეგრისის სამეფოს ძლიერებისა და აყვავების პერიოდში

4. ნოქალაქევის სამნავიანი ბაზილიკა

არქეოლოგიური გათხრების შედეგად ნოქალაქევის ტერიტორიაზე გამოვლენილია სამნავიანი ბაზილიკა შვერილი აფსიდით[1].

5. ნოქალაქევის დარბაზული ეკლესიები[2].

აგებულად. ჩვენი განსახილველი ძეგლი კი მომდევნო ეპოქის, კერძოდ, VI საუკუნის პირველი მესამედისად უნდა მივიჩნიოთ

ნოქალაქევის „ორმოცმოწამეთა“ ეკლესიის ბაზილიკა ჩვე XI ს. პირველ მეოთხედში აგებულად მივიჩნიეთ, რადგან არც ძეგლის სტილისტური ნიშნები და არც პოლიტიკური სიტუაცია მისი აგების სხვა დროს არ გვიჩვენებს. (პ. ზაქარაია, ციხე-გოჯი – არქეოპოლისი – ნოქალაქევი, ხუროთმოძღვრება, თბ., 1991, გვ. 178-196).

[1] „აქ აღმოჩნდა სამნავიანი ბაზილიკა შვერილი აფსიდით (გარე ზომებია: დასავლეთის კედლის სიგანე – 14,65. აღმოსავლეთის კედლის სიგანე – 14,45, სიგრძე აფსიდამდე – 22,25, სიგრძე შვერილი აფსიდით – 26,60 მ). აფსიდა შიგნით ღრმადაა და კარგად გამოვლენილი ნალისებრი მოხაზულობა აქვს. აფსიდის მომდევნო მოკლე კედელი სამხრეთით მცირედაა შემორჩენილი, ხოლო მოპირდაპირე ჩრდილოეთის კედლის სქვედა ნაწილი უკეთაა მოღწეული. შეიძლება აქ ბემა იყო. ბემა თავისთავად არაა დამახასიათებელი ადრეული ხანის ეკლესიისათვის, ამიტომ მის არსებობას პირობითად ვუშვებთ. ნოქალაქევის სამნავიანი ბაზილიკის ძირითადი განმასხვავებელი ნიშნებია შვერილაფსიდიანობა და მისი ნავების არაერთნაირი სიგრძე. შვერილაფსიდიანობა დამახასიათებელია ე. წ. ელინისტური ბაზილიკისათვის, როდესაც მას გვიანანტიკურ-ადრეფეოდალური ხანის წინა აზიისა და მაშინდელი საქრისტიანოს სხვა ქვეყნებშიც ვხედავთ. ასევე, იგი დამახასიათებელია დასავლეთ საქართველოსათვის. აქ აღმოჩენილი ათი ბაზილიკიდან აფსიდა ყველგან შვერილია (ასევე შვერილაფსიდიანი უნდა ყოფილიყო ცაიშის ბაზილიკა, რომლის ნანგრევები გვიანდელი ეკლესიის კედლებშია ჩატანებული).

გ. ჩუბინაშვილის აზრით, ასეთი ფორმის გაჩენა აფხაზეთსა და სამეგრელოში, შესაძლოა, ყველაზე მეტად დავუკავშიროთ შუა საუკუნეების ბიზანტიის გარკვეულ გავლენას (Чубинашвили Г. Н., Аркитектура Кахетии, Тбилиси, 1959, с. 84).

თუ შემორჩენილი ფრაგმენტებით ვიმსჯელებთ, ძველი ეგრისის ტერიტორიაზე მდებარე ბაზილიკებს ერთმანეთთან ბევრი საერთო აქვთ. უპირველესად უნდა აღინიშნოს მათი სამნავიანობა, სამნავიანია ამ ეპოქის დასავლეთ საქართველოს ეკლესიათა აბსოლუტური უმრავლესობა, კერძოდ ბჭივინტა (მესამე სამშენებლო ფენა), ციხისძირი, განთიადი, სეფიეთი, ნოქალაქევი; მათი ერთი ნაწილი ნართექსია, ე. ი. კარებით გამოყოფილია სამივე ნავისაგან, ხოლო ვაშნარისა და ნოქალაქევის ორივე ბაზილიკაში არაა გამოყოფილი, არამედ ნავებთან ერთად ერთიან სივრცეს ქმნის. ნოქალაქევის ბაზილიკას პროპორციებით საერთო მხოლოდ ბიჭვინტისა და ციხისძირის ძეგლებთან აქვს. ეს სამი ძეგლი აღმოსავლეთ-დასავლეთის ღერძზე გრძელდება, ბაზილიკურია, თუმცა ნოქალაქევში სიგრძე-სიგანის შეფარდება ერთმანეთთან უფრო ახლოსაა, ვიდრე დანარჩენ ორში.

ნოქალაქევის ბაზილიკის თარიღზე გვერდითი სათავსების მიხედვით ქართული და უცხოური ანალოგიებით თუ ვიმსჯელებს, იგი V საუკუნეს არ გასცდება. უფრო ზუსტად იგი V ს. მეორე ნახევრისაც კი არ არის. მისი აგების დროდ მიგვაჩნია V ს. შუა ხანები. ამ ბაზილიკის ნანგრევებზე VI ს. დასაწყისშივე დადგმულია ახალი სამნავიანი ბაზილიკა („ორმოცმოწამეთა“) და მეფეთა სასახლე“. როგორც ეტყობა, ბაზილიკას დიდხანს არ უარსებია. დაახლოებით მისი მოქმედების ხანგრძლივობა ნახევარ საუკუნეს არ უნდა აღემატებოდეს. დანგრევის შემდეგ მისი აღდგენა შეუძლებელი გამხდარა და რადგანაც დედაქალაქს ტაძარი სჭირდებოდა, მის ჩრდილოეთით აუგიათ ახალი, ძველი თითქმის ერთი მესამედით პატარა ეკლესია. როგორც ეტყობა, დიდი ტაძრის აგების შესაძლებლობა იმ პერიოდში აღარ იყო“ (პ. ზაქარაია, თ. კაპანაძე, ციხე-გოჯი – არქეოპოლისი – ნოქალაქევი, ხუროთმოძღვრება, თბ., 1991, გვ. 172-178.

[2] „ნაქალაქარის სამი დარბაზული ეკლესიიდან ერთი, ე. წ. მისარიონი, სამეცნიერო ლიტერატურაში შესული იყო ჯერ კიდევ გუსული საუკუნის 30-იანი წლებიდან, როდესაც ეს ძეგლი ინახულა დიუბუა დე მონპერემ.

ა. ქალაქის ქვედა ტერასის ეკლესია

აღმოჩენილი ეკლესია დარბაზულია. იგი აღმოსავლეთით ნახევარწიური აფსიდით მთავრდება, ეკლესიისგან მხოლოდ საძირკველი და ზოგან კედლის მცირე ნაწილია შემორჩენილი. ეკლესიის კარის ნაშთი მხოლოდ სამხრეთით ჩანს (დასავლეთის კედელი მოგვიანებით, მინაშენის მოწყობისას, კარის გაჭრის მიზნით გაუნგრევიათ და იყო თუ არა თავდაპირველად კარი, ამჟამად არ ირკვევა). ნაგები ყოფილა საშუალო ზომის ნატეხი ქვით. თლილი ქვა ნახმარია მხოლოდ კარის ზღურბლზე და წირთხლებზე. გეგმაში ეკლესიის დარბაზის სწორკუთხედს აღმოსავლეთით პირდაპირ ებმის ნახევარწრიული აფსიდა. კედლების შიდა და გარე ხაზები არსად არ ტყდება. ჩვეულებრივ, აფსიდის გვერდით კედლებთან გადაბმის ადგილზე გვხვდება მცირე ან დიდი მხრები, მაგრამ აქ ეს არაა. გამორიცხული არ არის, რომ ეკლესიათა ამ ორი გადაწყვეტიდან ადრეული იყოს სწორ ხაზზე წრის საშუალო მობმა, მშენებლობის თვალსაზრისით ეს უფრო მარტივი გადაწყვეტაა. ასეთ გადაწყვეტას ჩვენ ვხვდებით აქვე, ნოქალაქევის სამნავიანი ბაზილიკის ქვედა ფენაში და ბიჭვინტაში.

ამ ეკლესიის ერთი დეტალია შემორჩენილი, რომელიც მეტად საინტერესოა, ანუ ადრეული ეკლესიის შიგნით სანათლავის არსებობა. სანათლავის ეკლესიანი მოწყობის ნიმუში ნოქალაქევში მეორეცაა – იქვე მახლობლად აღმოჩენილი სამნავიან ბაზილიკაში. სამხრეთის კედელში აღმოჩნდა კერამიკული მილი, რომელსაც დაქანება გარეთკენა აქვს. ცხადია. ამ მილით წყალი გარეთ გადიოდა. ასევეა ამ პატარა ეკლესიაშიც. ეკლესიაში ასეთი სახის სანათლავის მოწყობის სხვა მაგალითი საქართველოს ტერიტორიაზე ჯერჯერობით რა არის. როგორც ეტყობა, ზემოთ დასახელებული ძეგლები ერთი ეპოქის, კერძოდ, V ს. უნდა იყოს. მოგვიანებით, ეკლესიის გაფართოების მიზნით, დასავლეთით სწორკუთხა სათავსი მიუდგამთ. ეკლესიასთან მის დასაკავშირებლად დასავლეთის კედელში კარი გაუჭრიათ, ხოლო რადგან იგი კარიბჭის როლს ასრულებდა, ამიტომ მინაშენისათვის სამხრეთით კარი დაუტანებიათ. აქვე უნდა აღვნიშნოთ ერთი დეტალი, რომელიც ჩაშენებული იყო ეკლესიის სამხრეთის კედელში. ესაა ერთიანი ქვისგან გამოთლილი კარის ზღურბლი ისეთივე ნაჭდევებით, როგორიცაა აქვე, ნოქალაქევის ტერიტორიაზე აღმოჩენილი ე. წ. სამეფო აბანოში.

ბ. ქალაქის პირველ გალავანში ჩართული ეკლესია

ამ პუნქტში ეკლესია ქალაქის პირველ გალავანთან ერთადაა აგებული. გალავნისა და ეკლესიის კედლები გადაბმულადაა ნაგები და კონსტრუქციულად ერთია. როგორც მოსალოდნელი იყო, ასეთ შემთხვევაში კედლების წყობაში ერთი ხელი ჩანს. ქალაქის გალავანში ეკლესია ისეა ჩართული, რომ მისი აღმოსავლეთის ნახევარი გარეთაა, ამდენად ამ მონაკვეთში ეკლესიის გარე კედლები ქალაქის გალავნის ფუნქციასაც ასრულებდა. მათი სისქეც ერთნაირია, 160 სმ-ია, ქალაქის აღმოსავლეთის მხარეს, მთელ სიგრძეზე, ეს პირველი კედელი თავიდან ბოლომდე ერთი სისქისაა (160 სმ). ეკლესიისგან დარჩენილია მისი ქვედა ნაწილი, დაახლოებით 1-1,5 მ-მდე, იგი დარბაზულია, შვერილი ხუთწახნაგა აფსიდით. შიგნიდან ნახევარწრიული აფსიდა გვერდით კედლებს პირდაპირ უერთდება, შიდა ხაზი არსად ტყდება (ეკლესიის შიდა მაქსიმალური ზომებია 5,7X9,60 მ). შერჩენილი კედლები სარკმელთა ქვედა დონემდე ვერ აღწევენ, დარჩენილია მხოლოდ კარი დასავლეთის კედლის ცენტრში. მისი გვერდითი კედლები სწორკუთხოვანია, ყოვეგვარი ნაოთხალის გარეშე, ისე, როგორც ეს ადრეულ საუკუნეებში იყო მიღებული. რაც შეეხება აბსიდის შვერილ წახნაგოვნებას, ეს ფორმაც დასავლეთ საქართველოს ადრეული ხანის ძეგლებისთვისაა დამახასიათებელი, მაგრამ იმათგან განსხვავებით აქ სიზუსტე არაა დაცული, წახნაგების სიგრძე მერყეობს 2,15-დან 2,6 სმ-მდე. თავისთავად ასეთი უზუსტობა ადრეულ პერიოდზე მიუთითებს. ეს ის დრო უნდა იყოს, როდესაც ჯერ კიდევ არაა ჩამოყალიბებული საკულტო ნაგებობათა ფორმები.

ეკლესია ნაგებია ყორე ქვით. რამდენადაც ეკლესიის ნაშთიდან შეიძლება დასვნის გაკეთება, კედლებს ინტერვალებით მიუყვებოდა აგურის კონსტრუქციული შრეები ე. წ. ოპუს მიხტუმ. მართალია, იატაკი ზუსტად დადგენილი არ არის, მაგრამ მისი სავარაუდო დონიდან აგურის შრე იწყება 125 სმ-ზე. ეკლესიის ჩრდილო კედელზე, 125 სმ-დან დაწყებული, აგურის წყობა შერჩენილია 6 ფენად, სულ რამდენი იყო აგურის წყობა არ ვიცით, ჩრდილო კედლის გაგრძელებაზე მდებარე აფსიდის პირველი წახნაგი უფრო მაღალზეა შემორჩენილი, ამიტომ აქ კარგად ჩანს აგურის წყობის 9 ფენა. ქვისა და აგურის შერეული წყობა ისევ ადრეულ

პერიოდზე მიუთითებს, მაგრამ დროის კონკრეტული მონაკვეთის განსაზღვრა არც ჩვენთან არც სხვაგან არ ხერხდება. ეკლესიის ჩრდილოეთით და დასავლეთით მდინარის ფლატეს მიმყოლი გალავანი რელიეფს მიუყვება, ამის გამო ეკლესიასთან სხვადასხვა ზომის ირეგულარული გეგმების მქონე ნაკვეთებია შექმნილი. მათ, ალბათ, ორგვარი დანიშნულება ჰქონდა. ჩვეულებრივ პირობებში ისინი შეასრულებდნენ ეკლესიის ეზოს ფუნქცია, ხოლო მტრის გარემოცვის შემთხვევაში იქ გარნიზონის ნაწილი მოთავსდებოდა. ჩრდილოეთის მონაკვეთის აღმოსავლეთით ვიწრო კარი აქვს. ეკლესიასა და გალავანში გაჭრილი კარი ერთნაირადაა გადაწყვეტილი, ორივეს გვერდები პარალელურებია, ხოლო ძირს, გარე მხარეზე დაუგიათ ზღურბლის ერთიანი დიდი ქვა. ორივეგან გარე ხაზი ხუთიოდე სანტიმეტრით აწეულია, ხოლო განაპირებზე, ხის კარის ფოსოებია ამოკვეთილი. ეს სისტემა გვხვდება ნოქალაქარის ყველა მონაკვეთის ჭიშკრებზე და დიდ აბანოშიც.

გ. „მისარიონი“ ეკლესია

ციტადელის ეკლესია „მისარიონის“ სახელითაა ცნობილი. ის საშუალო ზომის დარბაზული ნაგებობაა (6,06X9,28). ეკლესიის დარბაზი, აფსიდიანად, მოქცეულია გარე სწორკუთხედში. დარბაზული შენობების უმრავლესობის მსგავსად აქაც არავითარი სათავსი არაა გამოყოფილი. საკურთხევდის აფსიდა ნახევარწრიულია. იგი იატაკის დონიდან ორი საფეხურითაა აწეული. ქვედა საფეხური სრულიად, ხოლო ზედას მხოლოდ შუა ნაწილია შემორჩენილი. საკურთხევლის აღმოსავლეთის მონაკვეთი ცენტრში განგრეული დაგვხვდება, დარჩენილი იყო ნაწილობრივ სარკმლის სამხრეთის მხარე. განსაკუთრებით ყურადღებას იქცევს ბრწყინვალედ ნაგები კონქი. მისი თლილი ქვები ერთმანეთთან კარგადაა მორგებული და წყობის იშვიათი სიფაქიზით გამოირჩევა. კონქის ქვები ეკლესიის ინტერიერისა და ფასადების ქვებისაგან განსხვავდება. ეს გასაგებიცაა, რადგან აქ შენობის საპასუხიმგებლო კონსტრუქციასთან გვაქვს საქმე. კონქის თაღის თითოეული ქვა წყობის რიგების შესაფერისია. კონქის სფერო მიღებულია თლილი ქვის რიგებით. რიგების ზომები თანდათანობით მცირდება და ბოლოს, ცენტრში თაღის კლიტით მთავრდება. კლიტის ქვები ღრმად შედის კონქში და წრეები ფაქტიურად მისგან კონცენტრირებულად ლაგდება. საკურთხეველი თავისი კონქით დაბალი და განიერია. კონქის თავსა და დარბაზის კამარას შორის იქმნება მაღალი შუბლი, რადგან დარბაზის კამარა გაცილებით მაღლაა აწეული. საკურთხევლის ორივე მხარეს, გეგმაში ტრაპეციალი ორი პატარა ნიშაა, ეკლესიას ქონია კანკელი, რომლის ცუდად შემონახული ნაშთი იატაკზე ახლაც ჩანს. კონქის თაღის ძირის დონეზე, კედელში, ორივე მხარეს მდებარეობს თითო ხვრელი, რომელიც კანკელის ზედა კოჭის ჩასამაგრებელი ბუდეა. დარბაზი მართკუთხა ფორმისაა, მისი სივრცის გადაწყვეტაში არავითარი დეკორატიული ელემენტი არ არის გამოყენებული. პროპორციები კი სასიამოვნო შთაბეჭდილებას ახდენს. ამას ხელს უწობს ისიც, რომ დარბაზის სივრცე არ არის დაყოფილი საბჯენი თაღებით, რაც მისი სივრცის მთლიანად შეგრძნებას აძლიერებს. დარბაზის კამარა მთლიანად ჩაქცეული იყო. გვერდით კედლებზე შერჩენილი იყო მხოლოდ მისი საწყისი, შირიმის ქვით ნაგები სამ-სამი რიგი. ეს ნაშთი კამარის ცილინდრულ ფორმაზე მიუთითებდა. როგორც ეტყობა, მშენებელი ოსტატი კარგად ერკვეოდა ქვის თვისებებში. ეკლესიის კედლები ნაგებია აგილობრივი კირქვით, რომელიც აქ ბლომადაა. კამარაზე გამოყენებულია მტკიცე და მსუბუქი შირიმის ქვა. ეკლესიის დარბაზს შიგნიდან ქვის სწორკუთხა ჩამოსაჯდომი შემოუყვება. ეკლესია განათებულია სამი პატარა ზომის სარკმელით. ერთი სარკმელი დასავლეთით, კარის ზემოთაა გაჭრილი, მეორე სამხრეთით; ხოლო მესამე საკურთხევლის ცენტრშია. ეს უკანასკნელი ნაწილობრივ იყო შემორჩენილი. სარკმლები, სწორი გადახურვით,შიგნითკენ გაგანიერებულია. მათი ქვედა თარო ორსართულიანია. ყველა ეს სარკმელი სჯვადასხვა დონეზე მდებარეობს.

ეკლესიას კარი დასავლეთით და ჩრდილოეთით აქვს. პატარა ეკლესიებს არ ახასიათებთ ჩრდილოეთის კარი, იგი განსაკუთრებულ შემთხვევაში კეთდება. კერძოდ, მისარიონის ეკლესიის სამხრეთით კლდოვანი ფერდობი იწყება და ამიტომ ამ მხარეს კარი არ გაუკეთდებოდა. იმის გამო ეკლესიის გვერდით კარი ჩრდილოეთით გაჭრეს, საიდანაც შედარებით ადვილი მისადგომი იყო. ორივე კარს სწორი, უშვერილო გვერდები აქვს, როგორც ეს ჩვეულებრივ გვხვდება ადრეშუასაუკუნეების სხვა ეკლესიებში. დასავლეთ საქართველოს დღემდე გამოვლენილ ყველა

ბაზილიკაში მხოლოდ ასეთ გადაწყვეტას ვხედავთ ეკლესიის შიდა კედლებზე ნალესობა არ არის, მაგრამ კონქის მიმდებარე ჩრდილო კედელზე შეიმჩნევა მოხატულობის კვალი. ალბათ, ეკლესია გვიან საუკუნეებში მოხატეს, მაგრამ მოხატულობამ აქამდე ვერ მოაღწია.

ეკლესიის საკმაოდ სქელი კედლები ორივე მხარეს ზედაპირმოსწორებული ქვითაა შემოსილი. ქვებს შორის ხსნარი ბევრგან გამოფიტულია. როგორც ჩანს იმ ეპოქაში მიღებული იყო, აქაც ხსნარში მკვრივად ჩასაჯდომად თითოეული ქვა ცერადაა ჩათლილი და ისეა მოწყობილი, რომ ნაკერებში ჩნდება ღარები, საპირედ ნახმარი თლილი ქვები ერთი ზომისა არ არის. წყობაში დაცულია ჰორიზონტალურობა, მაგრამ რიგები სხვადასხვა სიმაღლისაა. შედარებით დიდი ზომის ქვის რიგები მცირეა. მათ სიცოცხლე შეაქვთ ერთგვაროვან წყობაში. ეკლესიის კუთხეები უკეთ თლილი და შედარებით დიდი ქვითაა ამოყვანილი. დიდი ზომის ქვები ნახმარია აგრეთვე ცოკოლსა და მის მიმდებარე ფენაში და ღიობების ირგვლით. ფრაგმენტების მეშვეობით გაირკვა, რომ დარბაზი და საკურთხეველი გადახურული იყო ცალ-ცალკე, სხვადასხვა დონეზე, ორფერდა სახურავით. ეკლესიის ორივე დონის სახურავებს ერთნაირი ქანობები ჰქონდათ.

ეკლესია, სადაა, მორთულობის გარეშე, თუ არ მივიღებთ მხედველობაში დასავლეთის კარის არქიტრავზე მარტივად ამოკვეთილ ოთხკუთხედს, დიაგონალურად გადამკვეთი ხაზებით (კვადრატის შიგნით ჯვარედინი ხაზები შეიძლება „ხრიზმის“ (ქრისტეს სიმბოლოს) გამოსახულებად მივიჩნიოთ). იგი პირველი შეხედვისთანავე თავისი სიმარტივით და დახვეწილი ფორმით ადრეული პერიოდის ნაგებობის შთაბეჭდილებას ტოვებს. კონქის ასეთ წყობას მხოლოდ ადრეულ ხანაში შეიძლება შევხვდეთ. მისარიონის ეკლესიის კონქის თაღსა და დარბაზის კამარას შორის მაღალი შუბლი დამახასიათებელია მხოლოდ და მხოლოდ ადრეული ხანის ზოგიერთი ძეგლისათვის. კონქის თავზე გამოუყენებელი სიცარიელეა. მისარიონის დარბაზი და მისი კონქი გადახარულია ცალ-ცალკე, სხვადასხვა დონეზე. დარბაზის გადახურვისას არ არის გამოყენებული საბჭენი თაღები. შადახურვის ასეთი პრინციპი ადრეული პერიოდის ძეგლებისათვისაა დამახასიათებელი. სამივე სარკმელი პატარაა, ამიტომ შიდა სივრცე მცირედაა განათებული, რაც ქრისტიანობის გავრცელების ადრეული ხანის ეკლესიებისათვის უფროა დამახასიათებელი (თეთრიწყარო, ოლთისი, ქვემო ბოლნისი). სარკმლები ჰორიზონტალური გადახურვითაა, სარკმელი შიგნით განივერდება. მათი ქვედ ათარო ორსაფეხურიანია. შიგნით გაგანიერებულ სარკმლებს ვხვდებით ადრეული სახის ეკლესიებშიც.

ეკლესიის ორივე კარს სწორი, ერთხაზოვანი გვერდები აქვს. როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ საქართველოს VI-VII სს. საკულტო ნაგებობებში მხოლოდ ასეთი გადაწყვეტას ვხვდებით (ბოლნისი, წრომი, ჯვარი და სხვა). მისარიონის ორი კარიდან შემორჩენილი დასავლეთისა, არქიტრავითაა გადახურული, შიგნიდან თაღოვანია, ფასადის მხრიდან არქიტრავზე განმტვირთავი პატარა თაღია. ასეთი ფორმის კარის გამოყენების ქრონოლოგიური ჩარჩო II-VII საუკუნეებია, ხოლო საქართველოში V- VI საუკუნეების მიჯნა (ბოლნისი, აკურთა). აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ისინი გამოიყენებოდნენ მხოლოდ ნაგებობათა ქვის კვადრებით შენების დროს.

მიუხედავად იმისა, რომ დარბაზული ეკლესიის ტიპი არასოდეს ყოფილა წამყვანი, იგი ძალზე სიცოცხისუნარიანი აღმოჩნდა, რადგან მცირე ზომის ეკლესია ყველგან და ყოველთვის საჭირო იყო.

ეკლესიის საკმაოდ სქელი კედლები და მისი წყობის თავისებურება (ცერად ჩათლილი ქვები), აფსიდის მაღალი შუბლი, დარბაზი საბჯენი თაღების გარეშე, საკმელთა სიმცირე, არქიტავრის ზემოთ განმტვირთავი თაღი და ბოლოს მორთულობის სიმცირე, უძველესი ეკლესიების დამახასიათებელია. ნოქალაქევის „მისარიონი“, V ს. ბოლო – VI ს. დასაწყისით თარიღდება (პ. ზაქარაია, თ. კაპანაძე, ციხე-გოჯი – არქეოპოლისი – ნოქალაქევი. ხუროთმოძღვრება, თბ., 1991, გვ. 215-228).

სოფელი ლებადათურე

ნაეკლესიარი

ლებადათურეს სასაფლაოსთან იდგა ქვის ეკლესია. ვფიქრობთ ეს ეკლესია XIII-XIV საუკუნის უნდა იყოს. შემორჩენილია საძირკვლის მცირეფრაგმენტი. იქვე მოწყობილია საფლავები[1].

ქალაქი სენაკი

1. საკალანდარიშვილოს ეკლესია

საკალანდარიშვილოს სასაფლაოსთან დგას საკმაოდ დიდი დარბაზული ეკლესია, მისგან სამხრეთ-აღმოსავლეთით ათიოდე მეტრის მოშორებით შემორჩენილია კედლის ნაშთი, რომელიც თეთრი ფლეფილი კირქვით კირის დუღაბზეა ნაშენი. ეს ეკლესია 1992 წელს არქიტექტორთა მიერ ამ სახითა აღწერილი: „სენაკის რ-ნი, სენაკი; ეკლესია; განვითარებული შუა საუკუნეები (გვიანი გადაკეთებით); ტიპი – საკულტო; საკალანდარიშვილოს სასაფლაოზე დგას დარბაზული ტიპის ეკლესია. დარბაზი გეგმით მართკუთხაა, რომელიც აღმოსავლეთიდან სრულდება ნახევრადწრიული ფორმის აბსიდით. საკურთხეველში გაჭრილია სამი თაღოვანი სარკმელი, რომელთაგან შუათანა ამოშენებულია. სარკმელებს ქვემოთ განლაგებულია თაღოვანი ნიშები. საკურთხეველი ერთსაფეხურიანი სოლეათი მაღლდება დარბაზისაგან. აბსიდა გადახურულია ოდნავ შებრტყელებული ფორმის კონქით; კამარის მნიშვნელოვანი ნაწილი ჩამოქცეულია; ორი წყვილი პალისტრი დარბაზს ანაწევრებს სამ თანაბარ მონაკვეთად. დარბაზი განათებულია სამხრეთისა და დასავლეთის სამი სარკმლით; ეკლესიას დატანებული აქვს ორი თაღოვანი შესასვლელი (დასავლეთიდან და სამხრეთიდან). ძეგლის ფასადები მორთულია განვითარებული შუა საუკუნეებისათვის დამახასიათებელი ორნამენტაციით. ქვის თარაზული წყობა ქვემოდან ზემოთ პატარავდება; ეკლესია ნაგებია ფლეთილი ქვით-კირის დუღაბზე; ნაგებობაზე ამოსულია ხეები, კედლებში გაჩენილია ბზარები. ძეგლი ავარიულ მდგომარეობაშია.

1992 წ. მარტი, არქიტექტორი ლ. გიორგაძე“.

2. საკალანდარიშვილოს კოშკი[2].

---

[1] 1992 წ. 18 მარტი არქ. ლ. გიორგაძე.

[2] პ. ზაქარაიას და თ. კაპანაძის მასალებით: „ქალაქ ცხაკაიას ჩრდილო-აღმოსავლეთით, მთაზე

არქიტექტურულად ამ სახით არის აღწერილი: „კოშკი; ტიპი – საფორტიფიკაციო-თავდაცვითი; საკალანდარიშვილოს ეკლესიის ჩრდილოეთით 1,5 კმ-ის დაშორებით შემაღლებულ ბორცვზე შემორჩენილია კოშკისა და გალავნის ნანგრევები, რომელიც დაფარულია ხეებითა და ეკალ-ბარდებით; იკითხება კოშკის ორი სართული და მესამე სართულის მცირე ფრაგმენტი; ნაგებობა გეგმით კვადრატს უახლოვდება. ნაშენია დიდი ზომის ფლეთილი ქვით-კირის დუღაბზე. სართულებშუა გადახურვა აღარ არსებობს. კედლები ბევრ ადგილას დანგრეულ-დაბზარულია. ძეგლის სრული სახის წარმოდგენისათვის საჭიროა მისი საფუძვლიანი გაწმენდა.

1992 წ. მარტი, არქიტექტორი ლ. გიორგაძე

ა ახლოს მოსახლეობა არ არის, ხოლო მის ალანდარიშვილოს“ ეძახიან (ასევე ეძახიან ამ ბაზულ ეკლესიას. ციხე ეგრისულია. ყველა ის ის ეგრისის ციხეს, ამასაც გააჩნია. ამიტომ იგი მაღლებაა შერჩეული, ისეთი ადგილი, სადაც ჩრდილოეთით ქარაფია, დანარჩენი მხარეები კი თხრილითაა შემოსაზღვრული. თხრილი გალავანს კონცენტრულად მიუყვება. მიუხედავად იმისა, რომ თხრილისა და ციხის მწყობრიდან გამოსვლის შემდეგ ათას წელზე მეტია, იგი დღესაც შთამბეჭდავია. ახლაც კი თხრილის სიგრძე 4-6 მეტრს აღემატება, ხოლო სიგანე 8-10 მეტრია. ცხადია, თხრილის ნაპირები მისი შემოქმედების პერიოდში ვერტიკალური იქნებოდა. ასეთი მკვეთრი პროფილის მქონე თხრილის გადაჭრას მტრის ჯარიდან ცხენოსანი ვერ შეძლებდა, ხოლო ქვეითი ძნელად გადალახავდა. ფაქიურად ეს მტერს შეეძლო მხოლოდ შესამჩნევად ჭარბი ძალებით, ან მაშინ, როდესაც დამცველებს ყოველგვარი იარაღი გამოელეოდათ. თვით ციხე შედგება ერთი კოშკისა და ორი გალავნისაგან. პირველი გალავანი აღმოსავლეთიდან და ჩრდილოეთიდან შემოსაზღვრავდა კოშკი შესასვლელს, ხოლო მეორე გალავანი კოშკს უვლის სამხრეთიდან და აღმოსავლეთიდან. გალავნის ხაზი წრიულია, ისე როგორც თხრილისა (გალავნის მაქსიმალური ზომებია: 23X26 მ). კოშკი თითქმის კვადრატული გეგმისაა (გარე ზომები – 7,0 7,2 მ). მისი აღმოსავლეთისა და სამხრეთის კედლები შუაზეა გაპობილი. კოშკს თავიც მორღვეული აქვს, ამიტომ სართულიანობა არ ირკვევა. აღმოსავლეთის კედლის ცენტრალური ნაწილი გამორღვეულია, მაგრამ ერთგან დარჩენილია მცირე ფრაგმენტი, რომლის მიხედვით დგინდება, რომ კარი მეორე სართულზე ყოფილა. პირველი სართული ჩამონაყარი ქვებითაა სავსე, მაგრამ ჩანს, რომ სარდაფის სართული კამაროვანი ყოფილა, ერთგან ჩასასვლელიცაა. ზედა ორი სართულის სართულშუა გადახურვა კი კოჭოვანი ყოფილა. დარჩენილ კედლებში არავითარი ამბრაზურები არ არის. კოშკის კედლები ნაგებია ისეთივე კირქვით, როგორც სხვაგან. ფასადები მოპირვეთებულია მყისედ გათლილზედაპირიანი ქვით. წყობა ჰორიზონტალური რიგებით ისეთივეა, როგორც იმ ეპოქის სხვა ძეგლზე. გალავნის მოპირკეთებაც მსგავსია, მაგრამ ქვები უფრო მოზრდილი და წყობაც ცოტათი ჩამოუვარდება კოშკისას. გალავანი კოშკზე მეტადაა დაზიანებული და ზოგან 4-5 მეტრის სიმაღლეზეა შერჩენილი. ამ კედლებზე არავითარი ამბრაზურა არ არის შემორჩენილი. არც ის ჩანს, თუ როგორც მთავრდებოდა გალავნის ზედა ხაზი.

ციხე, ყველა თავისი მონაცემით, ეგრისის სამეფოს აღმასვლისასაა აგებული და იმ განთქმული „ჯაჭვის“ ერთი რგოლია. (პ. ზაქარაია, თ. კაპანაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 150-152).

3. ქუთაისის ქუჩა – ღვთისმშობლის შობის სახელობის ეკლესია (დედათა მონასტერი)

გაზეთ „მწყემსის“ ცნობით, აქ 1883 წლამდე სენაკში არსებობდა მამათა მონასტერი, რომელიც დედათა მონასტრად 1884 წელს გადაუკეთებიათ. ის აკურთხა გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსმა გრიგორიმ. მონასტრისთვის ხალხს უამრავი შესაწირავები გაუღია[1].

---

[1] „იმერეთის ადგილობითი ეპარქიის სასულიერო მთავრობის მოხსენებით უწმიდესმა და უმართებულესმა სინოდმა ცაიშის და თეკლათის მამათა და მონასტრები გააუქმა 21 ოქტომბერს 1883 წელსა და ნაცვლად ამ ორის მონასტრისა ადგილობითი სასულიერო მთავრობის შუამდგომლობისამებრ თეკლათში დააარსა 30 ივნისს 1884 წელსა დედათა საზოგადო საცხოვრებელი, სადაც მსურველთა შეუძლიათ მონაზნებრივი ცხოვრება. უწმიდესი სინოდის განკარგულებით ამ დედათა საზოგადო საცხოვრებელს დაენიშნა ერთ დროებით შესაწევნელად ოთხასი მანეთი, ხოლო ყოველ წლობით საეკკლესიო ხაზინიდამ მიეცემა რვაას სამოცი მანეთი. ამაებს გარდა ამ დედათა საზოგადო საცხოვრებელს მიენიჭა ადგილ-მამული და მიწები, რომელნიც წინეთ ეკუთვნოდენ ცაიშის და თეკლათის მონასტრებს. თეკლათის დედათა საზოგადო საცხოვრებლის დამტკიცებისათანავე მასში შეიკრიბნენ მრავალნი დედანი. თეკლათში იყო პატარა ეკკლესია, რომელიც სრულებით არ შეეფერებოდა ამ ადგილს. დიდი ღვაწლი და შრომა მიიღეს ამ შეკრებილ მონაზონთა შესაფერისი ეკკლესიის აშენებისათვის. ადგილობრივ მღვდელ-მთავრებმა გულ-მხურვალე მონაწილეობა მიიღეს ხსენებული ეკკლესიის აღშენების საქმეში და ამნაირად ხაზინის ფულიდგან ერთი კაპეიკის დაუხმარებლად კეთილ-მნებელთ მობოჭილ ფულთაგან აღშენდა ჩინებული ქვიტკირის ეკკლესია. აი ამ ეკკლესიის კურთხევა შესრულდა მისი ყოვლად უსამღვდელოესობის გურია-მინგრელიის ეპისკოპოსის გრიგორისაგან. მისი ყოვლად უსამღვდელოესობა თეკლათში მიბრძანდა 30 სექტემბერს თავისი კრებულით. საღამოს ახალს ეკკლესიაში შეასრულეს მწუხრის ლოცვა ღამისთევის ცისკრით, ლოცვაზედ გალობდნენ და ეხმარებოდნენ თვითონ მონაზვნები. განსაკუთრებით სასიამონო იყო მონაზვნების გალობა. პირველს ოქტომბერს ცხრა საათიდგან დაიწყეს ეკკლესიის კურთხევა; ეკკლესიის კურთხევის შემდეგ დაიწყო წირვა, რომელიც გათავდა თორმეტ საათზედ. ეკკლესიის კურთხევაზე და წირვაზე მრავალი ხალხი დაესწრო. წირვის დროს ერთ მხარეზედ გალობდნენ მონაზვნები და მეორეზედ მამა კაცები. წირვის გათავებისას მისმა ყოვლად უსამღვდელოესობამ გურია-სამეგრელოის ეპისკოპოსმა გრიგორიმ წარმოსთქვა შემდეგი მგრძნობიერი სიტყვა: წირვის გათავების შემდეგ მღვდელ-მთავარი მისი კრებულითურთ და მრავალნი პირნი, რომელნიც ეკკლესიის კურთხევას დაესწრნენ, მიწვეულ იყვნენ სადილზე მონასტრის იღუმენიასა და დათაგან. შემდეგ წარმოითქვა სადღეგრძელო მისი მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობის საქართველოს არქიეპისკოპოსის პალლაისა, რომელიც დიდის აღტაცებით იყო ყველგან მიღებული, შემდეგ ამისა წამოითქვა სადღეგრძელო ყოვლად სამღვდელო გურია-მინგრელიის ეპისკოპოსის გრიგორისა და იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელისა და სხვა წარჩინებულთა პირთა. სხვათა შორის დალიეს სადღეგრძელო დეკ. დ. ღამბაშიძისა, რომელიც ამ დროს დაესწრო აქ ეკკლესიის კურთხევას. ... ნუთუ ამ საოცარი ძველი დროის მოთხრობათა განხორციელებას არ წარმოგვიდგენს ჩვენ დიდათ პატივცემული მოხუცებული დეკ. გ. ახვლედიანი თავისი ასულებით, რომელთაც ქვეყნიური ცხოვრება მიუტოვებიათ და მონასტერში ღვთის ლოცვა-ვედრებაში ატარებენ დროს. ჭეშმარიტად სასიხარულო და სასიამოვნო მოვლენაა ეს ჩვენს დროში!... ჩვენის მხრით ჩვენის ღარიბი ქონებისაგან ვსწირავთ ამ ახლად ნაკურთხ ეკკლესიას კანკელის ხატებს, ტილოზედ დახატულთა, რომელთაც მოკლე დროში გამოვიწერეთ რუსეთიდამ... იმედი გვაქვს, რომ ჩვენში დღესაც აღმოჩნდებიან ჩვენ ძველ წინაპართა მიმბაძველნი... ყოვლად სამღვდელო გურია-მინგრელიას ეპისკოპოსმა ლოცვა-კუთრხევა და მადლობა გამოუცხადა დეკ. დ. ღამბაშიძეს შეწირულობისა და სიტყვისათვის.

სხვა მრავალ შეწირულობასა და დახმარებასა გარდა ეკკლესიის შენობის დროს ყოვლად სამღვდელომ აღუთქვა დიდი კარგად მორთული დღესასწაულის ხატი ცალკე ჩუქურთმიანი და მოოქროვილი დასადგმელით (кооть). დავით ღამბაშიძისაგან წარმოთქმულ სიტყვას უნაყოფოდ

ეს მონასტერი აღწერილია 1992 წელს არქიტექტორთა მიერ: სენაკის რ-ნი, ეკლესია უგუმბათოა. ვრცელი დარბაზი გადახურულია ნახევარწრიული ფორმის კამარით, რომელზედაც ორქანობიანი თუნუქის სახურავია მოწყობილი; კამარა ებჯინება ოთხ, კვადრატული ფორმის სვეტს, რომლებიდანაც გადადის ნახევარწრიული ფორმის კამარის საბრჯენი თაღები. დარბაზი აღმოსავლეთიდან სრულდება ნახევარწრიული შვერილის აბსიდით, სადაც ჩაჭრილია ორი თაღოვანი სარკმელი. აბსიდის ფერდებზე სამკვეთლო და სადიაკვნოს მცირე სათავსოებია დატანებული, რომლებიც ნათდება თითო თაღოვანი სარკმლით. საკურთხეველი ერთსაფეხურიანი სოლეით არის ამაღლებული დარბაზისაგან. ორი წყვილი პილასტრი დარბაზს ანაწევრებს სამ თანაბარ მონაკვეთად; ეკლესიას დატანებული აქვს სამი არქიტრავული შესასვლელი, რომელთა ზემოთ თითო წრიული ფორმის სარკმელია გაჭრილი. დარბაზი აგრეთვე განათებულია ოთხი თაღოვანი სარკმლით; ნაგებობას დასავლეთიდან ებჯინება ორსართულიანი სამრეკლო, რომელიც გადახარულია წახნაგოვანი ფორმის თუნუქის სახურავით; ძეგლი ნაშენებია კარგად დამუშავებული ადგილობრივი ჯიშის ქვით-კირის დუღაბზე.

1992 წ. მარტი, არქიტექტორი ლ. გიორგაძე

4. სენაკის მოკლე ისტორიული მიმოხილვა

სენაკი ქართულ წყაროებში პირველად XVI საუკუნეშია ნახსენები, თუმცა იმდროინდელი სენაკი XIX საუკუნის მეორე ნახევრამდე, ანუ რკინიგზის გაჭრამდე მდებარეობდა არა იქ სადაც დღევანდელი ქალაქი სენაკია, არამედ მისგან ჩრდილო-აღმოსავლეთით და ჩრდილოეთით, რომელსაც დღეს ძველ სენაკს, საკალანდარიშვილოს და შხეფს (გარკვეულ ნაწილს) უწოდებენ.

სენაკი ნახსენებია XVII საუკუნის შეწირულობის წიგნში, სადაც ბიჭვინთის ღვთისმშობლისათვის შეუწირავთ „სენაკს გიორგი გურიული ცოლშვილითა და ხუთი ლოღარიკი სანთელი“[1].

არ ჩაუვლია. იქვე აღმოჩნდნენ მრავალნი პირნი, რომელთაც, შეძლებისა-და-გვარად, არ დაიზოგეს თავანთი წვლილნი. მივიყვანეთ აქვე, თუ ვინ, სახელდობრ, რა შესწირა მონასტერის ეკკლესიის შესამკობლად:კნეინა აღათი შარვაშიძისამ, დადიანის ასულმა 100 მ., ქ-მა კესარია ქართვარაძისამ, დიდიას ასულმა 100 მ., დეკანოზმა გრიგორ მაჭაროვმა 25 მ., მართა თოფურიძისამ ქართვარაძის ასულმა 10 მ., მონასტრების ბლაღოჩინმა ხოპის მონ. წინამ. ბენიამენმა 50 მ., თეკლათის მთავარ-ანგელობის ეკკლესიის მღვ. მ. ბ. გვაზავამ 50 მ., ბლაღოჩინებმა ანჯაფარიძემ, ელიავამ, ბერიძემ, ხოშტარიამ და გაწერილიამ 25 მანეთი, აზნაურმა ფარნა გვიჩიამ ფულად 2 მ. და ერთი კედლის დიდი საათი, ბ. დიმიტრი გრიგორის ძე მხეიძემ თორმეტი კანდელი; არქიდიაკონმა ლუკა ხოშტარიამ 5 მ., ბლაღ. თანაშემწემ მღვდელმა ათანასე ბიბილუამ ერთ დროებითად ოცი მანეთის საღირალი ნივთი; თავ. მანუჩარ ქოჩაკიძემ აღუთქვა ყოველ წლობით მონასტერს თითო თუმანი; თავ. ივანე გრიგორის ძემ შარვაშიძემ ერთი წყვილი დიდი შანდლები; აზნაურმა გრიგორი გატუნის ძე ჩაჩიბაიამ 6 მ., თავ. გიორგი ივანეს ძე დადიანმა თხუთმეტი მანეთის საღირალი ნივთი; აზ. ბასა ფულარიამ 3 მ., აზ. ვარდან სალაყაიამ 3 მ., თავ. ვლადიმერ ქოჩაკიძემ 1 მან., სენაკის მაზრის სამართველოის სეკრეტარმა ნიკო დგებუაძემ 3 მ., ზედა თეკლათის შტატის მღვდელმა ვასილ ხეცურიანმა 10 მ.“ (გაზ. მწყემსი, 1889, №20. დამსწრე).

[1] ს. კაკაბაძე, დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, წ. I, ტფილისი, 1921, გვ. 155.

ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით, „უნაგირას მთის ძირზედ და ტეხურის დასავლის კიდეზედ, არს შხეთს ციხე დიდნაშენი და სასახლე დადიანისა. ამას ზეით, კიდევ ტეხურისავ კიდეზედ, არს სენაკის ეკლესია გუმბათიანი, კეთილშენი, საყოფელი აფხაზთა კათოლიკოზისა“[1].

როგორც ერთი საბუთიდან ვიგებთ, სენაკის ეკლესია აუშენებია ლეონ (ლევან) დადიანს მანუჩარის ძეს[2].

1658 წლის ვამეყ დადიანის შეწირულობის წიგნში ბიჭვინთის სიგელიდან ნათელია, რომ ვამეყ დადიანის დროს სენაკის ტაძარი შეუწირავთ ბიჭვინთის ღვთისმშობლისათვის[3].

1696-1742 წ. გრიგოლ კათოლიკოსის წიგნის მიხედვით შეუწირავთ „გიორგი გულიერი თავისი ცოლ-შვილით და ხუთი ლოცარიკი ჩანთელი“ [4]. ხოლო რაც შეეხება ახალ-სენაკს, ანუ დღევანდელ ქალაქ სენაკს უამრავი მასალაა თავმოყრილი XIX ს-ის ქართული პერიოდულ პრესაში, რომელიც მნიშვნელოვანია აქ მდებარე თუ მშენებარე ეკლესიების და სამღვდელოების ისტორიის შესასწავლად[5].

---

[1] ქართლის ცხოვრება, ტ. IV, თბ. 1973, გვ. 778.
[2] ს. კაკაბაძე, წერილები და მასალები საქართველოს ისტორიისათვის, წ. I, თბ., 1919, გვ. 83.
[3] „1658 წ. შეწირულობის წიგნი ვამედ დადიანისა, ბიჭვინტის საბუთაგან.

...ბიჭვინტისა ღთისმშობელო, ჩუენ ცვაფარვათა შენთა მონდობილმან და მსასოებელან ძისა შენისა და მეუფისა შენისამან ჩუენ ჭელმწიფემან დადიანმან პატრონმან ვამეყ და თანამეუღლემან ჩუენმან გურიელის ასულმან დედოფალმან პატრონმან ელენემ და ძეთა ჩუენთა გივორგიმ (სიც) და ბაგრატ ვიგულეთ და ვიგულისმოდგინეთ, კადრეთ და შემოგწირეთ შენ ცათა მობაძავსა ბიჭვინტისა ღთის მშობელსა (სიც) სენაკს საწინამძღრო საყდარი და სასახლე სრულიად მისის მამულითა და ორის სასახლითა, ღვაწითა (სიც) და ღეისტყითა, სრულად მისის შესავლითა და გამოსავლითა ჩუენ წასარმართებელად და დღეთ ჩუენთა სიგრძისათვის და სულისა ჩუენისა სავოხად. მას ჟამსა ოდეს მადლითა და ბრძანებითა თქუენით გარდაიცვალა დადიანი ბატონი ლევონ და ჩუენ გავბატონდით, ყოველს საყდარს ცოცოტა რამე შევსწირეთ და მერმე დაგველაპარაკა (სიც) ბატონი გაენათელ კათაკიკოზი (სიც) ზაქარია ქუარიან (სიც), გავსინჯეთ და სრულად ოდიშს ერთი საყდარი ასეთი არა ქონდა კზს, რომე დღესასწაული გარდაეხადა და ხან ერთს ეპისკოპოზს ჩაუდგებოდენ დ შინ და ხან მევორეს და ეპისკოპოზები მწვედ გარჯით დაღონებით იყუნენ და ამისთვის შეუსწირეთ, რომე როდესაც კ ზი ოდიშს მობრძანბედოდეს, ხატსა, ჯუარსა და ომფორს იქ საყდარზე დაასვენებდენ და გავაჩინეთ ამისთვის, ვინცა ვინ კათალიკოზი იყოთ და ოდიშს ბრძანდებოდეთ, ამაღლების დღესა ჩუენის სული სავოხად და სახსრად ჟამს გუიწივრიდენ, თვარადა თუ იმ დღეს ოდიშს ვერ დაესწრათ, ამ თორმეტს საუფლოს დღეშიც იმ საყდრარს ჟამს გვიწირვიდენ, რათა არა განვარდეთ სასუფეველისაგან ეს მამული, საყდარი და სასახლე ეს ასრე გარიგებით ბატონ კზს ბაქარისათვის მიგვიბარებია... (წყევა) და: წერა წიგნი, ბრძანება რომელი ესე ქკსა ტმზ, ჭელთა ჩემ ცოდვილისა კათალიკოზის მგალობელისა თამაზისათა.

ხვეულად: ვამეყ, ელენე“ (სარგის კაკაბაძე, დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, წ. I, ტფილისი, 1921, გვ. 61-62).

[4] ს. კაკაბაძე, დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, წ. I, ტფილისი, 1921, გვ. 155.
[5] გაზ. მწყემსი, №17, 1888

სამეგრელოს სასულიერო სასწავლებლის ოლქის სამღვდელოების დეპუტატების შეკრებილება ახალ-სენაკში.

30 მაისისათვის ახალ-სენაკში სამეგრელოს სამღვდელოების დეპატატების კრება იყო დანიშნული ყოვლად სამღვდელო გრიგორისაგან. ამ კრებაზე სამღვდელოების დეპუტატებს საბოლოვოდ უნდა გადაეწყვიტათ სამეგრელოს სასულიერო ოთხ-კლასიანი სასწავლებლის მარტვილში გადატანა, ან ახალ-სენაკშივე დატოვება. დანიშნულ დღეს ახალ-სენაკში შეიკრიბნენ, თითქმის, ყველა დეპუტატები, გარდა 5-6-სა ლეჩხუმიდამ, რომელნიც ვერ მოვიდნენ დანიშნულს დროს სიშორისა გამო. კრებამ თავს-მჯომარედ აღირჩია ფოთის საკათედრო-ტაძრის დეკანოზი მ. გრიგორ მაჭარაშვილი. მთელი ორი დღე ჰქონდა კრებას მსჯელობა სასწავლებლისათვის ახალი ადგილის გამორჩევაზე, მაგრამ დეპუტატები მაინც კიდევ ვერ შეთანხმდნენ ერთმანეთში და საბოლოოდ ვერ გადაწყვიტეს, თუ რომელ ადგილას გადაიტანონ სასწავლებელი. სამღვდელოების დეპუტატების ერთმანეთში უთანხმოებას ძლიერ ხელი შეუწყო კრების საქმეში საერო წოდების რიგთა გარევამაც. ეს პირნი ცდილობდნენ, რომ სასწავლებელი დარჩეს ახალ-სენაკში, რომ სასწავლებლის სხვა ადგილას გადატანით მათ არ მოაკლდეს ის სარგებლობა, რომელსაც აქაურები მოელიან სასწავლებლისაგან. 31 მაისს, როდესაც საქმე უნდა გათავებულიყო, კრების თავს-მჯდომარე ავად გახდა და, რადგან დეპუტატებს დრო აღარ რჩებოდათ ამაღლების დღესასწაულისა გამო, კრებამ ამ კითხვის გადაწყვეტა გადასდო სამერმისოთ და ისურვა, რომ შემდეგისათვის ყველა დეპუტატები მოვიდნენ კრებაზე. ასე უნაყოფოდ გათავდა ეს კრება, რომელზედაც შესაძლო იყო კრების უმთავრესი საგნის საბოლოოდ გადაწყვეტა.

ზოგიერთმა ბლაღოჩინებმა და მღვდლებმა წინადვე ითხოვეს, რომ სამღვდელოების კრება არ მომხდარიყო ახალ-სენაკში, ვინაიდგან საერო-წოდების პირნი ერევიან ყოველთვის სამღვდელოების საქმეში და ხელს უშლიან საქმის რიგიანათ მსვლელობასო, მაგრამ ამ პირების განცხადებაზე არ იქნა ყურადღება მიქცეული, თუმცა ამ განცხადების საფუძვლიანობა აშკარად დამტკიცდა ამ უკანასკნელ კრებაზე.

სასურველია, რომ შემდეგში სამღვდელოების კრება ამ კითხვის გადასაწყვეტად მოხდეს მარტვილში, ანუ სხვა რომელიმე ადგილს გარდა ახალ-სანაკისა და სამღვდელოების დეპუტატებიც იქნენ აღრჩეულნი სინოდის უქაზისა მებრ.

გაზ. მწყემსი, 1888, №23

„მწყემსი“-ს კორრესპონდენცია ახალ სენაკიდამ.

სამეგრელოს სამღვდელოების დეპუტატების კრება ახალ სენაკში 13 დეკემბერს.

ამა დეკემბრის 13 სამეგრელოის სამღვდელოების დეპუტატები დაბარებულნი იყვნენ ახალ-სენაკში. ამ სამღვდელოების კრებაზე უნდა გადაეწყვიტათ სამი უმთავრესი კითხვა: 1) სასულიერო ოთხ-კლასიანი სასულიერო სასწავლებლისათვის უნდა დაექირავებინათ სახლი სამი წლის ვადით; 2) გამოერჩიათ სასწავლებლისათვის საშუალო ადგილი, სადაც უნდა აშენდეს შემდეგში სასწავლებლის ახალი შენობა და 3) გამოენახათ სხვა-და-სხვა წყაროები სასწავლებლისათვის ახალი შენობის ასაშენებლად. ახალი შენობის ასაშენებლად დღეს სამღვდელოებას უკვე შეგროვილი აქვს 20,000 მანეთი, მაგრამ შენობის ხარჯთა აღრიცხვის უნდება 42-65 ათას მანეთამდე. გარდა ამ კითხვებისა სამღვდელოების კრებას უნდა განეხილა სასწავლებლის სხვა კითხვებიც, მაგრამ ჩვენდა სამწუხაროდ, ხსენებული კრება ვერ შესდგა, რადგან კანონიერი რიცხვი დეპუტატებისა არ შეიკრიბა. რაღაცა უბედურებაა ამ სასწავლებლის გამწვავებული საქმის დაბოლოებას ყოველიფერი ხელს უშლის. სამღვდელოება გულით იყო მოწადინებული, რომ ერთხელ და სამუხამოდ გადაეწყვიტა სასწავლებლის საქმე, მაგრამ მათი სურვილი სურვილად დარჩა და საქმეს ეხლაც არა ეშველა რა. კრება შემდეგი დროისათვის გადაიდვა. დეპუტატების კანონიერი რიცხვის შეუკრებლობის მიზეზი იყო დიდი თოვლი, ცუდი ტაროსები და წყალდიდობა. ამ მიზეზებმა გზები შეუკრეს დეპუტატებს და ამიტომ ისინი ვერ გამოცხადენ კრებაზე.

ახალ-სენაკის საზოგადოებამ, რომელიც დიდი ხნიდგან მეცადინობს, რომ ოთხ კლასიანი სასულიერო სასწავლებელი სენაკშივე დარჩეს, სასწავლებელს აღუთქვა 10,000 მანეთის შეწირვა

ფულად, ქვა შენობისათვის და სასწავლებლისათვის საჭირო ადგილი, თუ კი ეს სასწავლებელი ახალ-სენაკშივე დარჩება. ეს შეწირულება, თუმცა საზოგადოებამ თავის დაპირება მართლა შეასრულა, აღემატება ყველა იმ შეწირულობათა, რომელსაც პირდებოდენ სასწავლებელს ფოთი და მარტვილი.

ჩვენ ჩვენის თვალით ვნახეთ ამ სასულიერო სასწავლებლის მომავალი ახალი შენობის გეგმა და უნდა ვთქვათ, რომ მშვენიერი რამ არის. სასწავლებლის შენობაში მოყოლებულია ერთი დიდი ოთახი, სადაც უნდა იქმნეს სასწავლებლის ეკკლესია, რომელიც მშვენივრად არის დახატული თავის კანდელით. შენობა ორ სართულიანია და მთელი შენობა 1225 ოთხ-კუთხი საჟენია. თითოეულ ოთხ-კუთხ საჟენზე ფასი ვარაუდით უანგარიშებიათ 35 მან. ჩვენის აზრით ნამეტანი ფასია. გეგმის შემადგენელს შენობისათვის უანგარიშებია 42-65 ათას მანეთამდე. თუ სასულიერო სასწავლებელი ახალ-სენაკშივე დარჩა, მაშინ 40,000 მანეთი იკმარებს შენობაზე, რადგან აქ ქვა ახლოს არის და იმასაც საზოგადოება სწირავს უფასოდ და სხვა მასალაც იაფად დაჯდება.

დამსწრე

გაზ. ცნობის ფურცელი, №267, 1897

დ. ახალ-სენაკი. სასულიერო სასწავლებელში კურს დამთავრებულნი. „ცნობის ფურცელში“ უკვე გვქონდა მოხსენიებული რიცხვი სამეგრელოს სასულიერო სასწავლებელში კურს დამთავრებულთა. ახლა მოგვყავს მთლათ გვარებიცა. I ხარისხით: ჩოჩია ვლადიმერი, ქარჩავა ტერენტი, ჯაკობია ლეონტი, მაღნარაძე გიორგი და ხორავა ლეონტი: II ხარისხი: მაღნარაძე პავლე, კუხალაიშვილი ამბროსი, ლაბახუა ვლადიმერი, სამხარაძე მიხეილი, თ-ლი დადიანი მათე, ცომაია დავითი, სოსელია ილია, უჩანეიშვილი ფორფინე;

III ხარისხით ძველაია თეოდორე, ჭანტურია აკაკი, ხვიტია ვარლამ, ძიძავა სპირიდონ და ხუბუტია ლევან. უკანასკნელ 9 შაგირდს გარდა ყველას შეუძლია, სასწავლებლის მმართველების-მიერ ბოძებულის რეკომენდაციის ძალით, შევიდნენ ტფილისისა და ქუთაისის სემინარიებში, მხოლოდ წინასწარ ეგზამენები უნდა დაიჭირონ. ხოლო უეგზამენოდ შეუძლიათ რუსეთის ყველა სემინარიებში შევიდნენ.

გაზ. ივერია, №119, 1893

ახალ-სენაკი: 29 მაისს, სამეგრელოს სასულიერო სასწავლებელში კრება ჰქონდათ სამეგრელოს სამღვდელოების დეპუტატთა. კრებას დაესწრო გურია-სამეგრელოს ეპისკოპოზი ყოვლად-სამღვდელო გრიგოლი. აკურთხა კრება და მიჰმართა კრებას სიტყვით, რომელშიაც სხვათა შორის გაატარა ის აზრი, რომ სასურველია სამეგრელოს სასულიერო წოდების დეპუტატთა კრებამ ზნეობრივად და ყოველ გვარ საქმის წარმოებაში წაჰბაძოს თავის მოძმე მეზობელ ეპარქიების სამღვდელოებასაო. შემდეგ კრება შეუდგა საქმეების განხილვას.

კრებამ დაადგინა: ეთხოვოს მის ყოვლად უსამღვდელოებას, ყოვლად სამღვდელო გრიგოლს, გვიშუამდგომლოს, ვისთანაც ჯერ არს, რომ გამოგზავნილ იქმნას „რევიზორი“ სასწავლებლის საქმეების განსახილველად. რევიზორის დასახვედრად-კი არჩეულ იქმნა კომისია, 7 დეპუტატისაგან შემდგარი.

გაზ. ცნობის ფურცელი, №674, 1898

ახალ-სენაკი

დაიწვა მღვდ. ლაზარე ოდიშარიას ორ-სართულიანი შენობაც.

ფელეტონი

გაზ. ცნობის ფურცელი, №63, 1898

ახალ-სენაკი. მადლობის გამოცხადება. ბ-ნო რედაქტორო! ნება მიბოძეთ თქვენის პატივცემულ გაზეთ „ცნობის ფურცლის“ საშუალებით ჩემი უგულითადესი მადლობა გამოვუცხადო ბ-ნ გრიგოლ ხუნწარიას, რომელმაც კეთილ ინება და ჩემ მიერ ახლად გადაკეთებულს ს. ნატოჩაოს (სენაკის მაზრა) წმ. გიორგის სახელზე დაარსებულ სამრევლო სკოლას ნივთიერი შემწეობა აღმოუჩინა. იმედია, ბ-ნ გრიგოლ ხუნწარიას სხვა გულ-კეთილი და ქველ-მომქმედნი პირნი მიბაძავენ ამ გვარ კეთილ საქმეში... ჩვენი ადრესი: ახალ-სენაკი.

ს. ნატოჩაოს სამრევლო სკოლის მასწავლებელი ტრიფონ კალანდარიშვილი, გაზ. კვალი, №27, 1900.

დაბა ახალ-სენაკი

აქ არსებული 4 კლასიანი სასულიერო და ორ კლასიანი „ნორმალური“ სასწავლებელი მთავრობის მიერ არის დაარსებული და მათ შენახვასაც, როგორც ყველამ იცის, მთავრობა კისრულობს. ერთათ ერთი საქმე, რომელიც სენაკელების მკვიდრთა ნაყოფია, ეს ერთ კლასიანი საქალებო სასწავლებელია, მარა ისიც არა სასურველ მდგომარეობაშია. მისთვის ერთი საკუთარი რიგიანი შენობა ვერ შეუძენიათ, ერთი შენობიდან მეორეში ათრევენ.

გაზ. ცნობის ფურცელი, №611, 1898 დ. ახალ-სენაკი. თავხედური საქციელი.

აქ ახლო, თეკლათის დედათა მონასტერში ერთი თვე იქნება, რაც ვიღაცა ყოველ ღამე ქვებს ისვრის და ფანჯრებს ამტვრევს.

თ. ჟორდანია

გაზ. ცნობის ფურცელი, №2190, 1903. პეტრე-პავლობის დღესასწაული. – აბრეშუმის პარკის ფასები. – ამინდი.

კვირას, 29 ივნისს, პეტრე-პავლობა დღეს, მთავრობის ნებართვით, ახალ-სენაკში გაიმართება ჭიდაობა. როგორც აფიშებიდანა სჩანს, „ცნობილი მოჭიდავა ნესტორ ესებუა იწვევს კავკასიის ყოველ კუთხიდან შემორჩენილს მოჭიდავე-ფალავანდებსა“. „ვინც-კი ესებუასთან ისურვებს ჭიდაობას და წააქცევს, იგი მიიღებს ჯილდოდ 100 (ას) მანეთს“. ხარჯს გარდა სრულ შემოსავლის ნახევარს ესებუა აძლევს აქაურს ახლად ასაშენებელ ეკკლესიას, რომელიც დიდი ხანია, რაც დაწყებულია, მაგრამ უფულობისა გამო ჯერაც არ არის დამთავრებული.

გაზ. ცნობის ფურცელი, №2530, 1904. ტრიფონ კალანდარიშვილი. ახალ-სენაკი.

აქაური ახალი ეკკლესიის აშენება ამ ერთის თვის შემდეგ უკვე დამთავრდება. ეს ეკკლესია დაბის შუა-გულ ადგილას არის და კარგ გეგმაზეა აშენებული. მის აშენებას აგერ ათი წელიწადია, რაც შეუდგნენ, მაგრამ უსახსრობისა გამო დღემდის დაუმთავრებელი იყო. კანკელი და სხვა მორთულობა ჯერაც არ მოეპოვებათ.

გაზ. მწყემსი, №17, 1885. ახალ-სენაკიდან. ერ. კანდელაკი.

ჩვენ სასულიერო ოთხ-კლასიან სასწავლებელს შარშან ორ გზის წაუკიდეს ცეცხლი, მაგრამ ორივეჯელ გადარჩა ის დაწვისაგან... ამ ბოროტმოქმედების შესახებ, ეჭვს დავსდებდით რომელიმე რატიას, რომელიც ცდილობს სასწავლებელი ახალ-სენაკიდამ გადაიტანონ სადმე. მაგრამ ღმერთმა დაგვიფაროს ამგვარ უსაფუძვლობისაგან. რა არის მიზეზი ამ სასწავლებლის რყევისა ახალ-სენაკში? ამის მიზეზი, ჩვენის აზრით, ის არის, რომ ზოგიერთ ეს სასწავლებელი ისევ მარტვილში უნდათ გადაიტანონ, რადგან იქ უფრო კარგი ჰაერია და წყალი. ამიტომ მოწინააღმდეგეთ საბუთად მოჰყავსთ ახალ-სენაკში წყლის და ჰაერის უვარგისობა... სამღვდელოების დეპუტატთა უკანასკნელ შეკრებილებაზე დ. ახალ-სენაკში აღძრული იყო კითხვა – სასწავლებლის შენობაზე. ყოვლად სამღვდელო გაბრიელმა, რომ სასწავლებლის სახლი მალე ყოფილიყო აშენებული, უჩვენა სამღვდელოებას კარგ წყაროზე, მაგრამ სამღვდელოებამ ყოვლად სამღვდელოს ნაჩვენებ წყაროზე უარი განაცხადა და ითხოვა, რომ მასს დაბრუნებოდა სემინარიის დასაარსებლად დატოვებული ფულები, რომელზედაც

თავი IX

ჩხოროწყუს რაიონი

სოფელი ნაფიჩხოვო

1. ლედარსალეს წმ. გიორგის სახელობის ნაეკლესიარი

ლელარსალეს უბანში არის ნაეკლესიარი. 1989 წელს აქ ჯვარი აღუმართავთ და განზრახულია წმ. გიორგის ეკლესიის აშენება. აქ ადრე იმავე სახელობის ეკლესია იდგა.

2. ლედარსალეს ნაეკლესიარი და ნაციხარი

ლედარსალეში შემაღლებულ ბორცვს ეძახიან „ნაჯიხურს“ ანუ ნაციხარს. დღეს იქ ნაგებობის ნაშთები არ არის შემორჩენილი. ადგილობრივთა გადმოცემით, იქ იდგა ეკლესია. სავარაუდოდ ის უყურებდა გოდოგანის და ლებერიეს ციხეს. ადგილობრივთა გადმოცემით, აქედან 200 მეტრის მოშორებით იქ სადაც დღეს დგას სოფლის სკოლა იდგა წმ. გიორგის სახელობის ქვის ეკლესია.

3. ლებერიეს ნაციხარი

ლაკადის მთის ძირში, სოფლის ცენტრის ჩრდილოეთით 3 კილომეტრში ლებერიეს უბანში არის ციხის ნაშთები, რომელიც ვფიქრობთ, ძალზედ საყურადღებო ნაგებობაა და ის არა მარტო ციხე-სიმაგრე, არამედ ნაგებობათა მთელი კომპლექსი უნდა ყოფილიყო ეკლესიით და სასახლით.

სამღვდელოების საზოგადო ეპარქიალურ ყრილობაზე ქ. ქუთაისში ყოვლად სამღვდელო დათანხმდა. ეხლა, როგორც გავიგეთ, ეს ფულები უბრუნდება უკან სამღვდელოებას. მაშასადამე სამეგრელოს სამღვდელოება მალე უნდა შეუდგეს სასწავლებლის შენობის საქმეს.

ეს ციხე სამხრეთ-აღმოსავლეთით უყურებს გოდოგნის ჯიხას, სამხრეთით მდ. ვაუს და მდ. ოჩხომურის ხეობას, ასევე ლედარსალეში მისგან დასავლეთით ნოჯიხურად წოდებულ ადგილს

არქიტექტურულად ასეა აღწერილი: ნაციხარი. – შუა საუკუნეები; ტიპი – საფორტიფიკაციო; ყანაში შემორჩენილია ციხის ნანგრევი, კერძოდ სამხრეთის და აღმოსავლეთის კედლების ფრაგმენტები. გეგმა არ იკითხება. კედლები შემორჩენილია სხვადასხვა დონეზე. ნაგებია ყორე ქვით – კირის დუღაბზე; გარშემო მიწის დონე ძალზედ აწეულია.

1990 წ. 12 ნოემბერი, ხელოვნებათმცოდნე მ. აბაშიძე.

4. ლებერიეს ნაეკლესიარი

ზემოთ დასახელებულ ლიბერიეს ციხესთან 200 მეტრში აღმოსავლეთით არის ძველი სასაფლაო, რომელსაც „ნაოხვამეს“ უწოდებენ. ადგილობრივთა გადმოცემით, იქ მდგარა ეკლესია.

სოფელი თაია

1. ლემორგოშიეს – ნაეკლესიარი

ლემორგოშიეს სასაფლაოსთან ძველად იდგა ეკლესია, იქ იყო დარსალიების სალოცავი და სასაფლაო.

2. ლექარეს წმ. გიორგის სახელობის ნაეკლესიარი

ოცინდალეს ეკლესიიდან 2 კმ-ის დაშორებით მდ. ხაშას ხეობაში, იგორ ფირჩხაიას საცხოვრებელ ეზოში იდგა ხის ეკლესია. აქ მღვდელი ყოფილა თევდორე თოდუა, დიაკონი ნესტორ თოდუა. გ. ელიავას აღნიშვნით, თაიაში 1882 წელს ოცინდალედან ჩამოუტანიათ წმ. გიორგის ხატი და დაუარსებიათ ეკლესია. მასთან ერთად ორსართულიანი სკოლა გაუხსნიათ ამ დროიდან აქ ტარდება გიორგობის დღესასწაული[1].

3. ოცინდალეს წმ. გიორგის სახელობის ეკლესია

[1] გ. ელიავა, გ. ფარულავა, გ. შენგელია, ჩხოროწყუს რაიონის ტოპონიმიკის კატალოგი, თბ., 1983, გვ. 72.

სოფელ თაიას ჩრდილოეთით ოცინდალეს მაღალ მთაზე, ლეთოდუეს უბანში (დღეს აქ მოსახლეობა არ არის), დგას წმ. გიორგის სახელობის ძველი ეკლესია. ის მთელს სამხრე-აღმოსავლეთ და დასავლეთ სამეგრელოს გადაჰყურებს. მასზე ისტორიულ წყაროებში ცნობები ცოტაა, თუმცა ვფიქრობთ, ძეგლი XII-XIII საუკუნეების უნდა იყოს.

არქიტექტურულად ის 1992 წელს ამ სახით არის აღწერილი: ჩხოროწყუს რაიონი, სოფ. თაია, მიდამოები მაღალ მთაზე; ეკლესია „ოცინდალე". XIV საუკუნე (ჩვენ ამ თარიღს ვერ გავიზიარებთ – დ. ჭ.); ტიპი – საკულტო; ეკლესია დგას მაღალი მთის კორტოხზე, თავისი მდებარეობით ძეგლი გზიდანვე იპყრობს ყურადღებას; ეკლესია დარბაზული ტიპის ნაგებობაა, დასავლეთის კარიბჭით და ჩრდილოეთის მინაშენით. იგი ნაგებია კირქვით და მოპირკეთებულია კარგად თლილი შირიმის კვადრებით; გეგმით წაგრძელებულ სწორკუთხედს წარმოადგენს, აღმოსავლეთით ნახევარწრიული აბსიდით, რომლის ცენტრში გაჭრილია სარკმელი. სარკმლის გვერდებზე თითო სწორკუთხა ნიშია მოწყობილი; ეკლესიას სამი კარი აქვს – სამხრეთის, დასავლეთის და ჩრდილოეთის. ინტერიერში გრძივი კედლები პილასტრების საშუალებით სამ ნაწილად იყოფა. ისე, როგორც კედლის თაღები, კამარის საბჯენი თაღებიც პილასტრების იმპოსტებზეა დაყრდნობილი. პილასტრები ერთსაფეხურიანია, იმპოსტებს სადა პროფილირებული ფორმა აქვს. ეკლესია ნათდება ოთხი სარკმლით – ერთი აღმოსავლეთით, ორი სამხრეთით და ერთი დასავლეთით. ინტერიერი თავის დროზე მოხატული ყოფილა, რაზეც დასავლეთით და ჩრდილოეთით ნაგებია უხეშად დამუშავებული კირქვით, ხოლო საკურთხეველი შირიმის და კირქვის თლილი ქვით. ეკლესიის აღმოსავლეთის ფასადი შემკულია სამი ლილვიანი თაღის საშუალებით. ცენტრალური თაღი გვერდის თაღებზე მაღალია. აქ მოთავსებულია სარკმელი. ამ ფასადთან ცოკოლი ორსაფეხურიანია. სამხრეთის ფასადის შემკულობას წარმოადგენს ორიარუსიანი სამთაღოვანი კომპოზიცია, რომელიც ფასადის შუა ღერძიდან დასავლეთისკენაა გადაწეული. იმის გამო, რომ მის შუა თაღში შესასვლელია მოქცეული, თაღების არეები კედლის სიბრტყიდან შეწეულნი არიან და საფასადო სიბრტყეზე ქმნიან ერთგვარ დეკორს; დასავლეთის ფასადზე, სარკმელს გარს უვლის ორმაგი მოჩუქურთმებული ლილვი. დასავლეთის კარიბჭე გეგმაში წარმოადგენს სწორკუთხედს, რომლის სამხრეთ და ჩრდილოეთ კედლებში მოწყობილია თაღოვანი ნიშები. გადახურვა ვარსკვლავისებურია; ჩრდილოეთის ფასადი სხვებთან შედარებით სადაა. ფასადის ზედა ნაწილი მოპირკეთებულია შირიმის ქვით, ხოლო დანარჩენ ნაწილებში გვხვდება შერეული წყობა. ეს გამოწვეულია იმით, რომ ფასადის ამ ნაწილს ფარავდა ჩრდილოეთის მინაშენი. ამავე ფასადს მიწის დონიდან 1/3-ზე გასდევს თარო, რომელსაც როგორც ჩანს ჩრდილოეთის მინაშენის გადახურვის კამარა ეყრდნობოდა. თაროს ქვემოთ გაჭრილია კარი; ჩრდილოეთის მინაშენი ეკლესიაზე რამდენადმე მოკლეა. იგი გეგმაში წარმოადგენს წაგრძელებულ სწორკუთხედს, აღმოსავლეთით ნახევარწრიული აბსიდით, რომელშიაც გაჭრილია სარკმელი. მინაშენი შესასვლელი დასავლეთიდანაა. მინაშენი ნაგებია უხეშად დამუშავებული კირქვით; ეკლესიიდან სამხრეთ-დასავლეთით 10-15 მეტრში დგას კოშკი. აქვე შემორჩენილია ნაგებობის ნაშთი".

1991 წ. 21 თებერვალი, ხელოვნებათმცოდნე მ. აბაშიძე.

ოცინდალეს ეკლესიის მდგომარეობის შესახებ 1887 წელს, საყურადღებო ცნობას გვაწვდის გაზეთ „მწყემსიდან" სამსონ თოდუა. საყურადღებოა, რომ მას იქ უნახავს საფლავის ქვა სადაც ყოფილა წარწერა, რომლის მიხედვითაც ეს ეკლესია განუახლებია

თამარ დედოფალს[1]. ძნელია იმის თქმა თუ რომელ თამარზეა აქ საუბარი – თამარ მეფეზე თუ სხვაზე, მაგრამ ეს ეკლესია სწორედ XII-XIII საუკუნისად მიგვაჩნია და

[1] გაზ. მწყემსი, 1887, №20. სოფ. ოცინდალის წმ. გიორგის ეკკელსია და მისი ისტორიული ნაშთები

„ზუგდიდის მაზრიდგან სამხრეთისკენ, ერთ მაღალ გორაკზედ მდებარეობს სოფელი ოცინდალი, რომელიც შემკობილია მშვენიერი ჰავით, ტყეებით და საზოგადოდ ყოველ გვარი მცენარეულობით. ამ სოფელში მარილის და ქვა-გუნდის მადნებიც აღმოჩნდა ამ ბოლო დროს. აქ სცხოვრობს ოცი კომლი გლეხი. სოფლის ერთ ტყიან გორაკზე არის აშენებული ერთი მშვენიერი ტაძარი. გასაკვირია, რომ ამისთანა მშვენიერი გეგმის ეკკლესია აღუშენებიათ ამისთანა მიუვალ ადგილს. ტაძარი უნდა იყოს აშენებული იმ დროს, როცა საქართველოს მოსვენებას არ აძლევდნენ თათრები და სხვა მტერნი, რომელნიც მეცადინეობდნენ საქართველოში ქრისტიანობის მოსპობას. ამ შიშიანობის დროს ჩვენი წინაპარი ეკკლესიებს უმეტესად მიუვალ ტყეებშიდ აშენებდნენ. ამ ეკკლესიის ეზოში მე ვნახე ერთი ქვა, რომელზედაც შემდეგი წარწერა არის: „ეკკლესია ესე განვაახლე მე ღვთისმოსავმა თამარ-დედოფალმა“. სხვა წარწერა წაშლილია. ამ წარწერისაგან სჩანს, რომ ეს ეკლესია განუახლებია თამარ-დედოფალს. ეკკლესიის გეგმა მეტად დიდი ყოფილა: ბალავარი თითქმის ერთი ქცევის ოდენ ადგილზე იქმნება ჩაყრილი, მაგრამ შემდეგ გეგმა შეუცვლიათ და ხსენებული ტაძარი აუშენებიათ უწინდელ გადაკეთებულ ბალავრის შუა. ეკკლესია არის ნაშენი წმინდა თლილი ქვითა, სიგრძე აქვს 24 ადლი, სიგანე 15 და სიმაღლე 18 ადლი. ტაძრის თაღი ქვით არის შეკრული. შიგნით ეკკლესიის კედლები მთლად დახატულნი არიან. ტაძარს დასავლეთის მხრით მიშენებული აქვს საქალებო, რომელიც იყოფება ტაძრისაგან ქვითკირის კედლით. საქალებო ცემენტით არის მთლად ნაშენი; საქალებოს ქვეშ გაკეთებულია სასაფლაო (აკლდამა).

ამ ტაძარში ბევრი შესანიშნავი ნივთები ყოფილა უწინ და ზოგნი დღესაც არიან. აქ ყოფილა უწინ, სხვათა შორის, ერთი დიდი სპილენძის სასანთლე. ეს სასანთლე უნახავს თუ არა მეგრელიის უწინდელს ეპისკოპოსს, განსვენებულს ანტონის, მაშინვე უბრძანებია ამ სასანთლის დაშლა, რადგან ეს სასანთლე ყოვლად სამღვდელოს სიტყვით კერპ-თაყვანის მცემლობის დროისა ყოფილა. ტაძარში არის წმ. გიორგის ერთი ხატი, სრულის ტანისა; ხატი არის გაკეთებული ვერცხისაგან და მოოქვრილია. ხატში ჩაჯენილია თორმეტი სხვა-და-სხვა ძვირფასი თვლები; ტაძარში არის ვერცხის ერთი დიდი ჯვარი, რომელსაც წინა პირი ოქროსი აქვს და შემკობილია ძვირფასი ალმასის თვლებითა. ეკკლესიაში არის თვრამეტი ოქრო, ზოგი თეთრი აბზინდის ოდენა და ზოგი მეტი; აქვე ჰყრია ურიცხვი მშვილდ-ისრები.

ამ ეკკლესიაზედ დიდ-ძალი ხალხი დადის სხვა-და-სხვა სოფლებიდამ სალოცავად და თან ბევრ შესაწირავსაც სწირავენ ეკკლესიას. რადგან ეს ტაძარი აღშენეულია, ძალიან მაღალ სერზე რომელზეც ასვლა ძალიან უძნელდებათ მლოცველებს, ამიტომ ადგილობივმა ბლაღოჩინმა ანჯაფარიძემ, თანახმად უწმიდესი სინოდის განჩინებისა. ამ ეკკლესიის წმ. გიორგის ხატი ჩამოასვენა ს. თაიას ორ შტატოვან წმ. გიორგის ეკკლესიაში, სადაც დღეს ხალხი ბლომად დაიარება ამ ხატის თაყვანის საცემლად.

ოცინდალის ეკკლესიის ეზოში არის აღშენებული ერთი დიდი კოშკი, რომელშიაც ბლომად ჰყრია კაცის ძვლები. კოშკის თავზე დღესაც ხარობს ერთი დიდი ხე, რომელიც ალბად კოშკის აღშენების შემდეგ ამოსულა მასზე. ამ ტაძარს ბევრი ადგილ-მამულები ჰქონდა უწინდელს დროში, მაგრამ დღეს ზოგიერთი თავადების და აზნაურების მძლავრობით ეკკლესიას მხოლოდ ათი ქვეცა ადგილი თუ ექნება, თორემ დანარჩენი მამულები ეკკლესიისათვის სრულებით ჩამოურთმევიათ. დღეს ეს ეკკლესია, რომელიც ძველ დროში ნავთ-საყუდელი იყო სამეგრელოს ეკკლესიების ძვირფასი ნივთებისა (1856 წელში სამეგრელოის ყველა ეკკლესიების ძვირფასი ხატები ამ ეკლესიაში იყო შემონახული) მიყრუებული და მოკლებულია ჯეროვან ყურადღების მიქცევას.

შესაძლოა ეს თამარ მეფეც იყოს. ეკლესიის განმაახლებელია, თავი ეკლესია აქ შეიძლება აშენებულიყო IX-X საუკუნეებშიც. თუ ეს ცნობა სანდოა და თამარ მეფე ამავე დროს ეკლესიის უკან არის ნაგებობის ნაშთები რომელიც შესაძლოა სასახლის ნაშთიც იყოს.

4. ოცინდალეს ციხე-კოშკი

ოცინდალეს ეკლესიასთან დგას კოშკი, რომელიც მთლიანად აკონტროლებს სამეგრელოს სამხრეთის, სამხრეთ-აღმოსავლეთის, და სამხრეთ - დასავლეთის მიმართულებას. ის უყურებს გარახას ციხეს, ეს უკანასკნელი თავის მხრივ წალენჯიხას. ოცინდალეს კოშკის სათვალთვალო არეალი ზღვამდე აღწევს და მდ. Xობისწყლის, მდ. ოჩხამურის და მდ. ტეხურის მიდამოებამდეც წვდება.

ის არქიტექტურულად ასეა აღწერილი: ოცინადალე ეკლესიის ანსამბლში; ციხე-კოშკი; აშენების დრო დადგენილი არაა. არქიტექტორის გვარი უცნობია; დასაცავი ზონა დადგენილი არაა; ოცინდალეს ციხე-კოშკი ნაშენია ქვისაგან, კირ-ქვიშის დუღაბით. ციხე ზომით არის: სიგრძე: 6,50 სმ. სიგანე – 6, 40 სმ. სიმაღლე – 6-7 მეტრი (დაახლოებით), კედლის სისქე – 90 სმ. კოშკს შესასვლელი კარი აქვს აღმ-თით, სარკმელები: აღმ-თით, დას-თით და ჩრდილოეთით. თითო-თითო თარია ამავე მხარეებზე ე. ი. აღმ-თით, დას-თით. ჭერი თაღოვანია. ეტყობა კოშკი ორსათულიანი იყო. ჭერი ჩანგრეულია, გადახურულია ქვით; ძეგლი დაკავებული არაა; სადაცვო-საიჯარო ხელშეკრულება არ არსებობს; ძეგლი გამოყენებაში არ არის; სართული ჩანგრეულია, კარი არა აქვს; ჯომიდავა ნ. ს., თბილისი პლეხანოვის; 17.III.53.

ქუთაისის ოლქის, ჩხოროწყუს რაიონის თაიას ს/საბჭოში შემავალი სოფელ ოცინდალეში ეკლესიის ანსამბლში შედის ციხე-კოშკი ნაშენი ქვისაგან კირ-ქვიშის დუღაბით. ციხე პატარა ზომის არის: სიგრძე–6,50 ს. მ., სიგარე–6,40 ს. მ., სიმაღლე - 6-7 მეტრი (დაახლოებით), კედლის სისტე–90 ს. მ. კოშკს შესასვლელი კარი აქვს აღმ-თით, სარკმელები აღმოსავლეთით, დასავლეთით და ჩრდილოეთით. ჭერი თაღოვანია, ეტყობა კოშკი ორსართულიანი იყო. ჭერი ჩანგრეულია, გადახურულია ქვით.

5. აგუნას სალოცავი

გ. ელიავას მასალებით, „არგუნა“ ოსინდალეს ცენტრში უძველესი ნაოხვამუა, სადაც არგუნას თუ აგუნას ღვთაებას სცემდნენ თაყვანს. აქ თოდუების ძირის სალოცავი ყოფილა.[1]

სასურველია, რომ ამ ადგილს აშენდეს უდაბნო, სადაც რამდენიმე ძმათა შეეძლოთ ცხოვრება. ბერებს, ჩემის აზრით, დიდი ზედ გავლენა ექნებათ ახლო-მახლო მცხოვრებლების სარწმუნოებაზე და ზნე-ჩვეულებაზე“.

სამსონ თოდუა

[1] გ. ელიავა, დასახ. ნაშრომი, გვ. 73.

სოფელი მუხური

1. საჩიქვანოს წმ. გიორგის სახელობის ეკლესია

სოფლის ცენტრთან მდებარე სასაფლაოსთან შემორჩენილია სამნავიანი წმ. გ ი-ორგის სახელობის ეკლესიის კედლები. ეს არის მდინარე ხობის მარჯვენა სანაპიროსთან. დგილობრივთა გადმოცემით, აქ მღვდელი ყოფილა ესტატე ბენდელიანი, ეს ეკლესია აუშენებიათ XVIII საუკუნეში, მას ჰქონიათ ხის გუმბათი, დაუნგრევიათ 1929 წელს. Vფიქრობთ ეს ეკლესია XIX საუკუნის მეორე ნახევარში უნდა იყოს აშენებული.

1. ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის სახელობის ნაეკლესიარი

ა. სიჭინავას მასალებით, მუხურში (მეორე მუხური) იდგა ყოვლადწმინდა მაცხოვრის სახელობის ეკლესია[1].

4. წმ. ნიკოლოზის და წმ. გიორგის სახელობის ეკლესია

მდ. ხობისწყლის მარჯვენა სანაპი-როსთან, სოფლის ცენტრთან „ნაცხას“ ხიდის მარჯვენა მხარეს დგას ახლად აშენებული წმ. ნიკოლოზის და წმ. გიორგის სახელობის ეკლესია – ორივე წმინდანის კუთხეა ერთ ტაძარში გამოყოფილი.

[1] ა. სიჭინავა, საეკლესიო ჩანაწერები (მეტრიკული წიგნები), როგორც ისტორიული წყარო, გაზ. „ნაპერკალი“ (ჩხოროწყუ), 1 აგვისტო, 1989.

სოფელი ლეგახარე

წმ. ნინოს სახელობის ეკლესია და ბარბალობის დღესასწაული

გზისპირას, ლეგახარეს უბანში, შემაღლებულ ბორვზე დგას წმ. ნინოს სახელობის ახალი ეკლესია. აქ ადრეც იდგა ქვის ეკლესია. პირველი მღვდელი აქ ყოფილა დავით გახარია, შემდეგ რაჟდენ ცირდავა. ამ ეკლესიიდან დაახლოებით 1 კმ.-ის დაშორებით დგას ჯვარი, სადაც ძველად სრულდებოდა „ბარბალობის“ დღესასწაული, აქ მდგარა დიდი მუხის ხე, რომელზეც ლოცულობდნენ. ეს ადგილი მდებარეობს მდ. ხობისწყლის მარცხენა სანაპიროზე, ის დასავლეთილან გადაჰყურებს ხობის ეკლესიას. ეს ბორცვი გარკვეული თავდაცვივი ფუნქციის მატარებელიც უნდა ყოფილიყო.

სოფელი ზუმი

1. მთავარანგელოზთა სახელობის ნაეკლესიარი

მდინარე ხობისწყლის მარჯვენა სანაპიროზე იდგა მთავარანგელოზთა სახელობის ხის ეკლესია. აქ მღვდელი იყო ლავრენტი ურუტაძე და ვალიკო ფირცხალავა. სოფელში დღესაც იხდიან ამაღლების დღესასწაულს, ოღონდ ოჯახებში. ამაღლების დღესასწაული ლემონჯავების გვარის სალოცავი იყო.

2. ნაეკლესიარი ადგილები

სოფელ ზუმში ადგილ ჭუბიშში ფიქსირებულია კიდევ ერთი ნაეკლესიარი: ჩხოროწყუს რაიონი, სოფ. ზუმი, ადგილი „ჭუბიში“. შემაღლებულ ბორცვზე; ნაეკლესიარი „ჭუბიში“. შუა საუკუნეები; ტიპი – საკულტო; ეკლესიიდან შემორჩენილია აღმოსავლეთ კედლის ფრაგმენტი და ჩრდილოეთ კედლის უმნიშვნელო ნაწილი. საამშენებლო მასალა ყორექვაა – კირის დუღაბზე. გარშემო გალავნის საძირკველის ფრაგმენტებია.

1990 წ. 12 ნოემბერი, ხელოვნებათმცოდნე მ. აბაშიძე.

სოფ. ზუმში გ. ელიავას მიერ ფიქსირებულია: ნაოხვამუ – ლემონჯავების უძველესი ძირი ხატი. ნაოხვამუ – აქ დღეს ეკლესია არ დგას[1]. ნაჯიხუ – აქ სერგიების ჯიხა ყოფილა[2].

სოფელი ჯუმითი

1. საგუნიოს წმ. გიორგის სახელობის ნაეკლესიარი

მდინარე ხობისწყლის მარჯვენა მხარეს ძველ სასაფლაოსთან, შემაღლებულ ბორცვზე იდგა წმ. გიორგის სახელობის ხის ეკლესია. აქ ყოველი წლის 6 მაისს იხდიან გიორგობას. პირველი მღვდელი აქ ყოფილა ცირდავა, ბოლო მღვდელი იყო ბათუ თოდუა. ეს ეკლესია აუშენებია თავად შელიებს.

2. ქვედა ჯუმითის წმ. გიორგის სახელობის ნაეკლესიარი

ჯუმათის წმ. იორგის სახელობის ამ ეკლესიაზე გარკვეულ ცნობებს გვაწვდის გაზ. „ცნობის ფურცელი“ 1899 წელს.[3].

---

[1] გ. ელიავა, გ. ფარულავა, გ. შენგელია, ჩხოროწყუს რაიონის ტოპონიმიკის კატალოგი, თბ., 1983, გვ. 52.

[2] გ. ელიავა, გ. ფარულავა, გ. შენგელია, დასახ. ნაშრომი, გვ. 53.

[3] გაზ. ცნობის ფურცელი, №822, 1899. სოფ. ჯუმათი (ზუგდიდის მაზრა).

„ჩვენი ეკკლესიის შემოსავალი. სხვებზე კიდევ თუ ავი ითქმის თან რაღაც ცოტა კარგი რამეც იხსენიება, ჩვენ კი ქვედა ჯუმათის წმ. გიორგის ეკკლესიის მრევლი, შენი მტერი ბუნებამ ერთიანად დაგვაბეჩავა და სიგლახის აჩრდილში ვმონებთ გლეხიცა და აზნაურიც. ჩვენი ეკკლესია უხსოვარის დროიდან გაშენებულია წმ. გიორგის სახელობაზე, აქ ასვენია წმ. გიორგის ხატი, რომელიც საზოგადო ძლევამოსილ სასწაულმოქმედათ ითვლება, რის გამო მას დიდი შესაწირავი ფული თუ სხვა რამ ნივთი მოსდის. ასე რომ ვინც თათიდან დაკვირვებულია ამ ეკკლესიის შემოსავალზე, შეუძლიან თამამად იანგარიშოს: „ჯუმათის წმ. გიორგის ეკკლესიას თუ მეტი არა, 2-3 ათასი მან. მაინც ექნება ფულიო. თურმე ნუ იტყვით, ორი მანეთიც აღარ ჰქონებია მას შენახული, არც დაარსებულა ეს ეკკლესია ყოველთვის კარგ შამოსავლიანია და ახლაც აქვს გასავალი, თუ ბრუნვით არ ვიანგარიშებთ, არაფერი აქვს და რისთვის არ უნდა ჰქონდეს მას შენახული ფულები. ნეტარ რა ქვესკნელში იყრება ეს შემოსავალი! ორი სამი წლის წინათ გაიძახოდნენ, ამ ეკკლესიას ორასი მ. აქვს სადღაც ბაღში შენახულიო და ახლა კი ამბობენ, რომ ის ბანკი გაკოტრდა და ფულები დაგვეკარგაო. კაი დაგემართოს. მეც ვიცი, რომ „უბედურ კაცს ქვა აღმართში მოეწევაო“. ათასობით შემოსავალს ძლივს-და გადარჩენია 200 მანეთი და ისიც გაკოტრებულ ბანკს რგებია.

კონსტანტინე გობეჩია

სოფელი ლეწურწუმე

წმ. გიორგის სახელობის ნაეკლესიარი

ადგილობრივთა გადმოცემით, ლეწურწუმეში სოფლის სასაფლაოს მოპირდაპირე მხარეს შემაღლებულ ბორცვზე იდგა სამრეკლო; ის შემდგომ გადმოუტანიათ დღევანდელი სოფლის სასაფლაოსთან, რომელიც მაშინ გაუხსნიათ და აქვე აუშენებიათ აგურის ეკლესიაც. ეს ეკლესია ა. სიჭინავას მასალებით, იყო წმ. გიორგის სახელობის[1]. ადგილობრივთა გადმოცემით მღვდელი აქ ყოფილა ქუთელია ეგიარზენიდან. აქ სამრევლო სკოლაც მდარა, სადაც ასწავლიდა თეიმურაზ თოდუა მუხურიდან. აქ თავადი ყოფილა ეგია კვინჩია

დღეს იქ საძირკველიც არ იკითხება, თუმცა 1990 წელსაც ამგვარი ვითარება ყოფილა: ჩხოროწყუს რაიონი, სოფ. ლეწურწუმე (სასაფლაოზე); „ნაოხვამური“ (ნაეკლესიარი). შუა საუკუნეები; ტიპი – საკულტო; ეკლესიიდან აქ არაფერი შემორჩა ერთი-ორი ქვის გარდა.

1990 წ. 12 ნოემბერი, ხელოვნებათმცოდნე ც. დადიანიძე

სოფელი კირცხი

1. თავად გოშუების კარის ნაეკლესიარი და ციხე სიმაგრე

სოფელ კირცხში დღევანდელი სკოლის შენობის უკან შემაღლებულ ბორცვზე იდგა გოშუების კარის ეკლესია. არის მცირეოდენი ქვის ფრაგმენტები. 1990 წელს კი ამ სახით იყო: გოშუების კარის სამლოცველო; ტიპი – საკულტო. შუა საუკუნეები; ადგილობრივ მცხოვრებთა გადმოცემით, დღევანდელი ნაეკლესიარი გოშუების კარის ეკლესიას წარმოადგენდა; ამჟამად ეკლესიის ბუდეა შემორჩენილი. აღმოსავლეთ მხარეს კი რიყის ქვით კირის დუღაბზე ნაწყობი კედლის ფრაგმენტი.

1990 წ. 12 ნოემბერი, ხელოვნებათმცოდნე ც. დადიანიძე.

გოშაძეთა სათავადოს ჩამოყალიბებას ო. სოსელია XV საუკუნეში ვარაუდობს. ო-შაძეებს ეკუთვნოდათ მდ. ხობისწყლისა და ჭანისწყლის აუზი. ამ საგვარეულოს მფლობელობაში იყო აქ სამი სოფელი – სარაქონი, კირცხი, გაშფერდი. აგრეთვე მდ. ხობის პირად მდებარე ფრიად ნაყოფიერი მამული „ლეტეში“, რომელიც სამხრეთის მიმართულებით სადადიანო სოფელ ხიბულამდე აღწევდა. გოშაძეების სათავადოს

[1] ა. სიჭინავა, დასახ. ნაშრომი.

აღმოსავლეთით და სამხრეთ-აღმოსავლეთით მდ. ხობი საზღვრავდა. ეს მდინარე ჰყოფდა მას სადადიანო სოფელ ოჩხომურისგან, დასავლეთით ჭანის წყალი, რომელიც ჰყოფდა აგრეთვე სამთავრო სოფელ ჭაქვინჯისაგან, სამხრეთით – სადადიანო სოფელი ხიბულა, ჩრდილოეთით ლეწურწუმიე და კვლავ სადადიანო სოფელი ჯაღირა[1].

გოშაძეთა რეზიდენცია სოფელ კირცხში იყო. ამ სოფლის ცენტრში მაღალ გორაკზე რომელსაც „უთუთის ფერდს“ ეძახიან, იყო გოშაძეთა საგვარეულო ციხე-სიმაგრე. ფერდობის ძირს, ვაკეზე – სასახლე და კარის ეკლესია. ადგილობრივ მოსახლეობაში დარჩენილი გადმოცემის მიხედვით, უთუთი იყო გოშუათა (გოშაძეთა) მამამთავარი, რომელმაც ააშენა ეს ციხე-სიმაგრე და ფლობს ზემოაღნიშნულ ტერიტორია[2].

2. წმ. გიორგის სახელობის ეკლესია

სოფელ კირცხში, სოფლის სასაფლაოსთან დგას წმ. გიორგის სახელობის ახლად აშენებული გუმბათიანი ეკლესია. აქ ადრე მდგარა ხის ეკლესია, რომელიც გასაბჭოების დროს დაუნგრევიათ. აქ მღვდლები იყვნენ გოშუები. 1869 წელს კირცხლის წმ. გიორგის ეკლესიის პირველი მღვდელი გამხდარა თომა გოშუა (ბლაღოჩინ-დეკანოზი), ის 1887 წელს გარდაცვლილა; მისი შვილი პეტრე გამხდარა ასევე დეკანოზი – 1874 წელს იყო „მედავითნე“ 1875 წელს კი 21 წლის ასაკში მღვდლად ეკურთხა. 1893 წლიდან იწოდება ბლაღოჩინად 1919 წლიდან სიკვდილამდე იწოდებოდა ბლაღოჩინ-დეკანოზად. ხოლო კირცხის ეკლესიაში მღვდლად 1914 წელს უკურთხებიათ აკაკი გოშუა (დაბ. 1885 წელს), პეტრეს შვილი, რომელსაც დიდი დევნა განუცდია ბოლშევიკებისაგან და გაუკრეჭიათ, გარდაიცვალა 1962 წელსვე[3].

ამ ეკლესიაში შემორჩა XVII საუკუნის ხატი, რომელიც ეხლა ჩხოროწყუს მუზეუმში ინახება.

სოფელი სარაქონი

[1] ო. სოსელია, ნარკვევები ფეოდალური ხა[illegible] ისტორიიდან (სათავადოები), I, თბ., 1973, [illegible]
[2] ო. სოსელია, დასახ. ნაშრომი, გვ. 287.
[3] ჟურ. „კარიბჭე“, №1, 2008; ასევე იხ. უკვდ[illegible]

1. საჯალაღონიოს ნაეკლესიარი და ციხე-სიმაგრე

ადგილობრივთა გადმოცემით, საჯალაღონიოს უბანში სასაფლაოსთან არის ნაეკლესიარი. იდგა ხის ეკლესია. ამ ადგილას იყო ციხე-სიმაგრე, რომელიც რიყის ქვისაგან დაახლოვებით ნახევარ ჰექტარზეა ირგვლივ შემოზღუდული. ის მდებარეობს მდ. Xობისწყლის მარჯვენა მხარეს და გადაჰყურებს მის აღმოსავლეთ და სამხრეთით ხეობებს. აქედან დაახლოებთი 5 კილომეტრში ჩრდილო-დასავლეთით არის ჭაქვინჯის ჯიხა, საიდანაც ჩანს ეს ნაგებობები. ვფიქრობთ, აქაც გოშუათა სათავადოს ერთ-ერთი სასახლე უნდა ყოფილიყო, ხოლო შემდგომ ის ალბათ დადიანებმა წაართვეს. არქიტექტურულად 1990 წელს ამ სახით არის აღწერილი: ჩხოროწყუს რაიონი, სოფ. სარაქონ საჯალაღონიოს სასაფლაო; „ნაუხვამუ“ – ციხის ნაშთი – შუა საუკუნე; ტიპი – საკულტო. შუა საუკუნეები; ადგილობრივ მცხოვრებთა გადმოცემით, იმ ადგილზე, რომელსაც „ნაოხვამუს“ უწოდებენ მდგარა წაბლის ხის ეკლესია, რომელიც 1931 წელს დაუნგრევიათ; ამჟამად ეკლესიიდან არაფერია შერჩენილი. აქა-იქ ყრია ქვები. მიწაზე კი დევს ერთი ბრტყელი ფილა.

1990 წ. 12 ნოემბერი, ხელოვნებათმცოდნე ც. დადიანიძე

ჩხოროწყუს რაიონი, სოფ. სარაქონი, საჯალაღონიოს სასაფლაო; „ნაჯიხარი“ გალავნით. შუა საუკუნეები; ტიპი – საფორტიფიკაციო; ოდესღაც გალავნით შემოზღუდული ციხის ტერიტორია ეკალ-ბარდებით არის დაფარული. მისი კედლები ჩრდილოეთით და დასავლეთით ნაწილობრივი შემორჩა; გალავნის შიდა ტერიტორიაზე განირჩევა ერთი ნაგებობის ნაშთი. იგი დარბაზს უფრო ჰგავს. ნანგრევი შიგნიდან მთლიანად მიწით არის ამოვსებული. გარეთა კედლებიდან უკეთ შემორჩა აღმოსავლეთი კედელი. და დასავლეთი კედლის ორი ფრაგმენტი. სამშენებლო მასალად გალავნისა და ნაგებობებისათვის გამოყენებულია რიყის ყვა – კირის დუღაბზე.

1990 წ. 12 ნოემბერი, ხელოვნებათმცოდნე ც. დადიანიძე

2. სალოგუოს ნაეკლესიარი

სალოგუოს სასაფლაოსთან ადგილი არის „ნაოხვამუ“, სადაც მდგარა ძველი ხის ეკლესია. დღეს საძირკვლიც არ იკითხება. ამ ადგილს ასევე ეძახიან „ გურიში ნოხორის“.

3. საჯალაღონიოს წმ. გიორგის სახელობის ნაეკლესიარი

საჯალაონიოში, სოფლის სასაფლაოსთან არის ადგილი „პაპაში სუკი“, სადაც ძველად შესაწირად განკუთვნილი დიდი საღვინე ქვევრები ყოფილა ჩაფლული. ის გასაბჭოების დროს 1921 წელს გაუნადგურებიათ. მათ შესახებ თავის წიგნში მოგვითხრობს მირიან ჯალაღონია, კერძოდ „კირცხდიდან 12 ურემი მოადგა სარაქონის ეკლესიას. სახურავზე ვინტოვკითა და ბერლინ-გერმანიით შეიარაღებული ფარნა საბეკია და გერა ბაგათელია იდგნენ. ბრძანება მიიღეს ერმინემ, იაკობა და სპირიდონ ჯალაღონიებმა ასულიყვნენ სახურავზე და მოეხსნათ, მაგრამ აყოვნებდნენ ბრძანების შესრულებას. ხალხი გადაუდგა, განსაკუთრებით თავი გამოიჩინა ალე ჯალაღონიამ და

ესტატე გეთიამ და არ დაანებეს ეკლესიის დარღვევა. ალე ფეხით გაიქცა ჩხოროწყუში და რევკომიდან მალე მოიტანა ქაღალდი, რომ ეკლესიისათვის ხელი არ ეხლოთ, მაგრამ სამწუხაროდ მანამდე ავიდნენ პილა იზორია და ზაქარია სახურია, რომელთაც მოხსნეს თითბერის სახურავი, ხის კონსტრუქცია და დატვირთული ურმებით კირცხში წაიღეს, დარჩა მარტო ხის კედელი, რომელიც ოლიფანტე ზაქარაიას მიყიდეს. აქ მღვდელი ყოფილა ბესარიონ ხაბურზანია, რომელიც გაუკრეჭიათ და გაუძევებიათ[1]. ამ ეკლესიასთან ცოდნიათ ქეჯვარობა ჯალაღონიებსა და შურღაიებს აღდგომის მესამე დღეს – სამშაბათს. ამ დღეს კლავდნენ ღორს ნაოხვამუში და ანთებდნენ სანთელს და დაჩოქილნი ლოცულობდნენ, მერე კი ინაწილებდნენ ღორის ხორცს. სია წინასწარ იყო ჩამოწერილი, რომელ წელს ვის უნდა დაეკლა ღორი. გადმოცემით, ჯალაღონიები შურღაიებიდან მოდიან. ერთ-ერთ ჯალაღონიას ყოლია ერთი ქალიშვილი, რომელიც გათხოვდა შურღაიაზე. დედ-მამის გარდაცვალების შემდეშ ქალიშვილი თავის ვაჟიშვილთან ერთად დაბრუნდა მამისეულ ოჯახში და გააგრძელა ცხოვრება შურღაიას გვარზე. ჯალაღონიებსა და შურღაიებს შორის ქორწინება აკრძალული იყო[2].

სოფელი ქვედა ჩწოროწყუ

1. წმ. გიორგის სახელობის ეკლესია

ცენტრალური გზის პირას სკოლასთან დგას ახლად აშენებული წმ. გიორგის სახელობის ეკლესია და სამრეკლო. კურთხეს 2002 წელს.

2. პაპასკირების სასაფლაო წმ. იორგის სახელობის ნაეკლესიარი

[1] მ. ჯალაღონია, სარაქონი, გვ. 43.
[2] მ. ჯალაღონია, დასახ. ნაშრომი, გვ. 30.

პაპასკირების უბანში, სასაფლაოსთან იდგა წმ. გიორგის სახელობის ხის ეკლესია. აქ ბოლო მღვდელი იყო მიხა ახალაია. ამ ეკლესიაზე და იქ არსებულ სკოლაზე ცნობებსგვაწვდის გაზეთი „ცნობის ფურცელი“ და „მწყემსი“[1].

3. საჟვანიოს მთავარანგელოზთა სახელობის ეკლესია

საჟვანიოს სასაფლაოსთან დგას მთავარანგელოზთა სახელობის ერთნავიანი ეკლესია, ის არის ხელახლა აღდგენილი ნაწილობრივ შემორჩენილი ძველი ეკლესიის ქვებით.

4. ჭვილიში, ნაეკლესიარი და ნაციხარი

მდ. ხობისწყლის მარცხენა სანაპიროსთან მაღალ გორაკზე იდგა ეკლესია შემორჩენილი მცირეოდენი კედლის ნარჩენები, დაახლოებით 50 სანტიმეტრის სიმაღლის, ზოგან ცოტა მეტი. იკითხება საკურთხეველი. მისგან სამხრეთით დაახლოებით 200-300 მეტრში შემორჩენილია რიყის ქვისგან კირის დუღაბზე ნაშენი ციხის გალავანი; მშენებლობაში დიდი კვადრებიცაა გამოყენებული. ამ ციხიდან აღმოსავლეთით ჩანს სარაქონის ციხე და

[1] გაზ. ცნობის ფურცელი, №928, 1899. ს. ჩხოროწყუ (სამეგრელო) ორ კლასიანი სამრევლო სკოლის გახსნა.

„ამ სოფელში კარგა ხანია არსებობდა ერთ კლასიანი სამრევლო. სკოლა და მის ახლო-მახლო სოფ.გარახაშიაც. გარახაში (ჩხოროწყუს საზოგადოებაა) არსებული სკოლა ამ უკანასკნელ დროს სხვა და სხვა მიზეზების გამო ძრიელ შეფერხდა. ამიტომ ჩხოროწყუელებმა ამ მეორე სკოლის გადმოტანაც მოისურვეს, რის გამო ატყდა პარტიობა. ამ გვარ განხეთქილებისა და საქმის გარემოებისა გამო ჩხოროწყუელებმა განიზრახეს დაარსონ ორ კლასიანი სამრევლო სკოლა. ამ კითხვის განსარჩევად დანიშნულია ყრილობა და მოწვეულია ზუგდიდის მაზრის საეკლესიო სკოლების მეთვალყურე ბლაღოჩინი მღვდელი კონსტანტინე ბერიძე და ვნახოთ რას გაარჩევენ. ეჭვი არ არის ესენი ყოველივე ღონისძიებას იხმარდნენ ამ სკოლის დაარსებისათვის“.

გურულ-მეგრელი

გაზ. მწყემსი, 1889, №7-8. ახალი ამბები და შენიშვნები.

სოფლის ჩხოროწყუს ერთი მრევლთაგანი, სხვათაშორის, გვწერს: „ადგილობითმა მღვდელმა მ. ნიკოლოზ ახალაიამ თავისი მეცადინეობით და შრომით წესიერად შეამკო ჩვენი ღარიბი ეკკლესია“. ღმეთრმა ქმნას, რომ ამ კეთილს მწყემსს მრავალი მიმდევარი აღმოუჩნდეს ჩვენს საქართველოში.

ჩრდილო-აღმოსავლეთით ჭაქვინჯის ჯიხა. შამხრეთით და ჩრდილო-დასავლეთით მთლიანად მდ. ხობისწყლის და მდ. ოჩხომურის ხეობა. სამხრეთით ლესიჭინე – ახუთი და სახორა.

არქიტექტურულად ძეგლი ამ სახითაა აღწერილი: ჩხოროწყუს რაიონი, ქვ. ჩხოროწყუ, ადგილი ჭვილიში, მთის ფერდზე (ლეჯიქე); „ჭვილიშის“ ეკლესია. ადრეული შუა საუკუნეები; ტიპი – საკულტო; მაღალი მთის კლდოვან ფერდობზე შემორჩენილია „ნაჯახარი“; ეკლესიითა და სხვადასხვა ნაგებობათა ნაშთებით. „ნაჯახარს“ დასავლეთი მხრიდან მშრალი ხეობა ჩამოუდის; ციხის ტერიტორიის ყველაზე მაღალ, განცალკევებულ ადგილას ეკლესია აუგიათ. რუხი ფერის, ფიროვანი ჯიშის თლილი ქვის კვადრებით ნაგები ეკლესია ამჟამად ავარიულ მდგომარეობაში იმყოფება. ეკლესიაში შესასვლელი კარი არსად ჩანდა, ძლიერი მიწაყრილის გამო სამხრეთ-დასავლეთი მხრიდან. სამხრეთ მხარეს მიწის დონე ეკლესიის დაზიანებულ სახურავს უტოლდება. ნაწილობრივ ჩაქცეული კამარის ღიობი აქედან კარგად ჩანს, მაგრამ კედლებში გაჩენილი ძლიერი ბზარების გამო ეკლესიაში ჩახედვაც კი ვერ შევძელით; დასავლეთი კედელი გადაქცეულია და იქვე გდია კედელზე. ამ მხრიდან ეკლესიას ვერც მიუდგები, რადგან კლდის მასივის ეს მხარე თითქმის პიტალოა. აღმოსავლეთი კედელი ხეებითა და ბუჩქნარით არის დაფარული. ყველაზე უკეთ ჩრდილოეთი კედელი შემორჩა. ამ კედლის მიხედვით შეიძლება ეკლესიის თავდაპირველი, აზიდული პროპორციები წარმოიდგინო. კედელს გააჩნია ქვის ორსაფეხუროვანი ცოკოლი და ხელოვნური გამაგრება; ეკლესიის სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში მიჯრილი აქვს კედლის ფრაგმენტი. შესაძლოა აქ მინაშენის არსებობა; წყობის ხასიათი ეკლესიაზეც და მინაშენის კედლის ფრაგმენტებზე სწორხაზოვანია. კვადრები ოსტატურად არიან ერთიმეორეს მორგებულნი. სამხრეთ და აღმოსავლეთ კედლის წყობაში ჩართულია დიდრონი ზომის რიყის ქვები, ოდნავ გამოწვეული საფასადო კედლის სიბრტყიდან.

1990 წ. 27 ნოემბერი, ხელოვნებათმცოდნე მ. დადიანიძე

პ. ცხადაიას მასალებით, ლეჯიქეში ესვენა მთავარანგელოზის ხატი[1]. გ. ელიავას მასალებით, გარახას უბანი მაღალი სერია მდ. ოჩხამურის აღმოსავლეთით. იგი მდინარის ვიწრო ჭალებს გადაჰყურებს. სერის თხემს გარახას გალავნის რკალი მიუყვება, რომელშიც სამი ციხის ნანგრევია ჩართული. მათ შორის ცენტრალური ციხე-ჯიხა ოთხკუთხა, პირამიდული ფორმის, მკვიდრად ნაგები კოშკია. ეტყობა, მას

[1] პ. ცხადაია, სამეგრელოს გეოგრაფიული სახელწოდებანი (ჩხოროწყუს რაიონი), თბ., 2002, გვ. 245.

საკუთარი ეზოც ჰქონდა, რომლის აღმოსავლეთით კიდევ ერთი ოთხკუთხა ციხე მდგარა[1].

„ოხვამე კარი“ – აქ ეკლესია მდგარა ქვის, შემდეგ დაანგრიეს. იგი სოფლის ცენტრი იყო. ჯგემარიონი – უძველესი „ნაოხვამუ“. აქ „მისარიონის“ სალოცავს ლოცულობდნენ. მდგარა ღვთისმშობლის სახელობის ეკლესია[2].

„ნაოხვამუ“ – საბეშიოში[3].

სოფელი ლეჯიქე

1. მიხეილ და გაბრიელ მთავარანგელოზთა სახელობის ნაეკლესიარი

სოფელ ლეჯიქეს სასაფლაოსთან, ა. სიჭინავას მასალებით, იდგა მთავარანგელოზთა სახელობის ეკლესია[4]. არქიტექტურულად ამ სახითაა აღწერილი: ლეჯიქეე. სასაფლაოზე; „ნაოხვამური“ (ნაეკლესიარი); ტიპი – საკულტო. შუა საუკუნეები; ეკლესიიდან შემორჩენილია კედლების უმნიშვნელო ფრაგმენტები. კერძოდ ჩრდილოეთ და სამხრეთი ნაწილები. საამშენებლო მასალად გამოყენებულია მოზრდილი ფლეთილი ქვა. აქა-იქ ყრია რიყის ქვაც.

1990 წ. 12 ნოემბერი, ხელოვნებათმცოდნე მ. აბაშიძე.

ჩხოროწყუს რაიონი, სოფ. ლეჯიქე. ადგილი „ხომა კირდე“. მდ. ხობისწყლის მარცხენა მხარეს, მთაზე; ლეჯიქეს ხუროთმოძღვრული კომპლექსის სწორკუთხა ნაგებობა. გვიანი შუა საუკუნეები; სწორკუთხა ნაგებობა მდებარეობს კომლექსის გალავნის სამხრეთ ნაწილში, ეკლესიიდან სამხრეთ-დასავლეთით 7-8 მეტრში; ნაგებობის საამშენებლო მასალად გამოყენებულია ფლეთილი და ყორე ქვა – კირის დუღაბზე. გეგმით მართკუთხედს წარმოადგენს. დასავლეთით შესასვლელის კვალი იკითხება. ინტერიერი ამოვსებულია მიწით და ჩამონაშალი ქვით; ნაგებობის გაბარიტები იმდენად მცირეა, რომ ჭირს მისი სახეობის დადგენა.

1990 წ. 26 ნოემბერი, ხელოვნებათმცოდნე მ. აბაშიძე.

2. ხომა კირდეს კომპლექსი

რქიტექტორები ხომ-კიდეს კომპლექსს ამ სახით აღწერენ: ჩხოროწყუს რაიონი, სოფ. ლეჯიქე. ადგილი „ხომა კირდე“. მდ. ხობისწყლის მარცხენა მხარეს, მთაზე; არქიტექტურული კომპლექსი. შუა საუკუნეები. ეკლესია-ადრე შუა საუკუნეები; ტიპი–საფორტიფიკაციო-საკულტო; არქიტექტურული კომპლექსი მდებარეობს მაღალი მთის თხემზე და შედგება გალავნის, ეკლესიის და რამდენიმე ნაგებობისაგან; გალავანი ბორცვის კონფიგურაციას იმეორებს. სამხრეთ ნაწილში შემორჩენილია გალავნის ორმაგი მასიური კედლების ფრაგმენტები; დარბაზული ეკლესია მდებარეობს

---

[1] გ. ელიავა. გ. ფარულავა, გ. შენგელია, ჩხოროწყუს რაიონის ტოპონიმიკის კატალოგი, თბ., 1983, გვ. 54.
[2] გ. ელიავა. გ. ფარულავა, გ. შენგელია, დასახ. ნაშრომი, გვ. 55.
[3] გ. ელიავა. გ. ფარულავა, გ. შენგელია, დასახ. ნაშრომი, გვ. 57.
[4] ა. სიჭინავა, დასახ ნაშრომი, გვ. 4.

კომპლექსის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში. იგი ნაგებია შირიმის, ფლეთილი და რიყის ქვით–კირის დუღაბზე. ეკლესიის კედლები შემორჩენილია 1-2 მ-ის სიმაღლეზე; ზოგან უფრო მაღალია; კომპლექსის გალავნის სამხრეთ ნაწილში მდებარეობს სწორკუთხა ნაგებობის ნანგრევი. იგი მცირე მოცულობისაა, კედლები შემორჩენილია სხვადასხვა სიმაღლეზე. გალავნის დასავლეთ ნაწილში კარიბჭის ნაშთია. თვითონ გალავანიც ფრაგმენტულადაა შემორჩენილი; ტერიტორიაზე მიწის დონე აწეულია; ამოსულია დიდი ზომის ხე-მცენარეები.

ჩხოროწყუს რაიონი, სოფ. ქვ. ჩხოროწყუ (ლეჯიქეს სასაფლაო); შვერილაბსიდიანი ეკლესიის ნანგრევი. შუა საუკუნეები; ტიპი–საკულტო; ეკლესია ნაგები ყოფილა სხვადასხვა ზომის შირიმის ფლეთილი ქვით, კლდის ფლეთილი ქვითა და რიყის ქვით – კირის დუღაბზე. საპირე კედლების წყობა სახასიათოა. აქ ოსტატურად არის გამოყენებული სამივე მასალის მონაცვლეობა, მწკრივების მიხედვით; შვერილაბსიდიანი ეკლესიის გეგმა მთლიანად იკითხება. კედლები შერჩენილია 80 სმ. სიმაღლეზე. კონქი და თაღ-კამარა მთლიანად ჩამოქცეულია. აღმოსავლეთი კედლის შუა მონაკვეთი სარკმლიანად ჩამოქცეულია. საკურთხევლის კედლების შერჩენილი ნაწილები ზედა მხარეს სუროთია დაფარული; ინტერიერი ავსებულია ჩამონაშალი ქვა-ღორღითა და მიწით.

1990 წ. 27 ნოემბერი, ხელოვნებათმცოდნე ც. დადიანიძე

სოფელი ოჩხომური

1. სახორას წმ. ბარბარეს სახელობის ეკლესია

სოფლის სასაფლაოსთან დგას ერთნავიანი რიყის ქვისაგან აშენებული წმ. ბარბარეს სახელობის ეკლესია, რომელიც ახლად არის აღდგენილი ძველი ტაძრის ბაზაზე. ის მდებარეობს მდ. ოჩხომურის მარჯვენა სანაპიროსთან. 1990 წლის აღწერილობით, ის ამ სახის ყოფილა: ჩხოროწყუს რაიონი, სოფ. ლესიჭინე, სასაფლაოზე; ეკლესია „წმ. ბარბარე“. 1876 წელს აშენებული; ტიპი – საკულტო; დიდი ზომის დარბაზული ეკლესია ნაგებია რიყის ქვით და აგურით – სქელ დუღაბზე, აგური ძირითადად კონსტრუქციული ნაწილებისათვისაა გამოყენებული. წყობა სწორხაზოვანია; ეკლესია გეგმით წაგრძელებულ სწორკუთხედს წარმოადგენს, აღმოსავლეთით შვერილი ნახევარწრიული აბსიდით, რომელშიც გაჭრილია სამი სხვადასხვა ზომის თაღოვანი სარკმლები. ჩრდილოეთ მხარეს ორი, ხოლო სამხრეთით ერთი თაღოვანი ნიშებია მოწყობილი. აბსიდი დარბაზისაგან გამოყოფილია ვიწრო მხრებით; გრძივი კედლები პილასტრების საშუალებით სამ თანაბარ ნაწილებად იყოფა. ამავე კედლებში გაჭრილი კარ-სარკმელები ერთმანეთის მიმართ სიმეტრიულადაა განლაგებული. ყველა ღიობი თაღოვანია. ასეთივე შესასვლელი და სარკმელი დასავლეთის კედელშიცაა დატანებული; ეკლესიას სადა ფასადები აქვს.

1990 წ. 28 ნოემბერი, ხელოვნებათმცოდნე მ. აბაშიძე.

2. ოჩხომურის მაცხოვრის აღდგომის სახელობის ეკლესია

სოფელ ოჩხომურში იდგა მაცხოვრის აღდგომის სახელობის ეკლესია[1].

სოფელი ლესიჭინე

1. ხელთუქმნელი მაცხოვრის სახელობის ნაეკლესიარი[2]

ლესიჭინეს სოფლის სასაფლაოსთან იდგა ხელთუქმნელი მაცხოვრის სახელობის აგურის ეკლესია. აქ დაკრძალულია ამ ეკლესიის მღვდელი ევსტატე ჭიჭინაძე, რომელიც 1898 წელს არის გარდაცვლილა 38 წლის ასაკში. დეკანოზი ყოფილა დუტუ სიჭინავა.

2. წმ. გიორგის სახელობის ნაეკლესიარი

ე.წ. „რუსთაველის კოლმეურნეობაში“ სოფლის სასაფლაოსთან იდგა ხის ეკლესია, დღეს არავითარი ნაშთები არ არის შემორჩენილი. არქიტექტორებმა კი ამ სახით დააფიქსირეს: ჩხოროწყუს რაიონი, სოფ. ლესიჭინე. ა. ხორავას ყანაში; ნაეკლესიარი; ტიპი – საკულტო. შუა საუკუნეები; ეკლესიიდან შემორჩენილია მხოლოდ ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხის ფრაგმენტი. წყობის ქვედა ფენა შედგება უხეშად თლილი ქვისაგან, ზედა კი მოწითალო ფილებისაგან. დუღაბი სქელია.

1990 წ. 12 ნოემბერი, ხელოვნებათმცოდნე მ. აბაშიძე.

გ. ელიავას მასალებით სოფ. ლესიჭინეში უამრავი ნაოხვამუ ადგილია. „აქ ყოფილა სიჭინავების ძირი ხატი. შემდეგ აქ ეკლესია აუგიათ. მათი ძირი ხატის ლოცვა ყოველ აღდგომის მომდევნო სამშაბათს იცოდნენ. ორშაბათს კი აქაც ხორავებს ჰქონიათ ლოცვა, ისინი ხარს კლავდნენ.

ნაოხვამუ – წმ. ბარბალეს ეკლესია, ნაეკლესიარი – ხორავების სალოცავი[3]. ბარბალეს ამ სალოცავზე, რომელსაც ბარბალეს ქალწულის ბედსა და ბედნიერებას

---

[1] ა. სიჭინავა, დასახ. ნაშრომი.
[2] ა. სიჭინავა, დასახ. ნაშრომი.
[3] გ. ელიავა, გ. ფარულავა, გ. შენგელია, ჩხოროწყუს რაიონის ტოპონიმიკის კატალოგი, თბ., 1983, გვ. 13.

შესთხოვდნენ აქ მთელი სამეგრელოდან მოდიოდნენ მლოცველები, ილორიდანაც კი. აქ წარმართული ღვთაების – ბარბალეს საკულტო, მთელს სამეგრელოში ამ ღვთაების საზოგადო ცენტრი უნდა ყოფილიყო წაჩხურსა და ჟანაანთკარის მსგავსად[1].

აბანო ადგილი, აქ დღესაც არის შემორჩენილი ციხის კედლები. აქ დადიანებს აბანო ჰქონიათ მოწყობილი[2].

ოხვამე – დღეს ნანგრევია. ამ ბაზილიკურ ნაგებობას კარსა და ფანჯრებს ამშვენებს ორნამენტი. ორნამენტის კვეთა და ეკლესიის არქიტექტურული სტილი XVI-XVII საუკუნეს შეიძლება მივაკუთვნოთ[3].

ნაოხვამუ. ადგილი დღეს ნანგრევია შემორჩენილი. აქაც უტუს ლაშქარი მდგარა. აქ უნახავთ მიწის ხვნის დროს ქოთნები, ქვევრები და სხვ.[4].

სოფელი ახუთი

1. წმ. გიორგის სახელობის ნაეკლესიარი

სოფლის სასაფლაოსთან (ფარცხავების, ჩიტაიების, ჯალაღონიების, საჯაიების, კაკულიების – ნაწილი – მეორე ახუთი) იდგა წმ. გიორგის სახელობის აგურის ეკლესია. დღეს შემორჩენილია დაახლოებით 60-70 სანტიმეტრის სიმაღლის კედლები. ის გუმბათიანი ყოფილა. ეკლესია ერთნავიანია და ძალზედ დიდია – გარშემოწერილობა დაახლოების 53 მეტრია. გადმოცემით, ეს წმ. გიორგი, ალერტის და ილორის ძმებად ითვებოდნენ. ეს ეკლესია აუშენებია თავად ჯაიანებს.

არქიტექტურულად ასეა აღწერილი: XX საუკუნე; დარბაზული, შვერილაბსიდიანი ეკლესია მთლიანად აგურით არის ნაგები. ჩამოქცეულია მისი თაღ-კამარა და დასავლეთი კედლის სამხრეთი კუთხე მთლიანად; სწორკუთხა ეკლესია აღმოსავლეთ შუა ნაწილში საკურთხევლით სრულდება, რომლის მომრგვალება აქეთ-იქით სწორ კედლებში გადადის, ჩრდილოეთ კედელში ერთი მაღალი ნიშია მოთავსებული; საკურთხევლის წინ გაკეთებულია სოლეა; განათებულია ეკლესია მაღალი, ფართო თაღოვანი სარკმელებით, გრძივ კედლებში ასეთი სამ-სამია, შესასვლელებიც სამი მხრიდან ჰქონდა დატანებული; ფასადები და ინტერიერი შელესილ-შეთეთრებული ყოფილა; ფასადთა დეკორატიულ მორთულობას წარმოადგენს კარ-სარკმლებზე შემოვლებული აგურის ლილვი; ეკლესიას გარს უვლის რამოდენიმე რიგად დალაგებული აგურის დეკორატიული ცოკოლი; ეკლესიაში მიწის დონე აწეულია, ყრია ჩამონაშალი ქვები. კედლებზე შემოხვეულია სურო.

---

[1] გ. ელიავა, გ. ფარულავა, გ. შენგელია, დასახ. ნაშრომი, გვ. 14.
[2] გ. ელიავა, გ. ფარულავა, გ. შენგელია, დასახ. ნაშრომი, გვ. 20.
[3] გ. ელიავა, გ. ფარულავა, გ. შენგელია, დასახ. ნაშრომი, გვ. 21.
[4] გ. ელიავა, გ. ფარულავა, გ. შენგელია, დასახ. ნაშრომი, გვ. 22.

ხელოვნებათმცოდნე მ. აბაშიძე.

2. ლეგერსამეს მაცხოვრის სახელობის ეკლესია

ლეგერსამეში, შემაღლებულ ბორცვზე სოფლის სასაფლაოსთან დგას საკმაოდ ძველი მაცხოვრის სახელობის ეკლესია. ის დღეს აღდეგილია. მის წინ, დაახლოებით 10 მეტრში, მდებარეობს ნაგებობა – კრიპტა.

აღდგენამდე ეს ეკლესია და კრიპტა არქიტექტურულად 1990 წელს ამ სახით არის აღწერილი: ჩხოროწყუს რაიონი, სოფ. ახუთი, უბანი „ლეგერსამე“, სასაფლაოზე; ეკლესია „მაცხოვარი“; ტიპი – საკულტო. IX-X საუკუნეები; მოზრდილი დარბაზული ეკლესია ნაგებია იდეალურად თლილი შირიმის მონაცრისფრო კვადრებით. წყობა თარაზულია. ეკლესიის ზედა ნაწილს მთლიანად სურო აქვს მოდებული; გეგმით სწორკუთხედს წარმოადგენს, აღმოსავლეთით შვერილი ნალისებური აბსიდით, რომლის ცენტრში გაჭრილია გარეთ შევიწროვებული არქიტრავული სარკმელი. აბსიდის სამხრეთ მხარეს ორი, ხოლო ჩრდილოეთით ერთი სწორკუთხა ნიშია მოწყობილი. კონქი შეისრულია. მას ეტყობა გვიანდელი გადაკეთების კვალი. სატრიუმფო თავი აბსიდის მხრებს ეყრდნობა; გრძივი კედლები დაყოფილია მძლავრი პილასტრებით, რომლებიც დაგვირგვინებულია პროფილირებული კაპიტელებით. კაპიტელებს ცილინდრული კამარის საბჯენი თაღი ეყრდნობა; პილასტრებს ერთი მხრიდან წყვილი საფეხურიანი ებჯინება, მეორე მხრიდან თაროები. თაროებიდან იშლება კედლის ნახევარწრიული თაღები, ხოლო საფეხურებიდან ოდნავ შეისრული. თაღების მიერ შექმნილი შეღრმავებებით ხაზგასმული პროპორციათა მოხდენილობა. პილასტრები ორსაფეხურიან ბაზისებზე დგანან. დასავლეთით კამარის საბჯენი თაღი მცირე ზომის კრონშტეინებს ეყრდნობა; ეკლესიას შესასვლელი სამივე კედელში აქვს დატანებული, დასავლეთისა თაღოვანია, სამხრეთის და ჩრდილოეთის კი შიგნით თაღოვანი, გარეთ არქიტრავულია. სამივე კარის თავზე მაღალი სწორკუთხა სარკმელებია გაჭრილი. ინტერიერში, კედლებზე შემორჩენილია ნალესობის ფრაგმენტები. სამხრეთ კედლის ერთ-ერთ პილასტრზე მოხატულობის უმნიშვნელო კვალია. ჩრდილოეთით მდებარე პილასტრზე ბოლნური ჯვრის რელიეფური გამოსახულებაა; ეკლესიის ფასადები სადაა. აღმოსავლეთიდან მას აქვს ორსაფეხურიანი, ხოლო დანარჩენ სამ მხარეს ერთსაფეხურიანი ცოკოლი. ეკლესიიდან ჩრდილო-დასავლეთით 7-8 მეტრში მდებარეობს კრიპტა; ძეგლის გარშემო გალავნის ფრაგმენტებია.

ხელოვნებათმცოდნე მ. აბაშიძე.

ჩხოროწყუს რაიონი, სოფ. ახუთი, უბანი „ლეგერსამე“, სასაფლაოზე; კრიპტა; ტიპი – საკულტო. შუა საუკუნეები; კრიპტა მდებარეობს „მაცხოვრის“ ეკლესიიდან ჩრდილო-დასავლეთით 7-8 მეტრში. იგი ნაგებია სხვადასხვა ზომის ფლეთილი ქვისაგან. კრიპტა ჩრდილოეთის მხრიდან თითქმის მიწაში ზის. გეგმით ტრაპეციას წარმოადგენს. გადახურვა კამაროვანია. დასავლეთ კედელში დატანებულია არქიტრავული კარი; სახურავი აღარ არსებობს. ამოსულია მცენარეულობა. სამხრეთის ფასადი დაზიანებულია.

1990 წ. 26 ნოემბერი, ხელოვნებათმცოდნე მ. აბაშიძე.

3. საკაციო-საკარტოზიო-„გოგოლეთის“ მთავარანგელოზთ ა სახელობის ეკლესია

მაცხოვრის ეკლესიის სამხრეთით, იმავე ხაზზე მდ. ოწყარიეს მარცხენა მხარეს, მაღალ გორაკზე, მდ. ცივის მარჯვენა სანაპიროსთან დაახლოებით 3 კმ-ის დაშორებით დგას მთავარანგელოზთა სახელობის ეკლესიის კედლები, ჭერი ჩამონგრეულია. ამ ადგილს ეძახიან „გოგოლეთს“. ეკლესია არის ოთხკუთხედი ფორმის. აქ მღვდელი იყო ერმილე ნაროუშვილი, ბოლო მღვდელი ყოფილა ლაზარე ნაროუშვილი.

არქიტექტურულად 1990 წელს ის ამ სახით არის აღწერილი: ჩხოროწყუს რაიონი, სოფ. ახუთი, უბანი „საკაციო“, სასაფლაოზე; ეკლესია „გოგოლეთი“; ტიპი – საკულტო. გარდამავალი ხანა; დარბაზული ეკლესია დგას შემაღლებულ ბორცვზე. ნაგებია მოყვითალო იდეალურად თლილი შირიმის კვადრებით. ინტერიერში წყობაში ალაგ-ალაგ

გამოყენებულია უხეშად თლილი ქვებიც. ფასადების წყობა საოცრად დინამიურია. აცულია სწორკუთხოვნება; ეკლესია გეგმით სწორკუთხედს წარმოადგენს, აღმოსავლეთით ბრტყელი აბსიდით, რომლის ცენტრი გაჭრილია მაღალი არქიტრავული სარკმელი. ჩრდილოეთ და სამხრეთ კედლებში მოწყობილია თითო სწორკუთხა ნიში. ამავე კედელში დატანებულია კარ-სარკმლები ერთმანეთის მიმართ სიმეტრიულადაა განლაგებული. შესასვლელი და სარკმელი დასავლეთის კედელშიცაა მოთავსებული. სამივე კარი შიგნით თაღოვანი, გარეთ არქიტრავულია. დასავლეთის არქიტრავი გამორჩეულია თავისი დიდი ზომით; ჩრდილოეთის და სამხრეთის კედლებზე ვიწრო პილასტრებია განლაგებული. სამხრეთის შესასვლელის წირთხლაზე შემორჩენილია მოხატულობის უმნიშვნელო ფრაგმენტი; ეკლესიის ფასადები სადაა. აღმოსავლეთიდან ორსაფეხურიანი, ხოლო დანარჩენი სამი მხრიდან სამსაფეხურიანი ცოკოლია.

1990 წ. 28 ნოემბერი, ხელოვნებათმცოდნე მ. აბაშიძე.

გ. ელიავა გოგოლეთის ეკლესიას XVIII საუკუნით ათარიღებს[1].

4. ადგილი „ნაბერაყ“ – ნაეკლესიარი და ნაციხარი

გოგოლეთის მთავარანგელოზთა ეკლესიიდან დაახლოებით 500 მეტრში, სამხრეთით მდებარე მაღალი ბორცვზე არის სასაფლაოები; ამ ადგილს ეძახიან „ნაბერაყუს“, ანუ სადროშოს – ნადროშალს. გადმოცემით აქ იდგა ეკლესია; ამ გორაკზე წრეზე შეინიშნება საძირკვლის ნაშთები. სავარაუდოდ აქ უნდა ყოფილიყო თავდაცვითი ნაგებობა, მომცრო ციხე-სიმაგრე. ამ ადგილს ძალზედ მოსახერხებელი მდებარეობა აქვს თავდაცვისათვის. მისგან დასავლეთით კარგად ჩანს ჭვილიშის და ჭაქვინჯის ციხე, ასევე სარაქონის ციხე. აღმოსავლეთით ალერტის ეკლესია ხოლო ჩრდილო-აღმოსავლეთით ნოდას ციხე, ასევე თამაკონის და ბჟერის მთა და იქ მდებარე მოცაციხე, სამხრეთიდან ზანის და ლესიჭინეს ტერიტორია და ალბათ მიმდებარე ციხეები და ჯეგეთა.

ამ ადგილს 1990 წლის აღწერილობით შემორჩენილი ყოფილა ეკლესიის ნაშთებიც: ჩხოროწყუს რაიონი, სოფ. ახუთი, ადგილი „ნაბერაღუ“; ნაეკლესიარი. შუა საუკუნეები; ტიპი – საკულტო; ეკლესიიდან შემორჩენილია მხოლოდ ბუდე. ჩანს აღმოსავლეთ და ჩრდილოეთ კედლების უმნიშვნელო ფრაგმენტები. გამოყენებულია ფლეთილი ქვა.

1990 წ. 12 ნოემბერი, ხელოვნებათმცოდნე მ. აბაშიძე.

5. საკაჭარავოს მარიამ ღვისმშობლის სახელობის კარის ეკლესია და დადიანთა ნასახლარი

საკაჭარავოს სასაფლაოსთან დგას მარიამ ღვისმშობლის სახელობის ეკლესიის ნანგრევები. ჭერი ჩამონგრეულია. კარგად არის შემორჩენილი დასავლეთის და სამხრეთის კედლები და საკურთხეველი. ჩრდილოეთის კედლის ნაწილი ჩამონგრეულია. აქ ბოლო მღვდელი ყოფილა ამბროსი კუხალეიშვილი.

ადგილობრივთა გადმოცემით, ამ ეკლესიასთან დადიანებს ჰქონიათ მარანი, სადაც დღესაც შეინიშნება შენობის საძირკვლის ნაშთები. ნადოხორუს ეკლესიის წინ მდებარე ადგილას, სადაც დღეს სახნავ-სათესია გამართული, თავადთა საცხოვრებელს ანუ

[1] გ. ელიავა, გ. ფარულავა, გ. შენგელია, ჩხოროწყუს რაიონის ტოპონიმიკის კატალოგი, თბ., 1983, გვ. 45.

„ნადოხურო“ ეწოდება. აქ იდგა სასახლე. ეკლესია XVII საუკუნის ნაგებობა ჩანს. სასახლის ადგილას არ შეინიშნება ნაგებობის ნაშთები. შესაძლოა სასახლე ხის იყო.

ო. სოსელიას მასალებით, ახუთი ჯაიანების სამფლობელო იყო, მათ დიდი მეურნეობა ჰქონიათ ახუთში, თუმცა მათი საგვარეულოს დადიანთა მიერ დევნის შედეგად ამ უკანასკნელთა სამთავრო სახლის უმცროსმა შტომ თავის ერთ-ერთ რეზიდენციად სწორედ ახუთი აირჩია. აქ დამკვიდრდა ამ შტოს წარმომადგენელი დადიანის ძე გიორგი XVIII საუკუნეში. მისი კარის ეკლესიის ნანგრევები დღესაც არის შემორჩენილი[1].

ვფიქრობთ, თავდაპირველად ეს ეკლესია ჯაიანების კუთვნილი უნდა ყოფილიყო და არა დადიანთა მიერ აშენებული.

6. სანაროუშვილოს მაცხოვრის სახელობის ეკლესია

სანაროუშვილოს სასაფლაოსთან დგას ქვის ეკლესია. ჭერი ჩანგრეულია. ეს ეკლესია ყოფილა ნაროუშვილების და ჯიქიების. აუშენებია ჯიქიებს. აქ პირველი მღვდელი ყოფილა ლაზარე ნაროუშვილი, ხოლო შემდეგ, ბოლო - მისი შვილი ერმინე (რომელიც გოგოლეთშიც იყო მღვდლად) დიაკონი კი მიხა ნაროუშვილი.

არქიტექტორების მიერ ეს ეკლესია გვიანი შუა საუკუნეებითაა დათარიღებული.

7. სანაროუშვილოს გვარის სალოცავი

სანაროუშვილოში, შემაღლებულ ბორცვზე ეკლესიის ჩრდილოეთით დაახლოებით 2 კილომეტრში იყო ნაროუშვილების ჯინჯი (ძირი) ხატი. აქ ნაროუშვილების გვარს ჯიქიებთან ერთად ჰქონდათ გვარის სალოცავი, სადაც დღესაც დგას ცაცხვის ხე და ჯვარია აღმართული. ლოცულობდნენ აღდგომა დღეს და კლავდნენ ხარს. აქ ყოფილა დამარხული ძველი ჯვარი და ფული.

8. სავეკუოს „ მისარიონის“ - წმ. გიორგის სახელობის ნაეკლესიარი და ციხე

[1] ო. სოსელია, ნარკვევები ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიიდან (სათავადოები), I, თბ., 1973, გვ. 296-297.

სავეკუოს უბანში სასაფლაოსთან მდებარე შემაღლებულ ბორცვზე (ეს იყო ვეკუების, ნოდიების, ზოდელავების, გადილიების, ჩემიების, ლაპარტიების საგვარეულო სასაფლაო) იდგა „მისარიონის“ (წმ. გიორგის სახელობის) ეკლესია. ეხლა აქ სულ ვეკუების 4 და 1 ჩემიას გვარის ოჯახი ცხოვრობს. მდვდელი აქ იყო კონო ვეკუა, დიაკონი ილია ვეკუა. აქ არის ციხე-სიმაგრის ნაშთები, თუმცა ის ჩვენ ვერ დავათვალიერეთ, რადგან მცენარეებითაა დაფარული, ხოლო არქიტექტორების მიერ ამ სახითაა აღწერილი: ჩხოროწყუს რაიონი, სოფ. ახუთი, ადგილი „სალიპარტიო“; ნაციხარი; „მისარიონის ჯიხა“. შუა საუკუნეები; ტიპი – საფორტიფიკაციო; ციხის კედლები ნაგები იყო დიდრონი უხეშად დამუშავებული ქვებით – სქელ დუღაბზე. საამშენებლო ღერძი ვითარდება აღმოსავლეთ-დასავლეთის მიმართულებით. შემორჩენილია გალავნის ფრაგმენტები. ციხე მოიცავდა დიდ ტერიტორიას. ტერიტორია დანაწევრებულია ტერასულად, იკითხება 9 ტერასის ნაშთი. ამოსულია მაღალი ხეები და დიდი რაოდენობით ეკალ-ბარდები. ჩასატარებელია გაწმენდითი და გათხრითი სამუშაოები.

1990 წ. 12 ნოემბერი, ხელოვნებათმცოდნე მ. აბაშიძე.

9. ლეჯიქეს სასაფლაოსთან კედლის ნაშთები

ლეჯიქეს სასაფლაოსთან, მაღალ გორაკზე არის დაახლოების 50 სმ სიმაღლის რიყის ქვისაგან ნაშენი კედელი. ის გარს ერტყმის სასაფლაოს. სამხრეთიდან გადაჰყურებს მდ. ოჩხომურის ხეობას.

10. ლაკტურიას ნაოხვამუ

საქარაიოში არის ადგილი ლაქტურია, სადაც ყოფილა ძველი ნაეკლესიარი, ამ ადგილს ნაოხვამუს ეძახიან.

11. სამრევლო სკოლებზე

სოფელ ახუთს, მთხრობელთა გადმოცემით, ძველად ერქვა საღებო ანუ სამღებრო. მასზე ჩვენ ცნობებს გვაწვდის გაზ. „ივერია“ და „ცნობის ფურცლი“, რომელიც მოგვითხრობს აქ მოღვაწე მღვდლებზე და სამრევლო სკოლების დაარსების შესახებ[1].

---

[1] გაზ. ცნობის ფურცელი, №329, 1897

სოფ. სამღებრო (სამეგრელო). მადლობის გამოცხადება. უმორჩილესად გთხოვთ თქვენის პატივცემულის გაზეთის საშუალებით გულითადი მადლობა განვუცხადოთ მღვ. ანტონ პაპასქირს, რომელმაც ჩვენს დაბაში, სამღებროში, დიდი შრომა-ჯაფის შემდეგ დააარსა აქ დროებით სამრევლო სკოლა და ასწავლის შიგ ჯერ-ჯერობით უსასყიდლოდ, აგრეთვე ქალბატონს ვენერა ჯაფარიძე-გოლსკისის, რომელიც აგრეთვე უსასყიდლოდ ასწავლის ამ სკოლების მოსწავლე ქალებს ჭრა-კერვას და ქარგვას და მღვდელს დავით პაპასკირს, რომელმაც ამ სკოლას შემოსწირა სამოცი მანათი.

გაზ. ცნობის ფურცელი, №385, 1897, დ. სამღებრო სამეგრელო.

ორ-კლასიანი სამრევლო სასწავლებელი თუ ნორმალური? როგორც „კვალის“ 49 №-ში ვარდიკომ მაგალითად მოიხსენია, აქ საზოგადოებამ ადგილობრივის მღვდელის ან. საპასქირის თაოსნობით ერთსა და იმავე დროს გაჰხსნა ორი სკოლა – სამრევლო და წერა-კითხვისა, რომელშიაც სხვა საგნებს შორის ქართულ ენასაც თავისი ადგილი უჭირავს. ახლა საზოგადოებას უნდა, რომ ფორმალურადაც მოსპოს აქ სამინისტრო სკოლა და მის შენახვისთვის საჭირო ხარჯი სამი მანათი უკვე დაარსებულ სამრევლო სკოლის ორ-კლასიანად გადაკეთებას მოახმაროს. ამ სკოლის ორ-კლასიანად გადაკეთებისთვის უკვე საკმაო თანხა აქვს საზოგადოებას გადადებული: ვაჭრებს 1000 მანეთი, თავად-აზნაურობას 500, მღვდლებსაც 500 და გლეხობას – კი ზემოხსენებული 300 მანათი, სულ ერთად 2,300 მან.

იკა ნოღელი, გაზ. ივერია, №90, 1888, სოფ. ახუთი (ზუგდიდის მაზრა)

წარსულის წლის აგვისტოს ბოლოს ადგილობრივის სამღვდელოების მეცადინეობითა და მოვაჭრეთა დახმარებით გახსნილ იქმნა წერა-კითხვის საეკლესიო სკოლა, სადაც პირველ სექტემბრისათვის კიდევ მოგროვდა 90 ყმაწვილი, ხოლო სამინისტრო სკოლა მთლად დაცარიელდა. დირექციამ მოინდომა ერთ-კლასიანის სამინისტრო სკოლის ორ-კლასიანად გადაკეთება, ისე-ცა, რომ უფროსის მასწავლებლის და სამღრთო სჯულის მასწავლებლის ჯამაგირი დირექციას თავისი საშუალებიდან მიეცა, თუ სკოლაში ბავშვების საკმაო რიცხვი იქნებოდა დღეს სამინისტრო სკოლაში 80 ბავშვია, საეკკლესიოშიაც 90-ია. წარსულის თვის დეკემბრის თვეში ადგილობრივმა სამღვდელოებამ, თავად-აზნაურებმა და მოვაჭრეებმა სთხოვეს ბ-ნს გურია-სამეგრელოს საეკკლესიო სკოლათა მეთვალყურეს თ. ჟორდანიას, რომ ეშუამდგომლა უმაღლესის მთავრობის წინაშე ორ-კლასიან სამრევლო სკოლის დაარსებისათვის, თავიანთის მხრით-კი დროებით 1500 მან. და საჯარო მიწა აღუთქვეს. სააღდგომოდ საეპარქიო სამასწავლებლო საბჭოს მიუღია მოწერილობა უწმიდესის სინოდის ობერპროკურორისაგან, რომლიდგან სჩანს, რომ უწმიდესის სინოდის საშუალებით არსდება სოფ. ახუთში ორ-კლასიანი სამრევლო სკოლა და ინიშნება იმის შესანახად ყოველ წლივ 750 მანეთი. ამ დროობით უწ. სინოდი იძლევა საჭირო ფულს სასწავლებლის შენობის ასაშენებლად. ასე კარგად წავიდა ახუთელების საქმე. მომავალ პირველ სექტემბრისათვის ახუთში დაარსდება ორ-ორი კლასიანი სამრევლო და სამინისტრო სასწავლებლები.

გაზ. ცნობის ფურცელი, №757, 1899. გურულ-მეგრელი, ს. ახუთი (სამეგრელო). სკოლების დაარსება.

ამ მოკლე ხანში სოფ. ახუთში გაიხსნა ორი ორკლასიანი სკოლა საეკლესიო სამრევლო და სამინისტრო. ეს უკანასკნელი სექტემბრის თვიდან გახსნილია, ხოლო ორ-კლასიანი სამრევლო სკოლა დამტკიცებულია ამ ახალი წლიდან და მასწავლებელთათვის დანიშნულია ხაზინიდან ჯამაგირი 750 მანეთი. სწორედ რომ ძლიერ სასიამოვნო საქმეა ეს, თუ კი საზოგადოება მაინც

სოფელი ნაკიანი

1. ლექარჩეს მიხეილ და გაბრიელ მთავარანგელოზთა სახელობის ნაეკლესიარი – ქიაჩი

სოფლის ძველ სასაფლაოსთან შემორჩენილია ქარჩავების და ჭკადუების მიქელ-გაბრიელის სახელობის ეკლესიის ნაშთები. შემორჩენილია საძირკვლის და მცირეოდენი დაახლოების 1 მ-ის სიმაღლის კედეი (ზოგან ნაკლები) მას ქიაჩსაც ეძახიან. ეკლესია დაახლოებით ერთი მეტრის სიმაღლეზე ნაშენი ყოფილა რიყის ქვით, ხოლო როგორც გადმოგვცემენ, შემორჩენილი კედლების ზემოთ კი ყოფილა ურთხელის ხის შენობა.

ის არქიტექტორთა მიერ შუა სუა საუკუნეებისად არის მიჩნეული (მ. აბაშიძე).

2. ლეყალიჩეს წმ. მაცხოვრის სახელობის ეკლესია

სოფლის სასაფლაოსთან შემაღლებულ ბორცვზე მდინარე ზანასა (მარჯვენა) და მდ. ოჩხამურს (მარცხენა) შორის (ოჩხამურამდე ჩამოედინება ჯოღორ-ღელე) დგას წმ. მაცხოვრის სახელობის ერთნავიანი ეკლესია, ტაძარი XIII-XIV საუკუეების შთ აბეჩდილებას ტოვებს. სახურავი ახლად აღდგენილია. ტაძრის წინა ფასადზე – დასავლეთით ამოყვანილია ჯვარი.

ის არქიტექტურულად ამ სახით არის აღწერილი: ჩხოროწყუს რაიონი, სოფ. ნაკიანი, ყალიჩავების სასაფლაოზე; ეკლესია „მარიამ ღვთისმშობელი“; (ეს იყო მაცხოვრის და არა მარიამ ღვთისმშობლის სახელობის – დ. ჭ.) ტიპი – საკულტო. გარდამავალი ხანა; დარბაზული ეკლესია ნაგებია კარგად თლილი ქვით – კირის დუღაბზე. კონსტრუქციული ნაწილებისათვის გამოყენებულია მონაცრისფრო შირიმი.

მხარს არ აუქცევს, ე. ი. მისცემს იმ აღთქ
დასახმარებლად.

დიდი მადლობის ღირსია მ. ანტ. პაპასქირი, რომელმაც თავი განწირა ამ საქმისათვის.

წყობა სწორხაზოვანია; ეკლესია გეგმით სწორკუთხედს წარმოადგენს, აღმოსავლეთ შვერილი ნახევარწრიული აბსიდით, რომლის ცენტრში გაჭრილია გარეთ შევიწროვებული შიგნით თაღოვანი, გარეთ არქიტრავული სარკმელი. აბსიდის სამხრეთით ერთი, ხოლო ჩრდილოეთით ორი თაღოვანი ნიშებია მოწყობილი. ჩრდილოეთის ნიშები ერთმანეთს ემიჯნება. კონქი ამოყვანილია ქვის რადიალური

წყობით. სატრიუმფო თაღი კაპიტელებით დაგვირგვინებულ აბსიდის მხრებს აყრდნობა; გრძივი კედლები პილასტრების საშუალებით სამ არათანაბარ ნაწილად იყოფა. პილასტრების კაპიტალებს ეყრდნობა ცილინდრული კამარის საბჯენი თაღები. ამავე კედელში გაჭრილი კარ-სარკმლები ერთმანეთის მიმართ სიმეტრიულადაა განლაგებული, ყველა ღიობი თაღოვანია. მხოლოდ სამხრეთის და დასავლეთის შესასვლელები გარედან არქიტრავულებია, დასავლეთის კარის ორივე მხარეს განლაგებულია სარკმლები; ინტერიერში კედლებზე შემორჩენილია ნალესობის ფრაგმენტები; ეკლესია დგას ერთსაფეხურიან ცოკოლზე. სახურავი აყრილია, ამოსულია მცენარეულობა, სურო. რამდენიმე ადგილას ჩანს კარნიზი, რომელსაც თარო-ლავგანდანის ფორმა აქვს. ფასადები სადაა.

1990 წ. 28 ნოემბერი, ხელოვნებათმცოდნე მ. აბაშიძე.

3. ლეახალეს წმ. გიორგის სახელობის ეკლესია

ლეახალეს სასაფლაოზე, მდ. ზანის მარჯვენა მხარეს დგას წმ. გიორგის სახელობისეკლესია. ტაძარი ახალი აღდგენილია. ტაძრის წინა ფასადზე ჯვარია ამოყვანილი, ნაგებობა ერთნავიანია, ვფიქრობთ ის არის XV-XVII საუკუნეების შენობაა. ძლიერ ჰგავს ჩვენს მიერ ახუთში დადიანების სასახლეში ფიქსირებულ ეკლესიის სტილს. ბოლო მღვდელი აქ იყო დავით თოდუა დოშაყედან.

ის არქიტექტურულად ამ სახითაა აღწერილი: „გარდამავალი ხანა, გვიანი გადაკეთებით; დარბაზული ეკლესია დგას შემაღლებულ ბორცვზე. ნაგებია კარგად თლილი სხვადასხვა ზომის შირიმით – კირის დუღაბზე; ეკლესია გეგმით სწორკუთხედს წარმოადგენს, აღმოსავლეთით შვერილი ნახევარწრიული აბსიდით. რომლის ცენტრში ერთმანეთის მიჯრით გაჭრილია სამი თაღოვანი სარკმელი. აბსიდის ჩრდილოეთით ორი, ხოლო სამხრეთით ერთი თაღოვანი ნიშია მოწყობილი. კონქი ამოყვანილია ქვის რადიალური რიგებით. სატრიუმფო თაღი პროფილირებულ, ჩუქურთმიან კაპიტელებს ეყრდნობა. აბსიდის იატაკის დონე ერთი საფეხურით მაღალია დარბაზთან შედარებით. გრძივი კედლები პილასტრების საშუალებით სამ არათანაბარ ნაწილად იყოფა. პილასტრების კაპიტელებს ცილინდური კამარის საბჯენი თაღები ეყრდნობა. კაპიტალები შედგება სამი მონაკვეთისაგან. პირველი ზედა მონაკვეთი გლუვია, მეორეზე გამოსახულია წნული ორნამენტი, ხოლო მესამე – ქვედა დანაწევრებულია კბილანისებურად; ჩრდილოეთის და სამხრეთის კედლებში გაჭრილი კარ-სარკმლები ერთმანეთის მიმართ სიმეტრიულადაა განლაგებული. ყველა ღიობი შიგნით თაღოვანი, გარეთ არქიტრავულია. ასეთივე შესასვლელი და სარკმელი დასავლეთის მხრიდანაც არსებობს. კარებები ნაოთხალიანია; კამარაში სამხრეთით და ჩრდილოეთით

ჩაყოლებულია აკუსტიკური ქვევრები, კედლებზე შემორჩენილია ნალესობის უმნიშვნელო ფრაგმენტები; ფასადები: დასავლეთის ფასადზე ყველაზე კარგად ჩანს გადაკეთების კვალი. ძველ ძირითად კორპუსზე ამოყვანილია რიყის ქვის წყობა, რომელიც სრულდება პროფილირებული კარნიზით. კარნიზს ადევს აგურის ორმაგი ჰორიზონტალური რიგი. შესასვლელის თავზე კარგად ჩანს ძველი ტიმპანი. შესაკეთებელია კარის წირთხლები. ღიობს აუყვება ვიწრო პილასტრები თარო-ლავგანდანის კაპიტელებით და ზედ დაყრდნობილი მკვეთრად შეისრული თაღით. კარის თავზე მოწყობილია ნიშა, ხოლო მის ზემოთ ჩასმულ ფილაზე გოლგოთას ჯვარია გამოსახული; სამხრეთის ფასადზე არქიტრავის თავზე წყობაში ჩასმულია ქვის ფილა განედლებული ჯვრის რელიეფური გამოსახულებით. აქაც კარის წირთხლებს პილასტრები აუყვება, რომლის კაპიტელებს ეყრდნობა კუთხოვანი თაღი. ამ და დანარჩენ ფასადებზე, დასავლეთის გარდა, კარნიზი მიღებულია აგურის კბილანისებური წყობით; ანალოგიურია ჩრდილოეთის ფასადიც, იმ განსხვავებით, რომ აქ თაღი შეისრულია და ჯვრიან ფილაზე, ზედა კუთხეში გამოსახულია მგალობელი ჩიტი; ეკლესია დგას ერთსაფეხურიან ცოკოლზე. სახურავად გამოყენებულია თუნუქი“.

ხელოვნებათმცოდნე მ. აბაშიძე.

4. სამრევლო სკოლაზე

სოფელი ნაკიანი მოხსენიებულია საკიკიანოს ფორმით, რომელზედაც გარკვეულ ცნობებს გვაწვდის გაზეთი „ცნობის ფურცელი“[1].

---

[1] გაზ. ცნობის ფურცელი, №744, 1899. სოფ. საკიკიანო (სამეგრელო).

აქაური სკოლა და მღვდლის მოღვაწეობა. 1895-ის სასწავლო წლიდან აქ, ამ სოფელში, ადგილობივის მღვდლის მ. ფილიპე კვარაცხელიას თაოსნობით და მეცადინეობით არსებობს სამრევლო სკოლა, რომელმაც ამ სკოლისათვის საჭირო შენობა და ერთი ქცევა მიწა, ღირებული 400 მანეთად, შესწირა, მაგრამ ამისთანა კეთილი და მისაბაძი მაგალითებით ზოგიერთნი პირნი და სოფელნი სარგებლობენ, მაგალითად: ამა და ამ მღვდელმა თავისი ხარჯით ააშენა სამრევლო სკოლისათვის საჭირო შენობა და ჩვენი მღვდელი რათ არ გვიკეთებსო და სხვა, ასე რომ მღვდლებს ჰხდიან მოვალეთ შენობაზე და სხვა საჭირო მასალების მოპოვებაზე, და თვით კი (საზოგადოება) ყურსაც არ იბერტყავს ამაზე.

თუმცაღა ამ სკოლაში ყველაფერი უფასოა და ესევე მღვდელი თითქმის უფასოდ ურიგებს მოსწავლეებს სასწავლო ნივთებსაც, მაგრამ აქაური უსწავლელი საზოგადოება, გამსჭვალული რაღაც უცნაური აზრებით, ყურადღებას არ აქცევს და არ ზრუნავს ამ სამრევლო სკოლაზე იმითი, რომ არც ბავშვებს აძლევენ სკოლაში. სადაც ამისთანა სამრევლო სკოლები არ არსებობენ, იქ მიზეზად ასახელებენ, რომ ღარიბნი ვართო, მაგრამ ამ შემთხვევაში რაღა მიზეზი უნდა ითქვას, როდესაც ყველაფერი უფასოდ აქვს? დაგვრჩენია მხოლოდ ვსთქვათ, რომ ამისთანა საზოგადოება არის ბრმა, დაუდევნელი და სხვა არაფერი...

დიდის მადლობის ღირსია მ. ფილიპე კვარაცხელია, მმართველი და საღმრთო რჯულის მასწავლებელი ამა სკოლისა, ასეთი ქველმოქმედებისათვის და ენერგიული სწავლის

სოფელი გარახა

1. წმ. გიორგის სახელობის ნაეკლესიარი

სოფლის სასაფლაოსთან იდგა წმ. გიორგის სახელობის ხის ეკლესია და სამრევლო სკოლა.

2. ნაჯაგურ გორაკი – ციხე-კოშკები (ლექვარცხეს უბანი)

სოფელ გარახაში შემაღლებულ ბორცვზე დგას ორი კოშკი. ერთი იცავს ჩრდილოეთის ხაზს, მეორე სამხრეთისას. ისინი ერთმანეთისგან დაახლოებით 400 მეტრით არიან დაშორებულნი. სამხრეთის კოშკი გადაჰყურებს მთელს დასავლეთის მიდამოს – ჩხოროწყუს და მდ. ხობისწყლის ხეობას. აქედან ჩანს ჭაქვინჯის ციხე და მის უკან წაჩხურისკენ მდებარე ციხეები. აღმოსავლეთით ნოღას ციხე.

ეს კომპლექსი არქიტექტურულად როგორც 50-იან წლებში, ასევე 1990 წელს ამ სახით არის აღწერილი: ქუთაისის ოლქი; ჩხოროწყუს რაიონი, სოფელი გარახა, ნაჯაგურ გორაკზე; ციხე; აშენების დრო დადგენილი არაა, არქიტექტორის გვარი უცნობია; დასაცავი ზონა დაწესებული არაა; ციხე ნაშენია ქვით და კირ-ქვიშის დუღაბით. ციხე ორ სართულიანი ყოფილა. ამჟამად შესამჩნევია II სართულის გამამაგრებელი ხის ნაწილების დამამაგრებელი ღრუები. აქვს რამოდენიმე სათოფური როგორც ქვედა ისე ზედა სართულზე. ძეგლი ზომით არის: სიგრძე – 11 მეტრი, სიგანე – 11,50 ს. მ. სიმაღლე – 10-12 მ. კედლის სისქე – 1,85. შესასვლელ კარი აქვს აღმოსავლეთით. ტექნიკური მდგომარეობის მხრივ: დასავლეთის კედელი მთელი სიმაღლით გახეთქილია. სამხრეთის და დას-ის კედლების ნაშენი ქვები – გარეთა ნაწილი ჩამოცვენილია. სართული და სახურავი ჩანგრეულია. ციხიდან აღმოსავლეთით 2-4 მეტრის დაშორებით რამოდენიმე ქვევრთა ნიშნებია. ციხეს აკრავს ყორესთან გალავანი; ძეგლი დაკავებული არაა; სადაცვო-საიჯარო ხელშეკრულება არ არსებობს; ძეგლი გამოყენებაში არაა; დას-თის კედელი მთელი სიმაღლით გახეთქილია. სამხრეთის და დასავლეთი კედლების ნაშენი ქვები – გარეთა ნაწილი ჩამოცვენილია. სართული და სახურავი ჩანგრეულია.

ჯომიდავა ნ. ს. პლეხანოვის გამზ. №55. 17.III.53 წ.

ქუთაისის ოლქის, ჩხოროწყუს რაიონის ჩხოროწყუს ს/საბჭოში შემავალ სოფელ გარახაში – ნაჯაგუს გორაკზე ფ. ქვარცხავას ეზოში არის ციხე (ზედა) ნაშენი ქვისაგან კირ-ქვიშის დუღაბით. ეტყობა ციხე ორ სართულიანი ყოფილა; ამჟამად ემჩნევა II

გაძღოლისათვის. ყოველს შემთხვევაში ვისურვებთ, რათა მისს შრომა-მეცადინეობას და ქველ-მოქმედებას მტკიცე და მყარი ნაყოფი გამოეტანოს და მმართველნი მიმბაძველნი გამოსჩენოდნენ მას.

სართულის გამამაგრებელი ხის ნაწილების დამამაგრებელი ღრუები. აქვს რამოდენიმე სათოფური, როგორც ქვედა ისე ზედა სართულზე. ძეგლი ზომით არის სიგრძე – 11 მეტრი, სიგანე – 11,50 ს. მ., სიმაღლე – 10-12 მეტრი, კედლის სისქე – 1,85 ს. მ. შესასვლელი კარი აქვს აღმოსავლეთით.

ტექნიკური მდებარეობის მხრივ დასავლეთის კედელი მთელი სიმაღლით გახეთქილია. სამხრეთის და დასავლეთის კედლების ნაშენი ქვები – გარეთა ნაწილი ჩამოცვენილია. ჩართული და სახურავი ჩანგრეულია. ციხიდან მოშორებით აღმოსავლეთის მხარეზე კედელთან 2-3 მეტრის მოშორებით რამდენიმე ქვევრის ნიშებია. ციხეს აკრავს გალავანი – ნაშენი ქვის ყორესაგან.

ქუთაისის ოლქი; ჩხოროწყუს რაიონი, სოფ. გარახა, ნაჯაგუს გორაკზე ფ. ქვარცხავას ეზოში; ციხე-კოშკი; აშენების დრო დადგენილი არაა, არქიტექტორის გვარი უცნობია; დასაცავი ზონა დაწესებული არაა; ციხე ნაშენია ქვისაგან კირ-ქვიშის დუღაბით. შესასვლელი კარი აქვს ჩრდილოეთით II სართულიდან. კოშკი ორ სართულიანია: I სართული დახშულია, II სართულზე ოთხივე კუთხეში თითო-თითო ქვევრია ჩამარხული. ჭერი თაღოვანი აქვს; ტექნიკური მდგომარეობის მხრივ: ციხის სახურავის I ნახევარი ფართობის რაოდენობით ჩანგრეულია. როგორც გადმოგცემს ციხეს ქონია ასასვლელი კიბე აივნით, რომელიც ამჟამად ჩამონგრეულია და ნიშნებიღაა შემორჩენილი; ციხის ჩრდილო-დასავლეთით არის ნაგებობათა ნაშთები; ძეგლი დაკავებული არაა; სადაცვო-საიჯარო ხელშეკრულება არ არსებობს; ძეგლი გამოყენებაში არაა; სახურავის ნახევარი ჩამონგრეულია, ასასვლელი კიბე ჩამონგრეულია.

ჯომიდავა ნ. ს. თბილისი პლეხანოვის 55. 17.III.53.

ჩხოროწყუს რაიონი, სოფ. გარახა; კოშკი I. შუა საუკუნეები; ტიპი – სტრატეგიული; დიდი ზომის ოთხკუთხა კოშკი დგას მაღალი მთის წაკვეთილ ქედზე. სამხრეთ-დასავლეთიდან მას ხეობა ჩუმოუდის; როგორც გარედან ისე შიგნით აგებულია რიყის ქვით, ქვიშა და ფოროვანი ქვით – კირის დუღაბზე. ქვათა ფორმის სხვადასხვაობის მიუხედავად წყობის რიგებში სწორხაზოვნება შეინიშნება. კედლების სიმაღლე 5-6 მ. შერჩენილი; საფასადე საპირე ქვა შემოცლილია. თითქმის ასეთივე მდგომარეობაა ინტერიერში. იქ, სადაც საპირე მოცლილია, ჩანს კედლებისათვის გამოყენებული შიდა შემავსებელი მასალა – ნატეხი ქვა და კირი; კოშკის გეგმა სწორკუთხაა. განვითარებულია ჩრდილო-სამხრეთის ღერძის მიმართულება. სამხრეთი კედლის აღმოსავლეთ მონაკვეთში ერთი სათოფურია შერჩენილი, ასეთივე სათოფურია დასავლეთი კედლის ჩრდილოეთ მონაკვეთში. აღმოსავლეთ კედელში ხის ძელის ბუდეა; ამჟამად მხოლოდ ორი სართული დგინდება. შესასვლელი კარი ჩრდილოეთ კედელში ყოფილა I სართულზე. შერჩენილია კარის ორივე მხარე და ურდულის ბუდე მარცხენა მხარეს. მის ზემოთ და გვერდებზე კედელი ძლიერ გამონგრეულია. სამხრეთი კედელი გახსნილია ვერტიკალური ნაპრალით; კოშკში მიწის დონე აწეულია. ყრია ჩამონაშალი ქვა-ღორღი; კოშკიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით რამოდენიმე მეტრში გალავნის კედლის ფრაგმენტია ნაგები ფლეთილი ქვით – კირის დუღაბზე.

ხელოვნებათმცოდნე ც. დადიანიძე.

ჩხოროწყუს რაიონი, სოფ. გარახა. მიდამოები მთაზე; II კოშკი; ტიპი – თავდაცვითი. გიანი შუა საუკუნეები; ოთხკუთხა კოშკი დგას შემაღლებულ ბორცვზე. შემორჩენილია ორი სართულის დონეზე და ნაგებია სხვადასხვა ზომის რიყის ქვით – კირის სქელ დუღაბზე. პირველი სართული მთლიანად ამოვსებულია მიწით. კოშკში შესვლა ხდებოდა მეორე სართულის დასავლეთ კედელში დატანებული ვიწრო სათოფურებით. აღმოსავლეთ კედელში სათოფურები ნიშებშია გაჭრილი. აღმოსავლეთის და

დასავლეთის კედლების დიდი ნაწილი ჩამონგრეულია. კოშკის გარშემო მიწის დონე აწეულია. სამხრეთის ჩრდილოეთის ფასადებზე მოდებულია სურო.

ხელოვნებათმცოდნე მ. აბაშიძე.

უნდა აღვნიშნოთ, რომ აქ არა მარტო კოშკი იდგა არამედ კოშკის მიმდებარე ტერიტორია, გარე პერიმეტრი შემოზღუდულია რიყის ქვის კედლით, რომელიც დღეს მცირე სიმაღლეზეა დარჩენილი.

3. ნაჯაგურ გორაკის ნაეკლესიარი

ადგილობრივთა გადმოცემით, „ნაჯაგურ“ გორაკზე – ლექვაცხეს უბანში იდგა ეკლესია. მასზე დამოცემები ვერ ჩავიწერეთ, თუმცა იქ ჩვენ ვნახეთ ერთი ადგილი, სადაც არის ძველი აგურის და საძირკვლის ნაშთები ზემოთ აღწერილ ორ კოშკს შორის მდებარე ტერიტორიაზე. აქ ძველად სასაფლაოებიც ყოფილა.

4. სორდიების გვარის სალოცავები

გახარაში იყო სორდიების გვარის სალოცავი.

სოფელი მოიდანახე

მარიამ ღვისმშობლის სახელობის ეკლესია

მოიდანახეს სასაფლაოსთან დგას მარიამ ღვთისმშობლის სახელობის ეკლესია. ის ძლიერაა დაზიანებული ამოსულია სურო და ჭერი ჩამონგრეულია. ძეგლი ამ სახით არის აღწერილი: ჩხოროწყუს რაიონი, სოფ. მოდინახე (ხაბუმე), სასაფლაოზე; ეკლესია. განვითარებული შუა საუკუნეები; ტიპი – საკულტო; დარბაზული ეკლესია ნაგებია როგორც ფლეთილი, ისე უხეშად დამუშავებული ქვით – კირის დუღაბზე. კონსტრუქციული ნაწილებისათვის და ფასადის კუთხეებისათვის გამოყენებულია

კარგად თლილი მოყვითალო ქვიშა-ქვა; ეკლესია გეგმით სწორკუთხედს წარმოადგენს, აღმოსავლეთით შვერილი ნახევარწრიული აბსიდით. აბსიდის ცენტრალური ნაწილი თითქმის მიწის პირამდეა ჩამონგრეული. ჩრდილოეთ მხარეს ორი, ხოლო სამხრეთით ერთი თაღოვანი ნიშებია მოწყობილი; გრძივი კედლები დანაწევრებულია პილასტრების საშუალებით. ამავე კედლებში გაჭრილი კარ-სარკმელი ერთმანეთის მიმართ სიმეტრიულადაა განლაგებული.

შემორჩენილი ღიობი ძალზედ დაზიანებულია. მათი ფორმა არ იკითხება. დასავლეთის შესასვლელი უკეთაა შემორჩენილი, იგი შიგნით თაღოვანი, გარეთ არქიტრავულია. კარის თაღი გადაყვანილია იდეალურად თლილი კვადრებით. ერთ-ერთ მათგანზე ამოკაწრულია გეომეტრიული ორნამენტი: წრეში ჩასმული წნული; ეკლესიის ფასადები სადაა. შემორჩენილია სხვადასხვა დონის სიმაღლეზე. კედლები სურომოდებულია. ეკლესია მთლიანად დეფორმირებულია.

1990 წ. 28 ნოემბერი, ხელოვნებათმცოდნე მ. აბაშიძე.

ო. სოსელიას მასალებით სამანჩო ეწოდება მდ. ხობისწყლის ზემო წელზე მდებარე ტერიტორიას, რომელიც მოიცავდა სოფ. მოიდანახეს, ჯუმითს, ხაბუმეს და ჭოდას. ასევე სოფ. ქოყოს და სოფ. მუხურის ნაწილს (მანუჩარის მფლობელობაში იყო), რომელსაც ფლობდა კაცია II დადიანის ძე და გრიგოლის ძმა მანუჩარი [1]. შემდგომ მისი მემკვიდრეების რეზიდენცია იყო სოფ. მოიდანახესა და ხაბუმეში, ორივე სოფელში ჰქონიათ სასახლე და კარის ეკლესია. სასახლე ჰქონია მანუჩარს, აგრეთვე სოფ. ქოყოშიც[2].

სოფელი ხანწი

მაცხოვრის ფერიცვალების სახელობის ნაეკლესიარი

სოფელი ხანწის სასაფლაოსთან იდგა მაცხოვრის ფერიცვალების სახელობის ხის ეკლესია[3]. აქ დადიოდა ნაფიჩხოვოს მოსახლეობის ნაწილი – ლეგოგუე, ლებერულე, ლედარსალე, ლექობალე და სხვა. აქედან ჩრდილო-აღმოსავლეთით ჩანს ლებერიეს ჯიხა, გოდოგანი, ასევე წაჩხური და სალხინოს ხალხი. ამ ადგილს თავდაცვის ფუნქციაც უნდა ჰქონოდა. აქვე მდგარა ქვის სამრეკლო.

სოფელი ჭოდა

1. წმ. გიორგის სახელობის ნაეკლესიარი

პირველ ჭოდაში, ცენტრალური გზის პირას იდგა წმ. გიორგის სახელობის ეკლესია. ამ ადგილს ეძახდნენ კაკუცხას. აქ ბოლო მღვდელი იყო ალექსი შენგელია

---

[1] ო. სოსელია, ნარკვევები ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს ისტორიიდან (სათავადოები), III, თბ., 1990, გვ. 93.
[2] ო. სოსელია, დასახ. ნაშრომი, გვ. 93.
[3] ა. სიჭინავა, დასახ. ნაშრომი, გვ. 4.

2. მეორე ჭოღის მთავარანგელოზთა სახელობის ეკლესია

სოფელ მეორე ჭოღაში შენგელიების სასაფლაოსთან, დგას მთავარანგელოზის სახელობის ერთნავიანი ეკლესია. სახურავი ჩამონგრეულია, პირვანდელი ფორმისა აღდგენა ადვილად არის შესაძლებელი. აქ ეწყობა დღესასწაული ჭოღელობა 28 სექტემბერს. ხოლო შენგელიების გვარი – შენგელიობას აწყობს 20 ივლისს. სოფლების – ჭოღას, ნაკიანის ნაწილის, საბუმეს მოსახლეობა უმეტესად სალოცავად აქ დადიოდნენ. ამ ეკლესიას „ქიაჩსაც“ უწოდებენ.

არქიტექტორების მიერ ეს ეკლესია გარდამავალი ხანისად არის მიჩნეული.

ჭოღის მთავარანგელოზის ხატის წარწერა მოცემულია ლევან დადიანის 1640 წლის აღაპის წიგნში[1]. გადმოცემით ობუჯში მდებარე ქიაჩის ხატი სწორედ შენგელიების გვარს ჭოღიდან წაუღია.

---

[1] „1640 წ., აღაპის წიგნი ლევან დადიანისა

პირველ ჭოლის მთავარანგელოზის ხატზე მხედრული წარწერა.

ქ. ჩვენ, ჭელმწიფემან დადიანმან, პატრონმა ლევან მოვაჭედვინეთ და შევამკეთ თუალითა და მარგალიტითა ხატი ესე მთავარ-ანგელოზისა კურთხეულისა თანამეცხედრისა ჩვენისა, დედოფალთ-დედოფლისა პატრონისა ნესტან-დარეჯანისა სულის სახსრად და საოხად. და დავასვენეთ ქაიჩს და გავაჩინეთ ორი ესე აღაპი კვიტაულის სასახლეში: და ერთი კვირიკობისთვესა ცამეტს – დღესასწაულობასა მთავარ-ანგელოსთა კრებისა, და მეორე აღაპი-ყველიერის დამარხუების შაბათსა, და დავაყენეთ საკვიტაურო კაცი მოაღაპეთ: ერთი მოსახლე ტოტოჯი დავითია, მეორე მოსახლე სულაიმან დავითია, მესამე მოსახლე მარკო დავითია, მეოთხე მოსახლე მაჭიხოლი და თომიხოლო დავითია და ამათი სახლიკაცი. და ამათ მართებდა ბეგარად: ერთი ზროხა, თექუსმეტი ლიჯიში ღომი, ორი დიდი ჯოხზე გასაკრავი გუდა ღვინო, სამი სხვა გუდა ღვინო. აწ ესე ოთხი მოსახლე კაცი ამმათ (!) ბეგარასა თითო-თითო იცვლიდენ ყოველს წელიწადს. მეხუთეს მოსახლეს – გაიზარდის აფიას – მართებს ერთი ცხვარი სატაბლედ და ორი გუდა ღვინო, მეექუსეს მოსახლესა – ანჩიბუხუს ჩხანგუას – მართებს ბეგრის მაგიერად ხუთი ლოღარიკონი სანთელი, ერთი საპერანგე ტილო. აწე რაც საადაპო დაგვიწერია – ზროხა, ცხვარი, ღომი და ღვინო, სანთელი და პური – ამას საადაპოსა ყოველს წელიწადსა ცამეტს კვირიკობისთვესა, დღესა მთავარანგელოზთ კრებისა, კვიტაურს სასახლეშიდ მოიტანდენ და კურთხეულის დედოფლის ბატონის ნესტან-დარეჯანის სულის სახსრად და საოხად აღაპსა გარდაიხდიდენ. ქიაჩის წინამძღვარი ჩემგან მოჭედილს მთავარ-ანგელოზის ხატს მოასვენებდეს სასახლის საფარეშიდ, წინამძღვარი და კანდელაკი ჟამს სწირებდეს.

კიდევ მეორე აღაპი მართებს ბებელიას ბაგათელიას ცოლს, აფაქიძის ქალსა და მის შვილსა – მასის ბაგათელიასა, ამისთვის რომ ბელეშიასსეული საკიტაურო სამოსახლო ადგილი და ცოლქმარი კაცი კურთხეულმან პატრონმან დედოფალმან მისცა და მერმე ჩვენ გაუახლეთ და მივეცით და დავსდევით აღაპი. აწე ყოველს წელიწადს მოიტანეს საადაპოდ ორასსა კბილსა ყველსა, ექვსსა ფიხალსა ღვინოსა, ოთხსა ქილასა ღომსა და ორსა ლოღარიკონსა სანთელსა და ერთსა ტილოსა კვიტაურის სასახლეშიდ, აღაპსა იქმოდენ კურთხეულის დედოფლის ბატონის ნესტან-დარეჯანის სულის სახსრად და საოხად. ქიაჩის წინამძღვარი და კანდელაკი ისრევ ხატს ჩამოასვენებდნენ და ჟამსა სწირავდენ იმ დღესა.

ხოლო აწ ესე ჩვენგან გაჩენილი ორი აღაპი ვინცა და რამანცა ადამიანის მონათესავემან ძემან კაცისამან მოშალოს, კრულმცა არის ოთხთა პატრიარქთაგან, მათთა მიტროპოლიტთაგან, ეპისკოპოსთა და ქორეპისკოპოზთაგან და შვიდთა მათ კრებათაგან; შე-მცა-ედების კაინის ძრწოლა, შვიდგზის შურისა ძიება და ცოცხლივ დანთქმა ფარაოსი, დათან და აბირონისა, მატლთა მიერ ცოცხლივ შეჭმა ეროდესი, მეხისტეხა დიოსკორესი, თორმეტთა ამათ ქართა მწვალებელთანამცა არის ნაწილი დასამკვიდრებელი მისი.

3. ნამალაზონუ – ნაეკლესიარი

ლეახალეს ზემოთ, მაღალ გორაკზე სოფლის აღმოსავლეთით არის ადგილი ნამალაზონუ. ადგილობრივთა გადმოცემით, იქ მდგარა ეკლესია. იმ ადგილს „ნაკღისს“-საც ეძახიან.

თავი X

აბაშის რაიონი

სოფელი სუჯუნა

1. სუჯუნის ოლქის ეკლესიები

დეკანოზ კონსტანტინე კაჭარავას მიერ მოპოვებული მასალების საფუძველზე, 1870 წლისათვის სამეგრელოს ეპარქია დაიყო 8 ოლქად ანუ „საბლაღოჩინოდ“ ამ ოლქს სათავეში ედგა „ბლაღოჩინი“ ანუ ქართულად „მთავარუხუცესი“, ისინი ეპისკოპოსისაგან გამორჩეული, საეკლესიო ხარისხში (ძირითადად დეკანოზები) მყოფი მღვდლები იყვნენ. სამეგრელოს ეპარქია იყოფოდა შემდეგ „საბლაგოჩინოებად“, ანუ ოლქებად: სუჯუნის, საჭილაოს, ბანძის, გოდრის, სალხინოს, შხეფის, ზუბის, ჭაქვინჯის. აქედან აბაშის რაიონში მდებარეობდა ორი ოლქი სუჯუნის და საჭილაოსი (პირველი მაისი)

სუჯუნის ოლქი 1870 წლისათვის

ხოლო დამამტკიცებელნი და განმაახლებელნი ამ ორისა აღარისა აკურთხნეს ღმერთმან.

ქორონიკონსა სამას ოცდარვასა.

იქვე კიდევ წერია:

პირისაკენ წარწერა მხედრული.

ქ. მთავარანგელოზი (!) მიქაილ და გაბრიელ, შეიწყალე და იხსენ მისთა ცოდვათაგან კურთხეული დედოფალთა-დედოფალი, ჭილაძის ასული პატრონი ნესტან-დარეჯანი, და გამოიხსენ ყოვლისა სატანჯველისაგან დღესა მას საშინელსა მეორედ მოსულისასა, და ნათლად ყავ სული მისი, ამინ!“ (ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა და გურია-ოდიშის სამთავროებისა (1466-1770 წწ.), ტექსტი გამოსცა, წინასიტყვაობა და საძიებლები დაურთო შ. ბურჯანაძემ, თბ., 1958, გვ. 157-158).

1. საკათედრო ეკლესია სუჯუნის წმ. გიორგისა
2. სეფიეთის ეკლესია მთავარანგელოზთა
3. კადარის ეკლესია მაცხოვრისა
4. ონტოფოს ეკლესია წმ. ბარბარესი
5. აბაშის (ძვ. აბაშა) ეკლესია წმ. გიორგისი
6. მაცხოვრისკარის ეკლესია მაცხოვრისა
7. საკაჭარაოს (ქ. აბაშა) ეკლესია მთავარანგელოზთა
8. საგვაზაოს ეკლესია მთავარანგელოზთა
9. ზანათის იოვანე ნათლისმცემელისა
10. ესაკეთის ნათლისმცემლის
11. ეწერის წმ. გიორგის
12. ეწერის ამაღლების
13. წალიკარის წმ. გიორგის
14. კოდორის წმ. თევდორე ტირონის
15. კოდორის წმ. გიორგის (კეთილარის კოდორი)
16. კოდორის მთავარანგელოზთა
17. ნაესაკოვის წმ. გიორგის
18. კვათანის მთავარანგელოზთა

საჭილაოს ოლქი 1870 წ.

1. ცილორის წმ. გიორგის ეკლესია
2. ტყვირის მაცხოვრის
3. გულეკარის წმ. გიორგის
4. ეკალის წმ. გიორგის
5. საჭილაოს წმ. გიორგის
6. საჭილაოსწმ. გიორგის (ნამწარეულს)
7. საჭილაოს ღვთისმშობლის (ნაფაღაურის)
8. სამიქელაო ცხენიშის ღვთისმშობლის
9. მაიდნის წმ. გიორგის
10. სამიქაოს წმ. გიორგის
11. გულუხეთის წმ. გიორგის
12. გეზათის თევდორე ტირონის
13. გუგუნაყათის წმ. გიორგის
14. ქოლობნის მაცხოვრის.

დეკანოზ კონსტანტინე კაჭარავას მასალებით, 1870 წლის საეკლესიო აღწერილობას გაცილებით აღემატება 1885 წლის აღწერილობა, რომელიც სუჯუნის ბლაგოჩინს სიმონ ელიავას შეუსრულებია[1].

XIX საუკუნის 40-იან წლებში სამეგრელოს მთავარმა დავით დადიანმა სამთავრო რვა მაზრად დაყო. აქედან აბაშის რაიონის ტერიტორიაზე ორი მაზრა იყო გამოყოფილი, სუჯუნისა და საჭილაოსი (პირველ მაისი).

სუჯუნის მაზრა თავისი სოფლებით: სუჯუნა, ეწერი, ესაკეთი (სუჯუნასთანაა). ზანათი, მთავარანგელოზი, მაცხოვარკარი (განკარი), ანუ კაპანა, რობა, ონტოფო, სეფეითი, კადარი, აბაშა (ძველი აბაშა), გულუხეთი, სამიქაო, ონოღია, ნაგიბერაო, ბანძა, ორქა, ჯოლევი, კვაუთი, ნოქალაქევი, კოტიანეთი, სენაკი (ძველი სენაკი), სორტა, გეჯეთი, წყემი, ნოსირი, შხეფი, თეკლათი, სახარბედიო.

საჭილაოს მაზრა სოფლებით: საჭილაო (პირველ მაისი), ილორი, ნაფაღაური, სანავარდო, ნაჩხეტური, ქვიშანჭალა, ქორეისუბანი, ტოლები, ეკალი, გულეკარი, კეთილარი, ნაფარცხევი, ტყვირი, ცილორი, კოდორი, შუაქალაქი, კვათანა, წალიკარი, სარიაჩქონი, საქოჩაქიო, წყარიძგა, მუხური, საღვამიჩაო, ჭალადიდი, პატარა ფოთი; ე. ი. რიონის დინების ქვედა სოფლები.

სუჯუნის მაზრის უფროსი ჯერ იყო ალექსი ბატონიშვილი (დადიანი), შემდეგ კი ტაია (ტარიელ) დადიანი. საჭილაოს მაზრის უფროსი კი თავად გიგო ფაღავა ყოფილა. თითეული მაზრა რამდენიმე სამოურაოდ იყო დაყოფილი. დიდ სოფელს თავისი მოურავი განაგებდა. პატარ-პატარა სოფლებს კი აერთიანებდნენ და ერთ მოურავს უქვემდებარებდნენ[2].

2. სუჯუნის წმ. გიორგის სახელობის ეკლესია

სოფლის ცენტრთან სასაფლაოზე დგას სუჯუნის წმ. გიორგის ქვის გუმბათიანი ეკლესია და სამრეკლო.

„სუჯუნის წმ. გიორგის ეკლესიის სამრევლო[3]

წოდება	კომლი	მამრ.	მდედ.
სასულიერო	5	27	27
თავადნი	-	-	-
აზნაურნი	14	50	41
გლეხნი	210	609	580

[1] დეკანოზი კონსტანტინე კაჭარავა, სუჯუნის წმინდა გიორგის ეკლესიის ისტორია, თბ., 2009, გვ. 70-72.

[2] მღვდელი კონსტანტინე კაჭარავა, ესე სოფელი კეთილ არს (ისტორიული ალმანახი), თბ., 2004, გვ. 63.

[3] დეკანოზი კონსტანტინე კაჭარავა, დასახ. ნაშრომი, გვ. 77.

სულ	229	686	648

სოფელი სუჯუნა ისტორიულ წყაროებში XVII საუკუნიდანაა მოხსენიებული[1].

[1] „1675-1680 წლის ახლოს უნდა იყოს მიცემული ჭონდიდელ-ცაგერელ ბედიელის გაბრიელ ჩიქვანის მიერ საბუთი ცაგერის ტაძრის გლეხის ამოყვანის შესახებ.

... წმინდაო გ ი სუჯუნისაო ჩვენ... ქრისტეს მიერ კურთხევით კურთხეულმან ჭყონდიდელ ცაგერელ ბედიელმან ჩიქვანმან გაბრიელ.. შემოგწირეთ მცირე ეს შემოსაწირავი ოდიშარია ხუხუ თუთარია, ხუხუსშვილი გოგილა და გელი და ბიძუა და მიამია მათის ცოლშვილით...

... დამიწერია სეხნია ქვარიანს და მოწამეცა ვარ ამისი.

ბეჭედი“ (ს. კაკაბაძე, დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, წ. I, ტფილისი, 1921, გვ. 78-79).

„1700-1714 წ. გაბრიელ ჭყონდიდელის შეწირულოს წიგნი მარტვილის საბუთთაგან.

... წმიდაო გ ი საჯუნისაო, ჩვენ... დიდის ლიპარტიანის ძემან ჭყონდიდელმან პატრონმან გაბრიელ ვიგულეთ და ვიგულისმოდგინეთ და ჟამთა ვითარებისადან ჩემსა და ჩემს შუა აშლა მოხდა და ეს კაცები მე დავიკავე, სამი კვამლი კაცი ჟვანია და სამი ხაფავა და ხატს შევსწირე... ყოველს გიორგობას წინა დღეს თითო მარჩილის სანთელს მოგართმიდეს ესენი ყველა... (ვინც შეშალოსო, ანუ მიტროპოლიტმან და ანუ ეპისკოპოსმან, ანუ კანდელაკმან და ანუ სხვამან მებეგრე კაცმან, წევა):

ქ. მელია ოთარი და მისი შვილები ჩემი დახსნილია და ესეც შენთვის შემიმიწირავს და ამანაც ისე თითო მარჩილის სანთელი მიართვას ყოველს გიორგობას წინადღეს, იცოდეთ ყოველმან კაცმან“ (ს. კაკაბაძე, დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, წ. I, ტფილისი, 1921, გვ. 111.).

„1700-1714 წ. შეწირულობის წიგნი გაბრიელ ჭყონდიდელისა მარტივლის საბუთთაგან.

... წმიდაო გ ი საჯუნისაო, ჩვენ... დიდის ლიპარტიანის ძემან ჭყონდიდელმან ბატონმან გაბრიელ ვიგულეთ და ვიგულსმოდგინეთ, ჟამთა ვითარებისადან ჩემსა და ჩემსა სასულიეროთ შეგწირეთ ქობალავა ივანე და მისი შვილები შაქარი, მათე, მისის სახლკარიანათ ხატს შევსწირე... ყოველს გიორგობას წინადღეს ერთს მარჩილს სამთელს მოგართმიდეს. ეს... შეიწირე... და ან რამანცა ძემან კაცისამან, დადიანმან ანუ დედუფალმან და ანუ ჩემმან შემდგომმან მიტროპოლიტმან და ანუ ეპისკოპოსმან ანუ კადელაკმან და ანუ სხვამან მებეგრემ კაცმან დიდმან ანუ მცირემან ეს ჩემი შეწირული ქობალავას ბეგარა შენ მოგიშალოს და გამოგწიროს, იგიმც შეიშლება სჯულის ქრისტიანობისაგან... ან ქადაგმან, ან მესტუმრემ ან სხვა ვინმემ მოშალოს (კრულ და შეჩვენებულ) ... ეს ქობალავა ამისთვის შევსწირე, რომ წმინდა გ ის სუჯუნისას იესელამ დიდიამ ორი მტყვე წმიდის გაყიდა, ცოლი ორსული გაადგო, თემისა და ქვეყანის ფიცი და პირი გასტეხა, ქურდობა ქმნა ხარის, ძროხის და ცხენის. ამისთვის ხატის საუპატიო შევსწირეთ წმინდა გ ის სუჯუნას.

ბეჭედი“ (ს. კაკაბაძე, დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, წ. I, ტფილისი, 1921, გვ. 111-112).

„1700-1714 წ. შეწირულობის წიგნი გაბრიელ ჭყონდიდლისა, მარტვილის საბუთთაგან.

...(მე) ... ლიპარიტიანის გ ის ძემან პატრონმან ჭყონდიდელმან გაბრიელ შემოგწირეთ შენ, წმინდა გიორგის სუჯუნის, მცირე ესე შესაწირავი ოთხი კვამლი კაცები, თავს ხოსია ბზიავა მისი შვილებით, ბაბუშია, გიორგია მისის შვილებით და სახლკარით და რისაც მქონებელნი იყვნენ ყოვლის ფენიანათ; მეორედ შაქარელა მიმინოს შვილი, მისი ძმა ბურდღუა მისის სახლ კარიანათ და რისაც მქონებელნი იყვნენ; მესამედ ბაბადიში ცომაია მისი შვილებიანათ და სახლკარიანათ, რისაც მქნებელნი იყვნენ, მეოთხედ ბაძველა კუციას შვილები მისი სახლკარით

და ყოვლის ფერიანათ რისაც მქონებელნი იყოს, ეს ოთხი კვამლი კაცები მათით უძებარ საძებრით, ტყით, წყლით, მიწა ადგილით, რისაც მქონებელნი არიან ყოვლის ფერიანათ შენთვის შემომიწირავს, წმინდაო გ ი სუჯუნისაო...

განზე: ქ. ვისაც ამაშიდ რომ კაცები სწერია და ორი ღორი მართებს, ერთს ღორს არ ვსთხოვ და ყოველს გიორგობას თითო მარჩილის სანთელი ხატს მართავს ჩემის სულის ცოდვათა შესანდობელად. ასე იცოდეთ ყოველნო სულნო. და ან აზნაურის შვილმან სთხოვოს და მას მისცეს" (ს. კაკაბაძე, დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, წ. I, ტფილისი, 1921, გვ. 112).

„1714 წ. შეწირულობის წიგნი ბეჟან დადიანისა მარტვილის საბუთთაგან.

... ჩვენ... დადიანმან ბატონმან ბეჟან და თანამეცხედრემან ჩვენმან დედოფალმან ბატონმან თამარ ვინებეთ საქმისა ამის გამოკულევად, ასე რომ ჩვენი ძმა ჭყონდიდელი გაბრიელ საჭყონდიდლოშიდ ბატონად იჯდა და ეშმაკის საბრხით ჩვენსა მის შუა აშლა და ერთმანერთის მოცილება შეიქმა. ახლათ მოვედით ჩვენ საჭყონდიდლოშიდ და ჩემი ძმა ჭყონდიდელი გარდავაყენე. მას მოღმა მოვიკითხეთ და ერთობ დიდი ხანი გამოვიდა რომ საჭყონდიდლოში მწირველი ეპისკოსპოსი არ მჯადრიყო და ჟამთა ვითარებისაგან ალალგალად საჭყონდილოს ბევრი დაკლებოდა კაცი თუ ალაგ მამული, ახლათ ჩვენ ჩვენის ჭყონდილის სამაგიეროთ წმიდა და მართლმადიდებელი მწირველი ღოღაბერიძე ევდემონ მიტროპოლიტი გვიკურთხებინებია და ყონდიდლათ დაგვიჯენია და საჭყონდიდლო ამიათვინ მიგვიცემია. სხვა რომელიც ძველთაგან თუ ახალი შენაწიოი დავთრები იყო, მოვიკითხეთ ზოგი უდროობით დაკარგულიყო და ზოგი კიდევ იყო. ყველანი გამოვიძიეთ და შევიყტვეთ. ანჯელი და კოდორა გაღმართი ტეხურის პირამდის რაც არის, ძველთაგან ჭილაძეებს შეეწირათ, მაგრამ კიდევ ვინმე დაობდა, აწ ჩვენ რომ მოვიკითხეთ და გავსინჯეთ. ჭყონდიდელი ერთობ დიდი ხნის განთავისუფლებული და დიდი მიტროპოლიტი გამოვიდა და ეს პირველი გარიგებული და წიგნი ჩვენ ასე ხელახლა განგვიახლებია და შეგვიწირავს პირველ მარტვილისა ღთისმშობლის ტაძრისათვინ და მერმეთ წ ის გ ის სუჯუნის ეკლესიისათვინ, რომ არც დადიანმან, არც დედოფალმან, არც უფლისწულმან, არც დიდმან და არც მცირემან ეს საჭყონდიდლო კაცი და ალაგმამული სახასოთ მისთვინ არ დაიკავოს. დასტურ დადიანი ბატონი არის და ვისაც უნდა იმსახურებს, სხვეფ ამაში ხელი არავის აქვს, ისე შეგვიწირავს და განგვიაზატებია და ამ ჭყონდიდელ ღოღაბერიძისათვინ ამ რიგად ჩაგვიბარებია... დაიწერა ქეს აქეთ ათას შვიდას და ათოთხმეტსა" (ს. კაკაბაძე, დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, წ. I, ტფილისი, 1921, გვ. 113).

„[შეწირულობის წიგნი გაბრიელ ჭყონდიდელისა მარტვილის ტაძრისადმი] [1753 წ.]

ამას გარეთ კიდევ **რობას**: სამი გლეხი იყო ჩვენი: **ქოიავა ხუტუ** და მისი ძმა კაცობა; მეორე გლეხი **ჩიქობავა ბაძღულია;** მესამე გლეხი **სვიმონა ჯგიმორდელა** და მისი ძმა **ხახუტელა.** ეს მისი გლეხი რობას ესახლენ, მაგრამ **მიქელაძემან** არ დააყენეს და წამოვიყვანეთ და გამოღმა **კოდორს** დავასახლეთ. სამი გლეხს ურმოული ღომი შევაწიეთ და თითო მარჩილის სანთელი თქვენის საყდრისათვინ დავადევით და თითო რუბის სანთელი სუჯუნის საყდრისათვინ. ამ რობელი კაცების დავთარი სუჯუნისაც დაგვიძს (ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, თბ., 1970, გვ. 836-838.)

„წყალობის წიგნი დაწერილია ერთ თაბახ ქაღალდზე გაკრული ნუსხა მხედრულის ხელით: 1838, აპრილის 20, ჩყლ©-სა წელსა, აპრილის კ-სა დღესა, წყალობითა ღთისათა მფლობელი მენგრელიისა ღენერალ-ლეიტენანტი, სხვათა და სხვათა ორდენთა კავალეროსანი, მთავარი ლეონ გრიგოლის ძე დადიანი, და თანა ერთხორცი ჩემი მთავრინა მენგრელიისა და კავალერი მართა, ზურაბის ასული, და მემკვიდრე ძეჲ, ჩვენი ლეიბ გვარდიის შთაბ-კაპიტანი და კავალერი დავით ლეონის ძე, ხოლო ძენი ჩვენნი, გრიგოლ და კოსტანტინე, ამა წყალობის წერილს გიბოძებთ თქვენ ჩვენს სამფლობელო საეკლესიო სოფელს ონტოფუს მცხოვრებელ ადრითგანვე ჩვენს სახასო ყმასა თამაზია კუხალაშვილს და შვილთა შენთა სიმონიკას და მიხაიას და მათთა შვილთა და მომავალთა, მას შინა რომელ მამა-პაპანი თქვენნი კინჩხას სოფელს ცხოვრებულან და ჩვენი სახასო ყმა და მეჯინიბე ყოფილხართ, და რომელისამე მიზეზით კინჩხიდამ აყრილან, წამოსულან და სუჯუნას წმიდის გიორგის ეკლესიას მინდობიათ და, ვითარებისა გამო, მიმინოშვილს ნადარეიშვილისათვის მიუციხართ; გარნა მე ძიება ვყავ ჩემის სახასო თქვენ ჩვენის ყმისა და მეჯინიბისა და გიპოვეთ ნადარეიშვილის ხელში და რადგან ადრევე ჩვენი სახასო ყმა იყავით, ჩვენს საკუთარ საკუთვნელად სახასო ყმად დავაკავეთ და

სუჯუნის წმ. გიორგი ერთ-ერთ ძლიერ ხატ-სალოცავად ითვლებოდა სამეგრელოში, რომელზეც ს. მაკალათიას ვრცელი გადმოცემები აქვს ჩაწერილი: „სუჯუნის წმ. გიორგი“ ძველ სამეგრელოში ძლიერ ხატად ითვლებოდა. სუჯუნა ჭყონდიდელების საზამთრო სადგური იყო და მას მარტვილის შემდეგ პირველი ადგილი ეჭირა. სუჯუნის ეკლესია მდიდარი იყო, ჰყავდა მრავალი ყმა და შემოსავალიც დიდი ჰქონდა. სუჯუნის ეკლესიაში დაცული ყოფილა ძვირფასი ხატ-ჯვრები. აქ ესვენა „სასწაულმოქმედი“ სუჯუნის წმ. გიორგის ხატი, რომლის ხატობა იმართებოდა 23 აპრილს. ამ დღეს იქ დიდძალი მლოცველი მიდიოდა. ვისაც შეპირებული ჰქონდა, ისინი ღამეს ათევდნენ, საკლავს ხოცავდნენ, მუხლის მოყრით ეკლესიას გარშემო უვლიდნენ და სხვა. სუჯუნის წმ. გიორგი ითვლებოდა სულით ავადმყოფების მკურნალად ისინი ხატობა დღეს იქ მიჰყავდათ და ალოცებდნენ. სუჯუნაში იცოდნენ ხატზე გადაცემაც. მაწყევარი დადგებოდა სუჯუნის წმ. გიორგის ხატის წინ, სანთლებს აანთებდა და შესთხოვდა მას გამოეჩინა ძალა და გაენადგურებინა მტერი და მავნებელი.

სუჯუნაში იცოდნენ ქადაგად დაცემაც. აირჩევდნენ ერთ მოხუცს, რომელიც ხალხში ითვლებოდა კეთილ და სათნო ადამიანად (ასეთი პირი ხშირად მნათეს მოვალეობასაც ასრულებდა) და მას გიორგობა ღამეს ეკლესიაში დაამწყვდევდნენ. ის იმ ღამეს ლოცვაში ატარებდა. ხალხური გადმოცემით, მას გამოეცხადებოდა სუჯუნის წმ. გიორგი. მეორე დილას, მოხუცი ავიდოდა სამრეკლოზე და ქადაგად დაეცემოდა. ის ხალხს მოუწოდებდა მტკიცედ დაეცვათ სუჯუნის წმ. გიორგის რწმენა და ეკლესიის სიწმინდე, დასწყევლიდა ქურდს, მავნესა და ყველა იმას, ვინც თავისი მოქმედებით ზიანს აყენებდა ხატსა და მორწმუნეებს. ამასთანავე, ქადაგი წინასწარმეტყველებდა მომავალზე, ჭირნახულის მოსავალზე, ამინდის შესახებ, ლაშქრობა-ომიანობაზე და სხვა. სუჯუნის ქადაგს დიდი საზოგადოებრივი გავლენაც ჰქონია და სამეგრელოს მთავრები დადიანებიც ანგარიშს უწევდნენ მის წინასწარმეტყველებასო. ამ ქადაგის შიშითა და

ნადარეიშვილს ჩამოვართვი თქვენი თავი თქვენის ქონ
შვილოთ, და ამ წყალობას გიყოფთ: ამიერითგან თქვენ
შთამომავლობა არც ნადარეიშვილს საყმოდ მიეცემით დ
გაიცეთ არას დროს, და ამიერითგან ჩვენს სახასო ყმად
გვმსახურებდეთ ჩვენ, ვითარცა მამა-პაპანი თქვენნი მსახ
დასამტკიცებლად ვაწერ საკუთარითა ხელითა ჩემითა
ჩემითა. Л. Дадіанъ. ლეონ დადიანი. (ზედ არის
სიძველენი, ტ. I, თბ., 1920, ექვთიმე თაყაიშვილის რედაქტორობით, გვ.49-50).

მითითებით მთავრები ამკობდნენ ოქრო-ვერცხლით სუჯუნის ხატებს და ვერ ბედავდნენ სუჯუნის ხატი სხვაგან გადაეტანათ. ასეთ ცდას ადგილი ჰქონდა დავით დადიანის დროს, მაგრამ, როგორც ცნობილია, ეკატერინე დედოფალი ვერაფერს გახდა და იძულებული იყო თავის ასეთ განზრახვაზე ხელი აეღო"[1].

სუჯუნის ტაძრის სიძველეების და წარწერების საკმაოდ დეტალური აღწერილობა ეკუთვნის ექვთიმე თაყაიშვილს[2].

---

[1]) ს. მაკალათია, სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, გვ. 441-442.

[2]) „დაბა სუჯუნა მდებარეობს ოთხს ვერსზე სადგურ აბაშიდან. ეკლესია აქ მოზდილია, ძლიერ ლამაზი. თეორის თლის ქვით ნაშენი, გუმბათიანი, მაგრამ ძველი არ არის. შენებულია ანტონი ჭყონდიდელის მიერ, რომელიც ცხოვრობდა მეთვრამეტე საუკუნის დასასრულს. მოხსენიებულია ერთ სიგელში 1796 წელს. სამხრეთის მხრით ეკლესიისა ამართულია ასეთივე ქვით ნაშენი ორ-სართულიანი ლამაზი მაღალი სამრეკლო. ეზო დიდი აქვს ლამაზი, დამშვენებული უზარმაზარი ცაცხვის და ჭანდრის ხეებით. დასავლეთის მხრით ეზოში არის კიდევ პატარა ხის ეკლესია ძველი, მაგრამ უბრალო. სუჯუნა საზამთრო სადგური იყო ჭყონდიდელებისა და პირველი დაბა იყო სამეგრელოში. რკინის გზის გაყვანის და აბაშის სადგურის გახსნის შემდეგ ცოტა დაქვეითდა. სუჯუნის წმიდის გიორგის ეკლესიაში საკმაოდ მოიპოვება ხელობის ხატები წარწერებით, რომელნიც ლიტერატურაში ცნობილნი არ არიან.

1) დიდი ხატი წმიდა გიორგისა, 67×46 სანტიმეტრია, ვერცხლისა, ნაჭედი. წმიდანი წარმოდგენილია ფეხზედ მდგომარედ, რომაულ სამხედრო ტანისამოსში. მარჯვენა ხელში გრძელი შუბი აქვს, მარცხენა უძევს ფარზე. თავის ირგვლივ სიმრგვლე აქვს, სიმრგვლეს თავში უზის დიდი ქვა, ლალი. აშია ხატისა შემკობილია ყვავილების მსგავსი გრეხილებით და აშიებზე მედალიონებში წარმოდგენილია მახლობლები; მარცხნივ წ ი ოვანე, წ ი მარკოზ, წ ი მათე. ზემოთ მთავარანგელოზნი მიქაელ, ქვემოთ დედა ღვთისა ჩვილედი და ღვთის-მშობლის მიძინება, მარჯვენაზე სამი ანგელოზი. აშიები და მათზე წარმოდგენილი წმიდანები ბოლონდელ დროსაა და თვით ხატის მშვენიერ ხელობას არა გავს. აქეთ-იქით თავისკენ სურათს ასომთავრულით აწერია: „წ ი გ ი" და შემდეგ ბერძნულის ასომთავრულით O ΑΓΙΟΣ ΓΕΟΓΙΣ. ეს თავის ხატი სუჯუნის ეკლესიის ძრიელ ძველი უნდა იყოს.

2) დიდი ხატი წმიდა გიორგისა, 48×34 სანტიმეტრი, ვერცხლისა, ნაჭედი, ქართლის ხელობისა. სურათი გიორგისა ფეხზე მდგომარე, რომაულ საომარ ტანისამოსით. მარჯვენა ხელში უჭირავს გრძელ ტარიანი შუბი. მარცხენა უძევს ფარზედ. ეს შუა ნაწილი ხატისა ძველია, ხოლო აშია მერმენდელია ლევან დადიანის გაკეთებული მე-XVII საუკუნეში, როგორც მოგვითხრობს მხედრული წარწერა. ძველი ხუცური წარწერაც არის დაცული ხატზედ. თავდაპირველად სახელი წმიდანისა: „წ ი გ ი", და შემდეგ ფარზედ მშვენიერის ასომთავრულით: „ქრისტე შეიწყალე იოანე ცაიშელი ფოლაგისძე(?)".

შემოკლებულად დაწერილის გვარის გამოცნობა იოანე ცაიშელისა, ესე იგი ცაიშის ეპისკოპოზისა, ძლიერ ძნელია და ჩვენ არ ვკისრულობთ. არც ის ვიცით, თუ როდის ცხოვრობდა იოანე ცაიშელი. ვიტყვით მხოლოდ, რომ ხელობა ხატისა კარგის და ძველ დროს უნდა ეკუთვნოდეს. ქვემოთ აშიაზე მხედრულათ სწერია: „ქ: ეჰა: მოწამეთა: შორის: მჭნეო: შვიდ წილ: უძლეველო: ღვაწლისა: მძლეო: დიდო: მჭედარო: დიდისა: მეფისაო: წმიდაო: გიორგი: ჭრმლოსანო: ბოროტმან: ვინმე: კაცმან: ჭელეო: ხატისა: შენისა: გატეხა: ხოლო: ჩუენ: ძალითა: შენითა: უკადრისად: შემკადრებელი შენი: გამოვაჩინეთ: და: ვითარცა: ავსა: კაცსა: ფერობდა: ისრე: უყავით: აწე: ჩუენ: შენ: მიერ: განმძლიერებულმან: დადიანმან: პატრონმან: ლევან: ახლად: ოქროსი: წელისა: დაფერვითა: გარეშემო: ოხის: ფენგისა: მოჭედითა: და თუალმარგალიტითა: და: დაგასვენ: ეთ: სუჯუნის ეკლესიისა: მის: კურთხეულისა: ჭილაძის: ასულისა: და თანა: მეცხედრისა: ჩუენისა: დედოფლისა: პატრონისა: ნესტან დარეჯანისა: სულისა: სახსრად: და: საოხად: ჩუენდა: სადღეგრძელოდ: და ძეთა: ჩუენთა: აღსაზრდელად: განახლდა: ქკ სა: სამას: ოცდა: ათოთხმეტსა" ქორონიკონი უდრის 1646 წელს.

3) ხატი წმიდა გიორგისა, 26×22 სანტიმეტრი, ვერცხლისა, ნაჭედი. წმიდა გიორგი ცხენით არის წარმოდგენილი და გმირავს ვეშაპს. აშია ყვავილებით არის შემკობილი. ხატი ქართული ხელობის არის, მაგრამ ეკუთვნის არა უადროეს მე-XVII-XVIII საუკუნისა. ზემოთ ასომთავრული წარწერა აქვს: „სუჯუნის წმიდაო გიორგი, შეიწირე და გაუმარჯვე ბატონს გიორგის, რომელმან მოვაჭე[დინე] ხატი შენი, ამინ“.

აქ მოხსენებული ბატონი გიორგი ან გიორგი ლიპარტიანი უნდა იყოს, კაციას ძე, რომელიც ცხოვრობდა მეჩვიდმეტე საუკუნის დასასრულს და მეთვრამეტეს დასაწყისში, ან გიორგი, ოტია დადიანის ძე, რომელიც ჩანს 1788 წელში. უფრო ამ უკანასკნელს უნდა ეკუთვნოდეს.

4) ხატი წმიდა გიორგისა, 28,5×24 სანტიმეტრი, ნაჭედი, ქართულის ხელობისა, დაზიანებული. წმიდა გიორგი ფეხზედ დგას. მარჯვენა ხელში უჭირავს შუბი, მარცხენა მახვილზედ უძევს. მარცხენა მკლავზედ მოგდებული აქვს თასმით ფარი. მახვილის ტარის თავი ფრინველის თავის გამოხატულობას წარმოადგენს. ხატი შემკობილია ყვავილების მსგავსი ჩუქურთმებით. ზემოთ უწერია ასომთავრულით: „წ ჲ გ ი“. ზურგზე, ვერცხლის ფიცარზე შემდეგი მხედრული წერია: ქ:. ჭოი ყოველთა ქრისტიანეთა ზღუდეო მცველო და შესავედრებელო მხნეო მხედარო ქრისტესო შვიდ წილ უძლეველო ღვაწლით შემოსილო დიდო მოწამეო მთავარო წმიდაო გიორგი სუჯუნისაო ჩვენ ქრისტეს მიერ კურთხეულმან მამა ჭყონდიდელმან ჩხეიძემ პატრონმან ევდემოს ვიგულისხმეთ და მოვინდომეთ სასოებით მოსავმან და მადიდებელმან ტაძრისა შენისამან ვიგულეთ და ვიგულისმოდგინეთ გკადრეთ და შემოგწირეთ მცირე ესე შესაწირავი ესე. ასე რომე კოდორი ვამეყ დადიანისაგან და ელენე დედოფლისაგან პირველად შემოწირული ყოფილიყო და საჭყოინდლოდ სახასოთ ყოფილიყო და ჟამთა ვითა ვითარებისათა (აქ სიტყვა „ვითა“ შეცდომით არის განმეორებული) ელიავა გოგის მისთვის დაეჭირა აწე ჩვენ გამოგვირთმევია ხელახლა შენთვის შემოგვიწირავს და ჩვენდა სახასოთ დაგვიჭირავს კოდორს სამი კვამლი კაცი სოგიორე შელია მისი სახლის კაცები თვალიკაც ქობულია და ხოხონაია გა[გ]ულია მათის სახლის კაცითა მამული და ალაგითა სხვა აქაური პარტახები მამული და ალაგები ჩვენთვის დაგვიჭირავს აწე რამანც ძემან კაცისამან მეფემან ანუ დედოფალ მან გინა უფლის წულმან დიდმან ანუ მცირემან ანუ რამანც ძემან კაცისამან ანუ ჩვენმა შემდგომმა ჭყონდიდელმან უკუნისამდე ეს ჩვენგან გარიგებული მამული და ეს წიგნი თქვენ მოგიშალოს და ან ის გლეხები გასცეს ან იმ გლეხების გაცემაში გაერიოს და იშუამავლოს და გაცემა მოინდომოს მასამცა რისხავს თავად დამბადებელი ღ თი და მარტვილისა ღ თის მშობელი და ეს წმიდა გიორგი სუჯუნისა და ყოველნი წმიდანი ღთისანი ზეცისანი და ქვეყანისანი უხორცოთა ძალნი მათმან დიდების მადლმან ნუ იხსნას ნუცა (აქედან დაწყებული ხატის სისქეზედ სწორია) იხსენების სული მისი ნუცა წირვითა და ლოცვითა ნუცა [იერუ]სალიმს წასვლითა ნურას საღთოსა საქმითა წყეულ და შეჩვენებულ იყოს სული და [კ]ორცი მისი ამინ.

მეორე ნაწილზე ხატის სისქისა სწერია:

ქ:. ჩხეიძე:. ევდემოს:. ჭყონდიდელისაგან კოდორს: სამი კვამლი კაცი გოგი ელიავასათვის გამოერთმია და წმიდის გიორგის სუჯუნისათვის შეეწირა და ჩვენ ლიპარტიანის შვილმან ჭყონდიდელმა პატრონმა გაბრიელ კუალად განვახლეთ (ამ სიტყვიდან წარწერა გაგრძელებულია ხატის მეორე პირზე ზემოდამ, წინა წარწერის თავში). . . (აქ ორი სიტყვა აღარ განირჩევა, მოჩანს ნაწილები: გო...ბატისა). ჩვენცა დაგვიმტკიცებია და გურიითგან ჩხაიძე მახარობელი გამოვიყვანეთ და შელიას შევყარეთ იგიც ჩვენ შევსწირეთ ჩვენდა სადღეგრძელოთ და სულისა (ეს ორი სიტყვა გამეორებულია) ჩვენისა საოხათ რათა ჩვენცა ნაწილი გვაქუნდეს და ესე განკით ხვისას ამინ.

პირველად გვერდზე ზემოთ: ქ ჭი ყოველთა ქრისტიანეთა შემწეო და შესავედრებელო შვიდ წილ უძლეველო ღვაწლ შემოსილო... (სხვა არ არის).

მეორე წარწერაში მოხსენებული შვილი გაბრიელ ჭყონდიდელი იყო შვილი გიორგი ლიპარტიანისა და ცხოვრობდა მეთვრამეტე საუკუნის დასაწყისში. ჭყონდიდელი ევდემონ ჩხეიძე იყოს მოღვაწე მეჩვიდმეტე საუკუნის დასასრულისა, წინამოადგილე გაბრიელისა.

5) ხატი წმიდა გიორგისა, საკეცი, სრულიად ისეთივე ხელობისა, როგორც წინა ნომერში აწერილი, 13,2×11,5 სანტიმეტრი, ვერცხლისა, ნაჭედი, ოქროთ დაფერილი. ხატის მეორე გვერდზე მოჩანს წმიდა გიორგის ნაწილები. სხვათა შორის თითიც. შუაში წარწერილია ნაწილების სახელები: „წ ის გ ის ძელი; წ ის გ ი ნაწილი; ჭ ტი კორცი“. წინა პირზე გამოქანდაკებულია წმიდა გიორგი ფეხზე მდგომარე შუბით და რომაულის ტანისამოსით, ორიგინალური, წარწერა: „წ ჲ გ ი“ (ხუცური ასომთავრულით). მეორე გვერდზე მხედრულათ აწერია: მხედართ მთავარო შვიდ წილ უძლეველო მოწამეო გიორგი შევამკევ ხატი ესე პატიოსნისა სახისა შენისა მოსავმან სახელისა შენისამან დადიანის კაციას ძემან მამა ჭყონდიდელ მიტროპოლიტმან ბესარიონ და შევამკვ პატიოსნითა ძელითა და წ თა ნაწილიებითა და დავასვენე სუჯუნისა ეკლესიასა სახსრად და საოხად სულთა ჩვენთა ქ ეს აქეთ ჩდეზ.

ბესარიონ ჭყონდიდელი იყო დადიანის კაციას მეორის ძე და გადაიცვალა 16 ივლისს 1828 წელს. დამარხულია მარტვილში.

6) ხატი დიდი წმიდა გიორგისა, ვერცხლისა, ნაჭედი, ქართულის ხელობისა. ზემოთ უზის ერთი თვალი. წმიდა გიორგი ცხენით არის წარმოდგენილი, შუბით გმირავს ვეშაპს. წარწერა ხუცური: „წ და გ რი“. აშიებზე ბალახის მსგავსი გრეხილებია, ლამაზი; გრეხილებში ანგელოზნები მოჩანან, ქვემო აშია და ნაწილი მარჯვენა აშიისა დაზიანებულია, სრულიად არ არის დაცული აგრეთვე მხედრული წარწერა ქვემო აშიაზე: „ქ: ღ თ და დადიანის ძე ბატონი ჭყონდიდელ მ[იტროპო]ლიტი გრიგოლის ბძანებით შევამკევი ხ[ატი ესე მე] ხოშტარია თევდორემა ვინც წაიკი[თხოთ შენდობა ბძანეთ“. ხატს ძეწკვი აქვს. ეს ხატი ალბათ ჯარის წინ სატარებელი იყო].

გრიგოლ ჭყონდიდელი ცხოვრობდა მეთვრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში. ერთს მის სიგელს უზის თარიღი, 1760 წ. ხოშტარიები აბაშის მცხოვრებნი არიან დღესაც.

7) ხატი წმიდა გიორგისა ფერადებით დახატული, 29×23,5 სანტიმეტრი. წმიდა გიორგი ზის თეთრ ცხენზედ და გმირავს ვეშაპს, თავზე ანგელოზი გვირგვინს ადგამს. წინ მეფის ქალი სდგას და უცქერისა. ზემოთ ტაძარი მოსჩანს. აშია ხატისა ვერცხლისა, მოჭედილი, ბაბილოვანი ჩუქურთმებით შემკობილი. ხატს ასომთავრულით აწერია მარტო: „წ ჲ გ ი“.

8) სანაწილე ოქროსი ჯვარის სახედ, 10×10 სანტიმეტრი, შემკობილი ძვირფასი ქვებით, შით ძევს

9) პატარა ჯვარი ოქროსი, ოქროს მართულებისაგან შემდგარი, ძრიელ ლამაზი, მარგალიტებით შემკობილი.

10) ბარძიმი ვერცხლისა. ქვემოთ მხედრული წარწერა აქვს მე-XIX საუკუნის ხელით:

ქ: წ ო მთავარ მოწამეო სუჯუნისაო გიორგი დაიცევ ორთავე ცხორებათა შ ა მიქაძე სეხნია და მეუღლე მისი ნაკაშიძის ასული დარეჯან:.

11) ფეშხუმი ვერცხლისა, ოქროთ დაფერილი, ისეთივე წარწერით, როგორც მოიპოვება წინათ მოხსენებულ ბარძიმზე.

12) ჯვარი უბრალო, ვერცხლისა, რუსული ხელობისა, მხედრულის წარწერით: „ჩყკ წელსა შემოგწირე ჯვარი ესე სასოსა ჩემსა და მეოხსა წმინდის მოწამის გიორგის სუჯუნის ეკლესიას მე ცოდვილმა სავა აფანოვიმ სულის ჩემისა საოხად“.

13) დაფარნა ფარჩისა აბრეშუმის ძაფით ნაკერი, რომელზედაც გამოხატულია ხელოვნურად იესო ქრისტე და ქერუბიმები. შემკობილია წვრილი მარგალიტებით. ირგვლივ ძნელად გასარჩევი გრეხილიანი ასომთავრულით ამოქარგულია: „ქ. დაფარნა ცანი შვენიერებამან მისმან. ხოლო სიწმიდითა მისითა აღივსო ყოველი ქვეყანა!“

?ქ. ეჰა, შენ, შვიდ წილ უძლეველო და ყოველთა მოწამეთა უზეშთაესო, უმწვერვალესო, ახოვანო მხედარო, დიდო მოწამეო გიორგი, წმიდაო სუჯუნისაო! მე, ფრიად ცოდვილმან, მოსავმან პატიოსნისა ტაძრისა შენისამან, ფაღავას ქალმან როდამ, ვინებე, ვიგულმოდგინეთ, გკადრეთ კნინ ესე შესაწირავი, ესე დაფრანა და პერექელი, შემკობილი თვალითა და

დეკანოზ კონსტანტირე კაჭარავას მიერ სოფელ სუჯუნში ჩაწერილი მასალებით, „სუჯუნის წმ. გიორგის „მარჩქილენი“-ს წმ. გიორგიდ იხსენიებდნენ. ეს იმიტომ რომ ამ ეკლესიაში წმ. გიორგის ყური ყოფილა ჩატანებული, ხალხი ამბობდა, რასაც შესთხოვ აუცილებლად შეისმენსო, ამიტომ შეურქმევია ხალხს „მარჩქილენი“ ანუ შემსმენელი წმ. გიორგი“. „ლეგენდაში საუბარია წმ. გიორგის წმინდა (წმ. გიორგის ყური) ნაწილებზე, რომელიც ამ ეკლესიაში ყოფილა დავანებული.

ვტორისავე თქმით, სუჯუნის ხატების ჩამონათვალში მე-5-ეს, წმიდა გიორგის ვერცხლის დასაკეც ხატს ზომით 13,2×11,5 სმ. მეორე გვერდზე ჰქონია სანაწილე ზედ წარწერით: „წმ. გიორგის თითი, წმ. გიორგის ძვალი, წმ. გიორგის ნაწილი, ჭეშმარიტი ნაწილი“. ასე რომ, ხალხში შემორჩენილი ლეგენდა უსაფუძვლო არ ყოფილა. ეს ხატი ამჟამად თბილისში ინახება ხელოვნების მუზეუმში. კორნელი ბოროზდინი, სუჯუნის წმ. გიორგის „მეგრელთა მფარველს“ უწოდებს, ძველ სიგელ-გუჯრებში ამ სალოცავს უამრავ შესაწირავს სწირავდნენ, ამის გამო მატერიალურად მეტად ძლიერი სალოცავი იყო სუჯუნა[1]“. იგივე ავტორი, საარქივო მონაცემებზე დაყრდნობით აღნიშნავს, რომ სუჯუნის წმ. გიორგის ეკლესია აშენებული ყოფილა 1845 წელსა. ავტორისავე აზრით, „სუჯუნის ეკლესიის მშენებლობა სავარაუდოდ მე-19 საუკუნის დასაწყისში ანტონ ჭყონდიდელის დროს უნდა დაწყებულიყო, სამნავიანი, გუმბათოვანი ტაძრის და მისი ორსართულიანი ქვის სამრეკლოს ასაგები საამშენებლო ქვა ჩამოტანილია სუჯუნიდან 40-50 კმ-ით დაშორებული, სენაკის რაიონში არსებული ეკის მთის სამტეხლოებიდან“[2].

მარგალიტითა, ჩვენდა ცოდვათა შესანდობლად და მეუღლისა ჩემისა პატრონის ჩიკოანის] გიორგისდა ამ სოფელს წარსამართებლად, სადღეგრძელოდ, და ცოდვილისა სულისა ჩვენისათვის საცხოვნებლად, ძეთა და ასულთა ჩვენთა აღსაზრდელად. და მიუძღვანეთ მამასა და მოძღუარსა (ეს სიტყვა კარგათ არ განირჩევა და ამიტომ საეჭვოდ ვტოვებთ) ჩვენსა ჭყონდიდელ მიტროპოლიტს, ძმასა ჩვენსა ღოღობერიძესა (ვინაითგან სიტყვას „ღ ობერიძესა“ ქარაგმა აქვს, ამიტომ გვგონია, „ღოღობერიძეთ“ უნდა წავიკითხოთ „ღობერიძის“ მაგიერ) ევდემონს, რათა შენგან მოვიღოთ დიდი წყალობა და შენდობა ცოდვათა, ხოლო მიმთხვევნო და ამომღებნო სიწმიდისანო, ღვთისათვის შენდობასა ყოფდეს ჩვენ ცოდვილისათვის. ქრისტეს აქათ ჩღკზ“.

14) ასეთივე ხელობის პერექელი, შუაში იესო ქრისტეს სურათით და ფრთებზე ქერუბიმ-სერაბიმებით.

15) მეტაფრასი ხუცური ორ სვეტად, გადაწერილი „უგანათლებულესისა მთავრის დადიანის კაციას ძის მამა ჭყონდიდელის მიტროპოლიტის ბესარიონის ბრძანებით წელსა ქ ესით ჩყკბ, ფებერვლის ზ“. ბოლოს მხედრულათ უწერია: „აღვსწერე მეტაფრასი ესე ბრძანებითა მეუფისა ჩემისა მაღალ ყ დ უსამღვდელოესისა ჭყონდიდელ მიტროპოლიტის ბესარიონისათა მე მონამ მისმან ჭყონდიდელის მონასტრის კანდელაკმა მღვდელმა ეგნატემ“...

16) წმიდის გიორგის რკინის ოროლები ერთი დიდი და ერთი მცირე.

17) ბუკი სპილენძისა.

18) იესო ქრისტეს თავი, 24×19 სანტიმეტრი, თაბაშირისა (გიპსისა), ლამაზი, ახალი, ევროპიული ხელობისა“ (ექვ. თაყაიშვილი, არხეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნანი, ტფ. 1914, გვ. 22-31).

[1] დეკანოზი კონსტანტინე კაჭარავა, დასახ. ნაშრომი, გვ. 46-47.
[2] დეკანოზი კონსტანტინე კაჭარავა, დასახ. ნაშრომი, გვ. 47-48.

ზემოთ წარმოდგენილი მასალებში სუჯუნის ეკლესია უკვე მოხსენიებულია XVII საუკუნის ბოლო პერიოდში და ვფიქრობთ აქ თავდაპირველი ძველი ტაძარი ადრიდანვე არსებობდა.

სუჯუნის ეკლესია გასაბჭოების დროს იქნა განადგურებული და დანგრეული, მღვდლები კი დახვრეტილი.

ეკანოზ კონსტანტინე კაჩარავას მიერ მოპოვებული მასალებით, „1922 წ. 20 ივლისს ჩვენ ქვემორე ამასა ხელის მომწერნი სენაკის სამაზრო კომისიამ შემადგენლობით: პოლიტბიუროდან – არტემი ნადარეიშვილი, აღმასკომიდან – ვალოდია ნოდია, სუჯუნის თემის ორშტატიანი წმიდის გიორგის ეკლესიის მღვდელმა – ლავრენტი ხოშტარიამ, იაკობ ნოდიამ, ფილიპე ნოდიამ, თავჯდომარეობით არტემ ნადარეიშვილისა და თანდასწრებით სუჯუნის თემის აღმასკომის თავჯდომარისა, იქნა აღწერილი სუჯუნის თემის წმ. გიორგის ეკლესიის განძეულობა, რომელშიც აღმოჩნდა:

დასახელება განძისა	ვერცხლი	ოქრო	ძვირფასი ქვები	შენიშვნა
სახარება ათი ცალი, წინა პირი	ვერცხლი			
ერთი ჯვარი	ვერცხლი			
ერთი ნაწილი	ვერცხლი			
წმ. გიორგის ხატი ნაწილი	ვერცხლი			
სამირონო	ვერცხლი			
ორი ვერცხლის შანდალი	ვერცხლი			
ერთი ძელი ჭეშმარიტის ჯვარი ორმოცი თვლით	–	–	40 თვალი	მარგალიტი
ბუდე მისივე (ჯვრის) ვერცხლის თვლიანი	ვერცხლი		106	სხვადასხვა თვლები
ერთი ბარძიმი	ვერცხლი			
ერთი ფეშხუმი	ვერცხლი			
ერთი კამარა	ვერცხლი			
ერთი კოვზი	ვერცხლი			
ერთი განსაზღვრული	ვერცხლი			
ორი დაფარნა, ერთი დიდი,			მარგალიტი და	დათვლა

ერთი პატარა მარგალიტის თვალებით მოქარგული სხვადასხვა თვლებით ამოყვანილი			ძვირფასი თვლები	შეუძლებელია სიმრავლის გამო
ერთი ტაკუკი	ვერცხლი			
ერთი ლანგარი	ვერცხლი			
ერთი საცეცხლური	ვერცხლი			
ერთი პატარა ხატი საკეცი ნაწილებიანი	ვერცხლი			
ბარძიმი დიდი ზომის	ვერცხლი			
ფეშხუმი დიდი ზომის	ვერცხლი			
ჭამარა	ვერცხლი			
ერთი კოვზი	ვერცხლი			
ორი ლანგარი	ვერცხლი			
ერთი ღვთისმშობლის ხატი პატარა	ვერცხლი			
ერთი მაცხოვრის ხატი	ვერცხლი			
მესამე ღვთისმშობლის ხატი	ვერცხლი			
ერთი წმ. გიორგის ხატი ჯაჭვიანი და ბუდიანი შიგნით მისივე ხატი ვერცხლისა				
ერთი წმ. გიორგის ხატი დიდი ზომის		ოქრო	ძვირფასი ქვებით	
ერთი წმ. გიორგის ხატი დიდი ზომის	ვერცხლი		ერთი დიდი თვლით	
ერთი წმ.	ვერცხლი		14 სხვადასხვა	

გიორგის ხატი საშ. ზომის			თვლით	
ერთი წმ. გიორგის ხატიცხენზე მჯდომი	ვერცხლი			
ერთი კანდელი ვერცხლის	ვერცხლი			
ორიძეწკვი ნაწილით	ვერცხლი			
ორი ხატი პატარა	ვერცხლი			
40 კაპ. 43 ცალი	ვერცხლი			
15 კაპ. 37 ცალი	ვერცხლი			
10 კაპ. 159 ცალი	ვერცხლი			
5 კაპ. 18 ცალი	ვერცხლი			
თათრული ფული სხვადასხვა ზომის	ვერცხლი			

ხელს აწერენ: 1. არტემ ნადარეიშვილი; 2. ვალოდია ნოდია; 3. წინამძღვარი – ლავრენტი ხოშტარია; 4. მღვდელი – იაკობ ნოდია; 5. მღვდელი – ფილიპე ნოდია

სუჯუნის ეკლესიის ბოლო მღვდელი იყო პეტრე კუცია.

სუჯუნის შესახებ საინტერესო ცნობებია XIX საუკუნის ქართულ პერიოდულ პრესაშიც[1].

[1] გაზ. ივერია, №81, 1890, კ. თეკლათელი, დაბა სუჯუნა (სამეგრელო).

დაბა სუჯუნის და ახლო მახლო სოფლების ადგილ-მდებარეობა ძალიან დაბალი და მასთან ჭაობიანია. ამ დაბალ და ჭაობიან ადგილს თითქმის შუაგულ არხია, რომელიც ამ საუკუნის პირველ ნახევარში გაუყვანიათ აქაურ მკვიდრთ ანტონ ჭყონდიდელის თაოსნობით მდინარე ცხენის წყლიდგან რიონამდე.

გაზ. შრომა, №18, 1882, მნახველი, სუჯუნა 20 აპრილს.

თქვენც მოგეხსენებათ, დაბა სუჯანაში ოც-და-სამს აპრილს წმინდის მთავარ მოწამის გიორგის ტაძრის დღესასწაულობა იციან. აქ იკრიბება სხვა და სხვა ქალაქებისა თუ სოფლებიდგან მოვაჭრენი ყოველ გვარის სავაჭროთი, სხვათა შორის იყიდება მრავალი რიცხვით პირუტყვნი: ცხენი, კმბეჩი, ხარი და ძროხა.

გაზ. ცნობის ფურცელი, ანდრო უჩანეიშვილი, №629, 1898

დ. სუჯუნის წმ. გიორგის ეკკლესია ერთ დროს ჭყონდიდელის საკათედრო ტაძარი იყო. მთელ შვიდ საზოგადოებას დღესაც „საჭყონდიდოს“ ეძახიან, რადგან სანამ ბატონ-ყმობა გადავარდებოდა, ეს კუთხე ჭყონდიდელის ხელში იყო, რომელიც აქ მებატონედ ითვლებოდა. როდესაც ბატონ-ყმობა გადავარდა, ზემოხსენებული სოფლები სახაზინოთ იქნა ჩარიცხული. მას უკან დ. სუჯუნას საქმე უკან-უკან წავიდა და დღეს მას თითქო სიცოცხლის ძაფიც კი შესწყვეტია; საღათას ძილს მოუცავს მისი ოდესმე ნაქები არე-მარე. აქ თქვენ ხედავთ, სხვათა შორის, სახურავ-ჩანგრეულ დუქნებს, რომლებიც მეტად უნუგეშო სურათს წარმოადგენენ. მხოლოდ ძველისძველი, თეთრი ქვით ნაშენი წმ. გიორგის ეკკლესია და მისი სამრევლო მოგაგონებთ ამ არე-მარის წასულ დიდებას და სამწუხარო ის არის, რომ ეს დიდებული ნაშთიც უყურადღებოდ არის მიგდებული. ეკკლესიას სახურავი არ აქვს და გაპარტახებულია, წვიმა თავისუფლათ რეცხავს შიგნით კედლებს რომლებიც ხავსით არის შემოსილი. დროა ეკკლესიას ყურადღება მივაქციოთ. საჭყონდიდო ოთხი ათას კომლზე მეტ მცხოვრებთ შეიცავს და ამდენი ხალხისათვის ძნელი არ არის ეკკლესიის განახლება.

გაზ. ცნობის ფურცელი, №190, 1897

სოფ. სუჯინა. (სენაკის მაზრა) აქაური დღეობა. ყოველ წლის აპრილის ოცდა სამსა ამ სოფლის ხალხმა დღეობა იცის, სადაც სამეგრელოს დაბა-სოფლებიდან მლოცველები მოდიან და სწირავენ: ცხვარს, სანთელ-საკმელს, ფულს და სხვ. იციან აგრეთვე სამი დღე ვაჭრობა შინაური სპირუტყვებისა და სხვა. ხსენებული სოფლის ეკკლესია წმინდა გიორგის სახელზეა აშენებული და მართლაც შესანიშნავია, თავისის მშვენიერის ქვიტკირის შენობით. აქვე მეორე ეკკლესიაც არის ხისა; თავდაპირველად დაარსებული, სადაც დრო გამოშვებით სრულდება ღვთის მსახურება. ესეც კოპწიად მორთულია ყოველის მხრით. ადგილმდებარეობა ამ ორის ეკკლესიისა დაბლობია და ზედ მუხლამდი ბალახი ბიბინებს. როგორც ხალხის ზეპირგადმოცემა მოგვითხრობს, პირველი საეპისკოპოსო ადგილი მთელს სამეგრელოში ეს ჰყოფილა, და ეპისკოპოსის მუდამ საცხოვრებელი ადგილი, რის გამოც დაერქვა ამ სოფელს „საჭყონდიდო“ „ჭყონდარი“ მეგრული სიტყვაა და ქართულად ნიშნავს ეპისკოპოსსა. ეხლა ამ სოფლის რამდენსამე საზოგადოებას საჭყონიდო ქვიან, მაგრამ ჟამთავითარებისა გამო ეხლა სუჯინას უძახიან... ზემოხსენებულ რიცხვს, 23 აპრილს, გიორგობა დღეს, ასე ეგებებიან აქაურები, როგორც ბრწყინვალე დღესასწაულსა. რაც გინდა ხელ-მოკლე და ღარიბი იყოს აქაური გლეხი თუ აზნაური, მდვდელი ან ერი, უთუოდ უნდა იდღესასწაულოს და ნადიმი გამართოს. ასე რომ ზოგიერთებს ერთი თუმნიდამ ხუთ თუმნამდე მეტი უჯდება დღეობის გადახდა, რადგანაც მოპატიჟებული ყავთ ტომ-ნათესავები და კერძ-მოყვარეები. ყველა ეს მოწვეულნი წინა დღითვე იკრიბებიან მასპინძლისას. ხოლო მეორე დღეს წირვა-ლოცვას ისმენენ და სწირავენ შესაწირავს შეძლებისა და გვარად. ხშირად მისი მეუფება გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსი იქნება ხოლმე მწირველი. თუმცა-და წელს მისი მეუფება არ ბრძანდებოდა მწირველი, მაგრამ რადგანაც ამინდი მშვენიერი და საამო იდგა, ხალხი მრავალი იყო სალოცავად მოსული. საღამო დროს, ეკკლესიის ეზოში გაჩაღდა სიმღერა, დაირა-ცეკვა, აქ არა გვგონია 10,000 ქალი და კაცის ნავლები ყოფილიყოს სხვა-და-სხვა კუთხიდამ მოსული.

„23 აპრილს აქ დღეობა ჯარიანობა იციან, წელსაც მრავალი მოვიდა, დღეობამ მშვიდად ჩაიარა, სუჯუნაში დღეს 200 ებრაული კომლი ცხოვრობს, სავაჭრო დუქანი 100-ია, ამ დაბაში ორი ხის ხიდია, რომელზეც ეტლებს და ურმებს უჭირთ გავლა, რადგან დამპალი და გაფუჭებულია. ამ ორი ხიდის გადება დაბას დაუჯდება დიდი დიდი 25 მანეთი“ [1] (1904 წ. 4 მაისი, გაზეთი „ცნობის ფურცელი“).

გაზ. მწყემსი, 1889, №6. „მწყემსი“-ს კორრესპონდენცია დაბა სუჯუნიდამ.

მთელს გურია-სამეგრელოს ეპარქიაში მარტო დაბა სუჯუნაში არსებობს დღეს ერთი საეკკლესიო-სამრევლო სკოლა ქალთათვის. ეს სკოლა დაარსდა აქ 1886 წელში ბლაღოჩინის დეკანოზის სვიმონ ელიავას და მასწავლებლის ფილიმონ მატკავას თაოსნობით, დ. სუჯუნის მკვიდრთა სასიხარულოდ დაურჩათ სკოლის დაარსება. სკოლის განხსნისათანავე სკოლაში შესვლის მსურველნი ბევრი აღმოჩნდა, მაგრამ ბევრს, ადგილის უქონელობისა გამო, უარი ეთქვა. დღეს სკოლაში სწავლობს ორმოცი ყმაწვილი; ამათში 30 ქალია და 10 ვაჟი. სწავლის

3. სახოშტარიოს მაცხოვრის სახელობის ნაეკლესიარი

სოფელ სუჯუნაში იდგა მეორე მაცხოვრის სახელობის ხის ეკლესია. აშენდა 1860 წელს.

მღვდელი იოანე საბაშვილი

განძი ბარძიმი
ფეშხუმი
კამარა
კოვზი
ტაკუკი
პატარა თეფში
მდუღარების ასადუღებელი

ვ ე რ ც ხ ლ ი

სოფელი ეწერი

ეწერის წმ. გიორგის სახელობის ნაეკლესიარი

წინამძღვარი – დეკანოზი – გიორგი გუგუშვილი

საქმე კარგად მიდის. ქალებს სხვა სავალდებულო საგნებს გარდა ასწავლიან: კერვას, ქსოვას და ქარგვას. გალობას ამ სკოლაში ასწავლიან ბ. ფილიმონ მატკავა. მოსწავლე ქალებისაგან არის შედგენილი მგალობელთა გუნდი, რომელსაც რიგიანად შეუძლია მთელი წირვის წესის გალობა ეკკლესიაში. ყოველივე ამისათვის მადლობის ღირსია სკოლის მასწავლებელი ქალი ქ. ნ. ბუგუნაშვილი, რომელიც მუყაითად ეკიდება თავის მოვალეობას.

დღიდგან სკოლის დაარსებისა დიდ შემწეობას აძლევს მასს ნივთიერის მხრით ბლაღ. დეკანოზი მ. სიმონ ელიავა და ბ. ფილიმონ მატკავა, სკოლის დაარსების დროს პირველმა შესწირა ორმოცი მანეთი და მეორემ ერთი თუმანი. ამათივე თაოსნობით სკოლის სასარგებლოდ კაი ძალი ფული შეიკრიბა და დღესაც იკრიბება ხალხში. როგორც გავიგეთ, იმდენი ფული შეკრებილა სკოლის სასარგებლოდ, რომ ადვილად შეუძლიათ საკუთარი სახლი შეიძინონ სკოლისათვის. თუ ეს მოხერხდა, შეიძლება ზემოთ აღნიშნული პირების მეცადინეობით გაიხსნას მეორე კლასიც და ამით ცოტათი მაინც დაკმაყოფილდება სუჯუნელების ნატვრა.

აქვე არ შეგვიძლია არ აღვნიშნოთ ისიც, რომ ბლაღ. დეკანოზს მ. სიმონ ელიავას ამ სკოლის გარდა დიდი ღვაწლი მიუძღვის საზოგადოდ მის საბლაღოჩინო მაზრაში საეკკლესიო-სამრევლო სკოლებზე. მ. დეკანოზი ყველგან უხსნის ხალხს, რომ სწავლა ყველასათვის საჭირო და ამიტომ ურჩევს ყველას, რომ როგორც ვაჟები, ისე ქალებიც შეიყვანონ სკოლებში.

თ. მიქაძე

განძი	ბარძიმი	
	ფეშხუმი	ვ ე რ ც ხ ლ ი
	ვარსკვლავი კოვზი	
	ეწერის ამაღლების ეკლესია	
	წინამძღვარი – მღვდელი	
	პეტრე	

განძი	ბარძიმი	
	ფეშხუმი	
	ვარსკვლავი (2)	
	ლამბაქი (2)	ვ ე რ ც ხ ლ ი
	განსაზავებელი	
	ორი შაურიანი	
	ერთი იოანე ნათლისმცემელის	
	ხატი წინა პირი ვერცხლის	

სოფელი წალიკარი

წალიკარის წმ. გიორგის ეკლესია

წინამძღვარი – ლავრენტი ხოშტარია

განძი	ბარძიმი	
	ფეშხუმი	
	ვარსკვლავი	ვ ე რ ც ხ ლ ი
	კოვზი	
	წმ. გიორგის ხატი	

აღწერას მალევე მოჰყვა ამ ძვირფასეულობის ჩამორთმევა“[1].

2. სამიმინოშვილოს წმ. გიორგის სახელობის ნაეკლესიარი

იგივე შემადგენლობის კომისია

ტაძრის წინამძღვარი-მღვდელი იოანე საბაშვილი.

(ამ ტაძარში არანაირი ძვირფასეულობა არ აღმოჩნდა)[2].

---

[1] დეკანოზი კონსტანტინე კაჭარავა, დასახ. ნაშრომი, გვ. 99-102.
[2] დეკანოზი კონსტანტინე კაჭარავა, დასახ. ნაშრომი, გვ. 101.

ამავე ეკლესიასა ზედ მიწერილი ყოფილა წმ. გიორგის (სამიმინოშვილოს) ეკლესია, რომელიც ერთ ვერსტზე მდებარეობდა.ამავე ეკლესიის მღვდელი ლაზარე ხოშტარია“[1].

სოფელი წყემი

წმ. ბარბარეს სახელობის ნაეკლესიარი

სოფლის სასაფლაოსთან იდგა წმინდა ბარბარეს სახელობის ქვის ეკლესია. ტაძარი აღდგენილია ძველი ქვებით, კედელი ბოლომდე დანგრეული არ ყოფილა.

ქალაქი აბაშა

1. მაცხოვრის სახელობის ახალი ეკლესია

ქალაქ აბაშაში დგას მაცხოვრის სახელობის ახლად აშენებული ეკლესია.

2. მთავარანგელოზთა სახელობის ნაეკლესიარი

სოფელი საკაჭარავო დღეს შედის ქალაქ აბაშის შემადგენლობაში (ადრე ცალკე სოფელი იყო). აქ სოფლის სასაფლაოსთან იდგა მთავარანგელოზთა სახელობის ხის ეკლესია. ის 1870 წელსაც მდგარა.

3. განკარის სასაფლაოს წმინდა გიორგის სახელობის ნაეკლესიარი

ქალაქ აბაშაში მაცხოვრის ახლად აშენებული ეკლესიის წინ იდგა წმინდა გიორგის სახელობის ხის ეკლესია. ამ ეკლესიის ხატზე ცნობებს გვაწვდის ექვთიმე

[1] დეკანოზი კონსტანტინე კაჭარავა, დასახ. ნაშრომი, გვ. 76.

თაყაიშვილი. მისი აღნიშვნით, „სოფელ აბაშაში, ხუთ ვერსზე სადგურ აბაშიდან, ეკლესია წმინდა გიორგისა ახალია, ხისა. აქ საყურადღებოა წმინდა გიორგის ხატი ვერცხლისა, ქართული ხელობისა, ლამაზი, მაგრამ არა ძველი. უნდა ეკუთვნოდეს XIX საუკუნის დასაწყისს. ხატი ზომით 34×26 სანტიმეტრი, შემკობილია 9 ქვით, სახე და ტანი წმიდანისა ძლიერ გამობერვილია. წმიდანი ფეხზე მდგომარეა, რომაული საომარი ტანისამოსით, მარჯვენა ხელში უჭირავს შუბი, მარცხენა დაუდვია ყვავილებიან ჩუქურთმებით შემკობილ ფარზედ. მარჯვენა კუთხიდან ხატის სხივები მოდის. აშია ლამაზი აქვს ხატს ყვავილების მსგავსი ჩუქურთმებით შემკობილი. ზემოთ ასომთავრულით აწერია: „წ ა გ ი“[1].

4. მშენებარე ეკლესია

ქალაქ აბაშის ცენტრთან შენდება ახალი ეკლესია.

5. კვათანას ძველი მთავარანგელოზთა სახელობის ნაეკლესიარი

კვათანა ადრე ცალკე სოფელი იყო. ეხლა შედის ქ. აბაშის შემადგენლობაში. ახლად აშენებული ეკლესიის მოპირდაპირე მხარეს მდებარე სასაფლაოსთან იდგა მთავარანგელოზთა სახელობის ეკლესია. ბოლო მღვდელი იყო რომანოზ შომახია.

6. კვათანას წმინდა მიხაელისა და გაბრიელ მთავარანგელოზთა სახელობის ეკლესია

კვათანას უბანში დგას მიხეილ და გაბრიელ მთავარანგელოზთა სახელობის ახალი ეკლესია.

სოფელი კადარი

[1] ექვ. თაყაიშვილი, არხეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნანი, ტფ. 1914, გვ. 31-32.

კადარის მაცხოვრის სახელობის ეკლესია

სოფელ კადარში სასაფლაოებთან დგას მაცხოვრის სახელობის ეკლესიის ნანგრევები. ეკლესია იყო აგურის, ჩამონგრეულია ჩრდილოეთის და დასავლეთის კედლები და ჭერი. ირგვლივ აქ მოსახლეობა არ არის. კადარის ეკლესია და მისი სიძველეები აღწერილი აქვს ექვთიმე თაყაიშვილს: „სოფელი კადარი მდებარეობს შვიდ ვერსზედ სადგურ აბაშიდან. აქ დაცულია ძველი ეკლესია, უგუმბათო, აგურით ნაშენი, ოთხკუთხედი გეგმისა, უბრალო ბაზილიკა, სიგრძე 18½ ადლი, განი 10 ადლი და 12 გოჯი. შესავალი აქვს სამხრეთით და დასავლეთით. ფანჯრები აქვს ხუთი, სამი აღმოსავლეთით და ორი დასავლეთით. დახურულია ყავრით. შამხრეთის და დასავლეთის მხრით წინეთ ეკლესიას ეკვტრები ჰქონდა, მაგრამ შემდეგ მოუშლიათ. ეკლესია საზოგადოდ ძრიელ დაზიანებულია. ეკლესიის გარედან ყურადღებას იქცევენ ლამაზი ჩუქურთმიანი ნათალი ქვები, რომელნიც ჩაუტანებიათ აგურის კედელში სამხრეთის კარის ზემოთ და მარჯვნივ და მარცხნივ. ეს ქვები თავის გრეხილიანი ჩუქურთმებით ამშვენებენ სამხრეთის კარის შესავალს. ამ ჩუქურთმების მიხედვით ეკლესია უნდა იყოს აშენებული არა უგვიანეს მეთოთხმეტე საუკუნისა. შიგნით ეკლესია წინეთ სულ მოხატული ყოფილა კარგი ფრესკებით, მაგრამ ეხლა უმეტესი ნაწილი მხატვრობისა ან სულ გაფუჭებულია, ან შეთეთრებული. საკურთხეველში უფრო უკეთ არის შენახული მხატვრობა. ზემოთ აქ დახატულია მაცხოვარი, ეხლა დაზიანებული, მას ქვემოთ იესო ქრისტეს მოწაფენი, „წ ი პ ტრე, წ ი პ ლე, წ ი ფილიპე“ და სხვა სულ ათი; ქვემოთ ეკლესიის მამანი, სულ ცხრა: „წ ი რომანოზ, მღვდელ-მოძღვარი; გრიგოლი დიოლოღონი, წ ი ნიკ ლზ, წ ი ი ე ოქროპირი, წ ი ბასილი“ და სხვა. ამათ ყველას ხელში აქვსთ ეტრატები, წარწერიანი მსხვილი ასომთავრულით არის. თვით ეკლესიაში მხატვრობიდან კიდევ განირჩევა: ხარება, ფერიცვალება, ლაზარეს აღდგენა, ქვემოთ ჩრდილოეთის კედელზე მოჩანან მთავარანგელოზნები, მიქელ და გაბრიელ, წმიდა გიორგი და წმიდა დიმიტრი. დასავლეთისაკენ ჩრდილოეთის კედლისა ყოფილა სურათები დადიანებისა, ქმარი, ცოლი და შვილი და ერთი კიდევ სხვა პირი, მაგრამ სურათები ძლიერ გაფუჭებულია და ძლივსღა ეტყობა მხოლოდ ზემო ნაწილი. ისტორიულნი პირები ყოფილან აგრეთვე წარმოდგენილნი დასავლეთის კედელზეც, რომელიც ეხლა შეთეთრებულია. მხატვრობის შემკობილებანი, სადაც დაცულია, ძლიერ ლამაზია. ზოგიერთები თ. კიუნეს ჩვენ ფერადებით გადმოვაღებინეთ. კანკელი ეკლესიისა ახალია. ძველი ხატები აქ არ არის დაცული“[1].

კადარის ეკლესია გ. ელიავას XIII საუკუნისად მიაჩნია[2].

უნდა აღვნიშნოთ, რომ კადარის ეკლესია ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ძეგლია პირველ რიგში იმ მხრივ, რომ XIII-XIV საუკუნის აგურის ეკლესია სამეგრელოში არ

---

[1] ექვთიმე თაყაიშვილი, არხეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნანი, წიგნი მეორე, ტფილისი 1914, გვ. 32-33.

[2] გ. ელიავა აბაშისა და გეგეჭკორის რაიონების ტოპონიმიკა, თბ., 1977, გვ. 25.

არის შემორჩენილი. ის დღეს დანგრევის პირასაა მისული და სასწრაფოდ მიხედვა ჭირდება. აქ ირგვლივ 4-5 კილომეტრის რადიუსში მოსახლეობა არ არის, მაგრამ ისტორიული ძეგლის აღდგენა მარტო მრევლის რაოდენობაზე არ უნდა იყოს გათვლილი.

სოფელი პატარა კვათანა

მისარონის (წმ. გიორგის) სახელობის ნაეკლესიარი

პატარა კვათანაში იდგა მისარონის სახელობის (წმ. გიორგი) ეკლესია.

სოფელი სეფიეთი

1. წმ. მთავარანგელოზთა სახელობის ეკლესია

სოფელი სეფიეთში, სოფლის სასაფლაოსთან დგას მთავარანგელოზთა სახელობის საკმაოდ დიდი ერთნავიანი ეკლესია. ტაძარი ოთხკუთხედი ფორმისაა და ნავი მიშენებულია უშუალოდ ოთხკუთხედ შენობას. ტაძარი თავის დროზე კარგად მოხატული იყო რისი ნაშთების დღესაც შემორჩენილია; არის სხვადასხვა წმინდანთა თუ ისტორიულ პირთა ფრესკები. აქ ბოლო მღვდელი ყოფილა ანტონ ბოკუჩავა.

სეფიეთის ეკლესია, მისი წარწერები, ხატები და სიძველეები საკმაოდ დეტალურად აქვს აღწერილი ექვთიმე თაყაიშვილს[1]. აქ გამოსახულნი არიან სხვადასხვა ისტორიული

[1] „სეფიეთის მთავარ-ანგელოზის ეკლესია ერთი უძველესთაგანი ეკლესიაა სამეგრელოში, ქვით და აგურით ნაშენი, გეგმით ტიპიური ბაზილიკა არის სამნაწილიანი შიგნით. საკურთხეველი მომრგვალებულია გარედანაც. აღმოსავლეთისკენ, ზემოთ სახურავის შესაყართან ცხვრის თავის ქანდაკებაა. შესავალი აქვს დასავლეთით, სამხრეთით და ჩრდილოეთით. ფანჯრები ცხრაა: სამი აღმოსავლეთით, ოთხი დასავლეთით და თითო სამხრეთით და ჩრდილოეთით. დასავლეთის მხრით მიშენებულია აქვს ეკვტერი შემდეგის დროისა. თვით ეკლესიის ჩრდილოეთის და სამხრეთის ნაწილები (ნეფები) გაშლილი დაღებით უერთდება შუა ნაწილს. როგორც მოწმობს გარეთ შენახული ერთი პატარა სვეტი კვარცხლბეკი, წინეთ ეკლესიას ქვის კანკელი ჰქონია, მაგრამ ეხლა სულ უბრალო ხის კანკელი აქვს. შიგნით ეკლესია სულ მოხატულია, მხატვრობა დაბალი ხარისხის არის და ისიც ზოგ ადგილას ძრიელ გაფუჭებული, მაგალითად დასავლეთის ეკვტერში. უფრო შერჩენილია მხატვრობა საკურთხეველში და ეკლესიის შუა ნაწილში ზემოთ. სამხრეთის და ჩრდილოეთის ნეფები სულ შეთეთრებულია კირით და მათში მხატვრობის ნასახიც აღარა სჩანს. ფრესკებზე ყოველგან ხუცური წარწერებია. აღმოსავლეთის ფანჯრის ზემოთ შიგნიდან კედელზე სწერია ასომთავრულით: „დაიხატა (უნდა იყოს დახატა, ანუ დაახატვინა) ეკლესია ესე კოპალაძემა ჭყონდიდელმა ზოსიმე. შეუნდვნეს ღმერთმან, ამინ“.

ჭყონდიდელი ზოსიმე კოპალაძე ყოფილა დახატული მარტვილის დასავლეთის ეკვტერში, მაგრამ სურათი სულ დაღუპულა და ეხლა მარტო თავი მოჩანს. ჩვენ არ ვიცით როდის ცხოვრობდა ზოსიმე კოპალაძე, მაგრამ იგი უნდა ეკუთვნოდეს მე-XVII საუკუნეს. ზოსიმე ჭყონდიდელს პირველათ არ მოუხატვინებია სეფიეთის ეკლესია. ის ძველ დროშიც მოხატული ყოფილა, მაგრამ მხატვრობა დროთა ვითარების გამო გაფუჭებულა და ზოსიმეს მეორედ დაუხატავს. ამის შესახებ ცნობა მოიპოვება ეკვტრის ფრესკის წარწერაში. სამხრეთის კედელზე დასავლეთის ეკვტრისა დადიანები და სხვა დიდებულები არიან დახატულნი, მაგრამ თავები აღარც ერთს არ შერჩენიათ, მარტო ტანები მოჩანს. აქ შუაში ნახევარ სვეტზედ წარწერა ყოფილა, თავი გაფუჭებულია და ქვემოთ ასომთავრულით იკითხება: „და: ესე ჭილაძემა აბრამი. მერმე მე ჭყონდიდელ-მან ზოსიმე კ ოპა-ლაძემან დავახატვი-ნე ესე, ამინ“.

ამ წერილის მიხედვით პირველი დამხატავი სეფიეთის ტაძრისა ეკვტრითურთ ყოფილა აბრამი ჭილაძე. შემდეგ მეორეთ დაუხატვინებია ზოსიმე კოპალაძეს. მარჯვნივ და მარცხნივ ამ წარწერისა ოთხ-ოთხი დიდებულთ სურათებია, ყველა უთაოთ, მაგრამ მდიდრულ და საყურადღებო ტანისამოსებში. ერთის გარშემო მოჩანს ასოები, შეიძლება ნიშნავდეს: „დადიანი ლიპარ“. მეორეზე მარჯვნივ მოჩანს ასოები. უნდა ნიშნავდეს: „თოფურიძე დავით“. თოფურიძენი არიან კიდევ დახატული ეკვტერში დასავლეთის კარის მარცხნივ. ერთ ამგვარ სურათზედ ჩვენ ამოვიკითხეთ. უნდა ნიშნავდეს: „მამუზბედი (ანუ მამისბედი) თოფურია“. ეს თოფურია მაღალის ტყავის ქუდით არის დახატული. დასავლეთის კარის ზემოთ რგოლში წელს-ზევითი სურათია მეფურის ტანისამოსით და აქეთ-იქით დიდებულები არიან. წარწერები არ იკითხება. კარის მარჯვნივ ქვემოთ კიდევ რამოდენიმე დიდებულის სურათია გაფუჭებული. ერთზე ჩვენ ძლივს გავარჩიეთ წარწერა – ელაჭიში ოჩიგავა. ეს გვარი რომ გაიგონა სეფიეთის მნათემ, რომელიც ჩემთან იყო, გაუკვირდა და მკითხა: საიდან შეიტყვეთ ეს გვარიო? მე ვუთხარი, აი აქ მხატვრობაზე ამოვიკითხე მეთქი. და მერმე დაუმატა: „დიდება შენს სახელს ღმერთო, რომ სიმართლეს არ დაკარგავო!“ მე ვკითხე, რა სიმართლეს ეძებ მეთქი. და მან ასე მიამბო: მე ოჩიგავა ვარო, წინეთ ჩვენი გვარის კაცები ყოფილან აქ დიდებულები და ესენი ყოფილან სულ აქ დახატულები, მაგრამ შემდეგ გაძლიერებულან თოფურიძენი, ჩვენი გვარის კაცების სურათები წაუშლიათ და თავიანთი დაუხატავთო. ეს გადმოცემით მთელმა სოფელმა იცის, მაგრამ ნაშთი არავის შეუმჩნევია დღემდის. მეორე სურათზე აქ მოჩანს ასოები. დიდებულების სამი სურათი ყოფილა კიდევ ეკვტერის ჩრდილოეთ კედელზე, მაგრამ ეხლა სულ გაფუჭებულია. სხვა საეკლესიო სურათებთა შორის ეკვტერში ემჩნევა კიდევ ფრესკები: წ ჲ გიორგი“ (დასავლეთის კარის მარცხნივ) და ერთი მესვეტე. ეკლესიის კარის ზემოთ: დედა ღვთისა ჩვილედი ოთხი ანგელოზითურთ, ქვემოთ წ ჲ გიორგი ცხენით, მარჯვნივ ორი წმიდანი კიდევ, ერთი მათგანი ხმლით ხელში.

საკურთხეველის ცაში ეკლესიისა დახატულია მაცხოვარი წარწერით I C X C და გაშლილი სახარებით ხელში, რომელზედაც იკითხება: „მე ვარ: ნთლი: სფლსა“, მაცხოვრის მარცხნივ ღვთის-მშობელია დახატული წარწერით და მთავარანგელოზი. მარჯვნივ იოანე ნათლის მცემელი და მთავარანგელოზი. ფრთოსან მთავარანგელოზნებს აქვთ ხელში წარწერებით. ამათ ცოტა ქვემოთ ქერაბინებია. ქვემოთ საკურთხევლის კედელზე ქვის აშია უვლის, რომლის ქვეშ ასომთავრულით სწერია: „[აღმოსავლეთიდან] ვიდრე დასავლეთამდე ქებულ არს სახელი უფლისა, რომელსა ნებავს ცხოვრება“. ამას ქვემოთ მთელი რიგია იესო ქრისტეს მოწაფეებისა, შუაში პეტრე და პავლე და აქეთ-იქით დანარჩენი ათი მოწაფენი. ამათ ქვემოთ დიდი ნიშანია ამოვსებული, რომელიც წინეთ ფანჯარათ ყოფილა და ამ ნიშში დახატულია ხელებ აშვერილი წმიდა ნინო წარწერით; მხატვრობა ულამაზოა, მაგრამ ეს ერთად ერთი მაგალითია ჯერ-ჯერობით ცნობილი წმიდა ნინოს სურათისა ეკლესიის კედელზე დასავლეთ საქართველოში. მარჯვნივ და მარცხნივ წმიდა ნინოისა დახატულია მთელი რიგი წმიდათა ეკლესიის მამათა: წ ჲ გრგ ლ, წ ჲ ი ე: ოქროპირი: წ ჲ ბ სლი და სხვ. ამათ ეტრატები აქვთ ხელში ხუცურის წარწერებით. თვით ეკლესიაში, შუატანში, ჩრდილოეთის თაღის ნაწილზე შემდეგი სურათებია: ფერის ცვალება, ამაღლება, ჯვარცმა. სამხრეთის თაღის ნაწილზე: ნათლის-ღება, მირქმა სვიმეონისი, შობა. თაღებზე დასავლეთისკენ: იოვაკე და ანა, კოზმან და დამიანე, წ ჲ ეკატერინე, წ ჲ ბალბალე. ანას სურათის ზემოთ წითლური ასომთავრულით აწერია: „წმიდაჲ გიორგი, შეიწყალე იოანეს სული ცაგარლისშვილისა“.

პირები – ჭყონდიდელი ევდემონ კოპალაძე (დაახლ. XVII ს.), აქაური აზნაურები და თავადები: ჭილაძეები, ოჩიგავები, თოფურიები, ასევე ერთადერთი ფრესკაა აქ წმ. ნინოსი მთელს დასავლეთ საქართველოში.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, აქვე აღმოჩენილია V საუკუნის წმ. სტეფანეს ეკლესიის წარწერიანი ქვა; ვფიქრობთ, სეფიეთის ეკლესია მრავალჯერ უნდა იყოს გადაკეთებული, უფრო ზუსტად ალბათ XVII საუკუნეში, მაგრამ თავდაპირველი ეკლესია აქ შესაძლოა IX საუკუნისა იყოს.

სოფელი სეფიეთი იხსენიება 1806 წლის საბუთებში, რომელიც წარმოადგენს ბესარიონ ჭყონდიდელის განჩინებას ფაღავების მამულის საქმეზე, სადაც მიდის დავა სეფიეთის მამულის საქმეზე ჭყონდიდელსა და ფაღავებს შორის, რამდენადაც ჭყონდიდელის თქმით, ეს მამული ყოველთვის ჭყონდიდის საკუთრებაში ყოფილა. ეს დოკუმენტი ჩვენ ზემოთ ჭყონდიდის მონასტერთან დაკავშირებით სრულად წარმოვადგენთ[1].

სხვა სურათებიც ბევრია, მაგრამ გაფუჭებულები, წაბღალული წარწერებით.

ჩრდილოეთის კედელთან ეკლესიაში დიდი ქვა არის სასაფლაოსი უშნო ასომთავრული წარწერით, მაგრამ წარწერა ისე გაფუჭებულია, რომ ამოკითხვა მთელი აზრისა შეუძლებელია. განირჩევა მხოლოდ ცალკე ასოები. ასეთივე გაფუჭებული წარწერიანი ქვა ემჩნევა კიდევ გარედან დასავლეთის ეკვტრის ჩრდილოეთის კედელზე. ეკლესია გარედან და ზოგ ადგილას შიგნითაც შეთეთრებულია კირით.

იშვიათია ჩვენში ძველი ეკლესია, რომელიც ასე ღარიბი იყოს ძველი ხატებით, როგორც სეფიეთი. აქ დაცულია მხოლოდ:

1. მთავარანგელოზის ხატი ვერცხლისა, 20,4×20 სანტიმეტრი, ყოვლად უშნო ხელობისა. ანგელოზი ფრთოსანია, მოოქროვილი, ცალ მხარეზე ჯვარი აქვს, ცალ მხარეზე მახვილი. ხატს ამკობს ოთხი ქვა. როგორც თვით ხელობა უშნოა, ისეთივე გასაოცარი უშნო მხედრული წარწერა აქვს მარცხნივ აშიაზე:

   1) ქ:. თაიმ ზის (ამ სიტყვის ნაწილებს შორის ასეა დედანზე დატოვებული ადგილი და არც წაბღალული ასოები ემჩნევა) და:. ოთიას:. და:. ოტიასა

   2) მომჭედია:. თარაგლის (სიც) ხატი: ჯვარ

   3) თ:. წყალე ამინ.

   ვგონებ ეს წარწერა ასე უნდა გავიგოთ:

   „თაიმზის (შეიძლება იყოს თაიმურაზის) და ოთიას და ოტიასა მომიჭედია მთავარანგელოზის ხატი. ჯვართ შეიწყალე, ამინ“.

2. პატარა ხატი წმიდა გიორგისა, წამლით ნახატი და ხუცურის წარწერით: „წ ჲ გიორგი“. წმიდანი ცხენზე მჯდომარე, ვეშაპს გმირავს. მარცხნივ მხედრული წარწერა აქვს:

   „შემოვსწირე მთავარანგელოზის ეკლესიას აზნაურმან როსტომის ძემა იოვანე თოფურიამან სადღეგრძელოთ ჩემდა ჩემის ძირის ეკლესიას წელსა ჩემი ღვინობისთვის იე“ (ექვ. თაყაიშვილი, არხეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნანი, წიგნი მეორე, ტფილისი 1914, გვ. 33-38).

[1] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. VI, თბ., 1977, გვ. 3977, გვ. 368-370. ტექსტი გამოსცა და შენიშვნები დაურთო პროფესორმა ი. დოლიძემ.

სოფელი ონტოფო

1. წმ. ბარბარეს სახელობის ნაეკლესიარი

სოფელ ბარბარეკარში, მდინარე ნოღელას მარჯვენა მხარეს იდგა წმინდა ბარბარეს სახელობის ხის ეკლესია, ბოლო მღვდელი იყო ბესარიონ ნადარეიშვილი. ის მოხსენიებულია გაზეთ „ცნობის ფურცელში“ [1]. ონტოფოს წმინდა ბარბარეს (ბარბარეკარის) ეკლესიის ხატის წარწერა ამოუკითხავს ექვთიმე თაყაიშვილს [2], რომელიც თარიღდება 1762 წლით და ეკუთვნის 1762 წელს ბარბარეკარის ეკლესიის მღვდლელს იოანე ნადარეიშვილს.

სოფელი ონტოფუ ისტორიულ წყაროებში მოხსენიებულია 1838 წლის წყალობის წიგნში[3].

2. დოხორე კარის ღვთისმშობლის სახელობის ნაეკლესიარი

სოფლის ძველ სასაფლაოსთან დოხორე კარად წოდებულ ადგილას იდგა ღვთისმშობლის სახელობის ხის ეკლესია. ბოლო მღვდელი იყო ერმილე ჟვანია. მამას ერქვა მამანტი. ჟვანიები აზნაურები ყოფილან.

ადგილობრივთა გადმოცემით, დოხორე კარში იყო დადიანთა საზაფხულო რეზიდენცია.

დოხორე კარის უბანში უცხოვრია გრიგოლ ბერს (ბატა ნადარეიშვილს). ის 1912 წელს ყოფილა ათენში, საიდანაც სენაკის დედათა მონასტრისათვის გამოუგზავნია რაღაც ხატი. ის აქ გარდაცვლილა 1945 წელს.

---

[1] ...ოტაცება. 17 ამ იანვარს ღამით აქ მოიტაცეს შესანიშნავი ...ბესარიონ ნადირაშვილის ასული. გაზ. „ცნობის ფურცელი“, №935, 1898.

[2] „„სოფელი ონტოფო მდებარეობს რვა ვერსზედ სადგურ აბაშიდან. წმინდა ბარბარეს ეკლესია აქ ახალია. ხატი წმინდა ბარბარესი ამ ეკლესიისა ვერცხლის არის, 28×20 სანტიმეტრი, ქართულის ხელობისა, შემკობილია ხუთის ლალით, ზემოთ ხუცურად აწერია: „წ ა ბარბარა“. ქვემოთ მხედრულად: „ქ. ეს წმინდა ბარბარეს ხატი შევამკევით ონტოფელმა დეკანოზის იოვანემ ნადარეის(შ)ვილმ(ა) ჩვენი სულის საოხად ქკნს 1762“ (ექვთ. თაყაიშვილი, არხეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნანი, ტფ. 1914, გვ. 33.

[3] საქართველოს სიძველენი, ტ. I, თბ., 1920, ექვთ. თაყაიშვილის რედაქტორობით, გვ. 42-50 (ეს დოკუმენტი სრულად იხ. ზემოთ.

3. კუპრეიშვილების სალოცავი

კუპრეიშვილების უბანში არის ადგილი „ნაოხვამუ“. იქ იდგა დიდი მუხა სადაც შესაწირავები დაყავდათ.

4. ნადარეიშვილების უბნის ნაოხვამუ – ნაეკლესიარი

ნადარეიშვილების უბანში არის ადგილი „ნაოხვამუ“ სადაც იდგა ხის ეკლესია, იქ ძველად სასაფლაოებიც ყოფილა.

სოფელი მაიდანი

1. წმ. გიორგის სახელობის ეკლესია

მდ. ცხენისწყლის მარჯვენა სანაპიროსთან ახლოს დგას წმინდა გიორგის სახელობის ქვის ეკლესია. ადგილობრივთა გადმოცემით, ის თითქოს XII საუკუნეში აუგიათ. ბოლო მღვდელი იყო სვიმონ მიქაძე სოფ. ქოლობნიდან. აქ ყოფილა მონაზვნად ნინო ლოჩიშვილი (ლიფადორე) და კიდევ ორნი – ფესუნა და მეორე გვარად მიქაძე.

2. წმ. ელია წინასწარმეტყველის თეზმიტელის სახელობის ახალი ეკლესია

სოფელ მაიდანში ცენტრალურ გზასთან დგას წმ. ელია წინასწარმეტყველის თეზმიტელის სახელობის ახალი ეკლესია. აქ 6 აგვისტოს ტარდება ელიობის დღესასწაული.

-

3. ნაგებობის ნაშთი

სოფელ მაიდანში მდინარე ცხენისწყლის მარჯვენა სანაპიროსთან გაშლილ ველზე არის რიყის ქვის კირის დუღაბზე ამოყვანილი ნაგებობა, რომლის შიგნით ქვევრებია ჩაშენებული. შენობა სიმაღლეში დაახოებით 1,5, ზოგან 2 მეტრამდეც აღწევს. ეს ნაგებობა სავარაუდოდ იყო მარანი, შესაძლოა აქ იყო დადიანთა სასახლეც. დღეს სხვა ნაგებობის ნაშთები არ ჩანს.

სოფელი სამიქავო

წმ. გიორგის სახელობის ნაეკლესიარი და სამრეკლო

სოფელი სამიქაოს ცენტრთან მდებარე სასაფლაოში დგას რიყის ქვისგან კირის დუღაბზე ნაშენი მაღალი ორსართულიანი ოთხკუთხედი ფორმის სამრეკლო, კუთხეები შეკრულია კარგად ნათალი დიდი ქვებით. ის კოშკის შთაბეჭდილებას ტოვებს, გუმბათი არ აქვს, შესაძლოა ჩამონგრეულია, ნაშთები არ ჩანს. შესაძლოა უგუმბათოც ყოფილიყო. უკან აქვს ქვის ასასვლელი კიბეები. შესაძლოა ის XVI-XVII საუკუნეების ნაგებობა იყოს. აქვე იდგა წმინდა გიორგის სახელობის ხის ეკლესია. ბოლო მღვდელი იყო ვასილ ბოკერია.

სამიქაოს შესახებ ჩვენ ცნობებს ვპოულობთ XIX საუკუნის ქართულ პრესაში[1], საიდანაც ჩანს, რომ 1989 წელს აქ მღვდლად ყოფილა თომა კარანაძე.

---

[1] გაზ. კვალი, 28, 1899

სოფ. სამიქაო. სამიქაო მდებარეობს დ. ხონის პირდაპირ დასავლეთით, მდ. ცხენის წყლის მარჯვენა ნაპირზე, სწორეთ იქ, სადაც არის საზღვარი იმერეთისა და სამეგრელოს შუა (ქუთაისისა და სენაკის მაზრა). ამიტომ ამ სოფლის ერთი ნაწილი ეკუთვნის ქუთაისის მაზრას და მერე სენაკისას, პირველები თავის თავს იმერლებათ უწოდებენ და მეორენი კი – მეგრელებათ (ოდიშლებათ). აქ ორი სკოლაა: სამინისტრო და სამრევლო. პირველი ეკუთვნის იმერლებს და მეორე კი ოდიშლებს, ეს სკოლები, რომლებშიაც მოსწავლეთა რიცხვი 100-120 ადის, ერთმანეთზე დაშორებულია სულ რამდენისამე საჟენით.

გაზ. დროება, №440, 1874, „დროების“ კორესპონდენცია., ს. სამიქაო, 25 აგვისტოს.

სოფ. სამიქაო, რომელშიაც. – როგორც აჩვენებს თვით ეს სახელი, უმეტეს ნაწილად მიქამეები ცხოვრობენ, – მდებარეობს ცხენის წყლის მარჯვნით, სოფ. ბანძის მახლობლად. წარსულ თვეში ერთი აქაური ეკლესია გაუტეხიათ. მღვდელი ეკკლესიის მახლობლად ცხოვრობს. ვახშმობის დრო იყო, მღვდელმა, როგორც ამბობდა თვითონვე, საყდარში ანთებული სანთელი შენიშნა, მიირბინა სამრეკლოსთან და რეკა დაიწყო; გახშირებულმა ზარის ხმამ ხალხი ჩქარა მოაგროვა, მაგრამ ქურდს ვერ მიუსწრეს. ნახეს, რომ მოპარული ბევრი არაფერი იყო, ფულებიანი კრუშკა და ზოგიერთი საეკელესიო ნივთები კარებთან დაყრილი დახვდათ.

ზოგიერთ ეკკლესიებს დამ-დამ სოფლელები უყარაულებენ ხომე რიგ-რიგათ, კი ეს არ ყოფილა, მაშინ როდესაც აქ მღვდელმა გატეხა და ქურდებს დააბრალაო.

თეოფ. კანდელაკი, სამიქაო (სამეგრელო).

აქ არსებობს ორი სასწავლებელი: ერთი სამრევლო და მეორე საზოგადოების მიერ დაარსებული ერთ-კლასიანი სასწავლებელი.

იმედია მამა მღ. თ. კარანაძე, როგორც ამ სოფლის მოთავე და კეთილმოღვაწე, ამასაც ითავებს და დაარსებს სასწავლებლებთან სამკითხველოს.

გაზ. ცნობის ფურცელი, №588, 1898, ევგენი ჩიჯავაძე, ს. სამიქავო (სამეგრელო). მდებარეობა.

ს. სამიქავო გაშენებულია მდ. ცხენის წყლის მარჯვენა ნაპირზე.

სოფელი გულუხეთი

წმ. გიორგის სახელობის ახალი ეკლესია და ნაეკლესიარი

სოფლის სასაფლაოსთან დგას წმინდა გიორგის სახელობის ახალი ეკლესია. ადრე იქ იდგა იმავე სახელობის ხის ეკლესია. ბოლო მღვდელი იყო ერმილაოზ გიგინეიშვილი. ეს ეკლესია 1870 წლის სტატისტიკური აღწერილობის მასალებშიც არის მოხსენიებული.

სოფელი კაპანა

წმ. ბარბარეს სახელობის ნაეკლესიარი

ბოკუჩავების უბანში სოფლის სასაფლაოსთან იდგა წმინდა ბარბარეს სახელობის ხის ეკლესია. ბოლო მღვდელი იყო ამბაქო თოფურია (დიაკვანი).

ეკკლესიათგან აქვთ შესანიშნავად მაღალი ქვითკირის სამრეკლო, რომელსაც მოგზაური განცვიფრებაში მოჰყავს; მასთან გაშლილი დიდი მინდორი, სადაც წელიწადში ერთხელ (ახალ კვირას) იმართება შესანიშნავი ჯარიანობა.

აქ არსებობს ორი სასწავლებელი. სასოფლო სასწავლებელი დააარსა ამ სოფლის საზოგადოებამ 1894-95 წლებში. სამრევლო სასწავლებელი კარგა ხანია დაარსებულია მამა მღ. თომა კარანაძის მიერ. საზოგადოდ მამა მღ. თ. კ-აძე დაუცხრომლად მოღვაწეობს, რომ სწავლა განათლებას გზა უჩვენოს, როგორც თავის მრევლში, აგრეთვე მთელს საზოგადოებაში.

სოფელი მარანი

1. წმ. გიორგის სახელობის ნაეკლესიარი და ახალი ეკლესია

მდინარე ცხენისწყლის მარჯვენა სანაპიროსთან იდგა წმინდა გიორგის სახელობის ხის ეკლესია. დღეს დგას იმავე სახელობის ახალი ეკლესია.

2. მთავარანგელოზთა სახელობის ნაეკლესიარი და ახალი ჯვართამაღლების სახელობის ეკლესია

ზემოთ ნახსენები წმინდა გიორგის ეკლესიიდან დაახლოებით ერთ კილომეტრში ჩრდილო-დასავლეთით დგას ჯვართამაღლების სახელობის ახალი ეკლესია. ადრე იქ იდგა მთავარანგელოზთა სახელობის ხის ეკლესია. ბოლო მღვდელი იყო ბესარიონ მელაძე.

სოფელი გუგუნაყათი

წმ. გიორგის სახელობის ნაეკლესიარი

სოფელი გუგუნაყათში (ქოლობნის თემის) სოფლის სასაფლაოსთან იდგა წმინდა გიორგის სახელობის ხის ეკლესია, ის 1870 წელსაც მდგარა. მღდელი აქ იყო გვაზავა. ასევე ფილიპე მაჭავარიანი.

სოფელი პატარა გეზათი

მარიამ ღვთისმშობლის სახელობის ნაეკლესიარი

სასაფლაოსთან იდგა მარიამ ღვთისმშობლის სახელობის ხის ეკლესია. აქ აპირებენ ახალი, იმავე სახელობის ეკლესიის აშენებას.

სოფელი დიდი გეზათი

1. თევდორე ტირონის სახელობის ნაეკლესიარი

სოფელ დიდ გეზათში იდგა თევდორე ტირონის სახელობის ხის ეკლესია.

2. საქაჯაიოს მაცხოვრის სახელობის ნაეკლესიარი

სოფელ ქოლობნის ძველ ცენტრთან, მდინარე ცხენისწყლის მაჯვენა სანაპიროსთან იდგა მაცხოვრის სახელობის ხის ეკლესია, რომელიც 1914 წელს წყალდიდობას შეეწირა. იქ მღვდელი იყო ფარნა მიქაძე. დღეს შემორჩენილია საძირკვლის ნაშთები.

ადგილობრივთა გადმოცემით, ძველად ზემოთ წარმოდგენილი სოფლები – ქოლობანი, გეზათი, გუგუნაყათი სოფელ კაპანამდე საჭილაო მდებარეობდა ცხენისწყლის გადაღმა (100-150 წლის წინ) .

სოფელი ნაოხაში

საცომაიოს მაცხოვრის სახელობის ნაეკლესიარი

საცომაიოში, სასაფლაოსთან იდგა მაცხოვრის სახელობის ხის ეკლესია.

სოფელი საჭილავო (პირველი მაისი)

1. ნამწარეულის – წმ. გიორგის სახელობის ნაელესიარი

მდინარე ცხენისწყლის მარჯვენა სანაპიროსთან „ნამწარეულად“ წოდებულ სასაფლაოსთან იდგა წმინდა გიორგის სახელობის ხის ეკლესია. ბოლო მღვდელი ყოფილა მამფორია, დიაკვანი ანტონ ხონელიძე. ასევ უფრო ადრე აქ მღვდელი იყო ნემსაძე. დღეს აქ შემორჩენილია ეკლესიის გუმბათის მოჩუქურთმებული ქვა და ჯვარი,

რომელსაც ვაზის ფორმა აქვს. კარგად ჩანს ეკლესიის საძირკველი. სახელწოდება „ნამწარეული“, ადგილობრივთა გადმოცემით, დაერქვა იმიტომ, რომ აქ ერთ ქალს ერთადერთი შვილი მოკვდომია და სასაფლაოც ამ მიცვალებულით გახსნილა. ეს ეკლესია 1870 წელს უკვე მდგარა, თუმცა ეს ეკლესია გადმოუტანიათ სოფელ ორპირიდან მდ. რიონის შიშით[1].

---

[1] გაზ. ცნობის ფურცელი, №382, 1897, ონიფანტე (ზღვაოსანი), ს. საჭილავო (სამეგრელო). ეკკლესიის გადატანა თვითნებობით.

დაბა ორპირი, გაუქმების შემდეგ როცა რკინის გზამ განზე დასტოვა იგი, აქ დარჩა ეკკლესია, რომელიც დღემდის არსებობდა თვისი კრებულით და მცირე მრევლით. 1895 წლის წყალდიდობის გამო მდ. რიონი დაუახლოვდა ხსენებულ ეკკლესიის შენობას და ამისა გამო იგი საშიშ მდგომარეობაში იყო. ეკკლესია უნდა გადაეტანათ უშიშარს ალაგას არა მოშორებით ორპირისა, რათა მრევლი არ დარჩენილიყო წირვა ლოცვას მოკლებული. უახლოესი ადგილი იყო ს. ნაჩხეტაური. მაგრამ ნაჩხეტაურს გამოუჩდნენ მეტოტეები დაბა სამტრედია და ს. ნამწერაული. პირველს ის ჰქონდა საფუძვლად, რომ ყოველივე დაშთენილობა გაუქმებულის დაბა ორპირისა მე მაქვს მიღებული და ეს ეკლესიაც მე მეკუთვნისო, როგორც პირმშო მემკვიდრესო, ხოლო მეორე ს. ნამწერაული იმით საფუძვლობდა, რომ ყოველიფერს საშოვარს თავისი დრო აქვსო და ეს დროც ეხლა დაგვიდგაო.

აღიძრა კითხვა უწმინდესის სინოდის კანტორაში და როდესაც სრული გარემოება შეკრიბა კანტორამ დაადგინა ეკკლესია წინდაწინ შეამოწმოს არხიტეკტორმა და თუ სცნოს გადატანა აუცილებელ საჭიროთ, მაშინ გადატანილ იქმნას ს. ნაჩხეტაურშიო რაიცა აცნობა გურია სამეგრელოს ეპისკოპოსს სისრულეში მოსაყვანათ მარტის თვეში ამ წლისა. მღვდელ მთავარმა საგუბერნიო მმართველობიდან გამოითხოვა არხიტექტორი და ამ თვის დამლევს ადგილობრივმა ბლაღოჩინმა და სამმა პირმა სოფ. ნამწერაულისამ ორპირის ეკკლესიის შენობა დაშალეს და წაიღეს ს. ნამწერაულში, რომელიც ორპირიდან 21/2 ვერსით მოშორებულია, ხოლო ს. ნაჩხეტაური 1/2 ვერსზედაა, სადაც უწმინდესმა სინოდმა სცნო კანონიერათ გადატანა ეკლესიისა. ეხლა ხალხს ძალიან უკვირს ეს გარემოება და არ იციან რას მიაწერონ ესეთი საქციელი.

გაზ. ივერია, №30, 1892 ვ. მასხულია, სოფ. საჭილავო.

სოფელი საჭილავო იმყოფება სენაკის მაზრაში, სამეგრელოს განაპირას, მდინარე ცხენის წყალის ორსავე ნაპირას, და ამის გამო ეს სოფელი ორ საზოგადოებად არის გაყოფილი. მარნის საზოგადოება დასავლეთისკენ და ილორისა აღმოსავლეთისკენ.

სამრევლო სკოლაში მღვდლები თვითონ ასწავლიდნენ ბავშვებს და სწავლა მართლა რიგიანად მიჰყავდათ, მაგრამ გამოუცდელსა და უსწავლებს დიაკვნებს აქვთ ხელჩი ჩაგდებული.

გაზ. ცნობის ფურცელი, №1840, 1902, მიხაკო საჭილავო (სენაკის მაზრა).

ჩვენს სოფელში არსებობს ერთად-ერთი სამრევლო საეკკლესიო სკოლა, რომელიც ერთობ ცუდს მდგომარეობაშია. ექვსი-შვიდი წელიწადია, რაც არსებობს და ამ მცირე ხნის განმავლობაში სასწავლებელმა თხუთმეტამდე მასწავლებელი გამოიცვალა და რა მიზეზია, ღმერთმა უწყის. წელსაც ახალი მასწავლებელი დაგვინიშნეს, მაგრამ არ გაუვლია სამ-ოთხ თვეს, რომ ამ ახალმა მასწავლებელმაც გუდა-ნაბადი აიკიდა.

ამბობენ, მასწავლებლად ჰნიშნავენ ნინა ბალანჩივაძეს. საზოგადოება მოუთმენლად მოელის მის დანიშვნას.

გაზ. ცნობის ფურცელი, №1691, 1902, ს. საჭილავო. (სენაკის მაზრა).

2. წმ. გიორგის სახელობის ახალი ეკლესია და ნაეკლესიარი

ნამწარეულის სასაფლაოდან სამხრეთით, დაახლოებით ერთი კილომეტრში მდ. ჩხენის-წყლის მარჯვენა სანაპიროსთან დგას წმ. ი-ორგის სახელობის ახალი დარბაზული ეკ-ლესია.

სოფელი გაუწყინარი

წმ. გიორგის სახელობის ნაეკლესიარი

მდინარე ცხენისწყლის მარჯვენა სანაპიროსთან მდებარე სასაფლაოსთან იდგა წმ. გიორგის სახელობის ხის ეკლესია. აქ მღვდელი იყო სვიმონ ჩარგეიშვილი, ხოლო ბოლო მღვდელი მისი შვილი რაჟდენ ჩარგეიშვილი.

სოფელი ქვიშანჭალა

წმ. გიორგის სახელობის ნაეკლესიარი და ახალი ეკლესია

სოფელ ქვიშანჭალის სასაფლაოსთან იდგა წმ. გიორგის სახელობის ქვის ეკლესია. ვიშანჭალა შედიოდა ილორის თემში და სუჯუნის ოლქში. ბოლო მღვდელი აქ ყოფილა გრიგოლია. დღეს აქ დგას ახალი იმავე სახელობის ეკლესია.

ფრიად საჭირო და სასურველ საგანს ჩვენის საზოგადოებისათვის შეადგენდა საქალებო სასწავლებელი და ექიმი. ამ სამოსწავლო წლის დაწყებიდან ადგილობრივი ბლაღოჩინის მამა ვლადიმერ ელიავას მეცადინეობით ვეღირსეთ საქალებო სამრევლო სასწავლებელს და მოგვცა საშუალება ჩვენს ქალიშვილებს წერა-კითხვა მაინც ვასწავლოთ.

სოფელი თხმელარი

ნაეკლესიარი

სოფლის სასაფლაოსთან იდგა ხის ეკლესია. ბოლო მღვდელი იყო ილარიონ გუნია სოფელ ეკიდან.

სოფელი ნაფაცხევი

ნაეკლესიარი

სოფელ ნაფაცხევში იდგა ხის ეკლესია. დღეს იქ მოსახლეობა არ არის.

სოფელი ტყვირი

მაცხოვრის სახელობის მონასტერი

სოფელი ტყვირი დღეს დაუსახლებელია მდ. რიონის ხშირი ადიდების გამო. აქ დგას ტყვირის მაცხოვრის სახელობის გუმბათიანი ეკლესია. სამეცნიერო ლიტერატურაში ტყვირის მონასტერზე ბევრი არ დაწერილა, თუმცა ექვთიმე თაყაიშვილმა დაგვიტოვა მისი სიძველეებისა და წარწერების შესახებ საკმაოდ დეტალური ინფორმაცია[1]. ის XIV-XV საუკუნეებში აუშენებიათ თავად ჭილაძეებს.

---

[1] „სოფელი ტყვირი მდებარეობს რიონის პირად ვაკეზე, შვიდ ვერის მანძილზე სადგურ აბაშიდან. ეკლესია ტყვირისა პატარაა, მაგრამ ლამაზი, გუმბათიანი, ნაშენია ქვით და აგურით, გეგმა მისი ოთხკუთხედია ჯვარის სახედ. სიგრე განი ეკლესიისა არ აღემატება 14 ადლს. შესავალი აქვს დასავლეთით და სამხრეთით. ფანჯრები სამი აქვს: თითო აღმოსავლეთით, დასავლეთით და ჩრდილოეთით. მომრგვალო გუმბათში რვა პატარ-პატარა ფანჯარაა, ჩარჩოები ფანჯრებისა ხისაა ძველებური. ეკლესიის გუმბათი დახურულია ტყვიის ფურცლებით, ფრთები და ეკვტრები ყავრით. ამბობენ სახელ-წოდება ტყვირი იმიტომ დაერქვა სოფელს, რომ ეს ეკლესია ძველათ მთლად იყო დახურული ტყვიითაო, მაგრამ ეს საეჭვოა. ჩვენ ქვემოთ წარწერიდან დავინახავთ, რომ სახელი სოფლისა იმ დროსაც, როდესაც ეკლესიას აშენებდნენ, ტყვირი ყოფილა. ამ პატარა ეკლესიას მიშენებული აქვს ორი საკმაოდ მოზდილი ეკვტერი, ერთი დასავლეთის მხრით და მეორე ჩრდილოეთის. ორივე ეკვტერი მიშენებულია მე-XVII საუკუნეში, თვით ეკლესიის აღშენება კი, ჩვენის აზრით, ეკუთვნის მეთოთხმეტე საუკუნის დასასრულს ან მე-XV დასაწყისს. შიგნით და გარეთ ეხლა შელესილი და შეთეთრებულია კირით და თავის პირვანდელი სახე დაუკარგავს. გარეთ ჩუქურთმა ეტყობა ეხლა მხოლოდ სამხრეთის და დასავლეთის კარების ირგვლივ და აგრეთვე დასავლეთის კედელში. დასავლეთის ფანჯარა, რომელიც ეხლა დახშულია ეკვტრის მიშენების გამო, ჩუქურთმიანი ყოფილა, ფანჯრის ქვემოთ

ლომის ქანდაკება მოჩანს და ხუთი სხვა ჩუქურთმიანი ქვა. კარის მარცხნივ დახშული ჩუქურთმიანი კამარა (არკა) არის, თაღს ქვემოთ ჩუქურთმიანი ჯვარია. ჩუქურთმიანი ქვები მოიპოვება აგრეთვე დასავლეთის კარის მარცხნივაც.

წინეთ ეკლესიის კედლები შიგნით სულ მოხატული ყოფილა, მაგრამ შელესვის და შეთეთრების შემდეგ თითქმის აღარაფერი დარჩენილა. ეხლა მხატვრობა ეტყობა მხოლოდ გუმბათში. გუმბათის ცაში ჯვარია დახატული რგოლში, რგოლი უჭირავთ ხელში ანგელოზებს. ქვემოთ ფანჯრებს შუა კიდევ მოჩანან წინასწარმეტყველები. ჩრდილოეთის მხარეს შევნიშნეთ თავები ორმოცთა მოწამეთა ხუცური ასო-მთავრული წარწერით: „[მოწა]მენი ორმეოცნი“. სამხრეთისკენ მოჩანს ნახევრად შენახული ჯვარცმა. დასავლეთის ეკვტერში დახატული ყოფილა მეორედ მოსვლა. კარგად მოჩანან ანგელოზნები საყვირებით და წარწერით: „საყვირის ცემა“. ანგელოზების ქვემოთ ორივე მხრით სხედან მოციქულები. მხატვრობის წარწერები მსხვილი ასომთავრულით ყოფილა. კანკელი სულ უბრალოა ხისა, ტრაპეზი ქვისა, აღმოსავლეთის კედელზე მიდგმული. ჩრდილოეთის ეკვტერი დაზიანებულია.

როგორც კედლების ისე ხატების წარწერები ტყვირის ეკლესიისა ძრიელ საყურადღებონი არიან ჩვენთვის. ამ წარწერებიდან ჩანს, რომ ტყვირის ეკლესია აშენებული ყოფილა ჭილაძეების მიერ და მათ სამარხავად გამხდარა. ჭილაძეები ერთ დროს მთავრები (მთავრები ისინი ალბათ ვერ გახდნენ, თუმცა ერთ-ერთი დიდი სათავადო იყო, რომლებიც ფლობდნენ ტერიტორიას მდ. ტეხურადან ცხენისწყლამდე და სამხრეთ რიონის სანახებსაც – დ. ჭ.) იყვნენ და ფლობდნენ დიდ მხარეს გურიასა და სამეგრელოს შუა. გურიაში მათი სამფლობელო საერთავომდის მდიოდა, ესე იგი მათ ეჭირათ მთელი ეხლანდელი მხარე გურიისა, რომელსაც ჰქვია საჯავახო, სამეგრელოს მხრით მათი სამფლობელო, როგორც ირკვევა ეხლა, ბანძამდის მიდიოდა. ამ საზღვრებში შედიოდა, გარდა საჯავახოისა, ორპირი, სამტრედია, ეხლანდელი საჭილაო, აბაშა და სეფიეთი. ჭილაძეები ძლიერნი იყვნენ მე-XIV და მე-XV საუკუნოებში, მაგრამ შემდეგ, მე-XV საუკუნის მეორე ნახევარში, დაკარგეს თავის სამფლობელო და დაქვეითდნენ. მე-XV საუკუნეში იმერეთის მეფის გიორგი II დროს (1548-1585) დიდათ გამოჩენილი იყო ჯავახ ჭილაძე, მაგრამ მან უღალატა გიორგი მეფეს. მეფემ შეიპყრო ის და მოჰკლა. მისი მამული ჯერ თვით გიორგიმ დაიჭირა, მაგრამ მერმე გაუყო დადიანს და გურიელს და მათ შორის საზღვრათ დაიდვა რიონი. საჯავახო ერგო გურიელს, რიონის მარჯვენა ნაპირი დადიანს. მე-XVII საუკუნეში ჭილაძეების გვარი კიდევ წარჩინებულათ ითვლებოდა და ნათესაობით შეკავშირებული იყო დადიანებთან და გურიელებთან. ხოლო შემდეგ დროში სულ დამცირდა. ეხლა მათ ყოფილ სიმდიდრეს და გვარს მოგვაგონებს ერთი კუთხის სახელი აბაშა და სამტრედიას შუა საჭილაო, და აგრეთვე აქამდე დარჩენილი შელოცვა: „ღმერთმან ისე გაგამრავლოს, როგორც ჭილაიას ჯოგიო“, ხშირათ იტყვიან სამეგრელოში.

ჭილაძეების შესახებ ძრიელ ცოტა ცნობები გვქონდა. ეხლა ტყვირის ეკლესიის წარწერები, რომელნიც ამდენხანს უცნობნი იყვნენ ჩვენს ლიტერატურაში, შუქს ფენენ ამ ერთხელ ძლიერი გვარის ისტორიას და გვამცნობენ ბევრ ახალ პირებს. ზოგიერთი მათგანის სახეები დიდებულის ტანისამოსებით გამოქანდაკებულნი არიან ხატებზე. ხატები და წარწერები გადმოვიღეთ ფოტოგრაფიულად. შედგენილია აგრეთვე გეგმაც ეკლესიისა.

სამხრეთის კარის ზემოთ დიდ ქვაზე ასომთავრულით სწერია: „სახელითა ღმრთისათა აღეშენა. მაცხოვრისა მტყუვირისა საყდრისა აღმაშენებელსა ქუველსა ჭილაძესა შეუნდვნეს ღმერთმან. ძმათა მისთა კახაბერსა და ჩუბინსა შეუნდვნეს ღმერთმან. ვინცა შენდობა ბრძანოთ, შეგინდვნეს ღმერთმან“.

ამ ეკლესიის აღმაშენებელი ქველი ჭილაძე იხსენიება ერთ სიგელში (ამ სიგელისა მარტო პირს მოუღწევია ჩვენამდის და ინახება ბროსეს ქაღალდებში პეტერბურგის აზიურ მუზეუმში († 1407). მისი ძმები კახაბერი და ჩუბინი სხვა წყაროებში არ გვხვდება. ვინაითგან გიორგი VII მეფობა ეკუთვნის მე-XIV საუკუნის დასასრულს და მე-XV დასაწყისს და ქველი ჭილაძე მის დროს ცხოვრობდა, ამიტომ ტყვირის ეკლესიის აშენებაც, ჩვენის აზრით, ამ დროს უნდა ეკუთვნოდეს. სიგელში ქველი ჭილაძე მოლარეთ-უხუცესად არის მოხსენებული. წარწერა ამ

ხარისხს არ იხსენიებს. წარწერა იმ დროს ეკუთვნის, ალბათ, როდესაც ქველ ჭილაძეს ჯერ მოლარეთ-უხუცესობა არ ჰქონია მიღებული. ამიტომ წარწერა უფრო უნდა ეკუთვნოდეს მე-XIV საუკუნის დასასრულს, ვიდრე მე-XV დასაწყისს.

ამ წარწერაში მოხსენებულნი ჭილაძეები უძველეს დროის ჭილაძეებათ უნდა ჩაითვალონ, ვინაითგან ამაზე ადრე საბუთებში ჭილაძის გვარი ცნობილი არ არის.

ტყვირის ეკლესია სასაფლაო ყოფილა ჭილაძეებისა, რაც მტკიცედ სხვა წარწერებითაც.

მარცხნივ იმავე კარისა ერთ ქვაზე მერმენდელის ასომთავრულით, ერთ სტრიქონათ სწერია: „ღმერთო, რომელი ხარ ზე(ცა)თა, შეიწყალე სული ოფესი“ (?)

აღმოსავლეთის კედელზე ასეთივე ქვაზე და ასეთივე ხელით: „ღმერთო და უფალო, რომელი ხარ ზეცათა, შეუნდვენ ოფე“ (?).

ეჭვს გარეშეა, რომ ორივე უკანასკნელი წარწერა ერთ და იმავე პირს იხსენიებს, ხოლო სახელი ამ პირისა კარგად არ იკითხება და ჩვენ საეჭვოდ დაგვიდვია.

ჩრდილოეთის ეკვდერში არის აკლდამა და ამ აკლდამას ზემოდან ხურებია დიდი ქვის ფიქალი, რომელიც აუხდიათ და გაუტეხიათ და გრეხილიანი ასომთავრული წარწერაც დაზიანებულა. ამ ქვის წარწერას ჩვენ ასე ვკითხულობთ:

ქვემოთ მხედრულათ:

„ქ:. ამის: მწერალს ც: შ ს: ღ ნ: ა ნ. და: ვინცა:. ბრძანოთ:. თქვენცა:. შ ს: ღ ნ. „მაცხო[ვარო] პირო ღმრთისაო, შეიწყალე სული ჭილაძის ბატრონის (=პატრონის) მამა ჭყონდიდელის იერემიასი ორსავე შინა ცხორებასა, ამინ. ამის მწერალსაც შეუნდოს ღმერთმან, ამინ და ვინცა [შენდობა] ბრძანო, თქვენცა შეგინდოს ღმერთმან“.

დიდი მაცხოვრის ხატი ქართული ხელობისა, ნაჭედი, ვერცხლისა, ოქროთი დაფერილი, 53,5×40 სანტიმეტრი. მაცხოვარი ზის ტახტზედ, მარცხენა ხელში აქვს სახარება, მარჯვენა ხელით ჯვარსა სწერს. წარწერა აქვს ხუცურათ: „მაცხოვარი“. ზემოთ აშიაზე შუაში ხატია მაცხოვრისა და მის მარცხნივ და მარჯვნივ დედა ღვთისა და იოანე ნათლისმცემელი. მარჯვნივ და მარცხნივ აშიებზე მთავარანგელოზნები და მათ ქვემოთ წ ა პეტრე და წ ა პავლე. ქვემო აშიაზე წ ა მათე, წ ა მარკოზ და წ ა ლუკა. მაცხოვრის წინ მარცხნივ ხატის შუა ტანზე გამოქანდაკებულია სურათი იერემია ჭყონდიდელისა. ქრისტეს თავის გარშემო სიმრგვლე („ნიმბი“) შემკობილია 10 ძვირფასი ქვით. ზურგზე, ვერცხლის ფიცარზე, მშვენიერის მსხვილის ასომთავრულით ხატს აწერია: „რომელი ესე ჭსნისათჳს ცოდვილთათვის სამარადისოდ მეოხად მდგომარე ხარ წინაშე ძისა შენისა, ღმრთის მყობელო, მცირედთა ამათგან ხრწნადთა ნივთთა მიერ სასოებითურთ შენდა მიმვედრებელსა, მამა ჭყონდიდელსა, იერემიას ჭილაძესა, მომეც თხოვათა ჩემთა პოვნა, რათა მიოხო არ დასჯად საუკუნოთა. მყოს და მფარველ მექმენ მას დღესა განკითხვისასა“.

წარწერა მიმართულია, როგორც ხედავთ ღვთის-მშობლისადმი. ხატი კი მაცხოვრის არის. ეს მომხდარა მიტომ, რომ დამწერს და გამჭედელს ხატისა აუღია უცვლელათ მისგანვე გაჭედილის ხვთისმშობლის ხატის წარწერა, რომელიც ქვემოთ მოგვყავს.

ღვთის-მშობლის ხატი, დიდი, ვედრებისა, ჩვილედი, ნაჭედი, ქართულის ხელობისა, ვერცხლისა, ოქროთ დაფერილი, 58×44 სანტიმეტრი, ღვთის-მშობელი დგას, მარცხენა ხელში უჭირავს ძე-მაცხოვარი. ღვთის-მშობლის წინ დაჩოქილია მმვედრებელი ვარნოზსი ჭილაძე. ზემოთ აშიაზე სურათია მაცხოვრისა ღვთის-მშობლით და იოანე ნათლის-მცემლით, მარცხნივ და მარჯვნივ აშიებზე მთავარ ანგელოზნი, მიქელ და გაბრიელ (უკანასკნელის სახე გაფუჭებულია), მათ ქვემოთ პეტრე და პავლე, ქვემო აშიაზე მახარობლები: მათე, მარკოზი, ლუკა. სურათებზე ასომთავრული წარწერებია სახელებისა. მეორე გვერდზე ვერცხლის ფიცარზე ბალახებიანი სურათებით შემკობილზე ასომთავრული წარწერაა იმავე ხელით,

როგორც წინა ხატზედ: „რომელი ესე ჴსნისათჳს ცოდვილთათაჲსა სამარადისოდ მეოხად მდგომარე ხარ წინაშე ძისა შენისა, ღმრთისა მყობელო, მცირედთა ამათგან ხრწნადთა ნივთთა მიერ სასოებითურთ შენდა მიმვედრებელსა, ვარნოზსი ჭილაძესა, ძესა ჩემსა ხოსროსი მომეც თხოვათა ჩემთა პოვნაჲ, რაჲთა მიოხო არ დასჯაჲ საუკუნოთა. მეოხი და მფარველ მექმენი მას დღესა განკითხვისასა“.

ამ ხატის გაჭედაც და წარწერაც იმავე მე-XVII საუკუნის მეორე ნახევარს ეკუთვნის, როგორც წინა ხატისა. ეს ერემია ჭილაძის ხატი ეჭვს გარეშე ერთი და იმავე ოქრომჭედლის ნახელავია თავის სტილით. წარწერაც სრულიად ერთგვარია პალეოგრაფიულის მხრით და ფრაზების შინაარსით, ხოლო განირჩევა გრამატიკული ფორმებით, რომელიც უკანასკნელ წარწერაში უფრო ძველია, მაგალითად: ცოდვილთათაჲსა, ღმრთისა, სასოჳებიჳურთ (აქ საოცარია უადგილოდ ნახმარი ასო ჳ ინის შემდეგ), პოვნაჲ, რაჲთა, დასჯაჲ, მეოხი და მფარველი მექმენი. პირველ წარწერაში კი გვხვდება ამათ მაგიერ: ცოდვილთასა, ღმრთის, სასოებითურთ, პოვა, რათა, დასჯად, მეოხ და მფარველ მექმენ. მაგრამ მიუხედავად ამისა ყოვლად შეუძლებელია ღვთის-მშობლის ხატი უფრო ადრინდელ დროს ეკუთვნოდეს, ვიდრე მაცხოვრისა. ხელობა ორთავე ხატისა სრულიად ერთგვარია და უსათუოდ ერთ და იმავე ოქრომჭედელს ეკუთვნის.

ფრთები დასაკეცი ხატისა, ნაჭედი, ვერცხლისა ოქროთ დაფერილი. ქართული დაბალი ხელობისა, 19,5×15 სანტიმეტრი. შუაში ყოფილა მაცხოვარი, რომელიც დაკარგულა, მაცხოვრის მარჯვნივ და მარცხნივ ფრთებზე დედა ღვთისა და იოანე ნათლის-მცემელი, ამათ ქვემოთ მუხლ მოდრეკილნი ჭილაძენი, ცოლ-ქმარნი, როვანოზ და უტანდარ ჩხეტიძის ქალი. ეს მთელი ხატიდან დარჩენილი ფრთები ეხლა მიჭედილია ფიცარზე და ხატად არის ეკლესიაში. ამათზე შემდეგი ხუცური წარწერა არის. მარჯვნივ იოანე ნათლის-მცემლის გარშემო: „უფალო იესო ქრისთე (სიც), ღმერთო, შე(ე)-წიე, შეიწყა-ლე და აცხო-ვნე სუ-ლი როვა-ნოზ ჭი-ლაძე. თანა მე-ცხედრე მათი უტან-დარ ჩხე-ტიძის. ქალი. ძიახართ“ (მარცხნივ ღვთის-მშობლის გარშემო): „კაკას, ამინ. ღმერ-თო შეუნ-დევ ქაიხო-სროს ლა-ლია-შვილს.“

შუა დაკარგულ ტანზე ამა ხატისა უნდა ყოფილიყო გამოხატული მაცხოვარი, ალბათ წარწერით, ასე რომ წარწერა აქ სრულად არ უნდა იყოს.

კაკა ჭილაძე, ძმა არის ისტორიაში კარგათ ცნობილის ლევან II დადიანის მეუღლის ნესტან დარეჯანისა. ამიტომ ეს ხატი, მისი წარწერა და წარწერაში მოხსენებულნი პირთა უნდა ეკუთვნოდეს მე-XVII საუკუნეს. ქაიხოსრო ლალიაშვილი არის კიდევ მომჭედი დიდი ღვთის-მშობლის ხატისა, სოფელ ვანის ეკლესიისა, საჩინოში, იმერეთში (იხ. ჩემი არხეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნანი. წიგნი პირველი, გვ. 10).

მაცხოვრის ხატი, 45×36 სანტიმეტრი, ნაჭედი, ქართულის ხელობისა, ვერცხლისა, ოქროთ დაფერილი. შემკობილია 12 ფირუზით და 7 ლალით. ხატზე ზემოთ გამოქანდაკებულია: მაცხოვარი ტახტზე მჯდომარე ღვთის-მშობლით და იოანე ნათლის-მცემლით მარჯვნივ და მარცხნივ. ამათ ასომთავრულით აწერია: „მიქელ:. მთვ რნგელოზი“, „გაბრიელ:. მთვ რნგელოზი“, და შუაში „პეპუნა ჭილაძე“ მვედრებელი დიდებულის ტანისამოსით. აშიებზე ზემოთ და ქვემოთ აქვს მხედრული წარწერა: ქ: ეჰა: ყოვლად: ძლიერო: ღ თო: ხატო: ღმთებისაო:. მ(ა)ცხოვარო:, ტყვირისაო:. მე: მონა: მოსავმან: და სასოებ(ი)ს ა: შენდამი: მონდობილმან: ასულმან: გურიელისა: ბატონისა: ვახტანგისმა: ბატონ(ი)ს: შვილმან: ბატონ მან: თამარ: მოგიჭედინეთ: ხატი: ესე: მაცხოვრისა: დ(ა) დავასვენეთ: ტაძარსა: თქვენსა: ქმრისა: ჩვენისა: კურთხეულისა: ჭილაძისა ბატონისა პაპ(უ)ნ(ი)სასა:. და შევსწირეთ: ლაპარიშაი: გრიგოლიას: და მისის: ძმის: ხუცის: ბეგარა: ზროხა: ერთი: ცხვარი: პური: ღომი: ღვინო: და ყველი: მოიტანდენ: ხორციელისა: შაბათსა: და აღაპსა: უზმ(ი)დენ: აწ: რამანცა: კაცმან: ესე: ჩვენი: გაჩენილი: ტრაპეზი: და ჩვენგან: გაკეთებული:. ეკდერი: მოშალოს:. და ან: ჩვენისა: შვილის: და მათი: მომავლის: მეტმან: კაცმან: ამ: ეკდერში: დ(ა)საფლავება: მოინდომოს: ჩვენდა: და კურთხეულისა: პაპუნს: ნუქბათამცა: მეორედ: მოსლვასა: ის: გ(ა)იკითხვის.

პაპუნა ჭილაძე და მისი მეუღლე გურიელის ქალი თამარ სხვა წყაროებში ჯერ არ შეგვხვედრია. თამარი უნდა იყოს ამდენხანს უცნობი ქალი გურიელი ვახტანგ I (1583-1587). მაშასადამე ხატი უნდა ეკუთვნოდეს მე-XVI საუკუნის დასასრულს, ან მე-XVII დასაწყისს. პეპუნას და თამარს, როგორც ეტყობა, აუშენებიათ ტყვირის ეკლესიის დასავლეთი ეკვტერი და გაუხდიათ თავიანთ სამარხად.

ღვთის-მშობლის ხატი ჩვილედი. 19×14 სანტიმეტრი, ნაჭედი, ქართულის ხელობისა, მდარე. სურათები წელს-ზევითია, დედა-ღვთისას მარცხენა ხელში უჭირავს ძე წარწერით: იესო ქ ე (ხუცურათ), თვით ხატზე აწერია: „დედა ღ ა“: ორივე ხატს შემდეგი მხედრული წარწერა აქვს: „ქ: მოვაჭედინეთ: ხატი: ესე: ყოვლად: წმიდისა: ჩუენ: დედოფალმან: პატრონმან: ნესტან დარიჯან: ძმისა: ჩუენისა: ჭილაძისა: კაკაისათვის: სახსრად და საოხად: სულისა: მისისათვის: დიდსა: მას დღესა: განკითხვისასა: ამინ: და კირიელეისონ:“

ამ ხატს ფრთები აქვს ხისა, რომელზეც გადაკრულია მოოქროვილი ვერცხლი და შემკობილია ხშირი ძვირფასი თვლებით ოქროს ბუდეებით, ასეთივე თვლებით შემკობილია ზურგიც ხატისა. ფრთებზე სულ 72 ქვა არის დაცული, ზურგზე 60. ორთავე მხარეს კიდევ ბევრი აკლია ქვები.

აქ მოხსენებული ნესტან-დარეჯან ჭილაძის ასულია, რომელიც წინეთ ცოლად ყავდა გიორგი I ლიპარტიანს და შემდეგ 1628 წლისა ლევან II დადიანს. გარდაიცვალა 1640 წლის ახლო ხანში. მაშასადამე ამ ხატის გაჭედა ეკუთვნის მე-XVII საუკუნის პირველ ნახევარს.

ხატი ღვთის-მშობლისა ჩვილედი, წელს-ზევითი, 29×22,2 სანტიმეტრი, ქართული ხელობისა, ვერცხლისა, ნაჭედი, მე-XVI-XVII საუკნისა, არშია მოჭედილი აქვს ვერცხლისა. სახელები ხუცურით აწერია: დედა: ღ ისა: ი ჯ: ქ ე: ხელობა ამ ხატისა და ზემო აღნიშნულის თამარ გურიელის ასულის მიერ შეწირულის ხატისა სრულიად ერთგვარია.

ხატი წმიდა მარინესი 21,5×17,5 სანტიმეტრი, ნაჭედი, ქართული, დაბალი ხელობისა, მე-XVII საუკუნისა, წარწერით ხუცურათ: „წ ა: მარინე“. არშიაზე ბალახის სახეებია, მაგრამ დაზიანებული. შემკობილია თვლებით.

ჯვარი სამწყსოს სატარებელი ქართულის ხელობისა, ვერცხლისა, ოქროთ დაფერილი, ოთხი ბურთით და სიონით, ნაჭედი. თვით ჯვარის ზომა არის 28,2×22,6 სანტიმეტრი. წინა პირზე გამოქანდაკებულია ჯვარცმა, ზემოთ მთავარანგელოზი, მარჯვნივ და მარცხნივ წინამდგომნი, დედა-ღვთისა და იოანე მახარობელი. მეორე მთავარანგელოზი უნდა ყოფილიყო ქვემოთ, მაგრამ აქ სურათი გაფუჭებულია მერმე მიკერებულის რკინით. ჯვარის მეორე გვერდზე სწერია ასომთავრულით: „ქ. ჯვარცმაო ქრისტესო, ადღეგრძელე ვარნოზი ჭილაძე და ცოცხლითი, ცხოვნებითი, მშვიდობითი დაიცევი ორთავე ცხოვრებათა შინა. და ძენი მისნი მშვიდობით მ“.... ვერცხლის პირველ ბურთზე სიონს ქვემოთ ასომთავრულით სწერია: „ქ. მოვაჭედინე მე წინამჯღვარმა ნიკურაძემა (ნიკურაძეები ეხლა ცხოვრობენ დაბა კულაშში) იოსები ჯვარი პატიოსანი ჩემისა სულისა საოხადი და საცხოვნებლადი. ნუ დამსჯი მე დღესა მას დიდსა განკითხვისასა. ამინ“.

სიონის თავზე გამოქანდაკებულია მთავარანგელოზი, ვგონებ ერთი და იგივე, სამჯერ და ერთხელ სერაბიმი. თვით სიონზე ვხედავთ სურათებს მახლობლებისას წარწერებით ასომთავრულით: მარკოზ, ლუკა, ი ნე, და მეოთხე გვერდზე თვით მაცხოვარს დიდი სატარებელი ჯვარით. ამ სურათის ირგვლივ სწერია ასომთავრულით: „უფალო ი[ესო] ქრისტე, ღმ[ერთ]ო ჩვენო, შეეწიე, შეიწყალე და აცხოვნე სული უფალი ონოფრე კორძაია, რომელ შეამკო ჯვარი ესე“.

კორძაიები ეხლა საჭილაოში ცხოვრობდნენ და აზნაურების გვარს ეკუთვნიან.

ლუკა მახარობლის ირგვლივ: „ღმერთო, შეიწყალე და აცხოვნე სული მონისა შენისა ქაიხოსროს ლალიაშვილის. ვინცა შენდობა უთხრას, შეუნდვნეს ღმერთმა“. „უფალო ისეო ქრისტე, ღმერთო, შეეეწიე, შეიწყალე, შეიწყალე და აცხოვნე სული ამალელ(?) ღამბარს

ჭილაძის და თანა მეცხედრე მათისა ელენეს გოშოძის ქალისა (გოშაძე, აქ გოშოძეთ მოხსენებული, დიდებული გვარი იყო ძველათ სამეგრელოში), ძესა მათს ოთარსა და შირუას აზდა(სიც) მარადი(ს) უკუნით უკუნისამდეი, ამინ“.

თვით ამ წარწერაში მოხსენებული ღამბარ ჭილაძე გამოხატულია მუხლ-მოდრეკით იოანე მახარობელის წინაშე.

ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ, რომ ღვთის–მშობლის ხატი, რომლის ზურგის წარწერაში იხსენიება ვარნოზი ჭილაძე ეკუთვნის მე-XVII საუკუნეს. მაშასადამე ეს ჯვარიც რომლის წარწერაში მოხსენიებულია იგივე ვარნოზი (პირველ ხატზე ვარნოზის მაგიერ სწერია ვანოზსი), უნდა ეკთვნოდეს მე-XVII საუკუნეს. ამ საუკუნეს ეკუთვნიან სხვა პირებიც, რომელნიც ჯვარის დანარჩენ წარწერებში არიან მოხსენებულნი.

ბარძიმი ვერცხლისა, რომელზედაც მოიპოვება მხედრული წარწერა: „მაცხოვარო მხსნელო ტყვირის ეკლესიასა შინა განსვენებულო, შეიწირე მცირი ესე მწვლილი ბარძიმი ჩემ მონისა არხიერის წერეთლის ზურაბის ძის დავითისაგან ფებერვლის იდ ჩყიდ“.

ფეშხუმი ვერცხლისა, რომელზედაც გამეორებულია წინა წარწერა.

ყველა ზემო მოყვანილი წარწერებიდან და ცნობებიდან სჩანს: ტყვირის ეკლესია აშენებულია მეთოთხმეტე საუკუნის დასასრულს ანუ მეთუთხმეტეს დასაწყის ქველი ჭილაძის მიერ. სახელი ტყვირი სოფელს რქმევია ეკლესიის აშენებამდინაც, ყოველს შემთხვევაში იმ დროს მაინც, როდესაც ეკლესიას აშენებდენ დასავლეთის ეკვტერი აუშენებია პაპუნა ჭილაძეს და მის მეუღლეს გურიელის ასულს თამარს მეჩვიდმეტე საუკუნის დასაწყისში და გაუხდიათ თავიანთ სამარხად. ამავე მიზნით მეჩვიდმეტე საუკუნის მეორე ნახევარში ჭყონდიდელს იერემია ჭილაძეს აუშენებია ჩრდილოეთის ეკვტერი და აქვე დამარხულა. ხატები და სამწყსოს სატარებელი ჯვარი ტყვირის ეკლესიისა გაჭედილნი და შემკობილნი არიან ჭილაძეების მიერ უმეტეს შემთხვევაში მე-XVII საუკუნეში.

ჭილაძეების გვარიდან ზემო მოყვანილის წარწერების და სხვა საბუთების მიხედვით ცნობილნი არიან: ქველი ჭილაძე მოლარედ უხუცესი და მისი ძმები კახაბერი და ჩუბინი მაშენებელნი ტყვირის ეკლესიისა მე-XIV საუკუნის დასასრულს ანუ მე-XV-ის დასაწყისს. ჯავახ ჭილაძე, რომელიც ცხოვრობდა იმერეთის მეფის გიორგი მე-II-ის დროს მეთექვსმეტე საუკუნეში, მოკლული გიორგი მეფის მიერ. ეს ჭილაძე მოხსენიებულია ერთ ბიჭვინტის მონასტრის სიგელში, რომლიდანაც სჩანს, რომ მას შეუწირავს ბიჭვინტის მონასტრისათვის „ქორეთის უბანი“ მდებარე იქ, სადაც ხევის წყალი შერთვის რიონს. ესევე ჯავახ ჭილაძე მოხსენიებულია კიდევ მეორე სიგელში კათალიკოსის მალაქიას დროს (1533-1535). ამავე დროს ცხოვრობდა შედან ჭილაძე. ეს უკანასკნელი ჯავახთან ერთად მოხსენიებულია გამოჩინებულის ეკლესიის ხატის წარწერაში საჯავახოში, გურიაში. პეპუნა ჭილაძე, მისი მეუღლე გურიელის ასული თამარ, ამათ აუშენებიათ ტყვირის ეკლესიის დასავლეთის ეკვტერი და აქ უნდა იყვნენ დამარხულნი. თამარს გაუჭედინებია მაცხოვრის ხატი, რომელზედაც გამოქანდაკებულია თვით პეპუნა ჭილაძე დიდებულთ ტანისამოსში. ამათ უნდა ეცხოვრათ მე-XVI საუკუნის დასასრულს და მე-XVII დასაწყისში. როვანოზ ჭილაძე, მისი მეუღლე უტანდარ ჩეტიძის ქალი, ამათი შვილები უნდა იყვნენ მიახარ, კაკა და ნესტან-დარეჯანი. უკანასკნელი ცოლი იყო პირველად გიორგი დადიანისა, შემდეგ 1628 წლიდან ლევან II დიდისა. როვანოზ და უტანდარ ცხოვრობდნენ ალბათ მე-XVI საუკუნის დასასრულს და მე-XVII დასაწყისში. ესენი იხსენიებიან მაცხოვრის ხატის ფრთებზე. ჩვენ ვიცით სხვა წარწერიდან, რომ კაკა ჭილაძე ძმა იყო ნესტან დარეჯანისა, ხოლო ნესტან-დარეჯანი არ არის მოხსენიებული მაცხოვრის ხატის ფრთებზე, ალბათ წარწერა იმ დროს ეკუთვნის, როდესაც ნესტან-დარეჯან ჯერ დაბადებული არ ყოფილა და ვინაითგან ის 1628 წელს მეორე ქმარს გაჰყვა, ამიტომ მისი დედ-მამის ცხოვრებას ვდებთ მე-XVI საუკუნის დასასრულში და მე-XVII დასაწყისში. როვანოზისა და უტანდარის სურათები გამოქანდაკებულია მაცხოვრის ხატის ფრთებზე. ნესტან-დარეჯანს, ჭილაძის ასულს, ტყვირის ეკლესიაში იხსენიებს ერთი პატარა ღვთის-მშობლის ხატის წარწერა. აქვე მოხსენიებულია მისი ძმა კაკაი. ნესტან-დარეჯანი მრავალ ეკლესიის კედლებზეა დახატული სამეგრელოში.

ექვთ. თაყაიშვილს, როგორც ჩანს არ უნახავს ტვირის ეკლესიის ერთი წარწერა, რომელიც გ. ელიავას მოჰყავს: „ღ(მერ)თო: და ჯვარო: ქრისტესაო: შეუნ(და შე(ე)წიე: შედანსა ჭილაძესა: და მეუღლესა: მისა კანდაკესა: ძეთა მისთან პ(ი)რ-ნ(ა)თელსა: კახაბერსა: ქვ-ელ-სა: ნათელსა. ეშმასა: ჩუბინსა: აბრამსა: შედანსა: და ჯ(ა)ვ-(ა)(სსა) ასულსა: მი(ს)სა: კეკ-ლუცსა მზ(ე)ქალსა: ულ(უმ)-პიასა:“ გ. ელიავას აზრით, ამ წარწერაში მოხსენიებულ პირები XVI ს-ის მოღვაწეები არიან[1].

სოფელი ტყვირი მოხსენიებულია 1733 წლის გუჯარში გრიგოლ კათალიკოზისა ბიჭვინთის საბუთთაგან: „... მეორე კიდევ ზედ ფხეიძის ნიშანში ავიყვანე ტყვირის

იერემია ჭილაძე ჭყონდიდელი აღმაშენებელია ტყვირის ეკლესიის ჩრდილოეთის ეკვტერისა და აქვე მარხია. ამას იხსენიებს საფლავის ქვის წარწერა და მისგან გაჭედილი მაცხოვრის ხატის წარწერა. ამავე ხატზე გამოქანდაკებულია მისი სურათი. ამ იერემიას უნდა იხსენიებდაეს ჭყონდიდლად ავტორი შახნავაზიანისა ფეშან ბერტყაძე. იერემიას უნდა ეცხოვრა მე-XVII საუკუნის მეორე ნახევარში. ამ იერემიას ჰყავდა ძმა ქველი ჭილაძე, მოხსენიებული შახნავაზიანში მე-XVII საუკუნის მეორე ნახევარში.

ვარნოზსი ჭილაძე და მისი ძმა ხოსრო მოხსენებულნი არიან ღვთის-მშობლის წარწერაში. ხატი ეკუთვნის მე-XVII საუკუნეს. ვარზნოზსის სურათი გამოქანდაკებულია ამავე ხატზედ. ვარნოზსი ანუ ვარნოზი იხსენიება აგრეთვე ჯვარის წარწერაშიც.

ამალელი (?) ღამბარ ჭილაძე, ცოლი მისი ელენე, გოშაძის ქალი, შვილები მათი ოთარი და შერუა მოხსენებულნი არიან ჯვარის წარწერაში მე-XVII საუკუნეში.

აბრაამ ჭილაძე მოხსენებულია ერთ სეფიეთის ეკლესიის წარწერაში, როგორც პირველათ მომხატავი ამ ეკლესიისა, არ ვიცით როდის ცხოვრობდა, მაგრამ მას იხსენიებს მეორე მომხატავი სეფიეთის ეკლესიისა ზოსიმე ჭყონდიდელი კობალაძე და ამიტომ მე-XV, მე-XVI საუკუნეს უნდა ეკუთვნოდეს.

პეტრე ჭილაძე ჭყონდიდელი და გიორგი ჭილაძე მოხსენებულნი არიან ერთ სიგელში 1680-1710 წლებისა.

ანა ჭილაძის ასული იყო მეუღლე ვახუშტი ჩიჯავაძისა, ცნობილია ვანის ეკლესიის ღვთის-მშობლის ხატის წარწერაში.

გულქან ჭილაძის ასული მეუღლე გედეონ აბაშიძისა მოხენებულია უბისის ეკლესიის ხატის წარწერაში“ (ექვთიმე თაყაიშვილი, არხეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნანი, წიგნი მეორე, ტფილისი, 1914, გვ. 2-19).

[1] გ. ელიავა, აბაშისა და ტეხურის ხეობის ისტორიული ღირსშესანიშნაობანი, მეგზური, თბ., 1971. გვ. 22-23.

ბიშხუა ჯოჯუა მისის ყოვლის ფერიანად“[1]; „...ტყვირის მონასტერს თორმეტი მოსახლე კაცი ყავს, იმათი სამთელი უკლებლად იმ მონასტერს მიერთმეოდეს. ასე გაგვირიგებია და შემოგვიწირავს შენ, საშინელო და ცათა ურცევლესო ბიჭვინტისა ღუთისმშობელო და ხოფისა ღუთისმშობელო“[2].

1730-1742 წლების გრიგოლ კათალიკოზის შეწირულობის წიგნში ნათქვამია, რომ „ტყვირის მონასტერი თერთმეტის მოსახლე კაცით მეფემ ალ ემ თავის მეუღლის დადიანის ქალის ნიშანშიდ შესწირა მისი საწყოსოიანათ და ნიშნიანათ, ტყით, წყლით, აგარაკით, სავენახით, უძებრით და საძებრით და ყოვლის მისის შემოსავალით, ასე რომე საჭილაო აზნაურისშვილებს ყუცლას მისი ნიშანი მართებს“[3].

სოფელი ნაგვაზაო

მთავარანგელოზთა სახელობის ნაეკლესიარი

სოფელი საგვაზაოში იდგა მთავარანგელოზთა სახელობის ხის ეკლესია. ის 1870 წელსაც მდგარა.

დეკანოზ კონსტანტინე კაჭარავას მასალებით, ეს ეკლესია აშენებული ყოფილა 1882 წელს: „ბარძიმ ფეშხუმი ვერცხლისა, წიგნები უკლებლივ. მასში მსახურებენ ორი მღვდელი და მედავითნე. პირველი შტატის მღვდელი – თეოდორე ნიკოლოზის ძე ხოშტარია ყოფილა სასულიერო აზნაურთა წოდების. უსწავლია სამეგრელოს სასწავლებელში რუსულ ენაზე, ხოლო საღმრთო და საეკლესიო წიგნები მარტვილის მონასტერში. მედავითნედ უმსახურია სამეგრელოს მთავრის ზუგდიდის სასახლის ეკლესიაში 1849 წელს. დიაკვანად ხელდასმული ყოფილა გერონტი ეპისკოპოსის მიერ 1860 წ. მღვდლად აკურთხეს იმავე ეპისკოპოსის მიერ, იმავე წელს დადიანის სასახლის კარის ეკლესიის სახელზე. ყოფილა მღვდელმსახურად სანკტ-პეტერბურგში და პარიზში, კნიაზ მენგრელსკის იქ ყოფნისას. 1865 წელს ერთგულებისათვის დაჯილდოვდა ნაბედრენიკით (საგვერდულით). 1871 წელს დაჯილდოვდა სამეგრელოს ეპისკოპოს ტარასის მიერ სკუფიით. 1874 წელს სამეგრელოს მთავრის თხოვნით გადაუყვანიათ სუჯუნის ეკლესიიდან ზუგდიდის ღვთისმშოვლის ეკლესიის პირველ მღვდლად. 1877 წელს დაჯილდოვდა კამილავკით. 1884 წელსა გადმოიყვანეს ზუგდიდიდან საგვაზაოს ეკლესიაში პირველ მღვდლად. მისი ცოლი იყო მარინე დავითის ასული. შვილები – მიხეილ, ალექსანდრე, სოლომონი, ლევანი, ეკატერინე. დადიანების კარის მოძღვარს სიბერეში მშობლიური მხარისათვის მოუშურებია და უბრალო სოფლის მღვდლის

[1] ს. კაკაბაძე, დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, წ. I, ტფილისი, 1921, გვ. 132
[2] ს. კაკაბაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 145.
[3] ს. კაკაბაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 151-152.

წოდებაც უკმარნია, სიმონ ელიავას გარდაცვალების შემდეგ კი სუჯუნის მღვდელმსახური გამხდარა, თან საინტერესო მემუარებიც დაგვიტოვა“[1].

სოფელი ეწერი

1. საჩიჩუოს „ნაოხვამუ“ (ნაეკლესიარი)

სოფელ ეწერში, საჩიჩუოს უბანში არის ადგილი ნაოხვამუ. ადგილობრივთა გადმოცემით, იქ ძველი ეკლესია მდგარა და ყოფილა სასაფლაოებიც. აქ დღეს აპირებენ აღდგომის სახელობის ეკლესიის მშენებლობას.

2. წმ. გიორგის სახელობის ნაეკლესიარი

საგუგუშვილოს და კუციების სასაფლაოსთან იდგა წმ. გიორგის სახელობის ხის ეკლესია. აქ ბოლო მღვდელი იყო პეტრე კუცია. ეწერის წმ. გიორგის ეკლესიის მღვდელთა სია ასეთია: მღვდელი შიო ხოშტარია 1879 წ., მღვდელი ვასილ გუგუშვილი 1879 წ. მღვდელი ეფრემ ხოშტარია 1885 წ. დეკანოზი გიორგი გუგუშვილი 1922 წ. ეს ხის ეკლესია აუშენებიათ 1872 წელს. მაშინ, კანკელი ჯერ არ ქონია. ბარძიმ ფეშხუმი იყო ვერცხლისა, ხოლო სამღვდელო შესამოსელნი ფარჩის. წიგნები უკლებლივ ამავე ეკლესიის. მღვდელი – ეფრემ მღვდლის იოანეს ძე ხოშტარია (სასულიერო აზნაურთა წოდების). 1874 წელს მღვდლად აკურთხა ეპისკოპოსმა გაბრიელმა. მედავითნე – სიმონ საბას ძე გუგუშვილი (საერო წოდების)

ეწერის წმ. გიორგის სამრევლო[2]

წოდება	კომლი	მამრ.	მდედ.
სასულიერო	4	10	16
თავადნი	-	-	-
აზნაურნი	24	86	65
გლეხნი	54	120	95
სულ	82	216	176

3. ამაღლების სახელობის ნაეკლესიარი

[1] დეკანოზი კონსტანტინე კაჭარავა, საუნჯის წმინდა გიორგის ეკლესია (ისტორიული ალმანახი), თბ., 2009, გვ. 80-81.
[2] დეკანოზი კონსტანტინე კაჭარავა, დასახ. ნაშრომი, გვ. 79.

კუციების, ჭანტურიების და კუპრეიშვილების სასაფლაოსთან იდგა ამაღლების სახელობის ხის ეკლესია. ბოლო მღვდელი იყო ბესარიონ კუცია, დიაკვანი ალექსანდრე მდივანი. დეკანოზ კონსტანტინე კაჭარავას მიერ მოპოვებული საარქივო მონაცემებით, მღვდელთა სია ასეთია: მღვდელი ჭედია იოვანე 1870 წ. მღვდელი პეტრე მატკავა 1885 წ. მღვდელი პეტრე კუცია 1922 წ. (შემდგომ სუჯუნის ბოლო მღვდელი). ეს ხის ეკლესია აუშენებიათ 1877 წელს, კანკელი ჯერ არ ქონია. ბარძიმ ფეშხუმი იყო ვერცხლის. სამღვდელო შესამოსლნი ფარჩის. წიგნები უკლებლივ ყოფილა. მღვდელი – პეტრე მახარობლის ძე მატკავა (საერო წოდების) დიაკვნად აკურთხეს 1863 წ. მღვდლად იმავე წელს, მედავითნე – ბესარიონი, მღვდელ ზაქარიას ძე კუცია (წოდებით სასულიერო გლეხთაგან).

ეწერის ამაღლების ეკლესიის სამრევლო“[1]

წოდება	კომლი	მამრ.	მდედ.
სასულიერო	6	19	25
თავადნი	-	-	-
აზნაურნი	16	77	46
გლეხნი	75	280	249
სულ	97	376	320

სოფელი წალიკარი

წმ. გიორგის სახელობის ნაეკლესიარი

სოფელ წალიკარში სასაფლაოსთან იდგა წმ. გიორგის სახელობის ხის ეკლესია. იქ დღეს მოსახლეობა არ ცხოვრობს. საარქივო მონაცემებით აქ მღვდლები იყვნენ: მღვდელი ნოდია იოანე 1870 წ., მღვდელი თომა ხოშტარია 1885 წ., მღვდელი ლავრენტი ხოშტარია (სუჯუნის მოძღვარი) 1922 წ. „ეკლესია ხისა აღშენებულ არს 1881 წ. კანკელი ჯერ არაა აღმართული. ბარძიმ ფეშხუმი ვერცხლისა, ოქროთი დაფერილი სამღვდელო შესამოსელი ფარჩისა. მღვდელი – თომა დავითის ძე ხოშტარია (საერო აზნაურთა წოდებისა) ნაკურთხია მღვდლად 1881 წ.

მედავითნე – იაკობ სოფრომის ძე ნოდია (საერო წოდებისა).

წალიკარის სამრევლო[2]

წოდება	კომლი	მამრ.	მდედ.
სასულიერო	1	5	5

[1] დეკანოზი კონსტანტინე კაჭარავა, დასახ. ნაშრომი, გვ. 78.
[2] დეკანოზი კონსტანტინე კაჭარავა, დასახ. ნაშრომი, გვ. 77-78.

თავადნი	-	-	-
აზნაურნი	4	12	11
გლეხნი	48	152	135
სულ	53	176	151

სოფელი ესაკეთი

იოანე ნათლისმცემლის სახელობის ნაეკლესიარი (სუჯუნის თემი)

სოფელ ესაკეთში, სოფლის სასაფლაოსთან იდგა იოანე ნათლისმცემლის სახელობის ხის ეკლესია.

სოფელი კოდორი

1. მთავარანგელოზთა სახელობის ნაეკლესიარი

სოფელ კოდორში მდ. რიონის მარჯვენა სანაპიროსთან იდგა მთავარანგელოზთა სახელობის ხის ეკლესია. ბოლო მღვდელი იყო ნიკოლოზ მიმინოშვილი.

2. თევდორე ტირონის სახელობის ნაეკლესიარი

სოფელ კოდორში მდ. რიონის მარცხენა სანაპიროსთან – ანჯერის მასივებისკენ ხატკარად წოდებულ ადგილას იდგა წმ. თევდორე ტირონის სახელობის ხის ეკლესია.

სოფელი კეთილარის კოდორი

1. წმ. გიორგის სახელობის ნაეკლესიარი

მდ. რიონის მარცხენა სანაპიროსთან, სოფლის სასაფლაოსთან იდგა წმ. გიორგის სახელობის ხის ეკლესია.

2. კეთილარის თემის ეკლესიები

დეკანოზ კონსტანტიეს კაჭარავას მასალებით, კეთილარის თემის ტერიტორიაზე უწინ სხვა ეკლესიები და ციხეებიც ყოფილა, ამას ადასტურებს ტოპონიმიკური მასალა: ნოჯიხევი, გულეკარის შემოგარენში მდ. ფიჩორთან ახლოს. გულეკარისა და კეთილარის შესაყართან, ანჯერის მასივში ნაოხვამუ ნაეკლესიარი. „ხატკარი“ კოდორის ბოლოს ანჯერის მასივებისკენ. კეთილარში დღემდეა შემორჩენილი ვინმე ჭუკა თელიას სახლი, რომელსაც ადგილობრივები ნაოხვამუ სახლს ეძახიან. ადგილობრივთა თქმით, ეს სახლი ერთ დროს ეკლესიის შენობა ყოფილა და ანჯერის ნაოხვამურში მდგარა. ის ამჟამად თითქმის დანგრეულია[1].

სოფელი გულეიკარი

1. გულეიკარის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია

დეკანოზ კონსტანტინე კაჭარავას თქმით, „გულეკარში არის შესანიშნავი ერთი ქვიტკირის ეკლესია წმ. გიორგისა, ამბობენ ვახტანგ გორგასლის დროისა, ამ ეკლესიაში მოსულა მურვან ყრუ, როცა მურვანი შესულა ეკლესიაში, უბრძანებია აეოხრებინათ იგი. მაშინ მომხდარა სასწაული წმ. გიორგის მურვან ყრუ უძრავად გაუშეშებია საყდარში. გარეთ გაჩენილა ვიღაც თეთრ ცხენზე ამხედრებული მხედარი და აუოხრებია მურვანის ლაშქარი. მურვანისთვის ეს ამბავი მოუტანიათ, მაგრამ მას არ შეძლებია გამოსვლა. ბოლოს იგი შევედრებია წმ. გიორგის – „წმ. გიორგი თუ მე გამიშვებ მძევლად შემოგწირავ ჩემს ხმალსაო“, აუხსნია ხმალი და შეუწირავს. ამის შემდეგ მურვანს შეძლებია საძრაობა. ეს ხმალი ახლაც არის (ორი არშინის სიგრძე) თუმცა მოუვლელობით ჟანგს შეუჭამია, გარდა ამისა ეკლესიაში მოიპოვება სხვადასხვა ძვირფასი თვლებით მოჭედილი ხატები და ისე თვლებიც, ზოგი სიდიდით ქათმის კვერცხის ოდენი, ზოგი უფრო მსხვილი.

[1] მღვდელი კონსტანტინე კაჭარავა, ესე სოფელი კეთილ არს (ისტორიული ალმანახი), თბ., 2004, გვ. 67-68.

გულეკარის თემის სოფ. II კოდორის წმ. გიორგის ეკლესიის მღვდელი იყო“. დომენტი ფირცხალავა[1].

„გულეკარის ახლანდელი ეკლესია აგებულია 1845 წელს. შენობა ნაგებია მოლურჯო-მორუხო სუფთად გათლილი კვადრატული ქვებით. გულეკარის ტაძარი ბაზილიკური, სამნავიანი დარბაზული ეკლესიაა. საყდარს სამი კარი აქვს. კარები მუხის სქელი ფიცრებისგანაა გაკეთებული, რომელსაც გარედან ლითონის ფურცლები და სალტეები აქვს დაჭედებული, რომელნიც ალბათ ტაძარის თანადროულნი არიან. ტაძრის სარკმლები და სარკმლის არშიები ეტყობა მოჩუქურთმებელი იყო. ეკლესიას ჩატანებული აქვს ძველი საყდრის ნაშალი ქვები, კერძოდ ჩუქურთმიანი ქვა ტაძრის შიგნით, ჩრდილოეთის კარიბჭის ძირში. ტაძრის დასავლეთ კარიბჭის თავზე ასევე დატანებულია ბარელიეფი მეომარი ლომების გამოსახულებით. მსგავსი ბარელიეფი ტყვირის ეკლესიაშიც არის დაფიქსირებული. დამუშავების სტილის მიხედვით ბარელიეფი ძალიან ძველი უნდა იყოს. გულეკარის ეკლესიის დასავლეთ ჩრდილოეთ და სამხრეთ კედლებზე, მთელს სიგრძეზე სხვადასხვანაირი ფიგურებია ამოკვეთილი. როგორც მოხუცები ყვებიან, გულეკარის ეკლესიის ქვები ქორეისუბნის მთიდანაა მოტანილი. ტაძარში არანაირი ფრესკა არ ყოფილა. იგი მთლიანად კირიანი წყლით შეუთეთრებიათ“[2].

გულეიკარის ეკლესია მოუნახულებია ექვთიმე თაყაიშვილს, რომელიც აღწერს მის სიძველეებს[3].

---

[1] დეკანოზი კონსტანტინე კაჭარავა, საუნჯის წმინდა გიორგის ეკლესია (ისტორიული ალმანახი), თბ., 2009, გვ. 17-18.

[2] მღვდელი კონსტანტინე კაჭარავა, ესე სოფელი კეთილ არს (ისტორიული ალმანახი), თბ., 2004, გვ. 123.

[3] „სოფელი გულე-კარი (წარწერაში გულევლი) მდებარეობს რიონის მარცხენა ნაპირზე აბაშის ნაწილში, სენაკის მაზრაში გურიის საზღვარზე, სულ ორი ვერსიის მანძილზე გურიის სოფლის ნიგოითიდან. წმიდა გიორგის ეხლანდელი ეკლესია ამ სოფლისა უგუმბათოა, მოზდილი, თლილის ქვით აშენებული და ყავრით დახურული. საკურთხეველის ნაწილი შიგნით და გარეთ მომრგვალებულია. კარები აქვს სამხრეთის, ჩრდილოეთის და დასავლეთის კედლებში. ფანჯრები პატარ-პატარა, აღმოსავლეთის მხრით სამი და სხვა მხარეებში თითო-თითო. სიგძე აქვს ეკლესიას საკურთხევლამდის 22 ადლი და ორი გოჯი, განი 16 ადლი და 2 გოჯი. ეკლესია საიმისო ძველი არ არის. ეტყობა ძველი ეკლესიის ადგილზე შემდეგ დროში აუგიათ ახალი ეკლესია. ეზო დიდი აქვს, შემკობილი დიდრონის ჭადრის და ცაცხვის ხეებით. ამბობენ სახელ-წოდება გულე-კარი ნიშნავს გულოვანს ანუ ახოვანს კარსაო. აქაური წმიდა გიორგის ხატი სასწავლო-მოქმედებით ითვლება. ეკლესიაში ინახება ძველებური დიდი ხმალი, საკმაოდ დაჟანგული, რომელსაც მურვან-ყრუს ხმლად უწოდებენ. ამის შესახებ ხალხში შემდეგი თქმულებაა დარჩენილი: როდესაც მურვან-ყრუმ საქართველო დაიპყრო და ააოხრო, გულე-კარშიც მოვიდა თავის აურაცხელის ჯარით და შევიდა ამ ეკლესიაში ხატის სანახავად, რომლის ძლევა-მოსილობას დასცინოდა. ამ დროს თავის-თავად ჩაიკეტა კარები და ყოველი ცდა მურვან-ყრუისა, რომ კარები გაეღო, ან ვინმე მოშველებოდა და გამოეყვანა ეკლესიიდან, ამაო შეიქნა. შემდეგ სასოწარკვეთილმა შეჰვედრა წმიდა გიორგის, სცნო იგი სასწაულთ მოქმედათ და აღუქვა, თუ მას გაუღებს კარს და უვნებლათ გამოიყვანს ეკლესიიდან, შესაწირავს წმიდა გიორგის თავის შესანიშნავ ხმალს, რომელიც მთელ სოფელს ერჩია. წმიდა გიორგიმ შეუსრულა თხოვნა და მას შემდეგ ეს ხმალი დარჩა გულოვან წმიდა გიორგის ეკლესიაში. ხმალის სიგრძე არის 115 სანტიმეტრი. ტარი აქვს სპილოს ძვლისა ორი რკინის ზოლით შეკრული. ტარის ბოლოს რკინის გამოშვერილი ნაწილი თავდება გველის მსგავსი თავით. ზოლებზე და ქვემეოთ გამოშვერილ ნაწილზე ტარის ბოლოისა ოქროს ზარნიშია.

2. ნაოხვამუ

გულეიკარში არის „ნაოხვამუდ“ ნაეკლესიარად წოდებული პატარა გორანამოსახლარი (ძვ.წ. 7-8 სს.)“[1].

სოფელი ნესაკავო (შუა ქალაქი)

ტარის ზემო მომრგვალებულ რკინასავე ნაწილზე ოქროსავე ზარნიშით მზეა გამოხატული. ხმალი არაბულ-სპარსული ხელობისა არის.

1. დიდი ხატი წმიდა გიორგისა სასწაულთ-მოქმედათ მიჩნეული, ნაჭედი, ვერცხლისა მოოქვრილი, სიგძით 95 და განით 68 სანტიმეტრი, დაზიანებული ყოფილა და ეხლა გაუახლებიათ და განახლებაში მიუციათ ხუთასი მანეთი. მაგრამ ვაი ამ განახლებას! ეს მშვენიერი ძველი ქართული ხელობის ხატი სულ გაუფუჭებიათ და თავის პირვანდელი სახე ხატს უმეტეს შემთხვევაში დაუკარგავს. ამ დროს უნდა იყოს შელახული ხუცური წარწერაც, რომელიც ეხლა ძნელი აღსადგენია. წმიდა გიორგი ცხენით არის წარმოდგენილი, ვეშაპს გმირავს შუბით. სიმრგვალე თავის გარშემო და ზედა ნაწილი ხატისა შემკობილია თვლებით. აშია შემკობილია ბალახის მსგავსი გრეხილებით და ანგელოზნების თავებით. უკანასკნელში იტალიანური რენესანსის გავლენა იხატება და ეს ძველ ხატს არ ეკუთვნის. განახლების დროს გაფუჭებულია აგრეთვე უმეტესად უკანატანი ცხენისა, ძუა, ვეშაპი და ხელი წმინდანისა. ზემოთ აწერია ასომთავრულით: „წ ჲ გ ი“.

მარცხნივ წმიდა გიორგისა ცხენს ზემოთ შებღალული და ძნელად გასარჩევი ხუცური წარწერა მოიპოვება, რომელსაც ჩვენ ასე ვკითხულობთ: „ქ. წმინდაო გიორგი გუ-ლევლისაო, შე-იწყალე ყოველ-თა ცოდვილთ უფროს ცოდ-ვილი გიგერა-სალე ფერიძე, მოქ-ვის დეკანოზი. ოქ-როომჭედელ(ნ)ი იყვნენ ამისნი: შე-მ[ა]ურნი(?) ნა-გეწ გამკარია და თოფანია ზებედ.

2. დასაკეცი ხატი წმიდა გიორგისა, ვერცხლისა, 19,5×15 სანტიმეტრი, ფრთების წინა პირზე მედალიონებში გამოსახულნი არიან ორ-ორ ჯერ ხუცურის წარწერებით წ ჲ მარკოზი, წ ჲ თეოდორე. კარები შემკობილია თვლებით. ხელობა ძრიელ მდარე არის. შიგნით ძევს ხატი წმიდა გიორგისა ფეხზე მდგომარე შუბით, კიდევ უფრო უვარგისი ხელობისა, ხუცურის წარწერით: „წ ჲ გ ი“. ზურგზე ხატისა, ვერცხლის ფიცარზე ხუცური წარწერა არის ძრიელ უშნო ასოებით და ძნელი გასარჩევი. ასო ყ ყოველგან მობრუნებულათ სწერია. ამ წარწერას ჩვენ ასე ვკითხულობთ: „შენ მეოხო მხედარო წმიდაო გიორგი, გიორგი გულევლისაო, მეოხ და მფარველ ექმენ მონასა შენსა მსახურთ უხუცესსა ლ(ა)შირსსალარს(?) და თანა მეცხედრეს მისა დადიანის ასულს მარეხს და ძეთა მისთა ლიპარ(ს), ხატარს(?), ლომმს, გიორგის, ოქრომჭედელსა... (აქ ერთი სიტყვა წაბღალულია).

3. დასაკეცი ხატი წმიდა გიორგისა, ნაჭედი, ვერცხლისა, ოქროთი დაფერილი, 30,5×26 სანტიმეტრი. ფრთების წინა პირზე წარმოდგენილი არიან წმიდა გიორგი და წმიდა დიმიტრი ფეხზე მდგომარენი რომაულის სამხედრო ტანისამოსით. ერთს ხმალი უჭირავს ხელში, მეორეს შუბი. ხატი შემკობილია მრავალი ქვებით, აყიყებით და ბალახის მსგავსი გრეხილებით, ხელობა მდარეა. შიგნით შუაში წარმოდგენილია წმიდა გიორგი ცხენით. ცხენის ფეხების ქვემოთ კაცია მდებარე მეფურ ტანისამოსში. ეს ხატიც შეკეთებულია და გაფუჭებული. ფრთებზე შიგნითაც წმიდა გიორგი და წმიდა დიმიტრი არიან გამოსახულნი. აშიები აქაც ყველა შემკობილია ბალახის მსგავსი გრეხილებით. აშიებზე ოთხი სხვა მხედრის სახეებია. საზოგადოთ მთელი ხატი მდარე ხელობის არის“ (ექვ. თაყაიშვილი, არხეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნანი, ტფ. 1914, გვ. 19-22).

[1] დეკანოზი კონსტანტინე კაჭარავა, დასახ. ნაშრომი, გვ.13.

1. ღვთისმშობლის სახელობის ნაეკლესიარი

შუა ქალაქად წოდებულ ადგილას მდ. რიონის მარჯვენა სანაპიროსთან მდებარე სასაფლაოსთან იდგა ღვთისმშობლის სახელობის ხის ეკლესია. ბოლო მღვდელი აქ იყო პეტრე კუცია.

2. წმ. გიორგის სახელობის ნაეკლესიარი

მდ. რიონის მარჯვენა სანაპიროსთან იდგა წმ. გიორგის სახელობის ხის ეკლესია, იქ ცხოვრობდა თავადი გიორგი შელია. იქ ყოფილა სამცაცხვი. აქ ბოლო მღვდელი იყო დეკანოზი ნიკოლოზ მიმინოშვილი. ამ ეკლესიაზე მცირე ცნობებს ჩვენ გაზეთ დროების კორესპონდენციიდანაც ვიგებთ[1].

სოფელი კეთილარი

1. წმ. გიორგის სახელობის ნაეკლესიარი

სოფელ კეთილარში იდგა წმ. გიორგის სახელობის ხის ეკლესია. კეთილარში მღვდლები იყვნენ ბესარიონ ფირცხალავა, დიაკვანი მამა იასონ ბზიავა. ბოლო მღვდელი იყო ბარნაბა ბზიავა. სოფელ კოდორში მღვდლობდა მამა დომენტი ფირცხალავა. 1920-იან წლებში კეთილარისა და კოდორის ხის ეკლესიები დაშალეს და სხვა შენობები ააგეს“[2].

დეკანოზი კონსტანტირე კაჭარავა, ადგილობრივთა გადმოცემით, აღნიშნავს, რომ: „კეთილარის ცენტრში შემაღლებულ ადგილას ქვის საძირკველზე მდგარა ლამაზი, გუმბათოვანი, ლურჯად შეღებილი ხის ეკლესია, რომელსაც ირგვლივ ხის აივანი ევლო. მას ლამაზი ფანჯრები ჰქონდა, რომელსაც რკინის გისოსები ედგა. შიგ საკურთხეველში ძვირფასად შელაკული ხის კანკელი იყო. მაშინ ამ ეკლესიის მღვდლები იყვნენ მამა ბესარიონი და მამა დომენტი ფირცხალავები. ესენი ღვიძლი ძმები იყვნენ. კეთილარის ეკლესიაში ყოველ კვირას დღესასწაულებზე წირვა-ლოცვა ეწყობოდა. ეკლესიას ჰყავდა კარგი მგალობელთა გუნდი. ერთ-ერთი მგალობელთაგან იყო ვასილ კუპრეიშვილი.

---

[1] გაზ. დროება, №442, 1874

„დროების“ კორრესპონდენცია. ანთიმოზი ს. ნაესაკოვი 8 სექტემბერს.

დაღმდა მეშვიდე დღე ენკენისთვისა, დღე მიილია და ბინდი გაძლიერდა. შეიქმნა ერთ მცირე ხის ეკკლესიასთან ყოვლის მხრით ხალხის მოსვლა. ეს ადამიანები, ბატონებო, ამ ეკკლესიაზე ღამის გასათევათ მოსულან, რადგანაც ამათ ადთქმა აქვსთ დიდებული ღმერთთან.

[2] მღვდელი კონსტანტინე კაჭარავა, ესე სოფელი კეთილ არს (ისტორიული ალმანახი), თბ., 2004, გვ. 87.

ეკლესიის მამასახლისი იყო ძოკოია ჭაქვაძე. მას ებარა ეკლესიის სამეურნეო საქმეები. კეთილარის ეკლესიაში წირვა-ლოცვა 1924 წლამდე არ შეწყვეტილა. სოფლის სკოლაში საღვთო სჯული უსწავლებია. 1924 წლის აჯანყების ჩახშობის შემდეგ ბოლშევიკებმა ტაძარის დანგრევა განიზრახეს. ამ დროს მთელი სოფელი შეიკრიბა. „ოხვამეკარში“ (ასე უძახდნენ მაშინ სოფლის ცენტრს). ამ „ოპერაციის“ ხელმძღვანელობდა ძოკო მესხია. ტაძარს კიბე მიადგეს. ამ კიბეზე ავიდა სოფლის მტკიცე ბოლშევიკად წოდებული პოლიკარპე ჩაგანავა. აბობღდა კრამიტებზე, მივიდა იქ სადაც იყო ჯვარი დამაგრებული, რამდენჯერმე მოარყია, მერე მოგლიჯა და ძირს გადმოაგდო. ხალხი ამის შემყურე გაოგნდა და გაშეშდა, ზოგი მიწას განერთხა. გამხეცებული კომკავშირლები და მათგან წაქეზებული ზოგი გლეხის ბიჭი „ურას“ ძახილით შევარდა ტაძარში, იქმნა მსხვრევის ხმა. გარეთ გამოყარეს ხატები, წიგნები, ჯვრები საეკლესიო ბაირაღები და ცეცხლი წაუკიდეს. ზოგი ხატი ჩუმ-ჩუმად მოიპარეს გლეხებმა. ასე გააოხრეს ეკლესია, მაგრამ ტაძარის შენობა არ დაუნგრევიათ 1933 წლამდე. აქ იმართებოდა სოფლის კრებები, 1913 წელს ეს შენობა დაშალეს“[1].

2. ნამარნუს ნამოსახლარი

ნამარნუს ნამოსახლარი შედგება დაცემულ ვაკეზე ამოზიდული ოთხი ხელოვნური ბორცვისგან, რომელთა ფართობი 12 ჰექტრამდე აღწევს. აღნიშნულ ბორცვთაგან გაბატონებული მდგომარეობა უკავია ცენტრალურ ბორცვს, მისი ფართობი 2 ჰექტარს უდრის, ხოლო სიმაღლე 5 მეტრამდე აღწევს. მას გარშემო შემოსდევს 50 მ. სიგანის დაჭაობებული არხი. ცენტრალურ ბორცვზე ფიქსირებულ იქნა ოთხი კულტურული ფენა. ყველაზე ზედა ახ. წ. V საუკუნის ერთნავიანი ეკლესიის ნანგრევებითაა წარმოდგენილი. ყველაზე ზედა ფენა ძვ. წ. I ათასწლეულის I ნახევრით თარიღდება[2].

სოფელი ზანათი

იოანე ნათლისმცემლის სახელობის ნაეკლესიარი

სოფლის სასაფლაოსთან იდგა იოანე ნათლისმცემლის სახელობის ხის ეკლესია.

---

[1] მღვდელი კონსტანტინე კაჭარავა, დასახ. ნაშრომი, გვ. 80-81.

[2] თ. პაპუაშვილი, არქეოლოგიური გათხრები და დაზვერვები კოლხეთის დაბლობზე (1983-1986 წწ.), ძეგლის მეგობარი, №4, 1987, გვ. 52.

სოფელი ცილორი

წმ. გიორგის სახელობის ნაეკლესიარი

სოფლის სასაფლაოსთან იდგა წმ. გიორგის სახელობის ხის ეკლესია.

სოფელი ეკალი

წმ. გიორგის სახელობის ნაეკლესიარი

სოფლის სასაფლაოსთან იდგა წმ. გიორგის სახელობის ხის ეკლესია.

სოფელი სამიქელაო

ღვთისმშობლის სახელობის ნაეკლესიარი

სოფლის სასაფლაოსთან იდგა სამიქელაო – ცხენიშის ღვთისმშობლის სახელობის ეკლესია.

თავი XI

ქალაქი ფოთი

1. ფოთის საკათედრო ტაძარი – აია სოფია

ფოთის ცენტრში დგას ძალიან დიდი XX საუკუნის ბოლოს აშენებული ტაძარი, რომლის ისტორიული წარსული შეისწავლა გ. ჩიტაიამ: „1895 წლის 17 ივნისს რუსეთის იმპერატორმა ქუთაისის

სამხედრო გუბერნატორს ნება დართო, შექმნილიყო საკათედრო ტაძრის მშენებლობის განსაკუთრებული კომიტეტი, რომლის მოვალეობაში შედიოდა, აგრეთვე, მთელს იმპერიაში ტაძრის ასაშენებლად შემოწირულობების შეგროვება. 1895 წლის 1 დეკემბერს ქუთაისის სამხედრო გუბერნატორმა განსაკუთრებული კომიტეტის ხელმძღვანელობა დაავალა ნიკო ნიკოლაძეს, რომელსაც განსაზღვრული ჰქონია ქართული არქიტექტურული სტილის ტაძრის აგება, სათანადო პროექტიც შექმნილა, მაგრამ, ჩანს, იგი რუსულმა მმართველობამ დაიწუნა. ამის შემდეგ არქიტექტორების ა. ზელენკოსა და რ. მარფელდის მიერ შემუშავებულ იქნა ახალი პროექტი კონსტანტინეპოლში არსებული წმ. სოფიას ტაძრის მიხედვით. იგი წარმოადგენდა თითქმის მის ზუსტ ასლს, შემცირებული მასშტაბით ტაძარი 2000 მლოცველზე იყო გათვალისწინებული. 1906 წლის 14 სექტემბერს, ჯვართამაღლების დღესასწაულზე, გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსმა გიორგიმ (ალადაშვილი) ტაძრის საძირკველი საზეიმო ვითარებაში აკურთხა. 1907 წლის 22 მაისს, სადამოს 6 საათზე, ტაძრის გუმბათზე ჯვარი აღუმართავთ. ტაძარი ერთ მთლიან რკინა-ბეტონის მონოლოთს წარმოადგენდა. იგი რვა თვის განმავლობაში აშენდა. ახალ საკათედრო ტაძარს სამი ტრაპეზე ჰქონდა, კანკელის ხატები დაწერა რუსეთის სამინისტრო აკადემიის მხატვარმა ვ. დუმიტრაშკომ. იგი მას 1908 წლის ნოემბერში დაუსრულებია. კანკელის ჩრდილოეთის მხარის ხატები შესრულებული იყო ბერძნულ-ბიზანტიურ, სამხრეთი – ქართულ-ბიზანტიურ, ხოლო საშუალო – რუსულ-ბიზანტიურ სტილში. ამ ხატებს შორის ორი – წმ. ნინოსი და წმ. მეფე დავით აღმაშენებლის იყო. 1932 წელს ქალაქ ფოთის კომუნისტურმა ხელისუფლებამ საკათედრო ტაძრის თეატრად გადაკეთების გადაწვეტილება მიიღო, რომელიც სისრულეში 1933 წლისათვის მოიყვანეს. 2005 წლის 18 ნოემბეს აღსდგა ისტორიული სამართლიანობა, საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა თეატრად გადაქცეული ტაძრის გასაღები სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს ილია II-ს გადასცა. ამჟამად მიმდინარეობს აღდგენითი სამუშაოები[1].

2. პალიასტომის ღვთისმშობელის სახელობის ეკლესია და ხატი

პალიასტომის ღვთისმშობლის სახელობის ეკლესიის და ხატის ისტორია შეისწავლა გ. ჩიტაიამ, რომლის ძირითად ნიუანსებს აქვე შემოგთავაზებთ: „ფაზისის სამიტროპოლიტოს საკათედრო ტაძარი, შესაძლოა, ის ეკლესია იყო, რომელსაც აგათია „ქრისტიანეთა შორის სახელგანთქმულ ტაძარს“ უწოდებს. ავტორს იგი პალიასტომთან თუ პალიასტომის ადგილას მდებარე და „თეთროსანი ღვთისმშობლის“ სახელობად მიაჩნია. ვახუშტი ბატონიშვილი პალიასტომის ტბის შესახებ ამბობს: „ამას იტყჳან ნაქალაქევს და შემდგომად მოცულს წყლისაგან“. გადმოცემით, ადამიანთა ცოდვების გამო აღნიშნული ტაძარი ჩაძირულია. ამ ტაძრიდან არის ქუთაისის ყოლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების, რომელსაც ბაგრატის ტაძრის სახელწოდებით ვიცნობთ, „პალიასტომის ღვთისმშობლის“ ხატი, რომელიც ამჟამად ქუთაისის სახელმწიფო

[1] გ. ჩიტაია, ფოთს ღვთისმშობელი იცავს, ფოთის ეპარქია, 2002, გვ. 102-103.

მუზეუმშია დაცული. ამ ხატთან დაკავშირებულია ივერიის ღვთისმშობლის ხატის მსგავსი ლეგენდა. ეს ხატი ქუთაისში ყოფნისას 1650-1655 წწ. უნახავთ რუს ელჩებს ნიკიფორე ტოლოჩანოვსა და ალექსი ივლიევს. მათთვის უამბნიათ, რომ „წინათ ეს ღვთისმშობლის ხატი ციხე-ქალაქ პალიასტომის საკრებულო ტაძარში იდგაო. საყდრის მთავარუხუცესმა სილიბისტრომ ამ ხატის შთაგონებით ჩვენება იხილა, თითქოს სიზმარში მას ღვთისმშობელმა უთხრა, რომ სილიბისტრო მთავარუხუცესი საკრებულ ტაძარში შესულიყო, მისი ყოვლადწმინდა ხატი აეღო და იმ ციხე-ქალაქს წყალში ჩაძირვა მოელისო. მთავარუხუცესმა სიზმარს არ დაუჯერა... ღვთის ნება ასრულდა ამ ციხე-ქალაქზე და ხალხითურთ ჩაიძირა იგი, ხოლო ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატი ღვთის ბრძანებით ამ წარღვნისაგან დაცული იქნა. თავისთავად, უხილავად, ღვთის განგებით ციხე-ქალაქიდან ჰაერზე მოდიოდაო, როცა მთავარხუცესმა ასეთი სასწაული იხილა, მიირბინა და დაეცა სასწაულებრივი ხატის წინაშე, როცა მიუახლოვდა, შეეხო მისი უწმინდესობის ხატს; ყოვლადმინდის ხატი მის ხელებში მიესვენა... კიდევ გამოეცხადა სიზმარში მთავარხუცესს ღვთისმშობელი და ამ უწმინდესი გამოსახულების ქუთასისი ციხე-ქალაქში გადასვენება უბრძანა. მთავარხუცესმა ღვისმშობლის ის ხატი ქუთაისში მიასვენა და საკრებულო ტაძარში მოათავსაო“. როცა რუს ელჩებს ქუთათელ მიტროპოლიტ ზაქარიასათვის უკითხავთ ხატთან დაკავშირებული ამბების სისწორის შესახებ, მას დაუდასტურებია და უთქვამს, რომ ძველ წიგნებში ასე ეწერაო. სამწუხაროა, რომ ამ წიგნებს ჩვენამდე არ მოუღწევია. ამ ლეგენდაში ასახულია დასავლეთ საქართველოში მიმდინარე მოვლენები. კერძოდ, აფხაზთა მეფეები დასავლეთ საქართველოს აერთიანებდნენ, ხოლო ბიზანტია დასუსტებულია, ქვეყანა წალეკილია ხატმებრძოლების მკრეხელობით, მას საქართველოსთვის არ სცალია. თუმცა საქართველოში ეს კრიზისი არ ყოფილა, მაგრამ შესაძლოა IX საუკუნის შუა ხანებში ბიზანტიაში დამარცხებულმა ხატმებრძოლების წარმომადგენლებმა ფაზისს შეაფარეს თავი. იქნებ ადგილობრივი მცხოვრებნი არაფერ შუაში არიან. იქნებ მათ გაერიდა „პალიასტომის ღვთისმშობლის ხატი.

საკუთრივ „პალიასტომის ღვთისმშობლის ხატი“ XIV-XV საუკუნეების ქართული ოქრომჭედლობის შესანიშნავი ნიმუშია. იგი ზომით 132X93 სმ-ია. მასზე არსებული წარწერიდან ვიგებთ, რომ ის ძველის განახლებულ პირს წარმოადგენს. თ. საყვარელიძე აღნიშნავს, რომ ეს ხატი დასავლურ-ქართული წარმომალობის ერთი იმ იშვიათი ნიმუშთაგანია, სადაც მთავარ გამოსახულებათა პირისახეები ფერწერითაა შესრულებული. ადვილი შესაძლებელია, ასეთი გამონაკლისი ამ შემთხვევაში თავდაპირველი, სწორედ იმ „პირველ მოჭედილ“ ხატით – საკუთრივ „პალიასტომის ღვთისმშობლით იყოს განპირობებული“. არშიები მოცილუქთა ექვს-ექვსი სრული, ზედა და ქვედა არშიაზე – ნახევარფიგურებია. ზემოთ „ვედრება“ აქეთ-იქით მთავარანგელოზებით და კიდეებში იოაკიმესა და ანას გამოსახულებით. ქვემოთ შვიდი მედალიონია (ერთი მარჯვენა კუთხეში მოვარაყებულია) მათზე ეკლესიის წმ. მამანი და დედანი არიან გამოსახულნი. ხატი 123 ძვირფასი თვალითა და მარგალიტით არის შემკული.

ფაზისის ძველი საკათედრო ტაძრის არსებობა რომ სინამდვილეა და პალიასტომის ხატთან დაკავშირებული ლეგენდა გამოგონილი არ უნდა იყოს. ამას ადასტურებს 1910 წლის 4 დეკემბერს თედო ჟორდანიას მიერ იონა მეუნარგიასადმი მიწერილი წერილი, სადაც ის ამბობს: „ფოთის ზღთისაგან დაღუპვის ამბავი მითოლოგია როდია, არც პალიასტომის ღვთისშობლის ამბავია სიტყვის მასალად ხმარებული, რადგან (გწამდეს)

მე უსაბუთოდ არას ვწერ“. სამწუხაროდ, ჩვენთვის უცნობია რა საბუთები გააჩნდა თედო ჟორდანიას. 1985 წელს მნიშვნელოვან აღმოჩენას ჰქონდა ადგილი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიური კვლევის ცენტრის შავი ზღვისპირეთის ჰიდროარქეოლოგიურმა ექვპედიციამ გელა გამყრელიძის ხელმძღვანელობით შეისწავლა პალიასტომის ტბა. ყველაზე ძველი (ძვ. წ. IV) ს.) მასალები დადასტურდა ტყის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში, ხოლო სამხრეთით და იმ ადგილას, რომელსაც „ნაეკლესიარს“ ეძახიან, დადასტურდა ქვის ნაგებობის ნაშთები“[1].

3. წმ. ოლღას სახელობის ეკლესია

ფოთის წმ. ოლღას სახელობის ეკლესიის ისტორიაც შეისწავლა გ. ჩიტაიამ: „წმ. ოლღას სახელობის ეკლესიის შესახებ პირველი ცნობა ნ. ნიკოლაძესთანაა დაცული. მას 1871 წელს გაზეთ „დროებაში“ გამოუქვეყნებია სტატია სათაურით „ფოთი“, სადაც წერს: „კუნძულზე კი, რომელიც რიონის ტოტებს შორის არის, ცოტაოდენი შენობები სდგას, იმათ შორის ერთი ახლად აშენებული ეკლესიაა“. ამ ტაძარს ხალხი ხან „დიდ კუნძულს“ და ხან „სამხედრო ეკლესიას უწოდებდა“ აღნიშნული ტაძარი ფოთის მუზეუმში დაცული მასალების მიხედვით XIX საუკუნის 60-იან წლებში აშენებულა ინჟინერ მეიერის სალმძღვანელობით. ნ. ნიკოლაძის ცნობით, იგი იმერეთის ეპისკოპოს გაბრიელს უკურთხებია. ეკლესია აშენებულია ქალაქის ხელმძღვანელობის, კუნძულის უბნის მუშა-მოსამსახურეთა და მცხოვრებთა შემოწირულობებით. თავდაპირველად ეკლესია საეპარქიო შტატში არ ყოფილა შეყვანილი და გაბრიელ ეპისკოპოსს ქალაქის საკრებულო ტაძრიდან დროებით დაუნიშნავს მღვდელი. იმ დროისათვის რუსეთის არმიის ერთი ბატალიონი საკუთარი მღვდლით დაბანაკებული ყოფილა ნავსადგურის „შუქურას“ მიდამოებში. ბატალიონის ხელმძღვანელობას უთხოვია გაბრიელ ეპისკოპოსისთვის, ნება დაერთო, რომ აღნიშნულ ეკლესიაში მღვდელმსახურება ჩაეტარებინა ბატალიონის მღვდელს, იმ პირობით, რომ იგი მოემსახურებოდა კუნძულის უბნის მცხოვრებლებსაც. რაზეც ეპისკოპოსმა თანხმობა მისცა. ფაქტობრივად, ეკლესია დროებით სამხედრო უწყებას გადაეცა. ამ მიზეზით ეკლესიის „გაშტატება“ დიდი ხნით შეფერხდა და ხალხმა მას სამხედრო ეკლესია“ უწოდა იმის გამო, რომ სამხედრო ნაწილის მღვდელი ჯართან ერთად ხშირად იცვლიდა ადგილს, ვერ აკმაყოფილებდა ადგილობრივ მცხოვრებთა სულიერ მოთხოვნებს, რაც მათი მხრიდან უკმაყოფილებას იწვევდა. 1898 წელს გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსმა ალექსანდრემ ეკლესია საეპარქიო შტატში აიყვანა და დაუნიშნა საეკლესიო კრებული. ეკლესია მიწერილ იქნა ქალაქის საკრებულო ტაძართან. ამან გამოიწვია დავა საეკლესიო და სამხედრო უწყებას შორის. სამხედრო ხელმძღვანელობამ არ დაუშვა ადგილობრივი მღვდელი საყდარში. მდგომარეობა იმდენად გამწვავდა, რომ ალექსანდრე ეპისკოპოსმა გადაწყვიტა, ქალაქის მმართველობის წინაშე დაეყენებინა საკითხი კუნძულზე ახალი ეკლესიის აგების შესახებ. ნავსადგური წინამძღვრობდა ეკლესიის მშვენებლობას. მოიძებნა აგრეთვე მიწერ-მოწერა და შეთანხმება გაბრიელ ეპისკოპოსს და სამხედრო უწყებას შორის ეკლესიის დროებით სამხედროებზე გადაცემის შესახებ. ამის შემდეგ ეკლესია დაუბრუნდა მის კანონიერ მფლობელს – გურია-სამეგრელოს ეპარქიას და კუნძულის უბნის მცხოვრებლებს. თუმცა, ხალხი მას ძველებურად კვლავ „სამხედრო ეკლესიას“ უწოდებდა.

[1] გ. ჩიტაია, დასახ. ნაშრომი, გვ. 21-31.

არსებობს 1936 წელს საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისადმი გაგზავნილი დოკუმენტი, რომელსაც ხელს აწერენ ფოთის ქალაქის საბჭოს თავმჯდომარე ა. ადანაია და საბჭოს მდივანი დ. თავბერიძე, რომლის მიხედვით, წმ. ოლღას სახელობის ეკლესია „ფართე მასების მოთხოვნილებით“ სხვა ეკლესიებთან ერთად დაიხურა 1923 წ. მარტში. ქალაქის არქივში დაცულია XX საუკუნის 20-იან წლებში დაწერილი თხოვნა-განცხადებები ფოთის ქალაქის აღმასკომისადმი წმ. ოლღას სახელობის ეკლესიის გახსნის შესახებ, რომლებსაც კუნძულისა და ნაბადის უბნის მცხოვრებნი აწერენ ხელს. არსებობს იუსტიციის სახალხო კომისარიატთან არსებული კულტურის განყოფილების მიერ შედგენილი დოკუმენტი გრიფით „საიდუმლო“, რომელიც ყველა მაზრის აღმასკომს გაეგზავნა. დოკუმენტში ნათქვამია: „ამით გაცნობებთ, რომ ყველა სამისიონერო, სამხედრო ეკლესიები და მონასტრები არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება დაუბრუნდეთ მორწმუნეთ“. ბუნებრივია, მიუხედავად იმისა, რომ წმ. ოლღას სახელობის ეკლესია სულაც არ ყოფილა „სამხედრო“, უღმრთო ხელისუფლებამ იგი მორწმუნეთ არ დაუბრუნა. ამ ტაძრის უკანასკნელი მღვდლის ბეგლარ კაჭარავას შვილის ივანე კაჭარავას მოგონების მიხედვით, რომელიც ფოთის მუზეუმის თანამშრომლებს – ი. გვილავას და ი. ბიბილურს ჩაუწერიათ 1990 წელს, ეკლესიას „სამხედრო საწყობად იყენებდნენ. შემდეგ არტელი გაუხსნიათ, 1941-45 წლებში კი უკრაინელი ლტოვილები ცხოვრობდნენ“. საპატრიარქოს არქივში დაცული დოკუმენტის მიხედვით ტაძარი, 1946 წელს ძლიერ დაზიანებული იდგა. ივანე კაჭარავას მოგონების მიხედვით კი 1947 წელს საერთოდ დაუნგრევიათ. ფოთელები საეკლესიო საქმეებს დიდი პატივით ეპყრობოდნენ. ეს იქიდანაც ჩანს, რომ თუ 1887 წლამდე ქალაქის ცენტრში არცერთი ქვის შენობა არ მდგარა, ამ წელს აუგიათ გურია-სამეგრელოს ეპარქიის კანცელარიისა და საეპარქიო რეზიდენციის აგურის ლამაზი შენობა, რომელიც, როგორც სერგო გუბელიძე აღნიშნავს, „დღესაც კარგად ერწყმის მოედნისა და საქალაქო ბაღის არქიტექტურულ ანსამბლს“[1].

4. წმ. ალექსანდრე ნეველის სახელობის ფოთის საკრებულო ტაძარი

გ. ჩიტაიას გამოკვლევით, ფოთის ალექსანდრე ნეველის სახელობის საკრებულო ტაძარი XIX საუკუნის 70-იან წლებში აშენებულა, XIX საუკუნის ბოლოს ტაძარს შეკეთება დასჭირდა. ხის კედლები აგურით შეცვალეს და ფაქტობრივად ახლად ააგეს. ამ საქმეში დიდი წვლილი შეუტანიათ ფოთელ ვაჭარს კ. თოფურიძეს და ტაძრის მნათეს ი. ანცევს. განახლებული ტაძარი გურია-სამეგრელოს ეპისკოპოს ალექსანდრეს უკურთხებია 1901 წ. 11 ნოემბერს. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, 1923 წ. მარტში ტაძარი „ფართო მასის მოთხოვნილებით“ დაიხურა. 1923 წ. 24 ივლისს საქართველოს ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა მიიღო ინსტრუქცია რელიგიურ საზოგადოებათა რეგისტრაციისა და ამ საზოგადოებათა ყრილობის მოწვევის შესახებ, რომლის საფუძველზე ქალაქისა და რაიონის აღმასრულებელ კომიტეტებს უფლება ეძლეოდათ საკულტო ნაგებობების გახსნისა. 1923 წელს ოქტომბერში დაფუძნდა „მართლმადიდებელი ქრისტიანული რელიგიის ქალაქ ფოთის სამრევლო საზოგადოება“. მიუხედავადა იმისა რომ სამრევლო საზოგადოების მიერ გაფორმდა სათანადო დოკუმენტები, ხელისუფლება ტაძარში ღვთისმსახურების განახლების ნებართვის მიცემას აჭიანურებდა. 1925 წლის იანვარში ტაძარში ღვთისმსახურება განახლდა. სამრევლო საბჭო ვალდებული იყო სახელმწიფოსთვის ეხადა „სატაძრო გადასახადი“, რომელიც ყოველწლიურად იზრდებოდა და ღარიბი

[1] გ. ჩიტაია, დასახ. ნაშრომი, გვ. 30-32.

მრევლი ტაძრის დახურვის მუდმივი საფრთხის ქვეშ იმყოფებოდა. 1931 წელს სწორედ გადასახადის შეუტანლობის საბაბით ხელისუფლებამ ტაძარი დახურა. ქალაქის ხელმძღვანელები ტაძარის ხან განათლების სახლად, ხან გლეხთა სახლად, ბოლოს ფიზკულტურის დარბაზად გადაცეთებას აპირებდნენ. 1932 წელს ფოთის საკრებულო ეკლესის დახურვის შესახებ ქალაქის საბჭომ აცნობა საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარეს ფილიპე მახარაძეს, რომელმაც ურჩია გაეუქმებინა გადაწვეტილება ტაძრის დახურვის შესახებ და მიიღო სხვა ზომები გადასახადის ამოსაღებად. ფოთის ხელისუფლებამ მოგვიანებით თავის მიზანს მიაღწია. ფოთის ქალაქის საბჭოს პრეზიდიუმის 1934 წ. 23 აპრილის ოქმის №102 მიხედვით „იმავე წელს ხელისუფლების მიერ ფოთის საკრებულო ტაძარი დაშლილ იქნა“[1].

5. ნახუტურუს წმ. ნიკოლოზის სახელობის ნაეკლესიარი

გ. ჩიტაიას გამოკვლევით, „წმ. ნიკოლოზის სახელობის ეკლესიას ხალხი „სასაფლაოს“, ხარ კიდევ „ნუხუტურუს“ ეკლესიას ეძახდა. არსებობს დოკუმენტი, რომლის მიხედვითაც წმ. ნიკოლოზის სახელობის ტაძართან არსებული სასაფლაო ქალაქთან ერთად გაჩნდა, ხოლო ტაძარი შემდეგ აშენდა. ალბათ, ამის გამო უწოდებდნენ მას „სასაფლაოს“ ეკლესიას. 1885 წ. ქალაქის საბჭოში განცხადება შესულა – სასაფლაოს ახლომდებარე უბნების მცხოვრებლები სასაფლაოზე სამლოცველოს გახსნას ითხოვდნენ. განცხადებას ხელს აწერდნენ პეტრე კაიტატიანი, გიგი კონწურაშვილი, ანდრია თურქია, ლაზარე ეჯიბია, ფილიპე კაჭარავა ანდრია სურგულაძე, სპირიდონ ჩიტაია, პართენ გუჯაბიძე, კოსტა ჩემია, ეგნატე კირცხალია. ქალაქის ხელმძღვანელობამ შუამდგომლობა აღძრა იმერეთის ეპისკოპოს გაბრიელის წინაშე, ხოლო შემოწირულობების ორგანიზაცია დაევალათ ლაზარევიჩს, ანცევს, ხუბარაძეს, თურქიას. გაბრიელ ეპისკოპოსმა სასაფლაოზე არა თუ სამლოცველოს, არამედ ეკლესიის აშენება ჩათვალა საჭიროდ. ეკლესიის მშენებლობის საერთო ხელმძღვანელობა სასაფლაოს მღვდელ გიორგი კვირკველიას დაევალა. მან ტაძრის პროექტი 1991 წ. 29 მარტს გურია-სამეგრელოს ეპისკოპოს გრიგოლს წარუგზავნა დასამტკიცებლად. ტაძარი ხის მასალისაგან აშენდა და დასრულდა 1892 წ. 4 აგვისტოს. 1904 წ. გაზეთ „ჩერნომორსკი ვესტნიკის“ მიხედვით, წმ. ნიკოლოზის სახელობის ეკლესიას დროისა და კლიმატური პირობების გამო შეკეთება დასჭირდა. რის შესახებაც მრევლმა თხოვნით მიმართა ეპარქალური საბჭოს ეპისკოპოსს ნებართვით მრევლმა სამუშაო უმოკლეს დროში შეასრულა – დაიწყო მაისში და დაასრულა 1 დეკემბერს ხის სახლები შეიცვალა აგურით, განახლდა კანკელი და ჭერი, გადაიხურა თუნუქით. ეს სამუშაოები 3000 მანეთი დაჯდა აქედან 1000 მანეთი ქალაქის მმართველობამ გაიღო, დანარჩენი კი საეპარქიო საბჭომ და მრევლმა. 1904 წ. 19 დეკემბერს ტაძარი გურია სამეგრელოს ეპისკოპოსმა დიმიტრიმ აკურთხა ტაძრისათვის ქვის სამრევლო მიუშენებია ბერძენ გერასიმე მეტაქსას, რომელიც გარდაცვალების შემდეგ ამ სამრევლოს ქვეშ გაუსათლავებიათ. 1923 წ. მარტში ბოლშევიკურმა ხელისუფლებამ წმ. ნიკოლოზის სახელობის ეკლესიაში მღვდელმსახურება აკრძალა საქართველოს იუსტიციისა და შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის მიერ რელიგიურ საზოგადოებათა რეგისტრაციის შესახებ. 1923 წ. 22 სექტემბერს. გამოცემული ინსტრუქიის საფუძველზე შედგარ მორწმუნეთა საზოგადოების შეამდგომლობის თანახმად ქალაქის საბჭოს დადგენილებით 1924 წ. აპრილში ტაძარში ღვთისმსახურება აღდგა იგი იმ დროისათვის მთელს ეპარქიაში ერთადერთი მოქმედი ეკლესია იყო პირველი წირვა ეპისკოპოს სიმონ

[1] გ. ჩიტაია, დასახ. ნაშრომი, გვ. 32-34.

ჭყონდიდელს 1924 წ. თომას კვირიაკეს შეუსრულებია. ეპისკოპოსი სიმონ ჭყონდიდელი გადმოგვცემს, რომ ხალხი ისე დაუმახინჯებია ხელისუფლებას, ბევრი ეკლესიაში მისვლას ვერ ბედავდა. 1931-32 წლებში წმ. ნიკოლოზის სახელობის ეკლესია კვლავ დახურული ჩანს. საბაბი ეკლესიის დახურვისა გამხდარა ხელისუფლების მიერ დაწესებული მაღალი გადასახადები, რომლის გადახდა ღარიბ მრევლს არ შეეძლო. უბნის ათეისტებს გადაუწყვეტიათ ეკლესიის დარღვევა და ამ მასალით კლუბის აშენება. 1936 წელს ეკლესია კვლავ მოქმედებს. ამის შემდეგ ეკლესია მალე დაიხურა, ხოლო შენობას სხვადახსვა დანიშნულებით იყენებდნენ, მაგალითად 1953 წ. სამხედროებს იქ საწყობი ჰქონდათ გამართული[1].

ფოთის წმ. ნიკოლოზის სახელობის ხის ტაძარი აღადგინეს და გაიხსნა 1992 წელს. მის აღდგენაში დიდი ღვაწლი მიუძღვის ფოთის მკვიდრს რომან მელიას. ტაძრის წინამძღვარია დეკანოზი კონსტანტინე ბურჯანაძე. XX საუკუნის II ნახევრის დასაწყისში დეკანოზმა კოსმა კვირცხალიამ ფოთის ნავსადგურის „შუქურას“ სასაფლაოსთან სამლოცველო ააგო. დღესანდელი სახე ტაძარს ამავე ეკლესიის წინამძღვარმა დეკანოზმა თეიმურაზ გოგიაშვილმა 1993 წელს მართლმადიდებელი ქრისტიანის იური კეშელავას თანადგომით შესძინა. ტაძარი ივერიის ყოვლადწმინდა ღვითსმშობლის ხატის სახელს ატარებს[2].

6. წმ. ილია მართლის სახელობის ეკლესია

ქ. ფოთის შესასვლელში ნაბადის უბანში დგას წმ. ილია მართლის სახელობის ეკლესია, რომელიც აშენდა 90-იან წლებში.

7. ივერიის ღვთისმშობლის სახელობის ეკლესია

ე. წ. „ოსტროვის“ (კუნძულის) უბანში დგას 1954 წელს აშენებული ივერის ღვთისმშობლის სახელობის ეკლესია.

---

[1] გ. ჩიტაია, დასახ. ნაშრომი, გვ. 35-37.
[2] გ. ჩიტაია, დასახ. ნაშრომი, გვ.37.

8. წმ. ნიკოლოზის სახელობის ეკლესია

წმ. ნიკოლოზის სახელობის ეკლესია მდებარეობს მალთაყვის სასაფლაოსთან. ტაძარი საკმაოდ დიდია და ის ახლად არის რესტავრირებული, აუშენებიათ 1890 წელს.

9. წმ. ნიკოლოზის სახელობის ეკლესია

ფოთის პორტთან დგას წმ. ნ იკოლოზის სახელობის ახლად აშენებული პატარა ეკლესია.

10. ანდრია პირველწოდებულის სახელობის ეკლესია

პორტის უბანში შენდება ანდრია პირველწოდებულის სახელობის ეკლესია.

11. სტაროვერების (ძველმოწამეები) მარიამ ღვთისმშობლის საბურველის სახელობის ეკლესია

სტაროვერების დასახლებაში დგას დაახლოებით 10 წლის უკან აშენებული ეკლესია. მანამდე აქ მდგარა ხის ეკლესია. სტაროვერები აქ პირველად დაახლოებით 1911 წელს, შემდეგ კი 1925 წელს ჩამოსულან თურქეთიდან.



12. კუნძულის უბნის ნაეკლესიარი

კუნძულის უბანში ზღვის პირას იქ, სადაც დგას საბავშვო ბაღის შენობა, ადგილობრივთა გადმოცემით, იდგა ეკლესია.

13. ფოთის ციხე

1712 წლის საბუთში აღნიშნულია, რომ „ოსმალთა ფოთს დასვეს ფაშა და ციხე აღაშენეს“[1]. ხოლო 1809 წლის ნოემბერში „ქნ ჟუზ ქ. ფოთის ციხე რუსებს აუღიათ[2].

ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით, „ხოლო რიონის თუალზედ, სამჴრეთის კიდესა ზედა, არს ფოთის ციხე, რომელი აღაშენეს ოსმალთა წელსა ჩ ღკე, ქართულსა უ იგ, ნავსადგურობისათჳს, და დგანან მუნ მხდომარის ფაშით. აქ ერთვის რიონს მცირე მდინარე“[3].

---

[1] ქრონიკები, III, თბ. 1967 წ., გვ. 72.
[2] ქრონიკები, III, თბ. 1967 წ., გვ. 629.
[3] ქართლის ცხოვრება, ტ. IV, თბ. 1973, გვ. 789-790.

აღნიშნულია, რომ „მეფემან ამან სოლომონ ოდეს იხილა, რ ლ ვერ განთავისუფლდების ოსმალთ მქონებისაგან, ამისთვის ევედრა როსიისა იმპერატრიცას ეკატერინა მესამესა. მან წარმოუვლინა მხედრობა და აღიღეს ციხე ქუთათისისა, შორაპანისა, ცუცხვათისა და ბაღდადისა და მრავალნი მოსრნეს, მოსწყვიდნეს ოსმალნი და სხვა დაშთომილნი განდევნეს და იქმნა თავისუფალ მეფედ სოლომონ. ხ შ დ წარმოვიდნენ, იწინამძღვრეს დადიანი და შემოადგენ ფოთის ციხესა, გარნა ვერ აღიღეს და შ დ განვლეს იმერეთი და წარვიდენ საქართველოთი რუსეთადვე წელს ქ ესით 1770. შ დ მეორესა წელსა მოვიდნენ კ დ რუსნი და შემოადგნენ კ დ წინამძღვრობითა დადიანისათა ფოთს, გარნა ვერცა მაშინ აღიღეს და დასწამეს გამაგრება ფოთისა თავადსა სამენგრელოსასა ხახუს ჩიჩუას, შეიპყრეს რუსთა, წარვიდენ და თანა წარიყვანეს ჩიჩუაცა და მიიწივნენ რა მოსდოქს, მოკვდა მუნ ჩიჩუა და დაფლეს“[1].

ფოთსა და ანაკლიაში 1769 წელს მდგარა თურქების გარნიზონი[2]

1770 წლის კაპიტან იაზიკოვის ჩანაწერებში აღნიშნულია, რომ თურქებს ფოთის ციხე აუშენებიათ ოცი წლის უკან, რომელიც გამაგრებულია ფორტიფიკაციის პრინციპებით ოთხი ბასტიონი. არკის და გარეგანი გამაგრებების გარეშე. შავი ზღთის სანაპიროზე ასევე არის ციხე-სიმაგრე აკუ, მეორე რუხი და მესამე ანაკლია – ძველი პატარა სიმაგრე. ამ ორ უკანასკნელში თურქები იყო დაახლოებით ოცი კაცი, ხოლო სამეგრელოში ჩვენი კორპუსის ჩასვლის შემდეგ თურქები იქიდან გაიქცნენ. ხოლო კედლების ჩვენს მიერ განადგურებულ იქნა. სამეგრელოს მთავარს კიდევ სამი პატარა სიმაგრე აქვს.[3]

ოსმალურ დოკუმენტურ წყაროებში საკმაოდ დეტალურადაა აღწერილი ფოთის ციხის მშენებლობის დრო, ხარჯები და იქ მდგარი გარნიზონის რაოდენობა და დანიშნულება[4].

ფოთის ძველი ციხის შესახებ საკმაოდ საყურადღებო ცნობებს გვაწვდის ჟ. შარდენი: „...ამ მდინარის შესართავთან მრავალი პატარა, მეტად ლამაზი ტყით დაფარული კუნძულია, რაც ხელს უშლის დიდი გემების ნაოსნობას, რომლებიც იძულებული არიან შესართავიდან სამი ან ოთხი მილის დაცილებით გაჩერდნენ. ამ კუნძულებიდან ყველაზე დიდ კუნძულზე დასავლეთის მხრიდან ციხის ნანგრევები მოჩანს, რომელიც თურქებმა ააშენეს. ეს იყო სულთანი მურადი, რომლის ბრძანებითაც ააგეს იგი 1578 წ. უფრო სწორად, იგი ააგო მისი ჯარის მთავარსარდალმა მუსტაფამ თურქებსა და სპარსელებს შორის დიდი ომების დროს. თურქთა ამ იმპერატორმა განიზრახა შავი ზღვის ჩრდილოეთი და დასავლეთი მხარეების დაპყრობა, მაგრამ მისი განზრახვა ვერ განხორციელდა. მან უბრძანა გალერებს ფაზისს აღმა აყოლოდნენ, მაგრამ იმერეთის მეფე იმ ადგილზე, სადაც მდინარე მეტად ვიწროა, ჩაუსაფრდა და დიდი ზიანი მიაყენა მურადის გალერებს, ერთი ჩაიძირა, სხვებმა კი გაქცევით უშველეს თავს. ფაზისის ციხე-სიმაგრე 1640 წელს იმერეთის, გურიისა და სამეგრელოს

---

[1] ს. კაკაბაძე, წერილები და მასალები საქართველოს ისტორიისათვის, წ. I, თბ., 1914, გვ. 86.

[2] Грамоти и другие исторические документы XVIII столетия отношение к Грузии, Т. I, с. 1768 по 1774 год. Под ред. А. А. Цагарели, СПб., 1891, გვ. 73.

[3] Грамоти и другие исторические документы, დასახ. ნაშრომი, გვ. 261.

[4] ოსმალური დოკუმენტური წყაროები საქართველოსა და ამიერკავკასიის შესახებ (XVII-XVIII სს.) წ. II, თურქული ტექსტი ქართული თარგმანით, შესავლით, ფაქსიმილიებით და საძიებლებით გამოსაცემად მოამზადეს ასპ ასუჰ ველკოტამ და ნოდარ შენგელიამ, თბ., 1989, გვ. 18-89.

შეერთებულმა ჯარებმა აიღეს და მიწასთან გაასწორეს. ოცდახუთი ზარბაზანი, რომელიც იქ იყო, იმერეთის მეფის განკარგულებით გადაიტენეს ქუთაისის ციხეში და დღესაც იქ დგას. მაგრამ ისინი კვლავ თურქებს ჩაუვარდათ ხელში, როდესაც მათ ეს ციხე აიღეს“[1].

ჟან ფრანუსა გამბას ცნობით, „რონსკაიას ციხესიმაგრესთან ფაზისის სიგანე მეოთხედ ლიეს უდრის. ოდნავ მოშორებით იგი ორად იტოტება, რომელთაც ერთმანეთისაგან ტყით დაფარული პატარა კუნძული ჰყოფს; დღეს ეს კუნძული დაუსახლებელია, რამდენიმე წლის წინათ კი ამ კიბელეს სახელზე ნაკურთხი ტაძრის ნაშთი მოჩანდა. ფაზისის მარცხნივ ფოთის ციხესიმაგრეა. მას თურქები ფლობენ და ამის გამო რუსეთი მოკლებულია ამ მდინარეზე ნაოსნობის შესაძლებლობას“[2].

ა. ბერჟე კი გვატყობინებს, რომ, „თურქებს დიდი გავლენა არა აქვთ სამეგრელოზე, მაგრამ მათ ჰყავთ მცირე გარნიზონი ფოთის ციხე-სიმაგრეში“[3].

ე. აიხვალდი, ფოთის ციხეს ასახელებს ზღვისპირას და აღნიშნავს, რომ „რიონი იმ ადგილას ძალზედ განიერია; მის გადალახვას 15 წუთზე მეტი უნდა და ამიტომ საჭიროების შემთხვევაში მკაცრ მეთვალყურეობას მოითხოვს. რიონის ჩრდილოეთი ნაპირი უფრო მაღალია და იმის გამო, რომ ციების გამავრცელებული მავნე ანაორთქლი აქამდე ნაკლებად აღწევს, მდინარის მარჯვენა ნაპირას ციხე-სიმაგრე ააგეს, რომელსაც რიონსკს უწოდებენ. იგი ევროპული ყაიდის ომს დიდ წინააღმდეგობას ვერ გაუწევს. საკუთრივ ფოთი (ანუ ფაშ-კალე) მდებარეობს მდინარის მარცხენა ნაპირზე, აშმორებულ დაბლობზე“[4]. „ორი ოფიცრის და ექიმის თანხლებით, მშვენიერ ამინდში ნავით ავყევით რიონს იმ ადგილის საძებნელად, სადაც დიუბუა დე მონპერესა და კარლ კოხის ცნობით, ძველი ციხის ნანგრევები უნდა ყოფილიყო შემონახული. ჩვენი ცდა ამაო აღმოჩნდა. სტრაბონის გადმოცემით, ფაზისი რიონის შესართვათან მდებარეობს. მაშინ როდესაც ისინი ნაპირიდან ერთი საათის სავალითაა დაშორებული. თუ ადგილმდებარეობას უფრო გულმოდგინეთ დააკვირდებით, ამ მდგომარეობას ახსნა მოეძებნება. მდინარეს ყოველწლიურად მაღალი მთებიდან შლამი და რიყის ქვა ჩამოაქვს და შესართავთან ტოვებს. ამის შედეგად თითქმის ორი ათასი წლის განმავლობაში მნიშვნელოვანი დელტა გაჩნდა, რომელიც ყოველი საუკუნის შემდეგ მატულობდა“[5].

მ. ვაგნერის ცნობით, „თურქები მიერ აშენებული რუსული ციხე ფოთი ფაზისის მარცხენა ნაპირზე არაფერს ღირსშესანიშნავს არ შეიცავს. მისგან მცირე მოშორებით არის გამაგრებული რომაული სასახლის ნანგრევები. ქალაქი ფაზისი, განთქმული ემპორიუმი კოლხურ სანაპიროზე, მდებარეობდა დელტაში, რომელსაც ქმნიან რიონი, პალიასტომის ტბა და იქიდან მდინარის კალაპოტისკენ გაყვანილი ვიწრო არხი. დიუბუამ ოთხკუთხა რომაული ციხის ნანგრევების აგურის ნატეხები აღმოაჩინა

---

[1] ჟ. შარდენის მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში (ცნობები საქართველოს შესახებ), ფრანგულიდან ფარგმნა, გამოკვლევები და კომენტარები დაურთო მზია მგალობლიშვილმა, თბ., 1975, გვ. 258-259.

[2] ჟაკ ფრანსუა გამბა, მოგზაურობა ამიერკავკასიაში, თ. I, თბ., 1987, გვ. 104-105.

[3] А. Д. Берже.

[4] კ. კოხისა და ო. სპენსერის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, გერმანულიდან თარგმნა, შესავალი კომენტარებით დაურთო დ. მამაკაშვილმა, თბ., 1981, გვ. 169.

[5] კ. კოხისა და ო. სპენსერის ცნობები დასახ. ნაშრომი, გვ 172-173.

მცენარეულით დაფარულ ჭაობიან ნიადაგში და კოლხების ამ დიდი ემპორიუმის მდებარეობის შესახებ მნიშვნელოვანი გამოკვლევა დაწერა“[1].

ფოთის კოშკი, აღწერა გ. ჩიტაიამ, რომელსაც ავტორი ძველი ფოთის ციხის ნაშთად მიიჩნევს. მისი თქმით, „1453 წელს თურქების მიერ კონსტანტინეპოლის აღების შემდეგ ქართული ზღვაოსნობა რომ მოეშალათ, თურქებმა 1578 წელს ფოთი აიღეს და იქაურ ციხეში თავიანთი გარნიზოგი ჩააყენეს. 1640 წელს სამეგრელოს მთავარმა ლევან II დადიანმა ფოთი აიღო, ციხე საფუძვლამდე დაანგრია, ზარბაზნები კი ნადავლად წამოიღო. 1725 წელს ფოთი ისევ დაიპყრეს თურქებმა და იქ ახალი ციხე-სიმაგრე ააშენეს, რომელსაც ოთხკუთხედი ფორმა ჰქონდა, იგი ოთხივე კუთხეში კოშკით იყო გამაგრებული. 1828 წელს ფოთი საქართველოს დაუბრუნდა. მოგვიანებით ციხე დაშალეს, ნაწილი ძირითადად ნავსადგურის მშენებლობაში გამოიყენეს. ფოთის კოშკი იმ ციხის ნაშთია. XIX საუკუნის ბოლოს ფოთში მოღვაწეობისას ნიკო ნიკოლაძემ კოშკი ქალაქის თავის სამუშაო რეზიდენციად გადააქცია. ამდამად კოშკში ნიკო ნიკოლაძის მუზეუმი ფუნქციონირებს“[2].

14. ზღვისპირას და ფოთის შემოგარენში მდებარე ციხეები და ეკლესიები წერილობითი წყაროების მიხედვით

ე. ჩელების ცნობით, „ისევ სამეგრელოს საზღვრებში მდებარე ნავსადგურ სუკარიში მივედით. ყურე აქვს. იგი გავიარეთ და მივედით ნავსადგურ ჰანდრაში, რომელსაც ყურე არ აქვს. ნავსადგურ სივრის აქვს ყურე და ერთი დანგრეული წისქვილი. ნავსადგურ ჲავისას ყურე და გავერანებული ციხე აქვს. ამ [ციხე]ში მეგრელი მწყემსები ცხვრებს და თხებს აზამთრებენ. აქედან ნავსადგურ რაბჩაში მივედით. ყურე არ აქვს. მხოლოდ ერთი დიდი დანგრეული ციხეა. ყველა ეს ხუთი ნავსადგური სამეგრელოს საზღვრებშია.[3]“

არქ. ლამბერტი ყურადღებას აქცევს კოლხეთის დაბლობის ბუნებრივად გამაგრებულ მდგომარეობას, და ის ზღვის მხარეს რამდენიმე ხის ციხეს ასახელებს: „ბუნებას ისე მშვენივრად მოუწყვია კოლხიდა, მთებიც და ვაკეც ისეა აქ შეზავებული, რომ ნაირ-ნაირი მდებარეობით იგი შესანიშნავია წინ, ზღვის პირად, სულ ვაკეა. ამ ვაკეზე მრავალი ტყე და ჭაობია, რომელიც ბუნებას თითქოს განგებ გაუჩენიაო, რათა მტერი არ შემოუშვას ზღვითაო. უკან კი არტყია უმაღლესი კავკასიის მთები, რომლებიც აგრეთვე მაგარ კედლად უდგას და იცავს კოლხიდას იმ ბარბაროსებისაგან, რომელიც მთების იქით ცხოვრობენ. ამრიგად კოლხიდა, ბუნებით დაცულია მტრებისაგან, როგორც ზღვით ისე მთებით. ხოლო რაც ბუნებას დაჰკლებია, ის მთავრების მეცადინეობას და მოხერხებულობას დაუსრულებია. მართლაც, ზღვის მხრივ ზოგან არც ტყე არის და არც ჭაობი და იქიდან მტერი ადვილად შესძლებდა შემოსვლას. ამ ადგილების დასაცველად აუშენებიათ რამდენიმე ხის ციხე, სადაც თოფით შეიარაღებული მცველები დგანან. ასეთივე საშუალება აქვთ ნახმარი მთების მხრიდანაც. რადგან ერთ ადგილს,

---

[1] მორიც ვაგნერი საქართველოს შესახებ, გერმანული ტექსტი თარგმნა, შესავალი, კომენტარები და საძიებლები დაურთო გ. გელაშვილმა, თბ., 2002, გვ. 148.

[2] გ. ჩიტაია, დასახ. ნაშრომი, გვ. 100-101.

[3] ევლია ჩელების „მოგზაურობის წიგნი“, ნაკვ. I, თბ., თურქულიდან თარგმნა, კომენტარები და გამოკვლევა დაურთო გიორგი ფუთურიძემ, 1971, გვ. 95-96.

რომელსაც ოლუშე ჰქვია, მთები გაშლილია და მტერს ადვილად შეეძლო აქედან შემოსვლა და ქვეყნის აოხრება, – დიდის ხარჯით ამოუყვანიათ კედელი სიგრძით სამოცი ათასი ნაბიჯი და კედელში აქა-იქ აუშენებიათ კოშკები, რომელშიც დგანან თოფებით შეიარაღებული მცველები, რომ ამ კოშკებს დარაჯი არასოდეს არ მოაკლდეს, ოდიშის ეპისკოპოსებს, თავადებს და დიდებულებს თავის შორის მორიგობა გაუნაწილებიათ თვეობით, ისე რომ თვითეული თითო თვეს იცავს ამ ადგილებს თავის კაცებით“[1].

15. დიხა გუძუბას მსგავსი ციხე-სიმაგრე მდ. ცივთან.

ჟან ფრანსუა გამბას ცნობით, „...ორ თუ სამ ათას ჩერქეზს, მაჰმადიან აფხაზებთან ერთად, განუზრახავთ თავს დასხმოდნენ მის საცხოვრებელს სოუკ-სუში (შოუკსოუ) (ცივი წყალი); ამ ადგილას თხრილებით, მესერითა და მიწაყრილით გარშემორტყმული ციხესიმაგრე იდგა, რომელიც ქვემეხით იყო შეიარაღებული და რომელსაც რუსი ჯარისკაცები იცავდნენ“[2].

16. რიონსკაიას ციხე-სიმაგრე და ძველი ტაძარი

ჟან ფრანსუა გამბას ცნობით, “სწორედ ამიტომ სასწრაფოდ დავეთანხმე რედუტის ციხეზე გაპიროვნებული ინჟინრის მიერ შემოთავაზებულ წინადადებას, გავყოლოდი მას პატარა ციხესიმაგრე რიონსკაიაში (დიონსკაია), რომელიც მან ააგო ფაზისის შესართავიდან ცამეტი ვერსის სავალზე. ჩვენ იქ ორი საათში მივედით, მას შემდეგ, რაც ფონით გადავლახეთ პატარა მდინარე (ნაბადა) (აბადა), რომელიც ზღვას ერთვის ფაზისთან ოთხი ვერსის დაშორებით“[3]. „რონსკაიას ციხესიმაგრესთან ფაზისის სიგანე მეოთხედ ლიეს უდრის. ოდნავ მოშორებით იგი ორად იტოტება, რომელთაც ერთმანეთისაგან ტყით დაფარული პატარა კუნძული ჰყოფს; დღეს ეს კუნძული დაუსახლებელია, რამდენიმე წლის წინათ კი აქ კიბელეს სახელზე ნაკურთხი ტაძრის ნაშთი მოჩანდა. ფაზისის მარცხნივ ფოთის ციხესიმაგრეა. მას თურქები ფლობენ და ამის გამო რუსეთი მოკლებულია ამ მდინარეზე ნაოსნობის შესაძლებლობას. თავადმა გორჩაკოვმა მთავარმმართებელს შესთავაზა ფაზისზე ახალი შემოსასვლელი გზის გაყვანა და არხის გაჭრა, რომელიც რიონსკაიას ციხესიმაგრიდან პირდაპირ ზღვაზე უნდა გასულიყო. ამ გეგმის განხორციელება ადვილად შეიძლებოდა, იმიტომ რომ მაშინ ციხესიმაგრიდან ზღვამდე მხოლოდ ოთხი ვერსი იყო. ახლა კი ამ ადგილიდან შესართავამდე დაახლოებით თორმეტი ვერსია. გეგმა მოწონებულ იქნა, გაიცა კიდეც საჭირო ბრძანება ადგილის ნიველირებისა და ამ პროექტის რეალიზაციის უზრუნველსაყოფად, მაგრამ მალე ჩათვალეს, რომ ჩასატარებელი სამუშაოები დიდ სიძნელეებთან იქნებოდა დაკავშირებული; თანაც შეეშინდათ, რომ მისი აშენებით მდინარეები ადიდდებოდა, რაც საფრთხეს შეუქმნიდა ქვეყანას და როგორც ჩანს, ამის გამო პროექტი უარყვეს“[4].

---

[1] დონ არქანჯელო ლამბერტი, სამეგრელოს აღწერა, თბ. 1190, გვ. 152.
[2] ჟაკ ფრანსუა გამბა, მოგზაურობა ამიერკავკასიაში, ტ. I, თბ., 1987, გვ. 85.
[3] ჟაკ ფრანსუა გამბა, დასახ. ნაშრომი, გვ. 100.
[4] ჟაკ ფრანსუა გამბა, დასახ. ნაშრომი, გვ. 104-105.

„...სამეგრელოს ამ ნაწილში საკმაო რაოდენობითაა რუსების საგუშაგოები, ამასთანავე, მეზობელი ხალხების თავდასხმებისაგან მას ღრმა მდინარეები იცავს. ასე რომ, აქაურ მოსახლეობას ამ მხრივ საფრთხე არ ემუქრება“[1].

რიონსკაიას ციხე-სიმაგრეს იხსენიებს კოხი და სპენსერიც – „რიონი იმ ადგილას ძალზედ განიერია; მის გადალახვას 15 წუთზე მეტი უნდა და ამიტომ საჭიროების შემთხვევაში მკაცრ მეთვალყურეობას მოითხოვს. რიონის ჩრდილოეთი ნაპირი უფრო მაღალია და იმის გამო, რომ ციების გამავრცელებული მავნე ანაორთქლი აქამდე ნაკლებად აღწევს, მდინარის მარჯვენა ნაპირას ციხე-სიმაგრე ააგეს, რომელსაც რიონსკს უწოდებენ. იგი ევროპული ყაიდის ომს დიდ წინააღმდეგობას ვერ გაუწევს. საკუთრივ ფოთი (ანუ ფაშ-კადე) მდებარეობს მდინარის მარცხენა ნაპირზე, აშმორებულ დაბლობზე“[2]. „ორი ოფიცრის და ექიმის თანხლებით, მშვენიერ ამინდში ნავით ავყევით რიონს იმ ადგილის საძებნელად, სადაც დიუბუა დე მონპერესა და კარლ კოხის ცნობით, ძველი ციხის ნანგრევები უნდა ყოფილიყო შემონახული. ჩვენი ცდა ამაო აღმოჩნდა. სტრაბონის გადმოცემით, ფაზისი რიონის შესართვათან მდებარეობს. მაშინ როდესაც ისინი ნაპირიდან ერთი საათის სავალითაა დაშორებული. თუ ადგილმდებარეობას უფრო გულმოდგინეთ დააკვირდებით, ამ მდგომარეობას ახსნა მოეძებნება. მდინარეს ყოველწლიურად მაღალი მთებიდან შლამი და რიყის ქვა ჩამოაქვს და შესართავთან ტოვებს. ამის შედეგად თითქმის ორი ათასი წლის განმავლობაში მნიშვნელოვანი დელტა გაჩნდა, რომელიც ყოველ საუკუნის შემდეგ მატულობდა“[3].

17. ციხე რიონის შესართავთან ფოთში

მორიც ვაგნერის ცნობით, „კოლხური ემპორიუმისგან არავითარი ნანგრევები არაა შემორჩენილი. რომაული ტაძრის პირდაპირ არის გრძელი კუნძული, რომელზეც მდგარი ტაძარი ციბელასი, რომლის ნანგრევები ჯერ კიდევ მოგზაურ შარდენს უნახავს. სხვა ნანგრევთა ნარჩენები რომ არსებობდეს მდინარის ნაპირზე, არავითარ შემთხვევაში ეჭვს არ იწვევს. მაგრამ თვით მონდომებულ ანტიკვარებსაც კი დაეკარგებათ ხალისი, ამ ნოტიო და უაღრესად არაჯანსაღ მიწაში ეძიონ ჩაძირული ნანგრევები, რომლებიც მხვიარა მცენარეთა მწვანე ბადეებითაა დაფარული გაუვალი ტყის საფარქვეშ. ორნახევარი საუკუნეა დგას ფოთის ციხე, რომელიც ზედ ნაპირზე იყო აგებული. მას შემდეგ ზღვამ უკან დაიწია და მის გალავანს აღარ ასველებს. ამიტომ იძულებული გახდნენ აეგოთ პატარა სიმაგრე (ორტ) ფაზისის შესართავის ახლოს. დიუბუა სამართლიანად ამტკიცებს, რომ რამდენიმე საუკუნის შემდეგ თურქული ციხეც დაიმარხება შლამსა და ჭაობში, როგორც ამჟამად რომაული სიმაგრე, და ბევრი მცდარად ჩათვლის, რომ ციხე ჩაიძირა, როგორც ამას ფიქრობენ ძველ ეპირიუმზე, რომლის ნანგრევებსაც ზოგიერთი მკვლევარი პალიასტომის მლაშე ფსკერზე ეძებდა“[4].

* * *

[1] ჟაკ ფრანსუა გამბა, მოგზაურობა ამიერკავკასიაში, თ. I, თბ., 1987, გვ. 111-112.
[2] კ. კოხისა და ო. სპენსერის ცნობები, დასახ. ნაშრომი, გვ. 169.
[3] კ. კოხისა და ო. სპენსერის ცნობები დასახ. ნაშრომი, გვ 172-173.
[4] მორიც ვაგნერი საქართველოს შესახებ, გერმანული ტექსტი თარგმნა, შესავალი, კომენტარები და საძიებლები დაურთო გ. გელაშვილმა, თბ., 2002, გვ. 148-149.

წყაროებში დასახელებული ფოთის ციხე-სიმაგრეებიდან, ფოთის ცენტრში მდგარი კოშკის გარდა არც ერთი შემორჩენილი არ არის. არქეოლოგიური კვლევა-ძიებითაც ჯერჯერობით მათი გამოვლენა ვერ მოხერხდა.

a wholly the review of churches and safety buildings destroyed at different times because of historical storms or survived on the modern territory of Samegrelo (from Tskenistskali to river Enguri, districts: of Zugdidi, Khobi, Tsalenjikha, Martvili, Senaki, Abasha and c. Foti) from ancient time till now.

Samegrelo preserves centuries-old historical past within the bounds of Kolkhian civilization and united Georgian State and hence it is rich with historical monuments, as with churches as safety buildings. At the ancient time or during the whole Kolkhian culture there was distinguished and original defence system being in the absolute conformity to geographical environment as of Samegrelo as lowland of whole Kolkheti, we mean the fact of arrangement of artificial ,,Dixa-Gudzubebi`` in the middle of swamp and on the banks of rivers. In early feudal

epoch, this system was gone to the tendency of destroying, though it didn't weaken but it got a new form, confirming to the different political situations and one of the oldest defence system was created, which is even shown in the survived monuments of material culture of time of Egrisi kingdom. Buildings of the protecting borders of country were continued in the next periods and protected the safety of Samegrelo and Odishi principality during the whole epoch of feudalism and served the united Georgian state as well.

Another important circumstance of historical past of Samegrelo is the first seats of Christianity appeared exactly in this region which was followed by creation of great monastery centres – metropolitan _ and one of the oldest Episcopalian throughout Georgia. This was the reason that in this region (and generally in Egrisi) there were built a lot of monasteries from early Christianity time, even today are survived such holies which every Christian would wish to be near with them.

In the presented work each historical monument (number of which is about five hundred unit) has been studied on the basis of the written sources, archives materials, data of scientific literature and the facts of region of Samegrelo gathered by us in site. All the monuments mentioned in this work are took on photos and shot on videotapes.

After presenting short historical excursion, on the base of data of scientific literature the oldest Kolkh settlement system in the form of so called "Dixa-Gudzubebi" is described in the first chapter of work, which had as dwelling as well as safety function and was saved from the beginning of the II millennium of BC to III-IV centuries of AC.

In the second chapter of work are presented the facts of archive and statistic description, on churches and priesthood of Samegrelo from 30s till 70s of XIX century.

In the third chapter of work on the basis of Greece-Roman and Byzantine or other sources, as well as the data of scientific literature, the old cities of Kolkheti (Aia-Kvtia, c. Egrisi of Egrosi and etc.), also the problems concerning to localization of cities and fortresses of that kingdom of Egrisi were examined.

The other seven chapters are divided according to each region of modern Samegrelo (Zugdidi, Martvili, Khobi, Tsalenjikha, Senaki, Abasha, Chkhorotsku and c. Foti) and its villages; each monument is characterised on the basis of the materials gathered by us in site as well as the written sources and the data of scientific literature. At the time of discussing each historical monument, almost all written sources nowadays known for us are completely mentioned in the scholium, which may overburden our work, though our main goal was to present the interesting documentary material about historical monuments of this region completely. The more attention is paid to the old Episcopal centres existed on the territory of Samegrelo (Tsaishi, Chkondidi-Martvili, Khobi, Tsalenjikha), where the history of church, chronological row of bishops and episcopacy borders are presented.

On the base of gained material on site, the names and location of all historical monuments were established, also personalities of priests serving here who became the victims of Bolshevik regime, especially in 1924.

With regards to the issue, attention also should be paid to the materials mentioned in the Georgian periodic press of XIX century and most of them are quoted almost completely.

We got the important information on the conditions of different churches and fortress, about name of church, priests serving there, restoration works of that time, building of new churches, on parochial schools and etc.